¹ ჩვენ ერთ ჟურნალის კორრესპოდენციაში წავიკითხეთ, რომ გავაცცი ყოფილა ნეაპოლში ხალხის დღეობების დროს, საშობაოდ, რომელშიაც ღვთისმშობელი იყო მორთული ნაციონალურის ფერებითა, ყრმა იესო წითელ გარიბალდის პერანგითა; იოსებისათვის გაეკეთებინათ ვიკტორ-ემმანუელური ულვაშები, მოგვებსა ჰქონდათ საცმელი ბიქსიონი, ფრანჩესკო II წარმოადგენდა იროდსა. კორრესპოდენტი (მეტად კეთილგონიერი) ამბობს, რასაკვირველია, თავზარდაცემითა, რომა რევოლუციამ ნეაპოლში ამ სახით მიღწევაო უსამლოეს საგნებამდინაცაო და, რასაკვირველია, დიდი ეჭვით შეაქვს გავაცცის და „სხვა გარიბალდის ხროვისო ამ საქმეში დიდ მონაწილეობაზედა.

შეძლო თავის ზედმოქმედებითა დიდად შეჰსწევოდა სამხრეთის იტალიაში ახალ-წესიერების გაპოპულიარებასა. გავაცცის ქადაგებათა გარჩევა გვაჩვენებს ჩვენ იმის წადილთა მიმართვის და მოთხოვნილების არსსა; იმის ზედმოქმედების ძალაზედ კი უკეთესი მოწამე იქნება ის, რა სახითაც მიიღებოდნენ ხოლმე იმისი სიტყვები ნეაპოლშია.

გავაცცი, პირველ ქრისტიანეთა მქადაგებელთსავით, საცა მოხვდებოდა, იქ ქადაგობდა. ტადარი, ქუჩა, მოედანი, თეატრი, ყოველი ადგილი, საცა კი მსმენელები იყვნენ – იმას ემარჯვებოდა და ეკეთილებოდა. ნეაპოლში იმისი საყვარელი ადგილი იყო „Largo de Palazzo, San Francesco, di Paolo-ს” საყდრის წინ, სასახლესთან და კარლო III, ფერდინანდო I სტატუებთან, რომლებზედაც უცნ-აური დაჟინება იგი ისე მოულოდნელად შეიქმნა მქადაგებელის სახელის გავარდნის მიზეზად. გავაცცის ქადაგებაების დრო წინადვე გამოცხადებოდა ხოლმე და ყოველთვის მოსასმენელად შეგროვდებოდა უშველებელი გროვა ხალხისა. ტაშისცემა, ძახ-ილი: ბრავო! ჰო! არა viva Italia! viva Garibaldi! და სხვდასხვ. – ხშირად გააწყვეტივნებდნენ ხოლმე მქადაგებელს სიტყვასა. ხანდის-ხან იმისი სიტყვა თითქო ბაასად გადიქცეოდა ხოლმე, ხან კიდევ სიტყვის მაგიერ ერთ როგორღაც მოიხმარებდა ან თავს, ან ხელს და ამით კრებაში აღძრავდა ერთ საყოველთაო მხიარულებასა. ესე ყოველიფერი ძალიან საჩინოდ ეწინააღმდეგება მას, რასაც ჩვენ ქადაგებას ვეძახით. ე. ი. სიტყვას, რომელიც მიმართულია სამღვდელთა კაცისაგან ერის კაცისაკენ. ხოლო იმათთვის, ვისაც არ მოეწონება ამისთანა „გაკადნიერება სასულიერო კათედრისა”, ვიტყვი, რომ ამისთანა ხასიათის ქადაგებანი იტალიაში და ნამეტ-ნავად ნეაპოლში არამც თუ საოცრად მიაჩნიათ, არამედ უფრო მიღებულია. შემდეგ ვიტყვით ამაზედ რამდენიმე სიტყვას; ეხლა კი წინ ვასწრებთ თქმასა, რომ გარეგანი ფორმა გავაცცის სიტყვებისა, რარიც უცნაურათაც რო გვეჩვენოს ჩვენ, მაინც კიდევ არ მიეწერება სრულიად მარტო ამასა. გავაცცის და თავისი ქვეყნის სხვა მქადაგებლებს შორის უმთავრესი განსხვავება გარეგანი ფორმა კი არ იყო, არამედ შიგნდებარება იმის ქადაგებაებისა. შიგნდებარების არსი კიდევ მისთანა არის, რომ იმას მოუხდ-

ბოლა ყოველი ადგილი და ყოველი დრო, ოღონდ მსენელი კი ყოფილიყვნენ. როცა გადასხნილ ცის ქვეშ ვერა ხერხდებოდა ხალხის მოგროვება ავდარის გამო, გავაცცი შევიდოდა საყდარში. ესე, რამდენიმე სიტყვა წარმომოჰსთქვა del carmine-ს ეკკლესიაში. როცა უნდოდა მიემართა სიტყვა იმ კაცებისაკენ, რომელნიც არ მოდიოდნენ Largo del Palazzo-ს მოედანზედ. გავაცცი გაჰსწ-ევდა იქით, საცა იმათი კრება ეგულებოდა. ესე მივიდა Piazza Mercatello-ზედ, რომ დაიყოლოს baraccani ლადარონები¹ ერთ ნეაპოლის დიდ ნაწილისა, რომელნიც ყველაზედ უფრო დიდხანს ჭოჭმანობდნენ ბურბონებისაგან გადადგომასა. როცა ხალხი შე-გროვდებოდა ხოლმე რომელიმე თამამისათვის, გავაცცი იქაც წავიდოდა თავის ცხოველ სიტყვითა: ესე არაერთხელ უქადაგნია იმას თეატრშია...

ერთხელ, ეს იყო სან-კარლოს თეატრშია, არდგენდნენ რალაც ბალეტსა. პირველი მოქმედება გათავდა. უეცრად ერთ ლოჟაში გამოჩნდა ჯმუხი ბერ-მონაზონი, წითური წვერითა, ნახევარ-სამხედრო და ნახევარ-სამონაზნო მორთულობითა, – ეს იყო გავაცცი. ამან აცნობა გარიბალდიელების რალაც ამბავი და დაუწყო ლაპარაკი შემოგროვილ პუბლიკასა იტალიაზედ, იმის საჭიროებაზედ და ყოველ კაცის მოვალეობაზედ მამულისადმი. ყველამ ყური მიუპყრა, თვით წარმომადგენელებმა, ქალმა თუ კაცმა, ახადეს ფარდა და მოგროვდნენ სცენის ნაპირზედ, რომ ყური მოჰკრან ცნობის ღირს ქადაგებასა.

მეორედ გამოჩნდა კიდევ ფრანციზულ თეატრში, ნეაპოლში, ის-ის იყო მოსულიყო ჯარებიდამ, რომელთაც ომი გადებხანათ კაპუასთან². წითელი გარიბალდიური პერანგი ანაფორას ქვეშ, კეპი თავზედ სამონაზონო თავსახურავის მაგიერ, ზმალი გვერზედ და რევილვერი სარტყელში – ძალიან არ უნდა გაჰკვირებოდათ იმ დროს ნეაპოლში. მხოლოდ ერთმა გავაცცის გამოცხადებამ თეატრში მიიზიდა ყველას ყურადღება, იმიტომ, რომ ის-ის იყო

¹ ნეაპოლში იქმნება რამოდენიმე ათი ათასი მცხოვრები, რომელნი ისრე ლარიბნი არიან, რომ მათ არა აქვსთ სადგომი ბინა და ცხოვრებენ მათხოვრობით, თუ რამე წვრილის მუშაობით. მათ ეძახიან ლადარონებს.

² კაპუა არის ქალაქი სამხრეთის იტალიაში.

მოვიდა ბრძოლიდამა. ამ სახით გათავდა თუ არა პირველი მოქმედება, გავაცცი წამოდგა თავის ლოჟიდამა, – და მქადაგებელის ხმოვანი, მკვიდრი, აღტაცებული სიტყვა წარმომადგენელთა დეკლამაციის სამაგიეროდ შეიქმნა. ლაპარაკობდა იგი კაპუსთან შებმაზედ, მამულზედ, თავისუფლებაზედ. ლაპარაკობდა დიდხანს და მოუთმენელი პუბლიკა ნეაპოლისა ყურს უგდებდა მოთმინებით, ხარბობით და აღტაცებით იქამდინ, რომ დაივიწყა წარმოდგენა ... როცა გავაცცი სიტყვა გაათავა, იმპრესსარიო¹ გამოვიდა სცენაზედ და თქვა, რომ რადგანაც კომედიის გათავებისათვის ცოტა დროლა დარჩა, ცუდი არ იქნება, თუ პუბლიკა ნებას დართავს კომედიის მაგიერად გარიბალდის ღიმნი იყოს. ასტყდა ერთი საშინელი ტაშისცება, კიჟინა და *evviva!* გარიბალდის ღიმნი იგალობეს – და ერთი აღტაცებული გრიალი მთელის პუბლიკისა გალობას ზედ მისდევდა.

ეს აღტაცება არ დაიკარგა უნაყოფო ძახილშია. გავაცცი იცოდა იმისი გაღვიძება და ამასთანავე იცოდა გამოყენებაცა: მქადაგებელის კეპიმ შემოიარა მთელი თეატრი და ავსებული ჯარების შესაწევარ ფულითა დაუბრუნდა პატრონსა. ეგ კიდეც არაფერი. გამოსახა რა მდგომარეობა ჯარებისა, თქვა, რომ დაჭრილებს წყლულების შესახვევი ტილო აკლიათ და მიუბრუნდა ქალებს თხოვნითა, რომ შეეწიონ. მეორე დილას დაუბროვეს ტილოს ხვაეები.

ამისთანა საქმემდინ ის ხშირად მიაღწევდა ხოლმე. ერთხელ მოედანზე დაილაღადა თუ არა, მსწრაფლ კათედრისაკენ გადმოუყარეს ხელსახოცები, ყოველგვარ საცვლით გატენილი ბოხჩები. იმისი კეპი ბევრჯელ აივსო ფულითა იმ ვოლონტერების² შესაწევრად, რომელნიც ეგრე თავგამოდებით იბრძოდნენ იტალიის თავისუფლებისათვის.

გავაცცი ერია იმ რვა თუ ათ კაცის რიცხვშია, რომელნიც შეჰყვნენ გარიბალდის 7-ს სეკტებმერსა ნეაპოლში. მოსვლისევე უმაღლ გარიბალდი წავიდა წმ. ჯენნაროს სობოროში, იმისათვის

¹ იმპრესარიო – თეატრის შემნახავი, უფროსი.

² ვოლონტერი – მხედარი თავის ნებით შესული სამხედრო სამსახურში.

კი არა, რომა „Times-ის” სურვილისამებრ, აიღოს და ხიმიკურად დაშალოს შენახული იმ სობოროში სახელოვანი „სისხლი წმ. ჯენაროსი”, არამედ იმისათვის, რომ აღუსრულოს ღმერთსა სა-დღესასწაულო მადლობა ნეაპოლის განთავისუფლებისათვის. ხალხის შვილი და ხალხის მეგობარი – გარიბალდი არ მონ-დომებდა პირველშივე შეურაცხჰყოს ხალხის სარწმუნოებითი წამება; იმისი სურვილი იყო ეჩვენებინა, რომ თითონ სრულებით არ არის სატანის მოციქული და არც წინამორბედი ანტიქრის-ტესი, როგორც ცდილობდნენ წარმოდგინათ რომის და ბურბონ-ების გულშემატკივარ აბბატებსა და ბერ-მონაზონებსა. მივიდა თუ არა გარიბალდი სობოროში, კარები დაკეტილი დახვდა, ეგ კიდევ არ ეკმარებინათ: შესავალიცა ამოგებული იყო, სობოროს სამღვდელონი კი სულერთიანათ არხიეპისკოპოზის წასვლის შემდეგ მიმალულ-მომალულიყვნენ. მაშინ მამა გავაცცი გამოვიდა მთე-ლის სამღვდელოს წარმომადგენელად: ხალხის და ნაციონალურ გვარდიის¹ შემწეობით გახსნა შესავალი, თითონ აღასრულა სამ-დლო მსახურება და ეკლესიაშივე მიულოცა იტალიის განმათა-ვისუფლებელსა. ხალხი არაჩვეულებრივად კმაყოფილი დარჩა.

ამის შემდეგ გავაცცი ხდება იტალიის თავისუფლების და ერთიანობის დაუღალავ მისსიონერათა. 12 სექტემბრიდან და ოკტომბრის მომეტებულ ნაწილის განმავლობაში, როცა კი მარ-ჯვე შემთხვევა მოეცემოდა, ის თითქმის ყოველდღე წარმოჰსთქ-ვამდა ხოლმე კარგა გრძელ სიტყვასა ხალხთანა. შეუძლებელია, რომ იმისი ქადაგებები წინად იყოს შეთხზული, სულ ყოველი ქადაგება იმპროვიზაცია² იყო. ეს რომ მივიღოთ მხედველობაში, უნდა ვაღიაროთ, რომ გავაცცი მეტად გამოჩენილი ორატორია. მართალია, ხანდისხან იგი ასცილდება ხოლმე თავის უმთავრესს საგანსა, ერთ და იგივეს იმეორებს, ან უაღაგო ალაგას დააბ-ოლოვებს, ან კიდევ მომეტებულად გააგძელებს; მართალია, ყოვ-

¹ ევროპაში ჯარს, შედგენილს რომელიმე ქალაქის მოქალაქებისაგან, ეძახიან ნაციონალურ გვარდიას. ნაცია ნიშნავს ხალხს (ლათინურად natio - ხალხი).

² იმპროვიზაცია – სიტყვა, ქადაგება ანუ ლექსები, მოუმზადებლად წარმოთქმული.

ელ ქადაგებაში ძალიან ემცნევა მტკიცე ერთობის ნაკლებულობა მოწყობაში და გადახტომაები, რომელიც ღრმად ნაფიქრებ სიტყვაშია არ მიიღებინან; მაგრამ ამის გარეთად კი იმის ქადაგებაში, თითქმის დაბეჭდილშიაც, თქვენა ხელავთ ცხოველ სიტყვის კვალსა, თითქო გესმით ხმა კაცისა, რომელიც თქვენთან ლაპარაკობს და არა კითხულობს კი წინათვე გაზეპირებულ რვეულსა რალაც გაშეშებულ ხმითა. ამის გარდა, თქვენ ნახავთ გავაცცის ქადაგებაში, რომ მეტად ნათლად ესმის საქმის ვითარება, და მეტად მოახერხებს ხოლმე საქმეს ზედმოაწყოს მოთხოვნილობა საზოგადო ხნეობისა, როელიც ყოველ მოქალაქისათვის აუცილებელი ვალია.

არის გავაცცის სიტყვებში ბევრი რამ მკაფიო, თითქმის კადნიერიცა, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ იგი ლაპარაობდა განთავისუფლების პირველ დღებში იმ ხალხთან, რომელიცა ისის იყო გამოვიდა ბნელ დესპოტობიდანა, რომელიცა ამოდენა წელიწადს მიწასთან ასწორებდა. ამასთანავე ესეც უნდა შევნიშნოთ, რომ თუმცა მართალია, ბურბონებზედ, პაპზედ, ავსტრიაზედ და ღერცოგებზედ მოუხმარია ზოგიერთი ფრაზები მეტიისმეტი უცერემონიო, მაგრამ გავაცცი სულ არ არის იმისთანა აღარმისტი¹, როგორც უნდოდათ წარმოედგინათ ზოგიერთ კლერიკალის ჟურნალებსა. წინააღმდეგ ამისა, იმის ქადაგებაშია ჩვენა ვხედავთ მიტევებასა და მშვიდობიანობის სიტყვასაცა, ხალხის დამამშვიდებელ და გამაგონიერებელ დამტკიცებასაცა. მაგრამ უფრო კარგი იქნება, რომ თვით იმის ქადაგებას მივმართოთ.

12 სექტემბერს გავაცცი გამოვიდა San Francesco di Paolo-ს მოედანზედა. უთვალავი ხალხი ელოდდა იმასა და მიეგება დიდის ტაშისცემითა. გავაცცი რამდენიმე ხანს დადგა ხმაამოუღებლად, მძულვარედ შემოავლო თვალი ბურბონების სასახლესა და სტატუებსა, რომელიც იდგნენ მოედანზედ, მერე წაიკითხა თავის ხმოვან და ძლიერ ხმითა საყდარზედ ზედ წაწერილი: „D. O. M. Francesco di Paolo Ferdinandus I ex voto A. D. MDCCCXVI“. ეს აიღო საგნად ქადაგებისა. გავაცციმ დაიწყო:

¹აღარმისტი — კაცი, რომელი ჰყრის უსიამოვნო ჭორებს და იმით აშინებს საზოგადოებას.

„ეს ზედწარწერილი, ეს სტატუები, ეს სასახლე ყველაფერი მაგონებს მე ბურბონებსა. სადღა არიან ისინი, ჩვენი ბურბონები? რა იქმნა ეს ბაიყუში გვარი, რომელშიაც მამიდამ შვილზედ ღირსეულად გადადიოდა მეტი სახელი: „ყუმბარა.“ ყველაფერი სავსეა იმათ სახსოვრებითა ამ მოედანზედა, რომელიც თუმცა უხერხია სმენისათვის, მაგრამ მაინც კიდევ ძალად ამოვირჩივე ეს ალაგი უფრო იმიტომ, რომ ეს მოედანი ჩემზედ უფრო ძალ-ღალად ლაპარაკობს ბურბონებზედ სადღა არიან ისინი, ჩვენი მფლობელები? რა ძალად იდგენენ! ერთმა შებერვამ მარტო ერთმა ...და ისინი ჩამოცვივდნენ (ხალხში ტაშისცემას), ისინი ჩამოცვივდნენ სამუდამოდ ... (აღტაცებული ტაშისცემას) თავის დღეში აღარ იმეფებს ეგ წყეული თესლი! ... მთელ ევროპიის დესპოტებში ყველაზედ საცოდავი ბურბონების თესლია, – მთელ ბურბონების თესლში ყველაზედ უხეირო ფესვი – ისპანიისა და ყველაზედ დამპალი შტო ისპანიის ფესვისა – ეგ ნეაპოლიტანის ბურბონები არიან! შორს ჩვენგან, ბურბონებო! (მთელი ხალხი იძახის: ბრავო შორს ჩვენგან, ბურბონებო!). ამხანად კი ძაღლობა ღმერთს თავი დაგვანებეს გადაწყვეტილად (ხალხში მხიარულე-ბაა). ესლა იმათთვის აღარ იქნება არც ვენის და არც ვერონის ტრაკატები¹ იმათი დაბრუნება ნეაპოლში აღარაფერს შეუძლიან: არც ღალატსა, არც ორგულობას, არც პატიობას ...ხალხმა და ხალხის გმირმა გაყარეს ბურბონები ...მაშ, შორს ჩვენგან, ბურ-ბონებო!.. (ხალხი, როგორც ერთი კაცი, რამდენჯერმე გრიალებს: შორს ჩვენგან, შორს ბურბონებო!) ... ჩვენ დავიწყეთ საქმე და ჩვენ მოვუღებთ ბოლოსაცა ... მხოლოდ უნდა ზოგიერთი რამ გავაკეთოთ, რომ ბოლო მოვუღოთ ...

„მე არა ვხედავ საჭიროდ, რომ ბოლოს მოღებისათვის სრულიად გავანადგუროთ იმათი სახსოვარი თვით მონუმენტებშიაცა და დავათხიოთ ჩვენი შურისძიების ბაღღამი იმათ სტატუებსა. სი-ცილიაში, სადაც მაგათს სტატუებს არაფერი ხელოვნური ღირსება

¹ ტრაკატები – პირობა შეკრულობა ხელმწიფების შორის. ვერის და ვერონის ტრაკატები იყვნენ წინააღმდეგნი იტალიის ერთობისა და თავისუფლებისა, ამისა გამო იტალიელებს ჰსძულდათ ეს ტრაკატები.

არა ჰქონდა, რასაკვირველია, ძალიან კარგადა ჰქმნეს, რომ ქვა ქვაზედ არ გაუშვეს (ხალხში მოწონების ძახილია) ... ჩვენ კი ნუ გავხდებით XIX ის საუკუნის ვანდალებად¹, ჩვენ შევიწყალოთ ეს სტატუები იმის პატივისცემის გამო, რომ ესენი არიან შექმნილნი ჩვენის უდიდეს სკულპტორისა – კანოვისაგან. აი ესა (დაანახვა თითით კარლო III სტატუაზედ) წარმოადგენს უხეირო კაცსა, რომელმაც, უნდა ვსთქვათ, შემთხვევით გააკეთა ზოგიერთი რამ საკეთილო ნეაპოლისათვის და რომელმაც, დაადლო რა ბაშვად აი ეს საზიზღარი ჭია (თითით აჩვენა ფერდინანდზედ), ამბობენ უთხრალ თავის მინისტრებს: „რასაც თქვენ მაგისაგან გააკეთებთ – ეგ ის იქნებაო”. ამ უკანასკნელ სტატუას კანოვას გაკეთებული რომ არ იყოს, გასამტვერებლათაც მოვიწადინებდი, ამიტომ, რომ ეგ ყველაზედ უარესი მწვალელები იყო ნეაპოლისა წარსულის საუკუნეში. რომ ვსთქვა, რომ კაცმა შეიძლო სახრჩობელაზედ ჩამოკიდება იმისთანა მამულისშვილებისა, როგორც კარაჩილო, მარიო, პაგანო და ჩირილლო, – რომ ვსთქვა, მითომ მითქვამს, რომ თვით იგი ღირსია ასის სახრჩობელისა და იმისი სტატუა – ასის შეურაცხყოფისა – სულერთია (ხალხში ხანგრძლივი ტამის ცემაა)...თუმცა ეგრეა, – მაგრამ დაე ეს სტატუაც დარჩეს ჩვენ ანტონიო კანოვას პატივისცემისათვის”

„მაგრამ რომაელები სულაც არ იყვნენ ვანდალებად, როცა ჩვენ დაგვივდეს ერთი კარგი მაგალითი: რაკი რომ უნდოდათ დაეცვათ ხელოვნება ნერონის, კალიგულასი, ლელიოგაბალის² სტატუებშია. იმათ მოამტვრიეს თავები და სხვის თავები მიუდგეს ამ ვეშაპების ტანებსა. ღმერთო! (გავაცცი გაჩუმებული რამდენიმე ხანს დგას, უძრავად გულხელდაკრეფილი) ... რომ თავები მოვაშოროთ ჩვენცა ამ სტატუებსა – კანოვის ნაწარმოები მაგითი ხომ არ დაშავდება? ამათ თავების სამაგიეროდ, რომელნიც მოგვაჩვენებენ ორს საზარელს ტირანებსა, რომელნიცა ვითომც

¹ ვანდალები იყვნენ ღერმანიის ტომის ხალხი, რომელი ბარბაროზულად აოხრებდა დასავლეთის რომის იმპერიის მაზრებს V საუკუნეში.

² ნერონი, კალიგულა და ლელიოგაბალი იყვნენ სასტიკი და მოსისხლე იმპერატორები რომისა. ორნი პირველნი ცხოვრებდნენ პირველში, ხოლო უკანასკნელი III საუკუნეში ქრისტეს აქეთა.

გმირათაც არიან მორთულნი და გმირობა კი სრულიად არ უხდებათ, რომ მათ მხრებზედ ღავასვენოთ თავი კოროლისა – პატიოსან კაცის (galantuomo) ვიკტორ-ემმანუელის და რევ-ოლუციის და ჩვენის განთავისუფლების გმირის იოსებ გარიბალდისა? (ხალხში დამაყრუებელი ტაშისცემაა), უკეთესი სამკაული და დამამშვენებელი რამ შეიძლებაა მოიგონოს კაცმა ამ მოედ-ნისათვის, რომელსაც დღეის იქით უნდა დაერქვას „იტალიის ხალხობის“ მოედნის სახელი?

„იტალიის ხალხობა“ არსდება, ბატონებო! მაგრამ ჯერ კიდევ არ დაარსებულა! მე ვიცი, ვინც კარგად დაიწყობს, იმას ვითამც ნახევარი საქმეც გაუთავებია; მაგრამ მე მასხოვს აგრეთვე სიტყ-ვაც ჩვენთვის ჯვარცმულის ღვთისა, რომ ვინც გუთანს ხელს მოჰკიდებს, უკან იყურება და საქმესა ჰსწყვეტს, ის არ არის ღირსი სასუფეველისაო.

„აი, ჩვენთვის ეს რას ნიშნავს: თუ ჩვენ დავსჯერდებით მარტო ნეაპოლის და სიცილიის განთავისუფლებასა და არ ვიფიქრებთ დანარჩენ იტალიაზედაცა, რომელიც ისევ მონებაშია, ნეაპოლიც და სიცილიაც ისევ მონების ქვეშ ჩაცვივიან. უნდა გავათავოთ, უნდა შევასრულოთ აღვინება იტალიისა. ალპებიდგან ლილი-ბეამდომ, სიცილიიდგან ტრიდენტამდინ ჩვენ უნდა ვიყვნეთ ან ერთი ოჯახი, ან სულ არაფერი“ (ხმამაღლივი ტაშისცემა)¹.

¹ ჩვენ ძალად გადავთარგმნეთ გავაცცის პირველ ქადაგების დასაწყ-ისი იმისათვის, რომ ვაჩვენოთ რა მნიშვნელობა ჰქონდა ამაში სტატუ-ებზედ ლაპარაკსა. როგორც ხედავთ იგი არ არის დაკავშირებული ქადაგების არსთანა და არის მხოლოდ ეპიზოდი შესავალში, სხვა არაფერი. ჰსჩანს, რომ თვით ორატორი დიდ მნიშვნელობას არ აძლევდა იმას, რაც დაემართებათ სტატუებსა, თორემ ის თავს აღარ დაანებებდა ამას ეგრე ადვილად, ნამეტნავად მაშინ, როცა ხალხი, როგორც ჰსჩანს, ძალიან მიდრეკილი იყო შეესრულებინა გავაცცის რჩევა. ეგ არაფერი კიდევ, – შეიძლება ვიფიქროთ კიდევ, რომ სტატუებზე წინააღმდეგი ლაპარაკი გამოათქმევინა წინადმავალ ხმებმა და მიდრეკილებამ, რომელიც ხალხ-ში იყო ძალიან გავრცელებული. ხალხს ყოველთვის უნდა ხოლმე უსათუოდ, თუ არ თვითონ მტერი, იმის სტატუა მაინც, სახე იმისი, რომელიმე ნივთიერი საგანი, რომელზედაც შეეძლოს დაანთხიოს თავი-

რომ გავშინჯოთ არსებითი ნაწილი პირველ ქადაგებისა, ჩვენ ვპოულობთ მასში საოცარ და პრაქტიკულ მოხერხებას ილაპარაკოს სახელდობრივ იმაზე, რაც საჭიროა და ისე, როგორც საჭიროა, დროების და გარემოების მიხედვითა. განთავისუფლების პირველ დღეებში ნეაპოლიტანელები, რასაკვირველია, იყვნენ აღტაცებულნი სიხარულითა და მიხწეულნი ეფიქრათ კიდევ, რომ ყოველისფერი გათავდა, რომ ისინი ეხლა უნდა მხოლოდ სტკებოდნენ თავისუფლების ნაყოფით, რომელიც მოიწია ეგრე ადვილად და შემოვიდა რაღაც სასწაულის ძალითა. გარიბალდი ძალიან საჭიროდ რაცხდა შთაეგონებინა ნეაპოლიტანელებისათვის, რომ საქმე ჯერ არ გათავებულა, რომ იმათ უნდა გააჰსწიონ სხვა ახალი მეცადინეობა და ჯაფა იტალიის თავისუფლების მკვიდრად დამყარებისათვის. ამის ჩაგონებას თავდაპირველადვე ხელი მიჰყო გავაცციმაცა. ის რაკი რომ აჩვენებს ხალხსა იმას, რარეგ ძმურად უშველიათ ნეაპოლიტანელებისათვის იტალიის შვილებსა, ის მერე დიდის ოსტატობით უხალისებს მსმენელებს გრძნობასა და მას შემდეგ უმტკიცებს, რომ უნდა უშველოს იმათაც, ვინც კიდევ მონებაში არიან, უმტკიცებს, რომ დიდად საჭიროა ბოლომდინ მიიყვანონ ბრძოლა თავისუფლებისათვის. მაგრამ ნეაპოლიტანელები, დიდისხნის მონების და კირთების ქვეშ ყოფნისა გამო, რადგანაც თავის თავსაც აღარ ენდობოდნენ და ამის გამო, როგორც ყოველთვის იქნება ხოლმე, გულგრილად უყურებდნენ ყველაფერ იმას, რაც კი პირდაპირ იმათ არ შეეხებოდა, — ამისთვის გავაცცი

სი ჯავრი და მოიკლას შურის-ძიების წყურვილი. სიცილიაში სახსოვარი ბურბონების გაანადგურეს, ნეაპოლშიაც ხალხის ენტუზიაზმსა შეეძლო მიეღო მაგისტანავე მიმართულება. გავაცცი, რასაკვირველია, იმისთანა არ იყო, რომ დაედრახა ეგ მოძრაობა, მაგრამ, როგორც ჭკვიან კაცს, ესმოდა იმას, რასაკვირველია, ისიცა რომა ამგვარ საქმეებისაგან არაფერი საკეთილო არ გამოვა იტალიის თავისუფლებისათვის. აი, რის გამო ისე ადვილად შეეხო ამ საგანსა და ისევ ისე სწრაფად და თითქმის უხერხოთაც დაანება თავი, როგორც შეუდგა თავდაპირველ. ეგრე არ იქცეოდა ხოლმე ის სხვა შემთხვევაში, როცა, მაგალითებრ, ლაპარაკობდა სენტელმოს სიმაგრეზედა. მაშინ კი იმან კაი რეზულტატამდინა მოახერხა საქმის მიყვანა.

განსაკუთრებით დაჟინებითა ელაპარაკება იმათ იმაზედ, რა რიგი ძლიერი და დიდი ღონე არის ერთობაშია და რარიაგად შეუძლიან განყოფასა დაბრკოლება წარმატებისა და დაღუპვა იმისი, რაც კი ნაშოენი და მოგებული არის. ორატორი ემუდარება, აფიცებს თავის მსმენელებსა, რომ სხვის შევლაზედ ნუ ექნებათ იმედი, და თვითონვე ხელი მიჰყონ საქმესა და არა მარტო ნეაპოლის, ანუ სიცილიის საქმე, არამედ მთელი ერთიან იტალიის საქმე — მიიჩნიონ და მიიღონ, როგორც თავისი საკუთარი საქმე. დასასრულ აჩვენებს იმ ღონისძიებასაც კი, რომლითაც შეიძლება წახალისება ხალხში მხნეობისა და თავისუფლების სიყვარულისა. ამ ღონისძიებაზედ რომ ლაპარაკობს, გავაცვი იხსენიებს ქალებს, ღვლლებსა და გაზეთებსა. დასასრული იმის სიტყვისა შეადგენს იტალიის ერთობის, გარიბალდის და ვიკტორ-ემმანუელის რაღაც რამ დიდების მეტყველების მგზავსსა.

ამრიგად არის შედგენილი გავაცვის პირველი სიტყვა, რომლის დასაწყისიც ზემოთა ვჰსთარგმნეთ. იმისი ჩამაგონებელი, რჩევის სიტყვა ხშირად განკიცხვის სიტყვისაკენ გაღუქცევს და მაშინ ყველაზედ მომეტებულად წინააღმდეგად აღუდგება ხოლმე სამღვდელოსა და პაპა-კოროლსა; ეს, როგორც ვხედავთ, დიდხარისხიან მნიშვნელობის საგნები არიან, სრულიად ღირსნი, რომ ნეაპოლში განთავისუფლებულ ხალხისათვის სათქმელს პირველს ქადაგებაშივე მოექცეს განსაკუთრებითი ყურადღება. როგორც ამ შემთხვევაში, ისე სხვაშიაცა, გავაცვი იმ საოცარ ოსტატობით არის გამოჩენილი, რომ ხალხს პირდაპირ ეტყვის ჭეშმარიტს მართალსა და არ აუშლის ხოლმე ჟინებსა და ჯავრსა. ღირს, მაგალითებრ, წასაკითხად, როგორ ოსტატურად უმტკიცებს ნეაპოლიტანელებს, რომ ისინი ვერაფერს ვერ იქმოდნენ მარტო თავის საკუთარის ძალითა, თუ სხვა იტალიანელებიც არ შეჰსწევოდნენ, რომ გამოცდილება, სამართალი, მადლობის გადახდა მოითხოვს სხვებისათვისაც ამათ ისე იწარმოვონ, როგორც იწარმოვეს ამათთვის სხვებმა. რაკი რომ უთხრა, „რომ ერთობა აზრისა და მოქმედებისა არის იმათი მადლობის გადამხდელი მოვალეობა, და რომ მაგას მოითხოვს, როგორც საკუთარი იმათი ინტერესი, ისე საჭიროება საზოგადო“, ორატორი ამბობს შემდეგს:

„რამდენიმე თვის წინად მე შევიტყე კიდევ სარეკოლოუციო მოძრაობა, რომელიც ჩნდებოდა ნეაპოლში; მერე ცხადად წარმოდგა სიცილიის წინააღმდეგობა. მართალის გულითა ვჰსთქვათ: მითამ სიცილიამ საკუთარის ძალით გაიმარჯვა? ცხადია, რომ არა. წინააღმდეგობა სიცილიისა იყო მხურვალე, პატიოსნური, ძლიერი, ყველაფერზედ მზად უკანასკნელ სისხლის წვეთის დაწურამდინა. მაგრამ მართო რომ ყოფილიყვნენ, თავგამოდებულნი სიცილიის გამირები უღონოდ შეიქმნებოდნენ ამ საზარელ ბურბონის გაწყობილ სამხედროსთან! და თქვენც თითონ, ძენო ვეზუვისანო, თუშცა თქვენ გამოგივლიათ ყოველი ტანჯვა, რაც კი რამ სულსა, გულსა და ადამიანის გვაშსა შეუძლიან გამოვლა საზარელ მართებლობისაგან, რომელსაც ღირსეულად ეძახიან „ღვთის-უარყოფასა“, ე. ი. სატანის მართებლობას, თვით გვენის განხორციელებას ფერდინანდოს და ფრანჩესკოს სახეშია – თქვენ თითონ კი შეგეძლოთ აგესრულებინათ რჯულიერი შურისძიება თქვენი? მართო თქვენ შეგეძლოთ განა გაგენადგურებინათ ტახტი იმ დემონისა და გადარჩომილ იყავით ავაზაკების და ჯალათების საზარელ უღელსა? არა, არ შეგეძლოთ. ვინ მისცა სიცილიის წინააღმდეგობასა დღესასწაულობა და სახელოვანი გამარჯვება? ვინ დაავგირგვინა ტრიუმფით¹ ნეაპოლიტანის რეკოლუცია? კაცმა... არა – ანგელოზმა, ღვთისაგან მოვლენილმა, გმირთა გმირმა გარიბალდიმ (ხალხში ძახილია: viva Garibaldi!). გარიბალდი რომ არ ყოფილიყო, ქვეყანა ორთავე – სიცილიისა იქნებოდა, აქამდისინაც ბორკილებში შეჭვდილი. იმისკენ, იმისკენ უნდა მიიქცეს ჩვენი გულის მადლობა. მაშ, ღმერთმა აღდგომელის გარიბალდი! (ხალხი რამდენჯერმე ამავე ძახილს იმეორებს). სიცილიის ლაშქრობაში განა ვინ დასდევდა თანა გარიბალდისა? განა კალაბრიდამ ნეაპოლამდე ვინ გაჰყვა თანა? იტალიის ყმაწვილკაცობა... ყოველ იტალიის მაზრებიდგან, არც ერთი მაზრა არ დარჩა უამისოდ. მოესმათ ამათ – ამ ვაჟკაცებ ჭაბუკებსა – ტანჯულთა კვნესა, წინააღმდეგობითა ძახილი და მაშინვე დაუტევეს, უფრო ბევრსა მაინცა, თავისი მშვიდობიანი ყოფა-ცხოვრე-

¹ ტრიუმფი გამარჯვების დღესასწაულობა, მხიარულება.

ბა, თავისი სიამოვნება, თავის ჭაბუკობის სიყვავილე, სიმდიდრე, კეთილცხოვრება, ბრწყინვალეობა, გართვა... ეს ყველაფერი მოიტანეს მსხვერპლად... დაიძახა თუ არა გარიბალდი, ისინი გაცვიფრდნენ იტალიის საშველად! თვალწინა ჰქონდათ – არა ჯილდოები, არა პატივი, არა ადგილები, არამედ ტანჯვა, ნაკლებობა, დაქანცვა... მაგრამ კი იმათ გაიმარჯვეს! მარსალაში¹ გადმოსვლიდამ ნეაპოლში შემოსვლამდე მიმავლობა ჩვენის გარიბალდისა იყო გაუწყვეტელი ტრიუმფი ... მართლა, რომ გარიბალდი ყოველთვისაც გაიმარჯვებს, იმიტომ, რომ იმის სახითა გამოდის ბრძოლაშია თვით ვაჟკაცობა, პატიოსნება, სამართალი, ერთის სიტყვით – საქმე ღვთისა, რადგანაც საქმე ხალხისა არის საქმე ღვთისა! მაშ, ღმერთმა ყოვეთვის ძლევით შემოსოს თავისი მოციქული! (ტაშისცემა).

„აი, როგორცა ხედავთ, – ჩვენის მამულის იტალიის ყოველ მხარემა გამოგიგზავნათ თქვენ დამხსნელები და იმათ შემწეობით თქვენ ლიბერალებმა და თქვენმა ნაციონალურ გვარდიაშია შეიძლო და მოახდინა ვაჟკაცობის სასაწყაული!.. ეს განთავისუფლება, რომელიც სხვა იტალიის მხარეთაგან მოვიდა თქვენთან, კისრად გადებთ მადლობის გადახდის უსამღთოესს მოვალეობასა. თქვენ ვერ გადინდით მაგ მადლობასა – ვერც ლექსებითა, ვერც გალობითა, ვერც მუზიკითა, ვერც თეატრებითა, ვერც ბალებითა, ვერც დღეობებითა, ვერც სადილებითა... არა, თქვენ მოვალეობას გადინდით ლეგიონებითა², თოფებითა, ცხენებითა და ზარბაზნებითა; გადინდით მაშინ, როცა თქვენ თითონ იბრძოლებთ სხვა იტალიის მხარეთათვის, რომელნიც ეხლა კიდევ მონებაში არიან (ბრავისსიმო!.. Viva Italia!..), რომელნიც თქვენთვის იბრძოდნენ და სისხლსა ღვრიდნენ, ისინი ითხოვენ ეხლა, რომ თქვენც იმათთვის იბრძოლოთ და სისხლი დაღვაროთ! აბა ყური დაუგდეთ იმ ვოლონტერების დალაპარაკსა, რომლებითაც თქვენი მშვენიერი

¹ მარსალა არის ქალაქი სიცილიის კუნძულისა, ზღვის პირზედ. აქ გამოვიდა გარიბალდი თავის ვოლონტერებით 1860 წ., როცა დაიწყო ომი ნეაპოლიტანის მართებლობასთან.

² ლეგიონი – გუნდი, ნაწილი ჯარისა; ესრეთ უწოდებდნენ რომაელე-ბი თავის პოლკებს.

ქალაქი სავსეა, აბა ყური დაუგდეთ, თუ ლაპარაკშივე არ შეამც-
ნივოთ, რომ ბევრნი არიან პიემონტიდამაც¹ გენუიდამაც ამ ბენდი-
ერ მაზრების შვილები, რომელნიც კარლ ალბერტის² კონსტი-
ტუციის³ დღიდგან თავისუფლობენ. ამათ, რომ ვთქვათ თავისთა-
ვად „აი 12 წელიწადია კიდევ, რაც ჩვენ ვჰსტკებებით თავისუ-
ფლების ნაყოფითა; რა გაჭირება გვაქს, რომ თავები უმსხვერ-
პლთ სიცილიელებსა და ნეაპოლიტანებსა?“ ეს რომ ეთქვათ,
აღარ გექნებოდათ თქვენ შემწეობა პიემონტელებისა და გე-
ნუელებისა!.. მაგრამ მაინც კიდევ ლაპარაკში ემცნევათ, რომ
ისინიც ეხლა აქ არიან... თქვენ ლაპარაკში ატყობთ, რომ აქ, ამათ
გარდა, არიან ლომბარდიელებიც, რომანიელებიც, ტოსკანელებიც⁴,
რომელნიც თავისუფალნი არიან მას შემდეგ, რაკი შეერთდნენ
ახალს იტალიის საკოროლოსთან. იმათ რომ თავის თავათ ეთქ-
ვათ: „ჩვენ ეხლა შევეერთდით პიემონტსა, ჩვენა ვჰსტკებებით
იტალიის თავისუფლების ნაყოფითა, ჩვენ რა დავა გვაქს ნეაპო-
ლის და სიცილიის თავისუფლებასთანა“, მაშინ გექნებოდათღა
იმათი შემწეობა?... ვენეციელები?...⁵ აბა ყური ადევნეთ იმათ გამოთქე-
მასა, ან უფრო უკეთ – მაგ საწყალ, შავბედისას, ტანჯულ, მომაკე-
დავ, მაგრამ ყოველთვის პატიოსან და სულგრძელ ვენეციის ვო-
ლონტერების რამდენიმე გამოთქმასა. „ვაი, მე ჯერ კიდევ ბორკილ-
გაყრილი ვარ – შორიღამ გეძახით ვენეცია – მე ხორცს ვი-
ვლეჯ ავსტრიელის უღლის ქვეშა... მაგრამ მაინც კიდევ ვგზავნი

¹ პიემონტი ჰქვიან ჩრდილოეთ იტალიის დასავლეთს ნაწილს. სარ-
დინიის სახელმწიფოს სხვანაირად უწოდებდნენ კიდევ პიემონტის სახ-
ელმწიფოს. ვენეცია არის ქალაქი ჩრდილოეთის იტალიაში.

² კარლ-ალბერტი იყო სარდინიის კოროლი, მამა ვიკტორ-ემმანუელ-
ისა. მან მისცა თავისუფალი, კონსტიტუციური მართებლობა თავის
სახელმწიფოს 1848 წელს.

³ კონსტიტუციას უწოდებენ იმნაირ წესს მართებლობისას, რომლითა
ხელმწიფოს უფლება გარეშემოზრულია ხალხისაგან ამორჩეულ დეპ-
უტატებისაგან.

⁴ ლომბარდია, რომანია და ტოსკანა არიან იტალიის მხარენი.

⁵ ვენეცია არის დიდი ქალაქი ჩრდილოეთის იტალიაში, ადრიატიკის
ზღვის პირზედ. ეს ქალაქი ეხლაც ავსტრიელების ხელშია.

ჩემ უკეთესს ყმაწვილკაცობასა ნეაპოლის და სიცილიის განსათავისუფლებლად, რომ სიცილიაც და ნეაპოლიც თავის რიგზედ მოვიდეს და განმათავისუფლოს მეცა საწყალი წამებული, ერთ დროს ადრიატიკის დედოფლად ყოფილი.” (ხალხში აღტაცებულნი დახილია ვენეციაზედ).

„ამასადაძე, მაღლობის გადასახდელად საჭიროა ყველა შევერთოდეთ ერთ ნაციონალურ გრძნობითა... ხოლო ჩვენი ნაციონალური გრძნობა მდგომარეობს ამ ლოზუნგში¹: იტალია თავისუფალი ალპებიდამ... არა ადრიატიკამდე, არამედ ალპებიდამ ლილიბეამდე...² მთელი იტალია, მთელი... უცხოსაგან თავისუფალი... ვინც რომ უნდა იყოს ის უცხო... (ტამისცემა).

„ამას გარდა, თუნდ რომ მაღლის გადახდა არც კი იყოს ჩვენს გულში, თვით ყველას ინტერესი ამას გვეტყვის. ინტერესს კი ყველა დაიცავს ხოლმე... თომას აქვინელი³ ამბობს, რომ ინტერესი არ იყოსო, ჩვენ ღმერთიც არ გვეყვარებოდაო. „რისთვის ვემსახურებით და გვიყვარს იგი? ჰკითხავს თავის თავს სახელოვანი მოძღვარი – იმიტომ, რომ მოველით იმისაგან ზეციერს სასუფეველსა. ამ სახით ღვთის და ჩვენ შორის საქმეებშიაც კი ინტერესი გაირევა ხოლმე. რადგანაც ამ საგანზედ ჩვენ ყველანი ადვილად შევიძლებთ დათანხმებასა, მე ვიტყვი, რომ ჩვენ ესლა უნდა ვიყვნეთ ყველანი იტალიენელებად ჩვენის ინტერესისათვის მაინცა, რომ სხვა არაფერი იყოს. იტალიანელებმა ბოლოს გამოაჩინეს ერთი დიდი ჭეშმარიტება, რომ რაც უფრო მჭიდროდ არის კავშირი ნაციებს შორის, მით უფრო მტკიცეა კავშირი ყოველ გარეშე ქვეყნის მოქალაქეთა შორისაც, რომ თუ ხალხები ერთ პირზედ არ ღვანან და ერთმანეთის თანხმანი არ არიან, ის გამოდის, რაც გამოვიდა 1848 წ., როცა კროატები⁴ იყვნენ ვენ-

¹ ლოზუნგი – პირობითი სიტყვა, რომელსაც აძლევს სარდალი თავის ჯარს ომიანობის დროს, რომ მეომრებმა ერთიერთმანეთი იმ პირობის სიტყვით იცნონ.

² ალპებს ეძახიან დიდს მთებს იტალიის ჩრდილოეთის სამხრეთ-გარეზედ, ლილიბეა-ქალაქია სიცილიაში. ადრიატიკას უწოდებენ ზღვას, რომელი არის იტალიის აღმოსავლეთის მხარეზედ.

³ თომა აქვინელი იყო სახელოვანი კათოლიკის ღვთისმეტყველი, სცხოვრებდა VIII საუკუნეში.

⁴ კროატები არიან ხალხი სლავიანის ტომისა, ისინი ცხოვრებენ ავსტრიის იმპერიაში.

გერების წინააღმდეგად, ვენგერები კიდევ ცოტად მაინც იტალიანელებისა, მაშინ იმითი გათავლა საქმე, რომ ხელმეორედ ავსტრიამ ყველაფერი ფეხქვეშ ამოიღო... დიხს, ვაი იმას, ვისაც არ ესმის თავისი მოვალეობა და მხვედრი წილი საერთო საქმეშია... საერთო საქმე ჩვენი ყველასათვის ერთია, ჩვენ გვინდა ალვადგინოთ იტალია! მაშ, ერთ პირზედ დავდგეთ ყველანი, შევადგინოთ ერთი ხალხი! პავლე მოციქული გვეუბნება ჩვენ, რომ როცა ერთი ასო რამე სწეულია ტანზედაო, მაშინ ყველა ასოები იმის გამო იტანჯებიანო. ძნელი გასაგები კი არ არის ეს ჩვენთვის, რომ თუ ვენეცია დარჩება ისევ მონობაში და რომის ქვეყნების ნაწილი კირთების ქვეშა, იტალია ჯერ კიდევ არ იქნება იტალიად, რომ ჩვენ უთუოდ უნდა გავარღვიოთ ბორკილის უკანასკნელი ჯაჭვი, რომელიცა იმას დედამიწასთან ასწორებს! საქმე ჩვენს საკუთარს ინტერესზედ ტრიალებს: თუ ანტონის ცეცხლი დავაგდეთ ტანის რომელიმე ასოზედ, თუნდ ნეკზედაცა, ის თანდათან მოეკიდება ხოლმე მაჯასა, ხელსა, მხარსა, მთელ ტანსა – და კაციცა კვდება... სწორედ ეგრეა აქაცა: დააგდეთ ვენეცია დამონებულად, – მთელი იტალიაც ხელახლად მონებაში ჩავარდება!.. მაშასადამე, ჩვენი საკუთარი სარგებლობაც კი მოითხოვს, რომ განვთავისუფლდეთ **ყველანი** და **ყველანიც** ვიქნებით განთავისუფლებულნი!..

„რომ სხვაზედა გვქონდეს იმედი, რომ ისინი მოვლენ და მოაგვარებენ იტალიის საქმესა, – ეგ მეტისმეტი იმედი იქნება, ჩემო მეგობრებო! იტალია დიპლომატიისათვის ისეთი საშიშარია, რომ დიპლომატია იმისათვის არ დაიჩარჩება და გაირჯება. ჩვენ თითონ უნდა მოვაგვაროთ იტალია ვილლა-ფრანკიურად¹ კი არა, იტალიანურად, მეგობარნო ჩემნო... ეს იმასა ნიშნავს, რომ ჩვენ იტალიის შეკრულობა კი არ გვინდა, ჩვენ გვინდა ერთობა, – ერთობა და არა შეკრულობა. შეკრულობა კონფედერაციას² ჰქვია

¹ ვილლა-ფრანკი არის დაბა ჩრდილოეთის იტალიაში. აქ, 1859 წ. შემდგომ იტალიის ომისა, მოხდა შერიგება ფრანცუზის იმპერატორის ნაპოლეონ II და ავსტრიის იმპერატორის ფრანც იოსების შორისა.

² კონფედერაცია-კავშირი, შეკრულობა სახელმწიფოების ერთმანეთ შორის.

– პაპასთან, ფრანჩესკინო ტოსკანის დიდ ღერცოგთან, ავსტრიის იმპერატორთან და ვიკტორ-ემმანუელთან, – საუცხოოვ შეკრულობაა, განა ჩემო მეგობრებო? ძველ ღროში მამის მკვლელსა ტომარაში ჩააგდებდნენ ხოლმე მამალთან და ძაღლთან, მაიმუნთან და გველთან ერთად, და პირს გადუქერამდნენ ტომარასა, მშვენიერი კრება აბა ის იქნებოდა!.. ვიკტორ-ემმანუელს არავინ არ მოუკლამს, მაგრამ მაინც კიდევ მამალზედ, ძაღლზედ, გველზედ და მაიმუნზედ უფრო უარესებთანა უნდოდათ ჩაეგლოთ.

„ჩვენ არ გვინდა ჩვენ კეთილ ვიკტორ-ემმანუელისათვის მაგისტანა კამპანია – არა, ჩემო მეგობრებო? მაშასადამე, არც შეკრულობა გვდომებია. შეკრულობა – თავის დღეში, თავის დღეში, თავის დღეში ნუ გვენდობება! ერთობა, ერთობა, ერთი იტალია კი ყოველთვისა! (ხმამალღვი eviva იტალიის ერთობისა, ვიკტორ-ემმანუელისა).

თქვენ ხომ არ დაივიწყებთ ამ განსხვავებასა? ესეც იცოდეთ, რომ თუ კარგად მონდომებთ იმას, რაც თქვენთვის საჭიროა, ყველაფერი ეგე მოგეცემათ. ჩემთვის საკმაოა, ჩემ თავად, რომ იტალიელებმა მხოლოდ მონდომონ კი – და ის, რასაც კი მონდომებენ – გაკეთდება. უცხონი ჩვენზედ ბევრს ცუდს ლაპარაკობდნენ. ისინი ამბობდნენ, რომ ჩვენ ომი არ ვიცით – ჩვენ აკი ომი გავსწიეთ; ამბობდნენ, რომ აღარა გვაქვს იმოდენა სიკეთე, რომ დავიბრუნოთ ჩვენი თავისუფლება – და ისიც დავიბრუნეთ; გვარწმუნებდნენ, რომ ჩვენ ვერ მოვახერხებთ გონიერად და ზომიერად გამარჯვება გამოვიყენოთ – მაგრამ კი გამარჯვებაშიაც ჩვენ დავრჩით მშვიდობიანად და თავი შევიმაგრეთ, გვარწმუნებდნენ, რომ თუნდ რომ კიდევ მიგველო კონსტიტუციის წესი და რიგი, ჩვენ ვერ მოვახერხებთ ის შევიმაგროთ – და აი შევიმაგრეთ კიდევ; ბოლოს ყვიროდნენ, რომ ჩვენ იმოდენად ხეირი არა გვაქვს, რომ უარვეყთ მუნიციპალობის¹ მიმართულებანი, წინააღმდეგობა და შური ქალაქებ შორის – და აი ჩვენ კი თავი

¹ ევროპაში ბევრ ქალაქებს აქვთ თავისი საკუთარი წესდებულება, ისინი თვითონ მართვენ უფროსს ნაწილს თავის შინაგან საქმეებსა. ამ სიმართლეს ქალაქისას უწოდებენ მუნიციპალობას ანუ მუნიციპალიზმს.

დავანებეთ მუნიციპალობასაცა, ყოველ წვრილმან და კერძობით მტრობასაცა... მაშასადამე, ჩვენ უცხო ხალხებს დავანახვეთ, რომ შეგვიძლიან ვიყოთ იტალიანელები, – იტალიანელები – ღმერთო ჩემო – ამ საოცარ ცითა, ამ მზითა, რომელიც იმათ ზემოდამა დაჰნათის, თავის სულითა, გულითა და მკლავითა – პირველია, – დიას, პირველი, პირველი ხალხთა ქვეყნიერობაზედ! (საშინელი ewiva).

„ეხლა ჩვენ უნდა მტკიცედ ჩავინერგოთ ჩვენში ნაციონალური გრძნობა; უნდა დავიწყოთ ყოფნა და ცნობა იტალიანელებად. როცა თქვენა ჰკითხამთ რომელსამე ფრანცუზსა, საიდამა ხარო? ის მოგიგებთ ხოლმე: ფრანციიდამ; ერთი და იგივე პასუხი ყოველთვის გასკონელი იქნება, პროვანსელი¹, თუ რომელიმე სხვა საფრანგეთის მხრის შვილი; აგრეთვე ანგლიელიცა. ჰკითხამთ, – რომელ ქვეყნიდამა ხარ, ის გეტყვიო: ანგლიიდამ. ვინა ხართ? ანგლიელი. ის არ გეტყვიო თქვენა: მე ვარ გლაზგოდამა, მანჩესტერიდამა² ის მარტო გეტყვიო: მე ვარ ანგლიელიო!..

„ეგრე უნდა იყოს ჩვენშიაცა. ჩვენ ამას იქით აღარა ვართ პიემონტელები, გენუელები, ლომბარდიელები, რომანიელები, ტოსკანელები, ნეაპოლიტანელები, სიცილიელები – ჩვენ ყველანი იტალიენელები ვართ. (ხალისიანი ტაშისცემა). „მაშ რომელია თქვენი მამული?“

ამ კითხვის შემდეგ ორატორი შედგა. მთელი ხალხი ერთის ხმითა აღტაცებული ყვირის: იტალია, იტალია!... მქადაგებელმა დაანება თავის ლაპარაკსა, მინამ ხალხი დამშვიდდებოდა, რაკი დამშვიდდა, ამაყად გასწორდა და აღტაცებით წამოიძახა: იტალია! მერე დაიწყო გავრცელება იმ იდეისა³, იმაზედ, რომ რარიგად სასახელოა და საპატიო იტალიენელებისათვის, რომ იტალიას ეკუთვნიან, რარიგად ადვილად, თუკი ყველას ერთი აზრი ექნებათ, შეუძლიანთ მოიპოვონ პატივისცემა და მეგობრობა სხვა ხალხებისაცა. „რაკი რომ გვნახვენ, რომ ჩვენ შეერთებულნი ვართ,

¹ პროვანსი და გასკონი არიან ფრანციის მხარენი.

² გლაზგო და მანჩესტერი არიან დიდი ქალაქები ბრიტანიის (ანგლიის) სახელმწიფოში.

³ იდეა – აზრი, ფიქრი.

ამბობს იგი, უფრო პატივისცემას დაგვიწყობენ, ჩვენი შიშიც მიეცემათ, მერე მონინდომებენ ჩვენთან დამეგობრებასაცა, მერე შემწეობასაცა გვთხოვენ.” აღძრა თუ არა ერთიანი ტაშისცემა ხალხშია ამ სიტყვებითა, ამის მერე მქადაგებელმა გამოუხატა მსმენელებს მოახლოებული მომავალი, რომელშიაც იტალია წარმოუდგინა ყოველ მიწასთან გასწორებულ ხალხობის განმათავისუფლებლად და დამფარველად. ახალი ტაშისცემა გაიმართა ხალხშია და ახალი სიტყვა ორატორისა კვლავ დაუბრუნდა იტალიანელების ნაციონალურ გრძნობასა და ითხოვა, რომ ყველანი შეერთდნენ, გაყარონ ბურბონები, ავსტრიელები და პაპი-კოროლი...

ასენა პაპი თუ არა, უთუოდ შეატყო ნიშნები დამზადებულ უკმაყოფილებისა, რომ გავაცციმა ამრიგად დაიწყო:

„ბატონებო! მე არ დამეწყებია, რომ ნეაპოლში ვლაპარაკობ და კარგათაც ვიცი, რომ ბევრს თქვენგანსა ააშფოთებს კიდეც იდეა პაპის დათხოვნისა რომიდამა.

„გადაჰსჯერდით და დაიმშვიდეთ თქვენი სინილისი. ფიქრათაც არავისა აქვს პაპის ხელის ხლება. პაპი! არავის არ უნდა შეეხოს თვით მის უწმინდაესის პიროვნების ბეწვსაცა! დაე პაპი, თუ სურვილი აქვს, ბძანდებოდეს რომშია — მარტო იყოს კი რომის ეპისკოპოზად, არავინ ხმასაცა არ ამოიღებს ამის წინააღმდეგ. მაგრამ კოროლად კი? კოროლად (ხალხში ძახილია: ნუ! ნუ! ნუ!) ჩვენ აღარ გვინდა, რომ ის იყოს კოროლად. დაე ღვედელი ღვედლად დარჩეს და იყოს პიო IX, და დაე კოროლი კოროლად შეიქმნეს და იყოს ვიქტორ-ემმანუელი!...

„მაგრამ კი, რომ სრულიად დავამშვიდო ზოგიერთი ეჭვიანი კაცი (ხალხში სიცილია), მე შევეხები ამ საგანსა ქრისტიანობის თვალის გამინჯვითა და სამღთო წერილის აზრითა, რომელიც იმათთვის არა მგონია შეეტყობინებინოთ იმათ მოძღვრებსა და კეთილმოქმედ არხიეპისკოპოზებსა. ამბობენ, რომ პაპი — კარგად დაინსომეთ ესა — მოადგილეა იესო ქრისტესი; მემკვიდრე პეტრე მოციქულისა, თავი ეკლესიისა, მემკვიდრე რომის პირველ ეპისკოპოზებისა. კარგი, ძალიან კარგი! მაგრამ, ერთი ეს მითხარით — ქრისტე ყოფილა როდისმე კოროლათა? ქრისტეს მიუღია როდისმე საერო უფლება? არა. ქრისტემ უანდერძა განა

თავის მემკვიდრესა საკოროლო გვირგვინი? (ხალხში იმახიან; არა!) არა! მაშ თუ პაპი მართლა ქრისტეს მემკვიდრეა – იმას არ შეუძლიან, რომ იყოს კოროლი! (ტაშისცემა).

„თუნდ პეტრე მოციქული? ის კი ყოფილა კოროლად? არა. პეტრე მოციქული?... არა, ის იყო მებადურე, მებადურედ ჰსცხ-ოვრებდა და მებადურეთაც მოკვდა; მხოლოდ, იმის მაგიერ, რომ თევზი ინადიროს, ის შველიდა მაცხოვარსა კაცთა სულის მონადირებასა... თავის დღეში კი არ ყოფილა კოროლად. მაშ, თუ პაპი მართლა მემკვიდრეა პეტრე მოციქულისა, არ უნდა იყოს კოროლად.

„პავლე მოციქული რომის ეკკლესიის ჭეშმარიტი დამფუძნებელი, ჭეშმარიტი დამფუძნებელი ქრისტიანობისა იტალიაში, პავლე არ ყოფილა კოროლად და ამბობდა, რომ მოციქულების მსახური ვარო; ამის გამო პაპსაცა, თუ მართლა თავია ეკკლესიისა, არ შეუძლიან და არც უნდა იყოს კოროლად.

პირველი ეპისკოპოზები სილიბისტრემდი (სილვესტრამდე) და თითქმის გილდებრანდამდე – გრიგორი VII-მდე არა ყოფილან საერო მფლობელად, არა ყოფილან კოროლებად. მაშ, პაპს როგორღა შეუძლიან იქონიოს საერო მფლობელობა, თუ უნდა რომ ჭეშმარიტი იმათი მემკვიდრე იყოს.

„მაშა სადამე თავის მოძღვრების პატივისათვის, სამღვდლო ხარისხის პატივისათვის, ქრისტიანობის პატივისათვის, ეკკლესიის, რჯულის პატივისათვის, სარწმუნოების და სახარების პატივისათვის, თვით ქრისტე – ღმერთის პატივისათვის პაპს აღარ შეუძლიან, აღარ უნდა იყოს და აღარც იქნება კოროლად. როცა ჩვენ დავარღვევთ იმის საერო უფლებასა, მხოლოდ მაშინ დავადგამთ იტალიის სარწმუნოებას იმ ბრწყინვალე და სხივოსან გვირგვინსა, რომელსაც იგი უნდა მოელოდდეს მხოლოდ იტალიის თავისუფლებისაგან.

„მაგრამ პაპსა რომ კოროლობა უნდა?... რომ იმას შემწენიცა ჰყვანან, რომელთაც უნდათ, რომ ის ისევ კოროლად დარჩეს? ჩვენ კი ეგ არ გვინდა (ხანგრძლივი ტაშისცემა). და, რადგანაც ის ვერ შეიძლება, რომ კოროლად დარჩეს, მაშ მოიპოვება კიდევ ღონისძიება იმისათვის, რომ დავათმობინოთ ტახტი ვიქტორ-

ემმანუელისათვის! როცა ვიქტორ-ემმანუელი მოექცევა კაპიტოლი-ის¹ ზემოთა და მთელი იტალიაც გარს შემოეხვევა, მაშინ გამართლდება სიტყვა სახელოვან მაკკიაველისა²: „მინამ იტალიაში პაპები იქნებიან, იტალია ერთი აღარ იქნება; მხოლოდ იმ დღეს, როცა პაპი თავს დაანებებს კოროლობასა, იტალია შეიქნება დიდ ნაციად – იგი აღზდგება” (ტაშისცემა).

დასასრულ, ორატორი აჩვენებს ღონისძიებებსა, რომლითაც შეიძლება „აღდგინება” იტალიისა. ეგ ღონისძიებანი არიან: ქალები, ჟურნალები და სამღვდელონი.

„ქალებო! თქვენზე უფრო დიდხანს ვილაპარაკებ, ესლა კი მხოლოდ რამდენიმე სიტყვა მინდა თქვენკენ მოვმართო. როცა ჩვენი იტალიის ქალები გაუსწორდებიან გულის გმირობაშია სპარტის³ ქალებსა, მაშინ ჩვენ გვექნება ნაცია! ლოცვები, რომელთაც ბუტბუტობენ ხოლმე ჩვენი დედები ლათინურად და რომელნიც არც იმათ და არც ჩვენ არ გაგვეგება – რას გვეხმარებიან ის ლოცვები? ეგ დროების და მეცადინეობის დაკარგვას არა ნიშნავს? პავლე მოციქულმა არა თქვა, რომ ვინც უცხო და გაუგებარ ენაზედ ლოცულობსო, ის არამც თუ დროსა ჰკარგავსო, არამედ ღმერთსაც პატივს არა ჰსცემსო. უფრო უკეთესია და ათასწილათაც უმჯობესია უბრალოდ იტალიანურად თქვას კაცმა ერთხელ „Padre nostro che sei cieli” (მამაო ჩვენი) ვიდრე ას ორმოცდაათჯერ, მთელ თქვენის კრიანოსნების მარცვლების ჩამოთვლითა დაიტიტინოთ „Ave Maria” (გიხაროდენ მიმადლებულო), ე. ი. ას ორმოცდაათჯერ გამოუყენელი საქმე დაიჭიროთ ყოველდღე. ჩვენ ჭაბუკათავის უფრო უმჯობესია ესლა აიღონ თოფები და გასწივონ მამულის საშველად, ვიდრე წირვაზედ (მესსა) მოხმარება ისწავლონ. დედანო! იმითი კი არ შეიძლება დაშვენდეთ და დაგვირგვინდეთ, რომ განადლოთ თქვენი შვილები წმინდანებად და ფარისევლებად, არამედ იმითი, რომ თქვათ: ჩემი შვილი

¹ კაპიტოლია ჰქვიან ერთს გორას რომის ქალაქში.

² მაკკიაველი იყო წარჩინებული იტალიანელი მწერალი XVI საუკუნეში.

³ სპარტა იყო ძველი საბერძნეთის ქალაქი, რომლის მცხოვრებნი ნაქებნი იყვნენ მხნეობითა.

შველის იტალიის აღდგენასაო, (ძლიერი ტაშისცემა). დედანო! ნეტავი ამ ხალხის ტაშისცემამ გაგამხნევოთ იქამდინა, რომ თქვენ დღევანდელ დღიდგან დაზარდოთ შვილები არა საყდრის ფარისეველ მოსამსახურებად, არამედ საღდათებად, პატრიოტებად ... მაშ, ღმერთმა აცოცხლოს მაღლიანი დედა-იტალიელი! ... (ახალი ტაშისცემა).

„ჟურნალებო! ბევრი არიან ჟურნალები ნეაპოლში და ნეაპოლიც უპირატესობს თავის გენიის, ფილოსოფიის და პოეზიის საუნჯებითა. ჟურნალისტობამ უნდა გამოიყენოს ეს მშვენიერი ღონე მამულის სასარგებლოდ. მეჟურნალებო! თქვენი დანიშნულება დიდია, პატრიოტური და მაღალი ... აღასრულებთ იგი, როგორც ხალხის სალოცავი! მოიშორეთ თავიდან ყვედრება, ცილისწამება, ერთმანეთის მტრობა, რომლითაც ყოველ დღეს ეგრე ამცირებენ თავის თავსა უცხო ქვეყნის ჟურნალები ... გაბედეთ ერთხელ და სამუდამოთ, – და მიეცით თავი ხალხის აღზდასა, ჩაგონებასა, ხალხის განათლებასა, თვალიდან კი ნუ მოიშორებთ იტალიის ხალხობასა, იტალიის ერთობასა, სასოებას იტალიისას, იმის მომავალსა, იმის სამეფო გვირგვინსა!..

„სამღვდელონო!.. ერთ სიტყვას ვიტყვი ეხლა, იმიტომ, რომ სხვა დროს კიდევ დავუბრუნდები ამათ... ეხლა მარტო ამას ვიტყვი: ვმადლობ ღმერთსა, რომ სამღვდელოს შორის გამოჩნდნენ კეთილი პატრიოტები, თუმცა მართლა კი რომ ვსთქვა, ისინი ჯერ კიდევ შორს არიან იმაზედ, რომ უფრო მეტი ნაწილი შეადგინონ. უფრო მეტმა ნაწილმა ნეაპოლიტანის სამღვდელოდამ – არ ვიცი ინტერესის გამო, თუ თავის ფარისევლობისა, სიხარბით, თუ იმის გამო, რომ ცუდად გაუგიათ უკანჩამორჩომილ ავსტრიის არხიეპისკოპოსზედ თავისი დამოკიდებულება და მორჩილება, – გამოიჩინა თავი იტალიის ერთიანობის წინააღმდეგად ... ამის გამო სამღვდელომა უნდა ჩამოირეცხოს სირცხვილი, აღადგინოს დაცემული სახელი მთელი იტალიის წინაშე და აი, რას ვეტყვი ეხლა იმასა: სამღვდელოვ, სამღვდელოვ ნეაპოლიტანისავ! მოიხმარე ეხლა იტალიის სარგოდ ის ზედმოქმედება, რომელსაც აქამდინ ბოროტად ხმარობდი ბურბონების და ტირა-

ნობის¹ სარგოთა! (ტაშისცემა), სამღვდელოვ, სამღვდელოვ ნეაპოლიტანისავ! შენ ბოროტად ხმარობდი საკურთხეველსაც, ღვლ-
ლობასაც, უფრო ნამეტნავად აღსარებასა (ტაშისცემა ნამეტნავად
ქალების მხარესა). სამღვდელოვ! – რომ ამოთ ამ სასახლის
უნამუსო მცხოვრებლებსა, შენ დაიმცირე თავი ენამტანიობის და
პოლიციის ბეზღრობის ხელობამდინა, მღვდელოვ! შენის უთვა-
ლავის ბეზღრობის გამო მრავალი ნეაპოლიტანის პატრიოტები
მიეცნენ სატუსალოსა, კატორგასა, ექსორიასა, სასჯელსა... სამ-
ღვდელოვ, სამღვდელოვ! აღადგინე ეხლა დაცემული სახელი
იტალიის და ნეაპოლის წინაშე! ისწავე შენ თავისუფლებისმოყ-
ვარე მღვდლებისაგან, რიცხვით მცირე წევრთაგან შენთა, რომელთაც
იციან ჭეშმარიტ პატრიოტებად ყოფნა, – ისწავე მამულის სამ-
სახური, სამსახური იტალიისა – და ჩვენ თავს დავანებებთ
ტირანობის სამღვდელოს წყევლასა, რომ ვაქოთ, ვადიდოთ, დავ-
ლოცოთ სამღვდელო თავისუფლებისა და იტალიის ხალხობისა.
(ტაშისცემა).

ამის მერედ ამბობს: „ნეაპოლიტანელებო, მე ვათავებ, იმიტომ,
რომა მე საკმაოდ ვილაპარაკე დღესა“². ამის შემდეგ აუთქვამს
ახალს ქადაგებასა ამავე ადგილას ხვალზევითა და წამოიძახებს
„ვივატებს“² იტალიაზედ, გარიბალდიზედ და ვიკტორ-ემმანუელზედ...
რასაკვირველია, ხალხმა დაიგრილა საზარო *eviva* და ძახილითა
შორს გააცილა მქადაგებელი...

ჩვენ არ გვინდა არაფერი ჰსჯა არ მოვუმატოთ ამ ჩვენგან
გადმოცემულ ქადაგების ღირსებაზედ და მნიშვნელობაზედ, ჩვენ
კიდევ წარმოვადგენთ გავაცცის მეორე ქადაგებასა, იქნება იმის
ნათქვამებში უფრო ყველაზედ საჩინოსა. იგი მომართულია მოუთ-
მენელ ლიბერალებზედ, რომელთაც უნდოდათ თავისუფლება უფრო
თავის სარგოდ და რომელთაც ძალიან ცოტად ესმოდათ ჭეშმარ-
იტი მიმართვა და საჭიროება ხალხისა. იმათ მაშინვე გარიბალ-
დის მისვლის უმაღ დაიწყეს ჩივილები: რისთვის არის ცუდად

¹ ტირანობა – უკანონო და სასტიკი მოქმედება მართებლობისა.

² *Vivat* (ვივატ) – ღმერთმა აღლეგრძელოს, გაუნარჯოს. *Vivat* არის
ლათინური სიტყვა და ნიშნავს სიტყვასიტყვით – იცხოვროს; *eviva*
იმასვე ნიშნავს, მხოლოდ იტალიანურად.

ესა და ესა, რისთვის არის აქ და იქ ურიგობა და უწესობა. ზოგი ყვიროდა სისულელობით, იმიტომ, რომ მართლა და ელოდნენ, რომ გარიბალდი მოვა თუ არა ნეაპოლში, მაშინვე თვალის დახამხამების უმაღლეს სისწაულით გაქრება მთელი ბოროტება; ზოგნი კი ადამიანის სიწრფილებას თავის განზრახვებისათვისა ხმარობდნენ. ესე, ჯერ კიდევ აქამომდე ნეაპოლიტანის სამღვდელო გაზეთები ვერ ითმენენ, რომ ნეაპოლში რამე ურიგობა ნახონ და არა თქვან: „აი ეგეც თქვენი თავისუფლება, აი ლიბერალური მმართველობაცა, აი თქვენი გარიბალდიცა ... ბურბონების დროს არმც თუ ამაზედ უარესი არა იყო რა, არამედ უფრო მეტი მშვიდობიანობა და რიგი იყო“... გაავაცვიმ, გარიბალდის ნეაპოლში შემოსვლის პირველ დღეებშივე, მოჰკრა ყური ამგვარ ხმებსა და მიაგნო, რომ ეგ ხმები საშიშნი და მოსარიდებელნი არიან. ამიტომაც მეორე ქადაგებაშია ის ცდილობს იმ ხმების გაფანტვასა, ორივე მხრითა იერიში მიაქვს: პირველი, რომ ის აჩვენებს იმათ სულელობას; მეორედ, რომ უმტკიცებს ხალხსა თავი ისე დაიჭირონ, რომ არ დაუშალონ თავისუფლების ფეხის გამაგრებასა და არ მიჰსცენ მიზეზი იტალიის მტრებსა წააყვედრონ რამე ნეაპოლიტანელებს.

ჩვენს ენას რომ მომარჯვებოდა გადმოლება იმ მსუსხავ სიტყვებისა, რომელსაც წარმოსთქვამს ცრუ ლიბერალების წინააღმდეგ, მთელ იმ ჭეჭა-ჭუხილისა, რომელსაც აგრიალებს ბურბონების ტირანობის თავზედა, ეს ქადაგება ღირსი იქნებოდა, რომ თავიდან ბოლომდინ ითარგმნოს. ჩვენ ვცდით კი, რომ ისე წარმოვუდგინოთ ეს ქადაგება, რომ მკითხველებმა შეადგინონ ამაზედ რაოდენიმე აზრი მაინცა. აი დასაწყისი:

„ყოველ ქვეყანაში და ყოველ საქმეში არიან კმაყოფილნიც და უკმაყოფილონიც. ჩვენში უკმაყოფილონი არიან ისინი, ვისაც წაუგიათ თავისი პარტია და ჩურჩულობენ ყურში: ეხლა, აი გარიბალდიც მოვიდა; აი რვა დღეც არის, რაც ნეაპოლშია; აბა რა მოვიგეთ?“ (აქ ორატორი სიტყვებს თან ადევნებს თავის ცხადად გამომსახველი და ძლიერ შესტსა¹, მერე ისევ იწყობს ხალისიანად) ... რა მოვიგეთ ჩვენ ამისაგანა?.. ისა, რომ ბურბონ-

¹ შესტი – ხელის მოძრაობა ქადაგების ან ლაპარაკის დროს.

ები აქ აღარ არიან... რომ აღარ არის ფრანჩესკო II და ენამტანია ხლება იმისი (ტაშისცემა). აი რა მოვივით!.. ჩვენ კარგი რა გამოვიტანეთ?.. განა რა გქონდათ კარგი ბურბონების დროს? (ხალხში ყვრილია: არაფერი, არაფერი). არაფერი... არა, არაფერზედ უფრო უარესი, თქვენ, გქონდათ ჯოჯოხეთი ანთებული... თქვენა გქონდათ მეფობა ინტრიგანებისა, ავაზაკებისა, მამეზღრებისა, ჯალათებისა, მეფობა საპოლიტიკო კაცის მკვლელებისა, აი თქვენი ნაყოფები ბურბონების დროს! (ხალხში მოწონების ხმა)...

„რაც კი რამ გქონდათ ბურბონების დროს, ეგ ის იყო, რომ მოკლებული იყავით აზრის ყოველ თავისუფლებასა, მოკლებული იყავით სიტყვის ყოველ თავისუფლებასა, ბეჭვდის, ყრილობის, კაცად ყოფნის თავისუფლებასაც კი მოკლებული იყავით!... ბურბონმა თქვენის ცხოვრების დარაჯად თავზედ წამოგაყენათ პოლიცია, რომლის მეოხებითაც თქვენ თვით თქვენივე ნათესავებისაც გემინოდათ, თვით თქვენივე ცოლ-შვილისაცა... აი, რა გადამეტება გქონდათ ბურბონების დროს! (ძლიერი ტაშისცემა). ბურბონებმა შემოგარტყათ თქვენ სბირების¹ რაზმები, რომელთაც მინდობილი ჰქონდათ, რომ ყური ედევნათ თქვენის აზრებისათვის, სიტყვებისათვის, ქცევისათვის; რომელნიც ყველაფერს გადაასხვაფერებდნენ ხოლმე, რომ ლუკმა მაგით ჰსჭამონ, თქვენ ხარჯზედ იცხოვრონ და მერე თქვენვე თავზედ ლაფი დაგასხან და ჩააგლონ თქვენი ცოლ-შვილი სისაწყლემია და ვაებაშია! აი, რა სარგებლობა გქონდათ ბურბონების დროს! (ხელახლად ტაშისცემა). თქვენ გაბედნიერებულნი იყავით ავაზაკების პოლიციითა, თავის მართალ მნიშვნელობის წინააღმდეგ, იმიტომ, რომ პოლიცია უნდა ჰფარავდეს პატიოსან მოქალაქეთა ქურდებისაგან, ავაზაკებისაგან, კაცის მკვლელებისაგან და ბურბონების პოლიცია კი, ამის წინააღმდეგ, ჰფარავდა ხოლმე ქურდებს, ავაზაკებს, კაცის მკვლელებს პატიოსან მოქალაქების საწინააღმდეგოდ. (ხალისიანი ტაშისცემა) ბურბონმა მოგანიჭათ თქვენ სასამართლოები, რომელნიც, როცა ვერ პოულობდნენ დანაშაულობას ხალხშია, ტყუილ-უბრალოდ მოიგონებდნენ ხოლმე, რომ ხალხი გაცარცვონ... სხვაფრთვ ვიკარია, ნიზიდა², კატორგა, ექსორია, სახრჩობელა... აი, თქვენი სარგებლო-

¹ სბირებს ეძახიან იტალიაში პოლიციის დაბალ ჩინოვნიკებს.

² საპყრობილენი არიან ნეაპოლში.

ბა ბურბონების დროს!.. ერთის სიტყვით, ბურბონების დროს სრულიად არაფერი თავისუფლება არ იყო. არაფერი საიმედო არა გაქონდათ რა. თქვენ მაშინ თვით ღამეცა არ შეგეძლოთ მშვიდობით მოვესვენათ ცოტათი მაინც თქვენს ქვეშაგებშია: შინაურობის განჩხრეკას ყოველს წუთს შეეძლო აემფოთებინა თქვენი მშვიდობიანობა, შეეძლო, – როგორც არაერთხელ იყო მომხდარი – სიცოცხლედ ღირებოდა პატიოსან ქალებსა, რომელთაც თავის სახლის და ქმრის ლაფის თავზედ დასხმის შიში აძლევდა მხნეობასა მაღალ მოაჯერიდამ გადმოცვივინისასა, რომ თავის სისხლით ჩამორეცხონ გაუნამუსოება, რომელთაც... (გრიალი საშინელის ტაშისცემისა უკანასკნელ ფრაზას ჰკარგავს). ერთის სიტყვით, ბურბონებს უნდოდათ, რომ იტალიის უპირატეს ხალხიღამ, უპირატეს ჭკვითა, პოეზიითა, ფილოსოფიურ აზრის ღონიერობითა, ხელოვნების მიდრეკილებითა, გულისწადილის მიმართვითა, თავისუფლების სიყვარულითა, – ეს ხალხი უნდოდათ იტალიის უკანასკნელ ხალხად გაეხადნათ; სრესდნენ, მიწასთან ასწორებდნენ ნეაპოლიტანელებს იქამდინა, რომ არამც თუ აღარ იყვნენ იტალიელებად, არამედ კაცად ყოფნაზედაც ხელი აეღოთ. აი, რა მოგანიჭათ თქვენ ბურბონმა! (ხალხში კიჟინაა და ლანძღვა ბურბონებისა).

„გარიბალდიმ რაღა მოგიტანათ? თავისუფლება, თავისუფლება, თავისუფლება! (გრიალი ტაშისა და eviva გარიბალდზედა) და როცა მოგიტანათ იმან თავისუფლება... (მხიარული ხმაურობა ხალხისა არ ათავებინებს ორატორსა სიტყვასა) მომეციო მე ეს ვეზუვია¹, მომეციო მე ზღვის უბე, მომეციო მე ეს ყოველი მშვენიერება ბუნებისა, რომელიც ნეაპოლსა ქვეყნიერ სამოთხეთა ხდის – მომეციო ესენი უთავისუფლებოთ – თქვენ მე მომცემთ ვერანასა, ღამესა, ჯოჯოხეთსა. (ხალხში იმახიან: კარგად არის ნათქვამი, კარგად!) მომეციო მე ვერანა ადგილი, შიშველი კლდე, მომეციო ერთი ნაკუწი მიწა ყველაზედ უფრო უხმარი, უნაყოფო, თავმინებებული – მომეციო მე ესენი თავისუფლებასთან ერთად და მე მოვახერხებ იმათგან სამოთხე გადავაქციო! (ტაშისცემა) ხალხი, არა თავისუფალი, – ბნელაში დადის თავისუფალი კი – ნათელშია. დაილოცა ნათელი და დაილოცა ისიცა, ვინც ნათელი

¹ ვეზუვია არის ცვეხლი – მთოველი მთა ნეაპოლის ახლოს.

მოგვიტანა!..

წამოაძახებინა რა კიდევ ხალხს რამდენიმე ალტაცებული კიუნა გარიბალდის სასახელოდ და რამდენიმე ახალი წყევლა ბურბონებზედა, გავაცცი შეუდგა თავის ქადაგების უმთავრესს საგანსა — ე. ი. იმათ უსამართლო პრეტენზიების დარღვევასა, რომელნიც იმედულობდნენ, რომ გარიბალდის ერთის ხოლოდ ნეაპოლში ყოფნითა თვალის დახამხამების უმალ, რაღაც სასწაულთა ყოველს უწინდელ ბოროტებას ბოლო მოეღება.

„იმათ, ვინც კი ღომულობს ყველაფერს ერთად, ამბობს ორატორი, იმათ ესე მდაბიურად ავუხსნი. წარმოიდგინეთ გუბე, დიდი საფლობი ზღვის პირის ახლოს. წყალი გუბეში დგას, ლექიდამ ამოდის ნადამპალევი სიკვდილმოსილი ომშივარი (მიაზმები). უნდა წყალი მოემოს, რომ ჩამოირეცხოს გუბე. მცოდნე კაცი მოამზადებს იმ წყალს სხვა რეზერვუარში¹, ის ამოსწევს საგუბარსა (შლუზი), წყლის რუი მიიმართება გუბისაკენ, ზედ ეცემა გუბესა და მიდის ზღვისაკენ, თან წაიღებს მიაზმებსა² და დამპალ ხავსსა. როცა კი წყალი დაიწურება, თქვენა პოულობთ მიწაზედ ქვებსა, ქვიშასა, ყოველ საძაგლობასა, რაც რამ წყალსა დენაში მოუტანია. მაშინ მოვა გამოცდილი ინჟინერი კაცი, რომელიც მოაშორებინებს მიწასა ყველაფერს, რაც მეტია და წყლის სადენარად საძუდამო რუს გასხნის, ამრიგად ამოაშრობს გუბესა და გადაარჩენს ადგილსაცა ბოროტმავენებელ მიაზმებისაგან. აბა ეს ჩემი ნათქვამი ნეაპოლზედ გადიღეთ. მთავრობის ქვეშ, რომელსაც ღირსეულად დაერქვა „უარყოფა ღვთისა“, ნეაპოლი გუბე იყო დამყაყებული, სულის შემაგუბებელი, ტალახიანი საფლობი, სავსე სიმყრალითა, სიკვდილითა... მოვიდა კაცი ვარეზისა და კალატაფიმისა³, ასწია საგუბარსა; წყალი გუბეზედ მიემო — და სწორედ იმ ადგილიდამ, სადაც ბურბონობა ობდებოდა და ხავსი ეკიდებოდა, სწორედ იქილამ მოვიდა ჩვენთან თავისუფლება (ტამისცემა). თავისუფალ ღვარმა დააგლო აქაც თავის შემდეგ ქვიშა,

¹ რეზერვუარი — წყლის შესანახავი აუზი.

² მიაზმი — მავნებელი ომშივარი, ხაშმი.

³ ვარეზესთან და კალატაფიმთან სიცილიაში გაიმარჯვა გარიბალდი; ამის გამო ის აქ არის წოდებული ვარეზეს და კალათაფიმის კაცად.

ქვა და ყოველივე საძაგლობა, – ეგ გუშინდელი და დილანდელი ლიბერალები გახლავან, ლიბერალები მარტო თავის მუცლისათვის! (ხალხში: კარგია!) ეხლა მოვა მერუეც, რომელიც ყველაფერს ამას მოაწყობს”...

რომ ეგ მოწყობა შესაძლებელი და სამარჯვე იყოს, გავაცცი ითხოვს, ერთიან ნეაპოლიტანელებისაგან საზოგადო საერთო საქმის გულმოდგინედ და ნამდვილ შევლასა.

„იცოდეთ, ამბობს იგი – რომ მაშული არ აღედგინება ხოლმე არც სიმღერებითა, არც ღიმნებითა, არც ლექსებითა, დღეობებითა, ჩირადღნებითა, არამედ ყველას და თვითვეულის თავ-გამოდებითა, ერთიან თავგამოდებითა, იმიტომ, რომ მაშინ თვითვეული შეველის ასრულდეს ისა, რაც ყველას საერთოდ უნდათ.“

ამის შემდეგ ავრცელებს რა თავის აზრსა, გავაცცი ძლიერად და მსუსხავ სიტყვითა მივარდება ლიბერალებსა, რომელნიც მარტო იმაზედ იკლავდნენ თავსა, რომ ახალ მართებლობისაგან ალაგი მიიღონ რამე და რაკი რომ ხელცარიელები რჩებიან ეხლა, უეცრად იცვლებიან, აღარ მოჰსწონთ ახალი წესი და რიგი, ნამდვილ პატრიოტებსა გზა და კვალს ურევენ. ვრცლად ამტკიცებს გავაცცი იმის სიმართლესა, რომ მთელ საუკუნოს ბოროტება რამდენიმე დღეში ვერ მოიშლება, რომ თვით ის ცვლილებების შედგომის შეძლება, რომელიც ბურბონებისაგან გადარჩინათან ერთად მიეცა ნეაპოლსა, დიდი შეძინება არის. მერე გადადის გავაცცი იმ პირებზედ, რომელნიცა უკმაყოფილონი არიან ამაზედ, რომ ბევრი უწინდელი მოადგილეები – ბურბონისტები ისევ თავის თანამდებობაზედ დარჩნენ. აქ გავაცცი ბურბონისტებსა ჰყოფს სამგვარად... ბურბონისტები – ჯალათები, როგორც ის ეძახის, რომელნიც უნდა უთუოდ მიითრიონ საზოგადო სამსჯავროშია, და რომელნიც ღირსნი არ არიან არა რაიმე შეწყალებისა; ზომიერები, რომელნიც გულმოდგინედ ასრულებდნენ ბურბონის ბძანებასა და რომელთაც უნდა ჩამოაცალონ თანამდებობა, თუ საჩინო ადგილები ეჭირათ და არ კი სდევნონ; და მესამე გულგრილი-ბურბონისტები, რომელთაც სულაც არ უნდა ხელი ეხლოს. თავის აზრს ამრიგად ხსნის გავაცცი: „ესენი ემსახურებოდნენ კანცელარიებში და სასამართლოებში დაბალ ადგილე-

ბზედა, ჰსწერდნენ იმას, რასაც უბძანებდნენ, მაგრამ არ იყვნენ არაფერში დამნაშავენი, იმიტომ, რომ გადამწერის კალამი ხომ არ ფიქრობს და არა ჰსჯის; ის იმისია, ვინც ფულს აძლევს. თუ ფულის მძლეველი ბურბონები არიან, ის კალამი ჰსწერს „ღმერთმა ადღეგრძელოს ბურბონებიო“, თუ გარიბალდია, — „ღმერთმა ადღეგრძელოს გარიბალდიო!“ ამისთვისაც ყურიც არ უნდა ვათხოვოთ იმათა; მაგვარი კაცები მრავალნი არიან ყველა ქვეყანაში, და თუ ყველანი ისინი უნდა გამოიცვლებოდნენ ხოლმე მთავრობის ყოველ ცვლილების დროსა, ეგრე მოგვინდებოდა ბევრის გაუბედურება და ყოველთვის საქმეების წარმოების შეყენება და დახლართვა... აგე ამერიკაში ყოველ ოთხ წელიწადში მთავრობა იცვლება, როგორ გადურჩებიან ხოლმე წვრილმან მოსამსახურებსა? ყოველ თავისუფალ და საჩინო ადგილებზედ დასმენ ხოლმე ახალ მთავრობის ერთგულ კაცებსა და დანარჩენს კი არც კი შეეხებიან; ისინი იმას გააკეთებენ, რასაც უბძანებენ” ... მაგრამ მით უფრო ძლიერ წინა აღუდგება გავაცცი იმ კაცებს, რომელნიც „5-ს სეკტემბერსა პიედიეროტაში მირობდნენ ბომბიჩელლოს¹ უკან, რომ ცრემლნი დაღვარონ მაღონის² წინა; და მერე, გარიბალდი ნეაპოლში რომ შემოვიდა, დარბოდნენ!.. „viva Garibaldi!“ ... ამ ბატონების წინააღმდეგ ის აღვიძებს საზოგადო წყრომასა, იმათ რაცხს ისა იმ უხერხობათა შორის, რომელიც დარჩა „გუბის გაწმენდის“ შემდგომ. „მე არ შემოდლიან ვენდო, ამბობს იგი, როცა ვხედავ იმ საყდარსა ნაციონალურ ბაირალებით მორთულსა, ანუ როცა შევხვდები ხოლმე ქუჩაში კაცსა ერთგვარ უღვაშითა, რომელიც ერთს ვერსტზედ გვამცნებს, რომ უწიდელი სბირრია და მასთანვე სამფერიანი კოკარდაც ზედა აქვს... (ხალხი ტაშსა ჰსცემს). ნამდვილ ლიბერალისათვის საჭირო არ არის თავი გამოიჩინოს, საჭირო არ არის დაანახვოს კოკარდა, იმიტომ, რომ

¹ ბომბიჩელი არის ზედწოდება ნეაპოლიტანის კოროლის ფრანჩესკოსი. ბომბიჩელი ნიშნავს იტალიურად პატარა ყუმბარას. იტალიანელებმა დაარქვეს ფერდინანდო II „ბომბო“ (ყუმბარა) და მის შვილს ფრანჩესკოს ბომბიჩელი (პატარა ყუმბარა), რადგანაც მათ ძლიერ უყვარდათ ყუმბარების სროლა და იმით თავის ქალაქების დანგრევა.

² მაღონა იტალიურად ნიშნავს ღვთისმშობელს.

უამისოთაც იცნობენ, და მერწმუნეთ – კაცს, რაც უფრო დიდი კოკარდა აქვს, იმითი უფრო ნაკლები აქვს თავისუფლების სიყვარული.”

შემდეგ, მთელი იტალიის დაწინაურებულ კაცების თანახმად, გავაცვი ლაპარაკობს პიემონტთან შეერთების სასარგებლოდ; ურჩევს ამისათვის თავი დაანებონ ყოველ სიზმრებსა ავტონომიაზე¹ და ხელი აიღონ თვით რესპუბლიკანურ ტენდენციებზე-დაც.² „რესპუბლიკაო! იმახის იგი: აბა სად არიან რესპუბლიკანელები? ზომ რესპუბლიკა არა ჰქმნის რესპუბლიკანელებსა, არამედ ამათ უნდა შექმნან რესპუბლიკა... ჭეშმარიტ რესპუბლიკანელად კი გულით, სულით, ღვაწლით და სხვერპლით, რესპუბლიკანელად კეთილმოქმედების სიმტკიცითა, ზომიერ ჯერობითა – მე ვიცნობ იტალიაში ერთსა – ეგ იოსებ გარიბალდისა... იოსებ გარიბალდის კი არ უნდა რესპუბლიკა!..” მერე კიდევ უმტკიცებს ხალხსა თავის თავის დაცვისათვის და იტალიის ღონივრობისათვის ერთობის საჭიროებასა, და ბოლოს ასრულებს სიტყვას იმით, რომ მეორე დღეს უფრო ვრცლად ილაპარაკებს იმაზე, რომ როგორ უნდა და რაგვარად შეერთდნენ იტალიის საკოროლოსთან, და დასასრულ ათავებს სიტყვას ვივატებითა გარიბალდიზე და ბურბონების გიებითა. ხალხი, ბერის სიტყვებით გატაცებული, საზარო კიჟინას ასტეხს, რომელიც მქადაგებლის კათედრიდან ჩამოსვლის შემდეგაც დიდხანს არა ჰსწყდება.

მესამე ქადაგება გავაცვიმ სრულიად მიუძღვნა პიემონტთან უპირობო და დაუგვიანებელ შეერთებასა, და იმასა, რომ რეაქციის³ წინააღმდეგ ხალხი ყოველთვის მზად უნდა იყოს. ამ სიტყვაში ჰსჩანს, რომ მქადაგებელი არ ენდობა ტურინის სამინისტროსა (რომელიც მართლა და ამ დღეებში ცდილობდა იმას, რომ როგორმე შეაყენონ გარიბალდი), და ამასთანაც დაუჯერებელია, რომ მართებლობა გარიბალდისა ნეაპოლში უნდა, რაც შეიძლება,

¹ ავტონომია – თვითმართებლობა.

² ტენდენცია – მიმართულება, მიდრეკილება. რესპუბლიკა ჰქვიან იმ ქვეყანას, სადაც არ არის ხელმწიფე და სადაც მართებლობა არის ხალხისაგან ამორჩეულ პირების ხელში.

³ რეაქცია – მოძრაობა წინააღმდეგ წარმატებისა.

დიდხანს დარჩეს თავისუფალი გარეშე ზედმოქმედებისაგან. ამას გავაცცი ნამეტნავად მაშინ გამოჰსთქვამს, როცა დიპლომატები სინათლეზედ გამოჰყავს და ლაპარაკობს სენტ-ელმოს სიმაგრის დაცემაზედა. ამ ორ ადგილსა ჩვენ მოვიყვანთ იმის მესამე ქადაგებიდგან, რადგანაც ხასიათი და მანერა მქადაგებელისა ჩვენ კიდევ ვიცით და დანარჩენი კი თავისთავად წარმოადგენენ სწორედ ადგილობრივს და შემთხვევითს ინტერესსა.

„ძალიან უნდა ვისურვოთ, მეგობრებო ჩემო, ამბობს გავაცცი, რომ არავინ არ მოვიდეს ჩვენი საქმის ასარევად. გარიბალდის ღვაწლის ნაყოფი მეტად დიდია, რომ იმისაგან დიპლომატია არ შეფუცხუნდეს... მე კი ძალიან მეშინიან მაგ უკბილო ბებერ ღუენისა¹, რომელსაც დიპლომატიას ეძახიან. მე მეშინიან, რომ აქ ყველაფერი არ გააფუჭოს იმანა, თქვენვე იფიქრეთ, რარიგად ბოროტ-გამძრახველია იგი: შარშანა შუა იტალიაში ჩვენ გვინდოდა იმ საათსვე შავერთებულვიყავით, იმიტომ, რომ დროს დაკარგვისა გვეშინოდა და გვეფიქრებოდა: ვაი თუ ვერ მოვასწროთ ვიკტორ-ემანუელის ჩვენდა კოროლად დასმა. რაკი დიპლომატიამ ესა ნახა, გვატარებდა და გვათრევდა მთელ თერთმეტ თვესა და იმდენი იხერხა, რომ მაგ შეერთებას გვალოდინა 1859 წ. 27 აპრილიდამა 1860 წ. 18 მარტამდე! აი, როგორ ირჯებოდა ჩვენთვის ეგ ბებერი დიპლომატია!.. იმას იმედი ჰქონდა, რომ ჩვენ ეგენი მოგვწყინდება, რომ ჩვენ მოვახდენთ ერთ ბრწყინვალე დანაშაულსა, როგორმე წავაბოროდიკებთ, გამოვატყვერენთ ერთ რასმე იმისთანას, რომელიც ააშფოთებს საზოგადო მშვიდობიანობასა და მით მივსცემთ დიპლომატიას მიზეზსა, რომ ჩვენს საქმეში შემოერივოს და ჩვენი საქმე ისევ ძველ გზაზე დააყენოს.

„მაგრამ, ჩვენდა საბედნიეროდ, ჩვენ დიდი ხანია ვიცნობთ მაგ უკბილო ბებერსა. ჩვენ დიდი ხანია ვუთხარით იმას შორს ჩვენგან! ეგ შენი გოთიკური² ხერხები და მანქანება შენთვის შეინახე! ჩვენ უშენოთაც ფეხზედ ვაყენებთ იტალიასა, და იმის შეერთე-

¹ ღუენა იტალიურად ნიშნავს ქალბატონს, უმანკობის მფარველს.

² გოთები ძველად იყვნენ ხალხი გერმანიის ტომისა. ერთნაირ არხ-იტეკტორას იმათგან ეხლაც უწოდებენ – გოთიკურს, აქ ამ სიტყვას (გოთიკური) აქვს მნიშვნელობა: ძველებური, უვარგისი.

ბასა – მოთმინებით, რიგით და მშვიდობიანობით. აქ და სიცილი-
იაში კი დიპლომატია სხვანაირად მოქმედობს: ის იჩარჩება, რომ
ხალხი დროს გადუღებლად შეაერთონ პიემონტთან, იმიტომ, რომ
იმან იცის, რომ თუ ხალხი ამაზედ თანახმა შეიქმნა და შეიქმნა
კიდევ იმავე საათს, რევოლუცია¹ ეხლანდელ მიჯნის იქით აღარ
გადასცილდება და მაშასადამე, იტალია ერთიანი აღარ იქნება.

„ჩემო მეგობრებო! მარტო რევოლუციას შეუძლიან „შექმნა
იტალიისა“, დიპლომატია კი, თავის დღეში იმას ვერ შეჰქმნის,
თუ რევოლუცია იტალიას შეჰქმნის, დიპლომატია მაშინ იძულებ-
ულ იქნება მიიღოს იგი, როგორც შესრულებული ფაქტი; მა-
გრამ თუ ჩვენ თითონ არ შევჰქმნით იტალიასა, დიპლომატია
კიდევ ერთხელ გაგვაცალცალკევებს და არ მიგვიშვებს იტალიის
ერთობამდე, იმიტომ, რომ ამისი ძალიან ეშინიან... (კარგია, ბრა-
ვო!) მაშასადამე, გარიბალდის და დიპლომატიის შუა – დიდი
ზღვარია... გარიბალდი არის დიდი წარმომადგენელი ჩვენის
ძლევა მოსილის და გამარჯვებული რევოლუციისა. რომელიცა
ნიშნავს ხალხის რჯულიერების აღდგენასა მფლობელების ბოროტ-
მოქმედობის წინააღმდეგ; დიპლომატია კი ნიშნავს ღერცოგების
და კოროლების უფლების აღდგენასა წინააღმდეგ ხალხის
რჯულიერებისა. (ერთიანი ძახილი მოწონებისა ხალხში).

„აი, რისთვისა – დაიხსომეთ სადამდინ მიმყავს მე ჩემი რევ-
ოლუციური თაკილობა – აი რისთვის მეფიქრება მე ესლაცა
პიემონტის რაზმების მოსვლა; ეგ ჯარები ყველგან სასურველნი
და სიხარულით მიღებულნი, აქ, ამ წუთშია წარმოადგენენ თვით
პიემონტის პოლიტიკას, (რომელიც გამოაშკარავდა შუა იტალია-
ში.) საოცარ წინააღმდეგობასა. იქა, შუა იტალიაში რა წამს
საქმე შეერთებაზედ წავიდა, ვიკტორ-ემმანუელმა გამოუძახა თავის
საკოროლო კომისარებს ფლორენციიდან, პარმიდან, ბოლონიიდან,
რომ არა თქვანო: შეერთება საკოროლო კომისარების ნარჩევია,
ნაძალევია, ნათხოვნია... ესლა განა შეიძლება რომ დიპლომატიამ
არა თქვას: „ნეაპოლიტანელებმა კენჭით ამოირჩიეს შეერთება,
იმიტომ, რომ ნეაპოლში ბევრი პიემონტის ჯარები იყო!“ ეს,

¹ რევოლუცია – ხალხის აღდგომა წინააღმდეგ მართებლობისა, მოძრაო-
ბა ხალხისა.

რასაკვირველია, კაცს აფიქრებინებდა, რომ აქ იყო ძალადობა და ძალდატანება, ის კი, არათუ ჩვენ გვინდა თავისუფალნი ვიყვნეთ და კიდევ ვართ, რადგანაც შეერთების სურვილი არავისგან არ იყო ძალდატანებული, – ნეაპოლიტანელებს ეგ უნდოდათ ჯერ კიდევ გარიბალდის მოსვლამდინა და ეხლაც უნდათ თავის ხალხის სამეუფო ნებითა”...

ამ ქადაგებაშია აფთხილებს ხალხსა რეაქციისაგან, და ამისთვისაც ურჩევს სენტ-ელმოს სიმაგრის, Castello del Carmine, და Castello dell' Uovo-ს დაქცევასა. რაკი დაუმტკიცდა, რომ ისინი ვერ შეჰძლებენ საკმაოდ ქალაქის გამაგრებასა და ამასთანავე უჩვენა მაგალითი ანგლიისა, რომელიც თავის სიმაგრედ რაცხს არა ციხეებს და გალავნებსა, არამედ ხომალდებსა, გავაცცი ურჩევს ხანდაუხმელად წარუდგინონ ადრესი გარიბალდის მთავრობასა და იმაში ჰსთხოვონ დაცლა სიმაგრისა და დანგრევის ნების დართვა. რაკი, რომ ხალხს ამისათვის ამხნეებს, გავაცცი ამბობს:

„ნუ დაივიწყებთ, რომ თქვენ გელაპარაკებთ ბოლონიის ბერი, რომელიც ეს-ეს არის განგლებიდან დაბრუნებულა, გელაპარაკებთ უბრალო სიტყვითა, მაგრამ კი საქმიან სიტყვითა; უმჭევრმეთქვით, უპოეზიოდ, უცეცხლოდ, მაგრამ საქმიან სიტყვითა... თუ მაგ სიმაგრეებს არ დაანგრევთ გარიბალდის დიკტატურობის დროს – თქვენ თავის დღეში ვეღარ დაანგრევთ მაგათა. იცით – რისათვის? იმისთვის, რომ შეერთების შემდეგ დაიპყრობს იმათ სამხედრო უფროსობა, რომელიმე მიზეზს მოსდებს და ხელუხლებლად შეინახავს, ასე რომ, თქვენ საბუდამოდ გექნებათ ზედ ეს მუქარა, ეს სულთამხუთავი. სამხედრო ძალისათვის სიმაგრე – სწორედ ის არის, რაც ზღაპარში ქათამი, რომელიც პარასკევ დღეს შესულა სოფლის ღვდლის ეზოშია. რაკი რომ ღვდელმა ქათამს თვალი მოჰკრა, დაიძახა: „ქათამი მსუქანია, ჩინებულია, დღეს მაგისაგან მე ერთი კაი საჭმელი გამიკეთდება”. – წმინდაო მამაო! დღეს ხომ პარასკევია. – „პარასკევით?” დაიძახებს ღვდელი და დაიწყობს თავის თეოლოგიის¹ გადაჩეჩასა (ხალხში სიცილია) და ეუბნება თავის თავსა: „თუკი ღმერთმა შემოგზავნა ჩემს ეზოში ქათამი, ჰსჩანს ჰსდომებია, რომ მე შევჭამო; თუ შემომიგ-

¹ თეოლოგია ლათინურად ნიშნავს ღვთის მეტყველობას.

ზაენა დღეს, როცა საშინელ მადაზედაცა ვარ – ეს იმის ნიშანია, რომ მე დღეს ეს ქათამი უნდა შევჭამო; მაგრამ დღეს პარასკევია – ჰსჩანს, რომ თვით ღმერთსა ჰსდომებია, რომ შევჭამო ქათამი პარასკევს. იყოს ნება ღვთისა!” სწორედ ეგრე ჰსჯვის ხოლმე სამხედრო უფროსობაცა სიმაგრეებზედა.”

მერე გავაცცი მოიყვანს რამდენიმე მაგალითებს ბრეშის, ფერარის, პერუჯის¹, გენუის სიმაგრების დაქცევისას, ქადაგების დასასრულში ხელახლად აატეხინებს ხალხსა საშინელ ტაშისცემასა და ვგონებთ, რომ მაშინვე ამ სიტყვის შემდეგ ნეაპოლიტანელები მართლა მისცვივდნენ გარიბალდის და ჰსთხოვეს ციხეების დაქცევის ნება. ჩვენდა სამწუხაროდ, გარიბალდის როგორღაც ვერ ემარჯვებოდა მაგის ნების დართვა, უარი უთხრა და იმითი დაამშვიდა ხალხი, რომ დღეის იქით სამუდამოდ სენტ-ელმო მიეცემა ნეაპოლის ნაციონალურ გვარდასა. ამის შემდეგ რაკი შეერთება მოხდა, აღარ მიეცა ხალხს სახერხო დრო, როგორც გავაცციმ წინასწარ თქვა, რომ ხელახლად ეგ ეთხოვნათ, და სენტ-ელმოც – ეგ სახსოვარი ამდენ უბედურებისა, საპყრობილე და იტალიის წამებულთა სასჯელის ადგილი, აქამდინაც ღვას ნეაპოლის თავზედა, თითქო ემუქრებოთ მის ახალშობილ თავის უფლებასაო.

მეოთხე დაბეჭდილ ქადაგებათაგანი გავაცცის აღნიშნულია თავის სახალხო კილოთი, რომელიც ვერაფრით ვერ შეიძლება ითარგმნოს. მაგრამ ამაშიაც ის უფრო ბევრს ლაპარაკობს უწინდელ საგნებზედა, ხოლოთ კი ზოგიერთზედ დიდხანს შედგება ხოლმე უფრო, ვიდრე უწინა. ძალიან უცნაურად დაიწყო ეს მეოთხე ქადაგება. ეს იყო საღამოზედ del Palazzo-ის მოედანზედ, სწორედ კარლი III-ს და ფერდინანდო I-ს სტატუებ შუა, San Francesco di Paolo-ს საყდრის წინა. ხალხი ელოდდა გავაცცისა და მიეგება ტაშისცემითა. ის ავიდა მაღლობზედ, გადაიხედ-გადმოიხედა მარჯვნივ და მარცხნივ. თავი გაიქნია სტატუებზედ, რომელნიც განათებულნი იყვნენ მთვარის სხივებითა, და უეცრად აუტყდა ერთი საშინელი ხარხარი, მერე კი თანდათან სერიოზნო-

¹ ბრეშია არის ქალაქი ჩრდილოეთს იტალიაში, ხოლო ფერარა და პერუჯია შუა იტალიაში.

ბა მიიღო და დაიწყო ისევ ნეაპოლიტანელებისა დაყოლიება იმაზედ, რომ დაიცვან შინაგანი თანხმობა და მედგრად გულ-დაგულ დახვდნენ ძველ რეაქციის მეცადინეობასა.

იმ ღონისძიებათა შორის, რომელთაც უნდა ჩანერგონ ხალხში მკვიდრად კეთილი თესლი, ყველაზე უფრო მომეტებულია ქალების მონაწილეობა მიაჩნია გავაცცისა და ამის გამო საშინლად წინააღმდეგა მკვდარს და ფარისევლურ აღზდასა, რომელიც ეგრე ხშირია ნეაპოლში. ბოლოს დაუბრუნდება თვით სამღვდელოსა:

„რაც შეეხება სამღვდელოსა, მე გეტყვი, რომ დაე იმან მიგუ-ლოს მე მეგობრად უფრო ეხლა, როცა მე სასტიკად, მაგრამ მართლა და სვინიდისიანად წავაყვედრებ სიცუდეს, ვიდრე მაშინ, როცა მივეფერებოდი და პირს აულოკამდი. მე აკი ვჭსთქვი კიდევ, რომ ნეაპოლიტანის სამღვდელო სრულიად უნდა შეიცვა-ლოს. მივაწერ რა მე იმათ პათმოსის¹ მოხუცის სიტყვებსა, ვი-ტყვი: სამღვდელოვ! შენ უნდა აღზდე შენის დამცირების სილ-რმისაგან! სამღვდელოვ! არ დაივიწყო, რომ ბურბონების სამსახ-ურში შენ იქამდინ მიუშვი თავი, რომ ჩავარდი წყევლის უპა-ტიონსობის, სირცხვილის ცუდ-საყნოსველ ჯურღმულშია! გამო-დი მაგ საფლობიდამ და ლექიდამ, აღზდეგ, აღზდეგ ახალ იტა-ლიის სულის მობრუნებისაგან და დაგვირგვინდი იტალიის ლიბ-ერალობის ორეოლითა². (ხალხში ტამისცემა) მაშ ღმერთმა აღადგინოს სამღვდელო ჩენი!..

„მაგრამ სამღვდელომ რომ თავი არ შეირცხვინოს და თავიდამ მოიშოროს გარჯა და ჯაფა, ამბობს ეხლა: „მე არ გავერევი საპოლიტიკო საქმეშია, მე ვერ შემიძლიან საერო საქმეებში გავე-ბა“... მაგრამ აქამდინ კი, რომ ძალიან ირჯებოდი მაგვარ საქმეებში, ვერ მოახერხებთ ახლაც, რომ ცოტათი მაინც გაისარჯოთ?.. მაგრამ არა – მე არც კი გთხოვთ, რომ თქვენ მაგ საქმეებში გაერიოთ; მე არ გეუბნებით: ადით კათედრაზედ და თქვით რამე საპოლიტიკო ეკონომიაზედ, დიპლომატიაზედ, იტალიის აღდგე-ნის ღონისძიებაზედ. არა, მე მაგას არ ვითხოვ; ამის მაგიერ მე

¹ პათმოსის მოხუცი – იოანე მოციქული, რომელი ერთ დროს იყო შეპყრობილი პათმოსის კუნძულზედ, არხიპელაგოსის ზღვაში.

² ორეოლი – სხივი ხატის გვირგვინისა; დიდი სახელი, დიდება.

გეუბნებით: სამღვდლოვ! უწინარეს იმისა, რომ მოახდინოთ ეს რეაქცია, რომლის მოწყალებითაც სხედან საპყრობილეში ამდენი ბერები და ღვლლები, უწინარეს იმისა, რომ ბურბონების სასარგებლოდ იქადაგოთ – ნუ შეერევით პოლიტიკაში და ილაპარაკეთ კი თანხმობაზედ, სიყვარულზედ, ილაპარაკეთ სახარებაზედ! (ტაშისცემა). სახარება ჩვენკენ არის და ჩვენი მხარე უჭირავს: სახარება იტალიისაკენ არის და არა იმის წინააღმდეგ; მაშ ილაპარაკეთ სახარებაზედ, თუ თქვენ სხვა არაფერი სათქმელი არა გაქვსთ რა, ილაპარაკეთ მამულის სიყვარულზედ: ეგ სიყვარული ქრისტესაგან ნაკურთხია, გათქმულია და დალოცვილია... ამ სახით შეგიძლიანთ ჩამოირეცხოთ ცუდი სახელი და მიიმხროთ თქვენკენ საზოგადო აზრი. და დაე, საკულავოდ მაინცა ღვლლის შეხვედრაში პირჯვარი არ გადიწეროს ხალხმა, თითქო სატანა დაინახაო, არამედ გაუღიმოს და შეხაროს ღვდელსა, როგორც მეგობარსა.

ქადაგების ბოლოს გავაცცი კიდევ ნიშნამს დროს შემდგომის ქადაგებისას – წმ. იანუარის¹ ღღეს, მასუკან, როცა სასწაული შესრულდება, ეგ კიდევ შეექმნა მიზეზად, რომ დაუბრუნდეს სამღვდლოსა:

„სიტყვაზედ მოვიდა – ნეაპოლში ხმა გავარდა – მე ეგ ვიცი, – დიახ, ხმა გაავდეს, რომ წმ. იანუარი სასწაულსა იქსო² წმ. ჯენნარო კი სასწაულსა იქსო, იმიტომ, რომ წმ. ჯენნარო კეთილ იაკობინელად³ ყოფილი 1799 წელს, იქნება კაი გარბაღლიელად

¹ ნეაპოლში წმ. იანუაროს ანუ ჯენნაროს ეკკლესიაში ღვლლები აჩვენებენ შუშას, რომელშიაც ვითომც იყოს სისხლი წმ. იანუარისა. კათოლიკის ღვლლები არწმუნებენ ხალხს, ვითომც ამ წმიდის ღლეობას ის სისხლი თხელდებოდეს.

² რომ არ ასრულდა სასწაული (გათხელბა წმ. ჯენნაროს სისხლისა) მიღებული იქნა ცის რისხვათა და შეეძლო მოეხდინა რამე არეულობა. ჯერ კიდევ 1799 წ. სამღვდლომ აღარ მოინდომა სასწაულის მოქმედება, როცა ნეაპოლში შამპიონე შემოვიდა; მაგრამ შამპიონემ აღუთქვა არქიეპისკოპოსის დახჩობა, თუ ხუთმეტ წუთს უკან სასწაულს არ მოახდენენ, – და მართლათაც მოახდინეს. ავტ.

³ იაკობინელები იყვნენ წვერნი ერთის საზოგადოობისა, რომელი სასტიკად მოქმედობდა დიდი ფრანციის რევოლუციის დროს.

1860 წ. (ხალხში ტაშისცემა). მე დარწმუნებული ვარ წმ. ჯენნარომ თავის საქმისა უფრო კარგი მოხერხება იცის, ვიდრე არქივისკოპოზმა (ხალხში სიცილია)¹, მაგრამ ხმა დააგდეს, რომ სასწაული არ იქნებაო. თუნდ რომ არ იყოს – იმედი მაქვს რომ მაგით ცა არ დაიქცევა, რომ ჩვენ თითონაც უსასწაულოთაც მაინც კიდევ ქრისტესაგან გამოსხნილ ღვთისშვილებად დავრჩებით. მე იმედი მაქვს... მაგრამ – თქვენ საერო ხალხო, ნუ გაიგონებთ, მე სამღვდელოს ვეუბნები – მაგრამ ვნახოთ, თუ სასწაული არ მოახერხეთ, გარიბალდი იმ საფრანგეთის ღენარლის მაგალითს არ აჰყვეს, რომელმაც ხუთმეტ წუთშია წმინდას სასწაული აქმნევინა... ვნახოთ, თუ იტალიამ და ევროპამ აქელამ ის არ გამოიყვანოს, რომ წმ. ჯენნარო სასწაულს მაშინა შვრება, როცა სამღვდლო მაგას ინებებს ხოლმე (ხალხში ტაშის ცემა). მე დიდი იმედი მაქვს, რომ რომელიმე მობეზლარი მიუტანს ამ ჩემს სიტყვებს მისს ემინენციას² კარდინალსა³, რომ ამის გამო მის ემინენცია მონებებს წმ. ჯენნაროს სასწაულის მონიჭებასა (ხალხში სიცილია). მასხარებო!.. სამჯერაც კიდევ მასხარებო!.. ხალხს რჯული უნდა და არა ღვდლების მაცდურობა და მოტყუება! ერთი სვინიდისი იქონიეთ, ბატონებო, ნუ გვარწმუნებთ ჩვენ, რომ ღმერთი თქვენის ბრძანებით სასწაულთმოქმედობს!”

19 სექტემბერსა საღამოზედ გავაცციმ მართლა იქადაგა კიდევ იმ ადგილას და ძალიან აქო წმ. ჯენნარო, თითქმის „galantuomo-ცკი”⁴ უწოდა, იმისთვის რომ წესიერად შეასრულა თავისი ჩვეულებრივი სასწაული... მას შემდგომ გამოხატა იტალიის თავისუფლებისათვის ბრძოლის სახე, ურჩევდა განაგრძონ ის ბრძოლა დაუღალავად, წინა აღუდგენ კიდევ ცუდ ღვდლებსა, საეკლესიო სამსჯავროსა და საპყრობილესა, რომელნიც იყვნენ დადგინებულნი ნეაპოლში კონკორდატის⁵ ძალითა, ურჩევდა დააწეს-

¹ გავაცცის კილომ არ უნდა შეგვაცდინოს ჩვენა: ნეაპოლიტანელებს საზოგადოდ უყვართ წმინდანებთან ისე მეგობრულად მოქცევა. ავტ.

² ემინენცია არის ტიტული ანუ ხარისხი კათოლიკების ეპისკოპოზებისა და კარდინალებისა, ედარება ჩვენს სიტყვას უსამღვდლოესი.

³ კარდინალობა არის ხარისხი კათოლიკის სამღვდლოებაში.

⁴ Galantuomo იტალიურად ნიშნავს კოხტა, საერო კაცს.

⁵ კონკორდატი – პირობა სარწმუნოების შესახებ საქმეებზედ პაპის და ხელმწიფეების შორის.

სონ საგულშემატკივარო სახლები გაჭირებულთათვის და უპატრონო ყრმათათვის.

ამის შემდეგ კიდევ რამდენჯერმე იქადაგა იეზუიტების წინააღმდეგ, როცა იმათი გაგდება გადაწყვეტილი იყო. იქადაგა ისევ შეერთების სასარგებლოდ იმის წინად, როცა მაგაზედ კენჭი უნდა ჩამოეტარებინათ და სხ. ყოველთვის გააცვი ალტაცებით მიღებული იყო ყოველთვისაც საგანნი იმის ქადაგებისა ცხოვრებითნი იყვნენ, ზედმოწყობილნი ხალხის საჭიროებაზედა. ბევრად თუ ცოტად, რაც უნდა იყოს მაინც კიდევ გამოსაჩენი ზედმოქმედება ჰქონდათ ხალხზედ იმის ქადაგებაებსა.

მამა გააცვის ქადაგების მოღვაწეობა, რომლის ნაწილიც ჩვენ შევატყობინეთ მკითხველებსა, სრულიად სხვარიგად იყო მოწყობილი. სულელობა იქნებოდა, რომ ის წარმოვადგინოთ მაგალითად მთელ საკათოლიკე მქადაგებელთათვის. მაგრამ სხვა მხრით, კი არ შეიძლება არ მივიღოთ სიმართლე ყვედრებისა, რომელსაც ის უკეთებს ნეაპოლიტანის სამღვდელოსა. ნეაპოლიტანის სამღვდელო მართლა იმცირებდა თავის თავსა და წინააღმდეგენდა საზოგადო აზრსა იმით, რომ არ უნდოდა გაეგო ახალი მოძრაობა და მიეღო იმ მოძრაობაში მონაწილეობა. სამღვდელო სამხრეთის იტალიისა საზოგადოდ გამოჩენილია თავის უმეცრობითა და მომეტებულ ბოროტ მიდრეკილებითა. უქორწინობის გამო სამღვდელოდამ იშვიათი იქნება, რომ არავინ არ გაერივოს რომელიმე ქალების ისტორიაში... და არამც თუ მარტო ქალების... ამას გარდა, სამღვდელოსა საზოგადოდ და ბერ-მონოზნობას განსაკუთრებით აბრალებენ ფულის საშინელ ხარბობასა; თეთრს სამღვდელოს ყველგან აყვედრებენ გემოთმოყვარებასა და უზომო ავმუცლობასა. ანეგლოტები კარდინალებზედ, ბერებზედ, სოფლის ღვდლებზედ, მოძღვრებზედ (padre confessore) ურიცხვია მთელ იტალიაში. ყველაზედ მკაფიო ზედმოსწრობილი სიტყვა, ყველაზედ სამარცხვინო ოხუჯობა და ანდაზები ყოველ ფენის გადადგმაზედ იმათზედ ისმის. ძნელი დასაჯერებელია, რომ ხალხი ეგრეთი ცრუმორწმუნე, ეგრე სამღვდელოს შიშის მექონე, იმავე დროს ეგრე შეურაცხად ხდიდეს სამღვდელოსა, მაგრამ კი იტალ-

იაში სამღვდელთა მოახერხა მანდამდინ თავი მიეხწვიებინა. რომში ისინი სძულთ, მაგრამ ემინიანთ კი, რადგანაც ისინი ამასთანავე ქვეყნის მფლობელებიც არიან აქა. ნეაპოლშიაც ემინოდათ, იმიტომ, რომ ბურბონების წყალობის ქვეშ იყვნენ და არაერთხელ, როგორც ამბობენ, შველოდნენ პოლიციას დამნაშავეის პოვნასა აღსარების საიდუმლოების გაცემითა. ჰსჩანს, აქაც სამღვდელთა ჰქონია რაოდენიმე გვარი ძალა. უფროსობა, რომლითაც შეეძლო საპყრობილე დაემუქარებინა და მუქარაც აესრულებინა, ან კიდევ პატივისათვის გზა გაეხსნა იმისთვის, ვისაც კი ჰსწყალობდა. გარნა ხალხის სიყვარული კი მით, არამც თუ ვერ მოეხერხა მიეხიდა თავისაკენ, არამედ უფრო დაკარგა საზოგადო აზრში ბურბონების უკანასკნელ მფლობელობის დროს. სამღვდელთა ვერ მიხვდა თავის ვითარებას, ვერ მოტრიალდა თავის დროზედ...”

სალიბერალო მიმართულება ნეაპოლში უხილავად იზღებოდა და ძლიერდებოდა გარიბალდის მოსვლის უფრო წინად. მაგრამ ფრანჩესკოს მთავრობამ ამას ყურად არ აღევნა და ეგონა, რომ ბოლოს მოუღებს მაგასა, რამდენიმე კაცი რომ დააჭერინოს და დაჰსაჯოს. ამ გულ-დაჯერებაზედ ნეაპოლიტანის სამღვდელთა სრულიად თანახმა იყო. რაკი, რომ არ მოელოდა ახალ იდეების გამარჯვებასა, სამღვდელთა ბურბონებს ფრთასქვეშ უფრო მეტად ამოუჯდა და განაგრძო თავის გულმოდგინობის გამოჩენა. ეს კი მართალია, რომ ბურბონებთან სამღვდელთა ზედ გადაბმული იყო ერთ და იგივე საზღვრებითა და წადილის მიმართვითა, ბურბონების მოწინააღმდეგეები კი თვით თავიანთ საქმის არსითა იყვნენ ამასთანავე მტერნი სამღვდელთაოსიცა, ნამეტნავად ბერ-მონაზვნებისა, მაგრამ მაინც კიდევ დასაჯერია, რომ სულ ეს კარდინალები და აბბატები¹ უფრო ცოტა გულმოდგინებას გამოაჩენდნენ, თუ რომ წინ დაენახათ ბურბონების გადაწყვეტილი დაცემა: მაშინ კი, იქნება, პოლიტიკისათვის გადამეტებით ხელი არ მიეცოთ, როგორც გავაცცი ამბობს. ეხლა კი იმ ბურბონების ერთგულებმა მიჰყვეს ხელი ყველაზედ მომეტებულ უპოპულიარო ქადაგებასა. უწინ

¹ აბბატი — წინამძღვარი კათოლიკის მონასტრისა.

იმათი ქადაგებაები უნაყოფო და მკვდრები იყვნენ: ლაპარაკობდნენ საკათოლიკე ეკკლესიის წმინდანობაზედ, წარტოლვაზედ, სულიერ სრულებაზე, რომელსაც მისწვდებიან მარტო აღმორჩეულნი, იმ დოღმატზედ¹, რომ ღვთისმშობელი დედისაგან უცოდველად იშობაო და სხვანი ამ გვ. ეხლა კი ხელი მიჰყვეს იმისთანა ქადაგებაებსა, რომელნიც ანიშნებდნენ, ან პირდაპირ გამოატყვერენდნენ რასმეს იტალიის მოძრაობის, გარიბალდის და ვიკტორ-ემანუელის საწინააღმდეგოდ და სხ. თავისთავად გაიგება, რომ ეგ იმათ მხრით ვერაფრად იყო ნაანგარიშები: ძალად წამოიწიროული და ნაბძანები დარიგებანი არავისზედ არ მოქმედობდნენ მხოლოდ უფრო მქადაგებლებზედ ხალხის ზაფრასა შლიდნენ. აბა უფრო აქ მოიცხეს ის სამარცხვინო ლაფი, რომლის ჩამორეცხვასაცა ჭეშმარიტ პატრიოტობით ურჩევდა გავაცცი.

რომის კარის შეჩვენების და თანდევნის გარდა, გავაცცის ძლიერ წინააღმდეგობდნენ სამღვდელო გაზეთებიცა. გავაცცის ქადაგების მოღვაწეობასა ეძახდნენ ანარხიულ ავითატორობასა², აჩვენებდნენ არამარტო ქრისტიანობის, არამედ ყოველ სარწმუნოების წინააღმდეგათაცა. რამოდენადაც მართალია ეს დაბრალება ჰსჩანს, ჩვენგან საკმაოთ ვრცლად მოყვანილ ქადაგებაებშია. მართალია, გავაცცი საკათოლიკე ეკკლესიის სხვა მქადაგებელთაგან ძალიან განსხვავებულია თავის ქადაგებაების შიგმდებარე აზრითა: ის ცხარედ და მკაფიოდ გადაჰკრამს ხოლმე ბურბონების მთავრობასა, სამღვდელოს ყურმოჭრილ ყმობასა და თავის მოყვარეობასა, მონასტერში ქალების აღზდასა და თვით პაპის საერო უფლებასაცა. ის დაიცინება წმ. ჯენაროს ცრუ სასწაულზედ, აქებს ეკკლესიისაგან შეჩვენებულ გარიბალდისა და იმის ვოლონტერებსა და სხ. მაგრამ რომ მივმართოთ ჭეშმარიტ ქრისტიანობის აზრსა, უიმიოდ რაც დაუმატებია, გაუმგზავსებია საკათოლიკე ეკკლესიას, არა გვეგონია, რომ გავაცცი უფრო ახლო არ იყოს ქრისტიანობაზედ, ვიდრე კარდინალები და აბბატები, როგორც

¹ დოღმატი, რომელიც ეხლა ხან მიიღო საკათოლიკე ეკკლესიამ, რომ ღვთისმშობელი უცოდველად იშვაო ანნასაგან.

² ანარხია – უმართებლობა, უთაურობა. – ავითაცია ან ავითატორობა – მოძრაობა, არეულობა ხალხისა.

დღამატებშია, ისე თვით მცნებების არსშია. გავაცცი, მაგალითებრ, ვალდებულად არა რაცხს სამღვდელთა უქორწინებასა: ერთხელ რომ წაყვედრეს, ცოლიანი ხარო, საქვეყნოდ უპასუხა: „მეც ცოდვად არ ჩავითვლიდი, რომ ცოლიანი ვყოფილიყავ, და სულაც არ შემეშინებოდა მაგის აღვიარება, რომ ეგ მართალი იყოს; მაგრამ მე ცოლი არა მყავს, იმიტომ, რომ მე მაქვს მხოლოდ ერთი სიყვარული, მე მყავს მხოლოდ ერთი ცოლი – იმას იტალიას ეძახიან”. ჩვენ ვიცით, რომ ამ საგანში რომის კარზედ უფრო მართალია გავაცცი; აგრეთვე მართალია პაპის საერო უფლების განსჯაშიაც. მაგრამ ის არის უფრო დიდი საქმე, რომ თვით თავის ქადაგების სულის აზრითა ეგ უფრო ახლოა სახარების აზრთანა, ვიდრე რომის კარი და იმისი მოღვაწენი. რაკი რომ რომის სამღვდელო გულმოდგინედ მიიწევდა, რომ გავერცელებინა თავისი საერო უფლება, მმართველობებთან შეკრულობაში გაება და იქამდინ მიიყვანა თავი, რომ ყოველი ღონისძიება უნდა მოეხმარებინა – ხალხის საკეთილოდ კი არა – ხალხის წინააღმდეგად, ყოველ იმ შემთხვევაშია, საცა კი ხალხის ინტერესი დაეჯახება ხოლმე მმართველობის ინტერესსა. ეგ შემთხვევა წმირად ყოფილა და არის კიდევ საკათოლიკე ქვეყნებშია. მაგ: ნეაპოლში ხალხი იყო მიწასთან გასწორებული, მიეცემოდა ხოლმე ყველაზედ უარესს შეუწყალებელ უსამართლოებასა. იწამებოდა მთავრობის განუსაზღვრელ ნებაყოფლობისაგან, მოსამსახურეების მოქრთამეობისაგან, მებატონეთა ხარბობისაგან და პოლიციის შეუპოვარ და მხეცურ იჭვენეულობისაგან და დევნისაგან. სამღვდელოს საქმე აი რა უნდა ყოფილიყო, ქრისტეს რჯულის აზრითა – უნდა დაეფარა მიწასთან გასწორებულნი, დაჩაგრულნი, მართალი სიტყვა ეთქვა მართლის შესაწევად, განეკიცხა ბოროტმოქმედი, მაგრამ სამღვდელოს ეს ფიქრადაც არ მოსვლია, ამის მაგიერ, რაკი გულდაჯერებული იყო ბურბონების და დიდკაცობის შემწეობაზედ, ის შეიქმნა საჭიროების ძალითა უსამართლოების, ნებაყოფლობის ძალადობის მოღვაწეთა. იმან თავის სასულიერო ღონისძიებითა შევლა დაუწყო პოლიციის ძებნასა და დევნასა, იმან ძირიანად გადმოატრიალა და წაახდინა ხალხის აზრი, რაკი სულ იმას ეჩინებოდა, რომ უგულვებელყოფელი და

არა რაი ხარო, უმტკიცებდა სიმართლესა და რჯულიერობას ყოველ სადაგლობისას, რომელიც მოიგონებოდა ხოლმე ვილაც დელკარრეტოს, მანისკალოს, აიოსსას და სხვა უნამუსო და განძინებულ ორივე – სიცილის მმართველთაგან. ამ სახით, ეკკლესია თავის ნეაპოლიტანის წარმომადგენლებითა სრულიად დაშორდა ქრისტეს მცნების აზრსა და შეიქმნა არა მოღვაწედ სიმართლისა და ძმურის სიყვარულისა, არამედ ძლიერთა ამ ქვეყნისათა ყურმოჭრილ ყმად, გამცემად და მომატყუებელად თავის უმცირეს ძმებისა. ეს კია რომ ეს გასაკვირველი არ უნდა იყოს მას შემდეგ, რაკი სამღვდელთა ერთხელ პირი მოარიდა და დაშორდა ხალხსა და დაემყარა იმათზედ, ვისიც ინტერესი პირდაპირ ეწინააღმდეგებოდა ხალხის ინტერესსა. ვერ შეეძლო დაეწყო მართლის ლაპარაკი, იმიტომ, რომ სულ მთელი ორივე-სიცილიისა მთავრობა და თვით რომის კარცა წინააღმდეგებოდა, და იმათს შველასა გულაყრილი ხალხიც არ მოიწადინებდა. იმიტომაც ბურბონების მთავრობა და რომის სამღვდელთა ერთი ერთმანეთს ხელსა ჰბანდნენ და ჰქონდათ საერთო თავდებობა, რომლითაც ამაგრებდნენ ერთმანეთსა და გაბედვით მიდიოდნენ ხალხის ბედის უფრო და უფრო დამძიმების გზაზედა... მაგრამ საოცარი ეს არის მართლ, რომ საკათოლიკე სამღვდელთა ყოველთვის ისეთი მოხერხებული და ცბიერი, მთელ თავის თეორეტიკულ უმეცრებასთან – როგორ ვერ მიხვდა და მიაგნო თავის ვითარებას და ვერ გაიანგარიშა თავის შანსები¹ უკანასკნელ ხანებშია. ესლა ნეაპოლშიაც კი უფრო მეტი ნაწილი ღვდლებშია გალიბერალდა, ესე იგი კონსტიტუციის მხარეზედ არის, ცუდად იხსენიებს ავსტრიელებსა და ბურბონებსა და თითქმის ხანდისხანაც წაჰსცდება ხოლმე გულის მოსალობი სიტყვა იტალიის იდეის წამებულების და თავისულების მოღვაწეების სადიდებლად; მაგრამ, როგორც ვხედავთ, იმათმა გადაცვლამ იმათ არაფერი მოუმატა საზოგადო აზრშია. ნეაპოლში არაერთხელ დამაცინებელ დიმილითა ყურს უგდებდნენ ამ უეცრად გალიბერალეზულ მქდაგებლებსა, რომელნიც ერთის წლის ცოტა წინად მთელ ცისა და

¹ შანსი – შემღება გამარჯვებისა, თუ დამარცხებისა, საქმის მოგებისა, თუ წაგებისა.

ქვეყნის ქარ-ცეცხლსა აწვიმებდნენ იმათზედ, ვინც თავისუფლად ფიქრობდნენ და წინააღმდეგობდნენ ბურბონების პოლიციის მმართველთაგან დადგინებულ წესსა და რიგსა. იქნება ეგ დიმილი უფრო ნაკლებ, ან სულაც არ ყოფილიყო, თუ რომ ღვლღებსა და საკათოლიკე ბერებსა, — ხომ არ ვამბობთ, რომ მიეთვისათ ჭეშმარიტი აზრი სახარებისა, ეგ დიდი მანძილია — სწორედ მაინც გამოენგარიშნათ ისა, რა მდგომარეობაშია იხინი არიან და რა მოელის იმათ ამ მოკლე ხანში. იმათთვის უფრო ცხადი დასანახავი იყო ნეაპოლში და სიცილიის ჭკვების მიმართულება: ხომ იმით ხელში იყო სრულიად აღზდა და აღსარება. იმათ იცოდნენ და ხელავდნენ, რას ითმენს ხალხი, რა ზომამდე გაბოროტებულია ხმაგაკმენდილად, გულშია გაბოროტებული. იმათ იცოდნენ კერძობითი ცხოვრება, შინაური და სამოქალაქო დამოკიდებულება ყველასი ერთად და თვითუელისა ცალკე, იმათ შეეძლოთ ყველაზედ ადრე გამოეხატათ, რამოდენათაც მძიმეა ნეაპოლიტანელებისათვის მოწარმე წესი და რიგი, და გძლად გაჰსწევს კიდევ თუ არა ხალხის მოთმინების შეძლება... რაკი რომ ეს ყველაფერი იცოდნენ, იმათ შეეძლოთ და ვალდებულიც იყვნენ ყოველს შემთხვევაში სხვანაირად დაეწყოთ ლაპარაკი და სხვანაირად ემოქმედნათ, სხვა არა იყოს რა ბურბონების მეგობრობისათვის მაინცა. შეურაცხმყოფი და პირფერობითი ქება ძლიერ კაცებისა კია, არ უნდოდა, არამედ სამართლიანი განკიცხვა და მუქარება უნდა წარმოეთქვათ იმათა, იმისთვის მაინცა, რომ დაიხსნას მთავრობის პარტია საბოლოოდ დასაღუპავის უგუნურებისაგან და აუხილონ თვალები აწინდელ საქმის ვითარების დასანახავად.

თვით ხალხისათვისაც უნდა ჩაეგონებინათ მართალი, მრთელი აზრი იმაზედ, რაც უჭირს, რა სამართალიცა აქვთ და უნდა ჰქონდეს, რარეგად უნდა იყვნენ საზოგადოებრივ მიქცევა-მოქცევაში, რა მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოშია, რომ გონიერად და ზედმიყოლებით მიეყვანათ ხალხი კეთილწესიერ სამოქალაქო ცხოვრების საქმედინა და არ კი უნდა გაებათ ჩიჩინი ხალხის უგულვებელყოფაზედ და სიდაბლეზედ, რომ ამით უფრო არ გაეგობრობებინათ ხალხი და იძულებულ არ ექმნათ პოლიციის

ჯოხილამ გამოსწლეთოდა ის ხალხი და გადავარდნილიყო პირდაპირ რევოლუციის აღშია...

ეგრე, ვამბობთ ჩვენ, უნდა ემოქმენდა საკათოლიკე სამღვდელოსა და ყოველ სამღვდელოსაცა, თვით ბურბონების მეგობრობის გულისათვის მაინცა, თუ რომ სწორედ გამოენგარიშა საქმეების ვითარება ორსიცილიის საკოროლოში. ძალიან შესაძლოც არის, რომ ბევრმა იმათგანა მაგრე გამოიანგარიშა; სამღვდელოში უკეთესებს დიდი ხანია ესმოდათ, რომ ბურბონების წესდებულება მკვიდრი არ არის, მაგრამ იმოდენა ღონე და ხასიათის ძალა არ ჰქონდათ, რომ ნაანგარიშები საქმეზედ გადმოეტანათ. ამასთანაც რომის კარიცა ბევრს უშლიდა: ბურბონების მმართველთა თავზედ ნებაყოფლობის წინააღმდეგობის გაბედვა ნიშნავდა ჩავარდნასა არამარტო საერო, არამედ იმ თავის საკუთარ, სამღვდელოს უფლების რისხვის ქვეშაცა; იმიტომ, რომ თვით სამღვდელო ყოველთვის აძალებდა დაბალს სამღვდელოსა, რომ სრულიად აამონ ხოლმე იმ მთავრობასა, რომელიც რომის კარსა კარგად ექცევა. ამ სახით, ერთის მხრით სულმოკლეობითი შიში რამდენიმე ნივთიერ სარფობის დაკარგვისა, მეორეს მხრით — არა ამაზედ ნაკლები სულმოკლეობითი კრძალვა, განკიცხვის და თუნდ თვით პაპის შეჩვენებისა, შეიკავებდნენ ხოლმე სამღვდელოთა შორის თვით უკეთესებს, გამოჩენილ პირთა ჭკვითა და კეთილსინიდიისიანობით, ამ მიზეზით ნეაპოლიტანის სამღვდელომ განაგრძელა ყურ-მოჭრილ ყმასავით ყოფნა უსამართლო უფლებასთან და ხალხიც მიანება მიწასთან გასწორებულს ნებაყოფლობასა.

ცოტათ ყველაზედ გამბედავთა ზედ შეაფურთხეს ნივთიერ სარბობასა და მიჰსცეს თავის თავი შეჩვენებასა, თანდევნასა, უბინაო ცხოვრებასა, რომ ხალხს ახარონ სიტყვა სიმართლისა, ძირს დაჰსცენ ძლიერნი მჩაგვრელნი ხალხისანი. მათ შორის ნამეტნავად გამოჩენილია გავაცცი. შეიძლებაღა განიკიცხოს იგი ბურბონების და იმათ მოღვაწეობის წინააღმდეგ ქცევისათვის? შეიძლებაღა დაგვაჯერონ, რომ გავაცცი თავის ქადაგებაშია უფრო დაშორებულია ქრისტეს მცნებასა, ვიდრე ყურმოჭრილიყმა სამღვდელო, რომელიც ლოცავდა და ჰფარავდა ამდენ უსამართლოებას და უწყალობას ბურბონების დროს? ამბობენ, სიტყვა ქრის-

ტესი არის სიტყვა მშვიდობისა სიყვარულისა და არა შურისძიებისა და წყევლისა...

ხომ გავაცცი თავის ქადაგებაშია იყოლიებს ხალხსა სიყვარულისათვის და თან-ხმობისათვის; იგი თითქმის განსაკუთრებით ცდილობს შეიკავოს და დაიფაროს ბურბონების მოღვაწენი ხალხის გაბოროტებისაგან და რისხვისაგან. ის ძალად ჰყოფს იმათ და ყველაზედ უარესებს ეძახის „ჯალათებსა“, რომელნიც უნდა მოიყვანონ საერო სამთავროსა წინაშე და არ შეუარაცხყონ კი და აწყენინონ უბრალოდ. მაგრამ, რომ მკაფიოდ, და სხარტედ ლაპარაკობს თვით ბურბონების წინააღმდეგად, არ უნდა დაივიწყოთ, რომ ის ლაპარაკობს იმათ გაგდების პირველ წუთებშია, როცა კიდევ ფრანჩესკოსა ჰყვანდა ჯარი; როცა კიდევ ყოველდღე ემუქრებოდა ხალხს ისევ ნეაპოლში დაბრუნებასა. ამ შემთხვევაში, მაშასადამე, გავაცცი ძლიერის გამკიცხვავად გამოვიდა, მაგალითები მაგგვარ კიცხვისა უანდერძნით ქრისტიანობისათვის ჯერ კიდევ ისრაელის წინასწარმეტყველებსა. თუ იგი უპატივცემულოდ ლაპარაკობდა პაპზედ და კარდინალებზედ, ისინი ხომ ღირსნი იყვნენ მაგისა, ამ შემთხვევაში გულის სირბილე იმათდაძი უაღაგო იქნებოდა: თვით იესო შოლტით გამოჰყრიდა ხოლმე იერუსალიმის ტაძრიდამ გამსყიდავთა და მსყიდველთა.

სხვანი აყვედრიან უფრო ზომიერებით კი გავაცცისა, რომ შეარცხვინაო სამღვდელოს და საეკლესიო კათედრა იმ საგანზედ ლაპარაკით, რომელიც სრულებით სარწმუნოებას არ შეეხებაო. ამაზედ კიდევ შეიძლება პასუხისგება ამის ქადაგების შედარებითა იმათ ქადაგებასთან, ვინცა ამასა ამგვარად ჰკიცხავს. ძნელია კაცმა წარმოიდგინოს რამე იმაზედ უფრო უსიცოცხლო და წარტოლვილი, როგორიც არიან ჩვეულებრივი ქადაგებანი საკათოლიკე სამღვდელოსი. ისინი, მართალია, ლაპარაკობენ აღმატებულ და წმინდა საგნებზედა, მაგალითებრ, არაიშვიათად საკათოლიკე ეკლესიის დოღმატებზედ, წმინდა სამების საიდუმლოებაზედ, ღვთისმშობლის უცოდველ შობაზედა, რომის ეკლესიის წმინდანობაზედ – წინააღმდეგ ლუტერის გადგომილ სარწმუნოებისა, წმინდათა ცოდვილების შეწვენაზედ და სხვანი ამ გვ. მხოლოდ ესე სულ ერთიანად იკარგება უბრალოდ უფრო მეტნაწ-

ილი მსმენელთათვის, იმიტომ, რომ სრულიად ზედ არ ერთვის იმათ ყოფა-ცხოვრებასა, არ აღუძრავს არც ერთ კეთილ აზრსა, არც ერთ პატიოსნურ გრძნობასა. უფრო ხშირად საკათოლიკე სამღვდელონი კეთილზნეობაზედ ლაპარაკობენ: აქ კი, ისე უნდა გვეგონოს, რომ უნდა და ვალდებულიც არიან შეეხონ მოწარმოვე ცხოვრებასა, ჰსთქვან რამე „საერო“ საგანზედა იმისათვის მიანიცა, რომ მსმენელების ყურადღება მიიზიდონ. მაგრამ ისინი სხვა გზაზედ მიდიან: ყოველდღე აიღებენ ხოლმე საგანს ცხოვრებისაგან წარტოლვილს, ლაპარაკობენ ეხლაც, როგორც ათასის წლის წინად ილაპარაკებდნენ, ცხოვრების ახალ საჭიროებასა კი სრულიად პირს არიდებდნენ. როცა მაგალითად, ვჰსთქვათ, ჰსჯიან სამოსლებზედ ანუ საჭმელზედა, მოჰყავთ ნათქვამი წმ. ავგუსტინესი ანუ თომა კემფელისა¹, როგორც უკანასკნელი საბუთი – და მას შემდეგ ხელახლად მოჰყვებიან ძველს, ყველასაგან მოწყინებულს და ყველასაგან ორმოცდაათჯერ გაგონილს დარიგებასა: კრძალვაზედა, ზომიერებაზედ და სხვანი ამ გვ. საზოგადოთ: მარხვა, ლოცვა, სინანული წინაშე მოძღვრებისა, მოთმინება, თავდაბლობა – აი საყვარელი საგანი საკათოლიკე მქადაგებლებისა. ხანდისხან უფრო მაღალ ფარდებს დაჰკრავს ხოლმე მქადაგებელი: მაგალითებრ, მოუნდება თუ არა ლაპარაკი უმანკობაზედ, მოჰყვება იმის დამტკიცებას, რომ, როგორ ასწორებს კაცსა ევე ანგელოზთანა, როგორ პირდაპირ ღმერთთან მიიყვანს, მერე ის, რომ თვით გასაწმენდელსაც გზას ააქცევინებს, როგორ ამასთან ჰქრებიან სულ ყოველნი სათნოებანი და – ქადაგების ბოლოს კინაღამ წყევლასაც არ წამოურევს ხოლმე ქორწინებაზედ, ცოლქრმობაზედა, რომელიც იმათგან გაპატიოსნებულია, როგორც „ეშმაკის მაცდურება“, პირუტყვის მიმზიდველობა „ჩვენის უწმინდურის, ბილწი ხორციელების ცოდვა“ და სხ. ამ გვ. ეხლა ვკითხვამთ, შეიძლებაღა მოელოდეს რამე ზნეობით სარგებლობასა ამგვარ სწავლისაგან, რომელნიც თავის თავსა თითონვე ართმევს ყოველს ცხოვრებითს აზრსა. თუ ესენი აღარ არიან მოსაწყენნი და შეუწყენარებელნი მარტო იმისათვის, რომ ამას იქით დაიჩემონ

¹ თომა კემფელი იყო ღვთისმეტყველი კათოლიკის ეკკლესიისა; სცხოვრებდა XV საუკუნეში.

ტყუილი უცნაურობა.

ერთი რამ არის, მხოლოდ ერთი, რომელსაც ცხოვრებაში ყურადღებას არ მთარიდებენ ხოლმე მქადაგებელნი, – ეგ თავის საკუთარი სარფობაა. იშვიათი ქადაგება იქნება, რომ ან პირდაპირ ან გვერდ-გვერდად არა ჰსცემდეს იქა, რომ შესაწირავი უნდა საყდარს, ე. ი. იმის მსახურებსა. აქ მქადაგებელნი არა შიშობენ, რომ შეარცხვენენ მაგით კათედრასა. ხანდისხან მართალია, პირდაპირ არა ლაპარაკობენ ფულზედა, მაგრამ იტყვიან კი ხოლმე, მაგალითებრ, იმაზედ, რომა მაცხოვრებელია ამა და ამისათვის ამდენი და ამდენი წირვა, რომ ცოდვებისაგან დამსხნელია აღსარება და ინდულგენცია¹ ... მერე კი ფარდას იქით ვაჭრობაც გაიმართება ხოლმე. მაგრამ კი უკანასკნელს წელიწადებში მთელი ქადაგებაები ითქმებოდა ხოლმე მარტო იმისთვის, რომ წმ. პეტრეს ეკკლესიის² შესაწევრად ქრისტიანენი წააქეზონ და წაახალისონ, ამასთანავე, რასაკვირველია, უხსნიდნენ ხოლმე შესაწირავის დიდ ღირსებას ქრისტიანობის სათნოებათა შორის, ითქმოდა ხოლმე, რასაკვირველია, წმინდა პაპის მწუხარებაზედაც, მოიწოდებოდა რისხვა და სასჯელი ღვთისა იმის მტრებზედა და სხ... ესე ყოველიფერი სულ ერთად, რომის ეპისკოპოზების აზრით, არ არცხვენდა კათედრასა და გავაცცის სიტყვები კი არცხვენდნენ!..

აბა რისთვისა? იმისათვის ხომ არა, რომ გავაცცი არა ლაპარაკობდა ისე, როგორც რომის კარი ბძანებდა? ანუ იმისთვის ხომ არა, რომ ებაახებოდა ხალხსა მდაბიურ ენითა ლათინურ სიტყვების შეურევლად, რომელიც ხალხისათვის გაუგებარია? გვეგონია, არც ერთი და არც მეორე არ ამართლებდეს გავაცცის განმკიცხველებსა...

იმედი არის, რომ საკათოლიკე ბრძენთა აზრები დიდი ხანი ვეღარ იქნებიან გამარჯვებულნი მთელ და მართალ აზრებზედა. იტალიაში იმის საპოლიტიკო აღმოშობასთან ერთად ვრცელდება ჭეშმარიტი ცნობა ქრისტეს მცნებაებისა. ეხლა ბევრს ესმის კიდეცა, რომ ამ მცნებაების წარმომადგენელი არ უნდა მონახოს რომის ეპისკოპოზების და აბატების შორის, და სამღვდელოსთან

¹ ინდულგენციას ეძახიან რომის ეკკლესიაში ცოდვის მოტეკებას.

² წმ. პეტრეს ეკკლესია ე. ი. რომის ეკკლესია

საქმის დაჭერაზედ ხელს იღებენ. რაკი რომ იტალიის ნაციონალობა დამკვიდრდება რომშია, დაეცემა კიდევ უკანასკნელი ბოძი საკათოლიკო ობსკურანტობისა¹, და თვით სამღვდლოცა რაკი ნახამს, რომ ეკარგება ფეოდალური², უსამართლოდ შეძინებული უფლება და ამას იქით დარწმუნდება, რომ ვეღარც ხალხის მოტყუება შეეძლება, უთუოდ შემცირდება რიცხვით, მაგრამ ზნეობით კი ამაღლდება, რაკი ფეხს შესდგამს სამოქალაქო მოღვაწეობის სასარგებლო გზაზედ, რათა გაუტაროს და გადაჰსცეს ხალხსა მართალი, მრთელი და ჭეშმარიტად მარგებელი აზრები...

[1862 წ. ივლისი – 1863 წ. იანვარი.

¹ ობსკურანტი — კაცი წინაღმდეგი ახალი მოძრაობისა, რომელსაც დრო მოითხოვს; უგუნური, სიბნელის და გაუნათლებლობის მოყვარე. წარმოსდგება ლათინური სიტყვიდამ *obscurus*, რომელი ნიშნავს ბნელს.

² საშვალო საუკუნოებში დასავლეთის ევროპაში მიწის მფლობელობაში იყო წესი, რომელსაც აქვს მგზავსება ჩვენს წესთან. მიწა გლეხებით ეკუთნოდა ვასსალსა, რომელი იყო დამოკიდებული უმაღლეს ვასსალზედ. ეს უკანასკნელი თავის მხრით ემორჩილებოდა კოროლსა. ამნაირ წყობილებას უწოდებენ ფეოდალურ წესს.



საქართველოს ისტორია

თ. სულხან ბარათაშვილისა

„მანო, მტკიცედ ჰსდევით და შეიკრძალენით
მოძღვრება ესე, რომელიცა გისწავიეს.“

(მეორე თესალოკინელთა მიმართ, ეპისტოლე წმიდისა
პავლე მოციქულისა, თავი II. მუხლი15).

კველი ისტორია საქართველოსი

პირველი გადმონაცემნი

საქართველოს ხალხისა.

(მისი წარმოების ეპოქიდან სახელმწიფოს დაარსებამდინ.)

I.

საქართველოს ხალხის წარმოება და დასახ- ლება კავკასიაში.

ვრცელი დედამიწის ველი, შავისა და კასპიის ზღვის შუა, არეზის მდინარიდამ კავკასიის მთების სათოვლო ზურგამდინა, ძველის ძველად იყო დასახლებული ხალხითა, რომელიც ამჟამად ქართველად არის ცნობილი. დასაწყისი ამ ხალხისა იმ დროე-ბამდინ აღის, როცა დაარსდნენ კაცთა პირველნი საზოგადოებანი და დაფარულია იმავე სიწყვდიადით, როგორათაც დაარსების ისტორია ქალღეისა და სხვათა პირველყოფილ აღმოსავლეთის ხალხთა. ოცდახუთმეტმა საუკუნემ განვლო მას აქეთ, რაც არსებობს წერილობ და ისტორიული ლიტერატურა, ოცდახუთმეტმა საუკუნემ გაიარა ფილოსოფიურ ჭკუის ამო მეცადინეობაში, რათა განსჭვრიტოს ის სიწყვდიადე და გაარჩივოს რამე, მაგრამ რეზულტატად ამ მეცადინეობისა წარმოგვიდგება მხოლოდ ერთი

გონების გადაწყვეტილობა, რომელიცა გვიხსნის პირველ კაცთა საზოგადოებების დაარსების საერთო და ბუნებით ხასიათსა; კერძობითნი გარემოებანი და ვითარებანი კი, რომელნიც შეადგენენ ხოლმე ყოველ ხალხის ცხოვრების განსაკუთრებითს სახესა, რჩებიან სრულიად გამოუცნობელად და გამოუკვლეველად.

ახლანდელ დროში ენათცოდნა და ფიზიოლოგია მიღებულ არიან, როგორც უფრო მტკიცე ღონისძიებანი რომელიმე გამოჩენილ ხალხის დასაწყისის გამოსაძიებლად. ამგვარი სახსარი გამოძიებისა არ არის ჯერ სისრულეში მოსული, მას შეუძლიან ახსნას მხოლოდ შთამომავლობა და მისვლა-მოსვლა ერთი ერთმანეთში ხალხისა; გარნა, სახელდობრ, რაში მდგომარეობდა ეგ მისვლა-მოსვლა, ეს სახსარი ამაზედ არაფერ პასუხს არ გვაძლევს. ამისთვისაც ძველი ისტორია იძულებულია ხოლმე მიმართოს ზღაპარსიტყვაობის გადმონაცემსა, რომელშიაც ისტორიკოსი ცდილობს იპოვნოს მცირედი კვალი მანც ჭეშმარიტებისა.

ძნელია და თითქმის შეუძლებელიც არის შეტყობა: როდის და ვისგან თავდაპირველად შეგროვილა პირად-ნათქვამი გარდმონაცემნი საქართველოს ხალხისა და გადაკეთებულა წელთ-აღწერათა? მაგრამ დასაჯერებელი კი არის, რომ დასაწყისი საქართველოს ისტორიულ ლიტერატურისა ძველ დროშივე ყოფილა. ბევრი ხალხი არის, რომელსაცა არა ჰქონია თავისი საკუთარი მწიგნობრობა და უწერია კი თავისი გარდმონაცემი სხვა ხალხის ანბანის შემწეობით. მაგრამ კი არსად არის ისეთი ხალხი, რომელსაც ჰქონოდეს თავისი საკუთარი მწიგნობრობა და არა ჰქონოდეს კი დაწერილი მატთანე თავისი. გადმონაცემის დაცვა ლიტერატურის შემწეობით ისეთი ბუნებითი საჭიროება არის კაცობრიობისა, რომ ნებას გვაძლევს ვიფიქროთ, რათა ქართული წელთაღწერანი არიან დაწყობილნი იმ ხანებში, როცა პირველად მოუგონიათ ქართული ანბანი, ე. ი. III საუკუნეში ქრისტეს წინ. და მას შემდგომად საქართველოს ხალხის არსებობის მთელ დროების განმავლობაში იწერებოდნენ და ვრცელდებოდნენ.

უმთავრესი ქართული მატთანე, რომელშიაც არის დაცული ძველისძველი გარდმონაცემი და რომელიც წოდებულია „ქართლის ცხოვრებადა“, იყო ცნობილი ჯერ კიდევ XIII საუკ. ამავე

წოდებითა. წარსულის საუკუნის დასაწყისში მეფე ვახტანგ VI-ის ბძანებით ის მატიანე გამოიცივალა, ანუ როგორც გვარწმუნებს ვახტანგ მეფის შვილი ვახუშტი, ის მატიანე გასწორდა მწიგნობართა, ანუ მეცნიერთა კრებისაგან, რომელმაცა მოაგროვა რამდენიმე ხელთნაწერი ეგზემპლარი ამ მატიანესი, მრავალი ეკლესიებისა და წარჩინებულ გვარიშვილების სიგელები, აგრეთვე სპარსული და სომხური წიგნები, შეამოწმა ერთი ერთმანეთთანა, გაასწორა და შეამსო ერთი ძველთაგანი ხელთნაწერი, და გამოსცა იმ სახით, როგორიც არის ახლანდელს დროში ვახტანგის „ქართლის ცხოვრება“. მაგრამ იმ კრებამ თავისი მოქმედებით მართლა გაასწორა ის „ქართლის ცხოვრება“, თუ ვახტანგის მეფობის წინად რომ ყოფილა, იმაზედ უფრო უარესად გააუმჯავსა, ამისი თქმა შეგვეძლო მაშინ, რომა გვქონოდა ახლანდელ დედანთან ძველი „ქართლის ცხოვრების“ დედანიცა.

ეხლანდელ დროების მატიანეს სხვადასხვა ნაწილებში აქვს სხვადასხვა ხასიათი. ზოგან დაბადების კილოზედ არის მოწყობილი, ზოგან მომართულია სომხურის ისტორიის, ანუ სპარსულ პოეზიის ზედმოქმედებითა. რამოდენად არიან მართალნი ფაქტები და ქრონოლოგიურად ერთი ერთმანეთზედ ზედმიყოლილნი, — ამაზედ ჩვენ წერილებში ვეცდებით მივსცეთ საკმაო ანგარიში. ხოლოდ ეს კია, რომ მეფის ვახტანგის მეცნიერთა კრების გადაკეთების შემდეგ ჩვენ მოკლებული გვაქვს ნება, რათა გამოვიყვანოთ სწორე და სასარგებლო დასკვნა მეცნიერებისათვის იმ ფაქტების განხილვითგან და დაფასებიდგან, რომელნიც არიან მატიანეში. რომ დარჩენილიყო ფაქტების განსაზღვრა და დაფასება თვითონ წელთაღმწერლებისა რომელთაც დაუწყვიათ და გაუგრძელებიათ ეს წელთაღწერა, ჩვენის აზრით, არამც თუ იქნებოდა ნაკლებლოვანებად, არამედ ის იქნებოდა ისეთი საჭირო, როგორათაც თვით ფაქტების დაცვა და დაგვეხმარებოდა კიდევ, როგორც მტკიცე ღონისძიება, რათა აგვეხსნა, რამოდენად იყო გავსნილი საქართველოს საზოგადოების გონება და ზნეობა მის ცხოვრების სხვადასხვა ეპოქაშია.

ამოვირჩიეთ რა ეს მატიანე ჩვენის აღწერილების ქვაკუთხედად, ჩვენ ვინმარებთ მხოლოდ ფაქტებსა, რომელნიც იმოდენად არიან

გავრცელებულნი, რომ დავიცვათ მათში მატიანეს ხასიათი და იმოდენადაც მშრალნი, რომ გაღურჩეთ ვახტანგ მეფის მეცნიერთა კრების პირ-წყლიანობის ვარაიციებსა. სხვა მასალები კი, როგორც: სხვა ხალხთა მატიანები, ისტორიები, ქრონოლოგიები, გეოგრაფიები, მოგზაურობანი, სამოქალაქო და სარწმუნოების კანონები და სხვადასხვა განაჩენები, რომელნიც იქნებიან ხმარებულნი ჩვენის წერილების შედგენაში, უნდა მოვიხმაროთ იმისათვის, რომ ქართულ მატიანეს ფაქტებს შეუფარდოთ, გავასწოროთ და შევამსოთ იმოდენად, რამოდენადაც გაგვიჭრის ჩვენი გონება.

ქართული გარდმონაცემი იწყობს თავის მოთხრობასა ნოეს შემდეგ მეოთხე თაობიდან. პირველად გვიამბობს იგი, რომ ქართველები, აგრეთვე სომხებიცა, არიან შთამამავალნი თარგამოსისა ანუ თოგორმისა, იაფეტის შვილის შვილისა, რომ ენათა გაყოფის შემდეგ, თარგამოსი თავის მრავალის ნათესაობით დასახლდა არარატის მახლობლად. თარგამოსის შვილებმა, რაკი გაისაკუთრეს თავისი მამის სამფლობელოდგან ხვედრი ნაწილები, სხვადასხვა მხარეს წავიდ-წამოვიდნენ: ჰაოსმა, სომხების მამამთავარმა, დაიპყრა სომხეთის ტერიტორია; ქართლოსმა კი და მისმა ექვსმა ძმამა¹ დაიჭირეს ქვეყანა არეზის მდინარის ჩრდილოეთის მხარიდგან კავკასიის მთამდე; მეორედ, გვიამბობს იგი, რომ ქართლოსის შემდეგ მის შთამამავლებმა გაიყვეს მთელი ეს ქვეყანა, და რა ააშენეს ქალაქები და ციხეები², ცდილობდნენ, რომ დაიცვან და დაიხსნან თავისუფლება ჯერ ჰაოსის მფლობელობის მოყვარეობის წადილისაგან, მერმე კი მცხეთის მამასახლისების გაძლიერებისაგან. მცხეთის მამასახლისები შთამამავალნი იყვნენ ქართლოსის უფროსის თაობისა; ამათ დიდი ხნის ურთ-

¹ აი, ქართლოსის ძმების სახელები: ბარდოსი, მოვაკანი, ლეკოსი, ჰეროსი, კავკასოსი და ეგროსი.

² როგორც ამბობს გარდმონაცემი ამ საუკუნეებს უნდა მიეწეროს აშენება შემდგომ ქალაქებისა და ციხეებისა: ქართლი, სამშვილდე (ორბისი), მტკვრის ციხე (ხუნანი), ჰერეთი, მცხეთა, გაჩიანი, (სანადირო ქალაქი) ღედა-ციხე, ბოსტან ქალაქი (რუსთავი), ჩელეთი, ოძრხე, თუხარისი, წუნდა, არტანი (ქაჯთ-ქალაქი ანუ ჰური), უფლისციხე, ურბნისი და კასპი.

იერთის ბრძოლაში ისე დაკარგეს თურმე ყოველი მატერიალური გადამეტება სხვა თაობაზედ, რომ ხოლოთ სახელიდა დარჩათ მცხეთის მამასახლისისა; მესამედ, მოგვითხრობს იგივე გარდმონაცემი, რომ ქართველებმა ამ ხანებში დაკარგეს ცნობა ჭეშმარიტის ღმერთისა და დაიწყეს თაყვანისცემა მზისა, მთვარისა და ხუთ ვარსკვლავისა. განსაკუთრებითი ღვთაებრივი პატივი ჰქონია საფლავსა, რომელშიც იყო მდებარე საერთო მამამთავარი — ქართლოსი.

როცა კვითხულობთ ამ გარდმონაცემსა, მაშინვე ვხედავთ, რომ იგი დაბადების და სომხურ ისტორიის დასაწყისის კილოზედ მოწყობილია, ვხედავთ, რომ საკუთრად ამ გარდმონაცემის წელთაღწერითი შედგენა არ უნდა იყოს ისე ძველი, როგორც ეპოქა, რომელსაც იგი სწვდება; უფრო საჯეროა, რომ იგი ყოფილა შედგენილი მას შემდგომ, როდესაც ქართველებმა მიიღეს სარწმუნოება და გაიციეს დაბადება. მაგრამ ამავე დროს ეს გარდმონაცემი იმოდენად არ არის გაუმგზავსებული უჯერო და უშესაბამო ამბებითა, როგორც სხვა ხალხების პირველნი მოთხრობანი, თითქმის ქართველებზედ უფრო გვიან დაარსებულ ხალხებისაცა, ამასთანავე ისე თანახმა არის კაცთა პირველ საზოგადოების დაარსების წესთან და რიგთან, რომ თითქმის გვაძლევს ღონისძიებასა შევადგინოთ რამოდენათმე მართალი აზრი ქართველების შთამამავლობაზედ და ყოფა-ცხოვრებაზედ კავკასიაში დაშენების პირველ საუკუნოებში. ამ საგნისათვის არა გვაქვს სახეშია ამაზე უფრო სარწმუნო ცნობაები.

ქართველების შთამამავლობაზედ არის სხვადასხვა აზრი უწინდელ უცხო ქვეყნების მწერლებისაცა, მაგ: ტაციტი ამბობს, რომ იბერნი და ალბანელნი რაცხამდნენ თავის თავსა თესალიელების შთამამავლად, რომელნიც თან მიჰყოლიან იაზონსა კოლხიდაში და ამის დასამტკიცებლად, ამბობს, რომა იაზონის სახელს ხშირად ხმარობენ იქაურებით (3), Tacite, lib. VI. cap.

34. მაგრამ ეს ისეთი მართალია, როგორათაც დიონისის აზრი, რომელიც გვარწმუნებს, რომ იბერნი არიან მოსულნიო იბერიიდან, პირენეის ნახევარკუნძულიდან. ამას გარდა, შეიძლება წავიკითხოთ ქართველების შთამამავლობაზედ ამავე ღირსების მრავალი

სხვადასხვა აზრი დიოდორისა სტრაბონისა, იუსტინისა იოსეფისა, კედრენისა, ზონარისა და სხვ. გამოჩენილი ეთნოგრაფი ვივიენ დე-სენ-მარტენი თავის კავკასიის პირველყოფილ ხალხის და ძველისძველ გარდმონაცემების გამოძიებაში, რომელიც იყო წაკითხული მისგან 1846-ში პარიჟის ეთნოლოგიის საზოგადოებაში, არჩევს რა ამ ქართველების გარდმონაცემსა, გამოჰყავს ამისთანა გადაწყვეტილება: პირველი, რომ ქართველები და სომხები არიან ძველათვე ორად გაყოფილი შტო ერთისა და იმავე ტომისა, რომელიც ინდოკელტურ ოჯახობას ეკუთვნოდა და მეორედ ესა, რომ ყოველი ხალხი კავკასიისა არეზის მდინარის ჩრდილოეთით პონტო-ვექსინისა და კასპიის ზღვის შუა მცხოვრებნი იყვნენ შთამამავლობით შტონი ქართველის ტომისა. ამასთან სამეცნიერო რიგით ამტკიცებს, რომა, თუმცა ზოგიერთი კავკასიაში მცხოვრები ხალხი განირჩევიან ქართველებისაგან ენითა და გარეგან სახიერობითა – ეს არის სხვადასხვა მიზეზებისა გამო, რომელნიც არიან ზოგი ისტორიულნი და ზოგი ფიზიოლოგიურნი¹.

ჩვენ ვეთანხმებით ვივიენ სენ-მარტენის აზრსა ქართველების შთამამავლობაზედ, ჩვენ ამავე გადმონაცემებიდანვე ვხედავთ, რომ საქართველოს ხალხი დაარსებულა ძველისძველადვე და უცხოვრია ცალკე ბინადარ ხალხად ქართლოსის შთამომავლობის ფეოდალურ მართებლობასა ქვეშ.

რომ ვხმარობთ ამ სიტყვასა „ფეოდალური მართებლობა“, ამით, რასაკვირველია, არ გვინდა შევადართო ისეთი ძველი ეპოქის ქართველების საზოგადოების მყოფიერება ჩრდილოეთის ბარბაროსების მყოფიერებასთან, როცა პირველად დაბინავდნენ იგინი გერმანიის მიწაზედა, რადგანაც საშუალო საუკუნეების ბარბაროსები უფრო მაღლად იდგნენ მაშინდელ ქართველებზედა ჯერ თუნდ იმითი, რომა ნახეს დიდება და ცხოვრების სახე რომის იმპერიისა, რომელიც იმათ შემუსრეს და დაიწყეს ცხოვრება მის სახელოვან და მასწავლებელ ნანგრევებზედა; ქართველებს კი იმ საუკუნეში, როდესაც დაბინავდნენ კავკასიაში,

¹ Vivien de St. Martin. Recherches sur les populations primitives et les plus anciennes traditions du Caucase, p. 95-97.

არ შეეძლოთ ენახათ და არც შეეძლოთ მიმხვდარიყვნენ სხვას რასმეს, რასაც იმათ გარეშე მყოფი ბუნება არ ჩააგონებდა.

საზოგადოდ ითქმის, რომ ყოველი უწინდელი ხალხთაგანი მოაწყობდა თავის ცხოვრებას არა წარსულ დროთა გამოცდილების მიხედვითა, არამედ ისე, როგორც შინაგანი და გარეგანი ვითარებანი ჩვეულებრივად წაიყვანდნენ საქმესა. საქართველოში უმთავრესი შინაგანი ვითარება, რომელსაც დიდი მოქმედება ჰქონია ხალხის ცხოვრების დასაწყისზედ, იყო: პირველი, ადგილის მდებარეობა, რომელიც, რადგანაც, იყო მთიანი და გადაჭრილ-გადმოჭრილი ხეობაებითა, ჰყოფდა ხალხსა მრავალ ნაწილებად. მთები და ტყიანი სერები იყვნენ ამორჩეულნი ქალაქების და სოფლების ასაშენებლად, როგორც საიმედო საფარი ქართველის ცოლ-შვილისა და მის ღარიბის ქონებისა. მთები და ტყიანი სერები უდგამდნენ ქართველს სამხედრო ვაჟკაცობის და თავისუფლების სულსა, და ის მშვენიერი მინდვრებიცა იმ მთების ძირში გადაფენილები, აძლევდნენ ხალხსა მიწის შემუშავების ხალისსა; და მეორედ: ერთი საყოველთაო ენა და სისხლზედ დამოკიდებული ნათესაობა მფლობელებისა, რომელიცა აგონებდნენ ერთტომობასა. გარეგანი ვითარება მიეწერება სხვადასხვანაირ ისტორიულ ფაქტებსა, რომელნიც ატრიალებდნენ ხალხის ბედისწერასა და განვითარებასა. ეგ ფაქტები ქართულ წელთაღწერაში იწყობა ხაზარების მოსევის აღწერითა, რომელიც მომხდარა VII საუკუნ. ქრისტ. წინ. მაგრამ ეს დიდი ცარიელი ალაგი, ეს მეტად შესანიშნავი ნაკლულოვანება წელთაღწერისა ივსება სხვა ქვეყნების მწერლების ისტორიულ და ზღაპარსიტყვაობის ცნობაებითა, საქართველოზედ რომ უწერიათ.

ეხლა ჩვენ გვინდა შევუდგედ ამ ცნობების მოკლე აღწერასა, ეს კი უნდა ვჰსთქვათ, რომ ჩვენ თავს მივანებებთ იმ ამბებსა, რომელნიცა, თავიანთ სიბნელისა გამო მომეტებულ ზღაპარ-სიტყვაობად მიგვაჩნია და რომლებიდგანაც არაფერი განსაკუთრებითი დასკვნაც არ გამოვა, მაგალითად: მოთხრობა გოგზედ და მაგოგზედ, პრომეთეოსზედ, ამაზონებზედ და მრავალს სხვაზედ. უამისოთაც ვიცით, რომ კაკასია უწინდელ დასავლეთის თუ აღმოსავლეთის ხალხსა რაღაც გრძნების ქვეყანა ჰკონებიათ.

ადამიანის გამოხატულობა კავკასიის გარეშემო აგროვებდა ყოველ საოცრებასა და საკვირველებასა და იმათი მითები აქამდინ გაიგონება საქართველოს მდებარე ხალხში, ხან როგორც ყოფილის ამბავი, ხან კიდევ როგორც ზღაპარი. ჩვენ დავწერთ ზოლოდ იმ ფაქტებზედ, რომელნიც საზოგადო ისტორიას მიუღია.

პირველ ცნობაებს საქართველოს ხალხებზედ გვამცნებს ჩვენ მოსე წინასწარმეტყველი, რომელიცა ჰსცხოვრებდა ქრისტეს წინად 1700 წ.¹ მაგრამ იმისი მოთხრობა თავდება იმითი, რომ მარტო თოგორმის, მესხის და თუბალის² სახელებს იხსენიებს. ამის უფრო შემდგომ 1565 და 1499 წელთა ქრ. წინათ³ მომხდარა მოსევა ეგვიპტელთა და დაპყრობა კოლხიდისა სეზოსტრისისაგან, როცა კოლხიდაში მმართველად ყოფილა სელოსი. კოლხიდაში დარჩენილი ეგვიპტელები, როგორც გვიმტკიცებს პლინი, ცდილობდნენ დაერბილებინათ აქაურების ზნე, ჩაენერგათ იმათ შორის პირველი განათლების თესლი და ესწავლებინათ სელის ქსოვილის კეთება⁴.

მზისა, მთვარისა და ხუთ მოძრავ ვარსკვლავების თავყანისცემა, ცხადათ ჰსჩანს, გავრცელებული იყო ეგვიპტელთაგან⁵. რამზესმა, (სეზოსტრისი) რომლის სახსოვრადაც იქონიებდნენ ზოლმე ტადრებსა და მზის სახიერობასა, დაადლო კოლხიდაში თავის მფლობელობის ნიშანი: სახელი იმისი, გადაცვლილი „ხვარამზედ“ და „რამაზად“, მითვისებულია ქართულ სახელწოდებათა შორის, და თვით „მზე“ დაერქო სახელად ქვეყნის მანათობელსაცა. ეგვიპტის კანონებმა, სამგლოვიარო წვერის დაყენებამ და ზოგიერთ შინაურ ცხოველის მოკვლის აგრძალებამ⁶ ქართველების ჩვეულებაში და რწმუნებაში ღრმა კვალი დაუტოვეს. შეხედეთ გამოქვაბულს თმოგვისის და ვარძისის კლდეებს სამცხეში, — ეს გამო-

¹ Dictionnaire d'hist. et de geogr nouv. ed. Boulllet, p. 1200.

² დაბადება, პირველი წიგნი მოსესი, თავი X.

³ Diction p. 1650.

⁴ Plin. I. 33, c. 3.

⁵ Всемир. Ист. Г. Вебера, книга I. ст. 214.

⁶ იქავე, გვერდი 187 „ვინც მოჰკლავს კატასა განძრახვით ანუ უცებ, იმას სისხლის ბრალი აძევს.“

ქვაბული კლდეები, ვინ იცის იქნება ისევ ის აკლდამეები ყოფილან, რომელთაცა მგზავსი ისე მრავალი არიან ნილის მდინარის ნაპირებზე?

XII საუკ. ქრ. წ. საბერძნეთის გმირნი: ფრიქსი, არგონავტები და ულისსი წამოსულან სამჯერ კოლხიდაში. არგონავტებმა ნახეს კოლხიდაში მდიდარი ქალაქი ეა და დიდად ბრწყინვალე, მაშინდელ აზრით, სახელმწიფო კარი აეტესისა კოლხიდის მფლობელისა¹.

იმ ეპოქაში იქაურ მცხოვრებლებმა იცოდნენ თურმე სელის ქსოვილის კეთება, ოქროს გამოღობა და ღვინის დაყენება. ბერძნებმა, რადგანაც იცოდნენ ამ ნაჭირნახულების ფასი და მოხმარება, ამ მდიდარ ქვეყნის ხალხთან მისვლა-მოსვლის გაუწყვეტელობისათვის ააშენეს რამდენიმე კოლონია შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთის პირზედა. ამ კოლონიებთაგანი უფრო უმეტესად შესანიშნავი იყვნენ: პიტიუსი (ბიჭვინტა) და დიოსკური². ალბად, ამავე დროს უნდა მიეწეროს დასაწყისი იმ გამოჩენილ ვაჭრობისა მტკვარზედ და რიონზედ, რომელიცა ჰქონია ევროპიას ინდოეთთანა და რომელზედაცა ჰსწერს ერატოსთენი; ალბად ამ დროსვე უნდა მიეწეროს დაფუძნება ინდოეთის კოლონიისა, რომელსაცა ჰრქმევია სინდიკი³ და რომელიცა ყოფილა აზოვის ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთის პირზედა.

ბერძნების გარდა, ჩვენა ვხედავთ 600 წ. ქრ. წინ. მცხოვრებელ ეზეკიელი წინასწარ-მეტყველის წიგნიდამაცა, რომ მესხებად და თუბალებად ხსენებულთ ქართველებსა ჰქონიათ მისვლა-მოსვლა ფინიკიანელებთანაცა, რომელთაც უგზავნიდნენ სავაჭროდ ტყეებსა და სპილენძის ჭურჭელსა⁴.

ეს მცირედი ცნობაები, რომელნიც გვეხმარებიან ქართულ გადმონაცემების გაშვებულ ალაგების შესავსებლად, ცოტაოდენად გვაძლევენ შეძლებასა დავინახოთ რამოდენათმე მაინც პირველყოფილ ცხოვრების შემდეგ ქართველების განვითარება. იმ დროე-

1 Strab. I. XI. p. 479. Erstath. in Homer; Diodor. Sicil. I.

2 IV. Strad. lib. XI. p. 349.

3 Jbid.

4 ეზეკიელი, თავი XXVII, მუხლი 13 და 14.

ბის ქართველები წარმოგვიდგებიან არა ველურ ხალხად, მცხოვრებელად მარტო ბუნების ზედმოქმედების ქვეშ, არამედ ხალხად, რომელსაცა კჳონია სხვებთანაც მისვლა-მოსვლა, დაფუძნებული ერთმანეთის საჭიროების მიგნებაზედა. მაგრამ, ამასთანავე, სასტიკად რომ გავშინჯოთ, ქართველებს არ შეიძლება მაინც კიდევ დაერქვას ხალხი იმ ეპოქაში, რომელზედაც ჩვენ ვლაპარაკობთ. იმათი მდგომარეობა არ წარმოადგენდა ერთ რასმე მთელსა, შეერთებულ საზოგადოებასა. ისინი იყვნენ ხოლოდ ერთმთამამავალნი ბინადრები ქვეყნისა, სადაც ყოველი ზეობა თავის მცხოვრებლებსა არქმევდა თავისივე სახელსა, რომელიც დამოკიდებული იყო ხანდისხან ყოფაცხოვრების სახეზედაცა, ასე რომ უწინდელი ძველი მწერლები, მოსე წინასწარმეტყველიდამ დაწყობილი რომელთა კავკასიაში მოსევის დრომდე, თავიანთ თხზულებებში თავის დღეში არ ახსენებენ არც ერთს ქართველების სატომოს საზოგადო სახელთაგანსა¹.

თუმცა იმათ იცოდნენ, რომ არსებობს კავკასია და მისი მცხოვრებლები, მაგრამ მრავალნაირს სახელებს ეძახდნენ საქართველოს ტერიტორიის სხვადასხვა ნაწილებში მცხოვრებლებსა. ესე, მაგ. მოსე და სხვა წინასწარმეტყველები იხსენებენ თოგორმის შთამამავლობას, მესეხსა და თუბალსა; არგონავტებს უნახავთ კოლხიდა; დეოდოტე და ქსენოფონტე იხსენებენ ხალიბებსა², მოსხებსა³, ტაონიანებსა⁴, მოზინოკებსა⁵, თიბარენებსა, ალაროდიანებსა, მათიანებსა, საპირებსა და სხვებსა. ამ გუნდა-გუნდად ყოფნის მიზეზი, როგორც ზემოთა ვჳსთქვი, იყო მიწის მდებარეობის ზედმოქმედება, ანუ, როგორც ამბობს გადმონაცემი, განაწილება საქართველოს ტერიტორიისა ქართლოსის შთამამავალთა

¹ საზოგადო სახელნი ქართველის ტომისა არიან: ქართველი, იბერნი ანუ ივერნი, გეორგიანნი, გურჯი და გრუზინი.

² ამ ხალხის სახელი ბერძნებმა დაარქვეს ფოლადსა, რადგანაც ხალიბები ძველადვე იმით იყვნენ შენიშნულნი, რომ კარგათ აკეთებდნენ რკინეულს.

³ მესხნი.

⁴ ტასკარელნი.

⁵ მეგრელნი.

შორის. ამ მდგომარეობაში იყვნენ ქართველები აზიაში მაკედონელების შემოსევამდე, ე. ი. იმ დრომდე, ვიდრე ძლიერმა და გაუწყვეტელმა გარეგან სამხედრო მოქმედებამა არ დაანახვა ხალხსა საჭიროება ერთად შემოჯგუფებისა და კავშირისა.

ეგრეთი მდგომარეობა ჰქონდა საქართველოს სატომოსა ხაზარების შემოსევამდე, რომელზედაც ხალხის გადმონაცემის შემწეობით გავაგრძელებთ ეხლა ჩვენს მოთხრობასა.

II.

საზართა უმოსევისათვის.

თარგამოსიანთ ღიდმშვიდობიანობის დროს ხაზარები გაძლიერდნენ და დაიწყეს ზედ მოსევითა კავკასიის ხალხის აშფოთება. ამ უკანასკნელთა ჰსთხოვეს მოშველება თავიანთ ერთ-შთამამავალ ხალხებსა და რაკი მიუდგნენ ყველანი ერთი ერთმანეთსა, თითონაც შეცვივდნენ ხაზარების სამზღვრებშია. მაგრამ, რაკი რომ მალე ამოარჩივეს ხელმწიფე, ხაზარები დაიდრნენ და გამოიარეს კავკასიის კარი და წამოვიდნენ სამხრეთისაკენ. ვერავინ ვერ გაუმარდა იმათ სიმრავლესა: იმათ ააოხრეს სულ ყოველისფერი, რაც დახვდათ წინა არარატამდე და მასისამდე, აუოხრებელი დარჩნენ მხოლოდ ზოგიერთი ადგილები ქართლში და სამეგრელოში. ამ მოძრაობის დროში ხაზარებმა იპოვეს კავკასიის მთებში სხვა ახალი გზა, რომელსაც ეხლა ეძახიან დარიალის გზასა. მას შემდგომ ხაზარები ხშირად დაეცემოდნენ ხოლმე კავკასიის ხალხს; და ამ დაცემებიდან ის გამოვიდა, რომ თარგამოსიანები ხაზარების მოხარკედ შეიქნენ.

კავკასიის ჩრდილოეთის მხარეს დატყვევებულ ხალხთაგან ხაზარებმა შეადგინეს ორი სამეფო: ერთი თერგის წყლიდან მთების დასავლეთის კიდურამდე თავიანთ მეფის შვილის უობოსის მფლობელობასა ქვეშე, მეორე – აღმოსავლეთის კიდურამდე თავიანთ მეფის ბიმა-შვილის მართებლობისა ქვეშე, უობისის ქვეშევრდომილ ხალხთაგან დაარსდნენ ოსები, მეორე სამეფოდგან კი, სადაც ააშენეს ქალაქი სოზანისი, ანუ ხუნზახი, ჩამოდიან

დალესტნის ხალხნი.

ხაზარების მფლობელობა იყო იმ დრომდე, ვიდრე სპარსებმა აფრიდონის მეფობის დროს არ განდევნეს ისინი. ეს ხაზარების შემოსევა არის ისტორიული ფაქტი VII. ის საუკ. ქრ. წ., გამოჩენილი სახელითა: „დიდი შესევა სკვითებისა აზიაში“, რომელიც ზედ მოჰყვა კიმმერიანების მცირე აზიაში შემოსევასა. ხაზარები, რომელნიც ბინამოუკიდებლად (ელად) სცხოვრებდნენ მდინარე ვოლგის და კასპიის ზღვის პირებზედ, იყვნენ ევროპიელ ძველ მწერალთაგან ცნობილნი სკვითებად, ამ ძველ ჩრდილოეთის ველური ხალხების საზოგადო სახელითა, ესლანდელი ისტორიკოსები კი რაცხვენ იმათ ხან თურქების, ხან ფინების შთამამავლობად. ეს ბარბაროსები მართლა გამოვიდნენ კასპიის კარებით სამხრეთშია¹ და დაჰსცეს ზარი არამცთუ არარატამდე, არამედ მთელ ზემო და მცირე აზიასა, სირიასა, თვით ეგვიპტემდინაცა. რა თავზარის დაცემამ გაიარა იმ გზებზედა, სადაც იმათ გაუვლიათ, შეიძლება ცოტად მაინც წარმოვიდგინოთ იერემია წინასწარმეტყველის დაღადებიდამა. იმათი მფლობელობის უღელი ყველაზედ უფრო მძიმედ დაედვა მიდიელებს და სხვა კასპიის ზღვის მახლობლად მდებარე ქვეყნებსა. ხაზარები ოცდარვა წლის განმავლობაში განაახლებდნენ ხოლმე ზედაცემასა, ვიდრე ბოლოს ციაქსარმა², მიდიის მეფემა არ განდევნა ისინი სრულიად. სკვითებმა დაატყვევეს და წაიყვანეს მრავალი ქართველი, სომეხი და ნამეტნავად ერანიდგან მიდიელები. ამ ტყვეთწყევანილმა ხალხებმა მერე, რომ უკან დაბრუნდნენ თავის ქვეყნებისაკენ, იმ გზებზედ დაარსეს ახალი თემები ამ სახელებით ცნობილნი: მეოტენი და სარმატები, ჩრდილოეთისა მიდიელნი, რომლების ნაწილსა ესლაც უწოდებენ ირონებს – ეგ ოსები³ არიან. ამ სახით ქართული გადმონაცემნი საკმაოდ თანახმად არიან

¹ Herodot. საზოგადო ისტორია.

² Herodot. lib. IV. cap. 12.

³ შოპენი „Замеч. на кн. Обозр. Россійск. за Кавказ.“ გვ. 7. ის პოტოცკის და კლაპროტის გამოძიებაზედ ამყარებს თავის აზრს; ეს გამოძიებანი კიდევ დაფუძნებული არიან ლეროდოტეს, დიოდორის, პტოლომეის ქართულ წელთაღწერილების ნაჩვენებთა შეფარდებაზედ.

ისტორიულ მოთხრობებთანა, ერთი ეს კია, რომ ისინი სრულიად არ იხსენებენ ამ ყოფილის უწინარეს კიმმერიანების დაცემასა, რომელნიც გასულან კავკასიის ყელით მცირე აზიაში. მაგრამ კი არც საზოგადო ისტორიიდანაჲ კსნანს, რომ კიმმერიანთ სანამეტნავო მოეხდინოთ რამე ქართველებისაგან დაჭერილ მხარეებშია, ამის გამო მისატყვებელია ქართულ წელთაღწერისათვის, თუ ესე დაშორებულ დროების ამბავში გაშვებულია მაგისტანა ფაქტები. მაგრამ ერთს უთანხმოებას ჩვენ დიდს დაბრკოლებაში შევევართ: ქართული გადმონაცემი ხაზარების განდევნასა აწერს აფრიდონსა, ფიშაღლიანის დინასტიის მეფესა და არა ციაქსარსა, კაიანიდის დინასტიისასა, რომელსაც ისტორია აწერს სკვითების განდევნასა მაშინ, როდესაც მიღებულ ქრონოლოგიით რომ გავმინჯოთ, აფრიდონი მეფობდა 7501 წელიწადში მაინც ქრ. შ. წინაჲ, მამასადაჲ, ასის წლით² უფრო წინაჲ ციაქსარზედ. პირველი შეხედვით ეს უთანხმოება შეიძლება მიიღოს ან გვიანდელ გადამწერის, ან კიდევ თვითონ წელთაღმწერისა განუძრახველ შეცდომად; მაგრამ შემდგომი ხალხის გადმონაცემის მოთხრობა არ გვაძლევს ნებასა, რომ იმათ დავაბრალოთ.

III.

მეცადინეობა ფიშაღლიანისა და კაიანიდების დინასტიისა საქართველოში მფლობელობის და მთავრობის დაპყრობისა.

სპარსეთის მეფემ აფრიდონმა, ანთებულმა ხაზარების შურისძიებით, რომელნიც აოხრებდნენ არა მარტო საქართველოსა და სომხეთსა, არამედ სპარსების სამფლობელოებსაცა, გაგზავნა იმათ საწინააღმდეგოდ სარდალი **არდამი**. არდამის ჯარს სიხარულით

¹ Diction. d'hist/ et de geogr. p. 1400: ფიშაღლიანის დინასტია, როცა აფრიდონის შვილები დახოცეს, მაშინ ამოწყდა, ესე იგი თითქმის 733 წ. ქრისტ. წინ.

² Всемир. ист. Г. Вебера; გვ. 483. ციაქსარი მეფობდა 633 დან 593 წლამდე

მიეშველნენ სომხები და ქართველები და სრულად გარეკეს ხაზარები იმ მხარეებიდან. სპარსეთის სარდალმა საქართველოს განთავისუფლების შემდგომ მისცა ქართველებს სრული ნება, რომა ეცხოვრათ თავის ჩვეულებაზე, და ქართველებმა რაკი ნახეს იმისი ეგრეთი კეთილ მოქცევა, შეიქნენ იმისი მორჩილნი და ყოველისფერს უგონებდნენ. არდამმა ააშენა დარუბანდის ქალაქი; მთების და ზღვის შუა ვიწროებში შეაბა რკინის კარები, რომ იმითი შეეყენებინა ხაზარების მიმართულება სამხრეთის ქვეყნებისაკენ. მას შემდგომ შემოავლო მცხეთის ქალაქს ქვითკირის გალავანი და პირველად შემოიღო საქართველოში ქვისა და კირის ხმარება შენობისათვის. აფრიღონის ხელმწიფობის დროს სპარსნი არამც თუ აწუხებდნენ ხარჯის გაწერითა ქართველებსა, არამედ ყოვლის ღონისძიებითა სცდილობდნენ ქართველების გაძლიერებასა, იქამდისინ რომა მარტო შესძლებოდათ ხაზარების შეკავება, რომელნიც ისე საშიშარნი იყვნენ, როგორათაც ქართველებისათვისა, ისრე სპარსებისათვისაც. მაგრამ როდესაც გამეფდა აფრიღონის შვილი **იარედ**, მაშინ სპარსებმა გაამრავლეს თავისი ჯარი საქართველოში და დაუწყეს ქართველებსა ხარჯის თხოვნა. ამან აამღვრივა ხალხი, და რა წამსაც გაიგეს ქართველებმა, რომა სპარსეთში გაჩნდა ურთიერთ შორის ომი, მაშინვე დაეცნენ სპარსებსა, დაამარცხეს და გარეკეს საქართველოდგანა.

ქეკაპოს (კაი-კავუს) წამოვიდა კავკასიის მხარეს საომრად, მაგრამ ერთ იქაურ მფლობელთაგანის მანქანებითა დაბრმავდა და იძულებულ შეიქმნა შერიგებოდა ქართველებსა და დაბრუნებულყო უკანვე სრულიად ურარაოდ. მაინც კიდევ ექვსის წლის შემდგომ გამოისტუმრა თავისი შვილი **ფარშოროტ** მრავალის ჯარითა საქართველოს და სომხეთის დასაპყრობლად. ქართველები და სომხები შეიყარნენ ერთად, მოიწვიეს თავის მეზობლად მცხოვრებელი ხალხი, დაუხვდნენ მტერსა და გარეკეს. ხუთს წელიწადს შემდგომ სპარსნი კიდევ დაეცნენ სომხეთსა და საქართველოსა ქაიხოსროს წინამძღოლობის ქვეშ დაიპყრეს სომხეთი და მრავალ სისხლის დანთხვევის შემდგომ დაიჭირეს საქართველოს ნაწილიცა, მაგრამ დაბრუნდა თუარა ქაიხოსრო სპარსეთში თურანის დასაპყრობლად, მაშინვე იმისი ჯარი, რაც დარჩა საქართველოში,

გასწავლიტეს ქართველებმა.

ამასობაში ქაიხოსრომ დაამარცხა თურანელები და სხვაც მრავალი ხალხი, დაატოვებინა მათ თავიანთი ქვეყანა და მოაძებნინა ბინა სხვის ქვეყნებშია. ამგვარად გაფანტული თურანელები, ასურელები, ბერძნები და თვით ხაზარებიცა მრავალ რიცხვით მოვიდნენ თავისის ცოლ-შვილით საქართველოში და სთხოვეს ქართველებსა აქ დადგომის ნება. მცხეთის მამასახლისმა ამ ქვეყანის მთავრების თანხმობით მისცა იმათ ადგილი და დააბინავა ქართველების სოფლებს შორის ისე, როგორც ებრაელები, რომელნიც ამაზე წინათ იყვნენ გაფანტულნი ნაბუქოდონოსორისაგან. ამნაირად საქართველოს ხალხი მსწრაფლად უფრო გამრავლდა და გაძლიერდა მაგრამ ამ დროებიდგან ქართველებს გამოეცვალათ ენა, (რომელიც სომხებისათვისაც და ქართველებისათვისაც აქამდისინ ერთი იყო); და სხვადასხვა ენების შეერთებიდგან შედგა ახალი ენა-ქართული; გამოიცვალა და გაფუჭდა სარწმუნოება; ნათესაობითი შეუხებლობა ქორწინებაში აღარ იყო, მკვდრების დამარხვა გადავარდა ჩვეულებიდან, – თვით მკვდრებსაც ხმარობდნენ საჭმელათა.

რამდენისამე დროების შემდგომ სპარსეთის მეფის ვაშტაშაბის შვილი, **სპანდიათ-რვალი** წამოვიდა ქართველების საბრძოლად, მაგრამ გზაზე გაიგო თავისი პაპის მოკვლა სპარსეთში და დაბრუნდა უკანვე; მაგრამ ამითი მაინც ვერ გადაარჩა საქართველო.

მაშინათვე, სპანდიათის სიკვდილის შემდგომ, სპარსეთის ხელმწიფის ტახტზედ დაჯდა იმისი შვილი, ბაამანი, წოდებული არდაშირად, რომელმაცა მრავალ ქვეყნების დაპყრობის შორის დაიპყრო საქართველოცა და გაწერა ხარჯი. ამითი თავდება ხალხის გარდმონაცემი, პირველად ხაზარების მოსვლითგან დაწყობილი ალექსანდრე მაკედონელის აზიაში მოსვლამდინ. ეს მოთხრობა, როგორცა სჩანს, შერდგენილია პირად-ნათქვამ გადმონაცემის, სპარსული პოეზიის და ზენდ-ავესტის ნათქვამების წამებისა შერევისაგან, რომელიცა უფლობდა საქართველოშიაცა, ვიდრე განვრცელდებოდა ქრისტეს სარწმუნოება.

აღმოსავლეთის ხალხის ძველებურ ყოფა-ცხოვრებაზედ არის ორნაირი აღწერა: ერთია დამყარებული აღმოსავლეთის მოთხრობაე-

ბზედა, მეორე – ბერძნებისაგან შემოგროვილ და საზოგადო ისტორიაში უფრო საჯაროდ მიღებულ ცნობაებზედა; ამ ორ აღწერაში არის უთანხმოება, რომელიც ვიდრე ისტორიულ კრიტიკით არ გაირჩევა, შეიძლება ქართულ ზემო-თქმულ გადმონაცემისაგან გამოვიყვანოთ მხოლოდ ერთი დასკვნა ამგვარი, რომა სკვითები-საგან განთავისუფლების შემდგომ საქართველოში დადგა ეპოქა მიდი-სპარსეთის მფლობელობისა და დამკვიდრდნენ უცხო ქვეყნის ელემენტები, რომელთაც უფრო მცირე-მცირე ნაწილებად დაჰყვეს ხალხი კერძობითი სახელებითა.

სხვა მწერლებიდგანაც ჰსჩანს, რომ ქართველი ხალხის მაშინდელი მდგომარეობა მართლად არ წარმოადგენდა ერთსა მრთელსა საზოგადოებასა თვით სახელწოდებითაცა. ღეროლოტეს, ქსენოფონტეს და სხვა ძველებურ მწერლების ცნობები საქართველოს ტერიტორიის მცხოვრებლებზედა შეადგენენ მხოლოდ შემოკლებულ აღწერასა მრავალ ცალკე-ცალკე მყოფ საზოგადოებისასა, რომელთაც არამც თუ მარტო ყოფა-ცხოვრებაში არა ჰქონიათ ერთობა, არამედ თავიანთ საზოგადო მტრის საწინააღმდეგო მოქმედებაშიაც. ღეროლოტე მოიხსენიებს ხოლოთ ერთ შემთხვევას, რომელსაც ერთ კატეგორიის ქვეშ მოჰყავს ისინი, სახელდობრივ: როცა ის ჩამოჰსთვლის ქსერქსის არმიასა და ამბობს, რომ მოსხები, თიბარიანები, მაკრონები, მოზინოკები, მარდები, ქოლხიდელები, ალაროდეები და სიფირები იყვნენ ერთ კაცის ბძანების ქვეშ, რომელსაც ფარანდათი ერქვა.

მთელ ამ საზოგადოებათა შორის ყველაზედ უფრო გამოჩენილი იყვნენ ხალიბები, ხალხი მეომარი და ხელოსანი. ისინი სცხოვრებდნენ კოლხიდის სამხრეთ-დასავლელის მხარეზედ. იმათ რკინეულის და ფოლადის ხელობის სახელი გავარდნილი ჰქონდათ ჯერ კიდევ გომერის დროსა. იმათი ნამუშავარის დასაწყობი ადგილები მიწდომილნი იყვნენ სინოპამდისინ და ამიზამდინ; მაგრამ მეექვსე საუკუნეში ქრისტეს წინად, ხალიბები დაარბია კრეზმა და გამორეკა აღმოსავლეთისაკენ. ქსენოფონტეს 400. წ. გაეკლო იმათ ქვეყანაზედ და ამბობს, რომ იმათ ეხურათო ჩაბხუტები, ეცკათ რკინის პაჭვიჭები და სელის ქსოვილის დომლუდები გულზედ; სარტყელზედ ეკიდათ მოკლე ცელები და ჰქონდათ

შუბები სიგრძით თხუთმეტი მწყრთა. რომ დაინახეს ბერძნები, ისინი წინ მიეგებნენ სიძლერითა და თამაშითა და გულუშიშრად დაუწყეს ომი და იმათ ქვეყნებზედ მდებარე გზაზედ არაფერი არ დაანებეს.

ხალიბების ქვეყნიდგან, სამხრეთ-აღმოსავლეთით, ცხოვრებდნენ ტაოხიანები, რომელთაც არ მოსდევდათ ისეთი გულადობა. ამავე მწერალის მოწმობით, ბერძნები რომ გამოჩნდნენ იმათს ქვეყანაში, ისინი იქამდინ აირივნენ, რომა დასტოვეს თავისი სახლები, გაიტაცეს თავისი ცოლ-შვილი, გაცვივდნენ მთაში ყოველფერ ნუგბართა და როდესაც ბერძნები, შიშისა გამო რომ არ დაიღუპნენ შიშშილისაგან, შემოეხვივნენ გარშემო, მაშინ არამც თუ მარტო ცოლები თავის შვილებით ცვიოდნენ კლდე-ღრეში, არამედ ქრემბაც კი მიჰბაძეს იმათს მაგალითსა; დაუტოვეს რა ბერძნებსა დავლად მრავალი რიცხვი პირუტყვი, ცხვარი და სახედრები¹. თიბარიანებზედ ამბობს ქსენოფონტე, რომა ისინი იყვნენ მშვიდობიანი მწყემსი ხალხი²; ისინი, როგორათაც მაკრონებიცა, დაუმშვიდნენ ბერძნებსა, მისცეს უხვი საგძალი და გაჰყვნენ წინამძღოლად კოოტიარის ქალაქამდინ³.

თიბარიანები და მაკრონები, როდესაც ახლდნენ ქსერქსსა, შეიარაღებულნი იყვნენ ისრე, როგორათაც მოსხები და მოზინოკები. იმათ ეხურათ ხის ჩაფხუტები, ხელთ ეჭირათ პატარა ფარი და გრძელი შუბები მოკლე ხის ტარებითა⁴. მოზინოკები იყვნენ ბარბაროსი ხალხი და მძლავრი; იდგნენ ხის სახლებში და ამისთვის ბერძნებმა დაარქვეს ეს სახელი. სადგომები ჰქონდათ გაფანტული მთაში და ბარში. მაგრამ ისე, რომა პირველსავე ალიაქოთში და გაჭირებაში ადვილად შეეძლოთ მოგროვება ერთმანეთის საშველად⁵. ეს ოთხი უკანასკნელი თემი და მათთან

¹ Xenoph. p. 338.

² თიბარიანები (თუმცა ქსენოფონტის აღწერიდგანა სჩანს, რომა იდგნენ დასავლეთით ტაოხიანებზე, მაგრამ მგონია ისინი სცხოვრობდნენ თაფარავანის ტბის გარეშემო აღმოსავლეთით ტაოხიანების გვერდით.)

³ Xenoph. p. 340.

⁴ Herodot. I cap. 60.

⁵ Xenoph. p. 351.

მარდნი, დარია ისტასპის დროსა შეარდგენდნენ განმარტოებულს სასატრაპოსა სპარსეთის სახელმწიფოსასა, და აძლევენდნენ ყოველ წელიწადს სამას ტალანტს ხარჯსა; ალაროდიანები, საფირები და მათანები შეარდგენდნენ მეორე სასატრაპოსა, და აძლევენდნენ ორას ტალანტსა¹. ალაროდიანები, საფირები და კოლხიდელები იყვნენ ერთნაირად შეიარაღებულები, ეხურათ ხის ჩაფხუტები, ჰქონდათ ფარი ხარის ტყავისა, ხმლები და მოკლე შუბები². კოლხიდელები აძლევენდნენ ხარჯათ სპარსეთსა 100 ბიჭსა და 100 გოგოსა³. იმათს შორის ძველადგანვე სცხოვრებდნენ ეგვიპტელები, რომელნიც ლაპარაკობდნენ თავის სამშობლო ენაზე, ჰქონდათ თავისი ადათი და ღვთის თაყვანისცემის წესი⁴. კოლხიდელების ჩვეულებაზე ღეროდოტე ამბობს ერთს შენიშვნასა, რომელიც ამტკიცებს ცოტაოდენად ქართული მატიანეს სიტყვასა: ის ამბობს, რომა კოლხიდელები მკვდარს არა მარხვენო, გარეთ დაზდებენ მფრინვლისა და ნადირის საჭმელად, და მას შემდგომ მიცვალებულის ხსენება აღარ იყო სამარადისოთ⁵. ეს ადათი ისრე, როგორათაც ახლო ნათესავის ცოლად შერთვა, ღვიძლი და-ძმის დაქორწილება, არის დასამტკიცებელი საბუთი, რომა ზოროასტრის სარწმუნოება იყო დამკვიდრებული საქართველოში ღეროდოტეს დროებამდისინაც. რომელიც სცხოვრებდა 450 წ. ქრისტეს წინად; ამისათვის რომა ეს ადათი გამოძინარეობდა ვენ-დიდისა წესდებულებისაგან, მიღებული იყო ბაკრეთში, გირკანეთში და სხვა ქვეყნებშიაცა, სადაც ეს სჯული დიდის პატივით იყო მიღებული⁶.

და ესრედ, თუ საპირნი არ იყვნენ იბერნი ანუ იბერიელები⁷, და თუ კარდუსიანები არ იყვნენ ქართლოსიანები ან ქართველები, მაშ აქამომდინ უწინდელს მწერლებს არავის არსად არ უხ-

¹ Herodot.

² Herodot. Iib. VII cap. 60.

³ Ibib, lib. III, cap. 7, get. 97.

⁴ Ibib, lib. XI, cap. 104. Ibib,

⁵ lib. I, cap. 140.

⁶ გ. ვებერი. საქვეყნიერო ისტორია. წიგნი I, გვერდი 460 და 467.

⁷ Atlas universel de Geogr. ancienne et moderne, dressee par A.

Tardieu, ed. 1858, carte # 2.

სენებია ისეთი სახელი, რომელიცა მიღებულ ყოფილიყო ქართველებ-ის საზოგადო სახელად. მხოლოდ მოსე ხორენელი, ისტორიკოსი მეხუთე საუკუნისა ქრისტიანობის დროებისა, ამბობს, რომა სომხეთის მეფემ ტიგრანმა, როდესაც მისცა შემწეობა სპარსეთის მეფეს კირსა, ასტიავის საწინააღმდეგოდ, შეაგროვა ყველა ივერიელი და ალბანელი ჯარისკაცი და დიდის სომხეთის გამორჩეული მეომარი ხალხი და წავიდა მიდიაში, მაგრამ მაინცდამაინც არ არის საეჭვო, რომა თემის სახელები: მოსხი ან მესხი, ტონიანე, ან ტაოსიანე, მაქრონნი ან მეგრელნი, ან კოლხიდელნი – არის სახელები საერთო საქართველოს ხალხის ნაწილებისა და არიან იმის დაურღვეველ საბუთებად, რომ იმ ძველთაგან ძველ დროებაში არსებობდნენ.

აი სულა, რაც ვიცით უცხო ქვეყნის მწერლებისაგან საქართველოზე აღექსანდრე მაკედონელის აზიაში მოსვლამდინ, რომელნიც შესაძლონი არიან, რომ შეეფარდოს წინად თქმულ ქართულ გადმონაცემებსა.

IV.

გადმონაცემი ალექსანდრე მაკედონელზე და იმის მოადგილე აზონზე საქართველოს სამეფოს დაარსებაში.

ხალხის გადმონაცემი სპარსეთის მფლობელობის ამბავს რომ ათავებს, მოგვითხრობს, რომ ბერძნეთის ქვეყანაში, რომელსაც ეძახიან მაკედონეთსა, გამოჩნდა ალექსანდრე ფილიპეს შვილი, რომელმაც დაიპყრო ყოველი მხარე ქვეყანისა. დაიწყო დაპყრობა დასავლეთიდან, გადალახა სამხრეთი, შემდგომ ჩრდილოეთი და იქიდან კავკასიაზედ გადმოვიდა საქართველოში. ალექსანდრემ ნახა, რომ ურწმუნოა და უზნეო ქვეყანა ესე, გარნა იქ მცხოვრებნი მეომარნი არიან და გამაგრებულ ციხე-ქალაქების მექონენი. იმან აიღო სულ ის ქალაქები, დააყენა შიგ თავისი ჯარი და მისცა მართებლობა ერთს მაკედონელთაგანს სარდალს აზონ პატრიკსა და უბრძანა, რომა მზისათვის, მთვარისათვის და

ხუთი ვარსკვლავისათვის ხალხს თაყვანი აცემინოს. ალექსანდრეს დაბრუნებისა და სიკვდილის შემდგომ, შეუბრალებელმა და ულმობელმა აზონმა დააქცია გალავანი მცხეთისა და სიმაგრენი სხვა ქალაქებისაც, დაიპყრო სამეგრელო ზღვამდინ, დაადო ხარჯი ოსებსა, ლეკებსა და ხაზარებსა. ამან შემოიტანა საქართველოში კერპთთაყვანისცემა, დაიწყო ხოცვა გამოჩენილ ქართველებისა, რომელთაც ხალხში ხმა ჰქონდათ და განწირულებამდე მიიყვანა ხალხი.

იმ დროს მცხეთაში იყო ერთი ყმაწვილი კაცი **ფარნავაზი**, ძმისწული უკანასკნელ მცხეთის მამასახლისისა სამარისა, რომელიც მოკვდა ფარნავაზის მამასთან ერთად ალექსანდრე მაკედონელისაგან; დედითკი ისპაჰანელ სპარსის ქალიდამ იყო ჩამოძვალნი. მამის სიკვდილის შემდეგ, სამის წლის ფარნავაზი გააპარა დედამ და დამალა კავკასის მთებშია. იქ დავაჟუცდა, დაბრუნდა მერე სამშობლო ქვეყანაში, სადაც გაითქვა გვარისშვილობით, ცხენის და იარაღის მარჯვე ხმარებითა. ხშირად ურჩევდა ხოლმე დედა ფარნავაზსა, რომ არ დაუახლოვდეს საშიშარს აზონსა, ჰსთხოვდა თავი დაანებოს საქართველოსა და გადასახლდეს სპარსეთში. ფარნავაზი დიდხანს ყოყმანობდა დედის რჩევის თანხმობაზედ, ბოლოს როცა თითქმის დაეთანხმა კიდევ, ერთს ღამეს ნახა სიზმარი, რომ ვითომც ის იყო შემწყვდეული ცარიელ და ბნელ სახლში, რომელსაც არა ჰქონდა გამოსავალი და სწუხდა ამაზედ; მაგრამ მსწრაფლ მიაღგა მზის შუქი, შემოერტყა ფარნავაზსა და გამოიყვანა მინდორზედ. აქ იმან ნახა, რომ მზე ქვემდებარებდა. მინდორი უხვად იყო მონამული ცვარითა. მაშინ ხელით მოხოცა ცვარი და იმით დაიბანა პირი. როდესაც გაეღვიძა, ფარნავაზმა იფიქრა, რომა სპარსეთში იმას უთუოდ ბედნიერება რამ ელის, და ამ ფიქრით ატაცებული, იმ დღეს მარტოკა წავიდა სანადიროდ. იქ საშინელმა წვიმამ მოასწრო; შესაფარებელ ადგილს რომ ეძებდა, ფარნავაზმა დაინახა ერთი გამოქვაბული კლდე, რომელსაც შესავალი ამოქოლილი ჰქონდა. ფარნავაზმა საჩქაროდ გამოანგრია, შევიდა გამოქვაბულში და განცვიფრდა, როცა ნახა აუარებელი განძი, კლდეში შენახული. როდესაც წვიმამ გადილო, ფარნავაზი გამოვიდა კლდიდან და გულმოდგინეთ მიაფარა შესავა-

ლი კლდისა; შემდგომ, რაკი დედასაც შეატყობინა ეს ამბავი, ყოველ ღამე დაიწყო იქ სიარული და გადმოზიდა თავის სახლში ყოველიფერი.

როდესაც ნახა თავისი აუარებელი სიმდიდრე, ფარნავაზმა სპარსეთში წასვლისა უარი უთხრა თავის დედასა; და მაშინ სულ სხვა ფიქრი მოუვიდა: მოინდომა განთავისუფლება საქართველოსი აზონის ტირანიისაგან და აღდგინება თავის საკუთარ უფლობისა მასზედ.

პირველი შემწეობა ამ აზრის აღსრულებისათვის მისცეს ფარნავაზსა სამეგრელოს მთავრის შთამამავალმა **ქუჯიმ**, ლეკებმა და ოსებმა, შემდგომ სირიის ხელმწიფემ ანტიოქმა და სომხეთის სპასალარმა. ქართველებიც მსწრაფლად მიემხრნენ ფარნავაზსა, აზონი კი გაიქცა კლარჯეთში, სადაც ფეხი მოიკიდა კიდევ თითქმის ერთი მთელი წელიწადი. მაგრამ არტანუჯის მახლობლად ომი მოხდა და იქ მოკვდა; მთელი საქართველო კი, აზონისაგან ერთ ხალხად შეკრებილი, დარჩა ფარნავაზსა. ზოგიერთ აღმოსავლეთის მწერლების მოწმობის გარდა სხვა ჩვენ არაფერი გვაქვს, რომ დავამტკიცოთ ალექსანდრე მაკედონელის საქართველოში ყოფნა მართალია თუ არა. მაგრამ იქნება, რომ იმის სახელის და საქმის ქვეშ დაფარულია სახელი და საქმე იმის სარდლებისა, რომელთაც ცნობაში და მორჩილებაში მოჰყვანდათ საქართველო, როგორც სპარსეთის სამეფოს მეთვრამეტე და მეცხრამეტე სასატრაპოები. აგრეთვე ძალიან საეჭვო არის ისა, რომ თითქო ალექსანდრე მაკედონელმა საქართველოს მმართველობა პირდაპირ მიანდო თავისს სპასპეტს აზონსა, რომელიცა, როგორც ამბობს მათიანე, მფლობელობდა საქართველოში ფარნავაზის გამეფებამდინ; ამისათვის, რომა მოსე ხორენელი ამბობს, რომ უკანასკნელი სატრაპი დარიისა იბერიაში იყოვო მიტრიდატი, რომელსაც ალექსანდრე მაკედონელმა ჩააბარაო იბერიის ტყვეები¹.

ეს უკანასკნელი ჩვენება მით უმეტესად დასაჯერია, რომ ეს მიტრიდატი, ჯერ კიდევ 317 წ., როგორათაც საქართველოს სატრაპი, დაესწრო ომში, როდესაც **ევმენი** ებრძოდა ანტიგონსა². ეს

¹ მოსე ხორენელი, წიგ. II. თავი X.

² St. Martin, Recherchers sur I¹hist. de I¹Azie, chap. XIX.

ომი დაბოლოვდა ამითი, რომ ევმენი დამარცხდა, ანტიგონმა კი დაიჭირა მთელი ის ქვეყანა, რაც ეჭირა ალექსანდრე მაკედონელსა აზიაში; მიტრიდატი და სხვანი ევმენის მოსარჩლენი დაიხოცნენ და იმათ მაგიერად დანიშნენ სხვა სატრაპები. (43) *Ibīd.*

თუ აზონის ყოფნა არ არის მოგონილი, ან უადგილოდ ხმარებული არგონავტების წინამძღვრის იაზონის სახელი, რომელიც ბუნდად დარჩა ქართველების გარდმონაცემშია მაკედონელის თანამოღვაწეთა და მოადგილეთა სახელებ შორის, მაშ დასაჯერია, რომ ის აზონი იყო არა ალექსანდრეს მოადგილედ, არამედ ანტიგონისა იმ პერიოდის განმავლობაში, რომელიც იწყობა მიტრიდატის სიკვდილიდამ ფარნავაზამდე, და მართავდა საქართველოსა თავის შეუბრალებელ პროტექტორის მგზავსად.

რაც შეეხება თვითონ ფარნავაზის პიროვნებასა, მგონია არ არის საეჭვო, რომ ის იყო შთამომავლობით სპარსი, შვილი, ანუ ძმისწული ამ მიტრიდატისა, იმიტომ, რომ ქართული გადმონაცემი იხსენიებს იმას დედით ისპაჰანელ სპარსის ქალის შვილად, მამით კი (მამის სახელი არ არის მოხსენებული) ძმისწულად სამარისა, უკანასკნელ მცხეთის მამასახლისისა, რომელიც მოჰკლა ალექსანდრე მაკედონელმა. რომ დავაკვირდეთ ამ ნათქვამსა, ჩვენ მოგვეცემა საფუძველი ვიფიქროთ, რომა ის იყო შვილი უკანასკნელ მცხეთისა ან ივერიის სატრაპოსა, რომელიც მოჰკლა ანტიგონმა და არა ალექსანდრემ, თუნდ ნურაფერსაც ნუ ვიტყვით იმაზედ, რომ თვით სახელი (ფარნავაზი ან ფარნაბაზი), სწორედ სპარსული სახელია¹. ამასთანავე, მიუცილებელ საჭიროებადა ვხედავთ, ყურადღება მივაქციოთ შემდეგს გამოკვლევისა: თუ ფარნავაზის მამა მოუკლავთ, როგორც ამბობენ, ალექსანდრეს საქართველოში ყოფნის დროსა, იმისი ეგვიპტეში მისვლის წინად, 332 წელსა, მაშინაც ფარნავაზი იქნებოდა სამის წლისა, მაშ როდესაც ფარნავაზმა დაუწყო ბრძოლა აზონსა 268 წელს, იქნებოდა 67 წლისა და არა ყმაწვილი კაცი; მაშასადამე, ამის მამის სიკვდილი უნდა იყეს უფრო გვიან; და მეორე ესა, რომა თეიმურაზ ბატონი-

¹ ფარნაბაზი, სატრაპი მცირე აზიისა, რომელიც ცხოვრებდა V საუკუნის ბოლოს და ხელს უმართავდა სპარტას პელოპონეზის ომების დროს.

ვილი, ანტონ ქათალიკოზისა და სხვა ისტორიკოსების სიტყვით (რომლებიც სახელგანთქა არ იხსენიებენ), ამბობს, რომ ფარნაოზის მამა იყო სამარის ძმა, მცხეთის მამასახლისისა, დარია კოლომანისა ერთი შინაურთაგანი კაცი; თავისი სიყმაწვილის დროს აღზრდილმა სპარსეთში, მხედრობით, სიმარდითა და ვაჟკაცური შეხედულებით იმან მიიღწია უმაღლესს ადგილსა სპასპეტებთა შორის სპარსეთის ხელმწიფისა, რომელმაც მისცა ამასა თავისი ქალი ცოლად. დარია კოლომანის დაცემის შემდგომ, ისა ზოგიერთის სპარსეთის ჯარის ნაწილით მოვიდა მცხეთაში, მაგრამ ისა და იმისი ძმა სამარი დახოცა ალექსანდრე მაკედონელმა, საქართველოს აღების დროსა და სხ...¹ მაშასადამე, ფარნავაზის დედა იყო ახამენიდების გვარისა, და მამამისი, მოკლული მაკედონელებთაგან, იყო სიძე დარია კოლომანისა. გალლისის საბერძნეთის ისტორიკოსი იყენ ვიციით, ერთი დარიას სიძე, მოკლული თვითონ ალექსანდრეს ხელითა ომში გრანიკის მახლობლად, სადაც არის მოკლული კიდევ ვიღაც ომარი (იქნება იყოს სამარი), რომელიც იყო სარდალი ნაქირავებ დარიას ჯარისა. ამ სიძეს ერქვა მიტრიდატი². მაგრამ, როგორც ჩვენა ვნახეთ ზემოთა, მიტრიდატი, სატრაპი იბერიისა, სცხოვრებდა ალექსანდრეს დროსა და შემდგომაც, როდესაც მოხდა შფოთი მაკედონელების სპასალარებთა შორის, და მოკვდა ანტიგონისაგან³. ამ ჩვენების მოსაზრვიდგან წარმოვედგება ჩვენა აზრი, რომ ეს ორივე მიტრიდატები იყვნენ ერთი და იგივე პირი; ზოლოთ დროება, ადგილი და გარემოება სიკვდილისა არის ნაჩვენები სხვადასხვანაირად. ეს აზრი არის დამყარებული იმ საფუძველზედაცა, რომ ერთის მიტრიდატის, იბერიის სატრაპისა, შთამამავალთაგანსა, დიდ მიტრიდატს, პონტიის ხელმწიფეს, ერქვა აგრეთვე ახამენიდი⁴.

¹ ისტორია თეიმურაზ ბატონიშვილისა, გვ. 3.

² История Греции Галлиса, часть 8, гл. 37.

³ Моис. Хор. кн. II, гл. X. da St. Martin, Recherches sur l'hist. de l'Azie, chap. XIX.

⁴ ჩვენი სტატიები იყო დაბეჭდილი გაზეთში: Кавказь 1861 w. ## 53 da 70 სახელწოდებით „Вопрось о происхождении Митридата Великаго” და „Дополнение к этому вопросу.”

ხალხის გადმონაცემშია, რომელიცა ჩვენ წარმოვადგინეთ ამ თავში, ისევ ძველი სპარსობის კილო უფლებს, როგორცა ჰსჩანს. ის ადგილი ქართულ მატანეში, სადაც არის მოხსენებული მაკედონელის გაბმა სარწმუნოების საქმეშია და იმისი მოწადინება და ზრუნვა სარწმუნოების გამოცვლისათვის, აშკარად გვაგონებს სპარსების გადმონაცემსა იმაზედ, რომ ალექსანდრემ დაჰსწო ზენდავესტის სამლო წიგნები და დაამდაბლო სარწმუნოება¹. არა გვგონია კი, რომ ამ გადმონაცემში სიმართლე ერიოს.

წადილი და ზრუნვა ალექსანდრესი და იმის მემკვიდრებისა: სელევკისა და ანტიოქისა სრულიად სხვანაირი იყო. ყველაზედ მომატებული ფიქრი იმათი ის იყო, რომ გზები გასსნან შორეულ და უცნობ ქვეყნებისაკენ და დაადგინონ მისვლა-მოსვლა სხვადასხვაგვარ ხალხთა შორის. ამით ფიქრის და ზრუნვის წრიდამ არ იყვნენ გამორიცხულნი კავკასიის მხარენი. პატროკლის და ერთოსფენის წერილებიდგან ვიცით, რომ ძველთაგანძველს დროებაში უპირატესი გზა დასავლეთის ხალხის კომმერციისა ინდოეთთანა გადიოდა საქართველოზედ². უფრო გვიან დიდის პომპეის ბძანებით ვარრონისაგან მტკიცედ გამოკვლეულ ცნობაებიდგან ვიცით, რომ სავაჭრო საქონელი ინდოეთიდგან ინდის მდინარითა ერთ კვირას მოდიოდა ბაქტრიაში, აქედან იკარის მდინარით, მერე მტკვრით, სურამამდე, აქედამ შორაპნამდე სმელეთით და ბოლოს რიონის მდინარით შავ ზღვამდე³. მაგრამ ბოლოს ამ სავაჭრო გზაზე სიარულს დაუშალეს რამდენადაც ერთის მხრით ბარბაროსების შემოსევამ, იმოდენადაც მეორეს მხრით, განათლების მოძრაობამა და ეგვიპტელებისა და ფინიკიანებისა ზღვით მოგზაურობის განვრცელებამა, ბოლოს მაკედონელების დაპყრობამა. იმათ იპოვნეს სხვა გზა ინდოეთში მიმავალი არაბეთის ყურეზე და სპარსეთზე. ალექსანდრიის ქალაქის აშენებით კი, სრულიად დაამცირეს ამ გზის მნიშვნელობა.

ეს თუმცა ესრე იყო, მაგრამა კასპიის ზღვაზე დიდხანს ეჭირათ

¹ Всемирн. Истор. Г. Вебера, кн. I, стр. 412.

² Strab. lib. XI, p. 351.

³ Plin. L. VI, c ap. 19

თვალი ალექსანდრესა და იმის თანამოღვაწეებსა. იმას ეგონა, რომ კასპიის ზღვა იყო ნაწილი ჩრდილოეთის ოკიანისა და ამის კიდურებს შეეძლოთ აღმოეჩინათ ახალი სახელმწიფოები და ახალი სავაჭრო მიქცევა-მოქცევა გამოეჩინებოდა. ამისთვის იმან, რამდენიმე ხნის სიკვდილის წინად გამართა იმ ზღვაში ფლოტი და გაგზავნა შესატყობრად: ხომ არა აქვს გასავალი ამ ზღვას ოკიანეში შავის ზღვითა, ან სხვა ზღვებითა ინდოეთში¹. თავდაპირველად მოიყვანეს ცნობაში სამხრეთის მხრივ მდებარე ზღვის ნაპირები, მას შემდგომ იპოვნეს აღმოსავლეთის ნაპირები იაქსარტის მდინარემდინ, შემდეგ დასავლეთისა-ალბანიამდინ და ალბათ, დარუბანდამდინინაცა, რომელიცა ქადულობს გადმონაცემითა, რომ ალექსანდრე იმის ამშენებელი იყო². არის კიდევ ნაჩვენები, რომ ალექსანდრეს ჯარი მისულა გიპპანისის წყლამდინ³. რასაკვირველია, ბოლოს დროსა ამაზედ შედგენილი აზრი, გიპპანისის წყლის სახელს უწოდებს არა ყუბანსა, არამედ რომელღაც სხვა წყალსა, რომელიც ზღვის შესართავის ახლო ჩადის ინდის მდინარეში, მაგრამ ეს არის შეცთომა, განვრცელებული იმ მწერლებთაგანა, რომელთაც არ იცოდნენ, რომა გიპპანისი ერქვა მხოლოდ ყუბანის წყალსა და იმის ზღვის შესართავში ცხოვრობდნენ უწინდელს დროში აგრეთვე სინდები, როგორათაც ინდის წყლის შესართავშიაცა⁴.

ალექსანდრეს სიკვდილის შემდგომ სელევკ ნიკატორსა ჰქონდა კასპიის ზღვაში თავისი ფლოტი, ბრძანებისა ქვეშე პიტროკლისა, რომელსაცა ჰქონდა მინდობილი, რომა კიდევ ეშინჯა ამ ზღვის ნაპირები. ახალ ნაპოვნს ნაწილსა ზღვისასა დაარქვეს სელევკის ზღვა და მაშინათვე შეადგინეს დაწყობილება შავის ზღვისა და კასპიის ზღვის არხით შეერთებისათვის. მაგრამ სელევკი ამ დიდ

¹Montesquieu, *l'Esprit des Lois*, L. XXI, ch. 9.

² დარუბანდის ძველს კელესსა აქამდინაც ალექსანდრეს კელესს ეძახიან.

³ Montesquieu. *l'Esprit des Lois*, L. XXI, ch. 9.

⁴ Strab. lib. XI, p. 349. — იქ, სადაც ინდი ზღვაში ჩადის, იმის ახლოს ინდს ერთვის მდინარე თანახმოვანი გიპპანისისა, გაფასისი.

საქმის აღსრულების თადარიგში რომ იყო, მოკლეს¹. ანტიოქე I, რომელიც თანაპგრძნობდა თავის მამის წინადადაწყობილობასა, არ მოშალა კასპიის ზღვაზედ მართველობა², და ქართული მატ-იანე რომ იხსენიებს ფარნავაზს იაზონზედ ანტიოქი შეეწიაო, ცხადად ამტკიცებს, რომ ბედი ქვეყნისა, რომელზედაც იყო ბრძო-ლა, ძალიან სანუკვარი იყო ანტიოქესათვის და უნდოდა იმ ქვეყ-ნის მფლობელი კაცი იყოს იმისაგან დავალებული.

V.

დაარსება სამეფოსი.

III საუკ. ქრის. შ. წინ. საქართველოში იწყება საუკუნოებით მომზადებული ხალხის ცნობიერი ცხოვრება, რომელსაც ნაციონალობას ეძახიან. საქართველოს სახელმწიფოს დაარსების ჩვეუ-ლებრივი საფუძველი მომზადებული იყო: პირველი, ერთტომობა უფროსთა საზოგადოებათა, თუმცა კი გაფანტულთა კარგა დიდ სივრცეზედ და დიდხანს ყოფილთა ცალ-ცალკედ ადგილობრივ მიზეზებისა გამო; მეორე, სპარსეთის მფლობელობის ზედმოქმედება, რომელმანც დაახლოვა ერთი ერთმანეთთან ისინი და ერთის სახელმწიფოს სახელითა და სულითა ორ სატრაპის მართებლო-ბასა ქვეშე აწარმოვა იმათი ცხოვრება; და მესამე, განვითარება თვითონ ტომისა, როგორც სპარსეთის ფლობელობის წინად, აგრეთვე ამავე პერიოდის განმავლობაში. თანდათან საზოგადოებანი შეეჩვივნენ მიწის შემუშავებასა და ვაჭრობასა, ერთის მხრით, მდიდარ ბუნების მიხედვით, რომელიც უხვად აჯილდოვებდა მუ-შის შრომას; მეორეს მხრით – იმითი, რომა ჰქონდათ მისვლა-მოსვლა ეგვიპტელებთან, ბერძნებთან და ფინიკიანებთანა. რე-ლიგიური სისტემა ეგვიპტელებისა და შემდგომ სპარსებისა, იმათ გულში დანერგული, აჩვევდნენ იმათ კანონის მორჩილებასა და დასასრულ ყოველ წლის ხარჯმა, რომელსაც ართმევდნენ სპარსე-თის ხელმწიფეები, დააჯერა, რომ ყოველწლივ ხარჯის ძლევა მიუცილებელი საჭიროება არის სახელმწიფოსათვის.

პირველი გამოთქმა ქართველების ნაციონალობისა იყო,

¹ Plin. L. VI, cap. 2. L'Esprit des

² Lois, liv. XXI, ch. 9.

რასაკვირველია, შეერთება ყველა ერთშთამამავლობის საზოგადოებათა ერთი ერთმანერთის სასარგებლოდ და დასაცველად საზოგადო მტრისაგან ერთის პირის უმაღლეს მმართველობასა ქვეშე. რამოდენადაც შეიძლება გამოკვლევა მატიანეთაგან, ჰსჩანს, რომ ფარნავაზის სახელმწიფოსა ჰქონდა სამზღვრებად: დიდი ზურგი კაკკასისა, ენგურის წყალი, შავი ზღვისპირი ეხლანდელ ბათუმამდე, იქიდგან მთები, საიდგანაც გამომდინარეობს ჭოროხის წყალი თავის ტოტებითა პალაქაციოს ტბამდე; შემდგომ მთები, რომელნიც მდებარებენ დებედის წყლის მარჯვენა მხარეს მტკვრამდე და ბოლოს ალაზანი იმ წყლებით, რომელიც აღმოსავლეთის მხრით იმას ერთვიან.

ფარნავაზმა გაჰყო თავისი სამეფო თავის თანამოღვაწეთა შორის რვად თუ ცხრა ნაწილად, რომელთაც ჰქვიანთ საერისთავო. ქართული მატიანე აჩვენებს ყოველ საერისთავო სამზღვრებასა, მაგრამ ძნელი მისაღებია სიმართლე მაგ ნაჩვენებისა, ამის გამო, რომ ავჰსცდეთ შეცდომებსა ჩვენ ამ წერილებში, ვერ ვბედავთ იმ სამზღვრების აღწერასა. მაგრამ კი მზათა ვართ, დაუთმობთ ალაგი სხოლიოში მხოლოდ თეიმურაზ ბატონიშვილის ნაჩვენებსა¹.

¹ ისტორია თეიმურაზ ბატონიშვილისა გვ. 115. პირველ ერისთავად (ფარნავაზმა) დააყენა ქუჯი, რომელსაც შერთო თავისი და, და ჩააბარა ადგილი რიონის წყლიდამ დაწყობილი ეგრისის წყლამდინ: მთელი კოლხიდა, სვანეთი და დასავლეთის მხარე ზღვამდე. მეორე ერისთავი დააყენა შორაპანში და მისცა ქვეყანა მცირე-მიხიის მთიდგან ზღვამდე და დაღოს მთიდგან რიონამდე. კახეთში, ჰერეთში და კუთხეში, რომელნიც შეარდგენდნენ კახეთის ნაწილებსა, დანიშნა მესამე ერისთავი. მეოთხე დააყენა ხუნანში, და დაუნიშნა მამული ბერდუჯსა და მტკვარს შუა, გარდობანი ტფელისამდე. მეხუთე დანიშნა სამშვილდეში და მისცა მამული სკვირეთის წყლიდგან, გაჩიანის ზემოთ ფანავრამდე აბოცი-თურთ. მეექვსე წუნისის ერისთავსა მისცა მამული მტკვარის სათავის აღმოსავლეთის მხარეს ფანავრამდე. მეშვიდე ოძრახისა დააყენა ტაშისკარს ზემოთ პონტის ზღვამდე და ჭოროხის წყლამდე. მერვე გაამწესა კლარჯეთში და მისცა მამული, რომელიცა იმან (ფარნავაზმა) დაიპყრო პონტის ზღვამდე; და მეცხრე ერისთავი დანიშნა შიდა ქართლში. — ესენი იყვნენ მმართველნიცა და სპასპეტნიცა; ისინივე ართმევენენ ხალხს ხარჯსა და წარუდგენდნენ ხელმწიფესა.

ერისთავები იყვნენ უმთავრესნი მონაწილენი მმართველობაში და აღმსრულებელნი ხელმწიფის ბრძანებისა; ყველა მათგანი წარმოადგენდა თვითონ ხელმწიფესა თავის საერისთავოში და ჰქონდათ უფლება თავისი თანამდებობა დაეტოვებინათ თავისს შთამომავლობისათვის. ეს უფლება იყო ჩვეულებრივი შედეგი, ანუ გაგრძელება ქართველების ტომის ფეოდალიურ ცხოვრებისა, რომელიც დაიწყო ქართლოსის სიკვდილშემდგომ, იმის შემკვიდრეთა შორის მამულების გაყოფიდან და დამკვიდრდა მათ შორის დედამიწის სიკეთის მეოხებითა რავენიძე საუკუნოებისა განმავლობაში. ფარნავაზმა დაამტკიცა თუ არა ეგ უფლება, მაშინვე საქართველოში აღმოჩნდა: პირველი, მამულის მფლობელობის უფლება, როგორც კერძობით და სავაგარეულო საკუთრებისა და მეორედ: აზრი ხალხის დაყოფისა ოთხ ხარისხად, რომელნიც არსებობდნენ საქართველოს სამეფოს თვითმდგომარეობის მთელ დროების განმავლობაში. კერძო პირების მამულის უფლება, ეგ იშვიათი მაგალითი ძველ ხალხებ შორის – დააფუძნა ფარნავაზმა, ალბათ, იმ შემეცნებისაგან, რომ ეგ უფლება პატრიოტობის გრძნობასთან ერთად შეადგენს ნივთიერ სარგებლობას და მით გააძლიერებს ქვეშევრდომთა შორის თავის სამშობლო მამულის დაცვის მხნეობასა. რადგანაც ძველ ხალხებს დედა-მიწა მიაჩნდათ საყოველთაო კუთვნილებად, საკუთრების შეძინება კი, მხოლოდ ვაჭრობით შეეძლოთ, ამისათვის იმათ ერჩივნათ საცხოვრებლად უფრო ის ქვეყანა, სადაც უფრო კარგად შეენახებოდნენ და ერთი ორად ექცევიდნენ მოძრავი კაპიტალი. ისინი ძრიელ ადვილად ანებებდნენ თავსა მამა-პაპის სასაფლაოსა, სამშობლო კიდეებსა, მთებსა და გარდასახლდებოდნენ შორს ქვეყნებში, აშენებდნენ კოლონიებსა ან ამოიჩვენებდნენ ისეთსგვარს ცხოვრებასა, როგორათაც ძენი ისრაილისანი და სომეხნი, რომელთაცა სამშობლო ქვეყანა წარმოადგენდა ადვილად საშოვარსა დამპყრობელთათვის. ოცის საუკუნის სასტიკი ბრძოლა საქართველოს ხალხისა ყოვლად-ძლიერ დამპყრობელთათანა დაუძლიერებლობის დასაცველად იყო შეურყეველი იმ დრომდე, ვიდრე უკანასკნელ მეფეთა შორის ერთმა არ შეარყია ძველებური მამულისუფლება უმაღლეს ხარისხისა.

ეს ხარისხები იყვნენ: 1.) სამთავრო, ან სათავადო, რომელიც შეეფარდება ფეოდალურს ანუ „УДЕЛЬНОЕ КНЯЖЕСТВО“ 2.) აზნაურნი, თანასწორი სარაინდო ხარისხისა; 3.) მოქალაქენი და 4.) გლეხნი.

მთავარნი ან თავადნი უფრო მეტად შთამომავლობდნენ იმ საქართველოს ნაწილების მთავრებისაგან, რომელნიც დაარსდნენ ქართლოსის მექვიდრეებთა შორის მამულების განყოფისაგან ან იყვნენ შთამომავალნი უცხო ქვეყნის ხელმწიფეებისა; ხოლო აზნაურებად, მატანე იხსენიებს მაკელონელის მოადგილე აზონის თანამოღვაწეთა. ყველა ერისთავები იყვნენ მთავრების ხარისხი-დამ ამორჩეულნი. მთავარნი ანუ თავადნი ჰვლობდნენ არამც თუ მამულის საკუთრებასა და ყმებსა, აგრეთვე, როგორც მეფეებს, ყვანდათ თავისი ქვეშევრდომელნი აზნაურები (რომელნიც რუსის მთავრობისაგან შეირაცხნენ „დვორიანებად“), მამულითა და ყმითა; იმას არ შეეძლო ყოფილიყო აზნაურშვილათ, ვისაც არა ჰქონდა დასახლებული სოფელი და თავის თავადის პირველივე დამახვითა არ გამოცხადებოდა საომრად გამზადებულ რიცხვით კმასაყოფელ მსახურებითა (უბრალე ჯარისკაცებითა), ჯოგის ცხენებითა, თავის გაწყობილობით და სხვა კუთვნილებით სალაშქრო ცხოვრებისათვის¹ სტრაბონი იბერიის აღწერილებაში გვიმტკიცებს, რომ ამ ქვეყანაში ყოფილა ოთხი საერო ხარისხი².

ფარნავაზს მიეწერება აგრეთვე დადგინება სამხედრო თანამდებობებისა და მოწოდება სპარსეთიდან მაგებისა (იქნება მოგვებს რომ ეძახიან, მაგები იყვნენ?) ზოროასტრის სარწმუნოებისა წესიერებაში მოსაყვანად.

ჩვენ ვგონებთ არ იყოს საჭირო გამოვწეროთ აქა შიგმდებარება ზენდ-ავესტისა, როგორც იმისათვის რომა ამაზე ჩვენს დროებაში ძრიელ მრავალი რამ არის დაწერილი, რომლითაც ზენდ-ავესტასთან საკმაოდ გაცნობილია განათლებული საზოგადოება, ისე იმისათვისა რომა სხვადასხვა ხალხსა ზენდ-ავესტის მცნება ჰქონდათ მიცემული სხვადასხვანაირად ადგილობრივი

¹ ლეოლრაფიული აღწერა ვახუშტისა გვ. 12.

² Strab. I. 6. XI.

ცხოვრების შეფერებისა გამო. საზოგადოდ კი, ის იცავდა საკუთრებასა, უფლებასა, ჰსძულდა ბიწიერება და ტანის უსუფთაობა, ნამეტნავად სდევდა ქურდობასა და მოტყუებასა; ახალისებდა მიწისმოქმედებასა და კეთილზნობასა და ბძანებდა ყმაწვილკაცობის მწიგნობრობაში აღზდასა. მაგრამ სასარგებლო მცნებათა შორის იმაში იყო ბევრი უმზგავსი წესები და ცრუ-წამებანი, რომლის კვალიცა დარჩა აქამომდე ზოგიერთს ადგილას საქართველოში, როგორათაც, მაგალითებრ სვანეთში: დაჭერა მამლისა მამაკვდავის წინა. „მამალი გვატყობინებსო დღის მოახლოებასა და სიბნელის ლტოლვასა, არის ნათქვამი ვენდიდადაში, ის კივის ყოველ ღვთიურ განთიადისას და იძახის: აღზდევიდ, კაცნო, აქებდეთ მშვენიერს სიწმინდესა და განდევნეთ ღვენი“¹. მისგან ნებადართული იყო მახლობელ ნათესავთა შორის ქორწინება, მკვდრის დამარხვა კი აკრძალული იყო.

გვერდია, ქართული ხალხობა ყველაზედ უფრო მაღლობელი უნდა იყოს ამ მეფისა, რომ მწიგნობრობა შემოიტანა და შემოიღო საკუთარი ნაციონალური ქართული ანბანი, რომელსაც „მხედრული“ ჰქვიან. სახელმწიფოს დაწყობილობის ფორმები და სარწმუნოება მართავს ხოლმე ხალხის შინაგან ცხოვრების განვითარებასა, მაგრამ ეს ყოველი მალე ირღვევა და გაუშვზავსდება ხოლმე იქ, სადაც მწერლობა არ არის. მწერლობა ხელს უმართავს, განავითარებს, უკეთესობაში შეიყვანს ხოლმე ყოველფერსა, რაც კი საფუძვლად დევს ხალხის ყოფა-ცხოვრებაში. ეს ქართული „მხედრული“ ანბანი, როგორც ჩანს, არის შედგენილი ზენდურიდან² და ისეთ ოსტატობით არის შედგენილი, რომ შეიძლება დამტკიცებით ვსთქვათ, რომ ჩვენ დროშიაცა არც ერთს ხალხსა არა აქვს ანბანი ენასთან ისე კარგად შეფერებული და მოგვარებული, როგორც ქართველებსა.

¹ Всемирн. Истор. Г. Вебера, кн. I, стр. 457.

² ზოგიერთი ქართული ასოები ჰგვანან აქნობადღის კიდევ ზენდის ასოებს. ნახე ნიპურისაგან გამოცემული ანბანი. მაგრამ ასოების რიგი თავის მნიშვნელობით თითქმის ევროპიულის ანბანისა არის.

პეტრე უსლარმა რომ განარჩია და შეუფერადა სხვა ანბანებსა, ჰსთქვა, რომა: „რომ შევხედოთ ქართულს ანბანსა თვითონ ქართულის ენის მიხედვით, მაშინ არ შეიძლება არ ვაღიაროთ, რომა ის აკმაყოფილებს თავის მოთხოვნილებასა: არა მგონია, იმ ანბანებს შორის, რაც ეხლა არის, ქართულ ანბანზედ სრული იყოს სადმე. ყოველი ხმა გამოიხატება საკუთარის ნიშნითა, ყოველი ნიშანი წარმოადგენს ყოველთვის ერთსა და იმავე ხმასა. ყოველ ევროპიის ენებში ორფოგრაფიის გამო არის წამოსაბორძიკებელი რამ, ქართველებისათვის თავიანთ ანბანის სისრულისა გამო ეს სიძნელე თითქმის არ არსებობს.“ ქართველების პირველ დროების ლიტერატურულ მოღვაწეობის თხზულებათაგანმა არც ერთმა, ჩვენდა სამწუხაროდ, ჩვენამდე არ მოაწივა. სხვათა შორის კი, ჩვენა გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ თხზულებები, შესაძლო იყო, რომ ბევრნი ყოფილიყვნენ, მხოლოდ ისინი გაწყვიტეს ქრისტეს სარწმუნოების მიღების შემდგომ, როგორათაც წარმართობის მწერლობის ნაშთი. ამგვარი დევნა იმ თხზულებებისა ჰსჩანს ჯერედ იქილამ, რომ საქრისტიანო სამღვდელლომა IV საუკუნეში შეადგინა ახალი ანბანი „ხუცური“¹, ალბათ, იმისათვის, რომ ხალხს აღარ წაეკითხნა მხედრული ძველი წიგნები.

ამას და გარდა ფარნავაზ მეფეს მიეწერება დადგინება საქართველოში ტახტმემკვიდრეობისა, გამაგრება და დაშვენება დანგრეულ ქალაქებისა; აშენება შორაპნისა, ამ ძველ დროში გათქმულ სავაჭრო საქონლის საწყობისა, იმ საქონლისა, რომელიც მოჰქონდათ ინდოეთითგან ევროპაში². და სხვა მრავალი საკეთილო მოქმედება და ღვაწლი.

რაკი ამითი ვათავებთ ერთს ნაწილს ჩვენის წერილებისას, რომელსაც უწოდეთ პირველი გადმონაცემი საქართველოს ხალხისა, ჩვენ მას წინად ვიდრე მივეყვებით შემდგომს ისტორიულს

¹ ხუცური ანბანი შეუდგენია სომეხს მესროფს, რომელზედაც მერე ვიტყვი.

² Strab. L. XI, p. 343. Plin. L. II, cap. 6.

მოთხრობასა, წარმოვადგენთ გეოგრაფიულ აღწერას საქართველოსასა იმ ეპოქაში, როცა დაიწყო იქ მონარხიული მმართველობა*.

* ეს თხზულება რედაქციამ მიიღო ავტორისაგან რუსულ ენაზედ. მისგან გამოგზავნილი რვეული შეიცავს ძველს საქართველოს ისტორიას და იმედი გვაქვს, რომ მერეთ ის გამოგზავნის დანარჩენსაც, ასე რომ, რედაქცია იმედოვნებს წარმოუდგინოს თავის მკითხველებს მთელი ისტორია საქართველოსი. რედაქცია თავის თავზე იღებს, თუ რამე გაუგებარი და უკანონობა არის ამ სტატიის აღნაქვსში, რადგანაც თარგმანი მას ეკუთვნის. მაშასადამე, ავტორს ამ მხრით არა დაებრალე-ბა რა. ხოლო რაც შეეხება ნათარგმნის სისწორეს ორიგინალთან, რედაქცია იმედოვნებს, რომ ავტორის აზრები გადმოღებულია ნამდვილად. ამ შენიშვნასთან რედაქცია სარგებლობს შემთხვევით გამოუცხადოს ავტორს გულთადი მადლობა ამ შრომის გამოგზავნისათვის. ჩვენი სამშობლო ისტორია ისე დაუმუშავებული არის და ისრე ცოტა არის ნაწერი მაზედ, რომ ყოველი შრომა, სადაც კი იქმნება ახსნილი რომელიმე კითხვა წარსული ხალხის ცხოვრებიდამ, რედაქცია მიიღებს დიდის მადლობით. მის უმეტესად სასიამოვნო იყო რედაქციისათვის მიღება ამა თხზულებისა, რომ ამაში სჩანს დიდი შრომა ავტორისა და სურვილი ჭეშმარიტების ახსნისა. მაგრამ, ამასთანვე, ჩვენ ვრაცხთ ჩვენს თავს ვალდებულად, გამოვაცხადოთ ჩვენი აზრი ამ თხზულებაზედ. ყოველს პატივისცემასთან ამ შრომისადმი ჩვენ ვბედავთ ვსთქვათ, რომ არა ვართ თანახმა ავტორის ზოგიერთ კრიტიკულ შეხედვაზედ და კითხვებისა გამოყვანაზედ. ჩვენ იმედი გვაქვს თავის დროზედ წარმოვადგინოთ ჩვენი აზრი ამ კითხვებზედ. ამ ჩვენს ფიქრს ჩვენ აღვასრულებთ მით უფრო დიდის სიამოვნებით და გაბედვით, რომ ავტორს, როგორც ჩვენ შევეიტყეთ, ძლიერ სურს გაიგოს სხვისი აზრები თავის თხზულებაზედა. ამ სურვილშიაც სჩანს ავტორის კეთილშობილი სიყვარული თავის საგნისა და სურვილიც ჭეშმარიტების ახსნისა, რადგანაც რომელიმე კითხვა მხოლოდ მაშინ აიხსნება კარგად, როდესაც გაიშინჯება ის სხვადასხვა მხრიდამ. მართლა ამბობენ ფრანცუზები: „აზრები ერთმანეთს რომ შეხვდებიან, მაშინ ჭეშმარიტება გამოჩნდება“.

რედ.

გეოგრაფიული აღწერა საქართველოსი (მონარხიულ მართებლობის პირველ დროებში.)

ხალხის გადმონაცემის V თავში, ჩვენ კიდევცა ვსთქვით, რომა სახელმწიფოს ფარნაოზისას ჰქონდა სამძღვრებად: დიდი ზურგი კავკასისა, ენგურის მდინარე, შავი ზღვისპირი ეხლანდელ ბათუ-მამდე, აქედგან მთები, საიდგანაც გამოდის ჭოროხის წყლის ბოლოს შემომდინარენი, პალაკაციოს ტბამდე; შემდგომ გრეხილი მთები, რომელნიც მოსდევენ დებედის მდინარის მარჯვენა ნაპირსა მტკვრამდე, შემდგომ მტკვარი ალაზნის შესართავამდინ და ბოლოს ალაზანი, წყლებით, რომელიც აღმოსავლეთით იმას ერთვიან. განზიდული განაპირული ყურენი ამ სამძღვრებისა მდებარეობენ შორის 400-47 და 430-15 ჩრდილოეთის სიგანისა (широты) და 590-15 და 640-58, სიგრძისა (долготы). ამ სიბრტყეს 600 მერიდიანზედა აქვს ყველაზედ დიდი სიგანე, განიზიდება კუთხე-სავით აღმოსავლეთისაკენ სალაგათის მთის წვერის დასწვრივამდე, რომელიც მდებარებს 410-24 სიგანისა და 640-58, სიგრძისა შორის.

ხალხის გადმონაცემის პირველს თავში, როდესაც ვსწერდით პირველად დაბინავებას საქართველოს ტომისას კავკასიაში და დავეთანხმენით ვივიენ დე-სენ-მანტენის აზრსა, ჩვენ ვაჩვენეთ, რომ საქართველოს ტერიტორიას ეჭირა მთელი სივრცე კავკასიის მთიდგან არეზის წყლამდე. მაგრამ იმ ეპოქიდგან, საქართველოს სახელმწიფოს დაარსებამდინ, განვლო მრავალმა საუკუნემ, რომლის განმავლობაში შეიძლებოდა მომხდარიყო მრავალი ცვლილება, მაგრამ რადგანაც მატინანედგან არა სჩანს, რომა ფარნავაზის სახელმწიფოს სამძღვრებს გარეთ იდგა კიდევცა, თუ არა არეზის წყლამდე გადამეტებით ქართველი ტომი, ამაზედ არ შეიძლება დამტკიცებით ვსთქვათ რამე, ვიდრე არ გაირკვევა ეს გამოსაცნობი ფიზიოლოგიურად ან სხვა რომელიმე გზითა; რაც კი შეეხება სამძღვრებსა, რომელსაც ჩვენ მოვიხსენიებთ აღწერაში, ვიტყვით, რომ მათ შორის აქამომდე ყველგან ქართველები ჰსცხოვრებენ.

მაგრამ რომ დავაკვირდეთ სახელწოდებას ამ სახელმწიფოს მომიჯნავე ხალხებისას, რომელნიც მოხსენებული არიან ძველ გეოგრაფთაგან, აგრეთვე ზოგიერთს იმათს ჩვენებას ამ ხალხზე, უნებლიედ გამოგვესატვის ეჭვი და კითხვა; მაგალითებრ: ვინ იყვნენ პონტოელნი, ალბანელნი, ან ალვანელნი, კასპელნი, კარლუხიანები, ან კარლუსიანები, საპირნი და სხვანი, – ხომ არ იყვნენ ისინი შტონი ქართველის ტომისა?

აი, რაზედ არის დამყარებული ჩვენი ეჭვი: პირველი, არ შეიძლება სრულიად დავეთანხმით იმათ, ვინც გვარწმუნებს, რომა პონტოელნი იყვნენ ბერძნების შთამომავალნი. მხოლოდ ერთს საბერძნეთის ქალაქს ან კოლონიას პონტოში – ტრაპიზონსა, არ შეეძლო აემსო მთელი სამხრეთ-აღმოსავლეთის ნაპირი შავი ზღვისა მართო ბერძნებითა. ჩვენ ვიცით ძველ კლასიკებისაგანვე, რომა მთელი სივრცე პონტოისა ეჭირათ როდესდაც მომარს, მრავალ-რიცხვს ხალხსა, ხალიბებსა და ეხლაც არის ნიშანი, რომ ქართველები მდგარან, – და იმათის აღმოსავლეთის ნაწილის ზოგიერთ სოფლებშიაც დარჩენილა ქართული ენა¹.

მეორე: ალაზნის წყალი, ამბობს პლინი, გამომდინარე კავკასიის მთიდგან, ჰყოფს ალბანელებსა და ივერიელებსა². ალბანელნი რომის გეოგრაფებისა, სომხების გამოთქმით – იყვნენ ალვანელნი და ქართველების გამოთქმითა, – ალვანელნი. ვაკე ადგილი, რომელსაც ეხლაცა ჰქვიან ალვანის მინდორი, არის მართლა ალაზნის სათავეში, და ეხლაც კიდევ ორას ვერსტს მეტზე ამ მინდვრიდგან კავკასიის მთის ძირობაზე, სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ, დგას ქართველი ხალხი; და უწინდელს დროში შირვანის სახელმწიფოს დაარსებამდინ, შეიძლება რომ კასპის ზღვამდისინაცა მდგარიყვნენ. მაშასადამე, შეიძლებაღა ეჭვი გვექონდეს იმაზე, რომ ალბანელები, რომელთაც სამზღვრად ეს ზღვა ჰქონიათ აღმოსავლეთით და დასავლეთით კი ალაზნის სათავე, იყვნენ კახეთის ქართველები?

მესამე: კასპელნი, რომელთაც თავის სახელი ზღვასაც დაარ-

¹ ჩვენი სტატია სახელწოდებული: „კითხვა შთამომავლობაზედ მიტრიდატ დიდისა გაზ. „კავკაზი“ 1861 წ. № 53.

² Plin. I. VI, c. II.

ქვეს და რომელნიც ნაჩვენები არიან უფრო რომის და საბერძნეთის მწერალთაგან ზღვისპირის მცხოვრებელად აღბანიდგან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ, იქნება იყვნენ ქართველის ტომისანი. მგონია საკმაო იყოს ამ ეჭვისათვის თვით ისიცა, რომა ძველის ძველად, საქართველოს შუა-გულში — ქართლში იყო ქალაქი (ეხლა კი სოფელი) კასპი; სახელი, რომელიც გამოითქმის დღესაც ქართველისაგან ისე წმინდად და შეუცვლელად, როგორც თვით ხალხის სახელი: **Caspia** და მეოთხედ: კარდუსიანები ზომ არ იყვნენ მართლა და ქართლოსიანები და საპირნი — იბერნი, როგორც გვარწმუნებს თეიმურაზ ბატონიშვილი¹ და ტარღე². თუ ყური დაუვადეთ სომხების ისტორიკოსებსა, ჩვენ უნდა მივიღოთ, რომა ყველა ეს ხალხი იყო ერთის ტომისა სომხებთანა; გარნა კი რომ მოვიგონოთ ისა, რომა, არამც თუ მარტო ისინი, იმათ ფიქრით, არამედ საზოგადო ყოველი ნოახიდები იყვნენ სომხების შთამომავლობისანიო, მაშინ არ შეიძლება არ ვაღიაროთ იმათი მეტისმეტი ნდომა, მაგრამ, ვრცლად რომ გავსინჯოთ ეს ერთტომობა, შესაძლოა, რომ ამ ხალხს და სომხებს შორის ყოფილიყოს ისეთივე შორეული შთამომავლობის დაკავშირება, როგორიც იყო ქართველებისა და სომხებ შორის ვივიენ დე-სენ-მარტენის აზრით. უფრო კი, მოკლედ რომ გავშინჯოთ, ეს ხალხები, ჩვენის ფიქრით, რომელსაც ვერ ვებღავთ ჭეშმარიტებად გამოვაცხადოთ, იყვნენ შთამომავლობით ქართველებზე უფრო ახლო, ვიდრე სომხებზე. თუ მეცნიერებისათვის ამის შეტყობა საჭირო იქნება და მასთანავე თუ გამოძიებაებითა გამართლდება ჩვენი ფიქრი, მაშინ სრულიად დამტკიცდება აზრი ვივიენ დე-სენ-მარტენისაცა, რომა ყველა კავკასიის ხალხი — ჩრდილოეთით არაზის წყლიდგან პონტო-ვექსინის და კასპიის ზღვას შორის — იყვნენო შთამომავლობით შტონი ქართველის ტომისანი. ქვეყანას, რომელიც შეარდგენდა ფარნავაზის სამეფოსა, ჰქონდა სივრცე 1500 გეოგრაფიული კვადრატული მილი და იყო გაყოფილი ოთხს უმთავრეს აუზად: პირველი მათგანი ყველაზე ვრცელი და შუაგული

¹ ისტორია თეიმურაზ ბატონიშვილისა, გვერდი 101.

² Atlas univesel de geographie ancien et mod., dressee par a. en, ed. 1858, carte.

ქართველების მოსახლეობისა, არის აუზი მტკვრის წყლისა; მეორე აუზი რიონისა; მესამე ხეობა ენგურისა და მეოთხე აუზი ჭოროხის წყლის ბოლოებისა. საზოგადოდ კი მდებარება საქართველოსი წარმოადგენს საოცარს სხვადასხვაობასა თავის თვისებითა. მის ზედაპირს ალამაზებენ სხვადასხვანაირად მშვენიერი მწვანე მინდვრები, ტყიანი ან თოვლიანი მთები, ვიწრო ხეობები და ღელეები, საცა ჩამოჩხრიალებენ წვრილი წყლები და გრგვინავენ სწრაფად მორბენი მდინარენი. კავკასის ზურგი, რომელიც შეადგენს მარტო ერთის მხრით მთელ საქართველოს სიგძის სამძღვარსა, გაზღვეს ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ. ის არის შემოსილი დიდის ტყითა ძირიდან ვიდრე 8000-ს ფუტის სიმაღლემდინ ზღვის ზედაპირიდან. მთის წვერები კი შიშველნი არიან და ათეთრებულნი სამუდამო თოვლითა. თითქმის მის სისწვრივ მის მხარდამხარ გამოზღვეს მეორე მთა შავის ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთის ნაპირიდან დებედის წყლის შესართავამდე და შეარდგენს საქართველოს სამხრეთის სამძღვარს; შემდგომ სამძღვარ გარეთ უფრო სამხრეთისაკენ დაუხვევს და მისდევს მტკვრის დენასა კარგა მოშორებით. ეს ზურგი, ცნობილი უფრო მომატებულად მცირე კავკასიად, ჭოროხის მდინარისა და მტკვრის მხარეს ისეთნაირად იკლაკნება და თავის გზიდან მიიქცევ-მოიქცევა, რომა თითქო შეთხრილია ჩქარად მდინარე წყლისაგანაო. ეს ორი უმთავრესი მთა მერიდიანის 61 გრადუსის ქვეშე ერიდებიან სურამის მთებსა (რომელსაც ძველად ევროპელები მოსხიის მთებს ეძახოდნენ, ქართველები კი – ლიხის მთას.) ამ მთებს გარდა შიდა საქართველოში კიდევ ორი მთათა ზურგია შესანიშნავი: ერთი ჩამოსდევს ფასის-მთიდან და შეადგენს სვანეთის სამხრეთის სამძღვარსა და მეორე, რომელსაც უწოდებენ გომბორის მთას – ბორბალოს მთიდან იწყობა იორის და ალაზნის შუამდებარებს. ამ მთებში აქვსთ სათავე მრავალ მდინარეებსა, პატარა წყლებს, რომელნიცა პრწყვენ და აგრილებენ ველებსა.



მდინარეთა შორის უზრო გამოჩენილი არიან:

მტკვარი, (კურა ანუ კირ სხვა ხალხთა წოდებით), ამის სათავე იწყობა სოღანლულის მთებში, რომელთაც ძველად ეძახოდნენ მთინ და მოშის, ჯერ მომდინარეობს სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ ვიწრო ხეობაში, სურამის და კაკასის მთის ზურგებშუა; შემდგომ ახლანდელ ახალციხიდან ტფილისამდე მომდინარეობს აღმოსავლეთისაკენ მშვილდსავით მოხრილად, ასე რომ სურამის ახლო გამოზიდული გვერდი ჩრდილოეთისაკენ აქვს მიქცეული, და ბოლოს, ტფილისიდან მიდის სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ კასპის ზღვამდე. საქართველოს სამძღვარებშივე, მტკვარს ერთვიან წყლები, გამომდინარენი დიდკაკასის ზურგის სამხრეთის ფერდობიდან: ლიახვი, ქსანი, არაგვი და ალაზანი თავის შემომდინარე იორის წყლით, და მცირე კაკასის ფერდობებიდან მტკვარში ჩადიან მდინარენი: ალგეთი და ხრამი თავის შემომდინარე დებე-და წყლითა.

რიონსა (ძველი ფაზისი) აქვს სათავე დიდ-კაკასის მთის ზურგში, სონგუთი-ხოხის მთის ძირში, და მომდინარეობს პირველად დასავლეთისაკენ, შემდგომ: მერიდიანისა 600-30, გაბრუნდება სამხრეთისაკენ და ამ გზით მიდის ვარდციხემდინ, და აქედან ისევ გამობრუნებული დასავლეთისაკენ ერთვის შავ ზღვასა, ქვეშე 420-8, სივანისა 590-19 სივანისა. ამას ერთვიან წყლები პირველად: ყვირილა, რომელიც გამოდის სურამის მთის ჩრდილოეთის მხრიდან და მიდის თავდაპირველად სამხრეთ-დასავლეთისაკენ შორაპნამდე, და შემდგომ ჩრდილოეთისაკენ შვილდსავით შეხრილი, მიდის დასავლეთისაკენ ვიდრე შეერთვის რიონსა. — მეორე

მდინარე: ცხენისწყალი (ძველად ღიპპოს), ფასის მთიდან მიდის უფრო სამხრეთ-დასავლეთის მხარესა და ჩადის რიონში; და მესამე მდინარე: ტეხური: (ძველად ერქვა გლავკოს), მიდის ცხენისწყლის თითქმის მხარდამხარ და ერთვის რიონსა 20 ვერსტზედ ქვევით. უწინდელს დროში მტკვარი და რიონი ირიცხებოდნენ ნავთსასვლელად: პირველი ზღვის შესართავიდან სურამამდე და მეორეც ზღვისვე შესართავიდან ყვირილის შესართავამდე; ეხლა კი ეს ორივე მდინარენი თუშცა კი ნავთსასვლელი არიან, მაგრამ ზღვიდან ამოდენა მანძილზე კი არა. ეს ცვლილება მოხდა უთუოდ ზოგი წყლის დაკლებისაგან, ზოგიცა იმისაგან, რადგანაც ამ წყლების საწოლი ამოიშსნენ და იქნება თვით გემები, რომელნიც დადიოდნენ ამ წყლებზე, იყვნენ მცირენი და სხვარიც გამართულობისა, გენიონის კამარებისგვარად, რომელზედაც ამბობს სტრაბონი, ან მსგავსი ძველებურ ქართულ ნავტიკებისა, რომელთაც ძირს ამოკრული აქვს გაბერილი ტიკები.

სოფი გამოდის სამხრეთის სვანეთის ქედებიდან და სამხრეთ-დასავლეთისაკენ მიმავალი შეერთვის შავს ზღვასა თხუთმეტ ვერსტზედ ჩრდილოეთისაკენ რიონის შესართავიდან. ენგურთან (ინგური) გამომდინარებს ფასი-მთიდან, მიდის ჯერეთ დასავლეთისაკენ, შემდგომ, როდესაც გამოსცდება სვანეთის ხეობასა, გაბრუნდება სამხრეთ-დასავლეთისაკენ და შეერთვის ზღვასა სოფის ზემოდგან 16 ვერსტზე.

ჭოროხის წყალი ჰრწყავს თავის შემომდინარებით სამხრეთ-დასავლეთის საქართველოს ნაწილსა, შეერთვის ზღვასა ბათუმიდან სამხრეთისაკენ სამს ვერსტზედ.

როგორათაც სოფის, რიონის, ჭოროხის და მტკვრის პირები, აგრეთვე მრავალი ხეობები, რომელშიაც მომდინარეობენ იმათი შემომდინარენი, დასახლებულნი იყვნენ ხალხითა, რომელნიც სარგებლობდნენ ყოველისფრით, რაც კი რამ გამოსაყენია სოფლის ცხოვრებისათვის. — სიმდიდრე და ცხოვრების საშუალობა იყო მიწის ნიადაგი და ჰავა ქვეყნისა; პირუტყვვაშენებასა ყველგან ხელს უწყობდა ადგილობრივი ვითარება: რადგანაც ძველადგანვე ეს საქონელი გადიოდა გარევაჭრობაშიაც, უთუოდ უნდა ვიფიქროთ, რომ პირუტყვვაშენება კარგს მდგომარეობაში ყოფი-

ლა. ამ ქვეყნის მიწისმოქმედება და ვენახების შემუშავება იყო განთქმული თავის გამოსავლით ღომერის დროების წინათაც. რაც ეხლა საქართველოში მშვენიერი და ნაზი ხეხილი იზდება, ის, თუ სულ არ ეკუთვნის ბუნებითს პირველყოფილს ნაყოფსა აქაური მიწისასა, მაინც რაც უნდა იყოს ვაზის სამშობლო ადგილათა მეცნიერება რიონის ნაპირებსა რაცხს. დაფნის ხე და ლიმონი უწინდელ კოლხიდის სამხრეთ-დასავლეთის ნაწილში ტყესავით არის მოღებული. მაგრამ კი სვანეთის მინდორი ამასობაში უნდა გამოირიცხოს: მაღალი მდებარება მისი არ აძლევს მოსახლესა იმ გამორჩომასა, რომელიცა აქვსთ სხვა მდინარებზე მცხოვრებელსა საქართველოში. ყველაზე უფრო დაცემული ადგილი ამ მინდვრისა არის ინგურის საწოლი, რომელსაცა აქვს სვანეთის ხეობაში სიმაღლე ზღვის ზედაპირიდან 6000-3500 ფუტამდე, მაშინ როდესაც დანარჩენ საქართველოს მინდვრებს აქვსთ საშუალო სიმაღლე ზღვის ზედაპირიდან 1300 ფუტი. წლის საშუალო ტემპერატურა ამ მინდვრებისა განისაზღვრება 90 და 110- გრადუსებ შორის. როგორც დაფარულია ჩრდილოეთის იტალია ალპის მთითა და ტოკაის ვაზი კარპატის მთებითა, ისე ამ მინდვრების ნაყოფიერება დაფარულია კავკასის მთითა ჩრდილოეთის სიცივეებისათვის, რომელნიც მოდიან ჩრდილოეთის დამზრალ ოკიანიდან, გაზაფხულზე მოედებიან მთელ ევროპიელ რუსეთის სიბრტყესა და შეხვდებიან პირდაპირ სამხრეთიდან წამოსულ სითბობასა.

ხეობაებში მცხოვრებთა ერთი ერთმანეთში მისვლა-მოსვლისათვის ჰქონდათ მაშინაც ისე, როგორც ეხლა, უხერხო ბილიკები, გავლებული წყლის ნაპირებზე და მთების უღელტეხილებზე. ამ ბილიკებზედ ხშირად სრულიათაც არ გაივლებოდა ხოლმე წვიმებისაგან აღიდებულ წყლებისა გამო. მაგრამ ძველადგანვე ასეთი გზებიც ყოფილან, რომლების სიკეთისათვის არა მარტო იქაურები ჯაფასა ჰსწევდნენ, არამედ უცხო ქვეყნელებიცა. საწოლი, ანუ მონიო მტკვრისა, ყვირილისა, რიონისა და სურამის მთაზე გადმოსავალი გზა მიიზიდავდა ხოლმე ამ ხალხების განსაკუთრებითს და გულმოდგინე ყურადღებობასა, რომელთათვისაც საინტერესო იყო ვაჭრობა ინდოეთთანა. დიდი უშველებელი ნაშე-

ნობანი, ნახულნი ბოლოს დროს სტრაბონისა და პლინიისაგან ყვირილის წყალზე, საკმაოდ ამტკიცებს როგორათაც აქაურ საზოგადოების, ანუ მთავრობის ყურისგდებასა, აგრეთვე ამის ცოდნასაც, რომ ამ შარავზის კარგად შენახვა საჭიროა და სასარგებლო ქვეყნისათვის. ისინი გვარწმუნებენ, რომ ამ ჩქარ წყალზედ 120 ხიდი იყოვო საქონლის გადატანის გასაადვილებლად – იმ საქონლისა, რომელიც ივერიიდან შორაპნის ციხეში გადაჰქონდათ მშრალის გზითა და თვით ეს ციხე ყოფილა ისეთი დიდი საქონლის დასაწყობი, რომ დაიტევდარ შიგ მთელ ქალაქსა¹. რიონის ბოლოების ნაპირები, ხის თირეებით იყო შეკრული, რომ აღიდების დროს არ გადმოვარდნილიყო მინდვრებზედ; ამას გარდა, ჭაობს ადგილებს დიდის ჯაფით და მეცადინეობით თურმე აშრობდნენ ზოლმე². რასაკვირველია, ეს ნაშენობები და ნაშენობები სტრაბონის და პლინის მგზავრობის კარგა გაცილებით წინად იყვნენ. – დასასრულ, კიდევ იყო გზები სარმათებ-სკვითების ვაკისაკენ მიმავალნი, რომელნიც თვით ბუნებას გაეჭრა კავკასის მთაში და რომელთაზედაც გადმოვიდოდნენ ბარბაროზები საქართველოში, სხვა სამხრეთის ქვეყნებში, დიდ-სომხეთის და სპარსეთში გადასასვლელად. უწინდელი მწერლები კავკასის მთაზედ ოთხს გასავალს ხეობასა იხსენიებენ; მაგრამ იმათი აღწერიტვან შეიძლება შევიტყოთ, ან მივხვდეთ, რომ გასავალი ოთხი კი არა ყოფილა, არამედ სამი: – ეს არის დარიალის გასავალი (Pilae Caucaso); ალვანისა (Pilae Albanae) და დარუბანდისა (Pilae Caspae). ამ გასავლების დასაცველად იდგნენ ქართველნი გუშავნი. პლინი, როდესაცა სწერს დარიალის ხეობის ვიწროებზედ მჟავე წყლებთან, ამბობს, რომა ის ხეობა იკეტებოდაო დაღურსმულ და დაკვერილ ძელებითა; ამის მახლობლად სამხრეთის მხარეს კი გორაზედ იყო სიმაგრე, რომელსაც ერქვა კუმანია³. ეხლა იქ სოფელია კუმნის-ციხე. რუსის ინჟინერები ამ სოფელს ეახიან კალმუჩინასა, რომელსაცა არა რომელსამე ენაზე არა აქვს არაფერი ეტიმოლოგიური მნიშვნელობა. დარუბანდის

¹ Strab. I. XI, p. 343.

² St. Martin, Recherches sur l'hist. de l'Azie, chap. XX.

³ Plin. I. VI, c. 12.

გასავალი მხოლოდ ხანდახან იყო ხოლმე საქართველოს მფლობელობაში. ტაციტის მატთანე ამბობს, რომ ქრისტიანობის პირველს საუკუნეში ამ გასავალსაც ედგნენ ქართველნი გუშავნი¹. ეს ვიწრო გასავალი, როგორც ჩვენა ვნახეთ ხალხის გადმონაცემის შესამე თავში, პირველად გაამაგრეს სპარსეთის ფიშდადიანის დინასტიის მეფეების დროს. ამ გადმონაცემებითვე სჩანს, რომ თვით დარუბანდიც მაშინ აშენდა. აქედან იწყობა კავკასის კედელი, რომლის ნაწილიც საქართველოს სამზღვარშიაც შემოდიოდა და რომელიც თავის სიდიდითა შეირიცხება განთქმულ ძველ შენობათა შორის. ამ ჟამათაც იმისი კვალი, ზოგან კიდევაც კარგად დარჩენილი, ჰსჩანს დარუბანდიდან აღმოსავლეთის მხარეს წყლის ქვეშ, კასპის ზღვაში შესული, მერე ამ ქალაქიდანვე მოდის დასავლეთისაკენ, აღის მთაზედ, დაემეება ყაზიყუმუხის სამფლობელოზე ყუშალ-დაღის მაგალში, შემდგომ იკარგება კავკასის მთის ჩრდილოეთის ფერდობზედა და კვლავ მოჩანს ძველ ალბანის ვაკეზედ, მუხახის ხეობის პირდაპირ, – და კოტეხის სოფლის მთელს სიგრძეზედ გადის. დარუბანდელების გადმონაცემი ამ კედლის აშენებას აწერს ალექსანდრე მაკედონელსა და ზედ აკერებს თვით დარუბანდის აშენების ამბავსაცა. მაგრამ უფრო ფრთხილნი მწერალნი, თავის სამეცნიერო ღვაწლით თითქმის ფრიად გამოჩენილნი, პოულობენ საბუთებს, რომლის გამოც დაფუძნება დარუბანდისა იყო არა უწინარეს VI საუკუნისა, სასანიდის დინასტიის სპარსეთის მეფეების მართველობაში². გარნა ამ მომატებულს სიფრთხილეს შეჰყავს იგინი ცდომაში და წინააღმდეგობაში, როცა ვხედავთ, რომ თვით იმათ იციან, რომ ყოფნა დარუბანდისა იყო ცნობილი გეოგრაფთაგან, რომელნიც ყოფილან ჯერ კიდევ IV და V საუკუნოებში³. კედელი დარუბანდისა ამოწყობილია უზარმაზარი ქვებითა რომელიც 28-დამ-40 ფუ-

¹ Annal de Tacite, I. IV. eh. 33.

² Березин. путешествие по Дагестану и Закавказью стр. 120.

³ Березин, примыч. к путеш. по Дагест. и Закав. стр. 61; Географ. Паппа Александрийскаго, псевд. Моисея Хоренскаго описание Сарматии.

ტამდე აქვსთ სიმაღლე და 4-7 ფუტამდე სიგანე. ქალაქის სამხრეთის კედლითგან მოჩანს ნაშთი კავკასის კედლისა მიგრენ-მოგრენილი და დაყოლებული იმ მთებზედ, რომელზედაც იგი ყოფილა გადასული. ეს კედელი იმავე მასალით არის აშენებული, ქვებს იგივე სიმაღლე და სიგრძე აქვსთ, როგორ თვით ქალაქის კედელსა და ამასთანავე გაწყობილიც ყოფილა ციხეებით და სიმაგრეებით. მაგრამ მთების სამხრეთის მხარეს კი ეს კედელი ამოყვანილი ყოფილა სხვა მასალითა: იქ უფრო გარდამეტებით სიპის ქვის ქვითკირია, კოტეხთანა ჩანს, რომ უძველესი კედელი დაქცეულა თითქმის საძირკვლამდე და იმის პირდაპირ დასწვრივად ძალიან ახლო ამოუყვანიათ სხვა ახალი, მხოლოდ ეხლა მაინც კიდევ ძალიან დაძველებული და შესაძლებელი, რომ VI საუკუნისა იყოს. მთელი სიგრძე ამ კედლისა, დარჩენილის ნაშთის მიხედვით 360 ვერსტისა არის. ამ კედლის აშენების განზრახვა, როგორც გვარწმუნებენ ერთპირად ისტორიკოსნი, ისა ყოფილა, რომ სამხრეთის მხარენი დაეცვათ ჩრდილოეთის ბარბაროსების დაცემისაგან; მაგრამ საოცარი ეს არის, რომ კოტეხის კედელსა, თვით ჩვენგანვე ნახულსა და მოყოლილსა კავკასიის უმთავრეს ზურგის ძირობაზედა, აქვს სასროლელი ჩრდილოეთის მხრით. ეგ მთის გასავალნი იყვნენ არა მარტო სალაშქროდ, არამედ ხალხთა შორის მშვიდობიან მისვლა-მოსვლისათვისაც. აორსნი (უთუოდ ოსნი) ცხოვრებნი ღონის ანუ ტანაისის ნაპირებზედ, გადმოდიოდნენ მაგ გზებზედ ვაჭრობისათვის და ყიდულობდნენ თავის ოქროთი ინდოეთის და ბაბილონის საქონელსა, რომელიც აქლემებით გადაჰქონდათ თავის ქვეყანაში¹.

იქ, სადაც ყოფილა იმისთანა მოძრაობა ვაჭრობისა, არ იქნება რომ არ ყოფილიყვნენ ქალაქებიცა, როგორც სამოქალაქო ცხოვრების შემავჯუფებელნი ალაგნი. საქართველოში ძალიან ადრე გამოჩნდნენ დასახლებული ადგილები, რომელნიც ხალხის გადმონაცემით წოდებულნი არიან ქალაქებად და ციხეებად. ამ ქალაქების და ციხეების აშენების თავდაპირველი განზრახვა ის იყო, რომ მოსაგერებელი ჰქონოდათ რამე; ამიტომაც ისინი უთუოდ უნდა ყოფილიყვნენ სიმაგრის სახისანი. მათ შორის აქაურის

¹ Strab. L XI, p. 349.

მატიანეთა მოწმობით, ჩვენგან აღწერილ ეპოქაში ჯერ კიდევ ყოფილან შემდეგი ქალაქები და ციხეები:

ქართლი – თვით უძველესი ამგვართაგანი შენობა ქართველებ-ისა. იგი აღაშენა (ქვეშე 410-43/ სივან. და 620-10/ სივან.), ქართლოსმა მთაზე, რომელიც წარმომდგარია მტკვრის მარჯვენა ნაპირზედა, არაგვის და მტკვრის შესართავის ახლო. ფარნავაზის დროს ამ ქალაქს დაერქვა სახელი: არმაზი ანუ არმაზციხე, მის-გამო, რომ ფარნავაზმა იქ აღადგინა სალოცავი სპარსულის ღმ-ერთისა – ორმუზდისა. ძველნი გეოგრაფნი ეძახდნენ სხვადასხ-ვანაირად: სტრაბონი ეძახის ჰარმასიკა (Harmasica), პლინი – ჰარმასტი (Harmastis) და პტოლომეი – ჰარმასტიზა (Harmas- tisa).

თუმცა უფრო ადვილი იქნებოდა, რომ საქართველოს ძველის ქალაქების აღწერაში მიგველო გეოგრაფიისაგან მიღებული სისტემა, ე. ი. გადასვლა ქალაქიდან ქალაქზედ უფრო მახლობელზედ, ვიდრე მივყვებოდით იმ რიგსა, რომელშიაც ხალხის მატეანეში აღნიშნულია ერთი ერთმანეთზედ იმათი აღშენება; მაგრამ, რად-განა სახეში გვაქვს, რომ ის მატეანეს რიგი დაგვეხმარება საქართვე-ლოს დასახლების გავრცელების და მიმართულების საჩვენე-ბლად, ამის გამო ჩვენ ვირჩიეთ ხელთმძღვანელობა მატეანესი.

ქართლის შემდეგ ამ ზედ მიყოლების რიგით არიან: ორბისი (სამშვილდე) იყო სიმაგრე, აღშენებული ქართლოსისაგან მდინარე ქციის, ანუ ხრამის (რომელიც დებედას ერთვის) მარცხენა ნა-პირზე. ჩვენ დროშიაცა ჩანს თავმინებებული მისი ნანგრევები. უცხო ქვეყნის მწერალთაგან არ ვიცით, რამოდენად იყო გამოჩე-ნილი იგი ძველ დროში; რომ იგი ყოფილა ქართული ქალაქი, ამას თავის გეოგრაფიაში იხსენიებს მხოლოდ პაპა (მათემატი-კოსი ალექსანდრიის სასწავლებელისა, IV საუკუნეში ქრ. შემ. მცხოვრები). ამის გეოგრაფიასა მოსე ხორენელს აწერენ ხოლმე.

მტკვრის ციხე ანუ ხუნანი იყო ციხე, აშენებული ისევ ქართ-ლოსისაგან დებედა რომ მტკვარში ჩადის, იმის ახლო. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს ორი სიმაგრე იყო აშენებული ქართლოსის დაშენებულ სამფლობელოს სამხრეთის სამზღვრის დასაცველად.

დედაციხე, და ბოსტანქალაქი, წოდებული რუსთავად, ხალხის

მატიანეს სიტყვით იყვნენ აშენებულნი ქართლოსის ცოლისაგან: დედაციხე ქართლის მახლობლად თეძამის წყალზედ, რომელიც მხარმარჯვენით ერთვის მტკვარსა; ბოსტანქალაქი კი იყო აშენებული მაღლობზედ, რომელსაც ეხლა ეძახიან იაღლუჯას და რომელიც ტფილისიდან ხუთმეტს ვერსტზედ არის.

გაჩიანი ანუ სანადირო-ქალაქი იყო აშენებული ქართლოსის შვილის გაჩიოსისაგან ქციას მარცხენა ნაპირზედა, იმის მახლობლად, საცა ამ წყალში ჩამოდის მდინარე მაშავერი. ამ ქალაქის ნანგრევები აქამდინ სჩანან.

ჩელთი ანუ ბერი, ეხლა ვრცელი სოფელია კახეთში ჩელთის მდინარეზედ და ჰქვიან შილდა (ქვეშე 420-0/ სიგან. და 530-23/ სიგრ.).

მტკვრის-ციხე, დედა-ციხე, ბოსტანქალაქი, გაჩიანი და ჩელთი სულ არ იყვნენ ცნობილნი უცხო ქვეყნის ძველ გეოგრაფთაგან.

მცხეთა აშენებულია მცხეთოსისაგან მტკვრის მარცხენა ნაპირზედ, იქავ მტკვრის და არაგვის შესართავში (41050/ სიგან. და 62023/ სიგრძ.) ქალაქი ეგე, თავის დაფუძნების დროითგან V საუკუნემდე ქრ. შემ. იყო საქართველოს სატახტო ქალაქად. გარდა საყდრებისა, რომელნიც ფრიად გამოჩენილნი არიან სიდიდითა და არქიტექტურითა, დღესაცა ჩანს, რომ მტკვრის ნაპირი ქვათლილის თირეებით ყოფილა ამოყვანილი. ივინი პტოლომეისაგან წოდებულია მესტლეტად¹. ეხლა მცხეთა არის პატარა სოფელი, რომელშიაც დარჩენილა ხელოვნების სახსოვარნი თავის წარსულის და გარდავლილის დიდების ნიშნითა.

მცხეთოსის შემდეგ იმის შვილებმა თავის ნაწილებში ააშენეს კიდევ შვიდი ქალაქი: ოძხრე, თუხარისი, წუნდა, არტანისი (ქაჯთა-ქალაქი ანუ გური), უფლისციხე, ურბნისი და კასპი.

ქალაქი ოძხრე ყოფილა ეხლანდელ ახალციხის ახლო, მტკვარში ერთ შემომდინარე წყალზედა; თუხარისი ოძხრეზე მახლობლად იყო, ჭოროხის აუზში; წუნდა მტკვრის სათავესთან; არტანისი – წუნდის ახლო, ესეც მტკვრის აუზში. ძველი გეოგრაფები ამავე სახელით იხსენიებენ წუნდასა, მაგრამ ეხლა კი თურქთა მფლობელობის ქვეშ არდაღანად არის წოდებული.

¹ Ptolom. Geog. I. V. cap. 11 .

დასასრულ, გამაგრებულნი ქალაქები: უფლისციხე, ურბნისი და კასპი მტკვრის მარცხენა ნაპირზედ იყვნენ, შიგ ქართლის შუაგულში. უკანასკნელი ქალაქები ეხლა პატარა სოფლებად არიან გადაცვლილნი; (კასპი არის ქვეშე 410-58/ სიგ. და 620-4/ სიგრ.) უფლისციხე კი სრულიად თავდანებებულია. ეგ იყო, ამბობს ვახუშტი, „შენობა უცხო, კლდისაგან გამოკვეთილი. პალატნი დიდ-დიდნი, ქანდაკებული კლდისაგანვე, გვირაბი ჩახვრეტით ჩაკაფული მტკვრამდე, დასავლით აქვს ქარაფი მაღალი, და მას შინა გამოკვეთილნი ქვანნი მრავალდიდნი, არამედ აწ შეუვალ არს.“¹

მტკვრის აუზში იყო კიდევ ერთი ქალაქი სურამი ანუ სირიუმი² მამასახლისების დროს აშენებული იქ, სადაც ეხლა არის სოფელი ამ სახელისა და სადაც აქამდის კიდევაც ჰსჩანს ძველი ციხის კოშკები. ეს ადგილი იყო ძველ ინდოეთის სავაჭრო საქონლის დასაწყობი. ამ ქალაქის აშენების ამბავზე მოწყობილია ერთი უცნაური ლეგენდა, რომელსაც მთელი იქაური მდაბიო მოსახლეები იცნობენ და მღერიან კიდევცა. მაგრამ მაინც კიდევ ამ ლეგენდას ჩვენ წერილებში მნიშვნელობა არა აქვს.

მტკვრის აუზის ქალაქებთან თითქმის ერთ და ამავე დროს დაიწყო დაშენება ქალაქებისა რიონის აუზისა. თუმცა ქართული მათიანე ამათ დაფუძნების დროებსა ისე გამოკვლევით არ იხსენიებს, როგორც ზემოხსენებულ ქალაქებისას, მაგრამ უცხო ქვეყნელების მოთხრობებიდამ ვიცით, რომ ეა და ქუთაისი ძველისძველადვე ყოფილან. პირველი რიონის სათავეში (ქვეშე 420-8 სიგ. და 590-16 სიგრ.) იყო მდიდარი ქალაქი. ეს ქალაქი იყო ნახული და გათქმული ბერძენთაგან თავიანთ მხედრობის დროებში. ტროადზედ, ლაშქრობის შემდეგ, როცა ბერძენებმა დაიწყეს თავის ქვეყნის გარეთ ყოველ მხრივ სიარული, მაშინ მიღეთელებმა დაიპყრეს ეს ქალაქი და მის ნანგრევებზედ დააფუძნეს კოლონია: ფაზისი, რომელსაც ეხლა ფოთი ჰქვია; ქუთაისი (ქოთა ანუ ქითა). რომელიც დღევანდლამდინ რიონის პირზედ არის (ქვეშე 420-16 სიგან. და 600-29 სიგრ.) ყოფილა კოლხიდის მფლობელების სადგომად.

¹ გეოგრ. ვახუშტისა. გვ 244.

² Plin.I.VI, c. 14.

ამათ გარდა, ფარნავაზის მეფობის დროს იყვნენ დაარსებულნი სხვა ქალაქებიცა, რომელთ შორის უფრო გამოჩენილნი არიან: შორაპანი, რომელიც ჩვენ ბევრჯერ გვიხსენებია და არქეოპოლი-სი. უფალ ბროსეს აზრით, ეს ქალაქი არის ნაქალაქევი; ძველი ციხე გოჯი, რომელიც იყო აშენებული ტეხურის მარჯვენა ნაპირზე ფარნავაზის პირველ თანამოღვაწე ერისთავის ქუჯისაგან.

(სამეფოს დაარსებითგან საქართველოს გაქრისტიანებამდე. გადასავალი სამეფოს დაარსებითგან რომაელებთა შებამამდე).

მეფობა საურმაგისა (237–162 წ.) – თვისშორისი ბრძოლა ერისთავებისა, – მეფის უფლებისაგან თავის დახსნისათვის. – შემოსევა არტაშეზისა და ზორდიადისა. – მეფობა მირვანისა (162–112 წ.) – თვისშორისი ბრძოლა ტახტ-მემკვიდრეობისათვის საურმაგის ორთა სიძეთა შორის. – გადგომა სამეგრელოსი და სხვა ზღვის პირის მხარეებისა საქართველოს სამეფოსაგან. – შემოსევა ბალქართა ფარნავაზის მეფობის დროს (112–73). – ბრძოლა სარწმუნოების ცვლილებისა გამო. – არშაკის I (93–81) მოწოდება გასამეფებლად და განდევნა ფარნავაზისა. – შემოსევა მიტრიდატისა, პონტოსი მეფისა. შინაგანი წყობილება და მდგომიარობა საქართველოში ფარნავაზის სიკვდილიდამ რომაელებთან შებამამდე.

I. პირველი ბრძოლის მიზეზი ის გარემოება იყო, რომ როდესაც ფარნავაზის სიკვდილის შემდეგ ავიდა ტახტზედ შვილი მისი საურმაგ, ქართლის ერისთავმა, რადგანაც ტახტ-მემკვიდრეობის სამართალი არ იყო ჯერ კიდევ სრულიად მითვისებული ხალხისაგან, – ეს შემთხვევა თავისათვის გამოიყენა და შეიქმნა საურმაგის უმაღლეს უფლების წინააღმდეგი; შეარდგინა შეთქმა, რომლის განზრახვა ის იყო, რომ აღმოეფხვრა მეფის უფლება და აღედგინა დამოუკიდებლობა ერისთავებისა. შეთქმა ესე ჰსჩანს, ძლიერ კარგად ყოფილა მოხერხებული, იმიტომ, რომ ხალხის მომეტებულმა ნაწილმა გამოაცხადა ძლიერი თანაგრძნობა და

მიიღო მონაწილეობა ამ შეთქმაში. საურმაგი იძულებულ შეიქმნა გაქცეულიყო საქართველოდგან და ეთხოვნა შემწეობა იმ ხალხთათვის, რომელნიც ჰსცხოვრებდნენ კავკასის ჩრდილოდ ქვეყნებშია. ფარნავაზსა ჯერ კიდევ თავის მეფობის დასაწყისში უნდოდა დაემკვიდრებინა თავის შთამომავლობისათვის სამართალი და ძალა ძლიერის მოყვრობითა; ამის გამო მან შეერთო ღურბუკეთის მთავრის ქალი; თავისი ერთი და შერთო თავის მეგობარსა და თანამოღვაწესა სამეგრელოს ერისთავს ქუჯისა; მეორე კი – ოსების მთავარსა. საურმაგის ძლიერ ნათესავებმა, რაკი რომ შეიტყვეს მისი გაქცევის მიზეზი, მსწაფლ შეიჭურვენ ამრეველ ერისთავების წინააღმდეგად, დასაჯეს ისინი და ისევ მოიწვიეს საურმაგი. ამ მეფისაგან განთავისუფლების შეთქმის ურარაოდ ჩავლამ მოახდინა ისა, რომ ქართველს ხალხს ჩაუნერგა შინაგანი რწმუნება, რომ მთავრობის ერთობა საჭიროა.

II. საურმაგის მეფობის დროს საქართველო, რადგანაც იყო სელევკიდების მფარველობის ქვეშა, ეწვეოდა დიდს ანტიოქსა, როცა მოხდებოდა ხოლმე ამღვრევა აზიის სხვადასხვა მაზრებშია. ამისა გამო სომხის ჯარები გულამღვრეულ არტაშიარის და ზარდიადის სარდლობის ქვეშ შემოესივნენ საქართველოსა, და როგორც გვარწმუნებენ სომხეთის ისტორიკოსნი, დაიპყრეს კიდევ მთელი საქართველო¹. ქართული მატიანენი არაფერს ამისთანას არ იხსენიებენ, მაგრამ რომ გავისაზროთ, რომ ამ სარდლებმა სრულიად დააუძღურეს მფლობელობის ძალა სელევკიდებისა აღმოსავლეთშია და დააძღვენეს პართიანის დინასტიის არშაკიდებსა, შეიძლება ვიფიქროთ, რომ იმათ მხოლოდ არეულობა მოახდინეს საქართველოში, როგორც სელევკიდების თანამეზავე ქვეყანაში და გაათავეს იმითი, რომ გაკვრით დაეცნენ სამზღვრებზედ მყოფთ საერისთავოებსა.

III. მიზეზი მეორე თვისშორისის ბრძოლისა ის იყო, რომ საურმაგსა არა ჰყვანდა შვილები მამრობითი სქესისა; მხოლოს ჰყვანდა ორი ქალი, რომელთაგანცა ერთი შერთო სამეგრელოს ქუჯის შვილის შვილსა და მეორე – ერთის ძველთაგან ასსურეთის ხელმწიფის შთამამავალს მირვანსა, რომელიც ამასთანავე

¹ Snt. Martin, Recherches sur l'hist. de l'Asie, chap. 19

იშვილა კიდევ და დანიშნა თავის მემკვიდრეთა. მაგრამ საურმაგის სიკვდილის შემდგომ, 162 წელ. ქრისტეს წინად, როდესაც დაჯდა მეფედ მირვანი, მაშინ სამეგრელოს ერისთავმა, რომელიც მეფეებს ენათესავებოდა, არამც თუ მხოლოდ უკანასკნელის მოყვრობითა, თავისი შთამამავლობითაცა, (რადგანაც ის იყო ფარნავაზ მეფის დის შვილისშვილი), და ამისათვის წინააღუდგინა დასავლეთის საერისთავოები, დაიხმარა ზოგიერთი მთიელები და ააოხრა საქართველოს შუაგული მაზრები, რომელნიც ერთგულნი იყვნენ მირვანისა. გამარჯვება თითქო იმის მხარეს იყო, ასე რომ მირვანმა, მიყვანილმა უკანასკნელს განკიდურებადღე, მიჰპართა პართიანის ხელმწიფეს არშაკსა და სთხოვა შემწეობა, რომელმაც მიიღო თხოვნა და გაგზავნა სამეგრელოში თავისი ძმა, სომხეთის მეფევე ვლარშაკი, რომელიცა იმ დროს ებრძოდა პატარა სომხეთის მართველს მიტრობორზანსა. როდესაც ამასთან გაათავა ბრძოლა, ვლარშაკი დაეცა სამეგრელოსა და წინააღმდეგმა ერისთავმა, რომელსაც შემოეხვივნენ მალარშაკი და მირვანი, დაკარგა თავისი საკუთარი სამფლობელოცა. ამ ლაშქრობის შედეგი ის იყო, რომ ვლარშაკმა რაკი ერთი მხრით ნახა, რომ საკმაოდ დააკმაყოფილა მირვანის თხოვნა მცხეთის ტახტითა, მეორეს მხრით მიაგნო რა, რომ მირვანი უღონობის გამო არ მოითხოვს საქართველოს დაბრუნებას თავის უწინდელ სამზღვრებითა, დაინარჩუნა თავისათვის შავი ზღვის პირი და ალბანიას კი მიჰსცა ავტონომია თავის მეგობრის არანის მართველობის ქვეშ¹. თუმცა ესე უსვინიდიდისოდ მოექცა სომხეთის ხელმწიფე, მაგრამ რადგანაც ასე გაუწყვეტლად ემატებოდათ მძლავრობა არშაკიდებსა, ამისა გამოთ მირვანს არ შეეძლო არ მოეძებნა მათი მოწყალეება და მოინდომა ნათესავობის კავშირით დაემკვიდრა თავისი უფლება დანარჩენს საქართველოში; ამისთვის მისცა თავისი ქალი პართიანის ხელმწიფის შვილს არშაკსა.

IV. ძლივსძლიობით დაამშვიდა თუ არა საქართველო და მოიყვანა ყველაფერი რიგზედ, მსწრაფლ მშვიდობიანი მდგომიარება მისი შეარყია ბარბაროზების შემოსევამა. კავკასისი ჩრდილოდ მდებარე ქვეყნიდგან გამოჩნდა ახალი მრავალრიცხვი ხალხი,

¹ Recherches sur l'hist. de l'Azie, chap. 20.

რომელთაც ეძახიან ბალქარებსა. თავდაპირველად მათი ელი დადგა მალკისა და თერგის წყლის პირებზე, და იქიდგან, სკკითის ხალხისაგან შეწუხებულნი, თავისი სარდალი ვანთას წინამძღოლობით გამოიქცნენ მთისაკენა, გადმოიარეს ოსსების ქვეყანაზე დარიალის ხეობით და დაეცნენ საქართველოსა. ბალქარნი მოდიოდნენ ისეთის სისწრაფით და შეურყევლობით, რომა იმათი შეოკება მაშინა, როდესაც გამოჩნდნენ არაგვის პირზედა, აღარაფრით შეიძლებოდა. იმათ საჩქაროდ გადალახეს საქართველო, და როგორცა ჩანს მატიანეთგან, არ დაუგდიათ თვის შემდეგ აოხრების კვალი. ოდესაც მიახწიეს სომხეთამდე, ბალქარები სომხეთის ხელმწიფის თანხმობით, დაბინავდნენ იმ მახრამში, რომელსაც ეძახდნენ ანპეტ-პასსერსა ან ვანანდსა¹.

V. ქართული მატიანე, როგორც გვარწმუნებს, მიზეზი მესამე თვისშორისის ბრძოლისა იყო, როგორც ზემოთაცა ვთქვით კიდევცა, სარწმუნოების გამოცვლის ცდა, რომელიც დაიწყო მირვან მეფის შვილმა, ფარნაჯმა. ყველამ იცის, რომა ზოროასტრის სარწმუნოების სწავლა, რომელიც იყო დაფუძნებული ბუნების განმღვთიერებაზედა, თავისი თავდაპირველი სიწმინდის წესით არა ჰპოებდა საჭიროდ ღვთის სალოცავად არც ტაძრებსა, არც კერპებსა (ბუთსა); ზოროასტრის გადაიხდიდნენ ხოლმე მშვენიერ მთის სიმაღლეებზე, ან ანკარა წყლის პირზე; მაგრამ როდესაც ირანელებმა და დასავლეთის ხალხმა გაახშირეს ერთი ერთმანერთში მისვლა-მოსვლა, მაშინ ეს ღვთისმსახურების წესი ცოტაოდენად გამოიცვალა: ის შეიქმნა უფრო დიდებული და სადღესასწაულო, ყველგან სადაც უფლობდა ეს სარწმუნოება, აშენდა ტაძრები და აიმართნენ კერპები (ბუთი). ეს ცვლილება შემოვიდა საქართველოშიაცა, და როგორცა სჩანს, მოსწონდათ ქართველებსა. პირველად კერპი ამართა ფარნავაზმა ორმუზდის სამსხვერპლოსთანა ქართლის ქალაქში, არამაზის სახელობაზედ

¹ Recherches sur l'hist.de l'Azie, ch. 20.

² ვახუშტი (გეოგრ. აღწერა გვერდი 8 და 26) სწერს, რომა არმუზის სკერპი იყო უშველებელი დიდი, ოქროთი მოსილი; თვალები ჰქონდა გაკეთებული ძვირფასი ქვითა და ბრწყინვალე გვირგვინი, ამისთანავე ქვებით მოჭვდილი, ედგა თავზე. იმის გულისათვის იყო

რომელიც ანპიროვნებდა უმაღლესის ღვთაებასა². საურმაგი და მირვანი გულმოდგინებით იცავდნენ სარწმუნოების მედიდურობას ისე, როგორც ხალხს მოსწონდა; მაგრამ ფარნავაზის შემდგომ, რომ განვლო ას ორმოცდაათმა წელიწადმა, მსწრაფლ ფარნაჯი დაუბრუნდა დავიწყებულს ძველებურს წესსა, რომელიცა სრულიად არ ესიამოვნებოდა ხალხსა. ამან მოახდინა ქართველებში ამღვრევა, და ხალხმა სასწრაფოდ გაუგზავნა თავისი აღმორჩეულნი პირნი არშაკიდებსა და სთხოვა, რომა გადაეყენებინა ხელმწიფობითგან ფარნაჯი და იმის მაგიერად მეფედ დაესვა მირვანის სიძე, არშაკი. არშაკიდებისა მეცადინეობა, რომელთაც ალბათ, უფრო უმეტესად ათხოვნიენ ქართველებსა, ვიდრე იმ მიზეზებმა, რომლებიც არიან აღწერილნი მემატიანეთაგან, ამ თხოვნამ სრულიად დააკმაყოფილეს. და ამისათვის არშაკს მაშინვე მისცეს სიგელი და პართიანებისა, ან სომხების ჯარით გამოისტუმრეს საქართველოში, რომელის მცხოვრებლები მიემხვრენ იმასა და ერთხმით ამოირჩიეს თავის ხელმწიფედ. ფარნაჯი გაიქცა პონტოს¹. ათის წლის განმავლობაში გაუწყვეტლად ებრძოდა საქართველოსა ფარნაჯი, რომელსაც ექომაგებოდნენ პონტოსა და საბერძნეთის ნაქირავები ჯარი; შემდგომ რაკი დაიპყრო საქართველოს ერთი მაზრა ტაშირი, დააპირა კიდევაც სხვების დაპყრობაცა; მაგრამ ერთს ომში მოჰკლეს ისა და საქართველო დარჩა არშაკსა.

VI. ჩვენ ვნახეთ, რომ მირვანისა და სამეგრელოს ერისთავის ლაშქრობის შემდგომ სამეგრელო დაინარჩუნა სომხეთის ხელმწიფემ ვალარშაკმა. იმან დააყენა იქა თავისი მოადგილეები და მიანდო იმათა ზრუნვა იმ ქვეყნის კეთილდაწყობილებისათვისა;

დაწესებული დღეობა, რომელსაც გადიხდინდნენ ხოლმე მთის ძირში. იქ შეიყრებოდა მრავალირიცხვი ხალხი და მოვიდოდა ხელმწიფეცა დიდ-იკაცებითა და საკრავებითა და ბუკის კვრით შესწირავდნენ ზორვასა: ზოგი ხოცავდა ხარებსა, ზოგნი ცხვრებსა, ირმებსა და გარულ თხებსა და ზოგნი იმ საზარელ დავიწყებაძღე მიაღწევდნენ ხოლმე, რომა მსხვერპლად შესწირავდნენ თავის შვილებსა. მას შემდგომ დაიწყობდნენ ღვინისა, როკვასა და სხვა სამხიარულო თამაშობასა, რომელიც გასწვევდა სამი დღე. ამგვარი დღეობა იყო დანიშნული სხვა ღმერთებისათვისაც.

¹ ისტორია თეიმურაზ ბატონიშვილისა; გვერ. 121.

მაგრამ ამ მოადგილეებმა თავისი ანგარებისმოყვარებით მიიყვანეს ხალხი იქამდინ, რომა მოხდა ანღრევა, რომელიცა მალე დაამოშმანა არშაკმა¹. არტაშესის მეფობის უკანასკნელს ხანში თითქმის 98 წლის ქრისტეს წინად კოლხიდის მეორე ამღვრევა მოხდა, მაშინ არტაშესმა მიანლო დამშვიდება და უფლება მთელი ზღვის პირზე მდებარე ქვეყნებისა თავის სიძეს პონტიის მფლობელს, ერთის ძველის დროებისასა საუპირველესო სარდალსა მიტრიდატსა, რომელსაც ბერძნულად ეძახდნენ დიონისე-ევპატორსა². წინაპარნი მიტრიდატისა და პირველი მეფე ქართლისა ფარნავაზი იყვნენ, როგორც ვნახეთ ზემოთ, შთამამავლობით ერთის ოჯახისანი და ალბათ, ამ საქართველოს ნაწილის ქვეყნების მიცემა იყო იმის გვარტომობის უფლებაზედა. მიტრიდატი დაეცა საქართველოსა და დაიჭირა არამცთუ მხოლოდ შავი ზღვის პირს მდებარე ქვეყნები, სხვა მეზობლად მდებარე საერისთავოებიცა და დააყენა იმ ქვეყნებში თავისი მმართველები. 84 წ. ქრისტეს წინად ამ მაზრებში მოხდა მესამე ხალხის ამღვრევა. ხალხმა გარეკა პონტიის მმართველები და მოსთხოვა მიტრიდატსა, რომა იმას დაენიშნა თავისი შვილი მაქორა³. მიტრიდატმა უჩვენა ხალხსა პირი, რომა ვითამ აუსრულებდა სურვილსა და გაუგზავნა მაქორესა ოქროს ძეწკვი; მაგრამ რადგანაც ეჭვი ჰქონდა თავის შვილზედ, რომა ის სულ წინააღმდეგი იყო მამის სარგებლობისა, ამისათვის იმ ცოტას ხანში მოაკვლევინა იგი და მმართველობა დასავლეთის საქართველოს ნაწილისა მიანლო ერთს ერთგულს მოსამსახურესა, რომელსაც მისცა ძლიერი ჯარი⁴. მშვიდობიანობის დროს მმართველობა იმ ოთხის ხელმწიფვისა წარმოიდგენს მომატებულად იმის მზრუნველობასა, რომა ისინი სცდილობდნენ ქალაქების აშენებასა, სამზღვრების გამაგრებასა და მცხეთის განმშენიერებასა ახალის შენობაებით, ტაძრებითა, კერპებითა, და სამსხვერპლოებითა. საქართველოს მათიანე გვიჩვენებს, რომა საურმაგმა ამართა კერპები: ანიანი და დანიანი;

¹ Мойсей Хорен, кн. II. гл. 8.

² იგივე თავ. 10.

³ ისტორია თეიმურაზ ბატონიშვილისა; გვერ. 125.

⁴ Grev. hist. Rom. tom. X, liv. 33.

მაგრამ სომხური წელთაღწერა საურმაგისას ამბობს, რომა იმან ააშენა ოთხი კერაბი, რომელთა რიცხვშიაც, ზემოხსენებულ გარდა, უფ. ბროსესეს აზრით შეიძლება, რომ ყოფილიყვნენ გაცი და გაიმა. ფარნაჯიმ ააშენა მცხეთაში ჩელთის მახლობლად ქალაქი ნელაკრისი, რომელიც ეხლა აღარ არის და რომლის ადგილსაცა ჰქვიან აქამომდე სახელი ნეკრესი და იცავს ერთს შენობის ნანგრევსა, როგორც ნაშოსა თავის უკანასკნელ აყვაგებისასა. იმანვე ააშენა თავის დედაქალაქში „მოგტა“, სახლი, რომელიც იყო მოგვების თავის შესაფარებელი ბინა და იმის წინ მშვენიერს მალლობ ადგილზე, არაგვის წყლის მარცხენა მხარესა, სადაც ის ერთვის მტკვარსა, ააშენა ტადარი, სამსხვერპლე და ამართა კერაბი ზადენი. ძნელი ასახსნელია, რომელს სარწმუნოების სისტემას ეკუთვნოდნენ თვისი შთამამავლობით ღმერთები, რომელთ სადიდებლადაც იყვნენ ამართული ეს კერაბები: იმათი სახელები არ არის არც საბერძნეთის ღმერთებს შორის, არც ეგვიპტისა და არც ზენდავესტის სულთა კრებაში. უფ. ბროსესეს აზრით, დანიანი არი ქართველებისაგან შეცვლილი სახელი ბერძნების დიანასი. იმ დროების შენობის რიცხვს მიეთვლება დარიალის სიმაგრე. ქართლის ცხოვრებაში არის მოხსენებული, რომა მირვან მეფემ, როდესაც შეასრულა ლაშქრობა დურძუკელებისა, გამობა კარები დურძუკეთის შესავალში და გაამაგრა ისა ქვითკირის კედელში. პლინი ამ კარების აღწერაში ამბობს, რომა ის იყოვო გაკეთებული მრავალრიცხვი ჩრდილოეთის ხალხის მოსევის შესაოკებლად; ამას გარდა ამბობს, რომ იმ კარებიდგან სამხრეთისა მხარეზე იყოვო გორაზე ციხე კუმანია¹. შესაძლოა ვიფიქროთ, რომ ეს კარები და ციხე უნდა ყოფილიყო აშენებული ბალქარების მოსვლის შემდგომ სხვა მთის ხალხის შესაოკებლად, რომელნიც იწვედნენ სამხრეთისაკენ ბალქარების კვალზე. თუმცა ასე ზრუნავდნენ ხელმწიფეები ამ ქვეყნის კეთილ-მდგომიარებისათვის, მაგრამ ყველა ნაწილები საქართველოს სახელმწიფოსი არ იყვნენ მათს მეურნეობის ერთნაირ ყურადღების ქვეშა, დასავლეთის ქვეყნებ შორის, რომელნიც უმეტესად იყვნენ დამორებული საქართველოს კენტროზე. და შუაგულ მდებარე

¹ Plin. Iib. VI, cap. 12.

მაზრებს შორის იყო დიდი განსხვავება. სომხის ისტორიკოსები ამტკიცებენ, რომა, როდესაც ვალარშაკმა დაიპყრო სამეგრელო, ქვეყანა ხალიბებისა და ლაზებისა, მაშინ შენიშნა, რომა ეს მშვენიერი და მდიდარი ყოველი მიწის ნაყოფითა ქვეყანა იყო გაოხრებული დაუდევნელობითა, ხვანა-თესვა იყო თავ-დანებებული, რიონის წყლის პირის ქვითკირის თირეები იყო გაფუჭებული ყურუგდებლობითა და ამ მდინარის წყალი აღელვებისაგან ხშირად გადმოვარდნილი მინდვრებზედ აყენებდა მრავალ გუბეებსა, რომელსაგანაც შეიქმნა ჭაობები. გზებზე იყო ატეხილი ხშირი ტყე, თვით ხალხიც მიზღვედა მხოლოდ თულობასა. ამგვარი გაოხრების მიზეზი ის იყო, რომ, რაკი ეგვიპტეში ქალაქი ალექსანდრია აშენდა და ინდოეთისაკენ სხვა სავაჭრო გზები გაიხსნენ, ძველებური ვაჭრობა მტკვრის და რიონის წყალზედ შესწყდა, თუმცა ფარნავაზი ცდილობდა მის გაგრძელებასა. იქაური მცხოვრებნი, რომელნიც მარტო თავის ქვეყნის მარჯვე მდებარობისაგან დაჩვეულნი იყვნენ თითქმის უშრომელად და უხნავ-უთესვოთაც იმის შოვნაცა, რაც არამც თუ მიუცილებელია ცხოვრებისათვის, არამდ გარდამეტებულიც არი, ვაჭრობის შეწყდომის შემდეგ აღარ პოვებდნენ საჭიროდ, რომ რივიანად შეენახათ რიონის მონიო. იგინი მიეცნენ დაუდევნელ თულობასა და მტაცებლობასა, თვის-შორისი ბრძოლისავით, რომელიც ზედმოახვიეს თავიანთ ერისთავებმა. სომხის ისტორიკოსების მოწმობით, ვარლარშაკსა სურდა, რომ უკეთესობაში მოეყვანა ყოფა-ცხოვრება თავის ახალ ქვეშევრდომილის ხალხისა და ამისათვის გაგზავნა იქა ოცდაათი ათასი მუშა, რომელთაც გათხარეს არხი რიონში წყალთა ჩასადენად; გაასწორეს ბევრი სიმაღლეები, ამოაშრეს და შეამადლეს დაცემული ჭაობი ადგილები; გაასწორეს ძველი თირეები რიონისა; გამოჩვენეს ტყე და გახსნეს ხელახლა გზები¹.

ქართველთ მეთევების სახლობას ამ ეპოქაში, როგორცა ჰსჩანს, ჰქონია დიდი სიმდიდრე. არა მარტო შენობეებით შეიძლება ეს განვისაზროდ. მარტო ფარნავაზიმ, როცა გაიქცა პონტოს, გაიტანა საქართველოდგან იმდენი ძვირფასი ნივთიულობა, რომ იმის მეოხებით ათი წელიწადი ნაქირავის ჯვართა ეომებოდა უბედურად

¹Recherches sur I¹hist. de I¹Azie, ch. 20.

არშაკსა. სიმდიდრე მეფეთა შეიძლებოდა ყოფილიყო ოქროსა და ვერცხლისაგან, და ინდოეთის ძვირფას ქვათაგან, როგორც ფულად, ისე ნივთიულად. მაშინდელ ფულსა ერქვა „ხვასტანგი“, რომელიც ერთის ცხვარის ფასად გადიოდა ხალხში. ამ ძველთაგან ძველის ქართული ფულის დედანი, როგორც გვარწმუნებენ ჩვენის დროების ნუმიზმატები, არისო ბევრს მუზეუმებში. თუმცა მიწის ნიადაგი შეიძლებოდა ყოფილიყო გაუწყვეტელ ქონების წყაროთა, მაგრამ სახეში რომ ვიქონიოთ ხალხის ჯაფის უსიყვარულობა, გამოვა, რომ უმთავრესი წყარო მაშინდელების სიმდიდრისა იყო ისე ნაყოფიერება დედამიწისა არა, როგორც ბაჟი ყოველ იმ საქონელზედ, რაც კი, რომ გადმოჰქონდათ იმათ მამულებზედ ინდოეთიდან ევროპაში და ევროპიდან ინდოეთში. ჯერ მაშინაც, როცა, სხვა გზების აღმოჩენის გამო მოაკლდა ამ შარავზასა სავაჭრო საქონლის გადატან-გადმოტანა, ჯერ მაშინაც, როგორც გვარწმუნებს პლინი, რომი შორაპანში გზავნიდა ასს მილიონს სესტერცისა¹ იმ საქონლის ბაჟად, რომელსაც უვლია ამ ქალაქზედა რომში წასაღებად; მაშასადამე, ჯერ კიდევ ფარნავაზისაგან შორაპნის აშენების კარგა უწინ და იმ დრომდე, რომელზედაც ლაპარაკობს პლინი, შემოსავალი ქართველთ მეფეთა უფრო მომატებული უნდა ყოფილიყო. აუარებელი განძი მოულოდნელად ნაპოვნი ფარნავაზისაგან გამოქვაბულ კლდეშია გვაძლევს მიზეზს ვიფიქროთ, რომ ის განძი მოგროვილი იყო თვითონ ფარნავაზის წინაპართაგან და მათგანვე დამალული ალექსანდრე მაკედონელის არეულობის დროს; ამას გარდა, ძნელი დასაჯერებელია, რომ ამ განძის ამბავი არ ჰსცოდნოდა ფარნავაზის დედასა, რომელიცა შველოდა კლდიდან საიდუმლოდ გამოტანასა. აქედამ შეიძლება ვიაზროთ სიმდიდრე ერისთავებისა და ხალხისაცა, რომელიც თავის დღეში თავის მეფეებს არ უყურებდა ისეთი დამონებითა, როგორც სხვა აზიის ხალხი, ეგუპატრონო და უძველ შთომილი სხვერპლი თავის დესპოტებისა.

¹ Plin. Iib. VI, cap.

II რომაელთა ლაშქრობის ეპოქა საქართველოში.

მდგომარეობა საქართველოსი მეზობლად მდებარე სამეფოების მიქცევა-მოქცევის მიხედვით რომაელთა ლაშქრობის დასაწყისში. — რომაელთა ლაშქრობის მიზეზი. — არტაგის დაზავება დიდს მიტრიდატთან, სომხეთის მეფეს ტიგრანთან და ალბანიის მეფე ორეზთან. — საქართველოს სამხედრო ღონისძიება. — რომაელებთან ბრძოლა. ზავის დარღვევა და პომპეის არტაგის შერიგება, რომაელთა ჯარის ყოფნა საქართველოს სამძღვრებში, ამ ლაშქრობის შედეგი.

არშაკ პირველის შემდგომ 81 წელიწადში ქრისტეს წინა დავადა ქართლის სამეფო ტახტზედა იმისი შვილი არტაგი. ამ ხელმწიფის მეფობაში, როგორც ამბობს ქართული მატთანე, სპარსელებმა დაუწყეს ომი ამასა ვითამ იმისათვის, რომ იმისმა მამამ არშაკმა გამოავლო საქართველოს მეფე ფარნაჯი — შვილი მირვანისა, რომელიც შთამომავლობით იყო სპარსელი, მაგრამ მხედველობაში რომ მივიღოთ ქვემოთ მოყვანილი გარემოება, ცხადი არის, რომ მატთანე ჰსცდება: დროც შეშლილი აქვს და იმ ხალხის სახელიცა, რომელიც იმ დროსა საქართველოს ეომებოდა. ეს გარემოება არის: პირველი, რომ არც მირვანი, არც ფარნაჯი არ ეკუთვნოდნენ არშაკიდების დინასტიას, რომელიც მაშინ მეფობდა სპარსეთშია, მაშინ როდესაც არტაგი კი იყო დისწული სპარსეთის ხელმწიფისა; მეორე, რომ თვით ფარნაჯიცა, რომელიც გაიქცა საქართველოდგან პონტოს და რომელსაც ჰყვანდა პონტოის და საბერძნეთის ჯარი, არშაკთან მთელის ბრძოლის დროების განმავლობაში არც ერთხელ არ მიქცეულა სპარსეთის ხელმწიფესთან შემწეობის სათხოვნელად, ალბად იცოდა, რომ ინტერესი არშაკისა და ინტერესი სპარსეთის ხელმწიფისა ურთიერთზედ

გადაბმულია; მესამე, რომ თუ ჰქონდა ვისმეს უფლება ფარნაჯის გულისათვის შურისგებისა, ის უნდა ყოფილიყო უფრო მიტრიდატი. ეს მიტრიდატი უნდა წასარჩლებოდა ფარნაჯისა ჯერ როგორც შეურაცხად გახდილს თავის ნათესავსა, მერე როგორც სტუმარსა, რომელმაც ამის მფარველობას მიჰმართა: მიტრიდატი ჩამომავალი იყო სპარსეთის ძველ ახემენიდების დინასტიისაგან ისე, როგორც ფარნაჯის დედაცა; და ბოლოს, მეოთხე, რომა მიტრიდატი, როგორც ჩვენ ზემოთა ვნახეთ, მართლა ლაშქრობდა საქართველოში, რომელზედაცა ქართული მატთანე არაფერს არ იხსენებს. არტაგის მეფობის დროს კი, დიდი მიტრიდატი და იმისი თანამეზავე სომხეთის ხელმწიფე ტიგრანი, დამძიმებულები რომაელებზედ სალაშქრო მზადემითა, ყოველ ღონისძიებასა ზმარობდნენ, რომ დაუახლოვდნენ მეზობლად მყოფს მეფეებსა, მეტადრე საქართველოსას და ალბანიისასა. სპარსეთის არშაკიდებმა კი, არტაშეს პირველის შემდგომ დაუთმეს გვარში უფროსობა სომხეთის არშაკიდების შთამომავლობასა, იყვნენ დაუძღურებულნი და ამ ეპოქაში ისტორიისათვის არაფერი შესანიშნავი როლი არა ჰქონიათ.

სელეუკიდების დამცირებამა განაგრცვლა ერთნაირად რომაელებშიაცა და არშაკიდებშიაცა აზიაზედ მფლობელობის მიმართვა. გააგანიერეს თავის საზღვრები და წინ წაიწივეს ზოგმა დასავლეთიდგან და ზოგმა აღმოსავლეთიდგანა. მაგრამ ვიდრე რომაელნი იყვნენ გაბმულნი შინაურ შფოთებ შორის, არშაკიდებმა მოასწრეს და დაიპყრეს თავის მფლობელობის ქვეშა მთელი ძველი სპარსეთი ეფრატამდინ და მრავალი მანრები მცირე აზიისა, მდებარენი ამ წყლის დასავლეთით. რომის სენატი შეწუხებით უყურებდა მათს მსწრაფლს გამარჯვებასა, მაგრამ არ შეემლო წინ აღედგინა მათთვის თავისი ჯარი. როდესაც არტაშესმა შერთო თავისი ქალი დიდ მიტრიდატსა და ამასთანავე მისცა მთელი შავის ზღვისპირის ქვეყნები და მფლობელობა კავკასიის ხალხზე, ბოსფორის სახელმწიფოზე და სკვითებზე, მაშინ სენატსა შეეშინდა აზიაში თავისის გავლენის დაკარგვისა და ამისათვის მოსთხოვა მიტრიდატსა, რომ გამოსულიყო სკვითეთიდგანა, ბოსფორის სახელმწიფოს და კავკასიის ქვეყნების მითვისება-

ზედაც ხელი აელო. პონტოის ხელმწიფემ, იმ ახლო ხნის ბრწყინვალე გამარჯვებისაგან შეგულიანებულმა და გამხნეებულმა არტაშესის მკვიდრი პირობის შეკრულების იმედით, უარი უთხრა სენატს და მას შემდგომ მაშინვე არტაშესი დაიდრა მცირე აზიისაკენ დანარჩენ დასავლეთის ქვეყნების დასაპყრობლად. — როგორც ამბობენ სომხეთის მწერლები, იმან მიაწია კიდეცა ეგეისის ზღვისპირამდინა. მაგრამ 96 წელს ქრისტეს წინად ის მოჰკლა ერთმა მისმა გულამღვრეულ ჯარისკაცთაგანმა. არტაშესის შემდგომ სომხეთის მეფის ტახტზედ დაჯდა იმისი შვილი ტიგრანი, ერთგულად მომხმარებელი თავისი მამის პოლიტიკისა; მაგრამ ამ დროებიდგან პირველი როლი რომაელთა აზიაში მფლობელობის მტრობაში ჰქონდა დიდ მიტრიდატსა და არა ტიგრანსა. შემდგომ ცხრა წლის განმავლობაში მიტრიდატი იქამდისინ გამძლავრდა, რომ სულ ერთიანად დაიპყრო რომის მაზრები აზიაში. ეგეის არქიპელაგი, სადაცა იმის ბრძანებით რამდენსამე დღეში გასწყვიტეს 80000 რომაელნი, შემდგომ გავიდა ევროპაში და დაიპყრო ათინის ქალაქი და არაკეთი. რომმა, ელდანაცემმა ამ საშინელის მრისხანე მტრისაგან, თუმცა შინაურულ შფოთსაც ვერ ასვლოდა, მაგრამ მაინც კიდევ 87-ე წ. გაგზავნა იმის მოპირდაპირედ თავისი საუკეთესო ჯარითა განთქმული სარდალი სილლა. სამ წელიწად-ნახევრის განმავლობაში, რომელიც გამოჩენილია მრავალ სისხლისმღვრელობითა, სილლამ ბოლოს კი მოახერხა მიტრიდატის ოტება საბერძნეთიდგან და მცირე აზიიდგან და დაუდო დაზავების პირობა თვით პონტოის სამძღვარშია. მაგრამ შერიგების და ზავის დროსაცა მიტრიდატი ხედავდა, რომ სენატს თვით სამართლიან თხოვნაზედაც ვერ დაიყაბულებდა ხოლმე და რადგანაც არ ჰკარგავდა აზიიდგან რომაელების განდევნის იმედს, ხელახლად სალაშქროდ მზადება დაიწყო. რომაელნი, რომელნიც თვითონ იყვნენ ბრძოლის მიზეზნი, მზად იყვნენ აგრეთვე საომრად და პირველსავე შემთხვევაში 73-ე წელს წამოვიდნენ მიტრიდატზედ ლუკულლას წინამძღოლობითა. რამდენსამე გამარჯვების შემდგომ ლუკულლამ, რაკი გაჰყო ორი დაზავებული ლაშქარი, პონტოისა და სომხეთისა, თავდაპირველად აიკლო ნახევარი სომხეთი, შემდგომ გამოუბრუნდა

არეზის წყლიდგან ჩრდილოეთით მიტრიდატსა, რომელიც მიმა-
ლული იყო კოლხიდაში. გაიარა სამხრეთ-დასავლეთის საერის-
თოვები საქართველოსი, რომელსაც პლუტარხმა დაარქვა ქვეყანა
თიბარენებისა¹, და სუყოველისფერი, რაც კი წინ დახვდა იმ
მხარეში, ლუკულამ უმსხვერპლა თავის გაუმაძღარს ანგარების-
მოყვარებასა.

არტავი, რომელსაც აქამომდე არ მიეღო მონაწილეობა მი-
ტრიდატიისა და ტიგრანის რომაელებთან შებმაშია, იძულებული
იყო ამ ლუკულას საქმეებისა გამო, რომ თავის სამფლობელოს
დაცვაზედ ეფიქრნა, თუმცა ლუკულა ამის შემდგომ მაშინვე
დაიბარა სენატმა რომის ქალაქში. საქართველოს მეფეს ესმოდა,
რომა იმისი შეძლება სხვების შეუწევნელად საკმაო არ იყო
რომაელებთან შებმისათვის, და ამისათვის შეუთვალა მიტრიდატ-
სა და ტიგრანსა პირობის შეკვრა ერთი ერთმანეთის საშველად.
იმათ დაუდეს პირობა და ამაზე მოიწვიეს ალბანიის ხელმწიფე
ორეზიცა², რომელიცა, როგორც გვარწმუნებს ერთი უკანასკნელთ-
აგანი ქართველი მემატიანე, იყო ღვიძლი ძმა არტავისა, იმისგანვე
ალბანიის სახელმწიფო ტახტზედ აყვანილი³, რომლისაგამოცა
ისეთის ხალისით მიემხრო იმათა. როგორც გვარწმუნებს პლუ-
ტარხი არტავსა ჰყვანდა ჯარი 40000 კაცი⁴ და აპპიანეს სი-
ტყვით 70000⁵.

ქართველი ჯარი განთქმული იყო ყოველთვის თავისის გუ-
ლადობითა და კარგის დაწყობილობით; ამითი დავალებულნი
იყვნენ ისინი, ალბათ, ფარნაოზ მეფისაგან, რომელმაცა სხვადასხვა
დაწყობილებათა შორის, „ქართლის ცხოვრების“ სიტყვით, დააწესა
საქართველოში სამხედრო იერარხია. ისტორიკოსები და ლათინ-
თა პოეტები, პოლიბიიდგან დაწყობილი, რომელიც ცხოვრებდა
მეორეს საუკუნეში ქრისტეს წინად, ტაციტამდინ, რომელიც არის
განთქმული ქრისტესაქეთპირველი საუკუნის მემატიანებში; ვირ-

¹ Plutar.; vie de Jueul

² Sbid; vie de Pemp

³ ისტორია თეიმურაზ ბატონიშვილისა. გვერ. 126

⁴ Plutar. vie de Pomp

⁵ Appien tom. I. p. 339

გილი, გორაცი და ლუკანი, რომელნიც თითქმის იყვნენ საქართველოში რომაელთა პირველი ლაშქრობისა თანამედროვენი, ამბობენ დიდ ქებასა ქართველის ჯარისასა. ამ მწერლებმა დაგვიტოვეს იმისი ამბავიცა, რომა საქართველოს ჯარს ეცვა წითელი ქულა-ჯები (кафтани) და ყოფილან გაყოფილი ცხენოსან და ჩინებულ ქვეითი ჯარათა. ამ ჯარის გარდა, რომელიც იყო მომარჯვებული გადასვლა-გადმოსვლისათვის როგორც გარემოება მოითხოვდა, საქართველოსა ჰქონდა დიდი ღონისძიება თავის დასაცველად, როგორათაც ადგილის მდებარეობაში, აგრეთვე იქ მცხოვრებლების ვაჟ-კაცობაში. რომ არ გაგვიტაცოს სტრაბონის ნაჩვენებმა, რომელიც ამბობს, რომ მხოლოდ ერთს სვანეთს შეეძლო 200,000 შეიარაღებული კაცის გამოყვანაო, მაინც შეგვიძლიან ვსთქვათ, რომა ყველა ქართველი ხალხი კარგად ხმარობდა იარაღსა და შეეძლოთ დაცვა თავისი სამშობლო, მჭიდროდ დასახლებულის ხეობებისა. აი, რა იყო სამხედრო ღონისძიება საქართველოსი პირველსავე სახელმწიფოს დაარსების საუკუნოებში; ისინი ყოველთვის წარმატებით წინ დაუდგებოდნენ ყველა მეომარსა, თუ რომ მათი მეფენი ყოველთვის ნიჭიერად მოიხმარებდნენ. ლუკულლას განშორების შემდგომ, მიტრიდატი, გაცოცხლებული ახალის დაზავებითა, შეიქმნა უწინდებურად საშიში რომაელთათვის. 67 წელ. იმან დაამარცხა ზელეს მახლობლად რომის ჯარი მდგომარე პონტოში ლუკულლას ადგილისა, ტრიარის ბრძანების ქვეშ მყოფი, და დაიბრუნა თითქმის სრულად თავისი სახელმწიფო, მაგრამ სენატმა შეიტყო თუ არა ეს ამბავი, მაშინვე შეპკრიბა მრავალრიცხვი ლაშქარი, და გამოატანა პომპეისა.

ამ სარდალმა თავდაპირველად თავისაკენ მოიმხრო ქრთამითა და მლიქვნელობითის დაპირებითა ტიგრანისა და მიტრიდატისა შვილები და ამითი მოშალა მათი შინაური თანხმობა პონტოში და სომხეთში. დასასრულ 68 წელ. გაბედა მიტრიდატზუნდ დაცემა, რომელიც იდგა ბანაკად ეფრატის წყალზედა. ღამის ბრძოლამ დააბოლოვა ლაშქრობის საქმე, — მიტრიდატი გაიქცა, გაიარა სამეგრელო და გავიდა დიოსკურიამი. პომპეიმ კი მაშინათვე გამოაცხადა მიტრიდატის ტახტიდამ ჩამოცლა. — დანიშნა რა პონტოის მეფედ შვილი იმისი ფარნაკი, ის წავიდა სომხეთში

ტიგრანის სადევნად, რომელიცა იქაური ხელმწიფის შვილის შემწეობით თითქმის ხმის ამოუღებლად დაუმორჩილდა პომპეისა. აქედგან პომპეიმ გასწია მტკვრის პირისაკენა, დაიზამთრა იქა, გაზაფხულზე მტკვარგალმა გავიდა და შეება ალბანიის ხელმწიფესა, რომელიც ელოდა თავის სახელმწიფოს სამძღვარზედა.

რამდენსამე ომის შემდგომ ორეზმა ჰსთხოვა შერიგება, პომპეიმ შერიგა და გამოართვა ძევლად შვილები.

ალბანიის დაპყრობის შემდგომ, პომპეიმ დაიწყო საქართველოში ლაშქრობა. ამ ლაშქრობის ამბავს გვაცნობებენ ჩვენა დიონ კასსიე, აპიანი და პლუტარხი¹ ისრე ყრუთა, რომა არ არის შესაძლო არამც თუ აღწერა იმისი ზედმიყოლითა, არამედ არ შეგვიძლიან ვსთქვათ ისიცა, რომა საიღვან მოვიდა პომპეი ამ ქვეყანაში – სომხეთითგანა, თუ ალბანიითგანა; გაიარა იმანა თუ არა შიდა მაზრები, თუ რომელსამე საქართველოს ნაწილში ამისი მოქმედება დაბოლოვდა. ჩვენ ვგონებთ ვარაუდითა, რომა შემოესივა მხოლოდ მესხების ქვეყანასა, ეხლანდელის ახალციხის მაზრასა და ბორჯომის ხეობასა, იქნება სურამამდისაცა. ამ ლაშქრობაზე არაფერი არა არის რა მოხსენებული უმთავრესს ქართულს მატთანეში „ქართლის ცხოვრებაში“, რომელშიაცა საზოგადოდ იშვიათად არის მოხსენებული ამბავი იმ შემთხვევებზე. რომელიც ქართლში არ მომხდარან. რომაელების მწერლების ნაჩვენებიდგან ჰჩანს, რომა პომპეი შემოსულა საქართველოს სამძღვარში გაზაფხულზე 65 წ. ქრისტეს წინად. არტაგსა სურდა დაეშლევინებია ამისათვის შემდგომი წინ წამოდგომა, ან შეოკება მაინცა იქამდისინ, ვიდრე მოეშველებოდნენ მოსარჩლენი და გაუგზავნა იმასა დეპუტაცია მოსარიგებლად. პომპეი, ალბად, მიუხვდა მორიგების განძრახვასა და დაუყოვნებლივ მივიდა რაღაც აკროპოლისამდინა, რომელიც მდებარებდა მტკვრის პირზე, – ორს მთის ქედებთა შორის. ხელმწიფე გავიდა წყალგალმა და დასწვა იმ წყლის ხიდი. ამით პომპეი აქამდისინ დაბრკოლდა იქა; ვიდრე აკროპოლისის ჯარსა არ დაათმობინა ციხე. რომის ჯარი გავიდა მტკვარში ათი ათასის ნავტიკითა და დაემუნენ ტყით შემოსვილს

¹Plutarque de Pomp. Dion-Cassius; LXXXVI, C. 33, 36 et 37; XXX-VII, c. I. Appien I. t. p. 339

ხეობაში არტაგის სადევნელად. ამ ხეობაში მცხოვრებლები ავიდნენ ხეებზე და მახლობლად მდებარე სიმაღლეებზე და იქიდან მიუშვეს პომპეის ჯარზედა მრავალი ისრები და ქვის სეტყვა. ყოველი ფენის გადადგმა ძვირად უჯდებოდათ რომაელთა. მასთანავე ისინი მსწრაფლ შეემთხვნენ ახალსა და უფრო ღიღის ხნის დაბრკოლებასა. არტაგი გავიდა პელორის წყალშია და დააწვევინა ხიდი. პომპეი უნდა დამდგარიყო აქა, ვიდრე არ დაიკლებდა წყალი, უნდა ეჩეხა და გამოეწვა გარემეო ტყეები, რომ გადაერჩინა თავისი ჯარი ყოველის ღღის ღღის დასაკლისსა, შემდგომ, როდესაც წყალმა იკლო და ფონიც გაიხსნა და თვით არტაგმაც გაიგო, რომ წინასწარის გარემოებით ზავი კიდევ მოიშალა, გაბედა თავისი საკუთარის ღონისძიებით მტერთან შებმა; წყალში გასვლის დროს მოხდა ღიღი ომი, რომელშიაცა, როგორც ამბობს პლუტარხი, საქართველოს ჯარი დამარცხდა, 1000 კაცი მოკვდა და 9000 დარჩნენ ტყვედ. – ხელმწიფე მსწრაფლ უკან დაბრუნდა და მაშინვე შერიგება ითხოვა. რომის სარდალი, თუმცა შერიგების თანახმა შეიქმნა, იმ პირობით, რომა არტაგს უნდა მიეცა ამანათად ერთი შვილი, მაგრამ კი მაინც შეუდგა დევნასა იმავე გაჭირვებით, რომელიცა შეემთხვა ხეობაში შესვლის დროსა. ამ ამანათის თხოვნამ ცოტაოდენს ხანს დააფიქრა მეფე; მაგრამ რო ნახა რომა ვერაფრით შეეძლო შეოკება პომპეის წარმატებისა, იმან ბოლოს გამოუგზავნა თავისი შვილი და საჩუქრები; სარეცელი, სტოლი და სკამი, ჩამოსხმულები წმინდა კვირვის ოქროსი¹.

არტაგის შერიგების შემდგომ პომპეი დაეშო რიონის აუზზედ და მიაღწია სამეგრელოსა და სხვა ზღვისპირს მდებარე საქართველოს მაზრებამდისინა, რომელნიცა ვაგარშაკის, როგორც ჩვენა ვსთქვით, დროების შემდგომ განუდგნენ საქართველოს სამეფოს და მერე არტაგშესის დროს შევიდნენ მიტრიდატის მფლობელობაში. ამ მაზრებში მცხოვრებელთა, რომელნიც გაუწვევებლად აწუხებდნენ მეფეებსა მათ მოადგილეების წინააღმდეგობითა და ანღვრევითა, დასასრულ ლუკულთან ომების შორის. – 72 წ. ღიღის მიტრიდატისაგან მიეცათ ნება, რათა თვითვე ამოირჩიონ

¹ Plut. vie de Pomp.

ხოლმე თავისი მმართველები. იმ დროებითგან იმათი მმართველი იყო აქაური მცხოვრებელი სახელად ოლთაქი. პომპეიმ შერიცხა ისინი რომის ქვეშევრდომებად. წაიყვანა ოლთაქი ამანათად და იმის მაგიერად დანიშნა ერთი თავისი მოღვაწეთაგანი, არისტარქი. სამეგრელოდგან იმან გასწია აფხაზეთისაკენა და უნდოდა მისვლა დიოსკურიამდე. ეგონა, რომ იქ მოასწრობდა მიტრიდატსა, მაგრამ ძნელმა გზამა, გაუწყვეტელმა ზიანმა, რომელსაც აძლევდა მთის ხალხი და ამასთან ალბანების აღელვების ამბავმა აიძულეს, რომ დაბრუნებულიყო და წასულიყო ისევ ალბანეთში. ამ ქვეყნის დაშომშანების შემდგომ პომპეიმ გაილაშქრა გელლებზედ, ლეკებზედ და გირკანელებზედ და მერე სომხეთით გავიდა სირიაში.

პომპეისა, საქართველოში ყოფნის დროს, აცნობეს, რომა მტკვრისა და რიონის წყლით შეიძლება ინდოეთითგან შავ ზღვამდინ სავაჭრო საქონლის მიტანა. მარკ ტერენტი კარიონმა, რომელსაც ჰქონდა მინდობილი ამისი გამოძიება, ამაზედ შეაგროვა ნამდვილი ცნობანი; მაგრამ რაში მოიხმარეს ის გამოძიება, ის კი არ ვიცით.

ალბათ სამხედრო გარემოებისაგან, პომპეიმ ვეღარ მოიცალა ამისთანა უბრატესი საქმისათვის და სავაჭრო შარავზა, საქართველოზე მომავალი, დარჩა იმავე საცოდავს მდგომიარებაში, როგორათაც ამას წინად იყო მიყვანილი.

ლუკულს ეგონა კავკასია ათასის ხელმწიფის ბუდეთა. იმის შემდგომ პომპეი დაერწმუნა კავკასიის ხალხის ვაჟკაცობაზედ და იქიდგან დაწყობილი, როდესაც რომაელნი დაიწყობდნენ ხოლმე დიდს ლაშქრობასა სომხეთში ან სპარსეთში, ცხადია რომა ამათ ჰქონდათ იმ ხალხის დაცემის შიში და იმით თავი და თავ ქართველებისა, რომელთ ქვეყანაშიაცა მეფობდნენ მეფენი, სომხეთის და სპარსების ხელმწიფების დინასტიის შთამომავლობისანი. ეს დაცემა შეიძლებოდა მომხდარიყო მარცხენა ფლანგიდანა ან უკანით – ეგ იმაზედ იყო დამოკიდებული იმოდენად, რამოდენსაც რომაელნი აღმოსავლეთში შორს შეიწვედნენ. ამისი შიში არ მოასვენებდა ხოლმე იმათა, როდესაც ევფრატია და ტიგრი შეკრული ჰქონდათ კარდონებითა და ამისთვის პომპეის შემდგომ

ყოველთვის ცდილობდნენ ქართველის მეფეების დამორჩილებასა. იმათ იცოდნენ, რომ ქართველებსა, თავის თავათაც ვაჟკაცებს, ეჭირათ კავკასიის მთის კარებები. რომელიცა იმათის ნებით გაიღებოდა აზიაში შემოსასევად სარმათის ველურის და მტაცებელის ურდოებისათვისა; და ამისთანა შემოსევანი როგორც ზემო აზიის ხალხისათვის ამაოხრებელნი იყვნენ, ისე იქა მდგომარე რომის ჯარისათვისაც იყვნენ საშიშნი. რომ რომაელთა ვერ განავრცელეს თავის მფლობელობა ტიგრს იქითა — ეს იყო იმისი მიზეზი. ამნაირი გეოგრაფიული მდებარება საქართველოსი, ევფრატისა და ტიგრის წყლებითა გაყოფილ სახელმწიფოებთანა, იყო უპირატესი მიზეზი, რომ თვითეულად ყველა ამ სახელმწიფოებთანა სტრატეგიის მოაზრებითა ყოველთვის სცდილობდნენ დაეყრათ საქართველო. ესე ეკიდებოდნენ, ერთის მხრით, რომაელნი პომპეის შემდგომ, საბერძნეთის იმპერატორები რომაელთა შემდგომ და ოსმალები ბერძნებს შემდგომ; მეორეს მხრით, სპარსები ძველისძველადგანვე რომაელთა, საბერძნეთის იმპერატორებთა და ოსმალებთა მთელს ჩვენის მტრობის დროს ეგრეთვე ექცეოდნენ.

III

ბარამომბა არტაგის სიკვდილიდგან ფარს- მან პირველის გამეფებამდე.

ბარტომის მეფობა (65–53). იმისი ზრუნვა საქართველოს კეთილგანწყობილობაზე — მირვანის ლაშქრობა — მირვან მეორის მეფობა (33–23) — არშაკის მეფობა (23–3) — იმისი მოკვლა. — საქართველოს დასავლეთის მაზრების სვე ამ პერიოდში.

საქართველოდგან რომის ჯარის წასვლის შემდგომ ცოტას ხანში მოკვდა არტაგი და იმის მემკვიდრედ დარჩა იმისი შვილი ბარტომი — ქართული მატთანე გვაჩვენებს, რომა მომატებულმა დროების ნაწილმა ამის გრძელჟამიერ მეფობისამა განვლო სახ-

ელმწიფოს კეთილ-განწყობილებაში მოყვანის, მცხეთის გალაგ-ნის განვრცელების და ქალაქების გამშვენიერების ზრუნვაში; რომ იმის მეფობის დასასრულს ჟამს საქართველოს მშვიდობი-ანობა მოშალა უცხო ქვეყნის ჯარების შემოსევამა, რომლითა წინამძღომელი იყო მირვანი (შვილი არშაკიდებისგან განდევნილ საქართველოს ხელმწიფის ფარნაჯისა), რომელიც ცდილობდა დაებრუნებინა თავისი უფლება საქართველოზედ. მაგრამ სხვა წყაროთგან ჰჩანს, რომა მირვანის შემოსევის მიზეზი, შთამომავ-ლობის უფლების გარდა, იყო სხვა გარემოებაცა. 34 წ. ქრისტეს წინად მარკ-ანტონიიმ რომ დაუწყო ლაშქრობა სპარსეთსა, მოსთხო-ვა სომხეთის ხელმწიფეს არტავაზდასა შემწეობა რომის ჯარი-სათვის, მაგრამ რომ შეამჩნია იმასა თავის მორიდება და ამასთან სპარსეთში დამარცხდა კიდევ, მაშინ მიმართა საომრად სომხეთ-სა. არტავაზდას თხოვნით, ქართველები მოეშველნენ ამასა¹. ვიც-ით, რომა ეს ლაშქრობა გათავდა იმითი, რომ არტავაზდა დაატყვევეს, დასაჯეს და გაჰყვეს ნაწილებად სომხეთი. ბარტომიცი არ შეი-ძლებოდა დაუსჯელად დარჩენილიყო და უსათუოა, რომ მირვა-ნის დაცემა, რომელსაც თავის დღეში სიბერემდინ არ გაუშ-ილებია საქართველოს მითვისება, იყო დამოკიდებული მარკ ან-ტონის პოლიტიკაზედ.

მოძრაობა მირვანისა, როგორც ამბობს „ქართლის ცხოვრება“, ცოტაოდენს ხანს შეოკებული იყო დებედას წყლის მარცხენა მხარესა, ხუნანის ციხის მახლობლად. ომი იყო გამართული გაუწყვეტელი ერთი ერთმანერთის ფალავანების გამოწვევით და თვითონ მირვანმა, თუმცა ხნიერი იყო, მაგრამ ბრძოლაში მოჰკლა სამი საუკეთესო ბარტომის თანამოღვაწე. ეს ლაშქრობა გათავდა 33-ე წ. ბარტომის სიკვდილითა, რომლის შემდგომაც გამარჯვე-ბული მირვანი საქართველოს მეფედ მიიღეს.

ამისი ათის წლის მეფობა არ იყო გამოჩენილი არაფერის ისტორიულის საქმითა. ის მოკვდა 23-ე წელიწადზედ და იმის შემკვიდრედ დარჩა იმისი შვილი არშაკ². ქართველი მემატიანეე-ბი უწოდებენ ამას არშაკად, მაგრამ მგონია უფრო შესაძლო იყოს,

¹ Мойсей Хоренский кн. II. гл. 22.

² Additions et éclaircissements a l' hist. de la Georgie p. 12.

რომ მირვანი, მტერი არშაკიდებისა, რომელსაც თვითონ ერქვა ძველებური სპარსული სახელი, ამჯობინებდა შვილისათვისაც დაერქმია არბაქი და არა არშაკი.

არბაქის მმართველობა ქალაქების გამშენიერების და ციხეების განვრცელების ზრუნვის მიხედვით წარმოიდგენს ბარტომის მეფობის დამატებასა. ამ მეფეებმა ერთი ორად გაამშენიერეს საქართველოს ბუნება იმითი, რომა ხელოვნებაც შეურიეს, მოიყვანეს თავისი სახელმწიფო კეთილ მდგომიარებაში. არბაქის თანამედროვე, სტრაბონი, რომელიც იძიებდა საქართველოს ამბავსა, თუმცა ცოტაოდენად იმაზედ გვიან, ამბობს, რომა ეს ქვეყანა იყო მოჭედელი მდიდარი ქალაქებითა, რომელნიც გამოჩენილნი იყვნენ ყოველ არხიტექტურის წესზედ აშენებულ სახლებითა, ჰქონდათ ლამაზი მოედნები (ფორუმი) საყოველთაო შენობები. სახლები უფრო აგურით შენდებოდნენ და კრამიტითა იხურებოდნენ¹ იმას გარდა, როგორც ჩვენა ვსთქვით კიდევცა ზემოთ, ქართველებმა ძველადგანვე იცოდნენ ხმარება თლილის სიპი ქვისაცა და კირისაცა.

არბაქმა დაასრულა თავისი ხელმწიფობა ისე, როგორათაც ბარტომმა. მე-3 წელ. ქრისტეს წინად, მოვიდა, საქართველოში უცხო ქვეყნის ჯარებითა ბარტომის შვილისშვილი, ფარსმანი, რომელმაც გამოითხოვა არბაქა ხელდახელ საომრად. მოჰკლა ისა და დაჯდა ხელმწიფედ გაუქმებულ სამეფო ტახტზედა.

ამ ცვლილების დროსა საქართველოს დასავლეთი ქვეყნები, რომელნიც შეარდგენდნენ სამთავროს დიდის მიტრიდატისასა და რომელსაც უძახდნენ კოლხიდასა, ხან ერთს ეჭირა, ხან მეორესა. მიტრიდატის შვილმა ფარნაკმა, ბოსფორის ხელმწიფემ, სარგოიანად მოიხმარა ცეზარისა და პომპეის ურთიერთშორისი ბრძოლა: 43-ე წ. ქრისტეს წინად, შემოესია ამ ქვეყანასა, გამოავლო იქიდგან არისტარქი და თავისად დაიმორჩილა. მაგრამ იმ ცოტას ხანში თვით მოკვდა და იმის ადგილი დაიჭირა იმისმა სიძემ და სარდალმა, ასანდრი პირველმა. იმავე დროსა ერთი დიდი მიტრიდატის შვილებთაგანი, მიტრიდატი, ცეზარისაგან განთავისუფლებული, სომხეთის ხელმწიფის ტიგრანის თავდებობითა შეუდგა

¹ St r ab. I. XI. p. 499.

კოლხიდის მითვისებასა.

ასანდრმა მოჰკლა ისა, მაგრამ რომის სენატისაგან შეშინებული მა მიიღო უბრალო წოდება არქონტისა. ავგუსტი, მოტყუებული რომისადმი იმის თვალთმაქცურის ერთგულობითა, 36-ე წელ. ქრისტეს წინად დააჯილდოვა ისა ხელმწიფის ტიტლოთი. მგვარად, იმან იმეფა 32 წელიწადი, – და ამ დროების განმავლობაში ისე აწარმოებდა საქმესა, რომა მომადრიელებული ჰყვანდა როგორც თავისი ქვეშევრდომი ხალხი, აგრეთვე რომიცა და სხვა მეზობლად მყოფი ხელმწიფეებიცა. მე-14 წელ. ქრისტეს წინად ის მოკვდა უშვილოდ და სკრიბონიუსმა, რომელიც დიდი მიტრიდატის ძმისწულად ჰრაცხამდა თავის თავსა, დაიწყო მითვისება მეფობისა; მაგრამ რომის სპასპეტმა მარკ აგრიპამ მოაკვლევინა ისა და ბოსფორის სახემწიფო კოლხიდითურთ მისცა პოლემონსა, ზენონ ლაოდიკიანელის შვილსა. კოლხიდის მიწის ნიადაგი თუ უკეთესი არა მდარე არასდროს არ არის სხვა შუაგულსს საქართველოს საუკეთესო ადგილებზე, მაგრამ ამის ალყვაკებაზედ ამ დროებაში არ შეიძლება ითქვას ისა, რაც ვსთქვით საქართველოს სახელმწიფოს მდგომარეობაზედა. სტრაბონი ცხადად ამბობს კოლხიდის გარდამეტებაზედა¹; სჩანს, რომა კოლხიდის მმართველები თავის თავისათვის უფრო მომატებულად ზრუნავდნენ, ვიდრე იმ ქვეყნისათვის, რომელიც ბელისწერამ მიანდო იმათ განმგებლობასა.

პერიოდი ფარსმან პირველის მეფობისა

(3 წლიდან ქ. წ. 60 წლამდინ ქრ. შემ.)

საქართველოს დასავლეთის ქვეყნების დაბრუნება – პართიანეთა ლაშქრობა – მიტრიდატის რომში წაყვანა. – იმისი განთავისუფლება და მეორედ გამეფება სომხეთში. – გადაყენება და სიკვდილი იმისი; რადამისტის სომხეთში მეფედ დანიშვნა. – სომხეთიდან გაქცევა და დასაჯვა რადამისტისა. სომხეთის ნაწილი ემატება საქართველოს სამეფოსა. – მოგზაურობა წმინ-

¹ St r ab. I. XI. p. 499.

და მოციქულთა ანდრია პირველსახელწოდებულისა და სიმონ კანანიტისა საქართველოს მახრებში. – გამოკვლევა იმისი, რომელი დასავლეთ საქართველოს ნაწილები დარჩა ფარსმანის მეფობის დროს პოლემონების მფლობელობის ქვეშა. – გაგანიერება მცხეთისა არაგვის გაღმა-გამოდმა. – დაწესება დუარზიულის მმართველობისა საქართველოში. – სიკვდილი ფარსმანისა.

მეფობა ფარსმანისა (რომელსაც ქართველი მემატიანეები უწოდებდნენ ედერკის და „სომხური ქრონიკა ანდრიკოს“) იწყობა, როგორც გვიმტკიცებს „ქართლის ცხოვრება“, სამეგრელოს და სხვა ყველა იმ ქვეყნების დაპყრობითა, რომელნიც ეკუთვნოდნენ საქართველოსა. ეს იქმნება ზოგიერთს ხარისხამდე მართალი იყო ამისათვისა, რომა პირველს წელიწადს ქ. შ. იყო მოკლული პონტოის ხელმწიფე პოლემონ I და იმისი სახელმწიფო, რომელსაც შეადგენენ პონტო, კოლხიდა და ბოსფორის სამფლობელო, გაიყო ნაწილ-ნაწილად. პოლემონის ცოლს პიფადორეს, რომელიც იმის შვილების მცირეწლოვანებისა გამო მმართველობდა სახელმწიფოში, ძლივსძლიობით შეეძლო დაენარჩუნებინა თავისთვის პონტო და იმის მახლობლად მდებარე ქვეყნები: სარკომათმა მითთვისა ბოსფორი და ალბად ფარსმანმა სარგოიანად მოიხმარა ეს გარემოება და დაიჭირა სამეგრელო და კლარჯეთი. ფარსმანი მეფობდა 63 წელიწადი. ეს დიდი ხნის მეფობა, მდიდარია სხვადასხვანაირი საქმეებითა, რომელთაცა აქვსთ მჭიდრო კავშირი ძველი ხალხის საზოგადო ისტორიასთან; ზოგიერთს ამ ნამოქმედებთაგანსა გვაცნობებს ჩვენა ტაციტი და იქამდისინ საინტერესო არის, რომა დააშვენებენ საქართველოს ისტორიასა; მაგრამ გასაოცარია, რომა ქართულ მატიანეში სრულიად არაფერია ამაზედ მოხსენებული.

ტაციტი ამბობს, რომა 35-ე წ. პართიანის ხელმწიფემ არტაბანმა, მეზობლად მცხოვრებელ ხალხზედ აღტაცებულმა რამდენიმე გამარჯვებითა, დასვა სომხეთის მეფედ თავისი შვილი არშაკი და მოსთხოვა იმპერატორს თიბერიასა, რომ რომაელთა პატივი არ ეცათ სპარსეთ-მაკედონიის სახელმწიფოს სამძღვრებისათვის, რა იმისი კანონიერ მფლობელად მხოლოდ თავისთავს

წარმოუდგენდა. მაგრამ იმის მამდურავ პართიანების პარტიამ თხოვა იმპერატორსა, რომ დაენიშნა იმათთვის სხვა ხელმწიფე. ტიბერია, რასაკვირველია, უფრო მალე შეიქმნა თანახმა იმათ თხოვნაზედ, ვიდრე არტაბანის თამამსა და კადნიერ თხოვნაზედა. იმან დანიშნა ხელმწიფედ პარფი ტირადატი, მაგრამ რადგანაც შიშობდა, რომ ამითი რომაელნი არ გააბას სისხლის მღვრელობაშია კრასისის საშიშარ დამამარცხებელბთან, ჰსთხოვა საქართველოს მეფეს ფარსმანსა, რომ ტირიდატი თავის მფარველობის ქვეშ აიყვანოს და ამ სიკეთისათვის დაუთმო, რომ სომხეთის ტახტზედ საქართველოს ბატონისშვილი, ფარსმანის ძმა-მიტრიდატი დასვას.

ფარსმანმა მიიღო იმპერატორის წინადადება და მოიხმარა ყოველი საქართველოს ძალა და თავისი ჭკუის მცბიერობა ამის აღსასრულებლად. თავდაპირველად მიმართა მზაკვრობასა და მოახერხა მოწამვლა არშაკისა, იმისი კარის ხალხის შესყიდვითა. შემდგომ ჯარით წავიდა სომხეთისაკენ, დაიპყრო იმის სატახტო ქალაქი არტაქსადი და დამკვიდრდა ამ ქვეყანაში. არტაბანმა, რო შეიტყო ეს ამბავი, შეჰკრიბა მრავალრიცხვი ჯარი და ზედ დაუმატა იმათა ნაქირავები ჯარი სკოპტებისა, უბრძანა თავის მეორე შვილსა ოროდასა, რომა ამ ჯარს გასძლოლოდა ფარსმანისა წინააღმდეგად, რომელმაც თავის მხრითა მოიწვია ალბანელები და სარმატები და აავსო ამ ხალხითა მთელი სომხეთი.

ოროდას ჯარი იყო შედგენილი მხოლოდ ცხენოსანი ხალხისაგან. ფარსმანმა, ჰყვანდა რა ჩინებული ქვეითი ჯარიცა რკინით მოსილი და შეგულიანებული აღტაცებულის სიტყვითა, იერიში მიიტანა. ქართველებმა გაიმარჯვეს და ოროდი, ფარსმანისაგან მძიმედ დაჭრილი, მოკვდა ბრძოლის ადგილზედვე.

ამ ახალმა უბედურებამ საშინლად განაძვივნა არტაბანი, ის კიდევ მოემზადა თავისი სახელმწიფოს ყოველი ძალითა და ღონითა ფარსმანის შურის საგებელად; მაგრამ რომის სპასპეტმა ვიტელიმა, რომელსაც მინდობილი ჰქონდა თვალყური ჰსჭეროდა აღმოსავლეთის ყოველ ცვლილებაზედა, ასე იხერხა და იცბიერა, რომ იძულებულ ჰქმნა არტაბანი თავი დაენებებია არამც თუ ამ გულისწადილისათვისა, არამედ სომხეთის მითვისების ყოველის

ფიქრის და ზრუნვისათვისაც. მართლაც, იმის შემდგომ არტაბანი იძულებულ იყო თავი დაენებებია პართიისათვისაცა და გაქცეულიყო სკვითეთში. ესე გათავდა ეს ლაშქრობა. სომხეთი დარჩა მიტრიდატისათვისა და პართია დარჩა ტირიდატსა, რომელნიც დასხდნენ მეფის ტახტებზედ, პირდაპირ ფარსმანის მფარველობის ქვეშა.

როდესაც მოკვდა ტიბერია და იმის მაგივრად გამეფდა კაიკალიგულა, ფარსმანმა, რომელმაც არ იცოდა ახალი იმპერატორი რა თვალთ უყურებს ამ საქმეებსა, უშიშროებისათვის მიუცილებელ საჭიროებად ჰპოვა, რომ არ გარეულიყო პართიისა და სომხეთის საქმეებში. ამასობაში არტაბანმა, როგორც გაიგო რომში მომხდარი ცვლილება, მსწრაფლად გამოჩნდა პართიაში სკვითის ურდოებითა, გამოავლო ტირიდატი და ხელახლად ხელმწიფის ტახტის მფლობელად შექმნილმა თაყვანისცემითა და საჩუქრებით მოიპოვა კალიგულის მეგობრობა. ეს მეგობრობა დაეტყო ძლიერ ცუდად ამ ცოტას ხანშივე მიტრიდატსაცა, რომელიცა არტაბანის თხოვნითა 60 წ. დაიჭირეს რომაელთა, შეჰჭედეს ხუნდებში და გაგზავნეს რომში, სადაც იყო დაპატიმრებული თითქმის შვიდი წელიწადი.

ფარსმანმა კალიგულის სიკვდილის შემდგომ იმდენადვე გამძლავრებულმა და პატივცემულმა რომაელთაგან, როგორითაც უწინა, ჰსთხოვა იმპერატორს კლავდისა ძმის განთავისუფლება. კლავდიმ მისცა მიტრიდატსა თავისუფლება და ნება სომხეთის დაბრუნებისა, რომელიცა იმ დროს იყო არტაბანის მეძევდრის, ბარდანის მფლობელობის ქვეშე და აქაც პართიანებზედ საქართველს მეფის ახალმა გამარჯვებამ გაუხსნა მიტრიდატს გზა მეფის ტახტის დასაჭერათა.

ამის შემდგომ ფარსმანსა ჰქონდა განზრახვა ალბანიის დაპყრობისა; მაგრამ რაღაცა მიზეზით არ აღსრულდა. ამასობაში იმან შეამცნია, რომ იმისი უფროსი შვილი რადომისტი, დღე და ღამე იმის სიცოცხლისათვისა და მეფის ტახტისათვისა უფრო და უფრო საშიშარი ხდება.

იმან დაიბარა ისა პირისპირ სანახავათა და, რა არ უჩვენა სახე, რომ იცის იმისი განზრახვა, გამოუცხადა, რომ სომხეთი

იმის დაპყრობილი პართიანებისაგან, უკანონოდ მიეცა მიტრიდატსა, როდესაც იგი უნდა ეკუთვნოდეს რადამისტსა; მოიგონა რა ბრძოლის მიზეზი, ფარსმანმა საჭევენოდ გამოაცხადა დანაშაულობა მიტრიდატისა, ვითომც იმ უმადურმა ძმამ დააბრკოლა რომაელნი, როდესაც ისინი აძლევენ შემწეობასა ალბანელების წინააღმდეგად და შემდგომ უბრძანა რადამისტსა, რომ წასულიყო სომხეთში. გამოეგლო იქილამ მიტრიდატი და დაეპყრა სამძღვარი. მიტრიდატმა, დამფთხალმა მოულოდნელის განსაცდელისაგან, გაანება თავი თავის სატახტო ქალაქსა და შეეფარა გორნეაზის ციხესა (ხორენი) რომელშიაც იღვა რომის ჯარი, პრეფექტის ცელია პოლიონ, და ცენტურიონ კასპერიისა ბძანებისა ქვეშე. რადამისტმა დააპირა ამ ციხის აღება; მაგრამ ვერ შეიძლო, რის გამოც მიმართა რომაელების დაქრთამვასა. ამის მიზეზით, რომაელთა ძალა დაატანეს, რომ ციხიდან გამოსულიყო მიტრიდატი და მისცემოდა რადამისტის სულგრძელობასა.

ორნი მტერნი რომ შეიყარნენ, თავდაპირველად მოეხვივნენ ერთმანერთსა და დასდეს პირობა, რომ არ მოეშალათ ნათესაობრივი წმინდა კავშირი (მიტრიდატი იყო ძმა და სიძე ფარსმანის, და სიმამრი რადამისტისა): შემდგომ შევიდნენ მახლობლად მყოფს ტყეში, სადაც იყო მომზადებული სამლო და სადაც დასდეს პირობა, რომ ღმერთთა წინაშე შეეფიცნათ ერთმანერთისათვისა შერიგება. ამ ფიცისა წესი იყო ეს: იმათ მისცეს ერთმანერთსა ხელი და მხლებლებმა შეუკრეს ცხენის ძუითა ცერები, ისე მაგრათა რომა დაუსისხლიანდათ ტყავი; და გამოჩნდა თუ არა მაშინვე ერთიერთმანერთს გამოსწუწნეს სისხლი. — ეს კავშირი იყო თვით უგულითადესი მაშინდელებისათვის, როგორათაც პირობის დამდებლების სისხლით გამაგრებული და დამტკიცებული.

მაგრამ ამ წმინდა წესის აღსრულების შემდგომ მსწრაფლ სუყოველივე შეიცვალა: როცა ანიშნა რადამისტმა, ჯარისკაცები ებგერნენ უმწეო მიტრიდატსა, შეჰჭედეს ხუნდებითა და იმის ცოლისა და მცირეწლოვანის შვილების თვალწინ წაიყვანეს დასასჯელად; აგრეთვე იმისი უბედური ცოლ-შვილიც მიეცა ამავე ბედისწერასა. ცოტას ხანში ისინი ყველანი გააფთხეს მიწაზე და ამოარჩეს ტვირთის სიმძიმის ქვეშა.

სირიის მმართველმა უმდილი კვადრატმა, როდესაც გაიგო ეს შეუბრალებელი ქცევა, მოსთხოვა ფარსმანსა, რომა დაენებებია თავი სომხეთისათვის და დაეხარებია იქილგან თავისი შვილი; მაგრამ მეორეს მხრით კაპადოკიის მმართველი იული პელიგნუსი, რომელიც მივიდა რადამისტანა, არწმუნებდა იმასა, რომ დაედგა გვირგვინი, და თვითვე დაესწრო ამ წესის აღსრულების ცერემონიაში, როგორათაც ქეშიკი, – და ესრეთ რადამისტმა, თუმცა ჰქონდა მრავალი დაბრკოლება, მაგრამ მაინც სომხეთის მეფობის წოდება იშოვა.

ამასობაში პართიანის ხელმწიფემ კოლოგეზმა იფიქრა, რომა მიეცა შემთხვევა იმ სახელმწიფოს დაბრუნებისა, რომელიც ერთს დროში ეკუთვნოდა იმის წინაპართა, შეჰკრიფა ჯარი და წავიდა სომხეთში იმ განზრახვითა, რომ იქ დაესვა მეფედ თავისი ძმა ტირიტადი. რადამისტი იქმნა გამოგდებული, სომხეთსაც თითქმის ხელთ იჭერდნენ პართიანები, მაგრამ მძაფრმა ზამთარმა დააბრკოლა კოლოგეზი, რომ შეესრულებია თავის განზრახვა.

კოლოგეზის იქ არ ყოფნაში რადამისტი ისევე მივიდა სომხეთში და შეუბრალებლად დასაჯა იქა მცხოვრებლები, რომელთაც ყველას რაცხდა მოღალატედ. უკანასკნელ მოთმინებიდგან გამოსულ სომხებმა მოჰკიდეს იარაღსა ხელი და გარს შემოერთყნენ მეფის სასახლესა; მაგრამ რადამისტმა მოასწრო გამოქცევა და თავისი ცოლის ზენოვიას წამოყვანა, რომელმაცა, რადგანაც ორსულად იყო, ვერ შესძლო ჩქარი ცხენით სიარული და დაბნდა. რადამისტი შეძრწუნდა და იმისაგან შეშინებულმა, რომ ცოლის გვამი არ დაინარჩუნოს მღევარმა, თავისი ხელით დასცა სატევარი. გვამი ჩააგდო არეზის წყალში, თვითონ კი გაიქცა საქართველოში.

რამდენიმე დღის შემდგომ, წყლის პირს მყოფთა მწყემსებმა იპოვეს ზენოვია, გრძნობაში მოსული წყლის სიოსაგან და მიიყვანეს ფარსმანის სასახლეში.

ბოლოს, როდესაც ტირდატი დამტკიცდა ნერონისაგან სომხეთის ტახტზედ, მაშინ იმან ჰპოვა მიუცილებელ საჭიროებად მღვთმარეობის დასამტკიცებლად, ყურათღება მიექცია რადამისტისაკენ. ფარსმანიც, თავისი მხრით, ვერ ენდო თავის შვილსა და

განიძრახა იმისი დაღუპვა თავისი მოსვენებისათვისა. 58 წელს რადამისტი დასაჯეს მამის ბრძანებითა, თითქო იმპერატორის მოსამადრიელებლად, რომლისათვისაც ფარსმანმა მიიღო იმპერატორი ნერონისაგან სომხეთის ნაწილი.

ფრანციის მწერალმა კრებილიონმა ეს ისტორია მიიღო საფუძვლად ტრაგედიისა, რომელსაც ეწოდება „რადამისტი“. ამ მეფობის უწარჩინებულესს საქმეების რიცხვს ეკუთვნის უეჭველად გამოჩენა საქართველოს სამძღვრებში ქრისტიანობის პირველთ მქადაგებლებისა, თუმცა ამ საქმეს არა ჰქონდა არაფერი დიდი შედეგი.

თითქმის 40-ე წელსა წმინდა მოციქულები: ანდრია პირველსახელწოდებული და სიმონ კანონიტი, ყოვლად წმიდის მღვთისმშობლის ჩაბარებით, როგორც ამბობს ქართული გარდმონაცემი, წამოვიდნენ მგზავრად იმ ქვეყნებში, რომელნიცა წინათვე აღნიშნულნი იყვნენ მღვთისმშობლის წილად, სახარების საქადაგებლად, მოვიდნენ ტრაპეზონიდან აჭარაში და მრავალი დაბრკოლებისა და ჯაფის შემდგომ მოაქციეს იქ მცხოვრებლები ქრისტეს საწმუნოებაზედა. აჭარიდამ ისინი მოვიდნენ სამესხომი. შემდგომ კლარჯეთში. ტაოსკარში, ჭოროხის წყლის პირზე: სამეგრელოში და აფხაზეთში და ყველგან კეთილად წარმართეს ის საქმე, რომელიც კისრად ელთ. ხალხი ინათლებოდა, აქცევდა ტაძრებსა და პირქვე ამხობდა კერპებსა. არ შეიძლებოდა ამ გარემოებას არ მიექცია ყურადღება ფარსმანისა, — და რადგანაც მოქმედება ახალის მორჯულებთა გარეგანი შეხედულებით არასფერს კეთილს არ წარმოადგენდა, ამისათვის ფარსმანი იყო განრისხებული კლარჯეთის ერისთავის გულგრილობაზე ანუ თანაგრძნობაზე. რომელმაც თავის მარაში სარწმუნოების გამოცვლისა ნება მისცა და ბრძანა, რომა მაშინვე აღმოეფხროთ იმ ქვეყანაში ყოველი ნიშანი ქრისტიანობისა. ფარსმანს უნდოდა მოციქულების დაჭერა, მაგრამ ანდრია წავიდა ბოსფორაში და სიმონი გარდაიცვალა ნიკოფსია. სახარების ქადაგების დევნა იმ დროების კუთვნილება იყო, მაგრამ სახარების დევნა საქართველოში ფარსმანის მხრით ისეთი სასტიკი იყო, რომა მცირეს ხანში სრულიად განქარდა ქრისტიანობის კვალიცა.

თუმცა ისეთს განძლიერებულს მდგომარეობაში იყო ფარს-მანი თანამედროვე აზიის ხელმწიფეებთან შორის და ასე განვრცელებული ჰქონდა სამხდვარი საქართველოსი, მაგრამ წმინდა მოციქულების მგზავრობის აღწერიდგან სჩანს, რომა საქართველოს ქვეყნები სამესხო და ტაოსკარი არ იყვნენ მომწყვდეულნი საქართველოს სამხდვრებშია. როდესაც მოციქულები მოვიდნენ ამ ორს მაზრაში, მაშინ, „ქართლის ცხოვრების“ ჩვენებით, ის ქვეყნები იყვნენ ერთი ქერივი ქალის მფლობელობის ქვეშა. ვიცით, რომა იმ დროს პონტოის სახელმწიფოში მმართველობდა მოკლული პოლომონ I-ისა ცოლი პიფადორე, მამასადამე, საქართველოს ყველა დასავლეთი ქვეყნები არა ჰქონდა ფარსმანს დაბრუნებული, მაგრამ კი იმისი სახელმწიფო უფრო განვრცელებული იყო უწინდელ იმის წინაპართა სამეფოზედა: როგორც ჩვენა ვნახეთ, ზოგიერთ მაზრების გარდა, რომელშიაც სცხოვრებდა ქართველი ხალხი და რომელნიც განუდგნენ საქართველოსა მირვანის I-ის დროსა, კიდევ მიემატა იმპერატორი ნერონისაგან სომხეთის ნაწილი. ფარსმანი არ იყო განსაკუთრებით გარეშე საქმეების მიმდევი, ის ზრუნავდა თითქმის იმოდენადვე საქართველოს შინაურ კეთილმდგომარეობისათვისაცა. იმის დროში მცხეთამ მიიღო დიდი სივრცე უწინდელზე და გაიწია არაგვის წყლის ორთავე ნაპირზე.

ფარსმანი გარდაიცვალა 60 წ. სურდა რა თავის სიცოცხლეშივე დაემკვიდრებია მშვიდობიანობა და უშიშრობა საქართველოშია, სიკვდილის პატარა წინად თავის ორს შვილს ბარტომას და ვარტომას მტკვრით გაუყო თავისი სამეფო ორ ნაწილად და განუკვლივა ორივეს მოვალეობა. როგორც ურთიერთ შორის მიქცევა-მოქცევაში, ისე საერთო საქმეებშიაც, იმიტომ, რომ თავის სიკვდილის შემდეგ ორ ძმათა შორის არაფერი შური და მტრობა არ ჩამოვარდნილიყო.

(ძვ. მე-60 წლიდგან 129-ე წლამდე:)

საფუძველი, რომელზედაც იყო დამყარებული დუარხიული მმართველობა. – ამ პერიოდის ხელმწიფეები. მომხდარნი საქმე-

ნი – სომხებთან ბრძოლა. – დაპყრობანი ტროიან იმპერატორისა და ურთიერთშორისი ბრძოლა ფარსმან III-ისა და მირდატისა. მოგზაურობა ფარსმანისა რომში.

ამ პერიოდის ხელმწიფეებსა რა უფლება და მოვალეობა ჰქონიათ, როგორც ურთიერთშორის მიქცევ-მოქცევაში, ეგრეთვე ხალხის საზოგადო საქმეებში, ამაზედ არის ზოგიერთი ცნობა ქართულ მატრიანეში. ამ ცნობათაგან შეიძლება ვიფიქროთ, რომა ის უფლება და მოვალეობა იყვნენ დამყარებულნი შემდგომს საფუძველზედ: 1. ერთს ორ ხელმწიფეთაგანს უნდა ეცხოვრა მცხეთაში და სჭეროდა მტკვრის მარცხენა მხარეს მდებარე ქვეყნები და აგრეთვე იორისა და ჭოროხის აუზის მაზრები, მეორეს კი უნდა ჰქონოდა ბინა არმაზაში და ემთავრა მტკვრის მარჯვენა მხრიდან დაწყობილი საქართველოს სამხრეთის სამძღვაძღინა; 2. თუ ვინიცობაა, იმათგანი მოკვდებოდა ვინმე, მაშინვე იმის მაგიერად უნდა დამდგარიყო სამთვაროში – მმართველად უფროსი შვილი და აღესრულებინა მოვალეობა, რაც კისრად ედვა იმის მამასა; 3. ყოველს მათგანსა თავის სამფლობელოში დაუშოუკიდებელი მეფის უფლება ჰქონდა. 4. მშვიდობიანობის დროში ხალხის საზოგადო საქმის გადასაწყვეტლად, რომელიც შეეხებოდა ორივე სამთავროსა, უნდა შეყრილიყვნენ ორივენი და გარდაეწყვიტათ საქმე ერთად და 5. ლაშქრობის დროს ერთს მათგანს ებარა სამხედრო ადმინისტრაცია მთელის საქართველოსი და მეორეს სამოქალაქო, ამასთანაც პირველი უნდა ყოფილიყო წინამძღოლი ჯარისა და მეორეს კი ეზრუნა ჯარის სურსათისათვისა და იარაღისათვისა. –

პირნი, რომელნიც მეფობდნენ ამ პერიოდში, იყვნენ: ბარტომი და ქართამი, შვილები ფარსმან პირველისა. ისინი შევიდნენ თავის სამთავროს მფლობელობაში მე-60 წელიწადში. ქართამი სამსწელიწადს შემდგომ მოკვდა, მე-63 წ. და იმის მაგიერად გამეფდა იმის შვილი ფარსმან II. ბარტომმა იმეფა 72 წლამდინ და იმის სიკვდილის შემდგომ ფარსმან II-ს გაუამხანაგდა კაოსი, ბარტომის შვილი. – ესენი დაიხოცნენ 87 წელიწადში და იმათ მაგი-

ერად შევიდნენ სახელმწიფოს მფლობელობაში აზორქი და არმაზელი. აზორქისა და არმაზელისა სიკვდილის დრო და იმათი შვილების დეროქისა და ამზასპისაგან მართებლობის მიღება ნამდვილად არ ვიცით, მხოლოდ 103 წელიწადში პირველნი მათგანნი აღარ იყვნენ ცოცხლები და მეფობდნენ იმათი შვილები. აგრეთვე არ ვიცით, პირველი, ამ ხელმწიფეების სიკვდილი და დასაწყისი იმათი მემკვიდრეების მირდატისა და ფარსმან III-ს მმართველობისა, რომელნიცა 113 წელში კი მართავდნენ საქართველოსა, და მეორე: წელიწადი მირდატის საქართველოდგან განდევნისა და ჩავარდნა სრულის სამეფო უფლებისა მარტო ერთის ფარსმან III ხელში. ეს უცოდინარობა გვაძულებს, რომ მივიღოთ დუარხიულის მმართველობის საძვრად, წელიწადი, როცა მიიცვალნენ ფარსმანი და მირდატი და როცა ადამი საქართველოს ხელმწიფედ დაინიშნა, — და არა ის წელიწადი, როცა მირდატი გაიქცა.

ამ პერიოდის განმავლობაში ერთი გამოჩენილი საქმეთაგანი იყო ომი ქართველებისა სომხეთში. ეს ომი დაიწყო ფარსმან III-მ იარვანდის მისაშველებლად სომხეთის მეფის შვილის არტაშანის წინააღმდეგად. იარვანდს ეჭირა სომხეთის მეფის ტახტი უკანონოდ. კანონიერი მემკვიდრე კი არტაშანი, თავის მცირეწლოვნობაში ემალებოდა იმისს ღვენასა სპარსეთში ერთს სომხეთის დიდი კაცის სემბათის მეურნეობასა ქვეშე. 78 წელ. როდესაც ეს ხელმწიფეს შვილი დავაჟკაცდა, მაშინ სემბათმა დაიყოლია სპარსეთის კარი, რომ არტაშანსა მამეულის ტახტის დაბრუნებაში დახმარებოდა. მიიღო რა იმისაგან ჯარი, სემბათმა თან წაიყვანა არტაშანი და შეესია სომხეთსა. იარვანდმა, სპარსელების მოსვლით შეწუხებულმა, სთხოვა ფარსმანსა შემწეობა მტრის შესაოკებლად. ქართველები შევიდნენ სომხეთში და მიემატნენ იარვანდის ჯარსა მაშინ, როდესაც თითქმის მთელი ის ქვეყანა მიეპხრო კიდეცა არტაშანსა. იარვანდი მალე დაამარცხა და მოჰკლა სემბათმა; იმისი ჯარი გაიქც-გამოიქცა და ფარსმანიც დაბრუნდა საქართველოში.

არტაშანის მეფედ დასმის შემდგომ სემბათმა მიჰყო ხელი მთელის სომხეთის დამორჩილებასა და წესიერობაზედ მოყვანასა. და თანაც გულში ინახავდა ფარსმანის შურისძიების გან-

ზრახვასა იმისთვის, რომ იარვანდსა შემწეობა მისცა. 87 წელ სემბათი ომის გამოუცხადებლად შემოადგა საქართველოს სამძღვარს და ჯვართ გარს შემოერტყა არტანისსა და წუნდასა. რაკი ნახა, რომ ამ ციხეების გუშაგნი გულდაგულ ეწინააღმდეგებიან და ამასთან შიშიც მოეცა, რომ არ მოშველებოდნენ. იმან დაქრთამა გუშაგის უფროსები, მაგრამ როდესაც ამ ღონისძიებითაც იმათი დამორჩილება ვერ მოახერხა, მაშინ დაქრთამულების თანხმობით გაუგზავნეს გუშაგებსა კაოსისსა და ფარსმანის ტყუილი წიგნები, რომ ჩაებარებინათ ციხეები სომხეთის მეფისათვის, რადგანაც ფიქრი გვაქვსო სომხებთან დაბეგობრებისაო. ალბათ, როდესაც ერთს ჩიკრიკს მიჰქონდა ის წიგნი მტრისაგან გარემოცულს ციხეებში, მეორე ჩიკრიკი საქართველოს ხელმწიფეებთან საწამლაგით გაგზავნილი იყო, ამისათვის რომა სწორედ იმ დროსა, როდესაც მოტყუებისა გამო ქართველი გუშაგები აბარებდნენ სომხებსა წუნდასა და არტანისსა, კაოსი უცებ მოკვდა.

ფარსმანი მიეცა დიდს მწუხარებასა თავის ამხანაგის სიკვდილისა გამო, რომელზედაც სიბერის დროსა იმედი დამყარებული ჰქონდა, ამასთანავე ზედ დაერთვა მეორე მოულოდნელი სევდა, როცა შეიტყო, რომ სომხებს ის ციხეები აუღიათ; მაშინვე დაიბარა აზორქი და არმაზელი, მისცა იმათ თავისი და კაოსის უფლება, გახდა ძრიელ ავად და მას შემდეგ მალე მოკვდა. საქართველოს ახალი მეფეები შურს ეძიებდნენ სომხებისასა, და მოიწვიეს რა ოსები და ყველა მთის ხალხი¹, რათა მიემატებინათ ქართველებ-

¹ როდესაც „ქართლის ცხოვრება“ ამბობს ოსების ლაშქრობაზე სამხრეთის ქვეყნებში და იმათს შესევაზედ სომხეთში, მოსე ხორენელი უწოდებს ამ ლაშქრობასა ალანების შესევასა. ჩვენის აზრით, ძველთაგან ძველის დროებიდან იალბუზის ჩრდილოეთისა და ჩრდილო-აღმოსავლეთის კალთებზე სცხოვრებდნენ შემდგომი ტომნი: 1). სივრცე ქვეყნებისა კავკაზის მთიდან კასპის ზღვამდინ და ანდის მთიდან სამურის წყლამდინ ეჭირა ხალხსა, რომელთაც უწინდელი დროების გეოგრაფები უწოდებდნენ ლეგებსა და ქართველები კი ლეკებსა; 2). სუნჯის წყლის სათავიდან-მთელ ამ წყლის გაყოლებაზედ ანდის მთამდინ სცხოვრებდნენ მეჯეხები ანუ მესეგები – ესენი არიან ეხლანდელი ჩაჩნები, რომელნიც ეხლაც იწოდებენ ამავე სახელსა, თვით ქვეყანას კი ერქვა: მეჯეხეთი ანუ მასსაგეთი; 3). სივრცეზე სუნჯის წყალსა და

ისათვის სომხეთის ასაკლებათ, თითქმის 88-ე წელში შეესიენ სომხეთის ჩრდილოდ მდებარე მხარესა, საშინლად გაცარცვეს და

თერგ შუა სცხოვრებდნენ ხალხი უწინდელი გეოგრაფების სახელწოდებით: გელები; ამ ქვეყანასა, სადაც ცხოვრებს ესლა უფრო მომატებული ნაწილი სხვა ტომებისა, აქამდისაც ჰქვიან ვლასტანი; მაგრამ ამ ქვეყნის მთებში ესლა სცხოვრებს ნაშთი ტომისა, რომელთაც ეწოდებათ გალაშელნი ანუ გალგაელნი ენაზედ მოლაპარაკენი; 4). თერგის სათავიდან მარცხნივ ყუბანის წყლამდინ და ამ წყლის მარჯვენა ნაპირიდან დონის წყლამდინ სცხოვრებდა ხალხი ოსების სატომოსი სხვადასხვა სახელწოდებითა; 5). კაკაზის მთის, ყუბანის და შავი ზღვის შორის იყვნენ ადაგე ანუ ჩერქეზები, მრავალ სხვადასხვა თემებად გაყოფილნი, რომელთაც სხვადასხვა სახელწოდება ჰქონდათ და 6). შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაპირი ეჭირათ, როგორც ამ ჟამათაც უჭირავთ, აფხაზებსა.

ყველანი ეს ხალხნი მთელ თავის ცხოვრების განმავლობაში თითქმის ველურად დარჩენილნი იყვნენ, ამათ არ ჰქონდათ მწერლობა, გარდმონაცემები იმათი არიან არეულ-დარეულნი და ბნელნი, და ამის მიზეზით მათი ცხოვრება ისტორიულის ზედმიყოლებით ცნობილი არ არი; მაგრამ ვიცით, რომა ეს ტომები, აფხაზებსა და ლეკებს გარდა, სცხოვრებდნენ უბინათა და ხანდახან გადადიოდნენ სხვის, სკვით-სარმატების ხალხის მამულებში და ხანდახან თვითონ ამათვე განდევნიდნენ ხოლმე სხვა ხალხნი, რომელნიცა შეესეოდნენ ამათ საკუთარს მამულებსა და იმ მამულებზედ გადიოდნენ ზემო აზიაში როგორათაც, მაგალითებრ: კიმერიანენი, ხაზარები და ბალქარები ანუ ბასსიატები, ე. ი. ბასსიანენი ანუ ბარსელიანენი. სასარმატოში და სკვითეთში დადიოდნენ რა უბინაოდ, ისინი შეხვდებოდნენ ხოლმე სხვა ტომებსა და ზოგჯერ ამათი ნაწილი ხალხი მიუდგებოდა ხოლმე სხვა ხალხსა და ზოგჯერ თვითონ ესენი მიიღებდნენ ხოლმე და შეირევდნენ სხვა უცხო ტომსა, აქედან წარმოდგა ისა, რომა ამ ექვს ტომის მაგიერად კაკასიაში, ძველი და საშუალო საუკუნის მწერლები ანგარიშობენ ურიცხვს ხალხსა სხვადასხვა სახელწოდებითა.

ამავე მიზეზით ოსებსა სხვადასხვა დროებში სხვადასხვა ხალხი უწოდებდა სხვადასხვა სახელებსა: ქართველები მწერლობის მექონენი და ყველაზე მახლობლად მყოფნი ოსებზედა უწოდებდნენ ოსებად; ჩრდილოეთის ხალხი იასებად; დასავლეთის ხალხი უწოდებდა იმათა ხან ასებს ან აზებს ანუ აორასებს, ხან სარმატებსა, ანუ მეოტებს;

ააოხრეს, როდესაც სრულებით დაძღვნენ შურისგებითა, ისინი დაბრუნდნენ იორის ნაპირისაკენ და იქ დადგნენ. ხელი მიჰყვეს თუ არა დავლისა და ტყვეების გაწილვასა, მაშინ მოეწიათ იმათა მრავალრიცხვი სომხეთის ჯარი, სემბათის წინამძღოლობითა, რომელიც რა დაბანაკდა მტკვრის მარჯვენა მხარეზე გაუგზავნა, რომ ტყვეები დაუბრუნონ.

როდესაც მიიღო უარი, სემბათი გავიდა მტკვარგალმა, შეება და ისე დაამარცხა ქართველები და იმისი მოსარჩლეები, რომა მოსარჩლებმა დასტოვეს დავლა, ტყვეები და გაიქცნენ თავთავის ქვეყნებშია, ქართველები კი გამაგრდნენ ციხეებში. სემბათი შეესია საქართველოს შიგნით მხარეებსა და გაიარა მთელი ეს ქვეყანა ქიზიყიდგან სამესხეთომდინ და ააოხრა უძვეო სოფლები. მისთვის რომ დაემკვიდრებია სომხეთის მფლობელობა სამესხეთოში, იმან ააშენა მესამე ციხე დემოთი. დააყენა იქ ძლიერი გუშავი და დაბრუნდა სომხეთში.

საქართველოს ხელმწიფეები გამოვიდნენ თავისი საფარველებიდანა, მეორედ შეჰკრიბეს მთის ხალხი სომხეთს საომრად, მაგრამ არტაშანმა დაასწრო იმათა და თვითონ წამოვიდა საქართველოში; იმან აიღო მცხეთა, ააოხრა და გაანადგურა ქართლი და იქამდინ მიახწევინა, რომ მორჩილობის სიდაბლითა ასყიდვინა მშვიდობიანობა და შერიგება.

ამას შემდგომ აზორქი და არმაზელი დიდხანს ვერ ბედავდნენ გამოეცხადებინათ არტაშანისადმი თავისი სიმძულვარე, რომელიცა აელგზნებოდათ ხოლმე, როცა ნახავდნენ სათითაოდ ყოველ ნაოხარსა, რომელიც აგონებდათ ხალხის სახელის აღდგენის

თვისონ კი თავის თავს ეძახიან ირონებსა. ადრიანი, მოსე ხორენელი, იოანე კათალიკოზი და კონსტანტინე პორფიროსანი ოსებს ეძახიან ალანებად და ზოგიერთი მწერლებიცა ალანებსა და ალბანელებს ურევუნ ერთმანერთში; აბულფედს ალანეთი აქვს დანიშნული დაღესტნისა და ჩეჩენის ადგილას. კლაპარიტი კი იმ აზრისა არის, რომა ოსები და ალანები ერთი და იგივე ხალხი – ირონი არიან, მაგრამ ძნელი გადასაწყვეტი კი არის: ალანები იყვნენ ოსები თუ ეგ ალანები სხვა ტომი იყო; ამჟამად კავკასიაში არაფერი არა მოგვაგონებს რა ალანების სახელსა, ერთს ხეობას გარდა, რომელსაც ილან ხევი ჰქვიან, მაგრამ ეს ადგილი მდებარეობს სალგეოშია.

მიუცილებელ საჭიროებასა. დიდი ხნის მშვიდობიანობამ მისცა იმათ შეძლება, რომ საქართველო აოხრებული კვლავ აეშენათ, წესი და რიგი ისევ დაეწყოთ და ჩუმად საომრათაც მომზადებულიყვნენ.

ბოლოს როცა სომხებმა ასტენეს ომი რომაელებთან და სპარსებთან¹, მარჯვე შემთხვევა მიეცათ აესრულებინათ დიდი ხნის წადილი. აზორქმა და არმაზელმა მაშინვე ისევ მთიულები დაიბარეს და წაიყვანეს ქალთველებთან ერთად სომხეთზედა. არტაშანმა მოაგროვა თავისთან დარჩომილი ჯარი, გაუძღოლა წინა თავისი შვილი ზარენი და გაგზავნა მტრის დასახვედრად. ქართველებმა დაამარცხეს სომხეთის ჯარი და ხელმწიფის შვილი ზარენი ტყვედ დაიჭირეს და დარიალანში დააპატიმრეს.

ამის შემდეგ სამი წელიწადი რომ გავიდა, არტაშანმა რაკი რომ მორჩა სპარსეთის ომსა, რაც კი სომხეთსა ჯარი ჰყვანდა, სულ მოაგროვა და საქართველოში გამოგზავნა, უფროსობა ჯარისა თავის სამს შვილს ჩააბარა. ისინი მოვიდნენ თრიალეთამდინ და დაუწყეს ქართველებსა შერიგებაზედ ლაპარაკი. ეს ლაშქრობა დაბოლოვდა სისხლდაუნთხეველად; სომხებს მისცეს ხელმწიფის შვილი ზარენი და საქართველოს დაუბრუნეს ციხეები და სამესხეთო, არტაშანის გამეფების პირველ წელიწადში სემბათისაგან მუხთლობით დაჭერილი.

ამ სახით გვიამბობს ქართული მატეიანე ამ ხანგრძელ ქართველებთა და სომხებთ შორის ლაშქრობის ამბავსა. ამ ფაქტის შესამოწმებლად, ჩვენ ძველი წერილი სახეში არა გვაქვს, მოსე ხორენელის გარდა, მაგრამ ვინც კი მიჰყოფს ხელსა იმათს შეფარდებასა, ის უნებლიეთ ქართულ მატეიანეს დაამჯობინებს სომხებისასა, რომელიც არა ისტორიულ გადმონაცემებით არის შეშლილი.

ჩვენ კიდევ შევნიშნეთ, რომა „ქართლის ცხოვრება“ იხსენებს არტაშანისა და რომაელების ლაშქრობასა; ეს ლაშქრობა იყო, როგორაცა სჩანს ლათინურისა და ბერძნული ისტორიკოსებთა-

¹ ქართლის ცხოვრებაში რომაელნი ბერძნებად სახელწოდებულნი არიან, მაგრამ მაინც კიდევ უსათუოდ სომხებისა და იმპერატორი დომიციანის ჯარების ბრძოლაზედ უნდა ამბობდეს ქართლის ცხოვრება.

გან, უკმაყოფილოებისა გამო, რომა არტაშანი მფლობელობდა სომხეთში სპარსეთის შემწეობითა და არა რომაელების დანიშვნითა. ტროიანე, რომელმაც მიიღო მართველობა იმპერიისა, ყოველთვის აცხადებდა ამ უკმაყოფილებასა უფრო ნამეტნავად პართიანებზედა.

სურდა რა ამ ერთ დროს მძლავრს დინასტიასზედ გამარჯვებით სახელი დაეცდო, ტროიანემ მოითხოვა განდევნა არტაშანისა. აღმოსავლეთზედ გალაშქრების მიზეზად ტროიანესს ეს შეექმნა. სპარსების ხელმწიფე ხოზროი, რადგანაც ტროიანესთან ომს ერიდებოდა, ძალა დაატანა არტაშანსა, რომ სომხეთიდგან გამოსულიყო. არტაშანი გამოვიდა და იმის მაგიერად პართიანელი თავადი, პართამაზირი დასვა, რომელიც თანახმა იყო რომის ვასალობაზედა. მაგრამ ტროიანემ განდევნა ისიცა, და სომხეთი იმპერიის მაზრად გახადა.

მარტო ერთმა სომხეთმა არ დააკმაყოფილა, ის წამოვიდა საქართველოსაკენ და, როგორც გვაჩვენებს ისტორია, ადვილად დაიმორჩილა იგი. მაგრამ როგორც შეუნიშნამს შლოსსერსა, საქართველოს მფლობელები ყოფილან მორჩილებაში იქამდისინ, ვიდრე რომის ჯარი ახლო მდგარა¹.

მეორე საქმე იმოდენადვე შესანიშნავი, როგორც ლაშქრობა ქართველებისა და სომხებისა იყო ფარსმან III-ის და მირდატის ურთიერთშორისი ბრძოლა.

ეს ორნი პირნი ხასიათში სრულიად არა ჰგავდნენ ერთმანერთსა. ფარსმანმა თავისი მშვენიერის შეხედულობითა, ვაჟკაცის გულითა და ლბილის ხასიათითა ქართველებში ყოველი ხარისხის ხალხს თავი შეაყვარა და სახელი გაითქვა, მაშინ, როდესაც უღმობელმა და უსამართლო მირდატმა შეაძულა თავი საზოგადოდ ყველასა. მირდატს შეუურდა, რომ ფარსმანი ესე უყვართ და განიდრახა ფარსმანის სიკვდილი ნადირობაშია, რომელიცა განგებ მითამ შესაქცევრად მოიგონა.

სანადიროდ მოწვევის ამბავი მიუტანა თუ არა ფარსმანს მირდატის კაცმა, თანაც აცნობა საზიზღარი განზრახვა მირდა-

¹ Шлоссер. Всем. Ис. т. IV. ст. 286.

ტისა. ფარსმანმა ნადირობაზედ უარი ჰყო და გამოუცხადა ხალხსა მირდატის განზრახვა. ქართველებმა, რომელთაც დიდი ხანია სურდათ ეპოვნათ შემთხვევა, რომ ამოეყარათ ჯავრი ბოროტმოქმედის მირდატისა, განდევნეს იგი თავის სამშობლო ქვეყნიდანა. მირდატი გაიქცა თავის სიმაძრთან – სპარსეთის ხელმწიფესთან.

ორჯელ შემოესია მირდატი საქართველოსა სპარსელების შემწეობითა, და ორჯელვე ისე ხერხიანად აოტეს ქართველებმა, რომა ბოლოს ფარსმანმა თავისას დაუმატა რა სომხეთის ჯარი, თავისი სიმაძრის სომხეთის მეფისაგან მოშველებული, თვითონ წავიდა საომრად სპარსეთშია. იმისმა გაბედვით შესევამა და გამარჯვებამ ისე გააშფოთა სპარსეთის მეფე, რომ იმან რაკი სხვა ღონისძიება ვეღარ იპოვა, რომ თავის სამეფო დაეხსნა აოხრებისაგან, გაბედა და შეისყიდა ფარსმანის მზარეული ფარსმანის მოსაწამლავად. ფარსმანი უცებ მოკვდა და ქართველები უკან დაბრუნდნენ, ამათ მდევრად დაედევნათ სპარსეთის მრავალრიცხვი ჯარი. სპარსელებმა საქართველო აიღეს და მეფედ მირდატი დასვეს. მაგრამ შემდგომ ფარსმანის შვილი ადამი რომაელთა¹, სომხებთა და დასავლეთის მაზრების ქართველთა შემწეობით დაეცა სპარსელებს და ბრძოლაში რეხის სიანხლოვეს, ღიახვზე, გადასწყდა სვე მირდატისა – ამისი მოსარჩლეები სრულიად დამარცხდნენ და თვითონაც ომში მოკვდა. ამგვარად გათავდა დუარხიული მართებლობა. 129-ე წელიწადში დაჯდა საქართველოს მეფის ტახტზედ მარტო ერთი ადამი.

ფარსმან III ადრიან იმპერატორის დროს წავიდა სამეზავროდ რომში და, როგორცა სჩანს უცხო ქვეყნის მემატიანებთაგან, იქ დიდის პატივისცემით იყო მიღებული. ერთხელ, როდესაც ფარსმანმა მიიტანა ზვარაკი ბელონის ტაძარში, იმას აჩვენეს ღვთიურ კერპებთა შორის თავისი საკუთარი სახის გამოხატულობა, იმის მისვლის წინად რომის მთავრობისაგან იქ აღმართული. (28) ?? ადვილად მისახვედრია, რომა ეს პატივისცემა იმ

¹ „ქართლის ცხოვრებაში“ რომაელნი ისე, როგორათაც უწინაცა, ბერძნებად არიან სახელწოდებულნი, და ალბათ, ის მიზეზი იყო, რომა აღმოსავლეთის რომის ჯარში უმთავრესი ელემენტი ბერძნისა იყო.

უმაღლესის აზრის გამოთქმელია, რომელიც ჰქონდათ რომაელებსა იმ დროების საქართველოს შეძლებაზე და იმ სარგებლობაზე და, რომელიც იმათ შეეძლოთ ჰქონოდათ ამ სამეფოსი და იმპერიის ერთმანეთში თანხმობისაგან. სანანურია, რომა ეს აზრი რომის ისტორიის სხვადასხვა ადგილასა ნაწყვეტ-ნაწყვეტად არის მხოლოდ გამოხატული და არა ზედმიყოლილ აღწერილებითა, რომლისაგანაც ჩვენ შეგვეძლო გამოგვეკვლია ვრცლად ის მნიშვნელობა, რომელიცა ჰქონია საქართველოსა ამ ძველისა და მთელის ქვეყნის მპყრობელის იმპერიისათვისა.

თუმცა ეს ესეა, მაგრამ მაინც კიდევ ღირს, რომ ეს ნაწყვეტ-ნაწყვეტები კაცმა ყურადღებით წაიკითხოს, რათა რამოდენათმე შეიტყოს ფასი ამა მცირე, მაგრამ მშვენიერის ქვეყანისა, რომელიცა ბედს ქართველებისათვის მამულად დაუნიშნავს.

**დუარხიულის (ორთამეფობის) მართებლო-
ბიდან ასჯაგურის სიკვდილადმდე, რომელიც
იყო უკანასკნელი საქართველოს ხელმწიფე
არშაკიძის შთამავალთაგანი. (129-263
წლამდე).**

ამ პერიოდის მეფენი. — შემოსევა მთის ხალხისა და იმათი ოტება ამზასპისაგან. — ამზასპის ლაშქრობა კავკასიის ჩრდილოთ. — სამხედრო წოდების ხალხის თავის ნებაზედ ქცევა. — ხალხის ამძვივნება ამზასპზედა. რევის მმართველობა. მეფე ვარესი და ბაკურისაგან მონაწილეობის მიღება სომხებისა და სპარსეების ომში. — გოთების შემოსევა სამეგრელოში. — საქართველოს შიში სპარსეთის მხრით და გარდაცვალება ასფაგურისა.

აღამა იმეფა სამი წელიწადი. 129–132-მდე. იმის სიკვდილ შემდგომ, რადგანაც შეილი მისი ფარსმანი მცირეწლოვანი იყო, მართველობდა საქართველოში თოთხმეტი წელიწადი ადამის დედა: გადღანი. 46-ე წელიწადში, საქართველოს მეფის ტახტზედ დასვეს თხუთმეტის წლის შვილისშვილი გადღანისა, ფარსმან IV. ფარს-

მან მეოთხის მემკვიდრედ დარჩა მისი შვილი ამზასპ II, რომელიც მეფობდა 114–148 წლამდე. ამზასპის შემდგომ საქართველოს მეფის ტახტზე დაჯდა სომხეთის ხელმწიფის შვილი რევი. რევის სიკვდილს შემდგომ მეფობდა იმისი შვილი ვაჩე 213–241 წლამდე. იმის მემკვიდრედ დარჩა ბაკურ; ბაკურის მემკვიდრედ დარჩა 256 წელიწადში მირდატ II და მირდატის შემდგომ 162 წელიწადში დაჯდა ხელმწიფედ ასფაგური.

რომ გამოვიკვლიოთ საქართველოს მატთან და განვიხილოთ უცხო ქვეყნების ისტორიული თხზულებები, გამოჩნდება, რომ ადამისა, გადდანისა და ფარსმან IV ხელმწიფობის პერიოდში, საქართველოსა ჰქონდა სრული მშვიდობიანი ცხოვრება: არც შიგნიდან და არც გარედგან საქართველოს არაფერი არა აწუხებდა რა. მაგრამ ამ გრძელჟამიერი მშვიდობიანობისა შემდგომ, ამზასპ II ხელმწიფობის დასაწყისში, ოსები აკლების სურვილით გატაცებულნი მოულოდნელად შემოესივნენ ქართლსა. შეერთდნენ სხვა მთის თემებთან და გადმოიარეს დვალეთის მთა და ჩამოვიდნენ ლიახვის ხეობაში. აქ ოსები დადგნენ მცირეს ხანსა, მოუყარეს თავი ყველა ჯარსა და წამოვიდნენ მცხეთისაკენა. ამზასპმა, რა წამსაც გაიგო იმათი მოსვლა, მამინვე გაგზავნა ჩიკრიკები ერისთავებთანა, და დაიბარა საჩქაროდ მოსულიყვნენ ჯარითა; მაგრამ რომ ნახა დედაქალაქზე მტრის ახლოს მოსვლა, აღარ მოუცადა ერისთავებსა, გამოიყვანა ქალაქიდგან ჯარები, რომელიც მას ახლდნენ. დასტოვა ქვეითი ჯარი, რომ ჩრდილოეთით ქალაქი გაემარებინათ, ცხენოსნით კი თითონ წინ მიეგება მთის ხალხსა და შეაყენა ისინი იმ ადგილასა, რომელსაც ეძახიან საფურცლესა.

თუმცა დიდი განსხვავება იყო მეომართა რიცხვთა შორის, მაგრამ ქართველების ვაჟკაცობა მტრის ყოველს დაცემას იმ დღესა ჩინებულად აიცდენდა. ღამემ შესწყვიტა ბრძოლა და ეს შემთხვევა ამზასპმა კარგად გამოიყენა: უკან დაბრუნდა, თავისი დანარჩენი გულადის, მაგრამ ძრიელ მოქანცულის ჯარითა, ქალაქისაკენ, სადაც ელოდა ქვეითი ჯარი. მეორეს დღეს მიელოდა ახალი ბრძოლა, რომელიცა რაც უნდა საქებური ყოფილიყო, მაინც ქალაქს ამორებდა საფარველსა ველური ხალხისაგან.

განთიადისასვე მცხეთის გუშაგი ემზადებოდა უკანასკნელი თავ-
განწირვით ძალის ხმარებასა, მაგრამ ამ დროს მსწრაფლ სა-
ზოგადო მტრისაგან გარე-მოცულთა სასიხარულოდ, ყოველ მხ-
არეს გამოჩნდნენ ჯარები შეკრებილნი ერისთავებისაგან. ისინი
საჩქაროდ მიეშველნენ ქალაქის მცველებსა და დაუწყეს ცხარე
ბრძოლა მთის ხალხსა. ორის დღის ბრძოლის შემდგომ მტერი
სრულიად დაამარცხეს და გარეკეს საქართველოდგანა დიდად
დაზარალებული. ამ დიად ჩინებულმა გამარჯვებამ, მტრის მოუ-
ლოდნელ დაცემაში, იქამდისინ შეაგულიანა ამზასპის ვაჟკაცური
ხასიათი, რომა მეორე წელსვე თითონ წავიდა სალაშქროდ კავკა-
სის მთის ჩრდილოთ. ვერავინ ვერ შეჰსძლო, რომ წინ დასდგო-
მოდა და ერთს წელზედ უფრო მოკლე ხანში, აღანებიდგან
დაწყობილი აფხაზებამდისინ ყველა სათემოები იძულებულ იყვნენ
დამორჩილებოდნენ ამზასპსა.

მაგრამ ამზასპის ამ ჩინებულმა გამარჯვებამ მალე დაჰკარგა
ყოველი ღირსება ქართველების თვალში; ქართული მატიანე ამ-
ბობს, რომა ამზასპმა ქართლის დაბრუნების შემდგომ, მისცა ყვე-
ლას სამხედრო წოდების პირთ სრული თავისუფლება, რომ ყოველ-
ისფერი მოეხმარებიათ თავის საკუთარ ნებაზე, რადგანაც გული
სავსე ჰქონდა მათდამი მადლობითა – ამისაგან საქართველოში
სწრაფად განვრცელდა ავზნეობა, თავის ნებითი ქცევა და გაკვრა-
გავლეჯა და რადგანაც დაჩაგრულები ვერსად პოულობდნენ სა-
მართალსა, ამისათვის ხალხმა მიახწია თავ-განწირულობამდინ.
ამგვარმა ჯარისკაცის უფლებამ, რომლის შედეგიც ყოველთვის
საშიშარია საზოგადოებრივის მშვიდობიანობისათვის, იძულებულჰყო
ხალხი, რომ შემწვობისათვის მიემართათ ერისთავებისათვისა.
ერისთავები მაშინვე უნდა მიმხვდარიყვნენ, რომა თუ ყურად-
ღებას არ მისცემდნენ ხალხის თხოვნასა და არ წაესარჩებოდ-
ნენ, მაშინ უნდა დაეკარგათ იმათზე თავისი ზედმოქმედება და
თვითონაც თავის დროზედ საზოგადო უწყესობის უმწეო მსხ-
ვერპლად შეიქმნებოდნენ. ერისთავებმა: სამეგრელოსმა, ოძრხისამა,
კლარჯეთისამა და წუნდისამა, რომელნიც უფრო მოშორებულნი
იყვნენ ხელმწიფის კარისკაცებისაგან, შეარდგინეს შეთქმა ამზა-
სპის საწინააღმდეგოდ, რადგანაც უწყესობის მიზეზი ეგ იყო და

გაგზავნეს სომხეთის მეფესთან¹ – ვალარშთან თხოვნა, რომ თანახმა შექმნილიყო იმათ ამორჩევაზე და მოეცა ამზასპის მემკვიდრედ თავისი შვილი რ ე ვ ი. რევი იყო ძმისწული ამზასპისა. სომხებს გარდა, ამ საქმეში რევის სასარგებლოდ, გაერივნენ რომაელნი და მთის ხალხიცა. თუმცა ამზასპას მხარე დაიჭირეს სპარსელებმა, ბრძოლა არ გაგრძელებულა დიდ ხანსა: ერთს ომს შემდგომ ქართლიც აგრეთვე გადავიდა რევის მხარესა და მცირეს ჟამში თვით ამზასპიც მოკლეს.

იმ ქებიდგან, რომელსაც მემატიანეები მოგვითხრობენ რევე-და, ჩვენ უნდა ვიფიქროთ, რომა იმის მმართველობაში, თავის ნებითი ქცევა სამხედრო წოდების ხალხისა მოისპო. თუმცა ისინი საკუთრად ამაზედ არაფერს არ ამბობენ. რევის გვიჩვენებენ კაცად საქმის ცხადად გამგონედ, მგრძობელად და მოწყალედ. იმისგან გამოცემული წესდებულება, რომელიც უკრძალავდა ღმერთებისათვის კაცების მსხვერპლად შეწირვასა, არის უწარჩინებულესი საბუთი იმისი კეთილ-ზნეობითის ღირსებისა. ეს შეუბრალებელი სარწმუნოების ჩვეულება, რომელიც იყო საქართველოში მესამე საუკუნემდინ, ოდესღაც უფლებდა ყოველს ადგილასა. მეორე პუნების ლაშქრობის დროსა ეს ადათი დიდებულად იყო აღსრულებულ, მას შემდეგ, როცა კანასთან ბრძოლისაგან შიშის ზარი დაეცა რომაელებსა. მაგრამ იქა და საბერძნეთშიაც უფრო მომატებულ განათლებამა აღმოფხრა ეს ადათი კარგა უწინ. როგორითაც ეს დაწესება, აგრეთვე რევის დაქორწინება წარჩინებულის ბერძენის ქალზე, რომელიც იყო შვილი ვიდაცა ლაგოფეტასი, სე ფორა, და აშენება ამ ქალის პატივისსაცემლად აფროდიტას კერპისა, ამტკიცებენ, რომა გემოვნება და საქმის გაგება ამ მეფისა უფრო ეთანხმებოდა ბერძნეთ და რომაელთ განათლებასა, ვიდრე ძველის და უძრავის აღმოსავლეთისასა. იმანვე გამოაჩინა, როგორც ამბობს გადმონაცემი, დიდი რჯულთმოთმინეობა. ქრისტიანების ცხადის მოწყალეებით, რომელნიცა აქა-იქა აღმოჩნებოდნენ ხოლმე მის ქვემევრდომთა შორის. მეფობამ და ყოფაქცევამ რევისამა და იმის მემკვიდრე-

¹ ვალარში მეფობდა 178–198 წლამდე. st. Martin; memoire sur l'Armenie, tom I p. 412.9

ბისამა. რომელნიც მისდევდნენ იმავე პოლიტიკასა, მოამზადა ქართველები იმ დიდის ზნობითის ცვლილებასათვის, რომელიც მეოთხე საუკუნეში მოხდა.

როცა ვაჩეს მართებლობა დასრულდა და დიწყო ბაკურის მეფობა, ყოველი ძალი და შეძლება საქართველოსი მიმართული იყო იმაზედ, რომ დაიცვან სომხეთის მეფის ხოზროის სახეშია არშაკიდების გვარის უფლება სომხეთზედა, რომელსაც ელტოდა სპარსეთის მეფე არდშირი. ქართველები ამის გულისათვის ბევრჯერ მოიმხრობდნენ ხოლმე მთიულებსა და მიდიოდნენ სპარსეთზედ, მაგრამ სულ ამო იყო: 233 წელსა სომხეთი დაიჭირა არდშირმა.

ამ პერიოდს მიეწერება საქართველოს კუთვნილ შავი ზღვის პირის ქვეყნებზე გოთების დაცემა, რომელიცა არის მოხსენებული ქართულს მატიანეში. გოთები, რომელნიც ოდენის სახეს თაყვანსა სცემდნენ, აღმოჩნდნენ აზოვის ზღვის პირზედა და მხოლოდ 100 წელს ქრისტეს წინად იძულებულ იყვნენ დაეთმთ თავისი ქვეყანა დიდი მიტრიდატის ძლიერებისათვისა. ოდენმა წაიყვანა ეს ხალხი შორს შორეული ჩრდილოეთისაკენ. იქ მისცა ეს სარწმუნოება და კანონები და უანდერძა, რომ არ დაეიწყებოდათ თავისი ძველი სამშობლო ქვეყანა და თავის შემაწუნებლები.

სკანდინავიაში იმათა ჰყვანდათ მემკვიდრეობითი ხელმწიფეები: იქიდგან შემდგომ გასწიეს ბალთის ზღვის მეორე ნაპირისაკენა, და იმპერატორი ალექსანდრე სევერის დროში ისინი გავიდნენ კიდევ მექსინის პონტის ნაპირზედა და იმას შემდგომ მრავალჯერ დაეცემოდნენ ხოლმე რომის დუნაისპირზედ მდებარე ქვეყნებსა. ბოლოს მირდატის ხელმწიფობის დროსა, 248-ე წელიწადში, ააშენეს რა შავ ზღვაში ძლიერი ფლოტი, გოთებამა რიცხვით 15,000 კაცმა, დაიწყეს ლაშქრობა, რომელსაც ეწოდება პირველი ზღვის ლაშქრობა გოთებისა. როდესაც დაუახლოვდნენ აფხაზეთის ნაპირსა, ისინი დაეცნენ ბიჭვინტასა (პიტიუს), რომელიც იმ დროს იყო ქალაქად. ჰქონდა კარგი გემთსადგური, მაგარი გალავანი, რომის ჯარით გამაგრებული. პირველი შებმა გოთებისა და ამ ქალაქისა იყო პირველთათვის საზიანო; მაგრამ შემდგომ

მანც აიღეს და დააქციეს თითქმის საძირკველამდინ. იქიდგან გოთებმა გასწიეს სამეგრელოსაკენა და იმისი ზღვის პირის გაყოლება ადგილები დაარბიეს და ააოზრეს; შედგომ გაცარცვეს რა მდიდარი ტაძარი რიონის შესართავში, დაუსჯელად გაემეზავრნენ ტრაპიზონისაკენ¹. ამ გარემოებამ, როგორც ზემოთა ვსთქვით, არ მიიპყრო ყურადღება ქართველი მემატეიანეებისა; ამისი მიზეზი იყო, ალბათ, ისა, რომა საქართველოს იმ დროში გაუწყვეტლად ჰქონდა მხედველობაში საშიშარი მდგომარეობა სპარსეთისა.

საფორმა, არდშირის მემკვიდრემ, განავრცელა რა თავისი სამფლობელო სომხეთის გარეთაცა, იქამდისინ ადაშფოთა საქართველო, რომა მირდატის მემკვიდრე ასფაგური, თვითონ წავიდა მთის ხალხთან შემწეობის სათხოვნელად და არწმუნებდა იმათა საზოგადოდ ყველას შეიარაღებას მიუცილებელ საჭიროებაზე, მაგრამ 265-ე წელიწადში ავად გახდა და იქავე მოკვდა.

საქართველოს მდგომარეობა სასსანიდების ღინასტიის დასაწყისში.

დაბადება და აღზრდა არდშირისა. — წინააღდგომა იმისი არტაბანისადმი და ხელმწიფედ დაჯდომა სპარსეთის ტახტზედ. — დესპანობა იმისი რომში. — მოსარჩლეობა რომაელთა სომხეთისადმი. — დაპყრობა სომხეთისა არდშირისაგან. — ომიანობის უბედური შედეგი რომაელთათვის.

მეორე საუკუნის დასასრულში, სპარსეთს, ისტახარის მაზრაში სცხოვრებდა ერთი ახამენიდების შთამამავალთაგანი, სახელად სასსანი. ერთხელ, ამბობს ქართული გადმონაცემი, როდესაც სასსანი დადიოდა თავის მაზრაში, მივიდა ღამე დასადგომად სპარსელ ბაბექ მისანთან (ასტრალოლოსთან). იმ ღამეს ბაბექმა ნახა სიზმარში, რომა სამი ქურუმი ზოროასტრის სარწმუნოებისანი, გამოეცხადნენ სასსანსა, ღვთისებრივ თაყვანისცეს და გამოუცხ-

¹ Gibbon hist. de la decadance et de lachut de I empirc tomain. ch. X.

ადეს, რომა ის იქმნება მამადმთავარი ახალი მეფეების დინასტი-
ისა. ბაბექმა, გაეღვიბა თუ არა, მაშინვე უამბო თავისი სიზმარი
სასსანსა და დასტოვა იგი თავის ცოლ-შვილში. ამ სტუმრისაგან
ბაბექის ქალსა ეყოლა შვილი, რომელსაც დაარქვეს სახელად
არდშირი.

არდშირმა სიყმაწვილის დროს მიიღო კარგი ზრდილობა
თავდაპირველად ბაბექის სახლში, და შემდგომ ხელმწიფის სასახ-
ლეში, სადაც იზრდებოდა არტაბან IV-ს შვილებთანა, ხელმწიფის
არამხანას მშვენიერთა შორის – ერთი ქალი სახელად გულნარა
ჩუმად ჰმფარველობდა ამასა. ყმარწვილობითვე იმოვნა გამოჩე-
ნილი ადგილი სპარსეთის პირველ მხედრებთა და წარჩინებულ
ხალხთა შორის¹.

მაგრამ როდესაც არტაბანის ხელმწიფობის დროს სპარსეთი
ააოხრეს იმპერატორებმა კარავალამ და მაკრინმა, მიიყვანეს
თავგანწირულებამდინა და არეულობამდინა, მაშინ არდშირმა სარ-
გოიანად მოიხმარა ეს გარემოება და გულნარას შემწეობით, წინდაწ-
ინვე არამხანიდან გამოზიდულის საუნჯითა, მოახდინა წინააღმ-
დეგობა არტაბანის საგნებელად. სამმა დიდმა ომმა მტრის სვე
გარდასწყვიტა, ამ უკანასკნელს ომში არტაშანის სიკვდილით
226-ე წელიწადში აღმოიფხრა უფლება პართიანებისა სპარსეთ-
ში, არდშირი დაჯდა ხელმწიფეთ და შეიქმნა მამამთავრად ახა-
ლის დინასტიისა, რომელსაც უწოდებენ სასსანისას, იმისი მამის
სასსანის სახელობაზე².

ამ გარემოებასა ჰქონდა დიდი ზემოქმედება სომხეთზედა, სა-
დაც ხელმწიფობდა არტაბანის ნათესავი ხოსროი. და დიდად
აღაშფოთა ამ გარემოებამ თვით რომის იმპერიაცა. იმ დროს,
როდესაც ხოსროიმ სთხოვა შემწეობა რომაელთა არდშირის
საწინააღმდეგოდ, არდშირმა, გაამპარტავენებულმა პირველის გამ-
არჯვებითა, დაისახა სამაგალითოდ კიროსი და გაგზავნა დესპანი
400 ამორჩეული კაცის სპარსები გამოჩენილნი მშვენიერის შეხედ-
ულობითა და შთამომავლობითა და უბრძანა, ეთქვათ იმპერატორ

¹ Lonis Dubeux. I'univers, La perse ed. 1841. p 278.

² St. Martin memoirc sur l'Armenie tom. Ip. 302 – 304. Gibbon his.
de la decaeancc et de la chuiе de l' empirc Tomain. chap. VII.

ალექსანდრე სევერისათვის, რომა კიროსმა პირველმა დაიპყრო მთელი აზია და მისი მემკვიდრეები ღიღხანს იყვნენ აზიის მბრძანებლებიო. იმათი საბრძანებელი იყო ეგეის ზღვამდინ და ეფიოპიამდინაო. ჩემმა დაბადებამ და ვაჟკაცობამ მომცა მე უფლება და იმათი სამეფო ტახტი. ესლა ჩემი პატივი მოითხოვს, რომ აღვადგინო ღიღება და სამძღვრები კიროსის სახელმწიფოსი. დეე რომაელნი სწრაფლ განშორდნენ იმ მაზრებსა, სადაც ერთს დროს ხელმწიფობდნენ ჩემი წინაპარნი, იმათ შეუძლიანთ დარჩენა ევროპაში და მეც თანახმა ვარ იმათა დაუთმო ევროპაში სარგებლობის უფლება¹.

ალექსანდრეს უფრო ეფიქრებოდა სომხეთი ვიდრე ვრცელი პლანი არღმირისა. შემოჰკრიფა მთელი თავისი ჯარები და თვით მიიღო იმათი მეუფროსობა სპარსეთის საწინააღმდეგოდ.

თუ რომ მეომარს კავკასის ხალხსა და იმათში ყველაზედ მაღლა მდგომს საქართველოს სამეფოს არა ჰსჭეროდათ სივრცე სივრძის 59 და 67 გრადუსიდამ, სივანის 40 გრადუსამდე და ყოველთვის არ ემინებინათ ერთის მხრით, რომის მფლობელობა 67 გრადუსიდამ აღმოსავლეთისაკენ და მეორეს მხრით, სპარსეთი 59 გრადუსიდამ დასავლეთისაკენ, სომხეთის სამეფო ამ ორ მოწინააღმდეგე სახელმწიფოებთან ისეთი სუსტი იყო, რომ ვერ გაჰსძლებდა და მოიკვეთებოდა პომპეის ანუ ანტონიის დროდამდე; მაგრამ ავლუსტი, ანუ რომის სენატი, რომელსაც კარგად ესმოდა ამ იმპერატორის პოლიტიკა, მეცადინეობით იცავდნენ სომხეთის ავტონომიასა (თვით მთავრობასა). სენატი რაცხდა სომხეთსა ეფვრატის კარდონის საფარველად აღმოსავლეთის მხრით, სპარსეთისაგან და ჩრდილოეთის მხრივ, კავკასის ხალხთაგან, – და ამის გამო, ის სიხარულით უთმობდა სომხეთის შემოსავლის ნაწილსა მას, ვინც სომხეთის მეფის ტიტულისათვის იკისრებდა, რომ თავის თავი დაახვედროს იმ ხმალს, რომელნიც მოიქნევებოდა ხოლმე ომის სამძღვრების დასარღვევად აზიაში.

ალექსანდრე სევერი, მიუღვა ხოსროისა და წამოვიდა სპარსეთში სამის არმიით; მაგრამ ერთს იმათგანსა, როდესაც მიღწია ბაბილონის ჭაობიან მინდვრებსა, შემოეხვია გარს მტერი და

¹ Gibbon, hist. de l'emp. tom.ch.VIII.

სრულიად ამოხოცა, მეორე, რომელმაც გაიარა სომხეთზე და მიდიაზე, თავდაპირველად პირველზე უფრო ბედნიერი იყო: იმან მოაოხრა და გაანადგუა სუ ყოველისფერი, რაც დახვდა გზაზე და რამდენჯერმე დაამარცხა სპარსეთის ჯარი; მაგრამ მთაზე გადასვლის დროს მიეცა დიდი ზიანი ცუდის გზის სიძნელისა და მძაფრი სიცივისა გამო; მესამე უმთავრესმა არმიამ, რომელის წინამძღოლად იყო თვითონ იმპერატორი და რომელსაც უნდა მიეცა შემწეობა პირველი ორი არმიისათვის და ამგვარად უნდა მისულიყო შიდა სპარსეთშია, ჯერ კი თავს ანებებდა გამარჯვებისათვის სახერხო შემთხვევათა, მერე კი იძულებულ იქნა უკან დაბრუნებულიყო მცირედი ჯარის რიცხვით, რომელსაც დაერია ავადმყოფობა და რომელიც მოეშვა სულითა და ხორცითა მკლოვანებისა და წარუშმართებლობისაგან¹.

ხოსროი, რომლის კარზედაც გაუწვევებლად მოდიოდნენ მტრისაგანა გამოქცეულები და უკმაყოფილონი და რომელთაც მიიღებდა და უაღერსებდა, ამ ლაშქრობის შემდეგ საოცრის ახირებით მარტო იცავდა თავის თავისუფლებასა, მაგრამ რადგანაც ჰგრძნობდა ამგვარი მდგომიარების უიმედობასა ეხვეწებოდა ყველა არშაკიდებსა, რომ მიშველებოდნენ საზოგადო მტრის დასაცემად. მათგან მხოლოდ ქართველთ ხელმწიფეებმა, თვის მიერ მოწოდებული კავკასის თემებით, წარმოსთქვეს თანაგრძნობა ხოსროისა, რომელმაც იმათი შემწეობით შიში დაჰსცა კიდეცა სპარსეთსა². სხვა არშაკიდებმა არამც თუ არ მიიღეს ცხოველი მონაწილეობა, არამედ აღმოჩნდა იმათ შორის ერთი, განთქმული გმობითა თავისის და თავისი შვილის დიდებითა, ანაგანი, რომელმაც რა მიიღო არდშირისაგან ბლომათ ქრთამი, მოწამლა ხოსრო 232-ე წელიწადში. სომხებმა სთხოვეს მფარველობა რომაელთა ტირიჭადის სასარგებლოდ. რომელიც იყო მცირეწლოვანი და მხოლოდ ერთი მეკვიდრე ხოსროისა; მაგრამ ვიდრე მოეშველებოდნენ, რომაელნი, სპარსეთის ხელმწიფე შემოვიდა სომხეთში 233-ე წელიწადში. ერთგულმა მოსამსახურემ გადაარჩინა ტირიჭადი და გაიქცა

¹ Gibbon, hist. de l'emp. tom.ch.VIII.

² ქართლის ცხოვრება: მაგრამა ეს წელთაღწერა სომხეთის შველას რასაკვირველია, შეცდომით აწერს ასფაგურსა – საქართველოს მეფესა.

რომსა, რომელსაც მიანდო აღზრდა და შემდეგი სვე ამ მეფის შვილისა¹. თუმცა რომაელთ ისე ძვირფასად მიანდათ სომხეთის ავტონომია, მაგრამ 233-ე წლიდგან 287-ე წლამდინ ყოველი იმათი ცდა ამ სახელმწიფოს სპარსებთაგან განთავისუფლები-სათვის დარჩა ამაოდ. სომხეთის დაჭერის შემდგომ, საფორს, არღშირის შვილსა იმედი ჰქონდა რომაელთა უღონობისა და ძალა დაატანა ძლიერს გუშაგსა კარრისა და ნიზიბისის ქალაქე-ბისასა, რომ გაეწმინდათ ევფრატის ნაპირები, სადაც იმან შიშისა და აოხრების ზარი დაჰსცა. რომს თავსზარი დაეცა ჯერ წყენის-აგან, რომელიც მიეცა ამის გამო იმის დიდებულებასა და მერე შიშისაგან, რომელიც წარმოუდგა.

260-ე წელიწადში ვალერიან იმპერატორი, თუმცა მოხუცე-ბული იყო, მაგრამ განიზრახა თვითონ წასვლა ევფრატზე რომის მახრების დასაცველად. ის გავიდა ამ წყალში, მაგრამ მსწრაფლ შემოეხვია რიცხვით აღმატებული მტრის ჯარი, და იძულებულ იქმნა მოციქულების ხელით მიერთმია საფორისათვის ურიცხვი ფული და ეთხოვნა ნების მოცემა სამარცხვინოდ უკან დაბ-რუნებისათვის.

საფორმა შეურაცხებით უარი სთქვა ფულის მიღებაზე და მოითხოვა ვალერიანის პირისპირ ნახვა. ნახვა დაბოლოვდა იმი-თი, რომ იმპერატორს დაადეს ბორკილი და თვით რომის ლაშქარმაც იარაღი დადო. იმ ამპარტავნების და პოლიტიკის გამარჯვებამა იძულებულ ჰყო საფორი, ეჩვენებია ქვეყნისათვის, რომა რომის საიმპერიო ტახტის მოხმარება იმის ხელთ იყო და ამისა გამო დანიშნა იმპერატორად არა რითამე განთქმული ანტიოქში მცხ-ოვრებელი კირიადი, რომელიცა მაშინვე მიიღეს ხელმწიფედ მორჩილმა რომის ჯარებმა. ამ საქმეების ამბავი გავარდა საჩქარ-ოდ და მთელი ქვეყანა ელდით შეარყია. ამბობენ, რომა ვალერი-ანი დატვირთული ხუნდებით და ბორკილითა იმპერატორის სამკაუ-ლით ხშირად ყოფილა გამოყვანილი მდაბალი ხალხის სასაცილ-ოდ და ყოველთვის, როდესაც საფორი მონინდომებდა ცხენზე შეჯდომასა, ფენს რომის იმპერატორის კისერზე დაადგამდა და ისე შეჯდებოდა. როდესაც ვალერიანი სირცხვილისა და მწუხ-

¹ st. Martin mem. sur l'Armenie t. I. p. 302 – 304.

არებისა გამო მოკვდა, იმისი ტყავი, ჩაღით გატენილი, იყო ჩამოკიდებული გამარჯვების იავართა შორის¹.

ცოტას ხანში ამას შემდგომ აიღეს ანტიოქი, თარსი და კესარია და მიეცნენ სპარსეთის ჯარის აკლებასა. ახალს რომის იმპერატორს, უბედური ვალერიანის შვილს, გალიანს, არ შეეძლო გაებედნა არც შურისძიება მამის უპატიურობისათვისა და არც სახელმწიფო სამძღვრების დაცვა.

VIII.

სასანიდების დინასტიის დაჯდომა საქართველოს სამეფო ტახტზედ.

დესპანობა საფორთან თხოვნით, რომ დაენიშნა საქართველოს ხელმწიფედ მირიანი. — დანიშვნა მირიანისა. — განკარგულება საფორისა. — საქმეები მირიანისა დიოკლეტიანის სპარსეთთან ომამდინ. — დაძვრა ალანებისა და ფრანკებისა.

ამგვარ აღმოსავლეთის გარემოებათა შორის საქართველოში ასფაგურის სიკვდილით, 265-ე წელიწადში, ამოწყდა არშაკიდების მამრობითი ნათესაობა და მხოლოდ ერთი ქალი ამ ხელმწიფისა დარჩა ხელმწიფის ტახტის მემკვიდრედ; მაგრამ ის იყო ჯერეთ მეტად ჩვილს ყრმობაში — და ვერ შეეძლო აეტანა ტვირთი მმართველობისა იმ საშიშარ დროებაში. ერისთავების რჩევამ, რომელნიც ერთმანეთს დაახლოვა მრისხანე გარემოებაჲ, დაუყოვნებულად გადასწყვიტა მიემართათ თხოვნით საფორისათვის, რომ ერთი თავისი შვილთაგანი დაენიშნა საქართველოში ხელმწიფედ და შეერთო ცოლად ასფაგურის ქალი. ეს იყო მხოლოდ ერთი ღონისძიება, საშიშარი მდგომარეობისაგან გამოსახსნელი, რომელზედაც იყო დაყენებული პატივი და ნივთიერი სარგებლობა ხალხისა. ამასთანავე, საქართველოს საზოგადოება სანუგეშოდ ხედავდა იმასა, რომა საფორმა, რომელიც შეუბრალებლად მოექცა რომაელებს და იმათ მაზრებს მცირე აზიაში გამოიჩინა თავი-

¹ Gibbon, hist. de l'emp. tom. ch. X.

სი თავი სომხეთში კეთილმოქმედ რჯულის დამდებად¹.

როდესაც საქართველოს დესპანმა წარუდგინა თხოვნა ხალხისა საფორსა, იმანა ჰკითხა: „სად არის მცხეთის ქალაქი და დიდია თუ პატარა; რამდენს მანძილზეა სცხოვრებენ იქიდგან ხაზარნი და ოსები, და რომელი გვარის შთამომავალია საქართველოს ხელმწიფის ქალი?“ როცა მიიღო პასუხი, საფორი თვითონ წამოვიდა საქართველოში და დაკმაყოფილებული დიდებულის დახვედრითა და პატივით, რომელიცა სცეს ყველგანა, ის ყოველ თხოვნაზედ თანახმად შეიქნა და დანიშნა რა თავის შვიდის წლის შვილი მირიანი (დაბადებული იმისი საყვარელი მხეველისაგან) საქართველოს ხელმწიფედ, მისცა იმას სომხეთისა და მთელი კავკასის ხალხის მფლობელობის უფლება. მაგრამ ეს უკანასკნელი უფლება, ჩვენის აზრით, შეიძლებოდა ყოფილიყო თუ არ მარტო სახელითა, ფრიად დაუდგრომელი და მოკლე ხნისა მაინცა.

ამის შემდგომ საფორმა მოახდინა ზოგიერთი განკარგულება: დანიშნა კაცი, რომ მირიანზედ ზრუნველობა გაჰსწიოს და აღზარდოს იმ დროების საქართველოს სარწმუნოებაზედ, ე. ი. ზოროასტრის სარწმუნოებაზედ, რომელსაც ერია კერპთთაყვანისცემაცა; მოახდინა განკარგულება სხვადასხვა საქართველოს ნაწილებში ჯარის დაყენების წესისა და ისე წავიდა სპარსეთში.

ქართული ენისა, სარწმუნოებისა და აქაური ადათის სწავლამა და იმისმა ქართველებისადმი ყურადღებამ, მირიანი შეაყვარა, მიათვისა ხალხსა და დაამკვიდრა საქართველოსი და ახალი მეფის შთამომავლობის კავშირი. იმის ხელმწიფობის დასაწყისი წარმოადგენს გაუწყვეტელს ბრძოლასა ჩრდილოეთის თემებთანა, მეტადრე ხაზარებთანა, რომელსაც ის დაუხვედებოდა ხოლმე ხან დერბენდისა და ხან დარიალის კარებთანა. მაგრამ სამხედრო გამარჯვებას შორის, ის აგრეთვე ზრუნავდა ციხეებისა გამაგრებისათვისა და ქალაქებისა, ტაძრებისა, სამსხვერპლოებისა და ფარნავაზის სასაფლავოს გამშვენიერებისათვისა. ამას ყოველისფერს, საქართველოს მატთანე უმატებს ამბავსა, სპარსეთში გამარჯვებისასა. საფორის შვილისშვილის ბარამის ხელმწიფობის

¹ Gibbon, hist. de l'emp. tom. ch. X.

დროსა და ბაღდადადისინ ლაშქრობით მისვლასა; მაგრამ ამ ფაქტის დასამტკიცებლად, ჩვენ ვერაფერს ვერა ვხედავთ სპარსეთისა და ლათინის ისტორიკოსებისაგან. ეს ფაქტი, მეტად დიდი არის იმ ძალისთვის, რაც ჩვეულებრივ საქართველოს ჰქონია და არ შეიძლება საეჭვოდ არ დარჩეს, თუ რომ არ დამტკიცდება უცხო ქვეყნის მწერლებთაგანაც. თვით უჭეშმარიტესს სახალხო მატთანეს, რომელი სახელმწიფოსიც უნდა იყვეს, შეიძლება ვენდოთ იმ შემთხვევაში, როდესაც იმათი ჩვენება შეეხება საკუთრად სახელწიფოს შინაურს საქმესა, იმის შინაგანი ძალისა და ღონის მიხედვით; მაგრამ ამბავი გარეგანი საქმისა მიუცილებლად მოითხოვს გარეშე პირთა დამტკიცებასა.

ამასობაში მირიანის ხელმწიფობის დროებას მიეწერება ორი საქმე, რომელიც შეეხება დასავლეთის ზღვისპირს მდებარე საქართველოს მაზრებსა, რომელზედაც ქართული მატთანე სრულიად არაფერს არ ამბობს. ეს საქმენი არიან ალანების და ფრანკებისა დაძვრა.

ავრელიანის მმართველობის დროს ალანებმა წაიწიეს დასავლეთით და დასცეს კარები აზოვის ზღვის მეზობლად. მაშინ ამ იმპერატორმა მოინდომა მათი განშორება რომის სამმდგრებიდგანა და ამიტომაც დაჰპირდა იმათ დიდს საჩუქარსა, თუ რომ ისინი გაბრუნდებოდნენ უკანა და დაეცემოდნენ სპარსეთსა. მაგრამ როდესაც ეს დაპირება არ აუსრულეს ავრელიანის სწრაფის სიკვდილის გამო, ალანებმა, გამწარებულებმა, რომ — როგორც იმათ ეგონათ — იმათ პირობა არ აუსრულეს გმირობისა გამო, მიმართეს თავის გამბედავობასა, რომ შური ეძიათ და მიეღოთ დაპირებული. 276-ე წელიწადში გადმოიარეს აფხაზეთზედა, შემოვიდნენ სამეგრელოში და კლარჯეთში, გაცარცვეს რა ეს მაზრები, წავიდნენ პონტში და სხვა მცირე აზიის ქვეყნებში. ტაციტ იმპერატორი იძულებულ იყო მიეცა იმათთვის დაპირებული ფული და თანაც შეუკვეთა, რომ გასცლოდნენ რიონის მარჯვენა მხარესა; მაგრამ შემდგომ, თავისი იმპერიის ძლიერების პატივისცემის შეგონება მოინდომა, თვით გამოუძღვა ჯარსა შუა გულს ზამთარში ალანებთან შაბმისათვის და კავკასის მთის ძირში გარდაიცვალა სიბერის უძღურობისა გამო.

ამავე წელიწადში ტაციტის მექკვიდრემ, პრობმა, იმათი მეორეთ შემოსევის შიშითა რომის მაზრებში, თითქო კარლონის გუშავის გასამაგრებლად, პონტის აღმოსავლეთის ნაწილში, ბრძანა დასახლება ფრანკებისა, რომელთაც ენდობოდა მაგრამ ფრანკებმა ერთს პონტის ნავთ-სადგურში, ლუზაზედ მდგომარე გემები დაიპყრეს და წამოვიდნენ კლარჯეთისა და სამეგრელოს ნაპირებისაკენ და როცა მიახწიეს რიონის შესართავამდინ, გამოვიდნენ ღია ზღვაში და ბოსფორით გავიდნენ ევროპაში, ეცემოდნენ და ცარცვაედნენ ყოველ ქვეყნის პირებსა, რომელსაც მოხვდებოდნენ ხოლმე¹.

ამ ფაქტზედ ქართული მატიანის სრული ღუმელი არ გვაძლევს შეძლებასა ვაჩვენოთ, რა მონაწილეობა ჰქონდა ამაში მირიანსა.

IX

რომაელთა და სპარსებთა შორის ლაშქრობა და იმისი გავლენა საქართველოზედ.

ტირიდატის სომხეთის მეფედ დანიშვნა. — განთავისუფლება სომხეთისა. — ტირიდატის შემოსევა საქართველოში. — ქართველებისა და სპარსების შეერთება და ტირიდატის სომხეთიდან განდევნა. — რომაელთა და სპარსებთა შორის ლაშქრობა სომხეთის გულისათვის. — ნაზიბისის შერიგება.

ამასობაში, როდესაც საქართველო, თვით ქართველებისავე მოწმობით, იყო ბედნიერი თავისი მდგომიარებითა, მაშინ იმისი მეზობლად მდებარე ქვეყანას, სომხეთსა ნახევარი საუკუნე ედგაკისერზე უცხო ქვეყნის უღელი და როგორც სხვა რომის აღმოსავლეთის მაზრები, ისე ესეც იყო ცილობის საგანად რომაელთა და სპარსებს შორის. თუმცა ავრელიანისა, პრობისა და კარას ლაშქრობამ ძლიერ შეარყია სპარსების შემძლებელობა და სასანების დაუმარცხებლობის აზრი, მაგრამ ველარ შეიძლეს აღდგინება სომხეთის თვითმთავრობისა (ავტონომიისა). ბოლოს დიოკლე-

¹ Gibbon, hist. de l'emp. ch.XII.

ტიან იმპერატორმა დააფასა სამსახური და მრავალჯერ გამოცდილი ერთგულება მეფის შვილის ტირიდატისა და 287-ე წელიწადში, მისცა იმას ინვესტიტურა (ფირმანი) სომხეთის სახელმწიფოზე და და გამოეზაფანა აღმოსავლეთისაკენ.

იმისი მოსვლა სომხეთშია, რომელიც გულითადის სიხარულით მიიღეს, იმისი ნიშანი იყო, რომ ერთობ შეჭურვილიყვნენ თავის თავისუფლების და თავის მეფეების სამკვიდრო უფლების დასაცველად. როგორც მოვარდნილმა ნიაღვარმა, იმან ისე დაარღვია ყოველი დაბრკოლება და რადგანაც სპარსებმა ვერ შეძლეს იმისი წინააღმდეგობა, სწრაფად გაიქცნენ. სომხეთის თავად-აზნაურნი მირობდნენ ტირიდატის დროშის ქვეშ შესაგროვებლად და იმისი დიდების მაქებელნი, უკვეთდნენ თავის სამსახურსა. რამდენსამე ხანსა ბედისწერა ტირიდატსა ისე ხელს უწყობდა, რომა არამც თუ გამორეკა სომხეთიდან თავისი სახლისა და ხალხის მტრები, არამედ შურისძიების გულისვნებით ანთებული, შეესია ასირიასაცა. მაგრამ მცირეს ხანში ბარამ პირველმა, რომელიც ხელმწიფობდა სპარსეთში 276-ე წლიდან 292 წლამდინ¹, მიაქცია იმისაკენ სუყოველი ძალი და ღონე და ტირიდატი იძულებულ იქმნა დაეტოვებია სომხეთი და ხელმეორედ შეფარებოდა იმპერატორების სასახლესა². ქართული მატიანე ამ საქმის წარმოებას უმატებს ამასაცა, რომ როდესაც ტირიდატი დამკვიდრდა სომხეთში, მაშინ რომის ჯარის შემწეობით, შემოესია საქართველოსა და ყოველისფერი ციხეებსა და ქალაქებს გარდა, სადაც გამაგრდა ქართველი ხალხი, ააოხრა. ამის სამაგიეროდ მირიანმა, სპარსების შემწეობითა, ისევ იმისავე მსგავსად მაგიერი გადუხადა სომხეთსა. ამგვარად, მტრობა ამ მეფეთა იყო გაუწყვეტელი იქამდისინ, ვიდრე მირიანი სპარსების მოწვევით არ მიემხრო სპარსებსა და საზოგადო ღონით არ განდევნეს ტირიდატი სომხეთიდან.

ტირიდატის თანაგრძნობამ, სომხეთის განთავისუფლების სარგებლობამა და შიშმა, რომელიცა ჰქონდა ნარცეზის დაუბრკოლებელი გამარჯვებისაგანა, აიძულა დიოკლეთიანი, რომ დაეწყო ბრძოლა

¹ Iuis Dub. I'univers, la perse p. 312 et 313.

² Gibbon; ch. XIII.

სპარსეთისათვის. დაიღო რა დროებით ბინა ანტიოქში, იმან 296-ე წელიწადში გაგზავნა თავისი ჯარი თავისი გულადი ამხანაგის ცეზარ გალერის წინამძღოლობითა ბარამ III-ის მემკვიდრის ნარცეზის საბრძოლად¹. მაგრამ ეს ლაშქრობა დაწყობილი მესოპოტამიიდან იყო ფრიად უხერხული, ასე რომ, რომის სპასალარი, რომელთანაც იყო ტირიდატიცა, გადარჩა გამოქცევით და დასტოვა მომატებული ნაწილი ჯარი უბედურების მსხვერპლად. დიოკლეტეიანი არამც თუ შეკრთა ამითი, არამედ შეჰკრიბა თავისი ნამსახური ჯარისკაცნი. მიანდო იმათი წინამძღოლობა იმავე გალერსა და უბრძანა გავლა სომხეთზედა, რომის ჯარის პატივისა და უწინდელი თავისი დიდების აღსადგინებლად. გალერმა კარგად მოიხმარა სომხეთის საზოგადო და თავგამოდებული შემწეობა და დაეცა სპარსეთის ბანაკსა, სადაც იყო ნარცეზი, დაჭრა იგი, დაჭრილი ხელმწიფე კი გაიქცა მიდიის მინდვრებში, გალერს კი ხელში დაუგდო თავისი ცოლ-შვილი და ურიცხვი საუნჯე.

ამ ჩინებული გამარჯვებისა ბოლო შერიგება იყო, სადაც სპარსებმა და რომაელებმა დასდეს პირობა ნაზიბისის ქალაქში. უმთავრესი პირობა ამ შერიგებისა იყო: პირველი, აღდგენა სომხეთის სახელმწიფოსი ტირიდატის მართველობასა ქვეშე და იმის შთამამავალთა. და მეორე: გადაცემა იმპერატორისაგან უფლებისა, რომელითაცა ნიშნავდა საქართველოს მეფესა, რომელზედაც დიდად იყო დამოკიდებული შემძლებელობა და სამკვიდრე რომის მფლობელობისა აზიაში².

X

საქმენი საქართველოს შესახებნი ნაზიბისის შერიგებიდან ქრისტიანობის მიღებამდინ.

დამტკიცება შერიგებისა საქართველოსა და სომხეთს შორის ამ ქვეყნების მეფეთა დამოყვრებით. — გაყოფა სამთავროებისა იმათსა და იმათ ნათესავეთა შორის. — ერთი ერთმანეთის

¹ ნარცესი მეფობდა 291–302 წ. Iuis Dub. p. 313. ² Gibbon. hist. de l'emp. tom. XIII.

შემწეობა მირიანისა და ტირიდატისა მთის ხალხისა და სპარსების ბრძოლაში.

საქართველოს მატეანეში აღწერილი საქმენი, რომელიც წინა თავში მოვისხენიეთ, ამოდენად ეთანხმება რომაელების მწერლების აღწერილებასა, რამდენადაც ჩვეულებრივად არის ხოლმე ეხლაც უთანხმოება ორთა მეომართა ხალხთა ომის გადაწყვეტილობის ჩვენებაშია. მაგრამ ერთი ეს არის მხოლოდ საკვირველი, რომა, სადაც უნდა ხმარებულყო სახელი დიოკლეტიანისა, ყველგან ამ იმპერატორს უწოდებენ კონსტანტინედ; აგრეთვე, როგორათაც VIII-ე თავში საფორის მაგიერად არის ნახმარები სახელი იმის მამის არდშირისა. მაგრამ რომ შეუფარდოთ ერთი ერთმანერთზედ ზედმიყოლა და მიმზგავსება საქმეთა, რომ მივიღოთ მოსაზვრაში საზოგადოდ მიღებული ხრონოლოგია, ეს სუყოველისფერი ადვილად გასწორდება. ამგვარად, ქართულს მატეანეში რომ დაწვრილებითი ამბავია ამ საქმეებისა, რომელიც უფრო საქართველოს შეეხებიან, ვიდრე სხვა ქვეყანასა და რომელზედაც სხვა ქვეყნის ისტორია არას ამბობს, ის დაწვრილებითი ამბავი მეტად თუ ნაკლებ ღირსია, რომ დავიჯეროთ რამოდენიმე ხარისხამდე.

ეს მატეანე გვიმოწმებს, რომა სპარსების დამარცხების შემდგომ, იმპერატორმა მირიანი თვით დაიმორჩილა და მორჩილებისა და აღმოსავლეთით მშვიდობიანობის დასამკვიდრებელად. წაიყვანა იმისი შვილი ბაქარი რომში ამანათად და მირიანი კი თვით ტირიდატთან მოყვრობით, დააკავშირა: შერთო იმის მეორე შვილს რევსა სომხეთის ხელმწიფის ქალი, სალომე. სამძღვრებზე რომ არა ყოფილიყო დავა ამ ორს ხელმწიფეთა შორის, ამისათვის გარდუწყვიტა, რომა მამული არეზის აუზისა უნდა ყოფილიყო კუთვნილება სომხეთის ხელმწიფისა და მამულები, რომელიცა მტკვარს და იმის ჩართულ წყლებს ეჭირათ, ის მირიანსა, და ამისავე მფლობელობაში დააგდო საქართველოს დასავლეთი ენგურის წყლამდინ. მირვანმაც თავის მხრით კახეთი მისცა თავის შვილსა, ტირიდატის სიძეს რევსა სამფლობელოდ, და სივრცე ხუნანის ციხიდან ბარდოს ქალაქამდინ კი, ეხლანდელი განჯის მიწლორი, – მიჰცა თავის სიძეს სპარსეთის მეფის ნათესავსა –

ფეროზსა.

ეს დაწვრილებით ამბავი ჩვენ სარწმუნო გვეკონია ამისათვისა, რომა ეს სრულიად დიოკლეტიანის ფიქრს ეთანხმება, რომელსაც ძალიან უყვარდა სომხეთის მეფე ტირიტადი, დარწმუნებული იყო იმის რომის ერთგულებაზე და შეეძლო სცოდნოდა, რომა მირიანისა და ტირიდატის თანხმობისათვის მოყვრული კავშირი უფრო მკვიდრი იქნებოდა, ვიდრე ძალ-დატანებულ – პოლიტიკური.

ეს ფიქრი სწორე და მართალი გამოდგა: დასამტკიცებელი საბუთი გულითადი მეგობრობისა, რომელიცა ჰქონდათ ერთმანერთ შორის მირიანსა და ტირიდატსა იმას შემდგომ, არის სომხების მემატანეებთაგან ნათქვამი ამბავი, რომა როდესაც ტირიდატი წავიდა რომში კონსტანტინე იმპერატორის სანახავად, მაშინ მოეწია ჩიკრიკი მირიანისა გზაზე და შეატყობინა, რომა ჩრდილოეთის ხალხი, სპარსეთის ხელმწიფის საფორ I-ისაგან დარიგებულნი, მოესიენ მირიანსა, მივიდნენ კორანამდინ, ერთი წილი ხალხი იქ მცხოვრებელი გასწყვიტეს და ერთი წილი წაიყვანეს ტყვედ. ტირიდატი მაშინვე დაბრუნდა და გაგზავნა მირიანთან მისაშველებელი ჯარი და შემდგომ თვითონ წავიდა ჩრდილოეთის ხალხის სასჯელის დასასრულებელად. თავის რიგზე, როდესაც ტირიდატმა დაუწყო ბრძოლა სპარსეთსა, მაშინ მირიანმა იმის ჯარს მიუმატა თავისიცა და თითონ მიიღო წინამძღოლობა სომხეთის ჯარის ერთს ნაწილზედა.

დასკვნა საქართველოს ძველი ისტორიისა.

ამ საქმეების ამბით ვათავებთ საქართველოს ძველს ისტორიას, რომელიც შეიცავს კერპთ-თაყვანისცემის სარწმუნოების დროსა საქართველოში. შემდგომის ჩვენის წერილების რვეულით დავიწყობთ საშუალო საუკუნების ისტორიასა. ძველი ისტორიის სამძღვრად ჩვენ ქრისტიანობის მიღება ავარჩიეთ. სარწმუნოება (რელიგია) მართავს ყოველ იმ ხალხის შინაგან ცხოვრებასა, რომლის განათლება და ზნეობითი განვითარება იქამ-

დინ არ მიღწეულა, რომ შეჰსძლებოდათ მათ კაცთა სურვილის და მოქმედების მართვა. სხვადასხვა სარწმუნოების მცნებამ: ეგვიპტისამ, ზოროასტრისამ, საბერძნეთისამ იქამდინ შეარყიეს სათითაოდ ერთმანერთის ღირსება, რომ ქართველებსა გაქრისტიანებამდინ თავის დღეში არა ჰქონდათ გადაკვეთილი სისტემა რჯულთა მცნებისა (вероучение). სარწმუნოება რომ მკვიდრი არ იყო, ამის გამო საქართველოს ბუნებას ყოველთვისა ჰქონდა ძლიერი ზედმოქმედება ადამიანის გამოხატულობაზე და გულის ზრახვაზე, საიდგანაც ამოდმორწმუნოება შეიქმნა ბოლოს უპირატეს მცნებად, რომელსაც აღიარებდნენ დარბაისელნი მოხუცნიცა, რომელთა ჰქონიათ მისვლა-მოსვლა საქართველოსთანა და რამოდენად ხშირი ყოფილა ეს მისვლა-მოსვლა, შეიძლება ვცნათ მრავალრიცხვი სიტყვებითა ლათინურის ძირით, რომელნიც იხმარებიან ქართულს ენაში. მაგრამ ეს დაახლოვება დაარსდა ციცერონის თანამედროვეობის დროსა, როცა ყველგან რომაელებს განათლების მეოხებით გული აცრუებული ჰქონდათ წარმართ რჯულთა მცნებისადმი, რომელსაც, როგორც შლოსსერი ამბობს, უფრო პოეტიური აზრი ჰქონდა. მამასადამე, რომაელთა არ შეეძლოთ მაშინ მიეცათ ქართველებისათვის გადაკვეთილი, განსაზღვრული სარწმუნოება და ესრედ იმ დროს, როცა კანონი, მეცნიერება და ხელოვნება რომის იმპერიის მორჩილს ხალხსა აძლევდა გადაკვეთილს გვარს ცხოვრებისას, – საქართველოსა, რომელსაც გაქრისტიანებამდინ სარწმუნოებაც არა ჰქონდა განსაზღვრული, არ შეიძლება, რომ ჰქონდეს ძველი პრაგმატიული ისტორია სრულიად ისეთი, რომ კმასამყოფელი იყოს.

მაგრამ მაინცდამაინც საქართველოს ძველს ისტორიას აქვს ორნაირი ინტერესი: ერთი ისა, რომ ძველი ისტორია აღმოგვიჩვენს იმ მნიშვნელობას, რომელიც ჰქონია საქართველოს ძველი ქვეყნებისათვის და მეორე, იგი აღგვიწერს ძველთა საქმეთა, რომელნიც საინტერესო არიან კერძო აზრის მიხედვით.

ძველს საქვეყნო ისტორიაში საქართველოს ჰქონდა დიდი მნიშვნელობა ეტნოლოგიურისა, ვაჭრობისა და სამხედრო – პოლიტიკურის მიხედვითა.

იმისი ადგილმდებარეობა არის სარეცელი კაცთა ნათესაო-

ბისა ანუ მღებარებს იმის მახლობელ მეზობლად.

გამოკვლევა საქართველოში პირველმცხოვრებლებისა გამოაჩენს დასაწყისს მრავალი ხალხისასა, რომელნიც ყოფილან უწინ და არიან ეხლაცა.

საქართველო, რომელიც რიონისა და მტკვრის მდინარეებითა და ორის ისეთის ზღვითა, რომელთ ნაწილები სწვდებოდა ფრიად შორს მღებარე ქვეყნებსა და ორის მთის კარების ხმელეთის გზითა, იყო შემმაერთებელი ორის ქვეყნის ნაწილისა, აზიისა და ევროპისა. ამგვარმა იმისმა სახერხო მღებარეობამ მალე მიაქცია აღმოსავლეთის და დასავლეთის მოქმედ ხალხის ყურადღება. საქართველო შეიქმნა საშუალმწერტილო ადგილად ძველის საქვეყნო ვაჭრობისათვის.

საქართველოს ხელმწიფეები, რომელთაცა ჰქონდათ თავის სამფლობელოში მთის გასავალი კარებები, თავის ნებაზედ გააღებდნენ და მიხურამდნენ. იმათზედ იყო დამოკიდებული დაბარება კავკასის მთის ხალხისა და შესევა მათი ეფრატიისა და ტიგრის მინდვრებში და ამისათვის სივრცე ამ ორთა წყალთა შუა ირაცხებოდა მარადჟამს ხან დავის გარედ, ხან სადავოდ მცირე აზიისა და სპარსეთის ფლობელებთა შორის. კიროსიდგან დაწყობილი დიოკლეტიანამდინ, ვერც ერთმა ძველებურმა ბრძოლით დამპყრობელთაგანმა ვერ გადმოდგა ფეხი ამ სამძღვარს აქეთა, ვიდრე არ ეცდებოდნენ საქართველოს დამორჩილებასა. სპარსეთსა და რომაელთათვის არ იყო ადვილი იმათი დამონება.

კერძოთი აზრით, საქართველოს ძველი ისტორია უნდა იყოს საინტერესო, როგორათაც ისეთი ხალხის ისტორიის დასაწყისი, რომელსაცა თუმცა რიცხვი სულისა ვერ უწევს მილლიონამდინ, მაგრამ ჰქონდა ისეთი შეძლება მძვინვარედ ბრძოლისა მრავალსაუკუნოებათა განმავლობაში და მრავალ ხალხთან, მაგრამ დაიცვა თავისი კი ხალხობა.

[1863 წ.]

სიკვდილით დასჯის გადაბდობის საქმე და ამის თავობაზედ ვიკტორ ჰუმოს წიგნი

რაც კი ევროპაში დიდი სახელმწიფოა, ყოველგან სისხლის რჯულისდებაში სხვათა სასჯელთა შორის არის სიკვდილით დასჯაცა და, სამწუხაროდ, ხშირადაც იხმარება საქმეში. მხოლოდ წვრილი სამთავროები, როგორც მაგალითებრ – ოლდენბურგი და ნასსაუ გერმანიაში, სან-მარინო და ტოსკანა იტალიაში, ფრიბურის და ნევშატელის კანტონები (ოლქი, მაზრა) შვეიცარიაში – ესენი არც ერთს დანაშაულობაში სიკვდილით დასჯას სრულიად არა ხმარობენ. სიკვდილით დასჯის გადაბდობაზედ ატეხეს ლაპარაკი ჯერ კიდევ წარსული საუკუნის მეორე ნახევარში – ბეკარიომ, მონტესკიომ და სხვა პუბლიცისტებმა და დღესაც მაგ საგანზედ გაცხარებული ბაასია მწერალთა და სახელმწიფო კაცებს შორის. ესლა ეგ საქმე იქამდინ არის მიყვანილი, რომ თითქმის დაამტკიცეს, რომ სიკვდილით დასჯა არამც თუ საჭიროა და თეორიით შეუწყნარებელია, არამედ გადაწყვეტილად მავნებელია. ჩვენ ამის გამოკვლევას არ გამოვუდგებით, ვისაც უნდა დავწვრილებით ამისი გასინჯვა, წაიკითხოს გამოჩენილი კრიმინალისტის (სისხლის სამართლის მცოდნე) მიტერმაიერის თხზულება. ჩვენ მარტო გაცნობებთ, რომ ჟენევის რესპუბლიკამ (შვეიცარიაში) ფეხზედ წამოაყენა ეგ საქმე, როცა თავის კონსტიტუციის გადაჩნრეკას შეუდგა. ჟენევის კონსტიტუციის კრებამ 43 ხმით 5-ის თუ 6-ის წინააღმდეგ გადასწყვიტა, რომ ჟენევის სისხლის რჯულისდებაში სიკვდილით დასჯა უნდა დარჩეს. მაგრამ, რადგანაც ჯერ კიდევ ეგ საქმე სრულად დაბოლოებული არ არის და ახლო ხანში ხელახლად უნდა გაისინჯოს, ამისა გამო ჟენევის სარევიზიო კომისიის ერთმა მწევრმა ვიკტორ ჰუმოს წიგნი გაუგზავნა და ჰსთხოვა, რომ ამ დიდ საქმის გადაწყვეტაში შემწეობა არ დაიმუროს. ამ კომისიის მწევრთა აი, რა პასუხი მოსწერა 17 ნოემბერს 1862 წ. ვიკტორ ჰუმომ:

„ბატონებო! თქვენ მშვენიერი საქმე დაგიწყვიათ; თქვენი ღვაწლი და ცლა კეთილშობილურია, თქვენი სიტყვები მშვენიერნი არიან. თქვენ გიჭირთ დახმარება და მე მომიკითხეთ. მაღლობელი ვარ. თქვენ მეპატიჟებით და მეც თქვენკენ მოვისწრაფი. თქვენ მოგ-

დომებიათ სასახელო ნაბიჯის გადადგმა, თქვენი საზოგადო აგებულების გასწორება; თქვენ გინდათ შეიტყუოთ განათლებაში და წარმატებაში რამოდენად წინ წასულხართ; თქვენ გინდათ ერთმანეთს საზოგადო საქმეებში დაეთანხმოთ. თქვენ გსურთ და იკრიფებით, რომ ერთად მოიფიქროთ მაგ საქმეებზე; მაგ საქმეთა შორის რიგი მიმდგარა ერთ უდიდეს საქმეზედაც – სიკვდილით დასჯაზედ.

ეჰ, ეს უბედური სიზიფის ქვა¹, რომელსაც დანაშაულობისათვის დაჯსას ეძახიან, როდის დადგება, რომ უკანვე აღარ ჩამოგორდეს კაცთა საზოგადოებაზედა? როდის იქნება სიტყვა „დასჯა“ „სწავლაზედა“ შეიცვალოს; როდის გაიგებენ, რომ დამნაშავე იმიტომ აშავეს, რომ განათლებას მოკლებულია? თვალისათვის თვალი მოჰსთხარე, კბილისათვის კბილი ამოამტვრიე, ბოროტისათვის ბოროტი უყავ – აი, მიახლოვებით ჩვენი სისხლის რჯულისდება. ზღვევა (МЕТЬ) როდის მოიშორებს იმ სახელს, რომელსაც „ღირსეული გადახდევინება“ ჰქვიათ. როდისღა იქნება, რომ სახარების წამკითხველთა კაცთა გაიგონ მისი დიდი აზრი? პატივს როდის ჰცემენ დიდს სიტყვას: „არა კაც ჰკლა?“ ეხლა შემთხვევა მოგეცათ, რომ წინ ფეხი წასდგათ და მაგ საქმისათვის შემწეობასა მთხოვთ. მაგრამ მე მარტომ რა უნდა ვქნა? აი, ეს მრავალი წელიწადია (1828 წლიდან) მე ვებრძვი მაგ გველეშაპს, რომელსაც სიკვდილით დასჯას ეძახიან და თითქმის ვერაფერი ვერა ვუყავი რა. ბევრნი სხვანიც მაგ ფიქრით იბრძოდნენ; მაგრამ რა – გილიოტინა² არ მოისპო, მარტო სხვა ბნელი ადგილი ამოირჩივა თავის საქმისათვის.

თქვენ მთხოვთ შემწეობას და მე ნება არა მაქვს, უარი ვითხრათ; მხოლოდ კი მე დარწმუნებული ვარ, რომ თუ თქვენი საქმე კეთილად წარემართა მაგ სიკეთისა ყველაზედ უფრო ცოტა წილი მე შემხვდება. მე ხშირად ვცდილვარ დამეხსნა სიკვდილისაგან თვით შორეულნი პირნიცა, ზოგჯერ ხელი შემწეობია და უფრო ხშირად კი ვერა მიქნია რა. ამ პატიოსნურს საქმესვე

¹ ზღაპრული ქვა არის, რომელსაც რამდენჯერაც მალლა აავორებდი, უკანვე დაგორდებოდა.

² თავის მოსაჭრელი მაშინა.

ბევრმა სხვა კეთილშობილმა ჭკვამაც თავი შეჰქსწირა: არ არის ჯერ ათი წელიწადი, მას აქედ რაც ბელგიის მწერალნი გულმოდგინედ დაძებნარენ, როცა წამოვესარჩლე შარლრუაში იმ დამნაშავეთ, რომელნიც სამართალს სასიკვდილოდ დაენიშნა; – და ჩვენ ცხრა სულში შეიდი სიკვდილს გადავარჩინეთ. მეთვრამეტე საუკუნის მწერლებმა იმოდენა შეჰსძლეს, რომ წვალება (ПЫТКА) მოჰსპეს, იქნება მეცხრამეტე საუკუნის მწერლებმა სიკვდილით დასჯის მოსპობა შეიძლონ. იმათ ხომ იმდენი ჰქმნეს, რომ ფრანციაში ხელის მოჭრა და გახურებული რკინის ხმარება სამართალს გადააგდებინეს, და მსაჯულებსა იმ გარემოებაზედ, რომელიც ასუბუქებს დანაშაულობას, ყურადღება მიაქცევინეს. „ამისთანა უხეირო წიგნის, როგორც „დამნაშავის უკანასკნელი დღე“, მადლობელნი უნდა ვიყვნეთ – ამბობდა დეპუტატი სილვერი: რომ შემოვიტანეთ ის სულელური წესი, რომლის მეოხებითაც დანაშაულობას სამაგიერო სასჯელი უნდა შეუსუბუქდეს – ეგ სიკვდილით დასჯის მოსპობის დასაწყისიაო“. საქმე დღე და დღე წინ მიდის – მართალია მძიმედ, მაგრამ მაინც ამით ხალისი არ უნდა დაეკარგოთ. ჩენი ღვაწლი უნაყოფო არ არის. მე ზემოთ ერთი მაგალითი მოვიტანე, აი მეორეც: 1854 ჯერნსეის კუნძულზედ ვილაცა ტაპნერი სამართალმა გადასწყვიტა, რომ ჩამოეხრჩოთ. მე შევერივე ამ საქმეში და 600-მა იმ კუნძულის თავი კაცმა თავი გამოიღო და ითხოვა, რომ აპატივონ; მაგრამ საწყალი ტაპნერი მაინცდამაინც ჩამოახრჩეს. ეხლა ყური მივდეთ რა მოხდა: ზოგიერთი ჟურნალი, რომელშიაც ამის თავობაზედ დაწერილი ჩემი წიგნი დაბეჭდილი იყო, მისლოდათ ამერიკაში მაშინ, როდესაც კვებეგში უნდა ჩამოეხრჩოთ კი ვილაცა ჟულიენი; კანადის ხალხმა ჩემი წიგნი ჯერნესელებთან ისე მიიღო, როგორც თავისთან მიწერილი, – და ამ სახით წიგნმა, რომელსაც უნდოდა ტაპნერი დაეხსნა, ჟულიენი დაიხსნა სიკვდილისაგან. მე ეს მაგალითი იმიტომ მომყავს, რომ გაჩვენოთ რანაირად საჭიროა ამ სახით დაუღალავი მოქმედობა და ცდა. ვაი, რომ კაცის კვლა სამართლის სახელითა ათასნაირ სახითა ისევ არსებობს! თქვენს პატარა კუთხეში, ჟენევაში თვრამეტს თვეში სიკვდილით ორი დაისაჯა; პარიჟში გილიოტინა ლა-როკეტაში მუშაობს; ანგლიაში ახრჩობენ არამც თუ დამნაშავე კაცებს, არამედ დედაკაცებსაც; რომში

უსულადოდ ჰკვლენ (რომ სისხლი არ დაიდვაროს) და სხ. „წვალებალა“! მე აკი ვსთქვი მოსპობილია, მეთქი. მაგრამ იცით, რომ 1848 იგი ისევ იყო, – სადა, ჩინეთში? არა ევროპაში, შვეიცარიაში, ცუგის მაზრაში. იქ ერთი გასათხოვარი გოგო თურმე ქურდობაში დაეჭირათ, ყველის მოპარვას აბრალებდნენ. გამოძიებულმა ეს ღონისძიება იხმარა, რომ გოგოს თავის პირითვე ათქმევინოს თავისი დანაშაული: უბძანა, რომ თითებზედ ჭერში დაჰკიდონ და მას შემდეგ ჯოხით ჰსცემონ.

„არა, იმედი არ უნდა გადიწვიტოს კაცმა! დეე ყოველი გონიერი სათითაოდ იბრძოდეს იმ აზრით, რომ სისხლის კანონები შეასუბუქოს. სასჯელის შეცოტავენა და განთლების გამრავლება – აი, რა უნდა იყოს იმათი დევიზი. მით რაც აქამდე გაკეთებულა იმათ შეიტყონ ის, რაც გასაკეთებლად კიდევ დარჩომილა. გარემოება რომ ეხლა ცოტად თუ ბევრად ასუბუქებს დანაშაულობას – ესეც დიდი საქმეა. 1818 და 1819წ. რომ ეგა ყოფილიყო, არ მოხდებოდა ამისთანა ამბავი: 1819 წელს ერთს ზაფხულის დღეს ერთს მოედნის (Palais de Justice) სამარცხვინო ბოძთან შეგროვილიყო უშველელელი ხალხი. მეც მივედი. ბოძზედ კისრით მიბმული იყო ადამიანის სული – ახალგაზრდა დედაკაცი, ანუ ქალი. მის წინ იდგა ნახშირ გალუებული მყალი, მყალზედ ერთი რკინის ჯოხი ხის ტარითა ხურდებოდა; ხალხს კმაყოფილების სახე ეღვა. ეგ ქალი შინაურ ქურდობაში შემცნეული იყო თურმე. უეცრად, როდესაც საათმა თორმეტი დაჰკრა, ვილაცა კაცი ავიდა ეშაპოტზედ და იმ ქალს უკან მოექცა; ამ კაცმა გაუხსნა ქალს ზონრები პერანგისა და წელამდინ გააშიშვლა, მერე წამოავლო ხელი წითლად გახურებულს რკინის ჯოხს და ღონივრად გაატარა ქალის შიშველა ზურგზედა. რკინის ჯოხიც და ჯალათის ხელიც ორივე დაიმაღლნენ თეთრს ბოლშია. მას აქედ ორმოც წელიწადზედ მეტი დრო გავიდა, მაგრამ კი ის საშინელი წივილი იმ საწყალის დედაკაცისა ყურში მიდგა დღესაც და მედგმება კიდევ საუკუნოდ. მე მაშინ თერთმეტის წლისა ვიყავი და მე იმ დღიდან წამოველ მტკიცე განძრახვით, რომ ჩემი დღენი კანონის უსამართლოებას ვებრძოლო!

„ვილაცა კრიმინალისტმა ჰსთქვა: არ უნდა თქვან „სასჯელი“, უნდა სიტყვა „სამაგიერო“ იხმარონ. კანონი არ ჰკლავს კი,

არამედ ბოროტს კაცს ჩამოგვაცლის ხოლმეო.” ჩვენ, ჩვეულებრივ მომაკვდავებს, არ გვესმის ეკ სიბრძნე.

„მინამ სიკვდილით დასჯა იქნება, სასისხლო სასამართლოში შესვლის უმაღლესი ცივი ოფლი დაესხმის ადამიანსა, და იქ საუკუნე სიბნელე იქნება გაუფლებული. წელს იანვარში შარლუაში რომ დანაშაულობას იძიებდნენ, (რომელშიაც გამოჩნდა, რომ ორი სიკვდილით დასჯილი კაცი გეტნალსი და გეკე იქნება უდანაშაულონიც იყვნენ – როგორ მოგწონთ ეს „იქნება.“), ამ საქმის გამოძიებაში ერთმა ადვოკატმა წარმოსთქვა, რომ საჭიროა მუქთი სასწავლებლები გავიჩინოთო, რადგანაც დანაშაულობა უფრო უგანათლებულობისაგან წარმოდგებაო. გენერალ-პროკურორმა სასაცილოდ აიგდო და უთხრა: „ადვოკატო, აქ პალატა არ არისო.” არა, უფ. პროკურორო, აქ სამარე არის, სამარე!

„სიკვდილით დასჯას ორინაირი მფარველები ჰყავს: ერთნი ისინი, ვინც იმას აუცილებელ საჭიროებად ხდიან, მეორე ისინი, ვინც იმას საქმეში ხმარობენ, ან სხვანაირად, ვჰსთქვათ: ისინი, ვინც თეორიითა ეწევიან, მეორე ისინი ვინც პრაქტიკითა. მაგრამ პრაქტიკა და თეორია ორივე ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან. რაო, მითამ სიკვდილით დასჯა მაგალითი არის ხალხისათვის? ჰკითხავთ თქვენ. ჰოო, გეტყვით თეორიის მიმდევ. არაო, გეუბნებათ პრაქტიკის მიმდევ და ჰმაღავს გილიოტინას შორს სადმე, ცდილობს, რომ ხალხი არ მოვიდეს სასჯელის სანახავად, თავსა ჰსჭრის დამნაშავეს ცისმარე დილას ღამით მომზადებულ ემფოტზედა, ან კიდევ ოთხ კედელშუა (როგორც ამერიკაში, ანუ პრუსიაში). მა რაღა სიკვდილით დასჯა? სამართლიანობის გადაწყვეტილობაა? ჰოო, გეტყვით თეორია; არაო, გეტყვით პრაქტიკა; მოკლულს რჩება ცოლი, ობლები, რომელნიც უდანაშაულოდ იტანჯებიან, სად არის აქ სამართალი! იქნება სიკვდილით დასჯა სასარგებლო იყოს? ჰოო, გეტყვით თეორია; არაო, გეტყვით პრაქტიკა; სიკვდილით დასჯა მთელს ოჯახს ისე უტევებს, რომ ლუკმაპურის ილაჯიც უწყდება: ქვრივი დაიწყობს ხოლმე უნაძესობას იმისთვის, რომ მოიკლას შიმშილი, ობლები ქურდობენ იმისათვისვე და საზოგადოება სიკვდილით თუ ერთს მაუნე კაცს იშორებს თავიდან ხოლმე, მის მაგიერად რამდენსამე აღმოიჩენს. დიუმოლარი, რომელმაც ხუთის წლიდანვე დაიწყო ქურდობა,

დასჯილის შვილი იყო. მე შეურაცხად გამხადეს, რომ ამაში მე შემასუბუქებელი გარემოება დავანახვე ხალხსა. მამასადამე, სიკვდილით დასჯას კავშირი აქვს ყველაფერთან: სოციალური და ზნეობითი, ფილოსოფიური და სარწმუნოების მცნებანი მასთან შეერთებულნი არიან, ნამეტნავად სარწმუნოების მცნება.

„თქვენ დამნაშავეის სიკვდილი გინდათ! მაგრამ გიფიქრიათ თქვენ ამ დაუსრულებლობაზედ, რომელშიაც სიკვდილით თქვენ კაცის ცხოვრებას შთააგდებთ ხოლმე იმ საშინელს მოულოდნელობაზედ, რომელსაც ადამიანს უმზადებთ? სიკვდილით დასჯა – ეგ ხომ კაცთა საზოგადოების ხელია, რომელსაც ადამიანი უძირო ჯურღმულის თავზედ უპყრია და შეტოვდება ხელი თუ არა – კაცი მსხვერვეთი ეცემა ძირსა. მოაზრე კაცი, რომელსაც ძალა აქვს, რომ განსჭვრიტოს რამოდენადმე ეს დაუსრულებლობის საქმე, თრთის ხოლმე, როცა კი ამ საქმეს წარმოიდგენს. კაცნო! რა გიქმნიათ თქვენ? ვის შეუძლიან თვალთი განსჭვრიტოს ის თვალთგაუვალი სიმწყვდიადე, რომელშიაც შთააგდეთ საწყალი სული? სად მიდის ის სული – ვინ იცის?“

„ჩვენ მოაზრე, აზრიანს კაცსა იმითი ვცნობულობთ, რომ სიცოცხლის საიდუმლოდ პატივისცემა აქვს.“

„მე ვიცი, რომ ფილოსოფოსები იდეალისტები არიან. რა უნდათ იმათ? ნუთუ უნდა განაგდონ კანონთგან სიკვდილით დასჯა, რომელსაც ისინი საზოგადოების მგლოვიარობას ეძახიან. მგლოვიარობაო! მამ ერთი წავიდნენ და ყურებით გაძღნენ, ხალხი სარჩობელის გარემემო როგორ იცინის! ერთი მივიდნენ პირისპირ ნახონ ის, რაც არის! იქ, სადაც ისინი მგლოვიარობასა ჰხედვენ, ჩვენ სიცილსა ვხედავთ.“

„ეს ხალხი სულ ჰაერში ფრინავს. როდისღა დაგვანებენ ჩვენ ისინი თავსა, როდისღა მოგვაშორებენ თავიდან თავიანთ თეორიებს, სისტემებს, სიზმრებს, ან ისინი რის სახელით ცდილობენ? პროგრესისა და იდეალის სახელითა – ესენი ფულურო სიტყვები არიან. ღმერთმა ჩვენ მაგათ ხელისაგან დაგვიხსნას.“

რაც უნდა იყოს, თქვენ მოწყალენო ხელმწიფენო, გინდათ ხელახლად განსაჯოთ ეგ დიდი საქმე. გული გაიმაგრეთ! ხალისს ნუ დაჰკარგავთ. დაე, ყოველი კეთილგონიერი კაცი თავის წადი-

ლის ასრულებამდინ იღვწოდეს!

„მცირე ხალხი ქვეყანაზედ არ არის. მე ეს რამდენიმე წლის წინათ ბელგიელებისათვის მითქვამს შალრუაში დასჯილების თავობაზედ: ნება მქონდეს ამ წიგნშიც ეგ გავიმეორო.

სიდიდე ხალხისა მის რიცხვით კი არ იზომება, როგორც სიდიდე კაცისა არ იზომება ტანადობითა. ამ შემთხვევაში ზომად ხალხის სათნოებისა და გონიერების ნიჭის რიცხვია. მხოლოდ იგი, ვინც დიდს სამაგალითო საქმესა იქმს – მარტო იგია დიდი. ხალხი კაცად უნდა იყოს, კაცს კიდევ სული უნდა ჰქონდეს.

„მაშინ, როდესაც მთელი ევროპა უკან მიდის, კარგი იქნებოდა, რომ აქნევა წინ წავიდეს. ნეტავი შვეიცარიამ და ნამეტნავად თქვენმა პატარა რესპუბლიკამ შემდგომზედ მოიფიქროს: მშვენიერი საქმე იქმნებოდა, რომ აქნევამ სიკვდილით დასჯის გადაგდება დიდს სახელმწიფოებს დაასწროს. კარგი რამ იქნებოდა, რომ შეიძლებოდეს განათლებულს ქვეყანას ცხადად წამოუდგეს მაგალითად რომი და აქნევა: ერთი მხრით, რომი თავის პაპობითა (ПАПСТВО), რომელიცა ჰსწყევლის და ჰკლავს, მეორე მხრით, აქნევა სახარებითა, რომელიცა მოტევებას აძლევს.

„ჰოი, აქნევის ხალხო! თქვენი ქალაქი კურთხეულს მხარეში არის, დანაბადის ყოველი სიტურფე თქვენ გარს გახვევიათ; ხილვა მშვენიერებისა ჭემმარიტების იდეას აღვიძებს. ცივილიზაცია ბუნებასთან ერთად, თანახმად უნდა იყოს; ყური მიუგდეთ თქვენის ნათელის და ლაჟვარდის ცის რჩევას, თქვენის ქვეყნის სუბუქის და მოალერსე ჰაერის ტკბილს ლაპარაკსა – და ეშაფოტი დაამსხვრიეთ. უმაღურობას ნუ ჩაიდენთ. არ ათქმევინოთ ხალხს, რომ ვითომც მის მაგიერ, რაც ღმერთმა თქვენ მოგანიჭათ მაგ ქვეყნის მშვენიერ კუთხეში, სადაც არიან ალპები, მონბლანი, არვუ და რონა², დასასრულ, საცა თქვენი ლურჯი აქნევის ტბა არის, არ ათქმევინოთ, რომ ამის მაგიერ თქვენ ვერაფერი სხვა ვერა შეიძელით, რა წარმოგედგინათ ღვთისათვის, თუ არ გილიოტინა და სახრჩობელა!

[1863წ. სექტემბრამდე]

¹ მთებია.

² მდინარენი არიან.

I. მცარცველობის ფიზიოლოგია. (*)

რისთვის მივყავ ხელი ამ მშრალს მეცნიერებას – საპოლიტიკო ეკონომიას?

რისთვის? ეს კითხვა ძნელია. ყველა შრომა – თავის ბუნებით – ასე უსიამოვნოა, რომ შეიძლება ნება ჰქონდეს კაცს იკითხოს, რას მოასწავებს იგი?

ვნახოთ, მოვძებნოთ.

მე არ მინდა სიტყვა იმ ფოლოსოფოსებსაკენ მივაქციო, რომელნიც თუ არ თავის სახელითა, კაცობრიობის სახელით მაინცა გვასწავლიან, რომ სიღარიბეს თაყვანი ვცეთ.

მე ველაპარაკები მარტო იმათ, ვინც „სიმდიდრეს“ რომელსამე მნიშვნელობას აძლევს. სიმდიდრე – ჩემის ფიქრით – ორიოდე პირის შეძლება კი არ არის, არამედ კმაყოფილება, კეთილმდგომარეობა, უშიშარობა, დამოუკიდებულობა, განათლება ყველასი. მარტო ორი ღონისძიება არის, რომ კაცმა იმისთანა საქონელი იშოვოს, რომელიც საჭირო არის ცხოვრების დაცვისათვის, შემკობისათვის და სისრულეში მოყვანისათვის: ერთი „ნამუშავრობა“, მეორე „მცარცველობა“ (La production at la spoliation).

ზოგიერთი ამბობს, რომ „მცარცველობა“ შემთხვევა არისო, არისო ბოროტმოქმედობა ალაგობრივი და დროებითი, რომელიც ზნეობის მცნებით იძრახება, კანონით ისჯება და საპოლიტიკო ეკონომიის საკადრისი არ არისო.

მაგრამ რაც უნდა თვალის მოტყუება ძლერი იყოს, საჭიროა ვადიაროთ, რომ „მცარცველობა“ ამ ქვეყანაში მეტად გაძლიერებული

(*) არის ერთი პატარა წიგნი დაწერილი გამოჩენილი ფრანციის ეკონომისა ბასტიასაგან დაწერილი: ეკონომიური სოფიზმები. თუმცა მთელი წიგნი ფრიად საგანგებო რამ არის და სასარგებლოცა, როგორც ყველასათვის, ისე ჩვენთვისაც, მაგრამ მე იქილამ ამოვიღე მარტო ერთი ნაწილი, „მცარცველობის ფიზიოლოგია“, რომელიც უფრო მეტად მოედგმის ჩვენს ცხოვრებას და რომელმაც იქნება გვიშველოს, ზოგიერთი რამე გავიგოთ და ამით ჩვენთვის უნაყოფო არ იქმნეს.

ლია; რომ იგი მეტისმეტად და ყველგან კაცის ყოველ უდიდეს საქმეებშიაც ურევია ხოლმე. ასე რომ, არც ერთი საყოველთაო მეცნიერება – მაშასადამე, საპოლიტიკო ეკონომიაცა – ვერ შეიძლება, რომ მაგას ყურადღება არ მიაქციოს.

წინ წავდგები. საზოგადოების წესის სისრულეს სახელობრის უშლის, რომ საზოგადოების მწვერნი სულ იმას ცდილობენ, რომ იცხოვრონ და განვითარდნენ სხვის ხარჯზედ.

ამ სახით „მცარცველობა“ რომა არ იყოს, საზოგადოება სრული იქნებოდა და საყოველთაო მეცნიერებაებსაც (общественные науки) საგანი აღარ ექნებოდათ.

ერთ ფეხს კიდევ წინ წავდგამ. რაკი რომ „მცარცველობა“ მრავალი კაცის ცხოვრების ღონისძიებათა ხდება, მრავალ კაცისა, რომელნიც საზოგადოების კავშირთ შეერთებულნი არიან, – იგინი მაშინვე შეჰქმნიან თავისათვის კანონსა და ზნეობითს მცნებასა, რომლებსაგანაც მკვიდრდება და იქება „მცარცველობა“.

სამყოფია, დავასახელოთ „მცარცველობის“ ზოგიერთი უფრო საჩინო გვარი, რომ ვაჩვენოთ რა ალაგი უჭირავს „მცარცველობას“ კაცთა მოქმედებაში.

ა. პირველი – „ომიანობა“. ველურს ხალხში გამარჯვებული დამარცხებულსა ჰკლავს, რომ მიიღოს უფლება თუ არ დაურღვეველი, შეუცილებელი მაინცა.

ბ. მერმე მოდის – „მონაობა“. როცა კაცი მიხვდება, რომ შეიძლება მიწა შრომით გაანაყოფიეროს, მაშინ თავის მოძმესთან ამისთანა ძმობის პირობას ჰსდებს ხოლმე: „შენ – შრომა, მე – ნაშრომი“.

გ. ბოლოს მოდის – „მონობოლია“. ამისი განსაკუთრებით თვისება იმაშია, რომ არ აუქმებს კი ამ დიდს საზოგადო კანონს: „ღვაწლი ღვაწლში“ (услуга за услугу) არამედ ძალას შამოურევს ხოლმე და უშლის რომ „ღვაწლის“ აღებ-მიცემაში სისწორე იყოს.

„მცარცველობას“ ყოველთვის თავის გვამშივე აქვს მამაკვინებული სენი, რომელიც ბოლოსაც მოუღებს ხოლმე. ძნელად იქნება, რომ ბევრმა ცოტანი ჰსცარცვოს; აგრე რომ იყოს, ცოტანი

მალე მიაღწევდნენ იქამდინ, რომ ბევრის მსუნაგობას ვეღარ გააძღობდნენ, თუნდ რომ სდომოდათ კიდეც. და მაშინ „მცარცველობაც“ თავისთავად მოისპობოდა, რაკი საზღო გაუწყდებოდა.

თითქმის ყოველთვის ცოტანი ბევრსა ჰსჩაგვრენ; მაგრამ ამით უფრო „მცარცველობა“ თავის ბედისწერას ვერ წაუვა ხოლმე, იმიტომ, რომ თუ იგი ღონითა და ძალით ჰსწარმოებს – როგორც „ომიანობაში და მონაობაში“ – აშკარაა, რომ ღონე და ძალა როცა იქნება ბევრის მხარეზედ გადავა; ან თუ ცბიერობით ჰსწარმოებს, როგორც მონოპოლიაში – აშკარაა, რომ ის ბევრი ოდესმე განათლდება, ურომლისოდ გონება გონებად არ იქნებოდა.

„მცარცველობას“ სხვა მამაკვდინებელი წყლული კიდე აქვს დაფარული აუცილებელი კანონის ძალითა, სახელდობრ: „მცარცველობას“ არამც თუ სიმდიდრე ერთი ჯიბიდან მარტო მეორეში გადააქვს, არამედ ამ გადატანაში იმ სიმდიდრეს ყოველთვის ერთს ნაწილს აკლებს.

ომიანობა მოსპობს ხოლმე მრავალს სარჩოსა.

მონაობა მრავალს ნიჭს აუქმებს.

მონოპოლიას სიმდიდრე ერთიდან მეორესთან გადააქვს, მაგრამ ამ გადასვლაში ბევრსა ჰკარგავს.

ეს კანონი საოცარია. უამისოდ – თანასწორობაც რომ იყოს დაჩაგრულთა და დამჩაგვრელთა ღონეთა შორის – უამისოდ „მცარცველობას“ სამზღვარი არ ექნებოდა. ამ კანონის მეოხებით სასწორი ყოველთვის ან ერთს მხარეზედ გადმოიწევს ხოლმე, ან მეორეზედ, იმისათვის თუ რომ მცარცველებს შერცხვებათ ხოლმე, რომ იმდენი სიმდიდრე იღუპება, თუ იმისათვის, რომ ბოროტება გაუწყვეტლად უფრო და უფრო ხდება და რაცა ხდება, უფრო და უფრო, იმას ბოლოც უნდა მოეღოს ხოლმე.

მართალიც არის, მოვა ხოლმე დრო, როცა სიმდიდრის დაკარგვა იქამდინ მიაღწევს ხოლმე, რომ თვითონ მცარცველი ჰგრძნობს, რომ პატიოსნად მოქცეულიყო, უფრო ცოტა დაეკარგებოდა.

ესე დაემართება ხოლმე იმ ხალხსა, რომელსაც ომი უფრო მეტად უნდა ყმისა, ვიდრე ნაშოვარი; ესე დაემართება იმ მებატონეს, რომელსაც მონის შრომა უფრო ძვირად უჯდება, ვიდრე თავისუფალი შრომა; ესე მოუვა ხოლმე მონოპოლიას, რომელიც

მით უფრო დიდს ყბას ალებს, რამოდენათაც ჩასაყლაპავი ცოტავდება, სწორედ ისე, როგორც მწველელი, მით უფრო დიდის ძალით ჰწველის, რამოდენათაც ძუძუ შრება.

მონოპოლია, ამკარაა, „მცარცველობის” ერთი გვარია. იმას მრავალი სხვადასხვანაირი სახე (ფორმა) აქვს, სხვათა შორის, გამოსაჩენი – შემოსავლიანი ადგილები, პრივილეგიები, შევიწროებანი.

მის სახეთა შორის მეტად მარტივნი და ბავშვურნიცა არიან: ამისთანანი იყვნენ ფეოდალური უფლებანი. ამისთანა წესდებულების დროს ხალხსა ჰყვლეფენ ისე, რომ ეგ თითონ ხალხმაც არ იცის. ეს წესი ძალასა ბოროტად ხმარობს და, ძალა დაეცემა თუ არა, წესსაც ბოლო მოელება ხოლმე.

სხვანი კი მეტად დახლართულნი არიან, აქ ხშირად ხალხსა ჰყვლეფენ ასე, რომ არ იცის, რომ ჰყვლეფენ. შეიძლება ისეც მოხდეს რომ ხალხი ყველაფრისათვის „მცარცველობის” მადლობელიც იყოს: იმისათვისაც, რასაც იმას შეარჩენენ ხოლმე. ამისათვისაც, რასაც წაართმევენ და ამისათვისაც, რაც იკარგება ამ ოპერაციაში. ეს კიდევ ცოტაა: მე ვამტკიცებ, რომ ღღესა თუ სხვაღე ჩვეულებისა გამო ყველანი მცარცველებად ხდებიან ასე, რომ ეგ ამბავი არც თითონ იციან და არც გულში ჰქონიათ. ეს სხვადასხვანაირი მონოპოლიები ცბიერობის შვილები არიან და ხალხის გონების სიბნელით იზღებიან. ისინი განჰქრებიან ხოლმე მარტო სინათლისაგან.

სამყოფად ვილაპარაკე მე ამათზედ, რომ ვაჩვენო, რომ საპოლიტიკო ეკონომიას დიდი პრაქტიკული სარგებლობა მოაქვს. ეგ ლამპარია, რომელიც, რაკი, რომ ცბიერობას გამოაშკარავებს და სიბნელესა და შეცდომებსა გაჰფანტავს, სრულიად დაარღვევს ხოლმე იმ საზოგადოების ურიგობას, რომელსაც „მცარცველობას” ვეძახი. ვილაცამ – მგონია ქალმა – საპოლიტიკო ეკონომია ჭეშმარიტად ახსნა ამნაირად: იგი ციხეაო, საცა ხალხის ქონებას არაფრის შიში არა აქვსო.

თარგმანი ანუ ახსნა.

ამ წიგნს რომ დანიშნული ჰქონდეს სამი ანუ ოთხი ათასს წელიწადს გაძლება; ამ დროების განმავლობაში რომ იკითხებოდეს, გადიკითხებოდეს, ისინჯებოდეს, ისწავლებოდეს სიტყვა-სიტყვაზედ, ასო ასოზედ თავობიდან თავობამდე, როგორც ახალი ყორანი; ამ წიგნმა რომ მთელი ქვეყნის ბიბლიოთეკებში მრავალი სხოლიოები, აღსნანი, თარგმანი მოიზიდოს – მაშინ შემეძლო ზემოხსენებული აზრები თავიანთ ბელზედ მიმეგლო, თუმცა ცოტად სიბნელე ატყვიათ და მოკლედ გამოთქმულნიც არიან. მაგრამ რადგანაც საჭიროა მათი ახსნა, მე მგონია – ჭკუა იქნება მე თითონვე ავხსნა.

ჭეშმარიტი და სამართლიანი კანონი კაცობრიობისა შემდეგი არის: „თავისუფალი გაცვლა ღვაწლისა ღვაწლზედ“ (УСЛУГА ЗА УСЛУГУ). „მცარცველობა“ აბა იმაში მდგომარეობს, რომ ძალით, ან ცბიერებით შეცილების (debat, СОСТЯЗАНИЕ) თავისუფლება განაგდოს, დაშალოს ისე, რომ ღვაწლის მიძღვება ღვაწლის მომტანს სანაცვლოდ არა მიჰსცეს რა.

„მცარცველობა“ ძალით ესე იქნება ხოლმე: ელიან, მინამ კაცი რომელიმე ნივთს გააკეთებს, მერე ხანჯლით ხელში მივარდებიან და წაართმევენ.

ეს ხომ ცხადად აკრძალულია ათის მცნებით: „არა იქურდო“.

როცა ამისთანა „მცარცველობა“ მოხდება ხოლმე თვითიუღ კერძო პირთა შორის, მაშინ იმას „ქურდობას“ ეძახიან და იმოსება ბორკილით; როცა ხალხთა შორის მოხდება, იგი მიიღებს ხოლმე „დაპყრობის“ სახელს და იმოსება დიდებით.

რისთვის არის ამისთანა განსხვავება? ცუდი არ იქნება მიზეზი მოვძებნოთ. ეს განსხვავება თითოთ გვაჩვენებს მიზეზად იმ უძლეველს ძალას – საზოგადო ხმას – რომელიც ჩვენ გარს გვახვევია, როგორც ჰაერი ისე უანგარიშოდ, რომ არც კი ვგრძნობთ. რუსსომ ფრიად სრული ჭეშმარიტება ჰსთქვა: დიდი ფილოსოფია უნდაო, რომ განვიხილოთ ის ფაქტით, რომელიც ჩვენზედ ძალიან ახლო არისო.

ქურდს აღუდგება ხოლმე საზოგადო ხმა იმიტომ, რომ იგი მარტოა და ცალკე მოქმედობს. ის არ ასვენებს ყველას, ვინც

გარს ახვევიან. მაგრამ თუ რამდენიმე ამხანაგი ეყოლება – ის ამყობს კიდევ თავისი ჩადენილი საქმეებითა. აი, აქ საზოგადო ხმის ძალა დაიწყობს კიდევ ხოლმე თავის ძლიერ მოქმედებას, იმიტომ, რომ საეპოაო ქურდისათვის მარტო ამხანაგებმა აქონ, რომ იმას დაეკარგოს თავისი საძაგელი ხელობის ცნობა და თავიც იქოს სამარცხვინო საქმითა.

მეომარი სხვა წრეში ჰსცხოვრებს. საზოგადო ხმა, რომელიც შავს დაღს ასვამს იმას, იმის ქვეყნის გარედ არის – დამარცხებული ხალხშია; იგი არა ჰგრძნობს იმ ხმის შავის დაღის სირცხვილსა. გარეხვეული ხმა კი აქებს, აქეზებს იმას. მისი ამხანაგები და თითონაც იმათთან ცხადათა ჰგრძნობენ, რომ ერთი ერთმანეთის თავდებობით შეკრულნი არიან. მამული, რომელსაც მტერი აუჩენია, რასაკირველია, უნდა ცდილობდეს თავის შვილებში ვაჟყაცობა წაახლისოს, მათ შორის ვინც უფრო თავს გამოიღებს, ვინც თავის ქვეყნის სამზღვარს გააგანიერებს და უფრო ბევრს ნადავლს და ნაშოვარს შემოიტანს, მამული სახელს, პატივს, ღიღებას აძლევს. პოეტები გალობით ამკობენ, ქალები გვირგვინს უწვენენ. ძალა საზოგადო ხმისა აქ ისეთი ღიდი და ძლიერია, რომ მცარველობისაგან უსამართლოების იდეას აშორებს და თვით მცარცველსა ისე აბრმავეებს, რომ თავის დანაშაულის გაგებაც აღარა აქვს.

საზოგადო ხმა, რომელიც წინა აღუდგება ხოლმე სამხედრო მცარცველობას, თუ გაცარცული ხალხის ხმაა და არა მცარცველისა, ძალიან ცოტასა შევლის. მაგრამ არც ის ხმა რჩება უსაქმოდ და მით უფრო ძლიერად საქმობს, რამოდენათაც ორი მტერი ხალხი ერთმანეთს უახლოვდება და რამოდენათაც უფრო მეტათ ესმით ერთმანეთის ენა. ჰსჩანს, რომ ამ შემთხვევაში ენის ცოდნა და ხალხთაშორისი თავისუფალი მიქცევ-მოქცევა იმას ელტვიან, რომ სასწორი იმ ხმას დააძლევინოს, რომელიც ამ გვარს მცარცველობას აღუდგება ხოლმე.

საუბედუროდ, სშირად ასე მოხდება ხოლმე, რომ ხალხი დაჩაგრული, რომელიც დამჩაგვრელს ხალხს გარს არტყია, თითონ ის ხალხიც მცარცველობას არ მოერიდება ხოლმე, როცა შეძლება მიეცემა, – და იმავე შეცდომებით სავსეა.

ამ მდგომარეობაში ერთი ღონისძიებალა რჩება – დრო. დრო

უნდა რომ მძიმე გამოცდილებით ხალხებმა ერთმანეთის გაც-
არცვის საშინელი ზარალი იცნონ.

იქნება მეორე ღონისძიებაც დამისახელონ – ზნეობის მცნება
(la moralization). მაგრამ ზნეობის მცნების საქმე ის არის, რომ
რიცხვი კეთილის მოქმედებისა გაამრავლოს. რარიგად უნდა
მოჰსპოს იმან მცარცველობისა მოქმედება, როცა მაგ მოქმედებას
საზოგადო ხმა უმაღლეს სათნოებასთან ერთად აყენებს. ხალხის
ზნეობის განწმენდისათვის განა არის რამე ღონისძიება უფრო
შემძლებელი სარწმუნოებაზედ? ყოფილა როდესმე სარწმუნოება
ისეთი მშვიდობის მოყვარული, როგორც ქრისტიანობა არის?
მაგრამ კი აბა გასინჯეთ, რას ნახავთ ამ თვრამეტს საუკუნეში?
ნახავთ რომ კაცნი იბრძვიან, ერთი ერთმანეთს უღეტენ არამც
თუ იმიტომ, რომ სარწმუნოებას არ ეპოვებიან, არამედ თვით
სარწმუნოების სახელითაცა.

ხალხი დამპყრობელი ყოველთვის ხომ თითონ არ დაეცემა.
ამასაც დაადგება ხოლმე უბედური დღე, მაშინ ამისი სალდათები
იმაგრებენ სახლ-კარსა, ქონებას, ცოლ-შვილსა, დაუმოკიდებლო-
ბას, თავისუფლებასა. ომი მაშინ რაღაც სიწმინდის და დიდების
ნიშნით იმოსება, ბაირალი, ნაკურთხი მშვიდობისმოყვარე ღვთის
მსახურთაგან, მაშინ წარმოადგენს ყველაფერს, რაც კი რამ არის
უწმინდესი ქვეყანაზედ. ამ ბაირალს ყველა გარს ერტყმის, როგორც
მამულის და პატიოსნების ცოცხალს ხატსა და მეომარის ქველობა
ყველა სათნოებაზედ მეტად იდიდება. მაგრამ რაკი განსაცდელი
გაივლის, ხმას მაინც ისევ ის ძალა რჩება, რასაკვირველია, შურის-
გებაც გაიღვიძებს პატრიოტობასთან ერთად არეული, – და საყ-
ვარელი ბაირალი ხან ერთს, ხან მეორე ქალაქში მიდის და
ფრიალებს. მგონია, რომ ამ სახით ბუნებამ დამცემელს ხალხს
სასჯელი მოუმზადა.

ამ სასჯელის შიში და არა ფილოსოფიის წარმატება არსე-
ნალიდამ იარაღს გარედ არ უშვებს, იმიტომ, რომ ომიანობას
უფრო განათლებული ხალხი მიზღვეს და ის ხალხი სა-
მართლიანობას არ დაჰსდევს, თუ მაგიერის გადახდისა შიში არა
ჰქონდეს. ამის დასამტკიცებელი, გიმალაი, ატლასი და სხვ. არი-
ან.

თუ სარწმუნოება ომის მოსასპობლად უღონო არის, ფილოსოფი-
იც აგრეთვე – მაშ, რით უნდა მოისპოს ომიანობა?

საპოლიტიკო ეკონომია ამტკიცებს, რომ თუნდა მარტო გამა-
რჯელებული ხალხი სახეში ვიქონიოთო, მაშინაც ომიანობაში მთე-
ლი ხალხის ხარჯით ყოველთვის მცირე რიცხვი ხეირობს. მაშას-
ადაძე, საკმაოა, რომ მთელმა ხალხმა თავის ზარალი გაიგოს,
ცხადად დაინახოს ეს ჭეშმარიტება. მაშინ სასწორი საზოგადო-
ხმისა, რომელიც ჯერ ომიანობის მხარეზედ არის, მშვიდობიანო-
ბის მხარეზედ გადიწევს.

„მცარცველობა“, რომელიც ძალაზედ არის დამოკიდებული
ომის გარდა, სხვაც არის, რომ კაცს წაართონ რომელიმე ნივთი.
არ ელიან კი, მიწამ გააკეთებს. თითონ კაცს შეიპყრობენ ხოლმე,
ეროვნებას წაართმევენ; შრომას ძალად აკისრებინებენ; იმას როდი
ეუბნებიან: „თუ შენ ჩემთვის ამ შრომას გაჰწევ, მეც შენთვის ამ
შრომას გავსწევ“, იმას პირდაპირ ეუბნებიან: „შენ – შრომა, მე –
შექცევა“. ეს მონაობა არის; იგი ყოველთვის ძალის ბოროტად
ხმარებასთან არის შეერთებული.

მეტად დიდი საქმეა პასუხი გავცეთ ამ კითხვას: განუსაზღვრელი
უფლების ძალაში არი თუ არა გაუწყვეტლად ბოროტმოქმედებ-
ის თვისება? მე – ჩემის მხრით, მაგ ძალას არ ვენდობი და
იმოდენად მოველი, რომ ძალამ თავის თავს საზღვარი დაუღვას,
რამოდენათაც მოველი, რომ მაღლიდამ წამოსული ქვა თავის
თავს შეაყენებს.

აბა, ერთი მაჩვენონ ერთი რომელიმე ქვეყანა, ან დრო, რომელ-
შიაც მებატონის ნებაყოფლობით, თავისუფალის და გულშემატ-
კივარის სურვილით მონობა მოსპობილიყოს.

მონაობა წარმოადგეს მეორეს და ცხადს მაგალითსა, რომ
საცა გამორჩომის და სარგებლობის გრძნობაა, იქ სარწმუნოების
და კაცთმოყვარეობის გრძნობა ბრძოლისათვის უღონოა. ეს სამ-
წუნარო იქნება ზოგიერთ ფილოსოფოსებისათვის, რომელნიც
ასწავლიან კაცსა: „შენი თავი დაივიწყეო“ და რომელნიც ამ
თავის დავიწყებითა საზოგადოების გადაკეთებასა ფიქრობენ. ისა
ჰსჯობია თვით კაცის ბუნების გადაკეთებიდან დაიწყონ.

ანტილიის კუნძულებზედ მონების პატრონები მამა-პაპათვე, იმ

დროიდანვე, როცა მონაობა იქ დაარსდა, აღიარებენ ქრისტეს რჯულსა. დღეში მრავალჯერ ისინი ამ სიტყვებს იმეორებენ: „ყველა კაცნი – ძმები არიან; შეიყვარე მოყვასი შენი და მთელი რჯულის მცნება აღსრულებული გექნება.“ მაგრამ მაინცდამაინც მონები კი ჰყავთ. ამისთანა ჩვეულებრივი და კანონიერი იმათთვის არა საქმე არ არის. ეხლანდელ მეცნიერთა განა იმედი აქვსთ, რომ იმათი სწავლა შეიქმნას ასე ყველასაგან მიღებული, ისე ხალხში გავარდნილი, იმისთანა სახელი ჰქონდეს და ეგრე ხშირად იმეორებოდეს, როგორც იმეორება სახარება? თუ კი სახარებამ ვერ გაარღვივა სარგებლობის კედელი და ენიდამ გულში არ გადაიტანა ქრისტეს საღმთო და კაც-მოყვარე მცნება, მაშ მეცნიერთა როგორღა აქვსთ იმედი, რომ იმათი სწავლა მაგ სასწაულს მოახდენს?..

მაგრამ რა? ნუთუ მონაობა დაუმარცხებელია და დაუკოდავი? არა; იგი მოისპობა იმიტივე რითაც დაარსდა – სარგებლობით. ოღონდ კი კერძო სარგებლობის შემწეობისათვის, რომელმაც ეგ მუწუკი გააჩინა, არ უნდა დაირღვას საზოგადო სარგებლობა, რომელმაც იგი უნდა მოარჩინოს.

საპოლიტიკო ეკონომიამ ისიც დაამტკიცა, რომ ნებაყოფლობითი (ВОЛЬНЫЙ) შრომა თავის ბუნებით პროგრესისიული, წარმატებითი არის; ხოლო შრომა მონისა ბუნებით უძრავია. მისა გამო ნებაყოფლობითის შრომის გამარჯვება მონის შრომაზედ აუცილებელია, რა მოუვიდა მაგ. ლილის შემუშავებას ნეგრები-თა?

თავისუფალი, ანუ ნებაყოფლობითი შრომა უფრო ნაკლები უჯდება მებატონეს, რომ ყველაფერი გაიანგარიშოს. რაკი მუშაობა ცოტა უჯდება, მაშ თითონ ნამუშევარიც ფასს დაიკლებს. რაც უფრო ბევრს დაიკლებს, იმოდენად მონა შეიქმნება უფრო და უფრო ნაკლებ გამოსადები მებატონისათვის¹. მონაობა ამერიკაში დიდი ხანია მოისპობოდა, თუ რომ ევროპის კანონებს შაქრის ფასი მაღალ ძალად არ აეწივით. ამისათვისაც ჩვენა ვხედავთ,

¹ მაგ. რაკი ამერიკაში შაქარი ქირის მუშით აკეთეს, შაქარმა თანდა-თან ფასი დაიკლო, იმიტომ, რომ ქირით მუშაობა უფრო ცოტა უჯდებოდათ. მთარგ.

რომ მებატონენი, მათი მოვალეები და დეპუტატები გულმოდგინებით ცდილობენ ის კანონები შეიმავრონ, რომელნიც ეხლა მთელს შენობას ბოძებდა უდგანან.

საუბედუროდ ის კანონები აქამდინაც მოჰსწონს იმ ხალხსაცა, რომელთაც თვის შორის მონაობა დიდი ხანია მოუსპიათ. აქედამა სჩანს, რომ ამათშიაც მაინც კიდევ საზოგადო ხმა ჰსძლევეს სასწორსა.

თუ საზოგადო ხმა ძალის ხმარებაში ბატონობს, მაშ უფრო ბევრი მიზეზია, რომ იქაც იბატონოს, სადაც ცბიერობა და ხერხია. მართლა რომ ვსთქვათ, იმისი ასლი ასპარეზი სწორედ ეგ არის. ცბიერობა არის გონების ბოროტად მოხმარება; წარმატება (პროგრესი) ხმისა არის წარმატება ჭკვისა. ამათ ორივეს ერთი და იგივე ბუნება მაინცა აქვთ.

მცარცველს იმოდენად მალე გაუვა ხერხი და ცბიერობა, იმოდენად კარგად მოატყუებს, და გააბრიყვებს, რამოდენათაც გასაცარცველი ხალხი მალე დამჯერი და გასაბრიყვებელი იქნება. რომ მალე არ იჯერებდნენ და მალე არ ბრიყვდებოდნენ – ამის წამალი ცოდნაა, ჭეშმარიტებაა. აქედამ ის გამოდის, რომ ცოდნა უნდა გავრცელდეს, გონება უნდა განათლდეს და ამით წაერთოს საზღო ამგვარს მცარცველობასა.

ისე მოკლედ გადავთვალთვალთ ვოგიერთს გვარს მცარცველობისას, რომელიც ცბიერობით, მოხერხებით და მოტყუებით მოხდება ხოლმე.

პირველი ამგვარი მცარცველობა ის მცარცველობაა, რომელიც სამღვდელო უფლების ცბიერობით მოხდება ხოლმე.

როგორ და რაშია აქ მცარცველობა? იმაშია, რომ შენ სხვას მართალი ღვაწლი და სამსახური გააწვეინო საჭმლით, საცმლით, პატივისცემით, უფლებით, გავლენით და მის მაგიერ ტყუილი ღვაწლი და სამსახური გაუწივო.

მე რომ რომელსამე კაცს უთხრა: „მე შენ ნამდვილს ღვაწლს და სამსახურს გავიწევ“ – ეს რომ უთხრა, უნდა ავასრულო კიდევ. რომ არ ავასრულო, ის კაცი მაშინვე მიმიხვდება, რომ ვატყუებ და ჩემი ცბიერობა გამოაშკარავდებოდა.

მაგრამ მე რომ უთხრა: „შენ მე მემსახურე და შენის სამსახ-

ურის სამაგიეროს მე დიდს სამსახურს გაგიწევ – სააქაოს კი არა, საიქიოს; ამ სოფლის ცხოვრების შემდეგ შეიძლება შენ ან ბედნიერი, ან უბედური იყო საუკუნოდ – ეგ ჩემზედ არის დამოკიდებული; მე შუამავალი ვარ ღვთისა და მის დანაბადთა შორის და შეძლება მაქვს იმისთანა, რომ მინდა სამოთხის კარს გაგიღებ, მინდა ჯოჯოხეთისასა” რაკი ამას კაცი დამიჯერებდა, ის ჩემ ხელქვეითი გახდებოდა, ჩემის უფლების ქვეშ ჩავარდებოდა*.

ეს გვარი მცარცველობისა მეტად ხშირი იყო და ვრცლად მოქმედებდა თვით ქვეყნის დაარსების დღიდანვე; ვინ არ იცის რა ყოვლად შემძლებელ ხარისხამდინ ეგვიპტის მოგვებმა (Маги) ანუ ქურუმებმა მიახწივეს.

ადვილი გამოსაცნობია, რა ხერხსაც ხმარობენ მოცბიერენი და მატყუარნი. ამის გამოსაცნობად იმის მეტი კი არა უნდა რა, რომ კაცმა თავის თავსა ჰკითხო: რას ვიქმოდი მე იმათს ალაგს?

მე რომ მაგისთანა განძრახვით ჩავარდნილვიყავ გაუნათლებელ ხალხში და რომელიმე თვალთმაქცობის მოქმედობით, რომელიც, რასაკვირველია, სასწაული ეგონებოდათ, ხმა გამვარდნოდა, რომ მე რაღაც ბუნების გარეთი არსება ვარ, მაშინ, რასაკვირველია, ღვთის მოციქულობასაც დავიჩემებდი, ვიტყოდი, რომ მე განუსაზღვრელი უფლება მაქვს კაცთა საიქიო და მომავალს ბედზედა.

ამის შემდეგ აუკრძალავდი, რომ ჩემი უფლება არ გაეხინჯათ, ამაზედ მეტსაც ვიქმოდი; რადგანაც ჩემთვის ყველაზედ საშიშარი მტერი მაშინ გონება იქნებოდა, მე აუკრძალავდი, რომ თვით გონებაც არ ეხმარათ, თუ ყველაფერში არა, იმ საშინელს უფლების გარჩევაში მაინცა. მე ამ უფლებას და ყველაფერს, რაც კი რამ მას შეეხებოდა, დიდ საშიშარ საგნად ვაგზილდი, ასე რომ, უსიკვდილოდ არავინ მიჰკარებოდა. იმისი ახსნა, გარჩევა და თვით ამაზედ ფიქრიც შეიქმნებოდა შეუნდობელ დანაშაულობად.

რასაკვირველია, მეტისმეტი მოხერხება იქნებოდა, რომ ყველგან, საიღამაც კი გონება თავს ამოჰყოფდა, რომ ჩემი ცბიერობა და სიცრუე გამოაშკარავოს, ყველგან მძიმე ხაფანგი დამეხურა. ჩემის სიცრუის დღეგრძელობისთვის უკეთესი არა იქნებოდა რა, რომ თვით ეჭვიც და გამსჯელობა ღვთის გმობად გამეხადნა.

* ავტორი კათოლიკის სარწმუნოებისაა.

მაგრამ ამ მაგარს საძირკველს კიდევ სიფრთხილისათვის სხვასაც ბევრს დასამატებელს რასმეს ჩაუერთავდი: მაგალითებრ, იმისათვის, რომ განათლება არ შეჰპარებოდა ხალხსა. მე და ჩემი თანამოზიარენი დავიჩემებდით ყოველის მეცნიერების მონოპოლიას, ვიტყვოდით, რომ ჩვენს მეტმა არავინ არა უნდა იცოდეს რა. ამისთვის მე ცოდნას მკვდარის ენისა და გიეროგლიფის ნაწერის სახურავს დავხურავდი, რომ ვერავის ჩვენს მეტს ვერ შეჰძლებოდა ცოდნა შეეძინა და რომ რომელიმე განსაცდელი უეცრად არ მომსწრობოდა, მე მოვიგონებდი იმისთანა წესდებულებას, რომლისაგამო იმისათვის ყოველ დღე ყოველი კაცის სვინილისი ძირამდინ მისაწდომი ყოფილიყო.

ცული არ იქნებოდა, რომ ხანდისხან ხალხისათვის გულიც მომეგო, ზოგიერთი არსებითი საჭიროება ხალხისა ხანდისხან დამეკმაყოფილებინა, ნამეტნავად თუ ამით მე უფლება და დიდება უფრო მომემატებოდა. მაგ კაცთათვის ყოველთვის განათლება და ზნეობა დიდად საჭიროა: განათლებასაც და ზნეობასაც მე თითონ დავურიგებდი. ამის მეოხებით მე შემეძლებოდა, რომ ხალხის ჭკვისათვის და გულისათვის საიდაც მინდა, თავი იქით მექნა. მე ჩემს უფლების და ზნეობის ერთ გაუწყვეტარ ჯაჭვით ერთმანეთზედ გადავაბამდი. მე იმათ ისე წარმოვადგენდი, რომ ერთს მითამ უმეოროდ ყოფნა არ შეუძლიან. ამ სახით ხალხს იქამდი თვალს აუხვევდი, რომ არამც თუ ჩემი უფლების დარღვევა გაებუნა, არამედ ვისმე იმათში უფრო თამამს და თავგამოდებულს რომ მარტო ხმა ამოელო, ხალხს ჰგონებოდა, რომ მისთა ფეხთაქვეშ დედამიწა ირყევა, და იმ ხალხისათვის თავგამოდებულს თვითვე ხალხი გაცოფებით მივარდნოდა, რომ ნაჭერნაჭერ ექცივა.

ამისთანა საქმის მოწყობილობაში ცხადია, რომ ხალხი უფრო მეტად ჩემი კუთვნილება იქნებოდა ვიდრე მამინ, რომ ჩემი ნამდვილი მონა ყოფილიყო. მონა ჰსწყევლის თავის ბორკილსა და ჩემი ხალხი კი თავისას დალოცავდა, და ამ სახით ჩემი მონების დაღს შუბლზედ კი არ დავასვავდი, არმედ ყოველი კაცის სვინილისის სიღრმეში.

მარტო საზოგადო ხმას შეუძლიან პირქვე დაჰსცეს ამისთანა

უსამართლოების შენობა; ხოლო საიდან უნდა დაიწყოს დარღვევა, როცა ყოველი ქვა მისაკარებლად აკრძალულია? ეგ ღროების და წიგნთა საბეჭდელის საქმე არის.

ღმერთმა დამიფაროს, რომ ამით მოვინდომო შევარყიო ის ნუგეშმცემელი ქრისტეს სარწმუნოება, რომელიც სააქაო განსაცდელიანს ცხოვრებას საიქიო ნეტარების ცხოვრებასთან აერთებს, მაგრამ მე ამას ვამბობ, რომ არვინ, თვით ქრისტიანობის უპირატესი პატივმცემელიც არ იტყვის, რომ ის გაუწყვეტელი სურვილი, რომელიც სარწმუნოებას ელტვის – ბოროტად არ იმარებოდეს. მე მგონია, ნიშანი არის, რომლითაც შეიძლება შეტყობა ხალხი სულელია, თუ არა. გაშინჯეთ მარტო ხალხის სარწმუნოება და სარწმუნოების მსახური; გასინჯეთ, მსახური ემსახურება სარწმუნოებას, თუ სარწმუნოება თავის მსახურსა?

თუ სარწმუნოებას მსახური ემსახურება, მაშინ იგი მარტო იმას ცდილობს, რომ ქვეყანაზედ ვრცლად მოჰფინოს სარწმუნოების მცნება და მისი სათნოება. მაშინ მსახური მშვიდია, მიძტევებელია, თავდაბალია, გულშემატკივარია, გულმოდგინეა, მოწყალეა; მისი ცხოვრება გადმომცემელია ღვთაების ცხოვრების შუქისა; იგი ჰქადაგობს თანასწორობას, თავისუფლებას თვითვეულ კაცთა შორის, მშვიდობიანობას და ძმობას ხალხთა შორის; იგი უარჰყოფს სააქაო უფლების მაცდურებასა. იგი შორდება მას და არ ნდომობს თანამოზიარე იყოს მისი, იმიტომ, რომ ყველაზედ მეტი გაკიცხვა ამ ქვეყანაში უფრო მაგ უფლებას უნდა; იგი ხალხის კაცია, იგი სათნოებიანის რჩევისა და მშვიდის ნუგეშის კაცია; იგი საზოგადო ხმის კაცია, კაცია წმინდა სახარებისა.

და თუ სარწმუნოება ემსახურება თავის მსახურსა, მაშინ მსახური ისე ექცევა სარწმუნოებას, როგორც უნდა; ხან ესე ხმარობს, ხან ისე, საითაც და როგორც, უნდა ისე ატრიალებს, რომ მისგან რაც შეიძლება დიდი გამორჩომა ნახოს. იგი გაამრავლებს ასაკრძალავს საგნებსა; ღროების, კაცის და გარემოების მიხედვით იგი ჰსცვლის სარწმუნოების, მცნების აზრსა; იგი მოძრაობით, ან გაზეპირებულ ხერხით ცდილობს, რომ ხალხის პატივი მოიპოვოს; იგი დღეში ასჯერ ჩამოჰსთვლის ბუტბუტით სიტყვებს, რომლის აზრიც განქარვებულია და რომელნიც მარტო

ამაო წესად ხდებიან. იგი, რაც უნდა წმინდა და საღმთო საგანი იყოს, იმის ვაჭრობასაც დაიწყო იმოდენად, რამოდენათაც შესაძლოა, რომ მისდამი სარწმუნოება არ დაირღვას და ეცდება, რომ ეგ ვაჭრობა იმოდენად უფრო საიდუმლოდ მოხდეს ხოლმე, რამოდენად ხალხი უფრო ადვილად მიმხვედრია და აზრის ამღებია; იგი გაერევა ხოლმე სააქაო საქმეებში; იგი ყოველთვის იმის მხარეს დაიჭერს, ვინც უფრო ძლიერია, იმ პირობით კი, რომ ძლიერსაც ამის მხარე ეჭიროს. ერთის სიტყვით – ყველაფერში, რაც კი ხელიდან გამოუვა, ეტყობა, რომ ამას სამღვდელის შემწეობით სარწმუნოების წარმატება კი არ უნდა, არამედ სარწმუნოების შემწეობითა თვით სამღვდელის წარმატება უნდა. რადგანაც ამისთანანი ესრეთის გულმოდგინებით იღვწიან, შეუძლებელია, რომ თვალწინ საგანი არა ჰქონდეთ რა. – და რადგანაც საგანი იგი – როგორც ჩვენა ვფიქრობთ – არ შეიძლება სხვა რამ იყოს, თუ არ სიმდიდრე, სიმდიდრე – მაშასადამე, ხალხის სულელობის პირდაპირი ნიშანი სამღვდელის სიმდიდრე და სიმდიდრე უნდა იყოს.

როგორც ცრუსარწმუნოება, ისე ჭეშმარიტიც შეიძლება ბოროტად იხმარებოდეს. თითქმის რაც სარწმუნოება უფრო თაყვანის ღირსია, მით უფრო მომატებულად საფიქრებელია. რომ იგი ცუდად და ბოროტად არ მოიხმარონ, იმიტომ, რომ ჭეშმარიტისა და ცრუსარწმუნოების ბოროტად ხმარებას სხვადასხვა ბოლო აქვს. ბოროტმოქმედება, ბოროტად ხმარება ყოველთვის აიმტერებს ხოლმე ხალხის გონიერს, განათლებულს და დაუმოკიდებელს ნაწილსა. არ შეიძლება, რომ ამისაგან არ შეირყას სარწმუნოება და ვნება ჭეშმარიტის სარწმუნოების შერყევისაგან უფრო დიდია, ვიდრე ცრუ სარწმუნოებისა.

ეს გვარი მცარცველობისა იმოდენად ვრცელია და ხშირი, რამოდენად ხალხი უფრო მიუხვედრელია, იმიტომ, რომ ბოროტმოქმედების თვისება ის არის, რომ იმ დრომდინ მოქმედობს, მინამ გასავალი აქვს ხალხში. ტყუილი იქნება ვკსთქვათ, რომ გაუნათლებელს ხალხშიაც არ იყოს სამღვდელი წმინდა და სათნოებიანი; მაგრამ რით დაუშლი, რომ პლუტმა ანაფორა არ ჩაიცოს და პატივმოყვარემ მიტრა არ დაიხუროს? მცარცველნი

მალტუსის კანონს მისდევენ: რამოდენათაც ცხოვრებისათვის ღონისძიება ბევრია, იმოდენად მცარცველნიც ბევრდებიან; ჰლუტების ცხოვრების ღონისძიების შოვნა კიდევ იმაზედ ჰკიდა, რამოდენადაც ადვილნი მოსატყუარნი არიან ისინი, ვისაც ისინი ატყუებენ. ამის წამალი კიდევ ცოდნა და სწავლაა. საიდაც უნდა წახვიდე, ყოველთვის იმას ნახამ, რომ საზოგადო ხმისა და აზრის განათლება აუცილებელია. სხვა გზა არ არის, რომ ხალხი მცარცველობისაგან დაიხსნას.

[1863წ. სექტემბრამდე]

II. ორნაირი სწავლა.

(სტატია ბასტიასი*)

მე, მგონია, მკითხველი რაკი გაათავებს წინად თქმულის წაკითხვას — თუკი გაათავებს — დაიძახებს: „მართლა უჩივიან ეკონომისტებს, რომ პირწყლიანობა და სიცხოვლე აკლიათო. ვერაფერი კაცობრიობის სურათია! როგორ! მამ მცარცველობა ყოფილა რაღაც ბედისწერის და ჩვეულებრივი ძალა, რომელიც სხვადასხვა სახით, სხვადასხვა მიზეზით, კანონქვეშ და კანონგარეთაც გაუწყვეტლად მოქმედებს, რომელიც უსამღთოეს საგანთაცა ბოროტად ხმარობს, რომელიც ადამიანის სისუსტით და გაუნათლებლობით სარგებლობს და რომელიც ამ ორ საზღოსაგან იზღება! განა შეიძლება კაცმა ამაზედ უფრო შემაწუხებელი სურათი დახატოს ქვეყნიერობისა?“

საქმე იმაში კი არ არის, რომ შემაწუხებელია, საქმე იმაშია, რომ მართალი და ჭეშმარიტია, თუ არა? ამის პასუხს ისტორია იტყვის.

საპოლიტიკო ეკონომიის საქმე ის არის, რომ კაციც და ქვეყანაც გასინჯოს ისე, როგორც ნამდვილად არის. საპოლიტიკო ეკონომია არ იკვლევს იმას, თუ როგორი იქნებოდა საზოგადოება,

* ამისი დასაწყისი არის ავგუსტოს საქათველოს მოამბეში, სახელდობრ, სტატია: მცარცველობის ფიზიოლოგია.

რომ ღმერთს ადამიანი ისე არ გაეჩინა, როგორც გააჩინა. შეიძლება ვიწუხოთ, რომ შემოქმედმა ზოგიერთი ბრძენი და საზოგადოების დამწყობი არ მოიწვია, როცა კაცს აჩენდა, რომ რჩევა ეკითხნა. რასაკვირველია, მაშინ საზოგადოება ის საზოგადოება აღარ იქნებოდა, რომელშიაც ჩვენ ეხლა სულს ვიბრუნებთ, ვცხოვრობთ და ვმოდრავთ. მაგრამ რადგანაც ღმერთმა ბრძენთა დაუკითხავად გააჩინა ქვეყანა და მის გაჩენილს საზოგადოებაში „ვცხოვრობთ, ვმოდრავთ და ვარსებობთ“ (in eo vivimus, move-mus et sumus) ჩვენ მარტო ისლა დაგვრჩენია, რომ ამ საზოგადოების კანონები გამოვიკვლიოთ, ავლსნათ — ერთის სიტყვით — ვიცნოთ, ნამეტნავად მაშინ, თუ საზოგადოების გამჯობინება ამ ცოდნაზედ დამოკიდებულია.

ჩვენ არ შეგვიძლიან ისე მოვახდინოთ, რომ კაცის გულს გაუმადლარი სურვილი არა ჰქონდეს.

ჩვენ არ შეგვიძლიან ისე მოვახდინოთ, რომ სურვილთა აღსრულებისათვის შრომა საჭირო არ იყოს.

ჩვენ არ შეგვიძლიან ისე მოვახდინოთ, რომ კაცს შრომის სიმძულვარე იმოდენად არა ჰქონდეს, რამოდენათაც სიამოვნების სიყვარული აქვს.

ჩვენ არ შეგვიძლიან კაცის გულიდამ გაუწყვეტელი ნდობა სიამოვნების მომატებისათვის წავართოთ და ისე მოვახდინოთ, რომ მაგ ნდომის გამო თავისი შრომის ტვირთი სხვას არ მოახვიოს კისერზედ ან ძალით, ან ცდუნებით და მოტყუებით.

ჩვენ არ შეგვიძლიან მთელი ქვეყნიერობის ისტორიის გაუქმება, ჩვენ არ შეგვიძლიან პირში ბურთი ჩაუდლოთ წარსულს, რომელიც გვიმტკიცებს, რომ ამნაირად წარმოებდა საქმე დასაბამითვეო. ჩვენ არ შეგვიძლიან უარვეყოთ, რომ ჩხუბი, ტყვეობა, ბატონყმობა, ძალის ბოროტმოქმედება, ყოველიგვარი მოტყუება წარმოადგენენ დაურღვეველს და საშინელს მოქმედებას ამ ორის გრძნობისას, რომელნიც კაცის გულში შეერთებულნი არიან: „სიამოვნების წყურვილისა და შრომის მძულვარებისა.“

„ოფლითა პირისა შენისათა ჰსჭამდე პურსა შენსა...“ მაგრამ ყველას ის უნდა, რომ ბევრი პური იშოვოს და ცოტა ოფლი დაღვაროს. ეს ისტორიული დასკვნაა.

ღვთის მადლით, ისტორია ამასაც გვაჩვენებს, რომ დღედაღღე როგორც სიამოვნება, ისე შრომა თანდათან ყველასათვის თანასწორად იყოფება.

თუ ეს ესრეა, მაშ საზოგადოებაში ყოფილა იმისთანა ბუნებითი და უმაღლესი ძალა, რომელიც თანდათან უსამართლოების თესლს განსდევნის და უფრო და უფრო ამოჰყავს თესლი სიამართლისა.

ჩვენ ვამტკიცებთ, რომ საზოგადოებაში არის ამისთანა ძალა და იგი თვით ბუნებისაგან ჩანერგულია.

მაშ, ვეცდებით გაჩვენოთ ის კეთილმოქმედი ძალა, რომელიც წარმატებით მიიღტვის, რომ დაამარცხოს ძალა ბოროტმოქმედი, რომელსაც ჩვენ „მცარცველობის“ სახელი დავარქვით.

ყოველს ბოროტს საქმეში ორი პირია გარეული: ერთი ის კაცი, რომელიც ბოროტს მოქმედობს და მეორე ისა, რომელზედაც ბოროტს მოქმედობენ, ანუ „აგენტი და პაციენტი“ (agent at patient) პირი „მოქმედებით“ და „პირი ვნებით“.

მაშასადამე, ორი ღონისძიება არის ბოროტის მოსპობისათვის: ან მოქმედებითმა პირმა თავის ნებით უნდა მოიშალოს ბოროტის ქმნა, ან ვნებითმა პირმა არ უნდა აქმნევინოს ბოროტი საქმე.

აქედამ გამოდის ორნაირი სწავლა. რომელნიც არამც თუ ერთმანეთის წინააღმდეგნი არიან, არამედ ერთად მოქმედობენ: ერთი „საწმუნოებისა, ანუ ფილოსოფიური, მეორე „ეკონომიური.“

რომ ბოროტება მოსპოს, სარწმუნოება მიჰმართავს თავის სწავლას ბოროტის მიზეზს, ესე იგი, კაცს, რომელიც ბოროტსა იქმს. სარწმუნოება ეუბნება მას: „გაჰსწორდი; გაიწმინდე; თავი დაანებე ბოროტსა; ჰქმენ კეთილი; გულის ვნებანი შენნი შეიმაგრე; ნუ შეაწუხებ მოყვასსა, რომელიც შენ უნდა გიყვარდეს, როგორც თავი შენი და რომელსაც შენ უნდა შეველოდე; იყავ ჯერ მართალი, მერე მოწყალე.“ ეს სწავლა არის და იქნება ქვეყნის დასასრულამდინ თვით უმშვენიერესი, თვით უღმობიერესი, იმისთანა, რომლითაც მთელი ახოვანება და ღიდება კაცობრიობისა უნდა გამოჩნდეს და რომელიც ყოველთვის საკვირველი და თანასაგრძნობელი იქნება კაცთაგან.

საპოლიტიკო ეკონომიის წადილიც ეგ არის, მაგრამ ეს სხვა

გზით მოქმედობს: ეს იმაზედ მოქმედობს, რომელიც ვნებითი, ესე იგი, იმ კაცზედ, რომელსაც ბოროტს ადენენ, იგი აჩვენებს კაცს რა ბოლოც მოსდევს ყოველს მოქმედებას და ამ უბრალო საქმით იძულებულ ჰყოფს წინააღმდეგი გაუწიოს იმ საქმეს, რომელიც მანებელია და პატივი ჰსცეს მას, რომელიც სასარგებლოა. საპოლიტიკო ეკონომია ცდილობს დაჩაგრულებში განავრცელოს იმოდენა მახვილგონიერება, განათლება და სამართლიანი უნდობა, რომ დაჩაგვრა უფრო და უფრო ძნელად ხდებოდეს და დამჩაგვრელისათვის საშიშარი იყოს.

უნდა ვსთქვათ, რომ საპოლიტიკო ეკონომია თითონ დამჩაგვრელზედაც მოქმედობს. ყოველ ბოროტმოქმედებაში კეთილიც არის და ბოროტიც: ბოროტი მისთვის, ვისაც ადენენ და კეთილი მისთვის, ვინც ბოროტს იდენს. ეს რომ არ იყოს ვილა იქმდა ბოროტსა. მაგრამ კეთილი ამ-შემთხვევაში თავის დღეში ვერ ჰსძალავს ბოროტსა. ბოროტი ყოველთვის და აუცილებლად მეტია ხოლმე კეთილზედ და თვით დაჩაგვრის ბოლოც ის არის, რომ ღონე ეკარგება, განსაცდელში ავლებს დამჩაგვრელსა, შურისგებას აღვიძებს თავის წინააღმდეგ, და ძვირად უჯდება ის სიფრთხილე, რომელიც მან უნდა იქონიოს. მაშასადამე, დაჩაგვრა არამც თუ მართო დაჩაგრულების მტრობას აღვიძებს, არამედ სიმართლის მხარეზედ გადმოიყვანს ხოლმე მათ, ვისიც გული გარყენილი არ არის და აშფოთებს თვით დამჩაგვრელების მშვიდობიანობას.

ადვილი მისახვედრია, რომ ეკონომიურის სწავლა გულს კი არ ელაპარაკება, არამედ ჭკუასა; იმას კი არ ცდილობს, რომ დააჯეროს, არამედ იმასა, რომ დაამტკიცოს; რჩევას კი არ აძლევს, არამედ გამოცდილებას აჩვენებს; მისი დანიშნულება ის კი არ არის, რომ გული ატკინოს ნახულით, არამედ ნახული აღსნას და გამოიკვლივოს და მართო იმითი ჰძლევს ბოროტებასა, რომ საზღოს უწყვეტს; ადვილად გასაგებია, ვამბობ მე, რომ ამ სწავლას ეძღურა: პირწყლიანობა და სიცხოველე არა აქვსო.

სამდურავი სწორეა, მაგრამ უსამართლო კი არის: ეს სწორედ იმასა ჰგავს, რომ ჰსთქვათ: რატომ საპოლიტიკო ეკონომია ყველაფერს არ გვიხსნისო, ყველაფერს ხელს არ მოჰხვევსო? რა-

ტომ მთელი ქვეყნიერობის მეცნიერება არ არისო? როდის დაიჩქმა ეგენი, რომ მაგაებსა ჰსთხოვთ?

ეგ სამღურავი მაშინ იქნებოდა საბუთიანი, როცა საპოლიტიკო ეკონომიას თავისი მოქმედების ღონისძიების გარდა სხვა ყოველი ღონისძიება გაეკიცხა და უარეყო; როცა ეთქვა, რომ ჩემს იქით ხსნა არ არისო; როცა ფილოსოფიისათვის და სარწმუნოებისათვის დაეშალა ადამიანის გასწორება და ეთქვა: დაანებეთ თავი, თქვენი ღონისძიება ამაო არისო: მარტო მე შემიძლიან ადამიანის გასწორებაო.

წარმოვიდგინოთ, რომ ერთ და იმავე დროს სარწმუნოებაც და ეკონომიაც ერთად მოქმედობენ. სარწმუნოება თვით ბოროტების წყაროს მოჰკიდებდა ხელს, ეტყოდა ბოროტის მსურველს: ნუ იქმ ბოროტსა; აი ბოროტი რა საძაგელი რამ არის. საპოლიტიკო ეკონომია კი ეტყოდა: ნუ აქმნევენებთ ბოროტსა; აი ამ ბოროტს რა ბოლო მოსდევს. ერთი ბოროტების წყაროს დაშრობას ეცდებოდა, მეორე ბოროტების წინააღმდეგობას.

ამასაც კი ვიტყვი, რომ სარწმუნოების ძლევა მოსილობა უფრო მშვენიერია, სანუგეშო და ძირეული; ხოლო ამავე დროს ძნელია არ მივიღოთ, რომ ძლევა საპოლიტიკო ეკონომიისა უფრო ადვილია და უებარი.

უ. ბ სეიმ* რამდენიმე სტრიქონით, რომელიც მრავალ ტომებზედ უფრო ძვირია, ჰსთქვა, რომ „ერთს ოჯახში ბოროტების და ურიგობის მოსპობისათვის ორი ღონისძიება იყოფო: „ან ტარტუფი უნდა გაესწორებინათ ან ორგონი გაესწავლებინათო” (ესე იგი, ან პლუტი გაესწორებინათ, ან უსწავლელი გაესწავლებინათ.) მოლიერი – ეგ კაცის გული საოცარი და დიდი გამომხატველი – ყოველთვის მეორე ღონისძიებასა ხმარობდა, როგორც უფრო საიმედოსა და ადვილსა.

ქვეყნიერობაზედ ეგრე არის ხოლმე.

თქვენ მითხარით რას იქმოდა ხოლმე ცესარი. მე გეტყვით, რანი იყვნენ მაშინდელი რომაელები.

თქვენ მითხარით, რას შვრება ეხლანდელი დიპლომატია, მე გეტყვით და აღვიხსნით ხალხთა ზნეობითს მდგომარეობასა.

* გამოჩენილი ფრანციის მწერალი და ეკონომი.

თუ თითონ ფრანცია ამაო დიდებით ატაცებული არ ყოფილ-
იყო, მისი გამოჩენილი მინისტრი უფ. გიზო ამას ვერ იტყოდა:
„ფრანცია საკმაოდ მდიდარიყო, – რომ თავის დიდებისათვის
ფული ხარჯოს.“

თუ თითონ ფრანციას ჰსცოდნოდა, რომ „დიდი ხარჯი და
თავისუფლება ერთად ვერ მოთავსდებიან“, იგივე მინისტრი ამას
არ იტყოდა: „თავისუფლება საკმაოდ ძვირფასია, რომ ფრანცია
მასზედ ვაჭრობას არ მოჰყვეს.“

ამორჩევაში, რომ ქრთამის ამღებნი არიან, იმიტომ კი არა, რომ
არიან ქრთამის მძლეველები არამედ ქრთამის მძლეველები იმი-
ტომ არიან, რომ ამღებნი არიან. ამათზედ არ არის დამოკიდებუ-
ლი ქრთამის აღმოხოცვა?

მაშ, დაე სარწმუნოების რწმენამ გული გაუკეთოს ტარტი-
უფებსა, ცესარებსა, კოლონიების და დიდისა და შემოსავლიანი
თანამდებობის პატრონებსა. საპოლიტიკო ეკონომიის საქმე კი
ის არის, რომ გაანათლოს ისინი, ვისაც ეგ ბატონები ატყუებენ.

ამ ორ ღონისძიებათა შორის, რომელი უფრო ადვილია და
უებარი საზოგადოების წარმატებისათვის? ამის თქმა უნდა? მე
ვკონებ მეორე. მე ვშიშობ კიდევ, რომ კაცობრიობამ ჯერ სა-
პოლიტიკო ეკონომიის სწავლა არ დაიწყო ყველაზედ უწინ.

რასაც კი ვხედავ, ვკითხულობ, ვჰსინჯავ და გამოვიკითხავ
ხოლმე, მე არც ერთს ბოროტს მოქმედებას არა ვხედავ, რომ
თითონ ბოროტმომქმედის ნებით მოსპობილიყოს.

მაგრამ კი ბევრი ბოროტი მინახამს მოსპობილი იმათგან, ვინც
მისგან ტანჯულან.

მაშასადამე, იმის აღწერა, რა ბოლოც მოსდევს ბოროტმო-
ქმედებასა, უფრო უებარი ღონისძიება ყოფილა ბოროტის მოსპო-
ბისათვის.

ენლა ეს უნდა ვიკითხოთ: მართო ამგვარს სწავლას, ესე იგი
მართო საპოლიტიკო ეკონომიას შეუძლიან განა იმისთანა სის-
რულე მიჰსცეს საზოგადოებას, რომლის იმედიც და ლოდინიც
უნდა გვქონდეს კაცის სულის სიკეთისაგან და მის პატიოსან
ნიჭთაგან? არა, არ შეუძლიან. წარმოვიდგინოთ, რომ გავრცელე-
ბულია საპოლიტიკო ეკონომიის სწავლა, რომელიც იმის მეტი

არა არის რა, რომ ცნობიერად გაგებული იყოს სარგებლობა, ყოველთვის ზედ გადაბმული საზოგადო სარგებლობასთან და სამართლიანობასთან. რა იქნება ის საზოგადოება? მაგდენი არაფერი. ძალიან უფერული იქნებოდა ის საზოგადოება, თუმცა კარგად გაწყობილი კი, საცა პლუტები არ იქნებოდნენ მარტო იმისთვის, რომ სულელები არ არიან; საცა საკმაო იქნებოდა მცირედი მიზეზი, რომ გაცოცხლებულიყო ბიწიერება, რომელიც მიმალული იქნებოდა და მიდუნებული შიმშილისაგან; საცა სიფთხილე თვითუელის პირისა დამოკიდებული იქნებოდა საზოგადო მღვიძარებაზე და დასასრულ, საცა სიკეთე გარეგანს სახეზედ კი დაეტყობოდა ყოველს საქმეს, მაგრამ გულამდინ კი ვერ მიახწევდა. მაგისტანა საზოგადოება ეგვანებოდა იმ კაცსა, რომელიც ყველაფერზედ მტკიცია, სწორეა, დამჯდარია, სამართლიანია; რომელიც ყოველთვის მზათ არის, რომ უარპყოს მცირედი ბოროტმოქმედობაცა და ყოველის მხრით დაიცვას თავისი თავი და ღირსება; პატივსაცემია ამისთანა კაცი, საკვირველია, მაგრამ მას დეპუტატად კი ამოირჩევდით და მეგობრად კი არ გაიხდიდით.

მაშ, დაე სარწმუნოებამაც და საპოლიტიკო ეკონომიამაც იმის მაგიერ, რომ ურთიერთი ჰკიცხონ, ერთად შრომა იკისრონ და ბოროტს შეებან სხვადასხვა მხრით. როცა ეკონომისტები თავის საქმეს აკეთებენ, თვალებს უხილვენ სულელებსა, ცრუ სწავლას ძირიანად ჰსთხრიან, იკვლევენ და ხსნიან მოქმედების და საგნის ჭეშმარიტს ბუნებასა, დაე იმავე დროს სარწმუნოების მსახურმა თავის მხრით ხელი მიჰყოს თავის სამქმეს უფრო სანდომიანს და მიმზიდველს, მაგრამ უფრო მძიმესაცა. დაე, იგი პირისპირ ბრძოდეს უსამართლოებასთან; დაე, სდევნოს მას კაცის გულის სიღრმემდინა; დაანახვოს ხალხს თავგადაღების, კეთილმოქმედების, სიყვარულის და გულშემატკივრობის სიტკობება; დაე, პირი მოხსნან კეთილმოქმედების წყაროს იქ, სადაც ჩვენ მარტო ბიწიერების წყაროს ამოშრომა შეგვიძლიან; – აი, სარწმუნოების მსახურის საქმე: იგი პატიოსანია, კეთილშობილური და მშვენიერი. მაგრამ იგი რად უნდა გვეცილებოდეს იმ საქმესაცა, რომელიც ჩვენა გვრგებია?

იმ საზოგადოებაში, რომელიც გულით კეთილმოქმედი არ იქნე-

ბოდა, მაგრამ ეკონომიის სწავლით კი კარგად გაწყობილი, განა იმ საზოგადოებაში უფრო ადვილი და შესაძლებელი არ იქნებოდა სარწმუნოების სწავლის გავრცელება?

ამბობენ ჩვეულება — რჯულთ უმტკიცესიაო.

ის ქვეყანა, საცა ყველანი გადაეჩვეოდნენ უსამართლობას, საკუთრად იმის გამო, რომ საზოგადოების განათლებული ნაწილი წინააღმდეგობას გაუწევდა, იქნება ვერაფერი ყოფილიყო. მაგრამ მე მგონია, რომ იგი იქნებოდა კარგად მომზადებული უფრო უმაღლეს და უწმინდაეს სწავლის მიღებისათვის. ბოროტობას რომ გადაეჩვივოს — ეს დიდი ნაბიჯია სიკეთისაკენ გადადგმული. ადამიანს უძრავად ყოფნა არ შეუძლიან. კაცნი, ბიწიერების გზიდან გადმოსულნი, რომელიც მხოლოდ გასაკიცხავად განდიდა მათ, მით უფრო მომეტებულად იგრძნობენ კეთილმოქმედების სიმშვენიერესა.

იქნება კაცთა საზოგადოებამ ჯერ ეგ უფერული მდგომარეობა უნდა გამოიაროს, რომელშიაც კაცნი კეთილმოქმედნი იქნებიან ანგარიშისა გამო და არა გულითა, რომ ბოლოს აქედამ აიწიონ იმ მდგომარეობამდინ, რომელიც უფრო პოეტიური იქნება და რომელშიაც კაცნი კეთილს იქმონენ არა რომელიმე ანგარიშისა გამო, არამედ წრფელის გულითა და მოწადინებობითა.

[1863წ. სექტემბრამდე]



პირაკოზი განმაკვეცი*

მწერალი XIII საუკუნისა

1858 წლის დასასრულს მოსკოვში გამოვიდა სომხურს ენაზედ პირაკოზი განმაკვეცისაგან დაწერილი მონგოლების ისტორია. ჯერ კიდევ ხელნაწერი იყო იგი ისტორია, რომ მეცნიერთა ყურადღება მიიქცია. ავტორი იყო თანამედროვე იმ საქმეებისა, რომელსაც ვეიაბობს და, რადგანაც მონგოლებში ტყვეთაც ყოფილა, იმათს ამბავსა ისე ვრცლად მოგვითხრობს და ისეთის სისწორითა, რომ ისტორია მისი გამოსადეგია რუსული ისტორიისათვისა მონგოლების პერიოდში და უფრო ნამეტნავად აზიაში იმათი დაპყრობის ისტორიისათვისა. პირაკოზი განმაკვეცი თავის ისტორიას იმ დროლამ იწყობს, როცა სომხებს მიუღიათ ქრისტიანობა და 1270 წლამდე მოჰყავს. იმისი წერილი ორ ნაწილად განიყოფება: პირველში მოგვითხრობს იმ საქმეებზედ, რომელიც სხვა სომხური ისტორიკოსებიდან ამოუკრეფია; მეორეში მარტო იმას ვეიაბობს, რის დამსწრეც თითონ ყოფილა, ან კიდევ სხვასაგან ისევ დამსწრესაგან გაუგია. ვისგანაც გაუგია, იმათი სახელებიც აქავე მოჰყავს. თუმცა პერიოდი, რომელიც თათრებს ჰსჭერიათ, გძელი არ არი (სულ ორ საუკუნეზედ მეტი არ იქნება), მაგრამ იმათი დაპყრობანი ისეთი დიდნი იყვნენ, იმათი უფლება ისე გავრცელებული იყო და ისეთი გავლენა ჰქონდათ მთელს აზიაზედ და ევროპის ზოგიერთ ნაწილებზედაცა, რომ ძვირად თუ რომელსამე სხვა ხალხს მაგისტანა მოკლე ხანში მაგოდენა საქმე მოუხდენიათ რამ, ანუ უკეთ ვჰსთქვათ, ისტორიისათვის მაგოდენი ფაქტები მიუცია. თუმცა მონგოლების ისტორია წყაროებით მდიდარია, რომელთაც ხმარობდნენ მეცნიერნი – გომპერი, დოკზონი, კორტმერი, მაგრამ ამ მეცნიერთა ყური არ უთხოვებიათ სომხური ისტორიკოსებისათვის, რომელნიც დიდს მასალას გვაძლევენ აზიის ისტორიისათვის და გეოგრაფიისათვის. ნამეტ-

*P. Cu. 1862.

ნავად ჩინგის ხანიდგან ლანგ თემურამდე შიგ ჩართვით.

სომხეთში, ივერიაში და ალბანიაში თათრების შემოსვლის ისტორია იოანნე ვანაკანისა ჩვენდა სანანურად დაკარგულია; მაგრამ XI და XII საუკუნეში სომხურმა ლიტერატურამ ახალის ძალით გაიღვიძა და არცა ჰკლებია მაშინ იმისთანა კაცნი, რომელთაც სურვებით წარსულ დროთა კეთილ სვინდისიანის აღწერით სახელის შოვნა. ამისთანანი იყვნენ ვანაკანის თანამედროვენი და მოწაფენი – კირაკოზი, ბერ-მონაზონი მალაქია და ვარდანი*, რომელნიც ხშირად იხსენიებენ თავიანთ მეგობრის და მასწავლებელს (იოანნე ვანაკანის) თხზულებასა.

კირაკოზა XIII დასაწყისში დაიბადა, იმიტომ, რომ 690 წელსა სომხურის ქრონიკონით ანუ 1242 წ. ქრის. შემდეგ. „ორმოცის წლისა ანუ ცოტა მეტ-ნაკლებისა ვიყავით“ – თითონვე ამბობს 63 გვერდზედ. ჰსჩანს, იგი დაბადებულა ან 1201 ან 1202 წელსა. 1270 წ. იგი თავის წერილსა უეცრადა ჰსწყვეტს, ამის გამო უნდა ვიფიქროთ, რომ სიკვდილმა ზედ ამ შრომაზედ მოასწრო, რომლითაც თავის სახსოვრის დაგდება სდომებია. წინასიტყვაობაში იგი ამბობს: „ყოველნი მწერალნი ჩემზედ უწინარეს მყოფნი აიღებდნენ საგნად ერთს რასმეს დიდებულს და იმაზედ ჰსწერდნენ: ან რომელიმე მეფის მოქმედებას აგვიწერდნენ, ან რომელიმე გამოჩენილი გვარის ისტორიას გვიამბობდნენ, მაგრამ ჩვენ ყოველსავე ამას მოკლებულნი ვართ ჩვენი სამეფო არმაკიდების და ბაგრატიდების** გვარში ამოწყდა და აღარსად არიან მფლობელნი არტონისა (საკუთრად დიდს სომხეთში).... მხოლოდ ჩვენ კი – უმატებს იგი მერე – შრომას ხელს მოვკიდებთ და დავიწყობთ წმ. გრიგორის მეძკვიდრეებიდამ პატრიარხის ტახტზედა და მოკლეთ მოვიყვანთ ამბავსა ეხლანდელ დროებამდე, – რომ ნაშრომი ჩვენი იყოს არა მკვდარი, არამედ ცოცხალი საფლავის ძეგლი – და დარჩეს მასში სახელი კირაკოზისა.“ ზოგიერთის სომხის ისტორიკოსების ჩვეულებისამებრ, იგი თავის თხზულებ-

* ვარდანმა დაჰსწერა საზოგადო ისტორია, ანუ უკეთ იმ ხალხების ისტორია, რომელთაცა იგი იცნობდა.

** ავტორი ჰსცხოვრებდა რუპენიდების მართებლობის დროსა, რომელთაც კილიკიაში სომხეთის მეფეების მეოთხე დინასტია დააფუძნეს.

ის თავში იხსენიებს მთელს სომხის ისტორიკოსებს, რომელზე-
დაც კი გაუგია რამ და, რომლებთა შორისაც ზოგიერთის თხზუ-
ლებამ ჩვენამდე მოახწია და სხვანი კი ან გადაძწერილია ან არიან
შემლინი, ან კიდევ სრულიად დაკარგულან.

კირაკოზი თავის ისტორიას სომხების გაქრისტიანებიდამ იწყობს
– როგორც ზემოთა ვკსთქვით და მოკლე სიტყვით უკანასკნელი
არშაკიდების* დროს აგვიწერს და სპარსეთში სასანიდის დი-
ნასტიის გამეფებასა. მერე ამბობს სომხური ანბანის მოგონება-
ზედ ვრამშაპუნის მეფობის დროს (312 – 414). სომხურ ენაზედ
დაბადების გადათარგმნაზედა, მეხუთე საუკუნის სომხურ ძწერ-
ლებზედა, რომელთაც შეჰქმნეს „ოქროს დრო“ სომხურის ლიტ-
ერატურისა. არშაკიდების მეფობის დაცემაზედ ცოტას ამბობს.
რელიგიურ უთანხმოებას, რომელიც მაშინ ყოფილა სომხებ და
ბერძნებ შორის, იგი მართალია, იხსენიებს, მაგრამ ისე ხშირად
არა, როგორც მისი თანამედროვე ძწერალნი.

სომხეთის სამეფოს დაცემის შემდეგ სპარსებმა სომხეთის
მართველად მარზპანები** დააყენეს, რომელთაც სათითაოდ
ჩამოგვითვლის თითონ კირაკოზი ბაგრატიდების გამეფებამდე.
მერე იგი გვიამბობს მაჰმადის რჯულის დაფუძნებასა და სპარსე-
თის დაცემასა. ამ ნაწილში კირაკოზს მართო ის ეკუთვნის, რომ
რა პერიოდზედაცა ჰსწერს, იმის ლიტერატურას, ლიტერატურის
წარმომადგენელებს იხსენიებს და იმასაც მოგვითხრობს რა სა-
განზედაც თვითვეულს მათგანს უწერია. სომხეთის ძველი ის-
ტორიკოსების რიცხვში ერთიც არ გვეგულება, რომ ლიტერ-
ატურაზედ ეთქვას რამე კირაკოზის მეტი, რომელიც ამით უფრო
პატივისცემია. შემდეგ სელჯუკების შემოსევაზედ და ბაგრატი-
დების სამეფოს დაცემაზედ ლაპარაკობს და ათავებს პირველს
ნაწილს 1185 წლითა. აქამდინ (ე.ი. მესამე თავამდე) ნაშრომი
მისი, როგორც თვითონ ამბობს – შედგენილია სხვა სომხის

* არშაკიდების დინასტიის პერიოდი იყო: 150 წ. ქრის. წინად 128
ქრისტეს შემდეგ.

** მარზ – სამზღვარი; პან – მცველი; ძალიანა ჰგავს ნემეცურს
სიტყვას: Marcgraf (მარგრაფ), რომელიც სიტყვა-სიტყვით ამასვე ნიშ-
ნავს.

მწერალთაგან. მაგრამ ის კი. რაზედაც ამას იქით ვილაპარაკებო, ჩემი ნაზულია, ან სხვისაგან, რომელსაც თვითონ უნახავს. იმისაგან გამიგიაო.

რამდენიმე თავის თარგმანს კირაკოზის ისტორიისას ჩვენ წარმოუდგენთ მკითხველსა და ვეცდებით კი, რომ თარგმანი ზედ მიწევილი და ახლო იყოს დედანთანა. საკუთარს სახელებს ისე ვიხმარებთ, როგორც თითონ ხმარობს. აი როგორ აღწერს იგი მონგოლების ევროპაში პირველად გამოჩენას.

თავი XI მასზედ თუ როგორ გამოვიდნენ თათრები და უკუ აქციენს საქართველოს მიწა

წელსა 669 (1121) მაშინ, როდესაც თავიკზედ (მაჰმადიანებთ) გამარჯვებით თავი გაიზვიადეს ქართველებმა და წაართვეს მათ რამდენიმე ოლქი სომხეთისა, აუარებელი რიცხვი ჯარისა დაეცა აგვანიასა (ალბანია) დარუბანდის კარებში გამოიარეს და მიიქცნენ საქართველოზედ და სომხეთზედ. რაც კი რამ შეხვდათ მათ გზაში, ყველას ხოცდნენ – კაცსა, საქონელსა, თითქმის ძაღლებსაც. ისინი არაფერს არ ინდობდნენ ცხენების მეტსა. ივინი სწრაფად მივიდნენ ტფილის ქალაქამდე, ისევ მალე დაბრუნდნენ აგვანიაში, შაკონის* ქალაქის სამზღვრებისაკენ.

ყველგან იმათზედ წინ ცრუ ამბავი მიდიოდა, რომ ისინი მაგების და ქრისტიანის რჯულისა არიან და სასწაულსაც მოქმედობენ; რომ ისინი ამოვიდნენ თავიკების დასასჯელად, რადგანაც მათგან ქრისტიანები შეწუხებულნი იყვნენ. ამბობდნენ კიდევ, რომ იმათ ურდოში აქვსთო საყდარი და სასწაულმოქმედი ჯვარი; რომ იმათ სამღთოდ ჯვრისათვის ცხრა კოდი ქერი მიაქვთ ხოლმეო და ვითომც მთელი ჯარი იმ შეწირულს ქერს აჭმევსო თავის ცხენებს და ცხრა კოდს თავის დღეში არ აკლდებო. ამასვე ამბობდნენ ხალხის სურსათზედა. ამისთანა ტყუილი ამბებით აივსო ჩვენი ქვეყანა და ხალხი ჩვენი გამაგრებას არა

* უთუოდ შანქორია.

ფიქრობდა. ერთი ღვდელი კიდევ გამოეგება მთელის თავის ერთთა და ხორუგვებითა. ისინი კი მიჰსცვივდნენ და სულ ერთიანად ამოჟლიტეს. რაკი ხელავდნენ ამისთანა უზრუნველს ხალხსა, ისინი ყველგან ჰხოცდნენ საცა კი შეხვდებოდნენ. და რა მოიტაცებდნენ დავლასა, მიჰქონდათ პორტავის ქალაქის (ბერდა) და ბელუგანის* შორის ტყეში და ნაგუბარ ალაგებში მალამდნენ და ამ ალაგებსაც ამაგრებდნენ. აქედან ისინი დაეცემოდნენ მახლობელს მაზრებსა. მაშინ საქართველოს მეფე ლაშამა** და მისმა დიდმა სარდალმა ივანემ მოაგროვეს ჯარი და მიესივნენ. რაკი ხუნანის ველში შევიდნენ მტერიც იქ დახვდათ. შეიქმნა ბრძოლა. ჯერ პირველად თათრები გაიქცნენ. მაგრამ რადგანაც ჩასაფრებული ჯარიცა ჰყოლოდათ, ის ჩასაფრებული უკან მოექცნენ ქართველებსა და შემოუტივეს. მაშინ გაქცეული ჯარიც შედგა და შემოეხვივნენ რა ქრისტიანებს, დაჰცეს მათ იმ დღეს საშინელი თავზარი. მეფეცა და მისი დიდებულნიც გაიქცნენ. მტერმა გაცარცვა მკვდრები და წავიდა თავის ურდოში.

საქართველოს მეფემ ხელახლად შეკრიბა ჯარი და მტერზედ წამოვიდა, მაგრამ მტერი თავის ცოლ-შვილით და სურსათით ფიქრობდა წასულიყო თავის ქვეყანაში ისევ დარუბანდის კართითა. თავიკის ჯარმა, რომელიც დარუბანდში იყო, შეუკრა გასავალი და არ მიუშვა. მაშინ იმათ კავკასის მთა გადაიარეს უგზო-უკვლოდ, ხევებს და ნაპრალებს ამოავსებდნენ ქვითა, ხითა, საქონლითა, ცხენებითა და საომარ იარაღითა, რომ როგორმე გადაეარნათ. ამრიგად თავის ქვეყანაში დაბრუნდნენ. იმათი თავი იყო ვილაცა საბატა.”

თითქმის ჯერ კიდევ ეს ჯარი შინ არ მისულიყო და არ ეამბნათ რაც ნახეს და იპოვეს იმის ამბავი, რომ მეორე ჯარი შემოესივა სომხეთსა და ამ დროდამ სამი ქვეყნის – აკვანისა, საქართველოსა და სომხეთისა ბედი გადაწყვეტილი იყო: მონგოლებმა ამ ქვეყნებში ფეხი კარგად მოიკიდეს.

აი, კირაკოზი ამ მეორე ლაშქრობის ამბავს როგორ გვიამბობს:

* ბელაქანი ზომ არ არის.

** გიორგი IV.

ქართველების დამარცხება განძაკის ქალაქის მახლობლად.

რამდენიმე ხნის შემდეგ ამის მერედ, სხვა ურდო (орда) წოდებული ხეჩახად (ყიპჩაღი) გამოვიდნენ გუზნების მხრით და მოახწიეს საქართველოში. ჰსთხოვეს ლაშას და მის სარდალს ივანეს ადგილები დასახლებისათვისა, რომლის მაგიერათაც აუთქვეს ერთგული სამსახური; მაგრამ იმათ უარი უთხრეს. მაშინ მიმართეს განძაკის (განჯა). ქალაქის მცხოვრებლებს; ამათ სიხარულით მიიღეს ისინი, იმიტომ, რომ შეწუხებულები იყვნენ ქართველებისაგან, რომელნიც უოხრებდნენ ქვეყანას და იტაცებდნენ ტყვეთ კაცსა და საქონელსა. ამათ მიჰსცეს ქალაქის გარეშემოებში ადგილები, აძლევდნენ საჭმელს და სასმელს, რომ იმათაც ეშველათ საქართველოს მეფეზედა. როცა გუზნების ურდო გამრავლდა იმ მხარეზედა, ივანე თავის ჯარით ამაყად წამოვიდა იმათზედ. ის იკვეხიდა, რომ ამოჰსწყვეტს მონგოლებსაც და ქალაქის მცხოვრებლებსაც; მაგრამ იგი უფრო თავის ჯარის რიცხვის იმედით იყო ვიდრე ღვთისა, რომელიც ვისაც ნებავე გამარჯვებას იმას აძლევს. როცა საქმემ ბრძოლამდინ მიახწვივა, ბარბაროზები გამოცვივდნენ თავის მიწურებიდან და დაატრიალეს ხმალი დაღალულ და დაქანცულ ქართველების ჯარში. მრავალი ტყვეთ დაიჭირეს, დანარჩენი გააქციეს. დიდი დამარცხება მიეცა საქრისტიანო ჯარსა და ღმერთმაც ისე აიღო ხელი, რომ უბრალო ბარბაროზი წინ მიერეკებოდა, როგოც მწყემსი ცხვარსა, მრავალ ვაჟკაცებს და ომში ნასახელებსა. არ მიჰსცა უფალმა შემწეობა თვისი და არ მიიღო იგინი ბრძოლის დროს. თათრებს გამოჰყვანდათ ის პატიოსანი ხალხი და ჰყიდნენ ტანისამოსის ნაჭრებზედ და საჭმელზედა. — სპარსნი იყვნენ მსყიდველნი, რომელნიც საშინელს ტანჯვებს მიაყენებდნენ ხოლმე ნასყიდებსა და დასასხნელად იმოდენა ოქროს და ვერცხლსა ჰსთხოვდნენ, რომ ბევრი მათგანი შეუძლებლობისა გამო ტყვეობაში იხოცებოდნენ. სხვათა შორის იყვნენ: გრიგოლი, ახბაკის შვილი, მამაცი ვასაკის ძმა და ამ ვასაკის შვილიც — პაპაკი. ვასაკს ჰყვანდა სამი შვილი: პაპაკი, მკტები და ჰასსანი, რომელსაც მეტი სახელი პროშემი ერქო, — ეს სამივე მეტადმამაცი და გამოჩენილნი იყვნენ ასე, რომ თავიკები (არაბები). ამათგანა

თრთოდენ. პაპაკი ომში მოკლეს; გრიგოლი კი ტყვეთ წამოყვანილი მიჰსცეს საშინელს წამებას, რომ ქრისტის რჯულიდამ გადაეყენათ, მაგრამ იგი არამც თუ შეურყეველი იყო, არამედ ჰკიცხავდა იმათს რჯულისმდებელს მაჰმადსა და მის კანონებსა. გაცოფებულებმა ურჯულოებმა შიშველი მიწაზედ ათრიეს, ხორცი ეკლის ცემითა ჰგლიჯეს. იქამდინ სტანჯეს იგი, რომ იმ ცემაში განუტევა მან სული და მიიღო ქრისტესაგან წამებულის გვირგვინი. მის მეომრები ხაჩენის მაზრიდამ იყვნენ, გამოჩენილის გვარისანი, რჯულით მართმადიდებელნი ქრისტიანესი და შთამომავლობით სომეხნი.

ურჯულო სპარსელებმა სხვადასხვანაირი წვალება არ დააკლეს სხვა ტყვეებსაცა. ხან შიმშილით, ხან წყურვილით. ხან სიტიტვლით სტანჯავდნენ. ქრისტიანენი, რომელნიც განძაკმი ჰსცხოვრებდნენ, ბევრს ეწვეოდნენ უბედურთ თანამორწმუნეთა, — ზოგს ფულით იხსნიდნენ და ანთავისუფლებდნენ, ზოგს აჭმევდნენ და აცმევდნენ და მიცვალებულთ მიწას აბარებდნენ. ამრიგად გამოიჩინეს იმათ კეთილმოქმედება. რამდენიმე დღის შემდეგ დიდი სარდალი ივანე ახალის ჯარით წამოვიდა, რომ გადაახდევინოს იმათ, ვინც იმისი მეომრები ამოჟლიტა. უეცრად დაეცა იგი ბარბაროზებს, ამოხოცა და წაასხა ტყვეთ თავის ქვეყანაში იმათი შვილები და დავლაც წაიღო.

მონგოლები რაკი რომ თავის ქვეყნის სამზღვრებიდამ გამოვიდნენ, არც ერთი ხალხი, რომელიც კი გზაზედ შეხვედრიათ, დაუმონავად არ დაუგდიათ. პირველი სხვერპლი იმათის დამპყრობელის გუნებისა შეიქმნა ხორაზმიის სულთანი — ჯალალადინი. რაკი, რომ საშინლად დამარცხდა, სულთანმა თავი დაანება თავის ქვეყანასა და მრავალრიცხვი ცხენოსანის ჯარითა ეცა მესაზღვრე ქვეყნებსა, რომ ახალი სამეფო დაიჭიროს სადმე. ყველამ იცის იმისი დამლუპველი მონაწილეობა იერუსალიმის სამეფოში. „ზემოსხენებული ჩრდილოთ—აღმოსავლეთის ხალხმა, თათრებად წოდებულმა ხორასანის სულთანი ჯალალადინი უკანასკნელ გაწირვამდე მიიყვანა, დაუმარცხა ჯარი და აუოხრა ქვეყანა. რადაგანაც იბულებულ იქმნა აგვანიაში გასაქცევად, სულთანი განძაკში მოვიდა, დაიპყრო იგი და ურიცხვი ჯარი შეაგრო-

ვა – სპარსთა, თაჯიკთა და ოსმალთაგანა. იგი სომხეთში გადავიდა. ივანემ შეიტყო ეს ამბავი თუ არა, აცნობა საქართველოს მეფეს და შეჰკრიბა ძლიერი ჯარი, რომ სულთანს გაუმაგრდეს. ივანე და ლაშა ზვიადობდნენ და აღთქმეს – თუ გამარჯვება ამათ დარჩებათ – მთელი სომხები, რომელიც უფლების ქვეშ ეყოლებოდათ, ქართულ რჯულზედ მოაქციონ და ვინც არ მოიქცევა – სიკვდილს მიჰსცენ. იმათ ეს მოიწადინეს უღვთისგანგებოდ, იმათ მოჰკიდეს ხელი საქმესა სულიწმინდის შთაუგონებლად, დაივიწყეს უფალი, რომელიც ვისაც ინებებს, გამარჯვებას იმას აძლევს.

ამის შემდეგ სულთანი კუთაიკში (არარატის მაზრის აღმოსავლეთზედ) შევიდა. ივანე ქართველის ჯარით იმათ ზემოდამ დადგა და, რაკი ისინი დაინახა, ჭოჭმანობას მოჰყვა იმიტომ, რომ იმ ადგილას დაიბნავა. სულთანმა კი თავისი ჯარი იმათ პირდაპირ გააწყო. ეს დაინახეს თუ არა, ქართველის ერთმა დიდებულთაგანმა შალვეუმ და მის ძმამ ივანემ – კაცთა მამაცთა და სახელოვანთა, რომელნიც ჩვეულ იყვნენ ომში გამარჯვებასა, უთხრეს თავისელებს: „თქვენ აქ ცოტაოდენი მოიცადეთ, ჩვენ წავალთ დავეცემით იმათა; თუ რამდენიმე იმათგანი გავაქციეთ – გამარჯვება ჩვენი იქნება, – თქვენ მოდით; და თუ ისინი გეძლევენ, მაშინ გაიქეცით და თავი გადირჩინეთ.“ როცა საქმემ ბრძოლამდინ მიახწივა, იმათ დაიწყეს სულთანის ჯარის ჟლეტა, მაგრამ ქართველებმა ამაზედ ყურადღება არ მიაქციეს. გაიქცნენ ისეთის სისწრაფით, რომ ერთმანეთს ვეღარ ცნობულობდნენ. თუმცა უკან არავინ მისდევდათ, მაგრამ შიშისაგან ძირსა ცვივოდნენ და გროვდებოდნენ გარნის ქალაქის ვაკეზედა. ეს დაინახეს თუ არა, სულთანის ჯარი მღვერად გამოუდგა – ბევრი დახოცეს, დანარჩენი კლდილამ ჩამოყარეს. სულთანმა ამის მნახველმა, რომ კაცი და ცხენი ხევში ირევა, როგორც ბუზი, გაიქნია თავი და თქვა: „ეს კაცის საქმე კი არ არი, ყოვლად შემძლებელი ღვთისაა.“ მაშინ იგი დაბრუნდა, რომ დაცარცოს დამარცხებულნი და ააოხრა რა რამდენიმე მაზრა, ტფილისს მოადგა. სპარსელებმა, რომელიც ტფილისში იყვნენ, მიჰცეს სულთანს ქალაქი. მრავალი დახოცა ქალაქში და უფრო მრავალს ძალას ატანდა ქრისტიანობილად

გადამდგარიყვნენ და მიეღოთ მაცდური და ცრუ რჯული თავიკე-
ბისა. მაშინ, სიკვდილის შიშისა გამო, მრავალმა ჭეშმარიტება
სიცრუეზედ შეჰსცვალა, სხვებმა კი ირჩივეს მამაცური სიკვდილი,
სვინიდისით ტანჯულს სიცოცხლეზედა. მიიღეს წამების გვირ-
გვინი და დიდებით და კეთილის სახელით დაუტევეს ქვეყანა.
ამის შემდეგ სულთანმა ბძანება გაჰსცა, რომ უნდათ თუ არ
უნდათ მაჰმადიანობა, ყველა განურჩევლად წარჰსცვითონ. ამ
სახით ორი კაცი ერთს დაუჭერდნენ ხელებსა, მიათრევდნენ მოედან-
ზედ, საცა მესამე კაცი წარაცმევედა... ხოლმე. იგინი უნამუსოდ
და სამარცხვინოთ ექცეოდნენ დედაკაცებსა, აოხრებდნენ და ან-
გრევდნენ საყდრებსა და ჯვრებსა, საცა კი მოახელებდნენ. ეგრე
იქცეოდნენ ისინი განა მარტო ტფილისში, ნახიჩივანში, განმაკში
და სხვა ალაგებშიაც. ერთი იმათ უფროსთაგანი ოხრანი —
რომელსაც ცოლად სულთანის დედა ჰყვანდა — უწყალოდ აწუხ-
ებდა განძაკელებსა — ქრისტიანებს, თუ სპარსელებს დიდის
ხარჯის მოგროვებითა. იგი მოჰკლეს იმავე ქალაქში მულჰითებ-
მა*, რომელნიც ავაზაკურად კაცსა ჰკვლენ. როცა ორხანი ერთს
ქუჩაზედ მიდიოდა, რამდენიმე კაცი მივიდა იმასთანა, მითამ ვის-
მეს უჩივიან, აჩვენეს ქალაღი და წამოიძახეს: „დატ დატ!“
(სამართალი!) როცა ორხანი შედგა და უნდოდა გამოეკითხნა,
ვინ შეაწუხა ისინი — ისინი მიჰსცვივნენ და ხმლით მოჰკლეს.
ვინ იცის დახოცეს თუ არა იმისი მკვლელები, იმიტომ, რომ იმათ
მრავალი დაჰკოდეს და გაიქცნენ ქალაქიდან. ეს ხალხი სულ ესე
იქცევა. ისინი ცხოვრობენ მაგარ ადგილას — თუნში და თანჯაკ-
ში და ლიკანის მთებში. თავის თავადისაგან ისინი მიიღებენ
ხოლმე თავის სისხლის ფასს, რომელსაც აძლევენ თავიანთ ცოლ-
შვილსა. ისინი იქ წავლენ, საცა თავიანთი თავადი* გზავნის
ხოლმე, დაწანწალებენ სხვადასხვა სახით, მინამ არ მიეცემათ
შემთხვევა, რომ განძრახული კაცის კვლა მოახდინონ და ჰკვლენ

* ე. ი. ასსასინებმა. უმთავრესი იმათი ადგილი ალამუთის ციხეში
იყო, რუდბარში იალბუზის ველზედა. იხ D.v. Hammer. Geschichte
der Assasinen, gv. 202-209, Marco Polo. Frav. Lib. J. c. XX, p.
109. assal-ინი ეს ევროპიული სახელია, მუსულმანები მულეჰითებს
ანუ მელახ-ითებს ეძახიან, ე. ი წარმართი, სახელგატყვილი.

დანიშნულს კაცსა. ამისათვისაც იმათი ყველას ეშინიან, ყველა თავადი და მეფე იმათ ხარჯს აძლევს. ისინი თავის თავადის ბძანების ზედმიწევნით აღმსრულებლებელი არიან და მისგან ნაბძანებს ასრულებენ. ასე რომ, ხანდისხან თავის თავსაც ზედ ადებენ. ამრიგად ისინი ხოცვენ მრავალ დიდ კაცებს, რომელნიც ამათ ხარჯს არ აძლევენ ისე, როგორც ავაზაკი, რომელზედაც ლაპარაკი გვქონდა”.

შემდგომს თავში იმაზედ ლაპარაკობს, რა მწუხარებაც მიადგათ ქართველებს და სომხებს თათრებისაგან. ჩვენ ეხლა ზოგიერთს თავს, რომლის შიგმდებარება მრავალგვარია, ამოვარჩევთ, რომ ვაცნობოთ მკითხველს რა რიგითა ჰსწერს კირაკოზი. ერთი მარტო ბრძოლის ამბავი, ერთის მხრით გვაცნობებდა, მაშინ, როდესაც კირაკოზი სხვადასხვა მხრით სინჯავს იმ ხალხს, რომელზედაცა ჰსწერს. იგი ამბობს მონგოლების ენაზედაც. იმათ ზნე და ხასიათზედაც, იმათ რჯულზედა და იმათ ქვეყანაზედ დაწვრილებით ცნობას გვაძლევს. ამისათვისაც ჩვენ მარტო იმ თავებს გადავთარგმნით, საცა ავტორი ამ ზემოსსენებულ საგნებზედა ლაპარაკობს.

* მთის ზუცესი, ჯვაროსნების *Vetulus der montanis; il vecchio dela montano, Marco-Polo-სი...*



თათრები საქართველოსა და აოსრებზე.

განძაკის გაცარცვის რამდენიმე ხნის შემდეგ, თათრებმა უწყალოებმა და მცბიერებმა, იმავე დროსვე თვის შორის წილი იყარეს და სომხეთის, საქართველოს და ალბანიის ქვეყნები დაიყვეს. იმათ მოთავეებსა ნაბძანები ჰქონდათ აიღონ და ააოსრონ ქალაქები, მაზრები და ციხეები. ყოველი ალმის ჯარი თავის ნარგებს ნაწილში მოვიდა ცოლებით, შვილებით და ჭურჭლითა. ისინი ყურს არ უგდებდნენ არაფერსა, აფუჭებდნენ მინდვრის მოსავალსა თავის ნახირით და აქლემებით.

ამ ეპოქაში საქართველოს სამეფო დაუძღურდა. მასსა მართავდა მაშინ რუსუდანი, თამარის ქალი. ლაშას და. შვილისმშვილი გიორგი III-ისა. ქალი ტრფიალი და გარყვნილი, როგორც შამირამი (სემირამიდა) ამ ქალმა უარი უთხრა ყველას, ვინც თხოულობდა და მრავალთან კი კავშირი ჰქონდა. ქვრივობაში იგი ივანეს, მის შვილის ავაქის, ზაქარიას შვილის შაჰანშაჰის, ვაჰრამის და სხვათა შემწყობითა მართავდა თავის სახელმწიფოსა – ივანე მოკვდა უდროულად და დაიმარხა სპილენძის სამადნოს (პლინძაჰანქ) მონასტერში, რომელიც სომხებისაგან იყო წართმეული და ახლად აღშენებული ქართველებისათვის. შვილმა მისმა მისი თანამდებობა მიიღო. რადგანაც საქართველოს ვერ შეეძლო მომავალს განსაცდელს გამაგრებოდა: ამის გამო ყოველი მარტო თავის გადარჩენას ფიქრობდა და ეძებდა, თავისათვის უშიშარს სადგომსა გამაგრებულ ადგილებში. თათრები, რომელნიც გაფანტულნი იყვნენ ველებზედ, მთებზედ, მინდვრებზედ, ურიცხვობითა ჰგვანდნენ კალიასა, ან წვიმის წვეთებსა, რომელიც მინდვრებზედ ცვივა. იქ ისეთს აუწყერელი მწუხარების და უბედურების სანახავსა ნახავდა კაცი, რომ კაცს თვალში ცერმოს მოჰკვრიდა! მიწაც არა ჰფარავდა იმათ, ვინც კი თავის შესაფარებელს ადგილს მიწაში ეძებდა; კლდე და ტყე არ იფარავდა იმათ, ვინც კლდეში და ტყეში ეძებდა თავის დახსნასა; თვით უმაგრესი ციხის კედლები, ღრმა ხეობები არაფერს არა შეველო-

დნენ. ვერავინ ვერ გადურჩებოდა თათრების ხელსა. ვინც ყველაზე უშიშარნი იყვნენ, ისინიც შეშინდნენ. უკეთეს შვილდონებს ხელები უღონოებისაგან წაერთოთ, ყველა, ვისაც კი ხმალი ჰქონდა, შიშით ჰმაღავდა, რომ იარაღი არ შეეძინათ და უწყალო სიკვდილისათვის არ მიეცათ. მტრის კიჟინაზედ სიმხნე ეკარგებოდათ და იმათი ჯავშნის ხმაზედა ფითრდებოდნენ. ყველა ფიქრობდა, რომ მოვიდა უკანასკნელი დღე და იმათმა გულმა ცემა შეჰსწყვიტა. შეშინებულნი შეილნი თავის მშობლის კალთას ეფარებოდნენ და მშობელნი კიდევ შვილებით ერთათ ცვივოდნენ ღრეში, რომ მტრის ხელში არ ჩავარდნილიყვნენ. უნდა გენახათ, როგორც უწყალო მახვილი ხოცდა მამა-კაცთა, დედა-კაცთა, ყმაწვილს კაცებსა, ბავშვებსა, მოხუცებულებსა, ეპისკოპოსებსა, ღვლუბსა, დიაკვნებსა და საყდრის მსახურთა. ძუძუთა ბავშვებს ქვაზედ ანარცხებდნენ და ლამაზ გასათხოვარ ქალებს აძალადებდნენ და ტყვეთ იტაცებდნენ. თათრებს გარეგანი სახე საზარელი ჰქონდათ და შინაგანი კი დაუნდობელი. იმათ დედის ცრემლი გრძნობას არ უღვიძებდა და მოხუცის თეთრი თმა პატვიცემას. ისინი სიხარულით საომრად მიდიოდნენ, როგორც ქორწილში, ან ღვინში. ყველგან ეყარა მკვდრები და არავინა ჰმარხავდა. მეგობარს აღარა ჰქონდა ცრემლი იმისთვის, ვინც იმას ძვირად უღირდა: ვეღარ დაჰსტირებდა ავაზაკების შიშითა. ეკლესიამ შავები ჩაიცივა; სიტურფე და ბრწყინვალეობა მისი გაქრა; ცერემონიები შეჰსწყდნენ, წმინდა ზიარება ტრაპეზიდამ ხალხს აღარ ურიგდებოდა, მგალობლების ხმა აღარ ისმოდა: დაღუძდნენ საგალობელთა ხმანი. იგი ქვეყანა დაფარულ იყო თითქო ნისლითა. ხალხი დღეზედ ღამეს უფრო არჩევდა. და დედამიწა ღარჩა უმცხოვრებლოდ. მასზედ დადიოდნენ უცხონი და აგროვებდნენ მთელის ქვეყნის საკუთრებასა და განძსა. თათრების მშვიერ მსუნაგობას გაძღომა არ ეკიდებოდა. ყოველი სახლი და ოთახი გაჩხრიკეს და არა დაემალათ რა. ყველგან დახტოდნენ ივინი, როგორც გარეული თხა და ჰგლეჯდნენ ყველაფერს ნაჭერ-ნაჭერ, როგორც ძგლები. იმათი ცხენები სიარულში დაუღალავნი იყვნენ, თითონ კიდევ ცარცვაშია. ამისთანა მწარე მხვედრი ბევრს ხალხს მიუტანეს. იმიტომ, რომ უფალმა დააქცია ჩვენზედ თავისი რისხვის ფიალა ჩვენის ცოდვების სამაგიეროდ და მისთვისაც, რომ ჩვენ განვაღვიძეთ სამართლიანი რისხვა მისი.

აი, რის გამო ესე ადვილად შემოვიდნენ თათრები ჩვენს ქვეყანაში. მოიძვყვიდეს რა ნახირები, შეაგროვეს რა განძი და ტყვეები ერთ ადვილას, ისინი მიჰყვენენ ციხე-ქალაქების ალებას. თავის მცბიერობის და მოსწრობის მოწყალებით, იმათ მალე დაიპყრეს და დაანგრეს მრავალი სიმაგრენი და ციხენი. მაშინ ზაფხული იყო და რადგანაც გოლვა საშინელი იყო და არც მოემზადებინათ სურსათი იმითი დაცემის უწინარეს – ამისათვის კაცი თუ პირუტყვი, წყურვილით გულმილეულნი და დაქანცულნი ჯაფითა, ნებით თუ უნებლიოდ იმათ ხელში ცვივოდნენ. ზოგსა ზოცავდნენ, ზოგს ინახავდნენ სამსახურისათვის. ამ რიგადვე ექცეოდნენ დიდრონ ქალაქებსაცა, რომელთაც მძიმე იერიშის შემდეგ დაიპყრობდნენ ხოლმე.”

შემდეგ ავტორი ლაპარაკობს თათრების თვალადობაზე და იმათ ჩვეულებაზე. ჩვენა ვჰსტქვით, რომ თითონ იმათში დიდხანს იყო ტყვეთ, მაშასადამე, თავის თვალით ნახავდა ყველაფერს, რასაც კი ჰსწერს. ამის გარდა, სომხები იმ დროს ისე დაახლოვებულნი იყვნენ მონგოლებთანა, რომ იმისთანა კაცი არ მოაკლდებოდა, რომელსაც შეეძლო ეცნობებინა ავტორისათვის საჭირო ამბავი. თვითონ ავტორი არაერთხელ იხსენიებს იმ კაცების სახელებს, რომელთაგანაც გაუგონია ეს თუ ის ამბავი. ეგ ამბები მით უფრო დამაჯერებელი გვგონია, რომ მთხრობელი მისნი ყოფილან კაცნი, რომელნიც ეკუთვნოდნენ სომხის მაღალსა და განათლებულს საზოგადოებას.

კირაკოზისაგან გადმოცემული ცნობა შემდეგს თავში ისე დაწვრილებით, ისე კეთილ სვინილისიანად არის შედგენილი, რომ ძნელად თუ ახალ მეცნიერთა ვრცელს გამონაკვლევებში თათრების შინაურ ცხოვრებაზედ შეიძლებოდეს იპოვოს უფრო მართალი ფაქტები.

გამოსახვა თათართა.

რადგანაც გვინდა შთამომავლობას ჩვენი თავის სახსოვარი დაუუგდოთ, ჩვენ, რომელთაცა იმედი გვაქვს, რომ მალე განვთავისუფლდეთ ჩვენ დამჩაგრელ შემწუხებელთაგან, ჩვენ მოკლე სი-

ტყვეთ ცნობისმოყვარეთათვის, აღწერით იმათს (თათრების) თვალდასახვევად და ენას. სახე მათი იყო საშიშარი და საძაგელი; წვერი იმათ არ ჰქონდათ, მხოლოდ ზოგიერთს ტუჩისა და ნიკაპის ზემოდ იმდენი თმა ჰქონდათ, რომ ადვილად შეიძლებოდა დათვლა* თვალები ფართო და მსწრაფლმხედველნი, ხმა წვრილი და მკაფიო ჰქონდათ; ისინი ბევრსა ჰსძლებდნენ და ჯმუხისა და მაგარის აგებულებისანი იყვნენ. როცა ხელში მოხვდებოდათ საჭმელი – გაუმაძღარის ხარბობით ჰსჭამდნენ და სვამდნენ, როცა საჭმელი არა ჰქონდათ – ადვილად იტანდნენ შიმშილსა. ყოველს ცხოველსა გაურჩევლად ჰსჭამდნენ – წმინდასა თუ უწმინდურსა, მაგრამ ყველას ამჯობინებდნენ ცხენის ხორცსა, რომელსაც ჯერ გაჰკვლეჯდნენ ნაჭერ-ნაჭერ, მერე უმარილოდ ხარშავდნენ, ამოავლებდნენ ლუკმას მარილიან წყალში და ისე ჰსჭამდნენ, ზოგი დაჩოქილნი, როგორც აქლემი, ზოგი დამჯღარი** ჭამის დროს თანასწორი ულუფა ბატონსა და მოსამსახურეს შეხვდებოდა ხოლმე. როცა ისინი ყუმბისის, ანუ ღვინის სმას დაიწყებდნენ, ერთი იმათგანი ჯერ ხელში აიღებდა დიდს ფიალას და ამოიღებდა იქიდან პატარა თასით ღვინოს და ცისაკენ ასხურებდა. მერე დასავლეთისაკენ, ჩრდილოეთისაკენ და სამხრეთისაკენ; ამის შემდეგ თვითონ მასხურებელი რამდენსამე მოსვავდა და მერმე უფროსს უთავაზებდა. ყოველი ვინც კი მოიტანდა ან საჭმელს, ან სასმელს, ჯერ თითონ უნდა ყველასთან ეგემნა და მის შემდეგ ყველა ჭამდა და სვამდა. ესე იქცეოდნენ ისინი, რომ საწამლაგი არ შემოეპარებინათ. იმათა ჰყვანდა იმდენი ცოლები, რამდენიც უნდოდათ და უნამუსო ქალებს კი ხოცდნენ. თვითონ კი, როცა უცხო ქვეყნის ხალხს შეხვდებოდნენ, იმათს ცოლებს განურჩევლად დაუხანლოვებოდნენ ხოლმე. ქურდობა ისე ჰსძულდათ, რომ საშინელის სიკვდილით დამნაშავესა ჰსჯიდნენ. იმათ არა ჰქონდათ ღვთის თაყვანისცემა. ანუ სამლოცო საძაგური, მაგრამ სახელსა ღვთისასა ხშირად და ყოველს შემთხვევაში

* საოცარი მსგავსება აქვს იორნანდის გუნების აღწერასთან.

** IX საუკუნეში მოსე კალანკაზუაცი, რომელმაც ალბანიის ისტორია დაგვიტოვა, თითქმის ამავე სიტყვებით ამბობს ხაზარებზედ და იმათ ცხოვრებაზედა.

იხსენიებდნენ, მარადმყოფელს ღმერთს იხსენიებდნენ, თუ სხვა რომელსაჲმე ღმერთსა ჩვენ არ ვიცით და თითონ იმათაც არ იცოდნენ.

ისინი ყოველთვის ამბობდნენ, რომ იმათი მეფე ღვთის ნათესავია; რომ ღმერთმა თავის წილად ზეცა აიღოვო და დედაძინა კი საყანს მიჰსცაო. ისინი ამბობდნენ, რომ ჩინგის ხანი, საყანის ე. ი. ოკტაის მამა, კაცის თესლისაგან არ იყო გაჩენილიო, არამედ ნათელი უხილავის ადგილიდამ ბანიდამ იმის დედის სახლში ჩავიდაო და უთხრაო: „ინაყოფე, და დაჰბადავ შვილსა, რომელიც მთელი ქვეყნის ჰყრობელი იქნებაო.” იმათის ფიქრით, ესე დაბადებულა ჩინგისხანი. ეს ამბავი გვიამბო ჩვენ თავადმა გრიგოლმა. მარზპანის შვილმა, ასლანბეგ, სარგისის და ამირის ძმამ მამიკონიანთ გვარისამა. იმას კიდევ გაეგონა ეს ამბავი ერთის თათრისაგან, რომელიც პირველ დიდებულებ შორის ირიცხებოდა და რომელსაც ერქვა ყუთუნუინ. მაშინ გაეგონა, როცა ყუთუნუინი ყმაწვილკაცებს ჰსწრთენიდა. როცა ვინმე მოკვდებოდა, ან როცა თითონ მოჰკლამდნენ ვისმეს თავისთავანს, ისინი დიდხანს თავისთან ატარებდნენ მკვდარსა, იმიტომ, რომ ეგონათ ვითომც ეშმაკი ჩაეპარაო მკვდარსა ტანში და რაღაებსაცა ბოდავსო; (უთუოდ მკითხაობა ჰსცოდნია) ზოგს კი ჰსწვავენენ, ზოგს ღრმა ორმოებში მარხავდნენ და თან ჩააყოლებდნენ იარაღს, ტანისამოსს, ოქროს და ვერცხლს, რომელიც მას ეკუთვნოდა. თუ მოკვდებოდა ვინმე დიდებული, მასთან ერთად მარხავდნენ მოსამსახურებს, მხევლებს, რომ როგორც ამბობდნენ – იქაც ემსახურონ; ცხენებსაც ჩაუწვენდნენ, იმიტომ, რომ ეგონათ საიქიოსაც ძლიერი ომები არისო. როცა იხსენიებდნენ მკვდარსა, ისინი ცხენს მუცელს გაუპობდნენ და იქილამ გამოჰკვლევდნენ ხოლმე ხორცს სულერთიანად ასე, რომ ძვლებს არ შეეხებოდნენ; ამის შემდეგ ძვლებსა და შინაგანს სულ დასწვავენენ და ტყავს კი გაჰკერავდნენ ისე, რომ ცხენი ხორცში გეგონებოდათ. მერე გაამწვეტებდნენ სარსა, მუცლიდამ პირში ამოუტარებდნენ, ასწევდნენ და ან ხეზედ შესდებდნენ ან სადმე მაღალს ადგილას.

იმათი ცოლები გრძნეულები იყვნენ და ყველაფერზედ მკითხავობდნენ, მკითხაუბების და გრძნეულების დაუკითხავად ისინი

ვერას გზით არსად არ წავიდოდნენ. ენა იმათი ბარბაროზული
იყო და ჩვენთვის, გაუგონარი, აი იმათი რამდენიმე სიტყვა:

ღმერთი – თანგრი.

კაცი – ჰარერიან ზოგს წერილშია: ჰე რენ, ენრი.

დედაკაცი – აფჯი.

მამა – ეზგა.

დედა – აქა.

ძმა – ალა.

და – აქაჯი.

თავი – თივრონ.

თვალი – ნიტუნ.

ყური – ჩიკინ.

წვერი – სახალ.

პირსახე – იაზნიურ; ზოგს წერილშია იოზ.

პირი – ამან.

კბილი – სხურ.

პური – ოთმაკ.

ხარი – აქარ.

ფური – უნენ.

ცხვარი – ყოინა.

ბატკანი – ყურღან.

თხა – იმან.

ცხენი – მორი.

ჯორი – ლოსა.

აქლეში – თამანი.

ძალლი – ნავსა შეი ნუხა.

მელა – ჰუნქან ანუ ჰოქან.

მგელი – ზინა.

დათვი – აიტქუ.

კურდღელი – თაპლდა.

ფრინველი – თახია.

ტრედი – კოკაჩა.

წყალი – უსუნ.

ღვინო – ტარასუ.

ზღვა — დანგიზ.
მდინარე — ულანსუ.
ხმალი — ხოლდუ.
შვილდი — ნმუ.
ისარი — სრმუ.
მეფე — მელიქ.
თავადი — ნუინ.
დიდი თავადი — სკანუინ.
დედამიწა — ელ.
ცა — გოგა.
მზე — ნარან.
მთვარე — სარა.
ვარსკვლავი — საღრა.
ნათელი — ტდურ.
ღამე — სონინი.
მწერალი — ბითიქჩი.

სატანა — ბარაჰურე; და სხვა მრავალი ეგრეთივე ბარბარო-ზული სიტყვები ჰქონდათ, რომელნიც დიდხანს ჩვენ არ გვესმოდა და რომელნიცა ეხლა ჩვენის სურვილის წინააღმდეგ გვესმის. იმათს უფროსებში ყველაზედ დიდი იყო: ჩარმა-ყან-ნუინი, რომელიცა სამართალსა ჰსჭრიდა, და მისნი ამხანაგნი: იხრარ-ნუინ, ყუთუნ ნუინ და თუთუნ-ნუინ. ჯარების წინამძღვარი ჯაგათაი იყო, რომელიც მელახითებმა მოკლეს. იმათთ მრავალი სხვა უფროსები ჰყვანდათ და აურიცხველი ჯარი.”

[1863წ. ოქტომბრამდე]



ბელინსკის აზრი შვილების აღზრდაზე

აი, რას ამბობს ბელინსკი შვილების აღზრდაზე:

ზოგიერთი, თვალად მცირე საგანი, ხშირად შეიქმნება ხოლმე, თავისის ჰაზრით, თვით უაღრესად და უპირველესად. ყველანი ლაპარაკობენ, რომა იმ ჟამდაც, როდესაც იმყოფება წვერად, აღზრდას დიდი ზედმოქმედება აქვსო კაცის სიცოცხლეზედ, ყოფაქცევაზედ, სადაც უნდა იყოს, ყველგან. მაგრამ ბევრს კი ესმის ისა, რასაც თვითონვე ლაპარაკობს? სიტყვა ჯერ არ არის საქმე; ყოველი ჭეშმარიტება, რაც უნდა უეჭველი იყოს, თუ არ გამართლდა მათის მოქმედებით და ყოფაქცევით, ვინც იმ ჭეშმარიტებაზე ლაპარაკობს, — არის მხოლოდ სიტყვა, ცარიელი ხმა, — ისრევ ის ტყუილი. გაშინჯეთ კარგად მშობლებისა და შვილების ერთმანერთში მიქცევა-მოქცევა; ერთის სიტყვით, გაშინჯეთ კარგად აღზრდა შვილებისა — და გული შეგიღონდებათ. ბავშვი სჭამს, რაც შეხვდება და რამდენიც უნდა; რა უჭირს! ამბობენ ნაზი მშობლები; ბავშვია ჯერა! ბავშვი აწვალებს ძაღლსა, ანა სცემს სახლში მოსამსახურე პატარა ბიჭსა; რა უჭირს! იძახის მზრუნველი დედ-მამა: ბავშვია ჯერა! ბავშვები ჩხუბობენ, ჟივილკივილი აქვსთ ერთმანეთში, და მათი ყვირილი, ჩხუბი და ტირილი თუ არ უშლის სტუმრებთან ლაპარაკსა ან დედილოსა და მამილოს დაძინებისა სადილთ-უკან. — რა უჭირთ — ჯერ ბავშვები არიან, დეესნენ, თავისთვის იჩხუბონ და იღრიალონ: დიდები დაიზრდებიან, აღარ იჩხუბებენ და აღარც იღრიალებენ! ბავშვები დალანძღვენ, და ზოგჯერ დალახვენ ერთმანეთსა და მივლენ დედასთან და მამასთან ერთმანეთზედ საჩივლეღათა — ეჰ, რა საჭიროა ბავშვების საჩივარის გარჩევა! თუ თქვენ სასტიკათ ექცევით შვილებსა, ჰკარით თვითო წვიპურთი ყველას სათითაოთა, ან გაროზგეთ ყველანი ერთათა, რომ არავის გულს არ დააკლდეს; თუ კეთილად ექცევით ბავშვებსა, ანუ ზრდით კეთილმობილურად, — მიეცით იმათ სათამაშოები ანუ ტკბილი საჭმელები

და დაპკოცნეთ ყველანი და მოიშორეთ თავიდანა, რომ ისინი წავიდნენ კიდევ საჩხუბარად და ერთმანეთის სალანძღავათა. ბავშვს არა სურს სწავლა, სრულიად არ უგდება ყურსა, რომ წიგნი ხელში აიღოს: რა უჭირს, ჯერ ყმაწვილია – გაიზრდება, დაჭკვიანდება და სწავლასაც დაიწყებს! ბავშვი ხელსა სტაცებს, რომელი წიგნიც მოხვდება, თუ გინდ ანატომია იყვეს სურათებიანი, – რა უჭირს, ჯერ ყმაწვილია! კარგია, რომა წიგნის ხალისი აქვს, – დაეხსენით დაეჩვიოს კითხვასა, ცელქობას ეგ ურჩევნიაო! ოსტატი ეუბნება მამასა, რომა გრამმატიკა, რომელიც შვილისათვის უყიდნია, არ ვარგაო ან ძრიელ დაძველებულია, ან სულელურათ არის დაწერილი, უაზროთაო, და თვითონ იმ გრამმატიკის დამწერმაც არ იცის ენის კანონები და ხასიათიო: ეს რაღა ახალი ამბავია! შეჭკვილებს კეთილგონიერი და გამოცდილი მამა: ეგ ხომ ჯერ ყმარწვილია, – მაგისტრის ყოველი წიგნი კარგია, მაგაში მე ფული მივეცი, მამასადამე, კარგი უნდა იყვეს!.. მაგრამ, აბა ახლა ჰკითხეთ რამე საყვარელ ღედ-მამასა შვილებზე და მათს აღზრდაზე. და მაშინ ნახეთ: რამდენს სხვადასხვანაირს საჩივარს გეტყვიან, რამდენს სხვისაგანაც გაგონილ ფაქტებს წარმოგიდგენენ, რამდენს იწუწუნებენ, „ოჰ! შვილები! დიას! რა ძნელია შვილის ყოლა! რამდენი ზრუნვა უნდა! უნდა გავზარდოთ და ვასწავლოთ კიდევცა! ჩვენ არაფერი გვშურს შვილების აღზრდისათვის! უკანასკნელ ღონისძიებას არ დავიშურებთ ხოლმე! მე მივეცი ჩემი შვილები სასწავლებელში, ვყიდულობ იმისათვის წიგნებსა, რამდენი ხარჯი მამდის! და ჩვენ ძლივს ვიშოვნეთ მადამა, რომ ჩვენმა შვილებმა ფრანციზული და ფორტოპიანოს დაკვრა ისწავლონ!“ ღმერთმა მშვიდობა მოგცესთ, სასურველო მშობლებო!..

მაგრამ ეს მხოლოდ ერთი მხარე არის შვილების აღზრდისა, ანუ იმისი, რასაც ისრე ტყუილათ ეძახიან აღზრდასა, ეს ის აღზრდა არის, რომელსაც თითქმის ეძახიან ღვთის ანაბარად, და მართლა კი შემთხვევის ანაბარად იზრდებიან. – ეს აღზრდა არის ბუნებითი, ე. ი. გამოკვება არის და არა აღზრდა. ეგ აღზრდა დაბალი ხალხის მზგავსია. არის კიდევ აღზრდა პატიოსნური, თავაზიანი, ნარნარი, სასტიკი, კეთილშობილური. აქ ყოველისფერზე ყური აქვს მიგდებული, არც ერთი მხარე არ არის დატოვებული. ამნაირს შვილების აღზრდაში ბავშვი ჭამს თავის დროზე

და ზომიერადაცა; სადილს წინად დაჰყავს სასეირნოთა ან გუვერნიორსა (მამა-მძუძეს) ან გუვერნანტასა (დედა-მძუძეს). ცოტას ცელქობს, ვარჯიშობს გიმნასტიკის ლამაზ თოკებზე, ბოძებზე და გასაყრებზე, სასწავლებლად აქვს დანიშნული საათი, დაწესებული დროს დაწვება დასაძინებლად და ადგება. ერთს დროს ეძლევა სამრთელეც, სამაგრეცა, გონებაც ეხსნება და სწავლობს კიდეცა. და ფორმა – ოჰ, ეს თვით უმშვენიერესია! სისუფთავე, სიმარტივე, გამოუსავჯვრებლობა, ამასთანავე კეთილშობილება, ღირსებით ქცევა, კარგი გემო და კარგი კილო (TOH) ესენი ეტყობათ ყოველისფერში: საცმელშიაცა და ყოფაქცევაშიაცა. მხოლოდ ერთი ის როგორა ღირს, რომა ბავშვმა იცის თავისი გრძნობის დამალვა, არ წაეტანება სიხარბით იმასა, რაც ძრიელ უნდა, არ გამოიჩინს გაკვირვებასა და სიხარულსა იმ საგანში, რომელიცა აღძრავს ბავშვის გუნებაში გაკვირვებასა და სიხარულსა; ერთის სიტყვით, შესაბამობისა და მაღალ კილოზე ქცევას უმსხვერპლის ყოველს თავის გრძნობასა, ასრე გაშინჯე, თვით უწმინდაესსა და ადამიანურს გრძნობასაცა! ... მოკლედ მოგახსენებთ: ასრე გაშინჯეთ ჩინეთის მანდარინები, ეს უმაღლესი მაგალითები დამახინჯებული და მკვდარი ბუნებისანი, თვით ჩინეთის მანდარინები ვერ შეედრებიან ამ ყმაწვილ ხალხსა, ამ კეთილაღზრდილ ყმაწვილებსა ... თუ ადამიანის სიცოცხლე არის თეატრის სცენა ანუ სალონი (სასტუმრო ოთახი) და თუ მხოლოდ „ჩვენება“ არის საგანი ადამიანის სიცოცხლისა, მაშინ ამგვარი შვილების აღზრდა იქნება სამაგალითო. მართლაც, რა იქნება უკეთესი და სასურველი, მაგალითებრ, გაზრდილ გასათხოვარ ქალზე? – ის უფრო ჩქარა ათავჯერ თავს გასწირავს სასიკვდილოდ, ვიდრე თანახმა შეიქმნებოდეს, რომა თავის სიცოცხლეში ერთხელ საქვეყნოთ სასაცილოდ გამოჩნდეს, ე.ი. ატაცებით გაეხარდეს ხელოვნებითი ქმნილების ნახვა, ანუ ბუნებისაგან რისამე გამოჩინებისაგან, ან უმაღლეს გამარჯვებაზე ლაპარაკის სმენისაგან, რისაგანაც ისრე სტირიან ანუ მხიარულებენ ცუდის კილოს (TOH) ხალხი. ის გასათხოვარი ქალი ისრე თამამი და თავისუფლად მქცევია, როგორათაც კეკელა-ქალი; იმას არც არაფერი გაუკვირდება, არც არაფრისა შეეშინდება და არც შეკრთება. ის არის ყოველთვის მშვიდი, ერთს კილოზე მყოფი ყოველის-

ფერში ზომიერად და შესაფერად მქცეველი ... და რამდენი ნიჭის მქონებელია ისა, რომელსაც არ იჩენს საზოგადოდ ისრე, როგორათაც ქალაქის გარეშე მცხოვრებელი (провициалки) ... და ამ ყოველისფერთან რანაირი უმაკო სული აქვს, წრფელი გული! ის გასათხოვარი ქალია; მაგრამ ჯერ არაფერი არა წაუკითხავს რა ბულისა და ბერკენის მეტი... და როდესაც დაუწყებთ თქვენა შექსპირზე ლაპარაკსა, ის ისრეთის ჩინებული გულგართობით ჩამოაგდებს ლაპარაკსა დარზე ანუ დასასრულ ბალზე. ვიკტორ ჰიუგოსა და პოლ დე-კოკს ის წაიკითხამს გათხოვების შემდგომ და მინამდინ ბულისა და ბურკენის თხზულება ეყოფა. არა, კარგიც არის: შილლერი, გიოტე, ბაირონი, გოფმანი, ვალტერ სკოტტი, პუშკინი – საშიშარნი არიან ყმარწვილი ქალის გულისათვის: ვინ იცის, იქნება გული აუღელვონ რაღაც გასაოცარი სურვილით, გამოურკვეველი ოცნებით, მისცენ შიგნეული პოეტიური სიცოცხლე, – და ეს ხუმრობა კი არ არის! – გასათხოვარი ქალი შეხვდება ვისმე თავის გულის სათვისტომო სულსა. – რომელსაც გროში არ უგდია ჯიბეში, –

И жизнь могучая дает

И пышный в цветъ и сладкий плод

(სიცოცხლე ძლიერი გამოიტანს

უხვს ყვავილსაცა, ტკბილს ნაყოფსაცა.)

როგორცა სთქვა პუშკინმა... რომ შევიდეს ოცნებაში, – მიეცეს კაცობრივს გულისწინებასა, მაშინ რას იტყვის ქვეყანა?.. არა, სრულიად ამისთანა არ არის კეთილად აღზრდილი ქალი მადალის კილოსი (высшего тону): იმას შეუძლიან ხალხში გამოიჩინოს სილამაზე, თუ ღმერთს მიუცია იმისათვის, ჩაცმა-დახურვა, თუ იმისი მამა მდიდარია სხვებზე, მაგრამ ის როგორ გამოიჩენს სულსა, გულსა, და სხვადასხვა მდაბალი ხალხის გასასტერებელს ქცევას. ის გათხოვდება; – ასრე გაშინჯეთ, თუ გინდ სხვებმაც არ იზრუნონ იმის გათხოვებისათვის, თვითონ მოახერხებს ყოველისფერსა; მაგრამ ეს გათხოვება იქნება დიდად ჩინებული. შესაშურველი, და არა ხალხის სალაპარაკო, აი რასა შვრება ჭეშმარიტი აღზრდა გასათხოვარი ქალისა? და ყმარწვილი ხალხნი? – ოჰ, იმათზე კიდევ მეშინიან ვილაპარაკო: ისინი

ჭკუიანებიც არიან და სულელებიცა, მსწავლულებიცა და უზრდელნიცა – ისინი ყველანი ისრეთის ფილოსოფიური გულგრილობით უყურებენ ამ ქვეყნის ცხოვრებასა, რომელშიაცა იმათთვის არც არა საიდუმლოა, არც საკვირველი, არც მიუწოდომელი; ისინი ისრე გაბედვით და ურცხვად შამოგხედვენ თავისი ღარნეტითა... ჩინებული ყმარწვილი ხალხნი არიან!.. და რანაირ თავისუფლად, რანაირ დაუდევნელათ ლაპარაკობენ ფრანციზულსა – თითქო თავის ღვიძლი ენა არისო. ღვიძლს ენაზედ კი ორი ფრაზის, მიკერება ვერ მოუხერხებიათ ან ორის სტრიქონისა დაწერა შეუცთომელად – პედანტიზმურს ვერასფერს იპოვნით მათში წამლად!..*

ჩვენ წარმოვადგინეთ თავი და ბოლო (უმაღლესი და უმაღლესი მხარე). არის კიდევ მათს საშუალოდ მყოფი, რომელიცა, როგორათაც თითქმის ყოველი საშუალო, ხშირად არის ხოლმე პირველზედაც და უკანასკნელზედაც ცუდი. ჩვენ ვამბობთ იმ საზოგადოების ხარისხის აღზრდაზედ. რომელიცა მდაბიურს უყურებს კეთილობილურის შეურაცხებით და თავისი თავის ღირსების გრძნობითა, – და უმაღლეს საზოგადოებას – მოწიწებით და პატივისცემათ. ეს საშუალოთ მყოფი საზოგადოება ყოველის ძალითა და ღონით სცდილობს, რომ მიემზგავსოს უმაღლეს ხარისხისა და იყოს იმის ნამდვილი პირი (კოპიო); მაგრამ, თავისდა საუბელურით, რჩება რაღაც საშუალო წევრთა შორის მყოფი, რომელიცა აღარც თავის თავსს ემზგავსება და აღარც სხვასა, არის უხასიათო. არ მიემზგავსება ნამდვილსა – აი, მაგასა ჰქვიან გლეხობა აზნაურობაში. უნდა რო თავისუფლად და სასიამოვნო ურცხობით და კარგ კილოზე მოიქცეს. მაგრამ გამოდის პრანჭვა, გრენა და მაიმუნობა. სასაცილო და შემაწუხებელი სანახავია.

მაგრამ ეს იქით იყვეს: საქმე ის არის, რომა ამ საშუალო საზოგადოებაში შვილის აღზრდად ის მიაჩნიათ, რომა მოუკლან ბავშვსა ყოველი სიცოცხლე და სიცქეიტე, რომ შეჰქმნან ისინი თუთიყუში და სასიამოვნო თოჯა, რომლებზედაც ყველამა ჰსთქვან: ოჰ, რა კარგათა ზრდიანო!..

შვილების აღზრდა ყველგან არის, საითაც მიიხედამთ, და

* ეს ჩვენდა სამწუხაროდ, ბევრს ქართველებსაც შეეხებათ. მთარგმ.

არსად არ არის, საითაც უნდა მიიხედოთ. რასაკვირველია, შვეიცარიის, ნახოთ შვილების აღზრდა ყოველ ხარისხის საზოგადოებაში უმაღლესიდან უმაღლესამდისინ, მაგრამ როგორათაც იშვიათი რამე, როგორათაც სწოლიო საზოგადო კანონიდან, როგორც ათასში-ერთი. რათ არის ეს ასე? ამისათვის რომა ქვეყანაზე მრავლისაგან უმრავლესნი არიან მშობლები, მრავალნი არიან მამილოები და დედილოები, მაგრამ ცოტანი არიან მამანი და დედანი. „ეს ჩინებულია!“ – იტყვიოთ თქვენა: „რა განხვება არისო მშობელთა, მამათ და დედათ შორის? – როგორ თუ რა განჩევა არის? – შეხედეთ ზაფხულში ბუხებსა: რამდენი მრავლისაგან უმრავლესი მშობლები არიან მათში, მაგრამ სად არიან დედ-მამანი? გრობაელოვმა დიდი ხანია სთქვა –”

Чтоб иметь детей

кому, ума не доставало?

(შვილის ყოლას ბევრი ჭკვა არ უნდაო)

დაბადების განწყება აძლევს მშობლებს ნაკურთხს უფლებას, რომ ეწოდებინათ იმათ კურთხეული სახელი მამა და დედა, – ამის წინააღმდეგი არავინ არ არის; მაგრამ საქმე ამითი არა თავდება ჯერ: შვილის ყოლა ადამიანს არა ხდის ჯერ კიდევ ცხოველზე უმაღლესად; უმაღლესი უფლება – მშობლური სიყვარული არის, მაგრამ – მეტყვიოთ თქვენ: რომელ მამასა და რომელ დედას არ უყვარს თავისი შვილები?” აგრე განლაგსო, მაგრამ გვიბოძეთ ნება გკითხოთ, რას ეძახით სიყვარულსა? როგორ გესმით სიყვარული? – ხომ ცხვარსაც უყვარს თავისი ბატკანი: ის აწოვებს თავისს რძესა და ლოკამს ენითა, მაგრამ როცა ბატკანი რძესა მინდვრის ბალახზედ შეიცვლის – მათი დედაშვილობა გათავდება. უ. პრასტაკოვის ცოლსაც უყვარდა თავისი მიტროფან-უშკა: ის შეუბრალებლად შემოუწყებამდა ხოლმე ლოყებსა თავის მოხუცებულ გამდელ ერემევენასა იმისთვისაცა, თუ მიტროფან-უშკას ცოტას აჭმევდა და იმისთვისაც, რომა – ბევრს აჭმევდა. იმას ისრე უყვარდა თავისი შვილი, რომა, რომ დაეწყო დედისათვის თავ-პირში ცემა, დედა მწარედ მოჰყვებოდა ტირილსა, რომ მისი კარგი და მშვენიერი მიტროფან-უშკა ხელებს იტკენს დედის ცხვირ-პირზე. განა ცხვრის გრძნობა, რომელიცა

თავის ბატკანს აწოვებს ძუძუსა და გრძნობა უ. პრასტაკოვის ცოლისა, რომელიცა იყო ცხვარიცა და ძროხაცა და გამზადებულიც იყო, რომ ცხენათაც გადაქცეულიყო და ეტარებინა თავისი ოცი წლის მიტრაფანუშკა კალიასკითა, — განა ეს ყოველივე სიყვარული არ არის? — დიახ, სიყვარულია, მაგრამ როგორი? ეს არის გრძნობის სიყვარული, პირუტყული, რომელიცა ცხვარს, როგორათაც პირუტყევსა, შეშვენის და რომელსაც ცხვარში თავისი ჭეშმარიტი, გონივრული, ჩინებული და სასიხარულო მხარე აქვს; მაგრამ უ. პრასტაკოვის ცოლისათვის იგივე სიყვარული, — უაზროა, მახინჯი და საძაგელია, რადგანაც ეს ადამიანია და არა ცხვარი. შემდგომ: პაველ აფანასიევიჩს ფაშუსოვსაც უყვარდა თავისი ქალი სოფია პავლოვნა: უყურეთ, ის როგორა სცდილობს, რომ რაც შეიძლება მოგებით მოიშოროს თავიდანა, ძვირად გაჰყიდოს... გაჰყიდოს? — რა საშინელი სიტყვაა!... მამა ჰყიდის თავის ქალსა, ვაჭრობს, რასაკვირველია, საწვრილმალოსავით კი არა, მაგრამ ერთხელ და სამარადისოდ ერთის კაცის გული-სათვის, რომელიც იქმნება იმისი ქმარი!.. მაგრამ ამას ხომ თავის თავისათვის არ სჩადის, თავისა ქალისათვის უნდა ზომა, — იტყვიან ბევრნი. დიახ, ჩინებულია! მაშ ამის შემდგომ ავაზაკიცა, რომელიც ქალის მზითვისათვის ქორწილს წინათ დახოცამს რამდენსამე კაცსა, არ იქნება გასამტყუნარი, ამისათვის, რომა ამას მოიქმედებს თავისი ქალის სიყვარულით? ამის შემდგომ, ზოგიერთი დედაც, რომელსაც არ უნდა, რომა თავის სატრფიალო ქალი ჰყავდეს სიღარიბეში, ძალას დაატანს თავის ქალსა, რომ მშვენიერება გამოსარჩენად მოიხმაროს, — აგრეთვე არ იქმნება გასანტყუნარი, ამისათვის, რომა ამასა თავის ქალის სიყვარულით შვრება? განა ეს არ მოხდება ხოლმე მართლაცა? განა რომელიმე დაბერებულ მოსამსახურე კაცსა, დაჩვეულს მოქრთამეს და ხაზინის მპარავს, არ უსწავლებია თავისი სახიზლი ხელობა თავის ნაზად საყვარელი შვილისათვისა? — ჩვენ კიდევ თანახმა ვიქნებით რომა იმისი მიზეზი სიყვარულია, მაგრამ რანაირი სიყვარულია, ეს არი საქმე! საიდგან გამომდინარეობს ეს სიყვარული, საით იძვრის, ვის მიუბრუნდება, ნადირნი რისთვის ჰგლეჯენ და ღუპვენ ერთმანეთსა, და შიმშილში შემჭამენ თავის საკუთარ შვილებსაცა? — ამის-

ათვის, რომა მათ უყვართ თავისი თავი; თავისი თავის სიყვარული კიდევ თვისებაა ყოვლის სულიერისა რომელზედაც დამოკიდებულია ყოველი სულიერის ყოფნა, საფუძველი და კანონი სიცოცხლისა. ძაღლები რისთვის ღრინავენ, როცა ძვალს გაღუგდებთ? – ისევ იმისათვის, რომა უყვართ თავისი თავი და ჩვენ არ გვეწყინება ხოლმე ესა, როდესაც მაგ მაგ ყოფაში ვხედავთ პირუტყვთა; ჩვენ მაინც და მაინც არ ვამტყუნებთ ამისთანა ქცევაში და არცა ვრაცხთ ბოროტებად და ავაზაკობად, ამისათვის, რომა ისინი ცხოვრობენ და მოქმედებენ პირუტყვთ მიდრეკილების ზედმოქმედებითა, რადგანაც ისინი იმ მიდრეკილების მონები არიან და თავის თავის – დაცვისა და გაძღომის მეტი არაფერი მოვალეობა არა აქვსთ რა. ადამიანიც, ცხოველის მსგავსად, მიუხედავად მისდევს ბუნებისაგან მიცემულ თავის დაცვის (**само сохранение**) მიდრეკილებასა და თავის მდგმოიარებისა საუკეთესოდ მოყვანასა; მაგრამ დავიჯერო, რო ადამიანში ყოველისფერი ამითი უნდა გათავდეს? – არა, განსხვავება ადამიანსა და ცხოველთა შორის სწორეთ ის არის, რომა ადამიანობა დაიწყობა მაშინ, როდესაც ცხოველობა გათავდება. თავის თავის მოვალეობის გარდა, ადამიანს აქვს კიდევ მოვალეობა მოყვანისა ცხოველის მიდრეკილების გარდა, ადამიანს აქვს, კიდევ გრძნობა, ჭკუა და განსჯა, რომელიცა არა აქვს ცხოველსა. ადამიანი არის არსება, სხეულის აგებულების გარდა, ის არის სული – ნაპერწკალი და სახე ღვთისა. მაშასადამე, იმისი სიყვარული უნდა იყვეს უმაღლესი იმ სიყვარულზე, რომელსაცა ვხედავთ გარეშე ბუნებაში – ადამიანი დაიბადება ქვეყანაზე ცხოველად, რომელიც ყვირის, სძინავს, სჭამს და მიდრეკილებით ხელს ატანს ძუძუსა და მიდრეკილებისავე გამო ჯავრობს, როდესაც იმას ძუძუს გამოართმევენ. მაგრამ ამ წამს შემდგომ, როდესაც მისი ენა, განურჩეველი შორისდებულებიდან (**междометие**) დაიწყობს ნელნელა გარდასვლას წევრთ განამყოფელ ხმებთანა (**членораздельным звукам**) და დაიწყობს პირველი სიტყვების ტიტინსა, – მაშინ იმაში გათავდება ცხოველური სიცოცხლე და დაიწყობა ადამიანური მთელი სიცოცხლე, რომელიცა სრულად ადამიანობად იქნის, არის გაუწყვეტელი შეწყობა (**формирование**).

ქმნა, შედგენა სრულ ადამიანად, სრულის სიამოვნებისათვის და თავის სულის ძალის დასამორჩილებლად, რომელიცა შეარდგენს ღონისძიებას მისი გონივრული ბედნიერებისასა. ჯერ ბავშვია, მაგრამ მივარდება სიყვარულის წყაროსა – დედის ძუძუსა, და დააქქერდება ნათელ გონებითა, თუმცა ჯერეთ შეუგნებელითა, და არა პატარა ცხოველის უგუნური ყურებითა; ის უცინის თავის დედასა. – და მის ღიმილში გამოკაშკაშებს სინათლე ღვთიურის ჰაზრისა. ყოველს მისს სიყვარულის გამოცხადებაში ნათლად სჩანს, თუმცა მცირედი, მიდრეკილებითი, მაგრამ ჰაზრიანი და გონივრული გრძნობა: ჯერ იმისი ფეხები უღონოა, იმას არ შეუძლიან გადადგას ნაბიჯი, რომ შევიდეს ცხოვრებაში, მაგრამ მაშინაც მისი სიყვარული უმაღლესია ცხოველის სიყვარულზე. მამ დავიჯერო, რომა ამის შემდგომ, სიყვარული დედ-მამისა – სრული ადამიანებისა უნდა დარჩეს პირველსავე და ცხოველურს მდგომიარებაში? არა ყოველი ადამიანური სიყვარული უნდა იყვეს გრძნობა, განათლებული გონივრილის ჰაზრით, გრძნობა განსულიერებული. მამ რა არის სიყვარული? ის არის სიცოცხლე. ის არის სული. შუქის სინათლეა; უიმისოთ, სუყოველისფერი არის სიკვდილი, თვით მაშინაც, როცა სისოცხლეა. სუყოველისფერი არის ნივთიერება, თვით მაშინაც, როცა ღორძინებაში არის. ყოველისფერი ბნელია, მაშინაც როცა თვალი ახილებული გაქვს. სიყვარული არის უმაღლესი და მხოლობითი ჭეშმარიტება, რომელის გარეშე ყოველისფერი არის მოჩვენება. თვალის მამატყუებელი უსაგნო ყალიბი, სიცარიელე, თუნდაც რომ ყველაფერი რათმეც ჩანდეს. როგორათაც ცეცხლი არის ერთს და იგივე დროს სინათლეცა და სითბოცა, – ესრედ სიყვარულიც არის გაარსებული ნათელი, ჩინებული გონება; გაარსებული, ნათელი ჭეშმარიტება იმაზედ არის დამყარებული, და თვით ქვეყანაც იმისი გამოცხადება არის. ბუნებაში ის არის განვრცელებული ელექტროსაებრ: სულში აღმოჩნდება გონივრულის ჰაზრით, რომელსაც თავისშივე აქვს ძალი კეთილის საქმით თვისის გამოცხადებისა, და ამისათვის კაცი სავსეა სიყვარულითა და ამით უძლიერესია სამსონზე.... სიყვარული იქამდისინ ძლიერია, რომა იქმს მიუწოთმელს, დასძლევს მარადის გამოუცვლელ სივრცესა და

დროების პირობასა, ბაშვს აძლევს ლომის ძალასა. თვით ღმერთი არის სიყვარული, და წყარო სიყვარულისა, რომელიდგანაც ყოველისფერი მოგვერთმევა და რომელსაც სუყოველისფერი უკანვე მიერთმევა ხოლმე. „საყვარელნო! გვიყვარდესთ ერთმანერთი; რამეთუ სიყვარული არის ღვთისაგან, და ყველა, ვისაც უყვარს, შობილია ღვთისაგან და იცნობს ღმერთსა. ვისაც არ უყვარს, მას არ უცვნია ღმერთი; ამისათვის, რომა ღმერთი არს სიყვარული. — ღმერთი არს სიყვარული, და მყოფი სიყვარულში ღმერთთან არის და ღმერთი მასშია“. ამბობს წმინდა მოციქული იოანე. და ამისათვის, ყოველი უფლება და ყოველი ძალა არის მხოლოდ სიყვარულში. ამისათვისაც სიტყვა, სიყვარულის ძალით შემოსილი, ანთია დაუმარცხებელი დარწმუნების ცეცხლით და დაათბობს ღმობიერების სითბოთი გამგონის გულსა. და მისცემს იმას მშვიდობას და ბედნიერებას; მაგრამ სიტყვა სიყვარულის არამქონებელი, წმინდა ჭეშმარიტებასაც შეიქმს ცივად და მკვდარ ზნეობით — სწავლად და ამისათვის უღონოდ მოქმედებს ჭკუაზე და გულზე.

ჭეშმარიტება უმაღლესია ადამიანზე, როგორათაც მხოლოდობით პირზედ: მისთვის, რომ შეიქმნეს ღირსი კაცის სახელის წოდებისა, კაცი უნდა გახდეს ჭურჭელი ჭეშმარიტებისა, მაგრამ ჭეშმარიტებას ადამიანი ვერ მიითვისებს მსწრაფლად, როგორათაც თავის კანონიერ საკუთრებას: უნდა მისწვდეს იმას ჯაფით, ბრძოლით, სხვერპლით და ტანჯვით, — მრთელი მისი სიცოცხლე უნდა იყვეს ჭეშმარიტების დევნა. ადამიანი თვითონ არის კერძობითი და შეიწროებული. მხოლოდ ჭეშმარიტება შეიქმს იმას საზოგადო ჰაზრის მქონებელად დაუსრულებელად. ამისათვის პირველი პირობა და საფუძველი ჭეშმარიტების მიუწოდებლად არის თავის თვისის უარყოფა ჭეშმარიტებისათვის. აქედან დაიბადებიან თავის ნებითი მოკლება, ბრძოლა სურვილისა და გულის ვნებისა. შეუბრალებლად სასტიკად მოქცევა თავის თავის სიყვარულთან: მზათყოფა განტყუნება ჭეშმარიტების წინაშე, თავის თავის გამტყუნებისათვის, თავის თვისის უარყოფა და განწირვა: ვისაც არა სცოდნია და არ გამოუცდია თავის სიცოცხლეში ესენი, — მას არ უცხოვრნია ჭეშმარიტებითა, არ უცხოვრნია

სიყვარულითა.

ახლა გავშინვკოთ ამის და კვალად მშობლების სიყვარული.

დელასა და მამას უყვართ თავისი შვილი, ამისათვის რომა ის არის მათი ნაშობი. სისხლის ნათესაობა არის პირველი, და იმავე დროს, ნაკურთხი საფუძველი სიყვარულისა, ეს არის მისი მწერტილი, საიდგანაც იწყობა და რომელზედაც არის დამოკიდებული მოძრაობა მისის განვრცელებისა. ამის წინააღმდეგი იქმნებიან მხოლოდ განყენებული ჭკუის პატრონნი, უგუნურად მსჯელი ხალხი, რომელთაც არა აქვსთ ნიჭი, რომ განსჭვრიტონ ცოცხალი, გამოცხადებული ჭეშმარიტება ანუ ცივი, ხმელი, მკვლარი გულის მქონებელნი, თუ არ ცოდვილნი და გარყვნილნი. მაგრამ, განვიძეორებთ რომა სიყვარული, მხოლოდ ერთს სისხლის ნათესაობაზე დამოკიდებული სრულიად ვერ შეარდგენს იმას, რაც არ უნდა იყვეს ადამიანის სიყვარული. სისხლისა და ხორცის ნათესაობიდაგან უნდა გავრცელდეს სულიერი სიყვარული. მხოლოდ ეს არის მკვიდრი, მაგარი, მხოლოდ ეს არის ჭეშმარიტი და ნამდვილი, მხოლოდ ეს არის უმაღლესი და კეთილშობილი ადამიანის ბუნებისა ღირსი. ნახეთ: რამდენნი არიან ქვეყანაზე ცუდი შვილები, რომელთაც დაკარგული აქვსთ დედ-მამის სიყვარული, მაგრამ აღსრულებენ მხოლოდ გარეგანს, კანონიერს პატივისცემასა. რამდენი მამხდარა ქვეყანაზე საშინელი უბედურების მაგალითი შვილებისაგან, რომ მშობლებს არც გარეგანად სცემენ პატივსა, რომელსაც მოითხოვს საზოგადოების რიგი, – და რამდენნი არიან ისრეთი შვილებიცა, რომელნიც აწყვევინებენ ხოლმე თავის თავს დედ-მამას, თუ მათ არ მიმართეს სამოქალაქო კანონსა.... საშინელი, გულის აღმაშფოთებელი სანახავია! საწყალი მშობელნი, უბედური შვილები! დიახ, უბედურნი, – და თქვენ დედა-მამის შემბრალებელნი, ნუ დასწყევლით შვილებსა. მარტო ეს გამოიკვლიეთ, რომა ბუნება დაჰბადებს ხოლმე ქვეყანაზე საძაგელ ხალსა, თუ აღზრდა და ცხოვრება შეჰქმნის ხოლმე ამით ისრე? ჩვენ არა ვართ ამის წინააღმდეგი, რომა ბუნება არ დაბადებდეს ხოლმე ადამიანსა ბოროტის მიდრეკილებით, მაგრამ, ამასთანავე, ჩვენ კარგად დარწმუნებულნი ვართ, რომა ამისთანა ამბავი შეიძლება იშვიათად მოხდეს (როგორათაც სხოლიო სა-

ზოგადო კანონიდან) და არც არის ისრეთი ცუდი ადამიანი, რომელსაცა კარგმა აღზრდამ არ მოუტეხინოს ცუდი თვისება. ვაი ცუდს შვილებს! რის მიზეზითაც უნდა შექმნილიყვნენ ესრეთნი – გინდ ცუდის აღზრდისაგან, დედ-მამის დანაშაულით, თუ გინდ სხვა შემთხვევის გარემოებით, – მაგრამ უბედურნი არიან ისინი, ამისათვის, რომა არ იციან შვილური სიყვარულის ბედნიერება და არც ექმნებათ, იმედი მშობლურის სიყვარულის გემო გაიღონ, მაგრამ მაინც უნდა გავმინჯოთ მიზეზი მათის ზნის გაფუჭებისა. თუ მათ გასამართლებლად არა, ჭეშმარიტების გასამართლებლად მაინცა, რომელიცა უმაღლესია ყველაზე, ასრე გაშინჯე, მშობლებზედაცა და სასწავლებელი მაგალითიც არის ამისთანა გულის-აღმაფოთბელი სანახავის აღმონაფხვრელათა. ჩვენ, ვსოქვით, რომა მამას უყვარს შვილი ამისათვის, რომა ის არის მისი ნაშობი; მაგრამა ამას გარდა, იმას უნდა უყვარდეს თავისი შვილი კიდევ ისრე, როგორათაც მომავალი კაცი, რომელიც ღმერთს მიაჩნია თავის შვილად და რომელის დასახსნელადაც ჯვარს ეცვა. შვილი მამამ უნდა აღზარდოს სულით და ჭეშმარიტებით, – და ეს აღზრდა არ უნდა იყვეს ცოცხალს სინამდვილეზედ მოშორებული. არა, მრთელი იმისი სიცოცხლე და ყოველი მოქმედება მისი უნდა იყვეს გამოხატვა ცოცხალი და მხურვალე სიყვარული ჭეშმარიტებისა, რომელშიაც აღმოჩენილია ღმერთი. მხოლოთ ამისთანა სიყვარული შვილებისა არის ჭეშმარიტი და ღირსი სიყვარულის წოდებისა; ყოველი სიყვარული ამას გარდა, არის ეგოიზმი, ცივი თავის მოყვარება. მთელი ცხოვრება დედ-მამისა, ყოველი მათი ყოფაქცევა უნდა იყვეს მაგალითი შვილებისათვის და საფუძველი ერთი ერთმანეთის მიქცევ-მოქცევისა. შვილისა და მშობლებს შორის უნდა იყვეს სიყვარული ჭეშმარიტებისა და არა თავის თავისა. არიან ისრეთი მამები, რომელთაც უყვართ შვილი თავსათვის, – და ამ სიყვარულში არის თავისი ჭეშმარიტი და გონივრული მხარე; არიან ისრეთი მამები, რომელთაც შვილები უყვართ შვილებისათვისვე, – და ეს სიყვარული არის უმაღლესი, უფრო ჭეშმარიტი, უფრო გონივრული; მაგრამ ამ ორგვარ სიყვარულთანავე არის კიდევ უმაღლესი, უჭეშმარიტესი და უგონიერესი სიყვარული შვილებისა – სიყვარული ჭეშმარ-

იტებისათვის, ღვთისათვის. განა იმ მამას უყვარს თავისი შვილი, რომელიცა აყურებინებს პატივისცემით თავისს ცუდსა და გარყვნილ ყოფაქცევასა ისე, როგართაც ერთ რასმეს კეთილშობილურსა და გონივრულსა? განა სულ ერთი არ არის, რომა ბავშვს მოსთხოვო, რომ თავის მხედველობის წინააღმდეგ შავს დაუძახოს თეთრი და თეთრს შავი? აქ არ არის სიყვარული. აქ არის მხოლოდ თავის-მოყვარება, სადაც თავის თავი ჭეშმარიტებაზედ უმაღლესად მიაჩნია. ბავშვს ყოველთვის ექმნება იმდენი გონება, რომ როცა ნახავს იმის დედა სცემს თავ-პირში მოახლოებესა, ან იმისი მამა დათვრება და დაუწყებს დედას ჩხუბსა, გაარჩივოს, რომ ეს ცუდია. რასაკვირველია, თუ დაეჩვია ამისთანა სცენების ყურებასა პატარაობიდანვე და თუ უქე, ეს კარგიაო; შეიძლება სრულიად დაარწმუნო ბავშვი, რომა აი სწორეთ ეს არის ჭეშმარიტი სიცოცხლე; და ეს ექმნება გარყვანა, დაღუპვა იმისი: სად არის აქ სიყვარული? – აქ არის მხოლოდ თავის თავისმოყვარება, რომელსაც უნდა, რომა თავის შვილებში დაინახოს თავისი მახინჯი სურათი, რომ ისინი არ შეიქმნენ მისი სასტიკი, თუმცა ხმის ამოუღებელნი, მსაჯულები. ბუნებისა და სულის კანონის წინააღმდეგ, ადამიანის გონების გახსნის წინააღმდეგ, მამას უნდა რომა მისმა შვილებმა უყურონ ქვეყანას მამის თვალებითა*: მისდევს და უქრობს ყოველს ჭკუის დაუმოკიდებლობასა, ყოველს ნების დაუმოკიდებლობასა, როგორათაც შვილურის პატივისცემის დარღვევასა და როგორათაც მამის უფლების წინააღმდეგობასა, – საწყალ შვილებს არ შეუძლიანთ იმასთან ხმა ამოიღონ, იმათში მოკლულია ენერგია, ნება, ხასიათი. სიცოცხლე, ისინი შეიქმნებიან მართებული ხისაგან გამოჩოკნილი კაცები, მითთვისებენ მონის ბოროტებასა – ცბიერობას, მზაკვრებას, გულდახურულობას, ტყუილის თქმასა, მოტყუებასა, თავის დაძვრენასა.... ჩინეთის ხალხს პატარა ფეხები ქალისა სიმშვენიერეთ მიაჩნიათ, ამისათვის შეუხვევენ პატარა ქალს ფეხებსა ხარის ტყავში და მოხსნიან მაშინ, როდესაც შეიქმნებიან გასათხოვრად;

* ე.ი. მამამ თეთრი რომ აჩვენოს და უთხრას, ეს შავიაო; იმათაც უნდა დაიჯერონ, რომა ის შავია და არა თეთრი; თორემ ეს იქმნება მამის ნების წინააღმდეგი.

და მართლაც ერთი ბეწვა ფეხები აქვთ მხოლოდ ბრუნდები, დამახინჯებული ასე, რომ ქალს შეუძლიან სიარული მხოლოდ ოთახში, ისიც კედელ-კედელ თუ გაჰყვება ან მებეღს მოჰკიდებს ხელსა. ამისთანა არის დაბოლოვება, როცა დააყენებთ ბუნების თავისუფალ ზრდასა! სწორედ ეგრეა მაშინაც, როცა ბუნებითს და თვითმყოფი სულის ზრდას დააყენებენ ხოლმე. აბა, რა ვსთქვა იმ მშობლებზე, რომელთაც აქვთ უბედური რწმუნება, რომა თავის შვილების სასარგებლოდ და ბედნიერებისათვის ისინი ვალდებულნი არიან უფლებდნენ მათს მიდრეკილებაზე, მერე იმისთანაზედ, რომელზედაც დამოკიდებულია ადამიანის მთელი სიცოცხლის ბედნიერება და უბედურება? ხშირად მოხდება ხოლმე, რომა მშვენიერი ყმაწვილი ქალი, ღრმა სულისა, მოყვარული გულის მქონებული, და რომელისაჲ შემთხვევით კარგად აღზრდილი, თავის და საუბედუროდ, რომელსაც შეუძლიან გაამშვენიეროს, ძვირფასად მორთას, გააბედნიეროს სიცოცხლე თავისის ამორჩეულისა, რომელმაც შეიძლო მისი ცნობა, – მიათხოვებენ ხოლმე ვისმე ადამიანის სახის მქონებელსა, მოუხეშავს ცხოველსა დედ-მამის უფლების ძალით, და ესრედ იღუპება საწყალი ზმის ამოუღებლად. ვერვისგან მიუხვედრელისა და გულში ჩამარხულის ტანჯვითა.... საწყალს არც კი შეუძლიან იჩივლოს ვისზედმე. ის დაღუპეს მისისავე სიყვარულისა გამო, მისთვისვე ბედნიერებისა და სიკეთის სურვილის გამო.... ვაი, იმ ადამიანის ბრალი, რომლის ბედიც ბოროტი კაცის ხელთ არის, ვაი, იმისივე ბრალი თუ მისი ბედი, კეთილი, მაგრამ უგუნურისა და უზრდელის კაცის ხელთ არის!... საწყალი ქალები, ყველაზე მომატებულად გამოსცდიან ხოლმე ამ უეჭველ მწარე ჭეშმარიტებასა.... ყმაწვილი კაცი, რომელსაც სხვის ძალდატანებით იმისთანა ცხოვრების გზასა აირჩევს, რომელიც არა ყოფილა მისთვის დანიშნული, ადრე თუ გვიან, თუნდა სულის ძალა გამოკლებული ჰქონდეს, თუცა შეკვეცილი ფრთებითაც იყოს, მაგრამ მაინც კიდევ გამოვა თვისს მოწადინებულს თავის უფალ გზაზე, და ქალები კი!... აბა, რა ვსთქვათ იმ მშობლებზე, რომელნიცა თავისი შვილების ბედითა ვაჭრობენ, ვაჭრობენ სიმდიდრისათვის, დიდ-კაცობისათვის, და ამასთანავე ამას მოქმედებენ მათთვის ვითამ სვინიდიისიანად და

თავის წმინდა მშობლიურის ვალდებულებითა?.. არა, დავსტოვოთ ეს საშინელი საგანი, რომლისაგანაც აღშფოთდება და თრთის ადამიანის ბუნება, თითქოს გველაშაპი ანუ გესლიანი გველი დაინახაო.

გონივრული სიყვარული უნდა იყვეს საფუძველი მშობელთა და შვილებთა შორის. სიყვარულისაგან გამოდის ერთიერთმანეთის ნდობა. – და მამა უნდა იყვეს რამდენადაც მშობლად, იმდენადაც თავის შვილის ამხანაგად. პირველი იმისი ზრუნვა უნდა იყვეს ისა, რომა შვილმა იმას არ დაუმალოს არც იოტის ოდენი თავის სულის მოძრაობა, პირველათ ამასთან უნდა მივიდეს თავისი მხიარულებისა და მწუხარების ამბის სათქმელათა, პირველად იმას უნდა შეატყობინოს თავისი დანაშაული, ცუდი აზრი, ცუდი სურვილი; და სთხოვოს იმასა რჩევა, მონაწილეობის მიღება, თანაგრძნობა, და ნუგეშისცემა. საშინელ შეცდომაში არიან ბევრნი, ასრე გაშინჯე, ზოგიერთი ჩინებულ მამებთაგანიცა, რომელნიცა რაცხვენ მიუცილებელ საჭიროებად შვილების მოქცევას სასტიკად, პირქუშად და მიუკარებელი ამაყობით და ქცევითა. იმათა ჰგონიათ, რომა ამითი შვილები მომატებულად პატივისმცემელნი იქნებიან; მართალია, შვილი პატივისა ჰსცემს, მაგრამა ის პატივისცემა ცივია, მოკრძალებულია, საშიში და მთრთოლვარეა; ამით აძულებენ თავსა და უნებელად შეაჩვევენ ზოლმე შვილებს მალვასა და ცრუობასა. მშობელნი პატივცემულნი უნდა იყვნენ შვილებისაგანა, მაგრამ ეს პატივისცემა უნდა გამოდინარეობდეს სიყვარულისაგანა, მასზედ უნდა იყოს დამოკიდებული, როგორათაც თავისუფალი ხარჯი, უთხოვნელად მისაღები. არაფერი ისრე საშინლად არა მოქმედებს რა ყმარწვილ გულზე, როგორც გულგრილობა და ამაყობა, რომელითაც მიიღება ზოლმე მისი მხურვალე გრძნობის გამოცხადება: არაფერი არა დაასხამს რა იმისთანა მომაკვდინებელ სიცივესა, როგორათაც კეთილგონივრული დარიგება და რჩევა იქა, სადაც ის მოელის თანაგრძნობას. ერთხელ და ორჯელ ამგვარად მოტყუებულს ყმაწვილს გული დაეხურება, მიხვდება თავის მარტოკაობასა, თავის ცალკე ყოფნასა და განსხვავებულებასა ყოველისფრისაგან, რომელიც იმ ცოტას ხნის განმავლობაში ისეთის სიყვარულით და სიხარულით ეხვივნენ

გარეშემო, და გაუჩნდება სულში თავის თავისმოყვარება (ЕГОИЗМ), ის შეეჩვევა ფიქრსა, რომა სიცოცხლე არის ბრძოლა თავისთვისის მოყვარეთა შორის, შმაგი თამაშობა, რომელშიაც ყოველთვის გამარჯვებულია მცბიერი და შეუბრალებელი და დაღუპვილია მოუხერხებელი და მორცხვი. ღია გული ბავშვისა ანუ ჭაბუკისა არის წმინდა წყარო, რომელშიაც სჩანს მოწმენდილი, და მოკაშკაშებული ცა; გულდახურვილი კი არის ბნელი უფსკრული, სადაც დაბუდებული არიან ღამურები და ღომფაშოები... თუ ეს არა, შეიძლება მოხდეს მეორე: ადამიანს, თავისი ბუნებისა გამო, არ უყვარს მარტოკაობა და განშორება, სურს ყოველთვის თანამგრძობელობა და მინდობა თავისი მზგავსისა (ადამიანისა), – ამის გამო ბავშვები მეგობრდებიან ერთმანეთში. შეადგენენ საზოგადოებას, რომელსაც აქვს თავისი საიდუმლოები, რომელსაც საზოგადო და შეერთებული ღონით მალვენ, რომელიცა არასდროს არ არის საკეთილო. ეს უფრო საშიშია მაშინ, როდესაც გაუამხანაგდებიან უცხოებსა, მით უმეტესად, თუ ამორჩეული ამხანაგი არის უფროსი ამამრჩეველზე: ის აჯობებს უმცროსსა, მიიღებს ავტორიტეტობასა მასზედ, და ჩააგონებს ყოველს თავისს მიდრეკილებასა და ჩვეულებასა. – რა იქნება მაშინ, თუ მისი მიდრეკილება და ჩვეულება არის ცუდი და ბოროტი?.. არა! პირველი საქმე მშობელის სიყვარულისა ის არის, რომ შვილი სრულად ენდობოდეს მშობელსა და ბედნიერნი არიან ის შვილები, როდესაც მათთვის განმზადებულია მშობლის მკერდი და ხვევნა, როდესაც იციან, რომ მშობლის კალთა განმზადებულია მართლისადა და მტყუნისა მისაღებათა. როდესაც იციან, რომ შეუძლიანთ უშიშრად და უეჭვოდ გული დაიმშვიდონ მშობლის გულზედა.

ყმაწვილი სული, რომელსაც ჯერ არ გამოუცდია განდევნა და ეჭვი, სულ ღია არის. არის გარეთა: იმან არ იცის სიყვარული ზომიერი. ის მიეცემა თავის საყვარელ საგანსა (უაღთქმოდ), უანგაროთ და უზომოდ. ხედამს მასში სულ მას, რაც კი შეუძლიან გონებამ წარმოუდგინოს. სწამს ისა ყოველის ფანატიკური სიმხურვალითა. და ახლა იფიქრეთ, რა უნდა იყოს ეს სიყვარული მშობლებისაკენ მიმართული, თუ ამისთანა შვილებისათვის

უმაღლესი ბედნიერება ის არის, რომ რაც შეიძლება ხშირათ იყვნენ დედ-მამასთანა, დასტკბენ მათის ლაპარაკითა, წაჰყვენ სასეირნოთ, ჰყვანდნენ ისინი თავისი თამაშობისა და ცელქობის მოწმებად. ჰკითხონ იმათ თუ რამე საეჭვო ექმნებათ, გამოიჩინონ მსაჯულად თავის ბავშვურს ჩხუბში და უსიამოვნობაში! საჭიროა დავაძტკიცოთ, რომა ამისთანა აღზრდაში, მშობლებს მხოლოდ ერთის აღერსით შეუძლიანთ თავის შვილებს სულ, რაც კი სურთ ის აქმნევიონ; მათთვის სულ ადვილია თავისი შვილები ერთნაირსა და რიგიანსა ჯაფასა შეაჩვიონ (ეს არის უპირველესი მხარე აღზრდისა: ურომლისოთაც ბევრი რამ იღუპება ადამიანში). საჭიროა ვილაპარაკოთ მაზედ, რომა ამისთანა მშობლებათვის ძრიელ შესაძლებელია ჯაფა თავის შვილებსა, ჩვეულებად გაუხადონ და დანარჩენი თავისუფალი დროება, ჯაფის შემდგომ, – უმაღლეს ბედნიერებად და ნეტარებად ამაზედ ნაკლები დამტკიცებალა უნდა იმას, რომა ამისთანა აღზრდაში სრულიად უსარგებლო არის ყოველგვარი დასჯა, რომელიც ადამიანების ღირსებას ამცირებს, ბავშვის კეთილშობილურის სულის თავისუფლებას ავიწროებს. სასტიკი შეხედულობა, ცივი ზრდილად მოქცევა, კილოკავად საყვედურის გაგონება, თავაზიანი შენიშვნა და თუ ესეც არა, ბევრი-ბევრი, სასეირნოთ არ წაიყვანო თანა, ან უარი უყო და არ ავდებიანო ყური, როცა მოთხრობასა და ზღაპარს ამბობს თუ კითხულობს დედა ან მამა, ანუ ოთახში დატუსალება, – აი, სასჯელი, რომელიცა თუ იხმარება ზომიერად დანაშაულის მიხედვით, საკმაოა შემაგნებელად, რომ ბავშვმა შეიგნოს, მიონანიოს, მოიქცეს და ატირდეს კიდევცა. ნაზს სულს ყოველისფერი აღებეჭდება, რაც უნდა იყოს: იმას აქვს მახვილი მიდრეკილება, რომლითაც თვითონვე მიხვდება თავის ცუდს მდგომარეობაში ყოფნასა, თუ მოახდინა რამ ცუდი; მოუხეშავი სული კი დაჩვეული სასტიკ დასჯასა, გამაგრდება, განმება, დაიბეგვება, შეიქმნება უსირცხვილო – უნამუსო, – და იგი სრულიად აღარაფრად შემოჩნევს არც ერთს სასჯელსა. საჭიროა ვილაპარაკოთ მასზედა, რომა ამისთანა აღზრდა ადვილიც არის და შესაძლებელიცა, მაგრამ მოითხოვს სრულ ადამიანსა, მთელს მის ყურისგდებასა, და მთელს მისს სიყვარულსა. მშობლები, რომელთაც შვილები-

სათვის უმსხვერპლიათ, მთელი თავისი სიცოცხლე განუწილადე-
ბიათ, იშვიათნი არიან: მაგრამა კიდეც ამათთვის ვამბობთ ჩვენა
და ჩვენს სიტყვას იმათ ვუგზავნით. ღმერთმა ჰქმნას, რომა იმათ
მიიღონ ჩვენი სიტყვა ისრეთის სიყვარულითა და გულმხურვალ-
ებითა, როგორათაც ჩვენ იმათ უგზავნით! იმათ კი, ვინც ესრეთნი
არ არიან, შეუძლიანთ ჩვენ არ დაგვიჯერონ და დაგვცინონ კიდე-
ცა, თუ ნებავსთ... ღმერთმა მშვიდობა მისცეთ!..

ღიღი საქმეა აღზრდა: აქამდინ იმაზედ არის დამოკიდებული
ადამიანის ბედი. ყმაწვილი ხალხი არის სტუმარი აწმყო დროე-
ბისა, და პატრონი მომავალისა, რომელიც არის მათი აწმყო,
რომელსაც მიიღებენ ხოლმე ისინი, როგორათაც მემკვიდრეობასა
თავის ძველებთაგან. როგორათაც ჩასახული მომავალი დროები-
სათვის, რომელიც უნდა შეიქმნეს აწმყოდ. თვითო მათგანი არის
ახალი ჰაზრი, გამზადებული ძველი ჰაზრის შესაცვლელად. კიდეც
ეს არის პირობა წინ წადგომისა და უკეთესობაში მოსვლისა
ადამიანთა შთამამავლობისა. „არ ჩასხმენ ახალ ღვინოს ძველ
ტიკში, – ბძანა იესო ქრისტემ, და მანვე სთქვა მასთან საკუთოხ-
ებლად მოყვანილ ბავშვებზე: „იმათთვის არს სასუფეველი ღვთი-
სა“ მაგრამ ახალი, განამდვილებლად, უნდა ისტორიულად გავრ-
ცელდეს ძველიდგან – და ამ კანონში არის უაღრესობა აღზრდ-
ისა და მითივე მტკიცდება უაღრესობა იმ ხალხისა, რომელნიც
კისრულობენ ბავშვების აღზრდის წმინდა მოვალეობასა.

მთავრობა, დაუღუპებლად მოწადინე ჩვენის სიკეთისათვის,
არასფერს არა ზოგავს საზოგადო განათლების დასაწესებლად
მკვიდრ საფუძველზე. თუმცა ამჟამად არიან მრავალი სასწავლე-
ბლები, მაინც კიდეც აწესებს ახალს და ახალს საუკეთესო საფუძ-
ველით, ძველებსა სცვლის და აუკეთესებს ისრე, როგორც ითხ-
ოვს დროება; ხარჯამს მისთვის მრავალ ფულსა, ვაკანციის გახ-
სნის დროს ამწესებს ყმარწვილ ხალხსა, ძველებზე უმეტესად
ნიჭის მქონებლებსა, რომელთაც შეეძლოსთ ახლანდელი დროებ-
ის საჭიროების აღსრულება, – და ვისაც მიუგდია ყური ამ
მმართველობის ნაწილისათვის, მას არ შეეძლო გაკვირვებულიყო
მასში საუკეთესოდ შეცვლილებისაგან, ჩინებული დაბოლოვები-
საგან. მაგრამ საზოგადო განათლება, რომელსაც უპირველეს მნიშ-

ენელობად აქვს გონების ნიჭის გახსნა და გამდიდრება მისი სწავლით, სრულიად არ არის ისა, რაც შინაური აღზრდა: ერთიც და მეორეც მიუცილებელ საჭირონი არიან და ერთი მეორეთი არ შეიცვლება.

ისრეა! მშობლები, მხოლოდ მშობლები არიან მოვალენი, რომ აღზარდონ თავისი შვილები ადამიანად; მოვალეობა შკოლებისა არის, რომ გამოიყვანონ ისინი მსწავლულებად და ხელმწიფის მოსამსახურედ ყოველს მისს ხარისხზედ; მაგრამ ვინც ყველაზე უწინ არ შექმნილა ადამიანად, ის ვერაფერი მოყვასი იქმნება სხვისათვის და მოსამსახურე ხელმწიფისა. აქედგანა სჩანს რა უწარჩინებულესია, დიდი და კურთხეული ღირსება აღმზრდელისა: იმის ხელშია ადამიანის სვე მთელ სიცოცხლეში. პირველი აღბეჭდილება შემძლებელად მოქმედებენ ყმარწვილ სულზე; მთელი დანარჩენი განვრცელება იმისი დამოკიდებულება მის ზედმოქმედებაზე. ყოველი კაცს, რომელიც ჯერ არ დაბადებულა ქვეყანაზე, თავის თვისში აქვს შემძლებელობა (ВОЗМОЖНОСТЬ) იმ ფორმისა, როგორიც მისთვის საჭიროა. ეს შემძლებელობა არის იმის აგებულებაში, რომელზედაც არის დამოკიდებული მისი ზასიათიცა, მისი გონების ღონეცა, მისი მიდრეკილებაცა და ერთისა თუ მეორე მოქმედებისა, ერთისა თუ მეორე როლის ნიჭი საზოგადო დრამაში, – ერთის სიტყვით, მთელი მისი ადამიანობა. თავისის ბუნებით არავინ არ არის უმაღლესი და უმდაბლესი თავის თავზე; ნაპალიონად და შექსპირად უნდა დაიბადოს ადამიანი, მაგრამ არ შეიძლება გახდეს; კარგი აფიცერი ხშირად შეიქმნება ცუდ გენერალად და კარგი ვადევილისტი ცუდ ტრაგიკად. ეს არის ბედისწერა, რომელთანაც უღონოა ადამიანის ნებაცა და თვით უბედნიერესი გარემოებაცა. მნიშვნელობა ადამიანისა არის განვრცელება მისს ბუნებაში იმ მარცვლისა, რომელიცა სძევს სულის ღონისძიებად, შეიქმნეს თავის თვისის თანასწორი; მაგრამ იმის ნება არ არის და ძალა არა აქვს, რომ შეიძინოს ჯაფითა და ძალდატანებით მომატებული იმაზე, რაც მისთვის ბუნებას მიუნიჭებია, და შეიქმნას თავის თავზე უმაღლესი და აგრეთვე არ შეუძლია არ იყოს იმათ, რაც წინათვე დანიშნული აქვს, მაგალითებრ, თუ დაბადებულა ხელოვანად (ХУДОЖНИКОМ)

არ შეუძლიან შეიქმნას მსჯელად (МЫСЛИТЕЛЕМ) და სხვანი. და აი აქ აღზრდას აქვს თავისი ჭეშმარიტი და უმაღლესი მნიშვნელობა. ცხოველი დაბადებული ლომისაგან, შეიქმნება ლომი, იმისათვის საჭირო არ არის ცლა და ძალდატანება თავის მხრით, არც ბედნიერი გარემოება; მაგრამ ადამიანი, დაბადებული არამც თუ ლომად და ფოცხვერად, თუ არის დაბადებული კაცად მთელის ამა სიტყვის ჰაზრით, შეიძლება გახდეს მგელიცა და დათვიცა, ერთის სიტყვით, რაც გინდათ. ხშირად ადამიანი დიდი ღონისძიების მქონებული დიდის საქმისათვის, გამოიჩინეს მხეცურ ღონეს, რომელსაც ხმარობს ყოველი მის გარეშე მყოფის დასაღუპავად და ასრე გაშინჯე თავის თავის დასაღუპავადაც, და სხვა არაფრისათვის. და თუ არიან ხოლმე ისრეთი მდიდარი და ძალოვანი ბუნების მქონებელნი, რომელნიცა თავისი სიღრმით და ძალით დაიხსნიან ხოლმე თავის თავს დაღუპვისაგან და დამახინჯებისაგან ცრუ გონების გახსნისა და ცუდი აღზრდის გამო, – იმითი არ შეიძლება საეჭვო იყვეს მაინცა ისა, რომა ისრევე იმ ბუნების მქონებელნი, მაგრამ კანონიერად გონება გახსნილნი და გონივრულად აღზრდილნი პირდაპირ მივიდოდნენ თავის საგანთან, მოუდალაგის და მოუკლებელის ძალის მქონებელნი, მძიმე და უნამყოფო ბრძოლაში შემთხვეულ წინააღმდეგობისაგან. გონივრული აღზრდა ბუნებით ბოროტად დაბადებულსაც ან მოაკლებს ბოროტებასა და ზოგჯერ შეიქმს კეთილად, ახსნის რომელსამე ხარისხამდინ თვით უნიჭო გონებასა და შეძლებისდაგვარად გადაამიანებს თვით შემოკლებულსა და მქრალ ბუნებასა: ასრეთვე ტყის მცენარეს, როცა გადარგვენ ბაღში, მოუვლის მებაღე, შეიქმნება ფერთაც მდიდარი და ნამყოფითაც გემრიელი. ყველანი არ დაიბადებიან ვაჟკაცად, ხელოვანად (ХУДОЖНИКОМ), მეცნიერად; გენიოსი არის საუკუნოების მოვლინება, იშვიათი ძლიერი ნიჭის მქონებელნიც შეარდგენენ სხოლიოს საზოგადო კანონიდგან. – და ამ შემთხვევაში კაცობრიობა (ЧЕЛОВЕЧЕСТВО) არის ჯარი, რომელშიაც შეიძლება თითქმის მილიონი სალდათი, მაგრამ მხოლოდ ერთი ფელდმარშალი, და თვითო პოლკში მხოლოდ თითო პოლკოვნიკი, და ას სალდათზე თვითო აფიცერი. ამგვარივე პრაპორცია არის უმრავლეს ხალხთა და იმ ადამიანთა შორის, რომელნიც

არიან ღრმა და დაუსრულებელი ბუნების მქონებელნი, რომელთა მნიშვნელობაც არის ყოველისფრის გაგება, ყოველისფრის თანაგრძნობა და ყოველისფრის გაკეთილშობილება და გაბედნიერება თავის ზედმოქმედებით და არა გამოჩინება რომელსამე ერთ მხრის მოქმედებით, რომელიც შეარდგენს გენიის მოწოდებასა და ნიჭსა. ბუნება არის მზოგველი და არა ძუნწი თავის საჩუქრით და როგორათაც გამოჩინება სამარადისო მეცნიერებისა, ის სასტიკად იცავს თავისს იერარხიულ წესსა (табель о рангах). მაგრამა ბუნებაში ყოველისფერს აქვს თავისი შესაფერი მნიშვნელობა, კაცობრიობაში და სამოქალაქო საზოგადოებაში, რომელის მიზეზითაც ყოველი კაცი, რანაირი ნიჭიც უნდა ჰქონდეს, პოულობს თავის ადგილს ან ერთში ან მეორეში. ადგილი კი არ ამცირებს კაცსა, ადამიანები ადგილს ამცირებენ. თვით უპირველესი შესაფერი ადგილი კაცისათვის არის ისა, რომელისათვისაც მოწოდებულია და მოწმობა მოწოდებისა არის მისი ნიჭი, ნიჭის ხარისხი, მიდრეკილება (наклонность) და მიღევნა (стремление). ვინც მოწოდებულია დიდის საქმისათვის კაცობრიობაში, აღასრულოს ისა: მას ეკუთვნის პატივი და დიდება, გენიის ჯილა, ვისთვისაც დანიშნულია წყნარი და არ გამოუჩენელი ბედი — შეიძლოს იმაში ბედნიერების პოვნა, შეიძელ სარგოიანად მოქმედება მცირეს ასპარეზზედაცა, შეიძელ იყო ღირსი, პატიოსანი მცირე საქმეშიაცა. ყოველი სურვილი ვერშესაძლებელისა — არის ტყუილი სურვილი; ყოველი წადილი თავის თავზე უმაღლესად და თავის ღონიძიების უმაღლესად ყოფნისა, არ არის კეთილშობილური გრძნობა. საგანი ჩვენის წადილსა არის დაკმაყოფილება, და ყოველი ადამიანი დაკმაყოფილდება არც მეტით და არც ნაკლებით მხოლოდ იმითი, რაც იმისთვის საჭიროა; და ვინც იმოვნა თავის კმაყოფილება მცირე ასპარეზზედ, ის ბედნიერია იმაზე, რომელსაც აქვს სულისა მრავალი ღონისძიება, და ვერა პოულობს თავის კმაყოფილებასა. პატიოსანი და კვლად ჭკუიანი ხარაზი, რომელმაც სულიად კარგად იცის თავისი ხელობა და იღებს იქიდან ყოველისფერს, რაც იმას უნდა საცხოვრებელად, უმაღლესია ცუდ გენერალზე, თუგინდ ის გენერალი იყვეს თვითონ მელასი, უმაღლესია მეცნიერ-პედანტზე, უმაღლესია ცუდ ლექსთ

მთხზველზე. უპირველესი საგანი კაცისა ის არის, რომ ყოველს მოქმედებაში, ყოველ საზოგადო იერარხიის კიბის საფეხურზე იყვეს ადამიანი. თუმცა ბუნება მოგვაგვლინებს ზომიერად დიდი გენიის მქონებელსა ამ სულიერო ქვეყანაში, მაგრამ უხვად დაუსრულებლად დაბადებს ხოლმე სულისა, ნიჭის და გულისყურის მქონებელ ხალხსა, ერთის სიტყვით, ყოველისფრით სავსეს რაც კი საჭიროა კაცისათვის, რომ მიიღოს უმაღლესი ღირსება ადამიანობის სახელწოდებისა. ხალხი უგულისყურო, უნიჭო, გონებადაბნელებული ისრეთი იშვიათია, როგორათაც მახინჯები სხეულითა, და ისრე ცოტანი არიან, როგორც მახინჯები. ისინი მრავლდებიან ორის მიზეზისაგან, რომელშიაც ბუნებას სრულიად არა აქვს დანაშაული: ცუდის აღზრდისაგანა და საზოგადოდ ცრუდ გონების განსწინისაგანა. და კიდევ იმისაგანა, რომა იშვიათად ნახამთ კაცსა თავის გზაზე და თავის ადგილასა, რისთვის არის კაცი მოწოდებული, ან რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს კაცსა ამ ქვეყანაში, ეს ძნელი მისახვედრი საქმეა, და ხშირად თუ არ მიაგლე სხვა ცხოვრების გზაზე, ის თვითონ დაჰკარგავს გზასა შეუგნებლობის და პრეტენზიის ხელთმძღვანებითა. მაგრამ, რომ შესაძლებელი იყოს ყველასათვის ერთნაირი კანონიერი აღზრდა, მაშინ ბუნებისაგან დაჩაგრულების რიცხვი დაცოტავდებოდა იქამდისინ, რომა მართლა ბუნებისაგან დაჩაგრულებს პირდაპირ მიიღებოდნენ კუნსთკამერში სპირთ ეასხმულებმინებში და ამისათვის, აღზრდა, ხალხის სიმრავლის შეფარდებით, შეიძინებს კიდევ მომატებულ უაღრესობასა: ის არის სუყოველისფერი – სიცოცხლეცა, სიკვდილიც, დახსნაცა და დალუპვაცა. მაგრამ მისთვის, რომა აღზრდა შეიქმნეს სიცოცხლედ და არა სიკვდილად, დახსნად და არა დალუპვად, უნდა ხელი აიღოს თავის ნებით და მოგონილი (ИСКУСТВЕННОЙ) თვის მოქმედების პრეტენზიისაგან. აღზრდა უნდა იყვეს თანაშემწე ბუნებისა – მეტი არაფერი. თითქმის ყოველთვის ჰგონიათ, რომა ბავშვის სული არის თეთრი ფიცარი, რომელზედაც შეიძლება დასწერო რაც გინდა, და ის კი აღარ ახსომთ, რომა ყოველი კაცი არის სრულიად განსხვავებული, რომელიც შეიძლება კიდევ გაფუჭდეს და კიდევ გაკეთდეს – მხოლოდ თავისდაგვარად. აღზრდას შეუ-

ძლიან ადამიანის გაფუჭება, დამახინჯება იმის ბუნებისა; უკეთესად ის ვერ შეჰქმნის, და მხოლოდ შველის ქმნასა, თუ კი მართლა ბავშვის სული არის თეთრი ფიცარი, მამასადაძმე, თვისება და ჰაზრი იმ ასოებისა, რომელსაც იმაზედა სწერს ცხოვრება, არის დამოკიდებული არამც თუ დამწერზე და საწერ იარაღზე, თვითონ იმ ფიცრის თვისებაზედაცა, რომელზედაც სწერს. ადამიანს არ შეუძლიან არაფერი შეიტყოს, რაც უნდა იყვეს კაცში, ამისათვის, რომა ყოველი ჭეშმარიტება მისაწთომელი მისი გონებისათვის, არის გაარსებული კანონი მისივე საკუთარი მეხსიერებისა, და სხვა არაფერი. და კიდევ ამისათვის არის თანდაყოლილი ჰაზრები (идеи), რომელნიც არიან განუშორებელი შთაჭვრეტა (созерцание) ჭეშმარიტებისა, ადამიანის აგებულების საიდუმლოში ჩაყოლილი. ბავშვს ვერ დააჯერებ, რომა ორჯელ ორი არის ხუთი, და არა ოთხი. მაგრამა არიან ამაზედ უმაღლესი ჭეშმარიტებანი, რომლებსა თესლი არის კაცის სულში, რომელსაც სულ არ უფიქრნია მათზე!..

არა, ბავშვის სული ხის თესლია, რომლისაგანაც შეიძლება შეიქმნას ადამიანი და არა თეთრი ფიცარი! თუცა ძრიელ დამკვლევული ჰაზრია აღმზრდელისა და მებადის დადარება, მაგრამ ძალიან მართალია, და ჩვენ არ გვეძნელება მოვიხმაროთ ესა. დიას, ბავშვი არის ნორჩი, მომწვანო კლერტო, ახლად გამოსული, თავის მარცვლისაგან და აღმზრდელი არის მებაღე, რომელიც უვლის იმ ნაზ ამოსულ მცენარეს. დამყნით ტყის ვაშლსაც, შეიძლება, მოასხმევინო წვრილი მაცკე ვაშლის მაგიერად ბალის ვაშლი, გემრიელი და სხვილი; მაგრამ ამაო იქნებოდა ყოველი შრომა ხელობისა ცდილიყო, რომა მუხისათვის მოესხმევინებია ვაშლი და ვაშლისათვის — რკო. და სწორედ ამაში არის ხოლმე შეცდომა აღზრდისა: დაივიწყებენ ხოლმე ბუნებასა, რომელიც აძლევს ბავშვსა მიდრეკილებასა და ნიჭსა და რომელიც წინათვე დაუნიშნამს ადამიანს ცხოვრებასა და ჰგონიათ, რომა ოღონდ ხე კი იყოსო, თორემა შეიძლება მოასხმევინონ, რაც უნდათ, თუ გინდ კაკლის მაგიერად საზამთრო.

მებადისათვის არის კანონი დადებული, რომელსაცა მიუცილებლად ხმარობს ხეების მოვლაში. ის იქცევა თანახმად არამც თუ

თვითო მცენარის ბუნებისა შესაფერად ცალ-ცალკე, ის საზრავს წლის დროებასაცა, დარსაცა და მიწის თვისებასაცა. ყოველ მცენარეს აქვს მებაღისათვის თავისი დროება აღზრდისა, რომლისდა კვალადაც დააწყობს თავის მოქმედებასა: ის არ დამყნის ჯერ კარგად გაუმაგრებულ ხის შტოზე, არც ბებერ ხეზე, რომელიც გახმობაზეა მიმდგარი. ადამიანს აქვს თავისი ზრდის დროება, რომელსაც, თუ არ განსაზრავ, შეიძლება, რომ გაუქრო ყოველი გულისყურის გახსნა.

აღზრდის იარაღი და საშუალო უნდა იყვეს სიყვარული, და საგანი — ადამიანობა (ЧЕЛОВЕЧНОСТЬ). ჩვენ ამ ჰაზრით ვამბობთ პირველ აღზრდაზე, რომელიცა უაღრესია ყველაზე. ყოველ კერძობითს ანუ განსაკუთრებითს მიმარჯვებას, რომელსაც აქვს წინათ განზრახული საგანი რომელისამე საზოგადოების მხარესადმი, აქვს ადგილი მხოლოდ შემდგომს, დასასრულს სწავლაში. ბავშვის პირველ აღზრდაზე უნდა ჰქონდეთ მხედველობაში, რომა იმას ამზადებთ არა ჩინოვნიკად და არა პოეტად, არა ხელოსნად, არა, ის უნდა მზადდებოდეს მისთვის, რომ შეიქმნას ადამიანი, რომელსაც ბოლოს დროს შეეძლოს ჩინოვნიკადაც ყოფნა, პოეტადაც და სხვათა და იმავე დროს ისრევ ადამიანი იყვეს. კაცობრიობას (ЧЕЛОВЕЧНОСТЬ) ვეძახით ჩვენა აქა ერთს ადამიანში ცოცხლად შეერთებულს იმ სულის საზოგადო ელემენტია, რომელიც ერთნაირად მიუცილებლად საჭიროა ყოველი ადამიანისათვის, რომელ მილეთსაც (НАЦИИ) უნდა ეკუთვნოდეს, რომელი წოდებისაც უნდა იყვეს, რომელს სიცოცხლის ხანში და რა გარემოებაშიაც უნდა იყვეს, — იმ საზოგადო ელემენტისასა, რომელიცა უნდა შეარდგენდეს მისს შიგნით სიცოცხლესა, მისს უძვირფასეს საუნჯესა და რომლის უქონლობითაც ის არ არის ადამიანი. ამ სულის საზოგადო ელემენტებს უწოდებთ ჩვენა — მიწთომას ყოველ კაცობრივის გრძნობისასა, ყოველის კაცობრივის ჰაზრისასა, ბუნების ძალისა და განათლების ხარისხისდაგვარად ყოველი ადამიანისა. ადამიანი არის გონივრულ-შემგნებელი არსება (СУЩНОСТЬ) და ორგანი ყოველი დაარსებულია. — და აქედამ მიიღებს თავის ღრმა და უმაღლესს მნიშვნელობას თქმული: „Я человек - и ничего человеческого не считаю чуждым

მნე“; ე. ი. „მე ვარ ადამიანი – და არაფერი ადამიანური არ მეუცხოება“. რამდენათაც უმეტესად ღრმაა და მახვილი ბუნება ადამიანისა, მით მომატებულად არის ისა ადამიანი და მით მომატებულად ადვილი მისახვედრელია მისთვის ადამიანური. ის მიხვდება ბავშვის სიხარულით ჭყობისა მფრინვლის გაფრენის დანახვაზე, ჭაბუკის ცეცხლებერ აღვზნებულ გულის სასტიკ აღელვებულს გულის-ვნებასაცა, ვაჟკაცის მშვილობიანს თავის-შეოკებასაცა, მოხუცებულის გარინდებულ შთაჭვრეტასაცა, დამდაგველს თვისგანწირულებასაცა, ველურს მხიარულებასაცა, გამოუთქმელ ტანჯვასაცა, მღუმარე მწუხარებასაცა, ბედნიერი სიყვარულის სიხარულით აღტაცებასაცა, განშორების მწუხარებასაცა, აღმოფხვრილ გრძნობის ცრემლსაცა, თვალის გამოუთქმელ ვედრებასაცა, თვის უარყოფის უაღრესობასაცა, ლოცვის სიტკბოსაცა, და ყოველისფერს, რაც არის სიცოცხლეში და რამიაც არის სიცოცხლე. გამოცდა და გამოცდილება არ არის მიუცილებელი საჭიროება ამისთანა ყოველისფრის მიმხვედრისათვის: ბავშვისა, ჭაბუკისა, ვაჟ-კაცისა, მოხუცებულისა და ქალის საცინობლად მისთვის საჭირო არ არის რომ იყვეს ერთი ან მეორე! ან მესამე. იმი-სთვის არც ის არის საჭირო, რომ იყვეს იმ მდგომიარეობაში, რომელშიაც ისინი არიან: ოღონდ კი წარმოუდგეს გამოჩინება (явление), მაშინ იმისი გრძნობა მიუხვედრელადაც გამოეხმაურება და მიხვდება იმასა. ყოველისფერისათვის ექმნება იმასა ალერსიცა, პასუხიცა, მონაწილეობის მიღებაცა, ნუგეშისცემაცა, წმინდა მხიარულება მოყვასის ბედნიერებაზე, გულის შეტკივნება მის მწუხარებაში, ღიმილიცა მის სრული ნეტარების შეხედულობაზე, ცრემლიც მისს მწარე ცრემლზე! იმან იცის, რომ არამც თუ შესაძლებელია სისუსტე და შეცთობა ადამიანისა, იმან იცის თვით შეცოდებაცა და დანაშაულიცა: იმას ეჯავრება შეცოდებაცა და დანაშაულიცა, მაგრამ გული შესტკივა შემცოდველისათვისაც და დანაშაულის მომქმედისათვისაცა. მისი გული თანასწორად მიიღებს მეგობრის გულითად საიდუმლოსაცა, ყმარწვილი, ტანჯული სულის აღსარების თქმასაცა, თუმცა ნეტარებით მოქანცულ სულის თქმასაცა, ტანჯვით დამზრალ გულსაცა, გოდებით შემნანიებელსაცა და თვით უსაშინელეს გულის ვნებისა და შეც-

ოღების მოთხრობასაცა. ის პატივისცემით მიიღებს მეგობრის გრძნობასაცა და მტრისასაცა; იმისთვის წმინდა არის მწუნარება და მხიარულება ნაცნობისა და უცნობისა. იმასთან ისე თბილა და შვება მიეცემა თავისას და სხვისასაცა; ის ყველას აგრძნობინებს მინდობისა და გულის სურვილის განხილვასა. იმის სულში იმდენია სითბო და სიწრფოება, მისს ლაპარაკში ისრეთი თავდაბლობაა და დაფიქრება. მისს მიხრა-მოხრაში იმდენი სირბილე და თავაზიანობაა. რა შვება მიეცემა ადამიანსა, როცა ნახამს მოხუცებულსა, რომელსაც არ მიუღია განათლება და არა ყოფილა აღზრდილი, რომელსაც გაუტარებია თავისი მთელი სიცოცხლე საქმის კეთებაში, არ იცის არაფერი გონების მოსასაზრავი, ოცნებითი და პოეტიკური, – რა სასიამოვნოა შეხვედრა თბილი გრძნობისა, რომელიც არ არის შევიწროებული წლოვანობის ტვირთით და ცხოვრების მძიმე მზრუნველობით, სიყვარულისა და დათმობისა ყმაწვილი ხალხის ქარიანობით შექცევისა, მისს ამბოხიერ მხიარულებისა, მისს ოცნებასა სამწუნაროსაც, ნათელსაც, გულითადაც და ამპარტავნულსაცა! რა სასიამოვნოა, როცა ნახამ მის სახეზე მშვიდობიან ღიმილსა სიმღერისა, ლექსებისა და მოთხრობის გაგონების სიამოვნებით მოყვანილსა ან წმინდა ცრემლს ღმობიერებისასა!.. ო, დაიჩოქეთ ამისთანა მოხუცებულის წინ, ბედნიერებად და პატივისცემათ შერაცხეთ მისი ალერსით მოკითხვა, მის მეგობრული ხელის ჩამორთმევა: იმას აქვს ადამიანობა (ЧЕЛОВЕЧНОСТЬ)! ის მილიონჯერ უკეთესია იმ ეჭვიან და გულასუყეებულ ყმაწვილ კაცებზე, რომლებიც დამჭკნარები არიან უდროვოთ, – იმ პატიოსან მელოტებზე და ჭადარიანებზე, რომელთაც სიძველით უნდათ შესცვალონ ჭკუა და ნიჭი, ცივი უბინაო ლაპარაკით თბილი გრძნობა, გარეგანის და ნათხოვარი ჩინებულების ბრწყინვალეობით თავიანთი შიგნითი ფუღოლა და შეურაცხება (სიკინინე), და დიდებული და სასტიკი განმსჯელობით ზნეობაზე – თავიანთი ხის გულების სიმთელე და მოკვდინება.

მისთვის, რომ არ განვიძეოროთ ერთი და იგივე, ჩვენ შეუდგეთ ბავშვების წიგნებსა – უმთავრეს საგანს ჩვენი სტატიისას და მათი თვისების გაშინჯვით შევასრულებთ ჩვენს შენიშვნას ბავშვების აღზრდაზე საზოგადოთ.

ბავშვების აღზრდას, რაც უნდა იყოს, კიდევ მომეტებულად ყურს უგდებენ, ვიდრე ბავშვების საკითხავ წიგნებსა. წიგნები, ერთის სიტყვით, ეჯავრებათ კიდეცა, და თუ ყიდულობენ ხოლმე, ისიც სურათების გულისათვის. ისეთი ხალხნიც არიან ზოგიერთნი, რომელთაც ბავშვებისათვის წიგნის კითხვა უფრო სავენებლად მიაჩნიათ, ვიდრე სასარგებლოდ. ეს შეცდომა არის, ბარბაროზული წინადაგანსჯა. წიგნი არის სიცოცხლე ჩვენის დროებისა. ის ყველასათვის საჭიროა – მოხუცებულებისათვის, ყმაწვილებისათვისაცა, საქმიანებისათვისაცა და უსაქმოებისათვისაცა, ბავშვებისათვისაც – ეგრეთვე. საქმე წიგნის ამორჩევა არის და ჩვენ პირველნი იმის თანახმანი ვართ, რომ ცუდათ ამორჩეული წიგნის კითხვა უფრო ცუდიც არის და სავენებელიცა, სრულიად უკითხველობაზედა: ბავშვს პატარაობითვე, უნდა აუხსნა გრძნობა მშვენიერებისა (ЧУВСТВО ИЗЯЩНАГО) რადგანაც ეგ ერთი პირველთაგანი ელემენტია კაცობრიობისა; მაგრამა აქედგან სრულიად ის არა სჩანს, რომ შეიძლებოდეს მათთვის რამანისა, ლექსთ თხზულებისა და სხვა თხზულების რისამე ხელში მიცემა. არაფერი არ არის რა ისრე სავენებელი და საშიში, როგორათაც უდროოდროთა ბუნების წინააღმდეგად გახსნა გულის-ყურისა. ბავშვი უნდა იყვეს ბავშვი და არა ჭაბუკი და ვაჟკაცი. პირველი გულში ჩაჩნეული ძლიერია, და დაბოლოება უდროოდ კითხვისა იქმნება ოცნებიანობა (МЕЧТАТЕЛЬНОСТЬ). ცარიელი და ცრუ ფიქრობა, შეძლება მხნეობითის და გამსჯელობითი მოქმედებისა, მიდრეკილება ისრეთი გრძნობისა და მდგომარეობისა სიცოცხლეში, რომელიც არ შეშენის ყმაწვილსა. ჭაბუკი, რომელსაც არ გამოუვლია შუაკაცობა და შექმნილა მოხუცებული, ისრეთი საძაგელია, როგორათაც მოხუცებული, რომელიცა ჩემობს ჭაბუკობასა. სუყოველისფერი კარგია და ჩინებული თავის დროს და თავის თავის შესაფერად. ყოველისფერს თავისი რიგი აქვს. ბუნების წინააღმდეგად და უდროოდროთ გონებაგახსნილი ბავშვი არის – ზნეობით მახინჯი. ყოველი უდროოდ ასაკში მოსული (დამწიფებული) ჰგავს სიყმაწვილის ხრწნილებასა (გაფუჭებასა). ხელოვნება (ИСКУССТВО) იმ ზომიერებამდინ არის ჭეშმარიტი ყოველი ადამიანისათვის, რამდენსაც ის პოულობს ხელოვნებაში მის ახ-

სნასა, რაც თითონ იმაში ცხოვრებს, როგორც გრძნობა, – რაც იმისათვის მისახვედრია, როგორათაც საჭიროება სისრულისა. როდესაც იმას ვერა ჰპოებს ხელოვნებაში, მაშინ ხელამს მხოლოდ ფრაზებსა, გაჰყვება იმასა, და პატიოსანი, კეთილი კაცისაგან შეიქმნება მაღალფარდოვანი მსჯელი ყბედი, ცარიელი და მომაბეზრებელი მეფრაზე (фразеръ). რალა ვსოქვათ ბავშვებზე, რომელნიცა, თავის ხნის შესაფერად, ვერ პოულობენ პოეზიაში თავისი სულის შიგნიერ ცხოვრების გარდაცემას (отражение)! რაც ხელოვნებასაც ვერ მისწვდებიან ბავშვები, იქიდგან უნდა გამოვრიცხოთ ხელოვნება მუზიკისა. ეს ხელოვნება, რომელიც არ ამბობს ცხადად არაფერს ჰაზრსა, არის რალაც მოცილებული ბუნებისა, თანხმობა (гармония) ბუნებისა, გრძნობა დაუსრულებელისა, გაარსებული ხმად, რომელიც განაღვიძებს ადამიანის გულში ძალოვან კვეთებასა (აღფრთოვანებასა) და ლტოლვას დაუსრულებელისადმი, აღიყვანს იმ ზესთა ზენას, ვარსკვლავთ უმაღლესს მყოფ ცაში, მაღალ განძრახვისა და ნეტარების კმაყოფილებებისათვის, რომელიცა არის ნათელი სამშობლო ძირს მცხოვრებლებისა, საიდგანაც ესმისთ იმათ უწინარესი მეტყველებანი სიცოცხლისა მუზიკის მოქმედება ბავშვზე კეთილია და რაც ადრე დაიწყობენ მის შინჯვას თავის თავზე, მით უკეთესია იმათთვის. ისინი ვერ გადმოიღებენ თავის ბავშვურ ენაზე მუზიკის გამოუთქმელ მეტყველებასა, მაგრამ გულში აღიბეჭდვენ, – ვერ ილაპარაკებენ იმაზე თავისებურად, არ შექმნიან სჯას უსაფუძვლო ლაპარაკითა; მაგრამ ისა აავსებს ბუნების თანხმობით მათს ყმარწვილ სულსა, გაავრცლებს მათში სიცოცხლის საიდუმლობისა წინად შეგნებას, შემთხვევითს გამოჩინების მოშორებულსა, და შეასხამს მსუბუქ ფრთებსა, რომა ამ ქვეყნის დაცემული სიმდაბლიდგან ამაღლდენ ზესთა-ზენას – სულის ნათელ სამშობლოში...*

* აქ დავტოვე გადმოუთარგმნელად ცოტაოდენი ადგილი მუსიკის სწავლების შესახებ და ამას და გარდა ამაზედ ბაასი, რა უნდა იკითხონ ბავშვებმა; და რადგანაც ჯერ ჩვენ, ქართველებს არამც თუ ბავშვების წასაკითხავი და არაც არაფერი დიდრონებისათვისა გვაქვს, ამის მიზეზით, ვარჩიე იმ ადგილის თარგმნა, სადაც უფ. ბელინსკი ლაპარაკობს იმაზედა, როგორ უნდა დაიწეროს ბავშვებისათვის წიგნები.

წიგნები, რომელიც იწერებოდა ბავშვებისათვის, უნდა შეირიცხონ ბავშვების აღზრდის დაწყობის დროში, როგორათაც ერთი უმთავრესი მისი მხარე. ჩვენი ლიტერატურა განსაკუთრებით ღარიბია წიგნებით აღზრდისათვის, უვრცელესი ამა სიტყვის ჰაზრით, ე. ი. როგორათაც სასწავლებელი წიგნებით, აგრეთვე სალიტერატურო ბავშვების წიგნებით. მაგრამ ეს სიღარიბე ჩვენს ლიტერატურასა ჯერა ძირითად არ დაეყვებოდა. გამინჯეთ მდიდარი ლიტერატურა ფრანკუზებისა, ანგლიჩნებისა, და თუ გინდნემცებისაცა: იმათ ყველას ბევრი აქვს ბავშვების წიგნები, მაგრამ ბავშვებს კი საკითხავი არა აქვს რა, ან თუ აქვს ისიც ძირითად ცოტა. ფრანკუზებში, მაგალითებრ, სწერდენ ბავშვებისათვის ბერკენი, ბული, ჟანლის (ქალი) და სხვანი, დასწერეს მრავალი, მაგრამ ბავშვებს სრულიად არა მომატებიათ რა. ეს ადვილი ასახსნელია. ბავშვებისათვის მწერალი უნდა დაიბადოს და არა შეიქმნას მწერლად. ეს თავისდაგვარი ნიჭია. აქ საჭიროა თავისდაგვარი გენიაც, არამც თუ მხოლოდ ნიჭი... დიხ, ბევრი, ბევრი პირობა უნდა, რომ შეიქმნას ბავშვებისათვის მწერალი: აქ საჭირონი არიან, — სული კეთილმობიერი, მოყვარული, მშვიდი, უწყინარი, ბავშური — გულწრფელობა, ჭკუა ალატებული, განათლებული, საგანის შინჯვის შეხედულება (ВЗГЛЯД) ცხადი, და არამც თუ მხოლოდ მახვილი მოაზრება, არამედ ცოცხალი, პოეტური ფანტაზიაცა, რომელიც არის მინიჭებული და შეუძლიან წარმოადგინოს ყოველისფერი განსულიერებულად და მრავალფერ სურათებად. რასაკვირველია, რომა ბავშვების სიყვარული, ღრმად ცოდნა მათის საჭიროებისა, განსაკუთრებით და შესაფერად მათის ხნიერებისა, არის ერთი უმთავრესთაგანი პირობა.

პირდაპირი და განუშორებელი მოქმედება ბავშვის წიგნებისა უნდა იყოს მიმართული ბავშვების გრძნობაზე და არა მათს გონებაზე. გრძნობა წინამძღოლია ცოდნისა; ვისაც არ უგრძნობია ჭეშმარიტება, ის არც მიხვედრია ჭეშმარიტებასა და ვერც გაუგია. ყმარწვილობის ხანში გრძნობა და გონება სრულიად წინააღმდეგნი არიან ერთმანეთისა, ერთმანეთის მტრობაში არიან, ერთი ჰკლამს მეორესა: უმეტესი განვრცელება გრძნობისა აძლევს იმათ სისრულეს, თანხმობასა და სიცოცხლის პოეზიასა; უმეტესი გან-

ვრცელდება გონებისა დაღუპვამს იმათს გულში მდიდარ ყვავილს გრძნობისასა და აღზრდის მათში ლენცოფას უსაფუძვლო ლაპარაკისასა. ბავშვის ჭკუა, რომელიც მარტო გონებითს საგანში გავარჯიშებულა, ბუნების და სიცოცხლის ცოცხალ გამოჩინებაში (ЯВЛЕНИЯ) ხედამს მხოლოდ მკვდარ ფორმებსა, რომელთაც არა აქვსთ სული და საგანი, და ლოგიკური განმარტება მათთვის – ჭიანი თხილის ნაჭუჭია, რომელიც მხოლოდ კბილებს გაუფუჭებსთ. რასაკვირველია, ცალპირობა (ОДНОСТОРОННОСТЬ) საუნებელია აღზრდაშიაცა და ბავშვის გონებისათვისაც საჭიროა გახსნა როგორათაც გრძნობისათვის; მაგრამ გონების გახსნა ეკუთვნის მეორე აღზრდის მხარესა – სწავლასა. შკოლასა. როცა ხელში აიღებს გრამატიკასა, მაშინ ბავშვი შევა წარტოლვილისა (ОТВЛЕЧ.), ლოგიკური დაწყობისა და განწყესებულების სწავლაში. ყოველისფერს თავისი ადგილი აქვს და არც ერთი მხარე სულისა არ უნდა უშლიდეს მეორესა; დეესხენ კლასში ბავშვს გონება გაეხსნეს და შეეჩვიოს ნელ-ნელა ლოგიკურ სასტიკ დისციპლინასა; დეესხენ, ბავშვმა საჯოს სასწავლებელი წიგნით ხელში, როდესაც ემზადება კლასში წასასვლელად; როდესაც კი კლასსიდან გამოვიდა და გამოიხურა კარები, დეესხენ შევიდეს ნამდვილ პოეტიურ ქვეყანაში, სიცოცხლის საგულისხმებელ გამოჩინებაში (ЯВЛЕНИЕ). „სრულს სადიდებელ ქმნილებაში“! დეესხენ წიგნი წიგნათა ჰქონდეს, და სიცოცხლე სიცოცხლედ, ერთი მეორეს ნუ დაუშლის! კაი! მოვა დროება – და მოშორდება იმასა ეს პოეტიური სიცოცხლის გვარი, ვარდის მზგავსი ბაგეები, სიმხიარულით ბრწყინვალე თვალები, ტუჩების ღიმილი: ამას ყველაფერს ეჭვიანი და მიუნდობელი გონება დაშლის ძარღვებად, სისხლად, ნერვებად და ძვლებად. და უწინდელ სასიამოვნო სურათის მაგიერად დახვდება საძაგელი სველეთი. სული იკითხამს – როგორ, რისთვის, რა მიზეზით, რითა? ცოცხალი გამოჩინებანი სინამდვილისა გარდაიქცევა წარტოლვილ საგნებად... . მაგრამ ვიდრე ბავშვია, ჯერ მივსცეთ ნება დასტკებს პირველყოფილ სამოთხეში ყოფნით, იმა ბავშური სრული მხიარულების სიცოცხლით, წყარო, რომელისაც არის გულწრფელობით და უბიწოებით დაახლოვება ბუნებისა და ჭეშმარიტებისა.

და ესრედ, თუ გინდოდესთ წერა ბავშვებისათვის, ნუ დაივიწყებთ, რომა იმათ არ შეუძლიანთ ფიქრი, მაგრამ შეუძლიანთ მხოლოდ სჯა ანუ უსაფუძვლოთ ლაპარაკი, და ეს ძრეელ ცუდია? თუ მოუთმენლად საზიზღარია მოზდილი ადამიანი, რომელიც სუყოველისფერ უადრესსა სიცოცხლეში ზომავს თავის ჭკუის პატარა ადლითა, და სარწმუნობაზე, ხელოვნებაზე ლაპარაკობს ისრე, როგორათაც პურის დათესაზე, ორთქლის მაშინებზე, ანუ მზითვიან ცოლის შერთვაზედა, მაშა უარესად საზიზღარია ბავშვი უსაფუძვლოთ მოლაპარაკე (резонер), რომელიცა „სჯის“. ამისათვის, რომა ჯერ არ შეუძლიან „მოფიქრება“, უსაფუძვლოთ ლაპარაკი აშრობს ბავშვში სიცოცხლის წყაროსა, სიყვარულსა, სათნობასა; ის შეჭქმნის იმასა ყმარწვილ-მოხუცებულად, შეაყენებს მაღალ ფეხებზე. ბავშვების წიგნები სშირად აულხსნიან ხოლმე უბედურ უსაფუძვლო ლაპარაკის ნიჭსა, მაშინ როდესაც, რომა უნდა სცდილობდნენ აღმოფხვრან, როდესაც იხსნება და ვრცელდება ეს ნიჭი. რითი არიან თითქმის ყოველთვის განსხვავებულნი, მაგალითებრ, მოთხრობეები ბავშვებისათვის? – ცუდად მიწებებული ლაპარაკითა, რომელშიაც მარილსავით დარიგება არის მოყრილი. ამისთანა მოთხრობეების საგანი არის ბავშვების მოტყუება, ნამდვილის მიგრეხ-მოგრეხილად შეტყობინება. აქ თითქმის ყოველთვის ყოველი ძალითა და ღონით სცდილობენ რომ მოუკლან ბავშვებს ყოველივე სიცქვიტე, სიცელქე და ანცობა, რომელნიც შეარდგენენ მიუცილებელ საჭიროებას ყმარწვილის ხანისასა, იმ მოწადინეობის მაგიერად, რომა დააყენონ კარგს გზაზე და მიათვისებინონ ხასიათი კეთილი, დაუფარავი და ტურფა. შემდგომ სცდილობენ, დააჩვიონ ბავშვები, რომ მოიფიქრონ და ასწონონ ყოველი თავისი ყოფაქცევა, ერთის სიტყვით, უნდათ, რომ შეიქმნენ კეთილგონიერი უსაფუძვლოდ მოლაპარაკენი (резонерами), რომელნიც გამოდგებიან მხოლოდ კლასსიკური კამედლისათვის ან ტრაგედისათვის; იმაზედ კი არა ფიქრობენ, რომა პირველი საქმე სულის შინაგანი წყარო არის და თუ რომ ის არის სავსე სიყვარულით და სათნობით, მაშინ გარეგანიც კარგი იქმნება, და ამას გარდა არაფერი არ არის რა საზიზღარი ისრე, როგორათაც ბავშვი-უსაფუძვლოდ მოლაპარაკე, რომელიც

მაღლა სჯის ზნეობაზედ, ჯიბეში ხელეხაწყობილი. და შემდგომ, კიდევ რა? – შემდგომ სცდილობენ დაარწმუნონ ბავშვები, რომა ყოველი დანაშაული დაისჯება და ყოველი კარგი მოქმედება დასაჩუქრდება. წმინდა ჭეშმარიტებაა, ჩვენ არა ვართ ამის წინააღმდეგი; მაგრამა დასჯისა და დასაჩუქრების ჩაგონება ბავშვებისა სიტყვის მნიშვნელობით, გარეგანად და მამასადაძმე, შემთხვევითი ჰაზრით, ეს მოტყუებასა ნიშნამს. მომატებული ნაწილი ბავშვების წიგნებისა ჰაზრით და შეგნებით საჩუქარი კეთილისათვის არის დანიშნული: მაგ. დიდხანს სიცოცხლე, სიმდიდრე, და სასარგებლო ცოლის შერთვა.... წაიკითხეთ თუ გინდ, მაგალითებრ, კოცუბუს მოთხრობები, რომელიც დასწერა საკუთრად თავის შვილებისათვის. ბავშვები მხოლოდ გამომცდელი და გულწრფელები არიან, მაგრამ სულელები კი არა – გულით და სულით დასცინიან ხოლმე თავის დამრიგებლებსა. ეს ჯერ კიდევ ბედნიერება არის ბავშვებისათვის, თუ ასრე უხიაკად არ მოსტყუვდნენ; მაგრამ ვაი, იმათი ბრალი თუ დაიჯერეს: იმათ ამის წინააღმდეგ ზე დაარწმუნებს გამოცდის სიმწარე და შავი სახურავი გადეფარება ღვთის გაჩენილ მშვენიერ ქვეყანასა. ყველა მათგანი თავისი საკუთარი გამოცდით გაიგებს, რომა უსვინიდისო ზარმაცი ხშირად მიიღებს ხოლმე ქებასა მომჭირნის მაგიერად და საძაგელი ცელქობის ამშლელი ხშირათ გადარჩება ხოლმე დასჯასა. თავისი უარის თქმითა და წრფელი გულით თავისი გიჟობის ამღვიარებელი შეუბრალებლად დაისაჯება ხოლმე: ხშირად პატიოსნურად და სიმართლით მოქცევა არამც თუ გაამდიდრებს ადამიანსა, უკანასკნელ სიგლახაკეშიაც ჩააგდებს ხოლმე. დიახ, მათ საუბედუროდ, ყველა მათგანი გაიგებს ყოველისფერსა; მაგრამ ყველა მათგანი ვერ გაიგებს ამასა, რომა სასჯელი ცუდის საქმის მოქმედებისათვის გამოდის ისრევ იმ საქმიდგანვე და იმით განშორდება სულსა სათნო სიყვარული, მშვიდობა და თანხმობა, – რომელნიც არიან მხოლოდ წყარონი ჭეშმარიტი ბედნიერებისა; და ჯილდო კეთილი საქმისათვის მაინც კიდევ გამომდინარეობს თვითონ იმავე საქმიდგანა, რომელიცა აძლევს ადამიანს შეგნებას თავისთავის ღირსებისასა, მიათვისებს იმის სულს მშვიდობასა, თანხმობას, წმინდა სიხარულსა, და იმის გამო შეჭქმნის იმას

ღვთის ტაძრად, ამისათვის, რომა ღმერთი არის იქ, სადაც არის აღუშფოთებელი, წმინდა სიხარული და სიყვარული. და ამა სუ ყოველისფერზე ბავშვებს უნდა ეუბნებოდნენ ბავშვის წიგნები! იმათ უნდა ჩააგონონ, რომა ბედნიერება არ არის გარეგანსა და მოჩვენებულს შემთხვევაში, ის არის სულის სიღრმეში. – ბრწყინვალე, მდიდარი, და მაღალი ხარისხის კაცი კი არ არის ღვთის საყვარელი, არამედ „კაცი საიდუმლო გულისა, უხრწნელად შექობილი უწყინარი და მშვიდი სულითა, რომელიცა უმაღლესი არს წინაშე ღვთისა“. როგორც ამბობს წმ. მოციქული პეტრე. ბავშვების წიგნები უნდა უჩვენებდნენ იმათ, ე. ი. ბავშვებსა, რომა ქვეყანა და ცხოვრება მშვენიერია ისრე, როგორც არის, რომ ცხოვრება დამოკიდებული არ არის ზღაპარზედა, არამედ სულის თავისუფლებაზედ, რომელიცა ღვთიური ქრისტიანული სიყვარულის ძალით არის გამარჯვებული სიცოცხლეში შემთხვეულ უბედურობაზე, რომ მხნეობით გაუმაგრდეს ყველა ჭირსა, იმავე სიყვარულისაგან ანთებულის ძალითა. წიგნები უნდა აცნობებდნენ ტანჯვის საიდუმლოსა, რომელსაც უნდა უჩვენებდნენ, როგორათაც მეორე მხარეს იმავე სიყვარულისასა, როგორათაც თავისდაგვარად ნეტარებასა, უსიამოვნო შემთხვევასავით კი არა, ისრე, როგორათაც მიუცილებელი მდგომარეობას სულისას, რომელსაც თუ აღამიანი არ გამოცდის, ვერ შეიძლებს ჭეშმარიტის სიყვარულის გამოცდას და მამასადამე, ვერც ჭეშმარიტის ნეტარებისასა. წიგნებმა უნდა აჩვენონ იმათა, რომა თავის ნებად და თავისუფალ ტანჯვაში, რომელიც გამომდინარეობს თავის თვისის უარის ყოფიდანა და თავის სიყვარულის ხელის აღებიდანა, არის მკვიდრი ნუგეში ბედისწერის უსამართლობის წინააღმდეგი და მისი ჯილდო. ამას სუყოველისფერს უნდა ატყობინებდნენ ბავშვების წიგნები, თავის პატარა მკითხველებსა, გაცვეთილი დარიგებებით კი არა, არცა ცივი ზნეობითი სწავლებითა, არც მშრალი ამბითა, მხოლოდ მოთხრობებით, რომელნიც სრულნი არიან სიცოცხლითა და სავსე არიან სურათების მოძრაობით, რომელიც უნდა იყვეს მხნეობის მქონებული და გამთბარი გრძნობის სიმხურვალითა, დაწერილი მსუბუქი, თავისუფალი, ცოცხალი, მარტივი ენითა, – და მაშინ ისინი იქმნებიან თვით უპირველესი

საფუძველი და თვით უპირველესი ღონისძიება ბავშვების აღზრდისათვის. დასწერეთ ბავშვებისათვის, მაგრამ მხოლოდ ისრე, რომა თქვენი წიგნი სიამოვნებით წაიკითხოს ღიღმაცა და წაკითხვის შემდგომ მცირედის ოცნებით დაუბრუნდეს თავის ნათელ სიყმაწვილის დროებასა. პირველი საქმე ის არის, რომა რაც შეიძლება ცოტა იყვეს დარიგება (СЕНТЕНЦИИ), ზნეობითი სწავლა და უსაფუძვლო ლაპარაკი (РЕЗОНЕРСТВО): ესენი არ უყვართ არც ღიღრონებსა და ბავშვებს საშინლად ეჯავრებათ, როგორათაც სუყოველისფერი, თავის მომაბეზრებელი და ყოველისფერი მშრალი და მკვდარი. ბავშვებს უნდათ, რომა თქვენ იყვეთ იმათი მეგობარი, რომელიც შეაქცევს იმათა; თქვენ უნდა შეიქმნეთ თვითონვე ბავშვი და არა პირქუში დამრიგებელი; გთხოვენ თქვენა შექცევასა და არა თავის მობეზრებასა, ამბის თქმასა და არა დარიგებასა. ბავშვი მხიარული, კეთილი, ცოცხალი, ცელქი, რომელსაც ხარბად უყვარს ყოველივე ის, რაც გონებაში ჩასარჩენია, გულისვნებით უყვარს ამბავი. იმდენს ვერ მიხვდება, რამდენსაც იგრძნობს. ამისთანა ბავშვი არის შვილი ღვთისა; მასში თამაშობს ყმარწვილური, კეთილმობიერი სიცოცხლე და მასზედ სუფევს კურთხევა ღვთისა. დეესხენ ბავშვმა იცელქოს და იცულლუტოს, ოღონც კი მისი სიცელქე და ცულლუტობა არ იყვეს მავნებელი და არა ჰქონდესთ ნიშანი სიბოროტისა და ზნეობის ... გარყვნილებისა; დეესხენ განუსჯელი იყვეს, წინდაუხედავი — ოღონც ნუ იქმნება სულელი და უგუნური; დაგეგმილი და მოღუნებული კი, ყველაზე უსაძაგლესია. მაგრამ ბავშვი მსჯელი, ბავშვი კეთილგონიერი, ბავშვი უსაფუძვლოდ მოლაპარაკე (РЕЗОНЕР), ბავშვი მუდამ ჟამს გაფრთხილებული, რომელიც არასდროს არ იცელქებს, ყველას ეალერსება, ზრდილობით ექცევა, ყველას წინ ასწრობს და ამას ყოველისფერს სჩადის ანგარიშით... ვაი, თქვენი ბრალი, თუ თქვენ შეჰქმენით ესრეთი!.. თქვენ მოგიკლავთ იმაში გრძნობა და აღვიხსნით გონება; თქვენ დაგიყრუებთ იმაში კეთილმობიერი თესლი შეუგნებელი სიყვარულისა და გაგიზრდიათ — ენა ტარტალობა... საწყალო ბავშვებო, ღმერთმა დაგიფაროთ ყვავილისა და წითელისაგან და ბერგენის, ჟანლისის და ბულიის თხზულებისაგან.

უმაღლესი სიცოცხლის საფუძველს, საგანს, ელემენტს ადამიანში შეადგენს შინაგანი გრძნობა დაუსრულებელისა (**безконечного**), რომელიცა, როგორც ცნობა, სძევს მის აგებულებაში. გრძნობა დაუსრულებელისა არის ნაპერწკალი ღვთისა, მარცვალი სიყვარულისა და კეთილ-სათნოებისა, ცოცხალი წინამძღვარი კაცისა ღმერთამდე. ხარისხი ამ გრძნობისა სხვადასხვა არის, იესო ქრისტის მეტყველებით: „და მისცა ერთს ხუთი ტალანტი, მეორეს ორი, მესამეს ერთი, ყველას სათითაოთ შეძლებისგვარად“; მაგრამ ამ გრძნობის სიღრმის ზომით გაიზომება ღირსება ადამიანისა და სიახლოვე მისი სიცოცხლის წყაროსზე – ღმერთზე. ყოველი ადამიანური ცოდნა უნდა იყვეს გამოთქმა, გადმოღება საცნობელად, სახსნად. მოკლედ ვსთქვათ – შეგნებად იმ გრძნობის საიდუმლო გამოჩინებებისა, უამისოდ ყოველი ჩვენი მცნება და აღხსნა იქმნებიან უაზრო სიტყვები, უსაგნო ფორმა, ხმელი, უნაყოფო და მკვდარი წარტოლვილება (**отвлеченность**). თუ ის დაუსრულებელის გრძნობა არ არის ადამიანში, არ იქმნება იყოს შინაგანი სულის შეგნება ჭეშმარიტებისა, იმისათვის, რომა პირდაპირი შეგნება ჭეშმარიტებისა, როგორათაც საძირკველზე, არის დამყარებული დაუსრულებელის გრძნობაზე. ეს გრძნობა არის ნიჭი მოცემული ბუნებისაგან, ბედნიერი აგებულებისაგან, ამისათვის ისიც თვისება არის ბავშვებისა, რომელშიაც არის გამოსახული და ამ გამოსახულის გაშლასა და განვრცელებას ვთხოვთ აღზრდასა და ბავშვების ლიტერატურასა.

ჩვენა ვსთქვით, რომა ცოცხალი პოეტიური ფანტაზია არის მიუცილებელი საჭირო პირობა, სხვა საჭირო პირობებთა შორის, რომ კაცი ბავშვების მწერლად შეიქმნეს, ფანტაზიით და ფანტაზიის გამო უნდა მოქმედებდეს მწერალი ბავშვებზე. ბავშვობისას ფანტაზია არის მფლობელი ნიჭი და ძალი სულისა, უმთავრესი სულის მოქმედება და პირველი შუამავალი ბავშვის სულისა და მის გარეშე მყოფ ქვეყანისა. ბავშვი არ ითხოვს დიალექტიურ გამოყვანასა (**выводь**) და საბუთებსა, ლოგიკურ წესდებულებასა: იმას უნდა სურათები – (**образы**), ფერი (**краски**) და ხმა. ბავშვს არ უყვარს წარტოლვილი (**отвл.**) აზრი: იმას უნდა

პატარა ისტორიები, მოთხრობები, ზღაპრები, ამბები, – და გაშინჯეთ, რა ძრიელ მისდევნის ისინი ყოველისფერს ფანტაზიურსა, რა სიხარბით უგლებენ ყურსა მკვდრებზე, მოჩვენებებზე და გრძნეულებზე (ВОЛШЕБНИКЪ). რას ამტკიცებს ესა? – დაუსრულებელის წადილსა, სიცოცხლის საიდუმლოების წინადგრძობასა, დასაწყისს პოეზიის გრძნობისასა... .. ბავშვებთან, რომ გინდოდეს ლაპარაკი სურათებითა, უნდა იცნობდე ბავშვებსა, უნდა თვითონ იყო დიდი ბავშვი, ამ სიტყვის ცუდი მნიშვნელობით კი არა, მხოლოდ უნდა დაიბადო ბავშური, გულწრფელი ხასიათითა. არის ზოგიერთი ადამიანი, რომელთაც უყვარს ბავშვების საზოგადოება, და იციან იმათი გართობა ლაპარაკითაც, ამბის თქმითაც და თამაშობითაცა, გეერევიან იმათში; ბავშვები თავის მხრით, მიეგებებიან ხოლმე იმათ მხიარულის ხმაურობითა, დაუგლებენ ყურსა და უყურებენ გულდია ნდობითა, როგორათაც თავის მეგობრებსა. აი სწორეთ ამისთანა ადამიანი უნდა ბავშვების ლიტერატურისათვის. დიას, – ბევრი, ძრიელ ბევრი პირობაა: ამისთანა მწერლები პოეტების მზგავსად, იბადებიან და ვერ შეიქმნიებიან კი...

მაგრამ უსაფუძვლო მოლაპარაკებებს... საშინლად ეჯავრებათ ამისთანა პირობების მოთხოვნა. მართლაც, ვის ესიამოვნება მოისმინოს თავისი სასიკვდილო განაჩენის გაგონება, თავისი გამორიცხვა ცოცხლების სიიღვანა? ალბათ, ამავე მიზეზით, უხეირო ლექსთ-მოხზველებსაც საშინლად ეჯავრებათ ლაპარაკი ხელოვნების (ИСКУССТВО) უმაღლეს კანონებზე: იმაში ხდვენ თავიანთს გაქრობასა. აღუკრძალეთ უსაფუძვლო მოლაპარაკეს (რეზენიორსა) უფლება, რომა აღარ ილაპარაკოს ტყუილები („აი არა და ისრე, როგორც რუსულად არის ნათქვამი: пересыпать из пустого в порожнее რაღა უნდა გააკეთოს ქვეყანაზე? სიცოცხლეს, სიყვარულს, სულდემულობას, ნიჭსა ხომ ვერ იპოვნი ქუჩაში, ვერც იყიდი ფულითა, თუ ბუნებამ არ მოგცა, უსაფუძვლოთ ლაპარაკი ისრეთი ადვილია; უნდა იმოვნო ქაღალდი, კალამი და მელანი და დაჯდე და ის მაშინ თვითონ აღმოჩნდება – რომელ ბაზუსის თაყვანისმცემელს არ შეუძლიან გრძილად სჯვა, იმაზედა, რომა ცხარე სასმელები დამლუპავები არიან სულისაცა და ხორცისაცა,

და თავის შეოკება და ფხიზლად ყოფნა სასარგებლოა? რომელი გარყვნილი არ იტყვის ბარე სამ ზანდუკ მალალ ფრაზებს პატიოსნებაზე? რომელს უსულუგულო და ცივ ადამიანს არ შეუძლიან ყოველნაირად განსჯა სიყვარულზე, ღვთისმსახურებაზე, კეთილმოქმედებაზე, თვისმსხვერპლად შეწირვაზე, და სხვა წმინდა გრძნობებზე, რომელნიცა იმას არა აქვს გულში? სიცოცხლე, სიბოლო, მიმზიდველობა და პოეზია – არის იმის ნიშანი, რომა ადამიანი ლაპარაკობს სულით, დარწმუნებით, სიყვარულით, სარწმუნოებით და სწორეთ ეს ელექტროსაგებრ მოხვდება მეორე სულსა. მოღუნება, სიცივე და კაემანი ნიშნამს იმასა, რომა ადამიანი ლაპარაკობს იმაზე, რაც თავში აქვს და არა გულში, რომელიცა არ შეადგენს უკეთეს ნაწილს იმისი სიცოცხლისასა, და არ არის იმაზე დარწმუნებული. განვიმეორებთ ზოგიერთი ხალხისათვის სჯა ადვილია გრძნობაზე და გატკბილებული წყალი უსაფუძვლოთ ლაპარაკისა ... რომელიც ბლომათ აქვსთ, იმათთვის უკეთესია და გემოიანი; ვიდრე უკვდავების წყარო პოეზიისა, რომელიცა – საწყლებს! – იმათ არც კი უგემნიათ თავის დღეში და აი, ერთს უნდა დაარწმუნოს ბავშვები, რომა ადრე ადგომა ძრიელ სასარგებლოა ამისათვის, რომა ერთს ბავშვსა, რომელსაც ჰქონოდა ჩვეულება მზის ამოსვლის დროს ადგომისა, ეპოვნა მინდორში ქისა ფულითა; და მეორეს უნდა, რომ დაარწმუნოს ბავშვები იმაზე, რომა უნდა გვიან ადგენენ, ამის მიზეზით, რომა ერთი პატარა ქალი, რომელსაც ადრე დგომა ჰყვარებოდა, წასულიყო ბაღში სასეირნოთა, გაცივებულიყო და მომკვდარიყო. ერთი ეუბნება ბავშვებს – დაეჩქარეთ, მეორე – ნუ ჩქარობთ, მესამე – იყავით დაუფარავი, ნურაფერს ნუ დამალავთ, მეოთხე – სუყოველისფერს ნუ იტყვით, რაც იცით. ვის უნდა დაუჯერონ, ვის მიჰყვნენ?.. საუცხოვო ეს არის ყველაზე, რომა ეს ღრმა ჰაზრები აღმოჩნდებიან ხოლმე შემთხვევითი მაგალითებით, რომელნიც სრულიად არაფერს არ ამტკიცებენ. არა, ზნეობითი დარიგებაები, არამც თუ სამაგლები და უნამყოფნი არიან თავისთავად, კიდევ აფუჭებენ მშვენიერსა და სიცოცხლით სავსე თხზულებებსა ბავშვებისათვის, თუ გამოერევიან! თქვენ უამბობთ ბავშვებს ზღაპარსა ანუ მოთხრობასა: მიეფარეთ ისრე, რომ არ გამოჩნდეთ.

დე ყოველისფერმა თვითონ ილაპარაკოს თავთავის მაგიერად, განუშორებელი აღბეჭვდით. თქვენა გაქვსთ ზნეობითი ჰაზრი, ჩინებულისა; ნუ ეტყვით იმას ბავშვებსა, მხოლოდ აგრძობინეთ, ნუ გამოიყვანთ თქვენს მოთხრობის დასასრულში, მხოლოდ მიანებეთ, რომა თვითონ იმათ გამოიყვანონ: თუ ამბავი მოეწონათ ან სიხარბითა და სიამოვნებით კითხულობენ, თქვენ შეგისრულებით თქვენი საქმე. ჩვენ აქ განვიმეორეთ ჰაზრი, უწინაც ნათქვამი ჩვენს ჟურნალში, რომელმაც აღძრა სამდღურავი და თავზარი დასცა უსაფუძვლოდ მოლაპარაკებებსა: „არ არის საჭირო არავგარი ტიტველი ცარიელი ჰაზრები და ჭირივით მოერიდეთ ზნეობითს დარიგებასა. დეესხენით საფუძველი თქვენი ამბისა საქმიანად იყოს მოძრაობაში, ნუ მისცემთ ნებასა, რომა გარეთ გამოჩნდეს, თვითონ საფუძვლის სასარგებლოდვე, და ნუ გამოიყვანთ ბავშვის სულსა სავსე სიცოცხლიდგან, კერძობითი ბრძოლიდგანა და შემთხვევიდგანა, წარტოლვილ (ОТВЛ.) სიმაღლეზე, სადაც ჰაერი თხელია და სულის შემაგუბებელია ჯერ ჩჩვილი ადამიანის უღონო გულისათვის; დეესხენ, ჰაზრი მიფარებული იყოს შიგნით, მიუწვთომელ ლაბორატორიაში და იქ გარდააქციოს თვისი საგანი სიცოცხლის სანიყიერედ, რომელიცა გაუგებლად და შეუნიშვნელად გაიფანტება თქვენს ამბავში.” ნუ ეტყვით ბავშვებს იმასა, რაც არ შეუძლიანთ თავისი ჭკუით მიხვდნენ, შეასმინეთ მცირე კატიხისმურად ღმერთი, როგორათაც ასწავლის მართლმადიდებელი ეკლესია, მაგრამ ნუ გაჰყვებით დიალექტიურად ფილოსოფიურ ახსნასა, ეცადეთ რომა ბავშვებს შეაყვაროთ ღმერთი, რომელიც გამოუცხადდებათ იმათ ღია ლურჯ ცაშიაცა, თვალის მამჭრელ მზის სხივიშიაცა, დიდად მშვენიერს და დიდად ჩინებულს დღის გათენებაშიაცა, ღამის მომავალს დაჩუმებულ მშვენიერებაშიაცა, ღელვის ხმაშიაცა, ქუხილის ჭექაშიაცა, ცისარტყელას ფერად-ფერადშიაცა, ტყის სიმწვანეშიაცა, წყლის ჩხრიალშიაცა, ზღვის ხმაურობაშიაცა, და ყოველისფერში, რაც არის ქვეყანაზე ცოცხალი და ისრე უხმოდ, მაგრამ ისრე მშვენივრად ელაპარაკება ყმაწვილსა და მის უმანკო სულსა. ნუ ელაპარაკებით ბავშვებს მხოლოდ იმაზე, რომა რა სასჯელს აძლევს ღმერთი ამა და ამ შეცოდებისათვის; ასწავლეთ, რომა უყურონ ღმერთსა, როგო-

რათაც მამასა, რომელსაც დაუსრულებლად უყვარს თავისი შვილები, რომელნიც იმან შეჰქმნა ნეტარებისათვის, რომელთა ნეტარებაც იმან დაიხსნა ტანჯვითა და ჯვარცმითა. შეასმინეთ ბავშვებს შიში ღვთისა, როგორათაც სიბრძნისა დასაწყისი, მაგრამ მოიქმედეთ ისრე, რომა ეს შიში გამოძინარეობდეს სიყვარულიდგანვე. ჰქონდესთ შვილური მოკრძალებული შიში კეთილი და მოსიყვარულე მამის წყევინებისა და არა მრისხანესა და შურისძიებულისა, და არც მონური შიში; სასჯელად მიაჩნდეთ ღვთის პირის მორიდება ცოდვისათვის და არა ამ სოფლად კეთილის გამოკლება. იმდენად ნუ უგდებთ ყურსა ბავშვების ნაკლულევანებისა და ბოროტების ამოფხვრასა, რამდენადაც მათს ავსებას განმაცხოველებელი სიყვარულითა. თუ დაუძკვიდრებთ გულში სიყვარულსა – ბოროტება დაუტევებს თავისს ადგილსა. აღმოფხვრა ცუდისა, რომ კარგით არ შევავსოთ – უნამყოფოა; ეს დააცარიელებს და ცარიელი შეუწყვეტლად ივსება – სიცარიელითვე: გამოადგებთ ერთსა, გამოჩნდება მეორე. სიყვარული, დაუსრულებელი სიყვარული, სუყოველისფერი დანაშთენი ფუჭია! „ღმერთი არს სიყვარული და მყოფი სიყვარულში არს მყოფი ღმერთში და ღმერთი მასში“. აგრეთვე ნუ დაჰგრებთ ნამდვილსა, ნურც მასზედ ცილის წამებით, ნურც შეამკობთ თქვენის გონებითგან და აჩვენეთ ისრე, როგორიც არის ნამდვილად ყოვლის თავისი მშვენიერებითა და თავისის შეუბრალებელი მოჭმუხვნობითა, რომა ბავშვის გული, შეჩვეული მისს სიყვარულსა, დაეჩვიოს, მისი შემთხვევების ბრძოლასაცა, რომ იპოვნოს იმედი თავის გულშივე. მხოლოდ ჭეშმარიტებაშია სიცოცხლეცა და კეთილიცა: ჭეშმარიტებისათვის საჭირო არ არის, რომ იშველიოს სიცრუე და ამისათვის, თქვენგან დაწერილი მოთხრობა შეიძლება დაბოლოვდეს უბედურებითაცა, რომელშიაცა კეთილმოქმედება იტანჯება და ბოროტება გამარჯვებულა; მაგრამ თქვენ სრულიად მისწვდებით თქვენს ზნეობითს საგანსა, თუ რომა ყმაწვილნი გულნი თქვენის პატარა წამკითხავებისა მიუდგებიან დატანჯულებსა და არ შეშურდებათ გამარჯვებულები, თუ თქვენს კითხვაზედ: ვის ადგილას გსურთ რომ იყვნეთ? – იმათ დაუყოვნებლივ გიპასუხეს, რომა ტანჯულებისა, მაგრამ კეთილების ადგილასაო. ნუ დას-

ტოვებთ ნურც ერთს აღზრდის მხარესა: შესძინეთ ბავშვებს სისუფთავეცა, გარეგანი სიწმინდეცა. კეთილშობილებაცა და მიხრამოხრისა და ყოფაქცევის ღირსებაცა ხალხში; გამოიყვანეთ სუფოველი ამათი მიუცილებელი საჭიროება საზოგადო, უმაღლესი წყაროდგანა – ადამიანის უმაღლესის წოდებიდგანა და ადამიანის სამარადისო ღირსებიდგანა და არა საზოგადოების დებულების პირობიდგან. ჩააგონეთ, რომა გარეგანი სიწმიდავე და სიმშვენიერე უნდა იყვნენ გამომხატველნი შინაგანი სიწმიდავისა და სილამაზისა, რომა ჩვენი სხეული უნდა იყვეს ღირსეული ჭურჭელი ღვთის სულისა... ადამიანისა პატივისცემა და დაუსრულებელი სიყვარული უნდა ჰქონდეს მხოლოდ იმისათვის, რომა ადამიანი არის, გაურჩევლად რომელი მიღეთისაც უნდა იყვეს, რომელი სარწმუნოებისაც და წოდებისაც, ასრე გამინჯვე სრულიად გაურჩევლად ღირსია თუ უღირსი, უნდა უყვარდეს. ერთის სიტყვით, დაუსრულებელი სიყვარული და დაუსრულებელი პატივისცემა უნდა ჰქონდეს ადამიანობისა (человечество), თუ გინდსულ უკანასკნელი მისი წევრი იყვეს და ეს უმაღლესი ნათქვამი პოეტისა –

При мысли великой, что я человек

Всегда возвышаюсь душою*

უნდა იყოს ღრომა მთელის მისის სიცოცხლისა.

1863-ს წელს, თებერვლის 12 დღესა.

* იმ უმაღლესი ჰაზრით, რომ მე ვარ კაცი, მარად სულიერად ვმაღლდები.



სიღარიბე, როგორც ეკონომიური პრინციპი. (პრუდონის სტატია)

ჩვენის ხელგაშლილის და უხვის ცხოვრების თავმოწონება და ჩვენის სიამოვნების აღტაცება არ უნდა გვიბრძალებდეს ჩვენს თვალებსა: სისაწყლეს, უილაჯობას ისეთი ძლიერია განათლებულს ხალხშია, როგორც ბარბაროზების დროებში და იქნება უფრო მეტადაც. რომელიმე ხალხის კეთილმდგომარეობა, რასაკვირველია, სარჩოს სიმრავლეზედ არის დამოკიდებული, მაგრამ იმოდენად კი არა, რამოდენათაც იმაზე, რომ ხალხს რაც უნდება, ის მოჰყავს, თუ არა და უფრო იმაზედ, რომ ის მოყვანილი ყველასათვის მისაწოდებია და თანასწორად განწილული თუ არა. ეხლა რადგანაც არა ხალხს რაც უნდება, ის არ მოჰყავს და რაც მოუყვანია, ისიც ყველასათვის თანასწორად არა არის განწილული, ამის გამო კეთილმდგომარეობას ყველანი ყველგან მოკლებულნი არიან. საზოგადოება თვალად მდიდარი, ნამდვილად ღარიბი არის; ერთის სიტყვით, უილაჯობისაგან ყველანი იტანჯებიან: მიწის მფლობელიც, რომელიც ღალითა ცხოვრებს და პროლეტარიც, რომელსაც არა აქვს რა და მარტო თავის ხელის ნაშუშავართ იოლად მიდის.

ეს ჩემი სიტყვა იქნება შეცდომად ეჩვენოს ვისმეს, ამისათვისაც ნებას ვითხოვ, რომ ამ საგანზედ მცირე ხანს კიდევ შევჰსდგე.

ჩვენის ბუნების ყველაზედ დიდი საჭიროება — სახდოს საჭიროება არის. ე. ი. უნდა ვჰსვათ და უნდა ვჰსჭამოთ. ამბობენ, რომ არის ზოგიერთგვარი პეპელა, რომელიცა უჭმელად ცხოვრობსო, მაგრამ ესეც უნდა ვიცოდეთ, რომ ის საკმაოდ ძლება ჯერ კიდევ მაშინ, როცა პარკშია, და თუნდ ეგ არ იყოს, იმისი სიცოცხლე დღევრბელი არ არის. ღირს განა, რომ ის პეპელა ცხოვრების სიმბოლოდ ავიდოთ? დაე ეს, თუ ნებავს, იმან გადაჰსწყვიტოს, ვინც შედარების მოყვარეა.

რაც უნდა იყოს კაცსა ცხოველის საზოგადო მხვედრი აწევს კისერზედ: კაცმა უნდა ჰსჭამოს და სვას. ე. ი. უნდა იხმაროს როგორც ეკონომისტები ამბობენ.

აი ეკონომიის სფერაში ჩვენი პირველი საშინელი კანონი, რომელიც, როგორც სულთამხუთავი გვეყენის ჩვენ, თუ გონიერად იგი არ აღვასრულეთ და თავის მონადა გვხდის, თუ ყოველს ჩვენს ღირსებას და მოვალეობას მას შევჰსწირავთ ხოლმე. ამ ჭამა-სმის აუცილებლობით, ჩვენ უფრო მომატებულად პირუტყვებსა ვგავართ. მაგ აუცილებლობის ზედ მოქმედებით პირუტყვებზედ უარესებია ვხდებით, როცა გულარძნილების და გარყვნილების მორევში ჩაცკვივით, ან შიმშილით შემწყვედუღნი, ჩვენის თავის გასაძლომად მოტყუებას, ძალადობას, კაცის კვლასაც არ მოვერიდებით ხოლმე. გარნა შემოქმედსა, რომელმაც ეს სახე ცხოვრებისა ამოგვარჩია, თავისი განძარხვა ჰქონია: ეგ ჭამა-სმის აუცილებლობა ძალას გვატანს ჩვენ, რომ ვიმოქმედოთ და ვიმრომოთ. აი ჩვენი მეორე კანონი, მაგრამ ერთი ეს უნდა ვიკითხოთ: რა არის მოქმედება და შრომა? ეგ არის იმისთანა არსების ფიზიკური და გონებითი წარმოება, რომელიც შედეგნილია სულისა და ხორცისაგან. შრომა და მოქმედება მარტო ჩვენის ხორცის დაცვისათვის კი არ არის, იგი საჭიროა კიდევ ჩვენის სულის გაშლისათვის, ალყავებისათვის. ყოველიფერი რასაც კი ჩვენა ჰვფლობთ, რაც კი ჩვენ ვიცით სულ შრომისაგან არის გამოსული; შრომის მეოხებითა გვაქვს ჩვენ ყოველი მეცნიერება, ყოველი ხელოვნება, ყოველი სიმდიდრე. ფილოსოფია მარტო ღონისძიება არის, რომელიც განზოგადებს, მცნებათა ჰქმნის ჩვენის გამოცდილების ე. ი. შრომის ნაყოფსა, გამოსავალსა (რეზულტატსა).

რამოდენათაც — როგორც ვნახეთ — გვამდაბლებდა ჩვენ საჭიროების კანონი, იმოდენად გვამაღლებს ჩვენ კანონი შრომისა. ჩვენ მარტო სულიერის ცხოვრებით არა ვჰსცხოვრებთ, იმიტომ, რომ ჩვენ მარტო სულისაგან არა ვართ შედეგნილები, მაგრამ შრომით ჩვენ ცხოვრებას უფრო და უფრო ვასულიერებთ.

აქ ერთი საქმე გვიჩნდება ჩვენ — საქმე, რომელიც ყველაზედ უდიდესია და რომლის გადაწყვეტაზედაც დამოკიდებულია ჩვენი ეხლანდელი კეთილმდგომარეობა და, თუ ძველს მითებს დაუჯერეთ — მომავალი კეთილმდგომარეობაცა.

რა უნდა კაცსა მოსახმარებლად? მაშასადამე, რამდენი უნდა

გააკეთოს, და რამდენის გაკეთება შეუძლიან? რამდენი შრომა შეხვდება?

ამის პასუხი ჩვენი მესამე კანონი იქნება.

ჯერ ეს უნდა ვჰსთქვათ, რომ მოხმარების (потребления) ნიჭსა კაცისას საზღვარი არ უდევს; რაც კაცს უნდა, იმას ბოლო არა აქვს, მაშინ როდესაც კეთების (производство) ნიჭსა სამზღვარი აქვს. ესეა ამ ქვეყანაში და მართალიც არის: მოხმარება, შეთქვლეფა, შემუსვრა იმისთანა ნიჭია, რომელსაც არც რიცხვი და არც ზომა არ მოეკიდება და რომელიც არეულია და განუსაზღვრელი; ხოლო გაკეთება, შექმნა, განწესიერება, ფორმის მიცემა იმისთანა ნიჭია, რომლის კანონიც რიცხვი და ზომაა, ე. ი. რომელიც სამზღვარ დადებულია.

გარს რომ თვალი გადავაგლოდ ვნახამთ, რომ შექმნილს ბუნებაში ყველას თავისი სამზღვარი აქვს — მე მინდა ვჰსთქვა — სახის მქონებელს ბუნებაში. ჩვენგან დასახლებულს ქვეყანას სიმგრგვლივ სამოცდაშვიდი ათასი ვერსტი აქვს; დედამიწა ოცდაოთხს საათში ერთხელ თავის ღერძს გარს შემოუვლის და მზის გარსა კი სამას სამოცდახუთს დღეს და ექვს საათში. დედამიწა, როცა თავის ღერძის გარსა ტრიალებს ხან ერთისა და ხან მეორეს პოლიუსით, შუაგულის მნათობისაკენ მიიქცევა ხოლმე. დედამიწის ატმოსფერა ას ორმოც ვერსტს ზევით აღარ არის; ოკეანი, რომელიც ხმელეთის ოთხს მეხუთედსა ჰფარავს, სამი ათასს მეტრზედ ღრმა აღარ არის საშუალო რიცხვითა; სინათლე, სითბო, ჰაერი, წვიმა იმოდენად გვეძლევა სწორედ, რამოდენათაც ჩვენთვის საჭიროა, არც მეტად, არც ნაკლებად, თითქმის რაღაც გამოზოგებით და ხელმოჭერითაცა. დედამიწის მთელს ეკონომიაში ერთი მცირედი გადაცდენა ან იქით, ან აქეთ არეულობას მოახდენს. ცხოველთა და მცენარეთაცა ამისთანა კანონი ჰმართავს. კაცის ჩვეულებრივი დღეგრძელობა სამოცდაათს წელიწადს არ აჰსცილდება ხოლმე. ხარი ექვს წელიწადში იზდება, ცხვარი — ორში, ლოკოკინა — სამში; ვერხვი ოცდახუთმეტის სენტიმეტრის სისქისა ოცდახუთს წელიწადში ხდება, მუხა მაგავე სისქისა — ასს წელიწადში. პური და უფროს ნაწილი მცენარეთა, რომელიც ჩვენ მოგვყავს და რომელიც საჭმელად ვხმარობთ წლის ერთ და იგივე დროს მოდის. ყველგან საცა კაი ჰავა და კაი მიწაა, ნამუშავარი ერთხელ მოიმკის ხოლმე; ახლა რამდენი

სივრცეა ჩვენის პლანეტის უწყლო ადგილებში, რომელთაც არც შრომა მიუღდება და არც კაცი ბინის მოსაკიდებლად?

თითონ კაცსა, რომელიცა ჰვლობს და ხმარობს ამ ადგილებსა – საშუალო რიგზეთ – ძარღვის ძალა იმოდენაც არა აქვს, რომ ორთქლის მეათედს ძალას მაინც უდროდეს. კაცს არ შეუძლიან დღეში ათს საათზედ და წელიწადში სამასს დღეზედ მეტი სასარგებლო შრომა გაჰსწიოს ისე, რომ თავი არ გაიფუჭოს. ვერც ერთს დღეს კი უჭმელად ვერ გაჰსძლებს, თავის ულუფის ნახვერითაც იოლად ვერ წავა. უწინ, როცა ხალხი გამრავლებული არ იყო, როცა დედამიწა თხლად იყო დასახლებული, მაშინ თითონ ბუნება კაცის დაუხმარებლად ხალხს სარჩოს აძლევდა. ეს იყო ოქროს დრო, სიიფისა და მშვიდობისა, რომელსაც პოეტები გლოვობენ მას აქეთ, რაც ხალხი გამრავლდა, შრომის აუცილებლობა თანდათან უფრო იგრძნეს და უილაჯობამ შფოთი ჩამოაგდო; – სრულის სიმართლით შეიძლება ვჰსთქვათ, რომ ცივილიზაციის და წარმატების საუკუნეში კაცი მარტო იმითილა ცოცხალა, რასაც ჭირვეულის და შეუდრკალის ჯაფითა შეიძლებს და ამოჰკლეჯს დედამიწის გულიდამა *in sudore vultus tui vesceris pane tuo* (ოფლითა პირისა შენისათა ჰსჭამდე პურსა შენსა). აი კაცი ამას ეძახის სიმდიდრის შექმნას, იმიტომ, რომ სიმდიდრეს ის ნივთი შეადგენს, რასაც ფასი ადევს, ე. ი. რაც გამოსაყენია და საჭიროა, და რაზედაც შრომა წასულა: ასე, რომ სიიფეს, (*ИЗОБИЛИЕ*) (ბუნებისაგან უშრომელად მოცემულს სარ-ჩოს) და სიმდიდრეს ერთი ერთმანეთის წინააღმდეგი მნიშვნელობა აქვსთ, იმიტომ, რომ სიიფე შეიძლება მაშინაც იყოს, როცა სიმ-დიდრე არ არის და სიმდიდრე მაშინ, როცა სიიფე, – და კიდევ იმიტომ, რომ ეს ორივე სიტყვა სწორედ იმის წინააღმდეგნი არიან, რასაც თვალად ივინი ნიშვნენ.

ჰსჩანს, კაცს ცივილიზაციის დროსა შრომით მარტო ის ეძლევა, რაც საჭიროა ხორცის დაცვისათვის და სულის აღყვავებისათვის, „არც მეტი და არც ნაკლები“ ეს უმეტუნაკლებობა არის ის, რასაც მე „სიღარიბეს“ ვეძახი, მესამე ჩვენი კანონი, ბუნებისაგან მოცემული, რომელიც სისაწყლესი და უილაჯობაში არ უნდა გაერჩობ. მე არ უნდა დავმალო – წინააღმდეგება საზოგადო

ამაოდ რწმუნება.

ბუნებაო – მეტყვიან – გამოუღვეველია; შრომა დღე და დღე უფრო ბევრს აკეთებს. დელა-მიწის გული, ამ ჩვენი ძველი ძუძუმწოველისაო, ისეთნაირად სავსეაო, რომ ჩვენ ჯერ კიდევ არ შეგვიძლიან ის გამოვართოთო, რის მოცემაც შეუძლიან მიწასაო. მოვა დღე, როცა სიიფეს ფასი დაეღებო და სიმდიდრის სახელი დაერქმევა. მაშასადამე, სიმდიდრე გაიფუტება*. მაშინ კეთილი ზღვასავით მოვარდებო და ვიცხოვრებთო მშვიდობითა და სიხარულითა.

ჰსჩანსო, მეტყვიან, თქვენი სიღარიბის კანონი ტყუილიაო.

კაცს ძალიან უყვარს სიტყვით თავის თავის მოტყუება. კაცის ფილოსოფიაში ყველაზედ ძნელი თავის საკუთარი სიტყვის გაგება არის. ბუნება გამოუღვეველია იმ აზრით, რომ განუწყვეტლად ჩვენ მასში ახალს სასარგებლო საგნებსა ვპოულობთ. მაგრამ იმ პირობით კი, რომ განუწყვეტლად ჩვენი შრომა უნდა მატულობდეს, – ეს იმ კანონის წინააღმდეგი არ არის. ხალხი ყველაზედ უფრო გამოსავლიანი, ყველაზედ უფრო მდიდარი ის არის, რომელიც ყველაზედ ბევრსა მუშაობს. ამავე დროს იმ ხალხშივე, იმ მიზეზით, რომელსაც ქვევით ვიხსენიებ, სისაწყლე გაძლიერებულია. იმ ხალხის მაგალითი არამც თუ არღვევს, არამედ ამტკიცებს ჩემს კანონსა. მოსავლის წარმატება იმ საგნებში და ნივთებში ჰსჩანს, რომელნიც პირველ საჭიროებისათვის არ არიან და რომელთაც ყველაზედ უფრო ცოტა ბუნების დახმარება უნდება. მაგრამ ამისთანა ნივთების მოსავალმა თუ ერთი იოტის ოდენა მაინც გადაამეტა იმათვის დანიშნულს ულუფასა, მაშინვე ფასი აკლდება, მთელი გადამეტებული რიცხვი არაფრად აღარა ღირს. მრთელი ჭკვა, რომელიც ამ წამს თითქმის ეტრფიალებოდა სიმდიდრეს; ეხლა ეწინააღმდეგება მას, რომ შრომის გამოსავალი სიღარიბის წრეს გარედ გავიდეს.

რაცა ვჰსთქვით ამისაგან ის გამოდის, რომ ჩვენ უნდა დიდი ეკონომია ვიქონიოთ, იმიტომ, რომ რაც ჩვენ გვიჭირს, იმას დასასრული არა აქვს და გაჭირებისაგან დახსნისათვის შრომას კი თავისი სამზღვარი აქვს. ზომიერება, ბედოვლათობაზედ ხელის

* ის კი არ იცინა, რომ „ოდეს ტურფა გაიფუტეს არა ღირდეს არცა ჩირად“ – ბ. ვ.

ალება, არსებითი პური, არსებითისვე შრომით მოპოებული, ლუკმის გაწვევება, რომელიც ფიცხლავ დაჰსჯვის ხოლმე უზომობას და მცონარობას – აი ჩვენი პირველი ზნეობითი კანონი.

ამისათვის შემოქმედმა, რომელმაც დაგვინიშნა ჭამა და სმა, რომ ვიცხოვროთ, ავმუცლობის ნება არ მოგვცა და ამით მონდომა, რომ ჩვენ განდევნილის და სულიერის ცხოვრებამდინ თანდათან მივეყვანეთ. შემოქმედი ზომიერებას და რიგიანობას გვასწავლის და სურს, რომ ივინი გვიყვარდეს. რაც უნდა თქვას არისტოტელს, მაინც ჩვენი მხედრი დატკობა არ არის: ჩვენ ბუნება არაფერს არ გვაძლევს, რომ დავტკებთ და ჩვენ თითონაც არც შრომით, არც ხელოვნებით იმოღვანას ვერ შევძლებთ, რომ ყველანი დავატკებოთ ისე, როგორც უნდა ეპიკურების ფილოსოფიას, რომელიცა სიტკობებაში ჩვენს უმაღლეს მადლსა და ბედნიერების ბოლოსა ხედავს. ჩვენ ჭკუისა და გულის აღყვავების მეტი სხვა დანიშნულება არა გვაქვს; რომ ამაში გვიშველოს ჩვენ და თუ საჭიროა ძალაც დაგვატანოს, განგებამ დაგვიწერა ჩვენ „სიღარიბის კანონი“: *Beati pauperes spiritu* (ნეტარ არიან ღარიბნი სულითა). აი რის გამო, უწინდელების აზრით, ზომიერება ოთხს სათნოებათა შორის პირველი არის; აი რის გამო ავგუსტის კეისრის დროს, პოეტები და ფილოსოფოსები, გორაცი, ვირგილია და სენეკა აღიდებდნენ ზომიერებას და ბედოვლათობის შეძლებას ჭქადაგობდნენ; აი რის გამო, იესო ქრისტე უფრო გულმტკივნეულის სიტყვით გვასწავლის ჩვენ, რომ ღმერთსა, ყოველი სიმდიდრის მაგიერად, „პური ჩვენი არსებითი“ ვჰსთხოვოთ.

ყველას ამათგანს ესმოდა, რომ სიღარიბე დასაწყისია საზოგადოების წესისა და ჩვენი მხოლოობითი სოფლის ბედნიერება.

ფაქტი, რომელიც ხშირად მოჰყავთ და რომელის ნამდვილი მნიშვნელობა, როგორცა ჩანს, არ ესმით. შუათანა შემოსავალია დღეში ერთს კაცზედ ქვეყანაში, ვჰსთქვათ, როგორც ფრანცია, რომელიც ბუნებისაგან კარგად არის დაჯილდოებული. ოცდაათის წლის წინად ეგ შემოსავალი დღეში ერთს კაცზედ ზოგიერთის სიტყვით ოცდარვა გროში იყო, სხვების სიტყვით, ოცდაათოთხმეტ ნახევარი. ესლახან რჯულისმდებელის კრების მწვერმა – ავგ. შევალიემ თქვა, რომ ხალხის შემოსავალი იმოღვნა

არისო, რომ დღეში ერთს კაცზედ ორმოცდაცხრა გროში მოდ-ისო, მაგრამ ამ ანგარიშში შეცდომა და დიდი გადამეტება იპოვეს, ასე, რომ კაცზედ ორმოცდასამ ნახევარი გროში მოდის დღეში და ოჯახზედ საცა ოთხი სულია შვიდმეტშაურ-ნახევარი (3 ფრანკი და 50 სანტიმი).

გვსთქვათ, რომ ეს ანგარიში მართალია. ოჯახი ოთხი სულის-აგან შედგენილი დღეში შვიდმეტშაურ-ნახევრად იოლად წავა ერთს დღეს. მაგრამ. აშკარაა, ბრწყინვალება არ ექნება: დედა და მისი ქალები აბრაშუმის კაბებს არ ჩაიცმენ, მამა საქეიფოდ არ ივლის; თუ ვინიცობაა სამუშაო შემოაკლდეს, ან სწეულება დაეცეს, ან უბედური შემთხვევა რამ მიეცეს, ან კიდევ ბიწიერება რამ ოჯახში შეუვარდეთ სახარჯოც შემოაკლდებათ და მალე ლუკმაც გაუწყდებათ. ამისთანაა ეს კანონი — კანონი სასტიკი, რომელსაც ვერავინ ვერ წაუვა, თუ არის, ვინც სხვის ხარჯზედ ცხოვრობს, — კანონი, რომელმაც ჩვენ ის გაგზავდა, რაცა ვართ და რათაც ვლირვართ. კაცობრიობის ჭეშმარიტი განგება სილ-არიბე არის.

ჰსჩანს, სტატისტიკით დამტკიცებულია, რომ ხალხს ფრანცუ-ზებსავით, უკეთეს გარემოებაში მყოფსა, იმოდენა მოჰყავს მოსავა-ლი, რამოდენაც უჭირს და უნდება. სხვა ქვეყნებშიაც ამასვე ვპოულობთ: ყველგან იმ რეზულტატსა ვნახავთ (რომელიც სა-სურველია ყველამ გულში ჩაირჩინოს). რომ კაცის ცხოვრების წყარო — შრომა და სიღარიბეა; მისი დანიშნულება — მეცნიერე-ბა და სიმართლეა; პირველი მისი კეთილმოქმედება — ზომიერე-ბაა. ცოტადი ცხოვრებდე. ბევრს მუშაობდე და გაუწყვეტლად სწავლობდე — აი წესი, რომლის მაგალითსაც სახელმწიფო თავის ხალხს უნდა უჩვენებდეს.

იტყვიან: — ეგ შვიდმეტშაურ-ნახევარი დღეში ოთხს კაცზედ შრომის უკანასკნელი ნაყოფი ხომ არ არისო? შეიძლება შრომამ მოიმატოს, შემოსავალი ერთიორად გახადოსო? მეც ვიტყვი, რომ თუ მოსავალი ერთიორად გახდება, ხალხიც ერთიორად მოიმატებს და გამრავლდება. გამოვა ისევ ის, რაც უწინ იყო. ჰსჯობია საქმე უფრო ახლო გავსინჯოთ.

მოყვანა რისამე დამოკიდებულია საჭიროებაზედ. თუ ერთი

რამ არავისთვის საჭირო არ არის, ვინ იქნება რომ, იმაზე შრომა გასწიოს, მამასადაძე, რამდენიც საჭიროა, იმდენი უნდა მოიყვანო. საჭიროებამ რომ ერთი ბეწო დაიკლოს – შრომაც დაიკლებს, და ჩვენ ვნახამთ, რომ დაიკლებს თითონ სიმდიდრეცა: ეს აუცილებელია. მართლა და წარმოვიდგინოთ, რომ საჭიროებამ დაიკლო და შრომამ კი არა: რადგანაც შრომის ნაყოფს ბევრი მუშტარი არ ეყოლება, ბევრი არ ითხოვს, ამის გამო ფასს დაიკლებს, მაშინ ის გამოვა, რომ იმ შრომის ნაყოფის ერთი ნაწილი თითქო არც კი ყოფილაო.

საჭიროება ორნაირი არის: აუცილებელი და მეტი. თუმცა ძნელია, რომ კაცმა ამ ორ საჭიროებას სამძვარი დაუდვას და უჩვენოს სად თავდება ერთი და სად იწყობა მეორე, მაგრამ განსხვავება კი აქვს, ერთი კაცი არ არის, რომელსაც კი თავის ცხოვრებაზედ უფიქრნია, რომ არ შეეძლოს თქმა, რომელი საჭიროებაა მისთვის აუცილებელი და რომელი მეტი.

ეხლა რომ გავსინჯოთ ცხოვრება, ჩვეულება, მძღვერება და აღზრდა მუშების უფროს ნაწილისა, ადვილად ვნახავთ, რომ მათი შრომა და ჯაფა მაშინ არის დიდი და ძლიერი, როცა აუცილებელი საჭიროება ძალას ატანთ, როცა კი აუცილებელი საჭიროება დაკმაყოფილებულია, და უნდა მეტისათვის შრომა გასწიოს, მაშინ შრომა მისი იკლებს და მალე სრულიადაც გათავდება ხოლმე. საზოგადოდ კაცს მარტო იმაზედ უყვარს შრომის გაწევა, რაც აუცილებლად მისთვის საჭიროა. ამაში კაცი ბუნების ნამდვილი წარმომადგენელია: თითონ ბუნებაც მეტს არაფერსა ჰქმნის, ლაც-ცარონი ამისი მაგალითია: თუ იმან სადღილი ჭამა ხელს ვეღარ გაანძრევინებ. ზანგი (ნეგრი), რომლის განთავისუფლებას ეხლა თხოულობენ, – მაგასვე ჰჩადის. კაცმა რაკი აუცილებელი იშოვა მაშინვე მოსვენებას ელტვის, ამ ბედის ნაყოფსა, რომელსაც უფროდ გულმოდგინეთ ეძებს, რომ მისგან მეტის შრომა მიიღო უნდა ფასი ერთი ორად, ერთი სამად გაუნადლო, შრომაში მიჰსცე იმდენი, რამოდენათაც არა ღირს – და ეს ყველაფერი მოგების ე. ი. თითონ ნამუშევრობის კანონისა წინააღმდეგია. აქაც პრაქტიკა თეორიას ამტკიცებს. მუშაობა მრავლდება იქ, სადაც ხალხის გამრავლებისა გამო, სარჩოს საჭიროება მატულობს და სადაც

ამის გამო გაუწყვეტლად მუშის მუშტარი ბევრი ჩნდება. მაშინ მუშის ფასი კლებულობს უფრო ვიდრე მატულობს, სამუშაო დღე უფრო გრძელდება, ვიდრე მოკლდება. თუ ამის წინააღმდეგი მოხდებოდა, მაშინ თითონ მუშაობაც შექსწყდებოდა.

რომ სიმდიდრემ მოიმატოს რომელიმე ხალხში სამი რამ უნდა: 1) მუშებს მოუმატონ ახალი საჭიროება, რომელიც ადვილად შესაძლებელია, მითი რომ გაუხსნათ გემოვნება და ჭკუა. ე. ი. უმეტესი განათლება მიანიჭოთ, რომელიც თავისთავად კაცს უილაჯობილად დაიხსნის; 2) უფრო და უფრო გონიერად მოაწყოთ შრომა და მუშაობა, რომ მუშებმა დრო და ძალი გამოიზოგონ და 3) ამისათვისვე ბოლო მოუღეთ პარაზიტობას (სხვისით ცხოვრებას). ეს სამი პირობა სიმდიდრის განვითარებისათვის ამ სიტყვაში შემოდის: უფრო და უფრო თანასწორად გაიყავით ცოდნაც, ღვაწლიც და ნამუშევარიცა. ეს – თანასწორობის კანონია, ყველაზე უდიდესი თითქმის, მხოლოლობითი კანონი საპოლიტიკო ეკონომიისა, იმიტომ, რომ ყოველი სხვა კანონები ამის სხვადასხვანაირი გამომთქმელები არიან და თითონ სიღარიბის კანონიც ამის ნაყოფია და სხვა არაფერი.

მეცნიერება ამბობს, რომ ამ პლანში არამც თუ აუსრულებელი რა არის, არამედ ამ სამთა მიზეზთა ერთად მოქმედების მეოხებით ოცდაათის საუკუნის განმავლობაში შევიძინეთ კაცობრიობის ეკონომიურ მდგომარეობისათვის ცოტა რამ წარმატება.

მაგრამ ვინ არა ხედავს, რომ თუ განათლებით მუშა ხალხი ერთს საფეხურით ცივილიზაციაში მალლა დგება, ერთის სიტყვით, იმაში, რასაც მე ჭკუის ცხოვრებას ვეძახი; თუ მგრძობელობა მუშა ხალხისა უფრო ნაზდება, გამოხატულება უსუფთავდება, საჭიროება უძრავდება, უფაქიზდება, უცოცხლდება, საქმის მდგომარეობა ისევ ისე არის, არ იცვლება, ე. ი. კაცობრიობა კეთდება გონებით, კეთილმოქმედებით და სათნოებით – როგორც სახარება ამბობს, მაგრამ რადგანაც ყოველთვის სულისათვის და ხორცისათვის მარტო პურსა არსებითსა შოულობს, სარჩოთი, ნივთიერებით ყოველთვის ღარიბად რჩება. აი ესხანდელი ფრანციის მაგალითი ამას გვიმტკიცებს. უეჭველია, რომ ამ ორმოცს წელიწადში ნამუშევარმა ძალიან იმატა; იქნება ესხა შედარებით

უფრო მეტია ვიდრე 1820-ში. მაგრამ ვინც იმ დროს მოჰსწრობია, იმათვის საეჭვო აღარ არის, რომ ეხლა ყოველი წოდების ხალხი უფრო გაჭირებულია, ვიდრე მაშინ, ლუდოვიგო XVIII-ის დროს. რისგან არის ეს? ამისგან არის ესა, რომ – როგორც ზემოთა ვჰსთქვი – დაბალის და შუათანის ხალხის ზნე გაიწმინდა, გაუკეთესდა და ამავე დროს იმ მიზეზთა გამო, რომელთაც ქვევით მოვიყვან, უფროდაუფრო დავიწყებას და დარღვევას მიეცა თანასწორობის კანონი, კანონი ზომიერებისა და სიღარიბე აუტანელი გახდა და ბუნებით, კეთილსათნობიანი, იგი გაგვიხდა ჩვენ სულთამზუთავად. ჩვენ რაც მეტია, იმას მოვუმატეთ და ეხლა აუცილებელიც არა გვაქვს.

ამ სახით ბუნების დანიშნუთავე ყოველი ხალხი ბარბაროზული თუ განათლებული, როგორც რომ მართველობა და წესი უნდა ჰქონდეს, მაინც ღარიბია და ღარიბი, მით მომეტებულად ღარიბია, რამოდენათაც იგი განშორებულია პირველყოფილს მდგომარეობას, ე. ი. ბუნებისაგან მიცემულს „სიიფეს“ და მიახლოვებულა შრომის შემწეობით „სიმდიდრესთან.“ იმისდაგვარად რომ ხალხი ეხლა შეერთებული შტატების მიწით ყველაზედ მდიდარი ხალხი მრავლდება და მიწებს იჭერს, კანონი შრომისა უფროდაუფრო მიუცლებელი ხდება ყველასათვის, რადგანაც თვით ბუნების გამოსავალი აღარ ჰყოფნის და შეუცდომელი სიღარიბის ნიშანი ის არის, რომ რაც იქ უწინ მუქდად ანუ თითქმის მუქდად ეძლეოდათ, ეხლა ფასს იღებს თანდათან უფრო მეტს, რომელიც გამოს პირველყოფილი მუქთაობა ქრება და დასაწყისი „ფასიანობისა“ (ЦЕННОСТЬ) შემოდის და პროლეტარიობაც იწყობა. ამის მგზავსივე საქმე ისპანიას მოსდის. რამდენიმე საუკუნის ძილის შემდეგ ისპანიამ ერთბაშად გაიღვიძა შრომისა და თავისუფლების ხმაზედ. ისპანია მიაღვა თავის მიწებს, რომ მიწილამ მოგება ამოიტანოს. სიმდიდრემ მაშინვე ყველაგან და ყველასათვის შადრევანსავით დენა დაიწყო. მუშის ფასმა აიწია, იმიტომ, რომ ფასს მიწა და უცხო ქვეყნის ხალხი აძლევდა. მაგრამ აბა ხალხმაც ისე მოიმატოს, როგორც სიმდიდრემ იმატა, ე. ი. ხალხის რიცხვი სიმდიდრეს გაუსწორდეს – ამას ორმოცდაათს წელიწადზედ ნაკლები დრო მოუნდება და მაშინ ის-

პანია გათანასწორდება, ე. ი. ღარიბად წარმოგვიდგება, ზნეობით კი, რასაკვირველია, უკეთესი და უმაღლესი შეიქმნება.

მაშ – მეტყვის ვინმე მამმონის გულფიცხელი თაყვანისმცემელი – ყოველივე ჩვენი შრომა და ჯაფა ამო ყოფილა. ეს მთელი ხალხის საქმიანობა, ეს ახოვანი მუშაობა, ეს საკვირველი მაშინები, ეს ნაყოფიერი გამოგონებანი, ეს ნამუშევრობის სახელი და დიდება, სულ ამო ყოფილა და ჩვენ უღონობას აჩვენებს, რადგანაც უფროდაუფრო გვაღარიბებს; ისა ჰსჯობია ყველაფერზედ ხელი ავიდოთ.

მაშ გლახობისათვის ვმუშავობთ, – ეგ ხომ ნამდვილი ტყუილია! მაშ, რაღათ ვიმტვრევთ თავებს და თავში ქვას ვიხლით, თუ კი ჩვენის შრომით აუცილებელის შოვნის მეტს ვერაფერს მივწვდებით? მართლა რომ კაი საქმისათვის მოგიკიდნიათ ხელი: სულს მხნეობას ართმევთ, ჭკუას ამდაბლებთ, გულის სიმხურვალეს აციებთ, უნაყოფოდ ხდით გენიოსებსა – ეგ არის თქვენი კეთილზნეობა, ეგ არის თქვენი განათლება, თქვენი მშვიდობა!

ვინც მე ამას მეტყვოდა, მეც ამას ვეტყოდი: აიხსენ პირბადე შენი რიტორება გამხელებს შენ, ალებ-მიცემის შარლატანო, ბაზრის ავაზაკო, ხაზინის მუწუკო, სულდაბალო მოქრთამე! გაგვეცალე იქით და შენის საზიზღარის თავისაგან დაიხსენ პატიოსანი შრომა, იმიტომ, რომ თქვენისთანა ხალხის მეფობის დასასრული მოდის და შეიძლება რომ შიმშილითაც ამოწყდეთ.

გულწრფელსა კი, რომელსაც რიტორება წინააღმდეგისა ყოველთვის შეაცდენს ხოლმე, მე ვეტყვი: თუ ერთხელ იმისთანა დრო იყო, როცა მიწის მოქმედი ბარს სარჩოსა ჰსთხოვდა, როგორ არ გესმის, რომ მერედ ხალხის გამრავლების შემდეგ მაგავე თხოვნით უნდა მიჰსდგომოდა გუთანსა და ხალხის უფრო გამრავლების მიზეზითვე, დღეს იძულებულია იგივე მოჰსთხოვოს მემამინესა, ხომალდსა, ლოკომოტივისა? გამოგიანგარიშნია, რამდენი სიმდიდრე უნდა ჰქონდეს კაცს, რომ ოცდარვა ათასს კვადრატულს მილის მიწაზედ ოცდაშვიდმეტი მილიონი კაცი შეინახოს? მაშ იშრომეთ, იმიტომ, რომ რა წამსაც შრომას თავს დაანებებთ, ლუკმაპურის ილაჯი აღარ გექნებათ და სიგლახაკეში ჩაჰსცივივით. გაისარჯენით, გაიმრავლეთ, გაიდიდეთ ღონისძიება;

გამოიგონეთ მაშინები, ეძებეთ სასუქი, სხვა ქვეყნის პირუტყვი გაიჩინეთ და თქვენს ჰავას შეაჩვიეთ, ახალი საზრდო მცენარე მოიყვანეთ, გუბეების ამოშრობა ისწავლეთ, ტყეებს გაუფრთხილდით, თუ არა გაქვთ ისიც აღზარდეთ, გააკეთეთ ხოდაბუნები, გაწმინდეთ, მორწყეთ; გაიჩინეთ თევზი წყლებში, მდინარეში, წყაროებში, თუნდა გუბეშიაცა; ქვის ნახშირის მადნები გამოაჩინეთ; ოქრო, ვერცხლი გადაახალისეთ; გადაადნეთ რკინა, სპილენძი, თუთია, ტყვია, კალა, ფოლადი; აცხეთ, ართით, ჰკერეთ მებელი, ჭურჭელი აკეთეთ და ნამეტნავად ქაღალდი, გადაიკეთეთ სახლები; ახალი ბაზრები დააფუძნეთ; ალებ-მიცემობა დაიჭირეთ და ბანკებში რეკლუციები მოახდინეთ. ეს თქვენთვის დიდი არაფერია, მაგრამ მარტო გაკეთებაც არაფრად აღიქვამს: უნდა, როგორცა ვკნთქვი, – შრომა და ღვაწლი თანასწორად იყოს ყველასგან კისრად აღებული თავის ნიჭის და შეძლების მიხედვით და ყოველს მუშაკს მის ნამუშავარისდაგვარად ფასი უნდა ეძლეოდეს. თუ ეს თანასწორობა არ გექნებათ, თქვენ სიგლახაკეში იქნებით და მთელი თქვენი ნამუშავრობა თქვენთვის უბედურება იქნება. აი როცა თქვენის გულმოდგინე და თანასწორად გაყოფილის შრომით და შემოსავლით თქვენ ყველასფერსა იქმთ, რომ გამდიდრდეთ, მაშინ თქვენდა საოცრად თქვენვე ნახავთ, რომ ქვეყნის ნამუშევრით ძლივს ირჩენთ თავსა და არც კი გრჩებათ არაფერი, რომ ყველიერის ორ დღეს მაინც ქეიფი გაჰსწიოთ. ახლა თქვენ მკითხამთ: ნაშრომი რომ ემატება ხალხს, თუმცა უფრო მრავალს იმათგანს მაგითი თავისთავის დასარჩენი ძლივა რჩება, მაგრამ ზოგიერთს თვითვეუღს პირს ცხოვრება უფრო არ უკეთდება იმ მომატების მიხედვით? რასაკვირველია, უფრო უკეთესს ცხოვრებაში შედის ზოგიერთი ცალკე პირი: მაგრამ რაში მდგომარეობს ეგ უკეთესობა? ჭკუის მხრით – ცოდნის მომატებაში, სიმართლის შეყვარებაში, იდეალის გამშვენირებაში; სხეულის მხრით – უფრო ამორჩევით ხმარებაში იმისდაგვარად რა განათლებაც მიჰსცემია ჭკუასა.

ცხენი ქერსა ჰჭამს, ძროხა თივასა, ღორი რკოსა, ქათამი – საკენკსა. ისინი არ ითვლიან საჭმელსა და მაგისათვის არც ბევრი ენადვლებათ. მე მინახამს, რომ სოფლელი მუშა ყოველ

დღე ერთ და იგივე შავ პურსა ჰსჭამდა და ერთ და იგივე კარტოფილსა; თვალად თითქო ამაზედ არა ჰსწუხსო: მხოლოდ იგი ყოველდღე ხორცს და ფერს იკლებდა მეტისმეტის შრომისაგან. მაგრამ განათლებული მუშა კი, რომელსაც მოხვედრია სხივი განმანათობელის სიტყვისა, სხვადასხვანაირს საჭმელს ჰსაჭიროებს. იგი ხმარობს პურს, ბრინჯს, მწვანილს, ხორცს, თევზს, კვერცხს, ხილს, რძეს, ხანდისხან ღვინოს და სხვა სასმელებს, ჩაის, – ყავას; თავის საჭმელს ამარილებს, მასალას უშვრება და სხვადასხვანაირად ხარშავს. იმის მაგიერად რომ მზეზედ გამხმარი ცხვრის ტყაპუჭი ჩაიცვას, ან დათვისა, იგი ხმარობს სამოსელს ან ბამბისაგან, ან სელისაგან, ან კანაფისაგან მოქსოვილსა; თეთრეულსაცა ხმარობს, ზაფხულში ესე იცვამს, ზამთარში სხვარივად. მისი სხეული მაგარი, გაწმენდილის სისხლით და გაპატიონებულის სულით განათლებული, ბევრს იმისთანა მზრუნველობას და პატივს ითხოვს, ურომლისოთაც გაუნათლებელი იოლად მიდის. აი პროგრესი, აი წარმატება: მაგრამ მაინც კიდევ ამას კაცობრიობა სიღარიბიდან არ გამოჰყავსთ, იმიტომ, რომ კაცობრიობას მართო ისა აქვს, რაც აუცილებლად საჭიროა ასე, რომ ერთ დღესაც ისე ვერ იქეიფებს, რომ მაშინვე შიმშილი არ იგრძნოს.

მაშ შეგიძლიანთ ისე მოახდინოთ, რომ კაცმა შუა რიცხვით ათს საათზედ მეტი ანუ თორმეტი საათი დღეში იმუშავოს? შეგიძლიანთ განა, რომ ასის კაცის საქმე ოთხმოცმა გააკეთოს, ანუ ოჯახმა მანეთი და ხუთი შაური დღეში დახარჯოს, მაშინ, როდესაც დღეში შვიდმეტემაურ-ნახევარი შემოსავალი აქვს? როგორც ეს არ შეგიძლიანთ ისე ისა, რომ თქვენმა მაგაზინებმა, დუქნებმა, რასაც თხოულობენ იმაზედ ბევრი საქონელი შეინახოს, იმაზედ ბევრი, რის ყიდვაც შეუძლიან ცხრა მილიონს ოჯახს, როცა თითო ოჯახს დღეში შვიდმეტემაურ-ნახევარი აქვს. აბა მიეცით ყველას ვისაც უჭირს ექვსი პერანგი, მაუდის კაბა, ტანისამოსი ორი ხელი, რომ გამოიცვალოს ხოლმე. ერთი წყვილი ფეხსაცმელი და მაშინ ნახავთ – ბევრი დაგრჩებათ თუ არა, მაშინ მეტყვით მე, ხართ თუ არა სიიფეში, ჰსცურავთ თუ არა სიმდიდრეში. ეგ ქალაქის კოხტაობა, ეგ აუარებელი ქონება, ეგ

სახელმწიფოს დიდ ბრწყინვალება, ეგ ჯარის, ღალის, საზოგადო სამუშაო ხარჯი; ეგ მიწების შემოსავალი, ეგ „liste civile“, ეგ ხმაურობა და ლეწა ბანკებისა, ბაზრებისა, მილიონების და მილიარდების ჯახა-ჯუხი; ეგ დამატკობელი სიამოვნება, რომლის ამბავიც ხანდისხან თქვენამდინაც მოვა ხოლმე – ეს ყველაფერი თქვენ თვალებს გიხვევთ, თვალებს გიბამთ, გაჯერებინებთ, რომ მართლა სიმდიდრე არის და თქვენის საკუთარის სიღარიბით გულს გიკლავთ. მაგრამ მოიგონეთ, რომ ეგ მედიღურება და ბრწყინვალება, რომელშიაც ოთხი სულია, იმ ოჯახის შვიდმეტ-შაურ-ნახევრიდამ არის გამორცხული, რომ ეგ ღალაა მუშის ნამუშავარიდამ აღებული, ჯერ როცა მუშას თავის ნამუშავარის ფასი არ მიუღია. შემოსავალი არმიისა (ჯარისა) – შრომაზედ დადებული ხარჯია; შემოსავალი საკუთრებისა – შრომაზედ დადებული ხარჯია; შემოსავალი ბანკირისა, სოფლაგარისა, ვაჭრისა, ჩინოვნიკისა – შრომაზედ დადებული ხარჯია; მაშასადამე, შემოსავალი ბრწყინვალეებისათვის და მედიღურობისათვის მიუცილებელ საჭიროებიდამ მოკრეფილია. მაშ, ნულარ გმურთ; როგორც ვაჟკაცებმა მოითმინეთ ყოფა, რომელშიაცა ხართ და უთხარით თქვენს თავს: ბედნიერი კაცი უფრო ისა ყოფილა, ვისაც ჰსცოდნია ღარიბად ყოფნა. ძველის დროების სიბრძნემ წინაღვე იგრძნო ეს ჭეშმარიტება. ქრისტიანობამა პირველად განსაზღვრა გადაწყვეტილად სიღარიბის კანონი და რასაკვირველია, როგორც სარწმუნოებას შეჰყურის, თეოლოგიის მხრით გასინჯა იგი. წარმართთა გატაცებულ სიამოვნებათა წინააღმდეგმა ქრისტიანობამ სიღარიბე ისე ვერ გამოიკვლივა, როგორც რიგია; მან წარმოიღვინა სიღარიბე ტანჯულად თავის დაჭერაში და მარხულობაში, მონოზნობაში და სინანულში. ეს რომ მოვაშოროთ სიღარიბე, წარმოთქმული სახარებისაგან, არის უდიდესი ჭეშმარიტება, რომელიცა ქრისტემ კაცს უქადაგა.

სიღარიბე რიგიანია და უძრახველი; მისი სამოსელი დაკონკეზებული არ არის, როგორც წამოსასხამი ცინიკისა; მისი საღვური ფაქიზია, მრთელია და მშვიდობიანი, იგი თეთრეულს კვირაში ერთხელ მაინც იცვლის: იგი არც ფერმკრთალია, არც შიმშილით გადალული. როგორც დანიელის ამხანაგნი, ჯანმრთელია მწვა-

ნილეულის საჭმელითა; მასსა აქვს პური არსებითი, იგი ბედ-ნიერია.

სიღარიბე კმაყოფილება არა არის: ეგ მუშისათვის გარყვნა იქნებოდა. არ ვარგა, რომ კაცი კმაყოფილი იყოს; უნდა რომ ყოველთვის გაჭირების ნესტარსა ჰგრძნობდეს. კმაყოფილება გარყვნაზედ მეტიც იქნებოდა; იგი მონება იქნებოდა. საქმე ის არის, რომ კაცს შეეძლოს, თუ გაუჭირდა, გაჭირებაზედ მაღლა დადგეს, გაჭირებას ჰბატონობდეს, და რაც საჭიროა უიმისოთაც გაჰსძლოს. თუმცა ეს ასეა, მაგრამ სიღარიბესაცა აქვს თავისი გულითადი მხიარულება, თავისი უმანკო დლეობა, თავისი ოჯახის სიტკბოება უფრო გულის მალმობიერებელი, რომელსაც ცხადად გამოვკვინათავს ჩვენ სადა, უბრალო და ზომიერი ცხოვრება.

ცხადია, რომ არც კი უნდა გვინდოდეს ამისთანა ყოფილადამ გამოსვლა, ცხადია, რომ უნდა აღვასრულოთ კანონი ბუნებისა და ჩვენის საზოგადოებისა. სიღარიბე მაღლია და ჩვენ უნდა ვუყურებდეთ მას, როგორც ჩვენის სიხარულის წყაროსა. გონება გვიბძანებს ჩვენ, რომ მისის მიხედვით უნდა წავიყვანოთ ჩვენი ცხოვრება; ჩვენი ზნეობა გავამარტივოთ, სიამოვნებას ზომიერად ვექცევოდეთ, გავწმინდოთ, შრომა შევიყვაროთ და ყოველი ჩვენი წადილი და მიდრეკილება სიმართლეს დავეუძორჩილოთ.

[1863წ. ოქტომბრამდე]



მტნობრაჟიული ბანსილჳა კჳელთა და ახალთა კაპადოკიის ან ჭანეთის მკვიდრთა მოსახლეთა.

საქართველოს ერი, ენისა და ლაპარაკის მიხედვით, განიყოფება ორად: პირველსა შეადგენენ: ქართველნი, ე. ი. მცხოვრებნი: ქართლისა, კახეთისა, იმერეთისა, გურიისა, სამცხე-საათაბაგოსი და მეორესა: მეგრელნი და ჭანელნი მოსახლენი სამეგრელოსი და ჭანეთისა ან ძველის კაპადოკიისა.

ძველი კაპადოკია მდებარეობდა მცირის აზიის შუაგულში და იყო მოსაზღვრე ჩრდილოეთით შავი ზღვისა ლიხის მდინარის შესართავიდან, ვიდრე ქალაქადმდე რიზა; სამხრეთით კილიკიის მთებისა (აწ ბულღარ და ალადალი); აღმოსავლეთით კოლხიდისა (აწ ოსმალეთის საქართველო), ამის შემდგომ ადგილებისა და ხალხთა, რომელნიც არ ეკუთვნოდნენ არცა საქართველოს ნათესავთა, არცა სომეხთა¹, და ამათ უკან ეფრატის მდინარისა და მცირე სომხითისა; დასავლეთით ჰალიზის ანალაზონის მდინარისა, რომელიც განჰყოფდა კაპადოკიას მხარეთაგან პაფლაგონიისა, გალატისა, ფრიგიისა და ლიკონისა².

დროსა სპარსთა ფლობისა, ე. ი. ხუთის საუკუნის წინათ ქრისტეს შობისა კაპადოკია შეადგენდა ორს საერისთოსა ან სატრაპიასა³. პირველი საერისთო იყო კაპადოკია ხმელეთისა, მეორე კაპადოკია შავის ზღვის ნაპირისა; ორივე საერისთონი განისაზღვრებოდნენ სციდიის მთებითა (აწ ჭანეთის მთები). საზოგადოდ სივრცე კაპადოკიისა ფრიგიიდან, ვიდრე ეფრატის მდინარემდე იყო 1800 სტადიონი⁴ და სიგანე შავის ზღვიდან ვიდრე კილიკიის მთებამდე 3,0001.

I. კაპადოკია ხმელეთისა იყო უწყლო ადგილი, ცხელი, მოუსავლიანი და უნაყოფო. სამზღვრის ნაპირებსა მოუდიოდნენ მდინარენი

¹ სტრაბონი, წიგნი 12. §. 1. ეს ადგილი არის ბაზიანი და არზრუმის მხარენი.

² სტრაბონი, წიგნი XII, § 1; პლინი წიგნი VI, თავი 19.

³ გ. ლეროდოტე. წიგნი III, §. 90, 94.

⁴ სტადიონი 569 ფუტია, ფუტი არის ერთის საყენის მეშვიდედი ნაწილი.

ხალისისა და ეფრატისა და ორნი სხვა მდინარენი ჰრწყამდნენ მცირეს სამხრეთის ნაწილსა, რომელ არიან მდინარე პირამისა (აწ ჯეიხუნი), ჰქონდა წიაღი ღრმა და ნავით სავლელი, მდინარე საროსისას (აწ სარანსუ). ამით გარდა, ჰქონდა რამთონიმე წყაროები, რომელნიც ერთვიდნენ მარილით სავსეთა ტბათა. ამ მდინარებსა და წყაროებს სათავე ჰქონდათ მთებში, მთების სციდიისა მოსცვიდენ ჩრდილოეთის მხარესა და ტავრისა სამხრეთის ადგილებსა.

ხმელეთი-კაპადოკია სტრაბონის დროს განიყოფებოდა ათ სამოურავოდ: ხუთნი მდებარებდნენ ჩრდილოეთის კერძოდ, ე. ი., ლავინიასენი (აწ არაბკინი), სარგარასენი (აწ სივა), სარავენი (აწ ვიშერი), შამანენი და მორიმენი (აწ უსვეთი); და დანარჩენნი ხუთნი სამხრეთის კერძოდ: მელიტონა (აწ მალატა ეფრატის პირზედ), კატაონია (აწ ალადეელი), კილიკია (აწინდელნი თემნი: იჭილი, ტარსუ, ადანი და მარაში), თიანეთი (აწცა თიანეთი) და გორზაურეთი (აწ აკსერაია). მელიტონე იყო ნაყოფიერი ადგილი, რადგანაც ეფრატის მდინარე ჰრწყავდა, სავსე ხეხილითა და ყურძნითა. აქაური ღვინო ჩინებული იყო მთელსა საბერძნეთში. ამ თემის ქალაქი მელიტონე იყო აშენებული, როგორც მოუთხრობს ძველი თქმულობა, ასურეთის მეფის სემირამიდისაგან. კატაონია იყო მთებთა შორის დაბლობი და ვრცელი ადგილი, მთებში იპოვებოდნენ ვიწრო ხეობანი. ერთს ამისთანა ვიწრო ხეობაში მდებარეობდა ქალაქი კომანა, სადაც აშენებული იყო ბელლონის ტაძარი, რომელსაც აქაური მოსახლენი უწოდებდნენ მად. ქალაქი იყო ძალიან ვრცელი და მოშენებული. მუნებური მოსახლენი განიყოფებოდნენ ქურუმებად და მონებად; მონები ემსახურებოდნენ ტაძარსა, რომლისა ქურუმ-მთავრად ნიადაგ იყო თვით მეფე კაპადოკიისა. თიანეთი იყო მთიანი ადგილი, სადაც ვიწრო მთებში გზა გავიდოდა კილიკიად. თიანი (აწ ნივდე) იყო დედაქალაქი ამ თემობისა, ძალიან მაგარი, მოზღუდვილი ქვითკირის ზღუდითა და დაფუნებული ქვაყრილზედ. ამ ქალაქის ახლოს, მთის თხემზედ იყო აშენებული ტაძარი სახელსა ზედა: დიანა (ღმერთა პერამისა). დედაქალაქი ხმელეთის კაპადოკიისა იყო მაზაკა (აწ კესარია) აღშენებული არგოსის (აწ ერჯიშის) მთის კალთაზედ და მდებარე მზის გულზედ, უწყლო მოუზღუდავი და უნაყოფო¹.

¹ სტრაბ. წ. 12, §. 4.

მკვიდრი მოსახლე ხალხი კაპადოკიაში იყო უვიცი და ველური, განუხსნელი გონებითა და უმეცარი ხელოვნებისა, არ ჰქონდათ არცა წიგნი, არცა წერილი, თუმცა ჰსცხოვრებდნენ საშუალ განათლებულთა ერთა შორის, ერთის მხრით, ბერძენთა და მეორეს მხრით, ასურელთა. წინაპირველად ჰმონებდნენ ასურელთა, მერმე მიდიელთა, და მიდიელთა შემდგომ სპარსთა. სპარსთა მეფემან დარიოზ. ხუთასის წლის წინათ ქრისტეს შობისა, დაიპყრა კაპადოკია და განჰყო ორ საერისთოდ ან სასპასპეტოდ (სატრაპია ბერძენთა). პირველი სასპასპეტო იყო ხმელეთისა, ან დიდი კაპადოკია და მეორე კაპადოკია ზღვის ნაპირისა, ან მცირე. როდესაც სპარსთა სამეფო შემცირდა, მაშინ კაპადოკიის ერისთავთა მიიღეს ხარისხი მეფობისა. მეფე არარატ II იყო თანამედროვე ალექსანდრე მაკედონელისა, რომელიც განიძო სამეფოთიგან 322 წელსა ქრისტეს უწინ. ამისმა შვილმან არარატ III, სომეხთა მეფის შეწევნითა, დაიპყრა სამკვიდრო თვისი და შერთო თავის შვილსა არარატ IV ქალი თეოს ანტიოხიის მეფისა; არარატ VIII ჰსცხოვრებდა დროსა მეფობისა დიდისა მიტრიდატსა VII, რომელმანც მოჰკლა იგი და დაიპყრა მისი საბრძანებელი. რომის იმპერატორმან ტიბერიმ მოსპო კაპადოკიაში მეფობა 17 წელსა შემდგომ ქრისტეს შობისა².

შემდგომ განყოფისა რომის საბრძანებელისა ორად, კაპადოკია დარჩა მონებს ქვეშე ვიზანტიის იმპერატორთა. პირველს საუკუნეში ქრისტეს შობიდან ხმელეთის კაპადოკიაში იყვნენ მრავალნი ქრისტიანენი, და მესამე და მეოთხე საუკუნეში აქ არ იპოვებოდა არცა ერთი კერათმსახური. ამ დროს კაპადოკიაში იყო ორმოცდაათი საეპისკოპოსო საყდარი ან ეპარხია: კესარიისა, ნისისა, თერმისა, ტიანისა, ციბისტრისა, ნაზიანზისა, მელიტიინესი, კოძანისა

¹ სტრაბონი, წიგნი 12. §. 3.

² გალიანის ისტორია კაპადოკიისა, სენმარტენის სტატიები საზოგადო ისტორიულს ლექსიკონში ფრანციულს ენაზედ, გამოც. 1811–1852; სტრაბონი, წიგნი 12., §. 3.

და სხვანი¹. ჩინებულნი მღვდელ-მთავარნი ამ ადგილისანი იყვნენ: წმინდა გრიგოლ თაუმატერგი, წმინდა ვასილი კესარიელი, წმინდა მაკრინე და მისი, წმინდა გრიგოლ ნისელი და სხვანი მარკალნი სახელგანთქმულნი და ჩინებულნი მწერალნი.

თუმცა ეპარხიები მრავალი იყო ხმელეთის კაპადოკიაში, გარნა ხალხს არა ჰქონდა წერილი, არც ნათარგმნი სამღვთო წიგნები, თვით სამღვთო მსახურებას აღასრულებდნენ ეკლესიებში ბერძნულ ენაზედ, მღვდელნიცა თითქმის უმეცარნი იყვნენ ხალხის ენისა. ამგვარი ხალხის დაბრმობა და უვიცობა ქრისტიანობის სწავლისა იყო მიზეზი, რომელ 1192 წელსა, ოდესაც ოსმალთა დაიპყრეს მცირე აზია და დაარსეს იკონიის ქალაქს მეფობა, ხალხმა ადვილად და ძალის დაუტანებლად მიიღო მაჰმადის სარწმუნოება და დაივიწყა თავისი ენა.

ორსავე კაპადოკიაში მცხოვრებნი ხალხნი იყვნენ ერთისა ნათესავისა და ლაპარაკობდნენ ერთსა და იგივე ენაზედ. დასამტკიცებლად ამისა გვაქვს ჩვენ პირველი უწყება სტრაბონისა². რომელიც მეთორმეტეს წიგნის დასაბამში დარწმუნებით ამბობს: „სახელი კაპადოკიელი ეკუთვნის სრულებით ერთს ხალხსა, რომელნიც არიან ერთ ნათესავნი და ლაპარაკობენ ერთს ენაზედ და სახლობენ შემდგომთა საზღვართა შორის: სამხრეთით მთა კილიკიის ტავრი, აღმოსავლეთით სომხითი, კოლხიდა და მათ შორის ადგილები და მცხოვრებნი, მოლაპარაკენ უცხოს ენაზედ; ჩრდილოეთით პონტოს ზღვა, შესართავადმდე ჰალიზის მდინარისა, დასავლეთით ჰჰაფლაგონია, გალატია, ფრიგია და ლიკონია.

მეორე § სტრაბონი კიდევ განიმეორებს წინა თქმულსა. ამგვარს ღირსშესანიშნველს ჩვენებას ჩვენ არ დავიჯერებდით, თუ გვცოდნოდა, რომ ამას სტრაბონი ამბობს გაგონებით, ვითარცა მრავალნი უწყებანი ღეროდოტისა. სტრაბონს თვითონ გამოვჰყევართ ამგვარს ეჭვისაგან, როდესაც მოგვითხრობს, რომ მისი სამშობლო ქვეყანა იყო კაპადოკია, დაიბადა ქალაქსა ამასიას

¹ ტექსიეს აღწერა ოსმალისი ან მცირე აზიისა ფრანც.

² სტრაბონი, წიგნი 12. §. 1. გამოცემული ფრანციულად 1814 აგრეთვე ტარდიეს ნათარგმნი გამოცემული პარიჟში 1873 წელსა.

მდებარესა ირისეს მდინარეზედ პონტოში, დედა ჰყვანდა ნათესავ-ით ჭანი და ქალი ჩინებულის ერისთავისა, რომელიც პატივცემული და მიწნეული იყო ღიდის მიტრიდატისაგან პონტოს მეფისა. თავის სამშობლო ქვეყანას სტრაბონი გაგონებით არ იცნობდა, და როგორც გვაუწყებს, თითონ მოევლო მთელი კაპადოკია და არ გაგონებით აღწერა, არამედ რაც თავისის თვალთ ენახა და გამოეძია, რასაკვირველია, უწყება ამისთანა მწერლისა არ იქნება ტყუილი და დაუჯერებელი; ამის გარდა, პლინიცა გვარწმუნებს, რომელ კაპადოკია იყო ერთი და განუყოფელი ქვეყანა.

მეორე — მრავალი სახელები ადგილთა, მათა, ქალაქთა, მდინარეთა, მდებარეთა ზმელეთის კაპადოკიაში, როგორც ჰსჩანს კიპარტის ქარტისაგან, მცირის აზიისა, აწცა არიან ქართულნი. მაგალითად: თემი თიანეთისა და ქალაქი თიანი (აწ ნილდე) ქართულად ჰნიშნავს მთებთანს ადგილს და თვით საქართველოშიაც არის თემი თიანეთისა¹; ჩხორუმი, დაბა მდებარე მახლობელი ამასიის ქალაქისა; თავია, დაბა მდებარე ჩრდილოეთით კიშერის ქალაქისა; მუჟური, დაბა, მდებარე სამხრეთით კიშერის ქალაქისა; თამარმე, დაბა მახლობელ ქალაქისა კესარიისა; მუჟური, დაბა მახლობელ კესარიას ქალაქისა, ურგუბა (ორგუბე უნდა), მახლობელ აგრეთვე კესარიის ქალაქისა; სარმურ-სახლი, აგრეთვე დაბა მუნვე; ჭიჭაკის მთა მახლობელ კიშერის ქალაქისა; ერჯიში მთა, მახლობელ კესარიის, ბოცოს მთა კილიკიაში, თევზირის მთა, მახლობელ სივას ქალაქისა; აცმურის მთა, მახლობელი მილეტინის ქალაქისა; გაცურის მთა, მურაშინის ქალაქის დაბლა; ჭილობის მთა; ჩხატალი; ორთაყვის ორთაყვის მთა; მახლობელ ნილდის ქალაქისა; ფარხალი, მახლობელ საროს მდინარისა; დედა მთა, მახლობელ საროს მდინარისა. საჯი ხალფა, ლეოლრაფიის მწერალი, მუსულმანი მოიხსენებს რამთონთაჲ ადგილთა, რომელიც ქართულია, მაგალ. ქუთაია, გომიში (კამბეჩი მეგრულად), ჭალა. ტაზისკარი (ტაშისკარი); თავ-შანი, მენდერი (მდინარე), ბანა, ენგური, კარიბაზარი, და სხვანი².

¹ სტრაბონი, წიგნი 12. §. 9. ტექსიეს აღწერა მცირეს აზიისა, გვ. 567.

² ნახე ვივინ ს. მარტენის ლეოლრაფიული აღწერა მცირის აზიისა, გვერდი 188 და შემდგომნი.

ამათ გარდა, მრავალნი ადგილები, მდინარები და ქალაქნი პაფლაგონიაში ან სხვათა ადგილთა იწოდებიან აქამომდე ქართულის სახელებითა მაგალ. ენგური, ერთი ტოტი ზაგარის მდინარისა, ქალაქი ენგური (ძველი უნგური); მენდერჩაი, ბერძნულად მეანდერი ე. ი. მდინარე, ქალაქი ქიზიკი, მდებარე მარმარილოს ზღვის პირზედ; თემნუს ე. ი. თემი მიზიაში და სხვანი მრავალნი.

მესამე — ზნე-ჩვეულობა, ყოფაქცევა, შინაგანი ცხოვრება და თვით მმართველობაცა, აგრეთვე ცეცხლის მსახურება ჰქონდათ კაპადოკიის ხალხთა სრულიად მსგავსი ძველისა წესისა, ჩვეულობისა, ყოფაქცევისა და სხ. ძველთა ქართველთა. მეოთხე — რადგანაც კაპადოკიის ხალხსა ჰქონდა მონათესაობა საქართველოს ხალხთან, ამითი განიმარტების სურვილი კაპადოკიის სულიერთა მამათა დამყარება საქართველოში ქრისტიანობის სარწმუნოებისა. მოსულნი ამ აზრით, იოანე ზედაძნელი თორმეტის მოწაფეებითურთ, რომელთაც სახელები არიან: დავით გარესჯელი, სტეფანე სირსელი, იოსებ ალავერდელი, ზენონ იყალთოელი, ანტონი მარტყოფელი, იასე წილკნელი, თათე სტეფანწმინდელი, შიო მღვიმელი, ისიდორე სამთავნელი, აბიბოს ნეკრესელი, მიქელ ულუმბელი, პიროს ბრეთელი და ილია დიაკონი არ იყვნენ მესოპოტამიელნი, არამედ კაპადოკიელნი, ამიტომ, რომ ძველნი მწერალნი კაპადოკიელთა რაცხამდნენ სირიელად, ან მესოპოტამიელად. თუ ქართული ენა არ ჰსცოდნოდათ ამ წმინდანებს საქართველოში ვერ გაბედამდნენ მოსვლასა და ვერც მოიმოწაფებდნენ ხალხსა. ესეც უნდა ვსთქვათ, რომ წმინდა გიორგი იყო კაპადოკიელი და ამის გამო მთელს საქართველოში ძალიან პატივცემულია, ამ წმინდა გიორგის მონათესავე იყო წმინდა მოციქულთ-სწორი ნინო, აგრეთვე კაპადოკიელი და მცოდნე ქართულის ენისა. უამისოდ არ შეეძლო ქადაგება ქრისტეს სარწმუნოებისა და მოქცევა ქართველთა. უდაბნოში ცხოვრება წმინდათა სულიერთა მამათა კაპადოკიაში იყო ძალიან გავრცელებული, რადგანაც კლდეებში მრავალი იყო გამოკაფული ქვაბები და სადგომი სახლები, როგორც საქართველოში უფლისციხე და სხვანი. ამ ქვაბებში ჰსცხოვრობდნენ მეუდაბნოვენი, რომელთაგანცა ჩინებულნი იყვნენ სვიმეონ დიდნი მესვეტე (390-460); სვიმეონ მცირე აგრეთვე მესვეტე

(521-592). ეს სვიმეონ მცირე იყო მიზეზი საქართველოში გამოგზავნისა წმინდისა იოანე ზედაძნელისა მოწაფეებითურთ. ხსენებულთა წმინდათა განავრცელეს და დაამყარეს შერყეული ცეცხლ-მსახურთაგან ქრისტეს სარწმუნოება საქართველოში, რადგანაც თვით იყვნენ ქართველნი, ამათ შემოიღეს წელთაღრიცხვა იულიანისა, რომის კეისრისა და ახალის წლის დაწყება იანვრიდან, რომელიც დარჩომილია აქამომდე.

(შემდეგი იქნება)

ეზნოგოგრაფიული განხილვა კველთა და ახალთა კაპადოკიის ან ჭანეთის მკვიდრთა მოსახლეთა*

(შემდეგი)

II კაპადოკია შავი ზღვის პირისა განიყოფებოდა ორ თემად; პირველი თემი შეადგენდა პონტოს სამეფოს, მეორე კოლხიდას.

ა. პონტოს სამეფო იყო ადგილი წყლიანი, ტყიანი, მდიდარი ნაყოფებითა და მადნებითა. დასავლეთის სამზღვრის პირზედ მოუდიოდა მდინარე ჰალიზისა ან ალაზონისა (აწ კიზილ ერმაკი), ძალიან ვრცელი და ღიდი, რომელსაც სათავე ჰქონდა მახლობელ ნიკოპოლის ქალაქისა. გემის მთებში, ჰრწყავდა სრულიად კაპადოკიასა და ერთვიდა შავს ზღვაში მახლობელ ბაფირის ქალაქისა. მდინარე ესე ღირსია შესანიშნავად, მისთვის რომ ძველს დროში განჰყოფდა მცირის აზიის მკვიდრთა მოსახლეთა ორად: მარცხენა ნაპირი ეჭირა ხალხთა, რომელნიც ნათესავობით ეკუთვნოდნენ ბერძენთა, გარნა მარჯვენა ერთა, რომელნიც ნათესაობით იყვნენ აზიის ხალხნი, ე. ი. ჭანელები¹. სხვანი მდინარენი ზღვის კაპადოკიისა არიან: ირისე ან ირიზე (აწ ეშილერმაკი), რომლისაც ერთსა ტოტსა სახელად ჰქვიან ტეძამი და მეორესა ლიკუს (მგელი); გემრიელი წყალი (ქარტაზედ გარყვნილად ჰწერია

* „ივერია“ № 14.

¹ ვივიენ სენმარტენი. მცირე აზია II ტომი, 386 გვ.

გემრიელი ჩაი); თერმადონი (აწ თერმეს წყალი); ფსიხრონი (აწ კოლოპოტამო), რომელიც ერთვის ზღვასა მახლობელ რიზა ქალაქისა. სამხრეთი მხარე პონტოსი იყო მთებიანი და ზევებიანი: ბალხარის მთები, რომელნიც მდებარებენ პონტოსა და საქართველოს სამზღვარზედ, აწ გურჯი ბოლაზი ან საქართველოს ველი, ამ მთებს შეუდგებიან მთები ნაჭილობევისა, ან ძველთა მწერალთა, სციდის მთები; ერთი ნაწილი ნაჭილობევის მთებისა იწოდებიან გუაურად და გომიშად (კამბეჩოვანად); გომიშის მთები მდიდარია ვერცხლის მადნებითა. ზღვის პირზედ მდებარებდნენ მრავალნი ქალაქნი მდინარნი ვაჭრობითა და სიმდიდრითა: ამიზუსი (აწ სამსუნნი); თემისცირა (აწ თერმე); უნია (აწ ონის ქალაქი); კოტიორა (აწ ორდუ); ფარნაკი (აწ კერასუნნი); ტრაპეზონი, ღიზა (აწ სურმენა); ოფიზი, რიზე, ატენი; ხმელზედ: ამასია, მდებარე ირისეს მდინარეზედ, სამშობლო ადგილი სტრაბონისა; გაზიურა, ძველი დედაქალაქი ზღვის კაპადოკისა, მდებარებდა თერმადონის მდინარის ნაპირზედ; ელმანა, ზელა, სატალა (სათალი) და სხვანი.

მეშვიდე საუკუნეში ქრისტეს შობის წინ პონტოს სამეფოს ზღვის ნაპირებზედ, მილეტის ქალაქის მოსახლეთა დააფუძნეს სავაჭრო ქალაქები, რომელთაგანაც უპირველისი იყო სინოპი, ამიზუსი, კოტიორა, ტრაპეზუნტი და ჰქონდათ აქ ადგი-მიცემა და სარგოიანი ვაჭრობა მეზობელთა ხალხთათანა. ხსენებულთ ქალაქებსა ჰქონდათ თავიანთი მმართველობა და არ ემონებოდნენ სპარსთა მეფეთა; მაშინ, როდესაც პონტოსა და კოლხიდის მოსახლენი იყვნენ დამონებული სპარსთაგან, შეადგენდნენ ორს სასპასპეტოს (სატრაპიას) XVIII და XIX¹ და სპარსთა მეფისა ქსერქსის დროს მიიღებდნენ მონაწილეობას ბრძოლაში პირისპირ ბერძენთა და განიყოფოდნენ ოთხ გუნდად: პირველსა გუნდსა, მთავრობასა ქვეშე არიობარზანისა დარიოს მეფის ძისა, შეადგენდნენ ერნი მესხნი და ტიბარენნი; მეორესა, მთავრობასა ქვეშე არტაკისა, მოსენაკნი; მესამესა მთავრობასა ქვეშე ფარანდატისა, მარნი და კოლხელნი და მეოთხესა, მთავრობასა ქვეშე მისისტისა, – ალაროლიანელნი და ისპირელნი². ამითი ჰსჩანს, რომ პონტოს სამეფო-

¹ ლეროლოტის ისტ. წიგნი 3, § 90.

² ლეროლოტის წიგნი 7, § 76, 77, 78, 80.

ში და კოლხიდაში იყვნენ რამთონნიმე მთავარნი და ქსენოფონ-ტის დროს რომელიმე მათგანი იწოდებოდნენ მეფედა ვითარცა მთავარი მოსინაკთა. ვალიანი თავის პონტოს ისტორიაში მოუთხრობს, რომელ პირველი მეფე პონტოსა იყო არტაბაზი, დადგინებული დარიოს სპარსთა მეფისაგან ამისი მემკვიდრე 402 წლის ქრისტეს წინათ იხილება მიტრიდატ I, რომელიც განაგებდა სამეფოსა დროსა სპარსთა მეფის არტაქსერსისა, ამისი შვილი მიტრიდატი II სახელწოდებულ აღმაშენებლად იყო თანამედროვე ალექსანდრე მაკედონელისა, მიტრიდატ II-ის შვილმა მიტრიდატმა III გაიმარჯვა ლისიმახაზედ, რომელიც იყო მაკედონიის მეფე 384 წელსა და დასლო გამარჯვების წელიწადი დასაბამად წელთაღრიცხვისა ანუ ერად¹, რომელიც იყო მიღებული, როგორც ბოსფორის სამეფოში, ისე კალხიდაში და საქართველოში.

ღირსია შესანიშნავად რომ აქედამ იწყებიან ჩვენი ქრონიკონებიცა, რადგანაც იმ დროს მთელი კოლხიდა დამონებული იყო პონტოს მეფეთგან და ჰქონდათ ერთმანერთში დიდი ერთობა. აქამომდე სწავლულთა და სიძველის გამოძეიებლთა არ იცოდნენ სწორეთ, რომლის წლიდამ იწყებოდა ერა ან დასაბამი წელთაღრიცხვისა პონტოს სამეფოში. ზოგი ჰცდება 8, ზოგი 10, ზოგი 12 წლითა. მე რომ შევადარე ჩვენი ქრონიკონი და აღვრიცხე მაშინ აღმოჩნდა, რომ დასაბამი ჩვენისა და პონტოს ერასი არის 284 წელი ქრისტეს წინათ. ვინ არ იცის რომ ჩვენს ქრონიკონსა, როგორც რომ ეკლესიისკინკლოსსა აქვს საქცევი 532 წელიწადი. ეს რიცხვი შესდგება განმრავლებისაგან 28X19; რიცხვი 28 შეადგენს წელთა მზის მოქცევისათა და 19-მთოვარისათა. 532 წელი რომ დასრულდება, შვიდეულის დღენი, მთოვარის განახლება, დიდმარხვის აღების დღე, პასქა დღე და შემდგომნი ცვლადნი დღესასწაულნი, კვირაცხოვლობა, ამაღლება და სხვანი ანგარიშნი თვითეულის წლისა, იმავე შვიდეულს დღეს, თთვის რიცხვს და თვეს მოვლენ, როგორც რომ 532 წლის წინათ იყო. მაგალითად, ჩვენი ხუთასეული ქრონიკონი დასრულდა 1844 წელსა, ასე რომ 1845 წლიდამ იწყო ახალმან ხუთასეულმან ქრონიკონ-

¹ ნახეთ საზოგადო ბიოგრაფიის ლექსიკონი (52 ტომად გამოცემული პარიჟში 1811–1852), სტატია სენმარტენისა, მიტრიდატ III.

მან. 1844 წელსა პასქა იყო აპრილის 15. ამ წლიდამ რომ გამოხვიდეთ 532 წელი დარჩება 1312 წელიწადი, ამ წელიწადს პასქა იყო აგრეთვე 15 აპრილსა. ქრონიკონი ან დიდი ინდიკტიონი შემოიღო მღვდელმონაზონმა დიონისიმ 516 წელსა, ქრისტეს შემდგომ მოსაპოვნელად თუ რომელს თვესა და და რომელს რიცხვში დადგება პასქა. ამ ჟამადმდე, ე. ი. 516 წლამდინ ამგვარი აღრიცხვა არსად იყო და რასაკვირველია, არც საქართველოში იქნებოდა; საქართველოში, როგორცა ჰსჩანს, აღრიცხვა უწევიათ 781 წლიდამ ქრისტეს შემდგომ. მაშასადამე, ხუთასეული ქრონიკონი გათავებულა 780 და ახალი დამდგარა 781 წელსა. 780 წელს რომ დავრთოთ 284 წელი, მაშინ შეიქმს 1064 წელსა ან ორს სრულს ქრონიკონსა. თუმცა 781 წელს შემოუღიათ ქრონიკონი, გარნა რიცხვი წელთა დასაბამისა დაუდვიათ პონტოს ერა ანუ დასაბამი წელთა აღრიცხვისა, რომელსაც, როგორც ჰსჩანს, ზემო გამორიცხვისაგან ჰქონია დასაბამი 284 წელსა ქრისტე წინათ, ისტორიაც ეთანხმება ამას. 1844 შესრულდა ხუთასიანი ქრონიკონი და 1845 იწყო ახალმა ქრონიკონმა. ამ 1844 რომ დაუმატოთ 284 წელი შეიქმნება 2128 წელი. 2128 წელი რომ გავჰყოთ 532, დაშთება კერძობითი რიცხვი უნაკლულოდ 4; ეს ამას ნიშნავს, რომ ოთხჯერ ხუთასეული ქრონიკონი შესრულდა 1844 წელსა და 1845 წელს იწყო მეხუთე ხუთასეულმა ქრონიკონმა.

183 წელსა ქრისტეს წინათ ფარნაკ პონტოს მეფემან დაიპყრა სინოპი და სხვანი ქალაქები პონტოს ზღვის პირისა; ამ ქალაქების დაპყრობითა პონტოს სამეფომ მოიპოვა დიდი ძალი და ძლიერება როგორც ხმელეთზედ, ისე ზღვაში და შეძლება პირისპირ ბრძოლისა რომაელებთან. თუმცა მიტრიდატ VI ექმნა თანაშემწე რომაელთა ბრძოლათა პირისპირ დანიბალისა და გარჯისათვის ჯილდოდ მიიღო დიდი ნაწილი ფრიგიისა, გარნა შვილი მისი მიტრიდატი VII იყო დაუძინებელი მტერი რომაელთა და ებრძოდა მათ დიდხანს. 123 წელსა ქრისტეს შემდგომ მიტრიდატი VII აღვიდა ტახტზედ, ყრმა თორმეტის წლისა, ბუნებით ახოვანი, ბრგე და შემმართებელი, თავი დაუდო სწავლასა და განათლებასა, ამის გარდა, სიყრმითვე შეითვისა საომარი ზნე და

ჩვეულება, ჰქონდა საკვირველი მეხსიერება, იცოდა 22 ენა, გულში ჰქონდა თავის მამულის განდილება და ამისათვის არა ჰრიდებდა არცა თავსა, არცა წარჩინებულთ და მოყვარეთა. წინაპირველად განიზრახა მოსილვა მოსამზღვრეთა ადგილთა და სამეფოთა, ამისათვის შეუდგა გზასა, ორის მახლობლის კაცითა, სრულიად უცნაურად, დაჰყო მოგზაურობაში ოთხიოდ წელიწადი, თვალით განიხილა გამდგომარეობა მცირის აზიისა. შინ რომ დაბრუნდა, მაშინვე მოაგროვა ძალი, შევიდა კოლხიდაში, დაიპყრა აწინდელი აჭარა, გურია, იმერეთი, სამეგრელო, აფხაზეთი და სრულიად ბოსფორის სამეფო, ე. ი. ყირიმი, შემდგომად აღძრა შფოთი კაპადოკიაში, მოაკვლევინა მუნებური მეფე და მის ადგილს დასვა თავისი შვილი არიარატ VIII. ეს იყო მიზეზი პირველის ბრძოლისა რომაელთათანა. მიტრიდატმა მოირთო დიდი ძალი, როგორც ხმელეთისა, ისე ზღვისა, დაიმონა სრულიად მცირე აზია და წაართო რომაელთა თრაკია და ატენი. რა ესმა რესპუბლიკას განძლიერება მიტრიდატისა, მაშინვე მოაგროვა დიდი ძალი, უჩინა მხედართმთავრად სილლა და გაისტუმრა დიდის მიტრიდატის საბრძოლველად. სილლამ მახლობელ ხერონისა დაამარცხა მიტრიდატის ჯარი, დაიპყრა საბერძნეთი და გადიტანა ომი მცირეს აზიაში, დაიმონია იონია, მიზია და ლიდია. უღონო ქმნილმან დიდმან მიტრიდატმან ითხოვა ზავი და 85 წლის ქრისტეს წინათ შეეკრა პირობითა რომის რესპუბლიკას. ამ დროს მიტრიდატს განუდგნენ ბოსფორელნი; მიტრიდატმა იწყო მზადება და მოკრეფა ჯარისა ბოსფორას დასამონებლად, რომაელთა ჰგონეს რომელ მიტრიდატი ემზადება ბრძოლის განახლებისათვის მათზედ, ამისთვის უბძანეს მერენას უცებ მისვლა საომრად მიტრიდატზედ. მიტრიდატმა ორჯელ დაამარცხა მერენა 82 წელსა ქრისტეს წინათ და შეეკრა რომაელთა ახალის ზავითა. 79 წელსა კვალად დაიმონია ბოსფორის სამეფო, სადაც დასვა მეფედ თავისი შვილი მახარა (ქართული სახელი). ხმელეთის კაპადოკია კვალად იქმნა მიზეზი მესამის ომისა შორის მიტრიდატისა და რომის რესპუბლიკისა. პირველს ჟამს მიტრიდატმა დაიმონია პაფლაგონია, ვიფინია და მოადგა ქალაქსა ქიზიყს, მდებარესა მარმარილოს ზღვის ნაპირს. ამ ქალაქის მახლობლად ლუკულმა, მხედართმძლ-

ვანმა რომაელთა, დაამარცხა პონტოს მეფე, რომელიც განივლტო სომხითს, იქაც დამარცხდა პომპეისაგან და დანარჩენის ძალითა შეივლტო კოლხიდას, იქილამ გაღვიდა ბოსფორსა, ე. ი. ყირიმსა, სადაც მოინება ჯარის მოკრეფა და განახლება ომისა რომაელთა თანა. მისმა შვილმა შეიტყო ეს აზრი, მოიბირნა მხედართმთავარნი და წინააღუდგა მამას. მიტრიდატმა რა ჰცნო შვილის ღალატი, თავი მოიწამლა და გადიცვალა 64 წელსა ქრისტეს უწინ. გვამი მისი შვილმა გაუგზავნა პომპეის, რომელმან დიდის პატივით მიაბარა მიწას, ტაძარსა სინოპის ქალაქში, სადაც იყვნენ დამარხულნი წინაპარნი მიტრიდატისა.

დროს მეფობისა, რომის იმპერატორისა, ნერონისა პონტოს სამეფო შეიქმნა რომის თემად და ვიდრე 1204 წლამდინ ქრისტეს შემდგომ იყო მონების ქვეშე ვიზანტიის იმპერატორთა. ხსენებულს წელიწადს თამარ მეფის შეწევნით ალექსი კომუნინმა დაიპყრა ტრაპეზუნდი და იწოდა იმპერატორად ტრაპეზუნისა; სიგლებში ტრაპეზუნდის იმპერატორნი მრავალჯერ იწოდებიან მპყრობელად ივერთა და ჭანთა. ეს იმპერია არსებობდა 1461 წლამდინ; ამ წელიწადს ოსმალთა დაიპყრეს ეს იმპერია და ჰქმნეს საფაშოდ¹.

ბ. კოლხიდა მდებარებდა აღმოსავლეთის და სამხრეთის შავის ზღვის პირზედ; ასე რომ, ძველ დროში მთელი პონტოს სამეფო იყო ცნობილი სახელსა ქვეშ კოლხიდა², სტრაბონის დროს კოლხიდა ეწოდებოდა იმ ადგილებს, რომელნიც იწყებოდნენ ფსიხრონის მდინარის (აწ კოლოპოტამო) შესართავიდან ზღვაში, ვიდრე ოლდირის მდინარის შესართავამდე, სადაც მდებარებდა ჩინებული ალებ-მიცემის ქალაქი დიოსკურია (აწ იზგაური)³. კოლხიდა გარემოცული იყო კავკასიის მთებითა (ქართულად ღაღო). რომლისაც ერთი მომავალი სამხრეთისაკენ კალთა (ლიზის მთები) გაჰყოფს იმერეთსა და ქართლსა. ერთი კალთა ამ მთისა მივა

¹ უწყება ტრაპეზუნის იმპერიის დაარსებისა სტატია აკადემიკის კუნიკისა დაბეჭდილი უწყებათა შორის ს. პ. ბ. სამეცნიერო აკადემიისა, 1855, 733.

² ქსენოფონტი, IV და V წიგნი.

³ სტრაბონის წიგნი, XI, თავი I; პლინი, წიგნი VI; არიენის აღწერა შავი ზღვის ნაპირების. გამოცემული გოფმანისაგან ლათინურად, გვერდი 55.

მტკვრის პირამდინ და იცნობება ძველთაგან მოსხის მთად, ე. ი. სამცხის მთად ან აჭარისა (აწ სოლანლუხის მთები და კარგა-ბაზარი); მეორე კალთა მტკვრიდამ პირს შეუქცევს ზღვასა და იწოდებიან ფერსათის მთად; რომელიც გაჰყოფს იმერეთსა და გურიას სამცხისაგან; სხვა კალთა ამ მთებისა, რომელიც შეუდგებიან მტკვარსა, ისახელებოდნენ ძველთა მწერალთაგან კორაკის მთად (აწ ციხე ჯვარი); კორაკის მთებს პონტოს მხარესკენ შეუდგებიან სციდიის მთები და მასუკან ნაჭილობევი.

ამ მთების წიაღში ჰქონდათ მრავალთა მდინარეთა დასაბამი, რომელთაგან ღირსია შესანიშნავად:

ა. ფაზის მდინარე (აწინდელი რიონი), ჰქონდა სათავე, როგორც გვაუწყებს პლინი, მოსხის მთებში¹, სათავედამ ვიდრე შორაპანამდინ იყო ნავით უვალი და შორაპანიდამ ზღვადმდე ნავით სავლელი. ამ მდინარეზედ ნავით მიჰქონდათ და მოჰქონდათ სავაჭროები ვიდრე შორაპანამდე, შორაპანიდამ მტკვრადმდე ხმელის გზით, და მასუკან მტკვრით კასპიის ზღვადმდე, საილამაც გაჰქონდათ ინდოეთში და ჩინეთში. როგორც ამ აღწერისაგან ჰსჩანს, მდინარეს ყვირილას რაცხამდნენ რიონად და რიონსა ყვირილას შესართავადმდე გლასუკად. ფაზისს შეუდიოდნენ მდინარენი: ღიპიუს (ცხენის წყალი), ციანა (ტეხურა):

ბ. აბსარა პლინისა, აკამპსისი არიენისა და ბოას-პროკოპისა (აწინდელი ჭოროხი.) თუმცა პროკოპიმ ბოას მდინარის სათავე სწორედ აღწერა, გარნა მდინარის სავალი არის დაუჯერებელი და უგვანი. აი რას გვაუწყებს პროკოპი; „ბოას აქვს სათავე ჭანეთის მთებში, მარჯვნივ აქვს სამზღვარი ივერიისა, სადაც არის კავკაზის მთა. ამ მდინარეს ერთვიან მრავალნი მდინარენი, დიდლება და მიიღებს ფაზიის სახელსა; ორსავე მხარესა ჰსცხოვრებენ ლაზები და მდებარებს ქალაქი შორაპანი². ფაზის მდინარე მოუდიოდა ლაზისტანსა და არა ივერიას, ბოასის მარჯვნივი

¹ პლინი, წიგნი VI თავი 4. სტრაბონი XI § 2. სტრაბონი, ჰსწერს, რომელ ფაზისს სათავე აქვს სომხითში. ეს უსაბუთოა, როგორც ვჰხედავთ აწ ადგილების მდებარობას.

² სტრიტონის მატთანე ხალხთა, ტ. 4, გვ. 45; პროკოპი, ნათარგმნი რუსულად, გვ. 288 (წიგნი 2, თავი 29).

ნაპირი, როგორც ეხლაცა ჰსჩანს, ეჭირათ მესხთა, და ამ მდინარეზედ არ იდო ქალქი შორაპნისა; ეს რასაკვირველია, არის ცთომილება გადამწერისა და არა პროკოპისა, ამისთვის რომ იმავე წიგნში და თავში განასხვავებს ორივე მდინარესა და მოუთხრობს რომ ლაზებმა მოიყვანეს სპარსთა მეფე ხოსრო სომხითით კერძო, განვლეს ბოასის მდინარე და რა მიახლოვდნენ პეტრეს ციხესა (აწ ქაჯთა ციხე ქობულეთში), ჰქონდათ ფაზის მდინარე მარჯვნივ. მამასადაძე, ბოას და ფაზის მდინარენი იყვნენ სხვადასხვა. აგრეთვე, მეორეს ადგილში პროკოპი ამტკიცებს, რომელ ფაზის მდინარე სხვა იყო და ბოას მდინარე სხვა: „ამასობაში მერმერო იმ გაიარა სამზღვარი ივერიისა (ე. ი. სურამი) და ჰქონად ფაზის მდინარე მარჯვნივ მხარეს“. დიად, ქართლიდამ რომ შეხვიდე იმერეთში სურამის გზით მისასვლელად პეტრეს ციხედ, მარჯვნივ დაგრჩება ყვირილა (ძველთა მწერალთა ფაზისი). ამითი ჰსჩანს, რომ პირველი ჩვენება. როგორც ვჰსთქვით, გადამწერისაგან არის არეული შეცდომა და არ პროკოპისა, როგორც ამტკიცებენ ორნი უკანასკნელნი ჩვენებანი. პროკოპის პირველმა უწყებამ შეიყვანა რომელნიმე სწავლულნი ცთომილობაში, მაგალ., პირველი ღუბოა, რომელიც გვარწმუნებს, რომ პროკოპის ბოასი არის სანის წყალი. თუ ეს ასე იყოს, მაშინ ბოასს არ ექნება სათავე ჭანეთის მთებში და არცა ამ მდინარეს მარჯვნივ მხარეს იქნებოდნენ მოსახლენი ივერიელნი, როგორც გვარწმუნებს პროკოპი, არამედ ლაზები: მეორე უფ. ემინი¹, რომელიც გვიმტკიცებს, რომელ ფაზისი არის ჭოროხი და არა რიონი და უდის სომხითს ადგილებს. აქ სომხითი არც ყოფილა, როგორცა ჰჩანს მთელის მწერლებისაგან და არც აწ არის. ეს ადგილები ეჭირათ და ეხლაც უჭირავთ გათათრებულს ქართველებს ანუ მესხთა და ოსმალნი უწოდებენ გურჯისტანად. ამ ადგილს, ე. ი. სადაც ჭოროხი მოუდის, ეწოდებოდა კლარჯეთი და კლარჯეთი მოსეს ხორენაცის ლეოლრაფით იყო ივერია და არა სომხითი². ამაზედ

¹ მოსეს ხორენაცის ისტორია რუსულად ნათარგმნი, გვერდი 344.

² მოსე ხორენაცის ლეოგრაფია სენ-მარტენი 2. ტ., გვერდი 357. სომხებს კლარჯეთი გესარად გაუკეთებიათ. საქართველოს ამავე ლეოგრაფით ეკუთვნოდა: არტაანი, შავშეთი, ჯავახეთი, სამცხე, აჭარა და სხვანი, რომელნიც შეადგენდნენ ჭოროხის მხარეს და არა სომხითსა.

ამის დაბლა კიდევ ვიტყვი ერთს-ორს სიტყვას. აქ კმარა ამაზედ ლაპარაკი. უფ. ემინი დაუმატებს წინათქმულსა, რომ ქსენოფონტი მოიხსენებსო ფაზის მდინარეს, რომელიცა ჰრწყამს სომხით-საო. ქსენოფონტი მოიხსენებს არა ფაზის მდინარეს, არამედ ფაზსა, ფაზისისის მდინარე სხვა არის და ფაზისა სხვა. არეზის სათავეს უწინ და ახლაც უწოდებენ ფაზად ადგილის გამო. ფაზიანი ან ბასიანი. კიპარტეს ქარტაზედ ახლაც ჰჩანს ფაზინ სუ (ე. ი. ფაზის მდინარე), ეგ არეზეა, რომელსაც სათავე აქვს ბასიანის ქვეყანაში.

მეორე საუკუნეში ქრისტეს შობის უკან იმპერატორმა ადრიენმა დანიშნა მმართველად პონტოს თემისა არიენი, ამან აღწერა ეს ზღვის ნაპირები და მოუთხრობს რომელ კოლხიდა იწყების ღიზის მდინარეს შესართავივად ზღვაში, ამ მდინარის მარჯვნივ ნაპირებისა ჰსცხოვრებენ მასელონები და გენიოსები, რომელთაც პლინი სახელჰსდებს ჭანად გენიოსად, ამათა ჰყვანდათ მეფე ანხილაუსი სცილაქს უწოდებს ამ ადგილს კეხიერად (ქართველების ეკლევცი და სომხების ეკელეცი); ამის შემდგომ მდებარებდა ზღვის პირზედ ზუდრეთი (აწ ქობულეთი, აჭარა, იმერხევი, შავშეთი და კლარჯეთი), ეკუთვნოდა ივერთა მეფეს ფარსმანს¹; ზუდრეთის შემდგომი იყო ლასივა (ე. ი. აწინდელი გურია). აქ მეფობდა მელასი;

ამის უკან იყო აპსილი (აწინდელი სამეგრელო). აქ მეფობდა იულიანოსი; ამას მოსდევდა აბაზგია (აფხაზეთი), მეფეთ იყო რესმაგი, და დასასრულ სანიგარი (ჯიქეთი), სადაც მეფობდა სპადაგას; მეექვსე საუკუნეში როგორცა ჰსწერს სომეხთ ისტორიკოსი მოსე ხორენაცი თავის ქვეყნების აღწერაში კოლხიდა განიყოფებოდა ოთხ თემად: მაგნეგიდი, აკრიუგა, გაზაკი და ჭანიკი ან სასტიკი.

¹ ფარსმან III იყო თანამედროვე რომის იმპერატორის ადრიანისა, იყო რომის ქალაქში, მიიღო დიდი პატივი ხსენებულის იმპერატორისაგან და საჩუქრად ებოძა 500 აღჭურვილი მხედარი კაცი და მისცა ნება მსხვერპლის შეწირვისა კაპიტოლიაში. იმპერატორმა აღუმართა ბელონის ტაძარში ცხენოსანი ანდალმა. ნახე ბიოგრაფიულ ლექსიკონში სტატია სენ მარტენისა; მიტრიდატ III.

უფალი სენ მარტენი (ტ. 2, გვერდი 388, შენიშნულობა 65), გვაუწყებს რომელ მადნევიდი არის პტოლომეას მანრალი ან აწინდელი სამეგრელო; აკრიუკა არის ეკრეკტიკა პომპონიის მელასი (წიგნი 1, თავი 191) და პტოლომეისა (წიგნი 5, თავი 10). აკრიუკა უფრო არგვეთია, აწინდელი იმერეთი, ვიდრეა ეკრეკტიკა. ეკრეკტიკა არის სცილაქსის ეკახიერი (აწ ლაზისტანი); გაზიკი (ლაზისტანი, ე. ი. გურია და ნაწილი იმერეთისა); ჭანივი ან ხალდეა (აწ ჭანეთი, პონტოს სამეფო).

ძველს დროში კოლხიდა შეადგენდა საქართველოს მხარესა. განიყოფებოდა, როგორც ჰწერს ვახუშტი 5 საერისთაოდ: გერისი (სამეგრელო), მარგვეთი ან არგვეთი (იმერეთი), წუნდა და არტაანი (აწ სამცხე); ოძრხე (გურია); კლარჯეთი (აწ სპერი ან ისპირის ხეობა და ტაო). პირველს საუკუნეში ქრისტეს შობის უწინ კოლხიდა ემორჩილებოდა პონტოს მეფეთა და შემდგომ სამეფოს დაცემისა იყო აქ საში დაუმოკიდებელი ერთმანერთისა სამთავრო: ლაზისტანი, სამცხე და ჭანეთი. მეორე საუკუნეში ლაზებმა დაიპყრეს იმერეთი, სამეგრელო და შეადგინეს სამეფო, რომელიც მეხუთე საუკუნეში, იქმნა შორის ვიზანტიელთა და სპარსთა მიხეზი ბრძოლისა 472 წლიდამ ვიდრე 562 წლამდინ¹. სამცხეში აღმოჩნდნენ ბაგრატიონები, რომელთაც მოსპეს ლაზის მეფობა, დაიმონიეს იმერეთი, სამეგრელო, აფხაზეთი და მასუკან ქართლი და კახეთი; ჭანეთი იყო თემი პირველად რომისა და შემდგომ ვიზანტიის იმპერიისა ვიდრე 1202 წლამდე; ამ წელსა ალექსი კომნენმა შეწევნითა თამარ მეფისა დაიპყრა ტრაპეზონი და იწოდა მეფედ ივერთა და ჭანთა; ამისა შემკვიდრენი ჰფლობდნენ ტრაპიზონში, ვიდრე დაპყრობამდე ოსმალთა 1461 წლამდინ.

(შემდეგი იქნება)

¹ მატეანე სტრიტერისა მეოთხე ტომი ლაზიკა.

მტნობფრავიული განხილვა კველთა და ახალთა კაკადოკიის ან ჭანეთის მკვიდრთა მოსახლეთა.*

(შემდეგი).

III. ძველნი და ახალნი მკვიდრნი მოსახლენი პონტოს სამეფოსი, მონათესაობა მათი საქართველოს ერთან და იგივეობა იმათის ენისა.

პირველ უწყებასა ხალხთათვის, რომელნიცა მკვიდრობდნენ პონტოს სამეფოში და კოლხიდას, ვჰსცნობთ ჩვენ ქსენოფონტის წიგნისაგან, ცნობისა სახელსა ქვეშე ანაბაზის, ე. ი. უკან დაბრუნება ათი ათასისა ბერძენთა მხედართა. ქსენოფონტი ჰსცხოვრებდა 200 წლის წინათ ქრისტეს შობისა, გამოიარა მთლად ჯერ კოლხიდის ადგილები და მასუკან პონტოს სამეფოსი და აღსწერა მკვიდრნი მოსახლენი და ადგილები დაწვლილებით და გასაოცებლის სისწორით. შემდგომნი ბერძენთა მწერალნი მხოლოდ განამეორებენ მის უწყებათა; ამისთვის ვრაცხე საჭიროდ, რაც შეეხების ხალხთა ან ამ ადგილების აღწერასა შემოკლებით განვიხილო, ქსენოფონტ მოუთხრობს:

„ჩვენ რომ გავიარეთ სათავე ტიგრის მდინარისა, სამის ახმით, მივედით თელებოას¹ მდინარის ნაპირა, სადაცა სახლობენ სომეხნი, ყმანი ტირიბაზისა, მთავრისა ფაზიანთა და ჰესპერიტთა², რომელიც იდგა აქ თავის მხედრობითა და გვიპირობდა ომსა. ჩვენ რომ დაეუახლოვდით ბარბაროზთა შეეშინდათ და გაიქცნენ. ამითი გაგვიადვილდა ჩვენ წინამდებარე გზა, თუმც სიცივემ და თოვლმა ძალიან შეგვაწუნა, გავედით ეფრატის მდინარესა და მივედით ფაზის მდინარის ნაპირსა³, სადაცა მრე ვექმენით ხალიბთა, ტაოელთა

* „ივერია“ № 15.

¹ თელებოას მდ. ერთვის ეფრატსა, ნახე ტექსიეს კარტები.

² ფაზიანი ქართველთა ბასიანი, ჰესპერიტი ქართველთა ისპირის ხეობა.

³ ფასის მდ. აქ არეზის მდინარეა, რომელსაც დასაბამი აქვს ბაზიანში და არა ჭოროხი, მისთვის, რომ ამ მდინარეს რომ გავიდა, შევიდა ტაოს ქვეყანაში, სადაც ჰდის ჭოროხი.

და ფაზიანელთა; ამის შემდგომ შევედით ქვეყანასა ტაოელთ და მასუკან ხალიბთა, ხალიბები არიან შემმართველნი და უშიშარნი ომისა, ტანზედ აცვიათ მოკლე კურტაკი, წვივზედ პაიჭები, თავზედ ჰხურავთ ზეჩი და საომრად სახმარნი იარაღნი აქვსთ: ხანჯალი, შუბი და წელზედ ჰკიდათ თოკები¹. ხალიბები იყვნენ ჩასაფრებულნი მთებში და ძალიან გვაგებდნენ. გავედით რა ჰარფასის მდინარესა². მივედით ქალაქსა ღიმნიას³. ამ ქალაქის მოურავმან მოგვცა ჩვენ ეტიკი, რომელმან მიგვიყვანა ტიხის მთამდე⁴; ამ მთის ქელიდამ დავინახეთ პონტოს ზღვა და შეგვექმნა სიხარული, რივიანად დავსაჩუქრეთ ჩვენი ეტიკი და გადვედით მაკრონების ქვეყანაში. მაკრონებსა საჭურველად ჰქონდათ: ხის ფარი, შუბი და იყვნენ მოსილნი ნაბღებითა. ჩვენს მხედრობაში იყო ერთი მეომარი ნათესავით მაკრონი⁵ რომელიც გავვზავნეთ მოსალაპარაკებლად მაკრონებთან, რომ ჩვენ უნებელად გავვიშონ და საგზალი მოგვცენ. მაკრონებმა სიხარულით აღასრულეს ჩვენი თხოვნა, მოგვცეს საგზალი და გვიჩვენეს გზა. შეგვიყვანეს კოლხიდაში, რომელიც ძალიან მოშენებული არის, და დაუახლოვდით ტრაპეზუნსა. ტრაპეზუნი არის ქალაქი შავის ზღვის პირზედ, აშენებული მოვაჭრეთა ბერძენთაგან კოლხელების ქვე-

¹ როგორც ახლანდელს გურულებსა.

² ჰარფასე არის ის პირი, ერთი ტოტი ჭოროხის მდინარისა და არა არაჰ; როგორც ჰგონებს აი ინგლისის მწერალი აინსვორტი და ვივიენ სენმარტენი, გვ. 321, ტომი I.

³ ღიმნიას ქალაქი, აწ ჯიმილი და არა ჯინისი, რომელიც, მდებარებს მახლობელ არზრუმისა, როგორც ჰგონებს აინსვორტი ან ვივიენ სენმარტენი. ჯერ არზრუმს გაივლიან და მასუკან ტაოს ქვეყანაში შევლენ, აქ კი წინაუკულმად არის, ჯერ ტაო გაუვლიათ და მას უკან არზრუმს მისულან. ქსენოფონტს უკეთ ჰცოდნია ეს ადგილები ვიდრე განათლებულთ ევროპიელთა.

⁴ ქართული სახელი ტიხა, ტიხის მთა აწ ჭარანტაში ნახე ტექსიეს კარტები.

⁵ მაკრონები არიან სანი ან ჭანები. სტრაბონის წიგნი 12. ამითი ჰჩანს, რომ ტაოელნი, ხალიბნი და ისპირის ხევლნი იყვნენ ქართველნი და მაკრონი ჭანნი; მხედარმა იცოდა ჭანური ენა, და არ იცოდა ქართული, რომ ელაპარაკნა ქართველებთან.

ანაში. ამ ქალაქის მცხოვრებმა კარგათ მიგვიღეს, სულადს ვკ-
მოულობდით დრილებისაგან¹ და ვინც უძლური და დაჭრილი
იყო ჩავსხით ნავებში და გავისტუმრეთ საბერძნეთში. სხვანი,
ვისაც ღონე ჰქონდა შეეუღლებით გზასა ზღვის ნაპიზელ და მიველით
კერასენს, ქალაქსა, რომელიც იყო დაარსებული კოლხიდაში, იქ
დავისვენეთ რამთონიმე ხანი; იქილამ გადაველით მოსინაკთა ქვეყ-
ანაში. მოსინაკებს მაშინ ჰქონდათ ენრთმანერთში ბრძოლა, ჩვენ
უშველეთ ერთ მებრძოლსა მხარეს, მრე ვექმენით მოპირდაპირე-
თა. ავიღეთ მათი ტახტის ქალაქი, სადაცა ვჰპოვეთ მრავალი
სანოვაგე. მოსინაკნი არიან მოქერაონი, ტანადნი, ბრგენი, იღებენ
ტანსა სხვისა და სხვისა ფერთა და განსცხრებიან ავხორცო-
ბით აშქარად, თავზედ ჰხურავსთ რკინის ზუჩები, ტანზედ აცვიათ
მოკლე კაბა, საომარი იარაღი აქვსთ: ხის ფარი, ხელშუბა და
ორპირი ნაჯახი. მოსინაკების შემდგომ ზღვის პირზედ ჰსცოვ-
რებენ ხალიბნი და მათ შემდგომ ტიბარენნი, მახლობელ ქალა-
ქისა კოტიორა. ტიბარენთა ადგილი არის ვაკე და მდიდარი
ნაყოფიერებითა,” და სხვანი.

პირველი ხალხი, რომელიც მოიხსენება ზემოხსენებულს განხ-
ილვაში, არის ფაზიანი, ქართველთა ბასიანელი. ბასიანსა, როგორც
ჰსჩანს ქსენოფონტის აღწერისაგან, ჰრწყავს მდინარე არეზი,
რომელიც ადგილის გამო ისახელებოდა, აწცა ისახელების ფაზის
მდინარედ (ფასინ სუ ოსმალთა). მცხოვრებნი ბასიანისა ან ფა-
ზიანნი ქსენოფონტისა არ ეკუთნვოდენ ნათესაობით არცა საქართვე-
ლოს ხალხთა, არცა სომხისა და ღეროდოტის დროს იწოდებოდ-
ნენ ალაროდიანად. ვახუშტი თავის საქართველოს აღწერაში
ჰსწერს, რომ ეს ადგილი წინაპირველად ეჭირათ სომეხთა, მათ
შემდგომ დაიმონიეს ბაგრატიონთა და შემოაერთეს სამცხესა დ
მუნდიგან ეკუთნის საქართველოს². აწ ბასიანი შედგენს არზრუ-
მის ქვეყანასა.

მეორე ხალხი ხსენებული ქსენოფონტისაგან არიან ტაოსნი
ე. ი. ტაოელნი, ან ტაოს მცხოვრებნი. ტაო, ცნობილი საქართვე-

¹ დრილები არიან ჭანელები ან სანები, როგორ ამტკიცებს არრინი, გვერდი 54, 55.

² ვახუშტისა გამოც. უფ. ბროსეტისაგან გვ. 120.

ლოს თემი, აწცა მდებარებს მარცხნივ ნაპირასა ჭოროხის მდინარისა, გარნა მარჯვნივ ნაპირზედ იყო არტანუჯის საერისთაო. უპირველესი ქალაქი ტაოში იყო და აწცა არის ოლთისი; ტაოსი ჰრწყამდა თორთომის მდინარე, ტოტი ისპირის მდინარისა: სამზღვრად ჰქონდა ჩრდილოეთით მთები, რომელნიც შეუდგებიან ისპირის ხეობას და სამხრეთით ირაჯლუს მთა (აწ კარგა ბაზარი და მოსხის მთა), რომელიც გაჰყოფდა ტაოს ბაზიანისაგან. აქ სათანადო არის შენიშვნა რომელ კიპარტის ქარტებზედ ჭოროხს სახელს ჰსდებენ ისპირის ხეობად და ნამდვილს ჭოროხსა თავასუდ და ოლთისსუდ, წინააღმდეგ ძველთა მწერალთა და ვახუშტისა აღწერისა¹. მას ზევით მდებარებდა სპერი ქართველთა მწერალთა ისპირის ხეობა; ტაო და სპერი შეადგენენ კლარჯეთის საერისთოსა².

აწინდელთა სომხების მწერალთა ჰგონიათ, რომ ორივე ეს თემი, ე. ი. ტაო და სპერი ეკუთვნოდათ მათ და იყვნენ მუნ მკვიდრნი მოსახლენი; ეს აზრი ტყუილია, ძველნი მწერალნი თვით სომეხნი ამტკიცებენ წინააღმდეგსა³. აქ არ იყო სომეხობა, ეს იყო ნამდვილი საქართველო, სახელედებოდა ზემო ქართლი და არა სომხითი. აწცა იწოდების ოსმალთაგან გურჯისტანად და მკვიდრნი მოსახლენი არიან გათათრებულნი ქართველები, რომელთაც არ დაუვიწყნიათ ქართული ენა.

აქ გამოჩნდნენ პირველად ბაგრატიონები, ეს იყო მათი სამშობლომამული. სომეხებსა ჰგონიათ, რომ რაც ბაგრატიონებს ეჭირათ მამული და ადგილები იქ სულ სომეხობა იყო, – ამაზედ ძალიანა ჰსცთებიან: ჯერ თვით ბაგრატიონები არ იყვნენ სომეხები. მოსე ხორენაცი მოუთხრობს რომ „მამბა (სუმბათ) ბაგრატიონი, თავის

¹ ვახუშტის ქარტა და აღწერა, გვ. 120. ისპირის მდინარეს ქსენოფონტი ახსენებს ჰარფასად. ნახე ზევით შენიშნულობა.

² სპერი, ან ისპირი ცნობილ იყო ძველთა მწერალთაგანცა; ლეროლოტე უწოდებს ჰესპერად, ან სასპირად.

³ მოსე ხორენაციის ლეოდრაფია, სენ-მარტენის ნათარმნი. ტ. 2, გვ. 357, სადაც კლარჯეთს ეწოდება გეზარდი; ვარდანის გეოგრაფია სენ-მარტენის ნათარგმნი გვ. 427, სადაც სინათლით ამბობს რომ დაიკი, ე. ი. ტაო, ეკუთვნის იბერიას და მოუდის ისპირის მდინარე.

ნებით შევიდა მფარველობას ქვეშე ვადარშაკისა სომეხთა მეფისა, რომელმან ნამსახურობისათვის უბოძა ერისთაობა დასავლეთის მხრისა, სადაც არ ლაპარაკობენ სომხურად.” დასავლეთი სომხეთისა არის: ბასიანი, ტაო, სპერი, არტანუჯი და სხვ. რომ ბაგრატიონები არ იყვნენ სომხები და არცა ჰრწმენათ სომხებს სარწმუნოება მოსე ხორენაცი მრავალჯერ განამეორებს. ჩვენი ცხოვრება მოუთხრობს რომელ ბაგრატიონნი, ჩამომავალნი დავით წინასწარმეტყველისა და მეფისა მოვიდნენ IV საუკუნეში ეკლესიად. და ნათელ იღეს ხელითა რაქილ დედოფლისათა. ჭეშმარიტად პირველი ბინადრობა ბაგრატიონთა ამ ადგილებშია და არა სომხითში, ეს იყო, როგორცა ვჰსთქვით, მათი სამშობლო, ქვეყანა. შემდგომ ქართლისა და კახეთის დაპყრობისა არაბთაგან ქართველობა განძლიერდა ამ ადგილებში. მეშვიდე საუკუნეში ქართველებმა დავით გარეჯის უდაბნოს მაგიერად, აქ დააფუძნეს ოლთისის მონასტერი, თავი და დასაბამი სამღვთო და საერთო სწავლათა, აქ განვჰრცელდა წინააღმდეგ მაჰმადიანობისა, ქრისტიანობის სარწმუნოება, ასე რომ IX საუკუნეში აქ იყო 31 საღვდელმთავრო საყდარი ან ეპარხია: მაწყურელი (აწყვერში); კუმურდოელი (კუმურდოისა ან ჯავახეთისა); იშხნელი (ან სპერისა); ანჩელი (აჭარისა); მტბეკარი (ტბეთისა ან შავშეთისა); წურწყამელი (წურწუმისა); წყაროსთველისა (ფოსოჩულურეთისა); ვალაშვერთელი, ანელი, კარელი (კარი და ოლთისი); ბანელი (ტაოსკარი და ფანასკერტ); დადაშნელი (კოლა და არტაანი); ამათ გარდა, ბაიბერთის ახლოს აშენებული იყო ხახულის მონასტერი. ეს იყო სამშობლო, ქვეყანა ჩინებულთა სამღვთო მწერალთა, წმინდათა მამათა იოანესი, ევთიმიისა, გიორგი მთაწმინდისა, გიორგი ოლთისელისა და სხვათა მრავალთა, რომელთაც ხელახლად გვითარგმნეს სამღვთო წერილები. აქ იშვა ერისთავი თორნიკი, აღმაშენებელი დიდის ივერიის მონასტრისა ათონის მთაზედ, აქ გამოჩნდნენ უწარჩინებუამბავთა მწერალნი და მოშაირენი, ვითარ: შოთა რუსთველი, სარგის თმოგველი, აბდულ მესსია, შავთელი და სხვანი.

მესამე ხალხი იყვნენ ხალიბნი. ქსენოფონტი ორჯელ მოიხსენებს ამ ხალხს, პირველად, ვითარცა მცხოვრებთა, ტაოელთ

შემდგომ, ისპირზედ, და მეორედ შავი ზღვის პირზედ მახლობელ კერასენის ქალაქისა. სტრაბონი ჰკონებს, რომ ხალიბები ის ხალხნი არიან, რომელთაც უმიროსსახელჰსდებს ჰალიზონად, ან ალაზნელად (2), აქ მოსუსულან ადგილიდამ პალიბე, სადაც იპოვება ვეცხლის მადანი. ვივიენ სენ-მარტენი გვაუწყებს (3), რომელ ჰალიზონები აწ ალაზნელები იყვნენ აქ მოსულნი და დასახლებულნი თერმადონის მდინარის პირზედ, ტროადის ბრძოლის უწინ. უფ. დუბოა დარწმუნებით ამბობს, რომ ხალიბები ან ჰალისონები, ან ალაზნელები ჰსცხოვრებდნენ წინაპირველად ალაზნის მდინარის ნაპირზედ კახეთში. ეს აზრი დასაჯერებელია, პირველად ამიტომ, რომ ძველნი მწერალნი, მაგალ. სცილაქს კორიანდელი და პლინი ჰსწერენ, რომ ხალიბები მოსახლეობდნენ როგორც აქ, პონტოს სამეფოში, ისე ქართლში, – და ამითი ჰსჩანს, რომ იყვნენ ერთი და იგივე ხალხი. მეორე, – მკირეს აზიაში აწცა იპოვებიან მრავალნი სახელნი მდინარეთა, ქალაქთა, ადგილთა, რომელნიც იხილებიან საქართველოშიაც, მაგალ. ქიზიკი ქალაქი მდებარე მარმარილოს ზღვის პირზედ და ქიზიყი, მდებარე კახეთში; ქუთაია ქალაქი, მდებარი ფარსაკის მდინარის სათავეზედ, და ქუთაისი იმერეთისა; მდინარე ენგური, რომელზედაცა ჰსდგას ქალაქი ანგორა და ან ენგური და მდინარე სამეგრელოსი ენგური; ონის ქალაქი შავის ზღვის პირზედ მახლობელ ჰალისის ან კიზილერმაკის შესართავისა და ონი იმერეთში; ჰალიზი ან ალაზანი და ალაზანი კახეთში და სხვანი მრავალნი.

მეოთხე ხალხი ქსენოფონტისა არიან მაკრონნი. სტრაბონი ამბობს, რომელ მაკრონები იმის დროს იწოდებოდნენ სანად, რომელთაც პლინი სახელ ჰსდებს სანად გენიოსად, არიანი ტანად და ვიზანტის მწერალნი ტცანად. ყველამ ვიცით, რომ ბერძნებს არა აქვსთ ასო ჰ. ამისთვის ჰ მაგიერად ზოგს უხმარია „ს“, ზოგს – „ტ“, ზოგს – „ტც“, სანი ან ტანი ან ტცანი არის ქართველებისა ჰანი. ღეროდლოტიც მოიხსენებს მაკრონებსა და მოუთხრობს, რომ მათ ჰქონდათ ჩვეულება წინადაცვეთისა, როგორც კოლხიდელებსა. სცილაქსი უწოდებს მაკრონებს მაკროცეფალი. მაკრონები სახლობდნენ ჰოროხის მდინარის მარცხნივ ნაპირზედ, სადაც ეხლა ლაზები დგანან და მარჯვნივ ნაპირი ეჭირათ ივე-

რიელთა. ქსენოფონტის აღწერა ამას სრულებით ეთანხმება, როლისაც ქსენოფონტი ჰარპასის მდინარეს გავიდა (ისპირის ხეობა) და გადაიარა ნაჭილობევის მთები, რომელნიც აწცა განსაზღვრენ ჭანეთსა სამცხისაგან, მაშინ შევიდა მაკრონების ქვეყანაში, რომელიც ამ სახით მდებარებს მარცხნივ ნაპირსა ჭოროხის მდინარისა. მაკრონებს, ე. ი. ჭანებს, რომელნიც ჰსახლობდნენ მთებში, უწოდებს ხეპტაკომედად (ე. ი. შვიდი კოშკი), და დაუმატებს, რომ ხეპტაკომეტებსა ძველად ერქვათ მოსინაკები, ე. ი. კოშკებზედ ან ბურჯებზედ მცხოვრებნი¹; ამისაგან ჰსჩანს, რომ მოსინაკები და მაკრონები ერთი და იგივე ხალხია, ჭანად წოდებულნი. ამას გარდა, სტრაბონი გვაუწყებს, რომელ სანებმა (ჭანელებმა) მოსრეს სამი გუნდი რომაელთა მხედრობისა, მიტრიდატის დიდის ომის დროს პირისპირ რომაელთა. იუსტინიანი იმპერატორის დროს შევიდნენ მორჩილებას ქვეშე ვიზანტიისა და მიიღეს ქრისტიანობის სარწმუნოება.

მეხუთე ხალხი იყვნენ ტიბარენნი, სახლობდნენ ვაკე ადგილებზედ, გარემოს თერმეს მდინარისა, მახლობელ კოტიორა (აწ ორდუ) ქალაქისა, შეიმუშავებდნენ მიწასა და ჰყვანდათ მრავალი საქონელი, წესი და ჩვეულება ჰქონდათ მსგავსად ივერიელთა². ტიბარენნი, ხალიბები სახლობდნენ როგორც აქა, ისე სამცხეში და ქართლში³. სამღვთო წერილში და გეროლოტის აღწერაში მოსხნი და ტიბარენნი ან თობალი ერთად მოიხსენებიან, ვითარცა ერთად ერთი ხალხი⁴. ვიზანტიის მწერლები არ მოიხსენებენ ამ ხალხსა, რადგანაც მათი სადგომი ადგილები იმ დროს ეჭირათ ჭანელებსა.

(შემდეგი იქნება)

¹ წიგნი 12, თავი 2. §. 19.

² სტრაბ. ტ. 1. გვერდი 484.

³ გეროდ. წიგნი 3. § 94; სცილაქს კორიანდელი, დუბას ძველი კარტები ატლასში.

⁴ დაბად. მესაქმეს წიგნი, თავი 10, მუხლი 2; ეზეკიის წინასწარმეტყველება, თავი 27, მუხლი 13–21; კვალად 32–26; 38–2.

მტრობფრაფიული განხილვა კველთა და ასალთა კაკადოკიის ან ჭანეთის მკვიდრთა მოსასლეთა.*

(დასასრული).

ამ ხალხთა განხილვისაგან ჰსჩანს, რომელ ტაოელნი და ისპირის ხეველნი, სომეხთა სპერი, – შეადგენდნენ კლარჯეთის საერისთაოსა, ეკუთვნოდნენ ნათესაობით საქართველოს ხალხსა, იწოდებოდნენ, ახლაც იწოდებიან მესხად. კლარჯეთის საერისთაოს აწცა ოსმალნი უხმობენ გურჯისტანად, ე. ი. საქართველოდ; ხალიბები, სტრაბონის დროს იწოდებოდნენ ხალდად და არა ქალდეველად. ხალიბი ან ხალდი და ჭანი ერთი და იგივე ხალხია. ესე ჰსჩანს, პირველად ვიზანტიის მწერალთაგან, რომელნიც გვაჭეშმარიტებენ რომელ ჭანი იყვნენ ხალდიის მოსახლენი¹; მეორედ: მოსე ხორენაცი, რომელიც მოგვითხრობს, რომელ რომის იმპერატორი ტაციტი იყო მოკვდინებული ჭანეთში ან გახტკაში, ე. ი. ხალდეაში²; აგრეთვე სომეხთა მწერალი ეგიშე ამტკიცებს ზემოხსენებულსა³. მესამედ: ძველნი მწერალნი, მეტადრე ქსენოფონტი⁴ და არიენი მთელს ზღვის ნაპირსა, რომელიც ეჭირა პონტოს სამეფოსა, უწოდებენ კოლხიდად. როგორცა ჰსჩანს მოსეს ხორენაციის დეოღრაფიისაგან, კოლხიდა ან ეგერი განიყოფებოდა ოთხ თემად: მაგდენისი, პტოლომეას მანრალია ან აწინდელი სამეგრელო; ახრიუგა აწ არგვეთი ან იმერეთი; ლაზივი აწ გურია და ჭანიკი აწ ჭანიკა ან ტრაპეზუნის პაშალიკი. ევროპიელნი ჭანებს უწოდებენ ლაზებად. ლაზები, როგორც ჰსწერს პლინი, არიენი და საკუთრად ვიზანტიის მწერლები, ჰსცხოვრებდნენ აწინდელს გურიაში, ლაზებმა მეოთხე და მეხუთე საუკუნეში დაიპყრეს იმერეთი და

* „ივერია“ № 16.

¹ სტრიტირის მატიანე ხალხთა ტ. 4. გვ. 229.

² მოსე ხორენ. თარგმანი ემინისა, გვერდი 127.

³ რუსული ნათარგმნი შანშიევისა გვ. 127, ფრანციც. ნათარგმნი დულორისი, გვერ. 209.

⁴ გამოცემ. გოფმანის. გვერდი 5.

სამეგრელო და შეადგინეს ერთი სამეფო, რომელსაც ერთის მხრით, ვიზანტიელები და მეორეს მხრით, სპარსნი ერთმანერთს ეცილებოდნენ და ჰქონდათ ას წლამდინ ბრძოლა. ლაზისტანსა სამხრეთის სამზღვრის ნაპირზედ ჰქონდა პეტრეს ციხე (ქაჯთა ციხე ქართველთა) ქობულეთში. ლაზი ბერძნული სიტყვაა, ნიშნავს მეკომბრესა ან ავაზაკსა.

ხალხის სახელები, რომელნიც ამის ზევით მოვიხსენეთ, არიან ან ქართულნი: ვითარ ისპირელი, ტაოელი, ჭანი, მესხი, – ან ბერძნულნი, ვითარცა ხალიბი, ხალდი, მოსინავი, მაკრონი მაკროცეფალი, ხეპტაკომიტი, ტიბარენი ან თობალი.

ქართულნი სახელები აქამომდე დარჩნენ შეუცვლელად, გარნა ბერძნულნი დროთა ვითარებისაგან განჰქარდნენ.

მთელს აწინდელი ტრაპეზუნდის პაშალიკი დასახლებულია ჭანებითა.

აქა ჯერ არს შენიშნვად, რომელ აწცა მრავალნი სახელნი მთათა, მდინარეთა, ქალაქთა, დაბათა ტრაპეზუნდის პაშალიკში არიან ქართულნი, ვითარცა: ნაჭილობევის მთები საშუალ პონტოს სამეფოსა, თემი ჟომურა (ჟამურა) ტრაპეზონის დაბლა; გომიში (კამბენი მეგრულად) სადაც ვეცხლის ქანია; ქაჯთ კარი (მთა), გაცურის მთა; ჭალა, მთა ქალაქის კერასენის მახლობლად; ნებიანი მთა ბაფრას ქალაქის ახლოს; ქურდბელი, მთა ქალაქის ნიკსარის მახლობელ; თავშავის მთა, მდინარის კიზილერმაკის მახლობელ; ჰალისის მდინარე ან ალაზანი ირისეს მდინარე და სხვანი მრავალნი.

ზემოხსენებულის განხილვისაგან ჰსჩანს, რომ ყოფილს პონტოს სამეფოში ან აწინდელს ტრაპეზონის საფაშოსში მკვიდრნი მოსახლენი იყვნენ ჭანელნი, რომელთაც ენა სრულიად ემგზავსება მეგრულთ ენასა. დასამტკიცებლად ჩვენისა აზრისა, განვიხილოთ ღრამმატიკული მწყობრი ორივე ენისა. ვალად ვრაცხ აქ გამოცხადებასა, რომ ჭანურის ენის ღრამმატიკის კანონები გამოიგზავნა მე პატივცემულმან თავადმა გრიგოლ დავითის ძემ გურიელმა, რომელმან არ რიდა შრომა და თავს დადებით და გულმოდგინებით მისცა წარმართება აღსახნელად ჩვენისა წინადადებისა.

ნაცვალსახელი ყოველს ენაში არის უპირველესი სიტყვა, რომელიც განჰკარგავს როგორც სიტყვის სახელსა, ისე ზმნასა. ქართულს ენასა აქვს ორგვარი პიროვანი ნაცვალსახელი, პირველი-კერძობითი, ვითარცა: მე, შენ, ის, იგი, მან, ჩვენ, თქვენ, ივინი, ისინი, მათ. — და რთულნი ზმნათა თანა: ვჰ, ვა, ვი, ვუ ვე, მ, მა, მი. პირველსა და მეორეს პირთა კერძობითი ნაცვალსახელთა არა აქვსთ კანკლედობა. ჩემი, რომელიც მოუღიათ ჩვენის ღრამმატიკის მწერალთა, ვითარცა ნათესაობითი ბრუნვა, არ იხმარება როგორც ნათესაობითი ბრუნვა, არამედ ვითარცა სახელობითი ბრუნვა, რომლისა ნათესაობითი არის ჩემისა, მიც. ჩემსა, მოქმ. ჩემითა, და სხ. აგრეთვე შენი არ არის პირობითი ნაცვალსახელი, არამედ მოგებითი. ჩვენი ენა შეადგენს ერთსა დარგსა ინდოევროპიულის ენებისას, ძალიან ძველია და შეცვლილი დროთა ვითარებისაგან. სპარსული და სომხური არიან უახლესნი, ვიდრე ქართული და ამის გამო ცოტად შეცვლილნი არიან. თალიშინის ენაში¹, რომელიც მონათესავეა სპარსულის ენისა, ვჰპოვებთ პიროვანს ნაცვალსახელსა მე: ეს ნაცვალსახელი თქმულს ენაში არის აგრეთვე შეუცვლელი და არამქონი ბოლოს ცვლილებისა; დასანიშნველად ნათესაობითის ბრუნვისა თალიშნელები უმატებენ თანდებულსა ჩე, რომლითაც შესდგება ჩემე და ჩემი; მსგავსადვე შესადგენად მიცემითის ბრუნვისა თავს უსმენ სხვას თანდებულსა, რომელა ბი და შეადგენენ ბიმე. აგრეთვე ფრანციულს ენაში პიროვანს ნაცვალსახელსა, სრულიად მსგავსისა ქართულის, რომელთა მე(m e). მოი(moi) არ შეიცვლის ბოლოსა და დასანიშნველად ნათესაობითისა ან მიცემითის ბრუნვისა ხმარობენ სხვადასხვათა თანდებულთა. ნაცვალსახელი ჩემზედ, ჩემთან, მიიღებს მნიშვნელობასა ნათესაობითის ან მიცემითის ბრუნვისას: ნაცვალსახელი მესამეს პირისა ის, ეს, ეგ, იგი, მრავლ. ისინი, ვგენი, ივინი, აგრეთვე არიან შეუცვლელნი, გარნა ნაცვალსახელი მან, იმან (შემოკლებით იმ), არის ცვლადი: ნათ. მის, მიცემ. მას; მრავლობ. მათ. აგრეთვე მეგრულს და ჭანურს ენაში თქმულნი ნაცვალსახელნი არიან უცვალელებნი: მე მეგრ. და ჭანურ. მა,

¹ Записки Кавк. Общества кни 3-тая.

ჩვენ მეგრ. და ჭან. ჩქუ; შენ. მეგრ. და ჭანურ. სი; მრავლ. თქვენ მეგრ. და ჭანურ. თქვა. მესამე პირი იმ, იმან, მეგრ. და ჭან. ჰუმ, ნათესაობ. მისი, მეგრ. და ჭანურ. ჰეშიში; მიცემ. იმას, მეგრ. და ჭანურ. ჰიმუშა; ისინი, მეგრ. და ჭანურ. ჰიმი; ნათეს. და მიცემ. იმათ, მეგრ. და ჭანურ. ჰინისა; მოგებითი ნაცვალსახელი ჩემი, მეგრ. და ჭანურ. ჩქიმი; მრავლ. ჩენი, მეგრ და ჭანურ. ჩქინი; შენი, მეგრ. და ჭანურ. სქანი, თქვენი, თქვანი; იმისი ან ემისი მეგრ. და ჭანურ. ემუში; რა, მეგრ. და ჭანურ. მუ და სხვანი.

რთულნი ნაცვალსახელნი, რომელნიც მოზავებიან ზმნათა მა-პიროვნებლად, იზმარებიან ან მარტივად, მაგ. ვჰ, ვა (ვჰსწერ, ვზომ, ვაყრი); ან შერთვით, როდესაც ორნი ნაცვალსახელნი შეერთდებიან, მაგალ. ვი, ვუ (ვიწერ, ვიზომ, ვუწერ, ვუზომ); ვი შედგების ორის ნაცვალსახელისაგან ერთი ვ, მეორე ი მაგალ. ვიშენებ, შენებას აღვასრულებ ჩემთვის, ჩემს სასარგებლოდ; აგრეთვე ვუ, შედგების ორის ნაცვალსახელისაგან ვ პირველის პირისა და უ მესამე პირისა, მაგალ. ვუშენებ ე. ი. სასარგებლოდ ვისთვისმე ვაშენებ. ნაცვალსახელი უ იპოვების სპარსულს ენაშიაც, აქედამ ჰსწარმოებს რუსული ОНѢ, და ფრანციული ОИ; ამგვარი ნაცვალსახელები იპოვებიან მეგრულში და ჭანურს ენაში. მაგალ. ვჰსწერ; მეგრ. და ჭანურ. ვჰჭარუ; ვიწერ, მეგრ. და ჭანურ. ვიჭარუ; ვუწერ, მეგრ. და ჭანურ. ვუჭარუ.

მიძოხვრა ზმნისა წერა, მეგრ. და ჭანურ. ჭარუა

ა წ მ დ გ ო მ ი:

ქართული: ვჰსწერ, ჰსწერ, ჰსწერს; ვჰსწერეთ, ჰსწერეთ, ჰსწერენ.

მეგრული: ვჭარუ, ჭარუ, ჭარუნს; ვჭარუნთ, ჭარუნთ, ჭარუნსა.

ჭანური: ვჭარემ, ჭარუმ, ჭარუმს; ვჭარუმთ, ჭარუმთ, ჭარუნა.

ს რ უ ლ ი:

ქართული: ვჰსწერე, ჰსწერე, ჰსწერა; ვჰსწერეთ, ჰსწერეთ, ჰსწერეს.

მეგრული: ვჭარი, ჭარი, ჭარუ; ვჭართ, ჭართ, ჭარეს.

ჭანური: ვჭარი, ჭარი, ჭარუ; ვჭართ, ჭარემთით, ჭარეს.

მიძოხვრა ზმნისა ვარ, მეგრულ. და ჭანურ. ვირე.

ა წ მ დ გ ო მ ი:

ქართული: ვარ, ხარ, არს; ვართ, ხართ, არიან.

მეგრული: ვორე, ორეჟ, ორე; ვორეთ, ორეთ, ორენა.

ჭანური: ვორე, ორე, ონუ; ვორეთ, ორეთ, ორერან.

(თავ. გურიელის გრამატიკა.)

ჭანური: ბორექ-სე, ქორენ; ბორეთ, ქორეთ, ქორენან.

(როზენის ღრამატიკა.)

ს რ უ ლ ი:

ქართული: ვიყავ, იყავ, იყო; ვიყავით, იყავით, იყვნენ.

მეგრული: ვორდი, ორდი, ორდუ; ვორდით, ორდით, ორდეს.

ჭანურად: ქობორტი, ობორტი, — ; ქობორტით, ქორტით, ქორტეს.

კანკლედობა სახელისა ტყე, მეგრ. ტყა, ჭანურად დაღ.

წრფელ. ტყე, მეგრ. ტყა, ჭანურ. დაღ; ნათეს. ტყისა, მეგრ.

ტყაში, ჭან. დაღიშ; მიცემ. ტყესა, მეგრ. ტყას, ჭან, დაღიშა; მოქმ.

ტყითა, მეგრ. ტყათ, ჭანური, დაღითე; მრავლ. წრ. ტყეები, მეგ.

ტყეფი, ჭანურად დაღეფე; ნათეს. ტყეებისა, მეგრ. ტყეევის, დაღეფე-

ში; მიცემ. ტყეებსა, მეგრ. ტყეფუს, ჭანური, დაღეფეშა; მოქმ, ტყეე-

ბითა, მეგრ. ტყეფით; ჭან. დაღეფეთე.

რიცხვითი სახელნი: ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი.

მეგრული, — — ართი, ჟირი, სუმ, ოთხი, ხუთი, ამშვი.

ჭანური, — — არ, ჟურ, სუმ, ოთხუ, ხუთ, აშ.

ქართული: შვიდი, რვა, ცხრა, ათი, ასი, ათასი.

მეგრული, შქვითი, რუო, ჩხორო, ვითი, ოში, ათასი.

ჭანური: შთვიდი, ორვო, ჩხორო, ვით, ოში, შილი.

ამ მცირე გაშინჯვითა ჰჩანს, რომ ჭანური ენა ძალიან ემსგავსება მეგრულსა. დასასრულს, ეს უნდა ვჰსთქვა, რომელ საქართველოს ხალხი მკვიდრობდნენ და აწცა მოსახლენი არიან, ქართლისა, კახეთისა, იმერეთისა, სამეგრელოსი, გურიასა, ააწინდელს ტრაპეზუნის საფამოში და უჭირავთ შავი ზღვის ნაპირი კოდორის შესართავივადამ ვიდრე შესართავადმდე კიზილერმაკისა და იყვნენ ძველს დროში უპირველესნი ხალხნი, ჩინებულნი და ღირსნი შესანიშნავად.

[1877 წ.]



ვაჟებ, ანუ: ამასაც სომ არ ღამიშლიან!

(ისპანიური სატირა ლარრასი.)

იმის გარეთ, რასაც სწერს შენის გულისთქმის გამოიხობით, შეიძლება კიდევ წერა სხვადასხვა საგნის მისახსენებლად. სწერ, მაგალითებრ, ან საკუთრივ შენტვის, ანუ სხვისათვის. ერთი კარგად ავხსნათ ეს ჩვენი აზრი.

რასაც სწერს კაცი „სახსოვარში“, ცხადია, საკუთრივ თავის თავისათვისა სწერს. ასე რომ, ყოველივე ამგვარი წერილი ანუ მემუარი, ჩაწერილი მოთქმა და სხვა არაფერი. ამითი იმისი თქმა კი არ მინდა, მითამ ურიგობა იყოს კაცმა თავისი თავს უამბოს ნამყო თავის საკუთარის ცხოვრებისა — მაშ თუ არ თვითონ, სხვა ვინ ეყოლება ზოგიერთს კაცს მოთმინებით სავსე ყურისმგებელი? მე მართლ ამის თქმა მინდა, რომ საკუთრივ, მე დაბადებითვე კარგი მეხსიერება დამეცა — ახ, ნეტავი არ დამყოლოდა, რამოდენად უკეთესი იქნებოდა. — ამიტომაც თავის დღეში არ დამავიწყდება ის, რაც ერთს დროს ჩემთვის ღირსსახსოვარი ყოფილა: მაშასადამე, ამაების ჩაწერა მეტი იქნებოდა. ხოლო რაც ღირსი ხსოვნისა არ იყო, მე ვფიქრობდი, არც ღირსია მეტი ჩაწერისა. თუნდ ეგეც არ იყოს, ადამიანი სიცოცხლეში ათის შემთხვევიდამ ცხრა მაინც საუბედურო და სამწუხაროა. აქედამ, რასაკვირველია, ის სრულებითაც არ გამოდის, რომ მეათე მაინცდამაინც სასიხარულო იყოს. აი კიდევ უფრო საბუთიანი მიზეზი, რომ კაცმა „სახსოვარი“ არა სწეროს! რამოდენად უფრო გონიერი და სანუგეშო იქნებოდა, რომ „სახსოვარს“ კაცმა თავი დაანებოს და იმის მაგიერ სწეროს „სავიწყარი.“ „ის, რაც უნდა მე დავივიწყო“ ამ სათაურით, წიგნი ურიგო არ იქნებოდა. დეე მკითხველმა წარმოიდგინოს რამსიდიდე წიგნი გამოუვიდოდა კაცს ამისთნა სათაურით და რამდენი თავისუფალი დროდა დარჩებოდა თვითონ დამწერს, თუ მართლა და სინიღისიანად აასრულებდა

თავის აღთქმულსა.

მაგრამ მაინც განვავრძოთ ჩამოთვლა მათი, ვინც თავის თავისათვისა სწერს.

ის, ვინც არზასა სწერს, ანუ თხოვნასა, თქმა არ უნდა, რომ მარტო თავის თავისათვისა სწერს. ვინ არ იცის, რომ არზას, თხოვნას არავინა კითხულობს დამწერის მეტი, რადგანაც არზას, თხოვნას მარტო დამწერისათვისა აქვს მნიშვნელობა. ამის დასამტკიცებლად ის მომყავს, რომ თუ წინაღვე აღნიშნული ხართ თანამდებობის მისაღებად, თქვენ მიიღებთ თანამდებობას არზის მიცემამდინაც და თუ გეტყვიან ჯერ არზა შემოიტანეთო, ეგ აშკარა ნიშანია, რომ თანამდებობის მიღებას უნდა გამოეთხოვოთ. ამიტომაც არზის წერა უფრო მეტი უჭკუობაა, ვიდრე „სახსოვარისა“.

ამ მხრით, არზის საწერადაც ისე არ მიმიწევს გული, როგორც თვითონ ჩემის „სახსოვრის“ საწერად.

ის, ვინც იმისათვისა სწერს, რომ თავისი აზრი გამოსთქვას, რჩევა რამ მისცეს, ცნობა რამ აუწყოს – ისიც მარტო თავის თავისათვისა სწერს. ამის დასამტკიცებლად ამას ვიტყვი, რომ რჩევას ჩვეულებრივ მაშინ იკითხვენ ხოლმე, როცა საქმეს გაათავებენ და თვითონ ნაუწყიც თუ არ ეჭაშნიკათ, ხომ ყურსაც არ ათხოვებენ.

ვინც საყვარელსა სწერს, ისიც ისევ თავის თავისათვის სწერს, და ამის მიზეზი ბევრნაირია. ძალიან და ძალიან იშვიათად იქნება, რომ ტრფიალება ორივეს მხრით თანასწორათ იყოს; ამის გამო მხურვალეობა ერთისა მეორისათვის გაუგებარი ენაა და vice ver sa. ამას გარდა, რაკი საყვარელი მოგვიწყინდება, აღარც მივწერთ ხოლმე. აშკარა საბუთია, რომ ჩვენ საყვარლის გულისათვის არ გვიწერია.

მწერალნი ყოველთვის ქაღულობენ წინასიტყვაობაში და იქამდინ მივიდნენ, რომ თვითონაც სჯერათ, ვითომდა საზოგადოებისთვისა სწერენ. ცუდი არ იქნებოდა, თუ რომ ამას გადაიჯერებდნენ. ისინი, ვისაც არა კითხულობენ, ცხადია, თავისთვისა სწერენ და გამოჩენილნი, გათქმულნი მწერალი კი გამორჩომისათვის, ხან სახელდიდებისათვის სწერენ, – მაინცდამაინც ყოველ შემთხვევა-

ში თავის თავისათვისა.

მაშ ვილა სწერს სხვისთვისაო? იკითხავთ. ეხლავ მოგახსენებთ. იმ ქვეყნებში, საცა ბოროტებად მიაჩნიათ, რომ კაცმა კაცს უთხრას ის, რასაც ფიქრობს, საცა კანონად მიღებული აქვთ, რომ კაცმა არ უნდა იცოდეს ის, რაც იცის და საცა ფეხები იმისათვის არა აქვთ, რომ იარონ – საცა ერთის სიტყვით, წინასწარი ცენზურაა – აი სწორედ ამისთანა ქვეყნებში სწერენ სხვისთვისა და ის სხვა ცენზორია და არა სხვა ვინმე. მწერალი, რომელსაც გაუჭრელებია ერთი ოხმა ქალაღი და მიაქვს ცენზორთან, და რომელსაც ცენზორი ეუბნება არ შეიძლება იმის დაწერა, რაც ღიღი ხანია დაუწერია კიდეც, – ის მწერალი თავის თავისათვისაც არა სწერს: ის სწერს განსაკუთრებით თავის ცენზორისათვის. მარტო ამისთანა მწერალია ის განსაკუთრებით სულიერი, რომელსაც მიეტყვება ჰსწეროს არამც თუ „სახსოვარი“, არამედ „არზაცა“.

მტკიცედ გადავწყვიტე და დავაპირე არა დავწერო რა თავის ღლეში ცენზორისათვის და ყოველთვის ვცდილობდი გამოემეხატნა მხოლოდ ჭეშმარიტება, რადგანაც ვეუბნებოდი ჩემს თავს, ვინ ცენზორი იქნება იმისთანა, რომ ამიკრძალოს მართლის თქმა და რომელი განათლებული სახელმწიფო იქნება, მაგალითებრ, თუნდ ისპანია, რომ მართალს შეუშინდეს? ამ სახით, თუ ცენზურის წესდებაში აკრძალულია ლაპარაკი წინააღმდეგ სარწმუნოებისა, მოხელეებისა, მთავრობისა, უცხო ქვეყნებთა მმართველებისა და სხვისა მრავალისა, – იმისათვის არის აკრძალული, რომ იგულისხმება და სამართლიანადაც, რომ ყოველს ამ საგანზედ კარგს ვერას იტყვი, თუ მართლის თქმა გინდა, ტყუილის თქმას კიდეც ისა სჯობია სულაც არა ითქვას რა. ყოველივე ეს ცხადია, ცხადზედ უფრო მეტი, თითქმის სრულებით მართალიც არის.

მაგრამ აი რა არის ნებადართული, – ეგ ქების შესხმა და აქ საზღვარი არ არის დადებული, რადგანაც დამტკიცებულია, რომ რამდენიც უნდა აქო, ქება მეტი არ იქნება, ნამეტნავად მისთვის, ვისაც აქებ და არც შეიძლება რომ ქებაში ჭეშმარიტება და სიმართლე არ იყოს. ამ მიზეზით, ჩემ თავს კანონად დავუდე ყოველთვის ყოველისფერი ვაქო და ამ კანონით, მაღლობელი

უნდა ვიყო, რომ ჩემმა სუსტმა ნაწერებმა სახელი გაითქვეს და ხალხში ფეხი გაიდგეს. ამ გზას მე თავის დღეში არ ავცილდები, ნამეტნავად ეხლა, რადგანაც, სწორედ რომ ვსთქვათ, – არავითარი მიზეზი არ მაიძულებს გზა შევიცვალო.

ამ გზას რომ დავადგე, ერთი კიდეც სხვა საბუთიც მქონდა, ანუ უკეთ ვსთქვათ – ერთი სხვა ზნეობითი დედააზრიც, დაურღვეველი და შეურყეველი ყველა დროების და ქვეყნებისათვის. კაცმა არ უნდა ჰქმნას არა რაიმე იმისთანა, რასაც არ ათქმევინებენ, რასაც არ აქადაგებინებენ საყოველთაო სასმენელად. ამ სახით, არც ერთს მწერალს არ შეუძლიან სთქვას, რომ ცენზორმა ამიკრძალა ესა და ეს ნაწერიო, იმიტომ, რომ ეგ კანონით არის აკრძალული და კანონი განა ცუდი იქნება? მაშ, როგორ დავწერდი იმისთანა წერილს, რომელსაც მე ამიკრძალავდნენ? მაგისთანაები არც მიწერია და არც დავწერ, არც ვიტყვოდი, თუ მაგვკარი რამ შემტდენოდა შემთხვევისა გამო სხვისა და სხვისა და არც ვისურვებდი თქმას. სულ ერთია – თუნდ რომ მდომებოდა, ზომ მაინც არ მათქმევინებდნენ. ერთის სიტყვით, არ შეიძლება! და ამიტომაც ძალიან ჭკუას ვხმარობ, რომ ემარხულობ და თავს ვიჭერ.

მე მგონია, მეტი იქნება იმისი თქმა, თუ რა ხეირს შევეყარე. ასე რომ ხელალებით ყველასფერს ვაქებ, რასაც ვხედავ. თუ ჩემმა კმევამ და ქებამ, რომელსაც ასე უხვად ვხარჯავ, აქამომდე, – როგორც სჩანს, ვერაფრად გასჭრეს და ერთი კაი ლაზათიანი თანამდებობა არ ჩამიდგეს ხელში, ეგ იმიტომ ზომ არა, რომ თანამდებობის ღირსი არ ვიყო. იმათაც, ვინც თანამდებობას არ მამლევენ და მეც, რომელიც თანამდებობას არ ვიღებ, გვსურს, რასაკვირველია, რომ ჩემი ქება და კმევა სრულებით დაუმოკიდებელი და პირუთვნელი იყოს.

ჩემმა დაუმოკიდებულობამ მეტად წამახალისა, გამაქეზა. უნდა გეყურებინათ რა კანდიერებით და რა გულაზნდობით ვუკმევდი ხოლმე ქებას ძალის მქონეთა, რარიგად ვუქებდი მამობრივს გულს ძლიერთა ამა ქვეყნისათა, რომელნიც თბილ-თბილ ადგილებს ურიგებდნენ ხოლმე თავის მახლობელთ, ნათესავებს, მეგობრებს; რარიგად შეგხაროდი, რომ ამისთანა გაჭირვებულს და არეულ

დროში თვალებს იწყალებდნენ, თავებს იწუხებდნენ, აგება ახალი ფორმა მუნდირისა უფალთ სენატორების შესაფერი რამ მოვიგონოთო; რარიგად ვუქებდი შორს მხედველობას, რომლის წყალობითაც საცა იყო და არ იყო ორგულობას და სახელმწიფო ღალატს აღმოაჩენდნენ ხოლმე და ამით საშინელის ფათერაკისაგან იხსნინდნენ ქვეყანას; რარიგად ვუწონებდი მზრუნველობას და გონიერებას, რომლითაც ივინი წინ დაუხვდნენ ხოლერას; რა სისწრაფით დაამშვიდეს ურთიერთშორისი შფოთი და ბზარვა; რა... მაგრამ გაგრძელება რაღა საჭიროა? მე ვაქებდი ყოველს-ფერს, რასაც ვხედავდი და თუ რამე გამომეპარა, გეფიცებით ჩემს სიცოცხლეს, რომელიც მომწყინდა, – ეხლავე შევეუდგები იმასაც.

რაც ვსთქვი, იქილამ ისე არა მწყინს რა, როგორც ჟღავიჟღუვი და ყვირილი ყოველთვის და ყველაფერში მომღურავის ხალხისა, რომლის თვალშიაც ყოველივე, რაც კეთდება, ან ცუდად გაკეთებულია, ან ძალიან ნაკლულად. აქ კი მოთმინებიდამ გამოვალ ხოლმე და ვეუბნები: „არა კმარობთ განა? თქვენთვის ყოველივე ეგ ცოტაა განა? მაშ მიატათ, ჩამოვთვალოთ, რამდენი თვეა, რაც ჩვენში შემოვიდა“..... – „რა შემოვიდა?“ კითხულობენ ივინი. – „როგორ თუ რა? აი, თუნდა საკოროლო ხარტია?“ – „ჯერ წელიწადი არ არი.“ – „წელიწადი არ არი და ორჯერ პალატნი მოწვეულ იქმნენ, შევყვირე მე პასუხად: ორი სამხედრო მინისტრი გამოიცვალა, სამი შინა საქმეთა მინისტრი გადააყენეს, გარე-საქმეთა მინისტრი ერთი და იგივე დარჩა, მაგრამ ის ერთი სამად ღირს. სახელმწიფო მიწებს ერთი და იგივე მინისტრი უვლიდა, ამიტომაც ეს მიწები სულ თვალწინ არიან, რადგანაც ანდაზა ამბობს: ქონებაო, შენი პატრონი შენა გხედავსო და თუ ზღვისა და წყალის საქმეები თვალწინ არა ჩანან, ეგ იმიტომ, რომ ანდაზაში მოხსენებულნი არ არიან, ჯერ წელიწადი არ არის და ამოდენა ნიჭი და ტალანტი აღმოიჩინა ისპანიამ, იმიტომ, რომ მეტი გზა არ იყო, ძალა უნდა დაეტანებინა თავის თავისათვის. რამდენი, დიდ-დიდნი სარდლები, სახელოვანნი ღენერლები გამოჩნდნენ ამ მოკლე ხანში, ჯერ ხომ წელიწადი არ არის; რამოდენა აჯანყებულები დაამშვიდეს, რამდენი შესხმა, ქება და მადლობა წარმოსთქვეს მჭევრმეტყველმა ორატორებმა, რამდენი ლაპარ-

აკია! განა თემისტოკლემ არ უთხრა თავის მოქიშპეს: „მცემე, ოლონდ კი მომისმინეო“. თვითვეული ჩვენი ორატორიც თემისტოკლეა; ოლონდ თქმის ნება მიჰსცენ და პირდაპირ ეტყვიან ყოველს უბედურებას; მცემე, ოლონდ კი მომისმინეო! სხვა რა გინდათ ამაზედ მეტი გენახათ ამ მოკლე ხანში, ჯერ წელიწადიც არ არის, თქვე ყოველთვის მომდურავენო ადამიანო? ერთი გვითხარით ამაზედ მეტი რაღა გინდათ გაგეგოთ და შეგეტყვოთ?”

– „ერთი ბეწვა წინმხედველობაც არსად ჩანსო“, მითხრა ამას წინად ერთმა მათგანმა: – არსად ჩანსო? შევძახე მე: ეგ ხომ უსინიდილობაა! რათა გგონიათ ეგრე? ნუთუ იმიტომ, რომ ორიოდე უბედურება მოხდა, რომელსაც კაცი ვერ აიცდენდა, თუნდა წინაღვე დაენახა?”

ავ-ენანო! სწორედ მაგისთანა ამბავი მოუგონეს ხალხის გულსაცა. ათასჯერ უთქვამთ, რომ ხალხს გული მოუკლესო. ვთქვათ, მართალი იყოს, მაგით მითამ რაო? განა არ შეიძლება უბძანონ ხალხს ხელახლად გული მოიცეს? განა არ შეიძლება ყველგან ბატონ გუბერნატორებს ბძანება მისწერონ, რომ ხალხს გული გაუცოცხლონ და ყველგან საყოველთაო სინარული გააჩინონ? გგონიათ არ გააჩენენ? გააჩენენ ასეთს, რომ თქვენს მოწონებულს, პირველის ხარისხისას. შარშან, როცა შფოთი და ბზარვა იყო, ხალხის აღტაცება არა გვკლებია; მაგრამ ეხლა კი შიში არსაიღამ არის და ფიქრი, ამიტომაც ხალხის გული დაწყნარდა, აღტაცებამაც იკლო. აქედამ გამოდის, რომ ყოველთვის არეულობასთან განუყრელად ჩართულია აღტაცებაცა. ეხლა კი, მაგის ნებას არავინ მოგცემთ. ეხლანდელი აღტაცება უნდა იყოს დაწყნარებული, ზომიერი, ჭკუიანური და გრილი; ეხლა, ბატონებო, აღტაცება უნდა იყოს ძალად აკიდებული, ნაბრძანები, ერთის სიტყვით, ყრუ-მუნჯი დაბადებითვე; იმისთანა, რომელსაც არ უნდა მოყვეს საპატრიოტო ლექსების მღერა, ესე იგი, საყოველთაო მყუდროების დარღვევა. აი ჭეშმარიტი და მოსაწონი აღტაცება ეს არის. თორემ საპატრიოტო ლექსების მღერა რომ ზედ მოყვეს, მაშინ აღტაცება სულაც რომ არ იყოს, ისა სჯობია. რა შეარყევს ხოლმე მთელის წყობის დედაბოძსა? ზოგნი მიზეზს სდებდნენ ბეჭვდის თავისუფლებასა, ზოგნი კი არა, ბატონებო, ეხლა

ჩვენ ყველანი ერთხმად აღვიარებთ, რომ მიზეზი სულ საპატრიოტო ლექსებია... განა რაცა ვსთქვი, ქება არ არის თუ?! მე ქებას და გამოსარჩლებას თავის დღეში არ დავიშლი; საუკუნოდ უარმიყვია წინააღმდეგობა. ან რა საჭიროა, ან რა არის ეგ წინააღმდეგობა?

აი ნაწერი და დაწერილი ყველასათვის ცენზორის გარდა. ვაქებ, ამასაც ხომ არ დამიშლიან!

დღეადმიწის ზურგზედ კაი კაცებიც არიან და კაი საქმეებიცა, კაცთა შორის არავის სახელს არ ვუხსენებთ, თორემ ბევრნი გვიწყენენ და გაგვიჯავრდებიან. საქმეთა შორის კი საჭიროა ზოგიერთის მინც დასახელება, თუ რომ გვინდა დაგვიჯერონ რამე. აი მაგალითებრ, კარგი რამ არის წინასწარი ცენზურა და ზოგიერთისთვის არამც თუ კარგია, უწარჩინებულესია. ვსთქვათ, რომ თქვენ ადმინისტრატორი ხართ და ცუდად ასრულებთ თქვენს თანამდებობასა. შესაძლოა, რომ ეს ორი საგანი ზოგჯერ ერთად სუფევდნენ. განა ცუდია, განა საუცხოვო არ არის, რომ ამაზედ არავის არ შეეძლოს თქვას რამე? ვთქვათ, მმართველი ხართ რისამე და ცუდად არა ჰმართავთ. იმიტომ, რომ თავის ტკენა არ გიყვართ და ხელს არა სძრავთ; ესე იგი, იმის მაგიერ, რომ კარგი რამა ქმნათ, თქვენ არასფერს აკეთებთ არც კარგსა და არც ცუდსა. ერთი საიდამპე რომ გამოტყვერეს თავზედხელაღებული მწერალი და სთქვას: „საქმეები გაჩერებულაო,“ განა არ ვიამებათ, რომ მაშინვე გამოუხტეს საფარიდამ ცენზორი და დიდის, თვალსაჩინო ასოებით ნაწერის ბოლოს ჩაურთას: „ეს ნაწერი არ შეიძლება დაიბეჭდოს,“ ხომ მეთანხმებით, რომ ეს ძალიან კარგი რამ არის? ახლა სხვა მხრით გავსინჯოთ. თუ თქვენ განათლებული კაცი ხართ, მთავრობის ერთგული და შემოსავალზედ კი ან ცოტა ნაკლებად ბძანდებით, ან სულაც უკაცრაოდა ხართ, როგორც ხშირათ მოხდება ხოლმე, – ხომ თქვენც დამეთანხმებით, რომ ძალიან კარგი საქმე იქმება თუ ერთი ოცი ათასიოდ რეალს მოგცემენ ჯამაგირად, ანუ მაგვკარს ადგილს რასმეს დაგპირდებიან მარტო იმისათვის, რომ შრომა მიიღოთ და ნაწერის ბოლოს ჩაურთათ ხოლმე: „ეს არ შეიძლება დაიბეჭდოს.“ კარგია, ძალიან კარგი საქმეა! ვისაც გამოპასუხება უყვარს და

კამათობა, რა თქმა უნდა, სიტყვას მომიჭრის და მეტყვეის, რომ წინასწარი ცენზურა ერთნაირად სანუბარი არ არის, ერთის მხრით, იმისათვის ვინცა სწერს აკრძალულს წერილებსა და მეორეს მხრით, – საზოგადოებისათვის, რომელსაც ის წერილები რაიმე სიკეთეს მოუტანდნენ. მაგრამ ჯერ ისა, რომ როცა ვსთქვი ქვეყანაზედ კაი საქმეებია-მეთქი, ხომ არ მითქვამს ვისთვის არის კარგი; მეორე ისა, რომ განა ქვეყანაზედ არის იმისთანა საქმე, რომელიც ყველასათვის ერთნაირად კარგი იყოს! არიან იმისთანა სახელმწიფონი, რომელნიც ფიქრობენ, სანატრელი სისრულე იმაში მდგომარეობსო, რომ სიკეთე უფრო ბევრს გასწვდესო, მაგრამ ხომ იმისთანა ერნიც არიან, რომელთაც ჰსწამთ კუდიანები, ქაჯები და ეშმაკები. განა ამ წამებიდამ ის გამოდის, რომ კუდიანები, ქაჯები და ეშმაკები მართლა იყვნენ ქვეყანაზედ? ძალიან ღრმად გავებით ამ ჩვენის აზრის გამოკვლევას, დროა გავათავოთ, იმიტომ, რომ ამაებზედ ლაპარაკი ჩვენ არც ისე ძალიან გვეხერხება. სჯობს ლაპარაკის გაუბმელად დამეთანხმოთ, რომ ქვეყანაზედ მართლა არიან კაი საქმეები.

რაკი ამაზედ დამეთანხმებით, აბა მითხარით: კარგთა საქმეთა შორის ბევრია იმისთანა, რომ პოლიციას სჯობდეს? ჯერ პირველი ამას ვიტყვი, რომ პოლიციის სათავე ადამიანის ბუნებიდამ არის მომდინარე. იმიტომ, რომ პოლიცია შიშის შედეგია და შიში კიდევ იმისთანა ბუნებითი გრძნობაა, რომ ქვეყანაზედ ადამიანი არ არის არ ეგრძნოს; მომეტებული ნაწილი ხომ თითქმის დღე მუდამ შიშის ქვეშ არის.

ყველანი ვგრძნობთ შიშსა: მხთალნი ყოველს შემთხვევაში შიშობენ, ვაჟკაცნი კიდევ შიშობენ, მხთლად არვის ვეჩვენოთო, ერთის სიტყვით, ყველაზედ ბევრს ის იმოქმედებს, ვინც ყველაზედ უკეთესად იცის თავის ჯაბნობის დამალვა. მე პირველი არა ვარ, რომ ეს აზრი გამოვსთქვი. ჩემზედ წინ ჩვენმა პოეტმა ერსილიამ იგივე სთქვა ორის ლექსით; თუმცა თქმა უკეთესადაც შეიძლებოდა, მაგრამ აზრით კი ძნელია ამაზედ მართალი სთქვას ვინმემ: „შიში – ჩვენის ბუნების თვისება არისო; ეს რა დასაძალავიაო; ვინც მოერევა შიშს – იმას გმირს ეტყვიანო.”

მაშასადამე, სრულებით ცხადია პოლიცია საილამ არის წარ-

მომდგარი. ჩვენ არ გვინდა, რომ ძველთა დროთა ისტორიაშია ძებნა დაუწყოთ საბუთებს პოლიციის ყოფნის გასამართლებლად.. ეგ მეტი შრომა იქნებოდა, იმიტომ, რომ ეგ შრომა ჩვენზედ უწინ გაუწევიათ კიდევ. ზომ ეხლახან ერთმა ორატორმა სთქვა, რომ ქვეყანაზედ ერთი ადგილიც არ არისო, საცა პოლიცია არ ყოფილიყოსო „სხვადასხვა სახელწოდებით კიო.“ გარდა ამისა, ცნობილია და და ნამდვილადაც არის ცნობილი, რომ პოლიცია რომშიაცა ყოფილა ციკერონის დროს იმ სახელით თუ ამ სახელით, თუმცა იმისთანა დაწყობილობა კი არა ქონია, როგორც ჩვენში. ესე თუ ისე საქმე იმაშია, რომ პოლიცია ყოფილა და რადგანაც რომშიაც ყოფილა, ცხადი საბუთია, რომ კარგი საქმეა. ამას ისიც რომ დაუმატოთ, რომ პოლიცია დღესაც სუფევს პორტუგალიაში, სხვა საბუთი ტყუილი გაჭიანურებალა იქნება სიტყვისა.

ვენეცია ერთი იმისთანა ქვეყანა იყო, საცა პოლიციამ თავის უმაღლეს წერტილამდე და ბრწყინვალეობამდე მიახწია, იმიტომ, რომ სხვა რა სახელი დაერქმის სახელოვანს სამსჯავროს ვენეციის რესპუბლიკისას. სწორედ ამ სახელოვანმა სამსჯავრომ შექმნა ყოველივე სიტურფე იმ საზოგადო ცხოვრების თავისუფლებისა, რომელსაც შეხაროდა მაშინ ვენეცია – ეგ მეფა ადრიატიკისა. თვითონ ინკვიზიაც სხვა რა იყო თუ არ საეკკლესიო პოლიცია და რომ ინკვიზიცია კარგი დაწესებულება იყო, ამაზედ ეჭვს ვინ შემოიტანს. ყოველ ამით მტკიცდება, რომ ზემოხსენებულს ორატორს მართალი უთქვამს, როცა ჰსთქვა, პოლიცია „ამა თუ იმა სახელწოდებით“ ყოველთვის და ყოველგან არსებობდაო.

პოლიციის სასარგებლოთ ესეც ითქმის, რომ იგი არსებობს არამც თუ მართო რომში და პორტუგალიაში არამედ ავსტრიაშიც, ყველაზედ უნამეტნავესად მის იტალიის მაზრებშია, საცა პოლიციას დიდს დანაშაულობათა მიაჩნია საფრანგეთის გაზეთის ქონაც კი. პოლიცია რომ ლიბერალური დაწესებულებაა ცხადია იქილამ, რომ საფრანგეთში შემოიღო იგი ბონაპარტემ, ამ დიდად საიმედო მეგობარმა თავისუფლებისამ. ამას ისე ძლიერ უყვარდა თავისუფლება, რომ ყველას ჩამოართვა, წაართვა და მართო თითონ დაისაკუთრა. ბოლოს, ისპანიაშიაც პოლიცია შემ-

ოილო სახელოვანმა გამარჯვებულმა ტროკადეროში 1823 წელსა და მოგვცა იგი ჩვენ ნაცვლად კონსტიტუციისა, რომელიც წაგვართვა. ცხადი საბუთია, რომ იმის თვალში პოლიცია ღირსეულობით თუ არ მეტი კონსტიტუციაზედ ნაკლები აღარ არის, – და რომ უფრო სასარგებლოა, ამას თქმა აღარ უნდა. მაგალითები რა საჭიროა. უკანასკნელ ათს წელიწადში ერთს კანონით ტანსჯულს ლიბერალს ვერ იპოვით, რომ რითიმე დავალებული არ უყოს ამ მართლა მშვენიერის დაწესებულებისაგან. აწ მომდინარე 1835 წელი, სრული მემკვიდრე წარსულის ათის წლისა, როგორ იკადრებდა, რომ ხელი აელო ამისთანა კანონიერ მემკვიდრეობაზედ. ამიტომაც თვალით ნახული გვაქვს რამოდენა ღვაწლიც გასწია ჩვენმა პოლიციამ ორგულობის აღმოჩენის შესახებ ამ უკანასკნელ დროს.

პოლიცია ორგვარია: საპოლიტიკო და საქალაქო. ერთი მეორედ ღირს. წარმოიდგინეთ, რომ სალხინოში სადმე, თუ შინ ყური მოჰკარით ლაპარაკსა, ანუ თუნდ ყურიც არაფრისათვის არ მოგვეკრათ, წარმოიდგინეთ, რომ მტერი გყავთ ვინმე. ვის არა ყავს მტერი? თქვენ მიდიხართ პოლიციაში, ეუბნებით, რომ ეს კაცი ამასა და ამას ლაპარაკობდაო და უმატებთ, რომ „იზაბელიელთ“ მომხრე არისო; რომ „გაუმარჯოს კანონსა“, ამ ძახილში ორგულობა და არეულობა თავს იმაღავსო. მაშინვე გაბაწრავენ თქვენს მტერ-კაცსა. განა ეს კაი საქმე არ არის? ამასთანა, ყოველ თანამდებობისათვის ცოდნა უნდა რისამე, რასაკვირველია, მხოლოდ მაშინ, როცა ნათესავი და შემწე არავინა გყავს, – ეს მაგალითებრ, თუ ექიმობა გსურთ, სენის გაძნელება და გავრცელება უნდა იცოდეთ, თუ ადვოკატობა – საქმის დახლართვაა საჭირო, თუ მღვდლობა... მაგრამ ყველამ იცის მღვდლობაში რაც არის საჭირო და სხვა ამგვარი. ხოლო პოლიციაში ადგილის მიღებისათვის კი მართო ერთი რამ არის სამყოფი – ყრუ არ უნდა იყოს კაცი. განა ძნელია ყრუთ არ ყოფნა? სულაც არა. აი განგებ ყურის მოყრუება – ეგ ძნელი რამ არის. მაგას სწორედ იმოდენა მოხერხება უნდა, რამოდენადაც საჭიროა, რომ ისპანიის მინისტრობა შეიძლოს.

რაც შეეხება საჩუქრებს, ბეზლობისათვის გადაღებულებს, რომ-

ლებზედაც ეჭვი არ უნდა იხარჯება უმეტესი ნაწილი პოლიციისათვის დანიშნულ რვა მილიონიდან, ამას ვიტყვი, რომ ეგ ხარჯი ფრიალ საჭიროა, ჯერ იმიტომ, რომ აბა, ვინ იქნება, რომ მუქთად ბეზლობა იკისროს, მერმე იმიტომ, რომ ვისაც თევზი ჩანგლით უნდა დაიჭიროს, არ უნდა ჯიანყელა დაზოგოს. ერთის სიტყვით, ან დაჭერა უნდა, ან არ დაჭერა. თუ საჭიროა დაჭერა, მამბეზლარიც საჭიროა და თუ მამბეზლარი საჭიროა, საჭიროა იმისი ჭმევა და სმევაც. მაშასადამე, არამც თუ მართო თვითონ პოლიციას კარგი რამ, არამედ ის რვა მილიონიცა, რომელიც მისთვის სახარჯავად გადადებულა.

ინგლისში, ამერიკაში ეგ საპოლიტიკო პოლიცია არ არის. მაგრამ პირველი, რომ ყველამ იცის რა არეულობაც სუფევს ამ ქვეყნების მცხოვრებთა თავსა და აზრიანობაში; იქ ყველას ნება აქვს რაც თავში მოუვა, ის იფიქროს; მეორედ, ვნება ზომას გადამეტებულის და ცუდად ცნობილის თავისუფლებისა იმ ქვეყნებში ყველასათვის ცხადია. ჩვენ რომ იმათ ავეყვით, ერიპა, სად წავალთ! იმიტომ, რომ ვინ იცის, იქნება მაშინ ჩვენც იმ აღყვავებად მიგვეხწია, როგორც ამერიკამ და ინგლისმა მიახწია. მაშინ რა იქნებოდა? განა არ იცით, რომ სიმდიდრე ადამიანსა რყვნის და კმაყოფილება კიდევ, სხვამ რაც უნდა თქვას, გულს უზვიადებს და უამაყებს.

მეორე პოლიცია საქალაქოა. მაგასაც აქვს თავისი სიტურფენი, ჩვენ მართო პაშპორტების მიცემაზე მივაქციოთ ყურადღება. რა კი პაშპორტი უბეში გაქვთ, ყველგან გზა გახსნილია, ყველგან წახვალთ, საცა გსურს და საცა ნებას გაძლევენ. რაც დადებულა გამოგართმევენ და პაშპორტს უბეში ჩავიდებენ. ვიგულისხმობთ, რომ ჩვენში, ვითარცა ინგლისში, პაშპორტები შემოღებული არ არის. ახლა მოდი და წარმოიდგინეთ როგორ შეიძლება, რომ კაცი ადგილიდან ადგილზედ გადავიდეს უპაშპორტოთ. გზები რომ სრულებით არ ვარგოდეს, ხიდები რომ არსად იყოს, თავის შესაფარი რომ არსად მოიძებნებოდეს გზაზედ, ამას ყველაფერს კაცი გაუძლებს და როგორმე იოლად წავა, მაგრამ უპაშპორტობა კი ყოვლად შეუძლებელია. ამ სახით, პაშპორტს რომ იღებთ, თუმცა ორს რეალს ხარჯავთ, მაგრამ სახეში ისიც კი უნდა

იქონიოთ, რომ თუ თქვენს ჯიბეს ორი რეალი აკლდება, სხვისას ემატება, ამის გამო ამ უკანასკნელთათვის საკუთრივ პაშპორტის დაწესებულება ძალიან კარგი რამ არის, ისეთი კარგი, ვითომც და ორი ნაღდი რეალი იყოს. არის, მართალია, ბევრი რამ სხვაც ამაზედ უკეთესი, მაგრამ არც კი ეგ არის ურიგო!

[1878 წ. მაისი – 1879 წ. ივლისი]

რა არის საზოგადოება (კუზლიკა) და სად უნდა ვიპოვოთ იგი.

(ისპანიური სატირა ლარრასი.)

მე ბუნებით ისა ვარ, რასაც ჩვეულებრივ ლაპარაკში ეძახიან: „ძროხა-კაცს, უბადრუკს, ჭკუის გლახას. ყოველს ამას ეხლავე დაინახავთ ჩემის წერილისაგან. ერთი, მხოლოდ ერთადერთი წუნი მჭირს და იგი წუნი იმაშია, რომ ბევრი, ძალიან ბევრი ლაყბობა ვიცი და ჩემს აზრს, წამოვაცრანტალებ ხოლმე არა მკითხე მიაძბესავით. უნდათ თუ არა, ყოველს ლაპარაკში ჩავეჩხირები ხოლმე, ყოველს საგანზედ ჩემს საკუთარს აზრს შევადგენ და მართლა სულელსავით ვატყაპუნებ იმ აზრს, ხან აქედ და ხან იქით. ღმერთმანი თავს ვიტკენ იმისათვის, რომ ჩემი აზრი უადგილოა, თუ ადგილზეა. მე კი წამოვროშავ ხოლმე და სხვისას არ დაგიდეგ. ვინც ამ მცირე მოთხრობით ცოტათი მაინც გაიცნო ჩემი თავი, რასაკვირველია, არ იოცებს, რომ დღეს მე ჩვეულებრივის ყბედობის საღერღელი ამეშალა და მინდა ვიყებო, მაგრამ არც კი ვიცი რაზედ მოვეყე ლაქლაქს. ეს კი განვიზრახე, რომ უნდა დავწერო რამ „საზოგადოებისათვის“ და სწორედ მოგახსენოთ არ კი ვიცი „საზოგადოება“ რას ქვიან და რა არის. აი ფეხი გამოვყავ თუ არა მწერლობის ასპარეზზედ, პირდაპირ ამ უცნობს საგანს შევახალე შუბლი. რაკი ესრეა, მაშ, დეე ეს საგანი შეიქმნას კიდევ საგნად ჩემის პირველის წერილისა. მართლადაც, ჯერ ყველაზედ უწინარეს, ვიდრე „საზოგადოების“ გულისათვის შრომას გავწვედეთ და ღამეებს უძილოდ გავათენებ-

დეთ, საჭიროა ვიცოდეთ, ეგ ვაჟბატონი საზოგადოება რა წითელი კოჭი ბძანდება.

სიტყვა „საზოგადოება“, რომელიც ყველას ენაზედ დაუხვევია, რომელიც ყველას მოწმად მოჰყავს ზოლმე თავის აზრის დასამტკიცებლად, რომელზედაც ყველა ამყარებს თავის საკუთარს წადილს და მიმართულებას, – ერთის სიტყვით, ეგ სიტყვა „საზოგადოება“ რა არის? ცარიელი სიტყვაა, ყოველს აზრს მოკლებული, თუ რაიმე ნამდვილის აზრის მქონებელია? იმის მიხედვით, რომ სიტყვას „საზოგადოებას“ ხშირად ხმარობენ, იმის მიხედვით, რა როლსაც თამაშობს ეგ სიტყვა ქვეყნიერობაზედ, რა მრავალგვარს ზედშესრულებით რთავენ, რა რიგად პატივს სცემენ, – სიტყვა „საზოგადოება“ უნდა იყოს მართლა ერთი რამ ნამდვილად მყოფი საგანი და დიდის მნიშვნელობისაცა. ხომ ამბობენ, „განათლებული“ საზოგადოებაო „დაწინაურებული“ საზოგადოება, „პირუთენელი“ საზოგადოება, „პატივცემული“ საზოგადოებაო, – სჩანს, რომ „საზოგადოება“ მართლა არის რაღაც რამ, სჩანს, რომ „საზოგადოება“ არსებობს. ამაზედ გული დავაჯეროთ და ეხლა ეს ვიკითხოთ: რა არის „საზოგადოება“ და სად უნდა ვეძებოთ იგი?

სწორედ ამ განზრახვით, მე ავიკიდე გულა-ნაბადი და გამოვედი შინილამ, რომ ქუჩებში დავუწყო ძებნა „საზოგადოებას“, თვალი ვადევნო რა წითელი კოჭია და რაც განსაკუთრებით თვისება შევნიშნო ამ „პატივცემულს“ ვაჟბატონსა ჩემს სახსოვარს წიგნში ჩავწერო. ჯერ, ყველაზედ უწინარეს, გავწიე საცა დიდი ხალხი გროვდება. ამისათვის ამოვირჩიე კვირა დღე. მრავალი „ჩინოვნიკები“, მრავალი უსაქმო და საქმიანი, ქალი, თუ კაცი, მორთული, გამოპრანჭული ფუსფუსებდნენ ქუჩებში, შედიოდნენ საყდარში, რომ ხალხში გამოჩნდნენ და სხვებზე ნახონ; მერე გამოდიოდნენ და მირობდნენ სადარბაზოთ. თუ სახლის პატრონები შინ არ დახვდებოდნენ და ან არ მიიღებდნენ, სადარბაზო ბილეთებს სტოვებდნენ; თუ მიიღებდნენ, მოჰყვებოდნენ ლაპარაკს ტაროსზედ, რომელიც სწორედ ვითხრათ, ვერაფერი სალაპარაკოა, ოპერაზედ, თეატრზედ, რომელისაც არც მთქმელს და არც გამგონს არასფერი არ გაეგებათ და სხვ. ამოვიღე ჩემი სახსოვარი წიგნი და

ჩავწერე: „საზოგადოება დაიარება საყდრებში, საზოგადოება ირთვება და იპრანჭება, საზოგადოება აკეთებს ვიზიტებს, რომლისა გამოც თვითონ ბეზრდება და სხვასაც თავს აბეზრებს, – მამასადაძმე, საზოგადოება (ვითხოვთ მის ნებართვას) ტყუილუბრალოდ კარგავს დროს და ქარაფშუტაობაში ატარებს თავის ცხოვრებას.”

ახლა მივდივარ იქ, საცა ხალხი სასეირნოდ გადის. აქ კი, სწორედ მოგახსენოთ, ძნელია კაცმა სთქვას რაიმე „საზოგადოების” შესახებ. ერთადერთი აზრი, რომელიც შესაძლოა კაცს აქ თავში გამოეკვანძოს, ის არის, რომ „საზოგადოება” გადის სასეირნოდ იმისთვის, რომ ყლაპოს მტვერი, ძლივ აუქციოს ფეხი გამვლელ-გამომვლელს, მუჯლუგუნები მიიღოს და თვითონაც უთავაზოს; ზოგი გადის იმისათვის, რომ თავისი ეკიპაჟი დაანახვოს ხალხს, ზოგი იმისათვის, რომ მუხლი გაიმართოს ქვევითად სიარულითა, ზოგი თავის გასართობად, ზოგი არშიყობის ბადის სასროლად და დანარჩენები კი, ბილეთების ასაღებად ცირკში, თეატრში, თუ ოპერაში და სხვ.”

აი დაბინდა კიდევ, მეც წამოვედი, ხან ეკიპაჟს ვცდილობ მოვერიდო, ხან ცხენოსნებს, აი ყველაზედ უფრო საშიში საზოგადოება რომელია და ვეშურები შესვლას ყავახანებში, სასტუმროებში, რესტორნებში, რომ „საზოგადოება” ვნახო და გავსინჯო. შევნიშნე, რომ „საზოგადოებას” იქ უფრო ყვარება თავის მოყრა, საცა უწმინდურობაა, საცა უფრო ცუდად აჭმევენ და ასმევენ და არა იქ, საცა სიფაქიზეა, სიკეკლუცეა, საცა კაი საჭმელი და სასმელი იციან. აქედამ ის აზრი გამომყავს, რომ საზოგადოება რაღაც თვითრჯული და თვითნება ყოფილა. აბა აქ არის ლაქლაქი და აღიანქოთი აი! რამდენნაირი ლაპარაკია, – ვინ მოსთვლის. აგერ აქ ჯარისკაცნი შეგროვილან ჯგუფად, აგერ აქედ – ადვოკატები, პატარა მოშორებით ჟურნალ-მეგაზეთენი, ყველანი ყვირიან, ხელებს აფათურებენ, ჩხუბობენ, ბაასობენ იმისთანა საგნებზედ, რომლისაც არც თავი გაეგებათ, არც ბოლო. აგერ უფრო მოშორებით ოთხი უკბილო ბებრუცანა კაცი დგას და სძრახვენ ახალგაზრდობას, არა ესმით რაო, გრძნობა არა აქვთო, არა აქვთ არაფერი ნიჭიო – არა გავს ჩვენს დროსაო” და სხვ. და სხვ. ერთის სიტყვით, ყველგან და ყველანი მითამ ჭკვიანობენ და ჭკუა კი

არსადა სჩანს.

მე ამას ყოველსფერსა ვხედავ, ყოველისფერი მესმის, გულში მეცინება და ვწერ ჩემს სახსოვარს წიგნში: „განათლებულ საზოგადოებას უყვარს იმისთანა საგნებზედ ლაპარაკი, რომლებიც საც არა გაეგება რა.“

ვიხედები აქედ-იქით: ღვინო წყალსავით ისმის, ბახუსმა თავისი ქმნა: გაუხურა ტვინი „პატივცემულს“ საზოგადოებას, რომელმაც ლამის თავის თავისაც ველარა გაიგოს რა. მინდოდა ჩემს სახსოვარს წიგნში ჩამეწერა: „პატივცემული საზოგადოება“ ითვრება მეთქი, მაგრამ ღმერთმა უშველოს კარანდაშს წვერი მოსტყდა და რადგანაც იქ დრო არ იყო კარანდაში გამომეჭრა, ეს სიტყვები დამრჩა მარტო ჩემს ხსოვნაში.

იმავე დროს, სხვა ჯურის ხალხი ბილიარდს თამაშობს, ან ღამეს ათენებს ქაღალდის თამაშობაში, მაგრამ ამ ჯურის ხალხზედ სიტყვას არ გავაგრძელებ, რადგანაც ეს ხალხი, ჩემის აზრით, ყველა, „საზოგადოებაზედ“ უგუნურესი საზოგადოებაა.

აი თეატრის დროც მოვიდა. მივდივარ თეატრში და გულში ვფიქრობ: იქ მაინც ვნახავ-მეთქი ნამდვილ „საზოგადოებას“, მოვისმენ მის საბუთიანს მსჯელობას, განწმენდილს გემოვნებას და „სიმართლით გამოთქმულს აზრსა.“ შევედი, ვნახე რაღაც ახალს კამედიას არდგენენ. ერთი ნაწილი საზოგადოებისა რაც ძალი და ღონე აქვსთ ტაშს უკრავს, მეორე უშტკვენს. ზოგი ამბობს ჩინებული კამედიასო, სხვანი კი, ღმერთმა შეინახოსო, არაფერსა გავსო, საძაგელი რამ არისო. ერთის სიტყვით, თავი და ბოლო არავისი გაიგება.

თანდათან უფრო გაცოცხლებულმა ამ ჩემის საგნის ოინების გამო, მივმართავ ჩემზედ უფრო განათლებულ და მცოდნე კაცებს. ვკითხე დაწუნებულის კამედიის დამწერს: „საზოგადოება“ რა არის მეთქი? და იმან მიპასუხა: ისა სჯობია გეკითხათ, რამდენმა სულელმა უნდა მოიყაროს თავი, რომ მით „საზოგადოება“ შესდგეს.“ იგივე ვკითხე მოწონებულის კამედიის დამწერს და მითხრა: „საზოგადოება არის კრება განათლებულთა გვამთა, რომელნიც გამოჩენილ თხზულებას აფასებენ ხოლმე ღირსებისამებრ თეატრებში.“ ჟურნალ-გაზეთებს გონიათ, რომ მათს ხელის მომწ-

ერთა წრის გარეშ საზოგადოება არ არის. თუ ვერცა, ისპანიურს პუბლიცისტებს დიდი „საზოგადოება“ არ ეყოლებათ!.. მე ვიცი, თვლას ვერ აუვლენ! . . . ადვოკატებს გონიათ, რომ „საზოგადოება“ მარტო მისთა მრწმუნებულთაგან შესდგება; ექიმს გონია, რომ „საზოგადოება“ ჩემი ავადმყოფი ხალხიაო და იმის ხელობის წყალობით ეგ მისი საზოგადოება დღედადღე კლებულობს და სხ. ამ სახით, შუალამაძინ ვიცაღე და „რა არის საზოგადოება და სად ვეძებოთ იგი,“ – ამაების გადაწყვეტილი, გარკვეული პასუხი ვერ მივიღე.

მაშ ვიღაა საზოგადოება? ისინი, რომელნიც წარამარა დაეთრევიან. შიშველის დედაკაცების სურათებს ყიდულობენ და პოლ დეკოკის რამანებს კითხულობენ. თუ ისინი, რომელნიც ალპობენ მაგაზინების თახჩებში სამეცნიერო წიგნებს, კლასსიკებს, გომერის თხზულებებს? ისინი, რომელნიც დღე და ღამ იმი-სთვის დაწრწიან, რომ როგორმე იშოვონ ბილეთი გამოჩენილ მომღერალის ქალის სანახავად, თუ ისინი ვინც ამ ბილეთებს ყიდულობენ, რომ გაყიდონ მოგებითა? ისინი, რომელნიც ხალხის აფეთქების დროს სწვენ, თოფითა ხვრეტენ, ახჩობენ, თუ ისინი, რომელნიც მშვიდობიანობის დროს ყველაფერს ითმენენ, გულმოდგინეთ პირფერობენ და საქმეებს ირიგებენ?

ან კი თვითონ მსჯელობა საზოგადოებისა – ეგ ხმა ქვეყნისა რაში მდგომარეობს? იმაში თუ, რომ იგი მსჯელობა, იგი ხმა ფეხქვეშა სთელს ხოლმე ყოველს კანონიერებას და სიძართლეს? ან იქნება იმაში, რომ საუკუნოდ შეურცხვენს ხოლმე სახელს გონიერს კაცს, რომელიც არ გადის დუელში თუ ერთმა ბრიყვმა ვინმე აწყენინა რამ? ანუ იმაში, რომ დიდის ყალიბის მტაცებელსა გმირის სახელით აქებს და ადიდებს და ორი შაურის ქურდსა კი სახჩობელაზუდ გზავნის?

ნეტა რაო ჩემოო, რომ ამ საზოგადოების მოწყალის თვალის მოსაზიდავათ, დაულალავი და შრომისმოყვარე მწერალი მთელს თავის სიცოცხლეს წერაში ატარებს, ანუ ნიჭიერი მოთამაშე თეარტისა ყვირის და იქნევს ხელებსა მთელის თავისი დღენი? რაო ჩემოო, რომ ვაჟკაცი მეომარი სიკვდილს არ ერიდება, ოღონდ მის წინ თავი ვისახელოო? რაო ჩემოო, რომ ამოდენა ხალხი

თავს იკლავს, ოღონდ რითიმე თავი გამოვიჩინო „საზოგადოების“ წინაშე?

ამაებს რომ გამოუვლდე შორს წავა. ძილის დროც მომივიდა. მე რაც სახსოვარს წიგნში ჩამეწერა და შემენიშნა ხელმეორედ გადავიკითხე, გადავათვალიერე და აი ორნაირი დასკვნა დავდე:

ჯერ პირველი ისა, რომ „საზოგადოება“ მართო მიზეზი ყოფილა, მართო ფარდა ყოფილა თვითვეულის წევრის საკუთარის გამორჩომისათვის. მწერალი ბლაჯნის ქალაქს, „საზოგადოებას“ ფულის ართმევს იმ მიზეზით, ვითომ იმისთვის იღვწის, საზოგადო სიკეთისათვის ცოდვილობს; ექიმი და ადვოკატიც იმავე საზოგადოების საკეთილოდ მოქმედობენ, რომ კითხვით: მკერვალი, წიგნის გამყიდველი, მესტამბე კერვენ, ბეჭდენ, ატყუებენ, პარავენ ყველას იმავე კეთილის განზრახვითა. თვითონ მთავ... მაგრამ ესე რომ გაეყვე მათად შორს შემატოპინებს ჩემი ენა, ჩემი თავის ამბავი რომ ვიცი. თუნდ ეგეც არ იყოს უნდა გამოგიტყდეთ, მეც თვითონ საზოგადოებისთვისა ვწერ და თუ ენას ალვირი მიუშვი, ჩემს ნაწერს საზოგადოებამდე ვინ მიუშვებს? მაშინ ჩემს ნაწერს მკითხველად მართო მელა ვეყოლები...

მეორე დასკვნა, რაზედაც მე დავდექი, იმაში მდგომარეობს, რომ არ არსებობს ერთიანი, ერთნაირი, დადგრომილი, უცვლელი, ჭკვადამჯდარი „საზოგადოება“, როგორც მრავალნი ამტკიცებენ, არამედ ყოველი წრე ცალკე საზოგადოებაა და ამ სხვადასხვა ყლორტებისა და ხასიათებისაგან არის შემდგარი მრავალფეროვანი სახე მისი, რასაც ჩვენ „საზოგადოებას“ ვემხნით. ეს უკანასკნელი საზოგადოება თვითნებაა, თვითრჯულია, ცვალებადია, დაუდგრომელია; ყოველთვის უსამართლოა და წინდაუხედავი; არაფრის შემწყნარებელია და ყოველისფერის ამტანი კია; გულმოდგინეა ძველისათვის და უყვარს ახალიცა; უმიზეზოდ აბილპილდება და უსაბუთოდ სჯის; მცირეხედ რაზედმე იფეთქებს, მცირეხედვე ჩაქრება; არც ის იცის, რად უყვარს, არც ის იცის, რადა სძულს, თუმცა არც მის სიყვარულს და არც სიძულღილს, სამძღვარი არა აქვს ზოლმე. როცა ჯოგებრივ არის, თავმოყრილი ჯგუფად, მაშინ ყველანი ერთად ერთს ამბობენ, ცალ-ცალკე კი სულ სხვას; მოსწონს მართო გაიძვერა, ხერხიანი,

ჩხავანა, შუათანა ყალიბის კაცი; არამყვირალა, ჩუმი, ნიჭით სავსე კაცი კი, ან დავიწყებულია მისგან, ან ათვალწუნებული; უმადურობით უხდის სამაგიეროს დიდს მოღვაწესა და კაი თვალით უყურებს მას, ვინც ეფერება და ატყუებს. ასასრულ, ჩვენ ძალიან ვცდებით, რომ ერთმანეთში ურევთ საზოგადოებას და შთამომავლობას: შთამომავლობა სულ სხვა არის: შთამომავლობა იგია, რომელიც თითქმის ყოველთვის არღვევს ხოლმე „საზოგადოების“ უსამართლო განაჩენსა.

[1878 წ. მაისი – 1879 წ. ივლისი]



დამატებანი
მხატვრულ თხზულებათა თარგმანები

სახლი იყიდება
(მოთხრობა ალფონს დოდესი)

ცუდად მიხურულ კარებზედ ეკიდა განცხადება – სახლი იყიდებაო. გარდა ამისა, თითქო ამბობდა: ეს სახლი დაცლილიაო და ყველასაგან დატოვებული. ისეთი სიჩუმე სუფევდა გარშემო, მაგრამ შიდა ვიღაც კი იდგა. ბანზედ მოჩანდა მოლურჯო კვამლი და ამოწმებდა შინაგან სიცოცხლეს, იმგვარადვე მწუხარეს, როგორც იყო თვითონ ეს კვამლი საწყალის ცეცხლისა. გარდა ამისა, კარების ნახვრეტებში ჩანდნენ ვაკე კვლები ბაღჩისა. შადრევანი და კედელზედ მიყუდებული მებაღეობის სხვადასხვა იარაღი. ეს იყო გლენის პატარა სახლი, პატარა კიბით, რომელიც შუქსა სდებდა დაბლა სართულს და რომელზედაც გაფანტულნი იყვნენ ყვავილების ქოთნები და სხვადასხვა მინის ჭურჭელი; ეზოში გამოთბარ ქვიშაზედ მწკრივად იდგნენ სხვადასხვა ყვავილები. თითქმის მთელს მაღალს დაჰყურებდა მზე. ხეხილებს ეფარა რკინის ბაღე და თვისი ცოტა შიშველა შტოები მზისკენ ჰქონდათ მიშვერილი. ამ სიჩუმეში და მოწყობილობაში დაინახავდით მოხუცებულს კაცს ჩალის ქუდით, რომელიც მთელ დღე ტრიალებდა ბაღში, რწყავდა ყვავილებს, ასწორებდა კვლებს და ჰკვეცავდა ხეხილებს.

არავინ არ იცნობდა ამ კაცს გარდა მეპურისა, რომელიც ყველა სახლს მიადგებოდა ხოლმე სოფლის ამ ერთადერთ ქუჩაზე, ბერიკაცს არავინ ეწვეოდა ხოლმე. ხანდახან გამვლელი, განცხადებას რომ დაინახავდა ხოლმე კარებზედ, ზარს ჩამოჰკრავდა. პირველ ჩამოკვრავზედ სიჩუმის მეტი არა ისმოდა რა სახლში, მეორეზედ – მოისმოდა ფენსაცმელის ფლაშუნი, ბერიკაცი

ცოტად გამოადებდა ხოლმე კარს და გაჯავრებით ჰკითხავდა:

– რა გნებავთ?

– სახლი იყიდება?

– ჰო, ძალაუნებურად უპასუხებდა ხოლმე მოხუცებული; ჰო... იყიდება, მაგრამ უნდა მოგახსენოთ კი, რომ ძალიან ძვირად აფასებენ.

მას უკან ისევ ჩაჰკეტდა ხოლმე კარს, გაჯავრებული დაბრუნდებოდა სახლში და ხელმეორედ თავს დაადგებოდა თვის ქვიშიან ეზოს და ბაღჩას. მომსვლელნი კი გასწევდნენ ხოლმე თავის გზაზე და უკვირდით მხოლოდ თუ რა უცნაური კაცი ყოფილაო და თუკი ასე გულთით ჰსურს შეირჩინოს სახლიო, მაშ რაღად ჰყიდისო. მე კი მივხვდი ამ საიღუმლოს. ერთხელ სახლის წინ ჩავიარე და რაღაცა ხმაურობას მოვკარე ყური, ლაპარაკიც გავიგონე.

– მამავ, უნდა გავყიდოთ; ჭეშმარიტად უნდა გავყიდოთ... აკი დაგვპირდი... მოხუცებული კაცი კანკალის ხმით უპასუხებდა:

– შვილებო, უკეთესი რაღა მინდა. ვნახოთ. ტყუილ-უბრალოდ ხომ არ მიმიკრია განცხადება.

მე შევიტყე, რომ ეს მისი ვაჟები, მისი რძლები, პარიჟის მეწვრიძანეები ატანდნენ მას ძალას თავი დაენებებინა მისთვის ფრიად საყვარელ კუთხისათვის. რისთვის? არ ვიცი, სწორედ მოგახსენოთ. ეს კი ნამდვილია: როდესაც ნახეს, რომ საქმე ძალიან წყნარად მიდიოდა, ყოველ კვირას ეწვეოდნენ ხოლმე, სტანჯავდნენ უბედურს და ძალას ატანდნენ სიტყვის აღსრულებისას.

ყველა ეს კარგად გავიგონე გზიდან ერთს ჩუმ კვირა დღეს, როდესაც თვით მიწაც კი ისვენებს თვის შრომისაგან. მეწვრიძანეები ცხადად ლაპარაკობდნენ ერთიერთმანეთში და სიტყვა „ფული“ მშრალად მოისმოდა მათ ბაასში. საღამოთი გაიყვებოდნენ ხოლმე, მოხუცებული რამდენიმე ნაბიჯზედ გააცილებდა, მერე შინისკენ დაბრუნდებოდა ხოლმე ბედნიერი – ერთ კვირაზედ მაინც გადავდე გაყიდვაო. შვიდის დღის განმავლობაში ისევ სიჩუმე მკვიდრდებოდა სახლში და ისმოდა მხოლოდ ფეხის გადადგმა ქვიშაზედ.

მაგრამ ყოველ კვირას ბერიკაცი უფრო და უფრო შედიოდა

ფიქრში. მეწვრიმანები უკანასკნელ ჯანს იწყვეტდნენ. პატარა ბავშვებიც მოჰყვანდათ – აგები როგორმე შევაცდინოთო და დავიყოლიოთო. „აი, პაპავ, სახლი რომ გაიყიდება, ყველანი ერთად ვიცხოვრებთ. რა ბედნიერი ვიქნებით!...“ კუთხე–კუთხე ლაპარაკობდნენ, სეირნობდნენ ბაღში და ხმამაღლა ანგარიშობდნენ.

ერთხელ ყური მოვკარ ერთ რძალს, რომელიც ამბობდა: „ას გროშადაც არ ღირს სახლი... შეშათ თუ გამოდგება.“

ბერიკაცი ყურს უვადებდა და ხმას კი არ იღებდა. მასზედ ისე ლაპარაკობდნენ, თითქო გარდაცვალებული ყოფილიყო კიდეც და მისი სახლი გაყიდულიც. საწყალი კაცი დადიოდა წელმოხრილი, თვალებდაცრემლილი და ჩვეულებისამებრ, ეძებდა გასასხველელ ხეხილს, ან მოსავლელ ყვავილს. ეტყობოდა – ისე საშინლად მისჩვევოდა თავის საკუჭნავოს, რომ მასთან განშორება შეუძლებელია იყო მისთვის. მართლა და ბევრს ეუბნებოდნენ, მაგრამ ის მიანც დღედადღე სდებდა სახლიდგან გასვლას. ზაფხულში, ხილი რომ მომწიფდებოდა, ამბობდა:

– დაუცადოთ რთველს... მასუკან ფიცხლავ გავყიდით... ქლიავის დრო გადიოდა, მწიფდებოდა ატამი, შემდეგ ყურძენი; ყურძენს მოსდევდა მშვენიერი მუქი შვინდი, რომელსაც თითქმის თოვლში ჰკრეფენ. შემდეგ დგებოდა ზამთარი. ყანები იშვლიპეპოდნენ, ბალი იცლებოდა და გამვლელ-გამომვლელნი და მუშტრები აღარა ჩნდებოდნენ. მეწვრიმანებიც აღარ აწუხებდნენ ბებერ კაცს. სამის თვის განმავლობაში მოსვენებული იყო და ამზადებდა თესლებს, ჰკვეცდა ხე-ხილს, როდესაც გამოუსადევე განცხადება ქანაობდა გზის პირას.

როდესაც დარწმუნდნენ, რომ ბერიკაცი ყოველ ღონისძიებას ხმარობს, რომ როგორმე მუშტრები აიცდინოს, მაშინ ვაჟებმა უკანასკნელ საშუალებას მოჰკიდეს ხელი. მის სახლში დაბინავდა ერთი მის რძალთაგანი, მეწვრიმანეს ცოლი, დილაადრიანადვე გამოპრანჭული, აღსავსე, იმევარ მიმზიდავის სახიერებით და გარეგანის გულკეთილობით, რომელიც შეადგენს აუცილებელ თვისებას ვაჭარ ხალხში, გზა თითქო მთლად ჩაიგდო მან ხელში. დილაადრიანად აღებდა კარს, ხმამაღლა ლაპარაკობდა და დიმილით ეუბნებოდა გამვლელ-გამომვლელთ:

– „შემობძანდით, ნახეთ... ეს სახლი იყიდება...

გაუწყდა იმედი საწყალ მოხუცს. ხანდახან, აგები ეს ღელაკაცი დავივიწყო, მოჰყვებოდა მიწის თხრას და თესვას, როგორათაც სულთმოძრავი ცდილობს აგები როგორმე შიში შევიმცროვო. მაგრამ ღელაკაცი მუდამ უკან დასდიოდა და აწვალებდა.

– „თავი დაანებეთ... სხვისთვის რად სწევთ ჯაფას“. კაცი გაჩუმებული იყო და უფრო ბეჯითად ჰკიდებდა ხელს მუშაობას. ბაღჩისათვის თავის განებება მისთვის შეუძლებელი იყო; ეს ზომ იმის ნიშანი იქმნებოდა, რომ აღარ უყვარს მას თავის ბაღჩა. ამიტომ ხეხილებიც ყოველთვის გასხლულნი იყვნენ და გზებიც მოწმენდილნი.

მყიდველნი არ ჩნდებოდნენ. ხმა დავარდა ომიანობისა; მეწვრიმანეს ცოლი კარზედ გაიცქირებოდა, გზას ეარშიყებოდა, მაგრამ ამაოდ – მტვერის მეტი არა მოჩანდა რა. ამ ქალს ღელადღე მოთმინება ელეოდა, პარიჟში საქმე ჰქონდა და ეშურებოდა. გამიგონია, როგორ აყვედრიდა თავის მამამთილს, ეჩხუბებოდა, კარს უბრახუნებდა. მოხუცებული კაცი მხოლოდ წელს იხრიდა და იკუნტებოდა, ხმას კი არ იღებდა და გულს ინუგეშებდა გაშლილ ყვავილით. ქალაღდს კი ზედ წარწერით სახლი იყიდება – ისევე ისე აქროლებდა ქარი.

... წრეულ რო დავბრუნდი სოფელში, სახლი იმავე ადგილას დამიხვდა; მაგრამ განცხადება კი აღარ ჰქონდა. კედლებზე მიკრული იყო მხოლოდ დაფხვრეწილი სველი განცხადებები. რალა კითხვა უნდა, სახლი გაყიდულა! უწინდელის ნაცრისფერ ალყაფის კარების მაგივრად დამხვდა მწვანედ შეღებილი დიდი კარი, შექული სხვადასხვა მორთულობით; კარს იქით მოჩანდა ბაღჩა. მაგრამ ეს აღარ იყო უწინდელი კეკლუცი ხეხილიანი ბაღჩა. დერეფნის წინ ჩამოკიდებული დიდი ბრწყინვალე სპილენძის ბურთი, რომელშიაც, როგორც სარკეში, დავინახე ორი გვაძი: სქელი დაწითლებული კაცი, სკამზედ მჯდომი და საშინლად მსუქანი ქალი, რომელსაც ხელში ეჭირა ყვავილების მოსარწყველი ლიტრა.

დაადგეს ახალი სართული, გაასწორეს ღობე, და ამ ახალს სართულში, რომელსაც ჯერ წამლის სუნიც არ გასვლოდა, მო-

ისმოდა ყველასთვის ნაცნობი კადრიელები და პოლკები. ეს თამაშობის და დაკვირის ხმაურობა, სქელი ქალი – ყველა ეს გულს მიკლავდა. ვფიქრობდი იმ საწყალ მოხუცზედ, რომელიც ერთ დროს აქ დასეირნობდა ბედნიერი, გულდამშვიდებული. იგი ჩემს გუნებაში მეხატებოდა პარიჟში, დიდ ჩალის ქუდით, ბნელ ქუჩებში მოსიარულე, დაღონებული და თვალდაცრემლილი იმ დროს, როდესაც მისი რძალი დგას გამარჯვებული დახლის წინ და სთვლის პაწაწა სახლის ფულებს...

[1878 წ.]

სამი ათასი ფრანკით.

(მოთხრობა ალფონს დოდესი)

ვისაც უცხოვრია პარიჟში, ეცოდინება ერთი უცნაური გარე-მოება; გამოდინარ ხშირად შინიდან მხიარული და კარგ გუნებაზედ, და ორ საათ სიარულის შემდეგ ბრუნდები უმიზეზოდ ნაღვლიანი, სევდამოწოლილი, თვითონაც არ იცი რა მოგივიდა. ეს რა დამმართვიაო? ჰკითხავ შენს თავს; ეძებ მიზეზს, მაგრამ ვერ ჰპოვებ კი. თითქო არაფერი უსიამოვნება არ შეგხვედრია; თითქო ტროტუარიც მშრალი იყო, მზეც სითბოსა ჰფენდა. მაგრამ მაინც გულზედ რაღაც გაწვება, ვითომ გწყენოდეს რამე.

საქმე ის არის, რომ ამ უშველებელ პარიჟში, სადაც ხალხი თავისუფლად გრძნობს თავის-თავს, ერთ ნაბიჯსაც ვერ გადასდგავს კაცი ისე, რომ არ ეძგეროს ვისიმე მწუხარებას, უბედურებას, რომელიც უსათუოდ ცოტაოდენ ნიშანს მაინც დააჩნევს მასზედ. ამას მოგახსენებთ არამართო იმათზედ, რომელნიც ახლო გვიდგანან, ნათესაობით თუ მეგობრობით და რომელთა მწუხარება შეადგენს ცოტაოდენად ჩვენს საკუთარს მწუხარებასაც. მე ვამბობ ჩვენთვის სრულიად უცხო პირებზედ, რომელთაც ვხედავთ შემთხვევით, ერთს წუთს, ქუჩა-ქუჩა, ხალხის გროვაში და აყალმაყალში.

ნაწყვეტ-ნაწყვეტი ლაპარაკი ეკიჰაყების ბრაგაბრუგში; ღრმა ფიქრი, რომელსაც არც არა ესმის და არც არას ჰხედავს, ხმა-მა-

ღლა ლაპარაკი თავის-თავთან; გიჟური მიხრა-მოხრა და ხელებ-ის ქნევა, ალღევებული თვალები, ფერმკრთალი პირისსახე, ნაღველი, შავი ტანისამოსი... მერე სხვადასხვა წვრილმანი გარემოება... სურვილი გახეხილ საყელოს დაფარვისა; ხავერდის ზონარი კეკლუცად შეკრული კუზიან ქალის ყელზედ... ყველა ეს ნიშანი სხვის უბედურებისა სწრაფად გაგირბენთ თვალწინ და მალე გავიწყდებათ სიარულში; მაგრამ გათავდება დღე და თქვენ გულში დაიძვრის ყველა ის, რაც გეწყინათ და შეგაწუხათ, რადგანაც რომლისამე ქუჩის კუთხეზედ, სადმე კარებში აგყვათ, თქვენად უნებურად, ის უხილავი ძაფი, რომლითაც გადაბმულნი არიან ერთიერთმანეთზედ კაცობრიობის ყოველგვარი მწუხარებანი.

ყველა ეს მომივიდა ფიქრში ამას წინად. როდესაც გამოვედი შინიდან დილაადრიანად — პარიჟი ყოველთვის ტანჯვას უფრო დილით იჩენს და დავინახე ჩემწინ მიმავალი საწყალი კაცი, გახვეული ვიწრო პალტოში. ეს კაცი წაკუზული მიდიოდა დიდის სიჩქარით. ხანდახან ხელს ჩაჰყოფდა ხოლმე უკანა ჯიბეში, მოსტეხდა შიგ ლუკმაპურს, ჩაიდებდა პირში და ჩუმ-ჩუმად ლეჭდა, თითქო რცხვენოდა ქუჩაში ჭამა.

ბევრჯელ მინახავს კალატოზები, რომელნიც დილდილაზედ სხედან ტროტუარზედ და შეექცევიან ახლად გამომცხვარს პურს. მათი ყურება მადას მიხსნის ხოლმე. მინახავს აგრეთვე წვრილ-წვრილა მოხელენი, რომელნიც პირგატენილნი მირბიან ხოლმე ფურნიდამ სამსახურში და ძალიან კმაყოფილნი არიან ამგვარის შეგცევით წმინდა ჰაერში. მაგრამ აქ თვალწინ მედგა ნამდვილი შიმშილი, რომელსაც თავისთავისა რცხვენიან; მებრალელოდა ეს კაცი, რომელიც სხვაფრივ ვერ ჰბედავდა თავის პურის ჭამას თუ არ ნამცეცობით. ერთ წუთს ვადევნე თვალი; უცბად შემობრუნდა. ალბათ, ახალმა მოსაზრებამ და გაზრახვამ გაირბინა მის გუნებაში, როგორც ხშირად მოსდით ხოლმე ამგვარ კაცებს, და პირისპირ დამიდგა წინ.

— ოჰ! თქვენა ხართ? მითხრა მან. — ცოტად ვიცნობდი. ეს იყო იმგვართავანი ოცნების მოყვარე, რომელნიც მრავალნი არიან პარიჟში, — კაცი, რომელსაც თავში უტრიალებს სხვადასხვა აზრი და პლანი, შეუძლებელ გაზეთების დამაარსებელი, რომელ-

მაც ერთ დროს ბევრი ალაპარაკა და ააქოთქოთა მწერლობა, მაგრამ ამ სამი თვის წინად გაქრა და მასზედ ხსენებაც არსად იყო. მე რომ დამინახა შეკრთა, შეიშალა, აღარ დაუცადა ჩემ გამოკითხვას და დამიწყო სიჩქარით და რაღაც ძალაუნებურ სიმხიარულით ლაპარაკი, თითქო ცდილობდა, რომ არ შემემჩნია მისი დაკონკილი ტანისამოსი და გროშიანი ჰური. რაღა თქმა უნდა, მისი საქმე ძალიან კარგად მიდიოდა. მხოლოდ ახლა დროებით გასჭირებოდა საქმე, ეხლა ძალიან კარგი საქმე ჰქონდა მას გუნებაში: უშველებელი გაზეთი სურათებით, მრავალი ფული, დიდად სასარგებლო პირშეკრულობა განცხადებებზედ! რამდენადაც ლაპარაკში შედიოდა, იმდენად პირისსახე უცოცხლებოდა და ტანში იმართებოდა. თანდათან მფარველობისა და დარიგების კილოზედ დამიწყო ლაპარაკი, თითქო მართლა თავის რედაქციაში ზისო და წერილებიც მომთხოვა...

– ამ საქმეს ეჭვი არა აქვს... დაუმატა მან. საქმეს ვიწყებ სამასი ათასის ფრანკით, რომელიც ჟირარდენმა დამპირდა.

– ჟირარდენმა!

ამგვარ კაცებისაგან ყოველთვის ამ მწერლის სახელი იხმის. ბევრჯელ გამიგონია შემდეგი სიტყვები, როდესაც სხვადასხვა შეუძლებელ საქმეს დააპირებენ ხოლმე: ჟირარდენტან უნდა მოვილაპარაკოთ!

ამ საწყალ კაცსა ჟირარდენტან დაუპირებია მოლაპარაკება. ვინ იცის, მთელი ღამე გაუტარებია ფიქრში, მოსაზრებაში, ანგარიშში ამ საქმის თაობაზედ. შემდეგ გამოსულა გარედ, და საქმე თანდათან უფრო მტკიცედ და უფრო ნათლად დახატულა მის თავში; ასე რომ, როდესაც შავეყარენით ერთიერთმანეთს, დარწმუნებული იყო, რომ ჟირარდენი უარს არ ეტყოდა სამას ათას ფრანკზედ. როდესაც მეუბნებოდა დამპირდაო, უბედური არ ტყუოდა... იგი მხოლოდ ოცნებით იყო გატაცებული.

ჩვენ ვიდექით ერთს ქუჩაში ბირჟისა და ბანკის შორის. ყოველთვის დიდძალი ხალხი მოძრაობს ამ ადგილას: აქ ტრიალებს საქმეში გართული ხალხი, ბირჟის მოღვაწენი, ყოველგვარი ვაჭარი ხალხი, საზიზღარის პირის სახით... უგდებდი ყურს ამ მშვენიერ პროექტებს ამ ხალხთა გროვაში, აქ მოსაქმე

ხალხის უბანში და ჩემ გულში იბადებოდა იმგვარივე გრძნობა, როგორც დაიბადებოდა შუა ზღვაში, რომ დაეწყოთ ჩემთვის ლაპარაკი გემის დაღუპვაზე. მე ნამდვილად ვხედავდი ყველას, რასაც კი მეუბნებოდა ეს კაცი, სხვის პირისაზე კვითხულობდი მის უბედურებას, სხვის აღელვებულ თვალებში ვხედავდი მის საამურო იმედს.

ხუთი წუთის შემდეგ დამავიწყდა ეს კაცი. მაგრამ საღამოზედ, შინ რომ დავბრუნდი თვალწინ ხელმეორედ წამომიდგა ეს ფერმკრთალი, დაქანცული პირისსახე, პატარა გროშიანი პური და ხელის ქნევა, რომელსაც მოსდევდა გაბერილი სიტყვა: „სამასი ათასის ფრანკით, რომელიც ჟირარდენმა დამპირდა...

[1878 წ.]

საკარაულონი



ორიგინალური პუბლიცისტური წერილები:

ფიქრი და შენიშვნა

ჩვენის მწერლობის თაობაზედ.

ნატვრა ახალწლის გამო. სამღურავი „ივერიის“ შესახებ.

ძველი და ახალი. ცოცხალი და მკვდარი.

რაში არსებობს ნიშანი კარვისა და ავისა.

მართალია, კარგად ვიცი ჩვენი ჟურნალ-გაზეთობა ვერაფერი საგანია საახალწლოდ: ახალ წელიწადს შეჰფერის სიმხიარულე, სიამოვნება, რომ არ დაგვეკვებოს სევდა და მწუხარება; ჩვენი ლიტერატურის ყოფა-ცხოვრება კი აბა რა გულის გასართობია და რა სიამოვნების მომტანია? ეს მართალია-მეთქი, მაგრამ არც ის არის ტყუილი, რომ სევდა და მწუხარება დიდი ხანია დაკვებებული გვაქვს და ახალი ამბავი არ არის ჩვენს ცხოვრებაში. გარდა ამისა, ყველას თავისი გემოვნება აქვს და აგრეთვე თავისებური გრძნობიერობაც. როგორადაც არის საგანი, რომელიც ერთსა და იმავე დროს ერთს აუჩენს სიამოვნებას, მეორეს აუშლის სევდას და მწუხარებას, ისე, მეორეს მხრით, არის იმისთანა საგანიც, რომელიც თუმცა მწუხარებით არის სავსე, მაგრამ მაინც საამურია სალაპარაკოთ, მაინც მტკიცედ მიიზიდავს ჩვენს ყურადღებას და თითქო იმდენად უფრო საამოაო, რამდენადაც მასში ჩართულია სევდა და მწუხარება. არის მრავალი სიმღერა, რომელიც სევდიან კილოზეა თქმული და რომელსაც თავიდან ბოლომდე მწუხარება დართული აქვს, მაგრამ მაინც გესიამოვნებათ მისი გაგონება, გესიამოვნებათ იმდენად, რამდენადაც გამოთქმულია მასში იგი მწუხარება. ჩემ თვალში ჩვენი ლიტერატურაც ამგვარი საგანია. ვიცი, რომ მას მოსდევს გულდამწვავი გრძნობა, მაგრამ მაინც მაზედ ლაპარაკი გულს მირთობს და შვებას მა-

ძლევს. მაშასადამე, არც სევდის დაკვებებს მოვასწავებ და არც ძველებურ ჩვეულებასა ვტყუხ, როდესაც ვიწყებ ლაპარაკს ჩვენს მწერლობაზედ. თუმცა ჩვენს ლიტერატურას არა აქვს ამგვარი სიტკბოება, რომელიც ნებას მაძლევდეს მიუთითო მკითხველს მასზედ და უთხრა – „ასე ტკბილად დამიბერდი-მეთქი“, მაგრამ შემთხვევით კი ვინატრო მისი ისე ტკბილად დაბერება, როგორადაც ტკბილად მიმანია მე ჩვენს მწერლობაზედ ზრუნვა და ბაასი.

მრავალჯერ თქმულა, თუ რა მნიშვნელობა აქვს საზოგადოდ ლიტერატურას ყოველ ქვეყანაში და ყოველის ხალხის ცხოვრებაში; მრავალი თქმულა მაზედ, თუ რაგვარი ურთიერთობა და კავშირი სუფევს მწერლობისა და ცხოვრების შორის, ასე, რომ ამ საგანზედ სჯა და ბასი საჭირო აღარ არის. მაგრამ ჩვენი ცხოვრება იმგვარად არის მომართული, მასში არსებობს მრავალი იმისთანა გარემოება, რომელიც სრულიად სხვას და განსაკუთრებულს ფერსა სდებს როგორც თვით ლიტერატურის მნიშვნელობას, აგრეთვე იმ ურთიერთობასაც, რომელიც სუფევს ცხოვრებისა და მის შორის. აი ამ გარემოების გამო მსურს მოგახსენოთ ორიოდ სიტყვა.

„მართალიაო, – ამბობს ერთი მწერალი, – ლიტერატურას უეჭველი მონაწილეობა აქვს ისტორიაში, მაგრამ ისიც უნდა აღვიაროთო, რომ კაცობრიობის ცხოვრებაში იშვიათია იმისთანა შემთხვევაო, როდესაც ლიტერატურას დაუჭერიაო უპირატესი ძალა ისტორიულ მოძრაობაში. ხალხის ცხოვრებაში ლიტერატურას თითქმის ყოველთვის უფრო ნაკლები გავლენა ჰქონია და უფრო მცირე ადგილი სჭერია, ვიდრე სხვა, უფრო მხურვალე გრძნობას და მიდრეკილებას: გვარტომთა და სახელმწიფოთა ცილობას, სარწმუნოებას, პოლიტიკურ, ან ეკონომიურ გარემოებას და სხვ... ლიტერატურა არ არისო მშობელი სხვა ყოველგვარის მოღვაწეობისა: იგი იმგვარივე განსაკუთრებული, კერძო მოღვაწეობააა, როგორიც არის სხვა ყოველი მოღვაწეობა კაცობრიობის ცხოვრებაში, გარდა ცოდნისა (მეცნიერებისა)“. ეს იშვიათი შემთხვევა “როდესაც ლიტერატურას უჭირავს უპირატესი ძალა ისტორიულ მოძრაობაში“ და როდესაც იგი არის „მშობელი

სხვა ყოველგვარის მოღვაწეობისა“, არსებობს, ჩემის აზრით, ჩვენს ცხოვრებაში და ჩვენს ქვეყანაში. ამით იმას კი არ ვამბობ, რომ ჩვენს აწინდელ ლიტერატურას მართლაც თვით საქმით ეპყრას ეს უპირატესობა და ნამდვილად იყოს წინამძღოლი და მოთავე ცხოვრების მიმდინარეობაში. სრულიად არა. ყველასთვის ცხადია ჩვენის მწერლობის დავარდნილი და საცოდავი მდგომარეობა; ყველამ იცის, რომ ლიტერატურას არამც თუ უპირატესობა არ უპყრია ჩვენ ცხოვრებაში, არამედ მეტიჩარასავით კულში მიჰყოლია ცხოვრებას, რომელიც თან ითრევს მას თავის მიყრუებულ და მიძინებულ არსებობაში. არა, მე მხოლოდ იმას მოგახსენებთ, რომ ჩვენი ცხოვრება იმ გარემოებაში არის ჩავარდნილი, რომ ძალაუნებურად უჩვენებს ლიტერატურას იმ ადგილს, იმ სამსახურს და მნიშვნელობას, რომელიც იშვიათად ერგება ზოლმე მწერლობას კაცობრიობის ისტორიაში. მართლა დგას ლიტერატურა ამ ადგილზედ თუ არა, მართლა უწევს თუ არა ცხოვრებას იმ სამსახურს, რომელიც მინიჭებული აქვს გარემოების გამო, – ეს სხვაა. მე ვლპარაკობ ამჟამად არა მაზედ, თუ რა არსებობს თვით საქმით, არამედ თუ რა უნდა არსებობდეს ან ამ და ან იმ გრემოების ძალით; მე მინდა გაგიწიოთ მხოლოდ თეორიული საუბარი.

ჩემის აზრით, ლიტერატურის მნიშვნელობა და სამსახური ჩვენში ბევრად განირჩევა იმ სამსახურისა და მნიშვნელობისაგან, რომელიც უპყრია ლიტერატურას იმ ქვეყანაში, სადაც ცხოვრება უფრო ფართო ჩარჩოშია ჩამდგარი და უფრო ფრთავაშლილი მიმდინარეობს. იმ ადგილას, სადაც არებობს თავისით მიმავალი ცხოვრება, რომელიც არავის არ დაეკითხება თავის ავ-კარგაიანობაში; სადაც ავი ვარ თუ კარგი, პასუხის გამცემი ვარ თვითონ მე – ძალა და მნიშვნელობა ლიტერატურისა სხვა უნდა იყოს, ვიდრე იქ, სადაც ცხოვრება დავარდნილია და მიყრუებული, სადაც ავია თუ კარგი, იგი არის ერთი რამ ფათერაკათ მოვლენილი და სხვა კი არაფერი. პირველ შემთხვევაში ლიტერატურა რაც უნდა წინ წამდგარი და აყვავებული იყოს, მაინც არ არის ძალა უპირატესად მოქმედი ცხოვრებაში. მას, რასაკვირველია, აქაც დიდი გავლენა აქვს, მაგრამ მასთან ერთად ჰმოქმედობენ სხვა ძალებიც,

რომელთაც აქვსთ არანაკლები გავლენა ცხოვრების წარმატებისათვის და საზოგადოების განვითარებისათვის; იქ ამ წარმატების დროსა უჭირავს არა მარტო ლიტერატურას, არამედ სხვა ყოველ თვით საქმით მოქმედ ძალასაც. იქ ცხოვრება იმდენად წინ წამდგარია, ჭკუა-გონების განათლება და განვითარება იმდენად გავრცელებულია, რომ ლიტერატურას მინიჭებული აქვს ერთგვარი, ცოტად თუ ბევრად მოხაზული ადგილი და სამსახური ხალხის აკარგვიანობის საზოგადო მიმდინარეობაში. სადაც სუფევს დაუდგრომელი და ფრთაგამლილი ბრძოლა ცხოვრების სხვადასხვა კავშირთა შორის, იქ ლიტერატურაც, რასაკვირველია, იღვწის ამა ბრძოლისათვის, მაგრამ სხვათა შორის, და ძნელად არის ხოლმე მოთავედ, რომელიც არამც თუ მარტო წინ მიუძღოდეს მთელს თვისის დროის მიმართულებას, პირიქით, თვითონ ჰბადავდეს ამ მიმართულებას და მით მთლად ხელთ იპყრობდეს ხალხის სურვილსა და გულისწადილს – თუ იგი ხალხი ცოცხალია, და სულს უდგავდეს – თუ მამაკვდავია.

მაგრამ არის დრო და ადგილი, როდესაც და სადაც ცხოვრება მიყრუებულია და ჩამქრალი, სადაც საზოგადო ასპარეზზედ არამცთუ არავითარი ბრძოლა არ არსებობს, არამედ თითქმის ყოველგვარი ნიშანი სიცოცხლისაც კი გაწყვეტილია. არის თვალგაუწვდენელი წყვილიაღიც, სადაც ხალხია წელმოწყვეტილი, ღონემინდილი, გულგატეხილი. ამ შემთხვევაში თანამდებობა და სამსახური ლიტერატურისა სრულიად სხვაა; ამ შემთხვევაში ლიტერატურის გავლენას ფართო და ვრცელი ადგილი აქვს თვალწინ გადაშლილი. მას არა ჰყავს მოცილე, რომელსაც შეეძლოს მისის ზედმოქმედობის შემცირება ცხოვრებისათვის; ლიტერატურის ძალა, ამ შემთხვევაში, განუსაზღვრელია. იგი სულს უდგავს, თვალს უხელს, გზას უკაფავს წარმატებისას და აძლევს მთელს ცხოვრებას მიმართულებას... თუ თავიდ-ბოლომდე დაჰკვივის ცხოვრებას ერთი ხმა: „უნდა ცოცხალ ვიყოთ“ („დროებისა“ არ იყოს), ამ ხმის გამგონი არის მწერლობა, ამ გულის ძგერის ამომძახი არის ლიტერატურა; იგი სულს უდგავს, იმედს აძლევს და რწმენას უძკვიდრებს თავის დაცემულს და ილაჯგაწყვეტილს სამშობლოს... ვიმეორებ: აქ იმას კი არ ვამბობ, რომ

საცა ცხოვრება ამგვარ გარემოებაშია ჩავარდნილი, იქ უსათუოდ უმაღლესი ადგილი ეპყრას ლიტერატურას. მე მხოლოდ ვამბობ, რომ ამ შემთხვევაში ლიტერატურის გავლენისა და უპირატესობისათვის არსებობს ფართო მეიდანია, სადაც აყვავდება ლიტერატურა თუ არა – ღმერთმა უწყის; ეს გარემოება დამოკიდებულია ერთის მხრით თვით მწერლობის შინაგან თვისებაზე და მის მოღვაწეთა ძალზედ, მეორეს მხრით – თვით ხალხისა და საზოგადოების სიცხოველეზედ, რომელთაც დასტრიალებს იგი ლიტერატურა. გარდა ამისა, ისიც უნდა აღვიაროთ, რომ რაგვარიც უნდა იყოს თვით მწერლობის შინაგანი სიმძლავრე, აგრეთვე რაც უნდა მძლავრი სიცხოველე სუფევდეს თვით ხალხში და საზოგადოებაში, მაინც ზემოხსენებული ადგილი მწერლობისა დამოკიდებულია იმ ურთიერთნდობაზედ, რომელიც არსებობს, ან უნდა არსებობდეს, ლიტერატურისა და საზოგადოების შორის.

ეს მოკლე შენიშვნა, ვგონებ, საკმარისია მკითხველისათვის, რომელიც, რაკი ზემომოყვანილს საზოგადო ლაპარაკს დაართავს ჩვენს საკუთარს გარემოებას, ცხადათ დაინახავს, თუ რაგვარი მნიშვნელობა და სამსახური უნდა გაუწიოს ჩვენმა ლიტერატურამ ჩვენს ცხოვრებას და ჩვენს ქვეყანას, რა მიმართულება და ხასიათი უნდა დასჩემდეს ჩვენს მწერლობას. გარდა ამისა, გადაავლებს თუ არა მკითხველი თვალს ჩვენს აწინდელს ლიტერატურას, ცხადად დაინახავს, თუ რამდენად დაშორებულია იგი ზემოხსენებულ მნიშვნელობაზედ და სამსახურზედ... თვალწინ დაუდგება ჟურნალ-გაზეთობა, როემლიც თუ გნებავთ, რაც გინდა არის – ცხოვრების წინამძღოლი და სულის ჩამბერველი კი - არა; იგი არის თითქო სტუმარი, გარედამ მოწვეული, და არა შინაური, თვით ოჯახობაში გამოზდილი და გამოკვებული; იგი, თუ გნებავთ, თვით სამშობლოს შვილიც არის, მაგრამ აყვანილი და არა ღვიძლი, არა თვით ხალხისა და ქვეყნის ნაშობი. მაშ არც უნდა გაგვიკვირდეს, თუ საზოგადოებისა და ჟურნალ-გაზეთობის შორის არ სუფევს ის მჭიდრო ურთიერთობა, ხელი-ხელთ მსვლელობა, რომელიც უნდა სუფევდეს წარმატებისათვის ერთისა და მეორისაც. იქმნება აყვანილი შვილიც საყვარელი იყოს, მაგრამ მაინც ვერ შეედრება საკუთარს, ღვიძლ შვილს... ეს ყველა

კარგია, მაგრამ რითი ვირჩინოთ თავიო, მეტყვეის მკითხველი; რა საშუალება უნდა ვიხმაროთო, რა ღონისძიებას უნდა ჩავჭიდოთ ხელიო, რომ ცოტაოდენად მაინც მიუახლოვდეს ჩვენი ლიტერატურა იმ უმაღლესს ადგილს, რომელიც უნდა ეჭიროს მას გარემოების გამო? წამლის დაწერა ამ შემთხვევაში, რასაკვირველია, შეუძლებელია და არც იმისთვის დაგიწყეთ საუბარი. ხოლო ზოგიერთა გარემოების გამჟღავნება ჩვენის მწერლობისა და ცხოვრების შესახებ, ჩემის აზრით, მეტი არ იქმნება, თუ ცოტაოდენად მართალი და სწორე მხედველობა გვსურს შევიძინოთ წამოყენებულ საგანზედ.

„დროებაში“ ამ წლის პირველ ნომერში შემდეგის სიტყვით გამოთქვა თავისი საახალწლო სურვილი: „ჩვენ გვინდა ცოცხალ ვიყოთ“. ჩემის აზრით ამ სიტყვებში ძალიან მოსწრებულად არის გამოხატული ის სული, უხილავი თუ ნათელი, რომელიც აწ დასტრიალებს ჩვენს ცხოვრებას. რა აზრს ართავს ამ სიტყვებს თვით „დროება“, რას ნიშნავს მის თვალში ცოცხლობა – ჩემთვის ამჟამად სულერთია; მე წავაწყდი მხოლოდ სიტყვას, წავაწყდი იმ უპირატესს ხმას, რომელზედაც მომართულია ჩვენი აწინდელი ცხოვრება, და ბანს ვაძლევე, მეტი არაფერი... ქართულ მწერლობაში არაერთხელ ყოფილა მოხსენებული (თუმცა სხვა აზრით და სხვა საქმისა და გარემოების თაობაზედ), რომ ჩვენ ცხოვრებას სჭირს ერთი სამწუხარო ხასიათი, რომლის გაქარწყლება ფრიად სასურველია ქვეყნის წარმატებისათვის. მე ვამბობ სხვის ანაბრობაზედ, სხვის ჭკუით ფიქრზედ და მოქმედობაზედ. ეს ტკივილი, რასაკვირველია, არის არა უეცარი, ციდამ მოვლენილი რამ, ანუ ბუნებით შეყოლილი თვისება, არამედ არის ისტორიის ნაღვაწი. მას აქვს თვისი შესაწყნარებელი მიზეზი, თვისი დასაბამი და მსვლელობა და უნდა ჰქონდეს, აგრეთვე, თვისი ბოლოც. მგონია თქმა არ უნდა, რომ ზემოხსენებულ სიტყვებსა – სხვის ანაბრობას, სხვის ჭკუით ფიქრს, იმ აზრით კი არ ვხმარობ, ვითომ უკუგდებულ უნდა იქმნეს სხვის ჭკუის მონაგარი, სხვის ცხოვრებისა და ისტორიის გამონახული. ამის თქმა მოკლე ჭკუის ნიშანი იქმნებოდა, სხვა კი არაფერი. ყველასთვის ცხადია, რომ საზოგადოდ ცოდნა, მეცნიერება არც ერთის ხალხისა და ქვეყნის

კერძო საკუთრება არ არის, არამედ ეკუთვნის მთელს კაცობრიობას საერთოდ, მისის ნაღვაწით ყველანი განურჩევლად სარგებლობენ. იგი შეადგენს ქვაკუთხედს ყოველის წარმატებისას და კეთილდღეობისას, სადაც უნდა მოქმედობდეს იგი წარმატება და კეთილდღეობა. ესევე ითქმის უცხო ხალხის ცხოვრებაზე და ისტორიაზე, რომელთა ცოდნის სარგებლობას ეჭვი აღარა აქვს მას აქეთ, რაც მტკიცედ დამყარდა, რომ წინ წადგომა ხალხისა შეუძლებელია, თუ სხვას, მაზედ უფრო დაწინაურებულს არ მიბადა და არ მიხედა. ეს ისეთი ცხადი და მკვიდრი ჭეშმარიტება არის-მეთქი, რომ მაზედ ლაპარაკი საჭირო აღარ არის, მაგრამ არის კიდევ მეორე ჭეშმარიტებაც, არანაკლებად მკვიდრი, რომელიც არსებობს შემდეგში: ყოველ ხალხს და ქვეყანას აქვს თვისი საკუთარი ხასიათი, თვისი საკუთარი ფეროვნება, რომლითაც იგი განირჩევა სხვა ხალხისა და ქვეყნისაგან. ეს ხასიათი და ფეროვნება შეადგენს იმ ნიადაგს, რომელიც თავისის მხრით აძლევს განსაკუთრებულს და თავისებურ ფერს ყოველს ნაყოფს, ამ ნიადაგზედ გამოზდილს. რასაკვირველია, ბოლოსდაბოლოს ჭეშმარიტება, თუ სამართალი, თუ სიკეთე ყველგან ერთი და იგივეა, მაგრამ ყველა ამის დამყარება სხვადასხვა ადგილას სხვადასხვა საშუალებას და გზას თხოულობს. იქ, სადაც ხალხს გადაჰსვლია ეს საკუთარი ფერი, ეს სხვადასხვა ვითარება, იქ, თვითონ სიცოცხლეც ხალხისა დიდ განსაცდელშია. ჭკუა-გონების წარმოებასაც უნდა ჰქონდეს თავისი საკუთარი, თავისებური ნიადაგი, იგიც გარემოცულ უნდა იყოს თავისის საკუთარის ჰაერით, რომელიც განსაკუთრებულს ფერს აძლევს მის უმაღლესს ნაწარმოებს – ლიტერატურას...

მასალა და საზრდო ამა მოღვაწეობისა და წარმოებისა, გარედამ მოვლენილი, მხოლოდ მაშინ შეიქმნება თესლათ თვითონ გვარტომისა და ხალხის განვითარებისათვის, როდესაც მას ღრმად გაუვლის ზემოსხენებული განსაკუთრებული ჰაერი... ჭკუა-გონების თვითმოყოფობა, დამოუკიდებელი მოღვაწეობა არის თამასუქი ლიტერატურის განვითარებისა და იმ ადგილზედ დაყენებისა, რომელიც ზემოთ არის თქმული. უამისოდ ლიტერატურა, როგორც წინაც მოგახსენეთ, იქნება მხოლოდ გარედამ წვეული

სტუმარი და არა თვით შინაობაში გამოზდილი ოჯახისშვილი. ამ აზრის განმარტებისათვის ავიღებ მაგალითად ერთს მხარეს, ერთს ნერგს ამ ნიადაგისას – ენას. თუ კაცის ჭკუა-გონება ყმაწვილობიდგანვე გამოზდილია უცხო ენაზე, თუ რაც კი რამ სწავლა-განათლება მიუღია, მიუღია უცხო ენაზე, თუ რაც კი რამ უფიქრია მას თავის სიცოცხლეში, უფიქრია უცხო ენაზე, გაბედვით შემიძლიან ვთქვა, რომ ამ შემთხვევაში იგი სანახევროდ ამოგლეჯილია თავის სამშობლოდამ, სანახევროდ დაკარგულია თვისის ქვეყნის ჭკუა-გონების თვითმოღვაწეობისათვის. დიდი სიმძლავრე სულისა, და მოყვარეობა მამულისა და დიდი ნიჭი უნდა ჰქონდეს კაცს, რომ ამ შემთხვევაში მხოლოდ სტუმრად არ დარჩეს თვისის ქვეყნისათვის და ღრმად ჩაუნერგოს თვის სამშობლოს თვისის ჭკუის ნაღვაწი და ნაწარმოები. ამ გარემოების ზოგიერთ შედეგზედ ქვევით მოგახსენებთ. ეხლა კი ცხადი უნდა იყოს, ვგონებ, თუ რაში უნდა არსებობდეს იმ ნიადაგის მომზადება ენის კვალობაზედ, რომელიც ზემოთ მოვიხსენიეთ... ვიმეორებ, სხვის ანაბრობა, სხვის ჭკუით ფიქრი არის უმთავრესი ტკივილი, რომელიც მთლად ტანში აქვს ჩვენს ავ-კარგიანობას. თვითმოღვაწეობა ჭკუა-გონებისა არის თამასუქი ლიტერატურის წარმატებისათვის და განვითარებისათვის; განსაკუთრებული თვისება თავისებური ფეროვნება არის ის ნიადაგი, ის სფერა, სადაც ფრთას ისხამს საგვარტომო, სახალხო ლიტერატურა... მეც ვიტყვი – „ჩვენ გვინდა ცოცხალ ვიყოს“... თუ აქამდისინ ჩვენი მწერლობა დაშორებული ყოფილა იმ უმაღლეს სამსახურზედ და ადგილზედ, რომელიც უნდა ეჭიროს მას გარემოების გამო, ეხლა მაინც შეუწყობ მას ხელი და ვეცადოთ, რომ ცოტაოდენად მაინც მოვიახლოვოთ ის დრო, როდესაც ლიტერატურა მართლა წინ გაუძღვება ცხოვრებას და მართლა დაიპყრობს იმ უმაღლესს ადგილს. თუ ჩვენ ჯერ ღირსნი არა ვართ ამ ნეტარებისა, ნიადაგი მაინც მოუმზადოთ, რომელზედაც უნდა აღმოცენდეს და აღევაგდეს ჩვენი აწ ბედკრული ლიტერატურა. თუ აქამდისინ მწერლობა გარედამ მოსული სტუმარი იყო, ვისურვებ მკითხველისათვის, რომ შემდეგში მის მაგივრად ეღირსოს მას თვით შინაობაში გამოზდილი და გამოკვებული ოჯახისშვილი. ვინატრი

მისთვის მწერლობას ნაციონალურს... თვალწინ მიდგა ის ზემოხსენებული უმაღლესი მნიშვნელობა და თანამდებობა ლიტერატურისა, რომელსაც თვით ჩვენის ქვეყნის გარემოება გვაჩვენებს... ვინატი და ამაზედ უკეთესი ნატვრა მკითხველისათვის არა მაქვს...

შორი-შორს ამბავი კია, მაგრამ ორიოდ სიტყვა მინდა ვუძღვნა „ივერიის“ გამკიცხველებს. მინდა ვთქვა ცოტაოდენი რამ იმ სამღურავზედ, რომელიც ზოგიერთა მხრიდამ წამდაუწუმ მოისმოდა ჩვენის გაზეთის შესახებ. მართალია, თავისთავზედ ლაპარაკი ცოტა უხერხია, მაგრამ ეს ლაპარაკი ამჟამად მით უფრო ნაკლებად მეჩითიერება, რომ „ივერიის“ მოღვაწეობას ცოტად თუ ბევრად ახალი ხანა დაუდგა და ახალს მსვლელობაში შევიდა. მისი მოქმედობა, როგორც გაზეთისა, ეკუთვნის წარსულს და თვის წარსულზედ ლაპარაკი, რასაკვირველია, უფრო ადვილია კაცი-სათვის, ვიდრე თვის აწმყოზედ. იგი ავსაცა და კარგსაც თავის წარსულისას თამამად იხსენიებს. თითქმის ორი წელიწადია მას აქეთ, რაც „ივერია“ დაარსდა. ამ დროის განმავლობაში ბევრი რამ თქმულა ჩვენზედ, წერით თუ პირად; ბევრი სამღურავი, ბევრი ლაზმღვა, ბევრი ცილისწამება გვსმენია. აბა გაგსინჯოთ, რა არის ყველა ამაში მართალი და ტყუილი, ჭკვიანური თუ სულელური, კეთილი თუ ბოროტი.

გამოვიდა „ივერია“ თუ არა, იმწამსვე ჩვენი ზოგიერთნი ვაჟბატონები მოჰყვნენ კიჟინას: „ოჰ, რა ძველი ენაა! რა მამა-პაპური ენაა!“. ამას დაუმატეს კიდევ: „ოჰ, რა ძველი აზრებია! რა დამძალი აზრებია!“ და სხვაც ბევრი რამ. ამ სამღურავისა და კიჟინის დედაბოძი არის ესრედწოდებული „ძველი ენა“, ეს არის უმთავრესი და უპირველესი შვილდ-ისარი, რომელიც დაბადებიდგანვე მიაყოლეს „ივერიას“ და ჯერაც არ მოუშორებიათ. რაც კი რამ დაწერილა თუ თქმულა „ივერიაზედ“, „ძველის ენით“ დაწყებულა და „ძველის ენითვე“ გათავებულა. „ძველი ენაა, ძველი ენა!“ წამდაუწუმ გაიძახოდნენ ჩვენი კრიტიკოსები, ვითომდა მეტიხმეტი ჭკვიანური რამა ვთქვიო. ბოლოს იქამდისინ მივიდა საქმე, რომ თვით ჩვენ განცხადებაშიაც კი ძველი ენა დაინახეს, როგორც, მაგ. ნიკოლაძეს მოუვიდა. ერთი რუსული ანდაზა: -

„სულელს რომ ლოცვა დააწყებინო, შუბლსაც გაიჩეხავსო“. ნიკოლაძესაც ამგვარი დაემართა. ვილასაც უჩურჩულებია მისთვის (თვითონ ნიკოლაძე კი აბა რა ქართულის მცოდნეა, თუ შენც იტყვი, მკითხველო) – „ივერიაში“ ძველი ენა არისო. ისიც მოჰყოლია და გაიძახის, საცა რიგია და საცა არა, „აი, თქვე ასეთისეთებო, ძველი ენითა სწერთ, განაო!“ მიკვირს, რატომ „ძველი ენა“ იმ ფიცარზედაც არ შეამჩნია, რომელიც „ივერიის“ რედაქციის კარებზედ არის მიკრული... ღვთის წინაშე, მართებული გარჩევა და პასუხის მიცემა ყველა მასზედ, რაც კი თქმულა „ძველის ენის“ თაობაზედ, შეუძლებელია, რადგანაც, კარგად რომ გასინჯოს კაცმა, არც არაფერი თქმულა მტკიცე და გარკვევით; არავითარი მაგალითი არ წამოუყენებიათ, არ უჩვენებიათ არცერთი ნაწყვეტი ჩვენის ნაწერისა და არ უთქვამთ – აი ეს „ძველის ენით“ არის გამოთქმულიო, „ახალი“ ენით კი ასე უნდა ითქვასო. მე ვიცი გააგებინეს მკითხველს თუ რას ეძახიან „ძველს ენას“ და ან რაში არსებობს „ახალი ენა!“ შენ არ მამიკვდე. აბა ამისთა[ნა] ძნელ საქმეს რად იკისრებდნენ? დაადგენ უფრო ადვილ საქმეს – ტყუილუბრალო ლათაიობას: ჟურნალ-გაზეთები სწორედ იმ ენითვე უნდა იწერებოდნენო, როგორითაც ხალხი ლაპარაკობსო, თუ არა და ძველი ენა იქმნებაო, და ამით, რასაკვირველია, ეუბნებოდნენ მკითხველს – აი, მაგალითებო, როგორც ჩვენა ვწერთო. მე ვიცი დაფიქრდნენ იმაზედ თუ რა მნიშვნელობა აქვს ენის სიწმინდეს საზოგადოდ ლიტერატურაში და მეტადრე ჩვენს საცოდავ ლიტერატურაში, რომელსაც მხოლოდ გუშინ აუდგავს ფეხი; ისიც, ვინ იცის, აუდგავს თუ არა! შენ არ მომიკვდე. გაუგონიათ, რომ სხვაგან, უცხო ქვეყნებში ყოფილა ბრძოლა ძველ და ახალის ენის თაობაზედ, ერთის თუ მეორის დამკვიდრების თაობაზედ ლიტერატურაში; გაუგონიათ, რომ ბოლოსდაბოლოს დამკვიდრებულა ახალი ენა, როგორც უფრო ცოცხალი, უფრო მძლავრი და უფრო მდიდარი, და წინდაუხედავით, დაუფიქრებლივ გადმოაქვთ ყველა ეს ჩვენშიაც. ვის რა ენაღვლება იმისი, თუ რის მომტანია ჩვენში ესრედწოდებული „ახალი ენა“ – სიღარიბისა თუ სიმდიდრისა? ვინ დაფიქრებულა მასზედ, რომ ჩვენშიაც (როგორც სხვაგან ყოფილა) „ძველი“ ცუდს ნიშნავს

და „ახალი“ – კარგს, თუ არა? ან კიდევ: ვინ დაფიქრებულა მაზედ, თუ ის ენა, რომელსაც ეხლა ეძახიან ძველს, მართლა ძველია, თუ არა; ანუ რასაც იგი ენა იძენს ძველის ენიდამ მართლა ცუდია, თუ არა, მართლა ენის სიგლახაკეს და სიკვდილს მოასწავებს, თუ პირიქით სიცოცხლეს და განვითარებას?.. დამჯედარი პასუხი და მტკიცე ლაპარაკი ჩვენ გამკიცხავებთან შეუძლებელია-მეთქი, რადგანაც მათს ვითომდა კრიტიკაში ტყუილუბრალო ლაპარაკის მეტი არა არის რა, მაგრამ თვითონ საგანი, რომელსაც დაერთვის იმათი ლათაიობა, ფრიად მძიმეა და ღირსშესანიშნავი. „ივერიის“ ენა იმათ არ მოსწონთ – ძველი ენა არისო, თუმცა არავინ ნამდვილად არ ამტკიცებს, თუ რაში არსებობს ეს სიძველე, ან პირიქით, რას ნიშნავს „ახალი“, მაგრამ მაინც თვით ამ საგნის აღიარება ღირსია ყურადღებისა ყველასთვის, ვინც კი გულგრილად არ უცქერის ჩვენის ლიტერატურის ბედ-იღბალს. თუმცა ჩვენის ენის მწუნებელნი არავითარ მტკიცე რწმენას არ იღიარებენ წამოყენებულ საგნის თაობაზედ, მაგრამ მათ ლაპარაკს მაინც ყური უნდა ვათხოვოთ, რადგანაც ზოგჯერ ტყუილუბრალო ლაპარაკსაც დიდი გავლენა და ზედმოქმედება აქვს მკითხველზედ: მკითხველი, საშუალო მკითხველი ჩვეულებრივ არავითარ კრიტიკას არ ხმარობს მის გასარჩევად, რასაც კითხულობს და უფრო მომეტებულად პირდაპირ სჯერა, რასაც კითხულობს, მეტადრე თუ ერთი და იგივე მალ-მალ ჩასძახეს ყურში. ამიტომაც მოგახსენებთ, რომ ლაპარაკი ძველსა და ახალს ენაზედ ღირსშესანიშნავია-მეთქი, თუმცა ამ ლაპარაკს არ მოსდევს არავითარი საფუძველი, არავითარი რწმენა, არც მკვიდრი აზრი. წინაღვე უნდა მოგახსენოთ, რომ აქ მსურს არა თვითონ ენის განჩევა, ამ საგანზედ „ივერია“ უძღვნის მკითხველს ცალკე წერილს, მე მინდა მხოლოდ აღვიარო ორიოდე აზრი, რომელიც ძალაუნებურად მეზადება თავში ყოველთვის, როდესაც მესმის სამღურავი „ივერიის“ ძველის ენის თაობაზედ.

ჩემის აზრით „ივერიის“ თაობაზედ ატეხილი ლაპარაკი „ძველის“ და „ახალის“ ენის შესახებ დამყარებულია მთლად რაღაცა გაუგებლობაზედ. ეს ლაპარაკი ან ვერაფერი ჭკუის ნიშანია თვითონ ამტეხთა, თუ იგინი გულწრფელად იღვწიან თვის სამ-

შობლოისათვის, ან ბოროტებაა – თუ თვის ხალხისა და ქვეყნის ბედ-ილბაღს ჩააღივებს არ აგლებენ: ორივე შემთხვევაში არამც თუ არავითარ წარმატებას არ მოასწავებს ამგვარი ლაპარაკი ლიტერატურისათვის, არამედ პირდაპირ უკან დაწევას უქადის და, იქმნება, მთლად გაუქმებასაც, სიტყვა, როგორც მოგეხსენებათ, მოსდევს აზრს, ჭკუა-გონების წარმოებას. აზრის სხვადასხვაობას და სიმდიდრეს დაერთვის უსათუოდ თვითონ სიტყვისა და ლექსთა მრავალგვარობა და სიმდიდრე. ეს მტკიცედ დადგენილი ჭეშმარიტება და შეეხება ერთგვარად – როგორც კერძო ადამიანს, ისე მთელ ხალხსაც. რამდენად ხალხი უფრო გონებაგახსნილია, რამდენად მისი ჭკუა-გონება უფრო განვითარებულია, რამდენად მრავალგვარი აზრი და წარმოდგენა უტრიალებს თავში, იმდენად სიტყვაც, ამ აზრისა და წარმოდგენის გამოსათქმელად, მრავალგვარია და მდიდარი. ასე რომ, ლექსიკონის სიმდიდრე და მრავალგვაროვანობა ყოველთვის უეჭველი ნიშანია ხალხის გონებაგახსნილობისა და ჭკუის სიმდიდრისა. ლექსიკონს, ამ სალაროს სიტყვიერებისას, ხალხი ამოქმედებს საჭიროებისამებრ. ესე იგი, რამდენადაც უფრო ღრმად გასჯდომია მას ცნობისმოყვარეობა, რამდენადაც უფრო ვრცელი ადგილი უჭირავს მის ცხოვრებაში ჭკუა-გონების თვითმოქმედობას, იმდენად უფრო ხშირად და უფრო ვრცლად ხმარობს ზემოხსენებულს სალაროს. აქამდისინ კაცობრიობის ისტორია იმგვარად ყოფილა მომართული, რომ ყველგან ხალხის უმრავლესობას არ ჰქონია სიღარიბისა და სიგლახაკისა გამო, საშუალება და მოცლა ჭკუა-გონების განვითარებისა და წარმატებისათვის. ეს შეძლება და მოცლა ჰქონია მხოლოდ ხალხის უმცირესს ნაწილს, რომელსაც მართლდა უპყრია ჭკუის საუნჯე მთელის კაცობრიობისა: ცოდნა, მეცნიერება, სწავლა-განათლება. აქედან წარმოსდგება განსხვავება ამ ორივე ნაწილის ლექსიკონთა შორის, რამდენად ერთია მრავალფეროვანი და მდიდარი, იმდენად მეორეა ერთფეროვანი და ღარიბი. მაგრამ, აი გადის დრო, სწავლა-განათლება თანდათან განზედ იწევს, უფრო და უფრო ვრცელდება და ერთი ცვარი ხალხსაცა ჰხვდება. მაშინ დახედეთ მის ლექსიკონს. უწინ თუ ათასის სიტყვით კმაყოფილდებოდა, ეხლა ორი ამოდენაც არა კმარა ყველა იმ

ახალის აზრისა და წარმოდგენის გამოსათქმელად, რომელიც შეიძინა მისმა ჭკუამ და გონებამ. რამდენად უფრო მკვიდრად არის გამჯდარი ხალხში ჭკუა-გონებისა და აზრის თვითმოქმედობა, იმდენად უფრო მდიდარია მისი ლექსიკონი, იმდენად უფრო მრავალგვაროვანი საშუალება აქვს ამ თვითმოქმედობის ხორცშესხმისათვის. თუ ხალხის ცხოვრება მართლა თავისით მიმდინარეობს, თუ ამ მსვლელობაში არავითარი დაბრკოლება არ ხვდება ხალხის ჭკუისა და აზრის თვითმოქმედობას, მაშინ ენაც შედის თვის შესაფერ წარმატებაში, როგორადაც სხვა ყოველი მხარე ცხოვრებისა: ემატება სიტყვა, ეცვლება ფორმები და სხვ... ამ შემთხვევაში ენის მხრივაც, როგორადაც სხვა მხრივ, არსებობს ბრძოლა ახალისა და ძველის შორის; ამაშიაც განირჩევა ახალი თაობა და ძველი...

იყო დრო, როდესაც ჩვენ ქვეყანასაც ჰქონია თავისი საკუთარი, დაუმოკიდებელი, თვითარსი მოქმედობა ჭკუა-გონებისა; როდესაც ქართველი კაცი, ავად თუ კარგად, ფიქრობდა თავისის საკუთარის ჭკუით. ჭკვიანური რამ გამოდიოდა ამ ფიქრიდამ, თუ სულელური — ჩვენთვის ამჟამად სულერთია; მხოლოდ ის კი უეჭველია, რომ ყოველი მისი აზრი, ყოველი მისის ჭკუის წარმოება იწყებოდა და თავდებოდა თავის საკუთარს სამშობლო ენაზედ. რასაც ფიქრობდა იგი, ფიქრობდა ამ ენაზედ. თუ ეს ფიქრი შედიოდა წარმატებაში, იმავე წარმატებაში შედიოდა ენაც. ჩვენშიაც იყვნენ, რასაკვირველია, სწავლულნი და უსწავლელნიც, და ამისდაგვარად იყო მდიდარი ლექსიკონი და ღარიბიც... აი გავიდა ხანი, დროთა ბრუნვამ შეუცვალა ფერი ცხოვრებას, ჩაადლო სრულიად ახალს, უწინ უცნობ გარემოებაში, და მოჰბერა სრულიად უცნობი ნიავი. ამას მოჰყვა შემდეგი: თუ უწინ ქვეყანას და ხალხს თვის საკუთარ წარმატების ტვირთი თვითონვე ეკიდა საკუთარ ზურგზედ, ეხლა ახალმა ნერგმა მის ცხოვრებისამ აჰყარა იგი მაცხოვარი ტვირთი, თითქმის სრულიად ჩამოაცალა, — რად სწუხდებიო, მე ავიკიდებ მაგ ტვირთსაო. რაც დაემართა მთელ ტვირთს, იგივე, რასაკვირველია, დაემართა მასში ჩართულს ნაწილსაც — ენას... დაჰბერა ახალმა ქარმა და ამოვლიჯა ლექსიკონიდან თითქმის მთლად რაც კი რამ ცოტად თუ ბევრად

მაღალის აზრისა და ფიქრის გამომთქმელი და გამომხატველი მოიპოვებოდა, შეარჩინა მხოლოდ ის, რაც საჭირო იყო შინაობაში საყველპუროდ, ყოველდღიურ სახმარებლად. „მეტი რაღად გინდაო, თითქო ეუბნებოდა ახლად მოვლენილი ნერგი, – მას აქეთ, რაც შენის წარმატების ტვირთი მე ავიკიდუო?“ მართლად, რა მოხდა? ჭკუა-გონების თვითწარმოება და თვითმოქმედობა დარჩა მხოლოდ იმ აზრთა წრეში, რომელნიც დაერთვიან მხოლოდ შინაობაში უსაჭიროესს საგნებს. სხვა ყოველგვარი ფიქრი, რომელიც კი შეეხება ამ წრის იქით გადასულს საგანს, სწარმოებს და მოქმედობს უცხო ენაზე. ბავშვი შედის სწავლაში, ხდება ყმაწვილკაცად, იძენს უმაღლესს განათლებას; მისი აზრი ვრცლად არის განვითარებული, მისი ჭკუა-გონებისა მხედველობა შორსა სწვდება – ეს ძალიან კარგი, მაგრამ მის ჭკუა-გონებას უშრომია უცხო ენაზედ და ამის გამო ვხედავთ შემდეგს: დაიწყებს ეს ყმაწვილკაცი თავის სამშობლოსთვის ზრუნვას, მას აღეძვრის, ვთქვათ, სურვილი ღვაწლის დადებისა თავის სამშობლო ლიტერატურისათვის, დაიწყებს-მეთქი, და ერთი რაღაც ძელი კი მოედება მის კეთილმდრეკილებასა - ენა არა აქვს: მას შერჩენია (ისიც წაღმა-უკუღმა) მხოლოდ ის ლექსიკონი, რომელსაც ამოქმედებს შინაობის ყოველდღიური საჭიროება, მაგრამ რა ქნას კაცმა თუ იმის თავში ტრიალებს მრავალი იმისთანა აზრი, რომელიც შინაობის წრის იქით დიდ მანძილზედ არის გადასული? რა საშუალებით შეატყობინოს მან თვის მკითხველს ყველაფერი, რაც კი რამ გულში უღვივის და თავში უტრიალებს? მოჰყვება და აჩმახუნებს თავისებურად, წაღმა-უკუღმა ატრიალებს ამ საცოდავ ლექსიკონს, რომელიც ყმაწვილობიდგანვე შეჰყოლია და შერჩენია; ვერც სხვას აგებინებს თავის აზრს, ვერც თვითონ იგებს თავის ნაწერს. მართალია, ბრალი ვერ დაედება იმისათვის, მაგრამ ნულარც მეტყვეით, თავის გასამართლებლად, – ეს ნამდვილი ცოცხალი ქართული ენა არისო, თუნდა მდაბიურიც იყოს. თქვენ რომ არ იცოდეთ, ვისი რა ბრალია? თუ არ იცით, რაღათ ამბობთ, ვითომ ქართულს ენაში ამადაამ აზრის გამოსათქმელად სიტყვა, თუ ფორმა არ მოიპოვებო? ჯერ ისწავლეთ, ჯერ შეიტყვეთ – რა გვქონია და რა არა, რა დაგვკარგვია და რა

შეგვრჩენია. მერე დაიწყეთ სჯა-ბაასი ახალსა და ძველს ენაზედ. ეხლა კი მარცხენა ხელით ანგრევთ მას, რასაც აგებთ მარჯვენით. თუ ენა გაგლახაკებულა, ამ სიგლახაკის შერჩენა და დამკვიდრება ლიტერატურის განვითარებას და აყვავებას კი არ მოასწავებს, არამედ მის უმეტესს დაცემას და თვით გაქარწყლებასაც. თუ ენა არ იქმნება, ხომ აღარც ლიტერატურა იქმნება. ისტორია და ცხოვრება ისე უბედურად მომართულან, რომ ხალხს, ესე იგი დაბალ ხალხს, არა რგებია განათლება, მის ჭკუა-გონებას არ უმოქმედნია იმ წრის გარეთ, რომელიც შეიცავს მის შინაობას, და თუ ამიტომაც მის ხელთ არის მხოლოდ ღარიბი ლექსიკონი, ეს იმისთანა უბედურებაა, რომლის გაქარწყლება უნდა ჰქონდეს ვალათ მთელს ქართულს ლიტერატურას და განათლებულს საზოგადოებას და არა მისი უმეტესი გაძლიერება. შეატყობინეთ ხალხს თქვენი აზრი და თან სიტყვაც მიეცით ამ აზრის გამოსათქმელად, თუ არადა, თუ ყოველი ნაღვაწი თქვენის ჭკუისა ჩასტიეთ იმ მცირე და ღარიბ ლექსიკონში, რომელიც საშინაო სახმარებლათ არის შერჩენილი, აზრიც დაგეფანტებათ და იმ საქმესაც უღალატებთ, რომლის წინ წადგომა, მჯერა, გულში გიღვივით, ე.ი. უღალატებთ ლიტერატურის განვითარებას. ზემოდაცა ვთქვი და ეხლაც ვამბობ, რომ სამღურავი „ივერიის“ ენის შესახებ, მის გამო ატეხილი ლაპარაკი ძველსა და ახალს ენაზედ ან ბავშობაა, ან ვერაფერი ჭკუის ნიშანია, სწორე მოგახსენოთ.

სამღურავი, ვითომ „ივერიაში“ ძველი და დამძალი აზრებიაო, იმგვარათვეა მომართული, როგორადაც ზემოხსენებული საყვედური ენის თაობაზედ. აბა თუ ერთი მაგალითი ეთქვათ – აი, ესა და ეს აზრი დამკვლევულიაო! შენც არ მომიკვდე, რა საჭიროა? თქვას კი კაცმა – დაობებული და დამძალი აზრიაო და მეტი რაღა უნდა? მე ვიცი დაფიქრდება, თუ რას ნიშნავს ამ შემთხვევაში ძველი და ახალი? იგი ყოველთვის ავსა და კარგს ნიშნავს თუ არა? რა პასუხია. ამისთანა ძნელ საქმეს რად იკისრებდნენ? ხელი მოჰკიდეს უფრო ადვილ საქმეს: ყური ათხოვეს უცხო ხალხის და ქვეყნის ლიტერატურას, გაიგონეს, რას ეძახიან იქ ძველსა და ახალს და – ჰა! მოჰყვენენ ლათიაობას. სტუმრად წვეულმა, გარეშედ გამოხდილმა და არა თვით შინაობაში აღ-

მოცენილმა ლიტერატურამ ასე იცის. რა და ვისთვის არის ძველი? რა და ვისთვის არის ახალი? ამაზედ არა ისმის რა ჩვენ გამკიცხველთა კიჟინაში. ჩვენ თვალში სიახლე თუ სიძველე საზოგადოდ ვერაფერი მაჩვენებელია მოღვაწეობის მიმართულებისა, ვერაფერი თამასუქია კარგისა თუ ავისა. არის იმისთანა „ძველი“, რომლის ერთი ბეწვი ათასწილად მირჩენია, ვიდრე მთელი „ახალი“, არის კიდევ „ახალი“, რომელიც მოასწავებს სიბოროტეს, ჭკუა-გონების გარყვნილობას, მეტს კი არაფერს. არის აზრი ძველი, რომელიც გამოუსადეგია ან იმიტომ, რომ დიდი ხანია ხორცშესხმულია და გამჯდარი თვითონ ცხოვრებაში; ან იმიტომ, რომ დიდი ხანია მიგდებულია შინაგან უვარგისობისა გამო და მის ბაღლად წამომდგარა სხვა ახალი, ე.ი. უკეთესი. ამ ორ მნიშვნელობათა შორის რომელს ერთს ართავენ იმ „ძველს“, რომელსაც გვწამებენ ჩვენ ჩვენი გამკიცხველნი? ღმერთმა უწყის. არის კიდევ „ახალი“, რომელიც მართლა კეთილია და სარგოიანი ან იმიტომ, რომ თვითონ ცხოვრებაში არამც თუ არ არის გამჯდარი, არამედ ერთი კუთხეც არ დაუპყრია, ან იმიტომ, რომ ეს „ახალი“ აზრი წამომდგარა იმ „ძველის“ ნაცვლად, რომელიც იყო უვარგისი და ცრუ. რომელს ერთს ამბობენ ჩვენი კრიტიკოსები? – ღმერთმა უწყის. ერთის სიტყვით, არ ვიცით მათ პირში „ახალი“ და „ძველი“ ხმარებულია ცხოვრების მოვლენათა თაობაზედ, თუ თვითონ აზრთა და იდეათა. ის კი ვიცი, რომ ნიშნად ავისა და კარგისა, საზოგადო ასპარეზზედ მოქმედობისა და მოღვაწეობის დაფასებისათვის, არსებობს მხოლოდ ერთი საწყაული - თუ რის მომტანია ეს მოქმედობა, ბოროტისა თუ კეთილისა, რას უქადის ცხოვრებას, წარმატებას და განვითარებას თუ დაკლებას და უკუქცევას. ვიმეორებ: „ახალი“ თუ „ძველი“ ვერაფერი თამასუქია კარგისა და ავისა. ეს უეჭველი ჭეშმარიტებაა (რასაკვირველია, ძველთაგან ძველი) არამც თუ აზრთა, იდეათა შესახებ, არამედ შესახებ თვითონ ცხოვრების სხვადასხვა დაწესებულებათაცა. არის მრავალი წესი, საზოგადობრივი დაწესებულობა, რომელიც თუმცა ძველია და მკვდრებშია ჩარიცხული, მაგრამ რომელთა აღდგენას ქადაგობენ ახლად მოსულნი მეცნიერნი, საყოველთაო სიკეთის მიმდევარნი. ამისდაგვარად არსე-

ბობს მთელი ახალი სამეცნიერო მიმართულება, რომელიც მტკიცედ ქადაგობს ძველისა და მკვდრის აღდგენას. ამ მიმართულების მიმდევართა აზრით არის მრავალი ჩამქრალი და მოკლული, რომელიც ათასწილად მაღლა დგას, ვიდრე მრავალი აწ მომქმედი, ახალი და ცოცხალი. ამ გარემოების დაწვრილებით და თვით მაგალითით დამტკიცება სხვა დროისთვის გადავდგათ. ეხლა კი ვიკმარებ იმ აზრის აღიარებას, რომ ცოცხალი თუ მკვდარი, ახალი თუ ძველი, მარტო თავისით, არის მხოლოდ ლიტონი სიტყვა და არაფერს არა ნიშნავს. ესეც, რასაკვირველია, ძველი, და არა ჩემს მიერ მოგონილი, ჭეშმარიტებაა, მაგრამ რა ვქნა, რომ ბევრს ესეც არ გაუგონია, ან თუ გაუგონია, ერთ ყურში შეჰპარვია და მეორედამ გამოჰპარვია.

[1879 წლის 9 იანვარი]

ფიქრი და შენიშვნა

**კიდევ ჩვენის მწერლობის თაობაზედ.
უფ თუმანიშვილი და მისი „ალმანახი“.**

რომ ჩვენს მწერლობაში არსებობს უგზო-უკვლობა და უშველებელი არეულ-დარეულობა – ეს ცხადი და უეჭველი ჭეშმარიტებაა ყველასათვის, ვინც კი ცოტადენად დაფიქრებულა ქართულს ლიტერატურაზედ. რა მიუძღვის წინ ამა და ამ მოღვაწეს ჩვენის მწერლობისას? რისთვის გამოდის იგი სალიტერატურო მოედანზედ? რა სხივი უნდა დასცეს მან თვალგაუწვდენელ სიბნელეს? ყველა ამისას ნურას უკაცრაავად, ტყუილად ვიკითხავთ, ღმერთს ენა მიუნიჭებია ადამიანისათვის – ილაპარაკეო; ისიც მოჰყოლია და ლაპარაკობს, – მეტი რა უნდა? რას მიქვიან ჩვენში მწერლის მოვალეობა საზოგადოების წინაშე? დღეს ვაჟბატონს რალამაც გაურბინა გუნებაში – აილო და მიაწოდა მკითხველს; ხვალ კიდევ სხვა და სრულიად წინააღმდეგი რამ გადურბენს გულზე და კიდევ აილო და მიაწოდა იმავე მკითხველს – ესეც შენტვის მომირთმევიო. ამგვარად სალიტერატურო ას-

პარეზი შეიქნა თვითონ მოღვაწეთა გულის გასართობ საღაფბოთ, და მკითხველისა კი ვის რა ენაღვლება? კაცი არ დაფიქრებულა, თუ რა არის საღიტერატურო და რა არა; რას მოითხოვს და რას არა ღრთოთ ვითარება და აღვღი: ჩვენს საღიტერატურო მოღდანს მთღად მოჰფენია სიბნელე; თვითონ მომქმედიც ბნელია, ვით ღამე. მეტყვით – ყვეღა ამას აქვსო მრავალი შესაწყნარე-ბელი მიზეზიო: ჩვენი მწერღობა ჯერ ხანში არ არის შესულიო და ახღად ფეხადგმულს ბევრი არა მოეთხოვება-რაო; ვერ მოეთ-ხოვებოთ აგრეთვე ვერც გარკვევიღი გზა და კვაღი... მართაღი ბღანებაა, და კიღევ იმიტომ ვამბობ, რომ ყოვეღს მოღვაწეს ჩვენის მწერღობისას უნღა ღიღი სიფთხიღე და წინ ღახეღვღა. რამღენაღ უფრო გზადახეულია მისი გარეშეუღობა, იღღენაღ უფრო მომეტებული სიწმინღე და სიფაქიზე უნღა ყვეღას მის ნაწარმოებს. თუ საზოგადოებას ეხღახან გაჰღვიღებია კითხვის სურვიღი; თუ თვითონ საზოგადოებაში ამის შესახებ არავითარი გარკვევიღი მიმართუღება და მტკიცე მსვღელღობა არ არსე-ბობს; თუ „რასაც დასთეს, იმასვე მოიმიკ“ – ამ შემთხვევაში თვითოეულს მთესვეღს უფრო მეტი უნღა მოკითხოთ, უფრო სასტიკად უნღა მოვეკიღოთ, ვიღრე სხვა ღროს და სხვა აღვიღ-ას. აქ უნებურად მაგონღება აზრი, რომელიც არაერთხელ მსმენია: ჩვენი მწერღობა იღღენაღ საცოღავი და ღარიბიაო, რომ ყოვეღი კაცი, რომელსაც ცოტად თუ ბევრად შემოუღღამსო ფეხი მწერ-ღობაში და ავად თუ კარგად ემსახურებოთ მას, ყოვეღად პა-ტივისაცემი და ყურადღების ღირსიაო; თუკი სწერს და აბე-ჭვიღინებსო, „ბარაქაღა“ ერგებოთ, ერთის სიტყვით, ცუღად ჯღო-მას ცუღად შრომა სჯობიაო. რომელი ერთი სჯობია – ეს ამ აზრის მიმყოღთა გემოვნებაზეღ მიმიღღვია; მე რომ მკითხოთ კი – ორივე მათთვის მიმიღრთმეღვია. ჩემის აზრით, ზემოხსენებულს მსჯეღობას დაერთვის ცრუმორწმუნეობა, რომელიც ვნებას თუ მოუტანს ჩვენს მწერღობას, თორემ ხეირს კი ვერ დააყრის ვერაგ ზით. იმათღა სამწუხაროღ, ღიტერატურის სიმიღღრე თუ სიღარიბე ღამოკიღებუღია არა დაბეჭდიღ ფურცღების მეტ-ნაკღებობაზეღ... ყანა ჩვენის ღიტერატურისა მთღად მოქსაქსუ-ღი და შამბორეულია-მეთქი. ყვეღაზეღ უწინარესი და უს-

აჭიროესი საქმე არის გამარგვლა, ამოგლეჯა ამ შამბისა, გამოგვა და გამოწმენდა, რაც მოქსაქსულია: ეს საქმე უპირველეს ვალად უნდა ჰქონდეს სალიტერატურო კრიტიკას; მან უნდა დაანახოს მკითხველს თუ რა ეკუთვნის ლიტერატურას და რა არა; რას უნდა ეპყრას კანონიერი ადგილი მწერლობის ასპარეზზე და, პირიქით, რას არა აქვს არავითარი კავშირი ლიტერატურასთან. ერთის სიტყვით, სალიტერატურო კრიტიკა მოვალეა თავი გაატანინოს მკითხველს ზემოხსენებულ უგზო-უკვლობაში და არეულ-დარეულობაში. რამდენადაც გვექმნება ძალა და შეძლება, რამდენადაც ჭკუა გაგვიჭრის, ვეცდებით მცირე ღვაწლი მაინც დავდვათ ამ ფრიად მძიმე და საჭირო საქმეში. მაშ ნუ დაიზარებ, ჩემო მკითხველო, და გამომყევ ჩვენის ლიტერატურის წალკოტისაკენ.

საიღამ დავიწყეთ? სულ ერთი კია, სწორედ მოგახსენოთ. ნათქვამია – ყოველი გზა რომში მიგიყვანსო. ისე ჩვენც: რა გზასაც უნდა დავადგეთ, მაინც ერთსა და იმავე ადგილას მივალთ, და სახელდობრ რა ადგილს – ამას შეძლეში ვნახავთ. დავიწყეთ უფ. თუმანიშვილის „ალმანახიღამ“. მიზეზიც მაქვს ამგვარ დაწყებისათვის. ეს სხვადასხვა წერილთა გროვა, რომლისათვისაც უფ. თუმანიშვილს დაურქმევია „ალმანახი“, არის ახლად მოსული, თითქმის დღევანდელი ყვაველი ჩვენის ლიტერატურისა, და დღევანდელს ხომ უფრო ეტანება კაცი, ვიდრე გუშინდელს. გარდა ამისა, ამ ყვაველზედ მსმენია იმისთანა ქება-შესხმა, რომელიც ქვასაც კი გახეთქს, არამცთუ ადამიანის გულს. აი, მაგალითებრ, რა სიტყვით მიეგება „ალმანახს“ „დროების“ კრიტიკოსი:

„ღიდის მოუთმენლობით მოველოდით თავ. გ. თუმანიშვილის „ალმანახს“ და უადრესის სიამოვნებით წავიკითხე ეს პატარა წიგნი. ჩვენს ჭკუით ღარიბს მწიგნობრობაში რიგიანის წიგნის გამოსვლა ისეთ იშვიათ შემთხვევათ შეიქმნა, რომ რეცენზენტს ამისთანა მოვლინება ერთ რამ დღესასწაულად მიაჩნია. ამ პატარა წიგნს ეტყობა, რომ ჭკვიანი კაცის ნაწარმოებია, რომელიც არც ერთს პარტიას არ ეკუთვნის და პირუთვნელათ ეძიებს ჭეშმარიტებას და მაშასადამე პოეზიასაც.

აბა, ამის გამგონს გულმა როგორ უნდა მოუთმინოს და ხელი არ წაავლოს ყველაზედ უწინარეს „ჭკვიანის კაცის ნაწარმოებს?“

„ალმანახზედ“ ლაპარაკი მით უფრო მეხერხება ამჟამად, რომ მას იმგვარი თვისება მიუძღვის და ბევრი იმისთანა რამ აქვს ჩართული, რომელიც პირდაპირ და მჭიდროდ მიუდგება საგანს ჩვენის საუბრისას წარსულისას და აწინდელისასაც. ტყუილად კი არ არის ნათქვამი რუსულად – „ნადირი თვითონვე წინ ჩამოუბრუნს მონადირესაო“. დავწერე თუ არა ჩემი „ფიქრი და შენიშვნა“ წარსულ ნოქერში, უფ. თუმანიშვილმა თავისის „ალმანახით“ წინ ჩამიბრინა და მით შეამკო ცოცხალის სურათით ჩემი მშრალი საუბარი. ამ მხრით ღირსშესანიშნავია ჩემთვის, ყველაზედ უწინარეს, უფ. თუმანიშვილის წერილი „ეხლანდელი ქართული ჟურნალ-გაზეთების მიმართულება“*. იმ განზრახვისათვის, რომელიც მიუძღვის წინ ჩემს „ფიქრს და შენიშვნას“ საჭიროა, გარჩეულ იქმნეს ზემოხსენებული წერილი იმ წერილთან ერთად, რომელიც შარშანდელ „ალმანახში“ იყო დაბეჭდილი იმავე საგანზედ: „შარშანდელ ქართულ მწერლობის გადათვალიერება“. მე ვწერ არა კრიტიკას წლებანდელ „ალმანახზედ“; მე ვკრეფ მხოლოდ სხვადასხვა მარგალიტებს ჩემ საუბარის საგნის შესამკობლად, და რამდენად მეტი მარგალიტი ჩამივარდება ხელში, იმდენად მეტად დაშვენდება ჩემი წერილიც. იმედი მაქვს, არც თვითონ „ალმანახის“ შემდგენელი დამემდურება საქმის ამგვარად დაჭერისათვის. მართალია, „ალმანახი“ არის სხვადასხვა წერილთა გროვა, რომელთა შორის არავითარი მჭიდრო კავშირი და ურთიერთობა არ არსებობს. მართალია, აგრეთვე, რომ არც ამ ორ წიგნთა შორის უნდა ვეძიოთ რაიმე მკვიდრი კავშირი და ურთიერთობა, როგორც, მაგალითებრ, მოეთხოვება ჟურნალს. ეს მართალია-მეთქი, მაგრამ მარტო ერთის მხრით. თუ რომელიმე კრებული გამოდის დროგამომშვებით, ვთქვათ, ყოველ წელიწადს; თუ ამ კრებულის გამოცემი არის ერთი და იგივე კაცი, მაშინ სრული უფლება მაქვს, მოვითხოვო ამ კრებულის სხვადასხვა წიგნთა შორის ცოტაოდენი კავშირი მაინც; მაშინ სრული უფლება მაქვს მოვკითხო გამოცემელს მცირედი რამ პროგრამმა მაინც და ცოტაოდენი მტკიცე გზა და მსვლელობა: ვინა ხარ? რად გამოდიხარ? რას აწვდი შენს მკითხველებს? „ალმანახის“ გამოცემელი არ დამემდურება-მეთქი, მით უფრო, რომ თვითონვე იგულისხმებს ამგვარ კავ-

შირს; წლებანდელ „ალმანახში“ დაბეჭდილია შემდეგი იმ წერილისა („ეკონომიური სურათები“), რომელიც დაბეჭდილი იყო შარშანდელ წიგნში, მამასადამე ამ წიგნის გამოცემის ჰყავს მხედველობაში ერთი და იგივე მკითხველი.

შარშან უფ. თუმანიშვილმა დაიწყო თვისი წერილი ქართულს მწერლობაზედ ამგვარად:

ამ უკანასკნელ ორ წელს მოემატა სიცოცხლე საზოგადოდ კავკასიელ და მეტად ჩვენ მწერლობას. ორი რუსული გაზეთი, რომელნიც ჩვენში ამ ორი წლის წინად გამოდიოდნენ კვირაში სამჯერ, გარდიქნენ ეხლა ყოველდღიურ გაზეთებათ. „დროებაც“ ამ გზას დაადგა. შარშან დაგვებადა კიდევ ახალი ქართული გაზეთი „ივერია“, რომელიც გვეწვევა ხოლმე კვირაში ერთხელ დიდ თაბახობით და რომელიც ზოგჯერ ივიწყებს თავის გაზეთობას და ჩემულობს (?) ჟურნალობას. ამას გარდა ახალ წლიდამ გვემატება ახალი ყოველდღიური რუსული გაზეთი უფ. ნიკოლაძის „მიმოხილვა“ («Обзор»), რომელიც გვპირდება კავკასიელ „ტაიმსობას“. მოიგონეთ ამ ორი წლის წინანდელი ჩვენი ლიტერატურული უარარაობა და ეს გაზეთების სიმრავლე, რაგვარნიც იყვნენ ისინი – სულერთია, გვეჩვენება მწერლობის სიმდიდრეთ. რა არის მიზეზი ამ ლიტერატურულ გამდიდრებისა? ომი, მიპასუხებთ თქვენ მაშინვე... მაგრამ მარტო ომს არ შეეძლო ასე ემოქმედნა ჩვენ მწერლობის გამდიდრებაზე. როცა „თბილისის მოამბე“ გახდა ყოველდღიურ გაზეთათ, მაშინ არც კი ელოდნენ დიდ ომს... არა, მკითხველო, ჩვენ მწერლობის განცხოველებასი მარტო ომი არ არის დამნაშავე. აქ კიდევ ბევრი სხვა რამეც არის გარეული. მაგრამ (?) ათას სხვადასხვაფეროვან საქმეს და კაცს შეუძლიანთ ჰქონდეთ ერთი სახელი. ხშირად, როცა უნდათ ერთ რომელიმე პარტიაზედ ლაპარაკი, ამ პარტიის მაგიერად ასახელებენ იმის უკეთეს კაცს. ხშირად ამბობენ, ყარსი აილო ლორის-მელიქოვმაო იმის მაგიერ, რომ თქვან: ყარსი აილეს ამა და ამ რუსის ჯარის ბატალიონებმა, პოლკებმა, დივიზიებმა, ამა და ამ ღენერლების და აფიცრების შემწეობით. თუ ამგვარი ლაპარაკი მოვინდომეთ და მრავალგვარ საგნების დასახელების მაგიერ ვისურვეთ დასახელება ერთი კაცის, ჩვენ უნდა ვთქვათ,

რომ ჩვენ მწერლობის გაღვიძების მიზეზი იყო ნ. ნიკოლაძე“.
(„ალმანახი“, 1978 წ.)

უკაცრავად კი ვარ მკითხველის წინაშე, რომ ამსიგბე ნაწყვეტი გამოვაცალე უფ. თუმანიშვილის წერილს, მაგრამ, უნდა მოგახსენოთ, ეს მარგალიტი ფრიად ღირსშესანიშნავია და ძვირფასი; იგი პირდაპირ შეეხება ქვაკუთხედს ჩვენის მწერლობის და ცხოვრების უგზო-უკვლობისას. კაცი მოჰყოლია ლაპარაკს ქართულს მწერლობაზედ, მის განცხოველებაზედ და გამდიდრებაზედ, და ართავს ყველა ამ წარმატებას რუსულ გაზეთების სიმრავლეს. „ტფილისის მოამბე“, „კავკაზი“, „ობზორი“ და სხვა ათასი რუსული გაზეთი რომ გამოდიოდეს ყოველდღე, ჩვენი მწერლობა აქ რა შუაში უნდა იყოს? გზა და კვალი იმდენად დაგვხნევიან, რომ არცა რა სხვისა გაგვიგია და არცარა — ჩვენი. ჩვენი, სხვისა, ქართული, რუსული, „ობზორი“, „დროება“, „ტფილისის მოამბე“, „კავკაზი“, „ივერია“ — სიყველა ერთად აურევია „ალმანახის“ შემდგენელს და ეს დომხალი მკითხველისათვის მიურთმევიან — მონიელო. რუსულ გაზეთების გამრავლება რა ნიშანია ქართულის მწერლობის წარმატებისა და განვითარებისა? უფ. თუმანიშვილის აზრით, არამც თუ ნიშანია, არამედ მიზეზიც ყოფილა; „ჩვენი მწერლობის გაღვიძების მიზეზი იყო ნ. ნიკოლაძეო“. ახლა რა უნდა ვიფიქრო მე, ქართველმა მკითხველმა? უფ. თუმანიშვილი ლაპარაკობს იმ დროის განმავლობაზედ, როდესაც ნიკოლაძეს არავითარი მონაწილეობა არ მიუღია ქართულს მწერლობაში. თუ ამ ხნის განმავლობაში ჩვენმა, ესე იგი, ქართულმა მწერლობამ გაიღვიძა და გაცოცხლდა, და თუ მიზეზი ამა გაღვიძებისა არის ნიკოლაძე, მამ ჩვენი მწერლობა სწორედ იმ დროს გაცოცხლებულა, როდესაც ნიკოლაძე მოჰსცილებია. ვერაფერი ქება-შესხმამა ნიკოლაძისათვის, სწორე მოგახსენოთ. ნუთუ მართლა ეს უნდა ეთქვა უფ. თუმანიშვილს? რა პასუხია, იგი სიბნელეში დგას და ხელებს აფაცურებს და გულდამჯდარად მოუთხრობს ქართველ მკითხველს მის სამშობლო მწერლობის გამდიდრების ნიშანს და მიზეზს... სტუმრად წვეულმა მწერლობამ, გზადანეულმა, უგზო-უკვლომ ასე იცის.

უფ. თუმანიშვილი იქამდე აღტაცებულა, რომ რაც კი რამ

გაკეთებულა ქართულს მწერლობაში ამ ბოლოს დროს სულ ნიკოლაძისათვის დაუბრალებია. აი, რას ამბობს თუმანიშვილი:

...რაც უნდა იფიქროთ თქვენ, მკითხველო, უფ. ნიკოლაძეზე ეს კი უეჭვო ჭეშმარიტება გახლავთ, რომ ჩვენ მწერლობას ამ უკანასკნელ დროს და მეტად შარშან უცემდა მაჯა ადრინდელზე მეტად. დავიწყით ხელოვნურ თხზულებებიდამ.

ასე თუ ისე, ერთის სიტყვით, შარშანდელ „ალმანახის“ აზრით ქართული მწერლობა გაცოცხლდა და გამდიდრდა ამ ბოლო დროს. გარდა ამისა, ამ გამდიდრების მიზეზი იყო უფ. ნიკოლაძე. ეს დასწერა შარშან უფ. თუმანიშვილმა და გამოესალმა მკითხველს მთელის წლით. წრეულაც გამოსცა იმან „ალმანახი“ და კიდევ ჩაურთო წერილი იმავე საგანზედ. იმავე საგანზედ-მეთქი, თუმცა სათაური წერილისა ცოტად გამოცვლილია. წლევეანდელი წერილი მთლად შეეხება ჟურნალ-გაზეთებს, შარშანდელი კი თითქმის მთლად. რას გვაუწყებს ეს ახალი წერილი – ეხლავ, მოგახსენებთ, და კილო-კავად კი უნდა შევნიშნო, რომ უფ. ნიკოლაძის ხსენება ამ წერილში აღარ არის. როგორ? კაცე ლაპარაკობს ჩვენს მწერლობაზედ და დაავიწყდა თავიდათავი მიზეზი ამ მწერლობისა, მიზეზი, რომელიც თვითონვე გამოატყვრინა? ან იქნება იმიტომ დამალა უფ. ნიკოლაძე, რომ თუმანიშვილი ჩვენს ჟურნალ-გაზეთებს წუნსა სდებს და რაკი თვითონ წარმატება არ არის, არც მიზეზია, და რაღა უნდა ელაპარაკნა ნიკოლაძეზედ. აბა, ახლა რაღა უნდა ვიფიქრო მე, ქართველმა მკითხველმა, რომლის თვალშიაც ისე უწყალოდ ამაღლა უფ თუმანიშვილმა უფ ნიკოლაძე?.. არც ერთი სიტყვა არ არის-მეთქი თქმული უფ. ნიკოლაძეზე. უკაცრავად: ერთი-ორი სიტყვა შეაპარა უფ თუმანიშვილის წერილს ნიკოლაძეზე. სადღაც კუნჭულში მიმალულან შემდეგი სიტყვები: „ეს მართალი სიტყვა წასცდა რუს გაზ. „ობზორს““ (გვ. 38, სხოლიო). როგორ თუ წასცდა? ვისზედ ითქმის „მართალი სიტყვა წასცდაო“? ეს ითქმის ცრუპენტელაზედ, რომელსაც თავის სიცოცხლეში ტყუილის მეტი არა უთქვამს რა, მამ რაღა იქნა ის ყოვლად შემძლებელი ნიკოლაძე, „ობზორის“ რედაქტორი, რომლის მადლით ისე გაცოცხლდა და გამდიდრდა ჩვენი საწყალი ლიტერატურა? ვინ მომცემს ამის პასუხს მე,

საწყალ ქართველ მკითხველს, რომელსაც ასე დაუნდობელად მიბრაგუნებს ზურგს გამვლელი და გამოძვლელი?

ახლა ვნახოთ, რას მოგვითხრობს წლევეანდელი „ალმანახი“ ჩვენს მწერლობაზედ. უფ. თუმანიშვილი ამბობს: „ვხედავ დიდ ცვლილებას ამ უკანასკნელ სამიოდ წლის ქართულ ჟურნალ-გაზეთობაში და მსურს ეს უჩვენო ცხადად მკითხველს“. ამ ცვლილებაზედ არავის არა უთქვამს რაო, რადგანაც ლიტერატურის მოღვაწენი ძველნი არიანო; მაგრამ რაც იმათ ეპატიებათო, ის ვერ მეპატიებაო მე, რომელსაც არ მიმიღია დიდი მონაწილეობა იმათ შრომაში და დრო და ღონისძიება მქონია აუჩქარებლივ თვალყური შედევნა იმათ მიმართულებისათვის“. ვნახოთ რა გამოიხატა.

„საქართველოს მოამბე“, პირველდრონდელი დროება” (1866-1874წ.) „კრებული“ და უმეტესი ნაწილი „მნათობისა“ იყო ქადაგება და მხოლოდ ქადაგება. აიღებდით ლექსს; ის თქვენ არ დაგატკობდათ მუზიკალურ რიფმებით ან ბუნების აღწერით. არა, იმას სხვა მიზანი ჰქონდა. წავიღოდა, ივლიდა, ივლიდა და ბოლოს მაინც ან გლეხის თავისუფლებაზე დაგუგუნებდა ან ხალხის სიყვარულზე და განათლებაზე..... იგივე ითქმის ყველა ადრინდელ ქართულ ჟურნალის ან გაზეთის ნაწილებზე. უკანასკნელი ფურცელი რა არის? მაგრამ იქაც კი საცინელ ანდაზების მაგიერ იპოვიდით დარიგებას: ესე და ესე უნდა მოიქცე, რომ არ გაცვიდეო; ესა და ეს წიგნი უნდა წაიკითხო, რომ არ გაბრეყდეო... და სხვ.

მაგრამ 1875 წ. სურათი გამოიცვალაო. ჟურნალებმა სული დალიესო, „დროებამ“ კი იწყო კვირაში სამჯერ გამოსვლაო; ამის გამო დაპატარავდაო და სტატიების ადგილი დაიჭირეს წვრილმან ამბებმაო. „დროება“ აღარ იყო, ამ წლიდამ დაწყობილი, საზოგადოების წინამძღოლი და სხვ., ის შეურიგდაო საზოგადოებას და ჰკითხაო: „რა გნებავს მოგართვაო?“ ჩქარა გაიგო „დროებამ“ რა იამებაო ჩვენ მკითხველებს და მას აქეთ ის ცდილობს ყოველ ღონისძიებით დააკმაყოფილოს იმათი დღიური მოთხოვნებიო.

ერთი სიტყვით, ქართულ გაზეთმა გახადა თავის მიზნათ ყოველ-

გვარ ახალ ამბების და გასართობ ანდაზების (?) გავრცელება საზოგადოებაში, ვახდა თავის მიზნათ ის, რაც აქვს მიზნათ უმეტეს ნაწილს რუსულ და ევროპიულ ჟურნალ-გაზეთებისას.

ძალიან დაუშავებიაო. რამდენიმე სტრიქონის შემდეგ უფ. თუმანიშვილი ამტკიცებს, რომ ქართული გაზეთი არ მისდევს ევროპის ჟურნალ-გაზეთების მიმართულებასაო და კარგადაცა შვრებაო. აი მაგალითი:

მაღლობა ღმერთს! ამ მდგომარეობაში არ არის ქართული ჟურნალ-გაზეთობა. ის, მართალია, შეურიგდა ჩვენ ნახევრად განათლებულ საზოგადოებას, ცდილობს ღროზე შეაფეოინოს, რაც იმას იამება, ცდილობს გაართოს ის ლექსებით და მოთხრობებით, რომელნიც არ შეაწუხებენ, არ გააღვიძებენ იმას ღრმა ძილისაგან;* მაგრამ ამასთანავე ქართული ჟურნალ-გაზეთობა თაყვანს არ სცემს იმდენათ ჩვენ ნახევრად განათლებულ საზოგადოებას, რომ ევროპიულ გაზეთებსავეთ წახალისოს ის მოღნურ უგვარობის ჩაღენაში (?) და ცრუმორწმუნეების გავრცელებაში.

ან კიდევ:

ამგვარი ეჭვი ჩვენში, მაღლობა ღმერთს, სანამ უადგილოა. ქართული ჟურნალ-გაზეთები კვერს არა უკრავენ ყოველ საზოგადოების შეცდომას.

ან კიდევ:

მართალია, ქართული ჟურნალ-გაზეთობა აღარ კისრულობს თავის ძველ როლს სამშობლოს მასწავლებლისას და წინასწარმეტყველისას, (?) მაგრამ არც მთლად ურიგდება თავის ახალ მკითხველს...

ყველა ეს კი ვერაფრად შეშვენის „ჭკვიანი კაცის ნაწარმოებს“. გარდა ამისა უფ. თუმანიშვილი ამტკიცებს, რომ ქართულს გაზეთს ვერც შეუძლიანო აჰყვეს ევროპიულს ან რუსულს გაზეთს და იმგვარისავე გზას დაადგესო... არა, ისევ თვითონ ავტორი ვალაპარაკო, მით უფრო, რომ ქვემოთმოყვანილი ნაწყვეტიც ფრიალ შესანიშნავი და ძვირფასია ჩვენთვის:

...ამ ორ მწერლობის შუა (ე. ი. ჩვენისა და ევროპისა) კარგად იდი განსხვავებაც არის. ჯერ ერთი, რომ ჩვენ საზოგადოებაში ისე არ არის გავრცელებული ცნობისმოყვარეობა, რომ შეიძლე-

ბოდეს იმგვარ დიდ გაზეთების გამოცემა, როგორებსაც ვხედავთ ევროპაში. ქართული პატარა გაზეთი კი, შეძლებას მოკლებული, ჩვენ ქვეყნის ამბებსაც კი ვერ ასწრობს შეგვატყობინოს ღროზე. ვისაც იჩი ესმის რუსულ ენაში, ეტანება რუსულ გაზეთებს, რადგან ამთ მეტი ღონისძიება აქვთ უფრო ჩქარა და დაწვრილებით მოგვიტანონ ახალი ამბები. ქართული გაზეთი ვერ აკმაყოფილებს ვერც იმ ქართველს, რომელმაც იცის მხოლოდ თავისი ენა, რადგან ქართველ მწერლების და ხალხის შუა გავლილია ბედით ღრმა ხევი. უნივერსიტეტელმა განათლებულმა კაცმა არ იცის, როგორ დაელაპარაკოს შინაურად ნასწავლს. იმათ ერთმანეთისა არ ესმით, თითქო სხვადასხვა შორეულ ქვეყნებში იყვნენ დაბადებულები. ჩვენებურ ყურნალისტს არა აქვს ისეთი მსუბუქი, ადვილი გასაგები ენა და ცოდნა (მსუბუქი ცოდნა!), რომ თავისკენ მიიზიდოს უმეცარ მკითხველის გული. ცარიელი ტელეგრამების ბეჭდვა იმათ მნიშვნელობის აუხსნელათ, სხვადასხვა ევროპიულ სიტყვების უადგილოთ ხმარება, „ინტერესების“, „ტრაქტატების“ და სხვა ამგვარების ყველგან ჩაჩხერა და სხვ., უეჭველია, ბევრად აფთხოვს ქართველ მკითხველს, რომელსაც არაფერი არ გაეგება ეხლანდელ ევროპის პოლიტიკურ მდგომარეობისა, მაგრამ გაზეთს კი იღებს, („გაზეთს იღებს“, როგორ მოგწონთ სიტყვიერება) რომ შეიტყოს ეს.

ამგვარი ლაპარაკი ქართველ მწერლის პირში, ღვთის წინაშე, ღირსშესანიშნავია. ძვერა უფ. თუმანიშვილის კეთილმდრეკილება, მაგრამ... მაგრამ ესეც მიმტკიცებს ჩვენის სტუმრად წვეულ ლიტერატურის უგზოუკვლობას. რასაკვირველია, გაუგებარ სიტყვების ყველგან ჩაჩხერა და „ცარიელ ტელეგრამების ბეჭდვა“ ცუდი რამ არის და ხეირიან გაზეთს არ შეჰფერის. სამწუხაროა, აგრეთვე, რომ „განათლებულმა კაცმა არ იცის, როგორ დაელაპარაკოს შინაურად ნასწავლს“, ესე იგი, სამწუხაროა, რომ განათლებულმა ქართველმა არ იცის ქართული ენა. რა გამოდის აქედან? მარტო ის, რომ ცარიელ ტელეგრამების ბეჭდვა საკმარისი არ არის; რომ გაუგებარ სიტყვების მაგივრად ხმარებულ უნდა იქმნენ გასაგები სიტყვები, სხვა ხომ არაფერი? ან იქიდან რა გამოდის, ვითომც „ვისაც იჩი ესმის რუსულისა, ეტანება

რუსულ გაზეთებს“? არაფერი, გარდა იმისა კიდევ, რომ კარგი და ხეირიანი გაზეთი არ ყოფილა ქართულს ენაზედ. თუ ასეა, მაშ რაღად ამბობს უფ. თუმანიშვილი, რომ ჩვენ საზოგადოებაში ცნობისმოყვარეობა ისე არ არის გავრცელებულიო, რომ შეიძლება ბოლქვო იმგვარისავე გაზეთის გამოცემა, როგორც სხვაგან, და სხვ? რატომ არ შეიძლება? ან თუ ცნობისმოყვარეობა არ არის გავრცელებული, მაშ რაღად ამბობს, რომ „ქართველ მკითხველს არაფერი არ გაეგება პოლიტიკურ მდგომარეობისა, მაგრამ გაზეთს კი იღებს, რომ შეიტყოს ეს“? უცხო გაზეთი რაც უნდა მშვენიერი რამ იყოს, რა სამსახურს გაგვიწევს საკუთრივ ჩვენ? ქართველ საზოგადოებას და ხალხს? თუ ვისაც მარტო „ინჩი ესმის“ და მაინც „ეჭიანება“ – ეს იმისთანა გარემოებაა, რომელიც ღირსია უფრო მომეტებული დაფიქრებისა, ვიდრე უფ. თუმანიშვილს უნებებია.

სხვა ადგილას ამბობს კიდევ უფ. თუმანიშვილი:

...მაინც უნდა გამოვტყდეთ, რომ ჩვენ ჟურნალ-გაზეთებს არა აქვთ ზნეობითი გავლენა თავიანთ მკითხველზე, რადგანაც ბევრს არა სწამს იმათგან გამოცხადებულ ამბების სიმართლე. ჩვენი ჟურნალ-გაზეთები არ არიან ისე შეძლებულნი, რომ იყოლიონ საკუთარი კორრესპონდენტები და რეპორტიორები და ვერცერთი ჩვენი რედაქტორთაგანი ვერ იტყვის, მართალს ამბობს იმის „მოამბე“, თუ არა. ხშირად ჩვენ გაზეთებში გაიმართება ხოლმე ბაასი რამდენიმე კორრესპონდენტის შუა.... და სხვ.

ამ ნაწყვეტშიაც იქით-აქეთ გადაცემ-გადმოცემა რადაც უნდა ღირს. ვერ ავტორი ამბობს, რომ ქართულ გაზეთებს შეძლება არა აქვთო საკუთარი კორრესპონდენტები იყოლიონო; მერე ამბობს – ქართულ გაზეთების კორრესპონდენტები ტყუილებს ლაპარაკობენო, და ერთი-ერთმანეთს ამტყუნებენო. მაშასადამე გაზეთებს ჰყოლიათ საკუთარი კორრესპონდენტები. მაგრამ, იქმნება უფ. თუმანიშვილს ჰგონია, რომ მართალის თქმა მარტო ნაქირავ კორრესპონდენტს შეუძლიან, და მუქთა მწერალს კი აბა რა მოეკითხებაო?

ყველა ზემოსწავნილი კიდევ არაფერი. უფ. თუმანიშვილის წერილში გაფანტულია კიდევ მრავალი მარგალიტი, რომელიც,

ჩემის აზრით, უფრო ღირსშესანიშნავია. მე ვამბობ მასზედ, რაც მის წერილში „ივერიაზედ“ არის ნათქვამი. ამას ღიღის სიამოვნებით ვიხსენიებ არა იმიტომ, რომ პირდაპირ ჩვენკენ არის მოქცეული. არა. „ალმანახში“ ვპოვე თითქმის მთლად ის ლათაობა ძველ და ახალზედ, რომელზედაც მოგასხენებდით წარსულ ნომერში. გარდა ამისა, „ივერია“ და მისი რედაქტორი აძლევს შემთხვევას უფ. თუმანიშვილს, გამოთქვას თვისი გადაწყვეტილი აზრი და უკანასკნელი დასკვნა ქართულ ჟურნალ-გაზეთობაზედ. ქვაკუთხედი მისი წერილისაც იმაშია, რაც „ივერიის“ თაობაზედ არის გამოთქმული. ახალი, ძველი, დამჭკნარი, ყველა ეს ბლომად არის უფ. თუმანიშვილის წერილში, სადაც ნაჩვენებია, თუ რა აზრი არის ძველი და რა – ახალი. მაშასადამე, როგორ არ უნდა მიხაროდეს, რაკი ამისთანა მრავალფეროვანი მასალა პირდაპირ ხელში მიცვივა, და როგორ არ ვუძღვნა მადლობა ნაჩვენებ მაგალითებისათვის?.. „ივერია“ დაუმოყვრდაო უნიჭო მწერლებს, რომელნიც ლეჭვენო საანბანო ჭეშმარიტებაებს, (ამდენ ბაები-ს პასუხი „ალმანახს“ მოჰკითხეთ) მაგ „თავის მოძმე გიყვარდესო“ ან „ჭკუასა შენსასა ნუ მისცემ დაძინებასაო“ და სხვ. უფ თუმანიშვილი თავის აზრს ძველსა და ახალზედ გამოსთქვამს აგრეთვე „ღიმიტრი თავდადებულის“ თაობაზედ; „აქ ძლიერი გმირობა არაფერია, მაგრამ რაც უნდა ღიღი გმირობა იყოს, ის არაფერს ახალს არ გვეუბნება. ყოველ ანბანში სწერია: გიყვარდეს მოძმე შენიო ვითა თავი შენიო; თავგანწირვით გიყვარდეს სამშობლო. ან კიდევ აკ. წერეთლის შარშანდელ ლექსების თაობაზედ: „ყველამ კარგად იცოდა უფ. აკ. წერეთლის ლექსების გამოსვლამდისაც, რომ ძველი ქართველები განთქმულნი იყვნენ თავიანთ მამაცობით და მეტად მოსაწონი რამ არის თავისუფლების, ძმობის და სიყვარულის სურვილი ქვეყნისათვის, როგორადაც სწავლის და ხელოვნების, სიბრძნის და მეცნიერების ხმარება საზოგადო სიკეთისათვის“. კარგი და პატიოსანი, და ძალიანაც დაუშავებიათ, რომ ამისთანა დაობებულ ჭეშმარიტებაების ქადაგებას მოჰყოლიან. მაგრამ საკვირველი ის არის, რომ თვითონ უფ. თუმანიშვილსაც ესევე უნდა:

ძველებური განკიცხვა, ძველებური ქადაგობა ასე გკონია მოგ-

ონილნი არიან დღევანდელ დღისთვის, ასე გვონია, წინ ფეხი არ გადაგვედვას ამ უკანასკნელ თხუთმეტიოდ წელს და ვტრიალებდეთ ერთ ადგილას. ის ბატონები, რომელთა წინააღმდეგ ქადაგობა და აძლენი ხანი უკეთესი ქართული მწერლობა, დღეს გამოდიან ახალ სარჩულიან კაბებში და ამაყად დამღერიან: „არ ვსდევ ქამთა ცვლას, მე იგივე ვარ მარად და მარად“. ჩვენდა სამწუხაროთ, იგივეს ვერ დამღერის ქართული ჟურნალ-გაზეთობა,

გარდა „ივერიის“ საპოლიტიკო წერილებისა, რომელნიც იმავეს დამღერიანო და კარგადაც შერებიანო.

რას დამღეროდა უწინდელი ჟურნალ-გაზეთობა – უფ. თუმანიშვილმა გვითხრა კიდევ: გლეხების განთავისუფლებას, ხალხის სიყვარულს, მის განათლებას; ან კიდევ – ესე და ესე უნდა მოიუქცე, რომ არ გაცივდეო (ესე იგი, ხორცსა შენსასა ნუ მისცემ წახდენასაო), ესა და ეს წიგნი უნდა წაიკითხო, რომ არ გაბრიყვდეო (ესე იგი, ჭკუასა შენსასა ნუ მისცემ დაძინებასაო)... უფ. თუმანიშვილი ეძღურის ეხლანდელ ჟურნალ-გაზეთებს, რატომ ამას არ დამღერითო!.. მაგრამ იქნება ამ სიტყვებით – „იგივეს ვერ დამღერის ქართული ჟურნალ-გაზეთობა“ – უფ. თუმანიშვილს ის უნდა ეთქვა, ვითომ ჟურნალ-გაზეთობამ იგივე უნდა ამოიძახოსო, რასაც საზოგადოება ჩასძახებსო? თუ ასეა, მაშ უფ. თუმანიშვილმა რაღად უსამღურავა ჩვენ ჟურნალ-გაზეთებს – საზოგადოების ამჟღინი რათა ხართო?..

უფ თუმანიშვილის წერილში სხვაფრივადაც არის ახსნილი ძველი და დამჭკნარი:

ამას იქით „ივერია“ გამოვა თვეში ერთხელ და თუ სულმთლად არ შეიცვალა თავის ხასიათი, უფრო დაუფარდება „დროებას“, რადგან თვეში ერთხელ გამომსვლელ ჟურნალს შეუძლიან უძღვნას თავის ფურცლები მხოლოდ ძველ, დამჭკნარ ამბებს, მაგ. ისტორიულ, ეტნოგრაფიულ და საზოგადო სამეცნიერო სტატიებს.

ბარაქალა! ამგვარ დარბაისლურ დარიგებისათვის სრულს მადლობას მოვასხსენებთ. „ჭკვიანი კაცის ნაწარმოები“ ყოველთვის სარგებლობის მომტანია. ამას იქით ვეცდებით, რომ ისტორიისა, ეტნოგრაფიისა და საზოგადოდ მეცნიერებისა არა შეგვეპაროს

რა; თუ აქამდისინ ამისთანა დაობებული რამ შეგვპარვია, ძალიან დაგვიშავებია და ვნანობთ კიდევ.

მაშ, აბა როგორ უნდა მოვიქცეთ, რომ „დროებას“ არ დაუვარდეთ, ესე იგი ახალი რაღა არის უფ. თუმანიშვილის აზრით? „დიმიტრი თავდადებულის“ თაობაზედ უფ. თუმანიშვილი ამბობს:

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ასჯერ და ათასჯერ მეტი ზედმოქმედება ექნებოდა ჩვენზე ილ. ჭავჭავაძის პომას, თუ იმაში გამოყვანილი იქნებოდა ახალგაზდა, ცხოვრებისაგან ჯერ-არგაფუჭებულ კაცის ტანჯვა ერთ ლუკმა პურის შოვნაზე. აბა ერთი დეენატა სწორედ ილ. ჭავჭავაძეს, რამდენჯერ ეცემა ხოლმე ტალახში ჩვენებური კაცი, რამდენჯერ ივიწყებს ის თავის წმინდა გრძნობას, რომ შიმშილით არ მოკვდეს, რამდენჯერ სილასა სჭამს, რომ უბრალოთ არ დაიღუპოს... და სხვ. და სხვ.

ილია ჭავჭავაძე, იმედი მაქვს, მადლობას განუცხადებს უფ. თუმანიშვილს ამისთანა სასარგებლო რჩევისათვის. „ჭკვიანი კაცის ნაწარმოები“, რასაკვირველია, პოეტსაც მოუტანს სარგებლობას... მე კი ვკითხულობ უფ. თუმანიშვილის ზემოხსენებულ სიტყვებს და, მისდა სასიამოვნოდ, დაემდერი ერთსა და იმავეს: გზა და კვალი იმდენად დაგვბნევია, რომ არც არა სხვისა გაგვიგია, არც არა ჩვენი; სტუმრად წვეულმა, გარეშე გამოზდილმა მწერლობამ ასე იცის... რაღაც გაუგონია, საღღაც გაუგონია „ალმანახის“ შემდგენელს და ყველგან ატყვერენს, საცა რიგია და საცა არა. „ჩინოვნიკების“ ავკაცობის აღწერა დიანხ, კარგი რამ არის (თუმცა ახალი აქაც არა არის რა), მაგრამ ჩვენის, ქართულის ლიტერატურის წარმატება აქ რა შუაში უნდა იყოს? ყოველდღე რომ ათასობით იბეჭდებოდეს წერილი „ჩინოვნიკების“ ავკაცობაზედ (როგორც, მაგალითად, „არტაანიდამ წერილი“) და ამის მეტი რომ არა იყოს რა, მაინც გაბედვით ვიტყვი: ჩვენ, ქართველ ხალხს, არა გვაქვს ლიტერატურა. ამგვარი წერილები ფრიად, აუცილებლივ საჭირონი არიან ყოველ პატიოსან მწერლობაში, მაგრამ, ვიმეორებ: ჩვენის, ქართულის ლიტერატურის სიმდიდრე და აღყვავება აქ რა შუაშია? ამაზედ დაფიქრება „ჭკვიანი კაცისათვისაც“ მარგებელია...

ბოლოს უფ. თუმანიშვილი ამბობს:

მაგრამ ამასაც ნუ დაივიწყებთ, რომ ვერცერთ ისეთ ახალ ჭეშმარიტებას ვერ იტყვით თქვენ დღეში, რომელიც კი როდისმე არ თქმულიყო, და ყოველი ჭეშმარიტება ითვლება ახალ ჭეშმარიტებათ მხოლოდ მაშინ, როცა იმას ჯერ ვერ შერიგებია ხალხი.

ეს რაღა არის? მაშ რიდასთვის გასწვია ამოდენა ჯაფა უფ. თუმანიშვილმა? მაშ რაღად ისარჯებოდა ახალის ძებნისათვის თუკი ახალის თქმა შეუძლებელია? მაგრამ ექნება უფ. თუმანიშვილი დაეძებს იმას, რასაც „ჯერ ვერ შერიგებია ხალხი“. თუ ასეა, მაშ რატომ არ ამბობს, სახელდობრ რას ვერ შერიგებია ხალხი? უკაცრავად; ამბობს. მისი წერილის შინაარსი გამოითქმის შემდეგ:

1) უწინ მწერლობა ქადაგობდა და დამღეროდა გლეხების განთავისუფლებას, მამულის და ხალხისმოყვარეობას, „ხორცსა შენსასა ნუ მისცემ წახდენას“, „ჭკუასა შენსასა ნუ მისცემ დაძინებას“, ესე იგი, ახალს ჭეშმარიტებას, რომელსაც ხალხი „ჯერ ვერ შერიგებოდა“.

2) „ჩვენდა სამწუხაროდ, იგივეს (თუ იმავეს) ვერ დამღერის ქართული ჟურნალ-გაზეთობა“ და დამღერის ძველს ჭეშმარიტებას, რომელსაც ხალხი შერიგებია, ესე იგი მამულისმოყვარეობას, ხალხისმოყვარეობას, „ჭკუასა შენსასა ნუ მისცემ დაძინებას“,

მამასადამე

3) ჟურნალ-გაზეთობა უნდა დამღერდეს იმას, რასაც ხალხი შერიგებია, ესე იგი ძველს.

ბოლოს ორიოდ სიტყვა კიდევ უნდა მოგახსენოთ წლევეანდელ „ალმანახის“ თაობაზედ. თითქმის ნახევარი წიგნისა უჭირავს „მშენიერ ელენეს“. ეს რიდას დამაშვენებელია? ვიღაცა ერისთავს რომ საქმე გამოლეოდეს და რაც მოხვდება, თარგმნიდეს თვის გულის გასართობად, მზრუნველი ქართულის ლიტერატურისა აქ რა შუაში უნდა იყოს? ნუთუ ჩვენი ლიტერატურა ისე გამდიდრებულა და აყვავებულა, რომ ოფენბახილა დაჰკლებია? რა სალიტერატუროა ოფენბახის ოპერეტკები? რა კავშირია ლიტერატურასა და ოფენბახის შორის? მაგრამ იქნება სცენისათვის გადათარგმნეთ? თუ ასეა, მომილოცავს თეატრის საქმის ასე

კარგად გაგება. ასპარეზი სცენის მოღვაწეობისა ჩვენში, მაღლობა ღმერთს, სუფთაა, ვით ხელისგული და ყოველის მხრიდამ ღიაა ავისათვისაც და კარვისათვისაც. მაღლობა ღმერთს-მეთქი, რადგანაც კარვის გაღვინას ავი არ ეწინააღმდეგება. ოფენბახის გადმოღებას კი რომ მიჰყოთ ხელი, — რაღა, აშენდა ქართული სცენა! გაიგონებდით: სიცოცხლე ბრძოლა არისო. ბრძოლისათვის საჭიროა მტერი; მაგრამ რაკი ამ საქმეში მტერი არ დაგინახავთ — ვიფიქრიათ: თუ არ არის, ჩვენვე უნდა გავაჩინოთო. იქნება ამისათვის მიჰყოლინართ ოფენბახს? კარგი დროს გასატარებელი თამაშობა კი მოგიგონიათ, ღვთის წინაშე!

[1879 წლის 7 თებერვალი]

ფიქრი და შენიშვნა

გლოვა ბესარიონ ღოღობერიძის გარდაცვალებაზე. ზოგიერთი რამ ჩემის ნახსოვიდამ. ბესარიონის უმთავრესი ღვაწლი ჩემის აზრით, სულიერი საზრდო ღოღობერიძისა და ერთი ხანა რუსეთის ისტორიისა და ლიტერატურისა.

საზოგადო გლოვა და მწუხარება, რომელიც მოჰყვა ბესარიონ ღოღობერიძის სიკვდილს, არის, ჩემის აზრით, მოვლენა ყოველად ღირსშესანიშნავი, ღირსი ყურადღებისა და დაკვირვებისა; ამ მოვლენის წინაშე ზურგის მიბრუნება შეუძლებელია მომდინარე ცხოვრების მემატანიესათვის. ამიტომაც ორიოდე სიტყვა უნდა მომისმინოთ ამ გარემოების შესახებ. ბევრჯერ გვინახავს მე და შენ, მკითხველო, დიდის ამბით მისვენება მიცვალებულისა; გვინახავს მრავალი გამცილებელი და დიდი გროვა საფლავზედ. ვინ ყოფილა, ამ შემთხვევაში, მიცვალებული? თითქმის ყოველთვის ეს ყოფილა დიდი-კაცი, მაღალის თანამდებობის მქონე, უმაღლესთაგანი მოხელე. მის საფლავზედ მოგროვილან, ნაცნობთა გარდა, უთვალავი მოხელენი, პირდაპირი ხელქვეითნი ან ასე თუ ისე დამოკიდებულნი განსვენებულის თანამდებობაზედ. ხელქვეითობა

მაღალ თანამდებობაში ხომ შორსა სწვდება! ან მიცვალებული ყოფილა კიდეც დიდის სიმდიდრის პატრონი, რომლის მწყობრობელთა რიცხვი, ამის გამო, ყოფილა უთვალავი. იქნება ესა თუ ის წარჩინებული მიცვალებული მართლა ყოვლად პატიოსანი და პატივისცემი კაცი იყო? იქნება, მაგრამ რა წილი ჰქონია იმ გლოვაში ერთის მხრით გულითადას, ალაღს მწუხარებას, და მეორე მხრით – პირმოთნობას, ვალდებულობას და სხვ., დმერთ-მა უწყის. ამიტომაც ამგვარ გლოვისათვის არავითარი საზოგადო მნიშვნელობა არ მიგვინიჭებია, მაგრამ, როდესაც მიცვალებული არ ყოფილა არც სიმდიდრის პატრონი, არც მაღალის თანამდებობის კაცი, და როდესაც მას დაჰსტირის ათასი, ათი ათასი ხალხი, ქვეყანა დიდდამ პატარამდე, მაშინ გულწრფელობა ამა გლოვისა უეჭველია; მაშინ დარწმუნებულნი უნდა ვიყოთ, რომ თვითონ კაცი ყოფილა დიდებული, თვითონ მის შინაგან თვისებაში უნდა მოიძებნებოდეს მიზეზი მისდამი ქვეყნის პატივისცემისა. იმისას კი აღარას მოგახსენებთ, რომ ამგვარი გლოვა პატივისა სდებს თვითონ ხალხს, საზოგადოებას, ქვეყანას, რომელიც ასე ესალმება თავის საყვარელს შვილს; ცხადად გვიჩვენებს, თუ რა ღირსეულად იცის დაფასება საზოგადოებამ ნამდვილის ღვაწლისა, მის სარგებლობისადმი მიმართულისა. ამ მხრით ბესარიონ ღოღობერიძის დასაფლავება ყოვლად ღირსშესანიშნავია. იყო კაცი უბრალო, ჩუმი მშრომელი თავის ხალხისა და ქვეყნისათვის; იგი არცა ყვიროდა, არც ტრაბახობდა ქუჩა-ქუჩა დიდი რამა ვარო. მაგრამ, დახე ხალხის ბუნებითს გონიერებას (მას ხომ დიდი ხანია გაუნათლებლობისა და ბრიყვობის სახელი აქვს დავარდნილი!); დახე მის განვითარებულ გრძნობიერობას, მის უხილავ გულის ძვერას სიმართლისადმი! იგი რას დასდევს – მიცვალებული დიდი-კაცი იყო თუ პატარა, გული ვარსკვლავებით ჰქონდა მოჭედული თუ არა; ჯიბესავსე იყო, თუ ჯიბეცარიელი? საკუთარი ჭკუა უჭრის, საკუთარი გული უთქვამს, თუ სად არის ნამდვილი ღირსება და დიდება, და ჰსცემს კიდეც თავგანს... აბა, მაშ, ვნახოთ რა იყო ბესარიონი და რით დაიმკვიდრა სახელი და დიდება.

ეხლაც ნათლად მახსოვს ის დრო, როდესაც ბესარიონი ჩამ-

ოვიდა ტფილისის გიმნაზიის მასწავლებლათ. რა იყო მაშინ ტფილისის გიმნაზია, – ამაზედ არა მგონია, რომ გრძელი ლაპარაკი იყოს საჭირო, მით უფრო, რომ აწინდელი მდგომარეობა გიმნაზიისა ბევრად არ დაჰშორებია იმ დროისას: კაზარმასაებრ მოწყობილი სასწავლებელი, წამდაუწუმი ფორმით ბრძანებლობა; ერთის მხრით, იმგვარივე თვალახვეული ფორმით მორჩილობა, მეორეს მხრით, თავიდან ბოლომდე თვალგაუწვდენელი სიბნელე, რომელშიაც არავითარ ცოცხალ სხივს არ ჰქონდა ადგილი. რას მიქეიოდა ზნეობითი განვითარება, ჭკუა-გონების გახსნილობა? თავი და თავი საქმე იყო ეგ ზამენია, განაკვეთისა და სახელმძღვანელოს ჩაბულებლება. ამგვარი სიმშრალე ფორმით სწავლისა, რასაკვირველია, ვერაფერი თამასუქი იყო ნიჭის განვითარებისათვის, ვისაც ნიჭი დაბადებიდგანვე ჰქონია შეყოლილი, ან საზოგადოდ ჭკუა-გონების განცხოველებისათვის. მე ვიცი დაფიქრდებოდა ვინმე, რომ მშრალი გაზეპირება განაკვეთებისა ბავშვისათვის საკმარისი არ არის; რომ მისი ნორჩი ბუნება მოითხოვს უფრო ცოცხალს, უფრო ყუათს საზრდოს სულიერს. მე ვიცი დაფიქრდებოდა ვინმე, რომ თესლი, დანერგილი ბავშვის გულში, გაჰყვება კაცს ბოლომდე..... ვინ იცის რამდენი გონება და ნიჭი დახშულა ამ გარემოებაში და რამდენი ცოცხალი და ჩვილი გული დაჩაგრულა. ნეტავი იმ ყმაწვილს, ვისაც იმოდენა ბუნებითი ძალა ჰქონია, რომ თავისთავად გახსნია გონება, თავისთავად აუხილავს თვალი და აჰსუყვებია გული გარემოცულ სიმშრალით. მაგრამ მეორის მხრით, ვაი ამავე ყმაწვილს თუ თვის მასწავლებელთა შორის არ ჰყოლია არავინ, რომელსაც შეჰსძლებოდეს მისთვის ხელის მიწვდენა, გზის მომართვა, რომელსაც ჰსცოდნოდეს პასუხის მიცემა მაზედ, რაც აღძრულია ბავშვის გულში და აღძვრა, გაღვიძება მისი, რაც მიძინებულია. ყმაწვილი ელის ამისთანა კაცს ვით ანგელოზს, ცივად მოვლენილს. ამგვარი ანგელოზი ტფილისის გიმნაზიისათვის იყო ბესარიონ ლოლობერიძე. იგი მოეკვინა გიმნაზიას ვით მღელვარე ზოლი მუქ ადგილზედ, ვით მნათობი გარემოცულ წყვილადში. არაერთ ყმაწვილს დაუწყო გულმა თრთოლა, არაერთმა აცქეპილა ყური, არაერთს უფიქრნია: „აი, ეს მეტყვისო ახალსა და ცოცხალ სიტყვას, ამას გაღუშლიო

ჩემს გულის პასუხს, მას შევჩვილებო ჩემს მწუხარებასა და ვკითხავ, რაც არ ვიცის; ეს სხვებსაებრ არც გამოიჯავრდება, არც დამცინებსო, გზას დამანახვებს ცხოვრებისასაო, მეტყვის რათა ვარ, რისთვისა ვარ, ვის უნდივარო“. მართლა და არც გაუცრუებია ბესარიონს ყმაწვილობის მოლოდინი. „ჩემი სახლი ყველასთვის ღია არისო, —უბნებოდა ბესარიონი, — რაცა გნებავთ, როდესაც გნებავთ მზათა ვარო“. კარგად იგრძნეს ყმაწვილებმა ბასარიონის გულწრფელობა და უშიშრად მიაწოდეს ხელი, უშიშრად გადუშალეს მას თვისი გული. ამგვარად ჩამოვარდა მჭიდრო მეგობრობა ბესარიონისა და მის მოწაფეთა შორის. ეს მეგობრობა სწავლის საქმეს, რასაკვირველია, არამც თუ არ ახდენდა, არამედ უფრო აცხოველებდა, ანაყოფიერებდა. ვინც ყოფილა ბესარიონის მოწაფე და ახლო მდგარა მასთან, არასდროს არ დაავიწყდება ის ტკბილი ბაასი, რომელიც არაერთხელ გაუწევია ბესარიონს; არ დაავიწყდება ის გულის ძგერა, რომლითაც მიდიოდა იგი ბესარიონთან და ის აღტაცება, რომლითაც ისმენდა იგი ყოველს მის სიტყვას. ბესარიონმა იცოდა ლაპარაკი გულახდილად, ისე, რომ არც დააფთხოს ჩველი ბუნება ყმაწვილისა და თან მტკიცე განვითარება მისცეს მის ჭკუა-გონებას. ნეტავი იმას, ვინც იცის ამგვარი ლაპარაკი! ამისათვის საჭიროა ნათელი და მტკიცე რწმენა, საჭიროა გული აღსავსე განუსაზღვრელის სიყვარულით კაცობრიობისადმი, საჭიროა მჭიდრო კავშირი, ერთობა ჭკუის მოთხოვნილობისა და გულის მიდრეკილების შორის... თქვას კაცმა სიტყვა და მსმენელს შრფოლა მოჰგვაროს, თქვას სიტყვა და შეაძულოს ამა მსმენელს რაც უყვარდა ან შეაყვაროს, რაცა სძულდა — ეს ისეთი თვისებაა, რომელსაც ჯერჯერობით, ყველა არ ჰღირსებია. ნეტავი იმას, ვისაც ჰქონია ეს ბედნიერი თვისება! ნეტავი იმასაც, ვისაც თავის სიცოცხლეში ერთხელაც არის ჰსმენია იმისთანა სიტყვა, რომელიც ზემოდ მოვისხსენიეთ! ბესარიონმა იცოდა ამგვარი მოძღვრობა და ლაპარაკი, და მისის სულის სიმაღლეც ამაშია. მის სახელის სადიდებლად ის ღვაწლიც საკმარისია, რომელიც ამ მხრით დასდვა ბესარიონმა. პირად ლაპარაკი და მით ზედმოქმედება და გაგვინა დიდი რამ არის; იგი ძალაა არა ნაკლები სხვაზედ; იგი არის არა მარტო

სიტყვა, არამედ საქმე სხვა საქმეთა შორის. ამისათვისაც არანაკლებად საჭიროა, როგორც ზემოდ მოგახსენეთ, ცოდნა ვრცელი და მრავალგვაროვანი, რწმენა მტკიცე და საფუძვლიანი, სიყვარული თუ ძულვა მკვიდრი და განვითარებული.

საიდან გამოჰყვა ბესარიონს მისი რწმენა, მისი სულიერი განვითარება – ამის გამოსაკვლევებლად საჭიროა მოვიხსენიოთ ის დრო და ხანი რუსეთის ლიტერატურისა, რომელსაც დაესწრა ბესარიონ ღოღობერიძის სტუდენტობა. ეს იყო დრო, რომელიც მოჰყვა ყირიმის ომიანობას, უკეთესი დრო რუსის საზოგადოების და ლიტერატურის განვითარებისათვის; ეს იყო დრო, როდესაც ლიტერატურაში უპირატესობა ეპყრა «Современник»-ს და მის უკეთესთა მოღვაწეთ; როდესაც საზოგადოება, თითქო ძილგაკრთობილი, აღტაცებით მიეცა იმედს – უკეთესის, კეთილცხოვრებისას; ეს იყო დრო ბატონ-ყმობის მოსპობისა და სხვა მრავალგვარ ცვლილებათა დასაბამისა. საზოგადოება თითქო პირს უბრუნებდა და სამუდამოდ ესალმებოდა თავის წარსულს, უწყალოდ ჰკიცხავდა აწმყოს და პირმდიმარე შეჰსცქეროდა მომავალს. მიყრუებულმა ცხოვრებამ გაიხმაურა, ყოველს კუთხეს დაეტყო მოძრაობა. მეცნიერება, ლიტერატურა, უკეთესი ნაწილი საზოგადოებისა, – ყველანი ერთად, ძმურად, ხელიხელსაყარიონი ადგნენ ერთსა და იმავე გზას წარმატებისას. ლიტერატურა გრძნობდა თავის მაღალს დანიშნულებას და მისი უკეთესი მოღვაწენი ღირსეულად ასრულებდნენ ამ უმაღლესს თანამდებობას. საზოგადოება, თავისის მხრით, დიდის პატივით ისმენდა ლიტერატურის ნაუწყს და ბანს აძლევდა მის გულის ძგერას. ამ მსმენელთა შორის უპირველესნი იყვნენ, რასაკვირველია, მოსწავლლე ყმაწვილები – ნუგეში და იმედი საზოგადოებისა მის მიდრეკილებაში უკეთეს მომავლისადმი...

როგორც ზემოდ მოგახსენეთ, ეს იყო დრო, როდესაც საზოგადოება სამუდამოდ ესალმებოდა წარსულს, მაგრამ ჯერ კი არ ჰქონდა გამონახული ფორმები მომავალის ცხოვრებისა. ამისათვის საჭირო იყო სწავლა, ღრმა ფიქრი და დაკვირვება; საჭირო იყო ვრცელი, თეორიული შრომა და მოღვაწეობა. ამ მოღვაწეობას ადგა იმ დროის ლიტერატურა და ამ მოღვაწეობაზედაც გამოზდილა

იმ დროის ყმაწვილკაცობა, რომელსაც ეკუთვნოდა ბესარიონ
ლოლობერიძეც...

[1879 წლის 7 მარტი]

ფიქრი და შენიშვნა

უფ. ნიკოლაძის „საახალწლო“. ნიკოლაძის ავტობიოგრაფია.
ძველი ჭეშმარიტება ხელახლად დაღეჭილი ნიკოლაძის მიერ.
ნიკოლაძის მეცნიერება. როგორ ესმის ნიკოლაძეს მამულის სიყ-
ვარული და მამულის სამსახური.

ორის წლის წინად უფ. ნიკოლაძე შეუდგა თვისის ნაწერების
ცალკე გამოცემას. ამ ორმა, ერთისა და იმავე დროის, გარემოებამ
მაფიქრებინა: ალბათ უფ. ნიკოლაძე ესაღმება-მეთქი ქართულს
მწერლობას და სიცოცხლის დროსვე ძეგლს ადგავს საშვილიშ-
ვილო სახსოვრად. უკაცრავად, შევძცდარვარ: უფ. ნიკოლაძემ
ხელახლად გამოყო თავი ქართულს მწელობაში და გამოსცა
წიგნი, სახელით „საახალწლო“, ბარაქალა მის სიმტკიცეს, მის
გულმაგრობას!

მასსოვს – უფ. ნიკოლაძემ საჯაროდ აღიარა თავის გაზეთში
(„ობზორში“) თვისი გულნაკლულობა: ამდენი და ამდენი ათასი
ფურცელი დამიწერია ჩემ სიცოცხლეშიო და აბა თუ ერთი
იოტის ოდენა კრიტიკა მაინც მელირსოსო. მართლა და, ვის არ
აუცრუვებს გულს ამისთანა უმადური შრომა? ამიტომაც, ბარაქა-
ლა მის გულმაგრობას-მეთქი! კაცის ნამდვილი გმირობაც იმაშია,
რომ არასოდეს იმედი არ დაკარგოს. ინუგემოს უფ. ნიკოლაძემ:
მის „საახალწლოს“ ვაღირსებთ ცოტაოდენ კრიტიკას. მოგეს-
სენებათ, სჯობს გვიან იყოს, ვიდრე არასდროსაო. იქნება ამ
კრიტიკამ იმდენად ანუგემოს უფ. ნიკოლაძე, რომ სრულიად
აპატიოს ქართულს მწერლობას მისი უმადურობა და უკადრისი
საქციელი.

უფ. ნიკოლაძეს „საახალწლოში“ სამი წერილია: „სიზმარი“,
პატარა მოთხრობა, ნათარგმნი ფრანციულიდან; „სტუდენტობის

პირველი დრო“ და „მამულის სიყვარული და მსახურება“. ყველა ამ წერილთა შორის ჩემი ყურადღება მიქცეული იქნება განსაკუთრებით უკანასკნელ წერილზედ. ჩემის აზრით მთელის წიგნის ქვაკუთხედიც ეს არის, და იქნება თვით „საახალწლოც“ მარტო ამ წერილმა გამოაცემინა უფ. ნიკოლაძეს. მაგრამ, ვიდრე მივყვები ამ წერილის განხილვას, დანარჩენ ნაწერებზედაც ორი-ოდე სიტყვა მაინც უნდა მოგახსენოთ, სახელდობრ, „სტუდენტობის პირველ დროზედ“. (ფრანციცულ პაწკია მოთხრობაზედ, რასაკვირველია, ლაპარაკიც არ ღირს).

ეს გახლავსთ ავტობიოგრაფიული წერილი, სადაც უფ. ნიკოლაძეს აუწერია თავისი თავი სტუდენტობის დროს (უკეთ ვთქვათ – იმ დროს, როდესაც ნიკოლაძე უნივერსიტეტში შესასვლელად ემზადებოდა, რადგანაც თვით მის სტუდენტობაზედ თითქმის არა არის-რა ნათქვამი), აუწერია თავისი ნაცნობები და ამხანაგები. ჯერ უნდა მოგახსენოთ, რომ ამ წერილს, რომელიც უფ. ნიკოლაძეს თითქმის ორას გვერდზედ გაუჭრელებია, არავითარი საზოგადო ინტერესი და მნიშვნელობა არა აქვს. როცა იცოდეთ, რა არ ჩაუწერია უფ. ნიკოლაძეს ამ წერილში! დახე, რარიგად ჰყვარებია ნიკოლაძეს თავისი თავი: მოჰყვლია და დაწვრილებით უამბობს მკითხველს თუ გიმნაზიიდან გამოსული, როგორ და რა გზით წასულა ქუთაისიდან პეტერბურღში, ვისთან ჩამომხტარა, რამდენჯერ ჩამოუწკარუნებია ზარი, როგორ გაუღია მისთვის კარი ვიღაცა მანინჯ გოგოს (ეს „პეტერბურღის ქალის სურათი“ გახლავსო), როგორ უღაპარაკნია, ვისთანაც ჩამომხტარა, რა ქუჩაზე დაუჭერია ოთახი, სად უჭამია სადილი, სად უვლია ნავით და რა გასაოცარი სიმამაცე გამოუჩენია ამასობაში და სხვ.; როგორი ყმაწვილები ყოფილან ვიღაც ღრეჭია, ფილიპე, დათა, მიხა, ეგნატე და სხვ.

უფ. ნიკოლაძე მარტო თავის-თავისათვის და თვის ნაცნობებისათვის თუ სწერს, თორემ სხვას ვის უნდა ყველა ეს გაჭრელებული, ყოვლად უაზრო და უმნიშვნელო ყბელობა, როგორც მაგალითებრ შემდეგი:

„მასპინძელმა (ე. ი. ღრეჭიამ) დედ-მამის მშვიდობა და სიმართლე გამოგკითხა, ნათესავების ამბავი, გზის გარემოება, ქუთაისში

კურსი წლეულს რამდენმა კაცმა შეასრულაო, იმათგან რემდენი აბირებს რუსეთში წამოსვლასაო და სხვ. და სხვ. ყველა ამ კითხვებს შესაფერი პასუხი მივეციო.

– ეს ყველა კარგო, გკითხა მაშინ ღრეჭიამ, მაგრამ თქვენი ხარჯით ხართ მოსული, თუ სტიპენდიის იმედითო?

მე უპასუხე, რომ ჩემი ხარჯით ვაპირებ თავის დარჩენას. ჩემმა მგზავრებმა კი უთხრეს, რომ ჯერ-ჯერობით ჩვენი ხარჯით უნდა ვიცხოვროთ, და მერე იმედი გვაქვს სტიპენდია გვიშველისო.

– რამდენი ფული მოგივა მამაშენისაგანო, მკითხა მაშინ მასპინძელმა.

– მამამ სამ-სამი თუმანი დამპირდა თვეში, ბატონო.

– ცოტაა, ცოტა, მაგრამ რა გაეწყობა! ტანისამოსის ფულს ხომ გამოგიგზავნის ამას გარდა?

– რა მოგახსენო, არაფერი უთქვამს: მითხრა თვეში სამ თუმანს გამოგიგზავნიო.

– უნდა მიწერო (ე. ი. მისწერო), რომ არ გეყოფა. ტანისამოსის ფული ცალკე უნდა იყოს.

– მივწერ, ბატონო.

– თქვენ რამდენი მოგივა(თ) შინილამ? მიუბრუნდა მასპინძელი ქერაძეს.

– ხან თუმანი, ხან თუთხმეტი მანეთი, ბატონო. მამაჩემი ღარიბი კაცია, მეტი არც კი შეუძლია, უპასუხა ქერაძემ, და თავისებურათ გაწითლდა, თავილამ ფეხებამდე.

– არ გეყოფა, სრულებით არ გეყოფა, მწუხარე თავის ქნევით გამოთქვა ღრეჭიამ და მიუბრუნდა თავძარას:

– თქვენა?

– მე ყოველ თვეში...“ და სხვ. და სხვ. („საახალწლო“, გვ. 49-52).

ვის რად უნდა-მეთქი ყველა ეს ცუდ-უბრალო ლათაიობა, რომლითაც თავილამ ბოლომდე მოკირწყლოვლია უფ. ნიკოლაძის წერილი? მაგრამ, რა პასუხია? გამოჩენილისა და სახელგანთქმულის კაცის სიცოცხლეში ყოველიფერი ღირსშესანიშნავია: სჭამს თუ სვამს, სძინავს თუ ღვიძავს, ლაპარაკობს თუ ჩუმათ არის,

ყველა ამაში ისახება მისი დიდება, ნუთუ არა გვერათ ნიკოლაძის დიდება? აბა დაუკლეთ ყური უფ. ნიკოლაძეს როგორ მისულა უნივერსიტეტში ეგ ზამენის დასაჭერად: „ნუ დაივიწყებთ (აბა, შენც არ მომიკვდე), რომ ციდა-ნახევარი ტანი მქონდა, რომ პირტიტველა ვიყავ, როგორც ბაღანა, რომ რუსულ ენას ძლივს ვამტვრევდი (?). ნუ დაივიწყებთ ამას და წარმოიდგინეთ რომ პეტერბურგის უნივერსიტეტის ზალაში ეგ ზამენატორებს წინ წამოდგარა ამ სახის ბაღანა, ოთხასიოდე წვერ-ულვაშიან მუტრუკებს (!) შუა... ბევრს ეგონა ვისმე სტუდენტს პაწია ძმა მოჰყოლია სეირის საცქერლათო... (ის კი არა თუ... ჰმ!) პროფესორს რომ მიუახლოვდი, გაკვირვებით მკითხა; ნუთუ შენც საეგ ზამენოთ მოსულხარო? რუსული მწერლობისაგან უნდა დამეჭირა მასთან (?) ეგ ზამენი. მკითხა, განა წავიკითხავს რამე რუსული ლიტერატურადამო? გამეცინა და მიუგე – დიახაც წამიკითხავს-თქო. პუშკინს იცნობო? (?) (უფ. ნიკოლაძეს დაბადებამდისინაც ჰყოლია გამოჩენილი ნაცნობები) – დიახაც-მეთქი, გოგოლსო? – კი ბატონო. – რა წავიკითხავს მათი ნაწერიო? – ყველაფერი, რაც კი უწერია-თქო. – “Кавказский пленник” წავიკითხავს, გახსოვსო? – ზეპირათაც მახსოვს-თქო. – აბა წადით და დამიწერეთ თქვენი შეხედულება ამ თხზულებაზე: თქვენი ქვეყანაა შიგ აწერილი, კავკასია, და გასინჯეთ, რამოდენათ სწორეთ არის გამოხატული შიგ თქვენი ქვეყნის ბუნება, ჩვეულებები, ხალხი ან ცხოვრება.

„დავჯექი თუ არა საწერათ, პროფესორიც გვერდით მომიჯდა... ვწერდი მარდათ და პროფესორი იმავე წამს კითხულობდა ყოველ სიტყვას, რა წამსაც დავწერდი. მოიწონა ჩემი ჩქარი წერა, მოიწონა აზრის სიახლეც და ენის სისწორეც.

– ამას თქვენ წიგნებში ვერ ამოიკითხავდითო, მითხრა, ვინ გითხრა ეს აზრებიო, ვინ გასწავლიდა ქუთაისის რუსულ ლიტერატურასო?

– არავინ, ბატონო, თვითონ ვკითხულობდი და ეს ფიქრები მომივიდა კითხვის დროს-თქო“.

დახე ნიკოლაძის სიავკაცეს! რა არი, რომ ჩვენთვისაც ეთქვა ეს ახალი აზრები! ნუთუ მის ავტობიოგრაფიას ამით ღირსება

შეუმცირდებოდა?

– სხვა საგნებიც ასე კარგათ გაქვს დამზადებულიო, მკითხა.

– არა, ლათინურში ვარ მეტი სმეჭათ სუსტი, თითქმის არაფერი ვიცი, ზეპირათ ვისწავლე რამდენიმე თავი „იუგურტას ომისა“ – მეტი არაფერი ვიცი სრულებით. (დახე მის გულწრფელობას!)

წამიყვანა მაშინვე იმ სტოლისაკენ, საცა ლათინური ენიდამ აჭერინებდნენ ეგზამენს და რაღაც ჩაუჩურჩულა პროფესორს (რაღას უჩურჩულებდა ამის მეტს: გასაოცარი ყმაწვილიაო). მაშინვე მომიბრუნდა ეს უკანასკნელი და მითხრა მობრძანდით, რა იცით, მითხართო.

პროფესორმაც სწორეთ ის ჰკითხა, რაც უფ. ნიკოლაძემ იცოდა.

– გეყოფა ესეცო. სამი დაგისვა თუ ოთხიო?

– რაც თქვენი ნება იქნეს, ის დამისვით...

მაშ ოთხს დაგისვამო. რადგანაც რუსული ლიტერატურა კარგათ გცოდნიათ...

უფ ნიკოლაძე სტყუის თუ? რა პასუხია! ნიკოლაძემ თავის წერილის სათაურშივე თქვა: „რაღა თქმა უნდა, რომ ამ მოთხრობაში მოგონებული და გადასხვაფერებული არა არის რა, მოქმედი პირების სახელის მეტი. ეხლა ამ მოთხრობის ეპიგრაფის მნიშვნელობაც ცხადია: „სახრე ხბოს საძოვარში შეეტყობა“.

უფ ნიკოლაძის ავტობიოგრაფიულ მოთხრობაზედ ლაპარაკს ჰეინეს სიტყვებით გავათავებ.

„თავის თავის აღწერა, ამბობს ჰეინე, „არამც თუ საშიში, არამედ შეუძლებელიც არისო. კაცი ან უნდა იყოს წრეს გადასული ფატი¹, რომ აქოს თავისი თავი, ან სულელთაგან უსულელესი, რომ „საქვეყნოდ დასძრახოს თავისი თავი. გარდა ამისა, არა კაცს, რაც უნდა გულწრფელად უნდოდეს ლაპარაკი, მართლის თქმა თავის თავზედ არ შეუძლიან. ეს ვერ შეიძლო ვერც წმ. ავგუსტინმა, ვერც ჟან-ჟაკ რუსსომ“. წინაღვე უნდა ბოდიში მოვიხადო, თუ ჩემი საუბარი უფ ნიკოლაძის „მამულის სიყვარულზედ“ ცოტად თუ ბევრად გაგრძელდა. საგანი უფ. ნიკოლაძის წერილისა იმდენად მძიმეა და მნიშვნელობით აღსავსე, რომ რაც უნდა ითქვას საჯაროდ ამ საგანზედ, ჭკვიანური თუ სულელური, მაინც

ღირსია ყურადღებისა. მეტადრე თუ ყველა ეს ითქვა მედიდურად, მეცნიერების სახელით. მართალია, „არა ყოველმან, რომელმან რქვას: უფალო! უფალო! შევიდეს იგი სასუფეველსა ცათასა“, მაგრამ მაინც ჩვენში მკითხველ საზოგადოების უმრავლესობა ჯერ იმდენად არ არის წინწამდგარი და განვითარებული, რომ თვითონვე ღირსეულად დააფასოს ცრუმედიდურება და გამოძებნოს სად არის მართალი და სად ტყუილი. უბრალო, საშუალო მკითხველი, ჩვეულებრივ, წინდაუხედავად იჯერებს დაბეჭდილ სიტყვას, მეტადრე გაბერილს, ვითომდა დარბაისლად თქმულს. ამიტომაც მკითხველი ნუ დამემდურება-მეთქი, თუ ვეცადე, შეძლებისამებრ განვუქარწყლო ის წყვილი, რომელშიაც ასე უგზო-უკვლოდ და დაუნდობელად დაათრევს მას უფ. ნიკოლაძე. ჯერ, რასაკვირველია, უნდა შეგატყობინოთ უფ. ნიკოლაძის წერილის შინაარსი. ეს წერილი, ჩემის აზრით, განიყოფება ორ ნაწილად, რომელთა შორის არავითარი კავშირი და ერთობა არ სუფევს. ამ ორივე ნაწილისა, როგორც შემდეგში ვნახავთ, არც საგანია ერთი და იგივე, არც კილო და ხასიათი ლაპარაკისა. პირველ ნაწილში ავტორი თითქო ცდილობს გამოიკვლიოს ის ისტორიული წუთი, რომელიც აწ დასდგომია ჩვენს ცხოვრებას, ჩვენს საზოგადოებრივ განვითარებას. მეორე ნაწილში ავტორი ებრძვის ვიღაც ცრუპატრიოტებს – მამულის სიყვარული და სამსახური არ იცითო. პირველი ნაწილი არის, გარეგანის შეხედულებით, დამჯდარი და დარბაისელი ლაპარაკი; მეორე კი არის წმინდა პოლემიკური ბაასი, მაშასადამე ჩვენი საუბარიც ამ განაწილებისდაგვარად იქმნება მომართული. უფ. ნიკოლაძე დასაწყისში აღიარებს იმ მოძრაობას, რომელიც ცხადად დაეტყო ჩვენს ცხოვრებას ამ ბოლო დროს; აღიარებს იმ საგვარტომო გრძნობას, რომელიც ეხლახან აღორძინდა ჩვენ საზოგადოებაში. ეხლა ქართველობას, ქართულს ენას, ქართულს ლიტერატურას ამგვარი პატივი მიეცაო, როგორიც უწინ არა ჰქონდაო. ქართველობის პატივი ახალმა თაობამაც იგრძნო და ასეც უნდა მომხდარიყო: „ჩინიან ქოსებს“* უწინდელ დროში მაინც, დელობრივი სიყვარულით ექცეოდნენო... იმათ ძველებს გიდამაც დარჩენილი აქვთ ხსოვნა მისიც... ახალ თაობებს კი (როგორ მოგწონთ ერთის

მხრით ქოსები, მეორის მხრით ახალი თაობა?) თავიდანვე დედინაცვალი ერგოთ ბელათ. კაპასი, უმოწყალო, ძუნწი და მომძულვარე დედინაცვალი... ძველ ქოსებს უკეთესი მაგალითები მაინც არ ენახათ, რომ თავიანთი ბედი მათთან შეედარებიათ, ახალ თაობებს კი ბევრი სხვისი ოჯახი ენახათ, ისეთი ოჯახი, საცა დედამთილი კი არ კაპასობს, ნახათ მოსიყვარულე დედა საყვარელ შვილებს ალერსით აბედნიერებს...“ („სახალწლო“, გვ. 223-224). ეს გრძნობა და მოძრაობა, რა მიზეზითაც უნდა იყოს ძოვლენილი, არის სტიხიური, დამოკიდებული არა ჩვენს ნებაყოფლობაზე: „ის (მოძრაობა) ერთ კაცს კი არ მოუხდენია, ან საზოგადოებას კი არ გაუზღია, დრომ მოიტანა, გარემოებამ გააძლიერა“. ყოველ სტიხიურ ძალას ავიც შეუძლიან, კარგიც, მოხმარებაზედ ჰკიდა, მოხმარება კი ცოდნაზედ არის დამოკიდებული. ამიტომ „ადვილათ მივხვდებითო, ამბობს უფ. ნიკოლაძე, რა სასარგებლო უნდა იყოს ჩვენი საზოგადოებისათვის დამჯდარი, მეცნიერი გამოკვლევა და გაცნობა იმ ახალი ძალისა, რომლის აღძრა ჩვენში ისე საიმედო საქმეთ, ისე ბედნიერ ნიშნათ მიმაჩნია... ამ ნაწერის მიზანიც ეს გამოკვლევა იქნება“. ახლა ორივე ყურით ისმინეთ უფ. ნიკოლაძის მეცნიერი და დამჯდარი გამოკვლევა. ეს იმისთანა სამეცნიერო მარგალიტია, რომ არ შემოიძლიან სიტყვა-სიტყვით არ გადმოგცეთ: „ხალხის ზდაც (?) იმნაირვე რიგზე წარმოებს დასაწყისში, როგორც ბავშვისა. გაკვრით რომ აწეროს კაცმა ეს ზდა, აი რას ვნახავთ. დასაწყისში თითოეული ხალხი უძღური და უსუსურია. მალე იმას ძიძა ან მომვლელი უჩნდება, რომელიც აკვანში აწვენს და ხელ-ფეხს მაგარი არტაშნებით უკრავს... მთელი საუკუნოები რჩება ხალხი ამ უბედურ მდგომარეობაში. მერე კბილები ამოდის, ღონე ეძლევა, გონება უმწიფდება (?). მაშინ ის ჯერ ფორთხვას იწყებს, მერე ბროდიალს, და ბოლოს ადამიანურ სიარულსაც ეჩვევა. თავდაპირველათ, როგორც კი გონებაზე მოდის, იმას მარტო მიბაძვა შეუძლია: რასაც სხვას დაუნახავს, იმას იზამს, მის გადაღებას მოინდომებს... ბოლოს, როცა დიდძალ გამოცდილებას ან ჭკუას შეიძენს, როცა დავა-ჟაკადება, ცხოვრებას გაეჩვევა, გაგონიერდება, ის თავის საკუთარ ჭკუას მიენდობა, მის ხელმძღვანელობით მოქმედებას იწყებს, მონურ

მიბაძვას თავს ანებებს, ბრიყულ უკადრისობასაც ივიწყებს და ისე ცხოვრობს, რომ სხვისი გამოცდილებაც გამოიყენოს და თავისი საკუთარიც, კარგი თავისიც შეინახოს და სხვებისაგანაც შეიძინოს, ავს სხვებისასაც ასცილდეს და თავისასაც... „სისტემატურათ რომ მოინდომოს კაცმა ამ სტადიების გამოსახვა და დაწყობა, ვნახავთ, რომ ყოველი ხალხის ცხოვრებაში შემდეგი ოთხი განვითარებული პერიოდი მოიძებნება: „პირველ პერიოდს ის დრო შეადგენს, როცა ხალხი თავისი საკუთარი გონებით ან ტვინით არც კი ცხოვრობს, როცა მის მაგიერ სხვა ვინმე (?) ზრუნავს და მოქმედებს, და როცა ხალხი მცენარეობს, საზოგადოებრივ ინტერესებს არ გრძნობს, ერთი სიტყვით, ის დრო, რომელსაც აკვნური (!) პერიოდი ჰქვია. „მეორე პერიოდი, რომელსაც მიმბაძავს ეძახიან, იმ დროს შეეფერება, როცა ხალხი უცხოეთის დაწინაურებას ხედავს და მის გონიერ მიბაძვას იწყებს. თავის უძღურებას ან სისუსტეს იზიზღებს და ცდილობს გადასხვაფერდეს გარეგანი წაბაძვით. „მესამე პერიოდს, უკუბრუნებულს, ის დრო შეადგენს, როცა ხალხი რწმუნდება, რომ მაიმუნური მიბაძვა დიდ ზეირს არას მადლევსო, და საკუთარი წინაპრების წესების აღდგინებას მოინდომებს, მათ ყურმოჭრილ მონათ ხდება. ზოგიერთი ისტორიკოსები (!) მეორე პერიოდს პროგრესიულ მიმბაძავს არქმევენ, და მესამეს – რეგრესიულ მიმბაძავს. „მეოთხე პერიოდი მაშინ იწყება, როცა ხალხი ამ მესამე პერიოდის უნამყოფლობასაც იგრძნობს. მაშინ ის გამორკვევას იწყებს, თუ მისი საკუთარი ბუნება რას თხოულობს, მისი ძალა რის ნებას აძლევს, სხვა ხალხების ძლიერება რამ შეადგინა, სხვებს რა აქვთ კარგი, ისეთი, რომლის შეთვისება მის ბუნებას შეუძლია, და თვითონ იმას რა ჰქონია ცუდი, ისეთი, რომლის თავიდან მოშორება შესაძლოა. ამ პერიოდს ჩვენში საკუთარი სახელი არა აქვს (იმ სამს ხომ წმინდა ქართული სახელები აქვს!), ამიტომ, რომ ჩვენ ჯერ ეს დრო არ გვღირსებია. რუსულათ ამას ჰქვია “**период самобытного творчества**” („სახალწლო“, გვ. 242-246). მითამ და რაო ახლა? აი, რა: „ნაბიჯ-ნაბიჯათ იდგამს ფეხს და მიიწევა წინ კაცობრიობაო, ბძანებს ბატონი ნიკოლაძე, რა გზაც ხუთს, ან ექვს, ან ოც ხალხს ოთხ ნაბიჯათ გაუვლია, იმას ვერცერთი სხვა

ხალხი ერთი გადახტომით ვერ გაიარს. მართალია, ზოგი ხალხი ადვილად ან უცფათ გაირბენს (გარბენით კი გაირბენს, მაგრამ ვერ გადახტება!) ამ ნაბიჯებს, ზოგი კი ლოკოკინასავით ფორთხვით გადაჩორღება ზედ“. „მაგრამ საქმე იმაშია, რომ ეს გზა და ეს ნაბიჯები აუცილებლათ გასავლელი აქვს ყოველ ხალხს, რომელიც გონებით ცხოვრებას ეჩვევა ან საზოგადოებრივ ჩვეულებას ითვისებს...“ მერე რაო? აი, რა: შენ ეხლა, მკითხველო, ბატონი ნიკოლაძის სიტყვით, ბძანდები მესამე, უკუბრუნებულს პერიოდში, რომლის გავლა, თუ გარბენა იმაზედ არის დამოკიდებული — გეყოლება თუ არა ხეირიანი ისტორიკოსები, რომელნიც გეტყვიან წარსულის კარგსაცა და ავსაცა. უფ. ნიკოლაძე ამბობს: „დღესვე ზედმიწევნით რომ ვიცნობდეთ ჩვენ წარსულსაო, ეს ისტორიული პერიოდი იქნება მარტო თხუთმეტობედ წელიწადს გაგრძელდესო ჩვენში. მეტს კი არაო. მაშინ, რაკი ასე მალე (ნიკოლაძეს აბა როგორ შეცდება ანგარიში) მოვიხდიდით ამ სახადს (?) ადვილად შეგვეძლებოდა ისტორიულ ცხოვრებაში შემდგომი ნაბიჯი გადაგვედგა და ჩვენი საკუთარი მუხლების ძალა გვემინჯა... დღეს კი... დღეს კი, მკითხველო, ვინ იცის, რამდენ ხანს უნდა იხეტიალო, შე უბედურო, ამ უკუბრუნებულ პერიოდში? მერე, შენ საწყალო, ბევრიც რომ გაინეთქო თავი, მაინც ვერას გააწყობ, რადგანაც „ვისაც ზედმიწევნით არ შეუსწავლია „ისტორიის ფილოსოფია“, იმას ყოველთვის გონია, რომ რასაც მე დღეს ვშვრები, იმას ჩემი საკუთარი ჭკუით ვშვრებიო, ჩემო გონებით ვმოქმედობ და ვამოქმედებ სხვებსაო. დიდი შეცდომაა ეს, დიდი სიბრყველა. კერძო პირი ცხოვრებაში უბრალო პაიკია, რომელსაც ისტორიული ძალა და ჩარხი ატრიალებს ან ათამაშებს. ათასიც რომ იხტუნოს ამ პაიკმა, ქვეყნის ჩარხის ბრუნვა იმას მაინც თავის ადგილს უპოვის და თავის „ნებაზე დაატრიალებს“ (მაშ ისტორიკოსებიც ვერას გააწყობენ, ისინიც ხომ ადამიანები არიან!). მართალიაო, ისწორებს ნიკოლაძე, კაცის გონიერებასაც ბევრი შეუძლიანო, მაგრამ ეს შეძლება მარტო ამაში მდგომარეობსო, რომ ზოგი პაიკი გაიგებს, რა ძალა ათამაშებს იმას და ამ ძალით ისარგებლებს, და ზოგი კი — ვერაო. შენ, მკითხველო, რასაკვირველია, ეს უკანასკნელი პაიკი ხარ, რადგანაც არამც თუ შესწავლით

(ისიც ზედმიწევნით), არამედ იქნება გაგონებითაც არ გაგიგონია, რა არის „ისტორიის ფილოსოფია“. ღვთის წინაშე, მრცხვენთან, რომ ასე ბლომად გადმოვწერე უფ. ნიკოლაძის წიგნიდამ, მაგრამ ეს ნაწყვეტები ჩემის შემდგომის საუბრისათვის საჭიროა. იმ აზრის „უფრო გარკვევით“ გამოსათქმელად, ვითომ მხოლოდ ისტორიკოსებს შეუძლიანთო მალე გამოგვიხსნან უკუბრუნებულ პერიოდდამ, უფ. ნიკოლაძეს მოჰყავს მაგალითი „რუსეთის ისტორიულ ზღვიდამ“. უფ. ნიკოლაძის აზრით ჩვენ ეხლა სწორედ იმავე პერიოდში ვართ, რომელშიაც იყო რუსეთი სლავიანოფილების დროს. ესრედ წოდებული „ზაპადნიკები“ ამტკიცებდნენ ახალი სჯობიანო, სლავიანოფილები კი ამბობდნენ – არა, ძველი სჯობიანო. ამაობაში გამოჩნდნენ ნიჭიერი ისტორიკოსები, რომელთაც გარდასწავიტეს – კარგი ძველშიაც მოიპოვება და ახალშიცაო, და ამით დაულოცეს გზა რუსეთს: ეხლა მეოთხე პერიოდში შეგიძლიან ფენი გადადგაო, და გადადგა კიდევ. გარდა ამისა, უფ. ნიკოლაძე ამბობს: „ადვილად შემეძლო ამგვარივე მსგავსება რომელიმე სხვა ხალხის ისტორიიდან ამელო. შემეძლო, მაგალითათ, მომეყვანა ის ბრძოლა, რომელიც საფრანგეთში გამართულიყო ცრუკლასიკებს და რომენტიკებს შუა, ან გერმანიის ცხოვრებიდან – ლესინგის დროს დაბოლოებული ომი საფრანგეთის წამბაძავებს და ძველი გერმანიის მომხრეებს შუა... ორივე ეს ბრძოლა სწორეთ იმავე ხასიათის იყო, როგორიც რუსეთში ატყდა და ჩვენშიც იწყება... კმარა. ზემომოყვანილი მაგალითებიც ცხადად გვიჩვენებენ თუ რა უშველებელი არეულდარეულობა სუფევს ავტორის მსჯელობაში და მოსაზრებაში: რა დაბალის ჯიშისა და დაბალის ფასისაა ის საქონელი, რომელიც უფ. ნიკოლაძეს მიუწვდენია მკითხველისათვის, როგორც „დამჯდარი და მეცნიერი გამოკვლევა“. რა საცოდავად მოუხვეტია აქა-იქა ვითომ და მეცნიერების რაღაცა ნაფხრეუები – დახეთ, ხელ-ცარიელი კი არ გამოვსულვარო „ცრუპატრიოტებთან“ საბრძოლველად, არამედ ჩემის პირით თვით მეცნიერება ლაპარაკობსო. რასაკვირველია, „ცრუპატრიოტებისთვის“ ეს გარემოება, ცოტად თუ ბევრად, სასახელოა: სჩანს ადვილი არ ყოფილა მათი დამარცხება, მაგრამ, თვითონ უფ. ნიკოლაძის შესახებ კი ვიმეო-

რებ: „არა ყოველმან, რომელმან რქვას – უფალო! უფალო! შევიდეს იგი სასუფეველსა ცათასა“. ყველაზედ უწინარეს უნდა მოგახსენოთ, რომ უფ. ნიკოლაძემ თვითონაც არ იცის რაზედ ლაპარაკობს. ყოველი ხალხის ცხოვრება თვის მსვლელობაში ამა და ამ კანონს ემორჩილებაო, ამბობს უფ ნიკოლაძე და ამ კანონის შესაფერი მაგალითები მოჰყავს ლიტერატურის ისტორიიდან. საიდან შეადგინა უფ. ნიკოლაძემ ეს კანონი, ამის ქვემოდ ვნახავთ, ეხლა კი მხოლოდ იმას ვამბობ, რომ ავტორს არა აქვს მტკიცედ განსაზღვრული საგანი ლაპარაკისა და ხან ერთს გადასცემს, ხან – მეორეს. მართალია, ხალხის ცხოვრებისა და ლიტერატურის შორის არსებობს მჭიდრო ურთიერთობა, როგორც ყველა მოვლენათა შორის ამ ქვეყნიერებაზედ, მაგრამ რა გამოდის აქედამ? არაფერი, გარდა იმისა, რომ ყოველგვარი მოვლენანი გადაბმულნი არიან ერთი-ერთმანეთ-შორის. ამ მოვლენათა თითოეულ გვარს აქვს მაინცადამაინც თავისი საკუთარი ვითარება, საკუთარი მსვლელობა. ფიზიკურ და ხიმიკურ მოვლენათა შორის, რასაკვირველია, ძალიან მჭიდრო ურთიერთობა სუფევს, მაგრამ თუ ხიმიკურის კანონის გასამართლებლად მოიყვანეთ მაგალითად წმინდა ფიზიკური მოვლენა, აქედამ უმეცრება გამოვა და არა „მეცნიერი გამოკვლევა“. ვინც ლაპარაკობს „სლავიანოფილებზე“ და „ზაპადნიკებზე“, ლაპარაკობს იმ ბრძოლაზედ, რომელიც არსებობდა ერთ დროს რუსულის ლიტერატურის ორ მიმართულებათა შორის, რუსეთის ცხოვრების „უკუბრუნებული“, თუ სხვა რომელიმე პერიოდი (ხანა) აქ რა შუაშია? რაშიც უნდა მდგომარეობდეს სლავიანოფილთა ქადაგება, მაინც სალვანოფილებს არასდროს არ შეუდგენიათ არავითარი ცალკე „სტადია“, „პერიოდი“ რუსეთის ცხოვრების მსვლელობაში, იმ მნიშვნელობით, რომლითაც ხმარობს ამ სიტყვებს უფ. ნიკოლაძე.* სლავიანოფილების დროს (არც არა სხვა დროს) რუსეთის ხალხს „საკუთარი წინაპრების წესების აღდგინება“ არ მოუნდომებია და „მათ ყურმოჭრილ მონათ“ არ გამხდარა (უფ. ნიკოლაძის მესამე, უკუბრუნებული პერიოდი ზომ ამას ნიშნავს). გარდა ამისა, ნუთუ უფ. ნიკოლაძის აზრით, ეხლა, როდესაც რუსეთს „მეოთხე პერიოდი“ დასდგომია, სლავანო-

ფილების ხსენებაც აღარ არის? მაგრამ რას დასდევს უფ. ნიკოლაძე, რომელიც იკვების კიდეც: რო მინდოდესო, არამც თუ რუსული ლიტერატურის ისტორიიდან მოვიყვანდი მაგალითსაო, არამედ საფრანგეთის ლიტერატურის ისტორიიდან, ან გერმანიის ლიტერატურიდანაც შემიძლიან მაგალითი მოვიყვანო. ჩემის აზრით კი, აქ არაფერია დასაკვები, მაგრამ კაცია და გუნება; შეიძლება იმისთანა კაციც გამოჩნდეს, რომელმაც დაიკვებოს: თუ ერთ სისულელეს არ დამჯერდება, ათს, ან თხუთმეტს კიდეც მოგართმევო. არა, რა მაგალითია; თუ შენც იტყვი, მკითხველო, „ის ბრძოლა, რომელიც საფრანგეთში გამართულიყო ცრუკლასიკებს და რომანტიკებს შუა“ და სხვ? უფ. ნიკოლაძის აზრით, რომანტიკები, რასაკვირველია, „მესამე უკუბრუნებულ პერიოდის“ წარმომადგენელი იქნებიან. თუ ასეა, მაშ როდისღა ეღირსება საფრანგეთს მეოთხე პერიოდი, ე. ი. „**период самобытного творчества**“, რადგანაც რომანტიკული შკოლა (მიმართულება) ესლაც მშვიდობით ბძანდება? ძალიან ვნანობ, რომ უფ. ნიკოლაძემ არ მოიყვანა ყველა ეს მაგალითები, მეტადრე გერმანიის ლიტერატურა ლესსინგის დროს. საიდან მოიგონა უფ. ნიკოლაძემ თავისი ოთხი სტადია ყოველი ხალხის ცხოვრებიდან? მოიგონამეთქი, რადგანაც მისი მოსაზრება არავითარ სამეცნიერო საბუთზედ არ არის დამყარებული. „ხალხის ზღაც იმნაირვე რიგზე წარმოებს დასაწყისში, როგორც ბავშვისა“, ბძანა ბატ. ნიკოლაძემ და დაჰკრა ბეჭედი, ვითომდა ეს იმისთანა შეურყეველი ჭეშმარიტებაა, რომელზედაც ეჭვის შემოტანა შეუძლებელია, როგორც, მაგალითებრ, ამგვარ ჭეშმარიტებაზე: მზე ღვას და დედამიწა გარს უვლის, ორი და ორი ოთხია და სხვ. ვიცი, რომ ეს ანალოგია (შედარება) მთლად უფ. ნიკოლაძის მოგონილი არ არის; ვიცი, რომ არიან მეცნიერნი, მაგ. დრეპერი, რომელნიც ხალხის ცხოვრებას მთლად ადარებენ კერძო ადამიანის ცხოვრებას. დრეპერის აზრით, როგორც კერძო ადამიანი იბადება, ბერდება და ბოლოს კვდება, ისე ხალხიც იბადება, ბერდება და კვდება... რა გამოდის აქედამ? არაფერი, გარდა იმისა, რომ დრეპერი ამ აზრისაა. უფ. ნიკოლაძეს სრული უფლება აქვს დაეთანხმოს უფ. დრეპერს, მაგრამ არავითარი უფლება არა აქვს იმ კილოზე ილაპარაკოს,

თითქოს ყველა ეს შეურყეველი ჭეშმარიტება იყოს მეცნიერებისა. მაგრამ, როგორც ეტყობა, არც თვითონ ნიკოლაძე ეთანხმება მთლად დრეპერს, რადგანაც ამბობს: „ხალხის ზღაც იმნაირვე რიგზე წარმოებს დასაწყისში, როგორც ბავშვისა“. ეს სიტყვა დასაწყისში განსაკუთრებულ ფერსა სდებს უფ. ნიკოლაძის ქადაგებას და ჰხდის მას (ქადაგებას) ავტორის საკუთარ მოგონილებათ. კარგათ მესმის უფ. ნიკოლაძის ორ წყალშუა დგომა: ერთის მხრით უფ. ნიკოლაძეს დასჭირდა დრეპერის აზრი, ანუ უკეთ ვთქვათ, დრეპერის ანალოგია, მეორეს მხრით ახსოვს რუსეთის გამოჩენილ მწერლის (რომელსაც უფ. ნიკოლაძე წამდაუწუმ ამოეყუდება ხოლმე, საცა რიგია და საცა არა) აზრი, რომ ხალხი არასდროს არც ბერდება და არც კვდებაო თავისით და ამის თქმა ბრძვილობა არისო. უფ. ნიკოლაძე ამ შემთხვევაში ალექსანდრე მაკედონელსავით მოიქცა: აიღო დრეპერის ანალოგია, შუაზედ გადასჭრა, ე. ი. ჩაურთო სიტყვა „დასაწყისში“ – ხალხის ცხოვრების მსვლელობა მხოლოდ დასაწყისში ემსგავსება ადამიანის სიცოცხლის მსვლელობასაო, მერე კი აღარაო. როდემდე, სადამდე, რას ნიშნავს „დასაწყისში“? ყველა ამაზედ ნურას უკაცრავად. აი, საქმის მეცნიერი გადაწყვეტა ამას ჰქვიან. პირდაპირ დრეპერის ანალოგია რომ აეღო უფ. ნიკოლაძეს და მაზედ დაემყარებია თავისი შემდგომი მსჯელობა, მაშინ, რასაკვირველია, არც არავინ მოჰკითხვავდა საბუთს. მსურველს შეეძლებოდა საბუთი პირდაპირ დრეპერის თხზულებებში მოეძებნა (იპოვიდა, თუ არა – ეს სხვაა). ესლა კი, ვიმეორებ, უფ. ნიკოლაძემ მოიგონა თავისი საკუთარი ანალოგია და გულმსუბუქად, წარბშეუკვრელად ბძანებს, ვით უეჭველს, მეცნიერების ჭეშმარიტებას. დაფიქრდა თუ? შენ არ მომიკვდე, ბძანა და გასწია: „დასაწყისში თითოეული ხალხი უძლური და უსუსურია. მალე იმას ძიდა ან მომვლელი უჩნდება...“ და სხვ. და სხვ. შედარება შესაძლებელია მხოლოდ ერთისა და იმავე გვარის საგანთა შორის. ვიდრე შეადარებთ ორ საგანს ერთიერთმანეთში, უნდა დაამტკიცოთ, რომ ეს ორი საგანი მართლა დასადარებელნი არიან. თქვენი შედარება მხოლოდ იმ პირობით შეიქმნება რისთვისმე გამოსაყენი და მხოლოდ მაშინ მიეცემა მას რაიმე სამეცნიერო ღირსება, თორემ

შეიძლება შედარებისაგან სამეცნიერო კი არა, სამასხარაო რამ გამოვიდეს, როგორც გამოვიდა უფ. ნიკოლაძის შედარებისაგან: ხალხიო (სწორედ, როგორც კერძო ადამიანი) დაიბადება თუ არა, მაშინვე ძიძას ან (თუ დედა თვითონ აწოვებს, განა) მომვლელს უყენებენო, შემდეგ აკვანში აწვენენო, ხელ-ფეხს მაგარი არტაშ-ნებით უკვრენო... მთელი საუკუნოები რჩებაო ხალხი ამნაირად აკვანში. შემდეგ კბილები ამოსდის, ღონე ეძლევა... და სხვ. და სხვ. სწორედ მოგახსენოთ, ეს ამისთანა მასხარად ავდება თვითონვე ნიკოლაძის მიერ წამოყენებულის აზრისა, რომ ამაზედ უკეთესის დაცინვის მოგონება ძნელია, მაგრამ მასხარად ავდება რას მიქვან: უფ. ნიკოლაძე დარბაისლად ფილოსოფოსობს. აილო უფ. ნიკოლაძემ ზემოხსენებული „ზდა“, დაუმატა მას ესრედ-წოდებული „წაბადებითი ლიტერატურა“ და გაყო ყველა ეს ოთხ-ად. ლიტერატურა-მეთქი, რადგან მიბაძვა და **САМОБЫТНОЕ ТВОРЧЕСТВО*** (**САМОБЫТНАЯ ЛИТЕРАТУРА** რომ ეთქვა ნიკოლაძეს, უფრო მართებული სიტყვა იქნებოდა) როგორც ერთი ერთ-მანერთის წინააღმდეგნი აზრნი, ეკუთვნიან მხოლოდ ლიტერატურის ისტორიას და არა სხვა რასმე. რაც შეეხება საზოგადოდ ცხოვრებას, მას აქეთ, რაც არსებობს მისვლა-მოსვლა ხალხთა შორის, მიბაძვა არ შემწყდარა და არა მგონია, შესწყდეს როდესმე. ამგვარად უფ. ნიკოლაძემ გამოიყვანა ოთხი პერიოდი ყოველი ხალხის ისტორიაში. რაღა თქმა უნდა, რომ რამდენადაც სამეცნიერო იყო საბუთი ამა განაწილებისა, იმდენადაც სამეცნიერო უნდა იყვნენ თვითონ ეს ნაწილებიც. უფ. ნიკოლაძის აზრით პირველი, „აკვნური“ პერიოდი არისო ის დრო, როდესაც „ხალხი საკუთარი გონებით კიარ ცხოვრობს, როცა მის მაგიერ სხვა ვინმე ზრუნავს...“ და სხვა... რაზედ ლაპარაკობს უფ. ნიკოლაძე? თუ იმაზედ, რომ ხალხი, ე. ი. უმრავლესობა იშვიათად არის მოქმედი პირი ისტორიაში და ჩვეულებრივ მას სხვა ვინმე ამოქმედებს, თუ ამაზედ ლაპარაკობს-მეთქი, მაშინ სრულიად ვეთანხმები უფ. ნიკოლაძეს, მაგრამ ამ შემთხვევაში დანარჩენ სამ პერიოდს აღარ უნდა ჰქონდეთ ადგილი, რადგანაც ზემოხსენებული აზრი რომ ვიქონიოთ მხედველობაში, ხალხს ჰქონია და აქვს ჯერ-ჯერობით მხოლოდ ერთი პერიოდი, რომელსაც, რაც უნდა

დაარქვით სულ ერთია. მაგრამ, იქნება უფ. ნიკოლაძეს სხვა რამ, მაგალითებზე, ლიტერატურა აქვს სახეში? თუ ასეა, უფ. ნიკოლაძის განაწილება ოთხ პერიოდით ხალხის ცხოვრებისა დამყარებულია მთლად არამც თუ გაუგებლობაზედ, არამედ პირდაპირ ტყუილზედ. თუ ასეა-მეთქი, რას ნიშნავს „სხვა ვინმე“ – პირველ პერიოდში? რას ნიშნავს „ხალხი მონღოლებს საკუთარი წინაპრების წესების აღდგინებას“ მესამე პერიოდში? თუ ასეა, მამ რაღას ნიშნავს უფ. ნიკოლაძის აზრით ესრედწოდებული „ხალხური პოეზია“? ნუთუ ამასაც „სხვა ვინმე“ ამოქმედებს? როგორიც უნდა იყოს ეს პოეზია, ხეირიანი თუ უხეირო, სუსტი თუ მძლავრი, იგი არის ხალხის საკუთარის ჭკუა-გონების ნაღვაწი. ამის უცოდინრობა მეოთხე კლასის შეგირდსაც არ მიეცემა. გარდა ამისა, რას იტყვის უფ. ნიკოლაძე ძველ საბერძნეთზე, რომელსაც მეოთხე (ნიკოლაძის ანგარიშისდაგვარად) პერიოდის მეტი თავიდან ბოლომდე არავითარი სხვა პერიოდი არა ჰქონია? ან კიდევ, „წინაპრების წესების აღდგინების“ ნდომაში ლიტერატურა რა შუაშია? პირდაპირ ვამბობ: ეს არამც თუ ლიტერატურას არ შეეხება, არამედ არაფერს არ შეეხება უფ. ნიკოლაძის წერილში და თქვა ავტორმა ისე, არაფრად, მარტო იმიტომ, რომ ენაზე წამოადგა. მას აქეთ რაც კაცობრიობა სუფევს, ყოველ ჟამს, ყოველ ხალხში არსებობს იმისთანა დასი, რომლის მეცადინეობა მიმართულია „წინაპრების წესების“ აღდგენისათვის. ეს მიდრეკილება ზოგან და ზოგჯერ მძლავრია, ზოგან და ზოგჯერ სუსტია, ყოველ შემთხვევაში კი წინააღმდეგია ხალხის კეთილდღეობისა და მისის სურვილისა. ამ შემთხვევაში უფ. ნიკოლაძის მესამე, უკუბრუნებული პერიოდი შეიძლება ათჯერ და თხუთმეტჯერ მოჰყვეს ერთისა და იმავე ხალხის ისტორიაში. კმარა. დაწვრილებით რო მოვყვე უფ. ნიკოლაძის ლათაობას, მეტად გაგრძელდება ეს ჩემი თავად ისეც მეტად გაგრძელებული წერილი. რაც დამიწერია, იმასაც არ ვადირსებდი უფ. ნიკოლაძის ფილოსოფიას, ავტორს რომ პოლემიკური ნაწილი არ მიება თავის ფილოსოფიისათვის. ვინ გაუძღვება ყველა გამვლელისა და გამომვლელის ყბელობას. მაგრამ ქვაკუთხედი უფ. ნიკოლაძის წერილისა არსებობს პოლემიკურ ნაწილში

და ფილოსოფია, ჩემის აზრით, ავტორს დაუწერია მხოლოდ მისთვის, რომ მის პოლემიკას მეტი ღირსება მიეცეს მკითხველის თვალში. ამის დასამტკიცებელ საბუთს შემდეგ მოგახსენებთ. ვიდრე ზემოხსენებულის ნაწილის განრჩევას მივყვები, ორიოდ სიტყვა კიდევ უნდა მოგახსენოთ. უფ. ნიკოლაძე ბძანებს, ეს ჩემი „ოთხი“ პერიოდი ყოველი ხალხისათვის აუცილებელიაო, რადგანაც სხვა ხუთს, ექვს, ოცს ხალხს ამ გზაზედ გაუვლიაო. აქ კი, სწორედ მოგახსენოთ, მებრალება უფ. ნიკოლაძე: სრულიად დავიწყებია ზემოხსენებულის რუსის გამოჩენილ მწერლის აზრი ამგვარ საბუთებზე და ჩამდგარა რუსეთის აწინდელ დროის „პლუტოკრატების“ რაზმში, რომელნიც, სხვათა შორის, ამბობენ: რაც შეიძლება მალე უნდა მოვაშოროთ გლეხი მიწასაო და „პროლეტარიატი“ გავაჩინოთო, რადგანაც ევროპის ზღის კანონი ამას მოითხოვსო. თუკი ისინი... ჩვენც... და სხვა. მებრალება-მეთქი უფ. ნიკოლაძე, რადგანაც არა მგონია მისთვის სასიამოვნო იყოს ეს მეოობლობა. თითქმის ესევე უნდა ვთქვა იმაზედაც, რასაც უფ. ნიკოლაძე ამბობს შესახებ კერძო პირზედ ისტორიაში, მითომ იგი „პაიკი“ იყოს და სხვ. ვინც ამისთანა ყოვლად „ბურჟუაზიულ“ აზრს (სპენსერისა იქნება) აღიარებს, მას აღარ შეშვენის „ინსაროვებზედ“ ლაპარაკი. ისტორიის კანონებსაც გადაჰკრა უფ. ნიკოლაძემ. მართალია ნიკოლაძეს ბოკლიც გაუგონია, დრეპერიცა, სპენსერიცა, მაგრამ, პირდაპირ ვამბობ, ნამდვილად კი არ იცის, არის ამისთანა კანონები თუ არა. განსაკუთრებული მწერალია უფ. ნიკოლაძე: რაც ყველამ იცის – იმან ის არ იცის; რაც არავინ არ იცის – ის კი „ზედმიწევნით შეუსწავლია“, როგორც, მაგალითებრ, შეუსწავლია „ისტორიის ფილოსოფია“. მარტოკა ეს ფრაზა ამტკიცებს უფ. ნიკოლაძის სრულიად უცოდინრობას.

უფ. ნიკოლაძის შეილდ-ისარი მიმართულია საქართველოს ცრუპატრიოტებისაკენ, ესე იგი მათკენ, რომელთა უგუნური სიყვარული მამულისა წარმატებას და ბედნიერებას კი არა, არამედ უკან დაწევას და დაღუპვას უქადის მათ ქვეყანას. უფ. ნიკოლაძე ეუბნება ცრუპატრიოტებს – არც გონივრული მამულის მოყვარეობა გაქვთო, არც გონივრული სამსახურიო მამულისა; ეგრე კი არა, აი, ასე უნდა ემსახურებოდეთო მამულს და სხვ.

სწორედ მოგახსენოთ, ყველა ეს, ცოტად თუ ბევრად, გასაოცარია მას შემდეგ, რაც უფ. ნიკოლაძემ წაგვაკითხა თვისი ფილოსოფია. ამ ფილოსოფიადამ, როგორც მოგეხსენებთ, გამოდიოდა, სხვათა შორის, შემდეგი: ყოველმა ხალხმა თავის მსვლელობაში აუცილებლად ოთხი პერიოდი უნდა გაიაროს, ესე იგი ჯერ პირველი, მერე მეორე, მერე მესამე, მერე მეოთხე. ჩვენ, ქართველებს დაგვგლომია ამჟამად მესამე (უკუბრუნებული) პერიოდი, რომელსაც ვერაგზით ვერ ავიცილებთ თავიდან. ადრე გვეღირსება მეოთხე პერიოდი, თუ გვიან – ეს იმაზედ არის დამოკიდებული, გვეყოლება ხეირიანი ისტორიკოსები, თუ არა. მაშასადამე აწინდელის, მესამე პერიოდის მოღვაწენი იხდიან მხოლოდ თავის ვალს ისტორიის წინაშე, ვალს, რომელსაც აუცილებლად მოითხოვს ხალხის „ისტორიული ზღის“ აუცილებელი კანონი.

ყველა ეს გასაოცარია-მეთქი, მაგრამ საქმეც ის არის, რომ უფ. ნიკოლაძის წერილის ორ ნაწილთა შორის (სამეცნიერო და საპოლემიკო) არავითარი კავშირი არ არსებობს. ყველა იმი-სთვის, რასაც უფ. ნიკოლაძე ლაპარაკობს ცრუპატრიოტებზედ, სრულიად საჭირო არ არის ავტორის გაჭრელებული უთავბოლო ფილოსოფია. აი, თქვენ თვითონ გასინჯეთ.

ყველაზედ უწინარეს, რასაკვირველია, მონინდომებთ შეიტყვით, თუ ვინ არიან „ცრუპატრიოტნი“, ვინ არის ის მტერი, რომლის დასამარცხებლად ასე მძიმედ აღჭურვილა უფ. ნიკოლაძე; სად არის ის საჯაროდ მომქმედი მავნებელი მიმართულება, რომლის გაქარწყლება ჩვენდა სასიკეთოდ მოჰსურვებია უფ. ნიკოლაძეს. „ცრუპატრიოტნი“ გახლავან „ივერიის“ მწერლები: მავნებლის მიმართულების ბუდე არის „ივერია“ (ეხლა „დროება-ივერია“ იქნება). მართალია, უფ. ნიკოლაძე მხოლოდ ერთ ადგილას ახსენებს პირდაპირ „ივერიას“, სხვაგან კი გადაკვრით ლაპარაკობს, მაგრამ მაინც პირდაპირ ვალვიარებ, რომ უფ. ნიკოლაძეს აქვს მხედველობაში „ივერია“. რად ლაპარაკობს უფ. ნიკოლაძე გადაკვრით და არა პირდაპირ, ამას ქვემოდ მივხვდებით. ამასთანავე იქნება მივხვდეთ იმასაც, თუ რისთვის დასჭირდა უფ. ნიკოლაძეს თვისი უცნაური ფილოსოფია.

უფ. ნიკოლაძე ბრალსაც იგავითა სდებს „ცრუპატრიოტებს“:

ავტორს მოჰყავს ზოგიერთა თვისება სლავიანოფილთა მიმართულებისა და ამბობს, „ცრუპატრიოტებიც“ იმას ქადაგობენო. რამდენად მართალია უფ. ნიკოლაძის აღწერა სლავიანოფილობისა – ჩვენთვის ამჟამად სულერთია. ეს აღწერა ყურადღების ღირსია მარტო იმდენად, რამდენადაც მასში „ცრუპატრიოტების“ დანაშაულობა არის გამოხატული. უფ. ნიკოლაძე ამბობს: „პირველი თვისება სლავიანოფილობისა ის იყო, რომ თავიანთს ყველაფერს იწონებდა, აღმერთებდა და უცხოეთისას ყველაფერს იძულებდა ან აძაგებდა. წაბილწულია ყოველი კაციო, ვინც რუსულ ენას არ ხმარობსო და ვისაც უცხო ენაზედ გინდ ერთი სიტყვა წაცდებათ. როცა რუსულ ლაპარაკში ვინმე იმისთანა სიტყვას იხმარდა, რომელიც რუსულში არ მოიძიება, სლავიანოფილები კიჟინს იწყებდნენ... შენიშნეთ, რომ ამ საგანში სლავიანოფილები, ჩვენი პატრიოტების არ იყოს, იმას კი არ ქადაგობდენ – მწერლობა ხალხის ენას ყურს უნდა უგდებდეს, ხალხის მდიდარი ლექსიკონით უნდა ხელმძღვანელობდეს, ხალხის ლაპარაკს უნდა უახლოვდებოდეს მწერლურ ენასო. ეს რომ ეთქვათ, ჭეშმარიტება გამოითქმოდა მათი ტუჩით (?). არა, ისინი „მას ჰქადაგობენ – სწორეთ ისე, როგორც დღეს ჩვენი ქართველი პატრიოტები შერებიან – რომ ძველი მწიგნური, დავიწყებული და მომკვდარი ენიდამ უნდა აიღოს მწერლობამ სიტყვებიც და სიტყვის წყობილობაც... შენიშნეთ, რომ ვერც შიშკოვის, ვერც ზომიაკოვის, ვერც კირეევსკის, ვერც აპ. გრიგორიევის* ენას რუსის ხალხი ვერ იგებდა, სწორედ ისე, როგორც დღეს ჩვენ ხალხს „ივერიის“ მწერლების ენის გაგება უჭირს“.

ეს უმეცარი ყბელობა „ივერიის“ ენაზე ახალი ამბავი არ არის. ამ საგნის თაობაზედ მქონია კიდევ ლაპარაკი მკითხველთან („ივერია 1879 წ., №1, „ფიქრი და შენიშვნა“) და გამეორება საჭირო აღარ არის.

უფ. ნიკოლაძე განაგრძობს: „მეორე თვისება სლავიანოფილებისა“ ის იყო, რომ ისინი უცხოეთის ცხოვრების ძალას, მოძრაობას და განზრახვას ყურს სრულიად არ უგდებდენ“.

უფ. ნიკოლაძე ამტკიცებს შემდეგ, რომ ამგვარი თვისება დიდი სისულელეაო და მავნებელიც არისო. ჩვენ დროში ხალხი

ოთხკედელშუა ვერ იცხოვრებსო და სხვ. ეს ძველთაგან ძველი ჭეშმარიტება, რომელიც არაერთხელ იყო გამოთქმული „ივერიაში“ („ივერია“ ზომ ყველა დამპალ ჭეშმარიტებათა ბუდეა), რისთვის დაუღეჭია უფ. ნიკოლაძეს, რა მოგახსენოთ, მით უფრო, რომ უფ. ნიკოლაძე ერთ სიტყვასაც არ ამბობს მაზედ, ვითომ „ივერიის“ მწერლები ეწინააღმდეგებოდნენ ამ ჭეშმარიტებას და როგორმე ემსგავსებოდნენ ამ შემთხვევაში სლავიანოფილებს. გარდა ამისა, სლავიანოფილებსაც (უფ. ნიკოლაძე ზომ ყველა სლავიანოფილებს ერთად ურევს) ტყუილს უგონებს* უფ. ნიკოლაძე.

უკაცრავად, უფ. ნიკოლაძე ამ შემთხვევაში ბრალსა სდებს „ცრუპატრიოტებს“, თუმცა ეს ბრალი, ჩემის აზრით, სრულიად სხვა საგანს შეეხება. უფ. ნიკოლაძე ამბობს, რომ სლავიანოფილებისათვის, მათი უმთავრესი განზრახვისათვის (ე. ი. სლავიანების განთავისუფლება და შეერთება. აქაც უფ. ნიკოლაძე ურევს ერთი ერთმანერთში სლავიანოფილობას და პანსლავისტობას) სასარგებლო და საჭიროც უნდა ყოფილიყო უცხო ენაზედ წერაო, რათა გაეგებიენინათ უცხოელებისათვის და სხვ. და სხვ. ბოლოს უფ. ნიკოლაძე ამბობს:

„იმის მაგიერ, რომ ეს მათი საქმისთვის საჭირო მოვალეობა შეესრულებიათ, ისინი – სწორეთ ჩვენებური პატრიოტებისთვის – მუხანათათ სთვლიდენ იმ მწერლებს, ვინც ამ გზას ადგა... ბოლოს თვითონვე დაიწყეს უცხოეთში წერა და მოქმედება, დაიწყეს უცხოეთის ენებზე ბროშურების ან გაზეთების გამოცემა, უცხოეთში ქადაგება... ზოგიერთ ჩვენ პატრიოტებსაც კი დაემართათ ამისთანა სირცხვილი...

მესამე თვისება სლავიანოფილებისა ის იყო, რომ გარეგან მხედულობას უფრო მეტს ყურადღებას ათხოვებდნენ, ვიდრე საქმის შინაგან არსებით თვისებასაო და სხვ. რაღა თქმა უნდა, რომ ჩვენი „ცრუპატრიოტებიც“ ამას შვრებიან.

„მეოთხე თვისებაო, ამბობს უფ. ნიკოლაძე, იმაში მდგომარეობდაო, რომ ყოველდღე რომელიმე უცხო ნაციონალობას ღეჟნიდენ“. ამის თაობაზედ უფ. ნიკოლაძე ღეჭავს ხელახლად ყოველად ძველს ჭეშმარიტებას: ვერ თქვენ თვითონ უშველეთ თქვენ თავსაო, საქმით გამოიჩინეთ, რომ შეგიძლიანთ რამეო და მერე სხვას

დასდეთ ბრალი: ჯერ დაამტკიცეთო, მაგალითებო, რომ „კალაჩე-ბის გამოცხობა შევიძლიანთო და მერე აღიარეთ სამღურავი, მოსკოვიდამ რად იბარებენ „კალაჩების“ გამოცხობასო და სხვა ამგვარი. მერე რაო? მერე უფ. ნიკოლაძე იკვების: „რომ მოვინდომო ამგვარი შედარების გაგრძელება, ერთ თვეშიაც ვერ გავათავებდი (მჯერა) ყველა მსგავსებების ჩამოთვლას, იმსიდე ანალოგია არსებობს სლავიანოფილებს და ჩვენ ვიწრო პატრიოტებს შუა... მგონია კი, რომ გონიერი მკითხველის დასაჯერებელათ და მისი თვალის ასახსნელათ ეს ოთხი მსგავსებაც საკმაო უნდა იყოს ჯერჯერობით. თუ ვინმემ ამ აზრის და შედარების დარღვევა მოინდომა, თუ სადმე მოისმა მისი უსაფუძვლობის შეწამება – მზათა ვარ, უფრო დაწვრილებით დაუბრუნდე ამ საგანს და უფრო საფუძვლიანათ დავამტკიცო ის ხელმეორეთ“.

ეს ნაწყვეტი რათაც უნდა ღირს. უკანასკნელი სიტყვები სრულს ნებას მძღლევენ ვთქვა, რომ უფ. ნიკოლაძეს გაგებაც არა აქვს ლიტერატურისა; მისთვის მწერლობა მარტო მუშტიკრივი ყოფილა მწერალთა შორის, მკითხველს რას დასდევ? არა, გაგონილა, თქვენი ჭირიძე; ჯერ ისე, ტყუილუბრალოთ წამოვროშავო, და თუ არ დამიჯერებენ, მერე დასამტკიცებელ საბუთს მოვიყვანო! აი, გამრყენელი ლიტერატურა ამას ჰქვიან!

ტყუილად გამინებს შენ, მკითხველო, უფ. ნიკოლაძე; ვერც არა საბუთს მოიყვანს, ვერც არა დამტკიცებას.

უფ. ნიკოლაძე გამწარებით ამბობს: „ისეთი პირებიც გაცრუ-პატრიოტდნენ, ვინც უწინ პატრიოტობას სისულელეთ თვლიდა, აშკარად კოსმოპოლიტობდა, ვინც მე, მაგალითათ, სულელათ იმიტომ მთვლიდა, რომ პატრიოტია, მაშ, რასაკვირველია, სულელი იქნებაო! დახეთ, ბედის ჩარხის ტრიალს! ეგვე პირები დღეს იმოღნათ გაცრუპატრიოტდნენ, რომ ათიათასჯერ გადამაჭარბეს პატრიოტობაში!.. ადვილათაც შესაძლებელი იყო ჩემი გადაჭარბება: კრივი ჩემი ქვეყნის ბედნიერებათ არასოდეს არ მიმაჩნდა, უმეცრებას ჩემ დღეში არ ჩავთვლიდი ჩემი ხალხის იდეალათ, იმას არასოდეს არ ვიფიქრებდი და არ ვიტყოდი – ნეტავი იმ დროს მოვესწრო, როცა ჩვენს ქვეყანას ფარნავაზ მეფის დროინდელი წესები მიეღოს-თქო“.

მაშასადამე „ივერიის“ მწერლები ყველა ამას ქადაგობენ. ტყუილია. უფ. ნიკოლაძე ამბობს – ამას გაკვრით ვამბობო. რაც უნდა იყოს, მაინც დამტკიცება გაკვრით თქმულსაც უნდა. შემდეგ უფ. ნიკოლაძე ცდილობს, აუხსნას მკითხველს, თუ „რაში მდგომარეობს მამულის მსახურება, რა ხეირი უნდა მოუტანოს მამულს მისმა შვილმა, რანაირათ უნდა ემსახუროს“? ამისათვის იწყებს ჩვენის წარსულის გამოკვლევას – თუ რამ დასცა ჩვენი მამული, (აკი ჩვენი წარსული არ ვიცითო? მეც აკი გითხარით უფ. ნიკოლაძემ ის იცის, რაც არავენ არ იცის-მეთქი). შემდეგ უფ. ნიკოლაძე ხელახლად ღეჭავს ათასჯერ დაღეჭილ ჭეშმარიტებას: ცოდნა არა გეჭონდა და დავეცითო, ამიტომ ცოდნა უნდა შევიძინოთო; თუ სხვას ვისმე გვინდა ვაჯობოთ, უნდა ეს სხვა გავიცნოთო; ჩინეთის კელლით არ უნდა შემოვსაზღვროთ ჩვენი ქვეყანაო; სხვისი ენის შესწავლა და სხვისი ცხოვრების გაცნობა პატრიოტულ გრძნობას არ აღშობსო და სხვა და სხვა. „კაცი იყოსო, ამბობს კიდევ უფ. ნიკოლაძე, თორემ სადაც უნდა ისწავლოს, როგორც უნდა ისწავლოს, კაცი მაინც დარჩება და გრძნობა მაინც არ დაეკარგება“. (უფ. ნიკოლაძეს სრულიად ვერ გაუგია ზემო ნაჩვენები წერილი „ივერიისა“) ან კიდევ: „მაცხოვარმა ბრძანა, როცა ჰკითხეს, რომელ ტაძარში ლოცვა უფრო ადვილად მიღწევს ღმერთამდით, რომ ოღონდ ლოცვა გულწრფელი ან მხურვალე იყოს და სადაც უნდა ითქვას, ყოველ ადგილიდამ ავა ზეცასაო“. უფ. ნიკოლაძის აზრით, ვისაც ჩვენი მამული უყვარს, მისი პირველი მოვალეობა ის არის, რომ ეკონომიური უსწორმასწორობა შეამციროს, ეცადოს, რომ უსამართლო უთანასწორობა მოისპოს და სხვ. საკვირველი ახალი აზრები ჰქონია უფ. ნიკოლაძეს! ამ აზრებისათვისაც კიდევ ამოეყუდა რუსის გამოჩენილ მწერალს და ამბობს: „მიეცით ხალხს საკვები და სწავლას ის თითონაც შეიძენსო“, გონიერათ თქვა იმ მწერალმა, რომელსაც ჩვენი ცრუპატრიოტები ოდესმე დიდ პატივს სცემდნენ“. ბოლოს უფ. ნიკოლაძე ამბობს, ჩვენ, თავის იმედი ვიქონიოთო (რასაც „ივერია“ ამბობდა).

კარგი და პატიოსანი. ახლა მიბძანეთ ყველა ამ აზრების გამოსათქმელად რა საჭირო იყო „დამჯდარი და სამეცნიერო

გამოკვლევა“ , „ოთხი სტადია“ და სხვ.? რისთვის გაიჭირა უფ. ნიკოლაძემ საქმე და გამოაშკარა თავისი უცოდინარობა? კიდევ იმისთვის, რომ ვერაფრით ვერ დაამტკიცა „ცრუპატრიოტების“ დანაშაულობა და იფიქრა: ჩემს ლათაიობას ამით მაინც მივცემ სარწმუნო შეხედულობასაო.

[1880 წლის 5 – 22 თებერვალი]

იცვნე ივინი

კარავთა შენსა ხლომისაგან ენათსა

იმდენად იმატა ჩვენში ამ დღემდის მწერლობამ, რომ კრიტიკას კარგა ბლომად მასალა აქვს, ასწონ-დასწონოს და ივემოს ეს მრავალფეროვანი საგონებთერო საზრდო, ჩვენის საზოგადოების საცხოვრებლად დანიშნული, კარგი კარგად იცნოს და რიგიანი ფასი დაადოს, ხოლო ავი, სუნ-მოკიდებული და დახავსებული, ჭკუის ბაზრიდგან ამოიღოს და ცეცხლი წაუკიდოს, თორემ, გარწმუნებთ, ჭკუის ხოლერა გაჩნდება, უეჭველად გაჩნდება და მაშინ კარგსაც და ავსაც ხომ განურჩევლად მიწასთან გაასწორებს, თან გაიყოლიებს და თუ რაიმე საკვირველებით ღმერთმან აგვაცდინა ეს ყოველთა ჭირთაგან უჭირიანესი სიკვდილმოსილი სენი, მაშინ გონების კუჭის მოშლას მაინც ხომ ვერ გადაურჩებით... ნუ გეხამუშებთ, ბატონებო, რომ გონებასაც კუჭი უხსენე. ჭკუა იგივე კუჭია: კუჭი, როგორც გამოცდილი მზარეული, ჰხარშავს და ამზადებს საზრდოს ყოველის სხეულისას იმ ხორაგეულობისაგან, რომელსაც სხვა ორგანოთაგან იღებს, და ასაზრდოებს მრთელს აგებულებასა. მაგრამ თუ ხორაგი ცუდი გამოდგა, უწმინდური, ავმოსანელებელი, მაშინ ვაი შენს მტერს რაც დღე დაადგება საბრალო კუჭს: იგი სასიკვდილედ

შეებმება მტერს გარნა დასასრულ მაინც ძლეულ იქნება მისგან, აიკუწება, დაჭრება და თუ მეშველი არსაიღამ აღმოჩნდა – საუკუნოდ განისვენებს ეს დედაბოძი სიმრთელეკანობისა და ზედ დაექცევა მას ყოველივე ტაძარი ტანისა. ჭკუა-გონებაც სწორედ ეგრეთივე მზარეული გახლავთ; იგი სწორედ ამ რიგადვე იღებს თავის საზრდო ხორაგს სხვა ორგანოთაგან და ნამეტნავად მწერლობისაგან; და როგორც კუჭი სტომაქისა ხორცისათვის მზარეულობს, ისე ჭკუა – სულიერის ცხოვრებისათვის. გარნა თუ ეს ხორაგი ანუ სანოვაგე გახნრწნილი აღმოჩნდა, ანუ სუნმოკიდებული, გინა თუ კარგ ნუზლსა ავმოსანელებელიც გაერია, გონების კუჭის მოშლა აუცილებელია. შეებმება ეს საბრალო კუჭი მოუნელებელს მასალას, სასიკვდილედ შეეჭიდება, აგებ დაგუ-მორჩილო იგი რომელსამე ლოგიკურს ფორმას, აგებ შევუთვისო, შევეუფარდო რომელსამე გონების ძალასაო, მაგრამ რა ვერას გახდება, მოუძღურდება ბრძოლაში, აენტება ყოველი მისი ორგანო და სამუდამოდ მოიშლება მისი ჩარხ-საბრუნავი და მასთან საუკუნოდ წაიშლება ყოველივე ნიშანი სულიერის ცხოვრებისა.

დიად, კრიტიკა დიდი ღონეა, იგი მწერლობისათვის იგივეა, რაც კუჭი აგებულებისათვის, რაც გამოცდილი ექიმი ავადმყოფისათვის, რაც ნიჭიერი სარდალი ანუ წინამძღვარი მხედრობისათვის, რაც სინათლე თვალისათვის, რაც თოხი ყანისათვის, ანუ ცოცხი ნაგვისათვის. კრიტიკა, როგორც კეთილი მეპატრონე, ზედ დასტრიალებს მწერლობას, ავს, მაწებელს ბალახ-ბულახს აცილებს მწერლობის ყანასა, ხოლო კარგს, წმინდას, სასარგებლოს გზას აძლევს აღორძინებისას, ანუ პოეტის სიტყვით,

ვარდსა მფშვინვარეს აყვავებს,
სულსა ჰხდის ნაკუნძალებსა.

სადაც კრიტიკა არ მოქმედობს, იქ კარგიც და ავიც

ერთმანეთში აირეკა და ყოველივე ავად გახდება, ნაგავად იქცევა.

სამწუხაროდ, ჩვენს მწერლობას არ უვის ეგრეთი ხელთა აღმპყრობელი ძალი, კრიტიკა თითქმის არ არსებობს ჩვენში და ეს არის მიზეზი, რომ „ავლაბრული პოეზია“ უფრო სალდება ხალხში, ვინემ ანკარა წყარო, დაყურსული ოქრო, მაღალ-ნიჭიერთ მგოსნებისა. უნიჭობა და უმეცრება ბაზარს პოულობს და სახელ-დიდებას იხვეჭს, ხოლო შრომა, მეცნიერება და ნიჭი იჩაგრება, უფერულდება, კვდება. განსაკუთრებით ეს სათქმელია ისტორიულ მწერლობაზე. ჩვენს დროში ყველას „ისტორიკოსად“ თავი მოაქვს, თუნდ „ქართლის ცხოვრებაც“ არ წაეკითხოს ოღონდ-კი ერთი-ორი სიტყვა წარმოთქვას ისტორიის სახელით, ერთი-ორი ფელეტონი, ანუ მცირე შენიშვნა დაეწეროს, ჩვენ ასეთი და ისეთი ვყოფილვართო, და კმარა... ისტორიკოსის სახელი უკვე მოხვეჭილია! მაგრამ სასაცილოცა და სამწუხაროც ის არის, რომ რამდენადაც ესეთნი გვამნი უფრო ჰკოჭლობენ ჩვენის წარსულის ცოდნაში, იმდენად უმეტესად, მედგრად, დარწმუნებით, თავ-მოწონებით და მქისედ ჰქადაგებენ და ასალებენ თვისს სწავლას; მათმა თავწასულობამ იმ წერტილამდე მიადწია, რომლის უმაღლესს, ვგონებ, თვით აღვირაშვებული ფანტაზია ანუ ოცნება ვერ აფრინდება. მერე რას არ ჩაგვძახებენ ეგე „თავისა თვისისა ბრძენმყოფელნი“! ყველას რომ ყური მივუპყრათ, სწორედ რომ ყურებს გამოგვიჭედენ! ერთმა, მაგალითებრ, რიხიანად და საქვეყნოდ წარმოსთქვა: თქვენი მატთანე სულ ზღაპარია, არც თამარი გყოლიათ, არც ვახტანგი, არჩილიც არ ცხოვრებულა და ერეკლეც მოგონილიაო... გამოჩნდა, რომ ამ ვაჟბატონს ჩვენი მატთანე თვალი-თაც არ ენახა, და თუნდაც ენახოს, ვერას წაიკითხავდა უმეცარი ჩვენის ენისა და ერისა. მეორემ აგრეთვე „მეცნიერმან“ ჩვენის მატანიისამ და არა ენისამ იმის პასუხად

უფრო ბევრითად გადმოგვძახა: ჰაი, ჰაი ჰსტყუვისო, იცით, რა კული ეწვისო?... ჩვენი მატთანე თვით ნოემ იწყო და „შემდეგითი შემდეგად“ მეფენი და დიდებულნი ჰსწერდნენო... მაგრამ ყური უგდეთ მესამესა, აი, რას მოგახსენებთ: თვით ქართული მწერლობა, დამიჯერეთ, ადამისითგან იწყო; ქართლის ცხოვრებას ნუ დაუჯერებთ, მე უფრო ვიცი, მოწამედ მყავს ჩემი კული და თუ გინდათ მელიაცა, ღრეპერიც მეთანხმებო ამაზე. ფარნაოზმა კი არა, ადამა შემოიღო ქართული ანბანი. დიად რომ ადამმა, თვით ადამიც კი ქართულის ენით ლაპარაკობდაო!.. ჰაი, ჰაი, რომ ბიჭებიც ჩვენ ვყოფილვართ და ქუდიც ჩვენ გვხურებიო!.. მაგრამ აჰა, გამოჩნდა ერთი ვინმე ჰაოსიანი არარატის მწვერვალზე და გაიგონეთ, რას მოგითხრობთ: თქვე საწყლებო, საიღამა ჰკნავითო, არც „ქართლის ცხოვრება“ გქონათ და არც ქართველი ყოფილა დედამიწაზეო; ყოველი პირი მიწისა ჰაოსიანთ გვარსა სჭერია, ქართველებიც და სხვა ერნიც კი ამ ახლო ხანებში გაჩენილან, როგორც ჭია ჩნდება, თუნდ, მაგალითებრ, კაკლის გულშიო. არ არის ჭემმარიტება არცა ერთი, რომელიც ჩვენს ერში არ მოიძებნებოდესო... მოვედით ჩემდა მამვრალნი და მწყურვალენი ჭემმარიტებისა და მე განგისვენებთ... მაგრამ დალახვროს ღმერთმან, კიდევ აღმოჩნდა ყაზბეგის მწვერვალზე ერთი ვინმე ახოვანი „ღევ-გმირი“ და თვალის ბრიალით, ხელთა გაშლით, საზარელის ხმით ჩამოგვეყვივს: სტყუვიან ი კატის კნუტები, ჯოხი მაგ კულაბიკებს, მაგ ჩხავანა ყვაეებს ფარშავანგის ფრთებით შემოსილებსა, არავის დაუჯეროთ; „მე ვარ დასაბამი სიბრძნისა და დასასრული და ჩემს გარეშე არავინ არ უწყის არცა ერთი. მო, ყური მიგდეთ და კარვად გაიხეპირეთ, რას გეტყვით. ერი ჩვენი ცხოვრებულა დასაბამიდგან სოფლისად და დიდაც დიდი ადგილი ჰსჭერიათ; სომხობა ხომ მოჯალაბედ გვეყოლია და არაბ-თათარ-ოსმალ-სპარსნი მუშებადაო.

მაგრამ ზოგი კიდევ ამას გვეუბნება, ვითომ ჩვენ, ქართველები, არც იქით, არც აქეთ, ყველანი გამოუკლებლად მატყუარანი ვყოფილვართ და ვიქნებითცა, მრუდენი, უმეცარნი, დო-ყლაპიები... არ გამოჩენილა და არცა გამოჩენად არს ჩვენში არცა ერთი გმირი, არცა აჩრდილი გმირისა; ჩვენნი ძველნი, ფარნაოზიდგან მოაქამომდე, ლობემძვრალანი ყოფილან, ზაქიყლაპიები, ქონდრის კაცები. განსვენებულნი და დღევანდელნიცა მწერალნი თუნდაც ერთ კონად შეჰკრათ, ლუკმადაც არ მიყოფაო...

რომელ ერთს დავუჯეროთ! მოდი და ნუ მოეშლება კუჭი ჭკუასა, ან როგორ მოინელოს ჭკუამა ამ გვარი სხვადასხვაფერი საზრდო-სანოვაგე! რომელ ლოგიკურ ფორმას უნდა შეუფარდო, რომელ კანონს ჭკუისას დაუმორჩილო, რომელს ძალას გონებისას შეუთვისო! ალიას რომ დავუჯერო, მუსია დამწიხლავს და მუსიას რომ მივემხრო, მოსესა „ბდღვირს“ ამაღენს, ამას რომ გადავუდგე „დევ-გმირი“ გარდამყლაპავს... ხოლო ამას თუ გადურჩი, ანტონას სად წაუვყავ? სად წარვიდე პირისაგან მათისა!.. ჭკვას ღერძი გაუტყდება, მამ რა მოუვა!

მაგრამ ნუ გგონიათ, რომ მოხსენებული ჯურის ბანაკი „ისტორიკოსთა“, რომელთა თავი თვისი ისტორიკოს და მეცნიერ უყვიეს“, მხოლოდ ამ მაღალს ფანტაზიის წერტილზე ისხდნენ. არა, ისინი ხშირად ჩამოიწევენ ძირსაც, ნამდვილ საისტორიო წყაროებს დაჰხედავენ ხოლმე, მუჭით წყალი ამოაქვთ, თითონაცა სმენ და ჩვენც გვასმევენ. მაგრამ ვაი ამ მუჭით სმასა!

ნუ გგონია, რომ ამ ბანაკის მეისტორიეთა ჩვენს ისტორიულ წყაროებს სათავე უპოვონ და იქილამა სვან და გვასვან მეცნიერება; ნუ გგონიათ, თვით შეაგროვონ და შეისწავლონ ნამდვილი სხვა წყაროები, განფანტული ძველს წიგნებში, გუჯრებში, სიგელებში, წარწერებში და სხვადასხვა

არხეოლოგთა ნაშრომში... თქვენც არ მომიკვდეთ! განა ამისთანა ნაგავში ქექა საკენკისა საკადრისია იმისათვის, ვინც მუდამ მალლა ჰფრინავს? მაგდენად განა თავს დაიმდ-აბლებენ, უკადრისს იკადრებენ?! თუნდაც რომ იკადრონ, სიზარმაცე კი ნებას მისცემს და ან მოიცლიან ამ დაქვეითე-ბისათვის? ამ ჯურის ისტორიკოსნი ყველა ზარმაცობით გამსჭვალულია, მხოლოდ „ბულვარის ტკეპნაშილა“ არიან დაულელენი; არც ცოდნა აქვთ შესაფერი, რომ გაიგონ ძველი ენა, და ლოგიკური მსჯელობაც იმდენად ვერ გაუწვრთ-ნიათ, რომ მრავალფერი ნაკუწ-ნაკუწი ცნობები გააერთონ, ერთად შეადულონ, გააზოგადონ და ჭეშმარიტი აზრი დაასკვნან. ისტორიულ სწავლა-ცოდნას, განათლებასა ხომ არც ზედ დაჰკარებდნენ... ვითომ რა პრასა-ნიახური ბრძანდება ეს „ის-ტორიული განათლებაო“? ჩვენ თვითონ განვანათლებთ თუ გნებავთო და თვით ისტორიას, თუ ვინებებთ, „არა-არსისაგან არსათ მოვიყვანთ“ და განვაბრწყინვალვებითო.

ამის გამო ამ ჯურის მეცნიერნი არა თუ არ დაეძებენ ისტორიულს ნამდვილს, პირველ წყაროებს – თქვენ არ მომიკვდეთ, – არამედ მზა-მზარეულიც რომ მიართვათ, თითი-თაც არ ინებებენ დაკარებას, შიგ ხომ, რა სათქმელია! – არ ჩაავლებენ ბრწყინვალე თვალებსა. მაგრამ ესეც ცოტა ვსთქვი: ერთმა ჩემმა კარგმა ნაცნობმა ამ ჯურის ისტორიკოსმა საქვეყნოდ გამოაცხადა: ანდა ვითომ რა საჭიროა მაგ ძველ და დამპალ მწერლობის შესწავლა, ვირთხანი ხომ არა ვართ, რომ არხივებსა და საფლავებში ვიცოცოთ და თვალები გავიწყალოთო... ვითომ რას ჩასცივებიხართ ძველებსა, ახალ-ახალი ცხოველი მწერლები: დრეპერი, სპენსერი, დარვინი, პისარევი, ფურცელაძე და სხვა და სხვა – ესენი იკითხეთ და აქედგან შეადგინეთ ისტორია. საკმაოა ერთი ბრწყინ-ვალე აზრი იმათი, რომ მთელი ისტორია ჩვენის ერისა და თუ გნებავთ მთელის ქვეყნიერებისაც თვალწინ გადაგეშალ-

ოთო. ჰაი, თქვე თაგვებო, თხუნელებო, ღამურებო, მაწანწალებო, მკვლართა შემადრწუნებლებო...

შენი მტერი, რომ მე ავად მომიხდა წინააღმდეგობა: კუდაძობეული ფეხ-აკრეფით საჩქაროდ გავეშურე ჩემი ქოხისკენ და მას შემდეგ განკიცხული ვარ და მარადის შეურაცხყოფილი ახალ მოდის მეისტორიე ბანაკისაგან. მაშინ მე, უმეცარსა, თავზარდატეხილსა, არ მესმოდა, თუ რა ძალა ჰქონდა ჩემის მეგობრის სიტყვებს და მხოლოდ მაშინ, როდესაც ერთმა ამ ბანაკის დიდებულმა ისტორიკოსმა ერთის კალმის მოსმით თავს ლაფი დაასხა გამოჩენილთ მეისტორიე დ. ბაქრაძეს, ოქრომჭველლიშვილსა და თვით ფილოსოფოსსა პლატონ იოსელიანს და სხ. და საქვეყნოდ დაამტკიცა, დრეპერის აზრის აყოლით, რომ ქართული ანბანი, არც იქით, არც აქეთ, სწორედ რომ თვით ნოემ თავის კიდობანშივე დასწერაო და ენა ქართული თვით ადამმა სამოთხეშივე მოიგონაო, მხოლოდ მაშინ აღმეხილა თვალი და მივხვდი, რომ ისტორიული მასალა ისტორიისათვის საჭირო არა ყოფილა! გაქარწყლდა დიდება და სახელი უდიდებულესთა მეისტორიეთა, რომელთა მთელი ცხოვრება დაჰკლიეს საისტორიო მასალათა შეგროვებასა და დაწყობაში. წარწყმდა სახსენებელი მათი, „ვითარცა მტვერი, რა აღგავის ქარმან პირისა ამ ქვეყანისა.“ დიდება, განგებულებასა შენსა, უფალო!.. სწორედ რომ ყოველივე ცვალებადი ყოფილა ამ ქვეყნისა და წარმავალი! „ამაო ამაოებათა, ყოველივე ამაო“ ღალადგყოთ ჩვენცა, მკითხველო, ერთად ყოვლად ბრძნისა ებრაელთა მეფისა სოლომონისათანავე...

არც ის იფიქროთ, ეჭვიც კი ნუ გაგიელავთ თავში, რომ ვითომ ამ ბანაკის ისტორიკოსთა იცოდნენ ჩვენის ისტორიის დიდებული ძეგლი და საფუძემდელი „ქართლის ცხოვრება“. მართალია, იმათ იციან სახელი ესე, უწყებულ არიან, რომ გვაქვს მატთანე „ქართლის ცხოვრებად“ წოდებული,

გარნა თვით არა აქვთ ეს შესანიშნავი წყარო, თუმცა კი ყველანი ამ მატიანის სახელით გვაყრუებენ, და თუ ვისმეს აქვს, აქვს „ისე ფორმისთვის“. თქვენს მზეს ვფიცავ, რომე შიგ არ ჩაიხედავენ ხოლმე. უეჭველია, რომ ეს წყარო იმდენად სრულია, მრავალფერი და მართალი, იმდენად საინტერესოა და მასთან აქამომდე კიდევ გაურჩეველი, გამოუკვლეველი, რომ ისტორიკოსი დიდს არას დააშავებს, თუნდაც რომ მან – თუკი ხელმოკლეა სხვა წყაროთაგან – ამ წყაროს ეწაფოს. ოღონდ დასჭირდება ამ შემთხვევაში დიდი შრომა, საფუძვლიანად შესწავლა, ღრმად დაკვირვება, საკუთარი მოხერხებულობა და ყველაზე უწინარეს სხვა ერთა ისტორიის შეგნება, საზოგადო ისტორიული განათლება; ერთის სიტყვით – წინასწარი მომზადება, გარნა ამისად სად სცალიანთ „ახალმოდურ მეისტორიეთ“, რომელთა სხვა უძძიმესი ქვეყნის უღელი აძევთ კისრად – ბულვარის ტკეპნა, ცხელ-ცხელ ამბების გამოცხობა თავისსავე სამზარეულოში შესახებ პატიოსანთა და ნუგეშინისცემა მათი თვისთავე თანამებულვარეთა ძმათა და თანამეისტორიეთა, „თანამეტროტუარეთა“, ქება-დიდების შედგენა თვისთა „მოძმეთა“, რათამცა, მათგანცა იდიდებოდეს სახელი თვითონ მადიდებელისა. შესანიშნავია და საგულისხმიეროც ისა, რომ „ესევეითარნი გვამნი“ უმეტესად, უპირველესად და უუსასტიკესად მივარდებიან ხოლმე უპირველესთა და უპატიოსნესთა მოღვაწეთა ჩვენის ერისა და მწერლობისა... რადა? – „რათა უმეტესი დიდება მოიძკონ. აბა, რა ძნელი გასაგებია, რომ თუნდ, მაგალითებრ, მე რომ დამამარცხონ და ლაფშიაც ამომავლონ, ვითომ რა დიდი სახელი შერჩებათ!.. დონ კიხოტმა ტყუილი კი არ მოახსენა „გმირსა თეთრის მთვარისასა“, რომელიც გამოვიდა მისდა ბრძოლად: „უკუთუმცა დაგაკვეთნე შენ, არამცა მოვიძკო სახელი, არცა დიდება; რამეთუ არა ჩინებულ არს სახელი შენი ერთა შორის და გმირთა ესპა-

ნიისათა; ხოლო შემეთუძცამებრძოლო სახელგანთქმულსა გმირსა ყოვლისა სოფლისასა და დამძლიოცა, მოიხვეჭო სახელი უოხგნელი კიდითგან კიდემდე სოფლისად“. ეტყობა, თანამედროვე გმირთაც კარგად შეუსწავლიათ ეს აღმთქმა აწ განსვენებულის ღონ კიხოტისა... მაგრამ, მიბიტევეთ, მკითხველნო, უნდა გამოგიტყდეთ თქვენ (სხვას კი, გეთაყვანეთ, ნურავის უამბობთ), რომ მეც ცოდვილი ვარ და ეს „პირველი“ ლახტი წინააღმდეგ „დევეგმირებისა“ იმ აზრით მოვიქნე, რომ თუ იპრიანა ღმერთმან და დავამხე დიდება მათი, მაშინ ხომ განითქვა სახელი ჩემი და თუ თვით ძლეულ ვიქმენ – ჩემს სახელს მაინც ხომ არა დააკლდება-რა და, წინააღმდეგ, კიდევ მოემატება. იტყვიან, ყოჩად, „დევეგმირებს“ შეჰბედა ჭიდილიო! ერთის სიტყვით, როგორც გინდა და-ტრიალდეს ჩემი იღბალი, მაინც „აღჩუ“ დამიჯდება.

ნურას უკაცრავად, მკითხველნო, და ცოტათი, ვგონებ, გზას აგაცილეთ. მომიბიტევეთ, ეს სულ „ჭკუის მოშლის“ ბრალია... არ შესცდეთ, არ ინებოთ ის ახალმოდური სალიტერატურო საუზმე, თორემ უარესი მოგივათ. ჰო, მე მოგახსენეთ, რომ „ახალმოდის“ მეისტორიენი არავითარს პირველს წყაროს არ ეძებენ, არცა იციან და არცა უნდათ იცოდნენ, თუნდაც მზამზარეულიც მისცეთ. „ქართლის ცხოვრებაც“ ეძძიმებათ „მოუცლელობისა გამო“, გარნა, მიუხედეველად ყოვლისა ამის, სწერენ კი მრავალსა. აღივსო ჩვენი „ბაზარი“ მათის ნაწერის წიგნაკებითა, „ბროშურებითა“ და წიგნებითა. გამოიკვლიეს მათ და გასინჯეს ყოველი ძარღვი ძველის ჩვენის ცხოვრებისა, ყოველივე მისი გულისცემა, მალამოც გვიჩვენეს

ა

ნახულევი... გვიშველე, გამოეკიდე ჩვენს მტერსაო, დააგდებინე მონატაცი და ჩვენი ჩვენვე დაგვიბრუნეო, თორემ ცხადადაც მოგველინებითო, თქვენ ცოლ-შვილს გულს გაუხეთქავთო და „ოკრუჟნი სუდში“ საჩივარსაც შევიტანთო და

მაშინ, ვნახოთ, მეტეხის ციხეში თავს ვინ ამოჰყოფსო... შეწუხდა და შეძრწუნდა თურმე საწყალი იგი „ივერიის“ თანამშრომელი და „შიში დიდი დაეცა მას ზედა“. რა კქნაო, მეგობარო-„ჯან“, შემოძივლა გაფითრებულმან, მირჩიე, გეთაყვანე, როგორ გადურჩე ამ ჭირსაო: მკვდრებს რომ არ გავუგონო – ვაი თუ საფლავში ჩამითრიონო და ცოცხალს რომ ხელი ვახლო, ვაი თუ განძვინებულმა მან ავქსონმა მკვდართა თანა წარმგზავნოსო... უბედურო თავო ჩემო, საწყალობელო თავო, რა დროს შევესწარ!.. ძლივს დავამშვიდე ჩემი მეგობარი და დავარწმუნე, რომ „მკვდრებსა პატივი ჰმართებს-მეთქი“, პატიოსნებაც მოგიწვევს შენ მათთა დასაცვლად და თვით უფალი გვიბრძანებს დადებად თავისა თვისისა სიმართლისათვის და ჭეშმარიტებისა და თუ, ვინ იცის, დევნა და სიკვდილიცა მოგაგოს შენ „ცხოველმან“ მან მკვდართა შეურაცხყოფელმან, ნეტარ ხარ შენ, რამეთუ უხრწნელი გვირგვინი წამებულთა და დევნულთა დაიდგა თავსა ზედა შენსა... და რაი არს უმშვენიერესს და უდიდებულესს ამისა! ნუ ყოვნი, მეგობარო ჩემო, შეირტყე წელთა შენთა მახვილი მხნეობისა და ძალი წერისა მოეც მკლავთა შენთა და თითთა და შთაიცივ აბჯარი იგი სიმართლისა და განვედ ბრძოლად დრკუთა მათ ზედა და მტაცებელთა და მყვირალთა, განსწავლილთა უუკანასკნელესთთა ხელოვნებითა „ახალმოღურად“ ბრძოლისათა (არგანებითა, რომელ არს ჯოხებითა, გინა მუშტ-კრივითა, „ბოკსურად“ ცემითა, გინა ჭორმეტყველობითა“, რომელ არს „ჭორიკანაობა“ და სხ. ამგვართა ხელოვნებითა)... „ღმერთი მწე შენდა არს: ნულა გეშინოდეს შენ ბევრეულისაგან ერისა“, აჰა, მეცა შენთანა ვარ-მეთქი მოვასხენე მეგობარს. თუ გასაჭირში ჩაჰვარდები, გფიცავ, არ დავზოგო თავი ჩემი შენთვის ვიდრე უკანასკნელის სისხლის წვეთადმდე. თუ კიდევ გეშინის, ფუ შენს კაცობას-მეთქი, ლეჩაქი მაგ ჯაბანს თავს, ლაფი მაგ წვერ-

ულვაშს...

ის იყო და ის, ყოყმანს ბოლო მოელო. გარდავწყვიტეთ და „მოკლე ისტორიას“ ანდერძი ავუგეთ. ვიშოვნეთ ისტორიული ნაწერები ბარათაშვილისა, სამივე რვეული, რომელშიაც აღწერილია საქართველოს ისტორია იმ დრომდის, როდესაც განიყო მრავალ ნაწილად და დამწვრილდა სამეფო საქართველო□სა; გოლოვინის ისტორია ხომ არის „კავკასიის კალენდარში“ მოქცეული. დავსხედით, მოვიღეთ თვით ის მოკლე „ისტორია ზემოხსენებულის „წინასიტყვაობითურთ“ და შევამოწმეთ ჯერ თ. ბარათაშვილის ისტორიას და აჰა განსაკრთომელი! მეორე თუ მესამე წიგნის გვერდითგანვე იგი „მოკლე“ ისტორია „სრულიად“ ბარათაშვილისას კვალ-კვალობაზედ შეუდგა, ფრაზა-ფრაზაზე, სიტყვა-სიტყვაზე, ანბანი-ანბანზე. ვიარეთ, ვიარეთ, ბევრი ვიარეთ, ცხრა მთა გარდავიარეთ და „ნასკუპი“ კი ვერსად ვნახეთ, სულ იმავე კვალზე წავიდა „იგი მოკლე“ მაგ სრულ ისტორიაზე, „მკვდარი“ იგი სწორედ ხომ ზედ ლარივით დაედო „ცოცხალსა“ ავქსონსა, ცხვირი ცხვირზედ ზედ გამოეჭრა, მკლავი-მკლავზედ იფიქრეთ, რომ ფრჩხილიც კი ფრჩხილზე მივიდა... შევკრთით და ერთხმად წამოვიძახეთ: დიდება საკვირველებათა შენთა, უფალო! რარიგ დამსგავსებულა „მკვდარი“ „ცოცხალსა“ და „ცოცხალი“ იგი ავქსონი — „განსვენებულსა“ მას ავქსონყოფილსა! სწორედ რომ ცხადი „სასწაული“ იყო. ჩემი ურწმუნო მეგობარიც კი მოაქცია სარწმუნოებაზე ამგვარმა თვალდასანახმა, ცხოველმა, თავახდილმა სასწაულმა. სწორედ რომ განგება ერია ამ საქმეში!

ნუ დავივიწყებთ, რაც მოგახსენეთ: „ცხრა მთა“ გადავიარეთ-მეთქი... მაგრამ მეათე მთას რომ შევეუდექით, შენი მტერი რომ ჩვენ დავიბენით. იგი „გზა ბარათაშვილისა“ დაგვეკარგა, ტყე და ღრიანტელებში დავძით, მზე ჩავიდა და დავვიბ-

ნელდა, შიშმან და ძრწოლამ მთლად წარგვიღო ამ წყვილ-
აღს უღაბნოში, უგზურ და ურწყულში, ვა□ თუ უკან ვერ
მოვბრუნდეთ, დავიკარგნეთო. ამ გაჭირვებაში „განსვენებუ-
ლის“ გოლოვინის ისტორიას დავეკითხეთ გზას, დავიწყეთ
კითხვა, მაგრამ, თქვენ არ მომიკვდეთ, ნუგეში არ გვეცა, ისევ
კლდე-ხეხვებში ჩაგვაგლო, უგზო-უკვლოდ; სხვა „ცხრა მთაც“
ბევრი გადავიარეთ ამაოდ. უეცრად (სწორედ რომ მეთოთხმეტე
საუკუნემდის რა მივედით) ლანდივით გამოჩნდა ერთი ბი-
ლიკი, თითო ორ-ორი სიტყვა ერთმანერთს მოხვდა, მერე
მრთელი ფრაზა ზედ გამოეჭრა მაგ. „მოკლე ისტორიის
ფრაზაზე, შემდეგ სტრიქონები დაეწყო სტრიქონებზე, გვერ-
დი-გვერდზე დაწვა, „თავი“-„თავზე“ მივიდა, უკანასკნელი
ფეხიც კი „მოკლეს“ ისტორიისა „მოკლესავე“ გოლოვინის
ფეხზე დაესვენა (გოლოვინი კი არ იყო „მოკლე“, არცა
ფეხი მისი – ნუ იყოფინ, – არამედ მხოლოდ მისი „ისტო-
რია“ არის მოკლე); ერთის სიტყვით, ორნივე „მოკლენი“
გვამნი, ერთი მკვდრისა გოლოვინისა, ხოლო მეორე „ცოცხ-
ალის“ აკქსონისა, ისე დაემსგავსნენ, როგორც, ვთქვათ, ორი
წვეთი წყლისა ერთმანერთს ჰგვანან, ანუ ორნივე თვალნი არ
განიჩრვიან ურთიერთისაგან, გინა ორნივე ნახევარნი სწორედ
გაჭრილის ვაშლისანი, ან თუ ორნი მარგალიტნი ობოლნი.

მაშინ კი აღმოჩნდა გასამტერებელი თვალთათვის და
გონებაშიუწვდომელი, აზრისა მიუგნებელი, მიუხვდომელი
„ერთობა“ ანუ ყოვლადი მსგავსება „ვიდრე ორთავე ერთ-
ყოფადმდე“. დასასრულ სწორედ ზედ შუბლზედ დაეწერა
„წინასიტყვაობა“, ძღაღადებელი: „მე, ამან და ამან, ამას და
ამას ინდიქტიონსა და ქორონიკონსა, ხოლო დასაბამითგან
სოფლისა და განხორციელებითგან უფლისა ამას და ამას
წელსა და თთვესა, დღესა და ჟამსა, წამსა და წუთსა შევქ-
მენო ესე „მოკლე“ ისტორია გამოუთქმელითა შრომითა
„ჩემითაო“... სადიდებლად ჩემდა და სასოებად ერისა ჩვენისა

და კნინლა ყოველთაცა თესლთა კაცთასა“... ბოლოს: „აღ-
ლილუია, ალლილუია, ალლილუია, დიდება შენდა, ღმერთო,
ყოვლისა სრულმყოფელო... ამინ და კირიელეისონ!“

ამნაირად აღსრულდა ეს გასაოცარი „ქმნილება“ და
წარსდგა ქვეყნის წინ „ახალ ესე არსება“ ორთა მკვდართ-
აგან შეზავებული. შეიძრა ქვეყანა და მიეგება ამ „მერვე
სასწაულსა“ ჩვენის საუკუნისას ძღვნად მიაქენდათ ყოვე-
ლივე, ვის რა ებადა: „ოქრო თუ გუნდრუკი“. ეს ოთხი თუ
ხუთი წელიწადია, რაც საზოგადოება ჩვენი და მწერლობა-
ცა და თვით საზღვარგარეშენი მეგაზეთენი სულ ამ ახალ
„ქმნილებაზე“ სწერენ მოუსვენებლად... განითქვა სახელი
შემოქმედისაცა მისისა ვიდრე კიდემდე ცისა. გარნა უშუ-
ტესად გასაოცარი და გასაშტერებელი ის არის, რომ ამ
„მოკლე“ ისტორიას უშველებელი, მთასავით უზარმაზარი
თავ-მკერდი ადგას „სრულის“ ბარათაშვილისა „მოკლე
ფეხებზე“ გოლოვინისაზე. გარნა ეს უკანასკნელნი „მოკ-
ლენი ფერხნი“ შორს აბიჯებენ და მარდად მიმომსვლელობენ.
პირველ დანახვაზევე შეგეცოდებათ საწყალი „მოკლე“ ფეხ-
ებიანი გოლოვინი, მტვირთველი „მწვრილთა ზედა ფერხთა
თვისთა“ უზარმაზარის ბარათაშვილისა, მაგრამ თუ დააკვირდ-
ებით გოლოვინის „პაწაწა“ ფერხთა სიმარდეს, მალე დამშ-
ვიდდებით... სასწაულია, მაშ რა ჯანაბაა! რაბამ არიან, უფა-
ლო, საკვირველებანი შენნი! აღმოირჩევ დრკუთა და ენ-
აბრკუთა, რათა ჰქადაგო სახელი შენი ერსა შორის!

სასჯელნი დაფან და აბირონისანი მეწიენეს, თუმცა ცილსა
ვწამებდე და შიშთვილი იუდასი ნუცა ამცდების, უკეთუ
მზაკვრობით ვიტყოდე! ნუ ნათობთ ჩემზედ ან მზე და მთ-
ვარე, ნუცა მეცინიან მე ვ <თავადაზნაურული მედიდურობა>

ტფილისი, 20 აპრილი.

მეოცე საუკუნე დადგა და ჩვენს ცხოვრებაში ჯერ კიდევ აქვს ფესვი გადგმული თავადაზნაურულ ცრუმორწმუნეობას. საფუძველი თავადაზნაურობის არსებობისა დაინგრა ბატონყმობის გადავარდნით; წყარო, რომელიც ზრდიდა თავადაზნაურობის გავლენას, დაშრა, მაგრამ ცრუმორწმუნეობა მაინც კიდევ არ მოისპო. ეს გარემოება საუკეთესო დამამტკიცებელია იმისი, რომ მამაპაპით შესისხლხორცებული რწმენა ადვილად არ ჰქრება.

მეოცე საუკუნე დადგა და ჩვენს ლიტერატურას თავადაზნაურული ცრუმორწმუნეობა ჯერ კიდევ საჭირობოროტო საკითხად გახლდომია. რამაც ევროპიულ ლიტერატურაში კაი ხანია ჩაილუღის წყალი დაღია, ჩვენში დღეს თხოულობს გარდაწყვეტას. ასეთია ჩვენი ჩამორჩენა, ასეთია უფსკრული, რომელიც საზღვრავს ჩვენს ქვეყანას ევროპისაგან.

ძველადვე შესისხლხორცებულ რწმენათა შორის თავადაზნაურული ცრუმორწმუნეობა თითქმის ყველაზედ უფრო მანებელია და ხელის შემშლელი ჩვენის კულტურულის ზრდა-განვითარებისა. ქართველი ერის ერთი მეთაფი ნაწილი არ მუშაობს და ბედოვლათობს, რადგან დარწმუნებულია, რომ მუშაობა სათაკილოა „კეთილშობილისათვისაო“. ჩვენებური აზნაური, ხშირად თავადიც, ლაქიად წავა და გუთანს კი არ მოჰკიდებს ხელს, თითქო ლაქიობა უფრო საპატიო იყოს, ვიდრე მიწის მუშაობა.

ზემო-იმერეთში გლეხები გაკეთდნენ „შავი ქვის“ ზიდვით და თავადები და აზნაურები კი გაკოტრდნენ, რადგან არ ჯადრულობენ ქვის ზიდვას. ვისაც „მწონავობა“ არ შეუძლიან იშოვოს, დღედაღამ გვერდზედ წოლას არჩევს, შიმშილითაც რომ სული ჰხდებოდეს და მეურმეობასა და ჩალვადრობასაც კი არ იკადრებს.

„კეთილშობილ“ ქალებს ხშირად მჭადის ცხობა ეთაკილებათ, თუმცა რეცხვა არ მიაჩნიათ ცოდვად. ვეებერთელა ვაჟკაცი კოკით მხარზედ წყალს არ მოიტანს, წყურვილითაც რომ იხრჩობოდეს მისი ოჯახი და სხვა და სხვა.

ერთის სიტყვით, ნამდვილი აზიაა ჯერ კიდევ ეს ჩვენი დალოცვილი ქვეყანა.

რა შედეგი მოჰყვა ამ გარემოებას? ის, რომ აზნაურის ოჯახი დანგრეულ-გავერანებულია. შედარებით ბევრად უკეთ არის მოწყობილი მშრომელ გლეხის ოჯახი. ამას გარდა, ამოღენი უქმი ხალხი მძიმე ტვირთად აწევს სოფლებებს; რაკი თავისი არ აბადია-რა, მუდამ იმაზედ აქვს თვალი დაჭყეტილი, რომ მეზობელს დასტყუოს ან წაართვას რამე. აი, უმთავრესი მიზეზი მძულვარებისა ახლანდელ გლეხობასა და თავადაზნაურობას შორის.

მეორე მიზეზი, რომელიც შეუძლებელჰყოფს დაახლოვებას გლეხობასა და თავადაზნაურობას შორის, ის არის, რომ თავადაზნაურობას დღემდის ვერ შეუგნია უკდავ შოთას სიტყვები:

„ათასად გვარი დაფასდა,
ათიათასად ზრდილობა,
თუ კაცი თითონ არ არის,
ცუდია გვარიშვილობა“.

მეტადრე თავადებსა აქვთ ძვალ-რბილში გამჟღადარი ის აზრი, ვითომც თავადის ღირსება აღემატებოდეს აზნაურისას და გლეხისას. ერთმანეთს უთუოდ „ბრწყინვალეებით“ ახსენებენ, რომ თავი განასხვავონ დანარჩენ ქართველთაგან. ესა და ეს კაცი თავადიშვილიაო, მოწიწებით იტყვიან ხოლმე.

ეს ცრუ აზრი დიდს უფსკრულსა სდებს თავადებსა და დანარჩენს ერს შორის; ეს ცრუ აზრი არის მიზეზი, რომ საკმაოდ შესამჩნევი ნაწილი ერისა მოწყვეტილია ხალხს. თანხმობით მოქმედება საერთო კეთილდღეობისათვის ამავე მიზეზით ბრკოლდება. არავისთვის დაფარული არ არის, რომ თავადები სჩაგრავენ ისედაც დაჩაგრულ ერს თავის ცრუამპარტავნობითა და მედიდურობით და ზოგნი სჩაგრავენ ახლაც, იმის მაგიერ, რომ თავისი გავლენა და ძალა ერის სასარგებლოდ მოიხმარონ.

პირველი საშუალება, რომელიც სპობს ყოველგვარ ცრუმორწმუნეობას და მოსპობს, რასაკვირველია, თავადურ ცრუმედიდურობასაც, თვით ცხოვრებაა. ამპარტავნება თან გაჰყვება სიმდიდრეს.

მეორე საშუალება, რომელსაც აგრეთვე დიდი მნიშვნელობა აქვს, არის განათლება. ეს ისე ცხადია თავისთავად, რომ დამტკიცება არ ეჭირვება.

თავის მხრივ ლიტერატურასაც შეუძლიან გაუადვილოს საზოგადოებას ახალ, ჭეშმარიტ აზრების შეთვისება, შეუძლიან შეამოკლოს ბუნებრივი ისტორიული პროცესნი, მიიღოს, მამასა-ღამე, მონაწილეობა ცრურწმენათა მოსპობაში.

ღიად, ჩვენ მოვალენი ვართ, ხშირად მოვავგონოთ ჩვენს თავადებს ზემოხსენებული სიტყვები: „თუ კაცი თითონ არ არის, ცუდია გვარიშვილობა“.

[1903 წლის 19 აპრილი]

<თავადაზნაურული მედიდურობა>

ტფილისი, 20 აპრილი.

მეოცე საუკუნე დადგა და ჩვენს ცხოვრებაში ჯერ კიდევ აქვს ფესვი გადგმული თავადაზნაურულ ცრუმორწმუნეობას. საფუძველი თავადაზნაურობის არსებობისა დაინგრა ბატონყმობის გადავარდნით; წყარო, რომელიც ზრდიდა თავადაზნაურობის გავლენას, დაშრა, მაგრამ ცრუმორწმუნეობა მაინც კიდევ არ მოისპო. ეს გარემოება საუკეთესო დამამტკიცებელია იმისი, რომ მამა-პაპით შესისხლხორცებული რწმენა ადვილად არ ჰქრება.

მეოცე საუკუნე დადგა და ჩვენს ლიტერატურას თავადაზნაურული ცრუმორწმუნეობა ჯერ კიდევ საჭირობოროტო საკითხად გახდომია. რამაც ევროპიულ ლიტერატურაში კაი ხანია ჩაილულის წყალი დალია, ჩვენში დღეს თხოულობს გარდაწყვეტას. ასეთია ჩვენი ჩამორჩენა, ასეთია უფსკრული, რომელიც საზღვრავს ჩვენს ქვეყანას ევროპისაგან.

ძველადვე შესისხლხორცებულ რწმენათა შორის თავადაზნაურული ცრუმორწმუნეობა თითქმის ყველაზედ უფრო მანებელია და ხელის შემშლელი ჩვენის კულტურულის ზრდა-განვითარებისა. ქართველი ერის ერთი მეთედი ნაწილი არ მუშაობს და ბედოვლათობს, რადგან დარწმუნებულია, რომ მუშაობა სათაგილოა „კეთილშობილისათვისაო“. ჩვენებური აზნაური, ხშირად

თავადიც, ლაქიად წავა და გუთანს კი არ მოჰკიდებს ხელს, თითქო ლაქიობა უფრო საპატიო იყოს, ვიდრე მიწის მუშაობა.

ზემო-იმერეთში გლეხები გაკეთდნენ „შავი ქვის“ ზიდვით და თავადები და აზნაურები კი გაკოტრდნენ, რადგან არ ჯადრულობენ ქვის ზიდვას. ვისაც „მწონავობა“ არ შეუძლიან იშოვოს, დღედაღამ გვერდზედ წოლას არჩევენ, შიმშილითაც რომ სული ჰხდებოდეს და მეურმეობასა და ჩაღვადრობასაც კი არ იკადრებს.

„კეთილშობილ“ ქალებს ხშირად მჭადის ცხობა ეთაკილებათ, თუმცა რეცხვა არ მიაჩნიათ ცოდვად. ვეებერთელა ვაჟკაცი კოკით მხარზედ წყალს არ მოიტანს, წყურვილითაც რომ იხრჩობოდეს მისი ოჯახი და სხვა და სხვა.

ერთის სიტყვით, ნამდვილი აზიაა ჯერ კიდევ ეს ჩვენი დაღ-ოცვილი ქვეყანა.

რა შედეგი მოჰყვა ამ გარემოებას? ის, რომ აზნაურის ოჯახი დანგრეულ-გავერანებულია. შედარებით ბევრად უკეთ არის მოწყობილი მშრომელ გლეხის ოჯახი. ამას გარდა, ამოდენი უქმი ხალხი მძიმე ტვირთად აწევს სოფლებს; რაკი თავისი არ აბადია-რა, მუდამ იმაზედ აქვს თვალი დაჭყეტილი, რომ მეზობელს დასტყუოს ან წაართვას რამე. აი, უმთავრესი მიზეზი მძულვარებისა ახლანდელ გლეხობასა და თავადაზნაურობას შორის.

მეორე მიზეზი, რომელიც შეუძლებელჰყოფს დაანლოვებას გლეხობასა და თავადაზნაურობას შორის, ის არის, რომ თავადაზნაურობას დღემდის ვერ შეუგნია უკდავ შოთას სიტყვები:

„ათასად გვარი დაფასდა,
ათიათასად ზრდილობა,
თუ კაცი თითონ არ არის,
ცუდია გვარიშვილობა“.

მეტადრე თავადებსა აქვთ ძვალ-რბილში გამჯდარი ის აზრი, ვითომც თავადის ღირსება აღემატებოდეს აზნაურისას და გლეხისას. ერთმანეთს უთუოდ „ბრწყინვალეობით“ ასსენებენ, რომ თავი განასხვავონ დანარჩენ ქართველთაგან. ესა და ეს კაცი თავადიშვილიაო, მოწიწებით იტყვიან ხოლმე.

ეს ცრუ აზრი დიდს უფესკრულსა სდებს თავადებსა და დან-არჩენს ერს შორის; ეს ცრუ აზრი არის მიზეზი, რომ საკმაოდ შესამჩნევი ნაწილი ერისა მოწყვეტილია ხალხს. თანხმობით მოქმედება საერთო კეთილდღეობისათვის ამავე მიზეზით ბრკოლდება. არავისთვის დაფარული არ არის, რომ თავადები სჩაგრავდნენ ისედაც დაჩაგრულ ერს თავის ცრუამპარტავნობითა და მედიდურობით და ზოგნი სჩაგრავენ ახლაც, იმის მაგიერ, რომ თავისი გავლენა და ძალა ერის სასარგებლოდ მოიხმარონ.

პირველი საშუალება, რომელიც სპობს ყოველგვარ ცრუმორწმუნეობას და მოსპობს, რასაკვირველია, თავადურ ცრუმედიდურობასაც, თვით ცხოვრებაა. ამპარტავნება თან გაჰყვება სიმდიდრეს.

მეორე საშუალება, რომელსაც აგრეთვე დიდი მნიშვნელობა აქვს, არის განათლება. ეს ისე ცხადია თავისთავად, რომ დამტკიცება არ ეჭირვება.

თავის მხრივ ლიტერატურასაც შეუძლიან გაუადვილოს საზოგადოებას ახალ, ჭეშმარიტ აზრების შეთვისება, შეუძლიან შეამოკლოს ბუნებრივი ისტორიული პროცესნი, მიიღოს, მამასადამე, მონაწილეობა ცრურწმენათა მოსპობაში.

დიალ, ჩვენ მოვალენი ვართ, ხშირად მოვავონოთ ჩვენს თავადებს ზემოხსენებული სიტყვები: „თუ კაცი თითონ არ არის, ცუდია გვარიშვილობა“.

[1903 წლის 19 აპრილი]



თარგმნილი მხატვრული თხზულებანი

ფარაონის ასული

ისტორიული რომანი

გეორგ ებერსისა

ნაწილი პირველი.

I

ნილოსი ნაპირებიდამ გადმოვარდა, თვალგადუწვედნელი წყალი მოეფინა არემარეს იქ, სადაც სხვა დროს მშვენიერი ყანები და ყვავილით მოფენილი ველები იყვნენ. მხოლოდ ზღუდეშემოვლებული ქალაქები, მათი უზარმაზარი ტაძრები და სასახლეები, სოფლების სახლის ბინები, მაღალი ბზისა და აკაციის კინწიროები მოჩანდნენ წყლის ზემოდამ. ზოგიერთა ხეების ფოთოლნი ტალღებს ეთმაშებოდენ, ვერცხლფეროვანი ვერხვები კი, თავის მაღლა წასულის შტოებით, თითქოს ცდილობდენ აღელვებული წყლისათვის თავი მოეშორებინათ. აღმოხდა ბადრი მთვარე, რომლის მკრთალი სხივები დასავლეთის ჰორიზონტთან შეერთებულს მთაგრეხილს ეფინებოდენ. თეთრი და ლურჯი ყვავილები წყლის სივრცეზედ დასცურაობდენ. სხვადასხვანაირი ღამურები დაჰფრინავდენ ღამის დამშვიდებულს ჰაერში, რომელიც აკაციისა და იასამნის სურნელებით იყო შეზავებული. მაღალი ხეების კინწიროებზედ გარეული მტრედეები და სხვა მფრინ-

ველები გარინდულნი ისხდენ, პელიკანები, ყარყატები და წეროები ნილოსის ნაპირებზედ მდგარს ხეებს შეჭვარებოდენ; პელიკანებს თავეთი გრძელნიკარტიანი თავები ფრთებში ამოეყოთ და ისე უძრავად ისხდენ, წეროები კი მალ-მალ ფრთხილობდენ, რაწამს გაიდებდენ რისამე ხმაურობას, ან მენავეთა სიმღერას, მაშინვე წაიგრძელებდენ გრძელს კისრებს და შეშინებულნი შორს გაიციქრებოდენ. მთვარის სხივებზედ, რომელნიც წყლის სივრცეზედ კამკამებდენ, კარგად სჩანდა, რომ ნილოსი, რომელიც ზემო ეგვიპტის უზარმაზარი ტაძრების ახლოს გაშმაგებული მორბოდა, იქ უფრო მდოვრდებოდა და მშვიდდებოდა, სადაც იგი რავდენსამე ტოტად იყოფოდა და ზღვას უახლოვდებოდა.

ამ მთვარიანს ღამეში 528 წლის წინად ქრისტეს დაბადებამდის ნილოსის ტოტში ნავი დასცურაობდა. იმის ჩარდახის ბანზედ ეგვიპტელი იჯდა და იქილამ ნიჩაბს უსვამდა. თვით ნავში ნახევრად გატიტვლებულნი მომსმელნი მღეროდენ და თავიანთ მოვალეობას ასრულებდენ. ნავის ჩარდახის ქვეშ ბალიშებზედ ორი კაცი წამოწოლილიყო. ეტყობოდათ, რომ ივინი ეგვიპტელნი არ იყვნენ. მთვარის შუქზედ მათ ადვილად შეატყობდით ბერძნის ჩამომავლობას. უფროსი ძალიან მაღალი და ღონიერი კაცი იყო, ორმოცდაათის წლისა მეტისა იქნებოდა, მოსულს მხრებზედ თმები სქლად ეყარა, ტანზედ უბრალო მანტია ესხა და წყალს დაფიქრებული დასცქეროდა; მეორე ამხანაგი პირველზედ ოცის წლით პატარა იყო, უფრო შნოიანი და მოყვანილი ტანისა, იგი ხან ცას შესცქეროდა და ხან თავის მშვენიერს ტანისამოსს, წაბლისფერ თმებს და წვერს ისწორებდა.

ამ ნახევარ საათის წინად ნავი ნაუკრატისილამ წამოვიდა. მხოლოდ ეს ერთი ზღვის ნაპირის ქალაქი ეკუთვნოდა ბერძნებს მაშინდელს ეგვიპტეში. ჭაღარა და დაფიქრებულს კაცს მოგზაურობის დროს არც ერთხელ ხმა არ ამოუღია, ამხანაგამაც მას ფიქრი არ შეუშალა. როდესაც ნავი ნაპირს უახლოვდებოდა, მოუსვენარი მოგზაური წამოდგა და უთხრა თავის ამხანაგს:

– ამ საათში მივალთ დანიშნულს ადგილას, არისტომანს. აგერ მარცხნივ ის მხიარული სახლი თავის ბაღით ჩემი მეგობარი ქალის როდოპისის სადგური არის. ის სახლი იმისმა განსვენებ-

ულმა ქმარმა ხარაქსმა ააშენა და ახლა ყველა იმ ქალის მეგობრები და, თვით მეფეც, ცდილობენ ის სახლი უფრო და უფრო გაამშვენებინონ. ტყუილი შრომაა! მთელი ქვეყნის საუნჯეც რომ შეჰკრიბონ იქა, იმ სახლის დამამშვენებელი მაინც თვით იმის მშვენიერი პატრონი იქნება.

მოხუცი ზეზე წამოდგა, სახლს თვალი გადაავლო, გაისწორა სქელი თეთრი წვერი, რომელიც ნიკაპსა და ლოყებს უფარავდა და არა ტუჩებს და ჰკითხა:

– შენ რა ძალიან აქებ ჭანეს, ამ როდობისს? როდის აქეთ მოსწონთ ათინელებს მოხუცი ქალები?

ამხანაგმა გაიღიმა და კმაყოფილებით მიუგო:

– მე მგონია, რომ ხალხს კარგად ვიცნობ და განსაკუთრებით უფრო ქალებს; გარწმუნებ, რომ მთელს ეგვიპტეში ამ მოხუცებულს ქალზედ უკეთესს არავის ვიცნობ. როდესაც ნახავ მას და იმის მშვენიერს შვილისშვილს – ქალს და მოისმენ შენს საყვარელს სიმღერებს, რომლებსაც კარგად გაწვრთნილი ტყვე ქალები იმღერებენ, უსათუოდ მადლობას გადამიხდი.

– მაინცადამაინც, უთხრა სპარტანელმა, – მე შენ არ წამოგყვებოდი, თუ იმედი არა მქონოდა, რომ დელფიელს ჭრიქს აქ შევხვდები.

– შენ მას ნახავ. მეც აგრეთვე იმედი მაქვს, რომ სიმღერა შენზედ კარგად იმოქმედებს და გაჰფანტავს შენს ბნელს ფიქრებს. არისტომანმა გაიქნია თავი და უთხრა:

– შენ, ჭკუასუბუქ ათინელს, ადვილად გაგამხიარულებს შენი ქვეყნის სიმღერა; მაგრამ მე როდესაც ალკმანის სიმღერას გავიგონებ – იგივე მეძარბება, რაც ღამე უძილობის დროს: ჭმუნვარება კი არ მიმცირდება, ერთიორად უფრო მიცხროველდება.

– ნუთუ შენა გგონია, ჰკითხა ჭანესმა – რომ მე ჩემი საყვარელი ათინისაკენ არ მივისწრაფებოდე, იმ ადგილებისკენ, სადაც მე ჩემი სიყმაწვილე გავატარე? მართალია ჩემთვისაც ტკბილი არ არის განდევნილობაში ნაშოვნი ლუკმაპური, მაგრამ იგი მაინც სასიამოვნოა ამისთანა სახლობის გაცნობის წყალობით, და როდესაც გავიგონებ ჩემ საყვარელს ელინურს სიმღერებს, რომლებსაც ასე მშვენივრად მღერიან, მაშინ სამშობლო

ჩემს ოცნებას თვალწინ უდგება; მე ვხედავ იმის ზეთისხილის და ნაძვის ჭალებს, იმის ცივს ზურმუხტისფეროვან წყლებს, მის ლურჯად მოკამკამე ზღვას, მის ბრწყინვალე ქალაქებს, თოვლიანს მთებს და მარმარილოს დარბაზებს. ტკბილ-მწუხარე ცრემლები გადმომცვივა ხოლმე, როდესაც სიმღერა სწყდება და ვხედავ, რომ ეგვიპტეში ვიმყოფები, ამ ცხელსა და საკვირველს მხარეში, რომელსაც მე, ღმერთთა წყალობით, ძალე დავტოვებ. მაგრამ არისტომახს, ნუთუ შენ გზას აუქცევ კორდებს (თაზისებს) საშუალ უდაბნოისა მხოლოდ იმისთვის, რომ მათ შემდეგ შენ მოგიხდება უდაბნოებში გავლა, სადაც დასალევს წყალს ვერ იშოვნის? ნუთუ შენ გინდა თავი მოარიდო ერთის საათის სიამოვნებას, იმისთვის, რომ შავი დღეები მოგელის? აი, ჩვენც მოვედით. ეცადე განგებ მანც გამხიარულდე, ჩემო მეგობარო, რადგანაც საკადრისი არ არის დაღონებულის სახით სხვის სახლში შესვლა.

ამ დროს ნავი მიდგა ბალის კედელთან, რომელსაც გვერდით ნილოსი მოუდიოდა. ათინელი მკვირცხლად გადახტა ნავიდან, სპარტანელი კი ღინჯად გადავიდა. არისტომახს ერთი ფეხი ხისა ჰქონდა, მაგრამ ასეთის მტკიცის ნაბიჯით მიდიოდა მკვირცხლი ჭანესის გვერდით, რომ გეგონებოდა ქვეყნად ხის ფეხით დაბადებულაო.

როდოპისის ბალი სრულიად ყვავილებში იყო შთანთქმული და ათასნაირი სურნელებით ფშვინავდა. წყლიდამ სიმღერა და სიცილი მოისმოდა.

ეს ბალი ეგვიპტელისგან იყო აშენებული; პირამიდების ამ-შენებელნი ძველადვე ნაქები მებალებიც იყვნენ. ივინი სუფთად აკეთებდენ კვლებს, ხეებსა და ბუჩქებს რიგ-რიგზედ რგავდენ, გაჰყავდათ წყლები და აშენებდენ აუზებს, რომლებშიაც ოქროს თევზებს აჩენდნენ.

მანესი შედგა ბალის კარების ახლოს, ყურადღებით მიიხედ-მოიხედა და ყური დაუგლო; შემდეგ თავი გაიქნია და თქვა:

— არ ვიცი ეს რასა ნიშნავს, მე არავის ხმა არ მესმის, არც სინათლეს ვხედავ, ნაგებიც გაჰქრენ, ბაირალს კი ქარი აფრი-ალებს. როდოპისი უსათუოდ სხვაგან იქნება. ნუთუ მას დაავი-წყდა?...

ჯერ სიტყვა არ გაეთავებინა ვილასიც ხმამ მას ლაპარაკი გააწყვეტინა:

– ოჰ, ქეშიკების უფროსო!

– საღამო მშვიდობისა კნაკიას! მიესალმა ჭანესი მომავალს მოხუცს თავის დაკვრით. რას ნიშნავს ამისთანა სიჩუმე, მაშინ, როდესაც წვეულების ნიშანს – დროშას ქარი აფრიალებს? როდის აქეთია, რაც დროშა ტყუილად იწვევს სტუმრებს?

– როდის აქეთია? სინამ პარკები ჩემს ქალბატონს მფარველად ჰყავს, დროშა უსათუოდ იმდენს სტუმრებს მოიწვევს, რამდენიც ამ სახლში დაეტევა. როდობისი შინ არ არის, მაგრამ მალე დაბრუნდება. ისეთი მყუდრო ღამე იყო, რომ მან თავის სტუმრებთან ერთად ნილოსზედ გასეირნება მოისურვა. ორი საათის წინად, სინამ მზე არ ჩასულიყო, ივინი ჩასხდენ ნავში და წავიდნენ. ეხლა ვანშამი უკვე მზად არის, დიდხანს აღარ დაიგვიანებენ. გეთაყვა ჭანეს, შენს მოუთმენელობას თავი დაანებე და შინ წამომყევ. როდობისი თავის დღეში არ მაპატივებს, რომ შენისთანა ძვირფასი სტუმარი გავუშვა. შენც, უცხო ქვეყნელო, განაგრძო მან და მიუბრუნდა სპარტანელს: – დიდათა გთხოვთ, დარჩეთ: ჩემი ქალბატონისთვის შენც სასიამოვნო სტუმარი იქნები, როგორც მეგობარი მისი მეგობრისა.

ორივე ბერძენი მოსამსახურეს გაჰყვინნენ და ერთ ხეივანს ქვეშ დასხდნენ.

არისტომანმა, როდესაც მთვარით გაბრწყინებული არემარე დაათვალიერა, სთქვა:

– გეთაყვა ჭანეს, გამაგებინე, ვისის წყალობით არის, რომ როდობისი, რომელიც წინად მონა იყო, ეხლა ასე მეფურადა სცხოვრობს და სტუმრებსაც მეფურად ჰპატიჟობს?

– მე დიდი ხანია ვიცოდი, რომ მაგას მკითხავდი, მიუგო ათინელმა: ძალიან სასიამოვნოა ჩემთვის, რომ, სინამ ამ ქალის სახლში შეხვალ, გაგაცნო მისი წარსული. როდესაც ჩვენ ნილოსზედ მოვცურავდით, მე არაფერი არ მინდოდა შენთვის მეამბნა. ეს ძველი მდინარე საკვირვლად აფიქრებს კაცს. როდესაც მეც შენსავით ღამე პირველად მოვცურავდი ნილოსზედ, თვით ჩემი დაუყენებელი ენაც კი სალაპარაკოდ არ იძროდა.

– გმადლობთ, მიუგო სპარტანელმა: – როდესაც კრიტზედ პირველად ვნახე ას ორმოცდაათი წლის კნოსელი ქურუმი ები-მენიდი, იმისმა მოხუცებულებამ რაღაც საკვირველი შიში მაგრძნობინა; რამდენად უფრო მოხუცია და წმინდა ეს უდიდესი მდინარე „ეკვიპტოსი“! ვინ არ დაემორჩილება ამ მდინარის მომხიბლელს ძალას? გთხოვთ როდობისზედ მიაბოთ რამე.

– როდობისი, დაიწყო ჭანესმა: – როდესაც ჯერ ისევ ბავშვი იყო და სხვა ყმაწვილებთან ერთად ჭრაკის ნაპირზედ თამაშობდა, ფინიკიელმა მეგემებმა მოიპარეს და სამოსში წაიყვანეს, სადაც იგი ვაჭარმა იადმონმა იყიდა. ქალი დღითიდღე ლამაზდებოდა, თანდათან მიმზიდველობა და გონიერება ემატებოდა, ასე რომ ვინც კი იცნობდა ყველას აკვირვებდა და უყვარდებოდა.

მხეცების ზღაპრების მთქმელი ეზოპი, რომელიც იმავე დროს იადმონს მონათ ჰყავდა, განსაკუთრებით უფრო აღტაცებული იყო ბავშვის სილამაზით და ჭკუით. იგი ბავშვს ყოველისფერს ასწავლიდა და ისე ზრუნავდა მასზედ, როგორც პედაგოგი, რომელიც ათინელებს ბავშვებისთვის ჰყავთ. კეთილმა მასწავლებელმა იშოვა ბეჯითი და ძალიან გონიერი მოწაფე. პატარა მონა უფრო კარგად ლაპარაკობდა, მღეროდა და უკრავდა საკრავს, სინამთვით იადმონის შვილები, რომლებსაც დიდის ყურადღებით ზრდიდნენ. თოთხმეტის წლისა რომ გახდა როდობისი, ისე დამშვენდა და განვითარდა, რომ ეჭვიანს იადმონის ცოლს აღარ უნდოდა იგი სახლში შეენახა და იადმონიც იძულებული შეიქმნა თავისი საყვარელი ბავშვი ქსანფუსთვის მიეყიდნა. ქსანფა თავის ძვირფასის საუნჯით ნაუკრატისში წავიდა, და აქ თავის მონის მშვენიერებით დიდ ფულსა შოულობდა. როდობისმა სამი წლის განმავლობაში დიდი შეურაცხება გამოიარა, ასე რომ ეხლა იმ დროს დიდის მწუხარებით იგონებს ხოლმე.

როდობისის სილამაზის ხმა მთელს ელადაში გავარდა და უცხოქვეყნელები ნაუკრატისში მხოლოდ იმის სანახავად მიდიოდნენ; ნაუკრატისშივე მოვიდნენ ალკეი თავის დროს უდიდესი პოეტი და ხარაქსი, სამოს ძმა. ხარაქსმა როდობისი ნახა და ისე ძალიან შეუყვარდა, რომ დიდძალი ფული მისცა ქსანფას და იყიდა იგი. სამომ თავის ლექსებში სასაცილოდ აიგლო თავის

ძმა ამ ყიდვისათვის; მაგრამ ალკეიმ გაამართლა ხარაქსი და ალტაცებულის ლექსებით შეაქო როდოპისი.

პოეტი ქალის საძოს ძმა ხარაქსი, რომელსაც ნაუკრატისში უცხოქვეყნელები წინად არ იცნობდნენ, ეხლა როდოპისის წყალობით, ყველასაგან ცნობილი შეიქმნა. იმის სახლში ყველა უცხოქვეყნელები იკრიბებოდნენ და აძლევედნენ როდოპისს საჩუქრებს. მეფე გოქრამ, რომელსაც ბევრი რამ გაეგონა იმის სილამაზეზე და სიბრძნეზე, მიიწვია მემქნისში და უნდოდა იგი ხარაქსისაგან ეყიდნა, მაგრამ ხარაქსს თავის გულში დიდი ხანია იგი მონობისაგან გაენთავისუფლებინა და ისე ძალიან უყვარდა, რომ ძნელად თუ იგი მას დასთმობდა. როდოპისსაც არ უნდოდა მას განშორებოდა, თუმცა ყოველის მხრიდან დიდს დიდებას ჰპირდებოდნენ. ბოლოს ხარაქსმა გახადა როდოპისი თავის კანონიერ ცოლად და დარჩა ნაუკრატისში მასთან და მის ქალ კლეისთან იქამდის, სანამ იმ ქვეყნის მმართველმა პიტტაკმა განდევნილებს სამშობლოში, დაბრუნების ნება არ მისცა.

„მაშინ ხარაქსი თავის ცოლით ლესბოში წავიდა. გზაზედ იგი ავად გახდა და მიტილენში მისვლის შემდეგ მალე გარდიცვალა. საძო, რომელიც წინად დასცინოდა თავის ძმას შეუფერებელი ცოლის შერთვისათვის, ეხლა თვით გახდა გულმხურვალე თაყვანისმცემელი მშვენიერის ქვრივისა და თავის მეგობარ ალკეისთან ერთად დამლერდა მის სიტურფეს.

საძოს სიკდილის შემდეგ როდოპისი თავის ქალით ნაუკრატისში დაბრუნდა, სადაც იგი დიდის ამბით მიიღეს. ეგვიპტის ეხლანდელმა მეფემ ამაზისმა დაიპყრო ფარაონების ტახტი და ეჭირა იგი ჯარების შემწეობით. მისმა მოადგილე მეფემ გომრამ უფრო მითი მოუსწრაფა დღენი თავის მეფობას, რომ მას უყვარდა ბერძნები და უცხოქვეყნელები, რომელნიც ეგვიპტელებს ეჯავრებოდათ, განსაკუთრებით უფრო ქურუმები და ჯარები აუჯანყდნენ მას. ყველას ეგონა, რომ ამაზისი უცხოქვეყნელებს ეგვიპტეში აღარ შეუშვებდა, ბერძნების რჩევას ყურს აღარ უგდებდა და ქურუმების ბრძანებას კი გაიგონებდა. ეხლა შენცა ხედავ, რომ ეგვიპტელები მეფის ამორჩევაში მოსტყუვედნენ. ამაზისმა გოქრამზე უფრო ძალიან შეიყვარა ბერძნები და სა-

ზოგადოდ უცხოქვეყნელები. მაგრამ მე ჩემს საგანს ძალიან გადაუზნევი. როდობისი ნაუკრატიისში ღიდის ამბით მიიღეს და ამაზისმაც ღიდად დაასაჩუქრა იგი, როდესაც გაიცნო. იმის ქალი კლეისიც, როგორც ეხლა საქო, არ ესწრებოდა ხალხის კრებას, სასტიკ მხედველობის ქვეშ იზრდებოდა და ბოლოს გათხოვდა ერთს მდიდარს ქოკიელს ვაჭარს ღლაუქზედ, რომელმაც მამაცად დაიცვა თავის სამშობლო ქალაქი სპარსელებისაგან, შემდეგ გაჰყვა მას კელტის ნაპირს ახლად დაარსებულს ქალაქს მასალიაში. ყმაწვილი ცოლ-ქმარნი მალე დაიხოცნენ იქაურის ჰავისაგან შემდეგ იმისა, როდესაც მათ დაეხადათ ქალი საძო. როდობისი თვით გაემგზავრა დასავლეთისკენ, თავის სახლში მოიყვანა პატარა ობოლი, ღიდის ყურადღებით ზრდიდა და ეხლა, როდესაც გაიზარდა, უკრძალავს მას კაცების საზოგადოებაში ყოფნას. როდობისი ისე ძალიანა გრძნობს თავის ყმაწვილქალობის შეურაცხებას, რომ თავის შვილისშვილი მოშორებითა ჰყავს მამრობით სქესზედ. ჩემი მეგობარი როდობისისთვის კი საზოგადოება ისე საჭიროა, როგორც წყალი თევზისათვის და ჰაერი მფრინველთათვის. ყველა უცხოქვეყნელები მასთან მოდიან და ვინც ერთხელ იგემა მისი სტუმრისმოყვარეობა, იგი, თუ დრო ნებას აძლევს, არ დაიზარებს მეორედაც ესტუმროს, როგორც კი მისაპატიჟებელს დრომას გაფრიალებულს დაინახავს. ამ სახლში ყველა ელინელი დაიარება, რადგანაც აქ ხდება თათბირი, თუ როგორ ეწინაღმდეგონ ქურუმთა მძულვარებას და როგორ დაითანხმონ მეფე რომელსამე განკარგულებაზედ. აქ გაიგებს კაცი, თუ რა ხდება სამშობლო მხარეში და მთელს ქვეყანაზედ; აქ პოულობს დევნული თავშესაფარს ადგილს, რადგანაც მეფემ თავის მეგობარს ისეთი გრამატა მისცა, რომ პოლიციას არავითარი უფლება არა აქვს მის სახლზედ; აქ გაიგონებ სამშობლოს ენას და სიმღერას; აქ ხდება თათბირი, თუ როგორ დაიხსნან ელადა ერთმთავრობისაგან. ერთი სიტყვით, ეს სახლი არის წარმომადგენელი ელინთა ინტერესებისა ეგვიპტეში. რამდენიმე წამის შემდეგ შენ ნახავ საკვირველს ღიდედას, და, თუ მარტო ჩვენ ვიქნებით, შვილისშვილსაც. აგერ ისინიც მოდიან! ეხლა ჩვენ სახლისაკენ წავიდეთ და მოვისმინოთ, თუ მონა ქალები

როგორა მღერიან. აგერ იგინი შექმნიან. დაე ჯერ დასხდნენ და მერე მე გამომყევ. გამოშვიდობების დროს გთხოვ მითხრა ნანობ ჩემთან წამოსვლას, თუ არა და რომ როდობისი მეფეს უფრო ჰგავს, სინამ განთავისუფლებულს მონას.

როდობისის სახლი ბერძნულს გემოვნებაზედ იყო აშენებული. სახლის გარეგანი შეხედულობა უბრალო იყო, მაგრამ შინაგანს მოწყობილებას კი ელინური სილამაზე ჰქოდა და ეგვიპტური სიბრწყინვალე. პირველი ოთახის კარები განიერი იყო. ამ ოთახის მარცხნივ სასადილო ოთახი იმყოფებოდა, რომლის ფანჯრებიც მდინარეს გადასცქეროდნენ. ქალებისა და კაცების ოთახები ერთიერთმანერთისაგან გაცალკეებულნი იყვნენ. ყველა ოთახები ხალებითა და სხვა მდიდრული მოწყობილობით იყვნენ მორთულნი; კედლებზედ სხვადასხვა საკრავები ეკიდა.

ამ სახლის ერთს ოთახში რამდენიმე კაცი იდგა სხვადასხვა შეხედულობისა და სხვადასხვანაირის ტანისამოსით მორთული. სირიელი ტირიდამ გრძელა წითელტანისამოსიანი ერთს კაცს ელაპარაკებოდა, რომელსაც სახეზედ და ხუჭუჭ თმაზედ ეტყობოდა, რომ ებრაელი იყო. იგი მოსულიყო თავის სამშობლოდამ, რომ იუდიელთა მეფის ზოროვაველისათვის ეგვიპტური ცხენი და ეტლი ეყიდნა. მცირე აზიელი სამი ბერძენი, რომელთაც თავის ქვეყნის მიღეთის მდიდრული განიერი ტანისამოსი ეცვათ, ებრაელის გვერდით იდგნენ და ელაპარაკებოდნენ სადად ჩაცმულს ქალაქ დელფის ელჩს ფრიქს, რომელიც ეგვიპტეში მოსულიყო აპოლონის ტაძრისათვის ფულის მოსაგროვებლად. პანიური ძველი ტაძარი ამ ათვის წლის წინად ცეცხლს გადაწვა; ეხლა სხვა, უფრო დიდებული ტაძრის აშენება განეზრახათ.

მიღეთელები, ანაქსიმანდრის და ანაქსიმენის მოწაფენი, ნილოსის ნაპირებზედ იმისთვის მოსულიყვნენ, რომ ეგვიპტური მეცნიერება და ვარსკვლავთმრიცხველობა შეესწავლათ.

მესამე – გემების პატრონი და მდიდარი ვაჭარი იყო, სავსე ღელად ჭეოპოპზე, რომელიც ნაუკრატისში დასახლებულიყო. თვით როდობისი მხიარულად ელაპარაკებოდა სამოსელს ორს ბერძენს, განთქმულს არხიტექტორს, სკულპტორს და ოქროს ნივთების მკეთებელს თეოდორეს და ლექსთა მთხზველს რალიუმელს ივი-

კოსს, რომელთაც რამდენიმე კვირით დაეტოვებინათ პოლიკრატი-ის სასახლე და მოსულიყვნენ ეგვიპტის გასაცნობად. კერის ახლოს წამოწოლილიყო სიბარისელი ჩასუქებული ფილონი და ეთამაშებოდა თავის ხუჭუჭ თმებს და ოქროს ძეწკვს.

როდოპისს ალერსიანი სიტყვა ყველასთვის მზადა ჰქონდა, მაგრამ ეხლა საკუთრივ გამოჩენილს სამოსელებს ელაპარაკებო-და ხელოვნებაზე და პოეზიაზე.

როდოპისის თვალები ყმაწვილობის ცეცხლით იყვნენ აღ-ზნებული, მაღალი ტანისა სრული და სწორე იყო, ჭაღარა თმა მშვენივრად მოყვანილს თავს უმშვენებდა. მაღალი შუბლი ბრწყინვალე ღიადებით ჰქონდა შემკობილი.

მისი კეთილშობილური ბერძნული სახე თუმცა ფერმკრთალი იყო, მაგრამ მშვენიერი და შესანიშნავი იყო მით, რომ წლოვანებას თავის ნიშანი ვერ დაედო; ამ ქალის პატარა, ტურფად მოყვანილი პირი, დიდრონი, ჩაფიქრებული და მშვიდი თვალები, მშვენიერი შუბლი და ცხვირი ყველა ყმაწვილის პირისსახეს დაამშვენებდა.

როდოპისი ხნიერობის კვალობაზედ უფრო ყმაწვილს ჰგავდა, თუმცა თავის წლოვანებას არასდროს არა მალავდა, ყოველს მის მოძრაობაში მისი ღირსება იხატებოდა და სიწერწეტე მისი არ იყო სიწერწეტე ყმაწვილის ქალისა, რომელიც ცდილობს თავი მოაწონოს, არამედ სიწერწეტე ხნიერის ქალისა, რომელსაც უნდა ალერსიანად მოიქცეს, და რადგანაც თვით ყველას ალერსიანად ექცევა, უნდა რომ მასაც ყველა ალერსიანად მოექცეს.

ეხლა ოთახში ჩვენი ნაცნობი პირნი გამოჩნდნენ, ყველამ მათ დაუწყეს ცქერა და როდესაც შევიდა ჭანესი და თან თავის მეგობარი შეიყვანა, ყველანი მეგობრულად მიესალმნენ; ერთმა მიღეთელთაგანმა კიდევ დაიძახა:

– მე კი თურმე არ ვიცოდი, ჩვენ რა გვაკლდა. ეხლა გავიგე, რაშიაც არის საქმე: უძანესოდ სრული მხიარულება შეუძლებელია.

ფილონიმა ხმამაღლა და მშვიდობიანად სთქვა:

– მხიარულება კარგი რამ არის და თუ შენ იგი თან მოგაქვს, მაშინ მეც შენ მოგესალმები, ათინელო!

– მე კი, სთქვა როლოპისმა, როდესაც ახალ სტუმრებთან მივიდა: – სულით და გულით მოგესალმებით თქვენ, თუ რომ მზარულნი ხართ და მიგიღებთ არანაკლების გულწრფელობით, თუ რომ მწუხარებითა ხართ დატვირთულნი; მე იმაზედ დიდად არა მესიამოვნება-რა ხოლმე, როგორც ის, როდესაც მეგობრის მოჭმუხენილს შუბლს სიხარულს მოვფენ. შენც აგრეთვე, სპარტ-ნელო, „მეგობრად“ გიწოდებ იმისთვის, რომ ამ სახელს ვარქმევ ყველას, ვინც კი ჩემი მეგობრისთვის საყვარელია.

– მაშ ასე, მე შემოდლიან თქვენ ორნივე გასიამოვნოთ, ჩემო ძვირფასნო. შენ, როლოპის, გექმნება შემთხვევა ნუგეში მცე მე, შენს მეგობარს, ამისთვის რომ მალე მომიხდება შენი და შენი ლამაზი სახლის დატოვება; შენ კი, ფილონ, გაიხარებ ჩემის სიხარულით, რადგანაც მე ახლა მანც არის ვნახავ ჩემს ელადას და ჩემს უნებურად დაუტევებ ამ ქვეყანას, რომელსაც შეიძლება თაგვების ოქროს მახე დავარქვათ!

– შენ მიდიხარ? შენ დაგითხოვეს? სად გინდა წახვიდე? ეკითხებოდენ აქეთ-იქილამ.

– მოთმინება იქონიეთ, ჩემო მეგობარნო, უთხრა ფანესმა: მე თქვენ უნდა გიამბოთ გრძელი ისტორია, რომელსაც ვახშმისთვის ვინახავ. ჩემო საყვარელო მეგობარო როლოპის, ჩემი შიმშილი ისეთივე დიდია, როგორც ჩემი მწუხარება შენთან განშორების გამო.

– სიმშილი კარგი რამ არის, იმეცნიერა ფილონმა: – როდესაც კარგს სადილს მოელი.

– დამშვიდდი ფილონ, მიუგო როლოპისმა: – მე ვუბრძანებ მზარეულს, რაც შეიძლება კარგი საჭმელები მოამზადოს, რადგანაც უდიდესი გემოს კაცი, ფილონის, საჭმელებს სასტიკად გაგინშინჯავს მეთქი. წადი კნაკიას და უბრძანე ვახშამი მოგვართვან! ეხლა ხომ კმაყოფილნი ხართ, მოუთმენელნო სტუმარნო? ოხ, ფანეს! შენი სამწუხარო ამბით ვახშამი სრულიად წამიხდინე.

ათინელმა თავი დაუკრა, ფილონმა კი კვალად იფილოსოფოსა.

– დაკმაყოფილება კარგი რამ არის, როდესაც საშუალება გაქვს სურვილის ასასრულებლად. მეც აგრეთვე მადლობელი

ვარ შენი, როდობის, იმისთვის, რომ პატივი ეცი ჩემს შეუდარებელს
სამშობლოს. რას ამბობს ანაკრეონი?

დღევანდელ დღით ვისარგებლოთ:

ხვალ ვინ იცის რა იქნება?

ვითამაშოთ და ვიმღეროთ,

დარდი აღარ მოგვიდგება!

ეი, ივიკ! სწორედა ვსთქვი ლექსი შენის მეგობრისა, რომელიც
შენთან ერთად პოლიკრატის სადილზე მხიარულობს ხოლმე?
გეუბნები, რომ, თუ ანაკრეონი კარგს ლექსებსა სწერს და ცხ-
ოვრებით სტკებოდა მე იმაზედ ნაკლებ არ მიყვარს სიცოცხ-
ლით დატკობა. იგი არც ერთს თავის ლექსში ჭამას არ აქებს
და განა ჭამა ნაკლებად საჭიროა, სინამ თამაშობა და სიყვარული,
თუმცა ეს ორივენი – თამაშობა და სიყვარული – ჩემთვისაც
ძვირფასნი არიან? უჭმელად მე უნდა მოვმკვდარიყავ, უთამაშოდ
და უსიყვარულოდ კი შემოიძლიან ცხოვრება, თუმცა ასეთი ცხ-
ოვრება ვაივავლახისა იქმნება.

ფილონმა, კმაყოფილმა თავის მახვილის სიტყვით, ძალიან
გაიხარხარა; სპარტნელი კი, ლაპარაკის დროს, დელფიელს ჭრიქსს
მიუბრუნდა, მიიყვანა კუთხეში და დიდის ალელუებით ჰკითხა, –
მოუტანა მას ორაკულის პასუხი თუ არა. დელფიელის დარ-
ბაისლური სახე გამხიარულდა; მან ამოიღო უბიღამ რაღაც
გძლად დახვეული, რომელიც ეტრატსა ჰგავდა და რომელზედაც
სტრიქონები იყო დაწერილი.

ლონიერსა და მამაცს სპარტნელს ხელები უკანკალებდა, სი-
ნამ დახვეულ ეტრატს აიღებდა, მერე გაშალა იგი და რავდენსამე
ხანს თვალი ვერ მოაშორა მის სტრიქონებს; შემდეგ უკმაყო-
ფილოდ გაიქნია თავი, ეტრატი ჭრიქსს დაუბრუნა და უთხრა:

– ჩვენ სპარტანელები სხვა რამეებსა ვსწავლობთ და არა
წერა-კითხვას. თუ შეგიძლიან წამიკითხე, რას ამბობს პიფია.

დელფიელმა გადაავლო ნაწერს თვალი და მიუგო:

– გიხაროდენ! ლოკსიასმა გიწინასწარმეტყველა შენ ბედნი-
ერად დაბრუნება; გაიგონე, რას გეუბნება ქურუმი ქალი:

მოვა დრო და თოვლის მთებით რაზმები

დიდ მდინარის ნაპირზედ გაიშლება,

სუბუქ ნავით წყლის კიდეს მიაღებები,
დატანჯული გული დაგიმშვიდლება.
ხუთს მსაჯულსა უკვე გარღუწვევითათ
მისცენ მწირს, რაც წინად არ მიუციათ.

ამ სიტყვებს სპარტანელი დიდად აკვირდებოდა. მან სთხოვა, მეორედ წაეკითხა ორაკულის წინასწარმეტყველება, მერე თვითონ გაიმეორა დასახსომებლად, Φრიქსს მადლობა გარდაუხნა და ეტრათი შეინახა.

დელΦიელიც ჩაერია საზოგადო საუბარში, სპარტნელი კი ისევ ორაკულის წინასწარმეტყველებას იმეორებდა, რომ არ დავიწყებოდა და ცდილობდა იმის სიტყვების ახსნას.

II

სასადილო დარბაზის კარები გაიღო. შესავალში ყოველის მხრით ქერათმიანი ლამაზი ბავშვები იდგნენ და ხელში ტირიფის გვირგვინები ეჭირათ; დარბაზის შუა დიდი, დაბალი, მშვენიერი სტოლი იდგა, რომელსაც გვერდებზედ ბალიშები ეწყო და სტუმრებს დასახსლომად იწვევდენ.

სუფრაზედ ყვავილების კონები ეწყო. შემწვრები, ჭიქები და ბადიები, ინდიის ხურმით, ლელვით, ბროწეულით და ყურძნით სავსენი თაფლით სავსე ვეცხლის სკების გვერდით იდგნენ; შუა სუფრაზედ ვერცხლის სამკაული იდგა, რომელიც საკურთხეველსა ჰგავდა; იგი ტირიფისა და ვარდის გვირგვინებით იყო შემოხვეული და იმის პირიდან სასიამოვნო სურნელების ბოლი ამოდებოდა.

სუფრის ბოლოზედ ვერცხლის ჭურჭელი ბრწყინავდა და მასში იდგა არეული სასმელი, ჩინებული ნაწარმოები ეგვიპტის ხელოვნებისა. მისი დაგრეხილი ფეხები წარმოადგენდენ ორს ბუმბერაზს, თითქოს დაღალულთ იმ ფილის სიმძიმით, რომელიც მათ მოჰქონდათ. ეს ჭურჭელიც საკურთხევლისავით ყვავილებით იყო დაბურვილი. ერთის სოტყვით, როგორც თვით სუფრა, ისე მთლად დარბაზი ყვავილებით იყო მოფენილი, ხოლო თეთრად

გალესილი კედლები ლამპებით იყო მოჭყედილი.

როგორც კი სტუმრები სადილზედ დასხდნენ, მაშინვე მოვიდნენ ქერათმიანი ყმაწვილები, რომელთაც სტუმრებს მხრები და თავები ყვავილის გვირგვინებით შეუმკეს და ფეხები ვერცხლის ტაშტში დაჰბანეს. მოსამსახურემ უკვე აიღო სტოლიდამ ერთი საჭმელთაგანი სტუმრების მისართმევად, ფილონი კი ისევ ფეხებს იბანდა და უბრძანა მოსამსახურეს, რომ იგი მთლად ყვავილებით დაებურათ. მაგრამ, როდესაც პირველი საჭმელი მოიტანეს, მან ყოველისფერს თავი დაანება და მხოლოდ მშვენიერის საჭმელებით სტკებოდა. როდობისი სუფრის თავზედ იჯდა, სასმელით საცხე ჭურჭლის ახლო და ერთსა და იმავე დროს სტუმრებსაც აქცევდა ყურადღებას და მოსამსახურე მონებსაც განკარგულებას აძლევდა.

იგი მცირეოდენის ამპარტავნებით უყურებდა თავის სტუმრებს და თითქოს ცდილობდა ყველა მათგანის გართობას. ხან დელფიელს ეკითხება ფულის შეგროვების შესახებ, ხან ფილონს ეკითხება მოსწონდა მას იმის პოვრის გაკეთებული საჭმელი თუ არა, ხან ივიკს უგდებდა ყურს, რომელიც საუბრობდა მასზედ, რომ ჭრინის ათინელმა ისტორიულის ცხოვრებიდამ გამართა წარმოდგენები სიმღერებითა.

შემდეგ იგი სპარტანელს მიუბრუნდა და უთხრა, რომ იგი ერთადერთი კაცია, რომლის წინაშეც მას ბოდიშის მოხდა უნდება არა სადილის სიმცირის გამო, არამედ იმის სიუხვისათვის. როდესაც იგი მეორედ მოვა, მაშინ იმის მონა კნაკიასი, რომელიც თავს იმით იქებს, რომ სპარტანულად სისხლის საჭმლის გაკეთება იცის (აქ ფილონი შეძრწუნდა), ნამდვილს ლაკედემონურს სადილს მოუმზადებს.

როდესაც სტუმრებმა სადილი გაათავეს, ყველამ კვალად ხელები დაიბანეს. შემდეგ ალაგეს ჭურჭელი, რომელშიაც სჭამდნენ, იატაკი გაწმინდეს და დაასხეს წყალ-ღვინო. როდობისი, როდესაც დარწმუნდა, რომ ყოველისფერი რიგზედ მიდიოდა მიუბრუნდა ჭანესს, რომელიც მიღეთელებთან ცხარედ ბაასობდა, და უთხრა.

— გულითაღო მეგობარო! ჩვენ ისე დიდხანს შევიმაგრეთ ჩვენი მოუთმენლობა, რომ ეხლა შენ ვალდებული ხარ გვიამბო,

თუ რა უსიამოვნო შემთხვევა გაიძულეს ეგვიპტისა და ჩვენი საზოგადოების დატოვებას. იქნება შენ გულცივად დასტოვო ჩვენი ქვეყანა, მაგრამ ჩვენ კი ყოველთვის მწუხარებით მოვგონებთ, რადგანაც ჩემთვის იმაზედ დიდი დანაკლისი არაფერია, როგორც დიდი ხნის მეგობრის დაკლება. ბევრმა ჩვენგანმა იმდენს ხანს იცხოვრა ნილოსის ნაპირებზედ, რომ არა მგონია, რომ მათ ეგვიპტური ჭკუადამჯდრობა არ შეეთვისებინათ. შენ ილიმები, მაგრამ არა მგონია, რომ მცირედაც არის მაინც არ გენანებოდეთ, თუმცა შენი სული და გული დიდი ხანია ელაღისაკენ მისწრაფებოდა. ხომ მართალს ვამბობ, არა? მაშ გვიამბე, რა გაიძულეს შენ ეგვიპტიდამ წასვლას, რომ შეგვეძლოს მოვიფიქროთ, თუ როგორ შეიძლება შენი აქ დარჩენა.

Φანესმა მწუხარედ გაილიმა და უთხრა:

– გმადლობთ, როდოპის, მაგისტანა ალერსიანის სიტყვებისა და ჩემი წასვლის წინააღმდეგობისათვის. ათასი სხვა პირნი დაგავიწყებენ ჩემს სახელს. თუმცა დიდი ხანია ნილოსის ნაპირებზედ სცხოვრობ, მაგრამ თავით ფეხებამდის მაინც ელინელ ქალად დარჩენილხარ, რისათვისაც ღმერთებს უნდა მადლობდე. მეც ჭკუადამჯდრობის მომხრე ვარ, მაგრამ ეგვიპტური უგუნურებისა კი მტერი ვარ; არა მგონია, თქვენში ისეთი კაცი მოიპოვებოდეს, რომელიც სწუხდეს იმაზედ, რისაც თავიდან აცილება არ შეიძლება. ეგვიპტური ჭკუადამჯდრობა სასარგებლო კი არა, საუნებელია. ივინი, რომელნიც თავეთ მიცვალებულებს ათასის წლობით ინახვენ და უფრო ადვილად დასთმობენ უკანასკნელს ლუკმაპურს, სინამ პაპისპაპის ერთს ძვალს, ჭკუადამჯდრებად კი არა, სულელებად უნდა ითვლებოდენ. განა მე კი მიაძება ივინი დაღონებულნი ვნახო, რომელნიც მიყვარან? რასაკვირველია, არა! თქვენ ყოველდღე მწუხარებით როდი უნდა მიგონებდეთ, როგორც ეგვიპტელები, როდესაც მათ მეგობარი შორდება. თუ როდისმე გინდათ მომიგონოთ – რადგანაც მე ჩემს სიცოცხლეში ეგვიპტეს ვეღარა ვნახავ – უსათუოდ დიმილთი მამიგონეთ. ნუ იტყვი: „ახ, Φანესმა თავი რად დამანებაო!“ არამედ სთქვი: „ვიმხიარულოთ ისე, როგორც Φანესი, როდესაც იგი ჩვენ შორის იმყოფებოდა-თქო!“ აი თქვენ როგორ უნდა მოიქცეთ. ასე გვიბრ-

ძანა სიმონილმაც, როდესაც იგი ძღეროდა:

ჩვენ რომ გკკონდეს ჭკკვა-გონება
დიდხანს აღარ ვიწუხებდით;
მიცვალეულთ საფლაკვზედა
მხოლოდ ერთს დღეს ვიტირებდით.
ისეც ახლოა სიკვდილი,
სიცოცხლე ჩვენი რბის ჩქარად,
იგი ისე ფუჭი არის,
რომ არა ღირს საწუხარად.

– თუ რომ მიცვალეულებზედ ტირილი საჭირო არ არის, რალა საჭირო იქნება განშორებულს მეგობრებზედ მჭმუნვარება; მიცვალეულნი საუკუნოდ განჭქრენ, მეგობრებს კი გამოსალმე-ბის დროს ვეუბნებით „ნახვამდინო!”

აქ ტილოინმა, რომელსაც დიდი ხანია მოუთმენელობა ეტყო-ბოდა, ველარ მოითმინა და მწუხარეს ხმითა სთქვა:

– დროით გვიამბე შენი ამბავი, შე ავო კაცო! მე ერთს ცვარს ღვინოსაც ვერ დავღევე, სინამ სიკვდილზედ საუბარს არ შესწყვეტამ. ჩემი სისხლი სრულიად გაიყინა და ყოველთვის ავალა ვხდები, როდესაც კი საუბარი შეეხება.... ერთის სიტყვით, როდე-საც ამბობენ, რომ ჩვენ საუკუნოდ არ ვიცოცხლებთ.

მთელმა საზოგადოებამ გაიცინა, ტანესმა თავის ამბავი დაიწყო:

„როგორც თქვენ უკვე უწყით, მე ვცხოვრებ საისიის ახალს სასახლეში, მემტისში კი, როგორც ბერძნის დარაჯვის უფროსს, რომელიც ყოველთვის მევეს თან დავღევე, საცხოვრებლად სასახლის ერთი მხარე დამინიშნეს.

„რადგანაც პირველი ჰსამეტიხის დროილამ მეფეები საისში ცხოვრობენ, ამისთვის სხვა სასახლეებს ყურს არავინ უგდებს ხოლმე. ჩემი სადგომი ყოვლისფრით კარგი იყო, თუ რომ ერთი ნაკლულევანება არა ჰქონოდა.

„ღღისით, როდესაც მე შინ არ ვიყავ, ჩემი სადგომი საკმაოდ კარგი იყო, მაგრამ ღამე ძილი არასგზით არ შეიძლებოდა; თავკები და ვირთავკები ისეთს საშინელს ფხაკაფხუკს ასტეხდენ ხოლმე, რომ მეტი არ შეიძლებოდა.

„მე არ ვიცოდი რა მომეგვარებინა ამისთვის, სინამ ერთმა ეგვიპტელმა ჯარისკაცმა არ მაძიდა ორი მშვენიერი დიდი კატა, რომელთაც რამდენსავე კვირის განმავლობაში ცოტა არ იყო მამაშორეს ჩემი მტანჯველები და მე მოსვენება შემეძლო.

„თქვენ კარგად იცით, რომ ერთი კანონი ამ საკვირველი ერისა, რომლის განათლებას და სიბრძნეს თქვენ ყველანი ძალიან აქებთ, კატებს წმინდა ცხოველებად სთვლის. ამ ბედნიეროთ ოთხფეხთ, სხვა ცხოველებთან ერთად, ღმერთისავით თაყვანსა სცემენ და იმათი მკვლეელი ისევე ისჯება, როგორც კაცის მკვლეელი”.

როდობისი, რომელიც აქამდის ილიმებოდა, დაფიქრიანდა, როდესაც გაიგო, რომ ჭანესი იმისთვის უნდა გაედევნათ, რომ წმინდა ოთხფეხს უმართებულოდ მოჰპყრობოდა. იმან კარგად იცოდა თუ ეგვიპტელების ამ ცრუმორწმუნოებამ რამდენი მსხვერპლი და კაცის სიცოცხლე შეიწირა. ამასწინად ამაზასჰსაც ვერ დაეხსნა გაბრაზებული ხალხისგან ერთი სამოსელი, რომელსაც კატა მოეკლა.

„ყველაფერი კარგად მიდიოდა, განაგრძო კვალად ჭანესმა: — სინამ ჩვენ ამ ორის წლის წინად მემძისილამ წამოვიდოდით.

„მე ჩემი კატები სასახლის ერთს მოსამსახურეს ჩავაბარე და ვიცოდი, რომ მომავალში ივინი თაგვების შემოსევისაგან დამიხსნიდენ, რისა გამოც მე მათ პატივსა ვცემდი.

„წარსულს წელს ამაზისი ავად გახდა, ასე რომ მემძისში გადმოსვლა ვერ მოვასწარიტ და დავრჩით საისში.

„ბოლოს ამ ექვსი კვირის წინად ჩვენ გადმოვსახლდით პირამიდების ქალაქში. მე ჩემს ძველს ოთახებში დავდექი, სადაც თაგვების სინსილაც ველარა ვნახე; მაგრამ თაგვების ნაცვლად კატები გამრავლებულიყვნენ, რომელნიც ისევე უსიამოვნონი იყვნენ ჩემთვის, როგორც თაგვები. მე მიხდოდა ივინი გამეყარა, მაგრამ ვერ მოვახერხე და მათი კნავილ-ჩხავილი ყოველს ღამეს მოსვენებას არ მაძლევდენ.

„ყოველს წელიწადს, ბუბსტის დღესასწაულის დღეს, მომეტებული კატები ღვთის პახტის ტაძარში მიჰყავთ, რომელსაც კატის თავი აბია; იქ მათ ყურს უგდებენ და როდესაც ძალიან

მრავლდებიან სადღაც მიჰყავთ. ქურუმები ხომ ეშმაკები არიან!

„საუბედუროდ ხსენებულს ტადარში კატების გაგზავნა მე ვერ მოვახერხე და მათი გაძლებაც აღარ შეიძლებოდა. როდესაც ორმა კატამ თორმეტი კნუტი კიდევ შეძმინა. მაშინ კი განვიზრახე ეს კნუტები მაინც არის მომეშორებინა. ჩემს მონა მიუსს, რომელიც კატების საშინელი მტერი იყო, ვუბრძანე ახლად შექმნილი კნუტები ტომარაში ჩაეყარა და ნილოსში გადაეგდო. მაგრამ ჩვენი განზრახვა სასახლის ეგიპტელმა მოსამსახურემ გაიგო და სხვებსაც შეატყობინა.

„როდესაც მიუსი ნილოსის ნაპირზედ მივიდა და კნუტები უნდა გადაეყარა, უეცრად დაინახა, რომ იმისკენ ხალხი გარბოდა და ქვებს ესროდა.

„მიუსი მიხვდა, რაც ამბავი იყო, კნუტებით სავსე ტომარა წყალში გადააგდო და ისე დადგა, ვითომ აქ არაფერი იყო. რავდენიმე წამის შემდეგ მის გარშემო ეგვიპტელები შემოეხვივნენ და მათ შორის ქურუმებიც იყვნენ. ბევრი მათგანი, და მათ შორის სასახლის მოღალატე მოსამსახურეც, გადაცვივდნენ ნილოსში და თორმეტი დამღვრჩვალ კნუტით სავსე ტომარა გამოიტანეს. ყველამ ისეთი საშინელი აყალმაყალი ასტეხეს, რომ მათი ხმაურობა სახლში მესმოდა. გაბრაზებული ხალხი ებგერა ჩემს საბრალო მოსამსახურეს, წააქციეს იგი, დიდხანს სცემეს და უსათუოდ კიდევ მოჰკლავდნენ თუ რომ ერთს ქურუმს არ ებრძანებინა, რომ იგი საპყრობილეში ჩაეგდოთ, რადგან მას ჩემი დალუპვის განზრახვაცა ჰქონდა.

„ნახევარ საათის შემდეგ მეც დამიჭირეს. ჩემმა მოსამსახურემ ჯერ ყოველისფერი თვითონ დაიბრალა, მაგრამ უმაღლესმა ქურუმმა საშინლად აწვალა და ამით ათქმევინა მას, რომ კატები ჩემის ბრძანებით დააღრჩო.

„უმაღლესი სამსჯავრო მემფისის ქურუმებისაგან შესდგება, მათს გარდაწვევტილებას თვით მეფეც ვერ უწინააღმდეგებს; ამისათვის როგორც ჩემს საწყალს მიუსს, ისე მე, სიკვდილით დასჯა გადაგვიწყვიტეს. მიუსი ორი დანაშაულობისათვის დასაჯეს: წმინდა ცხოველების დახოცვისათვის და თორმეტჯერ კატის მძოვრით ნილოსის წაბილწვისათვის, მე კიდევ იმიტომ დამსაჯეს,

რომ, როგორც იგინი ამბობენ, დამნაშავეს ვეჭომაგებოდი. მიუსი იმ დღესვე დასაჯეს. მშვიდობა გვამსა მისსა! მე ყოველთვის ისე მოვიგონებ, როგორც მეგობარს და კეთილისმყოფელს. იმის გვა-მის წინაშე მეც წამიკითხეს გადაწყვეტილება; მე უკვე ვემზადე-ბოდი ქვესკნელში მოგზაურობისათვის, როდესაც მეფემ ბრძანა, ჩემი სიკვდილით დასჯა გადაეღოთ.

„მე კვალად ციხეში წამიყვანეს.

„ერთმა ჩემმა არკადიელმა ასისტავმა შემატყობინა, რომ ყვე-ლა ბერძნების აფიცრები და ოთხი ათასამდე ჯარისკაცი, სამსახ-ურიდამ გამოვლენ, თუ მე, იმათს უფროსს, არ მაპატივებდენ.

„ბინდისას მე მეფესთან მიმიყვანეს, რომელმაც ტკბილად მიმ-ილო. იმანაც დაწვრილებით მიაბზო ყოველივე ის, რაც ასისტავმა მიაბზო და თანაც დაუმატა, რომ შენისთანა საყვარელი მხელრის განშორება ძალიან მეძნელებათ. რაც შემეხება მე, უნდა გამოგი-ტყდეთ, რომ ამაზისზედ სრულიადაც არა ვჯავრობ, პირიქით მე იგი მებრალება, როგორც ძლიერი მეფე. თქვენ რომ იცოდეთ, რარივად ჩიოდა იგი, რომ არავითარს საქმეში ისე არ შეუძლიან მოიქცეს, როგორც თვითონ უნდა, და ასე გასინჯეთ თვით იმის პიროვნულს საქმეშიაც კი ქურუმები მონაწილეობას იღებენ! ჩემი საქმე რომ იმაზედ ყოფილიყოს დამოკიდებული, იგი, მე, უცხოქვეყნელს, სიამოვნებით მაპატივებდა დანაშაულს წინაშე კანონისა, რომელიც მე არ მესმის და რომელიც, თუმცა უსა-მართლოდ, სისულელედ მიმაჩნია. მაგრამ ქურუმების გამო მე იგი დაუსჯელად არ გამიშვებს. ყველაზე მცირე სასჯელი ეგვიპ-ტიდამ განდევნა და ასეც მიპირობს მეფე.

„ვერ წარმოიდგენო“, — ამ სიტყვებით დააბოლოვა თავის ჩივილი: — რავდენ რამეებში დავყვე ქურუმებს, რომ შენთვის ეპატივებინათ. ხომ იცი, რომ ჩვენი უმაღლესი სამსჯავრო მე არაფერში არ შემორჩილება!”

„მე გამოვემშვიდე მას შემდეგ, როდესაც შევფიცე, რომ იმავე დღეს მეძმისს დაუტყვებდი და მთლად ეგვიპტეს სამი კვირის შემდეგ.

„სასახლის კარებთან მეფის შვილი ფსამეტიხი შემხვდა. იგი დიდი ხანია მღვენიდა მე ერთი უსიამოვნო ამბისათვის, რომლის

თქმაც არ შემიძლიან (შენ ეს ამბავი უკვე იცი, როდობის). მე მინდოდა მას გამოვშვილობებოდი, მაგრამ მან პირი მომარაღა და მითხრა: „შენ ათინელო! ეხლაც გადარჩი სიკვდილსა; მაგრამ ჩემი შურისძიებისგან ჯერ არ გადარჩენილხარ! სადაც უნდა წახვიდე, მე მაინც გიპოვნი შენა!“ „მაშ მე შენი შეხვედრის იმედი მქონდეს მეთქი“, ვუთხარი მე და შემდეგ ჩემი ბარგი ჩავაწყე ნავში და აქ ნაუკრატისში მოვედი, სადაც ბედმა ჩემს ძველს მეგობარს სპარტანელს არისტომასს შემახვედრა, რომელიც წინად კიპრის კუნძულზედ ჯარის უფროსი იყო და რომელიც იმედია ეხლა ჩემს ადგილს დაიჭერს. მე დიდად კმაყოფილი ვიქნებოდი, როდესაც ჩემს ადგილს ამისთანა ღირსეულს კაცს დავინახავდი, თუ არ მეშინოდეს, რომ ამის სანაქებო ღვაწლთან ჩემი ღვაწლი აღარაფრად გამოჩნდება“.

აქ არისტომასმა გააწყვეტინა ათინელს სიტყვა და უთხრა: „კმარა ჩემი ამდენი ქება, მეგობარო **Φანეს!** სპარტანულმა ენამ პირმოთნეობა არ იცის; როდესაც ჩემი თავი დაგჭირდება, მე საქმით დაგიმტკიცებ ჩემს მეგობრობას“.

როდობისმა ორივეს კმაყოფილებით გაუღიმა. შემდეგ ორივეს ხელი ჩამოართვა და უთხრა:

– სამწუხაროდ, შენის საუბრიდამ ის გავიგე, ჩემო საბრალო **Φანეს**, რომ ამის შემდეგ შენი აქ დადგომა შეუძლებელია. მე შენ სუბუქად მოქცევისათვის არ გაგკიცხავ, მაგრამ უნდა გცოდნოდა კი, რომ უბრალო რამისთვის დიდი განსაცდელი მოგელოდა. ბერძენი და ნამდვილად მამაცი კაცი მხოლოდ მაშინ მოსჭიდებს ხელს საეჭვო საქმეს, როდესაც იცის, რომ იმ საქმისგან სარგებლობა უფრო ბევრი გამოვა, სინამ ზიანი. უჭკუო სიმამაცე ისევე მანებელია, როგორც სიმხდალე, თუმცა იმდენად გასაკიცხი არ არის, ამისთვის რომ, თუმცა ორივე მანებელნი არიან, მაგრამ სიმხდალე სასირცხვილოც არის. შენი სუბუქად ქცევა კინაღამ სიცოცხლედ არ დაგიჯდა, იმ სიცოცხლედ, რომელიც ბევრისთვის ძვირფასია და რომელიც უფრო კარგი საქმეებისთვის უნდა დაიცვა. მაშ დაე ეს კეთილშობილი სპარტანელი, როგორც მომავალი უფროსი ქეშიკებისა, იყოს წარმომადგენელი ჩვენის ერისა სასახლის წინაშე, დაე მან დაიცვას ჩვენი ერი ქურუმთა მრისხ-

ანებისგან და ეცადოს, რომ მეფე ამ ერს მოწყალების თვალთა უყურებდეს. მე შენს კალთას დავიჭერ არისტომას და არ გაუშვებ იქამდის, სანამ არ აღგვითქვამ, ჭანესისამებრ, რომ უბრალო ბერძენსაც კი დაიცვამ ეგვიპტელებისგან და უფრო ადვილად დასათმობ შენს თანამდებობას, ვიდრე რომელიმე ბერძნის შეურაცხებას. ჩვენ რამდენიმე ათასი ბერძენი, რავდენიმე მილიონ ეგვიპტელთა შორის ვიმყოფებით, რომელნიც მტრულის თვალთა გვიყურებენ; მაგრამ ჩვენ ჩვენის ვაჟკაცობითა ვართ ძლიერნი და ეს სიძლიერე უნდა შევინახოთ ერთი-ერთმანეთის დახმარებით. აქამდის ეგვიპტეში მცხოვრებნი ყველა ელინელნი ისე ვიქცეოდით, როგორც ძმანი; ერთი ყველასათვის სდებდა თავს და ყველა ერთისათვის და ეს ერთსულობა იყო ჩვენი ძლიერების მიზეზი. დანარჩენ ეგვიპტეში მცხოვრებ ბერძნებმა რომ ასეთივე ერთგულება გამოიჩინონ ერთმანეთისა, ჩვენი სამშობლოს ყოველმა ერმა რომ დაივიწყოს თავის დორიული შთამომავლობა და ყველანი მხოლოდ „ელინებად“ ვიწოდებოდეთ, ჩვენ რომ ისე ვცხოვრობდეთ, როგორც შვილნი ერთის ოჯახისა და კრავი ერთის ფარასი, — მაშინ მთელი ქვეყანაც ვერ გაბედავდა ჩვენს წინააღმდეგობას და ყოველი ერი ელადას აღვიარებდა თავის მბრძანებლად.

ამ სიტყვებზედ როდობისს თვალები გაუბრწყინდნენ; სპარტანელმა მას ხელი დაუჭირა, თავდაუჭერელის აღტაცებით ხის ფეხი იატაკზედ დაჰკრა და სთქვა:

— გეფიცებით ზევებს ღმრთეობისას, რომ მე არავის ელინთა ხელის ხლების ნებას არ მივცემ; შენ კი, როდობის, ღირსი ხარ სპარტანელი იყო.

— ათინელიც! დაუმატა ჭანესმა.

— იონიელიც! შეჰყვირეს მილეთელებმა.

— სამოსელი ქალიც! სთქვა სკულპტორმა.

— მაგრამ მე უპირველეს ყოვლისა, — სთქვა აღტაცებულმა დელაკაცმა, — მე უპირველეს ყოვლისა ელინელი ვარ!

ყველანი აღტაცებულნი იყვნენ: ასე გასინჯეთ თვით სირიელი და ებრაელიც კი მონაწილეობას იღებდნენ ამ საყოველთაო აღტაცებაში. მხოლოდ სიბარიელმა ფილონმა არ უღალატა

თავის დინჯობას და, როდესაც საჭმლით პირი გამოიტენა, სთქვა:

– შენ აგრეთვე ღირსი ხარ სიბარიელიც იყო, რადგანაც შენი მოხრაკული საჭმელები ყველასა სჯობიან, რაც კი მე აქამდის მიჭამია იტალიიდან წამოსვლის შემდეგ და შენი ღვინოც ისევე გემრიელია, როგორც ხიოსისა და ვეზუვიის ღვინო.

ყველამ გაიცინა, მხოლოდ სპარტანელმა შეხედა სიტკბოების მოყვარეს სიმძულვარის თვალით.

– გამარჯობა თქვენი! უეცრად მიესალმა მათ ფანჯრიდამ უცნობი ბოხნიანი კაცი.

– შენც გაგიმარჯოს! – მიუგეს მოლხინეთ და ცდილობდენ გაეგოთ, ვინ არის ეს დაგვიანებული სტუმარი.

დიდხანს არ მოუნდათ მოცდა; სიბარიელს ჯერ ღვინის ახალი ყლუბი არ დაელია, რომ როდოპისის გვერდით უკვე იდგა მაღალი, ხმელ-ხმელი, სამოცის წლის მოხუცი კაცი, რომელსაც გონივრული შეხედულება ჰქონდა; ეს იყო კალიასი, შვილი ჭინიპ ათინელისა.

დაგვიანებული სტუმარი ათინიდან ერთი მდიდარი გამოდევნილთაგანი იყო; მან ორჯელ იყიდა სახელმწიფოსაგან პიზის-ტრატიის ქონება და ორჯელვე უკან გამოართვეს მართველის დაბრუნების გამო; ახლად მოსული გონივრულის თვალთ უყურებდა თავის ნაცნობებს და, როდესაც ყველას მიესალმა, სთქვა:

– თუ თქვენ ღირსეულად არ დააფასებთ ჩემს აქ მოსვლას, მაშინ ჭეშმარიტებით ვიტყვი, რომ ქვეყნად პატივისცემა არ არსებობს.

– ჩვენ დიდხანს გელოდით შენა, უთხრა მას ერთმა მილეთელმა, – შენ პირველს მოგაქვს ამბავი ოლიმპიის თამაშობის შესახებ.

– ჩვენც იმაზედ უკეთესი მოამბე არ გვინდოდა, როგორც არის გამარჯვებული სტუმარი, დაუმატა როდოპისმა.

– დაჯექ, უთხრა ჭანესმა მოუთმენელად: – და მოკლედ და კარგად გვიამბე ყველაფერი, რაც კი იცი, მეგობარო კალიას.

– ეხლავე, ჩემო თანამემამულევ, მიუგო უკანასკნელმა. – საკმაოდ დიდმა დრომ გაიარა მას აქეთ, რაც მე ოლიმპი დავტოვე და ჩავვექ ერთს საუკეთესო სამოსელს ნავში აქეთკენ წამოსას-

კვლელად.

„მე სრულიადაც არ მიკვირს, რომ ჩემზე ადრე არცერთი ელინელი არ მოსდგომია ნაუკრატისის ნაპირებს; ჩვენ საშინელი ქარი დაგვიდგა და უსათუოდ დავიდუპებოდით, თუ რომ სამოსელი გემები ასე მკვიდრად არა ყოფილიყვენ აშენებულნი.

„მე არ ვიცი, რა იქნენ დანარჩენი მოგზაურები, მაგრამ ჩვენ კი სამოსის ნავთსადგურში დავდექით და ათი დღის შემდეგ კვალად გამოვუდექით გზასა.

„როდესაც დღეს ნილოსის ტოტში შემოვედით, მე გადავვციქი ჩემს ნავში და ქარმა ისე გამომაქანა აქეთკენ, რომ ერთი თვალის დახამხამების შემდეგ აღერსითა და სტუმრის მოყვარეობით გათქმული სახლი. მე დავინახე გაფრიალებული დროშა, გაღებულს ფანჯარებში სინათლე და დიდხანს ვყოყმობდი, — შემოვსულიყავ თუ არა; მაგრამ შენს გრძნეულს ძალას ვერ გავუძეღ, როდობის; ამას გარდა ახალი ამბები, რომელნიც ჯერ არავისთვის მითქვამს, სწორედ ძალიან შემაწუხებდენ, თუ რომ ნაპირს არ გამოვსულიყავ, რომ ერთს ნაჭერ შემწვარზედ და სტაქან ღვიწხოზედ შეამბნა თქვენთვის იმისთანა ამბები, რომლებიც თქვენ სიზმარშიაც არ გინახავთ.”

კალიასი ბალიშზედ დაჯდა და სინამ თავის ახალ ამბებს უამბობდა — როდობისს მისცა მან მშვენიერი ოქროს ბრასლეტი, რომელზედაც გველი იყო გამოხატული და სამოსში დიდ ფასად ნაყიდი იმ თევდორეს სახელოსნოში, რომელიც მასთან ერთად სუფრაზედ იჯდა.

— აი, მე შენ რა მოგიტანე, უთხრა მან გახარებულს როდობისს, შენთვის კი, მეგობარო ჭანეს, ცოტა რამ უფრო უკეთესი მაქვს. აბა გამოიცან, ვინ მიიღო საჩუქარი ოთხცხენიანი ეტლების გაქცევაში?

— ათინელმა? ჰკითხა ჭანესმა და ლოყები აუწითლდა.

საჩუქარი, რომელსაც გამარჯვებული ოლიმპიის თამაშობაზედ მიიღებდა, მთელს ერს ეკუთვნოდა. ზეთისხილის შტო, ოლიმპიის თამაშობაზედ მიღებული, იყო უდიდესი პატივი და ბედნიერება ყოველი ელინელისათვის და მთელი საბერძნეთის ერისათვის.

– გამოიცან ჭანეს! უთხრა მხიარულმა მოამბემ. პირველი საჩუქარი ათინელმა მიიღო და იმასაც გეტყვი, ვინც მიიღო: შენმა ბიძაშვილმა კიძონმა, კიპსელოსის შვილმა, იმ მილტიადის ძმამ, რომელმაც ცხრა ოლიმპიადის წინად ასეთივე საჩუქარი მიიღო. მან მეორედ გაიმარჯვა ამ წელს იმავე ცხენებით, რომელთაც წარსულს დღესასწაულზედ აიღეს საჩუქარი. ამპარტავნობ განა, ბედნიერებას გრძნობ შენის ოჯახის გამარჯვებით, არა ჭანეს?

ჭანესი სიხარულით ფეხზე წამოდგა და ასე გეგონებოდა, გაზდილაო.

გამოუთქმელის სიამაყით და ღირსებით, მან ჩამოართვა ხელი გამარჯვების მოამბეს, რომელმაც, გადხევია რა თანამემამულეს, განაგრძო.

– დიაღ, ჩვენ შეგვიძლიან ვიამპარტავნოთ და ვიმხიარულოდ; მაგრამ ყველაზედ ძალიან შენ უნდა იმხიარულო. მას შემდეგ, რაც მსაჯულებმა ერთხმად კიძონს აკუთვნეს საჩუქარი, მან გზირებს უბრძანა გამოეცხადებინათ პიზისტრატის ოთხცხენიანი ეტლის პატრონად და მაშასადამე, გამარჯვებულათაც. ეხლა ჩვენს გვარს, როგორც პიზისტრატმა გამოაცხადა, შეუძლიან ათინაში დაბრუნება და შენთვისაც დადგა დიდი ხნის სანატრელი ღრო სამშობლოში დაბრუნებისა!

ამ სიტყვებზედ სიმხიარულე დაჰკარგა ქეშიკების უფროსმა ჭანესმა; დიდებული მისი ამპარტავნება სიბრაზეზედ შეიცვალა და მან დაიყვირა:

– მაშ, შენის ფიქრით, მე უნდა ვიმხიარულო, უჭკუო კალიას? არა, მე უნდა ვიტირო, როდესაც მოვიგონებ, რომ აიაქსის შთამამავალმა თავის დიდება ასე სამარცხვინოდ დაამხო. მე დავბრუნდები შინა? გეფიცებით ათინას, მამა ზევეს და აპოლონს, რომ მე უფრო ადრე სიმშლით მოვკვდები უცხო ქვეყანაში და სამშობლოში კი არ დავბრუნდები იქამდის, სინამ პიზისტრატს იგი დამონაგებული ჰყავს. მე თავისუფალი ვარ, როგორც არწივი ღრუბლებში, იმ დღიდგან, რა დღესაც ამაზისის სამსახური დავტოვე; მე მირჩენიან ვისიმე მშვიერი მონა ვიყო უცხო ქვეყანაში, სინამ პიზისტრატის პირველი მოსამსახურე!”

შემდეგ მან კვალად დაუჭირა ჭანესს ხელი და უთხრა:

– როგორც შენ, ჩემო მეგობარო, ისე მე ძალიან მეჯავრება ჩვენი მბრძანებელი, მაგრამ მე ღარწმუნებული ვარ, რომ მტარვალობა იქამდის არ მოისპობა, სინამ მტარვალთა ცოცხალია. მისი მომხრენი, ლიდრამის ნიკოსელი და პოლიკრატ სამოსელი, ძალიან მძლავრები არიან, მაგრამ ჩვენი თავისუფლებისათვის პიზისტრატის სიბრძნე და გამოცდილება უფრო საშიშია, სინამ იმის მომხრენი. ამ ბოლოს დროს ელადაში რომ ვიყავ, მე ვნახე, რომ ათინელს ხალხს თავის მტარვალთა ისე უყვარს, როგორც მამა; თუმცა იგი ძლიერია, მაგრამ სოლონის დაწესებულებანი მაინც მოქმედობენ და იგი მათ ხელს არ ახლებს. იგი ამკობს ქალაქს ხელოვნების მშვენიერის ნაწარმოებით. ზევების ახალი ტადარი, რომელიც მშვენიერის მარმარილოს ქვით შენდება, უსათუოდ ყველა სხვა შენობებს დაემჯობინება. პიზისტრატი ყველა საუკეთესო მხატვრებს და პოეტებს ათინაში უყრის თავს. იგი აწერინებს გომერის სიმღერებს და აგროვებინებს მუზეუს ონომაკრიტელის ნათქვამებს. მას გაჰყავს ახალი ქუჩები და მართავს ახალს საერო დღესასწაულებს; მის ხელში ვაჭრობა ჰყვავის და ერის ქონება უფრო მატულობს, თუმცა იგი ბევრს ახალს ხარჯს ადებს მას კისერზედ. მაგრამ რა არის ერი? იგი არის ბედითა ხროვა. რომელიც კოლოსავით სინათლეს დასდევს. პიზისტრატის ლამპარი თუგინდ რომ კიდევ გაჰქრეს, გეფიცები ბანეს, რომ დაუდგრომელი ერი სხვა ლამპარისკენ ისევე წავა. ნება მიბოძე ერთხელ კიდევ ჩამოგართვა ხელი, აიაქსის ნამდვილო შვილო; თქვენ კი, მეგობრებო, სხვა ახალს ამბებს გაამბობთ.

„ესრედ, ეტლების მარულაზედ კიმონმა გაიმარჯვა და თავის ზეთისხილის შტო პიზისტრატს უძღვნა. თუმცა მთელს ელადას თავის წარმომადგენლები ჰყავდა, მაგრამ კიმონის ეტლზედ უმშვენიერესი არავისი იყო. ერთის სიტყვით, ენით არ შემოიძლიან გამოვსთქვა სიბრწყინვალე და დიდებულება ამ დღესასწაულისა და აღტაცება სხვადასხვა ქვეყნებიდამ მოსულის ერისა.

შემდეგ კიმონისა საუკეთესო საჩუქრები სპარტანელებმა ლიზანდრმა და მარონმა მიიღეს, რომელნიც კეთილშობილი განდევნილი არისტომახის შვილები არიან. მარონმა გაქცევაში გაიმ-

არჯვან, ლიზანდრი კი კროტონელ განთქმულ ფალავან მილონთან გამოვიდა საჭიდაოდ. მილონი სპარტანელზე უფრო მაღალი და ღონიერი იყო და აგებულებით აპოლონსა ჰგავდა. ყმაწვილმა ლიზანდრმა ჭიდაობის წინად აიღო მაღლა ხელები ღმერთებისადმი და დაიძახა:

„მამიჩემის ღირსების და სპარტის დიდებისათვის გამოვდივარ! კროტონელმა ღიმილით შეხედა ახალგაზდას.

„დაიწყო ჭიდაობა. დიდხანს ერთმანეთს ხელი ვერ მოავლეს. დიდის გაშმაგებით მივარდებოდა ხოლმე კროტონელი თავის მოწინააღმდეგეს. მაგრამ იგი გველისავით უსხლტებოდა მას, რომლის ხელებიც გზებსა ჰგავდა. ამ ბრძოლას ყველა სულგამელილი უყურებდა. ფალავნების ძახილისა და ჭალაში ჩიტების გალობის მეტი არაფერი ისმოდა. ბოლოს ახალგაზდამ სტაცა ხელი თავის მოწინააღმდეგეს. მილონი დიდხანს ცდილობდა ახალგაზდას ხელიდამ გაშვებოდა. მებრძოლთა ოფლი მყიდანსა რწყავდა.

„ყველამ თანდათან სული გამელა და თანდათან უფრო მებრძოლთა კენესა ისმოდა. ბოლოს მან შემოიკრიბა უკანასკნელი ძალა და უნდოდა კრეტონელი წაექცია; მაგრამ მან მისი დაუძლიერება შეიტყო და საშინელის ღონით დალოჯა იგი. მაშინ შავი სისხლი გადმოედინა ახალგაზდას პირიდან და იქვე ცოცხალმკვდარი დაეცა. დემოკედი, ჩვენი ღროის გამოჩენილი ექიმი, რომელსაც სამოსელები უნდა იცნობდენ, რადგანაც იგი პოლიკრატის სასახლეში იმყოფებოდა, მაშინვე მოვიდა, მაგრამ ვედარაფერი უშველა, რადგანაც იგი უკვე მომკვდარიყო.

„მილონმა დაჰკარგა საჩუქარი და ამ ახალგაზდის მამაცობა კი მთელს ელადაში გაგარდებდა. ღმერთმანი, მეც ის უფრო ძალიან მინდა რომ არისტომახის შვილის ლიზანდრისავით მოგვედღე, სინამ კალიასისავით ვიცოცხლო, სიცოცხლე, რომელიც უცხო ქვეყანაში ბერდებდა. მთელი საბერძნეთის საუკეთესო წარმომადგენელნი დაესწრენ ამ ახალგაზდა კაცის გვამის დაწვას, მის ძეგლს მილონ კროტონელის და სხვა ფალავნების ძეგლთა გვერდით დასდგამენ. ბოლოს გზირებმა გამოაცხადეს: სპარტა მიიღებს გამარჯვების საჩუქარს მიცვალებულის მაგიერ, რადგა-

ნაც ლიზანდრი მილონმა კი არა — სიკვდილმა დაამარცხა; და ვინც ღონიერ ბერძენთან ორი საათის ბრძოლის შემდეგ გამარჯვებული გამოვიდა, იგი ღირსია მიიღოს საჩუქრად ზეთისხილის შტო”.

კალიასი ერთს წამს დაჩუმდა. ეს მხიარული ხასიათის კაცი, როდესაც ლაპარაკობდა, იქ მჯდომთ არავის ყურადღებას არ აქცევდა, მისი მკვირცხლი თვალები შორს გაიციქებოდნენ, გეგონებოდა ჭიდაობას უცქერიან. ეხლა მან გადახედა იქ მჯდომთ და გაკვირვებულმა დაინახა, რომ ხისფეხიან მოხუცს კაცს, რომელსაც აქამდის არ იცნობდა, თვალებზედ ხელი მიეფარებინა და მღუღარე ცრემლით იბანებდა; იმის მარჯვნივ როლოპისი იდგა და მარცხნივ ჭანესი და ყველა იქ მყოფნი ისე უცქეროდნენ სპარტნელს, თითქოს იგი ყოფილიყოს კალიასის მოთხრობის გმირად. გონიერი ათინელი მაშინვე მიხვდა, რომ მოხუცი სპარტნელი ერთ-ერთი გამარჯვებულის ახლო ნაცნობი იყო; მაგრამ როდესაც გაიგო, რომ არისტომახი ორი გამარჯვებული ძმების — სპარტანელების მამა იყო, იმანაც გაკვირვებით დაუწყო მოტირალს მოხუცს ცქერა და თვითონაც მოერია ცრემლები, რომელთა დამალვასაც არა ფიქრობდა. იმ დროს ვაჟკაცებიც ტიროდნენ, რაკი იცოდნენ, რომ ცრემლთა დენით მწუნხარება შემცირდებოდა.

მცირე ხანს ყველა სტუმრებმა ხმა გაკმინდეს მოხუცის მწუნხარების პატივისცემის გამო. ბოლოს ებრაელმა იოსიამ დაარღვია სიჩუმე და ბერძნულის ენის მტვერევით უთხრა:

— კარგად იტირე, სპარტნელო ვაჟკაცო. მე ვიცი რასაც ნიშნავს შვილის დაკარგვა. მეც ამ თერთმეტის წლის წინად, უცხო ქვეყანაში, ბაბილონის წყლის კიდებზედ, სადაც ჩემი ერი იტანჯებოდა, ერთი მშვენიერი ყმაწვილი დავმარხე. თუ ჩემს მშვენიერს ბავშვს ერთი წელიწადი კიდევ ეცოცხლა, მაშინ იგი თავის სამშობლოში მოკვდებოდა და ჩვენც შეგვეძლო იგი თავის მამა-პაპათ საფლავებს შორის დაგვემარხა. მაგრამ კირმა სპარსეთისამ, აკურთხოს იეგოვამ მისი შთამომავალი! — ერთის წლით გვიან განგვანთავისუფლა და ეხლა ერთიორად უფრო ვსტირი იმ ყმაწვილს, ამისათვის, რომ იმის საფლავი იზრადილის მტერთა ქვეყანაში გაითხარა. ამაზედ საშინელება რაღა იქნება, როდესაც

ვხედავთ, რომ ჩვენი შვილები, უძვირფასესი საუნჯენი, ჩვენზე ადრე ჩადიან საფლავში? და – დამიხსნას იეგოვამ როდისმე დაგკარგო იმისთანა მშვენიერი ყმაწვილი, როგორც შენი შვილი იყო, განსაკუთრებით იმ დროს, როდესაც მან დიდება მოიხვეჭა; ამაზედ უდიდესი მწუხარება რაღა იქნება.

სპარტნელმა ჩამოიღო თვალებიდან ხელები და ღიმილით თვალცრემლიანმა უთხრა:

– შენ სცდები, ფინიკიელო: – მე სიხარულისგან ვსტირი და არა მწუხარებისგან, მე მზადა ვარ მეორე შვილიც დაგკარგო, ოღონდ კი ისიც ისე მოკვდეს, როგორც ლიზანდრი.

იზრაილტიანელმა, გაკვირვებულმა ამ სიტყვებით, რომელთაც იგი დანაშაულად და ბუნების წინააღმდეგად სთვლიდა, მხოლოდ უკმაყოფილოდ გააქნია თავი; მაგრამ იქ მყოფთ ელინელთ კი ბედნიერს მოხუცებულს მამას ბევრი მიულოცეს. არისტომახნი სიხარულით რავდენიმე წლით გაყმაწვილებულსა ჰგავდა და, მიუბრუნდა რა როდოპისს, უთხრა:

– ჭეშმარიტად, შენი სახლი ჩემთვის ბედნიერებაა. ამისთვის მას აქეთ, რაც აქ შემოვედი, ღმერთები ეს მეორე საჩუქარს მაძლევენ შენი სახლის ჭერქვეშ.

– პირველი რომელი იყო, ჰკითხა როდოპისმა.

– ორაკულის სასიამოვნო წინასწარმეტყველება.

– მესამე კი გავიწყდება, უთხრა ჭანესმა: – დღეს შენ ღმერთებმა გაგაბედნიერეს და როდოპისი გაგაცნეს. აბა ორაკულმა რა გიწინასწარმეტყველა?

– შეიძლება ეს წინასწარმეტყველება მეგობრებს შევატყობინო? – ჰკითხა დელმიელმა.

არისტომახნმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია და ჭრიქსმა პატიას პასუხი მეორედ წაიკითხა:

მოვა დრო და თოვლის მთებით რაზმები

დიდ მდინარის ნაპირზედ გაიშლება,

სუბუქ ნავით წყლის კიდეს მიაღვები,

დატანჯული გული დაგიმშვიდდება.

ხუთს მსაჯულსა უკვე გარდუწყვეტიათ

მისცენ მწირს, რაც წინად არ მიუციათ.

როგორც კი ფრიქსმა უკანასკნელი სიტყვა სთქვა, ათინელი კალიასი წამოდგა და მლელვარებით სთქვა:

– ეხლა შენ ჩემგან მიიღებ ამ სახლში ოთხცხენიანი ეტლის-აგან აღებულ ღმერთების საჩუქარს. მე უკანასკნელს ჩემს ახალს ამბავს საბოლოოდ ვინახამდი. იცოდე, რომ ეგვიპტეზედ სპარსელები მოდიან!

სიბარიელის გარდა ყველა სტუმრები ფეხზედ წამოდგნენ და კალიასი ძლივს ასწრობდა კითხვაზედ პასუხის მიცემას.

– დამშვიდდით, დამშვიდდით, მეგობრებო. დამაცადეთ ყოველისფერი რიგზედ გითხრათ, თორემ თავის დღეში ვერ დავასრულებ ამ ამბავს! სპარსეთის ეხლანდელი ძლიერი მეფის კამბიზის დესპანი დიდძალის მხლებლებით, და არა ჯარით, როგორც შენა ფიქრობ ჭანეს, გზაზედ მოდიან. სამოსილამ მივიღე ამბავი, რომ დესპანები მილეთში უკვე მოსულან. რამდენიმე დღის შემდეგ იგინი აქ იქნებიან. დესპანთა შორის არის მეფის ნათესავიც და ასე გასინჯეთ თვით ლიდიის მოხუცი კრეზიც; ჩვენ დიდ ამბავსა ვნახავთ! მოგზაურობის საგანი არავინ არ იცის, მაგრამ ფიქრობენ კი, რომ კამბიზსო ამაზისთან დაკავშირება უნდა; იმასაც ამბობენ, რომ ვითომც დიდს მეფეს ფარაონის ქალის შერთვა უნდოდეს.

– დაკავშირება? ჰკითხა ჭანესმა და მხრები აიწივა. სპარსელებს უიმისოდაც ნახევარი ქვეყანა ხელში უჭირავთ. აზიის ყველა დიდი სახელმწიფოები მათს სკიპტრას დაემორჩილნენ; მათი მეფე ეგვიპტესა და ელინთა სამშობლოს ჯერ კიდევ არ იმეტებს.

– შენ გავიწყდება ოქროს ინდოეთი და აზიის დიდი უბინაო ერი, უთხრა კალიასმა. – შენ გავიწყდება ისიც, რომ სახელმწიფო, შემდგარი სამოცდაათის ერისაგან, რომელნიც სხვადასხვა ენაზედ ლაპარაკობენ და სხვადასხვა ხასიათისანი არიან, თვით გაუხდება თავის თავს შინაური ომის მიზეზად; ასეთი სახელმწიფო სხვა სახელმწიფოსთან ომს უნდა ერიდებოდეს, რომ, როდესაც მომეტებული ჯარი გარეთ იმყოფება, მასთან დაკავშირებულმა უცხო ერმა არ ისარგებლოს და თავისთვის არ გავიდეს. აბა ჰკითხე მილეთელებს: მშვიდობიანად იქნებოდნენ, თუ რომ

მათს მპყრობელს რომელსამე ომში ბრძოლა წაეგო?

მილეთელმა ვაჭარმა ჭეკობეძემ სწრაფად შეაწყვეტინა კალიასს საუბარი:

– თუ რომ სპარსელები რომელსამე ომში ბრძოლას წააგებენ, მაშინ მათ ბევრი სხვა ბრძოლაც თავზედ დაატყდებოდათ და ჩემი სამშობლო არა უკანასკნელად აღსდგებოდა თავის დამონავებელის წინააღმდეგ.

– რა დანიშნულებაც უნდა ჰქონდეთ ამ დესპანებს, განაჰრძო კალიასმა: – მე მაინც ჩემსას ვიტყვი, რომ ბევრი-ბევრი სამი დღის უკან იგინი აქ იქნებიან.

– და აღსრულდება შენი ორაკულის წინასწარმეტყველება, არისტომას! უთხრა როდოპისმა: – მთიდამ მომავალი მტერი სპარსელების მეტი ვინ იქნება. როდესაც იგინი ნილოსის ქალაქებს მოადგებიან, შენი ქვეყნის ხუთს მსაჯულს ფიქრი გამოეცვლებათ და შენ, ოლიმპიის ორის გამარჯვებულის მამას, სამშობლოში უკანვე დაგაბრუნებენ. კვალად აავსე, კნაკიას, ფიალები! ეს უკანასკნელი ფიალა ლიზანდრის აჩრდილის სადღეგრძელო დავლით და შემდეგ მე თქვენ ყველას ხვალამდის გამოგემშვიდობებთ. მასპინძელი, რომელსაც თავის სტუმრები უყვარს, ვალდებულია მოსპოს მეჯლისი, როდესაც მხიარულება უკიდურეს წერტილამდის ადის. სასიამოვნო მოგონებანი ამ მეჯლისისა თქვენ ყველას კვალად მოგიყვანთ ამ სახლში, უსიამოვნობა რამ რომ მოხდეს კი ყველანი უგულოთ მოხვალთ.

მასპინძელს ყველა სტუმრები დაეთანხმენ და იგივეა მას პიჭაგორის მოწაფე დაარქვა და თანაც მეჯლისის მხიარულობას აქებდა.

ყველანი შინ წასასვლელად მოემზადნენ. სიბარიელიც, რომელიც თავის მდგომარეობის დამალვას ცდილობდა, რადგანაც ბევრი დალია, წამოდგა ზეზედ მოსამსახურეთა დანმარებით და მასპინძლისაგან წესის დარღვევის შესახებ რაღასაც ლულულუღებდა.

როდესაც, გამომშვიდობების ღროს, როდოპისმა ხელი ჩამოართვა, მან ღვინისაგან გაბრუებულმა უთხრა:

– გეფიცები ღერკულესს, როდოპის, რომ შენ ისე გვისტუმრებ სახლიდამ, როგორც დაუდგარ მოვალეებს. მე ჩვეული არა

ვარ მეჯლისს თავი დავანებო იქამდის, სინამ ფეხზედ დგომა შემიძლიან და განსაკუთრებით უფრო ჩვეული არა ვარ იმას, რომ კარები მიჩვენონ, როგორც საძაგელს ვისმე!

– გაიგონე რას გეუბნები, შე თავდაუჭერელო მოქეიფევე, უთხრა როდოპისმა ღიმილით, მაგრამ თავის სიმთვრალით გაჯავრებულმა ფილონმა საშინლად გაიხარხარა როდოპისის სიტყვებზედ, ტორტმანით წავიდა კარებისკენ და უთხრა როდოპისს:

– შენ მე თავდაუჭერელ მოქეიფევეს მეძახი? მაშ მე შენ უსირცხვილო მონას დაგიძახებ. შენ ღლეკანდლამდის კიდევე გეტყობა, რაცა ყოფილხარ ყმაწვილობისას. მშვიდობით იადმონის მონავ, განთავისუფლებული „ხარაქისსაგან!“

ჯერ ლაპარაკი არ გაეთავებინა, რომ მას სპარტანელი ანაზ-დეულად მივარდა, ერთი მუშტის დარტყმით წააქცივა და ბავშვისავით აიყვანა და ნაეში ჩასვა; სიბარიელს მონები იქვე ბალის კარებთან ელოდნენ.

III

სტუმრები წავიდ-წამოვიდენ.

აყვავებულ მდელიოზედ მოსულს სეტყვასავით მოხვდა სიბარიელის სიტყვები სტუმრების გამხიარულებულს გულს. თვით როდოპისი გაფითრებული იდგა და თრთოდა დაცარიელებულს მორთულს ოთახში. გაკაშკაშებულის სინათლის მაგივრად უსიამოვნო სიბნელე მოეფინა არეულ-დარეულს სუფრას. გაღებული კარებიდამ ცივი ჰაერი შემოდოდა, რადგანაც თენდებოდა და ეგვიპტეში ყველაზედ ძალიან მზის ამოსვლის წინად აცივდება ხოლმე. სუბუქად ჩაცმული მოხუცებული როდოპისი კანკალებდა. უცრემლო თვალებით ათვალიერებდა დაცარიელებულს ოთახს, რომელიც ამ რამდენსამე წამის წინად გამხიარულებული იყო სტუმრებით. იგი ადარებდა თავის გულის მდგომარეობას ამ დაცარიელებულს ოთახს. იმას ეგონა, რომ რაღაც უხრამდა გულს და სისხლი ძარღვებში ეყინებოდა.

დიდხანს იდგა ასე, სინამ არ მოვიდა მისი ძველი მოახლე მონა და არ გაუნათა საწოლი ოთახი.

მღუმარედ იდგა როდოპისი, როდესაც მოახლე ტანისამოსს

ხლიდა, მდუმარედვე იყო, როდესაც ფარდა გადასწია, რომელიც მის საწოლს მეორე საწოლისაგან ჰყოფდა. ამ მეორე საწოლის შუა ნეკერჩხლის ხის კრაოტი იდგა და მაზედ ეგო მატყლის ნაალი, თეთრის ზეწრით და ბაცი ცინფერის საბნებით გადაფარებული. მაზედ განისვენებდა მოშხიბლავი, მშვენიერი ქმნილება. ეს იყო საწოლი, როდობისის ქალიშვილი. ეს ნაზი მდიდრული ტანი, ეს მშვენიერი მოყვანილი სახე ეკუთვნოდა ქალს, რომელიც ეს იყო ახლად იფურჩქნებოდა, ხოლო ნეტარი, მშვიდი ღიმილი – უდარდელს ბედნიერს ბავშვს.

ერთი ხელი, რომელზედაც განისვენებდა მშვენიერი თავი მძინარე ქალისა, დამალული იყო სქელს მუქ წაბლისფერს თმებში; მეორე ხელი ოდნავ ეხებოდა მწვანე ქვისაგან გაკეთებულს თილისმას, რომელიც ყელზედ ეკიდა. დახუჭულის თვალების გრძელი წამწები ოდნავ ირხეოდენ. მძინარის ლოყები ნაზი ვარდის ფრად ღვიოდენ, ცხვირის პატარა ნესტოები ებერებოდენ სუნთქვის გამო. ასე ხატავენ უმანკობას, ასე უღიმდება ოცნებითი სიმშვიდე, ასეთს ძილს უგზავნიან ღმერთები უდარდელს ყმაწვილობას.

ფეხის თითებით ეპარებოდა როდობისი ამ მძინარე არსებას. გამოუთქმელის სინაზით დაჰყურებდა იგი მძინარის მდიმარს პირისსახეს, ჩუმად და მდუმრად დაიჩოქა კრაოტის წინაშე, სიფრთხილით ჩაეკრა რბილს საბნებს, ასე რომ მძინარის ერთი ხელი იმის თმებს ეხებოდა. შემდეგ მან დაიწყო ტირილი, თითქოს უნდოდა ამ ცრემლებით ჩამოებანა თავისი უწინდელი შეურაცხება და მოზღვავებული მჭმუნვარება.

ბოლოს იგი წამოდგა, ერთი აკოცა მძინარეს შუბლზედ, ლოცვით ალაპყრო ზეცისადმი ხელები და დაბრუნდა თავის ოთახში ისევე ჩუმად და ფრთხილად, როგორც მოვიდა.

მას დახვდა ლოგინთან ძველი მოახლე, რომელიც მას ელოდა.

– ამ დროს აქ რათა ზიხარ, მელიტა? უთხრა მან მშვიდად და ალერსიანად. წადი დაიძინე, ხომ იცი რომ შენ ჩემთვის საჭირო აღარა ხარ. მშვიდობით, ხვალ სინამ არ დაგიძახო, არ მოხვიდე. მგონია, მე ამაღამ არ დამეძინება და დიდად გამეხარდება, თუ

დილით მაინც ჩამთვლემავს.

მოახლე ყოყმანობდა: ეტყობოდა რისამე თქმა უნდოდა.

– შენ გეტყობა, გინდა რამე მთხოვო? ჰკითხა როდობისმა. როდობისი ისევ ზეზე იდგა და უცდიდა პასუხს.

– თქვი, რაღა, მალე თქვი!

– მე გნახე შენ, როგორც ტიროდი, დაიწყო მოახლემ: შენ ან გაჯავრებული ხარ და ან უქეიფოდა. არ შეიძლება მთელს ღამეს შენთან დავრჩე? მითხარ, რა გაწუხებს? შენ არაერთხელ გამოგიცდია, რომ, როდესაც შენს დარდს სხვას გაუზიარებ, გული გიმშვიდდება და მწუხარება მცირედაც არის გიქარდება. დღესაც მანდევ შენი მწუხარება. ეს შენ ტვირთს მოგხსნის და დაუბრუნებს შენს გულს დაკარგულს სიმშვიდეს!

არა, მე ლაპარაკი არ შემიძლიან, უთხრა როდობისმა. შემდეგ მან განაგრძო საუბარი მწარის ღიმილით: – მე კვალად დავრწმუნდი, რომ არცერთს ღვთაებას არ შეუძლიან აღგაოს კაცის წარსული და რომ უბედურება და შერცხვენა განუყრელნი დაძმანი არიან! მშვიდობით, თავი დამანებე, მელიტა.

მეორე დღეს, შუადღის დროს, იგივე ნავი, რომლითაც წინა ღამეს ათინელი და სპარტანელი მოვიდნენ, მოადგა როდობისის ბაღს.

მზე ბრწყინვალედ და მხიარულად იყურებოდა ეგვიპტის ლაჟვარდის ციდამ, ყველგან წმინდა ჰაერი მეფობდა, ჭრიჭინები მხიარულად ჭრიჭინობდნენ, მენავენი მაღალის ხმით ძღეროდნენ, ნილოსის ნაპირები ჰყვოდნენ, ბაირაღები ფრიალობდნენ, ერი მოძრაობდა. ბზა, აკაცია და სხვა ხეები ისე მშვენიერად აყვავებულიყვნენ, რომ მგზავრი იფიქრებდა, – ამ არემარედამ ყოველივე უბედურება განდევნილიაო, რომ აქ არის სადგური ბედნიერებისა და სიხარულისა.

როდესაც სოფლის ახლოს გავივლით ხოლმე, რომელიც აყვავებულს ხეხილებშია ჩაფლული, რამდენჯერ გვიფიქრია, რომ ეს სოფელი მყუდროებისა, გულკეთილობისა და ბედნიერების სადგური იქნებაო. მაგრამ საკმაოა ამ სოფლის სახლებში ერთხელ შესვლა, რომ დაინახო მათში, როგორც ყოველგან, სიღარიბე და სიგლახაკე, სურვილი და გულისთქმა, შიში და სინანული,

ჭმუნვა და მწუხარება, სიხარული კი, საუბედუროდ, ყველაზედ ნაკლებად არის! ვინ იფიქრებს, რომ ეგვიპტეში, სადაც მზე ყოველთვის ბრწყინვალეა, რომლის ცააც არასოდეს არ მოიღრუბლება, ხალხი ყოველთვის მოწყენილია და გაბრაზებული? ვის მოუვიდოდა ფიქრად, რომ როდოპისის მშვენიერს, ყვავილებში შთანთქმულს სახლში სძგერს გული, დატვირთული ღრმა მწუხარებით? რომელი სტუმარი იფიქრებდა, რომ ეს გული ეკუთვნის როდოპისს, რომლის სახესაც ყოველთვის ღიმილი ეთამაშებოდა?

ფერმკრთალი, მაგრამ, როგორც ყოველთვის, მშვენიერი და ალერსიანი იჯდა იგი ჭანესთან ერთად შადრევანის ახლო. ეტყობოდა, რომ იგი ტიროდა. ათინელს დაეჭირა მისი ხელები და ნუგეშისცემას ცდილობდა.

როდოპისი მოთმინებით უგდებდა მას ყურს, ხან მწარედ გაიღიმებდა და ხან კმაყოფილების ნიშნად თავს უქნევდა. ბოლოს მან გააწყვეტინა საუბარი თავის მეგობარს და უთხრა:

გმაღლობ ჭანეს! ადრე თუ გვიან ეს შეურაცხება უნდა დავიწყებულ იქმნას. დრო კარგი მკურნალია. მე რომ სუსტი ხასიათისა ვიყო, ნაუკრატისს დავუტევებდი და განმარტოებულს ადგილას მხოლოდ ჩემი ქალიშვილისთვის ვიცხოვრებდი. ამ ნორჩს ქმნილებაში მთელს ქვეყანას სძინავს. ათასჯერ განმიზრახავს ეგვიპტის დატოვება და ათასჯერვე დამითრგუნია ეს სურვილი. მე იმისთვის როდი ვრჩებოდი აქა, რომ მიმელო შენის სქესის კაცებისაგან თავყანისცემა; იმოდენა თავყანისმცემელნი მყვანდენ, რომ დიდი ხანია გული ასუყებული მაქვს, მე სუსტს ქმნილებას, ერთხელ საზიზღარს მონად ყოფილს, ის მანუგეშებდა, რომ მე შემოდლიან მცირეოდენი სარგებლობის მოტანა და ზოგჯერ უსათუოდ საჭიროც ვიყო თავისუფალ კეთილშობილ პირთათვის. რაკი მიჩვეული ვიყავ ვაჟკაცთა შორის მოქმედებას, მე არა ვკმაყოფილდებოდი ერთს საყვარელს არსებაზედ მზრუნველობით; მე გავხმებოდი ნაყოფიერ ადგილიდამ უნაყოფო ადგილს გადარგულ მცენარესავით და ჩემი ქალიშვილი სრულიად ობლად დარჩებოდა ამქვეყნად. მე ეგვიპტეში დავრჩები!

– ეხლა, შენი წასვლის შემდეგ, მე სწორედ საჭირო ვიქნები

ჩვენი მეგობრებისთვის. ამაზისი მოხუცებულია. თუ რომ იმის შემდეგ ფსამეტიზი დაჯდება მეფედ, ჩვენ დიდ გაჭირვებასთან მოგვიხდება ბრძოლა ელინთა თავისუფლებისა და კეთილდღეობისათვის. ეს არის საგანი ჩემის ცხოვრებისა. ამ საქმეს მით უფრო გულმოდგინედ ვემსახურები, რამდენადაც ქალი იშვიათად გაბედავს ამისთანა საქმეს ემსახუროს. დაე სთქვან, რომ ჩემნაირი მოქმედება ქალს არ შეუენის. ამ დამეს, რომელიც ცრემლების ღვრით გავატარე, ვიგრძენ, რომ გავნთავისუფლებულვარ ბევრი ქალური უღონობისაგან, რომელიც ერთსა და იმავე დროს ჩემის სქესის ბედნიერებასა და უბედურებას შეადგენს. დავიცვა ჩემს ქალიშვილში ის უღონობა, რომელიც შეხამებულია ნაზ ქალურს ქვევასთან, შეადგენს ჩემს უპირველეს სურვილს; მეორე ჩემი სურვილი ის არის, რომ ქალური გულჩვილობა დავუტევეო, მაგრამ იმდენი ღონე არა მაქვს, რომ ჩემი ბუნება დავძლიო და თვით მე არ დავმარცხდე. როდესაც მე მწუხარება მტანჯავს და მზად ვარ სასოწარკვეთილებას მივეცე, მაშინ ერთადერთი ჩემი წამალი ის არის, რომ მოვიგონო ერთა შორის საუკეთესო ჩემი მეგობარი პიჭაგორი და მისი სიტყვები: „დაიცვე ზომიერება ყველაფერში, ერიდე როგორც უდიდეს სინარულს, ისე უდიდეს მწუხარებას და ეცადე შეინახო შენი გული ისე ჰარმონიულად და ტკბილად, როგორც კარგა მომართულის ქნარის სიმები! „ამ პიჭაგორულს სულიერს ქვეყანას, ამ ღრმა დაურღვეველს სულის სიმშვიდეს ყოველდღე ვხედავ ჩემს სამოში. ეხლა მე დამშვიდებული ვარ! შენ ვერ წარმოიდგენ, რა დიდი გავლენა აქვს ჩემზედ, როდესაც მოვიგონებ ამ ფილოსოფოსს, ამ დამშვიდებულს და თავდაჭერილს კაცს. ამ კაცის მოგონება ისე მატკობს, როგორც ტკბილი და ნაზი საკრავის ხმა. შენც კარგად იცნობდი მას და ჩემი მაზედ საუბარი რაღა საჭიროა. ეხლა გთხოვ მითხრა, რა გაქვს ჩემთან სათხოვარი. ჩემი გული ისე დამშვიდებულია, როგორც ნილოსის ზვირთები, რომელიც ჩვენს წინ ასე მშვიდად აქანავებს თავის ტალღებს. კარგია თუ ცუდი – ეს მითხარი და მე ყურს დაგივლებ.

– აი, სწორედ ეგ მამწონს შენი, უთხრა ათინელმა. – შენ რომ უფრო ადრე მოგეგონებინა სიბრძნის კეთილშობილი მეგობარი,

– როგორც პიჭაგორი ეძახოდა თავისთავს, მაშინ შენი გული გუშინვე იგრძნობდა სიმშვიდეს. მასწავლებელი თხოულობს, რომ ჩვენ ყოველდღე შევიმოწმეთ შემთხვევანი, გრძნობანი და აზრნი გავლილის დღისა. შენ რომ ასე მოქცეულიყავ, შენის თავისთვის უნდა გეთქვა, რომ შენი მეგობრების არა ფარისევლურს გაკვირვებას დამთვრალი კაცის ლანძღვა ერთიათასად სჭარბობდა; შენ შენი თავი ღმერთების საყვარლად უნდა ჩაგეთვალა, რადგან შენს სახლში უკვდავ არსებათა მომადლეს კეთილშობილს მოხუცს უდიდესი ბედნიერება, როგორსაც კი კაცს ბედი არგუნებს, შემდეგ დიდის ხნის ტანჯვისა; ბოლოს ღმერთებმა, მოგაშორეს რა მეგობარს, მაშინვე მოგანიჭეს სხვა, უფრო ღირსეული მეგობარი. წინააღმდეგი ნუ გამიხდები და ნება მიბოძე გითხრა ჩემი სათხოვარი.

„შენ უკვე უწყვი, რომ მე ხან ათინელს მეძახიან და ხან გალიკარნასელს. იონიელნი, დორიელნი და ეოლიელნი დაქირავებული კაცები დიდი ხანია ვერა რიგდებიან კარიელს კაცებთან; ამისთვის ჩემთვის, როგორც ორივე ნაწილის უფროს[...], განსაკუთრებით სასარგებლო იყო ჩემი ორგვარი ჩამომავლობა. რაც უნდა საუკეთესო ღირსების კაცი იყოს არისტომანი, ამაზინი ჩემს მოშორებას მაინც იგრძნობს; მე ადვილად მოვარიგებდი ხოლმე ჩემი რაზმის სხვადასხვა ჯურს კაცებს, მაშინ როდესაც სპარტანელს ეს ძალიან გაუჭირდება.

„ამ ჩემს ორგვარ ჩამომავლობას შემდეგი მიზეზი აქვს. მამაჩემმა გალიკარნასელი ქალი შეირთო და, როდესაც დედაჩემს დედ-მამა დახოცოდა, მამაჩემს გალიკარნასში ეცხოვრა მემკვიდრეობის მისაღებად და აი, სწორედ ამ დროს დავბადებულვარ მეცა. თუმცა მესამე თვეს მე ათინაში წავეყვანეთ, მაგრამ მე მაინც კარიელი ვარ, რადგანაც კაცის სამშობლო ის არის, სადაც დაიბადება.

„ათინაში მე, როგორც ახალგაზდა წარმომადგენელი გამოჩენილის აიაქსის გვარისა, აღვიზარდე არისტოკრატიულის ამპარტავნებით. მამაცი და ბრძენი პიზისტრატი, რომელიც ჩვენი-სთანავე გვარისა იყო და შთამომავლობით არა გვევობდა (მამიჩემის გვარზე გამოჩენილი გვარი არ არის) მოახერხა უმაღლე-

სი უფლების ხელში ჩაგდება. შეერთებულის ძალით არისტოკრატიამ ორჯერ მოახერხა მისი დამარცხება. როდესაც მან მონღომა დაბრუნება შესამედ, ლილდამის, ნიკოსელის, არგოსელების და ერეტრიელების შემწეობით, ჩვენ მას წინააღმდეგობა გაუწიეთ. როდესაც საუზმის წინ მსხვერპლსა ვსწირავდით ღმერთსქალს, გონიერი მმართველი უეცრივ თავს დაგვესხა, შეება ჩვენს უიარალო ჯარს და მცირეოდნად გაიმარჯვა. რადგანაც ჯარის ნახევარი, რომელიც მტარვალს ემორჩილებოდა, მე მომანდევს, ამისათვის გადავწყვიტე მოვმკვდარიყავ და უკან კი არ დამეწია. მე ვიბრძოდი, რაც ძალი და ღონე მქონდა, ვამხნევებდი მეომრებს და არ ვბრუნდებოდი უკან, სინამ შუბით მხარში არ დამჭრეს.

„პიზისტრატები შეიქმნენ ათინის მმართველნი. მე გალიკარნასში გავიქეცი, ჩემს მეორე სამშობლოში, სადაც თან გამოძევა ცოლი ჩენის შვილებით, რაკი ეგვიპტის დაქირავებული ჯარის უფროსობა მივიღე, – რადგანაც ჩემი სახელი განთქმული იყო ვაჟკაცობით.

„ჩემი ცოლი წარსულს ზაფხულში მოკვდა. შვილები – ვაჟი თერთმეტის და ქალი ათის თვისანი გალიკარნასში დარჩნენ თავის დეიდასთან. მაგრამ დეიდაც მალე მოუკვდათ. ამ რამდენიმე დღის წინად მე განკარგულება მოვახდინე, რომ ჩემი შვილები აქ მოიყვანონ; მაგრამ ივინი ნაუკრატისში სამს კვირაზე ადრე არ მოვლენ და უსათუოდ ეხლა წამოსულნი იქნებიან, ასე რომ მეორე ჩემი განკარგულება ვედარ მიუსწრობს.

„ორი კვირის უკან ეგვიპტიდამ უნდა წავიდე, ჩემს შვილებს აქ ვერ დავუხვდები.

„მე გადავწყვიტე წავიდე ჭრაკის ხერსონესში, სადაც ბიძაჩემი, როგორც შენც იცი, დოლონკების ერმა მიიწვია. დაე იქ წავიდენ ჩემი შვილებიც. კორაკსი, ჩემი ერთგული მონა, ნაუკრატისში დარჩება, რომ ჩემი შვილები ჩემთან მოიყვანოს.

„თუ რომ გინდა მეგობრობა დამიმტკიცო, ჩემი შვილები მიიღე და იქამდის გყავდენ, სინამ ჭრაკიაში რომელიმე გემი არ წამოვიდეს. დაუმალე ივინი ტახტის მემკვიდრის, პსამეტიხის ჯაშუშებს. შენ იცი, რომ მე მას საშინლად ვბუღვარ და იქნება ჩემი ჯავრის ამოყრა ჩემს შვილებზედ განიზრახოს. მე შენ

გთხოვ ამას პირველად იმისთვის, რომ შენი გულკეთილობა ვიცი, მეორედ იმისთვის, რომ შენი სახლი, მეფის ფარმანის გამო, არის სადგური, სადაც ჩემი შვილები პოლიციის გამოკითხვას ასცილდებიან, რადგან პოლიცია ვალდებულია იცოდეს ყოველი უცხოქვეყნელი, მათ შორის ბავშვებიც.

„ხედავ, რა დიდი პატივისცემა მაქვს შენი: მე გაბარებ შენ ერთადერთს საუნჯეს, რომელიც მე სიცოცხლეს არ მაძულებს. არც სამშობლოა ჩემთვის ძვირფასი, სამარცხვინოდ მტარვალის წინაშე იდრიკება. გსურს დაუბრუნო მშვიდობა აღელვებულს მამის გულს? გსურს თუ არა?...

– მე ყველაფერზედ თანახმა ვარ, ჭანეს! უთხრა როდოპისმა სიხარულით. – შენ მე არაფერს არა მთხოვ, პირიქით მასაჩუქრებ. ოხ, რანაირად მიხარია ბავშვების მოსვლა! და რანაირა გაეხარდება საფოს, როდესაც საყვარელი არსებანი მოვლენ და გაამხიარულებენ! მაგრამ წინაღვე გეუბნები ჭანეს, რომ მე არასოდეს არ ვიზამ, რომ ჩემი პატარა სტუმრები ჭრაკიაში პირველად წამოსული გემით გამოგიგზავნო! შეიძლება ნახევარს წელს დასთმო ივინი; პირობას გაძლევ, რომ აქ ყოველისფერს კარგად ვასწავლით.

– მე მაგისტრის არ შეგწუხდებოდი, მიუგო ჭანესმა მადლობის ღიმილით: – მაგრამ მე მაინც გთხოვ, რომ ივინი პირველად წამოსული გემით გამოგიგზავნო. მე ძალიან მეშინიან ფსამეტისის ღვარძლიანის გულისა. წინაღვე გიხდით მადლობას ჩემის შვილების სიყვარულისათვის, მეც კი ვფიქრობ, რომ ივინი კარგი გამართობნი იქნებიან საფოსი.

– მაშ, გააწყვეტინა როდოპისმა და დალუნა თავი: რადგანაც შენ აგრე ერწმუნები ჩემს დედობრივს გულკეთილობას, აღარ მივაქცევ ყურადღებას იმ შეურაცხებას, რომელიც ლოთმა კაცმა მომაყენა! მაგრამ აი საფოც მოდის!

IV

ხუთმა დღემ რომ გაიარა როდოპისის სახლში ნადიმობის შემდეგ, საისის ნავთსადგურში რაღაც დიდძალი ერის მოძრაობა სჩანდა. ყველა წოდების და სქესის ეგვიპტელნი წყლის ნაპირს

იღვნენ. პოლიციელები, შეიარაღებულნი გრძელის ჯოხებით წესიერებას იცავდენ.

ერთს მხარესაც ეგვიპტელის დიდებულნი და მხედრობანი იღვნენ. მათ შორის ჩვენი ნაცნობი არისტომახიც იყო; იგი იღვა რავდენსამე ბერძნის ჯარისკაცებთან ერთად მოედანზედ, რომელზედაც პსამეტიხ 1-ის ძეგლი იღვა და წყალს გადაჰყურებდა. მათ წინ მდიდრულად მორთული ტახტის მემკვიდრე პსამეტიხი იჯდა ვერცხლით მოჭვდილს სელზედ; გარს ეხვია სასახლის დიდებულნი და მეფის მეგობარნი, რომელთაც ხელში სირაქლემას ფრთებით შემკული ჯოხები ეჭირათ.

„ერი დიდი ხანი მოუთმენლად ყვიროდა, მღეროდა და იცინოდა; ქურუმები და დიდებულნი კი მღუმარედ იღვნენ. მაგრამ აგერ გამოჩნდნენ გემის ცისფერი და წითელი ფარჩის აფრები.

„ერი აღტაცებაში მოვიდა, დაიწყეს ყვირილი: „მოდიან, აგერ ისინი! — გაფრთხილდი, კატას ფეხი არ დაადგა.“ — „ძიძავ, ბავშვი მალლა დაიჭირე, რომ დაინახოს რამე!“ — „შენ მე ვიცი წყალში გადამაგდებ!“ — „შეხედე, ფინიკელო, ბავშვები წვერში ეკლებს გესვრიან.“ — „ელინელო, არ გეგონოს, რომ ეგვიპტე მარტო შენ გეკუთვნოდეს, რადგანაც ამაზისი ნებას გაძლევთ წმინდა მდინარის ნაპირზე იცხოვრო! — „უსვინიდიისოები არიან, ეს ბერძნები! დაიკარგონ!“ დაიყვირა ერთმა. „დაიკარგნენ ღორების მჭამელნი, ღმერთების უარყოფელნი!“ იძახოდენ აქედ-იქიდან.

უსათუოდ ჩხუბიც მოხდება, თუ რომ პოლიციელებს არ დაემშვიდებინათ მოჩხუბარნი. თანდათან უფრო კარგად გამოჩნდნენ გემები. ეხლა კი დიდებულნიც და ტახტის მემკვიდრეც ფეხზედ წამოდგნენ. მეფის მუზიკამ დაუკრა და პირველი გემი წყლის ნაპირს მოადგა. ნავი მდიდრულად იყო მორთული; შუაზედ ოქროს ბალდახინი იღვა. გემის წინ ორივე მხარეს თორმეტ-თორმეტი მომსმელები იღვნენ და ნიჩბებს უსვამდენ. ბალდახინის ქვეშ ექვსი კაცი იწვა, მდიდრულად მორთულნი და წამოსადგნი. სინამ გემი ნაპირას მოდგებოდა, უნცროსი მათგანი, რომელსაც ქერა ხუჭუჭი თმა უმშვენებდა თავს, გადმოხტა წყლის კიდეზედ. მის დანახვაზედ ბევრმა ეგვიპტელმა ქალმა შეჰყვირა და თვით დიდებულმა ქალებმაც გაიღიმეს. კაცს, რომელმაც აღტაცებაში

მოიყვანა ქალები, ბარტია ერქვა და იყო შვილი გადაცვალებულის და ძმა ცოცხალის სპარსეთის მეფისა. ბუნებას მისთვის ყოველისფერი მიენიჭებინა, რასაც კი თორმეტი წლის ყმაწვილი ინატრებს. მის თვალებში სჩანდა სიცოცხლე, მხიარულება, გულკეთილობა, გამბედაობა და ამპარტაუნება; მისი კეთილშობილური სახე, რომელიც ის იყო წვერით ახლად იმოსებოდა, ღირსი იყო დახატვისა. მოყვანილი ტანი ღონესა და სიმარდეს უმტკიცებდა. ტანისამოსის სიბრწყინვალე მის სიმშვენიერეს ეფერებოდა, მაჯებზედ ძვირფასი სამაჯურები ჰქონდა გაკეთებული, გულზედ ოქროს ძეწკვი ეგდო.

ეს ყმაწვილი პირველად გადმოხტა ნაპირზედ. მას გადმოჰყვა დარი ჰისტასპის შვილი, მეფის ჩამომავლობის ყმაწვილი კაცი, როგორც ბარტია, მხოლოდ უფრო ცოტა სადად ეცვა. მესამე იყო ჭადართმიანი მოხუცი, რომელსაც სახეზედ, ყმაწვილური გულკეთილობა, მოხუცის გამოცდილება და ვაჟკაცის გონიერება ეტყობოდა. იგი სრულიად სადა შეხედულობის კაცი იყო, მაშინ როდესაც ეს სადა მოხუცი, რამდენიმე წლის წინედ იყო ისეთი კაცი, რომელსაც ყველანი შურით უცქეროდენ და რომლის სახელსაც ორი ათასი წლის შემდეგ ძალიან მდიდარს კაცებს ვარქმევთ ხოლმე. ეს იყო კრეზი, ტახტიდამ გადმოგდებული ლიდიის მეფე, რომელიც, როგორც მეგობარი, მაშინ კამბიზის სასახლეში სცხოვრობდა და რომელიც ეხლა ბარტიას თან მოჰყვა.

მათ თან გადმოჰყვნენ: არექსასპი, სპარსეთის მეფის ელჩი, ზოპირი, მეღაბიზის შვილი, კეთილშობილი სპარსელი, მეგობარი ბარტიისა და დარისა; ბოლოს გამოჩნდა, მოყვანილი ტანისა და ფერმკრთალი შვილი კრეზისა – გიგესი, რომელიც ოთხის წლისა დამუწჯდა და კვალად ამოიდგა ენა, მამის შესახებ შიშის გამო, როდესაც მტერმა სარდესი აიღო.

ასამეტიხი სტუმრების მისაგებებლად წავიდა. იგი ცდილობდა მხიარულად ყოფილიყო. დიდებულნი, რომელნიც მას თან მისდევდენ, უცხო ქვეყნელების წინ თითქმის დაემხნენ და მერე ხელებჩამოშვებულნი დადგნენ. სპარსელებმა გულზედ ხელები გადაიჯვარედინეს და ტახტის მემკვიდრის წინ თავი მოიხარეს.

ამის შემდეგ, ბარტიამ, რომელიც მიჩვეული არ იყო ამისთანა ამბავს, თავის ქვეყნის ჩვეულებისამებრ, გადაუკოცნა ყვითელი ლოყები ეგვიპტის მემკვიდრეს და წავიდა ტახტრევანებისკენ, რომელნიც მათთვის იყვნენ მომზადებულნი საისის სასახლეში მისასვლელად.

ერთი ნაწილი ერისა უცხო ქვეყნელებს უკან გაჰყვა; მაგრამ მომეტებული წილი მაყურებელთა კი თავის ადგილზედ დარჩენ, რადგანაც სხვა, უფრო კარგს სანახავს მოელოდენ.

– იქნება შენც გინდა მორთულს მაიმუნებს უკან გამოუდგე? ჰკითხა ტაძრის მოსამსახურემ თავის მეზობელს, რომელიც ჰერ-ცოგი იყო.

– მეც გეუბნები და უმაღლესმა ქურუმმაცა სთქვა, რომ ეს უცხოქვეყნელები არაფერს კეთილს არ მოუტანენ ჩვენს ქვეყანას! სად გაჰქრა ძველი კარგი დრო, როდესაც ვერცერთი უცხოქვეყნელი, რომელსაც კი ძვირად უღირდა სიცოცხლე, ვერა ბელავდა ეგვიპტეში მოსვლას! ეხლა ჩვენი ქურები სავსენი არიან მატყუარა ებრაელებით და განსაკუთრებით ამ უსირცხვილო ელინელებით, რომელთა გაწყვეტასაც ღმერთსა ვსთხოვ! შეხედე: მესამე გემი მოდის, რომელიც უცხოქვეყნელებით არის სავსე. იცი ვინ არიან ეს სპარსელები? უმაღლესმა ქურუმმა სთქვა, რომ მთლად მათს სახელმწიფოში, რომელიც ნახევარს ქვეყანას უდრის, არც ერთი არ არის სასიამოვნო ღმერთებისათვის; თავიანთ მიცვალებულებს, პატივისცემით დამარხვის მაგიერ, ძაღლებს და სვაგებს უვადებენ შესაჭმელად!

ღერციკს დიდი გაკვირვება და უფრო დიდი სიბრაზე ეტყობოდა; შემდეგ მან უჩვენა მდინარის კიდეზად გაკეთებული კიბე და უთხრა:

– გეფიცები იზიდის შვილს, რომელმაც ტიჟონი გაანადგურა, რომ მეექვსე გემიც მოდის, უცხოქვეყნელებით სავსე!

– ეს ძალიან ცუდია! უთხრა ტაძრის მსახურმა: გეგონება მთელი ჯარი აქა გროვდებაო. ამაზისი ასე მოიქცევა იქამდის, სინამ ტახტიდამ არ ჩამოაგდებენ და სახელმწიფოდამ არ გასდევნიან და ჩვენ უბედურ მონებად არ გადაგვაქცევენ.

– მეშვიდე გემიც მოდის! შეჰყვირა ღერციკმა.

– დაე დამლუპოს ჩემმა მბრძანებელმა ნეიტმა, საისის უდიდესმა ღმერთმა, სწუხდა ტაძრის მსახური – თუ მე მესმოდეს, რას სჩადის მეფე. მან სამი გემი გაგზავნა ღვთის საზიზღარს ნაუკრატისში სპარსეთის ელჩების მოსამსახურეთათვის საჭირო რამეებით დატვირთული; მაგრამ სამი გემის მაგიერ რვა გემი გაამზადა, რადგანაც ჭურჭლისა, ძაღლებისა, ცხენებისა და ეტლების გარდა თან მრავალი მოსამსახურენი მოიყვანეს. მათ თან მოიყვანეს თავიანთი ქურუმები, რომლებსაც მოგვებს ეძახიან. ნეტა ერთი ვიცოდე, რისთვის უნდათ ეს უქმად მაწანწალა მოგვები? რად უნდათ ისინი, თუ კი მათ ღმერთები და ხატები არა ჰყავთ?

ეგვიპტის მოხუცებულმა მეფემ ამაზისმა დიდის ყოფითა და სიხარულით მიიღო სპარსეთის საელჩო. ოთხი დღის შემდეგ მან, როდესაც ერთს დილას თავის საქმეებს მორჩა, კრეზთან ერთად გაისეირნა სასახლის ბაღში. დანარჩენი სპრასელები მემკვიდრესთან ერთად წავიდნენ ნილოსის ნაპირებზედ სასეირნოდ და იქიდან მემქისში.

ამაზისი და კრეზი ბაღის ერთს ხის ქვეშ დასხდნენ, რომელზედაც ახლო იყო შადრევანი. ტახტიდამ ჩამოგდებული მეფე, რომელიც რამდენიმე წლით უფროსი იყო უძლიერეს ეგვიპტის მეფეზედ, უფრო ახალგაზდა და ჭარმაგი სჩანდა ამაზისზედ. ტანით მალაღი ამაზისი წელში მოხრილი იყო; მისი მშვენიერი სახე აქა-იქა დაღმენჭილიყო. წვრილს, ბრწყინვალე თვალებში გონიერება ეხატებოდა, ხოლო ტუჩებზედ ყოველთვის სიმხიარული და ღიმილი ეტყობოდა. განიერი შუბლი ამტკიცებდა, რომ იგი ძლიერის ჭკუის პატრონი უნდა ყოფილიყო. მან პირდაპირი და ცხარე ლაპარაკი იცოდა.

კრეზის ქცევა სრულიად მეფური იყო. მას ეტყობოდა, რომ დაახლოებული იყო საბერძნეთის საუკეთესო კაცებთან. საუკეთესო მეცნიერნი ჭალესი, ანაქსიმანდრი და ანაქსიმენ მიღეთელი, ბიას პრიენელი, სოლონ ათინელი, პიტაკ ლესბოსელი მიდიოდენ კრეზთან სტუმრად, როდესაც იგი მეფედ იყო. იმის ტკბილი ხმა ამაზისის რიხიან ხმასთან შედარებით გალობა გვეგონებოდა.

– ეხლა პირდაპირ მითხარით, დაიწყო ფარაონმა ბერძნულად: – როგორ მოგეწონა შენ ეგვიპტე? მე არავის არ ვიცნობ ისეთს,

რომლის აზრიც შენს აზრზედ ძვირად მიღირდეს, ამისთვის, რომ პირველად, შენ იცნობ მომეტებულს ერს და ქვეყნებს; მეორედ, ღმერთებმა შენ უღიღეს ბედნიერებადღის აგიყვანეს და კვალად ძირს ჩამოგიყვანეს; მესამედ შენ ტყუილად არ იყავ მოთათბირე უძლიერესის მეფისა. მე მინდა, რომ ჩემი საქმე იმდენად მოგეწონოს, რომ შენ დარჩე ჩემთან, როგორც ძმა. ღმერთმანი, კრეზ, შენ დიდი ხანია ჩემი მეგობარი ხარ, თუმცა ღმერთებმა მხოლოდ გუშინ მაჩვენეს შენი სახე!

– და შენ – ჩემო მეგობარო, გააწყვეტინა მას ლიდიელმა: მე შენი ვაჟკაცობა მაკვირებს იმით, რომ თუმცა მოწინააღმდეგენი ბევრი გყავს, აკეთებ იმას, რაც კარგად მიგაჩნია; გამდლოთ იმ პატივისცემისათვის, რა პატივისცემითაც ჩემს მეგობრებს ელინელთ ექცეოდი. მე გთვლი შენ ჩემს ნათესავად, რადგანაც ჩვენი ბედი ერთმანეთსა ჰგავს, ამისთვის რომ შენც ჩემსავით ბლომად გამოსცადე ბედნიერება და უბედურება.

– იმ განსხვავებით, უთხრა ამაზისმა ლიმილით: – რომ ბედი ჩვენ სხვადასხვანაირად გამოვცადეთ. შენ ბედმა ჯერ ბედნიერება გარგუნა და მერე უბედურება; მე კი ჯერ უბედურება მარგუნა და მერე – ბედნიერება; ე. ი. თუ ვიფიქრებ, დაუმატა ჩაფიქრებით მან:

– რომ მე კმაყოფილი ვარ ჩემის ეხლანდელის ბედნიერებით.

– მე კი, უთხრა კრეზმა: – როდესაც ვფიქრობ, რომ ვიტანჯები ჩემის, ესრედწოდებულის, უბედურებით.

– მაშ რა მოგივა მაგდენი საუნჯის დაკარგვის შემდეგ?

– განა ბედნიერება საუნჯეზეა დამოკიდებული? ჰკითხა კრეზმა.

– და საუნჯე განა ბედნიერებაა? ბედნიერება არის წარმოდგენა, გრძნობა, რომელსაც შურიანი ღმერთები უქონელს უფრო აძლევენ, სინამ ძლიერს. უკანასკნელის მხიარული სახე იღრუბლება ბრწყინვალის საუნჯით და იგი ყოველთვის უნდა იტანჯოს, თუ საქმე კარგად არ მოუვა, რადგანაც გრძნობს ძალას ყოველისფრისადმი მისაღწევად და საქმით კი ყველგან მარცხდება და ვერ ისრულებს თავის გულის წადილს.

ამაზისმა ამოიხსრა და უთხრა:

– ნეტავი შემეძლოს, რომ მე შენ არ დაგეთანხმო, მაგრამ

როდესაც ჩემს წარსულს ვიგონებ, უნდა გამოგიტყდე, რომ იმ დღიდან, რა დღიდანაც ბედნიერება მეწვია, დაიწყო ჩემი ღარიბიანობაც, რომელიც მთელს სიცოცხლეს მიწამლავს.

– მე კი, უთხრა კრეზმა: – მაღლობელი ვარ შენი დაგვიანებული ხელის ალპრობისათვის, რადგანაც უბედურების ერთმა წამმა მომანიჭა მე პირველი, ნამდვილი ბედნიერება. როდესაც სპარსები სარდლის კელეზზე დავინახე, მე ვწყევლიდი ჩემ თავსაც და ღმერთებსაც, სიცოცხლე შემპულდა და საშინელს მძიმე ტვირთად მეჩვენებოდა. თან ვიბრძოდი და თან ჩემის ჯარით უკან ვიწვედი და განწირულებას ვეძლეოდი. ამ დროს სპარსელმა მეომარმა ხმალი მომიღერა, ჩემმა შვილმა სტაცა მას ხელი და რამდენიმე წლის შემდეგ პირველად გავიგონე მისი ხმა. ჩემმა მუნჯმა შვილმა ჰალესმა ამ საშინელი წამის დროს კვალად ამოიღა ენა და მე, რომელიც ღმერთებს ვწყევლიდი, დავემხე წინაშე მათის ძლიერებისა. მონას, რომელსაც ვუბრძანე მოვეკალი, როგორც კი სპარსელებს ტყვედ ჩაუვარდებოდი, წავართვი ხმალი. მე სრულიად სხვა კაცი შევიქნე და თანდათან მიქარდებოდა მძულვარება ჩემის ბედის და მტრებისადმი. შენ იცი, რომ ბოლოს მე კირის მეგობარი გავხდი, რომ ჩემი შვილი ჩემს გვერდით თავისუფლად იზრდებოდა და სამშობლო ენას არ ივიწყებდა. ყოველივე, რაც მე მინახავს, გამიგონია და მომიფიქრებია ჩემი დიდის ხნის სიცოცხლის განმავლობაში, ყოველივე ჩემი შვილისათვის გარდამიცია; ეხლა ჩემი შვილი შეიქმნა ჩემი სახელმწიფო, ჩემი გვირგვინი და ჩემი საღარო. როდესაც ვხედავ კირის მოუსვენარს ცხოვრებას, მე შიშით ვიგონებ ჩემს წარსულს დიდებას და ძლიერებას და უფრო მესმის, სადაც უნდა მოვებნო ნამდვილი ბედნიერება. ყველა ჩვენგანს ბედნიერების დვრიტა უძევს გულში: კმაყოფილი, მომთმინო არსება, რომელიც მშვენიერების დანახვაზე აღტაცებაში მოდის, მაგრამ ცხოვრების მცირე მოვლენასაც უყურადღებოდ არა სტოვებს, ყოველსავე მწუხარებას უძლებს და სტკება წარსულის მოგონებით. ზომის ცოდნა ყოველს შემთხვევაში, სასოება ღმერთების მოწყალეობაზე და ჭეშმარიტებით ცოდნა იმისი, რომ ყოველივე, ასე გასინჯეთ, თვით უსიამოვნო ამბავიც კი წარმატალია, –

ყოველივე ეს ხელს უწყობს ბედნიერების დერიტის დამწიფებას, რომელიც ჩვენს გულშია დამალული და გვაძლევს ძალას ღიმილით შევხვდეთ მას, რის გამოისათაც ჩვენ განწირულებასა და მწუხარებაში ვარდებით.

ამაზისი ყურადღებით ისმენდა მის ლაპარაკს და თან თავის ოქროსთავიანი ჯოხით ხატავდა მიწაზედ ძაღლის თავს. შემდეგ უთხრა:

– ჭეშმარიტად, კრეზო, მე „დიდი ღმერთი“, „მზე სიმართლისა“, „ძე ნეიტისა“, „მბრძანებელი სამხედრო დიდებისა“, (ასე მეძახიან მე ეგვიპტელები) შურით გიყურებ შენ, გაცარცულს და ტახტიდამ გადმოგდებულს მეფეს. ერთს ღროს მეც შენსავით ბედნიერი ვიყავ, მთელი ეგვიპტე მიცნობდა საწყალი ასისთავის შვილს, ჩემი სიმხიარულის და ცელქობის გამო. ჯარის უბრალო კაცებს ხელით დაეყავდი; უფროსნი ბევრს ნაკლულევანებას ჰპოვებდენ ჩემში, მაგრამ გიჟმაჟს ამაზისს ყოველისფერი უხდებოდა, აფიცრები უჩემოდ ვერ მხიარულობდენ. მაგრამ აი ჩემმა მოადგილემ გომრამ გაგვზავნა ჩვენ საომრად კირენის წინააღმდეგ. უდაბნოში სიარულით დამაშვრალთ წინწასვლაზედ უარი განვაცხადეთ. იმ ეჭვმა, რომ ვითომც ხელმწიფეს უნდოდა ელინთათვის ჩვენი მსხვერპლად შეწირვა, ძლეუვარება ჩამოაგდო ჩვენში. მე ჩვეულებისამებრ ხუმრობით ვუთხარ ჩემს მეგობრებს: „თქვენ ხომ უხელმწიფოდ არ დარჩებით, მოდით და მე გამხადეთ თქვენს მბრძანებლათა; ჩემზე მხიარულს სხვას ვერავის იპოვნით-მეთქი!“ სალდათებმა ეს სიტყვები გაიგონეს. „ამაზის ხელმწიფობა უნდა!“ გავარდა ჯარში ხმა. „კეთილი, ბედნიერი ამაზისი, დაე, ჩვენს ხელმწიფედ იყოს!“ ამ სიტყვების ძახილით მიმიღო ჯარმა რამდენიმე საათის შემდეგ. ერთმა ჩემმა ამხანაგმა თავზედ ჯარის უფროსობის ზუჩი დამხურა. მე ხუმრობა ნამდვილ საქმედ გადავაქციე, მომეტებული ჯარი ჩემსკენ გადმოვიდა და ჩვენ გომრუა მემბისთან დავამარცხეთ. ერიც შეთქმულებს მოგვემხრო. მე ავდი ტახტზედ. მე ბედნიერს მეძახოდენ. აქამდის ეგვიპტელების მეგობარი, ეხლა საუკეთესო მათგანს მტრად გადავაქციე. ქურუმები მე პატივსა მცემდენ და თავის წოდებაში მიმიღეს, იმიტვის რომ იმედი ჰქონდათ, როგორც უნდა ისე მათამაშებდენ.

ჩემი წინანდელი უფროსები ან შურით მიყურებდნენ, ან წინანდებურად მექცევოდნენ. მათი ასეთი საქციელი ჩემს ახალს წოდებას აღარ შეეფერებოდა და ერში გავლენა დამეკარგებოდა. ერთხელ ჩემს სახლში ჯარის მოქიეფე უფროსებს, რომელთაც უნდოდათ ისევე ეხუმრათ ჩემთან, როგორც წინად, ვუჩვენე ოქროს ტაშტი, რომელშიაც ჩვენ ფეხებს ვიბანდით სადილის წინად. ხუთი დღის უკან, როდესაც ივინი კვალად ჩემთან ქეიფობდნენ, მე ვუბრძანე დაედგათ სტოლზედ ოქროსგან ჩამოსხმული დიდი ღმერთის – რას სურათი. როგორც კი დაინახეს იგი, მაშინვე პირქვე დაემხნენ და თაყვანი სცეს. როდესაც ადგნენ, მე სკიპტრა ავიღე ხელში, მედიდურად დავიჭირე მალლა და წარმოვსთქვი: „ეს ღვთაების სურათი ხელოსანმა გააკეთა ხუთი წლის განმავლობაში ამ ჭურჭლისაგან, რომელშიაც ჩვენ ვაფურთხებდით და ფეხებს ვიბანდით. მეც ერთხელ ამგვარი ჭურჭელი ვიყავ, მაგრამ ღვთაებად, თქვენს მეფედ გამხადა. მაშ დავმხეთ პირქვე და თაყვანი მეცით. ამ დღიდან, ვინც მორჩილი არ იქნება, ან დაივიწყებს ხელმწიფის პატივისცემას, რომელიც ქვეყნად რას მოადგილეა, სიკვდილით დაისჯება“. ივინი ყველანი პირქვე დაემხნენ. მე ჩემი უფლება გადავარჩინე, მაგრამ მეგობრები კი დავკარგე. ეხლა ჩემის უფლების დასაყრდნობელი მინდოდა. ამ მისაყრდნობელად ელინები გახდნენ. სამხედრო სამსახურში ერთი ბერძენი სჯობიან ხუთს ეგვიპტელს; ეს მე კარგად ვიცოდი და განვიზრახე ის ამესრულებინა, რაც სასარგებლოდ მიმაჩნდა.

მე ყოველთვის დაქირავებული ბერძნები მყვანდნენ დაახლოვებულნი. მათის წყალობით ვისწავლე მათი ენა, მათ გამაცნეს უკეთილშობილესი კაცი, როგორც მე როდისმე შემხვედრია, – პინაგორი. მე ვცდილობდი შემომელო ჩვენში ბერძნული ჩვეულება და ენა, რადგანაც დავრწმუნდი, რომ სისულელეა ცუდის ჩვეულების შენახვა იქ, სადაც უფრო კარგი ხელთ გვაქვს.

მე წესიერად გავყავ მთელი ქვეყანა, დავაწესე პოლიცია, რომელიც საუკეთესოდ ითვლება მთელს დედამიწის ზურგზედ და ბევრი რამ მოვიყვანე აღსრულებაში; მაგრამ ჩემი სურვილი – შემომელო ბერძნული განათლება, ხელოვნება და ბერძნული დატკობა სიცოცხლით ამ მდიდარს, მაგრამ შავბუნელს ქვეყანაში, –

ამაო სურვილად დარჩა, რადგანაც ქურუმები ყოველს ჩემს განზრახვას ეწინააღმდეგებოდნენ. ივინი მოწიწებით ექცევიან ყოველსავე იმას, რაც ჟამთა ვითარებას შემოუღია; ივინი, რომელნიც ყოველს სხვა ქვეყნის ჩვეულებას და თვით უცხო ქვეყნელებსაც თავიანთ უფლების მტრებად რაცხვენ, — განაგებენ ამ ხალხს ისე, როგორც უნდათ. ამისათვის ყოველი ჩემი საუკეთესო სურვილი და განზრახვა მათს სურვილს შევსწირე, ჩემი ცხოვრება ყოველისფრით შევიწროებულია მათგან და მე ვგონებ, ისე მოვკვდები, რომ დარწმუნებული არ ვიქნები, — საფლავში მაინც მომასვენებენ ეს შუამავალნი ღვთაებასა და სიკვდილს შორის!”

— გეფიცებით ზევებს მხსნელს, ჩემო საწყალო ბედნიერო! უთხრა მას კრეზმა გულის მტკივნეულობით: — მე მესმის შენი მწუხარება, თუმცა ჩემს სიცოცხლეში ბევრ ვიცნობდი იმისთანა პირთ, რომელნიც უმხიარულად და შავბნელად ატარებდნენ ცხოვრებას, მაგრამ მე მაინც ეჭვი არა მქონია, რომ ქვეყნად ბევრნი ისეთნიც სცხოვრობენ, რომელთაც შემკვიდრებით ერგებათ ხოლმე მჭუნვარება სულისა, როგორც მცურავთ შხამი. რამდენი ქურუმები ვნახე გზაზე და შენს სასახლეში, რომელნიც ყოველთვის დაღვრემილნი არიან. თვით ყმაწვილნიც, რომელნიც შენ გემსახურებიან, ძალიან იშვიათად ილიბებიან, მაშინ, როდესაც მხიარულება არის ყმაწვილობის საკუთრება, როგორც საუკეთესო ნიჭი ღვთაებისა.

— შემცდარი იქნები, თუ ყველა ეგვიპტელები მოღრუბლულნი გეგონებიან, მიუგო ამაზისმა, ჩვენი სარწმუნოება მართალია სიკვდილზედ დაფიქრებას გვიბრძანებს, მაგრამ, აბა, სხვა ისეთი ერი იპოვე, რომ ამისავით ოხუჯი და, დღესასწაულის დროს, მეტისმეტად მხიარული იყოს. ქურუმებს უცხო ქვეყნელების დანახვა ეჯავრებათ და ჩემს დაკავშირებას თქვენთან ძალიან უკმაყოფილოდ უცქერიან. ის ყმაწვილები, რომლებიც შენ მოიხსენე, ამ ქვეყნის დიდებულთ შვილები არიან და საშინლად მიწამლავენ სიცოცხლეს. ივინი მე მოსამსახურე მონებად მყვანან და ყოველსავე ჩემს სიტყვას ემორჩილებიან. ვინც ამ საქმისათვის შვილებს იმეტებენ, უნდა ჩაითვალოს მეფის ერთგულ, ყურმოჭრილ ყმებად, რომელსაც ღმერთსავით თავყვანსა სცემენ,

მაგრამ დამერწმუნე კრეზო, რომ სწორედ ამ ერთგულებაში, რომელსაც ვერცერთი მმართველი ვერ უარჰყოფს, იმალება ცბიერი და ეშმაკური ანგარიში. ყველა ამ ყმაწვილთაგანი ჩემი მოსამსახურეა და თვალ-ყურის დამჭერი. მათ გაუგებრად ხელსაც ვერ გავანძრევ, რადგან ყოველსავე ჩემს მოქმედებას ქურუმებს ატყობინებენ.

— მაშ როგორ იტან მაგისტანა ცხოვრებას? გაჰყარე ეგ ყმაწვილები და აირჩიე მოსამსახურენი, მაგ. თუგინდ მეომართა წოდებისაგან, რომელნიც შენთვის ქურუმებზედ ნაკლებ სასარგებლონი არ იქნებიან.

— მე რომ მაგის ასრულება შემეძლოს! სთქვა ამაზისმა მაღალის ხმით. შემდეგ მან ისევ ჩუმად დაიწყო, თითქოს თავის ხმისა შეეშინდაო: — მე მგონია, რომ ჩვენს ლაპარაკს ყურს უგდებენ. ხვალ ვუბრძანებ, რომ ის ინდისხურმის ხე ძირიანად მოგლიჯონ. ბაღში სეირნობის მოყვარული ახალგაზდა ქურუმი-სათვის, რომელიც იქ დაუმწიფებელს ინდისხურმას ჰკრეფავს, უფრო სხვანაირი ნაყოფია საჭირო, სინამ ის, რომელსაც ჰკრეფს და კალათში ჰყრის. მისი ხელი ნაყოფს აგროვებს და ყური კი — მეფის ნათქვამს სიტყვებს.

— გეფიცები მამა ზევებს და აპოლონს...

— მე მესმის შენი გაჯავრება და თანაგვირძნობ; მაგრამ, რა გაეწყობა, ზოგში მაინც უნდა დავემორჩილო ქურუმთა სურვილს. მე რომ მათთან ყოველივე კავშირი გავწყვიტო, დამერწმუნე, ჩემს გვამს აღარც კი დამარხამენ. მე უნდა გითხრა, რომ ქურუმები ასამართლებენ ყველა მიცვალებულებს და არ აძლევენ საფლავში მოსვენებას მას, ვისაც დამნაშავედ იცნობენ. შეიძლება ჩემი შვილის პატივისცემით დამმარხონ, მაგრამ ისინი როგორ მოექცევიან ჩემს გვამს, რომელნიც ჩემს საფლავზედ მსხვერპლის შეწირვას აღასრულებენ...

— შენ რა საქმე გაქვს საფლავთან! სიბრაზით გააწყვეტინა კრეზმა საუბარი. სიცოცხლისათვის უნდა იცოცხლო და არა სიკვდილისათვის.

— უძვობესია მითხრა, უთხრა ამაზისმა და წამოდგა ზეზე: — რომ ჩვენ, რომელთაც ბერძნები მოგვწონან, მშვენიერი ცხოვრება

დიდს ბედნიერებად მიგვაჩნია; მაგრამ, კრეზო, მამაჩემი ეგვიპტელი იყო, ეგვიპტელმა დედამ მაწოვა ძუძუ, ეგვიპტის ნიადაგზედ აღვიზარდე და თუმცა ზოგიერთა რამ ელინური შევითვისე, მაგრამ გულით მაინც ეგვიპტელი ვარ. ის, რასაც სიყმაწვილით გიმდერდენ, რასაც წმინდანად სთვლიდენ, ღრმად იბეჭდება გულში და არ აღმოიფხვრება იქამდის, სინამ მუმიის არტახებს არ შემოგახვევენ. მე მოხუცი ვარ და დიდი მანძილი აღარ არის იმ სამნამდის, რის იქითაც საუკუნო ცხოვრება იწყობა. ნუთუ მე, რამდენიმე დღის სიცოცხლისათვის, უნდა ჩავიშხამო დაუსრულებელი ათი ათასი წელი სიკვდილისა? არა, ჩემო მეგობარო, მე ისევ ეგვიპტელად დავრჩი: ჩემ თანამემამულეებსაკვით მტკიცედა მრწამს, რომ შენახვა ჩემის გვამისა, რომელიც სულის სადგურია, მჭიდროდ არის დაკავშირებული ჩემი მეორე ცხოვრების კეთილდღეობასთან. მაგრამ კმარა ამ უმაღლეს საგნებზედ საუბარი, რადგანაც მე დიდი ფიცი მიმიცია, რომ ყოველივე ესენი არ შევატყობინო მას, ვისაც მათი სიღრმე და დიდებულება შესწავლილი არა აქვს. უმჯობესია ამ კითხვაზედ მომიგო პასუხი: როგორ მოგწონს ჩვენი ტაძრები?

კრეზმა ჩაფიქრებით მიუგო:

– პირამიდების ქვების ნამზღვლეენი, თვალგაღწევენი უღაბნობის ნამოქმედარნი მგონია და ტაძრები ტურფა გაზაფხულის ნაწარმოებნი. ასევე იზიდავენ თვალს იეროგლიმები, მაგრამ თავიანთის საიდუმლოებით ცნობისმოყვარე გონებას კი არ იზიდავენ. თქვენი მრავალსახოვანი ღმერთების სურათები ყველგანა სდგანან; ივინი ყველას თვალში ეჩხირებიან, მაგრამ ყველა კი გრძნობს, რომ ივინი განსხვავდებიან იმისგან, რისიც სურათები არიან; რომ ივინი არიან წარმომადგენელნი ღრმა აზრებისა, რომელთაც კაცის გონება ვერ მისწვდება. ყველგან ჩემი ცნობისმოყვარეობა მოქმედობს, მაგრამ ჩემი თანაგრძნობა ყოველივე მშვენიერებისადმი არ კმაყოფილდება. ჩემს გონებას უნდა, გაიგოს თქვენთა ბრძენთა საიდუმლოებანი, მაგრამ გული და ცნება უნდა მოშორებული იყოს თქვენს ცნებასთან, რომელზედაც დამყარებულია თქვენი აზროვნება, ცხოვრება და მოქმედება და რომელიც გამცნევთ, რომ სიცოცხლე მოკლე გზა არის, ამ გზას

სიკვდილთან მიჰყევხარ და სიკვდილი კი ნამდვილი ცხოვრება არისო!

– სიცოცხლე, რომელსაც დღესასწაულებში ვამკობთ, ჩვენში-აც ფასობს, ეშინიან საფლავისა და ცდილობენ სიკვდილის თავიდან აცილებას. ჩვენი ექიმები ასე გათქმულები არ იქნებოდნენ, თუ რომ არა სცოდნოდათ სიცოცხლის გაგრძელება. მართლა: მე მომაგონდა თვალის ექიმი ნებენხარი, რომელიც სუზაში მეფეს გავუგზავნე. ვნახოთ, როგორ გამოიჩენს თავს. კმაყოფილნი ხართ იმათი?

– ამისთანა წარმომადგენელი შენის ქვეყნის მეცნიერებას აღიდეგს, მიუგო კრეზმა. – მანვე მიაქცია კამბიზის ყურადღება შენის ქალის სიტურფეზედ. ნებენხარიმ არა ერთს ბრძამს უშველა, მაგრამ მეფის დედა, საუბელუროდ, დღევანდლამდის ვერა ხედავს. ჩვენ მხოლოდ იმას ვსწუხვართ, რომ ასეთი დახელოვნებული კაცი მხოლოდ სიბრძავეს არჩენს. როდესაც მეფის ქალი, ათოსი, ცხელებით ავად გახდა, ჩვენ ნებენხარის ვერასგზით ვერ გავაბედინეთ მისთვის ექიმური დარიგება მიეცა.

– ეგ ადვილი ასახსნელია, ამისთვის რომ ჩვენი ექიმები ყოველთვის ერთ რომელსამე ნაწილს სხეულისას სწამლობენ. ჩვენ გვეყვანან ყურისა, კბილისა და თვალის ექიმები; გვეყვანან, აგრეთვე, მოტეხილის და შინაგანი ავადმყოფობის ექიმები. არცერთს კბილის ექიმს, ქურუმების უძველესის კანონის ძალით, არ შეუძლიან, უწამლოს ყრუს, არცერთს მოტეხილის ექიმს არ შეუძლიან შინაგანს ავადმყოფობას უწამლოს, თუ გინდ რომ კიდევ კარგად ესმოდეს შინაგანი ავადმყოფობის წამლობა. ამისთანა კანონების ძალით უნდათ, რომ ექიმებმა უფრო საფუძვლიანად შეისწავლონ მეურნალობის ერთ-ერთი ნაწილი; საზოგადოდ, ქურუმები, რომელთა რიცხვში ექიმებიც ითვლებიან, გულმოდგინედ სწავლობენ მეცნიერებას. აგერ იქ არის სახლი უმაღლესის ქურუმის ნეიტოტებისა, რომლის ვარსკვლავთმრიცხველობის და გაზომვის ცოდნას თვით პინაგორიც აქებდა. ეს სახლი იმყოფება ღმერთის – ნეიტის ტაძრის ახლო. მე მსურს გაჩვენო წმინდა ჭალა თავის დიდებულის ხეებით, ტაძრის მშვენიერი სვეტები, რომელნიც ერთის მთლიანს ქვისაგან არინ გაკეთე-

ბულნი, მაგრამ, საუბედუროდ, ქურუმებმა მთხოვეს ტაძრების გალავნების იქით არ შეგიყვანოთ. წავიდეთ ახლა ჩემს ცოლთან და ქალებთან; ამათ შენ შეგიყვარეს და მე მსურს, რომ შენც შეიყვარო ჩემი საწყალი ქალი, სინამ იმასთან მოგიხდება წასვლა შორს უცხო ქვეყანაშიც, რომლის მეფის ცოლადაც იგი უნდა გახდეს. განა შენ იმას შენის მფარველობის ქვეშ მიიღებ?

– მაგაში დარწმუნებული იყავ, უთხრა კრეზმა და ჩამოართვა ამაზისს ხელი. მე მამობრივის სიყვარულით მოვეპყრობი შენს ნიტეტისს და მეც იმისათვის საჭირო ვიქნები, რადგანაც სპარსეთის სასახლის ქალებისათვის დანიშნულს ოთახების იატაკზედ ფეხი ადვილად სხლტება. შენს ქალს დიდის პატივისცემით მოექცევიან. კამბიზი კმაყოფილი იქნება თავის არჩევანით და ძვირად დააფასებს, რომ შენს მშვენიერს ქალს მას ანდობ, თუმცა ტახოტიც ნიტეტისზედ ნაკლები არ არის, მაგრამ მას აკლია ის მდიდური ქცევა, რომელიც ნიტეტისს აქვს და შეჭფერის კიდეც, როგორც სპარსეთის მეფის მომავალს მეუღლეს. ნებენხარი მხოლოდ შენს ქალს ტახოტზედ ლაპარაკობდა.

– მე მაინც ვგზავნი ჩემს მშვენიერს ნიტეტისს; ტახოტა ისეთი სუსტია და ნაზი, რომ არ მეგონა, თუ ის მოგზაურობასა და დედ-მამის განშორებას აიტანდა. მე რომ ჩემი გულისათვის დამეჯერებინა, არც ნიტეტისი უნდა გამეგზავნა სპარსეთში. მაგრამ ეგვიპტე მშვილობიანობაში საჭიროებს და მეფე უფრო ადრე გავხდი, სინამ მამა!

V

სპარსეთის ელჩების ყველა მხლებელნი საისიდამ ნილით პირამიდებთან მოვიდენ; მხოლოდ პრექსასაპი დაბრუნდა სპარსეთში, რომ შეეტყობინებინა კამბიზისათვის ქორწილის მშვილობიანად გათავება.

ამაზისის სასახლეში ყველგან მოძრაობა იყო. კამბიზის ელჩის მხლებლებით, რომელნიც 300 კაცი იყო, სავსე იყო სასახლის ყველა ოთახები. ეზო სავსე იყო დიდებულებითა და ქეშიკებით, ახალგაზდა ქურუმებით და მონებით, რომელნიც მდიდრულად იყვნენ დართულნი.

რადგან ამ დღეს დღესასწაულობდენ თავის ქალის ნიშნობის გამო, ამისათვის მეფეს უნდოდა ამ დღეს თავი გამოეჩინა თავის სასახლის სიმდიდრით და ბრწყინვალეებით.

სტუმრების მისაღები ღარბაზი ისე გაბრწყინვალეული და მდიდრულად მორთული იყო, რომ კაცის თვალს ხიბლავდა. კელე-ბზედ, რომელნიც სურათებითა და იეროგლიმის ნიშნებით იყო აჭრელებული, ფერად-ფერადი ლამპები ეკიდა და მზის სხივისაგანით აბრწყინვალედა ფერადმუშებიანს ფანჯრებს. ზალის სვეტების შორის იდგნენ ძვირფასი ხეხილები, ალიანდრები, ბზისა, ბროწეულისა და ფორთოხალის ხეები და საუკეთესო ვარდები. ხეხილების იქით მექუსიკენი იხსდნენ, რომელნიც ყოველს სტუმარს სასიამოვნო ხმის დაკვრით ეგებებოდნენ.

ოთახის შუა სტოლები იდგნენ, რომლებზედაც ეწყო ტკბილეული, ხილით სავსე კალათები, ოქროს აზარფეშები და ფერადი შუშის ვაზები. სტოლების გვერდით იდგნენ მდიდრად ჩაცმული მონები, რომელთაც მიჰქონდათ სტუმრებთან საჭმელები. ეს სტუმრები ზოგი ფეხზედ იდგნენ და მუსაიფობდნენ და ზოგნი ძვირფას სელებზედ იხსდნენ.

საზოგადოება შესდგებოდა ქალებისა და კაცებისაგან. ქალებს შესვლის დროს ახალგაზდა ქურუმები ვარდის კონებს აძლევდნენ, ხოლო დიდებულთ ახალგაზდა შვილებს კი თან მოჰქონდათ ყვავილები და სთავაზობდნენ თავიანთ გულის სატრფოს.

ეგვიპტელები ძალიან თავაზიანად და მოწიწებით ექცეოდნენ ქალებს, რომელთა შორის ლამაზები ძალიან ცოტანი იყვნენ. მაგრამ ვინც იყვნენ, ყველას ხელებზედ ოქროს სამაჯურები ჰქონდათ და ფეხები, ეგვიპტის ჩვეულებისამებრ, წითლად შეღებილი. ტანსაცმელიც ძალიან მდიდრული ეცვათ, სულ ძვირფასის ფარჩისა; ზოგს ისეთი კაბა ეცვა, რომ გულის მარჯვენა მხარე სრულიად ტიტველი ჰქონდა.

როგორც კაცებ შორის სილამაზით, სპარსეთის თავადი ბარტია ირჩეოდა, ისე ქალებში ნიტეტისი, ფარაონის ქალი, ეგვიპტის ყველა ქალებსა სჯობდა. მეფის ქალი თავის ვარდისფერის კაბით და თმებში დატანებული ყვავილებით თავის დის გვერდით დადიოდა და ისეთი ფერმკრთალი იყო, როგორც დაფეთ-

ქილი ყვავილი, რომელიც იმის დედასა ჰქონდა თმაში გაკეთებული.

დედოფალი ლადისა, ჩამომავლობით ბერძენი ბატოს კირენელის ქალი, ამაზისის გვერდით იდგა და ახალგაზდა სპარსელებს თავის შვილებს აცნობებდა. მას თავზედ ედგა ოქროს გველი – ეგვიპტელთა დედოფლების თავის მოსართავი. სახეზედ კეთილშობილება და მიმგებლობა ეტყობოდა, და ყოველივე მისი მოძრაობა გაჩვენებდათ, რომ იგი არის მექონი გრაციისა, რომელსაც მხოლოდ ელინური აღზრდა აძლევს.

თავის მეორე ცოლის ტენტსეტის შემდეგ, რომელიც ეგვიპტელი ქალი იყო და დედა ტანტის მემკვიდრის ფსამეტიხისა, ამაზისმა მეუღლედ ეს ქალი ამოირჩია ბერძნების სიყვარულის გამო და ქურუმთა გამოჯავრებით.

ლადისის ახლოს მდგომარე ორი ქალი, ტახოტი და ნიტეტი-სი, ტყუუბად ითვლებოდნენ. მაგრამ მათში არ იყო არავითარი ისეთი მსგავსიერება, რომ მათი ტყუუად დაბადება გვეფიქრნა.

ტახოტი ქერა იყო, ლურჯთვალებიანი, მოძვრო ტანისა და კარგის აგებულებისა, ნიტეტისი კი მაღალი და სრული, შავის თვალებითა და თმებით და ყოველ მოძრაობაში მეფური ჩამომავლობა ეტყობოდა.

– რანაირი ფერმკრთალი ხარ, ჩემო ქალო, უთხრა ლადისმა და აკოცა ნიტეტის ლოყაზედ. გამხიარულდი და მომავალი გრწამდეს. მე მოვიყვანე შენთან ძმა მომავალის შენის ქმრისა, კეთილშობილი ბარტია.

ნიტეტისმა აიღო მაღლა თავის შავი თვალები და დიდხანს აკვირდებოდა მშვენიერს ახალგაზდას. უკანასკნელმა მდაბლად თავი დაუკრა, აწითლებულის ქალის ტანსაცმელს აკოცა და უთხრა:

– გეგებები შენ, როგორც მომავალს ჩემს დედოფალს და დას. მრწამს, რომ შენი გული იტანჯება სამშობლოს, მშობლების, ძმებისა და დების მოშორებით; მაგრამ ნუ იწუხებ, ამისათვის რომ შენი საქმრო დიდი გმირია და ძლიერი მეფე; ჩვენი დედა კასანდანა – დედაკაცთა შორის ერთი უკეთესთაგანია და ქალის სილამაზე და გულკეთილობა პატივცემულია სპარსეთში ისე,

როგორც მზის ნათელი, რომელიც სიცოცხლეს ჰფენს ქვენიერობას. შენთან კი ნიტეტიისის დავ, რომელსაც მინდა მასთან ერთად „ვარდი“ დავიდახო, ბოდიშს ვიხდი, რომ მოვედით და გამოვრებთ საუკეთესო მეგობარს.

ახალგაზდა სპარსელი დააცქერდა ლურჯ თვალებს მშვენიერის ტახოტისას, რომელმაც დაიღო გულზედ ხელი, მღუმარედ დაუკრა თავი და დიდხანს არ აშორებდა თვალს მიმავალს ბარტიას, როდესაც ამაზისმა წაიყვანა იგი მოთამაშე ქალების საჩვენებლად. მოთამაშე ქალებს მხოლოდ სუბუქი მატერიის იუბკები ეცვათ და მათი მოქნილი ტანი ირხეოდა საკრავის ხმაზედ. ამათ შემდეგ გამოვიდნენ ასპარეზზედ ეგვიპტის მოძღვრლები და მანქანები.

ბოლოს ზოგიერთა სასახლის კაცნი დარბაზიდან გავიდნენ; მხოლოდ ჯარის უფროსნი, სპარსეთის საელჩოს კაცნი და ზოგიერთი დიდებულნი მეჯლისის გამგემ დაიჭირა და შეიყვანა ძვირფასად მორთულს ოთახში, სადაც სუფრა საბერძნეთის გემოზედ იყო გაშლილი ხელახლად ღვინის გასაჩაღებლად.

ამაზისი მაღალს სელზედ იჯდა სუფრის თავში; მარცხნივ მოხუცებული კრეზი, აქვე იყვნენ ნაცნობი მეგობრები პოლიკრატისა, თევდორე და ივიკი, აგრეთვე ჯარის ახალი უფროსი არისტომახი.

ამაზისმა, რომელიც აქ ამასწინად კრეზს დინჯად ელაპარაკებოდა, ესლა ხუმრობა დაუწყო. გეგონებოდა, რომ იგი კვალად გაყმაწვილდა და ძველებურ მხიარულ აფიცრად გადაიქცაო. იგი ძალიან ოხუჯობდა და ხუმრობდა თავის სტუმრების შესახებ; სტუმრებიც გულიანად იცინოდნენ; თასი თასზედ იცლებოდა და მხიარულობა მეტისმეტად გაჩაღდა; ამ დროს სუფრის გამგებელი გამოჩნდა ოქროში დაფერილის პატარა მუმიით, იგი აჩვენა სტუმრებს და უთხრა:

– დალიეთ, იხუმრეთ და იმხიარულეთ ამისთვის, რომ ძალიან ძალე ყველანი ამ მუმიას დაემსგავსებით.

– მხიარულობის დროს სიკვდილის მოგონება თქვენში ჩვეულებად იქნება? ჰკითხა მას ბარტიამ და მცირედ დაღონდა, – ან იქნება შენმა სუფრის გამგებელმა გაბედა ამისთანა ხუმრობა?

ძველადგანვე, მიუგო ამაზისმა, მიღებულია ამისთანა მუმიების ჩვენება, რომ მოქეიფეთ უფრო აღეძრათ სიმხიარულის მადა, რომ მათ მოიგონონ სიკვდილი, დაეშურნენ სიცოცხლით დატკობობას, სინამ დრო არის. შენ ახალგაზდა მოქეიფეს, ჯერ კიდევ ბევრი დრო გაქვს საქეიფოდ; მაგრამ ჩვენ, მოხუცებულნი, მეგობარო კრეზო, ამ სიკვდილის მოგონებას უნდა ჩავუფიქრდეთ. მერიქიფევ, დროით ადავსე ფიალები, რომ არც ერთმა ჩვენი სიცოცხლის წამმა უნაყოფოდ არ განვლოს! როგორა სვამ, ახალგაზდა სპარსელო! ღმერთებს შენთვის ისეთივე დიდი ყელი მოუციათ სასმელის ჩასაყლაპად, როგორც მშვენიერი თვალები და უმშვენიერესი სიტურფე მოდი ერთი გაკოცო მომხიბლავ ახალგაზდავ, უვარგისო ყმაწვილო! ჩემი ქალი ტახოტი აღარავიზედ ლაპარაკობს, თუ არა ამ უსუსურზედ, რომელმაც მოხიბლა იგი პირველად ნაზის ცქერით და შემდეგ გრძნეულის სიტყვებით. რადა სწითლდები, ახალგაზდა ქარაფშუტავ! შენისთანა ახალგაზდას ნება აქვს დააცქერდეს ხელმწიფის ქალბს; მაგრამ შენ, თუგინდ თვით მამაშენი კირი იყო, მაშინაც არ გაგატანდი ჩემს ქალს სპარსეთში.

— მამა! უთხრა ჩუმად ხელმწიფეს ტახტის მემკვიდრე ფსამეტიხმა და შეაწყვეტინა ლაპარაკი. — მამა, ენას ბევრს ნებას ნუ აძლევ და მოიგონე ჭანესი.

მეფემ შეჭმუხვნით შეხედა შვილს, ქეიფი წაუხდა და ამის შემდეგ მხოლოდ ხანდისხან იღებდა ლაპარაკში მონაწილეობას.

არისტომახი, რომელიც კრეზის პირდაპირ იჯდა სპარსელებს თვალს არ ამორებდა, ხმას არ იღებდა და არც ამაზისის ხუმრობაზედ იცინოდა. როგორც კი ფარაონი გაჩუმიდა, მან თამამად ჰკითხა კრეზს:

— მე მსურს გავიგო, ლიდიელო, თოვლი მოდიოდა მთებზედ, ოღეს სპარსეთილამ წამოხვედით?

ამ საკვირველის სიტყვებით გაოცებულმა კრეზმა, ღიმილით უპასუხა:

— მომეტებული ნაწილი მთებისა მწვანით იყო შემოსილი, როდესაც ჩვენ ამ ოთხის თვის წინად ეგვიპტეში წამოვედით; მაგრამ კამბიზის სახელმწიფოში ისეთი მთებიც არიან, რომლე-

ბზედაც თოვლი დიდს სიცხეშიაც არა სდნება, და ეს მთები თეთრად ბრწყინავდენ, როდესაც მოვლილით.

სპარტანელს სახეზედ მხიარულება დაეტყო. კრეზმა, რომელსაც ეს დამჯდარი კაცი მოეწონა, ჰკითხა მას სახელი.

– მე არისტომასი მქვნიან.

– შენი სახელი თითქოს მაგონდება.

– შენ ბევრს ელინელს იცნობდი და ბევრს მათგანს ჩემი სახელი ერქვა.

– როგორც ლაპარაკზედ გეტყობა, შენ დორიის მოღვმის ერს უნდა ეკუთვნოდე; სპარტანელი ხომ არა ხარ?

– წინად ვიყავ.

– ეხლა?

– ის, ვინც ნებადაურთველად სამშობლოს დასტოვებს, სიკვდილის ღირსია.

– შენ შენის ნებით დასტოვე სამშობლო?

– დიად.

– რადა?

– რომ შეურაცხებას მოვშორებოდი.

– მერე ცუდი რა ჰქენი?

– არაფერი.

– მაშ უსამართლოდ შეგწამეს დანაშაული?

– დიად.

– ვინ იყო შენი უბედურების მიზეზი?

– შენა.

კრეზი შეხტა. სპარტანელის დინჯმა ლაპარაკმა და მოჭმუნვნილმა სახემ აფიქრებინა, რომ იგი არა ხუმრობდა.

ყველა იქ მჯდომნიც შეშინდენ და სთხოვეს არისტომასს განემარტა თავისი სიტყვები.

სპარტანელი ყოყმობდა. ეტყობოდა, რომ მას ლაპარაკი არ ესიამოვნებოდა; მაგრამ როდესაც მეფემაც სთხოვა, მან დაიწყო ასე:

– შენ, კრეზო, დაუჯერე ორაკულის სიტყვას და ჩვენ, ლაკედემონელნი, როგორც უძლიერესნი, ამოგვირჩიე შენს მომხრედ სპარსეთის წინააღმდეგ, რისათვისაც გვაჩუქე ოქრო აპოლონ

გერმესის ტაძრისათვის, რომელიც აშენებულია ჭორნაკის მთაზედ. ამისათვის ეჭორებმა გადასწყვიტეს ეჩუქებინათ შენთვის ძალიან დიდი ჭურჭელი, საგულისგულოდ სპილენძისაგან გაკეთებული, რომ სასმელი შეგენახა. ამ ჭურჭლის მოსართმევად მე ამომირჩიეს. სინამ ჩვენ სარდესამდის მოვიდოდით, ჩვენი გემი და მასთან ჭურჭელიც ქარიშხალმა დაღუპა ზღვაში. ჩვენ მხოლოდ ჩვენი თავები გადავარჩინეთ და სამოსამდის მოვედით. როდესაც სამშობლოში დავბრუნდით, მე ცილი დამწამეს, ვითომც გემი და ჭურჭელი სამოსელის ვაჭრებისთვის მიმეყიდოს. მაგრამ რადგანაც დანაშაული ვერ დამიმტკიცეს და ჩემი დაღუპვა კი უნდოდათ, ამისათვის გადამიწყვიტეს სამარცხვინო სვეტის ძირში ორიოდ დღე და ღამე დავმდგარიყავ. სინამ ჩემი შეურაცხების დილა დადგებოდა, ჩემი ძმა მოვიდა ჩემთან და იღუმალად ხმალი მომცა. მე თავი უნდა მომეკლა, რომ შეურაცხებას გადავრჩენილიყავ. ვერ მოვიკალ თავი, რადგანაც ჩემის მტრების ჯავრის ამოყრა მინდოდა. ამისათვის მე თვით მოვიჭერ სვეტზედ მიბმული ჩემი ფეხი და ევროტოსის ჩალიანში დავიმაღე. ჩემს ძმას ჩუმად მოჰქონდა სასმელ-საჭმელი. ორი თვის შემდეგ მე ამ ხის ფეხით სიარული შევიძელი. ჩემს მაგივრად აპოლონმა ამოიყარა ჯავრი, რადგანაც ჭირმა ჩემი მტრები სრულად გაწყვიტა. თუმცა ივინი დაიხოცნენ, მაგრამ მე მაინც ვერ დავბრუნდი სამშობლოში. გიჟი უმში მე გემში ჩავჯექი, რომ შენთან ერთად, კრეზო, სპარსელების წინააღმდეგ მებრძოლა. როდესაც ტაოსში ნაპირს მივადექი, გავიგე, რომ შენ ხელმწიფე აღარ იყავ. ძრიელმა კირმა, ამ მშვენიერი ყმაწვილის მამამ, რამდენსამე კვირას დაიმორჩილა ძლიერი ლიდია და უმდიდრესი მეფე ღარიბად გახადა.

ყველა მოქიფენი გაკვირვებით უცქეროდენ არისტომასს. კრეზმა მას ხელი ჩამოართვა და ახალგაზდა ბარტიამ სთქვა: — სწორედ რომ სპარტანელი ხარ, მე მინდა, ჩემთან სუზაში წამოხვიდე, ვუთხრა ჩემს მეგობრებს, რომ ვნახე ისეთი მამაცი და პატიოსანი კაცი, რომლისთანაც ძნელად თუ შეიძლება.

— მერწმუნეთ, ყმაწვილო, რომ ყოველი სპარტანელი ჩემსავით მოიქცეოდა. ჩვენს ქვეყანაში უფრო დიდი გამბედაობაა საჭირო იმისთვის, რომ მხდალი იყო, სინამ იმისთვის, რომ გმირი იყო.

– და შენ, ბარტიავ, უთხრა დარიმ, სპარსეთის მეფის ბიძაშვილმა: – განა აიტანდი შეურაცხებას – სვეტთან დგომას?

ბარტია გაწითლდა, მაგრამ ეტყობოდა, რომ ისიც სვეტთან დგომას სიკვდილს არჩევდა.

– შენა, ზოპირო? ჰკითხა დარიმ მესამე სპარსელს ახალგაზღვას.

– მე მხოლოდ შენი სიყვარულით დავიმახინჯებდი თავს და ჩამოართვა თავის მეგობრებს ხელი.

პსამეტის ახალგაზდა გმირებს დაცინვით უყურებდა; კრეზი, გიგესი და ამაზისი სიამოვნებით; ეგვიპტელნი ერთმანეთს უყურებდნენ, ხოლო სპარტანელი კი მხიარულად იცინოდა.

ეხლა ივიკმა სთქვა ორაკულის წინასწარმეტყველება, რომ არისტომასი სამშობლოში დაბრუნდება, როდესაც მაღალ, დათოვლილ მთებიდამ ხალხი მოვა, ამასთანავე ასსენა როდოპისის სტუმრისმოყვარე სახლი.

ფსამეტისი უსიამოვნოდ გახდა როდოპისის ხსენებაზე; კრეზმა გამოაცხადა სურვილი, გაეცნო ჭრაკიელი მოხუცი ქალი, რომელზედაც ეზოპი ბევრს კარგს ელაპარაკებოდა, და როდესაც დამთვრალთ დარბაზი დაუტევეს, მაშინ ტანტიდამ გადმოგდებულმა მეფემ, პოეტმა, მექანდაკემ და სპარტანელმა პირობა დადეს, მეორე დღეს ნაუკრატისში წასულიყვნენ, რომ დამტკბარიყვნენ როდოპისის ლაპარაკით.

VI

აღწერილი ღზინის ღამეს მეფე ამაზისს სამი საათის მოსვენება ძლივსა ჰქონდა. როგორც სხვა დღეს, ეხლაც, მამლებმა იყიველეს თუ არა, ყმაწვილმა ქურუმებმა გააღვიძეს იგი, აბანავეს, შემოსეს მეფურის ტანისამოსით და მიიყვანეს სასახლის ტაძარში, სადაც მან, ერის დასანახავად, ჩვეულებრივი მსხვერპლი შესწირა; უმაღლესი ქურუმი კი მაღალის ხმით ლოცვებს გალობდა, სთვლიდა მეფის კეთილს საქმეებს და ყოველსავე მოხდენილს ცოდოს მეფის მრჩეველებს აბრალებდა, რომ მეფე არ გაეკიცხათ.

როგორც ყოველთვის, ქურუმები ამხნევებდნენ მას კეთილს საქმეებში, უკითხავდნენ სასარგებლო წიგნებს და შემდეგ წაიყვანეს ოთახში, სადაც მოხსენდა მთელი სახელმწიფოს ვითარება.

ამ ცერემონიებს, რომელნიც ყოველდღე ხდებოდა, ამაზისი წმინდად ასრულებდა, აგრეთვე სვინიდისიანად საქმობდა დანიშნულს საათზედ, მაგრამ საქმის შემდეგ დარჩენილს დროს თავის ქეიფზედ ატარებდა, განსაკუთრებით მხიარულს საზოგადოებაში.

ამისათვის ქურუმები კიცხავდნენ მას, რომ ვითომც იგი მეფურად არა სცხოვრობდა; მაგრამ ერთხელ განრისხებულს უმაღლეს ქურუმს უთხრა: „უყურე ამ შვილდ-ისარს; თუ რომ ყოველთვის გასჭიმამ, მალე გაწყდება და დაჰკარგავს თავის ძალას. ხოლო თუ მხოლოდ ნახევარს დღეს იხმარებ და შემდეგ დაასვენებ, მაშინ იგი მაგარი იქნება და საქმეშიაც გამოგადგება იქამდის, სინამ არ გაწყდება.“

ამაზისმა ის იყო მოაწერა ერთს ქალაქს ხელი, რომლის ძალითაც ერთს მოხელეს აძლევდა ნებას წყალდიდობისაგან დაზიანებულის ნაპირების გამაგრებისას, რომ მოსამსახურემ მოახსენა: ტახტის მემკვიდრე ჰსამეტიხი გიახლათ და თქვენთან რამდენსამე წამს მოლაპარაკება უნდაო.

ამაზისმა, რომელმაც სასიამოვნო ამბები მიიღო მთელის სახელმწიფოს ნაწილებიდან, მხიარულად მიიღო მოსამსახურის მოხსენება, მაგრამ მალე ჩაფიქრდა. შემდეგ რამდენიმე ხნის სიჩუმისა, უბრძანა:

– წადი და სთხოვე ტახტის მემკვიდრეს, შემოვიდეს.

ჰსამეტიხმა, როგორც ყოველთვის ფერმკრთალმა და დაღვრემილმა, შევიდა თუ არა მამასთან, პატივისცემით დაუკრა თავი.

ამაზისმა გაჯავრებით ჰკითხა:

– რა გინდა შენ ჩემგან? მე ჩემი დრო განაწილებული მაქვს.

– განსაკუთრებით შენი შვილისათვის; მიუგო ფსამეტიხმა და ტუჩები აუკანკალდა. – შვიდჯერა გთხოვე დიდი მოწყალების მოღება, რომელიც მხოლოდ დღეს მივიღე.

– ყვედრებას თავი დაანებე! მე მივხვდი შენი მოსვლის მიზეზს. შენ გინდა განმარტო შენი ეჭვები ნიტეტიხის ჩამომავლობის შესახებ.

– მე ცნობისმოყვარე არ გახლავარ და უფრო იმისთვის მოვედი, შეგატყობინო და მოგაგონო, რომ ჩემს გარდა ეს საიდუმლოება სხვამაც იცის!

– ჭანესმა?

– მაშ სხვამ ვინ? იგი განდევნილი ეგვიპტიდამ და თავის სამშობლოდამ, რამდენიმე დღის შემდეგ ნაუკრატისიდამ წავა. ვინ გიდგება თავებდა, რომ იგი სპარსეთის წინაშე არ გაგვცემს?

– გულკეთილობა და მეგობრობა, რომელსაც მე მას ყოველთვის საქმით ვუმტკიცებდი.

– მაშ შენ ხალხის პატივისცემა გწამს?

– არა, მაგრამ მე მრწამს ჩემი ნიჭიერება, რომლის ძალითაც ხალხს კარგად ვცნობილობ. ჭანესი ჩვენ არ გვიღალატებს! კიბეორებ, რომ იგი ჩემი მეგობარია.

– იქნება შენი მეგობარი იყოს, მაგრამ ჩემი კი დაუძინებელი მტერია.

– მაშ მოერიდე. მე კი იმისი არ მეშინიან.

– შენ კი არა, ჩვენს სამშობლოს! ო, მამაჩემო, იფიქრე მასზედ, რომ მე გეჯავრები, როგორც შეილი, მაგრამ მაინც ახლო უნდა ვიყო შენს გულთან, როგორც ეგვიპტის მომავალი. იფიქრე, რომ შენი სიკვდილის შემდეგ, რომლისაგანაც დაგისხნან ღმერთებმა მრავალს წელს, – მე, როგორც ეხლა შენ, ვიქნები წარმომადგენელი ამ საკვირველის ქვეყნის აწმყოსი, რომ მომავალში ტახტიდამ ჩემი გადმოგდება ეგვიპტისა და შენის სახლის დაღუპვა იქნება.

ამაზისი თანდათან ფიქრიანდებოდა, ფსამეტიხმა კი გულმხურვალედ განაგრძო:

– შენ უნდა დამეთანხმო და დამეთანხმები კიდევ, რომ მე მართალი ვარ! იმ ჭანესის ხელშია, გადასცეს ჩვენი ქვეყანა რომელსაც გინდა გარეშე მტერს, ამისთვის, რომ მან ეს ქვეყანა ისევე კარგად იცის, როგორც მე და შენ. ამას გარდა, მან იცის საიდუმლოება, რომლის გამოაშკარავებთაც ჩვენს მომხრეს ძლიერს სახელმწიფოს მტრად გადაგვიქცევს.

– შენა სცდები! ნიტეტიისი თუმცა ჩემი შვილი არ არის, მაგრამ მაინც მეფის შვილია და თავის ქმრის გულს ადვილად

მიიზიდავს.

– თუ გინდ რომ იგი რომელიმე ღმერთის ქალიც იყოს, მაშინაც კი კამბიზი, გაიგებს თუ არა საიდუმლოებას, მტრად გაგვიხდება; შენ ხომ კარგად იცი, რომ სპარსელებს სიცრუვე უდიდეს დანაშაულად მიაჩნიათ და მოტყუება დიდ სირცხვილად უჩნთ. შენ კი იმათგან ყველაზედ ამპარტავანი და ძლიერი მოატყუე, და რას გააწვობს მარტო გამოუცდელი ქალი იქ, სადაც სხვა უფრო ბევრი ქალები ახვევიან მეფეს, მანქანებითა და ცბიერებით საესენი?

– განა მართალია, რომ სიმძულვარე და ჯავრის ამოყრა მჭევრმეტყველების საუკეთესო ოსტატნი არიან? ჰკითხა მკვანედ ამაზისმა. უკუნურო შვილო, ნუთუ შენა გგონია, რომ ამისთანა ძნელი საქმე მოუფიქრებლად დავიწყე? დაე ჭანესმა თუგინდ დღესვე უამბოს სპარსელებს ის, რაც მან კარგადაც არ იცის და დამტკიცებით კი ვერ დაამტკიცებს! მე – მამამ და ლადისა – დედამ უფრო უკედ უნდა ვიცოდეთ, ვინც არის ჩვენი შვილი. ჩვენ ორივენი ნიტეტისს ჩვენს შვილს ვეძახით; ვინ გაბედავს სთქვას, რომ ეს სიცრუვეა? თუ რომ ჭანესი, სპარსელებს გარდა, სხვა მტრებსაც შეატყობინებს ჩვენს სუსტს მხარეს, დაე შეატყობინოს; მე არავისი მეშინიან! ნუთუ შენ გინდა დამითანხმო იმ კაცის დასაღუბად, რომელსაც ჩემთვის სიკეთის მეტი არა უქნია-რა და რომელიც ათს წელიწადს ერთგულად მემსახურა? გეუბნები, რომ დაღუპვის ნაცვლად, მე მზადა ვარ, ყოველივე შემწეობა ამოვუჩინო, რომ გადავარჩინო შენს შურისძიებას, რომლის საზიზღარი მიზეზი მე კარგად ვიცი.

– მამა!

– შენ გინდა დაღუპო ეს კაცი იმისთვის, რომ მან შეგიშალა ხელი ძალად მოგეტაცნა ნაუკრატისილამ როდოპისის შვილისშვილი, იმისთვის, რომ ის ჯარების უფროსად დაენიშნე, როდესაც შენ ამ თანამდებობისათვის უნიჭო გამოდექი. ჰყვითლდები? სწორედ მაღლობელი ვარ ჭანესისა, რომ წინაღვე შემატყობინა შენი საზიზღარი განზრახვანი და ამით მომცა შემთხვევა, მიმეზიდნა გული იმ ხალხისა, რომელიც შეადგენს ჩემის ტახტის ძლიერებას და რომელსაც როდოპისი ძვირად უღირს.

– მამა, როგორ შეიძლება უცხოქვეყნელების აგრე ქება და ეგვიპტის ძველი დიდების დავიწყება! გამლანძღე მე, რამდენიც გნებავდეს; მე ვიცი, რომ არ ვიყვარვარ, მაგრამ იმას კი ნუ იტყვი, რომ ჩვენი დიდებისათვის უცხოქვეყნელი საჭირონი არიან. გადაათვალიერე ჩვენი ისტორია! როდის ვიყავით ყველაზე დღიერნი? მაშინ, როდესაც ყველა უცხოქვეყნელისათვის ეგვიპტის კარები დაკეტილი იყო; როდესაც ჩვენის ფეხით დავდიოდით, გვწამდა ჩვენი ძლიერება და ვცხოვრობდით ჩვენის ღმერთების და მამაპაპათ ძველის კანონებისამებრ. ის ღრონი მოწამენი იყვნენ რამზეს დიდის ძლიერებისა, რომელმაც დაუმორჩილა ჩვენს ძღვევამოსილს იარაღს უშორენს ქვეყანანი; ის ღრონი იყვნენ მოწამენი, რომ მთელი ქვეყანა ეგვიპტეს უძლიერეს სახელმწიფოდ სთვლიდა დედამიწის ზურგზედ. ეხლა რაღა ვართ ჩვენა? თვით შენის პირიღამ მესმის, რომ შენ უცხოქვეყნელ ღარიბ-ღატაკთ „სახელმწიფოს ბურჯად“ სთვლი; მე ვხედავ, თუ შენ, მეფე, როგორ ცრუობ, რომ მოიპოვო იმ ერთა მეგობრობა, რომლებზედაც არაერთხელ გაგვიმარჯვნია იქამდის, სანამ უცხოქვეყნელები ნილოსის ნაპირებზედ არ გამოჩნდნენ. ეგვიპტის ქვეყანა მდიდრად იყო მორთული და ძლიერიც იყო, ეხლა კი იგი ფერწასულია და ზიზილპიპილებით მორთული, როგორც როსკიპი დედაკაცი.

– ენა დაიმოკლე! დაუყვირა ამაზისმა და ფეხები დაუბრაზუნა. ეგვიპტეს თავის დღეშიც არ უნახავს ამისთანა დიდება და აყვავება! რამზესმა გადიტანა ჩვენი იარაღი შორეულს ქვეყნებში და სისხლის ღვრით დაიმორჩილა ზოგიერთა ხალხნი; მაგრამ მე კი ის მოვახერხე, რომ ჩვენი ქვეყნის ნაწარმოები მიდის შორეულს ქვეყნებში და სისხლის ნაცვლად სიმდიდრე და საუნჯე მოაქვს ჩვენთან. რამზესი თავის ქვეშევრდომებს სისხლსა და ოფლს აღვრევიანებდა თავის სახელის დიდებისათვის, მე კი ის მოვახერხე, რომ სისხლი უბრალო საქმისათვის არ იღვრება, ოფლი კი ყოველ მუშაობის დროს და რომ ყოველი მოქალაქე სიკვდილამდის უშიშრად და ბედნიერად სცხოვრობს. ნილოსის ნაპირებზედ ათი ათასი ადგილია მჭიდროდ დასახლებული, არც ერთი მტკაველი მიწა შეუთუშავებელი არ დარჩენილა, არც ერთი ბავშვი ეგვიპტეში არ მოიპოვება, რომ კანონის მფარველობის ქვეშ არ

იყოს, ვერც ერთი ავაზაკი ვერ დაემალება ფხიზელს მთავრობას. თუ რომ ჩვენ მტრები დაგვეცემიან, მაშინ, ჩვენი ციხეების, ზღვებისა, უღაბნობის და საკუთრად ეგვიპტის ჯარის გარდა, ჩვენა გვეყვანან საუკეთესო მეომარნი — სამი ათასი ელინი. ასეთია ჩვენი ეგვიპტის საქმეები. რამზესის დროს ბევრი სისხლი დაიღვარა ეგვიპტეში, მაგრამ დიდებული მაინც არ იყო; ესლა კი ნამდვილად და უტყუარად დიდებულია და ბედნიერი და ყოველივე ამის მიზეზი მე ვარ.

— მე მაინც გეტყვი, უთხრა მემკვიდრემ, რომ ეგვიპტე ხეა, რომლის ტოტებსაც ჭია გასჩენია და დღესა თუ ხვალ სრულიად გაახშობს. ოქროსა და ვერცხლის მოპოების სურვილმა, მდიდრულად და ბრწყინვალედ ცხოვრებამ ყველას გული წაუხდინა. უცხოქვეყნელთ მდიდრულმა ცხოვრებამ სრულიად ბოლო მოუღო ჩვენს მარტივს ზნე-ჩვეულებას. ხშირად მესმის, რომ ეგვიპტელნი ელინებისგან გარყვნილნი, დასცინიან უძველეს ღმერთებს; ჩხუბი და აყალმაყალი ჩამოვარდა ქურუმების და მეომრების შორის. უცხოქვეყნელნი და ეგვიპტელნი ყოველს ცისმარე დღეს ჩხუბობენ. მწყემსი და სამწყსო ერთმანეთში ჩხუბობენ; სახელმწიფოს წისქვილის ერთი ქვა მეორე ქვას ამტვრევს იქამდის, სინამორივენი მტვრად არ იქცევიან. დიად, მამაჩემო, თუ ყოველისფერს დღეს არ ვიტყვი, სხვა დროს თქმა აღარ შედირსება მისი, რაც ჩემს გულს აწუხებს! იმ დროს, როდესაც შენ სახელმწიფოს ბურჯს — ქურუმთა წოდებას ებრძოდი, გულმშვიდად უყურებდი ნორჩი სპარსეთის სახელმწიფოს გაძლიერებას, რომელმაც მრავალი ქვეყნები დაიმონავა და აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ გამოიწია. იმის მაგივრად, რომ დახმარებოდი ლიდელებს და ბაბილონელებს, როგორც წინა პირველად გინდოდა, შენ ეხმარებოდი ბერძნებს მათის ცრულღმერთებისათვის ტაძრების ასაშენებლად. მაგრამ როდესაც ყოველივე წინააღმდეგობა შეუძლებელი იყო, როდესაც სპარსეთმა ნახევარ ქვეყანა დაიპყრო და რაც ნებავდა, იმას სთხოვდა ყველა ხელმწიფეთ. მაშინ უკვდავმა ღმერთებმა ერთხელ კიდევ მოისურვეს შენი შველა ეგვიპტის დასახსნელად. კამბიზი დაინიშნა შენს ქალზედ; მაგრამ შენის სისუსტის გამო ვერ გაიმეტე შენი ქალი შეგეწირა მთელი სახელმწი-

ფოს ბედნიერებისათვის და უგზავნი სხვა ქალს, რომელიც შენი შვილი არ არის; ამას გარდა შენის უხასიათობით იფარავ იმ უცხოქვეყნელს კაცს, რომელსაც ხელთ უჭირავს შენის სახელმწიფოს ბედი და უბედობა, თუ რომ იგი უფრო ადრე არ დაირღვა შინაურის არეულობის გამო!

აქამდის ამაზისი, სიბრაზისაგან გაყვითლებული, ყურს უგდებდა შვილის ლაპარაკს, მაგრამ ეხლა კი ვეღარ მოითმინა და ზახიანის ხმით შეჰყვირა:

– შენ იცი, ვინ უნდა გამეწირა სასიკვდილოდ, თუ რომ ჩემი შვილები და ჩემგან დაარსებული სახელმწიფო სახლი უფრო ძვირად არა მღირებოდა, სინამ ამ ქვეყნის კეთილგანწყობილება? იცი, შენა, ტრაბახა და გესლიანის გულის პატრონო შვილო, ვინ არის ის კაცი, რომელიც ამ მშვენიერის უძველესის სამეფოს დამქცევი შეიქმნება? ეს შენ თვითონა ხარ, ფსამეტიხ, რომელსაც მთელი ერი შიშით გიყურებს, შენ, რომლის გულმაც არ იცის სიყვარული, მკერდმა – მეგობრობა, სახემ – ღიმილი, და სულმა – შებრალება! ღმერთების წყევლამ დამღუპველი ხასიათისა გაგხადა და ყოველსავე შენს დაწყობილობას ცუდი ბოლო მოეღის. ეხლა შენ დამიგდე ყური, რადგანაც მინდა გითხრა ის, რისიც თქმას აქამდის მამობრიული გული ნებას არ მაძლევდა. მე გადმოვაგდე ტახტიდამ მეფე და ძალა დავატანე თავის და ტენტხეტი ჩემთვის მოეთხოვებინა. მან შემიყვარა და იმედი მქონდა, რომ ერთის წლის შემდეგ მამა გავხდებოდი. შენი დაბადების წინაღამეს, ჩემის ცოლის კრაოტის გვერდით მჯდომს ჩამეძინა. მაშინ სიზმარი ვნახე, ვითომც დედაშენი ნილოსის ნაპირზედ იწვა. იგი შემომჩიოდა გულისტკივილს. მე დავხედე მას და დავინახე, რომ იმის გულზედ კიპარისის ხე ამოსულიყო. ხე თანდათან იზდებოდა და აქედ-იქით ტოტებს უშვებდა, ფესვები კი დედაშენს გარს შემოეხვია და დაიხჩო. შიშისაგან გავიყინე. მე მინდოდა გავქცეულიყავ, მაგრამ უეცრად აღმოსავლეთიდან საშინელი ქარიშხალი ამოვარდა, კიპარისის ხე მოგლიჯა ისე, რომ მისი ღიდრონი ტოტები ნილოსში ეწყო. მაშინ მდინარე შეეუბდა, მისი წყალი გაქვავდა და ჩემს წინ მდინარის მაგივრად უდიდესი მუშია იღო. წყლის ნაპირის ქალაქები მიწასთან გასწორდნენ და გადიქცნენ

სასაფლაოებად, რომელნიც, სამარესავით, ნილოსის უზარმაზარს გვამს გარშემო შემოვლებოდენ. ამ დროს გამოძევობა და ვუბრძანე სიზმრის ამხსნელები მოეყვანათ. ვერცერთმა მათგანმა ვერ ამიხსნა ეს საკვირველი სიზმარი; ბოლოს ამონ ლივიის ქურუმთ ამიხსნეს ამგვარად: „ტენტხეტი შვილის შობის შემდეგ მოკვდა, კიპარისის ხე შვილია, მოჭმუხნილი და ავის გულის კაცი, თავის დედის დამხრჩობი. ამის მეფობის დროს აღმოსავლეთის ხალხი ნილოსს, ე. ი. ეგვიპტელთ, მოჰკლავს და მათ ქალაქებს დაანგრევს”.

ფსამეტიხი გაფითრებული იდგა მამის პირდაპირ, მამა განაგრძო:

– დედაშენი მოკვდა შენი შობის შემდეგ; შენ გაიზარდე და გახდი ბოროტი კაცი; უბედურება ყველგან თანა გდევდა, რისათვისაც საყვარელი ცოლი და ოთხი შვილი დაჰკარგე. როგორც მე ბედნიერს ვარსკვლავზედ ვარ დაბადებული, ისე შენ, ვარსკვლავთმრიცხველების გამოანგარიშებით, დაბადებულხარ მაშინ, როდესაც საშინელი პლანეტი სება გამოჩნილა; შენ...

ამეზისმა გასწყვიტა ლაპარაკი, რადგანაც ფსამეტიხს, რომელმაც საშინელი ამბები გაიგონა, გული წაუვიდა და კენესით მხოლოდ ამასლა იმახდა:

– იკმარე, სასტიკო მამავ, იმაზედ მაინც ნურას იტყვი, რომ მე ერთადერთი შვილი ვარ მთელს ეგვიპტეში, რომელსაც მამა მდევნის.

ამაზისმა დახედა გაყვითლებულს კაცს, რომელიც მის ფეხთ წინაშე დაეცა. მისი მრისხანება სიბრალულად გადაიქცა. მან იგრძნო, რომ ძალიან სასტიკად მოექცა შვილს, რომ თავის ლაპარაკით ფსამეტიხს გული დაუკოდა მითი, რომ მოაგონა ორმოცის წლის წინად მომკვდარი დედა. დიდის ხნის შემდეგ მან პირველად შეხედა, როგორც მამამ და ნუგეშისმცემელმა პირმქეშ შვილს, რომლის გულშიაც სიყვარული და სიბრალული არაოდეს არ ყოფილა. მის ჩვილს გულს ეხლა პირველად მიეცა შემთხვევა მოსწმინდოს შვილს ცრემლები. დიდის სიხარულით ისარგებლა მან ამ შემთხვევით, მკენესარი ფსამეტიხის წინ დაეშვა და აკოცა მას შუბლზედ, მერე წამოაყენა ზეზედ და გულმტკივნეულად

უთხრა:

– მაპატივე, შვილო! შენი გამაჯავრებელი სიტყვები ამაზისის პირიდან კი არ ამოვიდა, არამედ სიბრაზის ყბიდან. შენ მრავალ-თა წლის განმავლობაში მაჯავრებდი შენის გულგრილობით, მტარვლობით და უზნაობით. დღეს შენ ჩემს საუკეთესო გრძნობას ცუდად შეეხე, ამისათვის მეც გავბრაზდი. ამას იქით ჩვენ შორის ყველაფერი კარგად იქნება. თუმცა ჩვენ ხასიათებით ისე გავირჩევით ერთმანეთისაგან, რომ, არა მგონია ორივეს გული ერთად მოთავსდეს, მაგრამ ამას იქით კი ჩვენ ერთმანეთის თანახმად ვიმოქმედოთ და სიტყვა დავუთმოთ.

ჰსამეტიხმა თავი დაუკრა და აკოცა მამას ტანისამოსზედ.

– არა, ეგრე არა, უთხრა მამამ: ტუჩებში მაკოცე, აი ეგ სხვა საქმეა, სწორედ ასეც უნდა იყოს მამა-შვილთ შორის! რაც შეეხება იმ საშინელს სიზმარს, რომელიც მე გიაძბე, იმისი ნუ შეგეშინდება. სიზმარი – მოჩვენებაა, რომელსაც ღმერთები გვივლნიებენ, მაგრამ მისი მხსნელები სცდებიან. შენ ხელები ისევე გიკანკალებს და სახე გაყვითლებული გაქვს. მე ძალიან სასტიკად მოგექექც, ისე სასტიკად, რომ მამას...

– ისე სასტიკად, რომ უცხო უცხოს არ მოექცევა ასე, უთხრა მეფვეს შემკვიდრემ. შენ სრულიად გამანადგურე; თუ აქამდის ჩემს სახეზედ ღიმილი არა სჩანდა, ამას იქით ეს სახე იქნება სარკე უბელურებისა.

– არა, უთხრა ამაზისმა და მხარზედ ხელი დაალო, თუ მე შენ დაგკოდე, მოსარჩენი წამალიცა მაქვს. მითხარ, რაც კი სურს შენს გულს და მე ავისრულებ! ფსამეტიხს თვალები გაუბრწყინდენ, მის გაყვითლებულს სახეს სიწითლე დაეტყო და უთხრა მღელვარეს ხმით:

– მომეცი მე ჭანესი, ჩემი მტერი.

მეფე რამდენსამე ხანს ჩაფიქრდა, შემდეგ უთხრა:

– მე ჩემს უნებურად უნდა ავასრულო შენი თხოვნა, მაგრამ უფრო სასიამოვნო კი იქნებოდა ჩემი ნახევარ ზაზინა გეთხოვნა. რაღაც იდუმალი ხმა ჩამჩურჩულებს, რომ უნდა ჩავიდინო ისეთი საქმე, რომელიც არ შემფერის და რომელიც დამღუპველი იქნება, როგორც ჩემთვის და შენთვის, ისე მთელის სახელმწიფოსათვის.

ჯერკიდევ იფიქრე, სინამ მოქმედებას დაიწყობდე; მაგრამ წინაღვე გუუბნები, რომ ჭანესის შესახებ, რა გინდ ცუდი განზრახვა გქონდეს, როდოპისის თავზედ ერთს ბეწვსაც ნუ ახლებ ხელსა; ამასთანავე უნდა ეცადო, რომ შენგან ჩემის მეგობრის დევნა საიდუმლოდ დარჩეს, განსაკუთრებით ბერძნებისათვის. სად ვიპოვი ისეთს სარდალს, მრჩეველს და მოსაუბრეს, როგორც ის იყო? მაგრამ ის მაინც ჯერ შენს ხელში არ არის და ამისათვის წინაღვე გავიგონებ, რომ თუ შენ ხარ ცბიერი და მოხერხებული, როგორც ეგვიპტელი, არც ჭანესს აკლია ცბიერება და ხერხი, როგორც ელინელს! განსაკუთრებით დაუტევე ყოველივე განზრახვა როდოპისის შვილისშვილის შესახებ. რაც შეეხება ეგვიპტეს, გიმეორებ, რომ ჩემი სახელმწიფო ამაზედ ბედნიერი თავის დღეში არა ყოფილა. მხოლოდ უკმაყოფილო ქურუმნი და ხალხი ამბობს, რომ ეგვიპტე ეხლა უბედურიაო. შენ გინდა შეიტყო ნიტეტისის ჩამომავლობა? მაშ ყური დამიგდე, შენის საკუთარის სარგებლობისათვის ამ საქმის შესახებ უნდა ჩუმიად იყო!

ფსამეტიხი დიდის ყურადღებით უგდებდა ყურს მამის საუბარს და, როდესაც გაათავა, მადლობა გადაუხადა.

– ახლა მშვიდობით! უთხრა ამაზისმა და ამით გაათავა შვილთან ლაპარაკი. ნუ დაივიწყებ, რაც გითხარ და განსაკუთრებით გთხოვ არავის სისხლში ხელი არ გაისვარო. საწყალო ათინელო ჭანეს! რა მხიარულათა ხარ! უმჯობესი იქნებოდა შენთვის, ამ ქვეყანაში თავის დღეში არ მოსულიყავ.

როდესაც ფსამეტიხი გავიდა მამის ოთახიდან, უკანასკნელი დიდხანს ფიქრობდა და წინ და უკან ბოლთასა სცემდა. იგი ნანობდა, რომ მისცა თავის შვილს ნება და თვალწინ უდგებოდა სისხლში შესვრილი ჭანესი, რომელიც მის წინაშე იდგა ტახტიდგან გადმოგდებული გოქრუას აჩრდილის გვერდით. „მაგრამ მას ხომ მართლა შეეძლო ჩვენი დალუპვა, – ცდილობდა გაემართლებინა თავის თავი სინიდისის წინაშე, – შემდეგ შეკრთა, წელში გაიმართა, დაუძახა მოსამსახურეებს და ღიმილით გამოვიდა ოთახიდან.

ნუთუ ამ სუბუქმა ქუდბედიანმა კაცმა ასე მალე დაიმშვიდა

თავისი სვინილისი? ან იქნება იმდენად თავდაჭერილია, რომ ღიმილით ჰფარავს თავის გულის ტანჯვას?

VII

ფსამეტიხი გამოვიდა თუ არა მამის ოთახიდან, მაშინვე ღმერთას ნეიტის ტაძარში წავიდა. ტაძრის შესავალთან უმაღლესი ქურუმი იკითხა. ტაძრის მოსამსახურეთ სთხოვეს, მოეცადა, რადგანაც ღიმი ნეიტოტეპი წმიდაწმიდათა შინა იყო და ევედრებოდა ცის უდიდეს დედოფალს.

ახალგაზნდა ქურუმი მალე მოვიდა და უთხრა, რომ ნეიტოტეპი გელისო.

მდიდრულად მორთულს ოთახში, დაფენილს ბაბილონის ხალიჩებით, სამოცდაათის წლის მოხუცი ნეიტოტეპი სელზედ იჯდა, ფეხები პატარა სკამზედ ეწყო. მას ხელოვნური დახვეული ქალაღი ეჭირა, რომელზედაც იეროგლიფიური ნიშნები ისხდა. უკან ბავშვი უდგა და სირაქლემას ფრთებით ბუზებს უგვრებდა.

მოხუცს ქურუმს სახე მოღმეჭილი ჰქონდა: მაგრამ ეტყობოდა კი, რომ წინად ლამაზი უნდა ყოფილიყო. დიდრონს ლურჯს თვალებში გონიერება ეხატებოდა. ქურუმმა მეგობრულად მიიღო ტახტის მემკვიდრე და უთხრა:

- რამ მოვიყვანა ჩემთან ჩემო უგანათლებულესო შვილო?
- მე ბევრი რამა მაქვს სათქმელი, ჩემო მამავ, მიუგო ფსამეტიხმა გამარჯვებულის ღიმილით; მე ეს არის ამაზისისგან მოვდივარ.
- ეხლა მაინც არის მოვისმინა?
- ძლივს.
- სახეზედ გეტყობა, რომ ჩვენს მბრძანებელს და შენს მამას ალერსიანად მიუღიხარ.
- ღიად, შემდეგ იმისა, როდესაც გამირისხდა. როდესაც გამოვეცხადე სურვილი, რომელიც შენ ჩამაგონე, იგი საშინლად გაბრაზდა და დამიწყო კიცხვა.
- იქნება გააჯავრე? თუ როგორც მე დაგარიგე, ისე თავმდაბლად მიხვედი?
- არა, მამავ, მე აღელვებული ვიყავ.

– მაშ ამაზისი სამართლიანად გაგჯავრებია; თავის დღეში შვილი მამას უკმაყოფილოდ არ უნდა მოექცეს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც რამე სათხოვარი აქვს. შენ ხომ იცი თქმულება: „პატივისმცემელი მამისა დიდ ხანს იცოცხლებს“. აი, ხედავ, შვილო ჩემო, შენ ყოველთვის დანაშაული გამოდიხარ იმით, რომ გინდა ძალით აისრულო სურვილი, რომელსაც მშვიდის და წყნარის ქცევით უფრო აისრულებ. კეთილი სიტყვით უფრო ბევრს გაარიგებს კაცი, ვიდრე ბოროტის სიტყვით. გამიგონე რა გითხრა: დიდი ხნის წინად ეგვიპტეს განაგებდა მეფე სნეფრუმცხოვრები მემფისში. ერთხელ მას ესიზმრა, რომ პირიდან ყველა კბილები გამოცხვივდა. მან მაშინვე მიიხმო სიზმრის ამხსნელი, რომელსაც უამბო თავის სიზმარი. უკანასკნელმა უთხრა: „ო მეფევე ვაება შენ, ყველა შენი ნათესავები შენზე აღრე დაიხოცებიან!“ გაბრაზებულმა სნეფრუმ აცემინა საცოდავი და სხვა სიზმრის ამხსნელს დაუძახა, რომელმაც სიზმარი ასე აუხსნა: „დიდო მეფევე, დიდებულ იყოს სახელი შენი, შენ ყველა შენს ნათესავებზედ დიდხანს იცოცხლებ!“ მეფეს გაეღიმა ამ სიტყვებზედ და ეს უკანასკნელი სიზმრის ამხსნელი დაასაჩუქრა; ამისთვის რომ, თუმცა მეორემაც ის უთხრა, რაც პირვალმა, მაგრამ მან უფრო თავაზიანად მოახერხა თქმა. ხომ გესმის ჩემი ლაპარაკის აზრი? მაშ ამაზ იქით ეცადე ხოლმე, რაც გინდა, ყოველივე თავაზიანად მომოსთქვა, ამისთვის რომ, განსაკუთრებით მეფისათვის, საჭიროა იცოდე როგორც ის, თუ როგორ ეუბნებიან, ისე ის, თუ რას ეუბნებიან.

– ო, მამაჩემო, რამდენჯერ დაგირიგებიავარ აგრე, რამდენჯერ მე თვით მიგვრძნია, რომ ჩემის თავისთვის მე თვითონ მიმიყენებია შეურაცხება ჩემის ცუდის ქცევით; მაგრამ ვერ შემიძლიან ხასიათის გამოცვლა, ვერა...

– უმჯობესია სთქვა, რომ არ გინდა. ნამდვილმა კაცმა ის აღარ უნდა ჩაიდინოს მეორედ, რაც ერთხელ შეუნანია. მაგრამ კმარა ღარიგება. მიაძბე, როგორ დააშოშმინე გაბრაზებული მამაშენი!

– შენ იცნობ მამაჩემს. როდესაც მან დაინახა, რომ მისმა სიტყვებმა საშინლად შემადრწუნეს, მან შეინანა თავის სიბრაზე. მან თითონ იგრძნო, რომ მეტი სმეტად სასტიკად მომეპყრო და

განიზრახა რითიმე გამოესყიდა თავის დანაშაული, რა ფასადაც უნდა დასჯდომოდა.

– იგი კეთილის გულისაა, მაგრამ შორსმხედველი ჭკუა არა აქვს! უთხრა ქურუმმა: რა ძვირფასი იქნებოდა ამაზისი ეგვიპტისათვის, მან რომ ჩვენს რჩევას და ღმერთების მცნებას გაუგონოს!

– რაკი ძალიან შევეცოდე, დამთანხმდა, – კარგად დამიგდე ყური, მამაჩემო, – დამთანხმდა შემომწიროს ჭანესის სიცოცხლე!

– რანაირად აბრიალებ თვალებს! ეგ კარგი არ არის, ფსამეტიხს! ათინელი უნდა მოიკლას, რადგანაც ღმერთებს შეურაცხება მიაყენა; მაგრამ მსაჯულს, რაც უნდა სასტიკი იყოს, არ უნდა უხაროდეს, პირიქით იგი უნდა სწუხდეს სიკვდილით დასასჯელ კაცი-სათვის. მითხარ, კიდეც რა მოახერხე?

– მეფემ შემატყობინა, ვისი სახლის ჩამომავალიც არის ნეიტეტისი.

– სხვა არაფერი?

– არა, მამაჩემო, მაგრამ არ გესიამოვნება გაიგო...

– ცნობისმოყვარეობა ქალების ნაკლულევანებაა. მაგრამ მე დიდი ხანია ვიცი ისა, რაც შენ უნდა მითხრა.

– მაშ გუშინ რად მითხარი, მამაჩემისათვის ყოველისფერი გამოძეკითხა?

– შენს გამოსაცდელად, რომ გამეგო ღმერთების ერთგული ხარ, თუ არა და შეასრულებ მათს ბრძანებას, თუ არა. მე ვხედავ, რომ შენ გულწრფელად ვგატყობინებ, რასაც იგებ და ასრულებ ქურუმის უპირველეს სურვილს – მორჩილებას.

– მაშ შენ იცი, ვინც არის ნიტეტისის მამა?

– მე თვით წავიკითხე ლოცვები მეფე გოფრუას საფლავზედ.

– მერე ვინ გაგიმხილა საიდუმლოება?

– საუკუნო ვარსკვლავთ, შვილო ჩემო, და ზეციურის წიგნის წაკითხვის ცოდნამ.

– ეგ ვარსკვლავები კი არასდროს არ ატყუებენ კაცს?

– ნამდვილად განსწავლილს კაცს არასდროს არ ატყუებენ.

ფსამეტიხი გაყვითლდა. მას მოაგონდა მამისგან ნამბობი სიზმარი და საშინლად შეძრწუნდა. ქურუმმა მაშინვე შენიშნა სახეზედ ცვლილება და უთხრა ტკბილის ხმით:

– შენ იგონებ ზეციურს უბედურ ნიშანთ შენის დაბადების დროს და დაღუპული გგონია შენი თავი; გამხნეველი ფსამეტიხ: იმ დროს ასტროლოგებმა ვერ შენიშნეს სხვა საბუნდიერო ნიშანი, რომელნიც ჩემს თვალებს ვერ დაემალა. შენი დაბადების ცის დასავალი ცუდი იყო, ძალიან ცუდი, მაგრამ შეიძლება ის კარგი გახდეს, შეიძლება...

– მითხარ, მამაჩემო, მითხარ!

– ყოველისფერი კარგად იქნება, თუ რომ შენ ყოველისფერს დაივიწყებ, იცოცხლებ მხოლოდ ღმერთებისთვის და დაემორჩილები მათს ხმას, რომელიც ჩვენ გვესმის წმინდაწმინდათა შინა.

– მომეცი ნიშანი მამაჩემო და ყოველისფერს ავასრულებ!

– მოგანიჭოს საისის დიდმა ნიეტამ! ღაღაღჰყო ქურუმმა დიდებულის ხმით. – ესლა კი, შვილო ჩემო, განაგრძო მან ტკბილად: თავი დამანებე, რადგანაც დავიღალე დიდის ხნის ლოცვით და მოხუცებულობით. თუ შეიძლება ჯერ დაავიანე ჭანესის სიკვდილი: მე მინდა მასთან მოვილაპარაკო, სინამ მოკვდებოდეს. აი კიდევ რა: გუშინ აქ შემოვიდა ექიობთა ჯარი. ამ ჯარმა ერთი სიტყვაც არ იცინ ბერძნულად. თუ კარგი სარდალი ეყოლება, რომელსაც ათინელიც და ადგილიც ეცოდინება, ეს ჯარი ადვილად დასჯის დამნაშავეს. ნაუკრატისში წასვლის დროს ამ ჯარმა არ უნდა იცოდეს თავის მოგზაურობის საგანი; როდესაც საქმე გაკეთდება, მაშინ იგინი ისევ კუშში გავეზავნოთ. განსოვდეს, რომ საიდუმლოება, რომელიც არაერთმა კაცმა იცის მხოლოდ, ნახევრად გამოაშკარავებულია. მშვიდობით!

ფსამეტიხი გავიდა მოხუცის ოთახიდან. რამდენიმე წამის შემდეგ შემოვიდა ახალგაზდა ქურუმი, ხელმწიფის ერთი მოსამსახურეთაგანი, და ჰკითხა მოხუცს:

– რას ბრძანებთ, კარგად მიგდია ყური, მამაჩემო?

– კარგად, ჩემო შვილო, შენ არაფერი გაგპარვია ამაზისისა და ფსამეტიხის ლაპარაკიდან. იზიდა იყოს შენი მფარველი.

– დღევანდელს ლაპარაკს ყრუც კი გაიგონებდა, რადგანაც მეფე ისე ღრიალებდა, როგორც ხარი.

– დიდმა ნიეტმა დაავიწყა მას სიფრთხილე. წადი ახლა

თვალყური კარგად გეჭიროს და თუ ამაზისმა ჭანესის შესახებ განზრახვა შესცვალა – რაც ადვილად შეიძლება – მაშინვე შემატყობინე. შენ ყოველს შემთხვევაში შინა მნახავ. უბრძანე მოსამსახურეთ, რომ მათ შენს მეტი ჩემთან მომსვლელნი არავინ მიიღონ, უთხარ რომ ვლოცულობ წმინდაწმინდათაში. ღმერთები იყვნენ შენი მფარველნი!

იმ დროს, როდესაც ფსამეტიხი ჭანესის დასაჭერად ემზადებოდა, კრეხი თავის მოგზაურებით ჯდებოდა ნილოსის სამეფო გემში, რომ ნაუკრატისში წასულიყო და მეორე საღამო როდოპისის სახლში გაეტარებინა.

კრეხის შვილი გიგესი და კიდევ სამი ახალგაზნდა სპარსელი საისში დარჩნენ, რადგანაც აქაც კარგს დროს ატარებდენ.

ამაზისი დიდის აღერსით ექცეოდა მათ, ეგვიპტის ჩვეულები-სამებრ, ნება მისცა ენახათ თავის ცოლის საზოგადოება, გაგეს ხმლის თამაშობას ასწავლიდა და იჩენდა დიდს ოხუჯობის და სიმხიარულის ნიჭს; მას უხაროდა, როდესაც სტუმარნი მის ქალების ბურთაობასა და რკლების თამაშობაში იღებენ მონაწილეობას.

– ეს თამაშობა, სთქვა ბარტიამ, იმის შემდეგ, როდესაც ნიტეტისმა სპილოს ძვლის ჯოხით რამდენჯერმე შეათამაშა ლენტებით მორთული რკალი: – უსათუოდ ჩვენს სამშობლოშიაც უნდა შემოვიდოთ. ჩვენ, სპარსელები, თქვენ, ეგვიპტელთ არა გგვეართ, ყოველსავე ახალს და უცხოქვეყნურს იმდენად სინარულით ვითვისებთ, რამდენადაც თქვენ იწუნებთ. მე ამ თამაშობის ამბავს ეუამბობ დედაჩემს კასანდანს და იგი დიდის კმაყოფილებით დათანხმდება, რომ ჩემის ძმის ცოლები ამ თამაშობით ერთობოდენ.

– უსათოდ მოახერხე ეგა, უსათუოდ, უთხრა ქერათმიანმა ტახოტმა და თან გაწითლდა. ნიტეტისი მონაწილეობას მიიღებს მაგ თამაშობაში და ოცნებით სამშობლოში გადმოვა თავის გულის სწორებთან. – შენ კი, ბარტია, განაგრძო დაბალის ხმით: – რკალის ტრიალს უყურებდე და ამ დროს მოიგონებდე ხოლმე.

ახალგაზნდა სპარსელმა ღიმილით უთხრა:

– მე ეს დრო თავის დღეში არ დამავიწყდება! შემდეგ მიუ-

ბრუნდა თავის [ძმის] მომავალს მეუღლეს და ხმამაღლა მხიარულად უთხრა: ნუ ფიქრობ, ნიტეტის, დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი ქვეყანა მოგეწონება. ჩვენ, აზიელთ მშვენიერების პატივისცემა ვიცით; ეს იმით მტკიცდება, რომ რამდენიმე ცოლი გვყავს.

ნიტეტისმა ამოიხრა და ხელმწიფის ცოლმა ლადისამ უთხრა:

– მაგითი იმას ამტკიცებთ, რომ ქალის ბუნება არა გცოდნიათ. შენ ვერ წარმოიდგენ, ბარტია, რასა გრძნობს ქალი, როდესაც იგი ხედავს, რომ მას ისე უყურებს, როგორც რომელსავე სათამაშობს, ან ძვირფას ცხენს და ან ძვირფას ჭურჭელს, ის კაცი, რომელიც მას თავის თავზედ უფრო ძლიერ უყვარს და მზად არის ყოველივე, რაც კი ძვირად უღირს, მას შესწიროს. ათასჯერ უფრო საწყენია, როდესაც სხვა ათას ქალს უნაწილებს იმ სიყვარულს, რომელიც საჭიროა, რომ მხოლოდ ერთს ეკუთვნოდეს.

– აი, ხედავ, რანაირი ეჭვიანია! უთხრა ამაზისმა. ამ ლაპარაკით იგი იმას არ ამბობს, რომ მე ვითომ რამდენჯერმე მილალატნია მისთვის?

– არა, ჩემო ძვირფასო, მიუგო ლადისამ: ამ შემთხვევაში თქვენ, ეგვიპტელები, ყველა სხვა კაცებს სჯობიხართ; თქვენ ერთგულნი ხართ და კმაყოფილი იმით, რაც ერთხელ შეიყვარეთ; მე გავბედავ და ვიტყვი, რომ არცერთი ქალი ეგვიპტელის ცოლზედ ბედნიერი არ იქნება. თვით ბერძნებიც კი, რომელნიც უფრო მშვენივრად აწყობენ ცხოვრებას, სინამ ეგვიპტელები, ისეთს პატივს ვერა სცემენ ქალებს, როგორის ღირსნიც არიან. მათ დედამამნი ძალას ატანენ მთელს დღეს ართან და ქსოვონ, რისა გამოც ელინელი ქალები მჭმუნვარებით ატარებენ თავიანთ სიყმაწვილეს და შემდეგ თხოვლებიან უცნობს კაცზედ, რომელიც იშვიათად შედის ქალის ოთახში. ქალს ნება აქვს დაესწროს კაცების საზოგადოებას მხოლოდ მაშინ, როდესაც მის ქმართან ახლო ნათესავნი და მეგობარნი მივლენ, მაგრამ მაშინაც ქალი მოკრძალებით იქცევა და ვერ იგებს, ქვეყანაზედ რა ხდება. ჩვენცა გვაქვს სწავლის შეძენის სურვილი და ეს არც უნდა დაემალოს ჩვენს სქესს, იმისთვის, რომ ჩვენ, მომავალ დელებს, შეგვეძლოს ჩვენი შვილების აღზრდა. რას ასწავლის თავის ქალებს ელინელი დედა, როდესაც მან თვითონ არაფერი იცის და არაფერი

გამოუცდია. ამისათვის ბერძენი ძალიან იშვიათად კმაყოფილდება თავის კანონიერის ცოლით, რომელიც გონებით მაზედ დაბლა დგას, და მიდის გეტერების სახლში, რომელთაც შეუწყვეტელი კავშირი აქვთ სხვა სქესთან, ყოველისფერს კაცებისგან სწავლობენ და ამის შემწეობით ამკობენ ცოდნით ქალის მშვენიერებას. ეგვიპტეში კი ყოველისფერი სხვანაირად ხდება. აქ მოზარდს ქალებს ნება აქვთ მონაწილეობა მიიღონ კარგი ხალხის საზოგადოებაში; ახალგაზდა ქალი და კაცი გაიცნობენ ერთმანეთს დღესასწაულებში სიყმაწვილითვე და ურთიერთის სიყვარულს ეჩვევიან. ქალი მონა კი არა, მეგობარი ხდება თავის ქმარისა. უფრო ძნელი გასაკეთებელი საქმე ძლიერებს რჩებათ, წვრილმალ საქმე კი – ქალებს, რადგანაც წვრილი საქმეებისა მათ უფრო ესმით. ქალები კარგის ყურადღებით იზრდებიან, რადგანაც ღელა მოკლებული არ არის ცოდნას და გამოცდილებას. ქალი ჩვენში გულკეთილია და სახლობის მოყვარული, რადგანაც იგი თავის გულკეთილობით უმატებს მას ბედნიერებას, რომელიც მხოლოდ მას ეკუთვნის და რომლისთვისაც მხოლოდ ის შეადგენს ძვირფას საუნჯეს. ჩვენ, ქალები, ხომ იმას ვაკეთებთ, რაც გვიაძება. ეგვიპტელნი ისე გვზდიან, რომ ჩვენ იმას ვაკეთებთ, რაც კარგია. აქ, ნილოსის ნაპირებზედ ჭოკილიდ მიღეთელი და ლიპონაკს ეფესელი თავის დღეში ვერ გაბედვენ თავის ლექსებით ჩვენს დაცინვას, – აქ თავის დღეში ვერ იგონებდენ პანდორზედ თქმულებას.

– რა კარგად ლაპარაკობ! უთხრა ბარტიამ. – მე ძალიან მეძნელებოდა ბერძნულის სწავლა, მაგრამ ესნლა მიხარია, რომ კრეზის გაკვეთილებს გულმოდგინედ ვისმენდით.

– აბა, ვინ არიან ის სამაგელი კაცები, რომელნიც ქალებზედ სამაგლად ლაპარაკობენ? ჰკითხა დარიმ.

– რამდენიმე ბერძნის პოეტები, მიუგო ამაზისმა: – კაცთა შორის ყველაზედ გულადნი, რადგანაც მე უფრო იმაზედ დავთანხმდებოდი, რომ ლომი გამეჯავრებინა, სინამ ქალი. ამ ბერძნებს ქვეყანაზედ არაფრისა ეშინიანთ. აბა მოისმინე ნიმუში ჰიპონაკსის პოეზიისა:

ცოლი მხოლოდ ორს დღესა გვიაძება:

ქორწილის დღეს და როდესაც მოკვდება.

– კმარა, კმარა, შე უსვინიდილო, უთხრა ლადისმა და ყურებში თითი დაიცო. აი, ხედავთ, სპარსელებო, როგორი კაცია ეს ამაზინი. სადაც კი შეუძლიან და შემთხვევას იპოვის, დასცინის ქალებს, თუ გინდ რომ თვითონაც იმ აზრისა იყოს, რა აზრისაც არიან ისინი, რომელთაც დასცინის. არ არის უკეთესი ქმარი....

– არც ცოლია შენზედ ცუდი, სიცილით უთხრა ამაზინმა: – რადგანაც შენ ცილსა მწამებ, რომ ვითომც მე ყურმოჭრილი ქმარი ვიყო. მშვიდობით ბავშვებო, დაე ახალგაზდა გმირებმა გაიცნონ ჩვენი საისი; მაგრამ წინდაწინ მინდა ვუთხრა, თუ რასა მღერის ბოროტი სიმონიდი ერთს საუკეთესო ქალზედ:

ფუტკრისაგან ერთი ქალი იშვება:

ნეტავი მას, ვისაც იგი შეხვდება!

რასაც ბედი მას კეთილს მიანიჭებს,

ყოველსავე ერთი-ორად ამრავლებს.

თვის საყვარელს ქმარსა შეაბერდება,

მისი ტრფობა გულში ლამპრად ენთება.

ის დასჩაგრავს დიდებითა სხვა ქალებს,

ვითა ღმერთი სიტურფისა იბრწყინვებს.

უქმად მსხლომნი ქალები შესმაგდება,

მისი გული იმათ არ მიუდგება,

აი, ზევსი გვანიჭებს რა ქალებსა,

რომ დაგვიტკობონ სიცოცხლე ჩვენ კაცებსა!

– აი ესეთია ჩემი ლადისაც! მშვიდობით!

– არა, მოითმინეთ! უთხრა ბარტიამ. – მე ჯერ მინდა ჩვენი საწყალი სპარსეთი გავამართლო, რომ ჩემი მომავალი ცოლი უფრო გავამხნეო. მაგრამ არა! დარი, შენ ილაპარაკე ჩემს მაგივრად, რადგანაც შენ ისევე კარგად იცი ლაპარაკი, როგორც ხმლის ხმარება.

– შენ მე ყბედ კაცად გამოგყევარ, მიუგო ჰისტასპის შვილმა.

– დაე აგრე იყოს: მე დიდი ხანია მსურს ჩვენი ქვეყნის ჩვეულება დავიცვა. ესრედ იცოდე, ლადისა, რომ შენი ქალი არასდროს მონა არ იქნება, არამედ იქნება მეფის მეგობარი, თუ რომ ორმუზი მაგის გულს კეთილად წარმართავს; იცოდე, რომ სპარსეთშიაც,

დიდი დღესასწაულობის დროს, მეფის ცოლები სადილზედ კაცებთან ერთად სხედან და ჩვენ დიდი პატივისმცემელი ვართ ჩვენის ცოლებისა და დედებისა. გამიგონეთ: შეგიძლიანთ თქვენ, ეგვიპტელებს, მძიართვით თქვენს ცოლებს იმაზედ ძვირფასი საჩუქარი, როგორი საჩუქარიც მძიართვა ბაბილონის მეფემ, რომელსაც ცოლად სპარსელი ქალი ჰყავდა. ბაბილონელი მეფის ცოლი, შეჩვეული თავის ქვეყნის მთებს, გრძნობდა თავის თავს უბედურად ეფრატის თვალგაღუწვდენელს ველებზედ და თავის სამშობლოსთვის მწუხარებით ავად გახდა. რა ქნა მეფემ? მან უბრძანა აღეშენებინათ მაღალი შენობა, რომლის ბანზედაც ნაყოფიერი მიწა დაეყარათ. იქ ახარეს მშენიერი ხეები და ყვავილები, რომელნიც ხელოვნურად გაყვანილის წყლით ირწყობოდენ. როდესაც ყოველივე მზად იყო, მან მიიყვანა იქ თავისი ცოლი, სპარსელი ქალი და აჩუქა მას ეს ხელოვნური მთა, საიდგანაც, როგორც რაჰმედის მთიდან, შეეძლო ეცქირნა ველისათვის.

– მერე, მორჩა სპარსელი ქალი? ჰკითხა ნიტეტისმა მორცხობით.

– მორჩა და გამხიარულდა; შენც აგრეთვე რამდენიმე ხნის განმავლობის შემდეგ შენს თავს ჩვენს ქვეყანაში კმაყოფილად და ბედნიერად ჩასთვლი.

ლადისმა მხიარულად გაიღიმა და ჰკითხა:

– მერე, რამ უფრო მოარჩინა მეფის ახალგაზდა ცოლი? განგებ გაკეთებულმა მთამ, თუ ქმრის სიყვარულმა, რომელმაც ცოლის სასიამოვნოდ ასეთი დიდი შენობა ააშენა?

– ქმრის სიყვარულმა! დაიძახეს ქალებმა.

– მაგრამ ნიტეტისი არც გორას დაიწუნებს, არწმუნებდა ბარტია. – მე ისე მოვმართავ, რომ დაკიდულს ბალებში სცხოვრობდეს, როგორც კი სასახლე ბაბილონში გადავა.

– ეხლა კი წადით, უთხრა ამაზისმა: თორემ ქალაქის დათვალიერება ბნელაში მოგიხდებათ. მე კი ავერ ერთი საათია ორი მწერალი მომელის. სასონს, უბრძანე ქეშიკების უფროსებს ასის ჯარისკაცით ჩვენს უმაღლეს სტუმრებს გაჰყვეს.

– მაგდენი რა საჭიროა? ერთი გზის მჩვენებელიც საკმარისი იყო, ან რომელიმე ბერძენთაგანი ჯარის უფროსი.

– ასე სჯობიან. ეგვიპტეში უცხო ქვეყნელს მეტისმეტი სიფრთხილე არასდროს არ უნდა. ეს სახეში იქონიეთ: განსაკუთრებით ერიდეთ წმინდა ცხოველებს დასცინოთ. მშვიდობით, ჩემო ახალგაზდა გმირებო.

სპარსელები გამოვიდენ სასახლედამ და თან მისდევდა თარჯიმანი, ბერძენი, აღზრდილი ეგვიპტეში, რომელიც ორივე ენაზედ კარგად ლაპარაკობდა.

საისის ქუჩები, რომელნიც სასახლის ახლოს იყვნენ, სასიამოვნო სანახავეს წარმოადგენდენ, სახლებს შორის ზოგნი სამსართულიანები იყვნენ, ნილოსის აგურებით აშენებული და ნახატებით და იეროგლიძეების ნიშნებით მორთულნი. შესავალ კარებზედ ამოჭრილი იყო სახელი და წოდება სახლის პატრონისა. სწორე ბანებზედ ყვავილები და ლამაზი მცენარენი იდგნენ, რომელთა ქვეშაც ეგვიპტელთ უყვარდათ სხდომა საღამოობით, თუ რომ არ დაამჯობინებდენ ასვლას კოშკზედ, რომელიც თითქმის ყველა სახლთან იყო აშენებული. ამ კოშკებს იმისთვის აშენებდენ, რომ მწერები დაბლა-დაბლა დაფრინავდენ და მოსვენებას არ აძლევდენ კაცს, სინამ კოშკში მალა არ ავიდოდენ.

ახალგაზდა სპარსელებს უკვირდათ სახლებისა და ქუჩების სისუფთავე, რამდენსაც შორდებოდენ სპარსელები ნილოსს და სასახლეს, იმდენი ქუჩებიც უფრო ვიწრონი და უსუფთაონი იყვნენ. ეს ქალაქი ერთის მთის კალთაზეა გაშენებული და წინად უბრალო სოფელი ყოფილა, მაგრამ ქალაქად მაშინ გადაქცეულა, როდესაც ფარაონებს თავისი ტახტი აქ გადმოუტანიათ.

– უკან დავბრუნდეთ, უთხრა გაგესმა, კრეზის შვილმა, თავისზე უნცროს თანამგზავრებს, რომლებსთვისაც, თავის მამის აქ უმყოფლობის გამო, ყური უნდა ეგდო და ეწინამძღვრა. აბა შეხედეთ, რამოდენა ხალხი აგვედევნა.

– როგორც ბრძანებთ, მიუგო თარჯიმანმა, – იქ ველზედ, იმ გორის კალთებზედ, მდებარეობს მკვდარი ქალაქი საიტებისა, რომელიც ჩემის აზრით, უცხოქვეყნელებისათვის სასიამოვნო სანახავია.

– გაგვიძეხ წინ, უთხრა ბარტამ, ჩვენ იმისთვის წამოვეყვიით არაქსაპსა, რომ ქალაქის ყოველივე ღირსშესანიშნავი რამეები

ენახოთ.

როდესაც ივინი, მკვდარი ქალაქის ახლოს, მივიდნენ ცარიელ ადგილზედ, რომლის გარშემოც ხელოსანთა ღუქები იყვნენ აშენებულინი, მათს უკან მიმდევარს ხალხში ხმაურობა გაისმა. ბავშვები მხიარულობდნენ, ქალები ყვიროდნენ და ვილასიც ხმა ყველას ხმაზედ მაღლა მოისმოდა:

– მოდიოთ აქ, ტაძრის კარებთან, რომ ნახოთ საქმენი ღიდის თვალთმაქცისა, რომელიც ლივიის დასავლეთიდან მოვიდა. მას ყოველივე თვალთმაქცობა შესწავლილი აქვს ხუნსუსგან, რომელიც ყველას კარგს დარიგებას აძლევს.

– წამომყეთ აი აქა, პატარა ტაძართან! უთხრა თარჯიმანმა. – თქვენ ეხლავე ნახავთ საკვირველს სანახავს.

აქ მან თავის სტუმრებთან ერთად გაიკვლია გზა ეგვიპტელთა ხალხის გროვაში და მალე დაბრუნდა ერთის ქურუმით, რომელმაც წაიყვანა უცხოქვეყნელები ტაძრის ტალანში. აქ რამდენიმე ყუთების ახლოს, იდგა კაცი, ქურუმის ტანისამოსით. ორი ზანგი მის წინ იყო დაჩოქილი.

ლივიელი უზარმაზარის ტანის კაცი იყო და მეტისმეტად შავი და გამგმირავი თვალები ჰქონდა. ხელში ჩვენი კლარნეტის მსგავსი საკრავი ეჭირა. იმის მკერდს და ხელებს ეხვია რამდენიმე გველი, რომელნიც ეგვიპტეში შხამიან გველებად ითვლებიან.

როდესაც თვის წინ სპარსელები დაინახა, თავი დაუკრა და მედიდურად ანიშნა მათ მისთვის ეცქირნათ. გაიხადა თავის ტანისამოსი და დაიწყო მანქანება თავის გველებთან ერთად.

იგი მათ ხან კბენის ნებას აძლევდა, ასე რომ ლოყებიდამ სისხლი გადმოუვიდოდა ხოლმე, ხან თავის საკრავის ხმით ისე ამოდრავებდა მათ, თითქოს თამაშობსო, ხან ყბაში ჩააფურთხებდა და ჯოხებისავით გააშეშებდა. შემდეგ გველები ადგილზედ დაყარა და თვითონ მათ შორის დაიწყო გაეგყებით თამაშობა, ასე რომ გველებს ფეხებს არ ახვედრებდა.

გიჟისავით ივრისებოდა და იმანჭებოდა ჯადოსანი, სინამ თვალები არ გადმოეკარკლენ და ტუჩები არ დაუსისხლიანდა. უცბად იგი მკვდარისავით დაეცა დედამიწაზედ, სხეულის აღარცერთი ნაწილი არ ენძრეოდა, გარდა ტუჩებისა, რომელნიც შტვენა-სისინის

ხმას იღებდენ. ამ ნიშნებით გველები მისცურდენ და ყელზედ, ფეხებზედ და ტანზედ გარშემო რკალსავით შემოერტყენ. ბოლოს იგი ადგა და სთქვა სიმღერა ღვთაების ძალის სადიდებლად.

შემდეგ მან ახადა ყუთს თავი და შიგ ჩასხა მომეტებული ნაწილი გველებისა, მხოლოდ ზოგიერთები დაინარჩუნა თავისთან, რომელნიც სამკაულისა და ბრასლეტებისავით ეხვია ყელზედ და მაჯებზედ. ამ გველების თამაშობის გარდა მან სხვა ფოკუსებიც გააკეთა, რომელნიც სპარსელებს ძალიან აკვირებდა.

ასე გაერთნენ, რომ თვითონაც ვერ გაიგეს, როგორ მივიდნენ საუკეთესო ქუჩებამდის; მაშინ მათ შენიშნეს, რომ მათ უკან ასდევნებოდნენ მრავალი ეგვიპტელნი, რომელთაც ხელები, ყურები და ცხვირები დაჭრილები ჰქონდათ. ეს დამახინჯებული ხალხი სპარსელებს არ აკვირებდა, რადგანაც მათს ქვეყანაშიც ბევრნი იყვნენ დამახინჯებულნი დანაშაულობისათვის. სპარსელებს რომ გამოეკითხათ დამახინჯების მიზეზნი, შეიტყობდნენ, რომ ეგვიპტეში ხელმოჭრილი კაცი დამნაშავეა ვისიმე მოტყუებაში, უცხვირო ქალი – ქმრის მოღალატე, ენამოჭრილი – სახელმწიფო დამნაშავე და ცილისმწამებელი, ყურმოჭრილი – ჯაშუში და გაყვითლებული, გამოსულელებული ქალი – შვილის მკვლელი, რომელსაც დანაშაულობისათვის სამი დღე და ღამე თავისგან მოკლული შვილი ხელში უნდა სჭეროდა. ამის შემდეგ რომელს ქალს-ღა შერჩებოდა გონება?

ბოლოს სპარსელი სტუმრები მივიდნენ ერთს მშვენიერს სახლთან, რომლის ფანჯრებიც ბაღს გადასცქეროდნენ. სახლის კარებზე ერთი მოხუცი კაცი იდგა, რომელსაც ქურუმის მოსამსახურის თეთრი ტანისამოსი ეცვა. იგი რანდენსამე კაცს უყვიროდა და არ ანებებდა სახლიდამ ყუთის წაღებას:

– ვინ მოგცემთ ნებას, ჩემი ბატონი გაჰქურდოთ? ყვიროდა იგი და ხელებს იქნევდა. მე ამ სახლის ყარაული ვარ და როდესაც ჩემი ბატონი წავიდა სპარსეთში, რის განადგურებასაც ღმერთსა ვსთხოვ, – მიბრძანა მე განსაკუთრებით ამ ყუთისათვის მეგდო ყური; ამაში მისი ქალაღებია შენახული.

– დამშვიდდი მოხუცო გიბო, უთხრა ტაძრის მოსამსახურემ,

რომელმაც წინად სპარსელები მიიღო: ჩვენ აქ ნეიტის უმაღლეს-
მა ქურუმმა გამოგვგზავნა, რომელიც ბატონია შენის ბატონისა.
ამ ყუთში ალბად საყურადღებო ქაღალდებია, თორემ ნეიტოტეპი
ამის წაღებას არ გვიბრძანებდა.

– მე ნებას არ მოგცემთ, რომ წაიღოთ ჩემი ბატონის ექიმის
ნებენხარის საკუთრება! ყვიროდა მოხუცი, – მე სიმართლეს
ვიპოვი და თუ საჭირო იქნება ხელმწიფემდის მივალ.

– დადექ! შეჰყვირა ახლა ტაძრის მოსამსახურემ. არ გესმით,
ყუთი ეხლავე წაიღეთ უმაღლეს ქურუმთან; შენ კი, მოხუცო,
უფრო გონივრულად მოიქცეოდი, ცოტა ენა რომ დაგემოკლებინა
და გეფიქრა, რომ შენც მონა ხარ ჩემის ბატონის – უმაღლესის
ქურუმისა. ეხლავე შედი სახლში, თორემ ხვალ შენც ისე წა-
გათრევთ, როგორც ეხლა ამ ყუთს!

ამ სიტყვებთან ერთად ისე ძალიან გამოიჯანუხა კარები, რომ
მოხუცი შიგნით მოჰყვა და ხალხი ვეღარ ხედავდა. სპარსელებმა
ნახეს ეს ამბავი და თარჯიმანს სთხოვეს აეხსნა მათთვის ამის
მნიშვნელობა.

ზოპირმა გაიცინა, როდესაც გაიგო, რომ მოტაცებული ყუთის
პატრონი თვალის ექიმი იყო, რომელიც სპარსეთში იმყოფებოდა
მეფის დედის თვალთ დაკლების გამო და რომელიც ჯიუტის
ხასიათისათვის კამბიზის სასახლის კაცებს არ მოსწონდათ.

ბარტიას უნდოდა ეკითხა ამაზისისათვის, თუ რას ნიშნავდა
ყუთის მოტაცება; მაგრამ გაგესმა დაარწმუნა იგი, არ გარეულიყო
იმისთანა საქმეებში, რომელნიც მათ არ შეეხებოდათ.

როდესაც იგინი თვითონ სასახლესთან მივიდნენ, (სიბნელე,
რომელიც ეგვიპტეში მალე დგება, უკვე იფინებოდა) გაგესმა
იგრძნო, რომ მას ვიღაც კაცმა წაავლო ტანისამოსში ხელი და
შეაყენა. მან მიიხედა და შენიშნა, რომ უცნობი კაცი ანიშნებდა,
ხმა არ ამოეღო.

– როდის შეიძლება მხოლოდ შენთან ჩუმიდ ლაპარაკი? უჩუ-
რულა მან კრეზის შეილს.

– რა გინდა ჩემგან?

– ნუ მკითხავ და დროით პასუხი მომეც. გეფიცები მიტრს,
რომ მე მინდა შენ საყურადღებო ამბები შეგატყობინო!

– შენ სპარსულად ლაპარაკობ? მაშ ეგვიპტელი არა ყოფილხარ, თუმცა ეგვიპტური ტანისამოსი კი გაცვია?

– მე სპარსელი ვარ; დროით მამე პასუხი, სინამ ნალაპარაკებს დაგვინახავდენ. როდის შემიდლიან მარტო შენ, სხვის უხილავად, მოგელაპარაკო?

– ზვალ დილით.

– ეგ ძალიან გვიან არის.

– მაშ თუთხმეტი წამის უკან, სასახლის ალაყაფის კარებთან, როდესაც სრულიად დაბნეულდება.

– მაშ მოგელოდები.

ამ სიტყვების შემდეგ უცნობი გაჰქრა. როდესაც გიგესი სასახლეში შევიდა, გამოეთხოვა ბარტიასა და ზოპარს. ხმალი შემოიკრა და დარისაც სთხოვა აგრეთვე შეიარაღებულიყო და მას უკან გაჰყოლოდა; ცოტა ხნის შემდეგ იგინი სასახლის ალაყაფის კარებთან იდგნენ უცნობის პირისპირ.

– დიდება ორმუხდს, რომ შენ მოხველ! შესძახა მან ახალგაზრდა ლიდიელს სპარსულს ენაზედ: – მაგრამ შენი ამხანაგი ვილა არის?

– ჩემი მეგობარი, ახემენიდი, დარი ჰისტასპის შვილი. უცნობმა მღაბლად თავი დაუკრა და უთხრა:

– ეს კარგია, თორემ მე მეგონა ეგვიპტელი ვინმე ხომ არ არის მეთქი.

– არა, ჩვენ მარტონი ვართ და გვინდა ყური დაგიგლოთ, მაგრამ მოკლედ სთქვი. ვინა ხარ შენა და რა გინდა?

– მე ბუბრესი მქვიან და დიდის კირის დროს ასისტავი ვიყავ. როდესაც ჩვენ სარდესი ავიღეთ, მამაშენის სატახტო ქალაქი, ჩვენ ჯერ გაცარცვის ნება მოგვცეს; მაგრამ ბრძენმა მამაშენმა სთხოვა კირს ცარცვა შეეყენებინა, ამისთვის, რომ, რადგანაც სარდესი უკვე დაიმორჩილეს, ეს ის იქნებოდა, რომ ეცარცვათ წინანდელი მფლობელი კი არა, თავიანთ თავი. მაშინ სასტიკად ნაბძანები იყო, რომ ყოველივე ასისტავებისთვის მიეტანათ; ასისტავებსაც ნაბრძანები ჰქონდათ ძვირფასი საუნჯენი შეიდანზედ გაეტანათ. იქ ეწყვნენ მრავალი ოქროსი და ვერცხლის ჭურჭელნი, ქალებისა და კაცების სამკაულნი ძვირფასის თვლებით.

– დროით, დროით, ცოტა დრო გვაქვს! უთხრა გიგესმა უცნობს.

– შენ მართალს ამბობ! უნდა მოკლედ ვიამბოთ. მე უნდა სიკვდილით დაესჯილიყავ, რადგანაც ჩემთვის შევინახე ყუთი, ძვირფასი თვლებით სავსე, მამიშენის სასახლიდამ გამოტანილი. კირს უნდოდა ებრძანებინა, რომ მოვეკალით; მაგრამ კრეზმა მიშუამდგომლა მასთან და სიკვდილს გადამარჩინა. კირმა გამანთავისუფლა, მაგრამ პატიოსნებამოკლებულს კაცად კი გამომაცხადა. ესრედ, მე მამაშენმა მომანიჭა სიცოცხლე; მაგრამ მე მაინც სპარსეთში ვერ დავდექი სიცხვილის გამო. სმირნის გემით კიპრში მოვედი. აქ ხელახლად სამსახურში შევედი, ბერძნული და ეგვიპტური ენები შევისწავლე, ამაზისის წინააღმდეგ ვიბრძოდი და აქ ჭანესმა მომიყვანა, როგორც ტყვე. მე ყოველთვის ცხენოსანს ჯარში ვმსახურობდი. ჩამრიცხეს მონებში, რომელნიც მეფის ცხენებს უვლიდენ. თავი ვისახელე და ექვსი კვირის შემდეგ საჯინიბოს ზედამხედველად დამნიშნეს. მამაშენი არც ერთს წამს არ დამვიწყებია სიკვდილიდამ დახსნის გულისათვის; ეხლა ჩემი რიგია მას სამაგიერო გადაუხადო.

– საქმე მამაჩემს შეეხება? მაშ დროით დროით, მითხარი.

– ეხლავე. კრეზს ტახტის მემკვიდრე ფსამეტიხისათვის ხომ არა უწყენინებია-რა?

– არ ვიცი.

– მამაშენი ამაღმდეგლს ღამეს ნაუკრატისში როდობისთან ატარებს?

– შენ საიღამ იცი?

– მე ეგ თვითონ იმისაგან გავიგონე, ამისათვის რომ ნავში მასთან ერთად ჩავჯექი, რომ ფეხქვეშ ჩავკარდნოდი.

– მერე აისრულე წადილი?

– დიაღ. მან რამდენიმე ალერსიანი სიტყვა მითხრა; მაგრამ დიდხანს ვერ დამიგლო ყური, რადგანაც მისი თანამგზავრნი უკვე გემში იხსდენ, როდესაც ის მოვიდა. მისმა ძველმა მონამ სანდონმა, რომელსაც მე ვიცნობ, საჩქაროდ მითხრა, რომ იგინი ნაუკრატისში მიდიან, ელინელ ქალ როდობისთან.

– მართალი უთქვამს.

– მაშ დროით უნდა დაიღსნათ იგი. როდესაც მოედანი საგსე იყო ხალხით, მაშინ ნაუკრატიში ჩუმად წავიდა რამდენიმე ათი ურემი და ორი ნავი ექიოპელების ჯვართ, რომ ღამე როდობის სახლს შემოერტყან და მისი სტუმრები ტყვედ დაიჭირონ.

– ღალატია? შეჰყვირა გიგესმა.

– მერე მათ რა საქმე აქვთ მამაშენთან? ჰკითხა დარიმ. მათ ხომ კარგად იციან, რომ კამბაზი ჯავრს ...

– მე არა ვიცი-რა, გაიმეორა ბუბარესმა: იმის მეტი, რომ როდობის სახლს, სადაც მამაშენიც არის, ექიოპელი ჯარი გარს უნდა შემოერტყას. მე თვით შევაბი ურემები და გაგიგონე, რომ ტახტის მემკვიდრის მესაიდუმლე ეუბნებოდა ასისთავს პენტარს შემდეგ სიტყვებს: კარგად გაახილე თვალები და უბძანე შემოერტყან როდობის სახლს იმისთვის, რომ იგი უკანა კარებიდამ არ გაიპაროს. ნუ მოჰკლავთ, თუ შეგიძლიანთ და მოჰკალით მხოლოდ მაშინ, როდესაც წინააღმდეგობა გაგიწიოთ. თუ რომ მას საისში ცოცხალს მოიყვანთ, მაშინ ოცს ოქროს ბეჭედს მიიღებთ.

– ნუთუ ეს მართლა მამაჩემს შეეხება?

– თავის ღღეშიაც არა! უთხრა დარიმ.

– არ ვიცი, წაილულულა ბუბარესმა: ამ ქვეყანაში ყველაფერი შეიძლება.

– რამდენს ხანში შეიძლება კარგის ცხენით კაცი ნაუკრატისში მივიდეს?

– სამს საათს, თუ ცხენმა კარგად იარა და ან ნილოსმა გზა ძალიან არ გააფუჭა.

– მე იქ ორს საათს მივალ!

– მეც შენთან წამოვალ, უთხრა დარიმ.

– არა, შენ აქ ზოპართან უნდა დარჩე ბარტიას დასაცველად. შენ ეტყვი, რომ მე მხიარულებაზედ ვერ დავესწრობი, რადგანაც თავი ან კბილი სტკივა-თქო; გესმის? მე ბარტიას ცხენით წავალ; შენ, ბუბარეს, დარის ცხენით უკან გამომყე; დროებით ხომ მათხოვებ ცხენს, დარი?

– მე რომ ათი ათასი ცხენი მყავდეს, სულ შენები იქნებოდენ.

– ბუბარეს, ნაუკრატის გზა ხომ იცი?

- როგორც ჩემი ორი თვალი!
- მაშ წადი, დარი, და უბრძანე, რომ შენი და ბარტიას ცხენები მოამზადონ! მოცდა შეუძლებელია! მშვიდობით, დარი, იქნება საუკუნოდ! ბარტიას დამცველი იყავ! მშვიდობით.

VIII

შუალამის ორი საათის წინად როდოპისის სახლი განათებული იყო და გაღებულის ფანჯრებიდამ მხიარულების ხმა მოისმოდა.

ამ დღეს როდოპისს კრეზის პატივისსაცემლად მდიდრული სადილი გაემართა.

ბალიშებზედ ისხდენ ყვაილის გვირგვინებით დართულნი ჩვენი ნაცნობნი სტუმარნი როდოპისისა: თევდორე, ივიკი, ჭანესი, არისტომახი, ვაჭარი ჭეპოპოპი და მრავალნი სხვანი.

– დიად, ეს ეგვიპტე, ამბობდა მოქანდაკე თევდორე, იმისთანა ქალსა ჰგავს, რომელსაც ოქროს მაშია აცვია და არ უნდა გაიხადოს, თუმცა ფეხში ძალიან უჭერს და გვერდიდაც მშვენიერი სანდლები უწყვია, რომელნიც შეიძლება ჩაიცვას და თავისუფლად იაროს.

– შენ მგონია იმას ამბობ, რომ ეგვიპტელნი თავიანთ ძველს ჩვეულებებს თავს ვერ ანებებენ, არა? ჰკითხა კრეზმა.

– რასაკვირველია, მიუგო მოქანდაკემ. ამ ორი საუკუნის წინად ეგვიპტე ხმელეთზედ პირველი ქვეყანა იყო. ეგვიპტელების ცოდნა და ხელოვნება ყველა სხვა ქვეყნების ცოდნას და ხელოვნებას აღემატებოდა. ჩვენ ვბაძავდით მათ, უფრო ვაუმჯობესებდით და წარმატებაში მიგვყავდა, ამისთვისაც ოსტატნი შეგირდებეს უკან ჩამოგვრჩენ. რისგან მოხდა ეს? იმისგან, რომ მათს მსწავლულებს კანონები ერთხელ მიღებულის ჩვეულების შეცვლას უკრძალავდენ, რის გამოც მათი ხელოვნება ერთს წერტილზედ უნდა მდგარიყო; ჩვენ კი ვაუმჯობესებდით ყოველისფერს და წარმატებაში მივდიოდით.

– მერე რას ამბობს ამაზისი მაგ შენს შენიშვნებზედ?

– სწუხს, მაგრამ იმოდენა გამბედაობა არა აქვს, რომ ქურუმებისაგან დადგენილი დამაბრკოლებელი კანონები გამოსცვალოს.

– მან მაინც, სთქვა დელჩიელმა, ბევრი ფული გადასდო ჩვენი ახალი ტაძრის გასამშვენებლად „იმისთვის, რომ წააქეზოს ელინური ხელოვნება“, როგორც მან თვითონა სთქვა.

– ეგ იმის მხრით ძალიან კარგია, უთხრა კრეზმა, მალე შეაგროვებენ ალკმეონიდები იმ ოცდაათს ტალანტს, რომელიც ტაძრის დასასრულებლად არის საჭირო? მე რომ ძველებურად ბედნიერი ვიყო, დიდის კმაყოფილებით მივიღებდი ჩემს თავზედ ყოველსავე ხარჯს, თუმცა შენმა მოღალატე ღმერთმა არ შეხედა ჩემგან მირთმეულს საჩუქრებს და საშინლად მომატყუა. როდესაც ვუბრძანე ეკითხათ მისთვის, დამეწყო ომი კირის წინააღმდეგ თუ არა, მან მომიგო, რომ მე გავანადგურებ დიდს სამეფოს, თუ რომ მდინარე ჰალისს გადავალ. მე დაუუჯერე ღმერთს. მისის ბრძანებით სპარტანელებს დავუმეგობრდი და, როდესაც სამზღვრის მდინარეზედ გადავედი, მართლაც გავანადგურე დიდი სამეფო; მაგრამ ეს მიდო-სპარსეთის სამეფო კი არ იყო, თვით ჩემი საკუთარი საწყალი ლიდია იყო, რომელიც ეხლა ძლივს ეჩვევა სხვის მორჩილებას.

– შენ უსამართლოდ ჰკიცხავ ღმერთსა, მიუგო ძრიქსმა, რადგანაც იგი დამნაშავე არ არის, რომ შენ კარგად ვერ განმარტე მისი წინასწარმეტყველება. „სპარსეთის სამეფოზედ“ ხომ არაფერი იყო ნათქვამი, იხსენებოდა მხოლოდ „სამეფო“, რომელიც დაინგროდა შენის ომიანობის ყინისა გამო. რატომ არა ჰკითხე ღმერთს, რომელს სამეფოზედ ამბობდა? ამას გარდა, განა შენ ნამდვილად არ გიწინასწარმეტყველა შენი შვილის ბედი, განა წინააღვე არ გაგაგებინა, რომ უბედურების დროს შენი შვილი კვალად დაიწყებდა ლაპარაკს? ღმერთმა ისიც კი გაგაგებინა, რომ შენ უსათუოდ დაილუპებოდი.

– შენი სიტყვები, – გააწყვეტინა კრეზმა ლაპარაკი, – უბედურების დროს უფრო საჭირონი იყვნენ, სინამ ეხლა. იყო წამი, როდესაც წყველა-შეჩვენებას ვაძლევდი შენს ღმერთსაც და მის წინასწარმეტყველებასაც; მაგრამ როდესაც სამეფოსთან ერთად პირად მაქებარნიც დაგკარგე და ჩემი საქციელის განსჯა ვისწავ-

ლე, მივხვდი, რომ აპოლონისაგან კი არა, ჩემის ზვაგი გულისაგან დავიღუპე. „სამეფო“, რომელიც უნდა დაღუპულიყო, მაშინდელის ჩემის ფიქრით, რასაკვირველია ჩემი სამეფო არ იქნებოდა, – ეს ძლიერი სამეფო ძრიელის კრეზისა, ღმერთების მეგობრისა, სარდლისა, რომელიც იმ დრომდის არც ერთხელ არ დამარცხებულა. ჩემთვის რომ რომელსამე მეგობარს დაენახვებინა ეს ორაზროვანი წინასწარმეტყველება, მე მას დავცინებდი და იქნება კიდევ დამესაჯა. როგორც ცხენი წიხლებს ესვრის ექიმს, რომელიც მას წყლულებს უსინჯავს მოსარჩენად, ისე მტარვალის სცემს პირში მთქმელს გულკეთილს მეგობარს, რომელიც მისი სულის იარებს შეეხება. გულზვაგობა გვიბრმავეებს თვალებს, რომელნიც იმისთვის გვაქვს მოცემულნი, რომ ყოველისფერი კარგად დავინახოთ და აძლიერებს გულისთქმას, რომლისათვისაც გული ყოველთვის ღიაა, როდესაც იმედია სარგებლობისა და დახურული, როდესაც რისამე დაკარგვა და უბედურება მოგველის. ეხლა, როდესაც მე ყოველისფერს ნათლად ვხედავ და როდესაც დასაკარგი აღარა მაქვს-რა, უფრო ხშირად მეშინიან, სინამ მაშინ, როდესაც ჩემზედ ბევრს არავინ დაჰკარგავდა. წინანდელ დროსთან შედარებით, ბრექს, ღარიბი ვარ, მაგრამ კამბიზი ნებას მაძლევს განვლო ჩემი ცხოვრების გზა მეფურად და შემძლიან შემოვწირო თქვენს შენობას ერთი ტალანტი.

ფრიქსმა მაღლობა გადაუნადა, ჭანესმა კი უთხრა:

– ალკმონიდები მშვენიერს შენობას ააგებენ, რადგანაც ივინი პატივის მოყვარულნი და მდიდრები არიან. ამასთანავე მათ უნდათ ამნიკტიონების გული მოიგონ, რომ მათის შემწეობით მტარვალები გადმოაგდონ, ჩემს გვარეულობაზე მაღლა დადგენ და სახელმწიფოს მმართველობა ხელში ჩაიგდონ.

– ამბობენ, კრეზო, რომ შენ ხელს უწყობდი ამ გვარს გამდიდრებას, უთხრა ივიკმა.

– რასაკვირველია, – გაიცინა კრეზმა.

– აბა გვიამბე საქმე როგორც იყო, უთხრა როდოპისმა.

– ალკემონ ათინელი ერთხელ ჩემს სახლში მოვიდა. ეს მხიარული, მშვენივრად განათლებული კაცი ისე მომეწონა, რომ იგი დიდხანს დავიჭირე ჩემთან. ერთხელ მე მას ვუჩვენე ჩემი

სარდაფები საუნჯით სავსენი და მათს დანახვაზედ საშინელს განწირულებაში ჩავარდა. იგი თავის თავს ღარობ-ღატაკს ეძახოდა და ამბობდა, რომ ბედნიერი მაშინ ვიქნებოდით, როდესაც ნება მექნებოდა აქედამ ერთი მუჭა საუნჯის წაღებისაო. მაშინ მე მას ნება მივეცი იმდენი ოქრო წაეღო, რამდენის მორევაც კი შეეძლო. რა ქნა ალკემონმა? მან ჩაიცვა მაღალყელიანი ლიდიური წაღები და ზურგზედ გოღორი წამოიკიდა. ყოველისფერი ოქროთი აივსო, უბეებიც და წალის ყელეებიც გაიტენა ოქროს მანათებით, თმასა და წვერში ოქროს ქვიშა ჩაიყარა, ასე გასინჯეთ პირიც კი ოქროთი გამოიტენა და ისე გაებერა ლოყები, რომ გეგონებოდა ღიღი ბოლოკი უძევს პირშიაო. ბოლოს ხელში ოქროს სინები დაიჭირა და წამოვიდა კარებისკენ. კარებთან რომ მივიდა დაეცა და მე თავის ღღეში ისე გულიანად არ მიცინია, როგორც იმ დღეს.

– და შენც მიეცი ის საუნჯე?

– რასაკვირველია; არცა ვნანობდი, რომ ამდენი მივეცი, რადგანაც მინდოდა დავრწმუნებულიყავ, რომ ოქრო ჭკვიანსაც გაასულელებს ხოლმე.

– შენ ყველა ძეგვებზედ გულუხვი იყავ, უთხრა ჭანესმა.

– ეხლა ყველაზედ ღარიბი ვარ და ჩემის ბედის არა მომდუღავი. მაგრამ ძრიქს, მითხარ ამაზისმა რამდენი მოგცა?

– ათასი ცენტნერი.

– ჩემის აზრით ეგ მეფური საჩუქარია.

– ტახტის მემკვიდრემ?

– როდესაც მასთან მივედი და შევაქე მისი მამის გულუხვობა, მან მწარედ გაიცინა, ზურგი შემომამქცია და მითხრა: „თუ რომ თქვენის ტაძრის დასაქცევად მოაგროვებ, მაშინ იმაზედ ერთი ორად მეტს მოგცემთ, რაც ამაზისმა მოგცათ“.

– საზიზღარია!

– უმჯობესია სოქვა: ნამდვილი ეგვიპტელია. ფსამეტისს ყოველისფერი სძულს, რაც იმის ქვეყნისა არ არის.

– რამდენი შემოსწირეს ნაუკრატის მცხოვრებმა ელინელებმა?

– პატროსანის კაცების მდიდრული შემოწირულების გარდა, ყოველმა საზოგადოებამ ოც-ოცი მინი შემოსწირა.

– ბევრია.

– მარტო ფილონიმა სიბარიელმა ათასი დრახმი გამომიგზავნა საკვირველის წერილით. შემოდლიან ეს წერილი წავიკითხო, როდობის?

– რატომ არა, – მიუგო როდობისმა. – ამ წერილიდამ თქვენ დაინახავთ, რომ გარყვნილი ნანობს თავის დანაშაულს ამ უკანასკნელს დროს.

დელფიელმა ამოიღო ჯიბიდან წერილი და დაიწყო კითხვა:

„ფილონი აბარებს უთხრას ფრიქს: „ძალიანა ვწუხარ, რომ უკანასკნელს დროს აღარ მისვამს როდობისის სახლში: მე რომ დამელია, ისე დავლემდი, რომ ყოველსავე ცნობას დავკარგავდი და მაშინ ბუზის შეურაცხებასაც კი ვეღარ შევიძლებდი. ჩემი ზომიერებაა დამნაშავე იმაში, რომ ამას იქით აღარ შემოდლიან დავსტკებე სადილით, რომელიც მთელს ეგვიპტეში გათქმულია.

„მე მადლობელი ვარ როდობისისა იმისთვისაც, რითაც ვისიამოვნე და მშვენიერი მოხრაკულების მოსაგონებლად, რისთვისაც განვიზრახე ვიყოლიო მზარეულად ფრაკიანელი ქალი, რა ფასადაც უნდა დამიჯდეს; გიგზავნი თორმეტს დიდს შამფურს. ივინი შევიძლიან შეინახო დელფიის რომელსამე განძეულთა საცავში, როგორც როდობისის საჩუქარი. მე, როგორც მდიდარი, ვსწირავ ათას დრახმას. ეს საჩუქარი საჯაროდ უნდა გამოცხადდეს პიჭიის დიდი თამაშობების დროს.

„მოღრუბლულს სპარტანელს არისტომანს მოკითხვა გადაეცა ჩემს მაგიერად. მან მომიმართა ხელი მივლწეოლი საგანს ჩემის მოგზაურობისას ეგვიპტეში. მე აქ იმისთვის მოვედი, რომ ამომელებინა კბილი იმ ექიმისათვის, რომელიც თურმე ადვილად იღებს ნატკენ კბილებს. არისტომანმა მუშტის შემოკვრით ნატკენი ყბა დამიამა, ასე რომ ექიმს აღარ მივმართე; შინ რომ დავბრუნდი, პირში სამი ჩავარდნილი კბილი ვიპოვე: ერთი ჭიანჭაში და ორიც სალი, რომელნიც, ერთხელაც არის, ძალიან ამტკივებოდენ.

„ჩემს მაგიერად მიესალმა როდობისს და ჭანეს; შენ კი ამ დღიდგან ერთი წლის შემდეგ გთხოვ, ჩემს სახლში მეწვიო სიბარისში.

„ამ წერილს ვაწერინებ მეორე ოთახში ჩემს ნასწავლს მონას სოფოტატს, ამისათვის, რომ წერის დანახვაზედ თითების კანკალი მამდის”.

ყველა სტუმრებმა მაღალის ხმით გაიხარხარეს, როდოპისმა კი სთქვა:

– მე ამ წერილმა მასიამოვნა, რადგანაც აქედამ ვხედავ, რომ ფილონი ცუდი კაცი არა ყოფილა. რაკი სიბარიულად იყო აღზრდილი...

– უკაცრავად, ბატონებო, თუ მე თქვენ შეგაწუხებთ და შენც, ღირსეულო ელინელო ქალო, დაუპატიჟებლად სახლში შემოსვლით.

ამ სიტყვებით გააწყვეტინა მოლხინეთ საუბარი მასპინძლისათვის უცნობმა კაცმა, რომელიც შეუმჩნევლად პურის საჭმელს ოთახში შემოვიდა.

– მე გიგესი ვარ, კრეზის შვილი და ამ ორი საათის წინად იმისთვის წამოვედი საიხილამ, რომ თავის დროზედ მოვსულიყავ.

– მენონ, ბალიში მოართვი ჩვენს ახალს სტუმარს! დაუძახა როდოპისმა. – შენ სიხარულით გეგებები; შემდეგ ჩქარის ლიდოურის სიარულისა გთხოვთ დაისვენოთ.

– გეფიცებით ძაღლს, გიგეს, უთხრა კრეზმა და ჩამოართვა თავის შვილს ხელი: – მე ვერ მივმხდარვარ ასე ადრე რამ მოგიყვანა აქა. მე შენ გთხოვე ბარტიასათვის მარტო არ დაგენებებინა თავი, რადგანაც მე მყავს ჩაბარებული და შენ კი მინც... მაგრამ რა დაგმართვია? ხომ არაფერი მომხდარა? უბედურება ხომ არ არის? სთქვი, ძაღლე სთქვი!

პირველად გიგესმა ერთი სიტყვაც ვერ მიუგო თავის მამას. როდესაც მან დაინახა, რომ თავის საყვარელი კაცი, რომლისთვისაც შიშობდა, უვნებლად და მხიარულად იჯდა სუფრაზედ, მაშინ გეგონებოდა იგი მეორედ დამუწვდაო. ბოლოს მან ენა ამოიღდა და სთქვა:

– დიდება ღმერთებს, მამაჩემო, რომ კვალად უვნებლად და კარგად გხედავ! არ გეგონოს, რომ ბარტიასათვის თავი ჩემის ნებით დამენებებინოს. მე იძულებული ვიყავ დაუპატიჟებლად შემოვსულიყავ ამ სახლში. თქვენ ყველამ იცოდეთ – მე ტყუი-

ლად დროს არ დაგკარგავ, – რომ ღალატი და უეცრად თავზედ დასხმა მოგეღიო.

ყველანი ფეხზედ წამოდგნენ. სპარტანელმა ხმაღს გაიკრა ხელი, ჭანესმა კი ხელი გაიშვირა, თითქოს უნდოდა გაესინჯა, კიდევ ჰქონდა ძველებური ძალა, თუ არა.

– ეს რას ნიშნავს? რა უნდათ ჩვენგან? კითხულობდენ ყველანი.

– ეს სახლი ეფიოპელის მხედრებით არის გარშემორტყმული – უთხრა გიგესმა. ერთმა სარწმუნო კაცმა შემატყობინა, რომ ტახტის მემკვიდრემ ბრძანა ერთი თქვენგანი ხელშეკრული წაიყვანონ და კიდევ მოჰკლან, თუ რომ იგი გადალუანდება. მე შენი მეშინოდა, მამა, და აქ წამოვედი. იმ კაცს, რომელმაც მე ეს მითხრა, არ მოვუტყუებუივარ. ეს სახლი გარშემორტყმულია. როდესაც შენი ბაღის კარებამღის მოვედი, როდოპის, ჩემი ცხენი, თუმცა დაღლილი იყო, მაინც გვერდზედ გახტა. მე გადმოვხტი ცხენიდან და ყველა ბუჩქის ძირას დავინახე მხედარნი, რომელთა იარაღი და თვალები მთვარის შუქზედ ბრწყინავდენ. მათ ბაღში შემოსვლის ნება მოგვცეს.

– საყურადღებო ამბავი მაქვს! შემოვარდა კნაკიასი ოთახში და გიგესს ლაპარაკი გააწყვეტინა. აი სწორედ ეხლა, როდესაც მე ნილოსთან მივედი და წყალი მიხდ[ოდ]ა ამომელო, წინ ვიღაც კაცი გადმომიდგა და კინაღამ არ წამაქცია. მე მაშინვე ვიცანი იგი. ეს იყო ეფიოპი, ჭანესის ნავის მომსმელი, რომელმაც საჩქაროდ მითხრა, რომ, როდესაც იგი საბანაველად წავიდა, ნილოსში ჩახტა, ჭანესის ნავთან მოვიდა მეფის ნავი და ერთმა მხედარმა ჰკითხა ნავზედ მყოფს კაცს: ვის ემსახურებითო. „ჭანესსაო“, უთხრა მენავემ. მეფის ნავი წყნარად განშორდა და თითქოს შენს ნავს მცირე ყურადღებას აქცევდა, ჭანეს; მობანავე მენავე ხუმრობით სხვა ნავზედ ასულიყო და იქ გაეგონა, რომ ერთმა ეფიოპელმა მხედარმა მეორეს დაუყვირა: „თვალს ნუ მოაშორებ მაგ ნავს; ჩვენ ეხლა კი ვიცით, სადაც აქვს ჩიტს ბუდე; მისი დაჭერა ეხლა ადვილია. გახსოვდეს, რომ ფსამეტიხმა ოცი ბეჭედი აღგვითქვა და რომ ჩვენ საისში ათინელს ცოცხალს ან მკვდარს მივიტანთ“. აი, რა თქვა მენავე ზებეკმა, რომელიც შვიდი

წელიწადია გემსახურება, ჭანეს.

ათინელმა ღიდის გულღამშვიდებით მოისმინა გიგესისა და მონის ლაპარაკი.

როდობისი შეკრთა. არისტომახმა შეჰყვირა:

– ჩვენ ნებას არ მივცემთ შენს თავზედ ბუზის აფრენისასაც, თუგინდ რომ მთელი ეგვიპტის განადგურება მოგვინდეს!

კრეზი სიფრთხილეს ურჩევდა; ყველა სტუმრები აღელდნენ.

ბოლოს ჭანესმა დაიწყო ლაპარაკი და სთქვა:

– არასდროს მოფიქრება ისე საჭირო არ არის, როგორც განსაცდელის დროს. მე ყოველივე მოვიფიქრე და ვხედავ, რომ ჩემი გადარჩენა არ შეიძლება; ეგვიპტელნი ეცდებიან უდავი-დარაბოდ ხელში ჩამივლონ. იმათ იციან, რომ ხვალ განთიადისას ნაუკრატიისიდან სიგეუმამდის გემით მივდივარ და, მაშასადამე, იგინი ისარგებლებენ ამ დროით, თუ რომ ჩემი დაჭერა უნდათ. მთლად შენს ბაღს, როდობის, გარშემო ჯარი არტყია. მე რომ შენთან დავრჩე, მაშინ ჭოკიელს გემსაც, რომლითაც მე ჩემს სახლობაში უნდა წავიდე, რასაკვირველია, თვალს არ მოაშორებენ. ჩემის გულისათვის არც ერთი წვეთი სისხლი არ უნდა დაიღ-ვაროს.

– შენ არ უნდა დანებდე! უთხრა არისტომახმა.

– მე მოვიგონე, მოვიგონე! შეჰყვირა უეცრად ჭოპემპმა, მი-ლეეთელმა ვაჭარმა. ხვალ მზის ამოსვლისას, ჩემგან დაქირავებუ-ლი გემი მიდის ეგვიპტურის პურით დატვირთული, მხოლოდ ნაუკრატიისიდან კი არა, კანპიდამ მიდის მილეთში. შეჯექე კეთილ-შობილი სპარსელის ცხენზედ და იქით გაიქეცი; ჩვენ ძალით გავიკვლევთ გზას.

– ჩვენ უიარაღონი ვერაფერს გავაწყობთ იარაღიანებთან, სთქვა გიგესმა. – ჩვენ ათნი ვართ, რომელთაგანს მხოლოდ სამსა აქვს ხმალი, მხედრები კი, რომელნიც ასამდის უნდა იყვნენ, თავით ფეხებამდის შეიარაღებულნი არიან.

– შენ, ლიდიელო, ათჯერ უფრო რომ მხდალი იყო და ორასამდის კაციც გვერტყას გარს, მე მაინც შევებმები მათ, შეჰყვირა არის-ტომახმა.

ჭანესმა ხელი ჩამოართვა თავის მეგობარს. გიგესი გაყვითლ-

და. გამოცდილმა გმირმა მას მხდალობა შესწამა. მან სიტყვის თქმაც ვეღარ მოახერხა თავის თავის დასაცველად. იგი როგორც კი ძალიან აღელდებოდა, ყველთვის ენა უვარდებოდა. უეცრად ლოყები გაუწითლდენ და შეჰყვირა:

– გამომყევ, ათინელო, რომელსაც ჩვეულებათა გაქვს წინად მოფიქრება და მერე ლაპარაკი, მხდლებს ნუ დაუძახებ მათ, რომელთაც არ იცნობ. მეგობრებო, ჭანესი, გადარჩა. მშვიდობით, მამავ!

დანარჩენები გაკვირვებით უყურებდენ მიმავალს ვაჟკაცებს. მათ მალე მოესმათ გაქცეული კაცების ცხენთა ფეხის ხმა; რამდენიმე ხნის შემდეგ ნილოსის ნაპირიდან სტვენისა და ძახილის ხმა მოდიოდა.

– კნაკიასი სად არის? ჰკითხა როდოპისმა ერთს თავის მონათაგანს.

– იგი ჭანესთან და სპარსელთან ერთად ბაღში წავიდა.

ამ დროს სახლში შემოვიდა გაყვითლებული და მკრთოლვარე მოსამსახურე.

– შენ ჩემი შვილი ნახე? ჰკითხა მას კრეზმა.

– ჭანესი სად არის?

– ორივემ მთხოვეს მათს მაგიერად მადლობა მოგახსენოთ.

– მაშ იგინი წასულან? როგორ მოახერხეს გაქცევა? საითკენ გაიქცნენ?

– აქ, ამ ოთახში, უამბობდა მონა, – ათინელმა და სპარსელმა ერთმანეთში მოილაპარაკეს. შემდეგ მათ ორივეს ტანისამოსი გავზადე. ჭანესმა სპარსელის ტანისამოსი ჩაიცვა და სპარსელმა ჭანესისა, სპარსელმა თმები ოდნავ შეიკრიჭა და მიბრძანა ბაღში გავყოლოდი.

– ჭანესი, რომელიც ნამდვილს სპარსელს ჰგავდა, მოახტა კარებთან მდგომს ერთს ცხენთაგანს, სპარსელი დიდ ხანს უძახოდა: „მშვიდობით გიგეს, მშვიდობით, საყვარელო სპარსელო! მშვიდობით მოგზაურობა მოგცეს, გიგეს!“ კარებში ერთი მოსამსახურე იდგა, რომელიც მას თან გაჰყვა. ყველა ბუჩქის იქით იარაღის ჩხარაჩხური ისმოდა, მაგრამ ათინელს გზაში არავინ გადაელობა. დამალულს ჯვარს იგი სწორედ ნამდვილი სპარსელი ეგონა.

– როდესაც ჩვენ ისევ სახლში მოვედით, სპარსელმა მითხრა: „ეხლა წამიყვანე ჭანესის ნავთან და არ დაგაოწმებდე ყოველთვის ათინელი დამიძახო“. – „მენავენი ადვილად გაიგებენ შენს ვინაობას“ უთხარი მე. – მაშ პირველად შენ წადი მენავებთან და უთხარი მათ, რომ ისე მიმიღონ, როგორც ჭანესი, მათი ბატონი“.

– მე ვთხოვე მას, ნება მოეცა ჭანესის ტანისამოსი ჩამეცვა, რომ მე დავეჭირეთ და არა ისა. მან ცივი უარი მითხრა და მართლაცა სთქვა, რომ მე ერთის შეხედვით მიცნობდენ. რადგანაც ბატონური შესახედაობა არა მქონდა. ასე იქნება საუკუნოდ, რადგანაც ჩვენი შვილები თავიანთ მამებს უნდა ჰგავდნენ; მყრალი ნიორი თავის დღეში ვარდს არ მოიბამს და მწარე ბოლოკი – იასამანს. მონას სამსახური წელში ჰკაკვავს, ბატონს კი თავისუფლება ტანს უმატებს.

– მერე რა მოუვიდა ჩემს შვილს? შეჰყვირა კრეზმა და მონას ლაპარაკი გააწყვეტინა.

– მან არ მიიღო ჩემი თხოვნა და ჩაჯდა ნავში და თქვენთან, მეფეო, ბევრი სალაში დამაბარა. მე იმას დავუძახე „კარგად იყავ, ჭანეს, მშვიდობით მგზავრობა მოგცეს, ჭანეს! მთვარეს ღრუბელი გადაეფარა; ძალიან დაბნელდა. უეცრივ შემომესმა შველის ძახილი; მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელებულა; შემდეგ მოისმა სტვენა და მერე კი აღარაფრის ხმაურობა არ ისმოდა. მე ის იყო შინ უნდა დავბრუნებულიყავ და მეამბნა თქვენთვის ყოველისფერი, მაგრამ ამ დროს მოვიდა მენავე ზებეკი, რომელიც ნაპირამდის ცურვით გამოსულიყო. აი, მან რა მიაბო: ეგვიპტელებს ჭანესის ნავის ძირი გაეხვრიტათ. როდესაც შუა წყლამდის მისულიყო, დაძირვა დაეწყო. მენავენი შველას თხოულობდენ. მაშინ მიახლოვებოდა მეფის გემი, რომელიც შორიახლო მისდევდა, აეყვანათ ტყუილი ჭანესი, ვითომდა დახრჩობისაგან დასახსნელად და ათინელის მენავეთათვის კი თავი დაენებებინათ. სუყველანი დამხრჩვალყენენ, მხოლოდ გამბედავი მოცურავი ზებეკი გადარჩენილიყო; გიგესი ეხლა მეფის გემზეა; ჭანესმა კი თავს უშველა. შინ რომ მოვდიოდი გზაზედ ბუჩქების უკან არც ერთი მხედარი აღარ მინახავს, მხოლოდ საისის გზაზედ კი მხედრების ხმაურობა მოისმოდა.

როდოპისის სტუმრები სულგანაბულნი უგდებდნენ ყურს მონის ლაპარაკს.

როდესაც მან ლაპარაკი გაათავა, სტუმრების გულის მდგომარეობა სხვადასხვანაირი იყო. ყველას კი ის უხაროდა, რომ საყვარელი კაცი გადარჩა განსაცდელს; მაგრამ გამბედავის ლიდელისთვისაც სწუხდნენ. აქებდნენ მის საქციელს; ბედნიერებას ნატრობდნენ მამისათვის, რომელსაც ასეთი შვილი ჰყავდა. ყველანი იმ აზრისანი იყვნენ, რომ ტახტის მემკვიდრე, როგორც კი გაიგებდა თავის კაცების შეცდომას, არამც თუ გაანთავისუფლებდა გიგესს, არამედ იძულებული იქნებოდა დიდი ბოდიში მოეხადნა. ამის შემდეგ კრები მალე წავიდა როდოპისის სახლიდამ, რომ ღამე მიღეთელ ვაჭარ ჭეობომპთან გაეტარებინა.

– ჩემს მაგივრად მოიკითხეთ გიგესი! უთხრა არისტომახმა, როცა როდოპისის სახლიდამ მიდიოდა. გთხოვთ ბოდიში მამხადლოთ მასთან და უთხრათ, რომ მე მისი მეგობრობა მინდა და თუ ეს არ შეიძლება, მაშინ შევხვდები მას ბრძოლის ველზედ, როგორც პატიოსანი მტერი.

– ვინ იცის, რა მოელოთ მათ შემდეგში! მიუგო კრეზმა და ხელი ჩამოართვა სპარტანელს.

IX

ახალი დღის ბრწყინვალე მზე ამოვიდა ეგვიპტის თავზედ. ღამის უხვი ნამი ხის ფოთლებსა და ყვავილებზედ მარგალიტისავით ბრწყინავდა; ჯერ მზე მაღლა არ ამოსულიყო, და დღის ჰაერი, მღელვარე ჩრდილოეთი დასავლეთის გრილის ქარით, სინამ საშინელი სიცხე-პაპანაქება დადგებოდა, გარედ იწვევდა კაცის გულს.

ჩვენის ნაცნობის სახლიდამ ორი ქალი გამოვიდა: მილეტა და საფო, როდოპისის ქალის შვილი.

ცქრიალით დარბოდა და დახტოდა ბაღში მშვენიერი ქალი. იგი ეხლაც, როგორც მაშინ, როდესაც მძინარე ვნახეთ, მომხიბლავი და გულის დამტყვევებელი იყო; ცბიერი გამომეტყველება

ეტყობოდა მის ვარდისფერს ტუჩებს და ლოყებს. ხშირი წაბლისფერი თმა ბალდადის გარედამ უჩანდა და დილის სუბუქს თეთრს ტანისამოს განიერის სახლებით ქარი უფრიალებდა.

მან დაიხარა, კოკორი ვარდი მოგლიჯა მაზედ მკრთოლვარე ნამი თავის მოსამსახურეს მiasხა, თავის ხუმრობაზედ ხმამაღლა გაიცინა, ვარდი გულზედ დაიმაგრა და ტკბილის და ნაზის ხმით დაიწყო სიმღერა:

ეროსი ჰკრეფდა ყვავილსა:
უცბად მოფრინდა ფუტკარი
და ჩუმად იმა ყმაწვილსა
ხელში ჩაურჭო ნესტარი.

ეროსი შეერთა, შეძრწუნდა,
იწყო ძახილი, ყვირილი
და თვის დედასთან წავიდა –
შესჩვილოს გულისტკივილი.

„დედაო, დედავ, მიშველე
მე უბედურსა, ბედკრულსა,
წყეულმა გველმა მიკბინა,
დახე ხელს გასიკვებულსა.

ნუ, ნუ სტირი, პატარავ,
ეგ გვლის ნაკბენი არ არი,
სჩანს მოგეპარა ფუტკარი
და მან ჩაგირჭო ნესტარი.*)

ეს ლექსი ამ სიტყვებით თავდება:

შვილო შენ რომ ფუტკრის კბენით
იგრძენ აგრეთი ტკივილი,
მაშ რაღა ჰქნას, ვინც რომ შენის
ემხით არის დაკოდილი?

– განა კარგია ჩემი სიმღერა? მაგრამ რა სულელია ეროსი: ფუტკარი ფრთებიანი მცურავი ეგონა! დიდედამ მითხრა, რომ მან ამ ლექსისა ერთი ხანა კიდევ იცის, რომელიც დიდის პოეტის ანაკრეონისაგან არის შეთხზული; მაგრამ მას არ უნდა ეს ხანა მასწავლოს; მითხარ, მელიტა, რა სწერია იმ ხანაში? – გეცინება? საყვარელო, სასურველო მელიტავ, მიმღერე ის ხანა! ან იქნება არ იცი? არა? რასაკვირველია, ვერც მასწავლი იმ ხმას.

– ეგ სულ ახალი ლექსია, მიუგო მოხუცებულმა, რაკი არ უნდოდა საფოს თხოვნა შეესრულებინა, – მე მხოლოდ ძველი დროის ლექსები ვიცი. მაგრამ ეს რა არის? არ გესმის, კარებს ვილაც არახუნებს.

– მესმის, ამასთანავე ქუჩილამ ცხენის ფეხის ხმაც მომესმა. კიდევ არახუნებენ! ნახე ერთი, ასე აღრიანად ვინ არახუნებს. იქნება კეთილი ჭანესი გუშინ არ წავიდა და უნდა ერთხელ კიდევ გამოგვეთხოვოს.

– ჭანესი წავიდა, უთხრა დაბეჯითებით მოხუცებულმა. როდოპისმა მიბრძანა სახლში წავიყვანო, რამწამს ვისიმეს მოსვლას გაავიგებ... წადი, ქალო, რომ კარები გაუღო. წადი, აგერ კიდევ არახუნებს!

საძო თითქოს შინისკენ გაიქცა, მაგრამ მან არ გაუგონა თავის გადიას და ვარდის ბუჩქებს მოეფარა, რომ იქილამ დაენახა ასე აღრიანად მოსული სტუმარი. რომ არ შეეშფოთებინათ იგი, მას დაუძალეს გუშინდელი შემთხვევა. საძო ჩვეული იყო ასე აღრიანად თავის დიდედასთან გულითადი მეგობრების ნახვას.

მელიტამ გააღო ბალის კარები და შემოიყვანა ქერათმიანი, მდიდრულად მორთული ყმაწვილი კაცი.

საძო, გაკვირვებული უცხო ქვეყნის ტანისამოსით და სპარსეთის მეფის შვილის სილამაზით, ადგილიდამ არ იძროდა და მის სახეს თვალებს არ ამორებდა. ამისთანა მშვენიერის სახით საძო იდგენდა მხოლოდ მზის ეტლის გამგებელს და მუხათა წინამძღოლს აპოლონს.

მელიტა და უცხოქვეყნელი მივიდნენ იმ ვარდის ბუჩქებთან, სადაც საძო იყო დამალული; მან ვარდებიდამ გამოჰყო თავი უცხოქვეყნელის დასანახად, რომელიც მეგობრულად ელაპარაკე-

ბოდა მელიტას ბერძნულს ენაზედ.

საქომ გაიგო, რომ ჭაბუკი კრეზსა და იმის შვილს კითხულობდა. საქომ მხოლოდ ეხლა გაიგო მათის ლაპარაკიდან გუშინდელი ამბავი. იგი თრთოდა ჭანესის გამო და გულში ლოცავდა დიდსულოვანს გიგესს; მას უნდოდა გაეგო, ვინ იყო ის მეფურად ჩაცმული ყმაწვილი. თუმცა როდოპისი ხშირად უამბობდა ხოლმე სპარსეთის ძლიერებასა და სიმდიდრეზედ, მაგრამ დღევანდლამდის აზიელებს იგი უზღელ და ველურ ერად სთვლიდა. ეხლა რამდენსაც უყურებდა მშვენიერს ბარტიას, იმდენი უფრო თანაგრძნობა უცხოველდებოდა სპარსელებისადმი. როდესაც მელიტა წავიდა როდოპისის გასალვიძებლად, რომ ბარტიას მოსვლა შეეტყობინებინა, საქოსაც უნდოდა წასულიყო, მაგრამ ეშმაკმა ეროსმა, რომლის ბავშურს ქცევაზედ ამ რამდენიმე წამის წინად იცინოდა, არ მისცა წასვლის ნება. საქოს ტანისამოსზედ ვარდის ეკლები გამოედო, და სინამ იგი მათ მოიცილებდა, მშვენიერი სპარსელი უკვე იდგა მის წინაშე და გაწითლებულს ქალს შველოდა ეკლებისაგან თავის დაღსნას.

საქომ ვერც ერთი სიტყვით ვერ შეიძლო მადლობის გადახდა და მორცხვად ძირს დაიხარა თავი.

ბარტია, სხვა დროს გამბედავი ყმაწვილი, ეხლა ხმაამოუღებლად იდგა და ისევე გაწითლებული იყო, როგორც საქო.

ასე ჩუმად ყოფნა დიდხანს არ გაგრძელდა. ქალს მალე გადაუარა შიშმა და ყმაწვილურის სიწრფელით გაიცინა მდუმარედ მყოფს ბარტიაზედ და გაიქცა შინისაკენ, როგორც შეშინებული მშველი.

სპარსელიც ჩვეულებრივ გათამამდა. ორის გადახტომით დაეწია ქალს, სწრაფად დაუჭირა ხელი და თუმცა ძალიან უძალუანდებოდა, მაგრამ მაინც არ გაუშვა.

– გამიშვი! სთხოვდა საქო, თითქო ხუმრობით, თითქო უხუმრად და თან შავის თვალებით უყურებდა ბარტიას.

– არ შეიძლება! მიუგო მან. მე შენ გაგანთავისუფლე ეკლებსაგან და იქამდის არ გაგიშვებ, სინამ შენს მაგივრად არ მამცემ გულზედ დამალულს შენს დას, რომ იგი სახსოვრად მქონდეს ჩემს შორეულს სამშობლოში.

– გთხოვ გამიშვა! განუმეორა საწომ. სინამ არ გამიშვებ მე შენ ლაპარაკს არ დაგიწყებ.

– მერე არ გაიქცევი, შენი თხოვნა რომ ავასრულო?

– რასაკვირველია, არა.

– მაშ მე შენ განთავისუფლებ და შენ ამის მაგივრად შენი ვარდი უნდა მომცე!

– აგერ, აიმ ბუჩქს, ამაზედ უფრო კარგი ვარდები ასხია. რომელიც გინდა მოგლიჯე; უსათუოდ ეს ვარდი რად გინდა?

– რომ ვიქონიო იგი მშვენიერი ქალის სახსოვრად, რომლისთანაც მე იშვიათად მინახავს.

– მაშ მე შენ სრულიად არ მოგცემ ვარდსა, – ამისთვის რომ ვინც მე მშვენიერს მეძახის, იმას ცუდი განზრახვა აქვს; ვინც ამბობს რომ მე კარგი ქალი ვარ, მას ჩემთვის სიკეთე უნდა.

– ვინ გასწავლა ეგა?

– ჩემმა დიდებამ, როდობისმა.

– მაშ კარგი და გეტყვი, რომ შენ ყველაზედ კარგი ქალი ხარ ქვეყანაზედ.

– როგორ მეუბნები მაგისთანა სიტყვებს? შენ ხომ სრულიად არ მიცნობ. ხანდისხან მე ბოროტი და გაუგონარი ვარ! მე რომ კარგი ქალი ვიყო, შინ წავიდოდი და შენთან ლაპარაკს არ ვაკაბამდი. დიდებამ სასტიკად ამიკრძალა ბალში დარჩენა მაშინ, როდესაც იქ უცხოებიც არიან. მე მაინც არავითარი საქმე არა მაქვს კაცებთან, რომელნიც ყოველთვის იმისთანა საგნებზედ ლაპარაკობენ, რაც მე არ გამეგება.

– მაშ შენ გინდა, რომ მეც წავიდე?

– არა, მე შენი ლაპარაკი სრულიად მესმის, თუმცა ისე კარგად არა ლაპარაკობ, როგორც, მაგალითად, ივიკი ან საწყალი ჭანესი, რომელიც გუშინ, როგორც ამ წუთში გავიგე მელიტასაგან, იძულებული იყო გაქცეულიყო.

– გიყვარს იგი?

– მიყვარს? – დიაღ, არა მძულს. როდესაც ჯერ ისევ პატარა ვიყავ, მეზვისიდან და საისიდან ჩემთვის ბურთები, ტიკინები და სხვა სათამაშოები მოჰქონდა; ეხლა კი, როდესაც გავიზარდე, მშვენიერს ლექსებს მასწავლის და გამოთხოვების დროს მამიყ-

ვანა სიცილიური პატარა ძალი, რომელსაც არგოსს ვეძახი, რადგანაც იგი ძალიან თეთრი და მარდია. რამდენიმე დღის შემდეგ კეთილის ჭანესისაგან საჩუქარს მივიღებთ, ამისთვის რომ... ხელამ როგორი ვარ! კინალამ დიდი საიდუმლოება არ გამოვაცხადე. დიდდამ ამიკრძალა ვუთხრა ვისმე, რომ ჩვენ პატარა საყვარელ სტუმრებს მოველით; მაგრამ მე ისე მგონია, თითქოს ჩვენ დიდი ხნის ნაცნობები ვიყოთ, და შენ ისეთი კეთილი თვალები გაქვს, რომ მე სიამოვნებით გეტყვი ყოველისფერს. გაიგონე: მე დიდელისა და მელიტას გარდა არავინა მყავს ქვეყანაზედ, რომ შევატყობინო ხოლმე ჩემი გულის სიხარული და ხშირად, მე თვითონაც არ ვიცი რისგან ხდება, ორივეს არ ესმით: ყოველივე მშვენიერება რად მომიმატებს ხოლმე სიხარულს.

– ეგ იმისგან. რომ ისინი მოხუცებულნი არიან და ყმაწვილის გულის სიხარულს ვერ გაიგებენ. მაგრამ ვანა შენ არა გყავს ისეთი მეგობარი ქალი, ან დობილი, რომ გიყვარდეს?

– არც ერთი. ნაუკრატისში ჩემს გარდა ბევრი სხვა ქალებიც არიან; მაგრამ დიდდა მეუბნება, რომ მათთან არავითარი კავშირი არ უნდა ვიქონიო.

– საწყალო ბავშვო, შენ რომ სპარსეთში იყო, მალე გიმოვიდი დობილს. მე მყავს და ატოსა ისეთივე ახალგაზდა, ლამაზი და გულკეთილი, როგორც შენ.

– რა მენანება, რომ ისიც შენთან ერთად არ მოვიდა! მამ ახლა კი უნდა მითხრა, რა გქვიან შენა.

– ბარტია.

– ბარტია? საოცარი სახელია; ბარტია... ბარტია... იცი, რომ მე ეგ შენი სახელი მამწონს? კრეზის შვილს რაღა ჰქვიან, რომელმაც დიდსულოვანი ჭანესი გადაარჩინა?

– იმას გიგესი ჰქვიან. დარია, ზოფირი და ის ჩემი საუკეთესო მეგობრები არიან. ჩვენ შევფიცეთ ერთმანეთს არასოდეს არ გავიყარნოთ და ერთმანეთისათვის თავი არ დავზოგოთ. აი ამისათვის დღეს, ინათლა თუ არა, ჩუმად წამოვედი აქა, რომ გიგესის გვერდით ვყოფილიყავ, თუ რომ მას მშველელი დასჭირდებოდა.

– ტყუილუბრალოდ მოსულხარ.

– არა, გეფიცები მიტრას! ტყუილად არ მოვსულვარ, ამისთვის

რომ შენ გიპოვნე. აბა ახლა შენც მითხარი რა გქვიან.

– მე საფო მქვიან.

– მშვენიერი სახელია. შენ იმ პოეტი ქალის ნათესავი ხომ არა ხარ, რომლის თხზულებიდან გიგესი მშვენიერს ლექსებს მიმღეროდა.

– დიად; იგი პაპიჩემის ხარაქსის და იყო. შენს მეგობარს გიგესს, რასაკვირველია, შენზედ კარგად ეცოდინება ბერძნული ლაპარაკი?

– მან ყმაწვილობითვე ისწავლა ელინური ენა, მიდიურს ენასთან ერთად და ორივე ენაზედ კარგად ლაპარაკობს. მან აგრეთვე კარგად იცის სპარსულიც, და უფრო კარგი ის არის, რომ სპარსული საუკეთესო თვისებანიც შეითვისა.

– რა თვისებანი უფრო ძვირფასად მიგაჩნია?

– სიმართლე ყველა ღირსებაზედ უკეთესია; მეორე ვაჟკაცობაა; მესამე – გულწრფელობა. ამ სამმა ღირსებამ, ღვთის პატივისცემასთან ერთად, ადგვამაღლა ჩვენ, სპარსელები.

– მე კი მეგონა, რომ თქვენ არც ერთს ღმერთს არ იცნობდით.

– გულწრფელი ბავშვო! უღმერთებოდ ვინ იცხოვრებდა, ვინ ისურვებდა ცხოვრებას, თუ წინამძღვრად ღმერთები არ ეყოლებოდა? რასაკვირველია ჩვენ ღმერთები თქვენსავით სახლებში არ დაგვიმწყვდევია და სტატუებად არ აგვიმართავს, ამისათვის, რომ მათი სადგური მთელი სამყაროა. ღმერთი, რომელიც ყველგან უნდა იყოს, ყველა ესმოდეს და ყველას ხედავდეს, არ შეიძლება ოთხს კედელს შუა იყოს დამწყვდეული.

– მაშ სადა ღოცულობთ და სად სწირავთ მსხვერპლებს, თუ რომ ტაძრები არა გაქვთ?

– იმ საკურთხეველში, რომელიც ყველა საკურთხეველებზედ უდიდესია; ცის ქვეშ; უფრო სიამოვნებით მაღალ მთებზედ. იქ უფრო ახლო ვართ, სინამ სხვაგან სადმე, ჩვენს მიტრასთან დიდს მხესთან და აურამაზსთან; იქა ღამდება გვიან და იქვე თენდება ადრე. მხოლოდ სინათლეა წმინდა და ფხიზელი; სიბნელე კი შავი და ბოროტი. დიად, ქალო, მთებზედ ღმერთი უფრო ახლოა ჩვენთან, სინამ სხვაგან სადმე; იქ არის მისი საყვარელი სადგური. მღვარხარ როდისმე ტყით შემოსილს მთაზედ და დაგიგ-

ღია ყური ღვთაების სუნთქვისათვის, როდესაც ბუნება მიწყნარებული ყოფილა? დაცემულხარ როდისმე ამწვანებულს მდელოზელ, კამკამ წყაროსთან, ცის ქვეშ და დაგიღია ყური ღვთაების ხმისთვის, რომელიც ყოველს ფოთლის შრიალში და წყლის ჩხრიალში ისმის? გინახავს, როგორ მიისწრაფება ალი მაღლა თავის მამის – მზისადმი და ან როგორ მიდის ლოცვა კვამლთან ერთად დიდებულის და სხივშემოსილი შემოქმედის წინაშე? შენ გაკვირვებით მივლბე ყურს; მაგრამ გარწმუნებ, რომ თვით შენც მოიდრეკდი მუხლს და ჩემთან ერთად ილოცავდი, რომ მიგიყვანო საკურთხევლის წინაშე მაღალი მთის წვერზე!

– ოხ, მე რომ შენთან იქ წამოსვლა შემეძლოს! რომ შემეძლოს გადმოვხედო რომელიმე მთის წვერიდამ მდელთა და მდინარეთ, ტყეებსა და ველებს! მგონია, იქ, მაღლა, საიდანაც ჩემს თვალს არაფერი დაემალებოდა, თვითონ ჩემი თავი ყოვლისმძილველ ღვთაებად მეჩვენებოდა. ეს რა არის? დიდელა მეძახის; უნდა წავიდე.

– მოითმინე, მარტო ნუ გამიშვებ.

– მორჩილებას სპარსელები ხომ ღირსებად სთვლიან!

– მერე ჩემი ვარდი?

– აი, წაიდე.

– ხომ გამიგონებ ხოლმე?

– მაშ სხვაფრივ როგორ იქნება?

– ლამაზო ქალო, მამიტყევე, თუ ერთი რამის თხოვნას კიდევ გაგიბედავ.

– დროით, დროით, დიდელა მეძახის.

– წაიდე ეს ბრილიანტების ვარსკვლავი ამ ჩვენი შეყრის მოსაგონებლად.

– არ შემიძლიან.

– გთხოვ, გთხოვ, წაილო! ეს მამაჩემმა თავის ხელით მაჩუქა მაშინ, როდესაც დათვი პირველად მოვკალი. ეს ვარსკვლავი იყო საუკეთესო ჩემი სამკაული, მაგრამ ეხლა კი შენ უნდა წაილო, რადგანაც შენზედ უკეთეს მე აღარავის ვიცნობ.

– ყმაწვილმა აისხნა გულიდამ ზეწკვი ვარსკვლავით და უნდოდა ქალისთვის გაეკეთებინა. საჭო არ იღებდა ძვირფასს

საჩუქარს; მაგრამ ბარტიამ მოხვია მას ხელი, შუბლზედ აკოცა, ძაღლისძალათ გადააგლო იგი ყელზედ და ჩააცქერდა მკროთოლვარე ქალის თვალებს.

როდობისმა მესამედ დაუძახა. საჟო გაუსხლტა ბარტიას ხელიდამ და უნდოდა გაქცევა, მაგრამ უკან მობრუნდა, რადგანაც ყმაწვილი ეხვეწებოდა და იმის კითხვაზედ „როდის შეიძლება კიდევ გნახოვო?“ მიუგო ჩუმის ხმით.

– ხვალ აღრიანად იმ ვარდის ბუჩქთან.

– რომელსაც შენ მაგრად უჭყერიხარ და მე მეცილება.

საჟო შინისკენ გაიქცა. როდობისმა მიიღო ბარტია და ყოველისფერი უამბო, რაც იმის მეგობრებზედ იცოდა. ახალგაზრდა სპარსელი იმავე საათში დაბრუნდა საისში.

როდობისი, ჩვეულებისამებრ, იმ ღამეს საჟოს ლოგინთან მივიდა, დაინახა, რომ წინანდებულად მშვიდად არ ეძინა: ტუჩები უთრთოლდენ და საჟო ღრმად მწარედ ოხრავდა, თითქოს რაღაც ცუდი სიზმრები აწუხებდენ.

ნაუკრატიისილამ საისში რომ წავიდა, ბარტიას გზაზედ თავის მეგობრები დარია და ზოჟირი შემოეყარნენ, რომელნიც ბარტიას უკან დასდევნებოდენ, როდესაც მისი იღუმალად წასვლა გაეგოთ. მათ არ იცოდენ, რომ განსაცდელის მაგივრად, ბარტიამ პირველის სიყვარულის ბედნიერება გაიგო.

სამივე მეგობრებზე კრეზი აღრე მივიდა საისში. იგი მაშინვე წავიდა მეფესთან და ყოველისფერი დაწვრილებით უამბო, რაც კი ნაუკრატიისში მომხდარიყო.

ამაზისი თითქოს გაკვირვებული იყო კრეზის შვილის ქცევით, არწმუნებდა თავის მეგობარს, რომ გიგესს მალე გაანთავისუფლებდა და დაიწყო ხუმრობა და დაცინვა ფსამეტიხზედ.

როგორც კი კრეზი განშორდა, მოახსენეს, რომ ტანტის მემკვიდრეს უნდა თქვენი ნახვაო.

X

ამაზისმა თავის შვილი ხარხარით მიიღო, გაყვითლებულს და შეწუხებულს სახეს ყურადღება არ მიაქცია და დაუყვირა:

– არ გითხარ მაშინვე, რომ უეშმაკო ეგვიპტელს ელინურის ცბიერი მელის დაჭერა არ შეუძლიან მეთქი? ჩემი სამეფოს ათას ქალაქს მივცემდი, ოღონდ კი შეძლებოდა მეცქირა, როდესაც შენ სხაპასხუპით მოლაპარაკე ათინელის მაგივრად ბლუ ლიდელი დაიჭირე.

ფსამეტიხი უფრო ყვითლდებოდა, იგი აკანკალდა სიბრაზისაგან და მწუხარებით უთხრა:

– კარგი არ არის, მამაჩემო, რომ შენი შვილის შეურაცხება გახარებს. თუ რომ კამბიზი არ იყოს, გეფიცები ღმერთებს, რომ უსირცხვილო ლიდელი დღეს უკანასკნელად ნახავდა მზის შუქს! მერე შენ რა საქმე გაქვს, რომ მე, შენი შვილი გლახა ბერძნების მასხარა გავხდი!

– ნუ ამაგებ იმათ, რომელთაც დაგიმტკიცეს, რომ იგინი შენზედ ჭკვიანები არიან.

– ჭკვიანები? მე ისე კარგად მქონდა პლანი შედგენილი, რომ...

– დაიშალა, როგორც ტალახის შენობა.

– ისე კარგად, რომ ის ვერაგი ელინელი ვერ წამივიდოდა ხელიდამ, თუ რომ უცხო სახელმწიფოს ელჩი არ გარეულიყო და არ გადაერჩინა ის კაცი, რომელსაც სიკვდილით დასჯა დიდი ხანია გადაწყვეტილი აქვს.

– შენა სცდები, შვილო, საქმე სასამართლოს გადაწყვეტილების ასრულებას კი არა, შენგან ჯავრის ამოყრის მოუხერხებლობას შეეხება.

– ხომ იცი, რომ მისი გადარჩენის მიზეზნი მეფის კაცები იყვნენ და ამისთვის ჩემს დასაკმაყოფილებლად მე გთხოვ შენ სთხოვო სპარსეთის მეფეს, დასაჯოს ის კაცი, რომელიც წინააღმდეგი გაუხდა შენის ბრძანების აღსრულებას. ამისათანა მოქმედებას სპარსეთში კანონიერად განიხილვენ, სადაც ყოველივე თავს იხრის მეფის სურვილის წინაშე, როგორც ღვთაების წინაშე. გიგესის დასჯა – კამბიზის ვალია.

– მაგისთანა წინადადებას მე თავის დღეში არ მივცემ მას, რადგანაც, გამოგიტყდები, ჭანისის გადარჩენა ძალიან გამეხარდა. გიგესმა დაიხსნა ჩემი სული ქენჯნისაგან, რადგანაც უდანაშაუ-

ლო კაცის სისხლი აღარ დაიღვარა და წინააღმდეგა შენს შურისძიებას იმ კაცისადმი, რომლისგანაც მამაშენი დავალებულია.

– მაშ სრულიად არ გინდა ეს ამბავი კამბიზს შეატყობინო?

– არა. მე ამ საქმეზედ ხუმრობის კილოთი მივწერ მას წერილს და ამასთანავე შევატყობინებ, ჭანესს, გაუფრთხილდეს; მივწერ, რომ, რადგანაც ჭანესი ჩვენს შურისძიებას ძლივს გაღურჩა, ეცლება, რომ სპარსეთი და ეგვიპტე ერთმანეთს წაჰკიდოს და ამისათვის გაუფრთხილდითქი. კრეზისა და გიგესის დამეგობრება უფრო ბევრს სარგებლობას მოგვიტანს, სინამ ჭანესის სიმძულვარე – განსაცდელს.

– ეგ არის შენი უკანასკნელი სიტყვა? მაშ არ გინდათ მე დამაკმაყოფილოთ?

– არა, მე იმ აზრს არ ვუღალატებ, რაც უკვე გამოვსთქვი.

– მაშ ითრთოლე არამც თუ მხოლოდ ჭანესის წინაშე, არამედ სხვა პირის წინაშეც, რომელიც ჩვენ გვიჭირავს ხელთ და რომელსაც შენც ხელთ უჭერხარ!

– შენ მე მაშინებ, შენ გინდა კვალად დაარღვიო ჩვენი კავშირი? ფსამეტის, ფსამეტის! გირჩევ მოიგონო, რომ შენ სდგეხარ წინაშე მეფისა და მამიშენისა.

– შენც მოიგონე, რომ მე შენი შვილი ვარ. თუ შენ კვალად დამავიწყებ, რომ შენ ღმერთებმა ჩემს მშობლად შეგქმნეს, და თუ შენგან არავითარს შევლას არ უნდა მოველოდე, მაშინ მე თვითონ შევიძლებ ჩემის საკუთარის იარაღით ბრძოლას!

– ძალიან მინდა ვიცოდე. რა იარაღია შენი იარაღი?

– მე შენ არ დაგიმალავ. მაშ გაიგე და შეიტყვე, რომ მე და ჩემს მეგობრებს ქურუმებს ხელში გვიჭირავს თავი და თავი ექიმი ნებენხარი.

ამაზისი გაყვითლდა.

– შენ ჯერ არც კი იცოდი, თუ კამბიზი შენი ქალის ქმარი შეიქმნებოდა, როდესაც ეს კაცი სპარსეთში გაგზავნე, რომ ამით მოგვეშორებინა ეგვიპტიდამ, რომელმაც ჩემი ტყუილი დის ნიტეტისის ჩამომავლობა იცოდა. ის ეხლაც სპარსეთშია და მხოლოდ ქურუმების სიტყვას ელის, რომ შეატყობინოს მოტყუებულს მეფეს, რომ, საკუთარის ქალის მაგიერ, შენ გაბედე და

მიათხოვე შენგან გადმოგდებული მეფის გოჭრას ქალი. ექიმის ყოველივე ქალაღლები ჩვენს ხელშია; მათში შენი საკუთარი წერილიც ურევია, რომელშიაც ჰპირდები ექიმის მამას ათას ოქროს ბეჭედს, თუ რომ იმისი შვილი ქურუმებსაც დაუძალავს, რომ ნიტეტისი სხვა გვარის ქალია და არა შენი.

– ვისა აქვს ეგ ქალაღლები? ჰკითხა ამაზისმა ცივად.

– ქურუმებს.

– და ივინი შენის პირით ლაპარაკობენ.

– დიად.

– მაშ გაიმეორე, რა გინდა.

– სთხოვე კამბიზს გიგესის დასჯა და ნება მომეცი გაქცეული ჩანესი ვსდევნო, როგორც მინდა.

– სხვა არაფერი?

– ქურუმებს შეჰფიცე, რომ ამას იქით ელინელებს აუკრძალავ ეგვიტეში თავიანთი ღმერთების ტაძრების აგებას და მემფისში აპოლონის ტაძრის აგებას შეაყენებ.

– მე მოველოდი მაგისტანა პირობებს; ჩემთან საბრძოლველად კარგი იარაღი ვიპოვინათ. მე მზადა ვარ ავასრულო სურვილი ჩემის მტრებისა, რომლებსაც შენც მიუღდე; ჩემის მხრით, მეც ორს პირობას ვითხოვ. პირველი, მე ვთხოვლობ დამიბრუნოთ ხსენებული წერილი, რომელიც მოუფიქრებლად მივწერე ნებენს-არის მამას. თუ რომ ის წერილი ისევ თქვენს ხელში დარჩება, მაშინ დარწმუნებული უნდა ვიყო, რომ მე თქვენი მეფე აღარ ვიქნები და იძულებული შევიქნები საზიზღარის ქურუმების მონა გავხდე.

– შენი თხოვნა საფუძვლიანია; შენ დაგებრუნებთ წერილს, თუ...

– ნუღარაფერი თუ ნუ იქნება! შენი თხოვნა, რომ კამბიზს ვთხოვო გიგესის დასჯა, უგუნურებად მიმაჩნია და ამისათვის ვერ შევიტყულებ ამ თხოვნას. ეხლა თავი დამანებე და იქამდის ნულარ მოხვალ, სინამ მე თვითონ არ დაგიძახო. გუშინ მოვიპოვე შვილი იმისთვის, რომ დღეს ისევ დავკარგო. ადექ! მე არ მინდა ვუყურო შენს ცრუ ერთგულებას და სიყვარულს, რომელნიც შენ თავის დღეში არა გქონია. თუ რომ ნუგემისცემა და დარიგება

დაგჭირდეს, ქურუმებს მიმართე და მაშინ გაიგებ მამის ოდნობას როგორ გაგიწევენ. უთხარ ნეიტოტეკს, რომლის ხელშიაც შენ წმინდა სანთელი ხარ, რომ მან იპოვა ნამდვილი საშუალება დამაყაბულოს იმისთანა საქმეებზედ, რომლებზედაც სხვა დროს უარს ვეტყოდი. დღევანდლამდის მზად ვიყავ ეგვიპტის დიდების დასაცველად ყოველისფერი მსხვერპლად შემეწირა, მაგრამ ეხლა კი ვხედავ, რომ ქურუმები სამშობლოს დალატსაც დამწამებენ თავიანთი განზრახვის შესასრულებლად; მე დარწმუნებული ვარ, რომ ქურუმები და მათი თანამგრძნობნი უფრო საშიშარნი მტერნი არიან სამეფოსათვის, სინამ სპარსელები. გაფრთხილით, გაფრთხილით! ამ ხნობით დავეყები ჩემს მტერს, ამისთვის, რომ მე თვითონ, ჩემის მამობრივის სისუსტით, ეგვიპტე განსაცდელში ჩავაგდე; შემდეგ კი გეფიცები დიდს ნეიტს! – დავამტკიცებ, რომ მე მეფე ვარ და მზად ვარ მთლად ქურუმების წოდება მსხვერპლად შევიწირო, სინამ ჩემის გულის მცირეოდენი სურვილი დავთმო. გაჩუმდი – და თავი დამანებე!

ტახტის მემკვიდრე წავიდა, მეფე კი დიდხანს იყო შინ, რომ დამშვიდებულიყო და მხიარულის სახით გასულიყო სტუმრებთან.

ფსამეტიხი მაშინვე წავიდა ადგილობრივი ჯარების უფროსთან, და უბრძანა მას გაედევნა ქვების სამტვრევად ეგვიპტის ასისთავი ტებაიდი, რომელმაც მისი განზრახვა ვერ შეასრულა; ეჭიოპელი ჯარები კი თავის სამშობლოში გაგზავნა. შემდეგ იგი ქურუმების უფროსთან ნეიტთან წავიდა, რომ შეეტყობინებინა მისთვის, თუ რაში დაიყოლია თვისი მამა.

ნეიტოტმა ჩაფიქრებით გაიჭნია გონიერი თავი ამაზისის დამუქრების გამო; მერე გაუშვა ფსამეტიხი, რომელსაც წასვლის დროს ჩვეულებისამებრ რამდენიმე დარიგება მისცა.

ფსამეტიხი თავის სახლში წავიდა

ძანესის ჯავრის ამოუყრელობა, მამასთან უთანხმოება, უცხოელებისაგან სასაცილოდ აგდება, ქურუმების ნებაზედ სიარული, მომავალში უბედურების მოლოდინი, რომელიც დაბადებიდამევე უქენჯნიდა გულს, – ყოველივე ეს სტანჯავდა და უბნელებდა გონებას.

მისი მშვენიერი ცოლი მოკვდა და ხუთი საღსალამათი შვილი-ისაგან მხოლოდ ერთი ქალი და ერთი ვაჟილა დარჩენოდა: ვაჟი ძალიან უყვარდა და ეხლა იმასთან წავიდა; იმედი ჰქონდა, რომ მის დანახვაზედ ნუგეშს მოიციმდა და გამხნევდებოდა. მხოლოდ შვილის ლურჯი თვალები და მომღიმარი ტუჩები უთბობდენ ამ კაცს გაყინულს გულს.

– სად არის ჩემი შვილი? ჰკითხა მოსამსახურეს.

– ეს არის ეხლა ბრძანა მეფემ მივუყვანოთ მას თავადი ნეხო და მისი ძიძა, მიუგო მოსამსახურემ.

ამ დროს, ტახტის მემკვიდრის სასახლის გამგებელი მივიდა მასთან და მიართვა დაბეჭდილი, პაპირუსზედ დაწერილი წერილი, თავი დაბლად დაუკრა და უთხრა: – მამა შენისაგან არის, მეფევე.

ფსამეტიხმა გაბრაზებით აგლიჯა ყვითელი წმინდა სანთლის ბეჭედი და წაიკითხა:

„მე ვუბრძანე ჩემთან მოეყვანათ შენი შვილი იმისთვის, რომ იგი, როცა გაიზდება, ქურუმების მონა არ გახდეს და არ დაივიწყოს თავის მოვალეობა თავის თავისა და სამშობლოსადმი. მე თვითონ ვიზრუნებ მის აღზრდაზედ, რადგანაც სიყმაწვილეში შეთვისებულთ შთაბეჭდილებათ დიდი გავლენა აქვთ კაცის ცხოვრებაზედ. თუ შენ მოისურვებ ნეხოს ნახვას, ამის წინააღმდეგ არაფერი მაქვს; მაგრამ წინდაწინვე კი უნდა შემატყობინო ნახვის სურვილი“.

ფსამეტიხმა ტუჩებზედ იკბინა, რომ სიბრაზე მოსამსახურეთ არ შეეძინათ. ეგვიპტის ჩვეულებისამებრ მეფის სურვილს იგივე ძალა ჰქონდა, რაც სასტიკს ბრძანებას. რამდენსამე წამს იგი ჩაფიქრებული იყო; შემდეგ უბრძანა მოეგროვებინათ მწვეარ მეძებრები და აეღოთ ისარ-შვილდი, თვითონაც ჩაჯდა ერთს ჩასაჯდომელში და უბრძანა წაეყვანათ ჭაობიანს ადგილებში, რომ იქ სამეფო ტახტზედ მჯდომარე მტრის ჯავრი ნადირზედ ამოეყარა.

კრეზის ამაზისთან ლაპარაკის შემდეგ გიგესი მალე გაანთავისუფლეს და მეგობრებმა დიდის აღტაცებით მიიღეს. ფარაონს უნდოდა დაევიწყებინა თავის მეგობრისათვის შვილის დატუსალების ამბავი, რისათვისაც იმავე დღეს აჩუქა მას ძვირფასი ეტლი, რომელშიაც ორი საუცხოვო ცხენი იყო შებმული.

ამაზისმა თავის სტუმრებით ბევრი იცინა გიგესის მოხერხებულს ქცევაზედ, ნება მისცა ახალგაზდა გმირებს მის სახლში თამამად მოქცეულიყვნენ და თვითონაც ისე ექცეოდა, როგორც შვილებს, მხოლოდ სადილისა და საუზმის ჭამის დროს იგი ისე იქცეოდა, როგორც ნამდვილი ეგვიპტელი: სპარსელებს ცალკე სუფრა უნდა ჰქონოდათ გაშლილი. მამა-პაპათ ჩაეგონებინათ მისთვის, რომ იგი წაიბილწებოდა, თუ რომ უცხოქვეყნელებთან ერთად დაჯდებოდა სუფრაზედ.

ამაზისმა, გიგესის განთავისუფლების სამის დღის შემდეგ, გამოაცხადა, რომ მისი ქალი ნიტეტისი ორის კვირის შემდეგ მზად იქნება აზიაში წასასვლელად და ყველა სპარსელები ნანობდენ, რომ დარჩენა ეგვიპტეში მეტი აღარ შეიძლებოდა.

კრეზი სიამოვნებით ატარებდა დროს სამოსელს პოეტთან და მოქანდაკესთან. გიგესიც თავის მამისავით თანაუგრძნობდა ელინელს მხატვრებს. დარი, რომელიც ჯერ ისევ ბაბილონში ასტრონომიას სწავლობდა, ერთხელ ცაზედ ვარსკვლავების თვალის სადევნებლად უმაღლესმა ქურუმმა მიიწვია და აიყვანა ასტრონომიის ობსერვატორიაში. ამის შემდეგ დარი ქურუმის დაუკითხავად დაიარებოდა ობსერვატორიაში და სწავლობდა ასტრონომიას ქურუმის ზედამხედველობით.

ერთხელ ფსამეტიზმა დარი თავის მასწავლებელთან ნახა და, როდესაც სპარსელი წავიდა, ჰკითხა ნეოტოტეპს, თუ რად ასწავლა მან უცხოქვეყნელს ეგვიპტის საიდუმლოებანი.

– მე მას ვასწავლი, მიუგო უმაღლესმა ქურუმმა: – იმას, რაც ყველა ნასწავლმა ქალდეველმა ბაბილონიაში ისევე კარგად იცის, როგორც ჩვენ; ამით იგი სრულიად სხვა კაცი ხდება და მისი ბედის ვარსკვლავი სიბრწყინვალით კამბიზის ბედის ვარსკვლავს ისე სჯობია, როგორც მზე მთვარეს. დარი თავის დროზედ ძრიელს მეფედ შეიქმნება; მე ვხედავ, რომ მისი პლანეტები ეგვიპტის თავზედ ბრწყინავენ. ბრძენმა უნდა მომავალიც განსჭვრიტოს და გასინჯოს არამცთუ მარტო თავის გზა, არამედ გარეშემორტყმული მიდამოც. რომელიმე სახლის ახლოს რომ გაიარო, შენ ვერ იტყვი, რომ იმ სახლში მომავალი შენი კეთილის მყოფელი არ აღიზრდება. უყურადღებოდ ნურაფერს ნუ დააგდება,

რაც კი გზაზედ შეგხვდება; ყველაზე უწინარეს კი იყურე მაღლა, ჩაუკვირდი ვარსკვლავებს. როგორც ძაღლს ღამე არა სძინავს და ქურდს ჰყარაულობს, ისე მე ორმოცდაათი წელიწადია თვალს ვადევნებ ციურს მოძრავთ მნათობთ, რომელნიც არიან წინასწარ მთქმელნი ბელისა: ივინი აუწყებენ კაცს დილას და საღამოს, ზაფხულს და ზამთარს, აგრეთვე ბედნიერებას და უბედურებას, დიდებას და დამცირებას. იმათ მაუწყეს მე, რომ დარი თავის დროზედ დიდებული კაცი იქნება.

ბარტია კი ამ ხანებში სისხამ დილით ნაუკრატისში მიდიოდ-მიდიოდა და თან ყოველთვის ზოპირი მიჰყავდა, რომელიც თავის მესაიდუმლედ გაიხადა. როდესაც ბარტია საძლოს ელაპარაკებოდა, მისი მეგობარი და საძლოს მოსამსახურე პელიკანებზედ და ტურებზედ ნადირობდენ. როდესაც საისში ბრუნდებოდნენ, კრეზს ეუბნებოდნენ, რომ სანადიროთ ვიყავითო.

არავინ არ შეატყო ბარტიას ცვლილება, რომელიც მოხდა მის არსებაში პირველის სიყვარულის გამო, მხოლოდ ამაზისის ქალმა ტახოტმა კი შეატყო. ტახოტს პირველი ლაპარაკის უმაღვე აღევზნო ბარტიას სიყვარული. შემდეგ კი მიხვდა, რომ მათ შორის ვიღაც უცხო პირი ჩადგა. წინად ბარტია ცდილობდა მასთან შეხვედრას, ეხლა კი ყოველს ღონისძიებას ხმარობდა, არ შეხვედროდა. ბარტიას ეგონა, რომ საძლოს წინაშე დამნაშავე იქნებოდა ტახოტისათვის რომ აღერსიანის თვალით შეეხედა.

საწყალი ტახოტი ჯავრობდა ბარტიას გულგრილობაზედ და თავის მესაიდუმლედ გაიხადა. ნიტეტისი ამხნევებდა მას და ორივენი ერთად ხშირად ოცნებობდენ. ორივე ახალგაზდა ქალები ფიქრობდენ, თუ რა კარგი იქნებოდა, რომ ივინი ორს ძმაზედ გათხოვილიყვნენ და განუყრელად ერთად ეცხოვრათ. მაგრამ დღე-დღეზედ გადიოდა და მშვენიერი ბარტია იშვიათად მიდიოდა მათთან და როდესაც მიდიოდა, მაშინაც ცივად ექცეოდა ტახოტს.

ამასთანავე საწყალი ტახოტი გრძნობდა, რომ ბარტია ეგვიპტეში ყოფნის დროს უფრო დავაჟკაცდა და დამშვენდა. ბარტიას თვალებში ეხლა ამპარტავენება და თავის თავის ღირსების ცოდნა იხატებოდა. მისმა ვარდისფერმა ლოყებმა ცოტა არ იყო ფერი დაჰკარგეს, მაგრამ ეს უფრო უხდებოდა მას, სინამ ტახოტს,

რომელიც ბარტიასავით დღე-დღეზედ ფერსა ჰკარგავდა.

მელიტა, როდოპისის ძველი მონა, შეყვარებულთა მფარველი შეიქმნა. მან, ერთხელ დილით, ბარტია და საქო ბაღში ნახა, მაგრამ ბარტიასაგან ისეთი ძვირფასი საჩუქარი მიიღო, ისე დატყვევდა და მისის სილამაზით, რომ საიდუმლოების შენახვის პირობა მისცა და თვითონვე ცდილობდა ხოლმე ორივეს ერთად შეყრას.

მელიტა, როდესაც მარტო რჩებოდა, საქოს ბატონიშვილის ცოლს ეძახდა და თავის თავს ხშირად წარმოიდგენდა ხოლმე მდიდრულად მორთულს სპარსეთის სასახლეში.

XI

სამი დღის წინად ნიტეტისის წასვლამდის, როდოპისთან ბევრი სტუმრები შეიკრიბნენ, რომელთა შორის იყვნენ კრეზი და გიგესი, მიწვეულნი ნაუკრატისში.

მოტრფიალენი, ბნელა ღამეში მელიტას ყარაულობით, ბაღში უნდა შეყრილიყვნენ, როდესაც სახლში ვახშამი გაიშლებოდა. როდესაც მელიტა დარწმუნდა, რომ სუფრაზედ მსხდომნი ლაპარაკის ეშხში შევიდნენ, მან გააღო ბაღის კარები, შემოუშვა ბარტია და წაიყვანა საყვარელს ქალთან. ამის შემდეგ იგი წავიდა და დაჰპირდა შეყვარებულთ ტაშის დაკვრით შეტყობინებას, თუ ვინმე მათკენ წავიდოდა.

– მხოლოდ სამი დღელა დამშთომია, შენ ჩემს გვერდით გიყოლიო, უთხრა ჩუმად საქომ. იცი, ხანდისხან ასე მგონია, რომ მე შენ გუშინ გნახე პირველად; ჩვეულებრივ კი მე ვგრძნობ, თითქოს საუკუნოებს ვკოცნიდე და მყვარებოდე დასაწყისიღამევე ჩემის სიცოცხლისა.

– მეც ასე მგონია, რომ ვკოცნი სიცოცხლეს, როდესაც ჩემად გიგულებ; მე ვერ წარმომიდგენია, რომ როდისმე უშენოდ მიცხოვრია.

– ნეტავი მალე განვლოს განშორების დრომ! უთხრა საქომ აღტაცებით.

– დამერწმუნე, იმაზე ადრე გავა, რამდენსაც ფიქრობ. რასაკვირველია, მოლოდინი დიდხნად გვეჩვენება, დიდხნად; მაგრამ როდესაც

კვალად ერთად შევიყრებით, ასე გვეჩვენება თითქოს გუშინ გამოვთხოვებოდეთ ერთმანეთს. მე ამას ყოველდღე ვგრძნობ. რა მოუთმენელად მოველოდი განთიადს და შენს ნახვას; მაგრამ როდესაც განთიადი მოვიდა და შენ ჩემს გვერდით იჯექი, მე მეგონა, რომ შენ გვერდიდამ არ მომშორებიხარ და შენი ხელი გუშინდელს აქეთ ჩემს თავზედ სდევს. ხანდისხან რაღაც გაუგებარი შიში შემიპყრობს ხოლმე, როდესაც განშორების დროს მოვიგონებ ხოლმე.

– მე აგრე არ მეშინიან განშორებისა. რასაკვირველია, ჩემი გული სისხლით დაიწურება, როდესაც მეტყვი: მშვიდობით; მაგრამ მე ვიცი, რომ შენ ჩემთან დაბრუნდები და არ დამივიწყებ. მელიტამ ჰკითხა ორაკულს: ერთგული იქნები შენ ჩემი თუ არა; მას უნდა ეკითხვინებინა ერთი მკითხავისათვისაც, რომელიც ჭრივიდამ მოვიდა და ძაფზედ კითხულობს, მაგრამ მე ამის ნება არ მივეცი, რადგანაც ჩემმა გულმა პიჰიასა და მკითხავზედ უკეთ იცის, რომ შენ ჩემი ერთგული იქნები და არ დამტოვებ უსიყვარულოდ.

– შენი გრძნობა არ გატყუებს!

– მე მაინც, ცოტა არ იყოს, მეშინოდა. სხვა ქალებისავით მეც ასჯერ მეტად შეეუბერე ხაშხაშის ფოთოლს და ხელსა ვცემდი მას; როდესაც მას ტკაცანი გაჰქონდა, მე მიხაროდა, რადგანაც ეს იმას ნიშნავდა, რომ შენ მე არ დამივიწყებდი; როდესაც ფოთოლი გაუტკაცუნებლად იხეოდა, მაშინ კი შიში მოიცვამდა ხოლმე ჩემს გულს. მაგრამ ფოთოლი თითქმის ყოველთვის ტკაცუნდებოდა და უფრო ხშირად ვხარობდი, სინამ ვწუხდი.

– ეგრეც უნდა იყვეს.

– ღიად! მაგრამ ჩუმად ილაპარაკე, ჩემო ტურფავ, რომ კნაკი-ასმა არ შეგვნიშნოს, რომელიც აგერ ნილოსზედ მიდის წყლის ასავსებად.

– კარგი, ჩუმად ვილაპარაკებ. აი ასე! მე გადაგიწევ აბრეშუმის მსგავს თმებს და გიჩურჩულე: „მე შენ მიყვარხარ!“ გაიგე?

– ჩვენ აღვილად გვესმის ის, რისიც გაგება გვესიამოვნებაო, იტყვის ხოლმე დიდდაჩემი. მაგრამ შენ ყურშიაც რომ მიჩურჩულო: „მე შენ მეჯავრებიო!“ შენი თვალები ათასჯერ მეტყოდენ,

რომ მე გიყვარვარ. ბაგენი მღუმარეობენ, თვალები კი მჭვერმეტყველურად ლაპარაკობენ – მეც რომ ისე კარგად ვლაპარაკობდე მშვენიერს ელინურს ენაზე, როგორც შენ...

– მე მიხარიან, რომ კარგად არ ლაპარაკობ. შენ რომ შეგეძლოს ყოველივე იმის თქმა, რასაც გრძნობ, მაშინ აგრე ნაზად აღარ დამიწყებდი თვალბეჭდებში ცქერას. რა არის სიტყვები? გესმის აიქით ბუღბუღის გალობა? იგი მოკლებულია სიტყვას, მაგრამ მაინც მეყურება მისი გალობის აზრი.

– არ შეიძლება ჩემად მითხრა, რას ამბობს იგი? მე ძალიან მინდა გავიგო. რას ეუბნება ბუღბუღი თავის სატრფოს, იმ ვარდის ბუჩქებში? შეგიძლიან ჩიტის საიდუმლოება გამაგებინო?

– მე მაგას ჩემად გეტყვი. ბუღბუღი უმღერის თავის სატრფოს: „მე შენ მიყვარხარო!“

– მე სიხარულით ჩავიბეჭდავ გულში მაგ სიტყვებს დღეს, ხვალ, საუკუნოდ.

– რა ღამეა, რანაირ მღუმარებს და განისვენებს ყოველისფერი! თითქმის ბუღბუღის გალობაც აღარ მესმის, ის ეხლა აკაციის ტოტების ქვეშა ზის, რომლის ყვავილებიც ასეთს მშვენიერს სუნს ჰფენენ მიდამოს. ბზის ხის კენწეროები ნილოსში მოჩანან და მათ შორის მთვარის შუქი კრთის.

– მთვარისავე შუქს შეუპყრია მთლად არემარე. ამისათვის მთელი ქვეყანა, პატიმარსავით, მღუმარებით არის მოცული და არ იძვრის. თუმცა გული ნეტარებითა მაქვს სავსე, მაგრამ არც სიცილი და არც ლაპარაკი მაინც არ შემიძლიან.

– მაშ მინურჩულე ან იმღერე!

– მართალს ამბობ. მომეცი ჩემი ჩანგი. გმადლობ. ნება მიბოძე თავი შენს მკერდზედ დავაყრდნო და ლექსი გიმღერო. ეს ლექსი შეუთხზავს ლიდელს ალკმანს, რომელიც სპარტაში სცხოვრობდა. მაშ ყური დაუგდე ამ მშვენიერს ლექსს. ნუ მაკოცებ, გთხოვ ნუ მაკოცებ, სინამ სიმღერა არ გავათავო; მერე მე თითონ ჯილდოდ კოცნას მოგთხოვ:

სძინავთ მაღალს მთისა წვერებს,

ბნელი მეფობს ხეობაში;

სძინავთ უფსკრულში ზღვის ტალღებს

და ჭინჭველას ცივს მიწაში.
 ნადირთა უტეხს ტყეშია
 ბუნავი მოუძებნიათ;
 თევზთა და ვეშაბთ ზღვაშია
 მცირე ხანს დაუძინიათ.
 არ ისმის ფუტკართ ბზუილი,
 ფოთოლი აღარ შრიალებს;
 ჩიტიც, ეს ცელქი ქმნილება,
 თვის ბუდეში განისვენებს.

– ახლა კი მაკოცე, ჩემო მშვენიერო!
 – ყურის გდებაში კოცნა სრულიად დამავიწყდა.
 – განა მშვენიერია ჩემი სიძლერა?
 – მშვენიერია, როგორც ყოველისფერი, რასაც შენ მღერი.
 – ხედავ, როგორ ლექსებსა სთხზავენ ელინელნი მგოსანნი.
 – სწორედ რომ კარგებს.
 – თქვენს სპარსეთში კი არ არიან მგოსანნი?
 – მაგას როგორა მკითხავ? განა რომელიმე ხალხი თავს
 მოიწონებს კეთილშობილურის გრძნობებით, თუ რომ მას მგოს-
 ნები არა ჰყავს?

– თქვენ ერთი ცუდი ჩვეულება გაქვსთ.
 – აბა რომელი?
 – ბევრს ცოლებს ირთავთ!
 – საყვარელო საფო...
 – ყური დამიგდე, ხომ მხედავ, შენ ისე ძვირად მიღირხარ, რომ
 იმის მეტი არა მინდა-რა, გნახო შენ ბედნიერი და ამ ბედნიერე-
 ბას შუა გიყოფდე. თუ რომ მარტო ჩემის შერთვით შენის
 სამშობლოს ჩვეულების წინააღმდეგი შეიქმნები, თუ რომ ერთ-
 გულებსათვის შეეცდები და გაგკიცხავენ, მაშინ სხვა ცოლებიც
 შეერთე; მაგრამ ორს-სამს წელიწადს კი ნება მომეცი მხოლოდ
 მე მეკუთვნოდე. თანახმა ხარ ამაზედ, ბარტია?

– თანახმა ვარ.
 – შემდეგ, როდესაც დრონი ჩემნი წავლენ და შენ იძულებუ-
 ლი შეიქნები შენ სამშობლოს ჩვეულებათ დაემორჩილო, – რად-
 განაც შენ სიყვარულით არავის შეირთავ, – ნება მომეცი მე

შევიქმნა შენი პირველი მონა. რა მშვენივრად ავასრულე ჩემს მოვალეობას! როდესაც ომში წახვალ – მე დაგხურავ შენიერს თავზედ ქუდს, შემოგაკრავ ხმაღს და ხელში შუბს მოგცემ. როდესაც გამარჯვებული დაბრუნდები, მე პირველი დაგადგამ გვირგვინს. თუ რომ სანადიროდ წახვალ, მე გაგიკეთებ ღეზებს; თუ რომ სტუმრად წახვალ, მოგრთავ, მოგკაზმავ და შუბლს და მხრებს ყვავილებით დაგიმშვენებ; თუ ბედნიერი იქნები, მოგშორდები და შორიდან დავტკები შენის დიდებით და ბედნიერებით. იქნება მაშინ დამიძახო და შენმა კოცნამ გამაგებინოს, რომ შენ კმაყოფილი ხარ შენის საჭოთი და კვალად გიყვარვარ.

– ოხ, საჭო, შენ რომ ეხლა ჩემი ცოლი იყვი! ვისაც უპყრია ხელთ ისეთი საუნჯე, როგორიც ეხლა მე, იგი მას შეინახავს და სხვას აღარ მიმართავს, რომელიც მასთან შედარებით არაფერია! მართალია, ჩემს სამშობლოში მრავალცოლობა იციან, მაგრამ ეს ყოველი კაცის ნებაა და არა ვალდებულობა. მამაჩემსაც ჰყავდა ასი ცოლი, მაგრამ ნამდვილი ცოლი კი ერთი იყო, დედაჩემი კასანდანა.

– მაშ მე შენი კასადანა ვიქნები?

– არა, ჩემო საჭო, არც ერთი ცოლი არა ყოფილა თავის ქმრისათვის ისა, რაც შენ ჩემთვის იქნები!

– ჩემთან კიდევ როდის მოხვალ?

– როცა კი შევიძლებ.

– მოთმინებით მოგელოდები.

– და მე შენს ამბავს მივიღებ?

– მე მოგწერ შენ გრძელს, გრძელს წერილებს, და ყველა ქარს ჩემს სალაშს გამოვატან...

– კარგი, ჩემო ძვირფასო, რაც შეეხება წერილებს, იგინი გადაეცი შიკრიკს, რომელიც დროდადრო მოუტანს ნიტეტისს ეგვი ჰტიდამ ამბებს.

– მერე სად ვნახავ ჩიკრიკს?

– მე დავსტოვებ ნაუკრატისში კაცს, რომელიც ყოველისფერს შეასრულებს, რასაც უბრძანებ. დაწვრილებით მელიტას მოველაპარაკები.

– ჩვენ შეგვიძლია მას მივინდოთ, რადგანაც იგი გონიერია და

ერთგული; მაგრამ მე მყავს კიდევ ერთი მეგობარი, რომელსაც შენს შემდეგ ყველაზედ ძალიან ვუყვარვარ და რომელიც მეც ძალიან მიყვარს შენს შემდეგ.

– შენ დიდდამენს როდობისზედ ამბობ?

– დიად მაზედ, ჩემს ყურისმგდებელს და აღმზრდელზედ.

– ძალიან კარგი დედაკაცია, კრეზი მას ქალთა შორის საუკეთესო ადამიანად სთვლის, და იგი ისე სცნობს ხალხს, როგორც ექიმი ბალახებს და ფესვებს. მან იცის, რომელს მცენარეშია ციხა და რომელში გამკურნელი წვენი; როდობისიც, როგორც ხშირად ამბობს ხოლმე კრეზი, ჰგავს ვარდს, რომელიც სასიამოვნო სურნელს ჰფენს სნეულთათვის მაშინაც, როდესაც იგი დასჭკნა, ფოთოლი ფოთოლზედ სცვივა და ელის ქარს, რომელიც მათ სრულიად გაჰფანტავს.

– ხანგრძლივი იყოს მისი სიცოცხლე! ჩემო კარგო, ერთი ჩემი დიდი თხოვნა კიდევ შეასრულე.

– შევასრულებ, თუმცა ჯერ არ ვიცი, რასა მთხოვ.

– როდესაც მე შენს სამშობლოში წამიყვან, როდობისს ეგვიპტეში ნუ გაუშვებ. იგი ჩვენ უნდა გამოგვეყვოს. ის ისე გულკეთილია და ისე ვუყვარვარ, რომ ჩემი ბედნიერება მისი ბედნიერებაა, და ყოველივე რაც მე ძვირად მიღირს მისთვისაც ძვირფასია.

– იგი უპირველესი სტუმარი იქნება ჩვენის სახლისა.

– რა გულკეთილი ხარ! ეხლა სრულიად კმაყოფილი და დამშვიდებული ვარ. დიად, კეთილი როდობისი მე ვერ მომშორდება. მას უჩემოდ სიცოცხლე არ შეუძლიან. მე მას ჩემის კასკასით დარდებს ვუფანტავ და როდესაც იგი ჩემს გვერდითა ზის, წერა-კითხვას და სიმღერას მასწავლის, მაშინ სახე უბრწყინდება ხოლმე, თვალები უცინის და ივიწყებს ჩემგან გამოვლილს სამწუხარო დღეებს და სტკება აწმყოთი.

– სინამ ჩვენ ერთმანეთს გავშორდებოდეთ, მე ვკითხვავ როდობისს, წამოგვეყვება თუ არა ჩემს სამშობლოში.

– რა მიხარია! იცი რა: ჩვენის გაყრის პირველი დრო მე არ მაშინებს. შენ, როგორც ჩემს ქმარს და ბატონს, შემიდლიან შეგატყობინო ყოველისფერი, რაც კი მე მაწუხებს, ან მახარებს, მაგრამ სხვებთან კი გაჩუმებული უნდა ვიყო. იცოდე, ჩემო კარგო,

რომ იმ დროს, როდესაც თქვენ თქვენს სამშობლოში წახვალთ, ჩვენს სახლში ორს პატარა სტუმარს მოველით. ესენი არიან შვილები იმ კეთილისა ფანესისა, რომლისათვისაც შენი მეგობარი, კრეზის შვილი, ისე მამაცად მოიქცა. მე იმ პატარა სტუმრებს ისე მოუვლი, როგორც დედა და როდესაც გონებაში ჩაცვივიან, მე ვუძღერებ მათ სიმღერას მეფის შვილზედ, ძლიერს გმირზედ, რომელმაც უბრალო ქალი შეირთო, და როდესაც იმ მეფის შვილის სახეს ავუწერ მათ, მაშინ შენ წარმოგიდგენ თვალწინ და თავით ფეხამდის ავწერ, ჩემი პატრები კი რას მიხვდებიან, თუ ვიზედ ველაპარაკები მათ. ჩემი გმირი შენსავით მაღალის ტანისაა, შენისთანა თვალები აქვს; შენი კეთილშობილური გული, შენი გულწრფელი ხასიათი, შენსავით ღმერთების პატივისცემა, შენი სიმამაცე, ერთის სიტყვით ყოველისფერი, რაც კი მე მიყვარს დ ძვირად ვაფასებ, ჩემი სიმღერის გმირსაც ექნება. ყმაწვილები ყურს დამიგდებენ და როდესაც ივინი იტყვიან: „რანაირ გვიყვარს მეფის შვილი, რა მშვენიერი და გულკეთილია იგი: ახ, ნეტავი შეგვეძლოს მისი ნახვა?“ — მე სიყვარულით ჩავიკრავ მათ გულში და დაგოცნი ისე, როგორც შენ გოცნიდი და მაშინ ბავშვებსაც შეუსრულდებათ სურვილი, რადგანაც შენ ჩემს გულში იქნები და მამსადაძე მათ სიახლოვეს და როდესაც ივინი მე მომეხვევიან, ჩემთან ერთად შენც მოგეხვევიან!

— მე კი წავალ ჩემს და ატოსთან და ვუამბობ ყოველისფერს, რაც ამ მოგზაურობის დროს ვნახე. და როდესაც დავიწყებ ბერძნების ქებას, მათი საქმეების და ქალების სიბრწყინვალეს, მაშინ მე დავხატავ შენს მომხიბლავს სურათს, როგორც სურათს აფროდიტისას. მე ჩემს დას ბევრჯერ ვუამბობ შენს გულკეთილობას, სიმშვენიერეს, კრძალულებას, შენს სიმღერას, რომელსაც ბუბლებიც კი ყურს უგდებენ; შენს სიყვარულს და სულის სიმშვიდეს. ამ შენს თვისებებზედ ლაპარაკის დროს მე დავუწყებ კოცნას ჩემს დას, როდესაც იგი იტყვის: „ახ, აფროდიტავ, ნეტავი შენი ნახვა შემეძლოს!“

— მოიცა ეს რა არის? მელიტა ტაშს უკრავს! მშვიდობით, უნდა გავშორდეთ ერთმანეთს. ნახვამდის.

— ერთი კიდევ მაკოცნიინ!

— მშვიდობით!

მელიტას მოხუცებულობისაგან დაღლილს, ჩასძინებოდა. უეცრად ხმაურობა მოესმა და გაიღვიძა, მან მამინვე ტაში შემოჰკრა, რომ მოტრფიალეთათვის შეეტყობინებინა და საწოლში შინისკენ წასულიყო, რადგანაც ვარსკვლავებზედ შეატყო, რომ მალე გათენდებოდა.

როდესაც მელიტა და საწოლს სახლს მიუახლოვდნენ, პირველმა შენიშნა, რომ სტუმრები ამდგარიყვნენ და წელან მათი ფეხის ხმაურობა შესმოდა.

შეშინებული საწოლს მელიტამ უკანა კარებიდამ შეიყვანა საწოლს ოთახში, და როგორც კი ტანისამოსის გახდა დაუპირა, როდობისც შემოვიდა.

– ჯერ არ დაწოლილხარ, საწოლ? ჰკითხა მან. ეს რას ნიშნავს, შვილო ჩემო?

მელიტა დაკანკალებდა და უნდოდა რამე სიცრუვე ეთქვა, მაგრამ საწოლს თავის დიდებას გულში ჩაეკრა, ნაზად მოხვია ხელი, აკოცა და დაწვრილებით უამბო თავის სიყვარულის ისტორია.

როდობისი გაფითრდა.

– თავი დაგვანებე! უთხრა მან მელიტას. შემდეგ თავის შვილისშვილის წინ დადგა, ხელები მხრებზედ დააწყო და უთხრა: თვალბში შემომხედე, საწოლ! შეგიძლიან ისევე მხიარულად მიყურო, როგორც ამ სპარსელის მოსვლამდის მიყურებდი ხოლმე.

ქალმა მხიარულად გაიღვიძა და დიდიდებდას შეხედა; მაშინ როდობისმა ჩაიკრა იგი გულში და უთხრა:

– იმ დღიდან, როდესაც შენ ბავშური ბაშმაკები გაიხადე, მე ვცდილობდი, შენ კარგი ქალი გამოსულიყავ და სიყვარულისაგან დამეფარე. მე მინდოდა მალე მეშვნა შენთვის რიგიანი ქმარი და ელინურის წესით მიმეთხოვებინე; მაგრამ ღმერთებმა სხვანაირად მოახდინეს, ეროსმა სასაცილოდ აივლო ჩემი განზრახვანი. ელინურმა სისხლმა, რომელიც შენს ძარღვებში სჩქეფს, სიყვარული მოითხოვა. შენც ისევე ძლიერად გიცემს გული, როგორც შენ წინაპართ. რაც მოხდა მისი შეცვლა აღარ შეიძლება. გულში დაიმარხე წამები ამ შენის პირველის წმინდა სიყვარულისა,

როგორც ძვირფასი საუნჯე, რადგანაც აწმყო ყოველის კაცისა გვიან თუ ადრე უგემურდება და საჭიროა მოიგონოს სასიამოვნო წამნი თავის ყმაწვილობისა, რომ გული ჭმუნვამ, სრულიად არ დაუჩაგროს. იფიქრე მშვენიერს ახალგაზდა სპარსელზედ, გამოეთხოვე მას, როდესაც სამშობლოში წავიდეს, მაგრამ მეორედ ნახვის დრო აღარ დაუნიშნო. სპარსელები სუბუქნი და დაუდგრომელნი არიან, ყოველივე ახალი იზიდავს მათ, ყოველივე უცხოქვეყნელისათვის გული ღია აქვთ. შენი სიტურფე ძალიან მოეწონა მეფის შვილს. იგი აღტაცებულია შენის სიყვარულით, მაგრამ იგი ყმაწვილია და ლამაზი, მაზედ ბევრს სხვასაც უჭირავს თვალი, ამასთანავე სპარსელია. შენ ჰყავ უარი მაზედ, სინამ მას არ დაუსწვრია უარის თქმა.

– როგორ ვიზამ მაგას, დიდედა! განა მე მას საუკუნოდ ერთგულობა არ შევფიცე?

– თქვენ ბავშვები საუკუნოს ეთამაშებით, თითქოს იგი ერთი წამი იყოს. რაც შეეხება შენს ფიცს, მე შენ არ გაგაცივხავ, პირიქით მიხარია, რომ ფიცი მტკიცედ გიჭირავს, რადგანაც, ძალიან მეჯავრება თქმულება, ვითომც ზევესი შეყვარებულთ ფიცს არ ისმენდეს. როგორ იქნება რომ ფიცს, მიცემულს უწმინდეს კაცის გრძნობაზედ, ღმერთებმა უფრო ნაკლები ყურადღება მიაქციონ, სინამ უბრალო რამეზედ ფიცს? შეინახე შენი აღთქმა, შენს სიყვარულს ნურასდროს ნუ დაივიწყებ, მაგრამ იმ აზრსაც შეეჩვიე, რომ შენ უარი უნდა განაცხადო შენს სატრფოზედ.

– არასდროს, დიდედა! განა ბარტია ჩემი მეგობარი შეიქნებოდა, მე რომ მის ერთგულებაში დარწმუნებული არ ვიყო? იმი-სთვის, რომ იგი სპარსელია, რომ იგი სიძარტლეს თავის საუკეთესო თვისებად სთვლის, შემძლიან დარწმუნებული ვიყო, რომ იგი შეასრულებს თავის ფიცს და, აზიელების ჩვეულების წინეაღმდეგ. მე ვიქნები მისი ერთადერთი ცოლი.

– მერე, იმან რომ თავის ფიცი დაივიწყოს, შენ ხომ დაიტირებ შენს სიყმაწვილეს და დაშხამულის გულით...

– კეთილო, საყვარელო დიდედა! მაგისთანა საზარელს სიტყვებს ნუ მეუბნები. შენ რომ მას ისე იცნობდე, როგორც მე, შენც ჩემთან ერთად იმხიარულებდი და დარწმუნდებოდი, რომ

უფრო მალე დაშრება ნილოსი, დაირღვევიან პირამიდები და ბარტია კი მე არ დამივიწყებს!

საჭო ამბობდა ამ სიტყვებს ისეთის მხიარულის დაბეჯითებით და სიმტკიცით; მისი შავი, ცრემლით სავსე თვალები, ისეთის ნეტარებით ბრწყინავდენ, რომ როდობისიც კი ალერსიანი შეიქმნა.

საჭო ერთხელ კიდევ მოეხვია ყელზედ თავის დიდელას და სიტყვასიტყვით უამბო ყოველისფერი, რაც ბარტიას მისთვის ეთქვა და ამით გაათავა თავის ლაპარაკი: — ახ, დიდედა, მე ასე ბედნიერი ვარ! და თუ შენც ჩვენთან ერთად სპარსეთში წამოხვალ, მაშინ ღმერთებთან სათხოვარი აღარა მექნება რა.

— შენ მალე მოგინდება ღმერთებისადმი ხელის გაპყრობა, — ამოხვრით უთხრა როდობისმა. ივინი შურით უყურებენ მომაკვდავთა ბედნიერებას და უხვად იმეტებენ უბედურებას, ბედნიერებაზედ კი ხელმოჭერილნი არიან. წადი ახლა დაჯექი, ჩემო შვილო, და ჩემთან ერთად ილოცე, რომ ღმერთებმა ბოლო კეთილად მოიყვანონ. როგორც ბავშვს მე დღეს დილის სალაში მოუტანე, როგორც შედერებული ქალისათვის მშვიდობიანს ღამეს ვისურვებ. ოხ, შენ რომ გათხოვების შემდეგაც ასე მიშვერდე ტუჩებს, საკოცნელად, როგორც ეხლა! ხვალ კრეზს მოველაპარაკები შენს შესახებ. იგი გვეტყვის — შეიძლება ნება მოგცე მოუცადო სპარსელის დაბრუნებას, თუ უნდა დაგაფიცო დაივიწყო მეფის შვილი და შეიქმნა ცოლი რომელიმე ელინელისა, რომელსაც მე ამოვარჩევ. მშვიდობიანად დაიძინე, ჩემო კარგო; შენი მოხუცებული დიდედა ფხიზლობს შენთვის!

საჭომ ტკბილის იმედით დაიძინა, როდობისს კი თვალი არ მოუხუჭია, ისე დაათენდა ზედ და სულ საჭოს ბელზედ ფიქრობდა.

მეორე დილას როდობისმა შეუთვალა კრეზს ერთს საათს მისუღიყო მასთან.

როდობისმა უამბო კრეზს ყოველისფერი, რაც მოუხდა მის შვილისშვილს და ასე დააბოლოვა თავის საუბარი:

— მე არ ვიცი, რა თვისებებს თხოულობენ სპარსელები ცოლებსაგან, მაგრამ შემიძლიან დაგარწმუნოთ, რომ საჭო ღირსია

საუკეთესო მეფის ცოლობისა. მისი მამა თავისუფალი კეთილ-შობილი კაცი იყო, და მე გამიგია, რომ თქვენი კანონებით, ყმაწვილის ჩამომავლობა მამით ისინჯება. ეგვიპტეშიაც ერთნაირი უფლება აქვთ მონა ქალის და მეფის ქალისგან დაბადებულთ ბავშვებს, თუ რომ იგინი ერთი და იმავე მამისაგან არიან.

– მე მოგისმინე, უთხრა კრეზმა, და უნდა გითხრა, რომ ესლა ამ წამში მეც ის ვიცი, რაც შენ – ამ სიყვარულის გამო უნდა ვიმხიარულო, თუ უნდა ვიწუხო. კამბიზს და კასანდანას, დედას ბარტიასას და მეფისას, ჩვენს აქ წამოსვლამდის უნდოდათ ბარტიასათვის ცოლი შეერთოთ. დღევანდლამდის თვითონ მეფეს შემკვიდრე არა ჰყავს. ის რომ უშვილოდ მოკვდეს, ერთადერთი იმედი კირის ჩამომავლობის გასაგრძობად ბარტიალა იქნება, რადგანაც დიდს დამაარსებელს სპარსეთის ძლიერის სამეფოისას მხოლოდ ორი შვილი ჰყავდა: კამბიზი და შენი შვილისშვილის მეგობარი. ბარტიით ამპარტავნობენ სპარსელები, იგი საყვარელია მთელის სასახლისა და სამეფოისა, იმედი ყველა დიდებულთა და ქვეშევრდომთა. სპარსეთში უნდათ, რომ მეფის შვილები ახმენიდების გვარის ქალებს თხოულობდენ ცოლად; მაგრამ სპარსელებს ყოველივე უცხოქვეყნიური მოსწონთ და შენის შვილისშვილის სილამაზით მოხიბლულნი სპარსელები ბარტიას სიყვარულს აღარ გაჰკიცხვენ და მიუტყევენ დანაშაულს უფრო იმისთვის, რომ რაც მეფეს მოეწონება ქვეშევრდომთ ნება არა აქვთ დაიწუნონ. ამასთანავე ირანის ისტორიაში ბევრი მაგალითია, რომ მეფეები მონა ქალებისაგან შობილან. დედა სპარსეთის მეფისა კასანდანაც არ დაუშლის თავის საყვარელს შვილს ბედნიერებას. როდესაც იგი დაინახავს, რომ ბარტია საძლოს თავს არ ანებებს, როდესაც იგი შენიშნავს, რომ თავის მომლიმარე შვილს სახე მოედრებლა, მაშინ იგი თუნდა სკვითელი ქალის შერთვის ნებას მისცემს, ოღონდ კი გაამხიარულოს თავის შვილი. კამბიზიც უარს არ იტყვის, თუ რომ დედა სთხოვს.

– მაშასადამე, საქმე გარიგდება? სიხარულით უთხრა როდოპისმა.

- მე შერთვა კი არა, იმის შემდეგ მეფეიქრება.
- იქნება იმის თქმა გინდა, რომ ბარტია...

– მისის მხრით არაფერისა მეშინიან. იგი გულით წმინდაა და იმდენს ხანს არ იცოდა სიყვარული, რომ ერთხელ მისგან შეპყრობილი სამუდამოდ ერთგული იქნება.

– მაგრამ...

– მაგრამ ისიც უნდა მიიღო მხედველობაში, რომ თუგინდ ყველა კაცებმა სიხარულით მიიღონ მომხიბვლელი სილამაზის ცოლი თავეთის საყვარელის კაცისა, სპარსეთის დიდებულთა სახლებში ბევრი უქმი ქალები არიან, რომელნიც ყოველს ღონისძიებას იხმარებენ, ავნი ახალგაზდა, არა დიდებული გვარის ქალს; ამ ქალებისათვის დიდი სიამოვნება იქნება გამოუცდელი ბავშვის დალუპვა.

– შენ ცუდი აზრი გქონია სპარსელს ქალებზედ.

– იგინი ხომ ქალები არიან, და შურით დაუწყებენ ცქერას ქალს, რომელიც მოიწონა იმ კაცმა, რომელთაც ან თავეთ ქმარად უნდათ და ან თავეთის ქალებისათვის. გიმეორებ, რამდენიც უფრო ლამაზი იქნება საძო, იმდენს უფრო ბევრს მტრებს შეიძენს და თუგინდ რომ ბარტიასაც ძალიან უყვარდეს და იმის მეტი სხვა ცოლი აღარ შეირთოს, იგი მაინც იმდენს მწუხარებას გამოივლის, რომ არ ვიცი, მოგილოცო საფოს ბედნიერება თუ არა.

– მეც მაგასა ვგრძნობ, უთხრა როდოპისმა. უბრალო ელინელი ჩემთვის უფრო ძვირფასი იქნებოდა, სინამ ეს შვილი ღიდის მეფისა.

ამ დროს ოთახში ბარტია შემოვიდა, რომელიც კნაკიასმა შემოიყვანა. იგი ეხვეწებოდა როდოპისს მიეთხოვებინა მისთვის თავის შვილისშვილი და არწმუნებდა, რომ როდოპისი გააორკეცებდა მათს ბედნიერებას, თუ სპარსეთში გაჰყვებოდა. შემდეგ მან დაუჭირა კრეზს ხელი, ბოდიში მოიხადა მის წინაშე, რომ ასე დიდხანს უმაღავდა მას თავის სიყვარულს და სთხოვდა ამ საქმეში დახმარებას.

მოხუცმა ღიმილით მოისმინა მხურვალე სიტყვები ბარტიასი და უთხრა:

– რანაირ გარიდებდი სიყვარულს, ჩემო ბარტია! სიყვარული

– ყოვლის შემძუსვრელი ცეცხლია.

– მაგრამ მისი ალი კი ნათელია და ბრწყინვალე.

- იგი მწუხარებას უმატებს.
- მაგრამ ეს მწუხარება სასიამოვნოა.
- იგი გონებას აძნელებს!
- მაგრამ გულს კი ამაგრებს.

– ოხ, ეს სიყვარული! შესძახა როდოპისმა, განა ეროსისაგან გაწვრთნილი ყმაწვილი არა ლაპარაკობს ისე, თითქოს მთელი თავის ცხოვრება მჭევრმეტყველების სკოლაში გაეტარებინოს.

– შეყვარებულნი, განაგრძო კრეზმა, – ურჩი მოწაფენი არიან. რაც უნდა საფუძვლიანად დაუმტკიცოთ, რომ სიყვარული შხამია, ცეცხლი, სისუღელე, სიკვდილი, იგინი მაინც იტყვიან: „მაგრამ ტკბილია“, და წინანდებულად განაგრძობენ სიყვარულს.

ამ დროს ოთახში საძოვო შემოვიდა. განიერ სახლებიანი თეთრი კაბა, მორთული წითელის ნაკერის კუწუბებით, ამშვენებდა მის ნაზს ტანს, კაბის ნაოჭი წელში ჰქონდა მოკრეფილი და ზევიდამ ოქროს ქამარი ეკრა. მის თმებში ახალი ვარდები ბრწყინავდნენ და გული დამშვენებული ჰქონდა ძვირფასის ვარსკვლავით, რომელ-იც მისთვის ბარტიას ეწუქებინა.

მოხდენილის მორცხობით მან თავი დაუკრა მოხუცს კრეზს, რომელმაც მას დიდხანს თვალი ვერ მოაშორა. რამდენსაც უფრო დიდხანს უყურებდა მის ქალწულებრივს მომხიბლავს სახეს, იმდენი უფრო სიამოვნება ეტყობოდა კრეზს სახეზედ. მას მოაგონდნენ წარსულნი დრონი; ერთს წამს სიყმაწვილე დაუბრუნდა; იგი თავის უნებურად მიუახლოვდა ქალს, სიყვარულით დაუკოცნა შუბლი, მოჰკიდა ხელი, მიიყვანა ბარტიასთან და უთხრა: წაიყვა ეს, თუ გინდ რომ მთლად ახემენიდევი წინააღმდეგნი გაგვიხდენ!

– მამ მე აღარა მეთქმის რა? ჰკითხა როდოპისმა ღიმილით და თვალებში ცრემლები ერეოდა.

ბარტიამ მარჯვენა და საძოვო მარცხენა ხელები დაუჭირეს როდოპისს და ვედრებით შეჰყურებდნენ თვალებში. ბოლოს იგი წელში გაიმართა და წინასწარმეტყველისავით წარმოსთქვა:

– დაგიფაროთ ეროსმა, რომელმაც თქვენ შეგაერთათ, ზევესი და აპოლონი მფარველნი იყვნენ თქვენი. მე მიმანინხართ თქვენ ერთს ტოტზედ მობძულ ორს ვარდად, რომელნიც გაზაფხულზედ

სიყვარულით და ბედნიერებით არიან დამტკნარნი; რას მოგიტანთ თქვენ ზაფხული, შემოდგომა და ზამთარი – ეს დაფარულია წიაღსა შინა ღმერთებისათა. დაე აღერსიანად გაიღიმონ აჩრდილთა შენის მშობლებისათა, ჩემო სამო, როდესაც ეს ამბავი მათს საუკუნო სადგურამდის მიაღწევს.

ამ ამბის სამი ღღის შემდეგ საისის ნავთსადგურის ნაპირები კვალად ხალხით იყო სავსე. ხალხი შეიკრიბა, რომ უკანასკნელად გამოშვიდობებოდნენ მეფის ქალს, უცხო ქვეყანაში მიმავალს. ამ დროს ისე სჩანდა, თითქოს ეგვიპტელთ მართლა წრფელის გულით უყვარდათ თავეთი მეფე.

როდესაც ამაზისი და ლადისა ნიტეტისი თვალცრემლიანი უკანასკნელად ერთმანეთს მოეხვივნენ; როდესაც ტახოტი, მთელი საისელების თვალწინ, ნილოსზედ ჩამავალს კიბეზედ, ტირილით გადაეხვია თავის დას; როდესაც გემი, რომელშიაც სპარსეთის მეფის საცოლო იჯდა, დაიდრა და მოშორდა ნაპირებს, თითქმის ყველა მოცქერალთ თვალები ცრემლებით აღევსოთ.

მხოლოდ ქურუმები, როგორც ყოველთვის, მოჭმუხვნილის სახით და ცივის გულით უყურებდნენ ამ ამბავს.

ბოლოს, როდესაც ეგვიპტელების გემებიც წავიდნენ, ბევრმა წყევლა-შეჩვენება გაატანა მათ თან; ტახოტი კი ისევ დიდხანს უქნევდა წამსვლელებს თავის მოსახვევს. იგი გაუწყვეტლად სტიროდა. ვისთვის იღვრებოდა ეს ცრემლები; ნიტეტისათვის, რომელთანაც თავის სიყმაწვილე გაატარა, თუ მშვენიერის და საყვარელის ბარტიასათვის.

ამაზისი, მთელი ხალხის თვალწინ, მოეხვია თავის ცოლს და ქალს. მან მალლა აიყვანა თავის შვილისშვილი პატარა ნეხო, რომლის დანახვაზედ ეგვიპტელთ აღტაცებით შეჰყვირეს. ნეხოს მამა ფსამეტიხი მღუმარედ იდგა მეფის გვერდით, რომელიც მას თითქოს ყურადღებას არ აქცევდა. ბოლოს მასთან უმაღლესი ქურუმი ნეიტოტეპი მივიდა. მან მიიყვანა ფსამეტი[ხი] მამასთან, მისი ხელი მეფის ხელს დააჭერინა და მაღალის ხმით სთხოვა

ღმერთებს კურთხევა მთლად მეფის სახლობისა.

ამ ლოცვის დროს ეგვიპტელნი დაჩოქილნი იყვნენ და ხელე-
ბი მალლა ჰქონდათ გაპყრობილნი. ამაზისმა ჩაიკრა გულში თავის
შვილი ფსამეტისი და ჩუმად უთხრა უმაღლეს ქურუმს, როდესაც
მან ლოცვა გაათავა:

- ვიცხოვროთ მშვიდად ჩვენის და ეგვიპტის გულისათვის.
- შენ ნებენხარის წერილი მიიღე?
- სამოსელი გეძი ზღვის ყაჩაღებისა სღვენის ჭანესის ნავს.
- ეხლა შორს მისცურავს შენი წინამოადგელისა ქალი, რომელ-
იც ეგვიპტის ტახტის ნამდვილი მემკვიდრე იყო.
- მემქნისში ელინების ტაძრის აშენება შეყენებული იქნება.
- მოგვანიჭოს ჩვენ იზიდამ მშვიდობა, ბედნიერება და კეთილ-
დღეობა იყოს მთელს ეგვიპტეში.



ნაუკრატისში მცხოვრებმა ბერძნებმა ლხინი გამართეს უცხო
ქვეყანაში გამგზავრებულის ამაზისის ქალის პატივისსაცემლად.
ბერძნების ღმერთების საკურთხეველში მსხვერპლად ბევრი
საქონელი დაკლეს და როდესაც ნილოსის ნაგები ნავოსადგურში
მივიდენ: მოისმა ხმაურობა: „ელინელებისგან“!

მორთულმა ქალებმა მიართვეს ნიტეტისს ოქროს თავსაკრავი,
რომელსაც გარშემო სურნელიანი ია ჰქონდა შემოვლებული.

ეს თავსაკრავი უნდა მიერთმია საჭოს, როგორც ყველაზე
ლაძაზს ქალს ნაუკრატისში.

როდესაც საჩუქარი მიიღო ნიტეტისმა შუბლზედ აკოცა მას.
შემდეგ თავის გემში ჩაჯდა.

მეგემეებმა მოუსვეს და დაიწყეს სიმღერა. სამხრეთის ქარმა
დაჰბერა და გააფრიალა იალქნები. ბარტიამ გემიდან უკანასკნელად
ანიშნა თავის სატრფოს სალამი. საჭო იღუმალად ევედრებოდა
აფროდიტა ევპლოიას, მეგემეების მფარველს. დაწვებზედ ცრემ-
ლები ჩამოსდიოდა, მაგრამ ტუჩებზედ კი იმედისა და სიყვარუ-
ლის ღიმილი ეთამაშებოდა. ამ დროს მოხუცი ძელიტა, რომელ-
საც საბოს ქოლგა ეჭირა, ხმამაღლა ტიროდა. როდესაც ყვავილების

გვირგვინიდან, რომელიც საძოს თავზედ ედგა, რამდენიმე ფურცელი ჩამოვარდა, მან მცირე ხანს დაავიწყა თავისი მწუხარება და ჩუმად უთხრა საძოს.

– დიაღ, ჩემო კარგო, სჩანს რომ გიყვარს: ყველა ქალები, რომელნიც თავიანთის გვირგვინების ფურცლებს ჰკარგავს, ეროსის ისრისაგან არიან დაკოდილნი.

ნაწილი მეორე.

I

შვიდი ღღის შემდეგ, იმ დღის გზაზედ, რომელიც დასავლეთის მხრით ბაბილონში შედიოდა, ბევრი ეკიპაჟები და ცხენოსნები გამოჩნდნენ; იგინი უახლოვდებოდნენ უდიდესს ქალაქს, რომელიც შორიდან უკვე მოჩანდა.

ოთხსთვლიანს ეკიპაჟში, რომელიც ოქროსფერად იყო დაფერილი და ზევიდამ ოქროსფერივე ფარჩის ჩარდახი ედგა, ასული ფარაონისა ნიტეტისი იჯდა.

ეკიპაჟს ორივე მხრით ჩვენი ნაცნობნი სპარსეთის დიდებულნი და ლიდის მეფე თავის შვილით მისდევდნენ.

ორმოცდაათი სხვა ეკიპაჟი და ექვსასი სული ცხოველი მისდევდნენ მათ უკან, ხოლო სპარსეთის ჯარის დასი მშვენიერის ცხენებით წინ მიუძლოდა.

გზა ეფრატის ნაპირს მისდევდა, აქეთ-იქით ყანები იყო დათესილი. მინდვრად მდგარი ინდისხურმის ხეები დაზორტკილნი იყვნენ. თუმცა დრო ზამთრისა იყო, მაგრამ მზე მაინც იკბინებოდა და ბრწყინავდა ლაჟვარდს ცაზედ. დიდი მდინარე აჭრელბუღი იყო ნაგებით და ხომალდებით, რომელთაც საქონელი მოჰქონდათ საბერძნეთიდან და მცირე აზიიდან. გაყვანილის მიღებით და წყლის ამყვანი მაშინებით ირწყობოდნენ მინდვრები, შემოსილნი ნათესებით და ხეხილებით. ყოველისფერი ამტკიცებდა, რომ უახლოვდები უძველეს განათლებულს სამეფოს, რომელსაც გულისშემატკივარნი მმართველნი ჰყავდა.

ეტლი და ნიტეტისის ამაღა შესდგა აგურის გრძელს შე-
ნობასთან, რომლის აქედ-იქითაც პლანტაცია იყო. კრეზი ცხე-
ნიდამ გადმოხტა, მიუახლოვდა ეტლს, რომელშიაც ეგვიპტის
დელოფალი იჯდა, და სთქვა:

– ჩვენ უკანასკნელს სტანციასთან მივედით! აგერ ის მაღალი
გოდოლი არის ტაძარი ბაალისა და ეს ტაძარი არის კაცის
ხელისაგან გაკეთებული ერთი უდიდესი ქმნილება. ვერ მზე
ჩასული არ იქნება, რომ ჩვენ ბაბილონის რკინის კარებთან მივალთ.
ნება მიბოძეთ ეტლიდამ გადმოგსვათ და სახლში შენი მოახლეე-
ბი გამოგიგზავნო. დღეს შენ ისე უნდა ჩაიცვა, როგორც იცვამენ
ხოლმე სპარსეთის დედოფალნი, რომ კამბიზს მოეწონო. რამდენ-
იმე საათის შემდეგ შენ წარსდგები წინაშე შენის ქმრისა. რანაირ
გაფითრებულხარ! იზრუნე მაზედ, რომ შენმა მოახლეებმა ფერის
წასმით დაჰფარონ შენი ფერმკრთალობა, რომ კამბიზს მოეწონო.
ხშირად პირველი შთაბეჭდილება გადასწყვეტს ხოლმე მომავალს
ბელს. თუ რომ შენ პირველს დანახვაზედვე მოეწონები, რაშიაც
ეჭვი არა მაქვს, მაშინ შეიძლება მოხდეს, რომ კამბიზის გული
საუკუნოდ მოინადირო; თუ რომ არ მოიწონე, მაშინ შეიძლება
მან ალერსიანად თავის დღეშიაც არ შემოგხედოს. გამხნევდი,
ჩემო ქალო, გამხნევდი! განსაკუთრებით დაინსომე ჩემი დარიგე-
ბანი.

ნიტეტისმა მოიწმინდა წამწამზედ მკრთოლვარე ცრემლი და
მიუგო:

– როგორ გადაგიხადო, კრეზო, მაღლობა შენის გულკეთილო-
ბისათვის; შენ ჩემი მეორე მამა ხარ, ჩემი მფარველი და დამრიგე-
ბელი! შემდეგშიაც მარტო ნუ დამტოვებ! ამოდენა გამოვლილს
გზაში მხოლოდ შენ იყავ ჩემი თანამგზავრი და მფარველი; თუ
რომ როდისმე ცხოვრების მძიმე გზაზედ მწუხარებას და უბე-
ღურებას შეეყვრები, მაშინაც ნუ დაიშურებ ჩემზედ ზრუნვას და
შემწეობას! გმადლობთ, მამაჩემო, ათასჯერ გმადლობთ.

ამ სიტყვებთან ერთად ქალი გადაეხვია მოხუცს თავის ფუნ-
თრუშა ხელებით და, როგორც ნამდვილმა შეილმა ისე დაჰკოცნა.

როდესაც სახლის კარებში შევიდა, მას წინ მიეგება კაცი,
რომელსაც მოახლეები მისდევდენ უკან. ეს კაცი საჭურისების

უფროსი იყო, სპარსეთის სასახლის ერთი უდიდებულესთაგანი. იგი მაღალის ტანისა იყო და საკმაოდ ჩასუქებული, უწვერო სახეზედ ცბიერი ღიმილი ეთამაშებოდა, ყურებზედ საყურები დაჰკონწიალობდენ; ხელები, ფეხები, ყელი და ქალის ტანსაცმელსავით გრძელი ტანისამოსი, ყოველივე დაფარული იყო ძემკვებით და ბეჭდებით და თმაც სურნელებით ჰქონდა შემურვილი.

ბოგესმა (ასე ეძახდენ საჭურისს) მოწიწებით დაუკრა თავი ეგვიპტელს ქალს და, მიიღო რა პირზედ ბეჭდებით შეჭედილი ხელი, სთქვა:

– კამბიზი, მეუფე ქვეყნიერობისა, მგზავნის მე თქვენს წინაშე, დედოფალო, იმისთვის, რომ მე ვაპკურო თქვენი გული იმის მოსალმების ცვარით. ამასთანავე, ჩემის ხელით გიგზავნით თქვენ ქალების სპარსულს ტანისამოსს, რომ შენ, როგორც შეშვენის ქვეყანაზედ უძლიერესი მეფის მეუღლეს, მიუახლოვდე მიდიურის ტანისამოსით ახემენიდების კარს. ეს ქალები, შენი მონები, შენს ბრძანებას ელიან. შენ, ეგვიპტის ლალს, სპარსეთის აღმასათ გადაგაქცევენ.

ბოგესი გვერდზედ მიდგა და ჩამოსახლომის სახლის პატრონს ანიშნა, რომ მას შეეძლო გადაეცა დედოფლისთვის სახალი, ხილით სავსე, რომელიც მშვენივრად იყო დაწყობილი.

ნიტეტისმა აღერსიანი მაღლობა გადაუხადა ორივე კაცს, შევიდა სახლში, თვალცრემლიანმა გაიხადა თავის ქვეყნის ტანისამოსი და უბძანა თავის ზშირი თმა მარცხენა მხარედ გაეშალათ, რადგანაც ასე ჰქონდათ ხოლმე ეგვიპტის დედოფლებს; შემდეგ უცხო მოახლებებმა მიდიური ტანისამოსი ჩააცვეს.

ამ დროს ნიტეტისის მხლებელთ განკარგულება მოახდინეს საუზმე მოემზადებინათ. გაწრთვნილმა მოსამსახურეებმა მოიტანეს სკამები, სტოლები და სკივრებიდამ ოქროს ჭურჭელი ამოიღეს; მხარეულები ფაციფუცობდენ და ისე შველოდენ ერთიერთმანეთს, რომ რამდენიმე წამის განმავლობაში მდიდრული სუფრა გაიშალა, ასე გასინჯეთ, სუფრა ყვავილებითაც კი შეამკეს.

მთელი მოგზაურობის განმავლობაში ამისთანა მდიდრული სუფრა იშლებოდა ხოლმე, რადგანაც ყოველი საჭირო ავეჯეულობა ცხენებით თან მიჰქონდათ. ამასთანავე გზაზე ყოველს

ოთხი მილის შემდეგ სასტუმრო იყო გამართული; აქ იცვლებოდენ ცხენები; დაჩრდილული ხეები იზიდავენ მოგზაურის თვალს პაპანაქება სიცხეში; მთებში კი ამისთანა სასტუმროები იმისთვის იყვნენ, რომ თოვლის ბუქისა და სიცივისაგან შეწუხებულთ თავი შეეფარებინათ.

სპარსეთის სასტუმროები, რომელნიც ჩვენებურს ფოსტის სტანციებს ჰგავდნენ, შემოიღო დიდმა კირმა, რომელიც ცდილობდა კარგის გზების გაკეთებით შეემოკლებინა თავის დიდს სამეფოში მისასვლელ-მოსასვლელი მანძილი. კირმავე გამართა ისეთი ფოსტები, რომელნიც ეხლანდელს ფოსტებს ბევრითა ჰგავდნენ.

როდესაც მოქეიფენი, რომელთა შორის ბოგესიც იყო, სუფრიდამ აღვინ, სტანციის სახლის კარები კვალად გაიღო და შიგნიდამ რაღაც ხმაურობა მოისმა. სპარსელთა წინაშე იდგა ნიტეტისი, რომელსაც მიდიური ძვირფასი ტანისამოსი ეცვა და გრძნობდა თავის ძლევაგამოსილს სილამაზეს, თანაც ყურებადის წითლდებოდა, როდესაც თავის მოგზაურთა გაკვირვებას ხედავდა.

აზიურის ჩვეულებისამებრ მისი მოსამსახურენი თავის უნებურად დაეცნენ მის ფერხთა წინაშე; კეთილშობილნი ახემენიდები კი პატივისცემით იხრიდნენ მის წინ თავს. ამ დროს ვინც მას ნახავდა, ეგონებოდა, რომ მან თავის სამშობლოს ტანისამოსთან ერთად უარჰყო მორცხობა, და ძვირფასი თვლებით მოქარგული სპარსული ტანისამოსის ჩაცმით შეითვისა ამპარტაენება და მეფური დიდებულება.

მას ახარებდა ყველასაგან პატივისცემა; მან მოწყალების ნიშნად ხელი გაიქნია და მადლობა გადაუხადა პატივისცემელთ; შემდეგ მიუბრუნდა საჭურისების უფროსს და უთხრა ალერსიანად, მაგრამ მედიღურად კი:

– შენ შენი მოვალეობა შეასრულე. მე კმაყოფილი ვარ შენგან მორთმეული ტანისამოსით და მოახლეებით. მე ვუქებ ჩემს ქმარს შენს საქმის ცოდნას და თავაზიანობას. სინამ კი მიიღე ეს ოქროს ძეწკვი პატივისცემის ნიშნად.

ყოვლად შემძლებელმა მეფის ცოლების მეთვალყურემ ნიტეტისის ტანისამოსს აკოცა და მიიღო საჩუქარი. მის ქვეშევრ-

დომთაგან არც ერთი ქალთაგანი არასდროს არ მოჰქცევოდა მას ასეთის სიამპარტავნით. დღევანდლამდის კამბიზის ყველა ცოლები აზიელები იყვნენ და, რაკი კარგად იცნობდენ საჭურისების ყოვლადშემძლებელს უფროს, ყოველს ღონისძიებას ხმარობდენ, რომ პირფერობით და წყნარის ქცევით დაემსახურებინათ მისი მოწყალება.

ბოგესმა კვალად თავმდაბლად დაუკრა თავი ნიტეტისს; მან აღარავითარი ყურადღება არ მიაქცია მას. კრეზს მიუბრუნდა და ჩუმად უთხრა:

– შენ კი, ჩემო მეგობარო, ვერ გადავიხდი პატივისცემას ვერც სიტყვით და ვერც საჩუქრებით ყოველივე იმისათვის, რაც შენ ჩემთვის მოიქმედე, რადგანაც მხოლოდ შენ იქნები მიზეზი, უკეთუ ჩემი ცხოვრება ამ სასახლეში, თუ რომ სრულიად ბედნიერად არა, მშვიდობიანად მაინც წავა. შემდეგ ნიტეტისმა ხმამალა სთქვა, ასე რომ ყველას ესმოდა: – მიიღე ჩემგან ეს ბეჭედი, რომელიც ხელიდამ არ მომიშორებია, რაც ეგვიპტიდამ გამოვედი. ამის ფასი უბრალოა, მაგრამ მნიშვნელობა კი დიდი აქვს. ეს პიფაგორმა აჩუქა დედაჩემს, როდესაც ისმენდა ჩვენი ქურუმების ბრძნულს სწავლას; დედაჩემმა კიდევ მე მაჩუქა ეს ბეჭედი, როდესაც ჩემს სამშობლოს ვშორდებოდი. უბრალო ფირუზის თვალზედ ამოჭრილია ციფრა შვიდი. ეს კენტი რიცხვი სხეულისა და სულის სისაღეს ნიშნავს, რადგანაც სისაღეზედ გაუყოფელი არაფერია. თუ რომ სხეულის რომელიმე უბრალო ნაწილი კარგად არ არის, მთელი კაციც ავად არის; თუ რომ ცუდი აზრი დაისადგურებს ჩვენს გულში, მაშინ მთლად სულის ჰარმონია იშლება. დაე, ეს რიცხვი შვიდი მარადის გაგონებდეს ჩემს სურვილს, რომ შენ ყოველთვის ბედნიერი იყო სხეულის სისაღით და გაქნდეს მოსიყვარულე მშვიდი გული. მაღლობას ნუ გადამიხდი, მამაჩემო, რადგანაც მაშინაც კი მოვალე ვიქნებოდი შენი, თუგინდ რომ შემეძლოს დავუბრუნო კრეზს სიმდიდრე კრეზისა. შენც, გიგეს, მიიღე ეს სპილოს ძვლისაგან გაკეთებული ლიდიური ქნარი, და როდესაც მის სიმთ იჟღერონ, მოიგონებდე მას, ვინც იგი გაჩუქა. შენ კი ზოპირ, გაძღვე ამ ოქროს ძეწკვს, რადგანაც, რამდენადაც გავიგე, შენ ყოველთვის ერთგული მეგობარი იყავ შენის ამხ-

ანაგებისა. რაც შენ შეგეხება, დარი, მე ვიცი, რომ შენ ძალიან გიყვარს ეგვიპტის სიბრძნე და ვარსკვლავებით მოჭედული ცა, ამისათვის გაძლევ საჩუქრად ამ ოქროს რკალს, რომელზედაც ხელოვნებით ამოჭრილია ზოდიაკის ნიშნები. შენ კი, ჩემო საყვარელო მაზლო ბარტია, გაძლევ ერთს უძვირფასესს საუნჯეთაგანს, რომელიც კი მე მაქვს. აილე ეს თილისმა, ლურჯი ქვისაგან გაკეთებული. ჩემმა დამ ტახოტმა დაძვირდა ეს გულზედ მაშინ, როდესაც ძილის წინად უკანასკნელად ვაკოცე. მან მითხრა, რომ ეს თილისმა ბედნიერად დაუგვირგვინებს სიყვარულს მას, ვინც ატარებსო. ამ დროს, ბარტია, მან იტირა. მე არ ვიცი, ვიზედ ფიქრობდა გულკეთილი ქალი, მაგრამ იმედი მაქვს, იმასაც ესამოვნება, ეს საუნჯე რომ შენ გადმოგცე. წარმოიდგინე, რომ ტახოტი გაძლევს ამას ჩემის ხელით და ხანდისხან მოიგონებელ ხოლმე ჩვენს თამამობას საისის ბაღებში.

აქამდი ნიტეტისი ბერძნულად ლაპარაკობდა. ახლა კი სპარსულს ენაზედ დაიწყო მტკვრევა და უთხრა მოსამსახურეებს:

– თქვენც გმადლობთ! თქვენ ყველანი ბაბილონში მიიღებთ ას ოქროს სტატერს. გიბრძანებ შენ, ბოლეს, უთხრა მან საჭურისს, ზედ უსათუოდ დაურიგო ამ ხალხს აღნიშნული საჩუქარი. წამიყვანე ეტლთან, კრეზო!

მოხუცი კრეზი საჩქაროდ დამორჩილდა. იმ დროს, როდესაც მას ნიტეტისი ეტლთან მიჰყავდა, ქალმა მისი ხელი გულზედ მიიკრა და წასჩურჩულა:

– ხომ კმაყოფილი ხარ ჩემის ქცევით, მამაჩემო?

– მე გეუბნები, ჩემო შვილო, რომ ამ სასახლეში მეფის დედის შემდეგ პირველი შენ იქნები, რადგანაც შენს შუბლზედ ბრწყინავს ნამდვილი მეფური ამპარტავნება და მცირედი საშუალებით ბევრის გაკეთება იცი. სპარსელებს ჩვეულებად აქვთ საჩუქრების აღებ-გაცემა. მათ იციან ერთიერთმანეთის გამდიდრება; ახლა შენ ასწავლე ერთიერთმანეთის გაბედნიერებაც. რა მშვენიერი ხარ! კარგად ზიხარ, თუ კიდე გინდა ბალიშები! მაგრამ ეს რა არის? ხელამ გზიდამ ავარდნილს მტკვერს ქალაქის მხარეს? ეს სწორედ კამბიზი იქნება, შენს მოსაგებებლად მოდის. გამხნევი, შვილო ჩემო! განსაკუთრებით ეცადე თვალი გაუსწორო შენი

ქმრის თვალებს. თუ რომ შენ გაბედვით და შეუკრთომლად შეხედავ მას, ეს შენის მხრით გამარჯვება იქნება. გამხნევი, გამხნევი, ჩემო შვილო; აფროდიტა იყოს შენი შემწე და შემამკობელი თავის მომხიბლავის მშენიერებით. ცხენებზე შესხედით, მეგობრებო; მგონი მეფე მოდის ჩვენსკენ!

ნიტეტისი წელში გაიმართა, ხელი მღელვარე გულზედ მიედო და ისე იჯდა ეტლში. მტვრის ბუქი თანდათან ახლოვდებოდა. აი მზის სხივებზედ მოგზაურთა იარაღმა ლაპლაპი დაიწყო; შემდეგ მტვერი აქედ-იქით გაიფანტა და მგზავრები გამოჩნდნენ; რამდენიც დრო გადიოდა, იმდენი უფრო და უფრო გვიახლოვდებოდნენ მოგზაურები. მგზავრებიც და მათი ცხენებიც სულ ოქრო-ვერცხლით იყვნენ შეჭვდილნი. ორასი მეტი ცხენოსანი უკან მოსდევდა კაცს, რომელიც შავს ქურანს ცხენზედ იჯდა. ეს ცხენი არაერთხელ ცდილობდა გაეტაცნა თავისი მხედარი, მაგრამ იგი ძლიერის ხელით უჭერდა მას თავს და აცნობებდა ქაფში გაცურებულს ცხენს თავის ძალას. ამ ცხენოსანს თეთრ-წითელი ტანისამოსი ეცვა, რომელზედაც ნაკერი არწივები და მიმინოები იყვნენ გამოსახულნი. განიერი შარვალი და ყვითელი ტყავის წაღები ეცვა. წელზედ ოქროს ქამარი ერტყა, რომელზედაც ხანჯლის მსგავსი ხმალი ეკიდა, მოჭვდილი ძვირფასის თვლებით. დანარჩენი ტანისამოსი ისეთივე ეცვა, როგორც ბარტიას. სქელი შავი თმა ჰქონდა, ამავე ფერის დიდი წვერი ყბებს და ნიკაპს სრულიად უფარავდა. მაღალს შუბლზედ ომში ხმლის ნაკრავი ღრმათა ჰქონდა გავლებული, ცხვირი დაკაუჭებული ჰქონდა და ტურები წვრილი. მთლად მის არსებას ეტყობოდა მეტისმეტი სიძლიერე და უზომო ამპარტავნება.

ნიტეტისმა თვალი ვერ მოაშორა ამ კაცს, ამის მსგავსი კაცი თავის დღეში არ ენახა, ეგონა, რომ ეს უზომო ამპარტავნული შეხედულობა გამომეტყველი იყო ვაჟკაცურის ძლიერებისა. მას ეგონა, რომ ამ კაცის მოსამსახურედ მთელი ქვეყანა იყო შექმნილი და ყველაზედ უწინარეს, თვით იგი. მის დანახვაზედ იგი შიშმა შეიპყრო, მაგრამ მისი ქალობრივი გული მიივლტოდა მოხვეწონდა მის ყელს ისე, როგორც ვაზის ტოტი შემოეხვევა ხოლმე ღონიერს ხეს. იგი ხანა წითლდებოდა და ხან ყვითლდე-

ბოდა. მას დაავიწყდა თავის მეგობრის კრეზის დარიგება, მაგრამ მაინც, როდესაც კამბიზმა თავის გიჟმაჟი ცხენი ეტლთან შეაყენა. მან სული გამელა და დაუწყო ცქერა ამ კაცის აღზნებულს თვალს, რაკი იცოდა, რომ იგი მეფე იყო, თუმცა ეს მისთვის არავის უთქვამს.

რამდენსაც ნიტეტისი დიდხანს უყურებდა, იმდენი უფრო ნახევარ ქვეყნის მფლობელის სახეს აღერსიანობა ეტყობოდა. ბოლოს კამბიზმა თავის სალაში ხელით ანიშნა და მხლებლები-საკენ წავიდა, რომელნიც მსწრაფლად ჩამოხტენ ცხენებიდამ, ზოგნი მეფის წინ პირქვე დაემხნენ და ზოგნიც სახლებში ხელებშეყოფილნი იდგნენ და მდაბლად თავს უკრავდენ.

ეხლა თვით მეფეც გადმოხტა ცხენიდამ. მის მაგალითს მისი მხლებლებიც მიჰყვნენ. მოსამსახურეთ სწრაფად გაშალეს ხალიჩები, რომ მეფის ფეხები გზის მტვერს არ მიჰკარებოდენ, რამდენიმე წამის შემდეგ კამბიზი მიესალმა თავის ნათესავებს და მეგობრებს და უშვერდა ტუჩებს საკოცნელად.

შემდეგ კამბიზმა ხელი ჩამოართვა კრეზს და უთხრა შემჯდარიყო ცხენზედ და ნიტეტისის ეტლს გაჰყოლოდა, რომ თარჯიმნად ყოფილიყო ცოლ-ქმართა შორის.

დიდებულნი მისცვივდენ მეფეს და ცხენზედ შევდომა უშველეს; მან ანიშნა და ყველანი დაიძრენ.

კრეზი კამბიზის გვერდით მიდიოდა, ოქროს ეტლის ახლოს.

– იგი მშვენიერია და ჩემი გული დაატყვევა, უთხრა კრეზს. ეხლა სიტყვა-სიტყვით გადამითარგმნე ჩემს კითხვებზედ რა პასუხსაც მომიგებს, რადგანაც მე მარტო სპარსული, ასურული და მიდიური ენები ვიცი.

ნიტეტისმა გაიგო ეს სიტყვები. მისი გული გამოუთქმელის გრძნობით აივსო და უპასუხა სპარსულად:

– როგორ გადაუხლო მადლობა ღმერთებს, რომელნიც დამეხმარნენ მეპოვნა მოწყალეება თქვენთა თვალთა წინაშე? ჩემთვის სრულიად გაუგებარი არ არის ჩემი მბრძანებელის ლაპარაკი, რადგანაც ეს კეთილშობილი მოხუცი მასწავლიდა სპარსულს ენას ჩვენი დიდი ხნის მოგზაურობის დროს. ნუ გამიწყრები, თუ მე კარგად ვერ დაგელაპარაკები. სწავლის ვადა ძალიან მოკლე

იყო და ჩემი ნიჭი ჩვეულებრივი ქალის ნიჭს არ აღემატება.

კამბიზის ტუჩებზედ ღიმილმა გადირბინა. მას ძალიან მოეწონა ნიტეტისის ლაპარაკი და კმაყოფილებით მიუგო:

– დიდად მესიამოვნება, რომ შენთან უთარჯიმნოდ ვილაპარაკო. განაგრძე სწავლა ჩემთა წინაპართა მშვენიერის ენისა; კრეზი ამას იქითაც შენი მასწავლებელი იქნება.

– შენ მე მახედიერებ მაგისთანა ბრძანებით, უთხრა კრეზმა, რადგანაც იმისთანა გულ-მოდგინე და ნიჭიერს მოწაფვეს მახარებ, როგორიც ამაზისის ქალია.

– იგი ამართლებს ძველადგანვე გათქმულს ეგვიპტურს სიბრძნეს, მიუგო მეფემ: – მე მგონია, რომ იგი მცირე ხნის განმავლობაში მიხვდება მოგვების სწავლას, რომელნიც ასწავლიან მას ჩვენს სარწმუნოებას, რომელსაც შემდეგ სიამოვნებით მიიღებს.

ნიტეტისმა თავი ჩაღუნა. იმ საგანზედ ჩამოვარდა ლაპარაკი, რომელიც მას აშინებდა. ამ დროიდან მას თაყვანი უნდა ეცა უცხო ქვეყნის ღმერთებისათვის ეგვიპტის ღმერთების მაგივრად.

კამბიზმა ვერ შენიშნა მისი მღელვარება და განაგრძო:

– დედაჩემი კასანდანა გასწავლის ჩემი ცოლების მოვალეობას. ხვალ მე თვითონ წაგიყვან დედაჩემთან. კიდევ გიმეორებ, რომ შენ ჩემთვის სასიამოვნო ხარ. ეცადე ეს სიამოვნება არ მოაკლო ჩემს გულს! ჩვენ ვეცდებით, რომ შენ ჩვენი ქვეყანა შეიყვარო და, რადგანაც მე შენი მეგობარი ვარ, გირჩევ ალერსიანად მოექცე ბოგესს, რომელიც შენს წინაშე გამოგზავნე; შენ მას უნდა გაუგონო ხოლმე, რადგანაც იგი უფროსია საქალებო დარბაზისა.

– თუმცა იგი ქალების უფროსია, მიუგო ნიტეტისმა, მაგრამ მე მაინც მგონია, რომ შენს ცოლს შენს მეტი მბრძანებელი არავინ უნდა ჰყავდეს, შენს მცირეოდენს სურვილს ხმის ამოუღებლად დავემორჩილები, მაგრამ ნუ დაივიწყებ, რომ მე მეფის ქალი ვარ და იმ ქვეყნიდამ, სადაც ქალებს და კაცებს ერთნაირი უფლება აქვსთ, და რომ მეც ისეთივე ამპარტავანი ვარ, როგორც შენა, ჩემო მბრძანებელო. შენ, ყოვლად შემძლებელს ჩემს ქმარს და მფლობელს მონასავით დავემორჩილები; მაგრამ არ შემიძლიან მივეფერო ერთს უძღურს კაცს, სულმდაბალს მოსამსახურეს და

ვერც ავასრულებ იმის ბრძანებას.

კამბიზი თანდათან ჰკვირდებოდა და მხიარულდებოდა. ამნაირი ლაპარაკი მას არც ერთის ქალისაგან არ გაეგონა, გარდა თავის დედისა. ამპარტავანი ამპარტავანს მოეწონა. მან კმაყოფილებით დაუქნია ქალს თავი და განაგრძო:

– შენ მართალს ამბობ. მე ვუბრძანებ, რომ საკუთარი სადგომი მოგიმზადონ. შენ მხოლოდ ჩემს ბრძანებას აასრულებ იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოიქცე. გულდია პატარა სახლი დაკიდულ ბაღთა შორის დღესვე მომზადდება შენს საცხოვრებლად.

გმადლობთ, ათასჯერ გმადლობთ, მიუგო ნიტეტისმა, რომ იცოდეთ, რანაირ გამაბედნიერეთ ამისთანა განკარგულებით! შენი საყვარელი ძმა ბარტია ბევრს მელაპარაკებოდა დაკიდებულს ბაღებზედ, და არცერთი სასწაულთაგანი შენის დიდის სამეფოისა ისე არ მოგეწონდა, როგორც ის მეფე, რომელმაც ბრძანა ამ ამწვანებული გორის აშენება.

– ხვალვე შეგიძლიან შენს ახალს სადგომში დადგე. ახლა მითხარ, როგორ მოგეწონენ შენა და ეგვიპტელებს ჩემი ელჩები?

– მაგას როგორ მკითხავ? ვინ არ შეიყვარებდა ამ კეთილშობილს მოხუცებულს, როდესაც მას გაიცნობდა. განა შესაძლო იყო არ დაგეფასებინა ღირსება ახალგაზდა გმირებისა, შენის მეგობრებისა? ყველა იგინი ძვირფასნი შეიქმნენ ჩვენის სახლისათვის; განსაკუთრებით შენი მშვენიერი ძმა იზიდავდა ყველას გულს. ეგვიპტელნი ცუდის თვალთ უყურებენ უცხოქვეყნელთ, მაგრამ როგორც კი შენი ძმა დაინახეს, მთლად ხალხმა მაზედ შექმნა ჩურჩული.

ამ სიტყვების თქმაზედ მეფემ შუბლი შეიჭმუნა. მან ისე შემოჰკრა თავის ცხენს დეზები, რომ იგი ყალყზედ შედგა, მოტრიალდა და თავის მხედარი ამაღასთან მიიყვანა. რამდენიმე წამის შემდეგ ყველანი ბაბილონის კედლებს მიუახლოვდნენ.

თუმცა ნიტეტისი ეგვიპტელი ქალი იყო და უზარმაზარი შენობებისათვის თვალი შეჩვეული ჰქონდა, მაგრამ მაინც ძალიან

გაოცდა, როდესაც დაინახა უზარმაზარი დიდებული ქალაქი.

ქალაქის გალავნის კედლები მტრისაგან აუღებელს ჰგავდენ, რადგანაც ოცი წყრთა სიმაღლე ჰქონდათ, და სიგანით ისეთი განიერი იყო, რომ ორს ეტლს თავისუფლად შეეძლო მაზედ გაეარა. ორას ორმოცდაათი კოშკი ამშვენებდა ამ კედლებს და სიმაგრეს უმატებდა; ამაზედ უფრო ბევრი სიმაგრეების აშენება მოუწებოდათ, თუ რომ ბაბილონს ერთის მხრივამ გაუვალი ჭაობები არა ჰქონოდა. ეს დიდი ქალაქი მდინარე ეფრატის ორივე მხარეს იყო გაშენებული. ამ ქალაქის სირგვლე ცხრა მილი იყო და მის გარს შემოვლებული კედლები იცავდენ იმისთანა შენობებს, რომლებისთანაც არც ფიკში და არც მეფისში არ მოიპოვებოდენ.

ქალაქის რკინის კარი, რომელსაც 50 წყრთა სიმაღლე ჰქონდა, მეფისა და იმის მსლებელთ მიახლოების უმაღვე გაიღო. ამ შესავლის აქეთ-იქით გვერდებზე თითო კოშკი იდგა და მათ წინ გუშავისავით იდგა ქვისგან გათლილი ფრთიანი ხარი კაცის თავით და წვერით. გაკვირვებული უყურებდა ნიტეტისი ამ უზარმაზარს კარებებს და მხიარულად გასცქეროდა გრძელს განიერს ქუჩას, რომელიც მისი პატივისცემისათვის მშვენივრად იყო მორთული.

როგორც კი გამოჩნდა მეფე ოქროს ეტლით, ხალხმა სიხარულით ყვირილი შექნა; ეს ყვირილი განსაკუთრებით უფრო გაძლიერდა მაშინ, როდესაც ხალხმა თავის საყვარელი ბარტია დაინახა, რომელიც მშვიდობიანად დაბრუნებულიყო მოგზაურობიდან. ხალხს თვით კამბიზიც დიდი ხანია არ ენახა, რადგანაც მეფე, მიდიელთა ჩვეულებისამებრ, იშვიათად ენახებოდა ხალხს. აი ამ მიზეზებისა გამო ამ დღეს მთლად ბაბილონი ფეხზედ იდგა, რომ დაენახათ შიშის აღმძვრელი მბრძანებელი და ყველასათვის საყვარელი, მოგზაურობიდან მშვიდობით დაბრუნებული ბარტია. სახლის ფანჯრები სავსენი იყვნენ ცნობისმოყვარე ქალებით, რომელნიც მეფის და მის ამაღლის მიახლოებაზედ ყვავილებს ისროდენ გზაზედ. მთელი ქუჩები მოფენილი იყო ბზისა და სხვა ხეების ყლორტებით. ფანჯრებიდან ხალიჩები და შალეები გამოეფინათ; სხვადასხვანაირის სურნელენით ზავდებოდა ჰაერი; გზის

ორივე ნაპირას ათასობით იდგენ ბაბილონელნი და ხელში ეჭირათ გრძელი ჯვრები, რომელთაც თავებზე ოქროსა და ვერცხლის ვაშლები, ფრინველები და ყვავილები ჰქონდათ გაკეთებული.

ყველა ქუჩები, რომლებზედაც მეფეს თავის ამალით უნდა გაეარნა, განიერები და სწორები იყვნენ; სახლები აგურისა იყო, მადლები და მოხდენილები. ყველა შენობებზედ მაღლად მოჩანდა ტაძარი ბაალისა თავის უზარმაზარის კიბით. მეფე უახლოვდებოდა სასახლეს, რომლის სიდიდეც თვით ქალაქის სიდიდეს შეეფერებოდა. სასახლის კედლებზედ სურათები ეკიდა, რომლებზედაც გამოხატული იყვნენ ფრინველები, ხალხი, ნადირნი და თევზნი, ომიანობა და ნადირობა. ჩრდილოეთისკენ, ზედ წყალზედ, გადაკიდული იყო ბაღები; აღმოსავლეთისკენ, ევრატის მეორე ნაპირზედ აშენებული იყო სხვა უფრო პატარა სახლი, რომელიც კიბით უერთდებოდა უმთავრეს შენობას.

მეფე შევიდა სასახლის ეზოში. ნიტეტისის ეტლის ცხენები შესდგნენ, მონები შველოდნენ მას ეტლიდამ გადმოსვლას. იგი ახალს სამშობლოში იმყოფებოდა და მალე შეიყვანეს ღროებით საცხოვრებელს ქალების ოთახებში.

კამბიზი, ბარტია და დანარჩენი ჩვენი ნაცნობნი თავიანთის მსლებლებით ჯერ ისევ სასახლის ეზოში გაშლილს ხალიჩებზედ იდგნენ, როდესაც ქალების ხმაურობა მოისმა და საკვირველის სიტურფის სპარსელი ქალი, მდიდრულად მორთული, გამოვარდა ეზოში კაცების წინაშე; მას რამდენიმე ქალი მოსდევდა. უკანასკნელნი პირქვე დაემხნენ კაცების ცოტა მოშორებით; მაგრამ, როდესაც ტურფა ქალმა ალერსიანობა დაუწყო შორის გზიდამ დაბრუნებულებს, კამბიზმა შეჰყვირა:

– გრცხვენოდეს, ატოსა! ნუ დაივიწყებ, რომ მას აქეთ, რაც შენ საყურები გაგიკეთეს, ბავშვი აღარა ხარ. მე იმაზედ არაფერს ვიტყვი, რომ შენ ძმის დაბრუნება გიხარიან, მაგრამ სიხარულშიაც მეფის ოჯახის ქალმა მართებულობა არ უნდა დაივიწყოს. წადი დედოფალთან. აგერ იქა დგანან შენი გამზდელები. წადი და უთხარ მათ, რომ დღევანდელის დღესასწაულის გამო შენთვის დანაშაული მიჰატივებია. მაგრამ თუ მეორედ კიდევ მოსულხარ ამ ადგილას, ბოგესს ვუბრძანებ თორმეტი დღით დაგატუსალოს.

გახსოვდეს ეს, შე გიჟო, და უთხარ დედას, რომ მე და ჩემი ძმა ამ საათში მოვალთ მასთან. აბა, ერთი მაკოცე! არ გინდა? დამაცადე, შე ჯიუტო!

ამ სიტყვების შემდეგ მეფე მივარდა ქალს, მარცხენა ხელით ისე ძალიან მოუჭირა ხელზედ, რომ მან ხმამაღლა დაიყვირა, მარჯვენა ხელით კი გადაულო ჯიუტს დას მშვენიერი თავი და აკოცა, ქალი ტირილით გაიქცა თავის გამძლეობისაკენ და დაიმალა სასახლის ოთახებში.

როდესაც ატოსა გაიქცა, ბარტიამ უთხრა:

— კამბიზ, შენ ისე ძალიან მოუჭირე საწყალს ბავშვს ხელი, რომ მან შეჰყვირა ტკივილისაგან.

მეფეს სახე მოეღრუბლა, მაგრამ უშესაბამო პასუხი კი არ მიუცია, მხოლოდ სახლისაკენ გაიშვირა ხელი და უთხრა:

— ეხლა დედასთან წავიდეთ; მოხოვა მიგიყვანო მასთან დაბრუნის უმაღლვე. ქალები ჩვეულებრივ მოუთმენელად გელიან. ნიტეტიშმა მითხრა, რომ შენ ეგვიპტელი ქალებიც მოგიხიბლავს. შეევედრე მირტას, რომ მან საუკუნოდ შეგარჩინოს სიყმაწვილე და დაგიხსნას სიბერის დაღმეჭილობისაგან.

— მაგით ხომ არ გინდა სთქვა, ჰკითხა ბარტიამ, რომ მე სხვა ისეთი ღირსება არა მაქვს რა, რომელიც ჩემს მოხუცებულებას დაამშვენებს.

— მე არავის ავუხსნი ჩემს სიტყვებს. წავიდეთ!

— მე გთხოვ შემთხვევა მამცე, დაგიმტკიცო, რომ ქველმოქმედებით არცერთს სპარსელს არ დაგუვარდები.

— ბაბილონელთ აღტაცება გიმტკიცებს, რომ შენთვის არავითარი ქველობა საჭირო არ არის ხალხის გულის მოსაგებად.

— კამბიზ!

— ეხლა წავიდეთ! მასაგეტებთან ომი უსათუოდ მოგიხდება. შენ გექნება შემთხვევა დაამტკიცო, როგორიც ხარ და რაც შეგიძლიან.

რამდენიმე წამის შემდეგ ბარტია გადახვეული იყო თავის დედასთან, რომელიც გულისცემით მოელოდა თავის საყვარელს შვილს. ეხლა, როდესაც მან გაიგო მისი ხმა და ხელები მოუსვა მის სახეს, ყოველისფერი დაივიწყა, მხოლოდ თავის უნცროსი

შვილის დაბრუნებით ხარობდა და ძლიერს მეფეს, უფროს შვილს კი ნაკლებ ყურადღებას აქცევდა; მეფე მწუხარე ღიმილით უყურებდა თავის დედას, როდესაც იგი მთლად თავის დედობრივის სიყვარულით მარტო უნცროს შვილს ესაყვარლებოდა.

კამბიზი პატარაობითვე ჩვეული იყო ყოველივე თვისი სურვილის ასრულებას, მისი წარბების რხევაც კი ბრძანებად მიაჩნდათ; ამისათვის იგი ვერ იტანდა მცირეოდენს წინააღმდეგობას და საშინლად ბრაზდებოდა ხოლმე, როდესაც რომელიმე თავის ქვეშევრდომი გაუბედავდა შეკამათებას. თუმცა კამბიზის მამა კირი გენიოსი კაცი იყო და სპარსეთის მცირე ხალხი დიდებულ ხალხად გახადა, მაგრამ მან თავის შვილი კარგად ვერ აღზარდა; იგი თხოულობდა, რომ მის შვილს კამბიზს, ჯერ ისევე ყმაწვილს, ყველა ქვეშევრდომნი ბრმად დამონებოდნენ და ის კი ავიწყდებოდა, რომ ვისაც ბრძანებლობა უნდა, პირველად თვითონ უნდა ისწავლოს სხვის სამსახური.

კირის ცოლმა კასანდანამ პირველად კამბიზი შობა, შემდეგ სამი ქალი და ბოლოს, სუთმეტი წლის შემდეგ, ბარტია. კამბიზი ბავშვი აღარ იყო, როდესაც ბარტია დაიბადა და ამისათვის ამ უკანასკნელს მშობლები დიდს ყურადღებას აპყრობდნენ. ლამაზი, ჩვილი გულისა და ალერსიანი ბავშვი შეიქმნა დედ-მამის თაყვანისსაცემელ კერპად. ტახტის მემკვიდრემ კამბიზმა რამდენსამე ომში თავი გამოიჩინა, თვისის ამპარტავანის და მკაცრის ხასიათით მან მოიპოვა სულმდაბალი მონები; მაშინ, როდესაც ბარტიამ თავის კეთილის და მოსიყვარულე გულით შეიძინა ერთგული მეგობრები. ხალხს კამბიზისა ეშინოდა და თრთოდა მის დანახვაზედ, თუმცა ბევრს საჩუქრებს ხარჯავდა და ბარტიაც უყვარდა, როგორც სურათი თავის მამისა.

კამბიზი კარგად გრძნობდა, რომ იგი ვერაფრით ვერ იყიდდა იმისთანა სიყვარულს, როგორსაც ხალხი ბარტიას უცხადებდა. მას არა სძულდა ძმა, მაგრამ შურდა კი, რომ ხალხს უყვარდა ის ბავშვი, რომელსაც ჯერ არავითარი ვაჟკაცობა არ გამოეჩინა. ყოველივე, რაც მას არ მოსწონდა უსამართლობად მიაჩნდა; რაც უსამართლობა იყო, იმას ჰკიცხავდა და მისი გაკიცხვა საშინელია იყო თვით სასახლის დიდებულთათვის.

ხალხის აღტაცებამ, დედისა და დების სიყვარულმა და განსაკუთრებით ნიტეტისის ქებამ, რომელნიც ბარტიას წილად ერგო, კამბიზის გულში ეჭვიანობა დაჰბადა. კამბიზს ნიტეტისი ძალიან მოეწონა. ამ ძლიერის მეფის ქალს კამბიზისავე უბრალო რამ ეჯავრებოდა და სრულიად ემონებოდა მის დიდებულებას; ამ ქალმა კამბიზის გულის მოსაგებად დასძლია ყოველივე სიძნელე და შეისწავლა სპარსული ენა; ამ დიდებულმა ქალმა, რომელსაც სიტურფე ნახევარი ეგვიპტური ჰქონდა და ნახევარი ბერძნული (მისი დედა ელინთა ჩამომავლობისა იყო) გააკვირვა იგი და ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა მასზედ. ამისათვის იმისგან ბარტიას ქებამ მის გულში უკმაყოფილება დაჰბადა და ეჭვიანობას შეაჩვია.

როდესაც კამბიზი თავის ძმით ქალების ოთახებიდამ გამოვიდა, უთხრა მას.

– შენ მთხოვე შემთხვევა მამეცა ვაჟკაცობის გამოსაჩინად. მე შენ მაგაში უარს არ გეტყვი. თაფურები აჯანყდენ და მათ სამზღვრებზედ ჯარი გაგზავნენ. წადი რაგეში, ჯარის უფროსობა ჩაიბარე და დამანახვე, როგორი ხარ და რის გაკეთება შეგძლებია.

– გმადლობთ, ძმაო, უთხრა ბარტიამ. – ნებას მიბოძებ თან წავიყვანო ჩემი მეგობრები – დარია, გიგესი და ზოპირი?

– მაგაზედ უარს არ გეტყვი; იყავით ვაჟკაცი და დროს ნუ დაჰკარგავთ, რომ სამი თვის უკან დაბრუნდეთ უმთავრეს ჯარში, რომელიც მასაგეტების დასასჯელად იგზავნება.

– ხვალვე წავალ.

– მშვიდობით იყავ.

– თხოვნას შემისრულებ, თუ აურამაზდა ჩემს სიცოცხლეს დაიცავს და გამარჯვებული დაებრუნდები?

– შევასრულებ.

– მაშ მე გავიმარჯვებ, თუ გინდ რომ ასის კაცით მომიხდეს ათას კაც თოფურებთან ბრძოლა. ყმაწვილს თვალები უბრწყინავდენ, იგი საძოვზედ ფიქრობდა.

– მე ძალიან მოხარული ვიქნები, თუ შენს მჭევრმეტყველურს სიტყვებს საქმით დაამტკიცებ. მაგრამ მოიცა, მე მინდა ზოგიერ-

თა რამეზედ მოგელეპარაკო, შენ ოცის წლისა შესრულდი და დრო არის ცოლი შეერთო. კეთილშობილი გიდარნესის ქალი როსკანა სრული წლოვანი შეიქმნა. ამბობენ, რომ ძალიან ლამაზია და ჩამომავლობითაც შენი საფეროა.

– ჩემო ძმაო, ცოლის შერთვაზედ ნუ მელაპარაკები, მე...

– შენ ცოლი უნდა შეერთო, რადგანაც მე უშვილო ვარ.

– მაგრამ შენ ჯერ ყმაწვილი ხარ და უშვილოდ არ დარჩები; მე არც ვამბობ, რომ თავის დღეში ცოლს არ შევირთავ; ნუ გამიწყრები, ეხლა, როდესაც ჩემი ვაჟკაცობა უნდა გამოვიჩინო, ჯერ არ მინდა ცოლი შევიერთო.

– მაშ როდესაც დაბრუნდები, როსკანა უნდა შეერთო. მაგრამ გირჩევ კი, რომ ლამაზი ქალი თან წაიყვანო ომში. სპარსელები მაშინ უფრო ვაჟკაცურად იბრძვიან ხოლმე, როდესაც თავის გულის საუნჯენი თავიანთ ჯარში ჰყავთ.

– ამ საქმისგან დამიხსენ, ჩემო ძმავე. გაფიცებ მამაჩემის სახელს, ნუ მამახვევ თავს იმისთანა ცოლს, რომელსაც არ ვიცნობ და არც მინდა ვიცნობდე. როსკანა ქალების მოტრფიალე ზოპირს მიათხოვე, მიეცი იგი დარიას ანუ ბესს, რომელნიც გიდარნეს ნათესავად მოხვდებიან; მე კი უბედური ვიქნებოდი...

კამბიზმა გაიცინა და ძმას ლაპარაკი გააწყვეტინა:

– შენ რომ კაცმა ყური დაგიგდოს, ეგონება რომ სპარსელი აღარა ხარ და ეგვიპტელი გამხდარხარ. მე არაერთხელ ვინანე, რომ ისეთი ბავშვი, როგორიც შენა ხარ, უცხო ქვეყანაში გაგზავნე! მე ჩვეული არა ვარ, რომ ჩემს სურვილს ვინმე ეწინააღმდეგოს და ომი გათავდება თუ არა, ცოლი უსათუოდ უნდა შეერთო. ეხლა კი შეიძლება უცოლო წახვიდე ომში, რადგანაც ისეთი არაფერი მინდა თავზედ მოგახვიო, რაც შენს ვაჟკაცობას შეამცირებს. მაგრამ მგონი სხვა საიდუმლო მიზეზების გამო ჰყოფ უარს ცოლის შერთვაზედ. მაშ მებრალები. ეხლა წადი. მაგრამ ომის შემდეგ შენს უარის თქმას ყურადღებას არ მივაქცევ. ხომ კარგად იცი ჩემი ხასიათი!

– ომის შემდეგ იქნება მე თვითონ გთხოვო ისა, რასაც ეხლა უარსა ვყოფ. ძალად ბედნიერების თავზედ მოხვევა უბედურების მსგავსია. გმადლობთ თხოვნის აღსრულებისათვის.

– ეცადე, რომ ჩემი თავაზიანობა ბოროტად არ მოიხმარო. რა მხიარულადა ხარ! როგორც გატყობ შენ გიყვარს ვინმე და ამისათვის სხვა ქალები გეჯავრებიან.

ბარტია ყურებადმის გაწითლდა, ძმას ხელი დაუჭირა და უთხრა: „ბევრს ნულარ გამომეკიდები, ნება მიბოძე მეორეთ გადაგიხადოთ მადლობა. ნებას მამცემ დედასთან და ატოსასთან გამოთხოვების შემდეგ ნიტეტისსაც გამოვეთხოვო?“

კამბიზმა ტუჩზედ იკბინა, დაკვირვებით ჩააცქერდა ბარტიას და, შენიშნა რა ძმას შეკრთომა, მრისხანედ შეჰყვირა:

– მალე წადი თოფურებთან! ჩემი ცოლი შენს დახმარებას აღარ საჭიროებს; მას სხვა მცველები ჰყავს!

ამ სიტყვების შემდეგ იგი გაშორდა ბარტიას და წავიდა ოქროთი და ძვირფასის თვლებით მორთულს დარბაზში, სადაც მას სარდლები, მსაჯულნი, ხაზინადრები, მოთათბირენი, საჭურისნი და სხვა მრავალნი პირნი ელოდენ.

გაბრწყინვალეულს შუა დარბაზში ოქროსვარაყიანი სტოლი იდგა, რომელზედაც ეწყო მრავალი ოქროსი და ვერცხლის ჭურჭელი, თეფშები, აზარფეშები და ფიალები. ზალის გვერდზედ პატარა სტოლი იდგა, რომლის მორთულობაც რამდენიმე მილიონი ღირდა. მეფე ჩვეულებრივ ამ სტოლზედ სჭამდა პურსა. ფარდები იფარავდა მეფეს დანარჩენ მოქიფეთა ცქერისაგან, მაშინ როდესაც თვითონ დარბაზს ზალას და მასში მსხდომ სტუმრებს კარგად ჰხედავდა. მეფის სუფრაზედ ჯდომა უდიდეს ბედნიერებად ითვლებოდა; ისინიც კი ბედნიერად რაცხდენ თავიანთ თავს, რომელთაც მეფის სუფრიდამ საჭმელი მიუვიდოდათ.

როდესაც კამბიზი დარბაზში შევიდა, ყველა იქ მყოფნი მის წინ პირქვე დაემხენენ; მხოლოდ მისი ნათესავნი იდგნენ ზეზედ და მხოლოდ თავს უკრავდენ.

როგორც კი მეფე დაჯდა თავის სტოლზედ, დანარჩენებიც მაშინვე დასხდენ თავ-თავის ადგილას და დაიწყო საკვირველი ნადიმობა. სუფრაზედ შემწვარი ნადირები მთლიანად მოჰქონდათ, და როდესაც ყველანი შეექცნენ, მოსამსახურებმა ტკბილეულობა მოიტანეს.

შემდეგ მოვიდენ მონები და ნარჩენი საჭმელები აიღეს. მერე

მოიტანეს მოსამსახურეთ ღვინით სავსე ღიდრონი ჭურჭელი; მეფე გამოვიდა თავის ოთახიდან და სტუმრების სუფრის თავში დაჯდა. ღვინის დამსხმელნი ჯერ თვითონ სმიდენ და ამით არწმუნებდენ სტუმრებს, რომ ღვინო მოწამლული არ იყო. ამ დროს კამბიზი სრულიად ჩუმად იჯდა. მას ეჭვი ჰქონდა, რომ ბარტიას უყვარდა მისი ახალი ცოლი. რად განაცხადა ბარტიამ უარი ცოლის შერთვაზე? რად უნდოდა მას თოფურებთან წასვლის წინად ნიტეტისი ერთხელ კიდე ენახა? ნიტეტისმა რად შეაქო ბარტია, როდესაც მას ამაზედ არავინ ეკითხებოდა?

„კარგი რომ მიდის, რადგანაც მან არ უნდა მომაკლოს სიყვარულს და ამ ქალს, ფიქრობდა მეფე. ის რომ ჩემი ძმა არ იყვეს, აქამდის იქ გავგზავნიდი, საიღამაც აღარავინ ბრუნდება!“

შუალამე გადასული იყო, რომ ღვინი გათავდა. მოვიდა საჭურისების უფროსი ბოგესი, რომ კამბიზი ქალების ოთახებში წაყვანა, სადაც ჩვეულებრივ ამ დროს მიდიოდა ხოლმე, თუ რომ ძალიან მთვრალი არ იქნებოდა.

– ფედიმა მოუთმენლად მოგვლით, – მოახსენა ბოგესმა.

– დაე მელოდოს! მიუგო მეფემ. ჰაერში დაკიდებული ბალების სასახლე ხომ დაალაგე?

– ხვალ შეიძლება იქ გადასვლა.

– რომელი ოთახები მოუმზადე ეგვიპტელს ქალს.

– ის ოთახები, სადაც მამიშენის მეორე ცოლი, განსვენებული ამიტიისი იდგა.

– კარგი. ნიტეტისს ღიდის პატივისცემით უნდა მოექცეთ; შენ მას არაფერი უბრძანო, მხოლოდ რაც მე გითხრა, ის შეატყობინე ხოლმე.

ბოგესმა თავი დაუკრა.

– თვალყური გეჭიროს, რომ არავინ, თვითონ კრეზიც კი არ დაელაპარაკოს, სინამ მე... სინამ მე არ გიბრძანებ.

– კრეზი დღეს საღამოთი იყო მასთან.

– რა უნდოდა იმას ჩემის ცოლისაგან?

– რა მოგახსენოთ, ბერძნულად ლაპარაკობდენ და მე ბერძნული არ ვიცი; მხოლოდ ეს კი მესმოდა, რომ ბარტიას მალ-მალე ახსენებდენ და მე მგონია, რომ ეგვიპტელმა ქალმა ცუდი ამბავი

მიიღო. იგი ძალან დაღონებული იყო, როდესაც, კრეზის წასვლის შემდეგ, მე შევედი.

– გაგიხმეს ეგ ენა, წაილულულა კამბიზმა და საჭურისს პირი მოარიდა; მერე ფარნიანს კაცს და ლოგინების გამშლელთ გაჰყვა უკან, რომელთაც მეფე საწოლში მიჰყავდათ.

მეორე დღეს შუადღისას ბარტია თავის მეგობრებით და ამალით თოფურის სამზღვარზედ წავიდა. კრეზმა გააცილა ბარტია ბაბილონის კარებამდის. გამოთხოვების დროს ბარტიამ წასჩურჩულა თავის მოხუცს მეგობარს:

– თუ რომ ეგვიპტეში გაგზავნილმა ჩემთანაც მოიტანოს წერილი, მაშინვე გამომიგზავნე.

– განა შეგიძლიან ბერძნულის წერილების წაკითხვა?

– გიგესი და ეროსი დამეხმარებიან!

– ნიტეტიშმა, რომელსაც შენი წასვლა შევატყობინე, მოკითხვა შემოგიტვალა და გთხოვა, ეგვიპტეს ნუ დაივიწყებო.

– რასაკვირველია არ დაივიწყებ!

– ღმერთები იყვნენ შენი მფარველი, შვილო. მამიშენისავით შემწყალებელი იყავ აჯანყებულებისა, კარგად იცოდე, რომ უმჯობესია გულკეთილად მოქცევა, სინამ სისხლის ღერა, რადგანაც ხმალი კაცსა ჰკლავს, გულკეთილობა და სიმშვიდე მბრძანებლისა კი აბედნიერებს ხალხს. რაც შეიძლო ძაღვით გაათავე ომიანობა, რადგანაც ომი სახელმწიფოს წესზედ მსვლელობას აფერხებს; მშვიდობიანობის დროს შვილები მამებზედ დიდხანს ცხოვრობენ, ომის დროს კი მამები – შვილებზედ. ღმერთებსა ვთხოვ, რომ გამარჯვებულნი დაბრუნდეთ.

II

კამბიზმა ღამე უძილოდ გაატარა. ეჭვიანობამ გაუცხოველა მას სურვილი თავისად დაეგულა ეგვიპტელი ქალი, რომელსაც იგი ჯერ თავის ცოლს ვერ დაუძახებდა, რადგანაც სპარსულის კანონის ძალით მეფე ვერ შეირთავდა უცხოქვეყნელს ქალს იქამდის, სინამ ქალი არ შეისწავლიდა ირანულს ჩვეულებათ და არ მიიღებდა ზოროასტრის სარწმუნოებას.

კანონით, ნიტეტისი მთელი ერთი წლის განმავლობაში უნდა გამზადებულიყო, რომ სპარსეთის მეფის ცოლი გამზადარიყო; მაგრამ კამბიზისათვის კანონი რა არის? კანონი იმის ნება იყო და ოთხს თვეს საკმაოდ სთვლიდა ნიტეტისის მოსამზადებელად, რომ შეესწავლა მას მოგვთა სწავლა და შემდეგ ქორწილი გადაეხადა.

დანარჩენი ცოლები ამ დროს კამბიზს სძაგდენ და ზიზლით უცქეროდა. ჯერ ისევე ყმაწვილი იყო, როდესაც იმის სასახლე საესე იყო ლამაზი ქალებით, რომელნიც მოყვანილნი იყვნენ სომხეთიდან, კავკასიიდან და სხვა ადგილებიდან და ყველა ეს ქალები კამბიზს ეკუთვნოდნენ. ამასთანავე ახემენიდების რამდენიმე ქალი კანონიერ ცოლებად ჰყავდა.

კამბიზის დედის კასანდანას დისწული თემიდა დღევანდლამდის ერთადერთი საყვარელი ცოლი იყო მეფისა, ეს ქალი კამბიზისათვის თითქოს უფრო ძვირფასი იყო, სინამ ნაყიდი მონა. მაგრამ ეს ქალი აღარ მოსწონდა ეხლა კამბიზს, განსაკუთრებით როდესაც ნიტეტისზედ ფიქრობდა.

კამბიზს ეგონა, რომ ნიტეტისი სულ სხვა აგებულებისა იყო, სინამ დანარჩენი ქალები. იგინი პირმოთენი იყვნენ და ნიტეტისი კი დედოფალი, სხვები მას ფეხთა მტვერად უხდებოდნენ; როდესაც იგი ნიტეტისს წარმოიდგენდა ხოლმე, ეგონა, რომ იგი ისევე დიდებულად და ამპარტავნად სდგას, როგორც თვითონ. ამის შემდეგ ნიტეტისს უნდა დაეჭირა არამცთუ თემიდის ადგილი, არამედ უნდოდა აემალლებინა ისე, როგორც ერთს დროს მისმა მამამ კირმა აღამაღლა თავისი ცოლი კასანდანა.

მხოლოდ ერთი ნიტეტისი შეეშველებოდა მას თავის ცოდნით და რჩევით, მაშინ როდესაც დანარჩენი ცოლები იმისთვის იყვნენ, რომ თავიათი ცხოვრება პრანჭვაში და ჭორიკანობაში გაეტარებინათ. ეგვიპტელს ქალს უნდა შეჰყვარებოდა კამბიზი, როგორც თავის მბრძანებელი, მამა და ძმა უცხო ქვეყანაში.

„მას უნდა ვუყვარდე მე“, ამბობდა კამბიზი თავისთავად.

„მერიდოს ბარტია, თორემ მალე გაიგებს, რაც მოუვა იმას, ვინც მე მეწინააღმდეგება!“

ნიტეტისსაც ღამე არა სძინავდა.

იმის ოთახის გვერდით ერთი ოთახი იყო, საიდანაც შუალაქემ-
ლის ხმაურობისა და სიმღერის ხმა გამოდიოდა. მან არაერთხელ
გაიგონა ბოგესის ხმაურობა, რომელიც თავის ქვეშევრდომ ქალებს
ეხუმრებოდა. როდესაც ოთახებში მყოფობა ჩამოვარდა, მისი
გონება გაჭვრინდა სამშობლოსაკენ, საწყალ ტახოტთან, რომელ-
იც სწუხდა იმასა და მშვენიერს ბარტიანედ. შემდეგ დიდი ხნით
მოგზაურობით დაღლილმა ჩაიძინა კამბიზზედ ოცნებით. მან ნახა
სიზმარში კამბიზი, რომელიც თავის ქურანს ცხენს დააქროლებ-
და. ცხენი შეშინდა მკვდარი ბარტიას დანახვაზედ, რომელიც
გზაზედ ეგდო; ბოლოს ცხენმა მეფე ნილოსში გადააგდო და
მთელი წყალი სისხლით შეიღება. იგი შეშინებული თხოულობ-
და შველას, მაგრამ მის ძახილს მხოლოდ პირამიდები აძლევდენ
ხმას და ასე იტანჯებოდა, სინამ არ გამოეღვიძა.

ნიტეტისმა გააღო ფანჯრები და გაიხედა. მის წინ გადაჭიმ-
ულიყო დიდი, მშვენიერი ბაღი, რომელშიაც შადრევნები იყო დამ-
ართული და დილის ნამი ყვავილებზედ ციმციმებდა. დილის
სივრილემ სრულიად გამოაფხიზლა ნიტეტისი, რისათვისაც მეო-
რედ აღარ დაიძინა და სულ ფანჯრებიდამ გაიცქირებოდა. მან
დაინახა ორი ადამიანი, რომელნიც იმისგან დაჭერილ სახლიდამ
მიდიოდენ. ერთი მათგანი ბოგესად იცნო, რომელიც სპარსელს
ქალს ელაპარაკებოდა. ორივენი მის ფანჯარას დაუახლოვდენ.
ნიტეტისი დაიძალა და ყური დაუგდო, რადგანაც მათ მისი სახ-
ელი ახსენეს.

– ეგვიპტელს ქალს ჯერ ისევ სძინავს, სთქვა საჭურისმა:
ეტყობა გზაში ძალიან დაღლილა.

– მალე მიპასუხე, უთხრა სპარსელმა ქალმა: ნუთუ შენა
ფიქრობ, რომ უცხო ქვეყნის ქალისათვის მე სრულიად დამივიწ-
ყებს.

– სწორედ, ჩემო ტიკინო.

– დასამტკიცებლ საბუთებად რა გაქვს?

– ახალი ცოლი ჩემს განკარგულებას კი არა, მეფის ბრძა-
ნებას უნდა ემორჩილებოდეს.

– სულ ეგ არის?

– არა, ჩემო კარგო; მაგრამ მე კარგად ვიცნობ მეფეს და იმის

სახეზედ ისე კარგად ვკითხულობ იმის აზრს, როგორც სამღრთო წიგნებს.

– მაშ უნდა დავლუპოთ ის ქალი!

– სათქმელად ადვილია, ასასრულებლად კი ძნელი, ჩემო მტრედო. ჩვენ ხომ არავინა გვხედავს და მეც ხომ საჭირო ვიქნები შენთვის.

– აგრე იყოს; მაგრამ მითხარ ჩქარა, რა უნდა ვქნათ?

– გმადლობ, ჩემო მტრედო, თედიმა. ჯერ ჩვენ უნდა დამშვიდებულნი ვისხდეთ და კარგს შემთხვევას მოველოდეთ. როდესაც კრეზი, ის პირმოთნე კაცი დაიკარგება, რომელსაც ეგვიპტელი ქალის მხარე უჭირავს, მაშინ ქალს მახე უნდა დავუგოთ....

მოსაუბრენი ისე შორს წავიდენ, რომ ნიტეტისს აღარაფერი ესმოდა. ნიტეტისმა ფანჯრები ჩაკეტა და დაუძახა მოახლეებს ტანისამოსი ჩაეცმიათ. ეხლა იგი იცნობდა თავის მტრებს და ესმოდა, რა განსაცდელიც მოელოდა. მაგრამ მას მაინც ამპარტავნულად ეჭირა თავი, რადგან კამბიზის კანონიერი ცოლი უნდა გამხდარიყო. არასდროს მას ისე არ უგრძენია თავის თავის პატივი და ღირსება, როგორც ეხლა, როდესაც ეს საძაგელი მტერი ნახა. მას გამარჯვების იმედი არ დაჰკარგვია და სწამდა, რომ სიმართლე ბოლოს თავისას გაიტანდა.

– დღეს დილით რა ხმაურობა იყო? ჰკითხა ნიტეტისმა პირველად შემოსულს მოახლეს, რომელიც თმებს უსწორებდა.

– შენ მგონია თითბრის რეკვაზედ მეუბნები, ქალბატონო?

– ამ ორი საათის წინად გამომეღვიძა შეშინებულს რაღაც საოცარის ხმაურობისაგან.

– ეგ თითბრის წკარუნი იყო, ჩემო მბრძანებელო, ყოველდღე უკრავენ ხოლმე დიდებულთა შვილების გასადღვიძებლად. სასახლეში იზრდებიან. შენ შეეჩვევი ამ ხმაურობას. ჩვენ ეხლა აღარც კი გვესმის ხოლმე თითბრის რეკვა, პირიქით ჩვენ მაშინ გვეღვიძება, როდესაც მას აღარ არაკუნებენ უქმე დღეობით. დილით შეგიძლიან უყურო, როგორ მიჰყავთ ხოლმე ბავშვები საბანაოდ. ღარიბთა შვილები როგორც კი შვიდის წლისა სრულდებიან, მაშინვე მიჰყავთ სასახლეში და აქ ზრდიან.

– ნუთუ ივინი სიყმაწვილითვე ეჩვევიან სასახლის ფუფუნებას?

– არა, ბავშვები ძალიან ტანჯვაში არიან! მათ ხმელს მიწაზე უნდა დაიძინონ და მზის ამოსვლის უმაღლვე ადგნენ. ხმელს პურსა და წყალს აძლევენ და ხანდისხან მცირეოდენს ხორცს. სწორად რამდენსამე დღეს შიმშილითა და წყურვილით ატარებენ; ამბობენ, ამას იმიტომ შვრებიან, რომ მოთმინება ისწავლონო.

– მერე ეგრე სასტიკად აღზრდილი ბავშვები შემდეგ ასეთ სიტკბოების მოყვარე ვაჟკაცებად გადაიქცევიან ხოლმე?

ეგ ხომ ყოველთვის აგრე არის. რადგანაც ღიდხანს ითმენ შიმშილს, იმდენი უფრო გემრიელად გეჩვენება საჭმელი! თუმცა დიდებულთა ბავშვები სიყმაწვილეში ბევრს ნაკლებულებას ითმენენ, მაგრამ ამასთანავე ისიც იციან, რომ მდიდრები არიან. რა გასაკვირველია, რომ ივინი, როდესაც თავისუფლებიან, ერთი ათად უფრო ძლიერ სიტკბოებას და ფუფუნებას მიეცემიან ხოლმე? როდესაც მათ ომში, ან ნადირობაზედ წასვლა უხდებათ, მაშინ აღარ დარდობენ, თუ რომ სიმშილ-წყურვილით შეწუხდებიან; მაშინ ივინი ტალახშია ციხით სთოპენ ხოლმე, თუმცა მშვენიერი ტანისამოსი აცვიათ და ხმელს ქვაზედაც ისევე ტკბილად დაიძინებენ ხოლმე, როგორც რბილს ლოგინზედ. უნდა ნახო რანაირ ხუმრობენ ხოლმე ბავშვები თამაშობის დროს, როდესაც იციან, რომ მეფე უყურებს მათ. კამბიზი წაგიყვანს როდისმე მათს საცქერლად, თუ სთხოვ.

– ეგვიპტეშია აგრე იციან. ორივე სქესის ბავშვებს ერთად ათამაშებენ ხოლმე. ჩემი ტანიც მოქნილა სირბილისა და თამაშობისაგან.

– საკვირველია! ჩვენ ქალები აქ ისე ვიზღებთ, როგორც გვინდა და დართვისა და ქსოვის მეტს არაფერს ვსწავლობთ. მართალია, რომ ეგვიპტელმა ქალებმა წერა-კითხვა იციან?

– თითქმის ყველას ასწავლიან.

– გეფიცებით მირტას, რომ თქვენ ჭკვიანი ხალხი უნდა იყოთ! ჩვენში მავებისა და გადამწერების მეტი არავინა სწავლობს წერა-კითხვას. დიდებულთა შვილებს იმის მეტს არას ასწავლიან, რომ მართალი ილაპარაკონ, დამჯერონი და მამაცი იყვნენ, ღმერთებს პატივს სცემდენ, ნადირობა, ცხენზედ ჯდომა და ხე-

ბის დარგვა იცოდენ. ვისაც წერა-კითხვის სწავლა უნდა, მან ღარიასავით ბოლოს ბალებს უნდა მიმართოს. ქალებს კი აკრძალულიცა აქვთ წერა-კითხვის სწავლა. აი ეხლა შენ მზადა ხარ. ეს მარგალიტის ძეწკვი, რომელიც ღღეს ღილით მეფემ გამოგეზავნა, ძალიან მოგიხდა შავს თმებზედ. ნება მიბოძეთ ფეხზე აგაყენოთ. ეს ბაშმაკები შენთვის ღილები არიან, აბა ეს ბაშმაკები გაისინჯე! შენ სიტუარფვის ღმერთისავით ბრწყინავ, მაგრამ გეტყობა კი, რომ ჯერ არ შესწვევიხარ განიერს აბრეშუმის შარვალს და წკვერტიან ბაშმაკებს. ერთხელ, ორჯელ რომ გაიარო, მერე ისე მიეჩვევი, როგორც ნამდვილი სპარსელი ქალი.

ამ დროს კარები გაიღო და საჭურისი ბოგესი შემოვიდა, რომ ნიტეტისი წაეყვანა უსინათლო კასანდანასთან, სადაც კამბიზიც ელოდა.

ბოგესს მონის შეხედულება ჰქონდა და პირმოთნეობით შეასხა ქება ნიტეტისს, რომელსაც მზესა, ვარსკვლავებსა, ბედნიერების წყაროს და ვარდების ბაღს ადარებდა. ნიტეტისმა იგი ერთი სიტყვის ღირსიც არ გახადა და მკრთოლვარე გულით შევიდა მეფის ღედის ოთახში.

ამ ოთახის ფანჯრებს ინდოეთური მწვანე ფარჩის ფარდები ეფარა, რისა გამოც მზის შუქი ძალიან აღარა სჭრიდა თვალებს უსინათლო დედოფალს. იატაკზედ მშვენიერი ბაბილონური ხალიჩა ეშალა, რომლის ხაოშიაც კაცს ფეხები უვარდებოდა. კედლები დახატული იყო სპილოს და კუს ძვლების, ვერცხლის და ქარვის მოზაიკით. ოქროს მებელი გადაფარებული იყო ლომის ტყავით, ხოლო სტოლი, რომელიც კასანდანას ახლოს იდგა, სრულიად ვერცხლისა იყო. თვით კასანდანას მტრედისფერი მატერიის ტანისამოსი ეცვა და ძვირფას სელზედ იჯდა. მისი ჭადარა თმები დაფარული იყო ძვირფასის პირბადით, რომლის გრძელი ყურები ყელთან ჰქონდა შეკრული. კასანდანას მშვენიერს სახეზედ გულკეთილობა და კაცთმოყვარეობა იხატებოდა.

მოხუცებულს უსინათლო თვალები დახუჭული ჰქონდა, მაღალი და მოყვანილის ტანისა იყო და ღირსი გულჩვილის კირისა.

ჰატარა სკამზედ მოხუცებულის ფერხითი მისი უფროსი ქალი ატოსა იჯდა და ოქროს სართავით ძაფს ართავდა. უსინათლოს

პირდაპირ კამბიზი იდგა, ხოლო ოთახის უკანა კედლისკენ ეგვიპტელი ექიმი ნებენხარი.

როდესაც ნიტეტისი ამ ოთახში შევიდა, მეფე წინ მიეგება და დელასთან მიიყვანა. ამაზისის ქალმა დაიჩოქა პატივცემული მოხუცის წინაშე და წმინდის გულით აკოცა ხელზედ.

– კეთილი იყოს შენი მოსვლა, დაიძახა უსინათლომ და ქალს თავზედ ხელი დაადო. – მე შენზედ ბევრი კარგი ამბები გამიგია და იმედი მაქვს, რომ კვლავაც კარგი იქნები.

ნიტეტისმა კვალად აკოცა დედოფალს ხელზედ და ნაზად უთხრა:

– რა მადლობელი გახლავართ მაგ სიტყვებისთვის! ნება მიბოძეთ თქვენ, კირის მეუღლეს, დედა დაგიძახოთ. ჩემი ენა, მიჩვეული ამ ტკბილი სახელის წარმოთქმას, სიხარულისაგან თრთის, რომ რამდენიმე კვირის შემდეგ კვლად ეძლევა შემთხვევა წარმოსთქვას: „დედაჩემო!“ ყოველს ღონისძიებას ვინმარებ, რომ შენი ღირსეული ქალი გავხდე, მაგრამ მეც იმედი მაქვს, რომ შემისრულებთ მას, რასაც თქვენი სასიამოვნო სახე მპირდება. დამეხმარეთ თქვენის დარიგებით და რჩევით ამ ჩემთვის უცხო ქვეყანაში, ნება მიბოძეთ აქ თქვენს ფერხთ წინაშე ვპოვო სავანე, როდესაც მე მჭმუნვარება შემიპყრობს და გულს აღარ შეეძლება მწუხარებისა და სიხარულის ატანა. იყავ ჩემთვის ის, რაც ამ ორს სიტყვაშია გამოხატული: ჩემო დედავ!

უსინათლომ იგრძნო, რომ მდულარე ცრემლები დაედინა ხელზედ. მან ნაზად დაუკოცნა შუბლი მტირალს ქალს და უთხრა:

– მე თანაგიგრძნობ შენ! როგორც ჩემი გული, ისე ჩემი სახლის კარები ყოველთვის ღია იქნება შენთვის და, როგორც მე წრფელის გულით „შვილს“ გეძახი, ისე შენც წრფელის გულით დედა დამიძახე. რამდენიმე თვის შემდეგ იქნება ღმერთებმა წყალობა მოიღონ და მომანიჭონ საუნჯე, რომელიც შენ დედას დაგავიწყებს, რადგანაც თვითონ შენ გაიგებ მაშინ დედობრიულს გრძნობას.

– არამაზადამ მოიღოს მაზედ თავის მოწყალება! დაიძახა კამბიზმა. – მე ძალიან მოხარული ვარ, დედაჩემო, რომ შენც ჩემსავით მოგეწონა ჩემი მომავალი ცოლი; მე ვიცი რომ მას

ჩვენი მხარე მოეწონება, როგორც კი გაიგებს სპარსულს უფლებათ და ჩვეულებათ. თუ რომ იგი მალე მიხვდა ჩვენს ზნე-ჩვეულებას, ქორწილი ოთხი თვის შემდეგ მოხდება.

– მერე კანონი... უნდა ეთქვა კასანდანას.

– მე ვბრძანებ ოთხი თვის შემდეგ მოხდეს! დაიძახა მეფემ: – და აქედ-იქით დაიწყო ცქერა – ვინ არის, რომ მე მეწინააღმდეგოსო. ესლა მშვიდობით! დედოფლის თვალებს კარგად უგლე ყური, ნებენხარი, და, თუ ჩემი ცოლი ნებას მოგცემს, შეგიძლიან ზვალ ნახო იგი, როგორც შენი ქვეყნის ქალი. კარგად იყავით; ბარტია მოკითხვას ითვლევინება; იგი თაბურებთან მიდის საომრად.

ატოსამ ჩუმად მოიწმინდა ცრემლები, კასანდანამ კი უთხრა:

– შენ შეგედლო იგი ჩვენთან რამდენსამე თვეს დაგეტოვა. შენს სარდალს მეღაბიზს უიმისოდაც შეედლო პატარა ხალხის, თაფურების დასჯა.

– ეგ რასაკვირველია, მიუგო მეფემ: – მაგრამ ბარტიას თვითონ უნდოდა თავი გამოეჩინა ბრძოლის ველზედ და ამისათვის გავეზავნე.

– განა იგი სიამოვნებით არ დარჩებოდა შინ მასაგეთებთან ომის დაწყობამდის, სადაც უფრო დიდს სახელს იშოვიდა? ჰკითხა უსინათლომ.

– მერე მას რომ გულში თაფურების ისარი მოხვდეს, სთქვა ატოსამ: – მაშინ შენ იქნები დამნაშავე, რომ დაუშალე მას აღესრულებინა თავის უწმინდესი მოვალეობა – ამოეყარა ჯავრი ჩვენის მამის მოკვლისათვის!

– გაჩუმდი, დაუყვირა კამბიზმა დას: სინამ არ მიჩვენებია შენთვის, თუ როგორ უნდა იქცეოდენ ქალები და ბავშვები. ბედისაგან გალაღებული ბარტია უვნებლად დარჩება და საქმით დაიმსახურებს იმ სიყვარულს, რომელსაც ხალხი ესლა უმიზეზოდ უცხადებს.

მაგას როგორ ამბობ შენს ძმაზედ? განა იგი შემკული არ არის ვაჟკაცურის ღირსებით? განა იგი დამნაშავეა, რომ მასაც შენსავით შემთხვევა არა ჰქონდა ომში თავი გამოეჩინა? ჰკითხა კასანდანამ. შენ მეფე ხარ და პატივსა ვსცემ შენს ბრძანებას;

მაგრამ როგორც შვილს კი გემდურები, რომ არ ვიცი რისთვის მამაკელ ჩემის სიცოცხლის უდიდეს სიხარულს – ბარტიას. ბარტია შეიდლებოდა ჩვენთან ღარჩინილიყო მასაგეტებთან ომამ-ღის; მაგრამ, შენის ჯიუტობით, სხვანაირად მოაგვარე საქმე...

– რასაც მე მოვიფიქრებ, ყოველისფერი კარგია! გააწყვეტინა კამბიზმა, რომელსაც ლოყები გაუყვითლდენ. მე არასდროს აღარა მსურს მაგ საგანზედ ლაპარაკი.

ამის შემდეგ კამბიზი საჩქაროდ გავიდა ოთახიდან და თან გაჰყვა ამაღლა, რომელიც არასდროს არა შორდებოდა. იგი გავიდა ღარბაზში.

ერთმა საათმა მეტმა გაიარა მას შემდეგ, რაც კამბიზმა დას-ტოვა დედის ოთახი და ნიტეტისი კი მაინც უსინათლოს ფეხ-თით იჯდა მშვენიერ ატოსასთან ერთად.

სპარსელი ქალები ყურს უგდებდენ ნიტეტისის ლაპარაკს და ეგვიპტის ამბებსა ჰკითხავდენ.

– რა სიამოვნებით მინდა შენს სამშობლოში ყოფნა! უთხრა ატოსამ. – თქვენი ეგვიპტე სრულიად სხვანაირი უნდა იყოს, სინამ სპარსეთი. კარგი სანახავნი იქნებიან ნაყოფიერი ნაპირები ღიდის მდინარისა, რომელიც ჩვენს ეფრატზედ უდიდესია, ღმ-ერთების ტაძრები მრავალის გუმბათით და განგებ გაკეთებული მთები, რომელთაც პირამიდები ჰქვიან და სადაც უძველესი დროის მეფენი არიან ღამარხუნნი. მაგრამ ყველაზედ კარგი თქვენი მეჯლიში იქნება, სადაც ქალები და კაცები ერთმანეთს არ ერიდებიან. ჩვენ კი, სპართა ცოლები, თუმცა ახალს წელიწადს და მეფის დაბადების დღეს კაცებთან ერთად ვლხინობთ, მაგრამ სასტიკად აკრძალული გვაქვს ლაპარაკი და უზღველობად ჩასთვლიან, თუ რომ თეფშს თვალს მოვაშორებთ. თქვენში კი სულ სხვანაირად არის! გეფიცები მირტას, რომ მე გულით მინდა ეგვიპტელი ქალი ვიყო, რადგანაც ჩვენ აქ მხოლოდ მონები ვართ; ვგრძნობ კი, რომ მე ღიდი კირის ქალი ვარ და არცერთს კაცზედ ნაკლები არა ვარ. განა მე არ შემიძლიან ბრძანება და მისი აღსრულება, განა მე ღიდებაზედ არა ვფიქრობ, განა მე ცხენზედ ჯდომას, ისრის სროლას, ხმლის მოქნევას და ცურვას ვერ ვისწავლიდი, თუკი ყმაწვილებითვე მასწავლიდენ?

ქალი ზეზე წამოხტა, თვალები უბრწყინავდენ და დაიწყო თითისტრის ქნევა.

– გახსოვდეს, რომ ეგრე ქცევა ქალს არ შეშვენის, უთხრა კასანდანამ. ქალი თავის ბედს უნდა დაემორჩილოს და კაცებს არ უნდა ჰბაძავდეს.

– მე ვიცი ქალები, რომლებიც კაცებისავით ცხოვრობენ. რამდენსამე ადგილას ცხოვრობენ ამაზონკები, რომელთაც ბევრი ომები გადაიხადეს და დღევანდლამდის შეიარაღებულნი დადიან.

– ვინ გაგაგებინა ეგა?

– ჩემის გამდელის სტეფანიონისაგან, რომელიც მამაჩემმა სინოპილამ ტყვედ მოიყვანა.

– მე სრულიად სხვა რასმეს გეტყვი, უთხრა ნიტეტისმა. ტემისციროში და კომაში ბევრნი არიან ქალები, რომელთაც სამხედრო ტანისამოსი აცვიათ; მაგრამ ყველა ეს ქალები ქურუმები არიან, რომელთაც ჩვეულებათ აქვს ჩაიცვან ომის ღმერთისავით, რომელსაც თვითონ ემსახურებიან; იგინი ასე იმიტომ იქცევიან, რომ მლოცველთა წინაშე ღვთაების გამხორციელებლნი იყვნენ; კრეზი ამბობს, რომ ამაზონების ჯარი თავის დღეში არა ყოფილაო, მაგრამ ბერძნებმა, რომელნიც ყველაფერს ზღაპრად აკეთებენ, რამდენიმე შეიარაღებული ქალი მეომარ ქალების მთელს ნაციად გადააქციეს.

– მაშ ბერძნები ცრუნი ყოფილან? შეჰყვირა გაცრუებულმა ქალმა.

– რასაკვირველია, მიუგო ნიტეტისმა, ელინელთათვის ჭეშმარიტება ისე ძვირად არა ღირს, როგორც თქვენთვის; ამის ზღაპრების შეთხზვას და მღერას მსმენელთ წინაშე მშვენიერს ლექსებად ბერძნები სიცრუეს კი არა, ლექსთა თხზვას ეძახიან..

– ისე, როგორც ჩვენში, უთხრა კასანდანამ. თუმც მგოსანთ, რომელნიც ჩემი ქმრის დიდებას მღერიან, საშინლად გადასცვალეს და ერთიორად გააზვიადეს კირის ყმაწვილობის ისტორია, მაგრამ მათ ამისთვის მაინც ცრუს არ ეძახიან. აბა ერთი მითხარ, ჩემო შვილო, ნუთუ მართლა ელინები სხვა ხალხებზედ ლამაზები არიან, და ყველანაირი ხელოვნება უფრო კარგად იციან, თუ გინდ მაგ. ეგვიპტელებზედ?

– მაგაზედ სჯა მე არ შემიძლიან. ჩვენი ხელოვნების ნაწარმოებნი ბევრით განირჩევიან ელინთა ხელოვნების ნაწარმოებისაგან: როდესაც ჩვენს უდიდეს ტაძრებში სალოცავად შევდიოდი, ყოველთვის იმაზედ ვფიქრობდი, რომ ფერხთა მტკვრად უნდა გავმხდარიყავ ღმერთთა დიდების წინაშე და მეთხოვა მათთვის მე, პატარა ჭიანჭველა, არ გავენადგურებინეთ; მაგრამ სამოსის გერის ტაძარში კი მე აღვაპყარ ზეცისადმი ხელები და აღტაცებით ვმადლობდი ღმერთებს, რომ ქვეყანა ასე ტურფა გაუჩნიათ. ეგვიპტეში ყოველთვის ვფიქრობდი, როგორც მასწავლიდენ, რომ „სიცოცხლე სიზმარია და ნამდვილი სიცოცხლისათვის ჩვენ გავიღვიძებთ სიკვდილის ჟამს ოზირისის სამეფეში“, საბერძნეთში კი ამას ვფიქრობდი: „მე სიცოცხლისთვის ამ ქვეყნის ნეტარებით გასაძღომად ვარ დაბადებული; რომელიც ჩემს წინაშე ასე საოცრად ჰყვავის და ბრწყინავს.“

– გვიამბე, ბევრი გვიამბე საბერძნეთის ამბავი, შეჰყვირა ატოსამ, მაგრამ დაე ჯერ ნებენხარიმ დედას თვალები შეუხვიოს.

თვალის ექიმი, მაღალის ტანის კაცი, ეგვიპტის ქურუმების თეთრის ტანისამოსით მორთული, თავის საქმეს შეუდგა; როდესაც საქმეს მორჩა, ისეე თავის ადგილას წავიდა; წასვლის დროს ნიტეტისი მას მეგობრულად მიესალმა. ოთახში საჭურისი შემოვიდა და იკითხა, შეუძლიან კრეზს მეფის დედასთან შესვლა, თუ არა.

მალე კრეზიც მოვიდა და ისე მიიღეს, როგორც სახლის ნამდვილი მეგობარი. ცელქი ატოსა მას ყელზედ ჩამოეკიდა, დედოფალმა ხელი ჩამოართვა და ნიტეტისი ისე მიესალმა, როგორც საყვარელს მამას..

მადლობას ვწირავ ღმერთებს, რომ კვალად მაღირსეს თქვენი ნახვა, სთქვა მოხუცმა. ჩემს ხანში ყოველს წელიწადს ისე უნდა უყურებდეს კაცი, როგორც ღვთისაგან მინიჭებულს წყალობას, მაშინ როდესაც სიყმაწვილე სიცოცხლეს კანონიერად სთვლის.

– რანაირადა მშურს ეგრეთი თქვენი აზრი ქვეყნის შესახებ, ამოიხვრით უთხრა კასანდანამ. მე შენზედ პატარა ვარ, მაგრამ ყოველი დღის სინათლეს, რომელსაც ღმერთები ნებას არ მძლევენ, დავინახო, ახალს ტანჯვათა ვსთვლი.

– ნუთუ მაგას ამბობს დიდი კირის მეუღლე? ჰკითხა კრეზმა. რა დროს აქეთ დაჰკარგა იმედი და რწმუნება კასანდანას გულმა? გეუბნები, რომ თვალები კვალად აგეხილება და ჩემსავით მადლობას შესწირავ ღმერთებს ბედნიერად ღრმად დაბერებისათვის. ვინც ნამდვილად ავად ყოფილა, იგი ათასჯერ უფრო მეტად დააფასებს იმ ბედნიერებას, რომელსაც კარგადმყოფობა აძლევს. ვინც უსინათლო ყოფილა და კვალად სინათლე მოსცემია, იგი, ჩემის აზრით, ღმერთების საყვარელი კაცების დასს ეკუთვნის. წარმოიდგინე შენი აღტაცება, როდესაც რამდენიმე წლის უსინათლობის შემდეგ, კვალად იხილავ მზის სინათლეს, შენი გულის საყვარელთ და მთლად ქვეყნის სიმშვენიერეს. გახსოვდეს, რომ ის წამი გამოისყიდის შენგან უსინათლოდ გატარებულს დროს. როდესაც სიბერეში განიკურნები, მაშინ შენთვის ახალი ცხოვრება დაიწყება და იმედი მაქვს, რომ ჩემს მეგობარს სოლონს დაეთანხმდები.

– მერე ის რას ამბობდა? ჰკითხა ატოსამ,

– მას უნდოდა, რომ მიმწეროს კოლოფონელს, რომელიც მღეროდა, რომ სიცოცხლე სამოციის წლით თავდებაო, გადაეკეთებინა თავის ლექსები და სამოციის მაგივრად ოთხმოცი დაეწერა.

– არა, არა, უთხრა კასანდანამ, ეგრე დიდ ხნის სიცოცხლე მაშინაც კი შემაშინებდა, როდესაც მიტრა ჩემს თვალებს სინათლეს დაუბრუნებდა. რაკი ჩემი მეუღლე დავკარგე, ჩემს თავს ვადარებ მოგზაურს, რომელიც უდაბნოში უსაგნოდ და უწინამძღვროდ დადის.

– შენ ივიწყებ შენს შვილებს და ამ სამეფოს, რომელიც შენის თვალის წინ დაარსდა და გაძლიერდა.

– არა! შვილებისთვის მე საჭირო აღარა ვარ, ამ სახელმწიფოს მფლობელი კი ყურადღებას არ აქცევს ქალების რჩევას.

ამ სიტყვებზედ ატოსამ მარცხენა და ნიტეტიშმა მარჯვენა ხელები დაუჭირეს კასანდანას და ეგვიპტელმა ქალმა უთხრა:

– შენი ქალების გულისათვის და ჩვენი ბედნიერებისთვის დიდი ხნის სიცოცხლე უნდა ინატრო. რა ვიქნებით ჩვენ, თუ რომ შენ შემწედ და მფარველად არ გვეყოლები?

კასანდანამ გაიღიმა და დაბალის ხმით სთქვა:

– თქვენ მართალს ამბობთ, შვილებო, თქვენთვის დედა საჭირო იქნება.

– მაგ სიტყვებით იცნობება დიდი კირის მეუღლე, სოქვა კრეზმა და აკოცა უსინათლოს ტანისამოსზედ. მოვა დრო, კასანდანა და ჩქარაც მოვა, როდესაც შენ საჭირო იქნები! კამბიზი ფოლადია, რომელიც რასმეს რომ ხვდება, ცეცხლსა ჰყრის აქეთ-იქით. შენი ვალია იზრუნო მაზედ, რომ ამ ნაპერწკლებმა ცეცხლი არ ალაგზნოს მათ შორის, რომელნიც შენთვის ყველაზედ ძვირფასნი არიან. შენ ერთადერთი არსება ხარ, რომელსაც შეგიძლიან მეფეს თავი დაუჭირო. იგი მხოლოდ მარტო შენა გზადის ჩამომავლობით თავის თანასწორად. მას სძულს ხალხის აზრი, მაგრამ დედისგან გაკიცხვა კი არ ესიამოვნება. ამისათვის შენი ვალია დარჩე შუამავლად მეფის, სახელმწიფოს და შენის ოჯახობის შორის და ეცადო, რომ შენი შვილის სიამაყე ღმერთების სასჯელმა არ დასთრგუნოს.

– ოჰ, მე რომ მაგის ასრულება შეემძლოს! მიუგო უსინათლომ. მაგრამ ამაცი შვილი იშვიათად აქცევს ყურადღებას თავის დედის დარიგებას.

– ეს მაინც არის, რომ იძულებული იქნება თავის დედის დარიგებას ყური დაუგდოს, მიუგო კრეზმა: – ამით ის მაინც იქნება, რომ თუმცა იგი ყურადღებას არ მიაქცევს შენს დარიგებას, მაგრამ ეს დარიგება მაინც ყურში ექნება და ბევრი ბოროტებისაგან დაიხსნის. მე შენი მომხრე ვიქნები, რადგანაც მისმა მამამ სიკვდილის დროს დამავალა, დაეხმარებოდი მის შვილს საქმით და სიტყვით და ხშირად წინააღმდეგი მის უგუნურებას. სასახლეში მარტო ჩვენ ორნი ვართ, რომელთაგან გაკიცხვას იგი ერიდება. ვიქონიოთ გამბედაობა: შენ სპარსეთისა და შენი ოჯახის სიყვარულის გამო და მე პატივსაცემლად იმ დიდის კაცისა, რომელმაც სიცოცხლე და თავისუფლება მომანიჭა. მე ვიცი შენა ნანობ, რომ იგი სხვანაირად არ აღზარდე; მაგრამ დაგვიანებულს სინანულს ისე უნდა ვერიდოთ, როგორც შხამს. სინანული კი არა, „გაუმჯობესობა“ არის მკურნალი მალამო ბრძენთა შეცდომათათვის, რადგანაც სინანული გულსა ჰქენჯნის და გაუმჯობესება კი – ავსებს კეთილშობილურის ამპარტავნებით და უფრო თავისუფლად აძგერებს.

– ჩვენს ეგვიპტეში, სოქვა ნიტეტისმა: – სინანული ორ-მოცდაორს მომაკვდინებელს ცოდვათა შორის ითვლება. „შენ არ უნდა ჰქენჯნო გული შენით“, ამბობს ერთი ჩვენი მცნებათაგანი.

– მაგ სიტყვებით, უთხრა მოხუცმა კრეზმა, შენ მე მაგონებ, რომ მე ვიტვირთე გასწავლო სპარსული ჩვეულებანი, სარწმუნოება და ენა. მე დიდის სიამოვნებით წავიდოდი ბარენში, რომელიც კირმა მაჩუქა, რომ იქაურს მშვენიერს და მყუდრო ბუნებაში მეცხოვრა; მაგრამ შენისა და მეფის გულისათვის ვრჩები აქა და გასწავლი სპარსულს ენას. თვით კასანდანა გასწავლის ყველა ჩვეულებათ, რომელთაც სასახლის ქალნი უნდა მისდევდენ, უმაღლესი ქურუმი ოროპასტი კი, მეფის ბრძანებისამებრ, გასწავლის ირანულს სარწმუნოებას. იგი იქნება შენი სულიერი მასწავლებელი და მე – სამოქალაქო.

ნიტეტისი აქამდინ მხიარულად იყო, მაგრამ ეხლა კი თავი ჩაღუნა და ჰკითხა:

– ნუთუ უარი უნდა ვყო ის ღმერთები, რომელთაც დღევანდლამდის ვლოცულობდი და რომელნიც მოწყალების თვალთ მიყურებდენ? განა შემიძლიან მათი დავიწყება განვიზრახო?

– არამც თუ განიზრახო, ნამდვილად უნდა დაივიწყო, უთხრა კასანდანამ, – რადგანაც ცოლს ქმრის მეგობრების გარდა, სხვა არავინ უნდა ჰყავდეს მეგობრად. რადგანაც ღმერთები არიან ქმრის ძლიერნი, ერთგულნი და უპირველესნი მეგობრები. ამისათვის შენი ვალია, როგორც ცოლისა, პატივი სცე მათ და, როგორც შენი გული სხვა საქმროებს არ ინდომებს, ისევე არ უნდა ინდომოს ღმერთები შენის უწინდელის სამშობლოსა.

– ამასთანავე, უთხრა კრეზმა, შენს ღმერთებს არ გართმევენ. იგინი შენთვის ისევ იქნებიან, მხოლოდ სხვა სახელი ერქმევათ. როგორც ჭემმარიტება მარად ერთი და იგივე იქნება, რა სახელიც უნდა დაარქვა მას, ისე არსად და არასდროს არ შეიცვლება არსება ღვთაებისა. აი თუგინდ ჩემი თავი აიღე მაგალითად, ჩემო ქალო. როდესაც მე ისევ მეფე ვიყავ, გულწრფელად ვწირავდი მსხვერპლს ელინელების აპოლონს და ფიქრადაც არა მქონდა ამით ლიდელების ღმერთის სანდონისთვის მეწყევნიებინა; იონიელები წმინდის გულით თაყვანს სცემენ აზიელს ციბელას, ეხლა,

როდესაც მე სპარსელი გავხდი, მირტს, თუ აურამაზდას და მშვენიერს ანახიტს ვევედრები. პიფაგორი, რომლის სიბრძნეც შენცა გწამს, მხოლოდ ერთს ღმერთს ლოცულობდა. კსენოფან კოლოფონელიც დიდად დასცინოდა გომერის ბევრნაირს ღმერთებს და ამბობდა, რომ მხოლოდ ერთადერთი ღმერთია, რომელიც დაულალავად ქმნის ძალთა ბუნებისათა და ეს ბუნება შესდგება აზრის, გონების და საუკუნოსაგანაო. გახსოვდეს, ჩემო ქალო, რომ ეგვიპტის, საბერძნეთის და სპარსეთის ღმერთები ცალ-ცალკე კი არა, არამედ ყველანი ერთად განაგებენ ქვეყანას და შეადგენენ ერთს ღმერთს, თუმცა სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვანაირად ხატავენ.

სპარსეთის ქალები გულმოდგინებით უგდებდენ ყურს კრეზის ლაპარაკს. მაგრამ ბევრს ვერაფერს მიხვდენ. ნიტეტისმა კი სრულიად გაიგო მისი საუბარი და სთქვა: „დედაჩემი ლადისა, პიფაგორის მოწაფე, სწორედ ამასვე მეუბნებოდა; მაგრამ ეგვიპტელნი ქურუმნი ცოდვათა სთვლიან ამისთანა აზრს. ამისათვის ვცდილობდი, ასეთი აზრები დამეთრგუნა ჩემს გულში. ეხლა კი ასე აღარ ვიზამ. რაც ბრძენს კრეზსა სწამს, ის უღმერთობა არ იქნება. დაე მოვიდეს ოროპასტი! მე მზადა ვარ მოვისმინო მისი სწავლა და შეეკქმნა ჩვენი ამონი, ფიკის ღმერთი, მურამაზდათ და იზიდა ანუ გაფორი – ანახიტად. მე მოკრძალებით დაუწყებ ჭვრეტას ღვთაებას, რომელიც აქაც ყველაფერს ასე ამწვანებს და აყვავებს და ჰფენს სიხარულს იმ სპარსელთ, რომელნიც მათ ევედრებიან.

კრეზმა გაიღიმა. მას ეგონა, რომ ნიტეტისი ასე ადვილად არ დასტოვებდა თავის ქვეყნის ღმერთებს, რადგანაც ეგვიპტელთ ყოველივე თავისი ქვეყნისა მოსწონთ; მაგრამ ის კი აღარ ახსოვდა, რომ ნიტეტისის დედა ელინელი იყო და პიფაგორის სწავლა გაგებული ჰქონდათ ამაზისის ქალებს.

– შენ გონიერი მოწაფე ხარ, უთხრა კრეზმა და თავზედ ხელი დაადო. ამის ჯილდოდ შენ ნება გექნება ყოველ დილით და შუადღის შემდეგ, მზის ჩასვლამდის ან კასანდანასთან მოხვიდე და ან ატოსა მიიღო ხოლმე შენს სადგომში.

ეს ამბავი ძალიან ესიამოვნა ატოსას და და ნიტეტისმაც

მადლობა გადაუხადა.

– ამასთანავე, უთხრა კრეზმა, მე თქვენ მოგიტანეთ საისილამ ბურთები და რკლები, რომ ეგვიპტურად ითამაშოთ ხოლმე.

– ბურთები, გაკვირვებით ჰკითხა ატოსამ. მერე რა ვუყოთ ხის მძიმე ბურთებს?

– მაგაზედ ნუ სწუხარ, უთხრა სიცილით კრეზმა: ბურთები, რომელზედაც ვლაპარაკობ, აქ არიან გაკეთებული თევზის გაბერილის ტყავისაგან. მათი ავდება ბავშვსაც შეუძლიან. კმაყოფილი ხარ ნიტეტის?

– როგორ გადაგიხალო მადლობა, მამაჩემო?

– ერთხელ კიდევ გაიგე, როგორ გავინაწილებ დღეს; დილით კასანდანას ნახავ, ატოსასთან ილაპარაკებ და დედის ღარიგებას ყურს დაუგდებ.

კასანდანამ კმაყოფილებით თავი დაუქნია.

– შუადღის ცოტა წინად მე მოვალ შენთან და გასწავლი სპარსელს ენას, თანაც ეგვიპტისა და შენი მშობლების ამბავს გაიმბობ.

ნიტეტისმა გაიღიმა.

– დღეგამოშვებით შენთან ოროპასტი მოვა, რომ სპარსული სარწმუნოება გასწავლოს.

– ყოველსავე ღონისძიებას ვიხმარებ, რომ მალე ვისწავლო.

– სადილის შემდეგ ატოსასთან გაატარებ ღროს. კმაყოფილი ხარ ამით?

– ოჰ, კრეზო! სთქვა ნიტეტისმა და ხელებზედ აკოცა მოხუცს.

III

მეორე დღეს ნიტეტისი გადავიდა დაკიდულ ბალების სადგომში და დაიწყო იქ განმარტოებული, მაგრამ საქმიანი ცხოვრება. ყოველდღე იგი მიჰყავდათ დაფარებულის ტრახტევანით კასანდანასა და ატოსასთან.

უსინათლო დედოფალი მალე შეიქმნა მისთვის საყვარელ დედად და მხიარული, ცელქი ატოსა თავის და ტახოტად, რომელიც

დასტოვა მან ნილოსის ნაპირებთან. ნიტეტისი იმაზედ უკეთესს მოსაუბრეს და გამართობს ვერავის იშოვიდა, როგორც იყო ატოსა, რომელიც სულ იმას ცდილობდა, რომ ნიტეტისს სამშობლოზედ მჭმუნვარება არ დაეწყო.

კრეზიცა და კასანდანაც მაღლიერნი იყვნენ ნიტეტისისა. მოგვი ოროპასტი ყოველდღე უქებდა ნიტეტისის ჭკუა-გონებას და ბეჯთისობა[ს]; იგი განსაკუთრებით ძალიან კარგად სწავლობდა სპარსულს ენას; მეფე მიდიოდა თავის დედასთან მხოლოდ მაშინ, როდესაც იმედი ჰქონდა, რომ იქ ნახავდა ეგვიპტელს ქალს, რომელსაც ყოველდღე ასაჩუქრებდა სხვადასხვა ძვირფასის ნივთებით და ტანისამოსით. ნიტეტისს კამბიზი იმით უმტკიცებდა თავის პატივისცემას, რომ არასდროს იმის სადგომში არ მიდიოდა. ამისთანა ქცევით იგი აგებინებდა, რომ მას განზრახვა ჰქონდა ნიტეტისი თავის კანონიერ ცოლების რიცხვში ჩაეთვალა.

მშვენიერს, ჭკუადაძვდარს ქალს მომხიბლავი ძალა ჰქონდა მრისხანე მეფეზედ. საკმარ იყო ეს ქალი დაენახა მეფეს, რომ მრისხანე გული დაშვიდებოდა. ყოველდღე განუწყვეტლად უყურებდა ბურთის თამაშობას და სტკებოდა ეგვიპტელის ქალის სინარნარით. ერთხელ, როდესაც ბურთი წყალში ჩავარდა, კამბიზი თავის ძვირფასის ტანისამოსით გაიქცა და გამოიტანა იგი. ნიტეტისმა ხმამალა შეჰყვირა, როდესაც მეფემ განიზრახა მისთვის თავაზიანობა გაეწია; კამბიზმა კი ღიმილით მისცა ბურთი, რომელსაც წუნწკლები გასდიოდა და უთხრა: „გაფრთხილდი, თორემ მე ხშირად მომიხდება შენი შეშინება!“ ამასთანავე მან მოიხსნა გულიდამ ოქროს, ძვირფასის თვლებით მოჭედილი, ძეწკვი და აჩუქა აწითლებულს ქალს, რომელმაც ერთის შეხედვით გადაუხადა მადლობა. ნიტეტისის თვალებში გამოიხატა ყოველივე, რასაც კი იმის გული გრძნობდა.

კრეზმა, კასანდანამ და ატოსამ მალე შენიშნეს, რომ ნიტეტისს მეფე უყვარდა. მას ეგონა, რომ, რა დროსაც კამბიზს ვერ ნახავდა, მაშინვე მოკვდებოდა. მას მეფე ისე ღიადებულად და ყოვლად შემძლებულად ჰყავდა წარმოდგენილი, როგორც რომელიმე ღვთაება, და სურვილს, დაერქმია მისთვის თავის საკუთრება, ცოდვად სთვლიდა; ამ სურვილის ასრულებას უფრო ბედნიერებად

ჩასთვლიდა, სინამ სამშობლოში დაბრუნებას და მათს ნახვას, რომელნიც დღევანდლამდის განსაკუთრებით უყვარდა.

იგი თვითონაც ვერ აძლევდა თავის-თავს ანგარიშს ამ გრძნობაში და ცდილობდა დაერწმუნებინა თავის თავი, რომ მას კამბიზისა მხოლოდ ემინოდა და იმის დანახვაზედ თრთოდა არა მღელვარების, არამედ შიშის გამო. კრეზმა მალე გაუგო მას ასეთი მდგომარეობა და არაერთხელ გააწითლა იგი, როდესაც უძლერა ახალი სიძლერა ანაკრეონისა, რომელიც საისში ივიკისაგან ისწავლა.

ქურანი ცხენის ნიშანი
ცეცხლით დამწვარი დაღია,
პარფიანელის საცნობი
ქუდი და იარაღია.
მე რა ვნახავ მოტრფიალეთ,
ერთად ტკბილად მოლულუნეთ,
მსწრაფლ შევატყობ თუ მათ გული
ტრფობით არის შემსჭვალული.

ამნაირად, შრომასა და თამაშობაში, ხუმრობისა და ურთიერთის სიყვარულში მიმდინარეობდენ დღენი, კვირენი, თვენი. კამბიზის სიტყვები: „შენ ჩვენი ქვეყანა მოგეწონებაო“, ნამდვილად გამართლდენ და როდესაც მესოპოტამის გაზაფხული გავიდა (იანვარი, თებერვალი და მარტი), როდესაც გაზაფხულის ბუნიაობის დროს აზიელთა მცხოვრებთა ბრწყინვალე დღესასწაული გადაიხადეს – ახალი წელიწადი, როდესაც მაისის მზემ დააგზნო, მაშინ ნიტეტიის სრულიად შეეჩვია ბაბილონს და ყველა სპარსელებმა გაიგეს, რომ ეგვიპტელმა ქალმა თემიდა მეფის გულიდამ აღმოფხვრა და იმედი აქვს გახდეს კამბიზის პირველი საყვარელი ცოლი.

საჭურისთუხუცესი დღედადღე ჰკარგავდა მნიშვნელობას, რადგანაც ყველამ იცოდა, რომ მეფე ჰარამხაში აღარ შედიოდა და საჭურისთუხუცესს გავლენა ჰქონდა მხოლოდ ქალების წყალობით, რომელთაც უნდა ეთხოვნათ კამბიზისათვის ყოველისფერი, რაც კი მას სურდა თავისა და თავის მეგობრებისათვის. უკმაყოფილო ბოგესი ყოველდღე თათბირობდა თემიდასთან, თუ როგორ

დაელუპათ ეგვიპტელი ქალი; მაგრამ კამბიზის სიყვარული და ნიტეტისის გულწრფელი ქცევა ისე ძლიერი იყო, რომ მათმა მანქანებამ და ვერაგობამ ვერა ავნო-რა.

მოუთმენელი და ჯავრის ამოყრის მოყვარული თემიდა აჩქარებდა ფრთხილს ბოგესს დროით დაეწყოთ გაბედვით მოქმედება, მაგრამ ეს უკანასკნელი მოთმინებას ურჩევდა.

ბოლოს, რამდენიმე კვირის შემდეგ, ბოგესი მივიდა თემიდასთან ძალიან გახარებული და უთხრა:

– როგორც კი ბარტია დაბრუნდება, ჩემო კარგო, მაშინ იქნება მოქმედების დრო. მე მოვიგონე ხერხი, რომლითაც ეგვიპტელს ქალს კისერს მოგუერებნავთ და ეს ისე მართალია, როგორც ის, რომ მე ბოგესს მეძახიან.

ამ სიტყვების შემდეგ მარად მომღიმარე საჭურისთუხუცესმა მოიფშენიბა ხელები და ისე მხიარულად იცქირებოდა, თითქოს კეთილი საქმე რამ გაერიგებინოსო. მაგრამ მან მაინც არ გააგებინა თემიდას თავის პლანი და იმის დაკითხვაზედ უპასუხებდა ხოლმე:

– ჩემს თავს უფრო მალე ჩავუღებ ლომს პირში, სინამ ჩემს საიდუმლოებას ქალს შევატყობინებ. მე მრწამს შენი სიმამაცე, მაგრამ ისიც გახსოვდეს, რომ კაცის სიმამაცე საქმეში ჩნდება და ქალისა კი – მორჩილებაში. ამისათვის ის გააკეთე, რაც გითხრა და მოთმინებით ელოდე, თუ მომავალი რითი გაგახარებს

თვალის ექიმი ნებენზარი, ჩვეულებისამებრ, კასანდანას სწამლობდა და სპარსელებთან დაახლოვებას ერიდებოდა. დღე კასანდანას ოთახში იმყოფებოდა, ღამე კი ბაბილონის უმაღლეს კოშკზედ ადიოდა და ვარსკვლავებს ადევნებდა თვალს. ნიტეტისი ძალიან ალერსიანად ექცეოდა, მაგრამ იგი მასაც არავითარს ყურადღებას არ აქცევდა და თითქოს კიდევ ცდილობდა, არ შეხვედროდა ხოლმე. ერთხელ, როდესაც ნიტეტისმა ჰკითხა:

– ცუდს ხომ არაფერს ხედავ ჩემში, ნებენზარი, ან ხომ არაფრით გაგაჯავრე? მან მიუგო:

– შენ უცხო ხარ ჩემთვის: მე ჩემს მეგობრად არ ვიწამებ იმას, ვინც სიამოვნებით უღალატა თავის ღმერთებს, ჩვეულებათა და სამშობლო ქვეყანას.

საჭურისთუხუცესმა ბოგესმა მალე შენიშნა, რომ თვალის ექიმი გაჯავრებული იყო მეფის მომავალს ცოლზედ; ამისათვის განიზრახა თავის მოკავშირედ გაეხადა; მაგრამ ნებენხარამ ღირსეულად უარჰყო მისი ენამლიქვნელობა, საჩუქრები და ალერსიანობა.

ბოლოს დადგა სანატრელი დრო, მოვიდა ამბავი, რომ აჯანყებული ხალხი კვალად დაამშვიდეს და ბარტია მალე დაბრუნდებოდა.

გაიარა სამმა კვირამ. შიკრიკები ერთიმეორეზედ მოდიოდნენ და მოჰქონდათ ამბავი გამარჯვებული ბარტიას მოახლოვებისა; ქალაქის ქუჩები კვალად მორთეს; ჯარი ბაბილონში შემოვიდა; ბარტიამ მადლობა გადაუხადა გამხიარულებულს ხალხს და გაემურა დედის მოსახვევნად.

კამბიზმაც გულწრფელის სიხარულით მიიღო თავის ძმა და განგებ წაიყვანა კასანდანასთან, რაკი იცოდა, რომ ნიტეტისიც იქ იქნებოდა.

მეფემ გულით დააჯერა, რომ ნიტეტისს უყვარდა იგი. მას უნდოდა დაენახებინა ბარტიასათვის, რომ ერწმუნება მას და წინანდელს თავის ეჭვიანობას შეცდომად სთვლის.

მეფე სიყვარულისგან მშვიდი და ალერსიანი შეიქმნა; მისი ხელი უხვად სცემდა საჩუქრებს, მრისხანებას ეძინა გულში და ბაბილონის ყორნები შიმშილისაგან ჩხავილით დასტრიალებდნენ იმ ადგილს, სადაც წინად უხვად იყო სიკვდილით დასჯილთა თავები.

ამ დროს ბაბილონში მოეყარათ თავი სამეფოს ყველა დიდებულით, რომ ხელმწიფის დაბადების დღე ედღესასწაულნათ. ყველა ქალაქებიდამ მოდიოდნენ წარმომადგენელნი, რომ მეფისთვის მოერთმიათ საჩუქრები, ესურვათ მისთვის კეთილდღეობა და მონაწილეობა მიეღოთ დღესასწაულში, როდესაც უხვად იკვლოდნენ ცხენები, ირმები, ხარები და ვირები.

ამ დღეს ყველა სპარსელს საჩუქარი ეძლეოდა და ყველას შეეძლო მეფისთვის რამ ეთხოვნა და იშვიათად მოხდებოდა, რომ თხოვნა არ შესრულებელიყო; ხალხს ამ დღეს მეფის ხარჯზედ აჭმევდნენ პურს. კამბიზმა გადაწყვიტა, რომ დღესასწაულის შემ-

დღე რვა დღე რომ გავიღოდა, ქორწილი უნდა მომხდარიყო, რომელზედაც სამეფოს ყველა დიდებულნი უნდა ყოფილიყვნენ.

მეფე ძალიან მხიარულად იყო, ამპარტავნება დაიკამაყოფილა და დაცარიელებული მისი გული ნიტეტისის სიყვარულით აღივსო. კამბიზს ეგონა, რომ თავის სიცოცხლეში მას პირველად შეუძლიან თავის თავი ბედნიერად ჩარაცხოს და უხვად სცემდა საჩუქრებს არა იმისთვის, რომ სპარსეთის მეფემ უსათუოდ უნდა გასცეს, არამედ იმისთვის, რომ იგი სიამოვნებას გრძნობდა.

სარდალს მეღაბიზს სიტყვით ვერ გამოეხატა ომში ბარტიას და მის მეგობრების ვაჟკაცობა და მამაცობა. კამბიზი გადაეხვია ახალგაზდა გმირებს, აჩუქა მათ ოქროს ძეწკვები და ცხენები და მოაგონა ბარტიას ის თხოვნა, რომელიც უნდა აესრულებინა, თუ ომიდამ გამარჯვებული დაბრუნდებოდა.

როდესაც ბარტიამ თავი ჩაღუნა და ვერ გაბედა თავის სურვილის გამოთქმა, მეფემ გაიცინა და სთქვა:

– შეხედეთ, მეგობარნო: ჩვენი ახალგაზდა გმირი ქალისავით წითლდება, მე მგონია ერთი საყურადღებო თხოვნის ასრულება მამინდება, ამისათვის. დაე ბარტიამ მოითმინოს ჩემი დაბადების დღემდინ და მეჯლიშის დროს, ღვინით გამხნეებულმა, ყურში მიჩურჩულოს ის, რის თქმასაც ეხლა ვერა ბედავს. აბა, ბარტია, ვინძლო კარგი რამ მთხოვო! მე ბედნიერი ვარ და ამისათვის მსურს ყველა ჩემი მეგობრებიც ბედნიერნი იყვნენ.

ბარტიამ პასუხი ღიმილით მიუგო და ჩავიდა დედასთან, რომ პირველად გაეცხადებინა მისთვის თავის გულის წადილი.

მას ეშინოდა, რომ წინააღმდეგობას გაუწევდენ; მაგრამ კრეზმა წინაღვე მოაწყო საქმე და უსინათლო დედაკაცს იმდენი კარგი რამ ელაპარაკა საფოზედ, მის ღირსებასა და სიტურფეზედ, ისე შეუქო მისი გონიერება და განათლება, რომ ახალგაზდა ქალებს ეგონათ როდობისის ქალს კრეზი მოეჯადოვებინა და ამისათვის კასანდანაც დათანხმდა ბარტიას თხოვნაზედა.

– ელინელი ქალი – მეფის შვილის კანონიერი ცოლი! შეჰყვირა უსინათლომ. ეს ხომ თავის დღეში არ მომხდარა! რას იტყვის კამბიზი? ის როგორ დავითანხმობთ?

– მაგაზედ შენ ნუ სწუხარ, დედა, უთხრა ბარტიამ. – მე ისე

დარწმუნებული ვარ კამბიზის დათანხმებაზედ, როგორც იმაზედ, რომ საფო ჩვენი სახლის დამამშვენებელი იქნება.

– კრეზმა ბევრი კარგი რამ მითხრა იმ ქალზედ და მე ძალიან კმაყოფილი ვარ, რომ შენ გაბედე ცოლის შერთვა; მაგრამ მე მგონია, რომ ამისთანა ცოლის შერთვა კირის შვილს არ შეეძენის. ან იფიქრე იმაზედ, რომ ელინელის ქალისაგან ნაშობს შვილს, ახემენიდები თავის მეფედ არ იცნობენ, თუ ვინიცობაა კამბიზს შვილი არ მიეცემა.

– მე არაფრისა არ მეშინიან, რადგანაც სამეფოს გვირგვინზედ არა ვფიქრობ. მაგრამ იმასაც ნუ დაივიწყებ, რომ არაერთი სპარსეთის მეფე უფრო უბრალო ჩამომავლობის ქალის შვილი იყო, სინამ საჭო არის. მე ნამდვილად ვიცი, რომ ჩემი ნათესავები არ გაპიციხავენ, როდესაც ვაჩვენებ მათ საუნჯეს, რომელიც ნილო-სის ნაპირზედ ვიპოვე.

– ოლონდ საჭო ჩვენს ნიტეტისსა ჰგავდეს და მეტი არ მინდა! მე იგი მიყვარს, როგორც ჩემი ნამდვილი შვილი და ვლოცავ იმ დღეს, როდესაც იგი ჩვენს ქვეყანაში მოვიდა. მან თვისის ნარნარის და ალერსიანის ქცევით დაამშვიდა შენი ძმის მრისხანე გული; მისი გულკეთილობა და მშვიდობიანობა მანუგეშებენ მე და ატკობენ ჩემს მოხუცებულებას; მისმა წყნარმა ქცევამ დააჭკვიანა შენი ცელქი და გიჟმაჟი და ატოსა. ახლა დაუძახე ჩვენს ქალებს, რომელნიც ქვევით ბაღში თამაშობენ და შევატყობინოთ, რომ იგინი შენის მეოხებით მალე ახალს მეგობარს იშოვნიან.

– გთხოვ დედაჩემო, უთხრა ბარტიამ, – ნუ შეატყობინებ ამ საქმეს ჩემს დას იქამდის, სინამ მეფე არ დავითანხმით.

– მართალს ამბობ, შვილო, ჩვენ ეს ამბავი ქალებს არ უნდა შევატყობინოთ, თუნდა იმისთვის, რომ შემდეგ სანანებელი არ გაუხდეთ. სასიამოვნო იმედის გაცრეუება უფრო ძნელია, სინამ მოულოდნელი მწუხარება; ამისათვის ჯერ შენი ძმის თანხმობას მოვუცადოთ. ღმერთები იყვნენ შენი მფარველნი.

დილით ადრე, მეფის დაბადების დღეს, სპარსელები არაერთს მსხვერპლსა, ჰკლავდენ ეფრატის ნაპირებზედ. განგებ გაკეთებულს გორაზედ იდგა ვერცხლის უზარმაზარი ტრაპეზი, რომელზე-

დაც ცეცხლის ალი მოჩანდა და დაკმეული სურნელების ბოლი ცაში ადიოდა. თეთრის ტანისამოსით დართულნი მოგვნი უკეთებდენ ცეცხლს სანდლის შემას. მოგვთ პირი აკრული ჰქონდათ, რომ წმინდა ცეცხლს მათი უწმინდური სული არ მისდენოდა. მდინარის ახლოს მდგელოზედ ხოცავდენ მსხვერპლებს; მათს ხორცს ნაჭურ-ნაჭურებად სჭრიდენ, მარილს აყრიდენ და აწყობდენ მწვანე ბალახში და იონჯაზედ, მირტის ყვავილებსა და დაფნის ხის ფოთლებზედ იმისთვის, რომ აურამაზდის მშვენიერი ქალის ფეხი სისხლით მოსვრილს დედამიწას არ შეხებოდა.

შემდეგ მოგვთ უხუცესი ოროპასტი მივიდა ცეცხლთან და ჩააგლო შიგ კარაქის გუნდა. ცეცხლის ალი მაღლა ავიდა. ყველა სპარსელებმა დაიჩოქეს და პირისახე დაიფარეს, რადგანაც ფიქრობდენ, რომ ალი ეგებება წინ თავის მამას, უდიდეს ღმერთსაო. მერე მოგვმა ამვანდასტაში წმინდა მცენარის ღაომის ფოთლები ჩანაყა და მისი წითელი წვენი ცეცხლში ჩაასხა, რომელსაც ღმერთების საჭმელად სთვლიდენ.

ბოლოს მან განაპყრო ზეცისადმი ხელები და დაიწყო სამღთო წიგნებიდამ დიდი ლოცვის გალობა, დანარჩენი მოგვნი კი ხშირად აგდებდენ ცეცხლში კარაქს, რომ უფრო გაძლიერებულყო. ამ ლოცვით მოგვი სთხოვდა ღმერთებს ეკურთხებიანთ ყოველივე წმინდა და კეთილი, და ყველაზედ უწინარეს ხელმწიფე და სამეფო.

მსხვერპლის შეწირვა მეფისათვის ლოცვით დაასრულეს. მდიდრულის ტანისამოსით მორთული კამბიზი მდიდრულსავე ეტლში ჩაჯდა, რომელშიც ოთხი თეთრი ცხენი ება და წავიდა დიდ დარბაზში, სადაც სამეფოს დიდებულნი და მაზრების წარმომადგენელნი იყვნენ შეკრებილნი.

როგორც მოგვი ლოცულობდა. ისევე უნდა ელოცნა ყველა სპარსელს. მართო თავისთვის თხოვნით არ უნდა შეეწუხებინა ღმერთები. პირიქით, ყველა სპარსელს უნდა ეთხოვა ღვთისათვის ბედნიერება ყველა სპარსელისათვის და განსაკუთრებით მეფისათვის. სპარსელები არცერთს უცხო ერს არ უშლიდენ თავიანთ ღმერთების ლოცვას. ამისათვის ბაბილონში მოსულთ უცხო ტომის ტრაპეზების გვერდით თავიანთ ტრაპეზებიც ედგათ და ევედრე-

ბოდენ თავიანთ ქვეყნის ღმერთებს.

მურტის და ბზის ტოტებით, ვარდებით და ალიანდრის ყვავილებით მოფენილი იყო მთლად ქუჩები. ათასნაირი სურ-ნელება იკმეკოდა და ზავდებოდა ჰაერი, ყველა სახლებიდან დროშები და ხალიჩები იყვნენ გადმოფენილნი. ხალხი მხიარულობდა და მღეროდა.

მეფე თავის ამალით სასახლეს უახლოვდებოდა, რომლის უმთავრესი დარბაზი ენით გამოუთქმელის სიმდიდრით ბრწყინავდა და მნახველს თვალებს სჭრიდა.

ამ დარბაზის სიღრმეში ექვსი საფეხურიანი კიბე იყო და ყველა საფეხურს ორი ოქროს ძალღი ჰყარაულობდა. ეს კიბე იყო სამეფო ტახტზე ასასვლელად. ტახტის უკან მარაოების დამჭერნი იდგნენ; აქეთ-იქით კი მეფის ნათესავნი და მეგობრები, სამეფოს დიდებულნი, ქურუმნი და საჭურისთუხუცესნი. დარბაზის ჭერს ოქრო ჰქონდა გადაკრული, იატაკზედ კი მალახაო-იანი ხალიჩები ეგო.

კამბიზი ხან ალერსიანად და ხან მრისხანედ ლაპარაკობდა, იმისი მიხედვით, თუ როგორ კმაყოფილი იყო მორთმეულის საჩუქრებით და ქალაქების მცხოვრებთა ქვეშევრდომობით. ბოლოს მის ტახტს იუდიელთა წარმომადგენელნი მიუახლოვდნენ, რომელთაც წინ ორი გრძელი წვერიანი კაცი მოუძღოდა. პირველს მათგანს ბაბილონურად ეცვა და მეორეს, როგორც ებრაელის მღვდელ-მთავართ.

– შენი ნახვა მესიამოვნება, ვეელხარ, უთხრა კამბიზმა იმ კაცს, რომელსაც ბაბილონურად ეცვა. – მამაჩემის სიკვდილის შემდეგ შენ ჩემი სახლის კარებზედ აღარ გაგივლია.

ვისაც ეს სიტყვები უთხრა, იმან მდაბლად თავი დაუკრა და მიუგო:

– ჩემის მპყრობელის მოწყალება შენს მონას აბედნიერებს. თუ გსურს, რომ შენი მოწყალების მზე გამოიმბრწყინდეს, შეასრულე თხოვნა ჩემის საწყალის ხალხისა, რომელსაც შენმა დიდმა მამამ ნება მისცა თავის ქვეყანაში დაბრუნებულიყვნენ. ეს მოხუცი, რომელიც ჩემს გვერდით სდგას, იესოა, ჩვენი ღმერთის მღვდელმთავარი, არ დაერიდა შორს გზას და წამოვიდა, რომ ეს

თხოვნა მოგახსენოს. ღმერთმა ქნას, რომ ამის ლაპარაკი შენი ყურისათვის სასიამოვნო იყოს და შენს გულზედ დათესილმა ამის სიტყვებმა ნაყოფი გამოიღონ.

– მე ეხლავე ვიცი, რაც გინდათ მთხოვოთ, უთხრა მეფემ. განა მართალია, ქურუმი, რომ შენი ლაპარაკი შენს სამშობლოში ტაძრის აშენებას შეეხება?

– არავითარი საიდუმლოება არა სუფევს ჩვენის ბატონისათვის, მიუგო მღვდელმთავარმა დაბლა თავის დაკვრით. იერუსალიმში მყოფ შენს მონებს სწყურიანთ იხილონ სახე თავიანთის მბრძანებელისა და ჩემის პირით გვევდრებიან ნახო მათი მამა-პაპათა ქვეყანა, რომ მათ მიიღონ თქვენგან ნება განაგრძონ ტაძრის შენობა.

მეფემ გაიღიმა და უთხრა:

– შენ მოახერხებ შენის თხოვნის ისეთი კილოთი გამოთქმას, რომელიც შენი ხალხის თვისებას შეადგენს და ამისათვის ამოგიჩვევია შესაფერი სიტყვები და მოხერხებული დრო! ჩემი დაბადების დღეს ძნელად რომ ჩემს ერთგულს ქვეშევრდომს ხალხს თხოვნა არ შეეუსრულო; ამისათვის გაპირდები, მალე ვნახავ მშვენიერს ქალაქს იერუსალიმს და შენთა მამა-პაპათა ქვეყანას.

– შენ ღიდად გააბედნიერებ მონათა შენთა, მიუგო მღვდელმთავარმა. ჩვენი ვაზები და ზეთისხილის ხეები უფრო კარგს ნაყოფს გამოიღებენ შენის იქ მოსვლით. ჩვენი ქალაქის კარები ყურთამდის გაიღებინ შენს მისაღებად და ისრაილი იმხიარულებს და ერთიორად გაბედნიერდება, როდესაც იგი თავის ბატონს თავის ქალაქში მისულს დაინახავს.

– მოითმინე ქურუმი, მოითმინე! დაუძახა კამბიზმა. თქვენ პირველი თხოვნა, როგორც ვითხარ, აუსრულებელი არ დარჩება, რადგანაც დიდი ხანია განზრახვა მაქვს გავიცნო მდიდარი ტირი, ოქროს სიღონი და შენი იერუსალიმი, თავის ცრუმორწმუნეობით; მაგრამ ეხლა რომ ნება მოგცეთ ტაძრის აშენების განგრძობისა, მეორე წელიწადს რაღა გიწყალობთ.

– მონანი შენნი მოგვეგებებიან საჩუქრებით და არ შეგაწუხებენ თხოვნით, მიუგო ქურუმი: – ეხლა კი წარმოსთქვი ძლიერი სიტყვა და მოგვეც ნება აღვაშენოთ სახლი ჩვენთა მამა-პაპათა

ღმერთისათვის.

– საკვირველი ხალხია ეს პალესტინელები! სთქვა კამბიზმა. მე გამიგია, რომ თქვენ ერთი ღვთაება გწამთ, რომლის გამოხატვაც არ შეიძლება, რადგანაც იგი სული ყოფილა. ნუთუ თქვენა გგონიათ, რომ ეს ჰაერის არსება სახლსა საჭიროებს. თქვენი დიდი სული სწორედ რომ საცოდავი და უძლური უნდა იყოს, თუ რომ იგი საჭიროებს სახლს, რომ ქარს ავღრის, წვიმის და სიცხის დროს თავი შეაფაროს, თუმცა ყოველივე ესენი მისგანვე არიან შექმნილნი. თუ რომ თქვენი ღვთაება, ჩვენ ღვთაებასავით, ყველგან მყოფი არსებაა, მაშ მუხლი მოუყარეთ მას და ილოცეთ იგი ისე, როგორც ჩვენ, ყოველ ალაგას და, იმედია, რომ იგი თქვენს თხოვნას ყველგან გაიგებს.

– ღმერთი ისრაელთა ყოველი მხრიდამ ყურს უგდებს თავის ხალხს, ღალადჰყო მღვდელმთავარმა. – მან შეისმინა ჩვენი ლოცვა, როდესაც ჩვენს სამშობლოს მოშორებულნი ფარაონის ტყვეობის ქვეშ ვიტანჯებოდით; მან გვისმინა ჩვენ, როდესაც ვტიროდით ბაბილონისა მდინარისა კიდეზედ; მან აღიძრა მამათქვენი ჩვენი განთავისუფლების იარაღად, აგრეთვე დღესაც შეისმენს ჩემს ვედრებას და მოალობს თქვენს გულს. ოჰ, დიდებულო მეფეო, ინებე და მიანიჭე მონათა შენთა საზოგადო ადგილი მსხვერპლის შესაწირავად, სადაც შეეძლოთ თავი მოიყარონ თორმეტ მუხლად გაყოფილმა ისრაელის ერმა; მიანიჭე ტრაპეზი, რომლის წინაშეც მათ შეეძლოთ შენთვის ლოცვა; ნება უბოძეთ აღაშენონ სახლი, სადაც მათ ყველას ერთად შეეძლოთ თავიანთ დღესასწაულნი იდღესასწაულონ! ამ დიდის მოწყალებისათვის განუწყვეტლივ შევთხოვთ ღმერთს, მოიღოს შენზედ კურთხევა და შენი მტრების დამარცხება!

– ჩემს მოძმეთ დართე ნება ტაძრის აშენებისა! სთხოვა აგრეთვე ვეელსარმა, რომელიც ბაბილონში დარჩენილ ურიათა შორის მდიდარი და გავლენიანი კაცი იყო, მას კირიც დიდს პატივსა სცემდა და არაერთხელ მიუმართავს მისი რჩევისათვის.

– და განა თქვენ დამშვიდდებით, თხოვნა რომ აგისრულოთ? ჰკითხა მეფემ. – მამაჩემმა ნება მოგცათ ეს საქმე დაგეწყით და საშუალებაც აღმოგიჩინათ. ყველანი ერთად ბედნიერნი წახვედით

ბაბილონიდამ თქვენს ქვეყანაში; მაგრამ ტაძრის აშენების დროს თქვენს შორის ჩხუბი და უთანხმოება გამოვიდა. სიერიელებისაგან მრავალი თხოვნა მოუვიდა მამაჩემს შეეყენებინა ტაძრის შენება, ამასწინად თქვენმა თანამემამულე სიერიელებმაც მეც ესევე მთხოვეს. ამისათვის ევედრეთ ღმერთსა თქვენსა, როგორც და სადაც გინდოდეთ: თქვენი კეთილისმსურველი ვარ, მაგრამ ტაძრის აშენების ნებას კი აღარ მოგცემთ, რადგანაც თქვენში ეს უთანხმოებას აგდებს.

– ნუთუ ღღევანდელს ღღეს უკან წაიღებთ მოწყალებას, რომელიც მამათქვენმა მოგვცა თავის მეფურის სიგელით? ჰკითხა ვეელსარმა.

– სიგელითა?

– დიაღ, ეს ღღევანდლამდისაც შენაზული უნდა იყოს თქვენი სამეფოს არხივში.

– როგორც კი იპოვით მას და წარმომიდგენთ, მიუგო მეფემ: – მაშინ არამც თუ დავთანხმდები ტაძრის აშენებაზედ, არამედ თვითონ მეც ამოგიჩენთ შემწეობას. მამიჩემის ნება ჩემთვის ისეთივე წმინდაა, როგორც ღმერთების ბრძანება!

– ნებას მიბოძებთ, ჰკითხა ვეელსარმა: – განკარგულება მოვახდინო, რომ თქვენმა მწერლებმა გაჩხრიკონ ეკატანის არხივი, სადაც უნდა იყოს აგდარი?

– ნებას გაძლევ; მაგრამ მეშინიან, ვაითუ ვერაფერი იპოვო. ქურუმო, გამოუცხადე შენს თანამემამულეთ, რომ მე კმაყოფილი ვარ იმ მხედართა შეიარაღებით, რომელნიც სპარსეთში გამოგზავნეს მასაგეტებთან საომრად. ჩემი სარდალი მეღაბიზი ძალიან აქებს. სასურველია, რომ მათ ისე იბრძოლონ, როგორც მამიჩემის დროს! შენ ვეელსარო, გაატიფობ ჩემს ქორწილში და გავალებ შეატყობინო შენს თანამემამულეთ მესახს და ავე ნაგოს, რომელნიც ბაბილონში შენს შემდეგ პატივისცემის ღირსნი არიან, რომ ღღეს საღამოზე მოველი მათ მეჯლისში.

– უფალმა ღმერთმა ისრაილისამ გაკურთხოს და გაგაბედნიეროს, მიუგო ვეელსარმა და მდაბლად თავი დაუკრა.

მაგ შენს სურვილს ვკისრულობ, უთხრა მეფემ: – რადგანაც მე თქვენს ღმერთს სუსტ არსებად ვთვლი, თუმცა თქვენ დიდს

სასწაულებს აწერთ. ამასთანავე, ვეელსარ, რამდენიმე ებრაელნი ლანძღვით იხსენიებენ ბაბილონელთ ღმერთებს და ამისათვის დაისაჯნენ. გააფრთხილე შენი თანამემამულენი. ივინი ყველას აძულებენ თავს თავიანთის ცრუმორწმუნეობით და კიდევ იმით, რომ ყველას არწმუნებენ, ვითომც მარტო თქვენი ღმერთი იყოს ჭეშმარიტი ღმერთი! მაგალითი ჩვენგან აიღეთ: ჩვენ კმაყოფილნი ვართ ჩვენის სარწმუნოებით და სხვის სარწმუნოებას არ ვეხეზებით. თქვენს თავს სხვა ხალხებზედ უკეთესებად ნუ ჩასთვლით. მე თქვენთვის კეთილი მინდა, რადგანაც თავის ღირსების შეგნებისაგან წარმომდგარი ამპარტავნება ძალიან მამწონს; მაგრამ გაფრთხილდით, რომ ეს ამპარტავნება თქვენს სავენებელ თავხედობად არ გადაიქცეს. მშვიდობით და დარწმუნებულნი იყავით ჩემს მოწყალებაში.

ურიები გულმოკლულნი წავიდენ, მაგრამ იმედი კი არ დაუკარგავთ, რადგანაც ვეელსარმა ნამდვილად იცოდა, რომ იერუსალიმის ტაძრის აშენების შესახები სიგელი ეკატანის არხივში იქნებოდა.

ებრაელების შემდეგ სირიელებისა და იონიელი ბერძნების ელჩები წარდგენ მეფის წინაშე. ყველაზედ ბოლოს მივიდენ ნადირის ტყავებში გახვეული ველური ხალხი. მათი იარაღი თუმცა ოქროსი იყო, მაგრამ ტლანქად გაკეთებული. მათ სპარსულად ჩაცმული კაცი მიუძლოდა წინ, მაგრამ სახეზედ ეტყობოდა. რომ ისიც იმათი მოდგმისა იყო, რომელნიც უკან მისდევდენ.

მეფემ გაკვირვებით შეხედა ელჩებს, რომელნიც მის ტახტს უახლოვდებოდენ. მას შუბლი შეეჭმუსუნა და, ანიშნა, რა ხელით კაცს, რომელსაც ივინი მოჰყავდა, ხმამაღლა დაიძახა:

– რა უნდათ ჩემგან ამ ხალხს? თუ რომ არა ვცდები, ესენი იმ მასაგეტების რიცხვს ეკუთვნიან, რომელთაც მალე მივაყენებ რისხვასა ჩემსა. უთხარ მათ, გობრიას, რომ კარგად შეიარაღებული ჯარი მზადა სდგას მიდიის ველზედ დასასჯელად.

გობრიასმა თავი დაუკრა და მოახსენა:

– ეს ხალხი დღეს დილით მოვიდა ბაბილონში, მსხვერპლის შეწირვის დროს და თან მოიტანეს მრავალი წმინდა ოქრო, რომ მიიღონ თქვენგან პატივება. როდესაც მათ გაიგეს, რომ შენის

პატივსაცემლად დიდი დღესასწაული იმართება, აღარ მისვენებ-
დენ და მოხვდენ, გამეზადნა ივინი ღირსნი თქვენის ნახვისა,
რომ მოგახსენონ, თუ რისთვის არიან გამოგზავნილნი თავიანთ
თანამემამულეთაგან.

მოჭმუხენილი შუბლი გაეხსნა მეფეს. მან დაკვირვებით აათვალ-
ჩაათვალიერა გრძელწვერიანი მასაგეტები და სთქვა:

– დაე მოვიდნენ ახლო! მე ძალიან მინდა გავიგო, რის თქმას
გამიბედავენ მამიჩემის მკვლელნი.

გობრიასმა ანიშნა მათ; მათგან ყველაზედ დიდის ტანისა და
ყველაზედ უფროსი, სპარსულად ჩაცმულის წინამძღოლობით, მივიდა
მეფის ტახტთან ახლო და თავის ენაზედ ხმამაღლა დაიწყო
ლაპარაკი. მისმა მეზობელმა, მასაგეტმა, კირის ტყვემ, რომელსაც
სპარსული ენა ესწავლა, სიტყვასიტყვით გადასცა ორატორის
ნალაპარაკევი.

– ჩვენ ვიცით, დაიწყო მან, რომ შენ, დიდი მბრძანებელი,
ურისხდები მასაგეტებს მისთვის, რომ მამათქვენი მათთან ბრძო-
ლაში დაიღუპა; ეს ომი თვითონ მან დაგვიწყო, თუმცა ჩვენ
მისთვის ამის მიზეზი არ მიგვიცია.

– მამაჩემს სრული უფლება ჰქონდა თქვენ დაესაჯეთ, გააწ-
ყვეტინა მეფემ სიტყვა ორატორს, რადგანაც თქვენმა დედოფალმა
თომირისამ უარის თქმა გაუბედა, როდესაც მან ცოლობა სთხოვა
იმას.

– ნუ ჯავრობ, ჰოი მეფეო, მიუგო მასაგეტმა; მე არ შემიძლიან
არა ვსთქვა, რომ დედოფალის უარის თქმამ მთელი ხალხი გაამზ-
ნევა. ბავშვიც კი მიხვდებოდა, რომ მოხუცებულს კირს უნდოდა
ჩვენი დედოფალი მიემატებინა თავის ცოლებისათვის მხოლოდ
იმისათვის, რომ მას, ქვეყნების დაპყრობით გაუმადლარს, უნდოდა
დედოფალთან ერთად მისი სამეფოც ხელში ჩაეგდო.

კამბიზი ჩუმად იყო, ელჩმა კი განაგრძო.

– კირმა უბრძანა ხიდი გაეღოთ მდინარე არაქსზედ, რომელიც
ჩვენი სამზღვარი არის. ჩვენ არაფრისა გვემინოდა; ამისთვის
თომირისამ უბრძანა ეთქვათ მისთვის, რომ მას ხიდი ტყუილად
არ გაეკეთებინა, რადგანაც ჩვენ მზადა ვართ ან მოვუცადოთ მის
შემოსვლას ჩვენს სამშობლოში, ან არადა მის წინააღმდეგ იმის-

ავე სამეფოში წავალთო. კირს განეზრახა, როგორც შემდეგ ტყვეებმა გვიამბეს, ლიდიის გადაყენებული მეფის კრეზის რჩევით, წამოსულიყო ჩვენს ქვეყანაში და დაველუბეთ ჩვენ მანქანების შემწეობით. მან გამოგზავნა ჩვენს წინაშე მცირე ნაწილი ჯარისა, მოიცადა იქამდის სინამ ეს ჯარი ზოგი არ გავწყვიტეთ და ზოგი ტყვედ არ დავიჭირეთ. ჩვენ გვეგონა, რომ გავიმარჯვეთ უძლეველს მეფეზედ და წართმეული თქვენი სურსათით ქეიფობა დავიწყეთ. როდესაც ჩვენ დავითვერით იმ სასმელით, რომელსაც თქვენ ღვინოს ეძახით და რომლის გემოც თავის დღეში არ გვენახა, მაშინ უეცრად თავს დაგვესხა თქვენი ჯარი და მომეტებული ნაწილი ჩვენის ჯარებისა დაიღუპა. ბევრი ტყვედ ჩაგივარდათ ხელში და მათ შორის დედოფლის ახალგაზდა შვილი სპარგაპისი. როდესაც სპარგაპისმა გაიგო, რომ იმის დედა მზა იყო მოგრიგებოდათ, ოღონ კი მისი შვილი განგეთავისუფლებინათ, მაშინ ახალგაზრდა გმირმა გთხოვათ ბორკილი აგეხსნათ. როგორც კი ხელები გაინთავისუფლა, მან სტაცა ხმალს ხელი და ამ სიტყვების შემდეგ გაიგმირა გული: „მე ჩემს თავს მსხვერპლად ვსწირავ ჩემი ხალხის თავისუფლებას!“ როგორც კი ყველასგან საყვარელი ყმაწვილი კაცის სიკვდილი გავიგეთ, მაშინვე შევაგროვეთ ყველა ჩვენი ჯარები. ბავშვები და მოხუცებულებიც კი აღიჭურვენ, რომ მამიშენისათვის სპარგაპისის სიკვდილის სამაგიერო გადაეხადათ. საქმე ბრძოლამდის მივიდა. თქვენ დამარცხდით. კირი მოიკლა, თომირისამ იპოვა მისი გვამი, რომელიც სისხლში სცურავდა და სთქვა: „უბედურო, ეხლა ხომ მანც არის გაძეხი სისხლით!“ იმ თქვენმა მხედრებმა, რომელთაც თქვენ უკვდავებას ეძახით, ჩვენ უკან დაგვწიეს და მამიშენის გვამი უკან წავგართვეს. თვით შენ იყავ იმ მხედართ უფროსი და ლომისავით იბრძოდი. მე გიცნობ შენ! იცოდე, რომ ამ ხმლით, რომელიც ეხლა თანა მაქვს, დაგჭერი მე შენ და ეს ჭრილობა ეხლა შენს ვაჟკაცურს სახეს ამშვენებს.

მსმენელნი შეირყნენ, რადგანაც შიშობდენ იმის სიცოცხლის გამო, რომელიც ასე გაბედვით ლაპარაკობდა; მაგრამ კამბიზმა, განრისხების მაგიერად, მოწონების ნიშნად, თავი დაუქნია და უთხრა:

– ეხლა მეც გიცნობ შენ! იმ დღეს შენ ჩალისფერს ცხენზედ იჯექი, რომელსაც ოქროს მორთულობა ჰქონდა. ჩვენ, სპარსელები, როგორც თვითონ შენ გამოსცდიდი შენს თავზედ, ვაჟკაცობას და სიმამაცეს პატივსა ვცემთ. ჩემო მეგობარნო, მე ისე მჭრელი ხმალი და ისე დაუღალავი ხელი თავის დღეში არ მინახავს, როგორც ამ კაცისა; მოიხარეთ მის წინაშე თავი, რადგანაც გპირი კაცი პატივისცემის ღირსია, ვინც უნდა იყოს იგი: მტერი თუ მოყვარე. შენ კი მასაგეთელო, გირჩევ მალე დაბრუნდე შენს ქვეყანაში და საომრად მოემზადო, რადგანაც შენი გმირობის მოგონებაზედ, შენთან ბრძოლა მომინდა. გეფიცები მირტს, რომ შენისთანა ძლიერი მტრები ჩემთვის უფრო ძვირფასნი არიან, სინამ უხეირო მეგობრები! მე შენ უვნებლად გავისტუმრებ შენს სამშობლოში, მაგრამ ჩემს ახლო დიდხანს დარჩენას კი არ გირჩევ, რადგანაც მამიჩემის სიკვდილის სამაგიეროს გადახდა მსურს და ვაი თუ ვეღარ მოვითმინო.

მასაგეთმა მწარედ გაიღიმა და მოახსენა მეფეს:

– ჩვენ, მასაგეთები, ვფიქრობთ, რომ მამითქვენის სულმა საშინელი კმაყოფილება მიიღო. სამაგიეროდ ჩვენი დედოფლის შვილმა მოიკლა თავი, რომელიც ჩვენი ხალხის ამპარტაყანება იყო და არც კირზედ ნაკლები. ამას გარდა თქვენ სხვაფურადაც ამოიყარეთ ჩვენი ჯავრი; ჩვენი დედოფალი თომირამისა გადაიცვალა!

– თომირამისა გადაიცვალა? შეჰყვირა კამბიზმა. ნუთუ ჩვენ, სპარსელებმა ქალი მოვკალით? რა მოხდა თქვენი დედოფლის თავს? მიპასუხე!

– ათი თვის წინად დედოფალი თომირამისა თავის ერთადერთს შვილზედ დარდით გადაიცვალა, ამისათვის გავბედე მომეხსენებინა, რომ ისიც თქვენი ომების მსხვერპლი გახდა და მამიშენის სისხლი სისხლითვე დაიბანა.

– დიდი ქალი იყო ისა, სთქვა ჩუმად კამბიზმა. მერე ხმამაღლა განაგრძო: მე მგონია, მასაგეთელებო, რომ თვით ღმერთებმა გადაგიხადეს მამიჩემის მოკვლის სამაგიერო. რამდენიც უნდა მძიმე იყოს თქვენი დანაკლისი, მაინც სპარსეთის მეფის და განსაკუთრებით კირის სისხლს ვერ გამოისყიდის.

– ჩვენს ქვეყანაში, მიუგო მასაგეთელმა, სიკვდილი ყველას

ათანასწორებს და სხეულს მოშორებული მეფის სული მონის სულის თანასწორია. მამათქვენი დიდი კაცი იყო, მაგრამ ის მწუნარება უფრო დიდია, რომელიც იმის გამო ჩვენ მოგვევლინა. თომირამისის სიკვდილის შემდეგ ჩვენ შორის არეულობა ატყდა. ორს კაცს ჰგონია, რომ დაცლილს სამეფო ტახტზედ თანასწორი უფლება აქვთ. ნახევარი ხალხი ერთისთვის იბრძოდა, ნახევარი – მეორესთვის. ამ შინაურმა ომებმა ჩვენი ჯარები თითქმის გაანახევრა. შენ რომ განიზრახო ჩვენთან ომი, წინააღმდეგობას ვერ გაგიწევთ: ამისათვის მორიგებას გთხოვთ, რისათვისაც ოქროთი სავსე ტომრებს მოგართმევთ.

– მაშ ხმის ამოუღებლად გინდათ დამმორჩილდეთ? ჰკითხა კამბიზმა. მიდიის ველზედ დაბანაკებული ჩემი ჯარების სიმრავლე დაგარწმუნებთ, რომ მე თქვენგან დიდს წინააღმდეგობას მოველოდი. მაგრამ თუ მტრები არა გვყავს, ჩვენ ბრძოლა არ შეგვიძლიან. მე დავითხოვ ჯარს და მთავარმმართველს გამოვიგზავნი. მოგესალმებით თქვენ, როგორც ჩემს ახალს ქვეშევრდომებს.

მეფის სიტყვებზედ მასაგეთელს სახე აენტო და მიუგო მან მთრთოლვარე ხმით:

– შენა სცდები, მეფე, თუ გგონია, რომ ჩვენ მამაცობა დავივიწყეთ და ან შენი დამონება განვიზრახეთ. ჩვენ კარგად ვიცით შენი ძლიერება და ვიცით, რომ ჩვენი მცირე ჯარი შენს უმრავლეს ჯარს წინააღმდეგობას ვერ გაუწევს. ჩვენ პატიოსნურად, მასაგეთურად, ვალვიარებთ ჩვენს სისუსტეს; მაგრამ ამასთან გიცხადებთ, რომ სპარსეთის მმართველის ბრძანებას არასოდეს არ დავემორჩილებით. შენ მრისხანედ მიყურებ, მაგრამ ამ მრისხანებას გავუძლებ და გიმეორებ, ჩემს თხოვნას.

– მე კი, უთხრა კამბიზმა, აი რას გეტყვი შენა: თქვენ ორში ერთი უნდა ამოირჩიოთ: ან ჩემს სკიპტრას უნდა დაემორჩილოთ, შემოუერთდეთ ჩემს სამეფოს და მიიღოთ ჩემი გამოგზავნილი მმართველი, ან არადა ბრძოლით უნდა დაგიმორჩილოთ და მიგაღებინოთ ჩემი პირობები. დღეს თქვენ ჯერ კიდევ შეგიძლიანთ კეთილი მეფე იშოვოთ, თორემ შემდეგ მე თქვენი დამმარცხებელი და ჯავრის ამომყრელი შევიქნები. ჯერ სინამ პასუსს მამცემდეთ,

ამაზედ კარგად იფიქრეთ.

– ჩვენ წინააღმდეგ მოვიფიქრეთ ყოველისფერი, მიუგო მხედარმა, და დავრწმუნდით, რომ ჩვენ მთების შვილნი ვართ და მზადა ვართ უფრო მალე დავიხოცოთ, სინამ მონება მივიდოთ. მომისმინე ის, რაც ჩვენმა უფროსებმა დამავალეს თქვენ გადმოგცეთ: „ჩვენ, მასაგეთელები, ჩვენმა ღმერთებმა დაგვსაჯეს და ისე დაგვაუძლურეს, რომ თქვენ, სპარსელებს, წინააღმდეგობას ვერ გავიწევთ. ჩვენ გავიგეთ, რომ ჩვენთან საბრძოლად ბევრს ჯარსა ჰგზავნი. ამისთვის განვიზრახეთ შევისყიდოთ თქვენგან მშვიდობა და თავისუფლება ყოველწლივ დიდის ხარჯის გადახდით. მაგრამ იცოდეთ კი, რომ თუ თქვენ იარაღით განიზრახავთ ჩვენს დაპყრობას, ამით თქვენს თავსაც დიდს ზარალს მისცემთ. როგორც კი თქვენი ჯარი არაქს მოუახლოვდება, ჩვენ ყველანი, ცოლიან-შვილიანათ ავდგებით და წავალთ ახალი სამშობლოს მოსაძებნელად, რადგანაც ჩვენ თქვენსავით ქალაქებში და სახლებში ცხოვრებას ჩვეულნი არა ვართ, ჩვენ უფრო ცხენებზედ ვსხედვართ და კარვების ქვეშ ვცხოვრობთ. ჩვენ წავიღებთ თან ოქროს და მიწას წავაყრით ორმოებს, რომლებშიაც ბევრს საუნჯეს იპოვიდით. ჩვენ ვიცით ოქრო-ვერცხლის ყველა მადნები და მზადა ვართ ბევრიც მოგიტანოთ, თუ რომ მშვიდობას და თავისუფლებას მოგვანიჭებთ; ამასთანავე თუ სპარსეთის სამეფოს რამე განსაცდელი მიაღებთ, ყოველთვის მზად ვიქნებით იმის მტერს ვებრძოლოთ.“

ელჩი დაჩუმდა. კამბიზმა ძირს დააშტერა თვალები და დიდხანს პასუხს არ აძლევდა, ბოლოს თავის ტახტიდამ წამოდგა და უთხრა:

– დღეს მეჯლისის დროს მოვილაპარაკებთ და სვალ შეგატყობინებთ, რა პასუხი უნდა წაუღოთ თქვენს ხალხს. გობარიას, განკარგულება მოახდინე, რომ ამ ხალხს კარგად დაუხვდენ, იმ მასაგეთელს კი, რომელმაც მე დამჭრა, ჩემი საკუთარი სუფრის მონარჩენი მიართვიო.

IV

ამ ამბების დროს ნიტეტისი მართლდმართო ატარებდა დროს თავის სახლში. ამ დღეს მეფის ცოლებთან ერთად დაესწრო მსხვერპლის შეწირვას და აღზნებული ტრაპეზის წინაშე, მისთვის გაუგებარ ლოცვების გალობის დროს, ცდილობდა ელოცნა თავის ახალი ღმერთები.

სამეფო ჰარემის მცხოვრებთა მომეტებულმა ნაწილმა პირველად ნახეს ეგვიპტელი ქალი ამ დღესასწაულზე და, ნაცვლად იმისა რომ ღვთისადმი მიემართათ თვალნი, იგინი უცხოელს ქალს არ აშორებდენ თვალს.

ნიტეტისი, შეწუხებული მეფის ცოლების მტრულის ცქერით, ძალიან სწუხდა, იგონებდა რა იმ დროს, როდესაც თავის დედით და დით მიდიოდა ხოლმე თავის სამშობლოს უზარმაზარს ტაძრებში და ევედრებოდა თავის ყმაწვილობის ღმერთებს; ეხლა, თუმცა ძალიან უნდოდა ელოცნა თავის საყვარელი მეფისათვის, მაგრამ მისი გული არ უდგებოდა უცხო ერის ღმერთებს.

კასანდანა და ატოსა ნიტეტისთან ერთად დაჩოქილნი იყვნენ და ბანს აძლევდენ მოგვების გალობას, რომელიც ეგვიპტელი ქალისთვის უბრალო ხმაურობა იყო. ნიტეტისი მაინცადამაინც ცდილობდა გარეგნად მაინც ეჩვენებინა, რომ იგი მხურვალედ ლოცულობდა. ლოცვას განსაკუთრებით ის გარემოება უშლიდა, რომ რამდენიმე წამის წინად მსხვერპლის შეწირვის დაწყობამდის მას მიეღო ეგვიპტიდამ პირველი წერილი. იგი ჯერ ისევ წაუკითხავი იდო მის სტოლზე და, როგორც კი სალოცავად მოემზადებოდა, მაშინვე ამას გაიფიქრებდა ხოლმე: რა ამბები სწერია წერილში? რას აკეთებენ მისი მშობელნი? როგორ მოინელა მისმა დამ ბარტიას განშორება?

მსხვერპლის შეწირვის შემდეგ, იგი მხურვალედ გადაეხვია კასანდანას და ატოსას. მერე უბრძანა სახლში წაეყვანათ და, როგორც კი მივიდა შინ, მაშინვე სტოლისაკენ გაექანა, რომელზედაც წერილი იდო. უპირველესი მოახლე, — ის, რომელმაც სპარსული ტანისამოსი პირველად ჩააცვა, — ნიტეტისს ცბიერის ღიმილით დახვდა და ეს ღიმილი შემდეგ გაკვირვებად გადაიქცა,

როდესაც მისმა ქალბატონმა ერთხელაც არ შეხედა სტოლზედ დაწყობილს მდიდრულს ტანისამოსს და პირველადვე წერილს მივარდა. წერილი საჩქაროდ გახსნა და ის იყო წასაკითხად ემზადებოდა, რომ მოახლე მასთან ახლო მივიდა და მოახსენა:

– გეფიცებით მირტას, ჩემო ქალბატონო, რომ თქვენ უქეიფოდ უნდა იყოთ! ან იქნებ ეგ წერილი მოჯადოებულია და ამისათვის ყურადღება არ მიაქციე მშვენიერს სამკაულს, რომელიც დიდებულმა მეფემ გამოგიგზავნათ მაშინ, როდესაც თქვენ მსხვერპლის შეწირვაზედ იყავით? აბა შეხედე ამ მშვენიერს მორთულობას! განა არ იცით, რომ ამისთანა საჩუქარს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს? კამბიზმა მიბრძანა გთხოვოთ, რომ ეს მშვენიერი ტანისამოსი დღევანდელს დღესასწაულს დღეს ჩაიცვათ. რანაირ გაბრაზდება ფედიმა! რანაირ დაგიწყებენ ცქერას სხვა ქალები, რომელთაც ამისთანა საჩუქარი თავის დღეში არ მიუღიათ! გეთაყვა, ქალბატონო, ნება მიბოძეთ ეს საუცხოვო ნივთები გაგიკეთოთ, რა მშვენიერი იქნები და რანაირის მოშურნე თვალით დაგიწყებენ სხვანი ცქერას! ახ, მე რომ იმ დროს იქ ვიყო, როდესაც შენ ზალაში შეხვალ; წავიდეთ, ჩემო ქალბატონო, ნება მიბოძეთ უბრალო ტანისამოსი გაგხადოთ და მდიდრული ჩაგაცვათ.

ნიტეტიის ჩუმად იყო და ყბედს მოახლეს ყურს უგდებდა, თანაც იღუმალის ღიმილით სინჯავდა ძვირფას საჩუქარს. მას იმდენად ქალური თვისება ჰქონდა, რომ ეს საჩუქარი უთუოდ გაახარებდა; იგი ხომ გამოგზავნილი იყო იმ კაცისაგან, რომელიც მას თავის სიცოცხლეზედ ძლიერ უყვარდა; ეს საჩუქარი ეუბნებოდა მის გულს, რომ იგი მეფისთვის უფრო ძვირფასია, სინამ ყველა სხვა ცოლები. მას წერილი ხელიდამ გავარდა. დაუჯერა მოახლის თხოვნას და მეფის გამოგზავნილი ტანისამოსით მოირთო. ახალს ტანისამოსში ისე დამშვენდა, რომ მოახლეს კი გაჰკვირდა და მის წინ მუხლი მოიდრიკა.

დიღხანს არ უყურებდა ნიტეტიის თავის წინ დაჩოქილს მოახლეს; იგი სირცხვილით გაწითლდა, მშვენიერი თავი გაიქნია, წამოაყენა მოახლე და შუბლზედ ალერსიანად აკოცა; მაშინვე არუქა მას ოქროს სამაჯე და სთხოვა მოშორებოდა. მოახლე მაშინვე გაიქცა, რომ ქალბატონისაგან ნაჩუქარი ნივთი თავის

მეგობრებისათვის ეჩვენებინა. ნიტეტისი კი, სიხარულით ცრემლ-მორეული და აღელვებული, მიესვენა სპილოს ძვლის სელზედ, თავის ქვეყნის სიტუაციის ღმერთს შეევედრა. მერე წერილი გულში ჩაიკრა და სთქვა თავისთავად:

– რა ბედნიერი და კმაყოფილი ვარ! საწყალო წერილო! მან, ვინც შენ გწერავდა, იქნება არც კი იცოდა, რომ ნახევარს საათს წაუკითხველი იღებოდი.

ხარბად დაიწყო კითხვა. სახეზედ სიამოვნება დაეტყო; მაგრამ ღიმილი მალე ფიქრად გადაექცა და, როდესაც წერილი ბოლომდის ჩაიკითხა, კვალად ხელიდამ გაავარდა. თვალეში ცრემლები მოერია, თავი სტოლზედ დააყრდნო, გადმოცვნიული ცრემლები მარგალიტსა და ბრილიანტებში ერეოდნენ.

წერილში შემდეგი ეწერა:

„ლადისა, მეუღლე ამაზისის და დედოფალი ქვემო და ზემო ეგვიპტისა, სწერს თავის ქალს, ნიტეტისს, სპარსეთის მეფის მეუღლეს.

„თუ რომ, საყვარელო შვილო ჩემო, ამდენ ხანს შენს სამშობლოდამ ამბავი არ მოგდიოდა, ამაში დამნაშავე ჩვენ არა ვართ. ტრიერა, რომელსაც უნდა მიეტანა ეგვიპტის შენთან გამოგზავნილი წერილები, სამოსელს სამხედრო გემებს დაეჭირათ და ასტიპალეის ნავთსადგურში წაეყვანათ.

„თავზელობა პოლიკრატიისა, რომელსაც ყოველივე საქმე კარგად მოსდის, რაც უნდა განიზრახოს, თანდათან უფრო მატულობს. არც ერთი გემი მის საყაჩაღო გემებს ხელიდამ არ მისდით მას აქეთ, რაც მან დაამარცხა ლეზბოსელები და მილეთელები, რომელთაც უნდოდათ ამისთანა სისაძაგლისათვის ბოლო მოეღოთ.

„განსვენებული პიზისტრატის შვილები, მისი მეგობრები არიან. ლილდამისი ძალიან დავალებულია მისგან და სამოსელების დანებებაში საჭიროებს, რომ კუნძულს ნაკროსზედ თავისუფლება დაიცვას. მისი გემებისაგან დატანჯულნი არიან ყველა ხალხები, რომელნიც ზღვით დადიან. სამოსი ერთს მდიდარ ქალაქად გახდება და პოლიკრატიც ძალიან გაძლიერდება, თუ, როგორც მამაშენი ამბობს, ღმერთებმა არ შეიშურეს მისი სრული ბედ-

ნიერება და განსაცდელი რამ არ მოუმზადეს.

„რომ ღმერთების რისხვა განემორებინა, ამაზისმა ურჩია თავის მეგობარს პოლიკრატს, დაეთმო რამ ძვირფასი ნივთი ისე, რომ შემდეგ ვეღარ დაებრუნებინა. პოლიკრატმა დაუჯერა მამაშენს და თავის ციხილამ გადააგდო ზღვაში ერთი უძვირფასესი თავის ბეჭედთაგანი, მაგრამ ექვსი დღის შემდეგ მისმა მზარეულებმა ეს ბეჭედი თევზის მუცელში იპოვეს; პოლიკრატმა მაშინვე შეგვატყობინა ეს საკვირველი ამბავი; იმის მაგიერად რომ გახარებოდა, მამაშენმა მწუხარედ გაიქნია თავი და სთქვა, რომ ძნელია იმის აცილება, რაც ბედისაგან განწყესებულიაო. იმავე დღეს მამაშენმა გამოუცხადა პოლიკრატს, რომ სპობს მასთან ყოველსავე მეგობრობას, რადგან არ მინდა ჩემი საყვარელი კაცის უბედურება ვნახოვო. პოლიკრატს ძალიან გაეცინა ამ ამბავზე და გამოგზავნა ჩვენთან ის წერილები, რომელნიც იმის ზღვის ყაჩაღებს წაერთმიათ ჩვენი ტრიერისათვის. ამას იქით წერილებს სირიის გზით გამოგიგზავნით.

„რომ მკითხო, რისთვის ვიამბობ იმისთანა ამბებს, რომელნიც შენს გულს არ ასიამოვნებენ, მე მოგიგებ: იმისთვის მეთქი, რომ მოგამზადო იმ მდგომარეობის გასაგებად, რა მდგომარეობაშია მამაშენი იმყოფება. განა შეგიძლიანლა იცნო მხიარული, ალერსიანი და უღარდელი ამაზისი იმ სიტყვების შემდეგ, რომელნიც მან სამოსელი მეგობრის შესახებ წარმოსთქვა?

„საუბედუროდ, ჩემს ქმარს საკმაო მიზეზი აქვს იწუხოს და დედიშენის თვალებზედაც ცრემლი არ შემშრალა მას აქეთ, რაც შენ სპარსეთში წახვედი. ხან ავადმყოფს შენს დას ვუზივარ გვერდით და ხან მამაშენს, რომ ნუგეში ვცე და გავამხნეო.

„რომ ეს სტრიქონები მოგწერო, მთელი ღამეები უნდა გავტეხო, თუმცა ძილი ჩემთვის საჭიროა.

„ეს არის გამაწყვეტინეს წერა გამდლებმა, რომელთაც მითხრეს, ტახოტი გეძახისო. რანაირის სიამოვნებით ივონებს საბრალლო ქალი შენს სახელს ავადმყოფობის ღროსაც და რანაირ უფროთხილდება შენს სანთლის სურათს, რომელიც ძალიანა გგავს შენა.

„ეხლა, ჩემო შვილო, ღონე მოიკრიბე და ვეცდები ვიამბო დაწვრილებით ყოველისფერი, რაც კი ღმერთებმა მოგვივლინეს.

„შენი წასვლის შემდეგ ტახოტს სამი დღის განმავლობაში თვალბზედ ცრემლი არ შემრობია. ყველა ჩვენმა ნუგეშისცემამ, დარიგებამ და ლოცვამ საბრალო ქალს მწუხარება არ შეუძცირ-ეს და არ გაართეს. მეოთხე დღეს ცრემლი გაუშრა. იგი თითქოს შეურიგდა თავის ბედს და, თუ რამეს ვკითხავდით, პასუხს გვა-ძღევდა; მაგრამ უფრო ბევრს ხანს ჩუმაღ იყო და ჯარას უჯდა გვერდით, მაგრამ უწინდებურად კი ვეღარ ართავდა, ძაფებს მალ-მალ სწყვეტდა. ის, რომელიც წინად მამის ხუმრობაზედ გულით ხარხარობდა ხოლმე, ეხლა გულგრილად უყურებს ყოველს ხუმ-რობას. როდესაც მე მას შუბლზედ ვაკოცებდი და ვთხოვდი თავი დაეჭირა, იგი წამოხტებოდა ხოლმე და საშინლად გაწ-ითლებული გულში მეკროდა, მერე ისევე ჯარას მოუჯღდებოდა ხოლმე; ნახევარ საათის შემდეგ კვალად ჩაფიქრდებოდა, ხელებს მუხლებზედ იწყობდა და ერთს რომელსამე ალაგს აშტერდებო-და.

„როდესაც იგი ბუბსტისში დიდს დღესასწაულზედ წავიყვა-ნეთ, საღაც ეგვიპტის ხალხი იყრის თავს; როდესაც მან პირვე-ლად დაინახა მრავალი მხიარული ხალხი, იგი თითქოს გამოერკვია და დაიწყო ცრემლების ღვრა ისევე უხვად, როგორც შენი წას-ვლის შემდეგ, შეწუხებულებმა და მორჩენის იმედღაკარგულებმა იგი ისევე საისში მოვიყვანეთ.

„იგი ღმერთსა ჰგავდა. თუმცა ძალიან გახდა, მაგრამ ყველას გამაღლებული გვეჩვენებოდა; მისი კანი თეთრად ბრწყინავდა და ლოყებზედ სიწითლე დაეტყო, რომელიც კოკორი ვარდის სი-წითლესა ჰგავდა, ან ცისკრის პირველს სხივს, მაგრამ რადგანაც სიცხე თანღათან ემატებოდა, ამისათვის ფივიღამ მოვაყვანინეთ საისში გამოჩენილი ექიმი იმგოტები. ნახ თუ არა ექიმმა, თავი გააქნია და გვითხრა, რომ დიდს ავადმყოფობას გამოივღისო. ამ დღიღამ მას ძაფის დართვა აეკრძალა და ძალიან ცოტა უნდა ეღაპარაკნა. სულ სხვადასხვანაირი წამლები უნდა მიეღო. ყვე-ლა ქურუმი მისი მორჩენისათვის ევეღრებოღენ ღმერთებს, მა-გრამ არც ლოცვამ და არც წამლებმა ტახოტს არაფერი უშვე-ღეს. ნეიტოტეპმაც აღარ დაგვიძალა და გვითხრა, რომ ტახოტის ვარსკვლავი მალე გაჰქრებაო. ამ დღეებში მემფისში წმინდა

ხარი მოკვდა; ქურუმებმა მის შიგნეულობაში გული ვერ იპოვეს და გამოაცხადეს, რომ ეს ეგვიპტისთვის უბედურებას მოასწავებს. ყველანი ამბობენ, რომ მამიშენის სამეფოს ღმერთები თავიანთ მადლს მხოლოდ მაშინ მოუვლენენ, როდესაც ყველა უცხოელთა ტაძრებს დაანგრევენ და იმათაც გარეკვენ, რომელნიც ცრულმერთებს სწირვენ მსხვერპლსაო.

„წინასწარმეტყველება გამართლდა. ტახოტი საშინლად ავად გახდა. ცხრა ღღეს არც მკვდარი იყო და არც ცოცხალი, ეხლაც ისე სუსტად არის, რომ ხელით ძლივს დაგვეყავს და ხელი და ფეხი ვერ გაუძრავს.

„ბუბსტისში მოგზაურობის დროს, ამაზისს თვალების ანთება მოუვიდა, რაც ხშირად ხდება ხოლმე ეგვიპტეში. იმის მაგივრად რომ ცოტა შეესვენა, იგი ისე ძველებურად მუშაობდა მზის ამოსვლიდან შუადღემდის. იმ დროს, როდესაც შენი და ავად იყო, მამაშენი იმის ლოგინს არ მოშორებია, თუმცა ყველანი ვურჩევდით. რაღა გაგიგრძელო, შვილო, თვალების ანთება უფრო გაუძლიერდა და იმ ღღეს, როდესაც ბაბილონში შენი მშვიდობით მისვლის ამბავი მოგვივიდა, ამაზისი დაუსინათლოვდა. მთელი საათობით ნეიტის ტაძარშია და ლოცულობს. იქვე, იმის თვალწინ, მუშები საფლავს აშენებენ იმის მუმიისათვის, ზოგი მუშებიც მემფისში დაწყობილს აპოლონის ტაძარს ანგრევენ. ამ უბედურებას ამაზისი ღმერთებისაგან მოვლინებულ სასჯელად სთვლის.

„ამაზისის ნახვა მას აღარ ასიაშინებებს; იმის მაგივრად რომ მეგობრულად ელაპარაკოს საბრალო ქალს, ცდილობს დაუმტკიცოს, რომ ღმერთებმა ისიც სამართლიანად დასაჯეს. იგი უფრო გულს უხეთქავს საწყალს ქალს, რომელსაც სიცოცხლე ძალიან უნდა.

„აი კიდევ დამიშალეს წერა. ექიმი იმგოტები მოვიდა ავადმყოფის სანახავად. მას იმედი აღარა აქვს და კიდევ უკვირს, რომ ასეთი ნაზი არსება ასე ღიბხანს ებრძვის სიკვდილს. „იგი ღიბი ხანია მოკვდებოდაო, გვითხრა მან გუშინ, თუ რომ მას არა ჰქონდეს სიცოცხლის მტკიცე სურვილი. თუ რომ მისი სურვილი შესრულდება, შეიძლება რამდენსამე წელიწადს კიდევ იცოცხლოს.“ ხომ მიხვდი რაც არის მისი სურვილი? ჩვენი ტახო-

ტი შენი ქმრის ძმამ მოხიბლა და მოაჯადოვა; ამით მე იმას არ ვამბობ, ვითომც მას მანქანური საშუალება ეხმაროს, რომ მის გულში სიყვარული აღედგა. რაც სილამაზე ბარტიას აქვს, იმის ნახევარიც საკმარია, რომ შეიპყროს უზაკველი ქალის გული. შენს წასვლამდისვე შევნიშნე, რომ ტახოტს სპარსელი უყვარდა. პირველად ჩვენ გვეგონა, რომ ცრემლებს შენი წასვლის გამო ღვრიდა, მაგრამ როდესაც მან იღუმალად ჭმუნვა დაიწყო, ივიკმა, რომელიც მაშინ ჩვენსა იყო, შენიშნა, რომ მას ძლიერი გულისთქმა მოერია.

„ერთხელ, როდესაც იგი თავის ჯარას ჩაფიქრებული უჯდა, ივიკმა უძღერა საწოს საყვარელი სიმღერა:

დედავ გქონდეს შებრალება,
დართვა აღარ შემიძლიან,
შინ გული აღარ მიდგება,
ოცნებანი სხვაგან რბიან.
ძაფი მალიმალ მიწყდება
მამდის კანკალი ხელისა...
დედავ გქონდეს შებრალება
მამეცი ნება წასვლისა.

„ამ სიტყვებზედ იგი გაყვითლდა და ჰკითხა; „შენ თვითონ შეთხზე ეგ ლექსი, ივიკ“?

„არაო, მიუგო მან, ამ ორმოცდაათის წლის წინად ამ ლექს საფო მღეროდა.“

„ორმოცდაათის წლის წინად... განიმეორა ტახოტმა ჩაფიქრებით.“

„სიყვარული ყოველთვის უცვლელია, უთხრა პოეტმა;

„ის სიყვარული, რომელიც საწოს ჰქონდა, ჩვენს შემდეგაც მრავალ საუკუნოების განმავლობაში იქნება“.

„ავადმყოფმა გაიღიმა და მას აქეთ ჩუმად იმეორებდა ამ ლექსს, როდესაც ჯარას უჯდა ხოლმე გვერდით.

„ჩვენ მაინც ისეთს არაფერს ვეუბნებოდით, რაც კი მოაგონებდა იმას, ვინც უყვარდა. როდესაც დიდი სიცხე ჰქონდა, ბარტიას სახელი განუშორებლად პირზედ ეკერა, როდესაც სიცხე გამოხელდა, ჩვენ ყოველისფერი უუამბეთ, რაც კი სიცხის დროს თქვა.

„მაშინ იგი გამომიტყდა და ყოველისფერი მითხრა და ასე დააბოლოვა ლაპარაკი: „მე ვიციო, რომ იქამდის არ მოგკვდები, სინამ მას არ ვნახავო.“

„ამას წინად ჩვენ ვუბრძანეთ იგი ტაძარში წაეყვანათ, რადგანაც იქ ლოცვა მოიწადინა. ლოცვის შემდეგ, როდესაც გარედ გამოვდიოდით, ტახოტმა შენიშნა პატარა ქალი, რომელიც რაღასაც აღტაცებით უამბობდა თავის მეგობრებს, მან ბავშვს თავისთან დაუძახა.

„რას ლაპარაკობდი შენაო“?

„მე სხვებს ჩემს უფროს დაზედ ვუამბობდიო“.

„არ შეიძლება შენს ლაპარაკს მეც ყური დაგუგდოვო“? უთხრა ტახოტმა ისე ალერსიანად და ვედრების კილოთი, რომ პატარა ქალმა მაშინვე უამბო: „ჩემი დის საქმრო ბატუა გუშინ მოულოდნელად დაბრუნდა ფივიდამ. მან მოუტანა ჩემ დას ოქროს მშვენიერი საქორწილო გვირგვინი“.

„ტახოტმა აკოცა ქალს და თავის მარაო აჩუქა. როდესაც ჩვენ შინ დავბრუნდით, ტახოტმა გაიღიმა და მითხრა: „ხომ იცი საყვარელო დედაო, რომ ბავშვისაგან ტაძრის ახლოს ნათქვამს სიტყვებს ორაკულის წინასწარმეტყველებად სთვლიანო. თუ რომ პატარა ქალმა მართალი სთქვა, იგი უსათუოდ უნდა მოვიდეს! განა შენ არ გაიგე, რომ იგი საქორწილო გვირგვინს მოიტანს? ოჰ, დედაჩემო, მე ნამდვილად ვიცი და დარწმუნებულიცა ვარ, რომ მას ვნახავ“!

„როდესაც გუშინ ვკითხე ტახოტს, რა მივწერო შენს მაგივრად შენს დასა-მეთქი, მან მითხრა მომეწერა, რომ იგი გიგზავნის შენ ათას მადლობას და კოცნას და, როდესაც ღონეზედ მოვა, თვითონაც წერილს მოგწერს. ეხლა კი პატარა წერილი მომცა შენთან გამოსაგზავნად, რომელიც დიდის გაჭირვებით დასწერა.

„ეხლა კი დროა გავათაო წერილი, თორემ შიკრიკი დიდი ხანია იცდის.

„გულთ მინდა რამე სამხიარულო ამბავი მოგწერო, მაგრამ საითაც კი მივიხედავ სასიამოვნოს არაფერს ვხედავ. შენი ძმა თანდათან ქურუმთა გავლენის ქვეშ ვარდება და მამიშენის მაგ-

ივრად სახელმწიფო საქმეებს იგი განაგებს ნეიტოტეპის ხელმძღვანელობით.

ამაზისი სრულს თავისუფლებას აძლევს ფსამეტიხს და ამბობს, რომ ჩემთვის სულერთია – რამდენიმე დღით ადრე დაიჭერს სახელმწიფო ტახტს, თუ გვიანაო.

„ამაზისმა არ დაუშალა შენს ძმას ელინელის ქალის როდოპისის სახლიდამ ძალისძალად ჭანესის შვილების მოტაცება. პირიქით, კიდევ მოუწონა ასეთი მოქმედება. ფსამეტიხმა ძალიან გააჯავრა ბერძნები ჭანესის შვილების შესახებ ასეთის მოქმედებით. არისტომახი ემუქრებოდა, რომ ჩემის ჯვართ ვევიპტეს დავტოვებო; მან კიდევ ითხოვა სამსახურიდამ დათხოვნა, როდესაც შენის ძმის ბრძანებით ფანესის შვილი მოკლეს. მაშინ სპარტანელი უეცრად სადღაც გაჰქრა და ბერძნები კი ისევ ევიპტეში დარჩნენ, რადგანაც ბევრი ფული მისცეს.

„კარგად იყავ შვილო ჩემო და ნუ დაივიწყებ შენს საბრალო დედას. შეუნდევ შენს მშობლებს, როდესაც გაიგებ მას, რასაც აქამდის გიმალავდით. ტახოტისათვის ილოცე. ჩვენს მაგივრად მოკითხვა მოახსენე კრეზს და ჩვენს ნაცნობ ახალგაზდა სპარსელებს; მოახსენე მოკითხვა აგრეთვე ბარტიას შენის დის მაგივრად. ნეტავი შეიძლო და როგორმე შეატყობინო შენს დას, რომ ახალგაზდა ბარტიას იგი არ დავიწყებია!

„იყავ კარგად და ბედნიერად შენს ახალს მშვენიერს სამშობლოში!”

V

როგორც დილის მოწმენდილს ცას წვიმიანი დღეები მოჰყვებიან, ესევე სამხიარულო მოლოდინს სამწუხარო ამბები მოსდევს ხოლმე.

ნიტეტიხმა ძალიან გაიხარა ამ წერილით, რომელსაც მისი ბედნიერება უნდა მოეშხამა.

ამ წერილმა ანაზდეულად გააქრო მის გულში ყოველივე მხიარულება – თავის სამშობლოს მოგონება და კიდევ მათი, რომელნიც მონაწილეობას იღებდენ მის ყმაწვილურს უდარდელს

ბედნიერებაში.

იმ დროს, როდესაც მდიდრულად ჩაცმული იჯდა და მღუღარე ცრემლებს აფრქევდა, იგი ფიქრობდა მხოლოდ თავის დედის მწუხარებაზე, მამის უბედურებაზე და დის ავადმყოფობაზე. სამხიარულო მომავალი, რომელიც მას ბედნიერებას უქადდა, ძლიერება და სიყვარული ანაზღაურად გაჰქრენ მის თვალთაგან. კამბიზის საცოლომ დაივიწყა თავის საყვარელი ქმარი; სპარსეთის მომავალი დედოფალი სხვაზე აღარაფერზე ფიქრობდა, თუ არ უბედურებაზე, რომელიც ეგვიპტის სახელმწიფო სახლს მისდგომოდა.

შუაღლე უკვე მოტანებული იყო, როდესაც ნიტეტისის მოახლე მანდანა კვალად შემოვიდა ოთახში, რომ მისი მორთვა სრულიად გაეთავებინა.

„მას სძინავს, იფიქრა მოახლემ: დაე ცოტა ხანს მოისვენოს; ეტყობა მსხვერპლის შეწირვის დროს დალილია, მეჯლისში კი ისეთის ბრწყინვალეობით და სიტურფით უნდა გავიდე, რომ თავის ბრწყინვალეობით ყველანი დააბნელოს, როგორც მთვარე ვარსკვლავებს აბნელებს ხოლმე.“

მანდანა ფენის აკრეფით გავიდა ოთახიდან, რომლის ფანჯრებიდამაც მშვენიერად მოჩანდნ დაკიდული ბალები, ქალაქი, ბაბილონის ნაყოფიერი ველი და ცის დასავალი.

მოახლემ აქეთ-იქით აღარ მიიხედა და პირდაპირ ყვავილებს დაუწყო კრეფა. იგი დაამტერდა ახალს ბრასლეტს, რომელზედაც მზის სხივები ბჭყვრიალებდნ და მდიდრად ჩაცმული კაცი კი ვეღარ შენიშნა, რომელსაც კისერი წაეგრძელებინა და იმ ოთახის ფანჯარაში იყურებოდა, სადაც ნიტეტისი ცრემლით იღვრებოდა. ამ კაცმა რამწამსაც მოახლე დაინახა, ისეთის წმინდა ხმით შეჰყვირა, თითქოს ბავშვის ხმა არისო:

– მოგესალმები, მშვენიერო მანდანავ!

მოახლე შეკრთა, მაგრამ როდესაც საჭურისთუხუცესი ბოგესის ხმა იცნო, უთხრა:

– შენის მხრით ეგ კარგი არ არის, ჩემო ბატონო, რომ ასე მაშინებ საწყალს ქალს! მირტას გეფიცები, რომ უსათუოდ გული წამივიდოდა, თუ რომ წინად შენი ხმა არ მეცნო და მერე შენ არ

დამენახე. ქალის ხმა მე არ მაშინებს, მაგრამ კაცის ხმა კი ამ ადგილს იშვიათად ისმის ხოლმე.

ბოგესმა გაიღიმა და მიუგო ხელების ფშვნეჭით:

– რასაკვირველია, ახალგაზდა მშვენიერი ჩიტისათვის სამხი-არულო არ იქნება აქ განმარტოებით ცხოვრება; მაგრამ მოთმინება იქონიე, ჩემო კარგო! შენი ქალბატონი მალე დედოფალი გახდება და შენ ახალგაზდა ქმარს გიშოვნის, რომელთანაც უფრო სიამოვნებით იცხოვრებ განმარტოვებით, სინამ შენს მშვენიერს ეგვიპტელს ქალთან.

– ჩემი ქალბატონი იმდენად უფრო ლამაზია, რამდენადაც სხვებს უნდოდათ, მე კი ჩემთვის ქმრის შოვნა არავისთვის არ მითხოვნია, მიუგო მან მძულვარებით. – ქმარს უშენოდაც ვიშოვნი.

– მაგაზედ ვინ რას ამბობს. შენი მშვენიერი სახე რომელს კაცს არ მოხიბლავს?

– მე კაცების გულს არა ვხიბლავ და განსაკუთრებით ისეთი კაცებისას, როგორიც შენა ხარ!

– მჯერა, მჯერა ეგა, უთხრა სიცილით საჭურისთუხუცესმა, მაგრამ ერთი ეს მითხარ, ჩემო საუნჯევ, მე ასე სასტიკად რად მექცევი. განა შენთვის უსიამოვნება რამ მომიყენებია? განა მე შენი თანამემამულე მიდიანელი არა ვარ.

– და განა ჩვენ ორივენი ადამიანები არა ვართ? განა ჩვენ ხელებზედ ათ-ათი თითი არა გვაქვს? აქაური მცხოვრებთა ნახევარი მიდიანელები არიან; ყველა იგინი, მარტო იმისთვის, რომ ჩემი თანამემამულენი არიან, ჩემი მეგობრები იყვნენ; ხვალვე დედოფალი გავხდები. ეგვიპტელ ქალთან მოახლეობის ადგილი სრულიადაც შენ არ მიშოვნე: ეს ადგილი უმაღლესმა ქურუმმა ოროპასტმა მიშოვნა. აქ ზემოდ ჩვენ შენთან საქმე არა გვაქვს!

– მაგას რას ამბობ, ჩემო კარგო? განა შენ არ იცი, აქ ჩემს დაუკითხავად არც ერთი მოახლე არ ინიშნება?

– ეგ შენზედ ნაკლებ არ ვიცი, მაგრამ...

– მაგრამ თქვენ ქალებმა პატივისცემა არ იცით, ჩვენი გულკეთილობის ღირსნი არა ხართ!

– ნუ გავიწყდება, რომ შენ კარგის ოჯახის ქალს ელაპარაკები!

– ვიცი, ჩემო ბატონო. მამაშენი მოგვი იყო და დედაშენიც მოგვის ქალი. ორივენი მალე დაიხოცნენ და შენ უმაღლესი ქურუმის ოროპასტის მამას მივცეს, რომელმაც თავის შვილებთან ერთად გაგზარდა. როდესაც შენ საყურეები გაიკეთე, ოროპასტის ძმამ გაუმატმა შეგვიყვარა; რათა წითლდება, თუმცა გაუმატა ცხრაშვილის წლისა იყო, მაგრამ შენი ცოლად შერთვა კი უნდოდა. გაუმატი და მანდანა! რა ტკბილი გამოსათქმელებია ეს ორივე სახელი! მანდანა და გაუმატა! მე რომ მგოსანი ვიყო, ჩემს გმირს გაუმატას დავარქმევდი და მის საყვარელს – მანდანას!

– მე გთხოვ დაცინვას თავი დაანებო! უთხრა გაბრაზებულმა ქალმა და ფეხი დაუბრაზუნა.

– განა შენ უკმაყოფილო ხარ, რომ თქვენ სახელებს ერთი მეორის შესაფერად ვსთვლი? უფრო ამპარტავან ოროპასტზედ უნდა გაჯავრდე, რომ თავის უნცროსი ძმა რაგეში გაგზავნა და შენ შენს სასახლეში მხოლოდ იმისთვის, რომ ერთმანეთი დაივიწყოთ.

– შენ ჩემს კეთილისმყოფელს ცილსა სწამებ.

– დაე გამიხმეს ენა თუ მე მართალს არ ვამბობდე. ოროპასტმა იმისთვის გაგაშორა თავის ძმას, რომ სხვა უფრო მდიდარის ოჯახის ქალი შერთოს. ამიტვისი ანუ მენიმე უფრო სასიამოვნო რძლები იქნებოდნენ მისთვის; შენ კი, როგორც ღარიბის ოჯახის ქალს, მისი განზრახვის ასრულებაში არაფერი არ შეგეძლო. ჩვენში კი დარჩეს და იმას ძალიან უნდა, მასაგეტებთან ომის დროს სახელმწიფოს თვითონ განაგებდეს და, ვინ იცის, რას არ გაიმეტებს, ოღონდ კი ახემენიდებს დაუნათესავდეს. ის იმისთანა ხანშია, რომ ახალს ცოლებზედ ფიქრი აღარ შეშვენის; მაგრამ მას ჰყავს ახალგაზდა ლამაზი ძმა, რომელიც, როგორც ამბობენ, თურმე ბარტიასა ჰგავს...

– ეგ მართალია, უთხრა მანდანამ. წარმოიდგინე, რომ როდესაც ბარტია პირველად ვნახე, მე გაუმატი მეგონა. ივინი გაჭრილ ვაშლსავით ერთმანეთსა ჰკვანან და მთელს სახელმწიფოში მათზედ ლამაზი არავინ არის.

– როგორ გაწითლდი ჩემო ვარდო! როდესაც დღეს დილით მივესალმე უმაღლესი ქურუმის ძმას...

– გაუმატა აქ არის? გააწყვეტინა მანდანამ საჭურისთუხუცესს სიტყვა. განა შენ მართლა ნახე იგი, თუ გინდა ჯერ მე მათქმევინო რამე და მერე მომატყუო!

– გეფიცები მირტს, ჩემო მტრედო, რომ დღეს დილით მე მას შუბლზედ ვაკოცე და იძულებული ვიყავ ბევრი რამ მეთქვა იმის საყვარელზედ; ამასთანავე მე მინდა მისთვის შეუძლებელი შესაძლო გავხადო, რადგანაც იმდენად სუსტი ვარ, რომ იმის მშვენიერს თვალებს, თავსა და ლოყებს წინააღმდეგობას ვერ გავუწევ. ჯერ სინამ ყველაფერი არ მითქვამს, ნუ გაწითლდები ჩემო ბროწეულის ლამაზო ყვავილო. ამას იქით შენ ისე სასტიკად აღარ მოექცევი საბრალო ბოგესს და დარწმუნდები, რომ მას კეთილი გული აქვს და უნდა დაეხმაროს თავის თანამემამულე მანდანას.

– მე არა მჯერა შენი ლაპარაკი, უთხრა მანდანამ. მე წინაღვე მითხრეს, რომ შენ ცბიერი ენა გაქვს და ვერ გამოგია, თუ აგრე ალერსიანად რად მექცევი.

– ამას იცნობ? ჰკითხა საჭურისთუხუცესმა და მისცა ქალს მშვენივრად ნაკერი თეთრი ლენტი.

– მე ეს სულ უკანასკნელად შევუკერე იმას საჩუქრად! უთხრა მანდანამ.

– ეს ნიშანი მე გაუმატას გამოვართვი. წინაღვე ვიცოდი, რომ შენ მე არ დამიჯერებდი.

– დროით, დროით მითხარი, რასა თხოულობს ჩემგან ჩემი ყმაწვილობის ამხანაგი. შეხედე, დასავლეთისკენ ცა კიდევ წითლდება. ეტყობა ღამდება და მე ჩემი ქალბატონი მეგულიშისათვის უნდა მოვრთო.

– ვეცდები დრო აღარ დაკარგო, უთხრა საჭურისთუხუცესმა და უეცრად ისეთი სახე დაიჭირა, რომ მანდანას შეეშინდა. მე მინდა შენა და გაუმატი ერთად შეგყაროთ იმისთვის, რომ ბოლო მოვულო ოროპასტის ამპარტავნებას, რომელიც ცდილობს მეფეს შემაძულოს. უმაღლესი ქურუმის ჯიბრით შენ გაუმატის ცოლად გაგხდი და ეს ისე მართალია, როგორც ის, რომ მე ბოგესს მეძახიან. ხვალ საღამოზედ, როდესაც ვარსკვლავი ტისტრი ამოვა, შენთან შენი საყვარელი მოვა. მაგრამ გახსოვდეს კი, რომ

ერთი საათის მეტს არ დარჩება შენთან. შენი ქალბატონი – როგორც ნამდვილად ვიცი – კამბიზის საყვარელი ცოლი გახდება. ბოლოს ისიც დაგეხმარება გაუმატის შერთვაში, რადგანაც ძალიან უყვარხარ შენის ერთგულებისათვის. ხვალ საღამოზედ, როდესაც ვარსკვლავი ტისტრი ამოვა, – განაგრძო მან, შენი ბედნიერების მზეც ამობრწყინდება. შენ თავსა ღუნავ და ჩუმადა ხარ? პატივისცემა გიკრავს პატარა პირს? გთხოვ, ჩემო მტრელო, აგრე ჩუმი ნუ იქნები მაშინ, როდესაც შემთხვევამ ნება მოგცეს შენს ქალბატონს საწყალი ბოგესი შეაბრალო. მოვიკითხო შენს მაგივრად გაუმატი? შეიძლება ვუთხრა, რომ შენ იგი არ დაგვიწყებია და სიხარულით მოელი იმის ნახვას? ყოყმობ? დახე უბედურებას, ბნელდება კიდეც! მე უნდა წავიდე და დავათვალიერო, ხომ ყველა ქალები ისე არიან ჩაცმულები, როგორც ამაღამდელს მეჯლიშს შეშვინის. ერთსაც გეტყვი: ზევ გაუმატი ბაბილონსა სტოვებს; ოროპასტს ეშინიან არა გნახოს და უბრძანა რაგეშივე წასულიყო, როგორც კი დღესასწაული გათავდება. შენ მაინც ჩუმადა ხარ? კარგი; მაშ მე არც შენი და საბრალო გაუმატის შველა არ შემიძლიან. მე უთქვენოდაც მივალწევ ჩემს გულისწადილს და ბოლოს მაინცადამაინც უფრო უმჯობესი იქნება თქვენ ერთმანეთი დაივიწყეთ. მშვიდობით!

მანდანა ებრძოდა თავის გულს. წინაგრძნობა ეუბნებოდა, რომ ბოგესს მისი მოტყუება უნდოდა; რაღაც იღუმალი ხმა ეუბნებოდა, რომ თავის საყვარლის ნახვაზედ უარი ეთქვა; ის იყო უნდა ეთქვა: „უთხარით, რომ მე მას არ ვინახვინებო“, მაგრამ ამ დროს მან დაინახა ლენტე, რომელიც ერთხელ თავის ლამაზი საყვარლისთვის მოექარა. მხიარული ყმაწვილობის დრონი და მცირე ხნის ალტაცებული სიყვარული მოაგონდნენ მას; სიყვარულმა, მოუფიქრებლობამ, საყვარელი კაცის ნახვის სურვილმა დასძლიეს მისი კეთილგონიერება, წინადგრძნობა, სიფრთხილე და, სინამ ბოგესი ლაპარაკს გაათავებდა, იგი შევარდა სახლში და უნებურად წარმოსთქვა:

– მე მას მოველოდები!

ბოგესი ჩქარის ნაბიჯით მიდიოდა დაკიდული ბალების აყვავებული სხეულებში. ძალაღი შენობის ნაპირს იგი შესდგა და სი-

ფრთხილით გააღო საიდუმლო კარები. ეს კარები იყო ერთი მიყრუებულის კიბისა, რომელიც წყლიდამ ამოდიოდა და ეტყობა იმისთვის იყო გაკეთებული რომ წყლის ნაპირებიდამ თავის ცოლის სადგომში პირდაპირ ასულიყო. როდესაც ბოგესმა კარები კვალად მიხურა, ბეჭდებით სავსე თითები ჩვეულებრივ მოიფშენილა და თავისთავად დუღუნებდა.

– ეს ჩემი განზრახვა უსათუოდ ასრულდება. მანდანა მახეში გაება. მისი საყვარელი დამიჯერებს, ამ კიბიდან შეიძლება ასვლა, ნიტეტისი მდულარე ცრემლებს ღვრიდა ყველასათვის სამხიარულო დღევანდელს დღეს, ცისფერი ია ხვალ ღამ გაიშლება... დიად, დიად, განზრახვა შემისრულდება! მშვენიერო ეგვიპტელო ქალო, ხვალ გაებში მანქანების ბადეში, რომელსაც გესვრის შენ საბრალლო საზიზღარი საჭურისთუხუცესი და რომელსაც შენზედ არავითარი უფლება არა აქვს.

ამ სიტყვებზედ ბოგესს თვალებმა ბოროტებით გაუელვეს.

დიდს კიბეზედ იგი შეხვდა საჭურისს ნერიგლისას, რომელიც დაკიდებული ბალების მებადედ იყო.

– რას შვრება ცისფერი ია! ჰკითხა მას ბოგესმა.

– იგი დიდებულად იშლება! უთხრა მებადებ ალტაცებით. როგორც კი ხვალ ვარსკვლავი ტისტრი ამოვა, ეს ყვავილი მშვენივრად გაიფურჩქნება. ეგვიპტეს ქალს ძალიან გაენარდება, როდესაც მას ნახავს. გთხოვ მეფე და ახემენიდებიც მოიყვანო ამ ყვავილის სანახავად.

– შენი თხოვნა ასრულდება, უთხრა ღიმილით ბოგესმა. მეფეს კი ტყუილად ნუ მოელი, რადგანაც იგი სინამ არ დაქორწილდება არ ამოვა; ახემენიდები კი ზოგნი მოვლენ. იქნება კრეზიც როგორმე მოვიყვანო.

– კრეზი ძალიან მაღლობელი იქნება შენი, როდესაც ნახავს ყვავილს, რომლისთანაც არ მოიპოვება მეფის ბალებში. როდესაც იგი გაშლილია, უკეთესი სანახავი არა იქნება რა, ჩემი ყვავილი...

მებადეს კიდევ უნდოდა თავის ყვავილის შექება, მაგრამ ბოგესი გამოეთხოვა, ჩავიდა კიბეზედ, ჩაჯდა ეტლში და მეფის ჰარემისაკენ საჩქაროდ წავიდა.

ამ დღეს რაღაც ალიაქოთი იყო კამბიზის ჰარემში. ბოგესმა

უბრძანა, რომ ყველა სასახლის ქალები მეჯლისში წასვლამდის აბანოში წაეყვანათ; ამისათვის ბოგესი მაშინვე წავიდა იმ სახლში, სადაც აბანოები იყო გამართული.

შორიდაძვე მოესმა მას ქალების კასკასი და ლაპარაკი. აბანოს დიდს ზალაში სამასზედ მეტი ქალი იყო. კაცს ეგონებოდა სიზმარში ვხედავ ამდენს ტიტველა ქალებსაო. აქა-იქა ჯგუფ-ჯგუფად იწვნენ დიდმშენიერი ქალები. ერთმა ტურფამ, რომელსაც თავის მეზობელმა ჩუსტი ესროლა, საშინლად შეჰყვირა; მეორე ისე ჩაფიქრებული იწვა, თითქოს მკვდარი ძევსო. სომხის ექვსი ქალი საარშიყო ლექსს მღეროდნენ თავის დედაენაზედ, სპარსელი ქალები კი საბრალო ნიტეტისს ჰკიცხავდნენ და ათასნაირს ჭორებს უგონებდნენ. მოახლე გოგოებს კიდევ ზეწრები დაჰქონდათ და აბანოვად გამოსულს ქალებს ხურავდნენ.

ნახევარ საათის შემდეგ მეფის ცოლები სულ სხვანაირს სურათს წარმოადგენდნენ. დანამული ვარდების მსგავსად დამშვიდებული იწვნენ, მაგრამ ძილით კი არ ეძინათ. ყველას თითო მოახლე გვერდით ედგა და ტანს უმშრალეზდა. მშენიერი განსპეტაკებული ტანი აბრეშუმის ზეწრებით ჰქონდათ დაფარებული, საჭურისნი კიდევ ყურს უგდებდნენ, რომ რომელსამე ცელქს არსებას დანარჩენი ქალების მყუდროება არ დაერღვიათ. მაგრამ მყუდროება დიდხანს არ გაგრძელეზულა: მოისმა რიდასიც რეკვა და ყველა ქალები ზეზედ წამოდგნენ, მოახლეებიც კვლავ შეცვივდნენ დარბაზში და თავთავიანთ ქალბატონს ათასნაირს სურნელებას ასხამდნენ თავზედ და უწნავდნენ თმებს, რომელშიაც ძვირფას თვლებს ატანდნენ. ყველა ქალები ისე მდიდრულად მოირთვნენ, რომ ზოგიერთა ქალის მორთულება მთელს სახელმწიფოს იყიდდა; ამ დროს ბოგესიც შემოვიდა. ყველანი მას შემოეხვივნენ გარეშემო და ეკითხებოდნენ, რა უნდოდა მას ეთხოვნა მეფისათვის. ბოლოს ყველა ქალები ორ რიგად დადგნენ და ბოგესმა ივინი დაათვალიერა; ზოგის მორთულობა მოიწონა, ზოგსაც შენიშნა რა გაესწორებინა.

როდესაც ყველანი დაათვალიერა, ბოგესი წავიდა თემიდასთან, რომელიც, როგორც კამბიზის კანონიერი ცოლი, ცალკე ოთახში იყო. დიდი ხანია იგი საჭურისთუხუცესს მოელოდა. იგი მეტის-

მეტად მდიდრულად იყო ჩაცმული და მრავალნი სამკაულნი საშინლად ამძიებდენ. როდესაც ბოგესი შევიდა, იგი წინ მიეგება მას, ჯერ სარკეში ჩაიხედა, მერე მას შეხედა და მღელვარე გულით ჰკითხა:

– მოგწონვარ? მასაც მოვეწონები?

ბოგესმა ჩვეულებრივ გაუღიმა და მიუგო:

– შენ მე ყოველთვის მომწონხარ, ჩემო ოქროს ფარშავანგო, მეფესაც უსათუოდ მოეწონები, თუ რომ იგი ისე დაგინახავს, როგორც ეხლა მე გხედავ. როდესაც შენ მითხარ „მასაც მოვეწონებიო“, მაშინ მართლაც რომ მოსაწონი იყავ: გულისთქმამ თვალები ისე აგიმღვრია, რომ შავს კუნაპეტს დაემსგავსენ, მძულვარებამ კიდევ შენი ბაგენი განაპო და დავინახე თოვლივით თეთრი კბილები.

– დროით წავიდეთ მეჯლისში, რადგანაც მე შენ გარწმუნებ, ბოგეს, რომ თვალნი ჩემნი უფრო გაშავდებიან და კბილნიც სითეთრით იბრწყინებენ, როდესაც დავინახავ ეგვიპტელს ქალს იმ ადგილზედ, რომელიც მე უნდა მეკუთვნოდეს!

– დიდხანს არ დარჩება იგი იმ ადგილზედ!

– მაშ შენი განზრახვა ასრულდება? მითხარ, ბოგეს, ნუღარ მიმაღავ შენს აზრებს! მე მკვდარსავით გაგჩუმიდები და დაგენმარები...

– მე თქმა არ შემიძლიან და არც უნდა ითქვას, მაგრამ შენი გულის დასამშვიდებლად გეუბნები, რომ ყოველისფერი კარგად მიდის და სამარეც გათხრილია, რომელშიაც ეგვიპტელი ქალი უნდა ჩავავლოთ და მე იმედი მაქვს, რომ ჩემს ოქროს თემიდას თავის ალაგს დავუბრუნებ, ანუ უფრო აღვამაღლებ, თუ რომ იგი ყველაფერში დამყვება.

– მითხარ რა ვქნა? ყოველისფრისთვის მზადა ვარ.

– მაგას კარგად ამბობ, ჩემო მამაცო ლომი! მე გამიგონე და ყოველისფერი გარიგდება... თუ რომ მე შენ სამძიმო რამეს მოგთხოვ, მით უფრო საჩუქარი დიდი გექნება. წინააღმდეგობას ნუ გამიწევ, რადგანაც ერთი წამის დაკარგვაც შეუძლებელია! ამ წამშივე მოიხსენ ყოველივე სამკაული და მხოლოდ ის ძეწკვი გაიკეთე, რომელიც საქორწილოდ მეფემ გაჩუქა. ამ მხიარული

ტანისამოსის მაგივრად სადა ტანისამოსი ჩაიცვი. კასანდანას წინაშე მუხლის მოღრეკის შემდეგ ეგვიპტელს ქალსაც წყნარად დაუკარ თავი.

– არ შემიძლიან!

– ნუ მეწინააღმდეგები! დროით შეასრულე ყოველისფერი, რაც გითხარ. ჩვენ უსათუოდ გავიმარჯვებთ, თუ შენც გამოიგონებ. შენს ბროლის ყელთან თვით თოვლიც შავად გამოჩნდება!

– მაგრამ...

– როდესაც შენი რიგი მოვა სთხოვო რამე მეფეს, უთხარ, რომ შენი გული აღარას ნდომობს მას აქეთ, რაც შენმა მზემ თავისი სხივები მოგაკლო.

– კარგი.

– როდესაც მამაშენმა გკითხოს, როგორა ხარო, მაშინვე ტირილი დაიწყე.

– ვიტირებ.

– ისე კი უნდა იტურო, რომ ყველა ახემენიდებმა დაგინახონ.

– რანაირი დამცირებაა!

– დამცირება კი არა, საშუალებაა შენის ამალღებისა!

– შენ საშინელს რამეებს თხოულობ ჩემგან, ბოგეს; მაგრამ მე შენ ყველაფერს დაგიჯერებ, თუ შენს აზრს გამაგებინებ...

– მოახლე! დროით მოუტანე შენს ქალბატონს უბრალო ტანისამოსი!

– მოახლე გოგოს ვეგვანები.

– სიტურფე ძონძებშიაც არ დაიძალეება.

– მაშ როგორ გავაფასო ეგვიპტელი ქალი!

– ყველამ უნდა დაინახოს, რომ შენ მასთან შედარება არ გინდა. მაშინ ყველანი ასე იტყვიან: „თემიდაც ზომ ასე ლამაზი იქნებოდა ეგვიპტელი ქალისავით რომ ეცვასო?“

– მაგრამ მე არ შემიძლიან მას თავი დაუკრა!

– უსათუოდ უნდა დაუკრა!

– შენ ჩემი დამცირება და დალუპვა გინდა!

– უგუნურო არსებავ! გაიგე მიზეზები და ისე დამემორჩილე. ჩვენ იმას უნდა ვეცადოთ, რომ ახემენიდები ეგვიპტელი ქალის წინააღმდეგნი გავხადოთ. რანაირად გაბრაზდება პაპაშენი ინ-

ტაფერნესი, რანაირად გაცოფიანდება მამაშენი ოთანესი, როდესაც შენ ეგვიპტელი ქალის წინაშე დამცირებულს გნახავენ! სიამპარტავენ მათ მოკავშირედ გაგვიხდის; თუ რომ ივინი თვითონ არ იკადრებენ ეგვიპტელი ქალის წინააღმდეგობას, გაჭირებაში მაინც დაგვეხმარებიან. როდესაც ეგვიპტელს ქალს დავლუპავთ, მეფე მაშინვე მოიგონებს შენს მშვიდსა, წყნარსა და უანგარო ქცევას. ახემენიდები და მოგვები სთხოვენ მეფეს, რომ დედოფლად თავის გვარეულობის ქალი გახადოს; და რომელს ქალს ერგება სპარსეთში დედოფლობა, თუ არ ჩემს სამოთხის ჩიტს, ჩემს მშვენიერს ვარდს თემიდას. ცხენიდამ ჩამოვარდნისა არ უნდა გემინოდეს, თუ ცხენოსნობა გინდა ისწავლო.

– მე შენ ყველაფერში მოგყვები! უთხრა ახემენიდების ქალმა.

– და კიდევ ჩვენ გავიმარჯვებთ! მიუგო ბოგესმა. — ეხლა შენი თვალები კვალად შავად ანათებენ. ეგრეთი მიყვარხარ, ჩემო დედოფალო, ეგრეთივე უნდა გნახოს კამბიზმა, როდესაც ოთხფეხნი და ფრინველნი გაძლებიან ეგვიპტელის ქალის ნაზის ხორციით და როდესაც რამდენიმე თვის შემდეგ პირველად გავუღებ მეფეს შენი ოთანის კარებს. არმორგეს, უბძანე ქალებს ეტლში ჩასხდენ; მე წინ წავალ და ყველას თავ-თავის ადვილს ვუჩვენებ.



სამეჯლისო დარბაზი ბრწყინვალედ იყო გაჩაღებული სანთლებით, რომელთა ალიც ოქროთი გადაკრულს კედლებს აბჭყვრიანებდა. მეტისმეტად გრძელი სტოლი იდგა შუა ზალაში და ზედ ისეთი მდიდრული ჭურჭელი ელაგა, რომ საარაკოდ გამოდგებოდა.

– მეფე მალე მობრძანდება! უთხრა სუფრის უფროსმა მეღვინეს, რომელიც მეფის ნათესავი იყო. — ყველა თასები ხომ ღვინით აავსე?

– დიად, მიუგო მეღვინემ. ხიოსური ღვინო ყველა სხვა ღვინოებს სჯობიან. აბა ნახე!

ამ სიტყვების შემდეგ, მან ერთი ხელით ოქროს თასი აიღო, მეორეთი ამისთანავე საღვინე და დაასხა ღვინო, რომელიც სუ-

ფრის გამშლელს შესთავაზა, ამანაც ღვინის გემო ნახა და უთხრა მეღვინეს:

– ეს ღვინო უფრო მაშინ გემრიელდება, როდესაც შენ ეგრე მოხდენილად სთავაზობ ხოლმე.

– გმადლობთ, უთხრა მეღვინემ და თავის მეგობარს შუბლზედ აკოცა; მე ჩემის თანამდებობით ვამპარტავნობ, მაგრამ ამ სიცხიანს ბაბილონში კი მამწყინდა. ნეტა როდის წავალთ ეკბატანის ანუ პასარგადეს საზაფხულო სასახლეებში?

– მე დღეს მაგაზედ მეფეს მოველაპარაკე. მასაგეთებთან ომის გამო არსად უნდოდა წასვლა, პირდაპირ ბაბილონიდამ სურდა ბრძოლის ველზედ წასვლა, მაგრამ თუ დღეს მოსული მასაგეთელი ელჩები ომს თავიდან აიცილებ[ენ], მაშინ, ქორწილის შემდეგ, ოთხი დღე რომ გავა, სუზაში წავალთ.

– სუზაში? ჰკითხა მეღვინემ. მერე იქ ხომ ამაზედ ბევრით ნაკლებად აღარა ცხელა. ამასთანავე იქაურს სასახლესაც განახლებას უპირობენ.

– სუეზის სატრაპმა აუწყა მეფეს, რომ ახალი სასახლე უკვე მზად არის და ყველა სხვა სასახლეებს სჯობიან. როგორც კი ეს გაიგო, კამბიზმა, სთქვა: „მაშ ქორწილის შემდეგ სამი დღის უკან იქ წავალთო. მე მინდა დავანახო ეგვიპტის მეფის ქალს, რომ ჩვენ, სპარსელები, ისეთივე მცოდნენი ვართ არქიტექტურისა, როგორც მისი წინაპარნი. იგი, როგორც ნილოსის ნაპირის მცხოვრები, ჩვეულია სიცხეებს და ამისათვის მხიარულად განატარებს დროს მშვენიერს სუეზში. ეტყობა მეფეს ეგვიპტელი ტურფა ძალიან შეუყვარდა.

– დიად. მან მისი გულისათვის ყველა სხვა ცოლები დასტოვა და მალე დედოფლადაც განდის.

– ეგ უსამართლობა იქნებოდა. თედიმას, როგორც ახემენიდების ჩამომავალს, უფრო აქვს უფლება დედოფლობისა.

– ეგ მართალია, მაგრამ როგორც მეფეს ჰსურს, ისე უნდა მოხდეს.

– მეფის ნება ღვთის ნებაა.

– აი ეგ კარგადა სთქვი. ყველა ჩვენგანს, ვინც კი ნამდვილი სპარსელია, უნდა უხაროდეს, როდესაც მეფეს ხელებზედ ჰკოც-

ნის, თუგინდ რომ ის ხელები ჩვენი შვილების სისხლით იყვეს შესვრილი.

– კამბიზმა უბრძანა ჩემი ძმის მოკვლა, მაგრამ მე მაინც უკმაყოფილოდ არა ვარ. თქვენ ეი, მოსამსახურენო, გადასწიეთ ფარდებს. სტუმრები მოდიან. მიიძარ-მოიძარით, თქვე ძაღლებო და ყველაზედ თვალი გეჭირით. კარგად იყავ არტაბაზოს; ჩვენ ამაღამ დიდი შრომა მოგველის!

VI

სუფრის უფროსი სტუმრებს წინ მიეგება და ყველას თავ-თავის ალაგი უჩვენა. როდესაც ყველანი დასხდნენ, საყვირის ხმამ აუწყა მეფის მოახლოება. როგორც კი შემოვიდა, სტუმრები ფეხზედ წამოდგნენ და მიესალმნენ მეფეს ხმამალა ძახილით: „გამარჯვება მეფეს!“

უძვირფასესი ხალი, რომელზედაც შეეძლოთ გავლა მხოლოდ მეფეს და კასანდანას, მეფის დასაჯლომ ადგილისკენ იყო გაფენილი. მეფეზედ წინ კრეზმა უსინათლო დედოფალი შემოიყვანა და სტოლის თავზედ დასვა სელზედ, რომელიც კამბიზის ოქროს სელზედ მაღალი იყო. მეფის მარცხნივ მისი კანონიერი ცოლები დასხდნენ; ნიტეტისი მეფის გვერდით იჯდა, გვერდით ატოსა უჯდა, ატოსას უბრალოდ ჩაცმული ფერმკრთალად უმარილ-წასმული თედიმა და ამ უკანასკნელის გვერდით საჭურისთუხუცესი ბოგესი; ბოგესის გვერდით უმაღლესი ქურუმი ოროპასტი იჯდა, შემდეგ დანარჩენი მაგები, რამდენიმე მაზრის სატრაპები, რომელთა შორის ებრაელი ვეელსარიც იყო, და მრავალნი სპარსელნი, მიდიელნი საჭურისთუხუცესნი, რომელთაც სახელმწიფოში დიდი ადგილები ეჭირათ.

მეფის მარჯვნივ ბარტია იჯდა. შემდეგ ისხდნენ: კრეზი, ჰისტასპი, გობრიასი, არასპი და სხვა ახემენიდები. ხასები ან სტოლის ბოლოს ისხდნენ, ან არა და ზეზედ იდგნენ და მღეროდნენ სტუმართა გასამხიარულებლად. მათ უკან უდგნენ მრავალნი საჭურისთუხუცესნი, რომელთაც თვალყური უნდა დაეჭირათ, რომ კაცებისათვის არ შეეხენათ.

კამბიზმა პირველად ნიტეტისს შეხედა, რომელიც გვერდით უჯდა დედოფლურის ბრწყინვალეებით, ფერმკრთალი მაგრამ გამოუთქმელის სიტუარფის მექონი. მეფისა და ნიტეტისის თვალები ერთმანეთს შეხვდენ. კამბიზმა შენიშნა, რომ მის საცოლოს თვალებში სიყვარულის ნაბერწკალმა გაიელვა. მაგრამ მიხვდა კი, რომ თავის საყვარელი არსება თითქოს უსიამოვნოდ იყო. „მე შემდეგ ვკითხავ, რა მოხდომია მას, ფიქრობდა მეფე; ჩემთა ქვეშევრდომთა არ უნდა შეიტყონ, თუ რა ძვირფასია ჩემთვის ეს ქალი.“

შემდეგ მან ამბორსუყო თავის დედას, ძმებს, დებს და ახლო ნათესავთ; მოკლე ლოცვა წარმოსთქვა, რომლითაც მადლობას სწირავდა ღმერთებს მათის მოწყალებისათვის და სთხოვდა, მოეკლინა ბედნიერი წელიწადი, როგორც მისთვის, ისე ყველა სპარსელებისათვის; გამოაცხადა რაოდენობა ფულისა, რომელსაც ამ დღეს საჩუქრად აძლევდა თავის ქვეშევრდომთ და ბრძანა მოეყვანათ იგინი, რომელნიც ამ დღეს რამე მცირე სურვილის აღსრულებას მოელოდენ.

არც ერთი მთხოვნელი დაუკმაყოფილებელი არ წამოსულა; ყველა მთხოვნელმა წინაღლითვე გამოუცხადა კვერთხის მატარებელთ უფროსთ თავის შეჭირვება და გაიგო შეიძლებოდა მეფის წინაშე მისი წარდგენა, თუ არა. ქალების სათხოვარიც წინდაწინ საჭურისთუხუცესთაგან ისინჯებოდა და მერე მეფეს ხსენდებოდა.

კაცების შემდეგ ბოგესმა წარადგინა მეფის წინაშე ქალები (მხოლოდ ერთი კასანდანა ისევ თავის ადგილას იჯდა). ქალებს წინ ატოსა და ნიტეტისი მიუძლოდენ.

როგორც ბოგესმა იწინასწარმეტყელა, ინტაფერნი და ოთანესი დაღვრემილის სახით უცქეროდენ თავიანთ ქალს თელიმას, რომელსაც ყველაზედ უბრალოდ ეცვა და ფერმკრთალიც იყო.

კამბიზს ძალიან გაუკვირდა თემიდას სადა ჩაცმულობა, რადგანაც კარგად იცოდა, რომ უწინ ძალიან ძვირფასად ჩაცმა უყვარდა. ამისათვის უკმაყოფილოდ და გაკვირვებით დაუწყო ცქერა ახემენიდების ქალს. კამბიზმა შუბლი შეიკრა და გაჯავრებით ჰკითხა თავის ფერხთა წინაშე დაცემულს ქალს:

– რას ნიშნავს აგეთი ღარიბული ჩაცმულობა ამისთანა დიდე-

ბულს მეჯლისში? განა შენ არ იცი ჩვენი ხალხის ჩვეულება, რომ თავის ბატონთან ყველა კარგად მორთული უნდა მივიდეს? გეფიცები, რომ თუ დღევანდელი დღე განსაკუთრებული დღე არ იყვებს და თუ პატივს არა გცემდე, როგორც ჩემი ძვირფასი ნათესავების ქალს, უსათუოდ ვუბრძანებდი საჭურისთუხუცესს უკანვე ჰარემში წაეყვანეთ, რომ იქ მარტოობაში გეფიქრა მაზედ, თუ რასა თხოულობს ზრდილობა?

ამ სიტყვების შემდეგ თედიმას უფრო გაუადვილდა თავის დარღების წარმოთქმა. მან მწარედ მტირალმა შეხედა განრისხებულს მეფეს და გააპყრო მისდამი ხელები, ისეთის ვედრებით, რომ მისი მრისხანება სიბრალულად შეიცვალა. მეფემ თემიდა ზეზედ წამოაყენა და ჰკითხა:

– გაქვს რამე სათხოვარი?

– რაღა შემიძლიან გთხოვოთ, მას აქეთ, რაც ჩემმა ძუემ თავის სხივები მომარაღა? მიუგო ქვითინით თემიდამ.

კამბიზმა მხრები აიწია და კვალად ჰკითხა:

– განა შენ არა გინდა რა? წინად შენს ცრემლებს საჩუქრებით გავაშრობდი ხოლმე; ეხლაც ითხოვე ჩემგან ნუგემისცემა, რომელიც ძვირფას საუნჯეთა ჩუქებაში მდგომარეობს.

– თემიდას აღარა უნდა რა! და ან რიღასთვის უნდა სამკაულები მას აქეთ, რაც მისი მეფე და მეუღლე არიღებს მას თავის თვალთა სხივებს?

– რახან აგრეა, მე შენი შველა არ შემიძლიან! უთხრა კამბიზმა თემიდას მრისხანედ.

ბოგესის რჩევამ გასჭრა იმის შესახებ, რომ თემიდას უმარილი ბლომად წაესვა, რადგანაც უმარილის ქვეშ მისი ლოყები სირცხვილისა და სიბრაზისაგან ლაპლაპებდენ. ამასთანავე, თვალთაგან მდულარე ცრემლებს აფრქვევდა ახემენიდების შესახებ. ოთანესი და ინტაფერნი ძლივს იჭერდენ სიბრაზეს, რადგანაც თავიანთი ქალის თემიდას დამცირებას ხედავდენ და ეგვიპტელი ქალისას კი – პატივისცემას განდიდებას.

მეჯლისი დაიწყო, მეფის წინაშე იდგა ოქროს კალათა, რომელშიაც სხვათა ხილულთა შორის ბავშვის თავისოდენა ბროწეული იდო.

კამბიზმა მხოლოდ ეს დაათვალიერა ეს ბროწეული და იკითხა:

– ვინ გაზარდა ასეთი საკვირველი ბროწეული?

– შენმა მონამ ოროპასტმა. მიუგო მაგების უფროსმა; რამდენიმე წელიწადია რაც მებაღობას მივდექ და გაკაკადნიერდი მომერთმია თქვენთვის ეს ნაყოფი, როგორც ნაყოფი ჩემის შრომისა და მეცადინეობისა.

– გმადლობთ, მიუგო მეფემ: – ამისათვის, ჩემო მეგობარნო, რომ ეს ბროწეული გამიადვილებს ჩემის მოადგილის ამორჩევას, თუ რომ ომში წასვლა მომიხდება. გეფიცებით მირტას, რომ ის, ვინც ასე კარგად უვლის პატარა ხეს, დიდს საქმეებს უფრო კარგად მოუვლის. რა ბროწეულია! ვის უნახავს ამის მსგავსი? კვალად გმადლობ, ოროპასტ, და, რადგანაც მეფის მადლობა ცარიელის სიტყვით არ იქნება, ამისათვის მე ესლავე გნიშნავ ჩემს მოადგილედ მთელს სამეფოში, თუ რომ ომიანობა დაიწყება. დიად, ჩემო მეგობარნო, მშვიდობიანობით დიდხანს აღარ დავტკბებით. სპარსელი მხიარული აღარ არის, თუ რომ ომიანობას მოკლებულია!

ყველა ახმენიდებს შორის მადლობის ხმა გაისმა: „გაუმარჯოს მეფეს!“ კვალად გაისმა ყოველის კუთხიდან.

თედიმას გამო უკმაყოფილება ყველამ დაივიწყა; ომიანობაზედ და გამარჯვების დიდებაზედ ფიქრობდენ ყველანი და აღტაცებაში მოდიოდენ. მეფეს ასიამოვნებდა მათი გმირული აღტაცება და განსაკუთრებით უფრო ეგვიპტელი ქალის სიტურფე. ნიტეტიისი მეფის გვერდით იჯდა და ისეთი ბედნიერება არასდროს არ უგრძნია, როგორც დღეს იგრძნო! ანკი რა აკლდა მას? კამბიზი მას ბედნიერებას და სიყვარულს ანიჭებდა. ბოლოს მეფემ ბარტიას უთხრა:

– აბა, ძმაო, შენ მგონია ჩემი აღთქმა კიდევ დაგავიწყდა. განა არ იცი, რომ დღეს ყოველივე სურვილი შეგისრულდება. რასაც კი ისურვებ. აბა ითხოვე რაც გინდა. უბრალო რამ კი არ ითხოვო. დღეს მე მზადა ვარ ყოველივე სურვილი აღვისრულო! როგორც გატყობ, შენი სურვილი ჩუმად გინდა მითხრა, მაშ მომიახლოვდი! მე ძალიან მინდა გავიგო, რა ჰსურს ჩემს სახელმ-

წიფოში ყველაზე ბედნიერს ყმაწვილს კაცს, რომელიც ყურებადის წითლდება, როდესაც მის სურვილზედ ჩამოვარდება ლაპარაკი.

ბარტია, რომელსაც მართლა რომ სიწითლით ლოყები უელვარებდა, მივიდა ახლო თავის ძმასთან და ყურში უჩურჩულა თავის სიყვარულის ამბავი.

საფოს მამა მონაწილეობას იღებდა თავის სამშობლო ქალაქის ფოკეის დაცვაში, როდესაც კირს მისი აღება უნდოდა. ბარტიამ უთხრა მეფეს, რომ ჩემი საყვარელი ქალი ელინელი მხედრის ქალიაო და ის კი აღარ უთხრა, რომ მან დიდი საუნჯე ვაჭრობით შეიძინა. მან აუწერა თავის ძმას თავის დანიშნულის სიტურფე, მაღალი განათლება და სიყვარული და ის იყო კრეზისთვის დახმარება უნდა ეთხოვნა, რომ კამბიზმა სიტყვა გააწყვეტინა, შუბლში აკოცა და უთხრა:

– მაგდენს სიტყვებს ტყუილად ნუ ხარჯავ, ჩემო ძმაო, და, რასაც გული გეუბნება, ის შეისრულე, მე კარგად ვიცი ძალა სიყვარულისა და ვეცდები დედაჩვენიც დავითანზმო.

– ბარტია მეტისმეტის სიხარულსაგან თავის ძმის წინაშე დაემხო; მაგრამ მან ალერსიანად წამოაყენა იგი, მერე მიუბრუნდა ნიტეტისს და კასანდანას და უთხრა:

– ყურადღება მიაქციეთ, ჩემო საყვარელო! ახალი შტო გამოდის კირის გვარეულობის ხეზედ, რადგანაც ბარტიას ცოლშვილობის მოკიდება განუზრახავს. რამდენიმე ხნის შემდეგ, ბარტია გაემგზავრება შენს სამშობლოში, ნიტეტის, და ნილოსის ნაპირებიდამ მოიტანს ჩვენს მთიანს ქვეყანაში ძვირფას თვალს.

– რა დაგემართა, დაო! შეჰყვირა ატოსამ, სინამ კამბიზი ლაპარაკს დაათავებდა და ეგვიპტელს ქალს ღვინოს უსვამდა შუბლზედ, რადგანაც იგი გრძნობამიხდილი გადახვეოდა მას.

– ეგ რა დაგემართა? ჰკითხა უსინათლო კასანდანამ, როდესაც მეფის დანიშნული გონზედ მოვიდა.

– ტახოტს გაეხარებდა, ბედნიერება მიენიჭება, მიუგო ჩუმის ხმით ნიტეტისმა.

კამბიზიც თავის დასავით მივარდა გონებამიხდილს ქალს. როდესაც იგი სრულიად გონზედ მოვიდა, სთხოვა ცოტა ღვინო

დავლია და თვითონ მიუტანა აზარფეშა, შემდეგ კვალად განაგრძო:

– ბარტია წავა შენს სამშობლოში და ნაუკრატისივით მოიყვანს როდოპისის ქალს, რომელიც კეთილშობილი მეომარის შვილია და ფოკეის მცხოვრები.

– ეგ რა იყო! უთხრა უსინათლო დედოფალმა.

– რა დაგეძმართა? ჰკითხა ცელქმა ატოსამ შეშინებულის ხმით.

– ნიტეტის! დაუძახა კრეზმა თავის საყვარელს ქალს. კრეზისგან გაფრთხილება გვიანდაა, რადგანაც ნიტეტის კრეზისგან მიცემული აზარფეშა ხელიდამ გავარდა და იატაკზედ გავორდა.

ყველამ მეფეს დაუწყო ცქერა, რომელიც საშინლად გაყვითლებული და აღელვებული კვალად წამოდგა ზეზედ.

ნიტეტისი თავის საყვარელს კაცს დააშტერდა და თითქოს შებრალებას ევედრებოდა; მაგრამ კამბიზი, ეშინოდა რა მისი მომხიბლავის თვალებისა, განშორდა და ხრინწიანის ხმით წარმოსთქვა:

– ქალები თავიანთ ოთახებში წაიყვანე, ბოგეს! მე მათი ნახვა აღარ შემიძლიან... მივეყთ სმას ხელი... ღამე მშვიდობისა, დედაჩემო. შენც ღამე მშვიდობისა, ეგვიპტელო ქალო; სთხოვე ღმერთებს, რომ თვალთმაქცობა უფრო კარგად გასწავლონ. ჩვენ კი, მეგობარნო, ხვალ სანადიროდ წავიდეთ! მერიქიფევე, ღვინო ღამისხი! დიდი ფიალა ამივსე! მაგრამ ჯერ შენ თვითონ კარგად გასინჯე ჭაშნიკი, რადგანაც დღეს მოწამლისა მეშინიან, ყველანაირი შხამი და წამალი, ხა, ხა, ხა! ხომ ეგვიპტიდამ მოღის, ეს ყველა ბავშვმაც კი იცის.

ნიტეტისი ბარბაცით გავიდა ზალიდამ და მუხლთ ეკვეთებოდა, ბოგესი აცილებდა მას.

როდესაც დაკიდულ ბაღებამღის მივიდა, ბოგესმა ნიტეტისი ჩააბარა საჭურისთუხუცესთ, რომელთაც მისი სახლისთვის უნდა ეყრაუღნათ. განშორების დროს თავი დაუკრა და უთხრა:

– ვისურვებ, ჩემო ნილოსის მტრედო, რომ სიზმარში ნახო მშვენიერი ბარტია და მისი ეგვიპტელი საყვარელი. ხომ არაფერს მიბრძანებთ გადავცე მშვენიერს ახალგაზდას, რომლის სიყვარულმაც

აგრე ძალიან შეგაშინა? კარგად იფიქრე; საწყალი ბოგესი სიამოვნებით გახდება შენი შუამავალი. მას შენთვის კეთილი უნდა; მშვიდს ბოგესს ძალიან ეწყინება, როდესაც საისის ამპარტავანს ბზას წაქცეულს ნახავს; ბოგესი წინაღვე გაუწყებს ეგვიპტეში მალე დაბრუნებას, ან ბაბილონში მშვიდობიანად ცხოვრებას; კეთილს ბოგესს გულითა ჰსურს რომ ტკბილად დაიძინო. კარგად იყავ, ჩემო მოწყვეტილო ვარდო, ჩემო ჭრელო გველო, შენ თვითონ გაგვარდა ჩემი ხილამ მოწყვეტილი ვაშლი.

– უსვინდისო! უთხრა მეფის მსახურს განრისხებულმა ქალმა.

– გმადლობთ, მიუგო ცბიერად მომღიმარე ბოგესმა.

– მე შენს საქციელზედ ვიჩივლებ, დაემუქრა ნიტეტიისი.

– რა ალერსიანი ხარ! უთხრა ბოგესმა.

– დაიკარგე აქედამ! დაუძახა ეგვიპტელმა ქალმა.

– მე შენს მომხიბლავს ბძანებას ვემორჩილები, წაიბუტბუტა საჭურისთუხუცესმა, თითქოს ყურში სიყვარულის რაღაც საიდუმლოებას ერჭურულებოდა.

ნიტეტიისი ზიზღით განშორდა ბოგესის დაცინვას, რომლის აზრსაც იგი კარგად მიხვდა და თავის სახლისაკენ წავიდა; მიმავალს ბოგესმა დაუძახა:

– გახსოვდე, მშვენიერო დედოფალო, გახსოვდე! ყოველივე რაც ამას იქით მოგიხდება, შენგან მოძულებული ბოგესის ბრალი იქნება.

როგორც კი ქალი თავის ოთახში შევიდა, საჭურისთუხუცესმა ხმის კილო გამოიცივალა და ყარაულებს უბრძანა სასტიკად ეყარაულნათ დაკიდებული ბალებისათვის.

– ვინც კი თქვენგანი ჩემს გარდა სხვას ვისმეს შეუშვებს ეგვიპტელ ქალთან, სიკვდილით დაისჯება! არავინ არ შეუშვათ, – გესმით, – არავინ არ შეუშვათ. განსაკუთრებით არ შეუშვათ მეფის დედის, ატოსას და სხვა დიდებულთა პირთა გამოგზავნილი კაცები. თუ რომ კრეზი ან ოროპასტი ეგვიპტელ ქალთან ლაპარაკს მოისურვებენ, – თქვენ ამის ნება არ უნდა მისცეთ. გესმით? კიდევ გიმეორებთ, რომ სიკვდილით დაისჯებით, თუ რომ ვისგანმე მიღებული საჩუქარი ჩემს ბრძანებას გადაგიყვანთ. ჩემს

დაუკითხავად ამ ბაღებში ამოსვლის ნება არავის არ შეუძლიან. იმედი მაქვს, რომ ჩემს ბრძანებას არ გადახვალთ! რომ უფრო ერთგულად მემსახუროთ, ეს ფული თქვენთვის მიჩუქებია.

ყარაულებმა კმაყოფილების ნიშნად თავი დაუკრეს და აღუთქვეს თავიანთ მოვალეობის სასტიკად აღსრულება. მათ კარგად იცოდნენ, რომ ბოგესს ხუმრობა არ უყვარდა და ბრძანების აუსრულებლობას არავის არ მიუტყვებდა. ამის შემდეგ ბოგესი ისევ მეჯლისში წავიდა.

მეფის ცოლები წავიდ-წამოვიდნენ; მხოლოდ ხასები ისევ თავიანთ ადგილზედ იდგნენ და მღეროდნენ, თუმცა მათს მღერას კაცები ყურადღებას აღარ აქცევდნენ.

მოქეიფე ხალხმა დიდის ხნით დაივიწყეს გრძნობამხილი ქალი. მათ თანდათან ღვინო ეკიდებოდათ და ყაყანს უმატებდნენ, თითქოს ყველას დავიწყებოდათ, რომ ივინი მეფის წინაშე ისხდნენ.

სტოლის თავში მკვდარსავით გაყვითლებული მეფე იჯდა და ღვინით სავსე თასში ჩაიციქირებოდა. როგორც კი თავის ძმა დაინახა, ხელები თავისთავად მოეკუმშნენ. იგი ერიდებოდა მასთან ლაპარაკს და მის ჩაკითხვაზედ პასუხს არ აძლევდა. მას ეჭვი თანდათან ერეოდა და სწამდა, რომ ეგვიპტელმა ქალმა მოატყუა და პირმოთნებით უცხადებდა სიყვარულს, მაშინ როდესაც მისი გული ბარტიას ეკუთვნოდა! რანაირად ატყუებდნენ, რა ღრმად ჰქონია ფესვები გადგმული ლალატობას ცბიერი ეგვიპტელი ქალის გულში, რომ ერთის ამბის გაგებამ, ვითომც მის ძმას სხვა ქალი უყვარდეს, სრულიად გრძნობა მოუსპო და ყოველივე საიდუმლოება გამოაშკარავდა.

როდესაც ნიტეტისი ზალიდამ გავიდა, თემიდას მამამ ოთანეზმა სთქვა:

— ეგვიპტელი ქალები სჩანს დიდს მონაწილეობას ღებულობენ თავიანთ მახლებს სიყვარულის საქმეში; სპარსელი ქალები ასე ადვილად არ ფანტვენ თავის გრძნობას და მხოლოდ ქმრებისათვის ინახავენ!

გულზვამა კამბიზმა ყური მოარიდა ამ სიტყვებს, თითქოს ვერ გაიგონაო და და ცდილობდა თავის სტუმრების ლაპარაკი აღარ გაეგო, რადგანაც მათის ლაპარაკით უფრო რწმუნდებოდა, რომ

მოტყუებული იყო.

ბარტია თანაზიარი არ იყო ნიტეტისის დანაშაულში; მხოლოდ მარტო ნიტეტის უყვარდა მშვენიერი ყმაწვილი კაცი და იქნება მით უფრო ძალიან უყვარდა, რომ იმის მხრით სიყვარულის იმედი არა ჰქონდა. თუ რომ კამბიზს ნამდვილად შეეტანა ეჭვი თავის ძმაზედ, მაშინვე იქვე მოჰკლავდა. ბარტია დანაშაული არ იყო იმის უბედურებაში, მაგრამ მიზეზი კი ის იყო, ამისათვის ძმისადმი შურისძიება მას კვალად აღეგზნო გულში.

იგი ფიქრობდა, ფიქრობდა და ვერ მოიფიქრა, თუ რა სასჯელი მიეტა პირმოთნე ქალისათვის. მისი სიკვდილით იგი არ დაკმაყოფილდებოდა; მას უფრო საზარელი სატანჯველის მოგონება უნდოდა.

უკეთესი არ იქნებოდა, რომ შერცხვენილი ეგვიპტეში გაეგზავნა? ოხ, არა! მას ხომ თავის სამშობლო უყვარს და მშობლებიც სიხარულით მიიღებენ, ან უმჯობესი არ იქნება, რომ იმის შემდეგ, როდესაც თავის დანაშაულს აღვიარებს, დაამწყვდიოს განმართობულს ციხეში, ანუ გადასცეს ბოგესს, რომ თავის ხასების მოსამსახურედ იყლიოს?

აი ეს ასეა! ამით იგი დასჯის მოღალატე პირმოთნეს, რომელმაც ასე შეარცხვინა და თავი მოსჭრა.

შემდეგ მან თავის თავს უთხრა: „ბარტია აქედამ უნდა წავიდეს, რადგანაც ცეცხლი და წყალი უფრო ადვილად მოთავსდებიან, სინამ ეს ბედისგან გალაღებული და ისეთი საბრალო არსება, როგორც მე ვარ. მისი ჩამომავალნი თავის დროზედ ჩემს საუნჯეს გაიყოფენ და ჩემს გვირგვინს დაიდგმენ; მაგრამ სინამ მეფე ვარ, დავუმტკიცებ რომ ცარიელი სიტყვით არა ვარ მეფე!”

გონებაში თავის ძლიერების გულზვაობამ გაუელვა. გაბრაზებულმა თავის ოქროს თასი ისე დაახეთქა შუა ზალაში, რომ იქ მდგომთ ღვინის წინწკლები წვიმასავით დაედინათ; შემდეგ რიხიანის ხმით დაიყვირა:

– გეყოფათ მაგდენი ყბელობა და ყაყანი! ეხლა დრო არის ვითათბიროთ იმაზედ, თუ რა პასუხი მივცეთ მასაგეთელებს. შენ ჰისტასპ, რადგანაც ჩვენს შორის უფროსი ხარ, პირველად შენ წარმოსთქვი შენი აზრი.

დარიას მოხუცებულმა მამამ მიუგო:

– მე მგონია, რომ ჩვენთვის ამ ველური ხალხის წინააღმდეგ წასვლა საჭირო არ არის; მაგრამ რადგანაც ჩვენი ჯარები საომრად მზად არიან და ჩვენი ხმლებიც დიდხანს არიან ქარქაშებში უძრავად, ამისათვის ჩვენთვის ომი უსათუოდ საჭიროა. რომ ომის დაწყება შეგვეძლოს ჩვენთვის მტერია საჭირო და მტრის მოპოება, ჩემის აზრით, ძალიან ადვილია! ამ სიტყვებით სპარსელები ალტაცებაში მოვიდნენ; როდესაც ხმაურობა მისწყდა, კრეზმა დაიწყო:

– შენ, ჰისტასპ, ისეთივე მოხუცი ხარ, როგორც მე. მაგრამ, როგორც ნამდვილი სპარსელი, ბედნიერებას ომიანობაში ეძებ. კვერთხი, რომელიც ერთხელ შენი სარდლობის ნიშანი იყო, ეხლა დასაყრდნობად გაგხდომია; მაგრამ შენ მაინც ისე ლაპარაკობ, როგორც ახალგაზდა კაცი. მე ვიცი, რომ მტრის პოვნა ადვილია, მაგრამ მხოლოდ სულელნი დაუწყებენ მას ძებნას. ის, ვინც თავის ყინის დასაკმაყოფილებლად მტერს იჩენს, სულელს კაცსა ჰგავს, რომელიც თავს ძალად იმახინჯებს. როდესაც ჩვენ მტერი გვეყოლება, მაშინ გვინდა მასთან ბრძოლა. ნუ შევცოდავთ მეგობარნი და უსამართლოდ ნუ დავიწყობთ ღმერთებისათვის უსიამოვნო ომს, მოვიცადოთ სინამ უსამართლოდ არ მოგვექცვიან და მაშინ სამართლიანად დავიწყოთ ბრძოლა და ან გავიძარჯლოთ ან დავიხოცნეთ.

მოხუცს სიტყვა გააწყვეტინეს ამნაირის ძახილით; „ჰისტასპი მართალს ამბობს? მტერი უნდა მოეძებნოთ!”

ელჩმა პრექსასპმა, რომლის რიგიც იყო ელაპარაკნა, სიცილით სთქვა:

– მოვისმინოთ ორივე მოხუცებულის ლაპარაკი: კრეზისა – იმაზედ, რომ მოვიცადოთ, სინამ შეურაცხებას არ მოგვაყენებენ და ჰისტასპისა – იმაზედ, რომ გრძნობა უნდა გავიცხოველოთ და კანონად დავდოთ, რომ ყველა, ვინც თავის თავს სიამოვნებით არ ჩარიცხავს დიდი სამეფოს წევრად, სპარსეთის მტრად უნდა ჩაითვალოს. მაგალითად, ჩვენ უნდა დავეკითხოთ ინდოეთის ხალხს: იამპარტავენებენ იმით, რომ თავიანთი თავი შენს სკიპტრას დაუმორჩილონ? და ვისაც არ ვუყვარვართ, კამბიზ, თუ რომ უარს

გვეტყვიან, მაშინ ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ იმათ არ ვუყვარვართ, იგი ჩვენი მტერია.

– ეგ ეგრე არ არის! დაიძახა ზოპირმა. რაც უნდა იყვეს უსათუოდ ომი უნდა დავიწყოთ!

– მე კრეზის მხარე მიჭირავს, სთქვა გობრიასმა.

– მეცა! სთქვა კეთილშობილმა არტაბაზმა.

– ჩვენ ჰიტასპისკენ ვართ, დაიძახეს გმირმა არასპამა, მოხუცე-ბულმა ინტაფერნესმა და კირის მოხუცებულ დანარჩენ ამხანაგ-თა.

– მასაგეთებთან ომი საჭირო არ არის, რადგან მათ თვითონ არ უნდათ, მაგრამ ომიანობა კი უსათუოდ უნდა მოხდეს! დაიღ-რიალა სარდალმა მეგაბიზმა და სტოლს ისე ღონივრად დაარტყა ხელი, რომ თასები ძირს გადმოცვივდნენ.

– მასაგეთებთან ომი საჭირო არ არის, რადგანაც იგინი თვით ღმერთებმა დასაჯეს კირის სიკვდილისათვის, სთქვა უმაღლესმა ქურუმმა ორაპასტმა.

– ომი! ომი! ღრიალებდნენ დამთვრალი სპარსელები.

კამბიზი რამდენსამე ხანს სრულიად დამშვიდებული უგდებდა ყურს თავის ჯარისკაცების ღრიალს; მერე წამოდგა თავის ად-გილიდამ და რიხიანის ხმით დაიძახა:

– გაჩუმდით და ყური დაუგდეთ თქვენს მეფეს!

ამ სიტყვებმა დიდი გავლენა იქონიეს მთვრალებზედ. წრეს გადასული მთვრალებიც კი დაემორჩილნენ თავიანთ მეფის ბრძა-ნებას, რომელმაც ხმამაღლა განაგრძო:

– მე თქვენ იმას როდი გკითხავთ, ომიანობა გინდათ თუ მშვიდობიანობა, რადგანაც ყოველივე სპარსელი ომიანობას ამ-ჯობინებს შინ უსაქმოდ ჯდომას; მე მინდა ვიცოდე, რა პასუხს მასცემდით მასაგეთებს, ჩემს ადგილას რომ იყვით? ვითომ გგონიათ, რომ მამიჩემის ჯავრი მისაგეთელებზედ თვითონ ღმერთებმა ამ-ოიყარეს?

მეფის აზრი ყველამ მოიწონა და შემდეგ კვალად ჰკითხა: „უნდა მივიღოთ თუ არა პირობანი, რომელნიც მასაგეთელების ელჩებმა ამ დღეს წარმოგვიდგინეს და მივანიჭოთ მშვიდობა იმ ხალხს, რომელიც ღმერთებმა დასაჯეს?“ ყველამ უპასუხეს, რომ

პირობანი უნდა მივიღოთო.

– აი ეგ მინდოდა გამეგო, განაგრძო კამბიზმა. სვალ, ძველის ჩვეულებისამებრ, გამოფხნიზლებულებმა კვალად ვითათბიროთ იმაზედ, რაც სიმთვრალის დროს გადავწყვიტეთ. განაგრძეთ მხიარულება; მე გტოვებთ თქვენ, მაგრამ, როგორც კი წმინდა ფრინველი პაროდარა დაიცივლებს, ბაალის კარებთან მოგელით სანადიროდ წასასვლელად.

ამის შემდეგ მეფე დარბაზიდან გავიდა. „გაუმარჯოს მეფესო!“ მიაღვენეს უკანიდამ.

საჭურისთუხუცესი ბოგესი მეფეზედ ადრე გავიდა დარბაზიდან. გარეთ დაკიდულის ბალების პატარა მოსამსახურე ბიჭი ნახა.

– შენ რა გინდა? ჰკითხა ბოგესმა.

– ბარტიას მინდა ზოგიერთა რამ შევატყობინო.

– ბარტიას? შენს ბარტიას უფროს მებაღეს თესლეულობა ან ნამყენი ხომ არა სთხოვა?

ბიჭმა თავი გააქნია და ეშმაკურად გაიცინა.

– კაცმა ხომ არ გამოგზავნა?

– არა, ქალმა.

– მაშ ეგვიპტელს ქალს დაუბარებია რამ თავის მაზლთან.

– მერე შენ ვინ გითხრა?

– ნიტეტისმა მითხრა. მიჩვენე რა გამოგატანა; ეხლავე გადავცემ ბარტიას.

– ნება არა მაქვს მივცე ვისმე, თუ არ თვითონ ბარტიას.

– მამეც აქ, იმის თხოვნას შენზედ უკეთესად ავასრულებ.

– ნაბრძანები არა მაქვს.

– გამიგონე, თორემ –

ამ დროს მეფე მათ მიუახლოვდა. ბოგესი ერთ წამს დაფიქრდა და მერე უბრძანა ყარაულებს, ბიჭი დაეჭირათ.

– რა ამბავია? ჰკითხა კამბიზმა.

– ეს თავზედი, მიუგო ბოგესმა, სასახლეში შემოპარულა, რომ თქვენი მეუღლის ნიტეტისის შემონათვალე ბარტიას გადასცეს. მეფის დანახვაზედ ბიჭი დედამიწაზედ დაემხო.

კამბიზი თითქმის მოკვდა, უყურებდა რა გამოგზავნილს ბიჭს.

მერე მიუბრუნდა საჭურისთუხუცესს და ჰკითხა:

– რა სურს ეგვიპტელს ქალს ჩემის ძმისაგან?

– ეს ბიჭი ამბობს, რომ ნაბრძანები მაქვს მხოლოდ ბარტიას გადავცე ის, რაც გამომატანესო.

ამ სიტყვების შემდეგ ბავშვმა მეფეს გამოტანებული ბარათი მისცა. კამბიზმა დახედა ბარათს და ფეხები დაუბრახუნა, როდესაც ბერძნული ნაწერი დაინახა, რომლის კითხვაც არ იცოდა.

მეფე მრისხანედ დააშტერდა ბიჭს და ჰკითხა:

– ეს შენ ვინ მოგცა?

– ეგვიპტელი ქალის მოახლემ, მაგის ქალმა, მანდანამ.

– მერე, ჩემი ძმისათვის უნდა გადაგეცა?

– მან მითხრა, რომ ეს ბარათი მშვენიერი ბარტიასათვის გადამეცა მეჯლისის დაწყობამდის და ამასთანავე მეცნობებინა...

სიბრაზით დაუბრახუნა მეფემ ფეხები და ბიჭი ისე ძალიან შეშინდა, რომ ხმა წაერთვა და ძლივს განაგრძო:

– ბარტია თქვენს გვერდით მოდიოდა. მაშინ ვერ დავეღაპარაკე მას. ეხლა იმას აქ მოველი, რადგანაც მანდანა ოქროს მანათს დამპირდა, თუ რომ ამ საქმეს ხერხიანად შევასრულებ.

– მაგრამ ვერ შეასრულე, უთხრა მრისხანედ კამბიზმა. შენ ეგ ვერ შეასრულე! თქვენ, ყარაულებო, ეს ბიჭი დაიჭირეთ!

ბიჭი ვედრების თვალთ უყურებდა მეფეს და რიდასიც თქმა უნდოდა, მაგრამ ამაოდ: ყარაულებმა იგი საჩქაროდ დაიჭირეს და მეფემ მისი განწირულების ხმით ვედრება ვეღარ გაიგო, რადგან საჩქაროდ წავიდა.

ბოგესი მეფეს ფეხდაფეხ მისდევდა, ხელებს იფშვნეტდა და გულში იცინოდა.

როდესაც ტანისამოსის გამხდელთ მეფისთვის ტანთ უნდა გაეხადნათ, მან უბრძანა, ყველანი გარედ გასულიყვნენ.

როგორც კი იგინი გავიდნენ, მან დაუძახა ბოგესს და ჩუმიად უთხრა:

– ამ დღიდან შენ უნდა უგლო ყური დაკიდებულს ბალებს და ეგვიპტელს ქალს. ვინძლო კარგად უყარაულო! თუ რომ მასთან ვინმე შევა და წერილს ვისგანმე მიიღებს, იცოდე სიკვდილით დაისაჯები.

- კასანდანამ ან ატოსამ რომ გამოუგზავნონ!
- გამოგზავნილს ნუ შეუშვებ; კასანდანას და ატოსას უთხარი, რომ ძალიან მეწყინება, თუ თქვენ ნიტეტიისთან კავშირი გექნებათ თქო.
- შემიძლიან ერთი მოწყალეობა გთხოვოთ.
- სათხოვრად ცუდი დრო ამოვირჩევია.
- ძალიან უქეიფოდ გახლავარ. მხოლოდ ხვალინდელს დღეს სხვას ვისმეს უბრძანე დაკიდებული ბალების ყურის გდება.
- არა! თავი დამანებე!
- საშინელი სიცხე მაქვს. დღეს სამჯერ წამივიდა გული. – ამისთანა დროს რომ ვინმე...
- მერე ვის შეუძლიან შენოდნობა გასწიოს?
- ლიდიელ საჭურისთუხუცესს, ყანდავლს. იგი ერთგულია და სასტიკი. ერთი დღე დასვენება სრულიად მომარჩენს. გთხოვთ მოილოთ მოწყალეობა!
- ისე ცუდად არავის ემსახურებიან, როგორც მე – მეფეს. დაე ყანდავლი დადგეს შენს მაგივრად ხვალინდელ დღეს, მაგრამ უბრძანე, რომ თუ ფხიზლად არ მოიქცევა, სიკვდილით დაისჯება.
- ახლა კი თავი დამანებე!
- ერთი რამის თქმის ნებაც მიბოძეთ, მეფე! თქვენ უწყით, რომ ხვალინდელი დღიდან დაკიდებულს ბალებში მტრედისფერი ია გაიშლება. ჰისტასპს, ინტაფერნსს, გობარიასს, კრეზს და ოროპასტს იმის ნახვა უნდათ. შეიძლება იგინი რამდენიმე წამით ავიდნენ დაკიდებულ ბალებში? ყანდავლი უგდებს ყურს, რომ მათ ეგვიპტელი ქალი ვერა ნახონ.
- ყანდავლი ძალიან გაფრთხილდება, თუ რომ სიცოცხლე ძვირად უღირს. გამეცალე!
- ბოგესმა მძაბლად თავი დაუკრა და მეფის ოთახიდან გამოვიდა. მონებს, რომელნიც წინ ფარნებით მიუძღოდნენ, რამდენიმე მანათი გადაუგდო. იგი ძალიან მხიარულად იყო. განზრახვა უფრო კარგად უსრულდებოდა, სინამ როგორც მოელოდა, რადგანაც ნიტეტიისის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო და თავის ამხანაგი ყანდავლიც ხელში ეჭირა, რომელიც ძალიან ეჯავრებოდა.
- კამბიზი თავის ოთახებში გათენებამდის ბოლთასა სცემდა.

როდესაც მამლებმა იყიველეს, მან მტკიცედ განიზრახა ნიტეტიის-
სათვის დანაშაული ეთქმევინებინა და შემდეგ ღილი ჰარემის
მოახლედ დაეყენებინა.

მისი ბედნიერების დამრღვევი ბარტია საჩქაროდ ეგვიპტეში
უნდა წასულიყო და შემდეგ მოშორებულის ქვეყნის მთავარ-
მართებლად უნდა ყოფილიყო. — კამბიზს ეშინოდა ძმის მკვლე-
ლი არ გამხდარიყო, ამისათვის თავის ძმას შორს ქვეყანაში
ისტუმრებდა.

მზის ამოსვლის შემდეგ ორი საათის უკან კამბიზი მიაქროლებდა
თავის ქურანს ცხენს და უკან ამაღა მისდევდა. იგი სანადიროდ
მიდიოდა.



ტექსტისათვის

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა აკადემიური გამოცემის XVI ტომი შედგება სამი ნაწილისაგან: რუსულენოვანი პუბლიცისტიკა, უცხოურიდან თარგმნილი პუბლიცისტიკა და “დამატებანი”.

ტომის პირველი ნაწილი მოიცავს 1864-1906 წ.წ. რუსულ ენაზე დაწერილ პუბლიცისტურ წერილებს. ილია ჭავჭავაძის რუსული წერილების მოძიება წარმოებდა საქართველოს ცენტრალურ არქივში, ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცულ ნიკო ნიკოლაძის არქივსა და რუსულ პერიოდიკაში; ვისარგებლეთ თ. მაჭავარიანის მიერ შედგენილი ანალიტიკური ბიბლიოგრაფიით და ი. გორგაძისა და ნ. გურგენიძის „ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების მათიანეთი“. ტომში სულ თხუთმეტი წერილი იბეჭდება; აქედან, ერთი შევიდა განყოფილებაში „სავარაუდონი“. ეს არის წერილი — „К вопросу о конверсии городских займов“, რომელიც მოვათავსეთ ტომის ბოლოს, იმ ქრონოლოგიურ საზღვრებში, რომლებიც ტომის ძირითადმა ნაწილმა დაიკავა. ასეთი განლაგება ნათლად წარმოაჩენს მწერლის ინტერესებს განსაზღვრული დროის მონაკვეთში. „სავარაუდონი“ (დუბია) — ეს დროებითი განყოფილებაა, ერთგვარი რეზერვუარი, რომლითაც ივსება მწერლის ნაწარმოებთა ძირითადი კორპუსი.

ორი წერილი ქვეყნდება ფსევდონიმით (ერთი „სავარაუდონში“). თითოეული მათგანის დაწვრილებითი დახასიათება მოცემულია ტექსტოლოგიურ პასპორტში.

მწერლის პუბლიცისტური მემკვიდრეობის მოძიებასა და მისი ავტორობის დადგენაში თვალსაჩინო წვლილი შეიტანეს მკვლევარებმა: ს. ავალიანმა, პრ. რატიანმა, ა. იოვიძემ, პ. გუგუშვილმა, მ. კანდელაკმა და სხვ.

ცალკე უნდა შევეხთ — სამ წერილს: 1. „Объяснительная

записка по предмету невыдачи Тифлиским дворянским земельным банком закладных листов заёмщикам на руки“; 2. „Его высокоблагородию господину, ревизовавшему Тифлиский Дворянский земельный банк Евстафию Евстафьевичу Добецкому, членов правления сего банка объяснительная записка“; 3. „В особенную канцелярию Министерства финансов по Кредитной части правления Тифлиского Дворянского Земельного банка Объяснение по поводу жалобы кн. Джамбакур-Орбелиани“.

მართალია, ამ წერილებს ილია ჭავჭავაძესთან ერთად ხელს აწერენ თანაავტორებიც, მაგრამ ვფიქრობთ, მათი მთავარი, ძირითადი ავტორი ილიაა.

პირველ წერილში თანმიმდევრულად და საქმის ზედმიწევნითი ცოდნით არის გადმოცემული რუსეთის იმპერიის საბანკო საქმის განვითარების ისტორია და ის მიზეზები, რამაც გამოიწვია საგირავნო ფურცლების ხელზე არგაცემა.

მეორე წერილი პასუხია საჩივარზე, რომელიც ივ. მაჩაბელმა გაუზავნა რუსეთში ი. ჭავჭავაძისა და ტფილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის გამგეობის წინააღმდეგ. ყველა ბრალდებაზე დასაბუთებული პასუხია გაცემული.

მესამე წერილი აგრეთვე პასუხია იმ საჩივარზე, რომელიც თავადმა ჯამბაკურ-ორბელიანმა გაუზავნა რუსეთის ფინანსთა სამინისტროში ილია ჭავჭავაძისა და ტფილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის გამგეობის წინააღმდეგ.

ეს წერილები არის ილიას ეკონომიკური სტატეების ციკლის გაგრძელება.

ტექსტის ძირითად წყაროდ აღებულია ავტორის სიცოცხლისდროინდელი პირველნაბეჭდები.

ორთოგრაფია, ძირითადად, დატოვებულია ხელუხლებლად, ისე, რაც ახასიათებდა ავტორს და ეპოქას და ასახავს ენაში არსებულ იმდროინდელ ფონეტიკურ, მორფოლოგიურ და ლექსიკურ თვისებებს. გამონაკლისს წარმოადგენს ზოგიერთი შემთხვევა, კერძოდ, არსებითი სახელის ნათესაობითი ბრუნვის წარმოების

ბველი ფორმა გასწორებულია თანამედროვე მართლწერის მიხედვით. მაგალითად: Тифлисскаго – Тифлисского, дворянскаго – дворянского; ნაცვალსახელი „ЕЯ“ შეცვლილია „Е“, ფორმით.

პუნქტუაცია გასწორებულია თანამედროვე რუსული ენის კანონების მიხედვით. ტომს ახლავს პირთა, გეოგრაფიული და თემატური საძიებლები.

მკითხველთათვის რომ ადვილი ყოფილიყო საძიებლებით სარგებლობა, გვარები გამოტანილია ჯერ ქართულად (რუსული იქვეა მიწერილი). ამით გაადვილდა მათი საერთო რკალში მოქცევა. ასევე მომზადდა გეოგრაფიული საძიებლებიც. თემატური საძიებლები მომზადდა ქართულად.

ტომის მეორე ნაწილში იბეჭდება ილია ჭავჭავაძის მიერ თარგმნილი უცხოენოვანი პუბლიცისტური ნაწარმოებები რომლებიც „საქართველოს მოამბესა“ (1863 წ.) და „ივერიაში“ (1877-1879 წ.წ.) ანონიმურად გამოქვეყნდა. წერილების ერთი ნაწილის ატრიბუციისას ვეყრდნობით კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის პირად საარქივო ფონდში დაცულ ხელნაწერ კრებულებს, რომლებიც გადაწერილია 1885 წლიდან 1892 წლამდე მწერლის თხზ. 1892 წლის გამოცემის მომზადების მიზნით, შესწორებული და რედაქტირებულია უშუალოდ ილიას მიერ ან მისი მითითებებით.¹ აღნიშნული ხელნაწერი კრებულებისა და 1892 წლის გამოცემის შესახებ იხ. ლ. ჭრელაშვილი, ილია ჭავჭავაძის თხზულებათა ატრიბუციისა და გამოცემის ისტორიის საკითხები, „მაცნე“, 1981 წ., №2, გვ: 45-59; №3, გვ. 53. გურამ შარაძე, ყოველი სასვენნი ნიშანიც კი, გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, 1980 წ., 25 აპრ. (№17)

ატრიბუციასთან დაკავშირებით განსაკუთრებული მნიშვნელობა

¹ აღნიშნული ხელნაწერი კრებულებისა და 1892 წლის გამოცემის შესახებ იხ. ლ. ჭრელაშვილი, ილია ჭავჭავაძის თხზულებათა ატრიბუციისა და გამოცემის ისტორიის საკითხები, „მაცნე“, 1981 წ., №2, გვ: 45-59; №3, გვ. 53. გურამ შარაძე, ყოველი სასვენნი ნიშანიც კი, გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, 1980 წ., 25 აპრ. (№17)

ენიჭება წიგნებს: თ. ნაკაშიძე, ნ. კორძაია, ილია ჭავჭავაძე, ბიობილოგრაფია, თბილისი, 1966 წ.; ი. გორგაძე, ნ. გურგენიძე, ილია ჭავჭავაძე, ცხოვრებისა და შემოქმედების მატრიანე, თბილისი, 1987 წ.; ალ. კალანდაძე, „საქართველოს მოამბე“, მონოგრაფია, 1963 წ.; ალ. კალანდაძე, ქართული ჟურნალისტიკის ისტორია, IV, 1986 წ.; გურამ შარაძე, შესავალი წერილი წიგნში: „საქართველოს მოამბე“, „ივერიის“ გამოცემა, თბილისი, 1991 წ., I.

„საქართველოს მოამბეში“ ხელმოუწერლად დაბეჭდილი თხზულებების ატრიბუციისათვის საინტერესოა ილიას ბარათი მეუღლის ოლლა გურამიშვილისადმი. 1863 წლის 9 თებერვალს ოლლასადმი მიწერილი წერილის მეორე ვარიანტმა საინტერესო ცნობა შემოგვინახა: „სამშაბათს უთუოდ ჩვენი ჟურნალიც გამოვა. აბა, თუ ჩემს სტატიებს იცნობ? ჩემი გვარი არ აწერია არამც თუ გვარი, სულაც არაფერი. ერთს კი აწერია“.¹ (იხ. პუბლიკაცია გაზ. „თბილისში“, 1983 წ. №24, გვ. 3 გურამ შარაძის კომენტარებით).

ტომის მესამე ნაწილში შეტანილია ალფონს დოდეს ორი მოთხრობის თარგმანი, რომლებიც არ იქნა დაბეჭდილი წინამდებარე გამოცემის მხატვრული თარგმანების ტომში (იხ. ოცტომეულის ტ. III, 1988), მაგრამ რომელთა ილიასეულობასაც ამის გამო ეჭვქვეშ ვერ დავაყენებთ. რადგან თარგმანებს შორის არის ისეთებიც, რომლებიც ავტორის სიცოცხლეში, მისი უშუალო ხელმძღვანელობით მომზადებულ თხზულებათა გამოცემაშიც დაიბეჭდა (1892 წლის გამოცემის III ტომი).

ამას გარდა „დამატებანში“ შეგვაქვს „დროებასა“ და „ივერიასში“ ხელმოუწერლად და ფსევდონიმებით გამოქვეყნებული რამდენიმე პუბლიცისტური წერილი რომლებიც ცნობილმა ტექსტოლოგმა ლევან ჭრელაშვილმა მრავალმხრივი კვლევის შედეგად ილია ჭავჭავაძისეულად მიიჩნია (იხ. მისი სტატიები: „ნ. დავითიშვილი“, ილია ჭავჭავაძის უცნობი ნაწერები და ნ. ნიკოლაძესთან დუელის ისტორია“, ჟ. „მნათობი“, 1997 წ. №6, გვ.

¹ (იხ. პუბლიკაცია გაზ. „თბილისში“, 1983 წ. №24, გვ. 3 გურამ შარაძის კომენტარებით).

134; „ილია ჭავჭავაძის შეგონებანი ისტორიკოსებისათვის ერთი უცნობი პუბლიცისტური წერილის მიხედვით“, ჟ. „საქართველო“, 1999 №1, გვ. 9; „ილია ჭავჭავაძის უცნობი ნაწერები 1900-იან წლებში“, ილიას კრებული II თსუ, 2004, გვ. 6.) სტატიების ატრიბუციასთან დაკავშირებით ჩატარებულმა კომპიუტერულმა კვლევამაც დაადასტურა წერილების ენობრივი ფორმებისა და ლექსიკის მსგავსება ილიას პუბლიცისტურ ნააზრევთან, რის გამოც გადავწყვიტეთ, რომ ქრონოლოგიურად სხვადასხვა ტომებიდან გამოტოვებული ეს მასალა, დამატების სახით დაგვეერთო პუბლიცისტიკის უკანასკნელი ტომისათვის.

ტექსტებში შევიტანეთ ორთოგრაფიული შესწორებანი: ერთ-ცნებიანი კომპოზიციები დაიბეჭდა ერთად, მრავალცნებიანები – ტირეთი), პუნქტუაცია გავმართეთ თანამედროვე ნორმების შესაბამისად.

რუსულენოვანი ნაწილი მოამზადა ლამარა შავგულიძემ, თარგმნილი პუბლიცისტური და მხატვრული მასალა – ნათელა ჩიტაურმა, ხოლო „დამატებანში“ შემავალი „ფარაონის ასული და ორიგინალური პუბლიცისტური წერილები“ – მაია ნინიძემ.

ლამარა შავგულიძე, ნათელა ჩიტაური, მაია ნინიძე



შენიშვნები, კომენტარები და საპიუბლემი

Критические замечания по параграфам
предварительного проекта местного положения о
поземельном устройстве крестьян, водворённых на
помещичьих землях в Тифлисской губернии (გვ.)

ხელნაწერი: ასლი ცსსა, განსაკუთრებულ საქმეთა ფონდი, საქმე
~123 ფურცელი 217-240.

თარიღი: —

ხელმოწერა: Верно: кн. Н. Чавчавадзе.

თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში საგლეხო რეფორმის მომზადება-გატარებასთან დაკავშირებით, 1864 წ. 4 მაისს ამიერკავკასიის ცენტრალურ საგლეხო კომიტეტში წარადგინეს ორი დოკუმენტი — „კრიტიკული შენიშვნებისა“ და „საერთო შენიშვნების“ სახელწოდებით. ორივე დოკუმენტი არქივში დაცულია ასლების სახით, გადაწერილია ერთი და იგივე ხელით, ორივე ხელმოწერილია ერთნაირად: „სწორია, თავადი ნ. ჭავჭავაძე“.

რაკი შინაარსობრივადაც ეს საბუთები ძალიან წააგავდნენ ერთმანეთს, მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში მკვლევრებს ისინი ერთ დოკუმენტად და ერთი და იმავე ავტორის ნაწარმოებად მიაჩნდათ. თავდაპირველად ვერც კი მოახერხეს ამ ორი დოკუმენტის განსხვავება და სწორი მეცნიერული ანალიზის გაკეთება.

პირველად „კრიტიკული შენიშვნების“ ზოგიერთ ძირითად დებულებას ჩვენი საზოგადოება გაეცნო 1912 წ. სიმონ ლუკას

ბე ავალიანის (1881-1922)¹ ქართველი ისტორიკოსი, ოდესისა და პეტროგრადის უნივერსიტეტების პრივატ-დოცენტი, შემდგომში თბილისის უნივერსიტეტის პროფესორი. ქართულ ისტორიოგრაფიაში მან ერთ-ერთმა პირველმა შეისწავლა მეცნიერულად 1861 წლის საგლეხო რეფორმის ისტორია ამიერკავკასიაში. „Крестьянский вопрос в Закавказье” т. 1-3, Одесса, 1912-1914 г.г.; т.4, Тифлис, 1920; т.5 (ხელნაწერი). მიერ გამოცემული ნაშრომით „Крестьянский вопрос в Закавказье”. აქედან მოყოლებული, ისტორიკოსები და პუბლიცისტები დაობდნენ ორ საკითხზე: 1. ვინ იყო „კრიტიკული შენიშვნების” ავტორი და 2. რადიკალურია თუ არა „კრიტიკული შენიშვნები”.

საზოგადოების მეტი ნაწილი დარწმუნებული იყო, რომ „კრიტიკული შენიშვნების” ავტორი არ შეიძლებოდა სხვა ვინმე ყოფილიყო თუ არა ილია ჭავჭავაძე. 1902-1903 წ.წ. ბროკჰაუზ-ეფრონის რუსული ენციკლოპედიური ლექსიკონისათვის დაწერილ ავტობიოგრაფიაში, ილია წერს: „1864 წლის დამდეგს, როცა განიზრახეს გლეხკაცის განთავისუფლების რეფორმა საქართველოში, გამეზავნეს იმერეთს ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის ცალკე მინდობილობათა მოხელედ და დამავალეს გამომერკვია, თუ რა ურთიერთობა სუფევდა მემამულეთა და გლეხკაცთა შორის ბატონყმობისაგან წარმომდგარი”.

„კრიტიკული შენიშვნების” ილიასადმი მიკუთვნების საკითხში იყვნენ საწინააღმდეგო თვალსაზრისის მომხრენიც. ისტორიკოსი პროკოფი რატიანი, ქართული ისტორიოგრაფიისა და საზოგადოებრივი აზრის ისტორიის მკვლევარი, დაწვრილებით იხილავს იმდროინდელ პრესას და ასკვნის, რომ 1914 წ. მრავალი გაზეთი („თემი”, „აზრი”, „კლდე”, „იმერეთი”, და სხვ.) ჩაებნენ ილიას ირგვლივ გამართულ მკვეთრ კამათში. პ. რატიანი განიხილავს მრავალ მეცნიერთა თვალსაზრისს ამ ორი დოკუმენტის შესახებ.

¹ ქართველი ისტორიკოსი, ოდესისა და პეტროგრადის უნივერსიტეტების პრივატ-დოცენტი, შემდგომში თბილისის უნივერსიტეტის პროფესორი. ქართულ ისტორიოგრაფიაში მან ერთ-ერთმა პირველმა შეისწავლა მეცნიერულად 1861 წლის საგლეხო რეფორმის ისტორია ამიერკავკასიაში. „Крестьянский вопрос в Закавказье” т. 1-3, Одесса, 1912-1914 г.г.; т.4, Тифлис, 1920; т.5 (ხელნაწერი).

ისტორიკოსი გრ. გიორგაძე („ფეოდალური ურთიერთობა საქართველოში“, 1926 წ.), სიმ. ავალიანის მსგავსად, „კრიტიკულ შენიშვნებს“ და „საერთო შენიშვნებს“ მიიჩნევს ერთი ავტორის – ტფილისის მოსამართლის ნიკოლოზ ჭავჭავაძის ნაწარმოებებად. ნიკოლოზ ჭავჭავაძეს მიაკუთვნებს ამ დოკუმენტებს აგრეთვე ისტორიკოსი შალვა ჩხეტია („საისტორიო მოამბე“, 1948 წ., №4). იგი „საერთო შენიშვნებს“ ლიბერალურ დოკუმენტს უწოდებს, ხოლო „კრიტიკული შენიშვნების“ სათანადო ანალიზი და შეფასება არ მოუცია.

სხვა თავლსაზრისის იცავდა ვახტანგ კოტეტიშვილი, რომელმაც 1925 წელს განაცხადა, რომ ამიერკავკასიის ცენტრალურ საგლეხო კომიტეტში წარდგენილი ვინმე ჭავჭავაძის მოხსენება ილია ჭავჭავაძეს უნდა ეკუთვნოდეს („საქართველოს ლიტერატურის ისტორია“, 1925 წ., ნაწ. II). იგივე აზრს იმეორებს მკვლევარი ა. იოვიძე („საისტორიო მოამბე“, 1947 წ., №3), რომელიც „კრიტიკულ შენიშვნებს“ და „საერთო შენიშვნებს“ ერთ დოკუმენტად მიიჩნევს და მათ ილია ჭავჭავაძეს აკუთვნებს. ამ საკითხის გადაწყვეტაში დიდი წვლილი შეიტანა აგრეთვე მკვლევარმა პაატა გუგუშვილმა. ნაშრომში – „საგლეხო რეფორმის მომზადება ამიერკავკასიაში“, იგი განიხილავს ორივე დოკუმენტს და ასკვნის, რომ შეუძლებელია ორივე ეს ნაშრომი ერთსა და იმავე ავტორს ეკუთვნოდეს. ისინი არსებითად და პრინციპულად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. მას მიაჩნია, რომ ძნელი წარმოსადგენია, ილია ჭავჭავაძის გარდა, ვინმე სხვა იყოს „კრიტიკული შენიშვნების“ ავტორი. მსგავსი აზრისაა რუსი მკვლევარი ვ. მოჩალოვი, წიგნში – „Крестьянское хозяйство в Закавказье к концу XIX в“. ორივე ნაშრომის განხილვის შემდეგ, იგი ასკვნის, რომ ისინი თავიანთი სულისკვეთებით სრულიად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. იგივეს იმეორებს 1959 წელს ისტორიკოსი ა. კიკვიძე. პრ. რატიანი თვლის, რომ ილიას „არა თუ სჭირდებოდა, არამედ მისთვის აუცილებელი იყო თავისი აზრის ანონიმურად წარდგენა, რადგან სხვა გზა იმ პირობებში არ არსებობდა“.

ამიერკავკასიის ცენტრალური საგლეხო კომიტეტის მუშაობაში მონაწილეობის მიღების, ხმის მიცემის, კერძო აზრის ან მოხსენების წარდგენის უფლება, ჰქონდათ მხოლოდ კომიტეტის ან

ექსპერტთა კომისიის წევრებს.

ილია ამ დროს 25 წლის ახალგაზრდა იყო, რომელსაც იცნობდნენ როგორც პოეტს, მწერალს, მას არ ჰქონდა მამულები. სწორედ ამ გარემოებათა გამო, სავარაუდოა, ილია რომელიმე ავტორიტეტული პირის საშუალებით წარადგენდა თავის „კრიტიკულ შენიშვნებს“. არსებობს ქრ. მამაცაშვილის მოგონება, საიდანაც გარკვევით ჩანს, რომ ი. ჭავჭავაძე კინაღამ ხანჯლით მოკლეს ერთ-ერთ საზოგადოებაში, ყმათა განთავისუფლების თაობაზე საკუთარი აზრის გამოთქმისათვის.

1864 წელი მეტად პასუხსაგები იყო ქვეყნის ცხოვრებაში. უნდა განეხილათ ბატონყმობის გაუქმების პროექტი. საგლეხო კომიტეტსა და საექსპერტო კომისიის შემადგენლობაში, როგორც პრ. რატიანი აღნიშნავს, „ყველაზე მისაღები და უეჭველი კანდიდატი, რომლისთვისაც ილიას შეეძლო თავისი საიდუმლოს განდობა, სწორედ მოსამართლე ნიკოლოზ დიმიტრის ძე ჭავჭავაძე იყო“. იმ ხანებში ილია ახლო ურთიერთობაში იყო მასთან. იგი იყო კომიტეტის წევრი და თავის წრეში გამოირჩეოდა ბატონყმური წყობილების მოწინააღმდეგედ. ნიკო ჭავჭავაძე ყოფილა ილიას მეჯვარეც (1863 წ.). „სავსებით ბუნებრივია დავასკვნათ, – წერს პრ. რატიანი, რომ ილიამ და ნ. ჭავჭავაძემ. . . ერთად განიხილეს გლეხთა განთავისუფლების მთავრობისეული პროექტი, გაუზიარეს მის შესახებ აზრები ერთმანეთს და, ბოლოს ნიკოლოზმა იკისრა... „კრიტიკული შენიშვნების“ წარდგენა... საკუთარი სახელით... ნამდვილი ავტორის გვარს კი საიდუმლოდ შეინახავდა“¹ პრ. რატიანი, „ილია ჭავჭავაძე და გლეხთა განთავისუფლების პრობლემა“, თბილისი, 1963 წ., გვ.42.

„კრიტიკული შენიშვნების“ ილიასეულობას ამტკიცებს აგრეთვე მისი შედარება ილიას ნაშრომთან „ცხოვრება და კანონი“. აქ ერთმანეთს ემთხვევა არა მარტო სოციალურ-პოლიტიკური კონცეფცია, არამედ ფრაზებიცა და გამოთქმებიც.

„კრიტიკულ შენიშვნებში“ საფუძვლიანადაა განხილული და მკაცრად გაკრიტიკებული საგლეხო რეფორმის მთავრობისეული პროექტის ყველა ძირითადი დებულება. ეს მოსაზრებაა გაზიარებუ-

¹ პრ. რატიანი, „ილია ჭავჭავაძე და გლეხთა განთავისუფლების პრობლემა“, თბილისი, 1963 წ., გვ.42.

ლი ი. გორგაძისა და ნ. გურგენიძის ნაშრომში „ილია ჭავჭავაძე – ცხოვრებისა და შემოქმედების მატრიანე“ (თბილისი, „მეცნიერება“, 1987 წ.). ნაშრომს ვათარილებთ 1864 წლის 4 მაისამდე, იმიტომ, რომ სწორედ იმ დღეს წარადგინეს იგი ამიერკავკასიის ცენტრალურ საგლეხო კომიტეტში.

რადგან თარიღი ავტორის მიერ არ არის დასმული და კვლევა-ძიებითაა დადგენილი, მას წერილის ბოლოში ვათავსებთ და ვსვამთ ოთხკუთხოვან ფრჩხილებში. ნაშრომის სრული სახელწოდებაა: „კრიტიკული შენიშვნები ტფილისის გუბერნიაში მემამულეთა მიწებზე დამკვიდრებული გლეხების მიწათმოწყობის ადგილობრივი დებულების წინასწარი პროექტის მუხლებზე“.

ქართულ ენაზე ეს დოკუმენტი სრული სახით პირველად გამოქვეყნდა წიგნში: პრ. რატიანი „ილია ჭავჭავაძე და გლეხთა განთავისუფლების პრობლემა“, თბილისი, 1963 წ. ნაწყვეტები დაიბეჭდა ჟურნალ „დროშაში“ (1962 წ., №11).

რუსულად იგი ორჯერ გამოქვეყნდა: პირველად გამოაქვეყნა ა. იოვიძემ 1947 წელს („საისტორიო მოამბე“, №3), ხოლო მეორედ პ. გუგუშვილმა 1950 წელს (Сельское хозяйство и аграрные отношения, т. 2.).

თხზულებათა კრებულში პირველად იბეჭდება.

168 статья нотариального положения и применение её Тифлиским окружным судом (გვ. 57)

ნაბეჭდი: გაზ. „Кавказ“, 1875 წ., ~55, გვ. 2-3; ~56, გვ. 2; ~57, გვ. 2.

თარიღი: ცენზურის ნებართვა 1875 წ. №55, 16 მაისი, №56, 18 მაისი, №57, 21 მაისი.

ხელმოწერა: Илья Чавчавадзе.

სტატუტის ვათარილებთ ცენზურის ნებართვის გაცემის მიხედვით 1875 წლის 16 მაისამდე. რადგან დათარიღება არაავტორი-სეულია, თარიღს ოთხკუთხოვან ფრჩხილებში ვათავსებთ.

წერილი შეტანილია ი. გორგაძისა და ნ. გურგენიძის წიგნში „ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების მათიანე“, ქ. თბილისი, 1987 წ.

ამ სტატიის VI თავს წინ უძღოდა ავტორის მიერ ხელმოწერილი განმარტებები, გაპარული შეცდომების შესახებ. ეს ეხება IV თავის ბოლო სტრიქონებს და V თავის მეორე აბზაცის აგრეთვე ბოლო სტრიქონებს.

ყველა შეცდომა ჩვენს მიერ ჩასწორდა ავტორის მითითებების თანახმად.

თხზულებათა კრებულში პირველად იბეჭდება.

К чему и зачем (გვ. 75)

ნაბეჭდი: გაზ. „Тифлисский Вестник“, 1876 წ., ¹115, ¹116.

ქვესათაური: Ответ автору „Практики земельного кредита“

ხელმოწერა: Один из членов правления Тифлисского дворянского земельного банка.

მკვლევარ მ. კანდელაკის მტკიცებით, სტატია ეკუთვნის ილია ჭავჭავაძეს.¹ ამ სტატიისა და „Тифлисский Вестник“-ის №105–106-ში დაბეჭდილი წერილების დაწერის ისტორიის შესახებ იხ. მ. კანდელაკი, *Из истории публицистической деятельности И. Чавчавадзе*, თსუ შრომები, ფილოლოგიურ მეცნიერებათა სერია VI, თბილისი, 1965 წ., გვ. 277-283.

თხზულებათა კრებულში პირველად იბეჭდება.

სტატიას ვათარილებთ ცენზურის ნებართვის გაცემის მიხედვით – 1876 წ. 27 მაისამდე. რადგან თარიღი ჩვენს მიერ არის დადგენილი, ტექსტის ბოლოს მას ოთხკუთხოვან ფრჩხილებში ვათავსებთ.

¹ ამ სტატიისა და „Тифлисский Вестник“-ის №105–106-ში დაბეჭდილი წერილების დაწერის ისტორიის შესახებ იხ. მ. კანდელაკი, *Из истории публицистической деятельности И. Чавчавадзе*, თსუ შრომები, ფილოლოგიურ მეცნიერებათა სერია VI, თბილისი, 1965 წ., გვ. 277-283.

საადგილმამულო ბანკი და მისი საფინანსო პოლიტიკა იქცა XIX ს. 70-იანი წლების მოწინავე ქართველი მოღვაწეების ერთ-ერთ უმთავრეს საკამათო საგნად.

ილია ჭავჭავაძემ დიდი დრო და ენერგია დაუთმო ბანკის საქმიანობას. იგი დარწმუნებული იყო, რომ საბანკო საქმის სწორად წარმართვა დიდ სარგებლობას მოუტანდა ქართული კულტურის განვითარებას. მას სურდა, რომ ბანკიდან შემოსული პროცენტები მოხმარებოდა სკოლების გახსნას და თეატრის შენახვას.

მაგრამ საბანკო პოლიტიკას სხვა შედეგებიც გააჩნდა. კერძოდ, სხვა ეროვნების წარმომადგენლებს, რომლებიც ფლობდნენ კაპიტალს, უპრობლემოდ შეეძლოთ ქართველ თავადაზნაურთა კარმიდამოს შექმნა. ეს ვითარება ბევრს აწუხებდა. ამიტომ საჭირო იყო საბანკო წესდების იმგვარად შედგენა, რომ ეს საფრთხე თავიდან ყოფილიყო აცილებული. იყო იმის მოთხოვნაც, რომ მოგების დიდი ნაწილი არა კაპიტალისტებს, არამედ გლეხობას დარჩენოდა.

აღნიშნულ საკითხთა ირგვლივ აზრს პრესის ფურცლებზე ნ. ნიკოლაძეც გამოხატავდა. ბანკის საკითხებს იგი არა ერთ სტატიას უძღვნის, პირველი იყო „Наш кредит“ („Тифлисский Вестник“, 1876 წ., ~73; 75), მას მოჰყვა მეორეც – „Практика земельного кредита“ („Тифлисский Вестник“, 1876 წ., ~103).

ნიკო ნიკოლაძის გამოწვევას ბანკის მმართველობამ უპასუხა სტატიით „К чему и зачем“ (Ответ автору „Практики земельного кредита“).

უნდა ითქვას, რომ ეს სტატია იყო თბილისის საადგილმამულო ბანკის წესდების პირველი სერიოზული ანალიზი და მისი დაცვის პირველი მცდელობაც.

სტატია ხელმოწერილი იყო ფსევდონიმით – „Один из членов Тифлисского дворянского земельного банка“.

ამ სტატიას წინ უძღოდა ორი წერილი გაზეთ „Тифлисский Вестник“-ის რედაქციის მიმართ, დაბეჭდილი 1876 წ., №105 და №106-ში, რომლებსაც ხელს აწერდნენ ბანკის თავმჯდომარე ილია ჭავჭავაძე და საადგილმამულო ბანკის გამგეობის წევრები ა. ჩოლოყაყვი და დ. ავალოვი. (იხ. ოცტომეულის ტ. XVII, გვ. ...).

მართალია ამ წერილებს ხელს აწერენ ილია ჭავჭავაძე და

თანაავტორები, მაგრამ ეჭვგარეშეა, რომ ისინი უშუალოდ ილია ჭავჭავაძეს ეკუთვნის.

სამივე წერილის გულდასმით გაცნობამ დაგვარწმუნა, რომ სტატია „К чему и зачем” აგრეთვე ილია ჭავჭავაძის ნაშრომია.

<Особое мнение представителя Тифлисского земельного банка, князя И. Г. Чавчавадзе по вопросу об установлении максимальной нормы для оценки земельных имуществ> (გვ. 100)

ნაბეჭდი: Сборник материалов и постановлений по вопросам, подлежащим обсуждению V-го съезда представителей учреждений русского земельного кредита. Петербург, 1884, стр. 165-168.

რუსეთის საადგილმამულო ბანკების წარმომადგენელთა ყრილობა მიმდინარეობდა პეტერბურგში 1884 წლის 20 იანვრიდან 5 თებერვლამდე. ილიას თავისი მოსაზრებები დასაგირავებელი მამულების შეფასებისა და ბანკების მევალეებისათვის შეღავათების დაწესების საკითხებზე, წარუდგენია მეექვსე სხდომაზე, 29 იანვარს და მეთერთმეტე სხდომაზე 3 თებერვალს.¹ უფრო ვრცლად ამ ყრილობაზე და ილიას მიერ წარმოთქმული სიტყვების შესახებ იხ. ვ. ჟვანია, „ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი იურიდიული ხასიათის წერილები და დოკუმენტები” („საისტორიო მოამბე”, 1971 წ., გვ. 237–243). ი. ჭავჭავაძის სიტყვა რუსეთის საადგილმამულო ბანკების წარმომადგენელთა მეხუთე ყრილობაზე შეგვაქვს იმ სათაურით, რომლითაც იგი მოთავსდა 1884 წელს პეტერბურგში გამოცემულ კრებულში. რადგან იგი ავტორს არ ეკუთვნის, მას ისრისებრ ფრჩხილებში ვათავსებთ. ყრილობაზე ილია ჭავჭავაძე გამოსულა 1884 წ. 29 იანვარს, ამიტომ ეს სიტყვა თარიღდება 1884

¹ უფრო ვრცლად ამ ყრილობაზე და ილიას მიერ წარმოთქმული სიტყვების შესახებ იხ. ვ. ჟვანია, „ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი იურიდიული ხასიათის წერილები და დოკუმენტები” („საისტორიო მოამბე”, 1971 წ., გვ.237–243).

წლის 29 იანვრამდე. თარიღს, რომელიც კვლევით დადგინდა, ოთხკუთხოვან ფრჩხილებში ვწერთ და ამ სტატიის ბოლოს ვათავსებთ.

თხზულებათა კრებულში პირველად იბეჭდება.

**<Особое мнение представителя Тифлисского
земельного банка, князя И. Г. Чавчавадзе по
вопросу о допущении льгот> (გვ. 107)**

ნაბეჭდი: Сборник материалов и постановлений по вопросам, подлежащим обсуждению V-го съезда представителей учреждений русского земельного кредита. Петербург, 1884, стр. 165- 168.

ი. ჭავჭავაძის სიტყვა რუსეთის საადგილმამულო ბანკების წარმომადგენელთა მეხუთე ყრილობაზე შეგვაქვს იმ სათაურით, რომლითაც იგი მოთავსდა 1884 წელს პეტერბურგში გამოცემულ კრებულში.

იმის გამო, რომ სათაური არ ეკუთვნის ავტორს, მას ის-რისებრ ფრჩხილებში ვსვამთ.

სიტყვა ილიას წარმოუთქვამს 1884 წლის 3 თებერვალს, ამიტომ მას ვათარილებთ 1884 წლის 3 თებერვლამდე. რადგან თარიღი კვლევა-ძიებითაა მოპოვებული, მას ოთხკუთხოვან ფრჩხილებში ვათავსებთ.

თხზულებათა კრებულში პირველად იბეჭდება.

**Записка о методах преподавания предметов
курса, предполагаемого к открытию в г.
Владикавказе училища для грузинских детей
(გვ.113)**

ხელნაწერი: ავტორიზებული ასლი. საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური არქივი, ილია ჭავჭავაძის ფონდი 481, აღწ. I, №717.

თარიღი: 1888 წ. აგვისტო.

ხელმოწერა: Председатель общества кн. Чавчавадзе.
Делопроизводитель Як. Мансветов.

საბუთი სხვისი ხელითაა დაწერილი, ხოლო ჩასწორებულია
ი. ჭავჭავაძის მიერ.
თხზულებათა კრებულში პირველად იბეჭდება.

**Нормальные правила об образовании
общепольного капитала каждого отдельного
сельского общества (გვ. 114)**

ნაბეჭდი: საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა, რარიტეტის
განყოფილება, ნიკო ნიკოლაძის არქივი № 50/9

თარიღი: Печ. по расп. Г. Тифлисского Губернатора,
Тифлис, 1890 г.

ხელმოწერა: Ив. Хатисов, кн. Илья Чавчавадзе, кн. Лев.
Джандиери. А. Пахомов при особом мнении, которое
буду иметь честь представить Его Сиятельству
Господину Губернатору

Ив. Тулаев.

Делопроизводитель комиссии А. Кипшидзе.

მართალია, ამ წესებს ბოლოში არ უზის თარიღი, მაგრამ ჩვენ
მას ვათარიღებთ ბროშურის ყდაზე მიწერილი ცნობის მიხედვით:
„печатается по распоряжению г. Тифлисского
Губернатора, Тифлис, 1890 г.” რადგან თარიღი კვლევა-ძიე-
ბითაა დადგენილი, მას ოთხკუთხოვან ფრჩილებში ვათავსებთ.

„ნორმალური წესები ცალკე აღებული სოფლის საზოგადოე-
ბის საერთო-სასარგებლო კაპიტალის შექმნის შესახებ” – ილია
ჭავჭავაძის თხზულებათა აკადემიურ გამოცემაში პირველად იბე-
ჭდება.

გაზეთ „ივერიის” ფურცლებზე სისტემატურად შექმნილია
ქართველი კაცის მაშინდელი ყოფა, შრომა, კაპიტალის დაგროვე-
ბა და შემდეგ მისი საჭიროებისამებრ გამოყენება – ეს ის საკითხებია,
რომელთა გადაჭრაზე ილია მუდამ ამახვილებდა ყურადღებას.

ხორბლის მოყვანა ჩვენში, მისი რეალიზაცია; ვაზის მოვლა და ღვინის ბაზარზე გატანა – ილია ჭავჭავაძის წერილების დიდი უმრავლესობის თემაა. ამიტომ სრულიადაც არ არის გასაკვირი, რომ „ნორმალურ წესებს“ ხელს თვით ილია ჭავჭავაძეც აწერს. ეკონომიკის ბრწყინვალე ცოდნა ჩანს ბევრ მის „მოწინავეში“, რომლებიც გაზეთ „ივერიაში“ იბეჭდებოდა. ამის საილუსტრაციოდ რანდენიმე ქვემოთ მოტანილი მაგალითიც კმარა.

წერილში <სოფლად ხარჯის მოკრების და მისი შენახვის ნაკლი> (ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტ. XI, 2007 წ. გვ. 500) ვკითხულობთ: „ერთი დიდი ნაკლი ჩვენის სოფლის მოწყობილობისა ის არის, რომ არავითარი განსაზღვრული წესი და რიგი არ არსებობს შესახებ ხარჯის მოკრებისა და ჯეროვან ადგილას მიტანისა“. იქვე, 502-ე გვ. განაგრძობს: „...რა დიდძალი სიმდიდრე ხორბლად თუ ფულად ექნებოდა ტფილისის გუბერნიას, ...რომ როგორც მოგროვებას, ისევე მოგროვილის შენახვასა და პატრონობას ბევრითი ზედამხედველობა ჰქონებოდა.“ 503-ე გვ. ილია წერს: „ადიდებული იქნება, რომ გლეხთაგან მოგროვილი პურისაგან გაიყიდოს იმდენი, რაც ერთის წლის განმავლობაში ...გასწვდეს გლეხთა საჭიროებას და ამაზე მეტი ფულად იქცევა და ... გლეხთა საზოგადოების საკუთარ თავნად (კაპიტალად) ჩაითვლება, საზოგადო საჭიროებისათვის მოსახმარად ...“

საინტერესოა გაზეთ „ივერიის“ 1892 წლის 19 ნოემბრის №245-ში გვ.3 დაბეჭდილი ცნობა იმის შესახებ, რომ თელავის მაზრის თავადაზნაურთა კრების წარმომადგენლები გამოთქვამენ აზრს, რომ ღვინით ვაჭრობის ამხანაგობის წესდების შემდგენ კომისიაში შეიყვანონ ი. ჭავჭავაძე: „ჩვენ გვყავს ტფილისში თ. ი. გ. ჭავჭავაძე, რომელმაც კარგად იცის ამგვარი საქმენი და ამიტომ შეუძლიან ჩვენთვის სასარგებლო და შესაფერი წესდების შედგენა“-ო.

Газета „Кавказ“ и её „Петушие заметки“ о конверсии (გვ. 127)

ნაბეჭდი: გაზ. „Новое Обозрение“, 1892 წ., 26 ნოემბერი №3070, გვ.2-3.

ხელმოწერა: Илья Чавчавадзе.

რადგან ცენზურის ნებართვა გაცემულია 1892 წლის 25 ნოემბერს, წერილს ვათარილებთ 1892 წლის 25 ნოემბრამდე. იმის გამო, რომ თარიღი კვლევა-ძიებითაა დადგენილი, მას ოთხკუთხეულან ფრჩხილებში ვათავსებთ.

თხზულებათა კრებულში პირველად იბეჭდება.

130.26-30 „Летучие заметки“ ...составляют редакционный отдел газеты и ... всё, сказанное в этих „Заметках“, должно быть приписано самой редакции, говорящей „устаами г. Хонели“. – 1892 წლის 12 ნოემბრის გაზეთ „ივერიის“ „მოწინავეში“ ილიამ მკაცრად გააკრიტიკა ქლაქის საბჭოს სხდომაზე წარმოდგენილი ქლაქის მმართველობის მოხსენება ორი სესხის კონვენსიის შესახებ.

პასუხად გაზეთ „Кавказ“-ის 1892 წლის №310-ში დაიბეჭდა ი. ხონელის სტატია „Летучие заметки“.

როგორც ცნობილია, გაზეთი „Кавказ“-ი არაერთხელ დასხმია თავს გაზეთ „ივერიას“ და მის რედაქტორს. ილია ჭავჭავაძეს თავის მხრივ, მრავალჯერ გაუცია საკადრისი პასუხი გაზეთ „Кавказ“-ის თავდამსხმელთათვის. ამჯერად, „Кавказ“-მა შეგნებულად გამოუშვა არენაზე გაზეთ „ივერიის“ ყოფილი თანამშრომელი, ი. ხონელი. გაზეთის ტონმა და ტაქტიკამ, რომელიც მიზანმიმართულად ცდილობდა შეცდომაში შეეყვანა საზოგადოება, გამოიწვია ილია ჭავჭავაძის პასუხი. იგი დაიბეჭდა რუსულ გაზეთ „Новое Обозрение“-ში (1892 წ. №3070). ილიას სტატია „Газета „Кавказ“ и её „Летучие заметки“ о конверсии“ მიმართული იყო გაზეთ „Кавказ“-ის მთელი რედაქციის წინააღმდეგ.

Так – ли? (გვ. 136)

ნაბეჭდი: გაზ. „Новое Обозрение“, 1892 წ., 13 დეკემბერი №3086, გვ.4.

ხელმოწერა: Илья Чавчавадзе.

ცენზურის ნებართვა გაცემულია 1892 წლის 12 დეკემბერს, ამიტომ წერილს ვათარილებთ 1892 წლის 12 დეკემბრამდე. იმის გამო, რომ თარიღი კვლევა-ძიებითაა დადგენილი, მას ოთხკუთხეულან ფრჩხილებში ვათავსებთ.

თხზულებათა კრებულში პირველად იბეჭდება.

ქვესათაურის შემდეგ ვკითხულობთ: **См. „Новое Обозрение“**, 13081, რომელიც წერილის პასპორტში გადმოვიტანეთ.

1892 წ. გაზეთ „Кавказ“-ში (317) ი. ხონელის სტატიის („**წიგნი ან წიგნი**“) გამოქვეყნების შემდეგ, გაზეთმა „Новое Обозрение“-მ (3081), დაბეჭდა პატარა წერილი „**Ещё о конверсии**“, რომლის ავტორი იყო ქალაქის სათათბიროში საფინანსო კომისიის თავმჯდომარე მ. თამაშვევი. მას ცნობილი ფრანგი ეკონომისტის პ. ლერუა-ბოლიეს წიგნიდან „**Traite de la science des finances** (1877, არის)“ მოაქვს ადგილები, რომლებიც, მ. თამაშვევის აზრით, ეწინააღმდეგება ი. ჭავჭავაძის მიერ გამოთქმულ შეხედულებებს. ილია პასუხობს მ. თამაშვევს და განიხილავს ადგილებს პ. ლერუა-ბოლიეს წიგნიდან.

Объяснительная записка по предмету невыдачи Тифлиским дворянским земельным банком закладных листов заёмщикам на руки (გვ. 140)

ნაბეჭდი: საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა, რარიტეტის განყოფილება, ნიკო ნიკოლაძის არქივი №50/16. წარმოადგენს ბროშურას ზემოთ მოტანილი სათაურით.

თარიღი: ცენზურის ნებართვა: 1895 წ. 26 აპრილი

ხელმოწერა: Председатель правления кн. Чавчавадзе.

Члены правления: кн. Авалов, кн. Грузинский.

თხზულებათა კრებულში პირველად იბეჭდება.

წერილს ვათარილებთ ცენზურის ნებართვის გაცემის მიხედვით 1895 წ. 26 აპრილამდე და ვათავსებთ ტექსტის ბოლოს ოთხკუთხოვან ფრჩხილებში.

Его высокоблагородию господину, ревизовавшему Тифлиский Дворянский земельный банк Евстафию Евстафьевичу Добецкому, членов правления сего банка объяснительная записка (გვ. 171)

ნაბეჭდი: საქართველო ეროვნული ბიბლიოთეკა, რარიტეტის განყოფილება, ნიკო ნიკოლაძის არქივი №50/15.

თარიღი: ცენზურის ნებართვა: 1895 წ. 25 ივნისი.

ხელმოწერა: Председатель Правления кн. Чавчавадзе, Чл. Правления: кн. Дав. Авалов, кн. Грузинский.

რადგან დაწერის დრო უშუალოდ ტექსტის ბოლოს მითითებული არ არის, ჩვენ მას ვათარილებთ ცენზურის ნებართვის გაცემის მიხედვით. ბროშურის ბოლოს, ყდაზე წერია: **Дозволено цензурою. Тифлис, 25 июня 1895 года.** ამის გამო ნაშრომს ვაძლევთ თარიღს: 1895 წ. 25 ივნისამდე და მას ოთხკუთხეზან ფრჩხილებში ვათავსებთ.

თხზულებათა კრებულში პირველად იბეჭდება.

191.9-10 „упразднение наместничества, повлекшее за собою удаление двора его Высочества, Михаила Николаевича” – აქ ილია გულისხმობს, რომ 1882 წ. გაუქმდა კაკასიის ადმინისტრაციული ავტონომია და მეფისნაცვლის თანამდებობა. იგი მთავარმართებლობით შეიცვალა. მეფისნაცვალის მიხედვით ნიკოლოზისძე გაწვეულ იქნა პეტერბურგში.

193.23-25 „в успехах банка одинаковое участие принимали все товарищи его по управлению” – აქ იგულისხმება მითითებულ გაზეთში დაბეჭდილი ვრცელი ინფორმაცია „Общее Собрание членов Тифлисского дворянского земельного банка”.

194.5 (письмо его, напечатанное в „Новом Обозрении” от 26 июля 1891 г. №2582). – უნდა იყოს 1891წ. ივნისი და არა ივლისი. აქ ილია მიუთითებს ივ. მაჩაბლის მიერ გაზეთ „Новое Обозрение”-ში დაბეჭდილ წერილზე „Письмо в редакцию”.

198.14 „обратились к г. министру депешею” – აქ იგულისხმება იმ დროს რუსეთის ფინანსთა მინისტრი გრაფი სერგეი იულის ძე ვიტტე (1895-1915 წ.წ.).

строках сверху: о том, что принятый большинством
Правления вместо: о том, что большинством Правления.

**<Новые члены Государственного совета от
дворян Князь И. Г. Чавчавадзе> (გვ. 452)**

ნაბეჭდი: გაზ. „Петербургский листок” 1906 წ., №96,
9 აპრილი.

ზემოთ დასახელებული სათაურით 1906 წლის 9 აპრილს
გაზეთ “პეტერბურგსკი ლისტოკ”-ში დაიბეჭდა ინტერვიუ ილია
ჭავჭავაძესთან.

ინტერვიუს ვუტოვებთ საგაზეთო სათაურს და ვათავსებთ
ისრისებრ ფრჩხილებში.

კათარიდებთ პირველი პუბლიკაციის მიხედვით, 1906 წლით.

ჟურნალისტი გადმოგვცემს მწერლის მოკლე ბიოგრაფიას და
დასძენს, რომ მან მოახერხა დალაპარაკებოდა შორეული საქართვე-
ლოს პატივცემულ თავადს.

ტექსტში ჩვენ მიერ ორჯერ არის გამოყენებული მრავალწ-
ერტილი, რაც იმას ნიშნავს, რომ აქ ჩვენ გამოვტოვეთ ჟურნალ-
ისტის მიერ წარმოთქმული სიტყვები.

452.21-22 „после всех, еще продолжающихся
кавказских ужасов”...– აქ ილიას მხედველობაში აქვს 1905
წლის რევოლუციის შემდეგ გამეფებული რეაქცია, რასაც მძიმე
შედეგები მოჰყვა კავკასიასა და განსაკუთრებით საქართველოში:
ხალხის მასობრივი დაპატიმრება და დახვრეტა, სოფლებისა და
დაბების გადაწვა და სხვ. ცნობილია, რომ ილია ჭავჭავაძემ
თხოვნით მიმართა მეფისნაცვალს, რათა დასავლეთ საქართველო-
ში არ გაეგზავნათ გენერალ ალიხანოვ-ავარსკის დამსჯელი რაზმი,
მაგრამ ეს თხოვნა უყურადღებოდ დარჩა, რასაც მოჰყვა ი. ჭავ-
ჭავაძის არა ერთი პროტესტი.

თხზულებათა კრებულში პირველად იბეჭდება.

**<Слово князя И. Чавчавадзе на заседании
первой сессии Государственного совета> (გვ. 453)**

ნაბეჭდი: Лოცია, фонд Государственного совета, სახელმწიფო საბჭოს პირველი სესიის მე-6 სხდომის სტენოგრაფიული ანგარიში.

სათაური ჩვენ მიერაა მიცემული. რადგან სიტყვა 1906 წლის 22 ივნისს არის წარმოთქმული, მას ვათარილებთ 1906 წლის 22 ივნისამდე.

თხზულებათა კრებულში პირველად იბეჭდება.

საკარაულო

К вопросу о Конверсии городских займов

(გვ. 457)

ნაბეჭდი: გაზ. „Новое Обозрение“, 1892 წ., დეკემბერი, ~3098.

თარიღი: ცენზურის ნებართვა: 1892 წ. 24 დეკემბერი.

ხელმოწერა: II.

წერილს ვათარილებთ ცენზურის ნებართვის გაცემის მიხედვით – 1892 წლის 24 დეკემბრამდე და რადგან თარიღი არაავტორისეულია, მას ოთხკუთხოვან ფრჩხილებში ვათავსებთ.

ამ წერილის ბოლოს დასმულია ნიშანი „II“, ანუ ორი პარალელური ხაზი. „შეიძლება ეს არის ასო „И“, მაგრამ სტამბისმიერი შეცდომის გამო იკითხება, როგორც „II“ ანუ ორი პარალელური ხაზი.

მკვლევარი მ. კანდელაკი ფიქრობს, რომ როგორც ილია ჭავჭავაძის მიერ ხელმოწერილი ორი წერილი, „Газета „Кавказ“ и её „Летучие заметки“ о конверсии“, და „Так ли?“, ასევე წერილიც „К вопросу о конверсии городских займов“,

ეკუთვნის ილია ჭავჭავაძეს.¹ იხ. მ. კანდელაკი, *Из истории публицистической деятельности И. Чавчавадзе*, თსუ შრომები, 1965 წ., გვ. 277-283.

მართალია, მ. კანდელაკის მიერ გაწეული კვლევა გვაძლევს მნიშვნელოვან პირდაპირ და ირიბ მტკიცებულებებს, მაგრამ ვფიქრობთ, საბოლოო დასკვნისათვის ეს მაინც არასაკმარისია. ამიტომ აღნიშნული წერილი შეგვაქვს განყოფილებაში – „სავარაუდო“.

თსუ-ს უღებათა კრებულში პირველად იბეჭდება.

¹ იხ. მ. კანდელაკი, *Из истории публицистической деятельности И. Чавчавадзе*, თსუ შრომები, 1965 წ., გვ. 277-283.

თარგმნილი კუპლიცისტური თხზულებანი

მამა ალექსანდრე გაგაცცი და მისი ქადაგება (გვ. 461)

ნაბეჭდი: ჟურნალი „საქართველოს მოამბე“, 1863 წ., №1., გვ.: 88-144.

სათაურის ქვეშ: (დობროლიუბოვის თხზულებებიდან)

პირველად იბეჭდება „საქართველოს მოამბეში“ გამოქვეყნების შემდეგ.

თარგმანი ილიასეულად აკაკი კენჭოშვილმა მიიჩნია. (ა. კენჭოშვილი, დობროლიუბოვი და ი. ჭავჭავაძე „ლიტერატურული გაზეთი“, 1954 წ., 30 ივლისი). მან ყურადღება გაამახვილა ილიასათვის დამახასიათებელ გამოთქმებზე, ამ თარგმანში გამოყენებულ სიტყვიერ მასალაზე (ხავსმოკიდებული, დამყაყბული, გუბე, ლექი და ა. შ.). ეს მოსაზრება გაიზიარეს ალ. კალანდაძემ (ალ. კალანდაძე, „საქართველოს მოამბე“, 1963 წელი, გვ. 52-53.) და გურამ შარაძემ (გ. შარაძე, ილია ჭავჭავაძის ცხოვრება და შემოქმედება. წიგნი I, თბილისი, 1987 წ., გვ: 198-199).

დობროლიუბოვს ეს სტატია დაუწერია მძიმე ავადმყოფობის დროს, 1861 წელს, საზღვარგარეთ საექიმოდ ყოფნისას. თხზულებაში გადმოცემულია ჯუზეპე გარიბალდის ერთგული თანამოაზრის – სასულიერი პირის – გაგაცცის ქადაგებანი. ავტორმა სტატია „სოვრემენნიკში“ დასაბეჭდად წარადგინა, მაგრამ ცენზურამ არ გაუშვა. 1862 წელს ნეკრასოვმა და ჩერნიშევსკიმ დობროლიუბოვის თხზულებათა ოთხტომეული გამოსცეს. ეს წერილი შეიტანეს IV ტომში, რომელიც ცენზურის მიერ ნებადართულია 1862 წლის 28 ივლისს. ალ. კალანდაძე აღნიშნავს, რომ თხზულება ცალკე წიგნადაც გამოიცა. ქართული თარგმანი დაიბეჭდა ჟურნალ „საქართველოს მოამბის“ 1863 წ. პირველ ნომერში, რომელიც ცენზურის მიერ ნებადართულია 1863 წ. 12 იანვარს. ამდენად ილიას ამ ნაწარმოების თარგმნა შეეძლო 1862 წლის ივლისიდან 1863 წლის იანვრამდე.

ილიასეულ თარგმანს უფრო თავისუფალი შეიძლება ვუწოდოთ. მეტად ფასეულია ილიასეული კომენტარები. რუსულ ტექსტში 10-მდე შენიშვნაა, ხოლო ქართულში – 80-მდე. შენიშვნები ამკარად ქართველი მკითხველისათვისაა გამიზნული; შეფარდებულია საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის კონკრეტულ ამოცანებთან, მკითხველის ინტერესებთან. ახსნილია გაუგებარი, უცხო სიტყვები, შედგენილია ტევადი პირთა საძიებელი. განმარტებები (მაგ.: ნაციონალური გვარდია, კონსტიტუცია, ლოზუნგი, იდეა, კონფერენცია, აგიტაცია, რესპუბლიკა, იაკობინელები, სქოლასტიკა, ოპსკურანტი, ტირანია) ემსახურება იმდროინდელი ქართული სინამდვილის განახლების, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მომზადების ძირეულ ინტერესებს.

ვფიქრობთ, ეს თარგმნილი ნაწარმოები ესმიანება ილიას მსოფლმხედველობრივ პოზიციებს. ცნობილია ილიას ინტერესი იტალიის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და მისი ლიდერის ჯუზეპე გარიბალდის მიმართ. ასევე: „გლახის ნაამბობისა“ და „განდეგილის“ ავტორისათვის ახლობელი და განსასჯელი იქნებოდა საზოგადოებისა და პიროვნების (ამ შემთხვევაში სასულიერო პირის) ურთიერთობის საკითხი, რომელიც აღნიშნული პროზაული თარგმანის ერთ-ერთი ძირითადი პრობლემაა.

საქართველოს ისტორია (გვ. 514)

ნაბეჭდი: „საქართველოს მოამბე“, 1863 წ., №1, 2, 4, 5, 6, 7.

სათაურის ქვემოთ: თ. სულხან ბარათაშვილისა, ძველი ისტორია საქართველოსი.

ეპიგრაფი: „ძმანო, მტკიცედ ჰსდექით და შეიკრძალენით მოძღურებაი ესე, რომელიცა გისწავიეს“. (მეორე თესალონიკელთა მიმართ, ეპისტოლე წმიდისა პავლე მოციქულისა, თავი II, მუხლი 15).

პირველად იბეჭდება „საქართველოს მოამბეში“ გამოქვეყნების შემდეგ.

„საქართველოს მოამბეში” დაბეჭდილია სულხან ბარათაშვილის საქართველოს ისტორიის ერთი მონაკვეთის თარგმანი. ეს არის ძველი საქართველოს ისტორია.

აღ. კალანდაძის აზრით, მთარგმნელი ილია ჭავჭავაძეა. (აღ. კალანდაძე „საქართველოს მოამბე”, 1963 წელი, გვ. 53-55). აღ. კალანდაძის მოსაზრება ვარაუდად მოტანილია ი. გორგაძე, ნ. გურგენიძის წიგნში „ილია ჭავჭავაძე, ცხოვრებისა და შემოქმედების მატრიანე”, გვ.37, ხოლო გურამ შარაძე ამ თხზულების მთარგმნელად პირდაპირ ილია ჭავჭავაძეს ასახელებს. (გ. შარაძე, შესავალი წერილი „საქართველოს მოამბის” 1991 წლის გამოცემისა, ტომი I, გვ. 26).

ამ თარგმანის ილიასეულობის სასარგებლოდ საინტერესო არგუმენტად მიგვაჩნია სარედაქციო კომენტარი: „ეს თხზულება რედაქციამ მიიღო ავტორისაგან რუსულ ენაზედ... რედაქცია თავის თავზე იღებს, თუ რაიმე გაუგებარი და უკანონო არის ამ სტატიის აღნაქვსში, რადგანაც თარგმანი მას ეკუთვნის...” („საქართველოს მოამბე”, 1863 წ. №1, გვ. 195-196 გვერდების ნომრებს ვუთითებთ 1991 წლის გამოცემის მიხედვით). თარგმანზე ამგვარი პასუხისმგებლობის აღება, ასევე თხზულების შეფასება და მასზე ზოგიერთი კრიტიკული აზრის გამოთქმა, ალბათ, უფრო მეტად ილიას შეეძლო. რედაქციის სახელითაც, რასაკვირველია, უპირველესად ილია წარუდგებოდა მკითხველს, მით უმეტეს, „საქართველოს მოამბის” პირველ ნომერში.

„ისტორიის” ატრიბუციისათვის საინტერესოა შემდეგი ფაქტიც: ილია ჭავჭავაძის პირადი ბიბლიოთეკის კატალოგში (თბილისი, 1987 წ. საჯარო ბიბლიოთეკის გამოცემა) 283-ე ნომრად მითითებულია: Баратов. С. История Грузии, тетрадь I, II, III. СПб. 1865 г. რვეულები ცალ-ცალკეა რევისტირებული, როგორც კატალოგშია აღნიშნული, ამ რუსულ ტექსტებში ადგილები მონიშნულია წითელი ფანქრით. მოპოვებული ტექსტი ქართული თარგმანის წყაროდ ვერ ჩაითვლება, თარიღები არ ემთხვევა (რუსული ტექსტი დაბეჭდილია 1865 წელს, ხოლო ქართული-1863 წელს). შესაძლოა, ბარათაშვილის „საქართველოს ისტორიის” ეს ნაწილი („ძველი საქართველოს ისტორია”) რომელიმე რუსულ

ჟურნალში დაიბეჭდა (სამწუხაროდ, ჩვენ მას ვერ მივაკვლიეთ). ილიამ თარგმნა, შემდეგ კი, როდესაც მთლიანი ტექსტი ჩაუვარდა ხელთ, განიზრახა სრულად ეთარგმნა, ადგილებიც მონიშნა.

ვათარიღებთ პირველი პუბლიკაციის ცენზურის ნებადართვის თარიღის მიხედვით (1863 წლის იანვრამდე), თუმცა, შესაძლოა, თარგმანი ნაწილ-ნაწილ იბეჭდებოდა ჟურნალის ფურცლებზე. [1863წ.]

როგორც სარელაქციო შენიშვნებიდან ჩანს, მთარგმნელი კრიტიკული შემფასებელის თვალითაც ჩხრეკს ამ თხზულებას, ზოგჯერ ავტორს არ ეთანხმება და აკეთებს ისეთ კომენტარს, როგორიც ყველას არ ხელეწიფებოდა. მნიშვნელოვანია მისი ერთი შენიშვნა: „ყოველს პატივისცემასთან ამ შრომისადმი ჩვენ ვბედავთ ვსთქვათ, რომ არ ვართ თანახმა ავტორის ზოგიერთ კრიტიკულ შეხედვაზე... ჩვენ იმედი გვაქვს თავის დროზედ წარმოვადგინოთ ჩვენი აზრი“ („საქართველოს მოამბე“, 1863 წ. №1, გვ. 196). ილია ჭავჭავაძემ საკუთარი დამოკიდებულება ბარათაშვილის წიგნის მიმართ მართლაც გამოთქვა თავის ნარკვევში „აი ისტორია“.

სიკვდილით დასჯის გადადების საქმე და ამის თავობაზედ ვიკტორ ჰუგოს წიგნი (გვ. 614)

ნაბეჭდი: ჟურნალი „საქართველოს მოამბე“, 1863 წ., №8., გვ.: 84-92.

ხელმოწერა: ბ. ვ.

პირველად იბეჭდება „საქართველოს მოამბეში“ გამოქვეყნების შემდეგ.

ვათარიღებთ პირველი პუბლიკაციის მიხედვით. (1863წ. სექტემბრამდე - ცენზურის ნებართვის გათვალისწინებით)..

ილიას ინტერესს ადამიანთა სიკვდილით დასჯის პრობლემის მიმართ მოწმობს მისი მოთხრობა „სარჩობელაზედ“ და რუსეთის სახელმწიფო საბჭოში წარმოსათქმელი სიტყვის კონსპექტები.

„საქართველოს მოამბეში“ ფსევდონიმით „ბ. ვ.“ გამოქვეყნებ-

ულია ხუთი თარგმანი. მათი ატრიბუციის საკითხს ერთად განვიხილავთ.

აღ. კალანდაძემ „ბ. ვ“-თი გამოქვეყნებული თარგმანები ილია ჭავჭავაძისეულად მიიჩნია. (აღ. კალანდაძე, „საქართველოს მოამბე“, 1963 წელი, გვ. 38-40). ზოგიერთი ამ თარგმანის ილ-იასეულობის შესახებ აღ. კალანდაძის მოსაზრებებზე დაყრდნობით ვარაუდი გამოთქმულია თ. ნაკაშიძე, ნ. კორძაიას „ილია ჭავჭავაძის ბიობიბლიოგრაფიაში“, გვ. 10-18; ასევე წიგნში, ი. გორგაძე, ნ. გურგენიძე, „ილია ჭავჭავაძე, ცხოვრებისა და შემოქმედების მატინე“, გვ. 38-40. გურამ შარაძის აზრითაც, ფსევდონიმით „ბ. ვ“ გამოქვეყნებული თარგმანები ილიას კალამს ეკუთვნის (იხ. გ. შარაძე, შესავალი წერილი წიგნში „საქართველოს მოამბე“, 1991 წელი, ტომი I, გვ. 26).

1863 წლის II ნახევარში გაუქმდა „საქართველოს მოამბის“ ერთ-ერთი განყოფილება „სხვადასხვა ამბავი“. ამის შემდეგ ჟურნალის ფურცლებზე იბეჭდება საინტერესო სტატიები „ბ. ვ“-ს ფსევდონიმით. ეს თარგმანები უმეტესად ეკონომიურ საკითხებს ეხება. „საქართველოს მოამბის“ საპროგრამო განცხადებაში ილია ჰპირდებოდა მკითხველს, რომ მიაწვდიდა წერილებს „საპოლიტიკო და სოფლიური ეკონომიკის“ შესახებ. ილიას მშვენივრად ესმოდა: ფეოდალიზმის რღვევისა და კაპიტალიზმის განვითარების პროცესში პოლიტიკური ეკონომიის განვითარება, მისი, როგორც მეცნიერების არსებობა, უკვე დღის წესრიგში იდგა. ამ ყველაფერს მხარდაჭერა სჭირდებოდა. ილია ჭავჭავაძე არა მხოლოდ თავისი მოღვაწეობითა და ორიგინალური შემოქმედებით, არამედ პროზაული თარგმანებითაც ცდილობდა, რომ ქართველი კაცი არ ჩამორჩენოდა დროს, გაეაზრებინა „ღონე ზორციელისა და ღონე სულიერის“ ურთიერთკავშირის საჭიროება. „ბ. ვ“-ს ფსევდონიმით გამოქვეყნებული თარგმანები ქართველ საზოგადოებას აცნობს ჯანსაღი ქრისტიანული ეკონომიკური აზროვნების ძირითად პრინციპებს.

პოლიტიკური, ეკონომიკური ხასიათის წერილების თარგმნა იმ დროისათვის საკმარის განათლებას და გამოცდილებას მოითხოვდა. ქართულ ენაზე არ არსებობდა სათანადო ტერმინოლოგია,

ქართული მეტყველება მოუქნელი იყო ამგვარი რთული საკითხების გადმოსაცემად. ამდენად, მსგავსი სტატიების თარგმნა ყველას არ შეეძლო. მთარგმნელმა შეიმუშავა სათანადო ქართული ტერმინებიც. თუ გავითვალისწინებთ, რომ ილია სწავლობდა იურიდიული ფაკულტეტის კამერალურ განყოფილებაზე, პოლიტიკური და ეკონომიკური ტერმინოლოგიის ზუსტად გადმოტანა ქართულ ენაზე ყველაზე მეტად მას გაუადვილდებოდა და ამ საკითხების მნიშვნელობაც ყველაზე უკეთ მას ესმოდა. ისიც ნიშანდობლივია, რომ მთარგმნელი ტექსტს მიზნობრივად არჩევს. ერთ-ერთი კომენტარი ასეთია: „არის ერთი წიგნი, დაწერილი გამოჩენილის ფრანციის ეკონომისა ბასტიასაგან... წიგნი ფრიად სასარგებლო რამ არის, მაგრამ მე იქილამ ამოვიღე მარტო ერთი ნაწილი, რომელიც უფრო მეტად მოედგმის ჩვენს ცხოვრებას“ („საქართველოს მოამბე“ 1863 წელი, №8, გვ. 61).

მცარცველობის ფიზიოლოგია (გვ. 622)

ნაბეჭდი: ჟურნალი „საქართველოს მოამბე“, 1863 წ., №8., გვ.: 61-76.

ხელმოწერა: ბ. ვ.

პირველად იბეჭდება „საქართველოს მოამბეში“ გამოქვეყნების შემდეგ.

ვათარილებთ პირველი პუბლიკაციის მიხედვით (1863წ. სექტემბრამდე, ცენზურის ნებართვის ვათვალისწინებით).

პირველივე გვერდის სქოლიოში მითითებულია სტატიის ავტორი (ცნობილი ფრანგი ეკონომისტი ფრედერიკ ბასტია).

წერილის ატრიბუციასთან დაკავშირებით იხილეთ წინამდებარე ტომში ამ ხელმოწერით დაბეჭდილი პირველი თხზულების „სიკვდილით დასჯის გადაგდების საქმე და ამის თავობაზედ ვიკტორ ჰუგოს წიგნი“ კომენტარი.

კირაკოზი განძაკეცი, მწერალი XIII საუკუნისა (გვ.643)

ნაბეჭდი: „საქართველოს მოამბე“, 1863 წ., №9., გვ.: 58-75.
ხელმოწერა: ბ. ვ.

პირველად იბეჭდება „საქართველოს მოამბეში“ გამოქვეყნების შემდეგ.

ვათარიღებთ პირველი პუბლიკაციის მიხედვით (1863წ. ოქტომბრამდე - ცენზურის ნებართვის გათვალისწინებით).

პირველივე გვერდის სქოლიოში მოცემულია ინფორმაცია თარგმანის წყაროს შესახებ: P.Сп. 1862 წელი. სამწუხაროდ, ჟურნალ „Русское слово“- ს ამ ნომერს ვერ მივაკვლიეთ.

წერილის ატრიბუციასთან დაკავშირებით იხილეთ წინამდებარე ტომში ამ ხელმოწერით დაბეჭდილი პირველი თხზულების „სიკვდილით დასჯის გადაგდების საქმე და ამის თავობაზედ ვიკტორ ჰუგოს წიგნი“ კომენტარი.

კირაკოზ განძაკეცი ავტორია „სომხეთის ისტორიისა“. ქართულად თარგმნილია ის ნაწილი, რომელშიც ავტორი მოგვითხრობს მონღოლების შემოსევას სომხეთსა და საქართველოში. თარგმანის წინასიტყვაობა ცნობებს გვაწვდის ავტორისა და მისი „ისტორიის“ შესახებ.

ბელინსკის აზრი შვილების აღზდაზედ (გვ. 660)

ნაბეჭდი: ჟურნალი „საქართველოს მოამბე“, 1863 წ., №9, გვ.: 30-55; №10, გვ.: 56-71.

ხელმოწერა: მაქსიმ ლოლანიძე (№9); მაქსიმ ლოლანიძე (№10).

პირველად იბეჭდება „საქართველოს მოამბეში“ გამოქვეყნების შემდეგ.

თარგმანის ბოლოს (მე-10, გვ.71) მითითებულია თარიღი, „1863 წელსა, თებერვლის 12 დღესა“).

ზოგიერთმა მკვლევარმა ხელმოწერა მაქსიმე ლოლანიძე (ლო-

ლანიძე) ავტორის სახელად და და გვარად მიიჩნია (ს. ხუციშვილი, გ. თავიშვილი, დ. გამეზარდაშვილი, კ. მეძველია).

აღ. კალანდაძემ XIX საუკუნის ქართულ პრესაში ამ სახელით და გვარით დაბეჭდილი ვერანაირი მასალა ვერ მოიძია. მისი ინფორმაციით ჟურნალ-გაზეთებში ან იმდროინდელ ქართულ საზოგადოებაში ეს გვარი საერთოდ არაა ნახსენები. აღ. კალანდაძე მაქსიმე ღაღანიძეს ილიას ფსევდონიმად მიიჩნევს. მკვლევარი საინტერესო არგუმენტებს ეყრდნობა. მაგალითად, მოჰყავს ზ. ჭიჭინაძის ცნობა 1897 წელს გამოცემული წიგნიდან „ილია ჭავჭავაძე“. აქ აღნიშნულია, რომ ილიამ „საქართველოს მოამბეში“ გამოაქვეყნა ბელინსკის წერილები. ბოლოს თავადაც აღნიშნავს: „ბელინსკის აზრი შვილების აღზრდაზედ ძალიან მნიშვნელოვანი პედაგოგიურ-ლიტერატურული თხზულებაა... „სხარტულასა და „სფირიდონისა და თადეოზის ბაასში“ ილია ჭავჭავაძემ საინტერესო შეხედულებები გამოთქვა აღზრდის შესახებ და გადაკვრით კიდევაც მიუთითა, რომ უახლოეს ხანში დაბეჭდავდა ამის თაობაზე გამოჩენილ ადამიანთა ნაწერებს. ამასთან, იმ პერიოდში ილია დიდად იყო დაინტერესებული ბელინსკის მემკვიდრეობით“ (აღ. კალანდაძე „საქართველოს მოამბე“, გვ. 36-38). თარგმანი ილიასეულადაა მიჩნეული ნაკაშიძე – კორძიას „ბიობიბლიოგრაფიაში“ (გვ. 16), ასევე გორგაძე – გურგენიძის აღნიშნულ „მატიანეში“ (გვ. 39).

აღ. კალანდაძე აღნიშნავს, რომ თხზულება გადმოქართულებულია, ამოკრეფილია ბელინსკის რეცენზიებიდან: Топман - „подарок на новый год“ და В. Одоевский – „Детские сказки дедушки Ирины“. აღ. კალანდაძე მიუთითებს, რომ ეს რეცენზიები დაიბეჭდა 1840 წელს ჟურნალში „Отечественные записки“. საჯარო ბიბლიოთეკაში ჟურნალის 1840 წლის გამოცემა არ აღმოჩნდა.

თარგმანის სტილზე გარკვეულ წარმოდგენას თავად ქართული ტექსტი გვიქმნის. ჩანს, ის რუსულ ტექსტთან შედარებით შემოკლებულია. თარგმანში მინიშნებულია ამ შემოკლებათა მიზეზები. ილიამ ვრცლად თარგმნა ბელინსკის აზრები საბავშვო მწერლობის შესახებ. ერთ-ერთ კომენტარში აღნიშნულია: „აქ

დავტოვე გადმოუთარგმნელად ცოტაოდენი ადგილი მუზიკის სწავლების შესახებ... ქართველებს ბავშვების წასაკითხი არაფერი გვაქვს. ამ მიზეზით ვარჩიე იმ ადგილის თარგმნა, სადაც ბელინსკი ლაპარაკობს იმაზედა, როგორ უნდა დაიწეროს ბავშვებისათვის წიგნები”. („საქართველოს მოამბე”, 1863 წ. № 10. გვ. 59). ცხადია, თარგმნისას ილია მაქსიმალურად ითვალისწინებდა ქართველი მკითხველის ინტერესებს, აწვდიდა უფრო გადაუღებელ და პრაქტიკულ რჩევებს.

ამ თარგმანის კომენტარები უფრო ზოგადი შინაარსისაა, მთარგმნელის განათლებასა და შეიძლება ითქვას, აზროვნების მასშტაბურობაზეც მიუთითებს, რაც კიდევ ერთი არგუმენტია ამ ხელმოუწერელი თარგმანის ილიასეულობის სასარგებლოდ.

ორნაირი სწავლა (გვ. 636)

ნაბეჭდი: ჟურნალი „საქართველოს მოამბე”, 1863 წ., №11., გვ.: 73-80.

სათაურის ქვეშ: (სტატია ბასტიასი)

ხელმოწერა: ბ. ვ.

სათაურის სქოლიო: „ამის დასაწყისი არის ავგუსტოს საქართველოს მოამბეში, სახელდობრ, სტატია „მცარცველობის ფიზიოლოგია”.

პირველად იბეჭდება „საქართველოს მოამბეში” გამოქვეყნების შემდეგ.

ვათარიღებთ პირველი პუბლიკაციის მიხედვით (1863წ. დეკემბრამდე - ცენზურის ნებართვის გათვალისწინებით).

წერილის ატრიბუციასთან დაკავშირებით იხილეთ წინამდებარე ტომში ამ ხელმოწერით დაბეჭდილი პირველი თხზულების „სიკვდილით დასჯის გადაგდების საქმე და ამის თავობაზედ ვიკტორ ჰუგოს წიგნი“ კომენტარი.

სიღარიბე, როგორც ეკონომიური პრინციპი (გვ. 700)

ნაბეჭდი: „საქართველოს მოამბე“, 1863 წ., №10., გვ.: 72-87.
სათაურის ქვეშ: (პრუდონის სტატია)
ხელმოწერა: ბ. ვ.

პირველად იბეჭდება „საქართველოს მოამბეში“ გამოქვეყნების შემდეგ.

ვათარიღებთ პირველი პუბლიკაციის მიხედვით (1863 წ. ოქტომბრამდე - ცენზურის ნებართვის გათვალისწინებით).

წერილის ატრიბუციასთან დაკავშირებით იხილეთ წინამდებარე ტომში ამ ხელმოწერით დაბეჭდილი პირველი თხზულების „სიკვდილით დასჯის გადაგდების საქმე და ამის თავობაზედ ვიკტორ ჰუგოს წიგნი“ კომენტარი.

ეტიმოლოგიური განხილვა ძველთა და ახალთა კაპადოკიის ან ჭანეთის მკვიდრთა მოსახლეთა (გვ. 715)

ნაბეჭდი: გაზეთი „ივერია“, 1877 წ., №14, 15, 16, 17.
ხელმოწერა: დავით ჩუბინოვი

ვათარიღებთ პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

პირველად იბეჭდება „ივერიაში“ გამოქვეყნების შემდეგ.

გაზეთის თითოეული ნომრის პუბლიკაციის ბოლოს მითითებულია ავტორის და არა მთარგმნელის ვინაობა.

ალ. კალანდაძე „ქართული ჟურნალისტიკის ისტორიის“ IV ტომში (1986 წ.) ამ თარგმანს ილიას ნაწერებს შორის არ ასახელებს, მაგრამ 1963 წ. გამოცემულ მონოგრაფიაში „საქართველოს მოამბე“, მიიჩნევს რა სულოხან ბარათაშვილის „ძველი საქართველოს ისტორიის“ ქართულ თარგმანს ილიასეულად, იხსენიებს დავით ჩუბინაშვილის ისტორიულ თხზულებასაც და ამასთან დაკავშირებით ილიას პირად წერილს ვასილ მაჩაბლი-

სადმი (გვ. 55): „ილიას სარედაქციო პრაქტიკაში ეს პირველი შემთხვევა როდი იყო. იგი ვასილ მანაბელს სთხოვდა გამოერთ-მია პროფ. დავით ჩუბინაშვილისათვის მისი წერილი ლაზისტან-ზე „ივერიაში“ დასაბეჭდად, „მე თვითონ ვთარგმნი და დავბეჭდა-ვო“.

თარგმანს ილიას კალამს აკუთვნებენ ი. გორგაძე, ნ. გურ-გენიძე წიგნში „ილია ჭავჭავაძე. ცხოვრებისა და შემოქმედების მატრიანე“, თბილისი, 1987 წელი, გვ. 92. აქ უკვე მთლიანად მოხმობილია ილიას პირადი წერილი ვასილ მანაბლისადმი: „ჩვე-ნი დავით იესეს ძე ჩუბინოვი ვნახე... ჰსთხოვე ჩემ მაგიერ, ლაზისტანზედ რომ რუსულად ნაწერი აქვს, გამომიგზავნოს, მე თვითონ ვჰსთარგმნი და ისე დავბეჭდავ, შენი ჭირიძე, ამ წიგნის მიღებისთანავე უმაღ მიდი და ჩემ მაგიერ ჰსთხოვე, მალე გამო-მიგზავნოს. დაპირებულიც არის“ (ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებუ-ლი 10 ტომად, პ. ინგოროყვას რედაქციით, ტ. X, 1961 წ. გვ. 59).

პირადი წერილი არაა დათარიღებული. X ტომში წერილს არასწორი თარიღი უზის: 1875 წელი. წერილში გაზეთ „ივერი-აზეა“ მსჯელობა. 1875 წელს „ივერია“ არ არსებობდა. მისი პირველი ნომერი 1877 წ. მარტში გამოვიდა. ამ და სხვა წერ-ილებში ილია თანამშრომლობას სთავაზობდა პეტერბურგში მცხ-ოვრებ ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლებს. მათ შორის პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორს დავით ჩუბინაშვილს. ჩანს, დ. ჩუბინაშვილმა თხოვნა შეასრულა და ილიას თავისი ისტორიული თხზულება (რუსულად) გამოუგზავნა.

აღნიშნული თარგმანი ილიასეულად მიიჩნის თეიმურაზ ჩავ-ლეიშვილმა და მანანა კვატაიამ (მანანა კვატაია, ილია ჭავ-ჭავაძის ეპისტოლური მემკვიდრეობა და შემოქმედებითი ევოლუცია. თბ. 1989 წ. გვ.: 95; კვატაია მანანა, ჩავლეიშვილი თეიმურაზ. „ივერიის“ ერთი პუბლიკაციის გამო. — საქ. მეცნ. აკადემიის მაცნე. ენისა და ლიტ. სერია. 1993 წ; №2, გვ. 40-44.)

ვაქებ, ანუ: ამასაც ხომ არ დამიშლიან (გვ. 743)

ხელნაწერი: ასლი №217, გვ.: 143-153

ნაბეჭდი: ჟურნ. „ივერია“, 1879 წ. №7-8, გვ.: 196-208; თხზულებანი ილია ჭავჭავაძისა, ქართველთა ამხანაგობის გამოცემა, ტფილისი, 1892 წ. ტ III, გვ. 238-254.

სათაურის ქვეშ: (ისპანიური სატირა ლარრასი).

თარგმანი ხელმოუწერელია.

ლარას ეს ტექსტი ფაქტობრივად ორი მოთხრობაა, მეორე მოთხრობის სათაურია „პოლიცია“, მაგრამ რუსულ თარგმანში, რომლითაც ილიას უხელმძღვანელია, ისინი გაერთიანებულია ერთი სათაურის ქვეშ – „ვაქებ, ანუ: ამასაც ხომ არ დამიშლიან“ და ასევე უთარგმნია ილიასაც. ამ რუსული წყაროს შესახებ იხილეთ მომდევნო მოთხრობის კომენტარები.

ითარგმნა 1878 წლის მაისიდან 1879 წლის ივლისამდე (არგუმენტაცია იხ. ქვემოთ)

რა არის საზოგადოება (პუბლიკა) და სად უნდა ვექებოთ იგი (გვ. 755)

ხელნაწერი: №217, გვ.: 457-462

ნაბეჭდი: ჟურნ. „ივერია“, 1879 წ. №9-10, გვ.: 132-138.

სათაურის ქვეშ: (ისპანიური სატირა ლარრასი).

პირველად იბეჭდება „საქართველოს მოამბეში“ გამოქვეყნების შემდეგ.

თარგმანი ხელმოუწერელია.

ითარგმნა 1878 წლის მაისიდან 1879 წლის ივლისამდე (არგუმენტაცია იხ. ქვემოთ)

ატრიბუციის შესახებ:

„ივერიიდან“ მოთხრობები გადაწერილია ილიას თხზულებათა 1892 წლის გამოცემის მიზნით მომზადებულ ხელნაწერ

კრებულში (№217), ამათგან 1 და №2 მოთხრობა შესულია თვითონ 1892 წლის გამოცემაში. ამდენად თარგმანთა ატრიბუციისათვის უტყუარი საბუთები არსებობს (217-ე ხელნაწერი კრებული და 1892 წ. გამოცემა).

„ივერიის“ ტექსტების ორთოგრაფია რამდენადმე განსხვავებულია 217-ე ხელნაწერი კრებულისა და 1892 გამოცემის ტექსტების ორთოგრაფიისაგან. მწერლის თხზულებათა 1892 წლის გამოცემისათვის მზადების პროცესი, ჩანს, ორთოგრაფიის გამართივებასაც გულისხმობდა: 217-ე ხელნაწერი კრებულსა და 1892 წლის გამოცემაში ზმნების უმეტესობას „ჰაე“ აღარ აქვს. (ჰსწერს – სწერს, ჰსჯობია – სჯობია, ვჰსთქვათ – ვთქვათ.)

შესაძლებლობა მოგვეცა მიგვეკვლია ამ მოთხრობათა ილიასეული თარგმანების წყაროებისათვის.

მარიანო ხოსე დე ლარას ნაწარმოებები რუსულ ენაზე პირველად 1877 წ. ითარგმნა. ჟურნალ „Вестник Европы“-ს 1878 წლის მე-5 ნომერში დაიბეჭდა მ. ვატსონის სტატია: „ლარა, 30-იანი წლების ესპანური სატირა“ და მარიანო ხოსე დე ლარას ცხრა მოთხრობის თარგმანი. მათ შორისაა ილია ჭავჭავაძის მიერ ნათარგმნი მოთხრობები: „Что такое публика и где её искать“ (გვ. 195-200), „Восхваление, или: не запретят же мне этого“ (გვ. 205-210), „Полиция“ (გვ. 210-214).

არსებობს მარიანო ხოსე დე ლარას თხზულებათა შედარებით თანამედროვე რუსული თარგმანი. Мариано Хосе де Ларра, Сатирические очерки, Москва, 1956. მთარგმნელი ზ. პლავსკინი. ამ უკანასკნელთან ვატსონისეული და ილიასეული თარგმანების შედარება ასეთ სურათს გვაძლევს: პლავსკინის თარგმანები ვრცელია და, ჩანს, ორიგინალთან მეტად ახლოა. ვატსონისა და ილიას თარგმანებში ზუსტად ერთნაირად არის ადგილები გამოტოვებული. ასევე: როგორც ითქვა, ილიას თარგმანში (ყველა წყაროში) ლარას ორი მოთხრობა გაერთიანებულია ერთი მოთხრობის სათაურის ქვეშ, „ვაქებ: ანუ ამასაც ზომ არ დამიშლიან“. ლარას შემოქმედების შესწავლამ ცხადყო, რომ პირველი მოთხრობის ტექსტს მოსდევდა მეორე მოთხრობის - „პოლიციის“ ტექსტი. ასეთივე სურათია ვატსონისეულ თარგმანშიც. (ჟურ.

„Вестник Европы“-ს 1878 წ. №5, გვ. 210). ყოველივე ამის გათვალისწინებით, ვფიქრობთ, რომ მარიანო ხოსე დე ლარას ჭავჭავაძისეული ქართული თარგმანის წყაროა ჟურნალ „Вестник Европы“-ს 1878 წ. №5-ში გამოქვეყნებული ლარას მოთხრობათა ვატსონისეული თარგმანები. (დაწვრილებით ამის შესახებ იხ. ნ. ჩიტაურის სადისერტაციო ნაშრომში „ი. ჭავჭავაძის თხზ. გამოცემის ისტორიის საკითხები“, 1985., გვ. 227-248).

აქედან გამომდინარე, შესაძლოა, თარგმანები პირობითად დავათარილოთ. ვფიქრობთ, ილიამ ისინი თარგმნა 1878 წლის მაისიდან 1879 წლის ივლისამდე.

როგორც ჩანს, ილია დაინტერესდა მარიანო ხოსე დე ლარას სატირული პუბლიცისტიკით. გარდა ამისა, ჟურნ. „Вестник Европы“-ს იმ ნომერში (1878 წ. №5), საიდანაც ლარას მოთხრობები თარგმნა, დაბეჭდილია ლარას კიდევ რამდენიმე ნაწარმოები. ერთ-ერთია „სასიკვდილოდ მსჯავრდადებული კაცი“. 1879 წელს ილიამ დაწერა „სარჩობელაზედ“. . .

III ნაწილი

მხატვრულ თხზულებათა თარგმანები

სახლი იყიდება (გვ. 762)

ნაბეჭდი: გაზ. „ივერია“, 1878 წ. №44.

სათაურის ქვეშ: (მოთხრობა ალფონს დოდესი).

თარიღდება პუბლიკაციის მიხედვით.

მოთხრობა პირველად იბეჭდება „ივერიაში“ მათი გამოქვეყნების შემდეგ.

სამი ათასი ფრანკით (გვ. 766)

ნაბეჭდი: გაზ. „ივერია“, 1878 წ. №45.

სათაურის ქვეშ: (მოთხრობა ალფონს დოდესი).

თარიღდება პუბლიკაციის მიხედვით.

მოთხრობა პირველად იბეჭდება „ივერიაში“ მათი გამოქვეყნების შემდეგ.

„ივერიის“ 1877-1879 წლების ნომრებში ხელმოუწერლად ალფონს დოდეს ოთხი მოთხრობის თარგმანი გამოქვეყნდა.

1. უკანასკნელი გასაკვეთი, 1877 წ., №6.
2. სახლი იყიდება, 1878 წ. №44.
3. სამი ათასი ფრანკით, 1878 წ. №45.
4. თურქოსი კომმუნელთა შორის, 1879 წ. №2.

№1 და №4 მოთხრობა შესულია ილიას თხზ. 1892 წლის გამოცემაში, №1 გადაწერილია 217-ე ხელნაწერ კრებულში. ისინი დაბეჭდა ი. ჭავჭავაძის თხზ. აკადემიური გამოცემის III ტომშიც (1988 წ.).

ალფონს დოდეს ამ ოთხი მოთხრობის ხელმოუწერელ თარგმანთა ილიასეულობის შესახებ იხ. ნ. ჩიტაურის „დისერტაცია, ი. ჭავჭავაძის თხზ. გამოცემის ისტორიის საკითხები“, 1985, (გვ.: 275-280;).

ხელმოუწერელ თარგმანთა ატრიბუციისას გავითვალისწინეთ შემდეგი:

1. „ივერიის“ 1877-1879 წლების ნომრებში ხელმოუწერლად ალფონს დოდეს მხოლოდ აღნიშნულ მოთხრობათა თარგმანებია დაბეჭდილი. ალფონს დოდეს რამდენიმე მოთხრობის ხელმოუწერელი თარგმანი „დროებაშიც“ გამოქვეყნდა, მაგრამ ესაა თარგმანის სხვა სტილი: ძალიან მდარე, სავსე უხეში სტილური შეცდომებით. ეს ფაქტი განსაკუთრებით ნათლად ჩანს ა. დოდეს იმ მოთხრობის მაგალითის გათვალისწინებით, რომლის ხელმოუწერელი თარგმანი დაბეჭდილია როგორც „ივერიაში“, ასევე „დროებაში“. ეს არის მოთხრობა „უკანასკნელი გასაკვეთი“ („ივერია“, 1877 წ., №6 და „დროების კალენდარი“, 1875 წ., გვ.: 11-17).

2. ალფონს დოდეს „ივერიაში“ გამოქვეყნებულ ხელმოუწერელ თარგმანთაგან ილიას თხზულებათა 1892 წლის გამოცემაში შეიტანეს №1 და №4. ქრონოლოგიურად მათ შორის მოთავსებული №2 და №3 — არა. ჩვენი აზრით, სარედაქციო კოლეგიამ ილიას მითითებით აარჩია უფრო პრობლემატური, საინტერესო

მოთხრობები. უნდა ითქვას შემდეგი: საარქივო მასალის, 1892 წლის გამოცემის მომზადების მიზნით გადაწერილი ხელნაწერი კრებულების შესწავლისას, მათი პერიოდიკასთან შედარების შემდეგ ილიას თხზულებათა 1892 წლის გამოცემის მომზადების პროცესში ხელმოუწერელი პუბლიცისტური წერილებისა და თარგმანების ამგვარად ანუ პრობლემატიკისა და აქტუალობის ნიშნით ამორჩევის პრინციპი და ტენდენცია აშკარად იკვეთება.

ალფონს ლოდეს ამ მოთხრობათა თარგმანების ილიასეულობის შესახებ ვარაუდი გამოთქვა ალექსანდრე კალანდაძემ. (ალ. კალანდაძე, ქართული ჟურნალისტიკის ისტორია, IV, 1986 წ., გვ.: 435).

თარგმანის წყაროს, სამწუხაროდ, ვერ მივაგენით.

ორიგინალური პუბლიცისტური წერილები

ფიქრი და შენიშვნა

(ჩვენის მწერლობის თაობაზედ...) (გვ.770)

ნ ა ბ ე ჳ დ ი: ჟ. „ივერია“, 1879 №1 გვ.118-135 ??

ხელმოწერა: ნ. დავითიშვილი

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა კრებულში პირველად იბეჭდება.

წერილს ვათარილებთ ცენზურის ნებართვის მიხედვით.

ჟურნალ „ივერიასა“ და გაზეთ „დროებაში“ სათაურით „ფიქრი და შენიშვნა“ გამოქვეყნებული ოთხი წერილის ატრიბუციის საკითხი განხილულია მკვლევარ ლევან ჭრელაშვილის სტატიაში „ნ. დავითიშვილი“ (ილია ჭავჭავაძის უცნობი ნაწერები და ნ. ნიკოლაძესთან დუელის ისტორია) (ჟ. „მნათობი“, 1997 წ. №6, გვ. 134). ჟურნალის სამი წერილი დაიბეჭდა ხელმოწერით „ნ. დავითიშვილი“, მეოთხე კი ოთხ ნაწილად და ხელმოუწერლად გამოქვეყნდა გაზეთ „დროების“ სხვადასხვა ნომრებში. საგაზეთო პუბლიკაციიდან ჩანს, რომ ყველა წერილის ავტორი ერთი

და იგივე პირია. ტექსტის ბოლოს ვკითხულობთ: „ეს უმეცარი ყბელობა... ახალი ამბავი არ არის. ამ საგნის თაობაზე მქონია კიდევ ლაპარაკი მკითხველთან („ივერია“ 1879 წ. №1 „ფიქრი და შენიშვნა“) და გამეორება საჭირო აღარ არის“. რადგან საგანათლო სტატიის ავტორმა თავად განაცხადა, რომ დავითიშვილის ხელმოწერით დაბეჭდილი წერილიც მას ეკუთვნის, ლევან ჭრელაშვილი სტატიების ავტორობის პრობლემას ოთხივე ტექსტის კომპლექსური ანალიზის საფუძველზე არკვევს და ჩვენც ამავე პოზიციიდან გავაგრძელებთ კვლევას.

ლევან ჭრელაშვილის სტატიაში ატრიბუციასთან დაკავშირებული არგუმენტაცია საკმაოდ მრავალფეროვანი და დამაჯერებელია. მეცნიერი ერთი მხრივ ასაბუთებს იმას, რომ ნ. დ. ქანანოვი, რომლის ფსევდონიმადაც იყო მიჩნეული „ნ. დავითიშვილი“ (იხ. ი. გრიშაშვილი, ფსევდონიმების ლექსიკონი, თბილისი, 1987, გვ. 52; კრებული „ილია“, 1987, გვ. 71 და სხვ.), ამ სტატიების ავტორი ვერ იქნებოდა და მეორე მხრივ მოჰყავს არგუმენტები ილია ჭავჭავაძის ავტორობის სასარგებლოდ. საკითხთან დაკავშირებით ჩატარებული კვლევის შედეგებიდან გამოვყოფდით შემდეგი სახის მტკიცებულებებს:

- არაერთი პრეცედენტი არსებობს, როდესაც ილია თავის ნაწერებს სხვა მოღვაწეებზე მინიშნებებით აქვეყნებდა. ინიციალები გ. ჩ. გიორგი ჩიქოვანზე მიანიშნებდა, ავტორის ადგილსამყოფელი „ძაუ-ჯიყაუ“ – მიხეილ ყიფიანზე, ფსევდონიმი „ახალმოსული“ – ახალშენიშვილზე და სხვ.

ილია ჭავჭავაძე, როგორც ჩანს, ენდობოდა ქანანოვს და სხვა დროსაც სარგებლობდა მისი სახელით. 1883 წელს, როდესაც სერგეი მესხი ავადმყოფობის გამო გაზეთს ჩამოსცილდა და ილიამ რედაქტორობის კანდიდატად ქანანოვი დაასახელა, ყველა მიხვდა, რომ ფაქტობრივად გაზეთსაც თავად გაუძღვებოდა და ქანანოვის ხელმძღვანელობა მხოლოდ ფორმალთა იქნებოდა. ამასთან დაკავშირებით 8 მაისით დათარიღებულ წერილში ზაქარია ჭიჭინაძე ნიკო ნიკოლაძეს სწერდა: „დროება“ ამ დღეებში ილია ჭავჭავაძის ხელში გადავა, რედაქტორად ქანანოვია დანიშნული“. მართალია საბოლოოდ „დროების“ რედაქტორად ივანე მაჩაბელი

დამტკიცდა, მაგრამ თავისთავად საინტერესოა ილია ჭავჭავაძესთან ქანანოვის სახელის ამგვარი დაკავშირების ფაქტი. თუ ილიას შეეძლო, რომ ქანანოვისთვის „დროების“ რედაქტორობა მიენდო, არც ის არის გამორიცხული, რომ, მისივე თანხმობით, წერილების ავტორობაზე ეჭვი მისკენ მიემართა. ვგულისხმობთ იმას, რომ „ნ.“ არის ქანანოვის სახელის – ნიკოლოზი ინიციალი, გვარი „დავითიშვილი“ კი მისი მამის – დავითის სახელიდან ჩანს ნაწარმოები. (დავით ქანანოვი 50-იან წლებში იყო თბილისის თავადაზნაურთა დეპუტატთა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე). ამავე დროს უნდა ითქვას ისიც, რომ ნიკოლოზ ქანანოვს ლიტერატურულ წრეებში ანგარიშგასაწევ პუბლიცისტად არავენ მოიაზრებდა და მას ძირითადად „ვილაც“ ქანანოვად მოიხსენიებდნენ.

- ილიასათვის დამახასიათებელია მის მიმართ მიმართულ პოლემიკურ წერილებზე ანონიმურად გამომხატულება და მათში საკუთარი თავის შესამე პირში მოხსენიება.

- ამ წერილების ავტორს ნიკო ნიკოლაძემ „პრესის მატყუარა“ უწოდა (როგორც ჩანს, მადეზორიენტირებული ფსევდონიმის გამო), მის გამონათქვამებზე პასუხისმგებლობა ილიას დააკისრა და თან აღნიშნა, „იგი ჩვენ გაგვიგებსო“, რაც მეტყველებს იმაზე, რომ ეს წერილები მასაც ილიასეულად მიაჩნდა.

- თემატიკა უაღრესად მნიშვნელოვანია ილიასათვის: ქართული ლიტერატურის ყოფა, ქართული ენის შევიწროება, უცხო ქვეყნის ბრმა მიმბაძველობა, „სიძველის“ გამო ჭეშმარიტ ღირბულებებთან დაპირისპირება და სხვ. თვალსაჩინოა ყველა ამ თემასთან დაკავშირებული აზრებისა და პოზიციების სრული თანხვედრა ილიასეულთან.

- ავტორის გამბედაობა მის გარკვეულ სტატუსზე და საკუთარი შესაძლებლობებისადმი რწმენაზე მიგვანიშნებს. ქანანოვმა თავად არ იცოდა კარგად ქართული, მწერლობის პრეტენზია არ ჰქონია, რედაქციის უბრალო მუშაკი იყო და ვერ შეძლებდა ნიკოლაძესთან ენის საკითხებზე კამათს; იგი ვერ გაბედავდა, რომ გამოცდილი ჟურნალისტის თხზულებისთვის „ცბელობა“ და „ცუდუბრალო ლათაიობა“ ეწოდებინა და, რაც მთავარია, ვერ

შედლებდა, რომ მისი ამგვარი შეფასებები დამაჯერებლად დაესაბუთებინა.

- სტატიებისათვის დამახასიათებელია აზროვნების მასშტაბურობა, რაც ავტორის გონიერების გარდა მიუთითებს მის ზოგად განათლებაზე, მეცნიერული სიახლეებისა და მიმდინარე საზოგადოებრივი მოვლენების ზედმიწევნით ცოდნაზე (წერილების ავტორი ღრმა ერუდიტულობით საუბრობს ენისა და აზროვნების კავშირზე, დრეპერის თეორიაზე, ისტორიის, ლიტერატურის, ჟურნალისტიკისა და სხვა პრობლემებზე).

- აღსანიშნავია სტილის დახვეწილობა და უშუალობა, ილიასათვის დამახასიათებელი იუმორი და სარკაზმი. ავტორს ეტყობა მდიდარი წარმოსახვა და მხატვრული ოსტატობა, რაც მის სამწერლო გამოცდილებაზე უნდა მიგვანიშნებდეს. წერილებში გვხვდება სხარტი შედარებები და მოქნილი კონსტრუქციები. უხვადაა ილიასათვის დამახასიათებელი ლექსიკა (ქვაკუთხედი, გამოატყვრინა, ჰბადავს, უკიჟინებს, იქამდისინ და სხვ), ფრაზები („კარგი და პატიოსანი“, „ყოვლად შემძლებელი“, „მართლა და“, „მართალი ბრძანება“, „ცხოვრების მიმდინარეობაში“, „შენ არ მამიკვდე“, „სწორედ მოგახსენოთ“, „ბარაქალა „რამდენად უფრო... იმოღენად უფრო“ და ენობრივი თავისებურებები: ჩვენებითი ნაცვალსახელის ფუნქციით არსებითი სახელის მსაზღვრელად „იგი“-ს ხმარება (ტექსტებში ექვსჯერ გვხვდება: „იგი მწუნარება“, „იგი ლიტერატურა“, „იგი ხალხი“, „იგი წარმატება“ და სხვ). ხშირია მკითხველისადმი მიმართვა (ამ წერილებში ილია მკითხველს ათჯერ მიმართავს, მათ შორის ორჯერ მისთვის დამახასიათებელი ასეთი ფორმითაც: „თუ შენც იტყვი, მკითხველო“, და გვხვდება მკითხველისადმი მოწოდება „ახლა მიბრძანეთ...“. ხშირია მეტატექსტები, სადაც მკითხველს კიდევ 44-ჯერ ახსენებს.

- წერილებში ვლინდება ილიასათვის დამახასიათებელი მაღალი პოლემიკური ოსტატობა. ავტორი განსახილველ აზრს უპირისპირდება მოხმობილი წყაროების არასანდოობის დასაბუთებით, არ ეპარება არცერთი ტყუილი და გაზვიადება, თავად კი ყოველთვის სარწმუნო წყაროებს და რეალურ ფაქტებს მოიხმობს. გვხვდება არგუმენტირების ილიასათვის დამახასიათებელი

ხერხები, მაგალითად, სხვისი აზრების ციტირების შემდეგ, მის გასააზრებლად კითხვის დასმა: „რა გამოდის აქედამ?“ და შემდეგ ანალიზი. ამ ტექსტებში ასეთი შემთხვევა ოთხჯერ გვხვდება.

- ატრიბუციისთვის ძალიან მნიშვნელოვანია რემინისცენციები ილია ჭავჭავაძის იმ დროისათვის ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელ ნაწერებთან, მაგალითად პოემასთან „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“ (სიმღერის დროს გულიდან ამოთქმულ მწუხარებაში ორი, ურთიერთსაპირისპირო განცდის დანახვა (შდრ.: წინამდებარე ტექსტიდან: „არის მრავალი სიმღერა, რომელიც სევდიან კილოზეა თქმული და რომელსაც თავიდან ბოლომდე მწუხარება დართული აქვს, მაგრამ მაინც გესიამოვნებათ მისი გაგონება“. და სიტყვები პოემიდან: „ლულუნი იგი ჩამრჩენია გულს, / მწუხარე არის, ვით გლოვის ზარი, / მაგრამ თუ ნაღველს მოჰბერს დაჩაგრულს, / უკუჰყრის კიდევ, ვით ღრუბელს ქარი“.

ამ წერილების ერთ-ერთ ფრაზაში „თუმცა ჩვენს ლიტერატურას არა აქვს ამგვარი სიტკბოება, რომელიც ნებას მძლეველს მიუუთითო მკითხველს მასზე და უთხრა – „ასე ტკბილად დამბერდი-მეთქი“, იგრძნობა ზუსტად ისეთივე კრიტიკული გააზრება ამ საახალწლო მისალოცი ფრაზისა, როგორც 1898 წლის საახალწლო წერილშია: „ღმერთმა ტკბილად დაგაბეროსო“, ერთმანეთისათვის ვნატრულობთ ხოლმე, როცა-კი ახალი წელიწადი კარს დაგვირაკუნებს. რა ღიდად სანატრელი რამ არის ეს დაბერება“. მსგავსი პარალელების მოხმობა კიდევ მრავალ ამონარიდთან მიმართებით შეიძლება გაკეთდეს. მაგალითად, ილიას სხვა ნაწერებშიაც ვხვდებით ლიტერატურის შედარებას გასამარგლ ყანასთან, ანდაზის „ცუდად ჯდომას ცუდად შრომა სჯობია“ კრიტიკას,

როგორც ვხედავთ, ტექსტის ყველა დონის (ისტორიულ-ბიოგრაფიული, თემატური, სტილისტური, მხატვრული, ლექსიკურ-გრამატიკული) ანალიზი უფრო ილია ჭავჭავაძის ავტორობის სასარგებლოდ მეტყველებს.

771.20-24 „მართალიაო... ისტორიულ მოძრაობაში“ აქ ავ-

ტორი უნდა საუბრობდეს ჰეგელის მოსაზრებებზე რელიგიის, ფილოსოფიისა და ხელოვნების ურთიერთმიმართების შესახებ. 70-იანი წლების დასაწყისში ჰეგელის ნაშრომები უკვე არსებობდა რუსულ ენაზე. მისმა ერთ-ერთმა პირველმა მთარგმნელმა და მიმდევარმა ნ. გ. დებოლსკიმ 1870 წელს წიგნიც გამოსცა „შემეცნების შესახებ მოძღვრების შესავალი“ (Введение в учение о познании. СПб, 1870).

779.1 ერთი რუსული ანდაზაა: – „სულელს რომ ლოცვა დააწყებინო, შუბლსაც გაიჩეხავსო“. „Заставь дурака богу молиться — он себе лоб расшибет“.

ფიქრი და შენიშვნა

(კიდევ ჩვენის მწერლობის...) (გვ.786)

ნ ა ბ ე ჯ დ ი: ჟ. „ივერია“, 1879 №2 გვ. 105 -120;

ხელმოწერა: ნ. დავითიშვილი

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა კრებულში პირველად იბეჭდება.

წერილს ვათარიღებთ ცენზურის ნებართვის მიხედვით.

ატრიბუციის შესახებ იხილეთ ამ სათაურით წარმოდგენილი პირველი წერილის კომენტარები.

790.9-10 „ორი რუსული გაზეთი, რომელნიც ჩვენში ამ ორი წლის წინად გამოდიოდნენ კვირაში სამჯერ, გარდიქცნენ ეხლა ყოველდღიურ გაზეთებათ – უნდა იგულისხმებოდეს გაზეთები „Тифлисский вестник“ და „Кавказ“, რომლებიც ყოველდღიურ გაზეთებად გადაკეთდა 1876 წელს.

790.11 „დროებაც“ ამ გზას დაადგა. – იგულისხმება ის, რომ 1866 წლიდან კვირაში სამჯერ გამომავალი „დროებაც“ 1877 წელს ყოველდღიურ გაზეთად გადაკეთდა.

790.16-17 გვპირდება კავკასიელ „ტაიმსობას“ - იგულისხმება უბეველესი და ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ინგლისური

გაზეთი “The Times”, რომელიც ლონდონში გამოდიოდა 1788 წლიდან.

790.29-30 ყარსი აიღო ლორის-მელიქოვმაო – ივულისხმე-ბა ლორის მელიქოვის განსაკუთრებული დამსახურება ყარსის ალბაში. 1854 წელს მას დაევალა ქართველი, სომეხი და ქურთი მონადირეებისგან საგანგებო რაზმის ჩამოყალიბება და 1855 წელს ამ რაზმით აკონტროლებდა ყარსის მისადგომებს. ციხე-სიმაგრის ალბის შემდეგ იგი დაინიშნა ყარსის ოლქის მმართველად.

798.5-6 „არ ვსდევ ჟამთა ცვლას, მე იგივე ვარ მარად და მარად“ - ციტატა ალ ჭავჭავაძის ლექსიდან „ვაჰ დრონი, დრონი...“

800.26-27 „ნახევარი წიგნისა უჭირავს „მშვენიერ ელენეს“.
– საუბარია ოფენბახის ოპერეტაზე.

800.31-32 „რა სალიტერატუროა ოფენბახის ოპერეტკები?“
- ოფენბახის ოპერეტები, მათ შორის „მშვენიერი ელენაც“, ერთ დროს წარმატებით სარგებლობდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების და რუსეთის სცენებზეც, მაგრამ 70-იანი წლების მაყურებლის გემოვნება უფრო დაიხვეწა და ამ პიესებმაც თანდათან დაკარგა პოპულარობა.

ფიქრი და შენიშვნა

(გლოვა ბესარიონ ლოლობერიძის...) (გვ.801)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: ჟ. „ივერია“, 1879 №3 გვ. 129-135.

ხელმოწერა: ნ. დავითიშვილი

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა კრებულში პირველად იბეჭდება.

წერილს ვათარილებთ ცენზურის ნებართვის მიხედვით.

ატრიბუციის შესახებ იხილეთ ამ სათაურით წარმოდგენილი პირველი წერილის კომენტარები.

805.8-9 „ეს იყო დრო, რომელიც მოჰყვა ყირიმის ომიანობას“
– ყირიმის ომს რუსეთი აწარმოებდა 1853-1856 წლებში ოსმან-

თა იმპერიის, საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთისა და სარდინიის წინააღმდეგ შავი ზღვის აუზში ბატონობის მოსაპოვებლად. რუსეთის არმიას ჰქონდა გარკვეული წარმატებები, მაგრამ ომში ავსტრიის ჩართვის საშიშროებამ აიძულა რუსეთის იმპერატორი, რომ დათანხმებულიყო მისთვის არახელსაყრელი „პარიზის სამშვიდობო მოლაპარაკების“ მიღებაზე. ეს მოხდა 1856 წელს.

ფიქრი და შენიშვნა

(უფ. ნიკოლაძის „საახალწლო“...) (გვ. 806)

ნ ა ბ ე ჳ დ ი: „დროება“ 1880 №28, გვ.1 30,39,41.

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა კრებულში პირველად იბეჭდება.

წერილს ვათარილებთ ცენზურის ნებართვის მიხედვით.

ატრიბუციის შესახებ იხილეთ ამ სათაურით წარმოდგენილი პირველი წერილის კომენტარები.

807.32 „მშვიდობა და სიმართლე გამოგვეკითხა...“ ალბათ უნდა იყოს “სიმრთელე”.

810.4 „ზეპირათ ვისწავლე რამდენიმე თავი „იუგურტას ომისა“ - სავარაუდოდ იგულისხმება ძვ. წ. II საუკუნეში ნუმიდიის მეფის მიერ წარმოებული იმეები. იუგურტამ დაამარცხა რომის იმპერიის არმია ალბინოს მეთაურობით და ნუმიდიიდან განდევნა რომაელი ჯარისკაცები, მაგრამ 107 წელს რომმა ნუმიდიაში გააგზავნა არმია გაიუს მარიუსის ხელმძღვანელობით და 105 წელს იუგურტა სიკვდილით დასაჯეს.

810.28-29 „ეს ვერ შეძლო ვერც წმ. ავგუსტინმა, ვერც ჟან-ჟაკ რუსსომ“. - ილია ჭავჭავაძე, სავარაუდოდ, საუბრობს ნეტარი ავგუსტინეს ავტობიოგრაფიული თხზულებების კრებულზე სათაურით – „აღსარება (397-398 წ.), რომელიც ითვლება ავტობიოგრაფიის პირველ ნიმუშად ევროპულ ლიტერატურაში და ცნობილი ფრანგი მწერლის, ფილოსოფოსისა და განმანათლებლის, ჟან ჟაკ რუსოს ამავე სათაურის მქონე ნაშრომზე –

„აღსარება“ (1766-1769), რომელმაც ახალი ეტაპი შექმნა ავტობიოგრაფიული ჟანრის განვითარებაში.

810.23-24 „თავის თავის აღწერა, ამბობს ჰენე, „არამც თუ საშიში, არამედ შეუძლებელიც არისო“ - ჰანრიხ ჰანენეს, ავტობიოგრაფიასთან დაკავშირებით მის ცხოვრებაში სავალალო ფაქტი მოხდა. ნათესავების მატერიალურ დახმარებაზე დამოკიდებული და ლოგინად ჩავარდნილი პოეტი იძულებული გახდა, რომ მათი დაჟინებული მოთხოვნის გამო უარი ეთქვა თავისი შვიდწლიანი შრომის ნაყოფზე, მემუარების ოთხ ტომზე. 1847 წელს მას პარიზში ჩააკითხეს ბიძაშვილმა და ძმამ და დაითანხმეს მემუარების განადგურებაზე. მისმა ახლობლებმა ამით თავიდან აიცილეს მათი ცხოვრების არასახარბიელო ფაქტების გამოამკარავება და ამის სანაცვლოდ მწერალს კვლავ დაუნიშნეს ყოველთვიური დახმარება. ამ მემუარებიდან შემორჩენილი მცირე ნაწყვეტის საფუძველზე მეცნიერები ვარაუდობენ, რომ მისი სახით მსოფლიო ლიტერატურამ მემუარული ლიტერატურის ერთერთი საუკეთესო ნიმუში დაკარგა.

811.2-3 „არა ყოველმან, რომელმან რქვას: უფალო! უფალო! შევიდეს იგი სასუფეველსა ათასა“ - მაცხოვრის გამონათქვამის პერიფრაზია მესამე პირში: „არა ყოველმან, რომელმან მრქუას მე: უფალო, უფალო! შევიდეს იგი სასუფეველსა ცათასა, არამედ რომელმან ყოს ნებაი მამისა ჩემისა ზეცათაისაი“ (მათე 7. 21).

815.9-10 „იმავე პერიოდში ვართ, რომელშიაც იყო რუსეთი სლავიანოფილების დროს“ – რუსული საზოგადოებრივი და ფილოსოფიური აზრის ნაციონალისტური მიმართულება, რომელიც სლავიანოფილობის სახელით იყო ცნობილი, მოქმედებდა რუსეთში 1830–1850–იან წლებში „მედასავლეთეებთან“ დაპირისპირებით.

815.10-11 „ესრედ წოდებული „ზაპადნიკები“ ამტკიცებდნენ ახალი სჯობიაო“ – იგულისხმებიან ისინი, ვინც რუსეთის დასავლეთევროპული კულტურული და იდეოლოგიური ღირებულებების მიმართულებით განვითარების მომხრე იყო.

815.20-21 „ლესინგის დროს დაბოლოებული ომი საფრანგეთის წამბაძავებს და ძველი გერმანიის მომხრეებს შუა“ – XVIII

საუკუნის მეორე ნახევარში გერმანელი მწერალი, განმანათლებელი გოტფრიდ ლესინგი უპირისპირდებოდა ფრანგ კლასიკოსებს, რომელთა შემოქმედებაც შეიცავდა აბსოლუტიზმის იდეოლოგიურ გამართლებას და ამასთანავე უპირისპირდებოდა მათ მიმდევარ საკუთარ თანამემამულეებს, ე. წ. გოტშედიანელებს. მას საჭიროდ მიაჩნდა, რომ გერმანული ბურჟუაზიული ლიტერატურა გათავისუფლებულიყო სამეფო კარის გავლენისაგან.

817.27-28 „დრეპერი... კერძო ადამიანის ცხოვრებას“ - საუბარია ინგლისელი მეცნიერის, ჯონ დრეპერის წიგნზე **Дрепер Джон Вильям, «История умственного развития Европы»**, т. 1., რომელიც რუსეთში ოთხჯერ გამოიცა და მათ შორის 1866 წელსაც.

818.13-14 ამ შემთხვევაში ალექსანდრე მაკელონელსავით მოიქცა – ჩვენი ვარაუდით აქ შესაძლოა ილია ჭავჭავაძე იხსენებდეს იმ შემთხვევას, როდესაც ალექსანდრე მაკელონელმა კალენდარში ხელოვნურად ჩასვა განმეორებით უკვე განვლილი თვე. იმ ეპოქაში მიაჩნდათ, რომ „დროის მართვა“ ძლევაძოსილ ხელისუფალთა პრეროგატივა იყო. სპარსეთის მეფე დარიოსთან ბრძოლის დაცემის წინ (ძვ. წ. 334) ალექსანდრე მაკელონელმა კალენდარს ჩაამატა უკვე მიწურული წარმატებული თვე არტემისიოსი, რადგან ის თვე, რომელიც რეალურად უნდა დამდგარიყო – დესიოსი, ბერძნებს ბრძოლაში წარუმატებლობის მომტანად მიაჩნდათ.

821.10-11 „ჩამდგარა რუსეთის აწინდელ დროის „პლუტოკრატების“ რაზმში“ – იგულისხმება ადამიანთა ვიწრო წრე რომელთაც ფორმალურად, კანონით არა აქვთ უპირატესობა, მაგრამ მაინც საკუთარ ნებაზე წარმართავენ ქვეყნის ცხოვრებას.

821.19-20 „მას აღარ შეშვენის „ინსაროვებზედ“ ლაპარაკი“. – იგულისხმება რუსი მწერლის ივანე ტურგენევის ცნობილი რომანის **“На кануне”** (1860) გმირი ინსაროვი, მაღალი მოქალაქეობრივი თვითშეგნების მქონე, სამშობლოსათვის თავდადებული ახალგაზრდა ბულგარელი, რომელიც რუსეთში განათლების მისაღებად ჩავიდა იმ სურვილით, რომ მიღებული ცოდნა თურქეთის ტყვეობისაგან თავისი სამშობლოს გათავისუფლები-სათვის მოეხმარა.

823.16 „უახლოვდებოდეს“ - სავარაუდოდ გაზეთის ტექსტში კორექტურული შეცდომაა და უნდა იყოს “უახლოვებდეს”.

823.22-23 ვერც შიშკოვის, ვერც ხომიაკოვის, ვერც კირეევსკის, ვერც ავ. გრიგორიევის¹ ენას რუსის ხალხი ვერ იგებდა, - ესენი იყვნენ ცნობილი რუსი სლავიანოფილები.

824.14-15 „ნიკოლაძე ურევს ერთი ერთმანერთში სლავიანოფილობას და პანსლავისტობას“ - ამ უკანასკნელში იგულისხმება XVIII საუკუნის დასასრულსა და XIX-ის პირველ ნახევარში სლავური ტომებით დასახლებული სახელმწიფოების კულტურულ-პოლიტიკური მიმდინარეობა და იდეოლოგია, რომელსაც საფუძვლად ედო ეთნიკური, კულტურული და ენობრივი ერთობის საფუძველზე მათი პოლიტიკური გაერთიანების აუცილებლობის იდეა.

824.20 „პატრიოტებისთვის“ სავარაუდოდ კორექტურული შეცდომაა და უნდა იყოს “პატრიოტებივით”.

825.32-33 „ჩვენს ქვეყანას ფარნავაზ მეფის დროინდელი წესები მიედოს-თქო“ – იგულისხმება საქართველოს პირველი სამეფო დინასტიის დამაარსებელი ფარნავაზ I.

826.13-14 „ჩინეთის კედლით არ უნდა შემოვსაზღვროთ ჩვენი ქვეყანაო“ – ჩინეთის კედელი იყო სამხედრო გამაგრება ჩინეთის გარშემო, რომლის მშენებლობა მიმდინარეობდა ძვ. წ. 3-დან ახ. წ. მე-17 საუკუნემდე და გამიზნული იყო მონღოლთა, თურქთა და სხვა მომთაბარე ტომთაგან თავდასაცავად, მაგრამ ამ შემთხვევაში, ვფიქრობთ, იგი აფორისტული მნიშვნელობით უნდა იყოს ნახმარი და ზედმეტ შემოზღუდულობასა და ჩაკეტილობას უნდა ნიშნავდეს.

826.26-28 „კიდევ ამოეყუდა რუსის გამოჩენილ მწერალს და ამბობს „მიეცით ხალხს საკვები და სწავლას ის თითონაც შეიძენსო“ - ამ რუს მწერალში სავარაუდოდ გერცენი უნდა იგულისხმებოდეს და მისი ცნობილი გამონათქვამი: «Накормите людей хлебами, тогда спрашивайте у них и добродетели». ნიკოლაძემ 1865 წელს დაიწყო გერცენტთან თანამშრომლობა, რამდენიმე წერილი გამოაქვეყნა მის „კოლოკოლში“ და ბევრ რამეში იზიარებდა მის აზრებს.

იცვნე იგინი კარავთა შენსა ხლომისაგან ენათასა (გვ. 827)

ნ ა ბ ე ჯ დ ი: გაზ. “ივერია”, 1887წ., 29 ოქტომბერი, №241, 243 გვ.1.

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა კრებულში პირველად იბეჭდება.

სტატიები ილია ჭავჭავაძეს მიაკუთვნა ლევან ჭრელაშვილმა. მისი მტკიცებულებები, წერილების ტექსტებთან ერთად გამოქვეყნდა ჟურნალ „საქართველოში“ 1998 წელს №1. ატრიბუციასთან დაკავშირებით მეცნიერს მოჰყავს შემდეგი არგუმენტები: 1. გრიგოლ ყიფშიძისადმი მიწერილი ბარათიდან ირკვევა, რომ ილია ჭავჭავაძე „ივერიაში“ ხელმოუწერლად მხოლოდ მოწინავეებს არ ბეჭდავდა, ანუ მისი სტატიები იბეჭდებოდა სხვა გვერდებზეც. 2. ამავე დასკვნამდე მიყვავართ სოფრომ მგალობლიშვილის მოგონებას, რომლის მიხედვითაც, ილია გაზეთისათვის ზოგჯერ დღეში ორ-ორ წერილს წერდა. 3. ტექსტში მოხსენიებული პირი, რომელმაც პირველმა შეიტანა ეჭვი მოსე ჯანაშვილის ახალგაზრდობისდროინდელი ნაშრომის კავშირში ბარათაშვილისა და გოლოვინის ისტორიებთან და წიგნის გამოცემის წელსვე (1884) დაბეჭდა ამის შესახებ სტატია ჟურნალ „ივერიაში“, იყო გრიგოლ ყიფშიძე. გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნებული ამ წერილების ავტორი კი – მისი ახლობელი და „ივერიის“ იმდენად ავტორიტეტული თანამშრომელი ჩანს, რომ გრიგოლ ყიფშიძისათვის რჩევის მიცემაც შეძლებია, მისი გამხნეებაც და მხარში ამოღებაც. პირი, რომელსაც ეს ყველაფერი ხელეწიფებოდა და ყიფშიძის გვერდით მუშაობდა როგორც ჟურნალ, ისე გაზეთ „ივერიაში“, იყო ილია ჭავჭავაძე. 4. სტატიაში არაერთგზის მეორდება ილია ჭავჭავაძის ლექსიკისათვის დამახასიათებელი კავშირის – „გარნას“ ხმარება.

ჩვენ ვიზიარებთ მკვლევარ ლევან ჭრელაშვილის მოსაზრებას ტექსტის ავტორთან დაკავშირებით, რასაც ადასტურებს მის ენასა და სტილზე დაკვირვებაც.

827-7-8 „იცვნე იგინი კარავთა შენსა ხლომისაგან ენათასა“ – ციტატა არის წმ. დავითის ფსალმუნიდან 30. 21 „დაჰფარნე

ივინი საფარველსა პირისა შენისასა აღძვრისაგან კაცთაისა: და-
იცვნე ივინი კარავსა შენსა ხლომისაგან ენათაისა”.

231.14-15 „აღიას რომ დაუუჯერო, მუსია დამწიხლავს“ ეს
უნდა იყოს ალუზია ანდაზაზე „აღია წავიდა, მუსია მოვიდა“,
რომელიც დაახლოებით იგივე შინაარსისაა, როგორისაც: „ვაის
გავეყარე და ვუის შევეყარე“.

831.16 „მოსესა „ბღღვირს“ აღენს“ - უნდა იგულისხმებოდეს
მოსე ჯანაშვილი, რადგან საუბარი ძირითადად მასზეა.

831.18 „ანტონას სად წავუვალ?“ - უნდა იგულისხმებოდეს
ანტონ ფურცელაძე, იმიტომ, რომ ამავე სტატიისაში ის მსგავს
კონტექსტშია მოხსენიებული.

833.10-12 „ლაფი დაასხა გამოჩენილთ მეისტორიეთ დ. ბაქრაძეს,
ოქრომჭედილიშვილსა და თვით ფილოსოფოსსა პლატონ იოსე-
ლიანს“ - საუბარია ქართველ ისტორიკოსებზე. ილია ოქრომ-
ჭედილიშვილს ჰქონდა ნაშრომები: „ვინ მოიგონა ქართული ან-
ბანი“ (1881), შესახებ ქართველთა და სომეხთა ძველისძველ
ისტორიისა“ (1890) და სხვ.

839.27 „სასჯელნი დაფან და აბირონისანი მეწივნეს“ - ბიბ-
ლიის მიხედვით ელიაბის ძენი - დაფან და აბირონი მიწამ
შთანთქა იმიტომ, რომ მათ არ დაიცვეს საღვთო მსახურების
წესები.

839.28 „შიშთვილი იუდასი ნუცა ამცდების“ - იგულისხმება
იუდა ისკარიოტელის მიერ თავის ჩამოხრჩობა.

<თავადაზნაურული მედიდურობა > (გვ. 842)

ნ ა ბ ე ჳ დ ი: 1903 წ. გაზ „ივერია“ №86, 20 აპრილი,
გვ. 1

თარიღი: ტფილისი, 20 აპრილი.

სათაური მიცემულია ჩვენ მიერ.

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა კრებულში პირველად იბე-
ჭდება.

თარგმნილი მხატვრული თხზულებანი

ფარაონის ასული (გვ. 845)

ნაბეჭდი: ჟურნალი „ივერია“, 1885 წ., №1, გვ. 5-44; №2, გვ. 24-91; №3, გვ. 9-61; №4, გვ. 36-79; №5-6, გვ. 3-68.

ავტორი: გეორგ ებერსი

1885 წელს ჟურნალ „ივერიაში“ დაბეჭდილ გეორგ ებერსის რომანს - „ფარაონის ასული“ „ქართული ჟურნალისტიკის ისტორიის“ მეოთხე ტომში (1986, გვ. 310) ალექსანდრე კალანდაძე ილია ჭავჭავაძის თარგმნილად მიიჩნევს, მაგრამ არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, თუ რის საფუძველზე აკეთებს ასეთ დასკვნას. თარგმანი ილიასეულად არის მიჩნეული აგრეთვე წიგნში „ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების მატთანე“ (ი, გორგაძე, ნ. გურგენიძე 1987) მაგრამ, როგორც ჩანს, თარგმანის ატრიბუციასთან დაკავშირებული არგუმენტების არქონის გამო, იგი არ იქნა შეტანილი ილია ჭავჭავაძის თხზულებათა აკადემიური გამოცემის მხატვრული თარგმანების ტომში (ტ. III 1988 წ.) კვლევის შედეგად მოპოვებული მტკიცებულებების საფუძველზე მიგვაჩნია, რომ თარგმანი შესაძლოა მართლაც ილიასეული იყოს და საჭიროა იგი დაემატოს აკადემიური გამოცემის XVI ტომის „სავარაუდონის“ განყოფილებას.

ჩვენი არგუმენტები ასეთია:

